საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

Georgian Technical University
Georgian Academy of Engineering

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

QUARTERLY REFEREED AND REVIEWED
INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL

1-2 2016

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

უაკ (**UDC**) 338.22+62
ბ-666

№ 1-2. 2016 წელი

ა. სიჭინავა (მთავარი რედაქტორი)
შ. ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ა. ქუთათელაძე (ელექტრონული ვერსიის ტექნიკური რედაქტორი)
თ. ლომინაძე (ელექტრონული ვერსიის რედაქტორის მოადგილე)

სარედაქციო კოლეგია: ნ. აბესაძე, გ. აბაშიძე (ბათუმი), გ. აბდუშელიშვილი, გ. აბრამიშვილი, ე. ბარათაშვილი, თ. ბაციკაძე, ვ. ბოჯარი (პოლონეთი), ზ. გასიტაშვილი, ი. გაბისონია, ჯ. გახოკიძე, ლ. გვასალია, ა. გლუშეცკი (რუსეთი), ივ. გორგიძე, ი. გუჯაბიძე, ც. დურული (გორი), მ. ეფიმჩენკო (რუსეთი), რ. ვინთერი (შვეიცარია), დ. თავხელიძე, ლ. იმნაიშვილი, კ. ისაევა (ყაზახეთი), პ. იონი (გერმანია), რ. შენგელია, ი. კაკუბავა, ი. კვესელავა, ლ. კლიმიაშვილი, პ. კოღუაშვილი, ჯ. ლანცი (პოლონეთი) ე. ლობანოვა (რუსეთი), შ. ლომინაშვილი (ქუთაისი), ზ. ლომსაძე, ი. ლომიძე, გ. მალაშხია, ვ. მინასიანი (რუსეთი), რ. ოთინაშვილი, მ. ოსინსკა (პოლონეთი), მ. პისანიუკი (მოლდოვა), გ. სალუქვაძე, ი. ჟორდანია, დ. სეხნიაშვილი, რ. სტურუა, მ. ტაბატაძე, გ. ტყეშელაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ლ. ქარჩავა, რ. ქუთათელაძე, გ. ღავთაძე (ქუთაისი), მ. ჩიქავა, ნ. ჩიხლაძე (ქუთაისი), გ. ძიძიგური, ჯ. ჯანაშია, დ. ჯაფარიძე, გ. ჯოლია.

EDITOR : A. Sichinava
DEPUTY OF CHIEF EDITOR: Sh. Veshapidze
TECHNICAL EDITOR: A. Kutateladze
DEPUTY EDITOR: T. Lominadze

EDITOR STAFF: N. Abesadze, G. Abdushelishvili , G. Abramishvili, G. Abashidze (Batumi), R. Shengelia, E. Baratashvili, T. Batsikadze, V. Bojari (Poland), M. Chikava, N. Chikhladze (Kutaisi), C. Duruli (Gori), G. Dzidziguri, M. Efimchenko (Russia),P. Ioni (Germany), A. Frangishvili, I. Gabisonia, J. Gakhokidze, Z. Gasitashvili, L. Gvasalia, G. Gavtadze (Kutaisi), A. Glushetsky (Russia), Iv. Gorgidze, I. Gujabidze, L. Imnaishvili, K. Isaeva (Kazakhistan), J. Janashia, D. Japaridze, G. Jolia, I. Kakubava, L. Klimiashvili, P. Koguashvili, N.Khundadze, I. Kveselava, Z. Kovziridze, E. Lobanova (Russia), I. Lomidze, Sh. Lominashvili (Kutaisi), G. Malashkhia, V. Minasian (Russia), R. Otinashvili, M. Pisaniuk (Moldova), L. Qarchava, R. Qutateladze, G. Saluqvadze, R. Sturua, M. Tabatadze, D. Tavkhelidze, G. Tkeshelashvili, R. Winter (Sweden),O. Zumburidze.

პასუხისმგებელი რედაქტორი: დალი სეხნიაშვილი
RESPONSIBLE EDITOR: Dali Sekhniashvili

გარეკანის დიზაინის ავტორი: დალი სეხნიაშვილი
ტექნიკური რედაქტორები: თეა მაისურაძე, თამარ აბუაშვილი, ნატო გეგენავა

COVER DISIGN BY : Dali Sekhniashvili
TECHNICAL EDITORS: Tea Maisuradze, Tamar Abuashvili, Nato Gegenava

რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

The editorial staff opinion may not coincide with the authors' point of views. Authors of published materials are responsible for the accuracy of facts.

მისამართი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოთ. 615ბ.
ტელ.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 595 22 11 25; 032 2 365391.
www.Business-Engineering. bpengi.com
ელ-ფოსტა: info@bpengi.com

Editorial office address:
Georgian Technical University
Tbilisi, Kostava str. 77. 615 b.
Tel.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 595 22 11 25; 032 2 365391;
www. Business-Engineering. bpengi.com
E-mail: info@bpengi.com

ISSN 1512-0538

ISSN 1512-0538

ს ა რ ჩ ე ვ ი

ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები

ირინე მამალაძე, თამარ აბუაშვილი
ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი ფირმაში 9

ალექსანდრე სიჭინავა, დალი სეხნიაშვილი, მედეა ჩიქავა
უძრავი ქონების - მიწის და ტყის რესურსების ეკონომიკური შეფასების აქტუალური საკითხები საქართველოში 13

გურამ ჯოლია
SMART - კიბერუნივერსიტეტი – ინდუსტრიული რევოლუცია - 4.0-ის შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო მოდელი 19

ნინო მაზიაშვილი
ჯონ მეინარდ კეინზსა და ფრიდრიხ ავგუსტ ჰაიეკს შორის „საუკუნის ბრძოლა" და საქართველო 39

მანანა ბერუაშვილი
გლობალიზაცია – სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა 44

ნატალია კოპალიანი
ამერიკის სოფლის სკოლა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სივრცე 46

ალეკო ქუთათელაძე, თემური მატუა
საინვესტიციო პროექტების მართვის საშუალებების ანალიზი 49

ქეთევან ქაჯაია, ნატო გეგენავა
ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია 53

გიორგი ნანუაშვილი
ამერიკის ეკონომიკის ანატომია 58

რუსუდან ქინქლაძე, გიორგი ცინცაძე
ინტელექტის გადინება საქართველოდან 62

მანანა ბერუაშვილი
საქართველო გლობალურ ბიზნესში 65

ლუარა გვაჯაია, თენგიზ გოგოლაძე
საინვესტიციო რისკების მართვა 67

თეონა ბაქანიძე, მანანა ვასაძე
პატარა სასტუმროს მართვის თავისებურებანი 71

ნანა ბიჩენოვი
აქციათა ფასის პროგნოზირება ჰერსტის მაჩვენებლის გამოყენებით 74

მ ი ლ ო ც ვ ა

რეზო გოგოხია - გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი 78

ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების მიმართულებები

ეკატერინე მოწონელიძე
მარკეტინგის როლი ჯანდაცვის ეკონომიკურ-ორგანიზაციული სისტემის განვითარების საქმეში 79

რამაზ ოთინაშვილი, კახაბერ მახვილაძე
მარკეტინგული კვლევა - ბიზნესის წარმატების აუცილებელი პირობა 82

რატი აბულაძე, ფიქრია წოწკოლაური
მობილური კომერციის ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში 86

კახაბერ ჟამურაშვილი
ინფორმაციული უსაფრთხოება 92

ეკატერინე შილაკაძე
ინოვაციური მენეჯმენტის სრულყოფის მექანიზმები, ინტერნერნეტ სივრცის გამოყენება, როგორც მცირე და საშუალო საწარმოების წარმატებული განვითარების არეალი 95

ქეთევან ქაჯაია
ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და CSR-ი საქართველოში 100

თამარ მაღალაშვილი
მომსახურების მარკეტინგი 105

აკაკი გვარუციძე
რისკები ინოვაციურ ეკონომიკაში 109

მაია ლომსაძე-კუჭავა, ხათუნა გიორგაძე
სამრეწველო საწარმოთა ლოგისტიკური უზრუნველყოფის საინვესტიციო საქმიანობის მართვის მოდელი 114

მიხეილ კიკნაძე
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები მექსიკაში 118

სულხან ხუციშვილი, დავით გორგიძე, ნანა ხარაძე
პროექტების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ანალიზი 122

ტარიელ კიკვაძე, დავით გეგია
მენეჯერული გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციის ანალიტიკური მეთოდები 127

ნატო გეგენავა, მაგდა ბაქანიძე
ფირმების საგარეო კონკურენტუნარიანობა და მისი ამაღლების სტრატეგიები 144

ნანი მამფორია, ნინო ლეთანძე
ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში 146

მარინა ბაღათურია
ტურიზმი - სიღარიბის დაძლევის თანამედროვე ტენდენცია 150

ლუარა გვაჯაია, გიორგი ნაჭყებია
ინოვაციური პროექტის არსი და შეფასების კრიტერიუმები 152

ოთარ კიკვაძე
სახელმწიფო შესყიდვები და მისი მარეგულირებელ-მაკორდინირებელი სტრუქტურა საქართველოში 156

ბიზნეს-ინჟინერინგი საბანკო საქმეში

ელგუჯა კონჯარია
ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები, ელემენტები, მათი აღიარება და შეფასება 160

თეიმურაზ ცაბაძე, ირაკლი ჭელიძე, ნიკოლოზ გეგუჩაძე
საკრედიტო რისკის შეფასება ფაზი მიმართებების გამოყენებით 164

ალეკო ქუთათელაძე, ზურაბ ჩხაიძე
აქტივების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი კომერციულ ბანკებში 169

გური ჭანუყვაძე
კომერციული ბანკების საოპერაციო რისკების თავისებურებები 174

ირაკლი ლაშხი
საბანკო საქმიანობის ინოვაციური ინსტრუმენტების სრულყოფის საკითხები 176

მარიამ დვალიშვილი
კომერციულ ბანკში საკრედიტო პორტფელის სრულყოფილი მართვის გზები თანამედროვე პირობებში 181

ოთარ კობახიძე
საქართველოს ფისკალური სისტემა 184

თამარ აბშილავა
ფასწარმოქმნა სესხებზე და საპროცენტო განაკვეთების შემცირების პოტენციალი საქართველოში 188

თამარ აბშილავა
კომერციული ბანკის პროცენტული რისკი და საპროცენტო პოლიტიკა 191

ბიზნეს-ინჟინერინგი საბუღალტრო საქმეში

გიორგი ნანუაშვილი
დანახარჯების აღრიცხვა ფორმირების ადგილისა და პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით 195

ბიზნეს-ინჟინერინგი სოფლის მეურნეობაში

ქეთევან სალუქვაძე, თეა ბიძინაშვილი, ნატალია კოპალიანი
ურბანიზაცია და აგრარული რევოლუცია 200

Аникина И. Н., Бексеитов Т.К., Исаева К.С., Кайниденов Н. Н.
Аспекты молекулярной идентификации генотипов картофеля 204

Темербаева М.В., Байтемирова З. М.
Разработка технологии нового аэрированного кисломолочного напитка 208

Темербаева М.В., Горецкая Ю.О.
Подбор полисахаридного комплекса для стабилизации структуры геродиетического продукта на молочной основе 211

ნინო მაზიაშვილი
ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდის პერსპექტივა ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის პირობებში 213

ვაჟა ზეიკიძე, დალი ბაიდაური, თენგიზ ლაჭყეპიანი, ლეილა გეგენავა
აგრობიზნესის განვითარების ორიენტირები აგრარულ სექტორში 217

ბიზნეს-ინჟინერინგი ტრანსპორტში

კონსტანტინე მჭედლიშვილი, უჩა სტურუა
საავტომობილო სპორტისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები საქართველოში 220

ბორის გითოლენდია
საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ევროკავშირის სტანდარტებთან ადაპტირების შემდგომი პერსპექტივები რეგიონული ინტეგრაციის ჭრილში 229

ბიზნეს-ინჟინერინგი მშენებლობაში

თამარ ესაძე, ხათუნა ლეჟავა
მხურვალმედეგი ბეტონის მიღება ბუნებრივ, ნანოდისპერსულ კაჟმიწა ნედლეულზე 233

ქეთევან სალუქვაძე
თანამედროვე ინტერიერების ხელოვნური მოსაპირკეთებელი მასალები 236

ივანე მაკასარაშვილი, მიხეილ დარჯანია
სამგანზომილებიანი ობიექტების რეკონსტრუქცია ავტომატური სისტემების გამოყენებით 239

ბიზნეს-ინჟინერინგი მასობრივ კომუნიკაციებში

ეთერ შამანიძე
მასობრივი კომუნიკაციის სუბიექტები, ობიექტები და მათი ადგილი და მნიშვნელობა ინფორმაციულ საზოგადოებაში 243

მიხეილ დვალიშვილი
ქსელური საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირების პრინციპები 248

სამართალი და პოლიტიკა

ლევან კოკაია
ნავთობისა და გაზის ტრანზიტის საერთაშორისო სამართლებრივი და სახელშეკრულებო რეგულირება 251

ანა კლდიაშვილი
რამ განაპირობა ტაივანზე ქალი პრეზიდენტის არჩევა 256

ელენე მენაბდე-ჯობაძე
სახელმწიფოს მეცნიერულ – ტექნიკური პოლიტიკა 260

მაია თაბაგარი
ტერორიზმის გაშუქება მედიაში 263

გოგი ცხოვრებაძე
გაეროს სამშვიდობო ოპერაციები 267

სოფო მიდელაშვილი
აფხაზეთი - საქართველო, ძიებანი შერიგებისათვის 271

ზურაბ გარაყანიძე, ნოდარ მოდებაძე
სასურსათო უსაფრთხოება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საქართველოში 274

ბიზნეს-ინჟინერინგი სოციალურ მეცნიერებებში

გოგი ცხოვრებაძე
ჰუმანიტარული ინტერვენციის ტიპოლოგია და მოდელები 291

ლიანა გიორგობიანი
თბილისის ქაშვეთის (ქვაშვეთის) ტაძრის ისტორიისათვის 298

მურმან თავდიშვილი
ოძრხე 302

ირაკლი მიქავა
ეგზისტენციალური განწყობის ფენომენი 306

თემურ არბოლიშვილი
სოციალური უზრუნველყოფის სისტემა კოსოვოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 308

Велиев Руслан Ариф оглы
Дееспособность физического лица и ее ограничение древной и в среднивековой Беларусии 313

ემზარ ფაჟავა
ევროპის მიგრაციული კრიზისი და თურქეთის ევროინტეგრაციული პერსპექტივები
თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების რეტროსპექტივა 317

კოკა კუტუბიძე
სოციალური კონტროლი და სოციალური გადახრები 322

ბიზნეს-ინჟინერინგი ენერგეტიკაში

დავით ბაქანიძე
ახალი სიმძლავრეები ენერგეტიკის ეფექტიანობისა და განვითარების საფუძველი 332

უჩა ხაჩიური
სადგურებს შორის დატვირთვის ოპტიმალური გადანაწილება 336

ემზარ ფაჟავა
საქართველო-თურქეთის თანამშრომლობა აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული
დერეფნის ფარგლებში 341

იური ლომიძე, თამარ შოშიაშვილი
სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოება და მისი როლი ევროპის სამხრეთ დერეფანში 346

ბიზნეს-ინჟინერინგი ჯანდაცვაში

რუსუდან ქუთათელაძე, ეკატერინე მოწონელიძე
ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის მართვა ჯანდაცვაში 348

ციალა ლომაია, თამარ ჩახუნაშვილი
მმართველობითი ინოვაციის შედეგები პირველადი ჯანდაცვის პედიატრიულ დაწესებულებებში 353

ბიზნეს-ინჟინერინგი ფილოლოგიაში

ეკა რუსიეშვილი
პრესკრიფციული ნორმა და ინოვაციები ენაში 358

რუსუდან ციცქიშვილი
ეთიკის როლი ორგანიზაციის ეფექტიანობაში 361

რომან სამხარაძე, მედეა თევდორაძე, იანინა გიგიბერია, მაია ქევხიშვილი
პედაგოგის როლი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განვითარებაში 364

იანინა გიგიბერია
ინკლუზიური განათლება - პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები 367

რომან სამხარაძე, მედეა თევდორაძე, ლიანა ჩარკვიანი
პროფესიული განათლების პედაგოგიური კადრების მომზადება ტექნოლოგიების საშუალებით 371

ნინო გიორგობიანი
სასწავლო დაწესებულების ეფექტურად მართვაზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელოვნების დადგენა 374

ბიზნეს-ინჟინერინგი კვების ტექნოლოგიებში

მზია წულუკიძე, დავით გამეზარდაშვილი
კვების ფიზიოლოგიის საფუძვლები 377

მზია წულუკიძე, ლილი ბოლქვაძე
ხალხთა კულტურული ტრადიციები და კვების ტიპები 379

ახალი წიგნები

ალექსანდრე სიჭინავა, შოთა ვეშაპიძე
რეცენზია გიორგი ნანუაშვილის წიგნზე „აუდიტი" 383

ლია მეტრეველი
რეცენზია ნაშრომზე: „ესთეტიკა და ხელოვნება XX საუკუნის კულტურაში" 384

ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი ფირმაში

ირინე მამალაძე, *ასოც. პროფესორი*
თამარ აბუაშვილი, *ასოც. პროფესორი*

რეზიუმე

თანამედროვე ფირმების საქმიანობაში ხშირია განმეორებადი ბიზნეს-პროცესები, რომელთა ეფექტიანად განხორციელებაზეც დიდადაა დამოკიდებული ამ ფირმების ღირებულება და კონკურენტუნარიანობა. 1980-იან წლებში, როცა ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობები ამოიწურა, ობიექტურად გაჩნდა ახალი მმართველობით დისციპლინის ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის განვითარების საჭიროება.

ყველა რეინჟინერინგული პროექტი ეფუძნება ბიზნესის ძირფესვიან განახლებასა და ინოვაციებს, რომლებიც მოიცავენ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დამუშავებებს, აგრევე ყველა იმ ცვლილებას, რომელთაც ფირმის საქმიანობის გაუმჯობესება შეუძლიათ.

რეინჟინერინგის პროცესს ფირმა იწყებს მისთვის ორი საკვანძო თეზისის ფორმულირებით. პირველმა აშკარა უნდა გახადოს თუ სად იმყოფება ფირმა, რატომ ესაჭიროება მას სახეცვლილება და რა მოხდება იმ შემთხვევაში თუკი ყველაფერი ძველებურად დარჩება. რაც შეეხება მეორეს, მან ფირმის მომავალი იერსახე უნდა წარმოაჩინოს.

საქართველოს ფირმებზე თუ ვისაუბრებთ, აქ ისეთი სპეციფიკური მოტივები მოიაზრება რეინჟინერინგის ჩასატარებლად, როგორიცაა საერთაშორისო ბაზრებზე ფეხის მოკიდება, შიდა ბაზარზე უცხოელი კონკურენტების გამოჩენის პროგნოზის არსებობა, უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველობის გაძლიერება და სხვ.

საკვანძო სიტყვები: ფირმის კონკურენტუნარიანობა, მენეჯმენტი, რეინჟინერინგის პროცესი, საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ფირმის "გაუმჯობესება" და ფირმის "რეინჟინერინგი".

Business process reengineering in the firm

Summary

In modern firms the recurrent business processes is frequent. They widely depend on the effective implementation of cost and competitiveness of these firms. In the 1980s, when the effectiveness of the possibilities have been exhausted, the necessity of the development of the new objective discipline of business process reengineering was clear .

All reengineering projects are based on renovation and innovations of business, which include technical and technological developments and also all the changes that can improve the firm›s activities.

The firm starts reengineering process with formulation of its two main thesis. The first thesis should make clear where the firm is, why would it evolve, and what will happen if everything will remain the same. As for the other, it has to portray the future appearance of the firm.

If speaking of firms in Georgia, there is a specific motives considered reengineering activities, such as to establish a foothold in international markets, to emerge the forecast of foreign competitors in domestic market , to strengthen the attractiveness for foreign investors and the others.

* * * * * *

ფირმების მართვის თეორიასა და პრაქტიკაში განუწყვეტლივ ინერგება ახალი ცოდნა, რომელიც მათემატიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და თანამედროვე მეცნიერების სხვა დარგებსა და სფეროებში არსებულ მიღწევებს ეყრდნობა. თანამედროვე მენეჯმენტში ასეთი ახალი დისციპლინაა რეინჯირინგი. ესაა ფირმების სამეურნეო და საინჟინრო სისტემების რეორგანიზაცია, რომელიც მათი ეფექტიანობის ამაღლებას ისახავს მიზნად. ანალიტიკოსების უმრავლესობა ამ დროს ბიზნეს პროცესებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების კარდინალურად გარდაქმნასა და ხელახლა დაპროექტებაზე აკეთებს აქცენტს. ეს უზრუნველყოფს ნახტომისებურ გაუმჯობესებას კომპანიის საქმიანობის ისეთ წამყვან მაჩვენებლებში, როგორიცაა: ღირებულება, ხარისხი, მომსახურება და ტემპები.

თანამედროვე ფირმების საქმიანობაში ხშირია განმეორებადი ბიზნეს-პროცესები, რომელთა

ეფექტიანად განხორციელებაზეც დიდადაა დამოკიდებული ამ ფირმების კონკურენტუნარიანობა და ღირებულება. 1980-იან წლებში, როცა ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობები ამოიწურა, ობიექტურად გაჩნდა ზემოაღნიშნული ახალი მმართველობითი დისციპლინის ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის განვითარების საჭიროება. ფიქრობენ, რომ მან ლიდერობა დაუბრუნა აშშ-ს და ბიძგი მისცა მისი ეკონომიკისა და საფონდო ბაზრის აღმავლობას.

ყველა რეინჟინერინგული პროექტი ეფუძნება ბიზნესის ძირფესვიან განახლებას და ინოვაციებს, რომლებიც მოიცავენ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დამუშავებებს, აგრევე ყველა იმ ცვლილებას, რომელთაც შეუძლიათ საწარმოს საქმიანობის გაუმჯობესება, მათ შორისაა ახალი საქონელი, ახალი მომსახურება, ახალი ხელსაყრელი პირობები კლიენტებისთვის (მათ შორის ფასები) და ა.შ. [1, 12].

მსოფლიო ეკონომიკის ტალღისებური განვითარების მიუხედავად, არსებობს მთელი რიგი კომპანიები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ინარჩუნებენ მოწინავე პოზიციებს. ამას ისინი ბიზნესის სწორად მოწყობით აღწევენ, რისთვისაც გამუდმებით ეძებენ წარმატების მომტან ინსტრუმენტებს. მათგან ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი იმით გამოირჩევა, რომ იგი ბიზნესში გარღვევის შესაძლებლობას აძლებს ფირმას.

აღსანიშნავია, რომ რეინჟინერინგი შესაძლებელია ხანგრძლივი და ძვირადღირებული გამოდგეს ფირმისათვის. ამიტომ ზუსტად უნდა დადგინდეს აქვს თუ არა მას აზრი მოცემული კონკრეტული ფირმისათვის და რატომ. ამ თვალსაზრისით ფირმების სამ ჯგუფს გამოყოფენ: პირველია ის ფირმები, რომლებას ძალიან ცუდად მისდით საქმე. ისინი აუარესებენ ფინანსურ მაჩვენებლებს, კარგავენ კლიენტებს, ამცირებენ წარმოების მოცულობებს და ა.შ. მათ აუცილებლად უნდა გამოიყენონ კრიზისული რეინჟერინგი; მეორე ჯგუფშია ის საკმაოდ წარმატებული ფირმები, რომელთა პროდუქტები ახლო მომავალში შეიძლება მოძველდეს. ამიტომ წარმატებას განაპირობებს არა თვითონ ეს პროდუქტები, არამედ მათი დამამზადებელი პროცესები [2, 44]. მომავალში განუსაზღვრელობის მაღალი დონე რეინჟინერინგის განხორციელებას აიძულებს ასეთ საწარმოებს, რომლებიც უმთავრესად ნანოტექნოლოგიების, ბიოტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების სფეროებში საქმიანობენ; მესამე ჯგუფს შეადგენს თავიანთი დარგების ლიდერი კომპანიები, რომლებიც ამ ლიდერობის შენარჩუნებას ცდილობენ თვალსაწიერ მომავალშიც. ეს მიზანი ავალდებულებს მათ ეძებონ ბიზნესის წარმართვისა და განვითარების ახალ-ახალი გზები.

რაც შეეხება საქართველოს ფირმებს, აქ ისეთი სპეციფიკური მოტივებიც მოიაზრება, როგორიცაა საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა და ფეხის მოკიდება, შიდა ბაზარზე უცხოელი კონკურენტების გამოჩენის პროგნოზი, უხოელი ინვესტორისათვის მიმზიდველობის გაძლიერება და სხვა.

რეინჟინერინგის პროცესს ფირმა იწყებს მისი თანამშრომლებისათვის ორი საკვანძო თეზისის ფორმულირებით. პირველმა აშკარა უნდა გახადოს თუ სად იმყოფება ფირმა, რატომ ესაჭიროება მას სახეცვლილება და რა მოხდება, თუკი ყველაფერი ძველებურად დარჩა. რაც შეეხება მეორეს, მან ფირმის მომავალი იერსახე უნდა წარმოაჩინოს.

რეინჟინერინგი "ეფექტიანად" უნდა იყოს დასაბუთებული. ეს ნიშნავს შემდეგი ხუთი ასპექტის წინ წამოწევას:

1. იმის ბიზნეს-რეზიუმეს, რაც ახლა ხდება, რაც იცვლება ბიზნესში და რაც იძენს ახალ მნიშვნელობას;
2. იმ მიზეზების აღწერას რომლებიც ახლა ან მომავალში უქმნიან პრობლემებს ფირმის ბიზნესს;
3. ბაზრისა და გარემოს იმ მოთხოვნების აღწერას, რომელთა მიმართაც სერიოზული წინააღმდეგობებია;
4. პრობლემების დიაგნოსტიკას და მათი მოგვარების მეთოდების ჩვენებას;
5. დაყოვნების ან უმოქმედობის ფასის არგუმენტირებულად მიწოდებას.

ფირმის მომავალ იერსახეში ასახული უნდა იყოს ის პირობები, რომელთა მიღწევის შემდეგაც შეწყდება რადიკალური ცვლილებები და ფირმა ნაკლებად სარისკო ევოლუციურ განვითარებაზე გადავა. სწორედ ეს იერსახეა იმის კრიტერიუმი, თუ რამდენად სრულად შეესხა ხორცი გარდაქმნებს და რამდენად მიუახლოვდა ფირმა დასახულ მიზნებს. საამისოდ მიზნები იმგვარად უნდა იყოს გაწერილი რომ მათი გაზომვა იყოს შესაძლებელი [2, 181-183].

ჰამერსა და ჩამპის მიაჩნიათ, რომ ფირმების ხელმძღვანელთა უმრავლესობას დედუქციური აზროვნება აქვს: ისინი კარგად აყალიბებენ პრობლემებს, პოულობენ და აფასებენ მათი გადაჭრის გზებს. მაგრამ ფირმის რეინჟინერინგის მიმართ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მოითხოვს ინდუქციურ მიდგომას: ჯერ ქმედითი გადაწყვეტილების შეცნობას და ამის შემდეგ იმ პრობლემების ძიებას, რომელთა არსებობის ეჭვი ფირმას შეიძლება არც კი ჰქონდეს [2, 108]. სწორედ ამ აზროვნების გამოყენებით ფორდ მოტორსში ანგარიშების დამუშავების დაჩქარების ნაცვლად საერთოდ უარი თქვეს მათზე; IBM CREDIT-ში სპეციალიზებული ინფორმაციის გადაცემის დაჩქარების ნაცვლად მიაგნეს საკითხის იმგვარად გადაჭრას, როცა ეს ინფორმაცია საერთოდ უსარგებლო გახდა, კოდაკში კი კონსტრუქტორების თანმიმდევრობით მუშაობის დაჩქარების ნაცვლად მოახერხეს მისი გადაქცევა პარალელურ მუშაობად. საინფორმაციო ტექნოლოგიების რეალური ძალა იმაშია, რომ ისინი საშუალებას გვაძლევენ უარი ვთქვათ ძველ წესებზე და ძველი პროცესების ეფექტიანობა კი არ გავზარდოთ, არამედ მუშაობის ახალი ხერხები შევქმნათ.

ბიზნესის განვითარების თითქმის მთელი ის-

ტორიის მანძილზე ფირმის ორგანიზაციულ სტრუქტურას აყალიბებდნენ სამუშაოს დანაწილებით უმარტივეს კომპონენტებად და სპეციალიზებულ მუშაკებზე მათი გადაცემით. ჩვენს დროში ფირმებმა პროცესების საფუძველზე დაიწყეს აზროვნება. სწორედ ამის გამოხატულებაა ზემოხსენებულ სამ ფირმაში ჩატარებული რადიკალური ცვლილებები.

ფირმის გაუმჯობესებასა და მისი ბიზნესის რეინჟინერინგს შორის განსხვავება ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ [3].

პარამეტრიც	გაუმჯობესება	რეინჟინერინგი
ცვლილებათა დონე	მზარდი	ღადუკალური
ამოსავალი წერტილი	არსებული პროცესი	"სუფთა დაფა"
ცვლილებათა სიხშირე	უწყვეტი ან ერთჯერადი	ერთჯერადი
ცვლილებათა ხანგრძლივობა	მცირე	ხიდი
ცვლილებათა მიმართულება	ქვემოდან ზემოთ	ზემოდან ქვემოთ
მასშტაბი	ვიწრო-ფუნქციათა დონეზე (ფუნქციური მიდგომა)	ფართო-ფუნქციათა შორისი
რისკი	ზომიერი	მაღალი
ძირითადი საშუალება	სტრატეგიული მართვა	საინფორმაციო ტექნოლოგიები
ცვლილებათა ტიპი	კორპორატიული კულტურის შეცვა	კულტურული/ სტრუქტურული ცვლილება

ფირმის რეინჟინერინგში განსაკუთრეული მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რადგან საქმიანი პროცესების ახლიდან დაპროექტება მხოლოდ მათი წყალობითაა შესაძლებელი. ამ ტექნოლოგიების გამოყენებისთვის საჭიროა:

- მიღწეული უპირატესობების ჩართვა ბიზნესში და გარღვევის მომტან ახალ გადაწყვეტილებაზე მუშაობის გაგრძელება;
- უკვე არსებული მიღწევების გავრცელება მთელ ბიზნესზე;
- სხვა კომპანიების დადებითი გამოცდილებისა და მიღწევების გამოყენება.

ცნობილია, რომ რეინჟინერინგის პროექტების თითქმის ნახევარი მარცხით მთავრდება. ამიტომ ფირმებმა უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტორები, რომლებიც რეინჟინერინგის პროცესზე ახდენენ გავლენას. ეს ფაქტორებია მოტივაცია, ხელმძღვანელის ავტორიტეტი, თანამშრომლები, კომუნიკაცია, ბიუჯეტი, ტექნოლოგიური მხარდაჭერა და ეფექტიანი კონსულტანტები.

ფირმების რეინჟინერინგის მიერ მოტანილ წარმატებებზე მსჯელობისას თითქმის ყოველთვის ამერიკული კომპანიები მოჰყავთ ხოლმე მაგალითად, თუმცა 1990-იან წლებში ევროპის კომპანიებსაც მოუწიათ მსხვილმასშტაბიანი მოდერნიზებისა და რეინჟინერინგის ჩატარება. გერმანიაში ამის მთავარი საბაბი ის გახდა, რომ განვითარების ტემპების მიხედვით ისინი უკვე საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ თავიანთ ამერიკელ და იაპონელ კონკურენტებს, ტრადიციულ დარგებში კი აშკარა გახდა ჩინური და ინდური ფირმების მხრიდან მომდინარე საფრთხეებიც. გფრ-ში აღიარეს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მოდელი აღარ ასახავდა მსოფლიოში არსებულ რეალიებს.

პირველი მსხვილი გერმანული ფირმა, რომელმაც რეინჟინერინგს მიმართა იყო, "სს მანესმანი" — მეტალურგიული და მანქანათმშენებელი კონცერნი. 1994 წელს მისმა ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გადართულიყო ყველაზე მომგებიან ბიზნესზე ტელეკომუნიკაციების სფეროში. პროფილის შეცვლამ სასურველი გავლენა იქონია ფირმის ფინანსურ მდგომარეობაზე და უკვე 1998 წელს მისი აქციების ღირებულებამ 116%-ით აიწია. ტელეკომუნიკაციების ქვედანაყოფზე ფირმის მთლიანი პერსონალის მხოლოდ 1/8-მა კომპანიის ბრუნვის 1/4 მოდიოდა, კომპანიის მთლიან მოგებაში კი მისი წილი კი დაახლოებით 80% იყო. 1999 წელს მისმა დაუბეგრავმა მოგებამ 4,3 მლრდ ევროს გადააჭარბა, რაც 37%-ით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებლს. [4]

მეორე გერმანულმა ფირმამ "სიმენსმა" ჯერ კიდევ 1981 წელს წამოიწყო მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გარდაქმნა და ელექტრო-ტექნიკურიდან ელექტრონულ კომპანიად ჩამოყალიბდა. 1993 წელს კომპანიაში მწვავედ დადგა შრომის ნაყოფიერების ამაღლების პრობლემა, რაც მან ორგანიზაციული სტრუქტურის გამარტივებითა და პერსონალის შემცირებით გადაჭრა.მეორე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო ინოვაციური პროცესის დაჩქარება, რომლის განხორციელების შემდეგაც 5 წელზე ნაკლები ასაკის პროდუქციის ხვედრითი წილი 55-დან 74%-მდე გაიზარდა. [4]

ამჟამად, გფრ-ის მსხვილი ფირმების ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებებია:

- გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ბიზნესის კონცენტრაცია ისეთ პერსპექტიულ დარგებში, სადაც ლიდერად გახდომის მეტი შანსია;
- ბრტყელ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე გადასვლა;
- უმაღლესი მენეჯმენტის მოტივაციის მიმართ ახალი მიდგომების დანერგვა;
- ინოვაციური პროცესის დაჩქარება და კვლევა-

ძიების სამუშაოებზე მოთხოვნილი რესურსების გაფართოება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.David Gladstone Laura. Venture Capital Investing.2004, p.193

2. Ginsberg A., Hasan I. New Venture Investment. Hardcover., 2003, p.47David

3. Gladstone Laura. Venture Capital Investing. 2004,p. 193

4. Michael J Roberts, Howard H Stevenson. New Business Ventures and the Entrepreneur. Harvard Business School Publishing. Hardbound. 2006,p.284.

5. J. Corey Pierce The Art & Science of obtaining Venture or Angel Investor Capital, 2007 . URL: http://www.businessfinance.com/books/venturecapital.pdf

6.http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL2.7&d=HASH5071f13b-5398184d53b8bd. 7&**gt=1**

უძრავი ქონების – მიწის და ტყის რესურსების ეკონომიკური შეფასების აქტუალური საკითხები საქართველოში

ალექსანდრე სიჭინავა, პროფესორი
დალი სეხნიაშვილი, პროფესორი
მედეა ჩიქავა, პროფესორი

რეზიუმე

მიწის რესურსების სრულად, რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პირობების შექმნა და მართვის გაუმჯობესება ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რომელიც ხასიათდება მცირე მიწიანობით და ეროზიული პროცესების სწრაფი განვითარებით. ამასთან მიწის, როგორც ადამიანის სიცოცხლის აუცილებელი პირობის და წარმოების ძირითადი საშუალებების განსაზღვრულობა, შეუნაცვლებადობა, მოსახლეობის სწრაფად ზრდა და მატერიალური დოვლათის წარმოების მატების საჭიროება, ქვეყანაში განაპირობებს მიწის რესურსების უფრო სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების აუცილებლობას.

სტატიის ავტორის აზრით, საქართველოში ეკოსისტემების და კერძოდ ტყის დეგრადაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს ტყეების ეკოსისტემური მომსახურების შეუფასებლობა, როდესაც ტყის ღირებულება ფასდება მხოლოდ მერქნისა და ტყის დამხმარე პროდუქტების მიღების შესაძლებლობით და არ გაითვალისწინება ტყეების ბუნების დაცვის ფუნქციები.

ავტორის აზრით, საქართველოს სოფლის მეურნეობაში განვითარების პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის საჭიროა სერიოზული სამუშაოების ჩატარება. პრობლემის გადასაჭრელად სტატიაში მოცემულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ჩამოყალიბებულია გარკვეული რეკომენდაციები. ტყის რესურსების შეფასება განხილულია სამკურნალო მცენარე ფურისულას მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური შეფასება, მიწა, ტყის რესურსები.

Actual Issues of Economic Evaluation of Real Estate - land and Forest Resources in Georgia

Alexander Sichinava, Professor
Dali Sekhniashvili, Professor
Medea Chikava, Professor

Summary

Creating the favorable conditions for thorough, rational and efficient use of the land resources and improving land management is one of the urgent problems for any country in the world, and is particularly important for Georgia, as for the land-poor country with rapidly progressing erosive processes. In addition, as the land is necessary for human life, is the durable means of production and is indispensable, by considering the swift population growth and need to boost the production volume of the material values, the use of the land resources in the country must be more thorough, rational and efficient.

In the opinion of the authors of the article, one of the reasons for the degradation of the eco-systems in Georgia and of forests in particular, is the failure to assess the ecosystem service of forests, as the forest value is fixed by considering the opportunity to gain the timber and other secondary forest products only, without considering the environmental protection function of the forests.

In the authors' opinion, the due management of the agricultural development of Georgia needs significant preparatory works. In the attempt to solve the existing problems, the article gives the situation analysis and certain recommendations. Estimation of forest resources are considered by case study of medicinal plant Primrose.

Keywords: natural resources, economic evaluation, land, forest resources.

* * * * *

მიწა არის ადამიანის სიცოცხლისა და ადამიანის საქმიანობის საფუძველი, პროდუქტების წარმოების სფერო. იგი ბუნებრივი რესურსებისა და არამატერიალური (ჰაერი) სიმდიდრეების მატების წყაროა. ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა — საწარმოო, კოოპერაციული ან უბრალოდ ცხოვრებისეული საქმიანობა დაკავშირებულია მიწასთან, რომელიც გამოიყენება, როგორც სატყეო მეურნეობის წარმართვის საფუძვლად და საშუალებად. მიწა არის ბიოსფეროს შემადგენელი ნაწილი, ბუნებრივი რესურსების განვითარებისა და თავმოყრის ადგილი. ბუნებრივი რესურსები მასთან ორგანულადაა დაკავშირებული[1].

მაშასადამე, მიწა წარმოადგენს საციცოცხლო სივრცეს, ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფის სფეროს, მისი არსებობის გარემოს და რთულ ბუნებრივ სისტემას ერთდროულად. მიწის უნიკალურ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს მისი თვისება სხვა ბუნებრივი ძალების დახმარებით მცენარეები აქციოს პროდუქტად, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო. მას შეუძლია ნიადაგი გაამდიდროს ორგანული ელ-

1. ა.სიჭინავა, პ.კოღუაშვილი, დ.ეგიაშვილი, ა. მესხისვილი. უძრავი ქონების.სახელმძღვანელო.სტუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2013წ.გვ.231.

ემენტებით.

ფართო გაგებით ,,მიწა" მოიცავს ყველა ბუნებრივ რესურსსა და სიმდიდრეს, რომელიც მიეკუთვნება ,,ბუნების ნაჩუქარ სიმდიდრეებს" და მას იყენებს ადამიანი. ამ ფართო კატეგორიაში შედის ისეთი რესურსები, როგორიცაა სახნავი მიწები, ტყეები, სასარგებლო წიაღისეულის საბადოები, წყლის ობიექტები. თვითონ მიწა არის მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი.

მიწის შეფასება უნდა განვიხილოთ ორი მიმართულებით. ერთი მხრივ, მიწა წარმოადგენს ბუნებრივ რესურს, რომელიც ხასიათდება სივრცობრიობით, რელიეფით, ნაყოფიერებით, წყლებით, ტყეებუჩქითა და ცხოველთა სამყაროთი (ფლორითა და ფაუნით). მიწის შეფასება ხდება მისი მრავალმიზნობრივი ფუნქციიდან გამომდინარე, რომელიც მუდმივადაა დაკავშირებული მოგების მიღებასთან. მეორე მხრივ, მიწა განიხილება, როგორც უძრავი ქონების ძირითადი შემადგენელი ნაწილი. იგი ფასდება სარგებლობიანობისა და შემოსავლიანობის პოზიციიდან. მისი შეფასებისას გამოიყენება ნებისმიერი კონკრეტული მიწის ნაკვეთი.

ბუნებრივი რესურსები კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების პირველ წყაროდ და საფუძვლად ითვლება. ადამიანს შეუძლია არსებობისთვის აუცილებელი რესურსები ბუნებისაგან მიიღოს. მას ტექნოლოგიების განვითარებაში სერიოზული ცვლილებები შეაქვს ბუნებრივი რესურსების მიმართულების, ფორმის და მასშტაბების განვითარებაზე. ადამიანები თავიანთი შრომით ქმნიან მატერიალურ სიმდიდრეს, რომლებსაც ღებულობენ ბუნებრივი რესურსებისგან, მაგრამ ადამიანთა საზოგადოების განვითარების საფუძვლად მაინც მიწის ბუნებრივი, ბიოლოგიური და მინერალური რესურსები რჩება.

საქართველოში ბუნებრივი რესურსები თამაშობენ ძალიან დიდ როლს ეკონომიკის განვითარებაში. მაგალითად, თბილი წყლები (გეიზერები) გამოიყენება სამკურნალო დანიშნულებებით, სათბურების მოსაწყობად, სახლების გასათბობად (თბილისის მთელი უბნები თბება ცხელი წყლით), აბანოების მოსაწყობად (თბილისის გოგირდის აბანოები ცნობილია მთელ მსოფლიოში). თბილი წყლები გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში და სხვ.

განსაკუთრებით დიდი შემოსავალი შემოაქვს ქვეყანაში მინერალურ წყლებს (ბორჯომი, ნაბეღლავი, ლიკანი და მრავალი სხვ.). ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათბობ-ენერგეტიკული მასალების მარაგების არსებობას. ქვეყანას გააჩნია ქვანახშირის ხუთას წლიანი მარაგი, ხოლო კომპანია ,,ფრონტერა"-ს კვლევის შედეგების მიხედვით კი გვაქვს სამი ტრილიონი კუბამეტრი გაზის მარაგი. თუ ყოველივე ამას მივცემთ ეკონომიკურ შეფასებას და გადავიყვანთ ფულად ერთეულებში, მისი ღირებულება კოლოსალურია.

ბუნებრივ რესურსებს მიეკუთვნება ბუნებრივი ობიექტები და მოვლენები (ბუნებრივი ძალები, ქარის ენერგია, მზის ენერგია და სხვ.). მაგალითად, სამხრეთ საქართველოში, კურორტ აბასთუმანში წელიწადში 265 დღე მზიანია, იქ აშენებულია მსოფლიოში უდიდესი ობსერვატორია. კურორტ აბასთუმნის გამოყენება შესაძლებელია მზისგან ელექტროენერგიის მისაღებად.

ბუნებრივი რესურსები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც: 1. შრომის საშულება (მიწა, წყლის რესურსი, წყალი, როგორც მორწყვის საშულება); 2. ენერგიის წყარო (ქვანახშირი, ჰიდროენერგეტიკა, გეოთერმული ენერგია, ატომური ენერგია და სხვა); 3. ნედლეური და მარაგები (მინერალები, ხე-ტყე, ტექნიკური წყალი); 4. მოხმარების საგნები (სასმელი წყალი, სამკურნალო ტალახები, მინერალური წყლები; სამკურნალო მცენარეები, სოკოები, ცხოველები და სხვა); 5. დასვენებისა და მკურნალობის ადგილები; 6. სამეცნიერო კვლევების ადგილები (მასალები ფარმაციისთვის, კოსმეტოლოგებისთვის. მღვიმეები - ტურიზმისა და სამკურნალო მიზნებისთვის გამოიყენება და სხვა); 7. რესურსები, რომლებიც ხელს უწყობენ ეკოსისტემურ მომსახურეობას და ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას (ეროზიის შეჩერაბა, კლიმატის შენარჩუნება, წყლის რეჟიმის რეგულირება და სხვ.).

ბუნებრივი რესურსების კლასიფიცირება შესაძლებელია შემდეგნაირად: 1. აღდგენის უნარის მქონე რესურსები; 2. აღდგენის უნარის არ მქონე რესურსები; 3. პირობითად აღდგენის უნარის მქონე რესურსები.

აღდგენის უნარის არ მქონე რესურსებს მიეკუთვნება ბუნებრივი სასარგებლო წიაღისეულები, ხოლო აღდგენით რესურსებს მიეკუთვნება ტყე, ტყე-ბუჩქნარი, წყლის ბიო რესურსები. პირობითად აღდგენით რესურსებს მიეკუთვნება ნიადაგი, მას ხანდახან აიგივებენ მიწის რესურსებთანაც, მიწის ქვეშა წყლების რესურსები. რესურსების ამ სახეობებს შორის განსხვავება ისაა, რომ ზოგიერთი მათგანი ამომწურვადია და მათ აღდგენას საუკუნეები სჭირდება (მაგალითად, ქვანახშირი, ნავთობი, მადნები), ეს არის მკვდარი ბუნება. ცოცხალი ბუნება კი თვითრეგულირებადია, თვით კვლავწარმოებადია, თუ მას გონივრულად გამოვიყენებთ, იგი ადამიანს ემსახურება დიდი ხნის განმავლობაში და აძლევს მას მრავალი საუკუნის განმავლობაში კეთიდღეობას.

ნიადაგი კი მიეკუთვნება პირობითად აღდგენით რესურსებს, რადგანაც ნიადაგის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს ასევე ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

საქართველოში, ბონიტეტის ბაზის მიხედვით 57 ნიადაგის სახეობიდან გვხდება 51, რაც ძალიან საინტერესოა და ხელს უწყობს სხვადასხვა ხარისხისა და გემოვნების პროდუქციის წარმოებას. საქართველოში, რადგანაც იგი მცირე მიწიანია, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მიწების ათვისების პროცესს. სავარგულების ძირითად სახეობებს მიეკუთვნება: სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და სამონადირეო სავარგულები.

მიწების განსაკუთრებულ გამოყენებად შეიძლება

ჩაითვალოს იქ არსებული ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნება, რომლებიც ქმნიან ბუნებრივ სიმდიდრეს და ასრულებენ ეკოსისტემურ მომსახურეობას. მათ მიეკუთვნება: 1. კლიმეატის რეგულირება; 2. წყლის რესურსების დაცვა; 3. ნიადაგის წარმოშობა; 4. ბიოლოგიური და სხვადასხვაობის შენარჩუნება; 5. რეკრეაციული პირობების შექმნა (ეკოლოგიური ტურიზმი, სპორტული თევზჭერა, მღვიმეების გამოყენება სამკურნალოდ და სხვა).

ბუნებრივი ეკოლოგიური სისტემა (ეკოსისტემა), ეს არის ბუნებაში არსებული ბუნებრივი გარემო, რომელსაც აქვს სივრცობრივ-ტერიტორიული საზღვრები, რომელშიც ცოცხალი (ნარგავები, ცხოველები და სხვა ორგანიზმები) და მკვდარი ელემენტები ურთიერთკავშირში არიან, როგორც ერთიანი და მჭიდროდ დაკავშირებული.

ტყე წარმოადგენს მცენარეების ერთობლიობას, რომლის საფუძველია ხეები, რომლებიც ქმნიან ჩაკეტილ გარემოს. ტყის ცნება მოიცავს არამარტო ხეებს, არამედ ტერიტორიას, რომელიც დაკავებული აქვს ტყე-ბუჩქნარს, ასევე ღია ტერიტორიებს: ტბები, ჭაობები, სერები და სხვ. თუ ისინი არ არღვევენ ტყის მასივის ერთიანობას. ტყის მასივის დიდი ხნით არსებობა დაკავშირებულია მის აღდგენა — განაშენიანებასთან. აღდგენა — განაშენიანება შეიძლება იყოს ხელოვნურიც და ბუნებრივიც, რომელიც ხდება ნერგების დარგვის ან დათესვის გზით. ტყე არის მრავალფეროვანი რესურსების მიღების წყარო, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ხე-ტყე. ხე-ტყის გარდა ტყეში მზადდება მეორე ხარისხოვანი პროდუქტები: სოკო, კენკროვანები, თხილი, კაკალი, სამკურნალო მცენარეები, სხვადახვა მრავალწლიანი კულტურები, თესლები და სხვა. ტყე ასევე არის ნადირთა თავშესაფარი, ეს უკანასკნელი კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სანადირო მეურნეობის მოსაწყობად. ტყეში აშკარად ჩნდება შესაძლებლობა მიწის სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებისთვის. ადამიანისთვის სარგებლობის მოტანის გარდა ჟანგბადის წარმოქმნასა და მოძრაობას, ისინი მდინარეებს ამარაგებენ წყლით. ასუფთავებენ ატმოსფეროს მავნებელი ნივთიერებებისგან. ტყეები არიან ბიოსფეროს მნიშვნელოვანი კომპონენტები, ისინი უზრუნველყოფენ მის მყარ განვითარებას. თანამედროვე პირობებში მთელ მსოფლიოში ეკოსისტემების ეკოლოგიურ ფუნქციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველო არის პატარა ქვეყანა, მაგრამ ტყის რესურსებით მდიდარი, თუმცა თანამედროვე პირობებში მოხდა მისი უმოწყალო გაჩეხვა. ტყეების იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: 1. ეკოლოგიურად მეტნაკლებად ღირებული ტყეები (ტყეები, რომლებიც წყლის შემნახველის როლში გადიან, სანიტარულ-ჰიგიენურის ჯგუფი, რეკრეაციული და ა.შ.); 2. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ტყეები, რომლებიც განთავსებულია მოსახლეობის მჭიდრო დასახლებებთან, რომლებსაც სოციალურად და ეკოლოგიურად აქვთ შეზღუდული გამოყენების მნიშვნელობა; 3. მესამე ჯგუფი, ესაა ტყეები, რომლებიც გამოიყენება (ხე-ტყის მასალის) დასამზადებლად. ამ სამი ჯგუფის ერთობლიობა ქმნის საქართველოს ტყის ფონდს. არის ტყეების ნაწილი, რომლებიც საქართველოს ფონდს არ მიეკუთვნება. მაგალითად, ქალაქის ტყეები და ტყეები, რომლებიც თავდაცვის ობიექტებთან არიან განლაგებული. ასევე ტყეები, რომლებიც ეკლესიებს ეკუთვნის. ტყის ფონდის მიწები იყოფა ტყის მიწებად და მიწებად, რომლებიც ტყეს არ ეკუთვნიან. ტყის მიწებზე ხარობს ტყე. ტყის მიწებს მიეკუთვნება მიწების ის ნაწილი, რომელიც ტყის გაჩეხვის შემდეგ მისი ხელახლა გაშენიანებისთვის გამოიყენება. ტყის შიგნით არსებული მიწის ფართობები გამოიყენება ნაგებობების ასაშენებლად.

ტყის მიწებს მიეკუთვნებიან მიწები, რომლებიც დაფარულია ტყე-ბუჩქნარით, ან ისეთი მიწებით, რომლებიც არაა დაფარული ტყე-ბუჩქნარით, მაგრამ ტყის აღდგენის დანიშნულებით გამოიყენება (ტყის ჭრისთვის გამოყოფილი ტერიტორიები, სანიტარული ჭრა, ტყის აღდგენისთვის სანერგე მეურნეობისათვის გამოყოფილი ტერიტორიები, ხეები და სხვ.), ასევე ტყის ფონდთან განლაგებული მიწები (ჭაობიანი მიწები, ქვიანი მიწები და სხვ. მიწები, რომლებიც სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით ვერ გამოიყენება)[2].

ტყის ფონდის მიწებს მიეკუთვნება ტყის ცალკეული ნაწილები, ასევე ტყის მიწები და არა ტყის მიწები. ტყის ფონდის ეს სახეობები და იურიდიულად და სამართლებრივად უნდა იყვნენ განმარტებულები და დასაბუთებულები. ეკონომიკური გაგებით კი ტყის ფონდის მიწების განმარტება შეესაბამება უძრავი ქონების შინარსს, მის განმარტებას, რადგანაც შედგება მიწისაგან, შენობა-ნაგებობებისგან, გზებისგან და სხვ.

განსაკუთრებით ძვირფასი მიწების ფონდის და მათზე განაშენიანებული ნარგავების დაცვის მიზნით აუცილებელია შეიქმნას სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც განსაზღვრავენ მათი გამოყენების კანონიერებას, ტყის გამოყენების რეჟიმებს.

ტყის რესურსები იყოფა: ხე-ტყის რესურსებად, ნარგავებად, არა ხე-ტყის რესურსებად. არა ხე-ტყის რესურსებს უწოდებენ მეორე ხარისხოვან რესურსებს. მათ მიეკუთვნება სოკოები, სამკურნალო მცენარეები, კენკროვანები და სხვა. თუმცა ამ რესურსებს უწოდებენ მეორე ხარისხოვანს, მაგრამ მათი რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა შესაძლოა გადააჭარბოს ტყისგან მიღებულ შემოსავალს, რომელსაც ის ხე-ტყის რეალიზაციით იძლევა. მაგალითად, როგორც კენკრების სამკურნალო მცენარეებისა და სხვა მცენარეების დამზადების შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა შეიძლება მნიშვნელოვნად გადააჭარბოს ტყის დამზადებას.

ტყის გამოყენების ძირითადი მიმართულება: 1. ხე-ტყის დამზადება, მეორე ხარისხოვანი ტყის

2. ა.მესხიშვილი, პ.კოლუაშვილი, ,,საქართველოში მიწის კონსოლიდაციის განხორციელება აუცილებელია", ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი, 2014 წლის №3,გვ.221.

რესურსების გამოყენება; 2. ტყის დამხმარე სავარგულების გამოყენება (თივის მოთიბვა, ხის წვენების დამზადება, ტყეში გახარებული ნაყოფის მოკრეფა, კენკრების, თხილის, კაკალის, სოკოების და სხვა ტყის საკვები პროდუქტების დამზადება, სამკურნალო მცენარეების და სხვა).

ტყის გამოყენების მნიშვნელოვან სახეობად გვევლინება სამონადირეო მეურნეობა და დასვენების ორგანიზება, ტურიზმის განვითარებისა და სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად.

ტყის რესურსების გამოყენებისთვის გადასახადი დგინდება, იმის მიხედვით თუ ტყის რომელ რესურს გამოვიყენებთ. შეიძლება ეს იყოს ტყის გამოყენებისთვის გაფორმებული იჯარის გადასახადი, ნადირობის გადასახადი და სხვა. ტყის რესურსების გამოყენებისათვის გადასახადის ოდენობას უნდა არეგულირებდეს კანონი.

ტყის რესურსების ღირებულების შეფასება შეიძლება ჩავატაროთ მრავალი მიზნით. ტყის რესურსების შეფასების ძირითად მიზნად გვევლინება: 1. ტყის რესურსების გამოყენების გადასახადის განსაზღვრა; 2. ტყის რესურსების კერძო საკუთრებაში გადაცემის ფართის განსაზღვრა; 3. ტყის რესურსების გამოყენების იჯარის განსაზღვრა; 4. ტყის მიწების გამოყენების ეფექტურობის განსაზღვრა და სატყეო მეურნეობის წარმართვის ეფექტურობის განსაზღვრა; 5. ტყის რესურსების დამზადებისა და გადამუშავების განსაზღვა; 6. ეკოლოგიური ზარალისა და ბუნების დაცვითი პროდუქტების ეფექტურობის შეფასება; 7. ტყის ჭრის ბრუნვის განსაზღვრა.

ტყის რესურსების შეფასება ხასიათდება თავისებურებებით. ტყის რესურსებისა და მიწის შეფასების საფუძველია წარმოების ფაქტორების თეორია, რომლის საფუძველზეც წარმოების ფაქტორები (შრომა, კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები) ერთიანდებიან ერთად, ჰქმნიან წარმოების პროცესს, რომლის შედეგია პროდუქტი, რომლის რეალიზაციაც ხდება ბაზარზე.

ტყის მიწების ღირებულების და მასთან დაკავშირებული რესურსების შეფასება შეიძლება ჩატარდეს მიწის ნაკვეთების შეფასების ზოგადი პრინციპების გამოყენებით, რომელიც ახასიათებს ტყის მიწის ცალკეულ ნაკვეთებს.

ტყის მიწის ნაკვეთების შეფასების დროს გასათვალისწინებელ თავისებურებებს მიეკუთვნება: 1. ზრდასრული ტყის სამრეწველო ციკლის ხანგრძლივი პერიოდი ანუ როდესაც ტყე ღებულობს სასაქონლო ფორმას. ტყე სამშენებლო მნიშვნელობის ხდება 40-100 წლის განმავლობაში მისი დარგვიდან; 2. ტყის რესურსების ღირებულება ცვალებადია. მაგალითად ტყე ძვირადღირებულია როდესაც ის საექსპლიატაციოდ (მოსაჭრელად ვარგა), მაგრამ ტყის მოჭრის შემდეგ, ახალი ნარგავები სამრეწველო მნიშვნელობის მხოლოდ 40-100 წლის მერე შეიძენენ, ამიტომ ტყის ფასი მოჭრამდე და მოჭრის შემდეგ მკვეთრად განსხვავებულია; 3. ტყის მიწების ღირებულებების ციკლური ცვალებადობა ემთხვევა ტყის მოჭრის პერიოდს ანუ როდესაც ტყე ხდება სრულფასოვანი. ხეები აღწევენ მოჭრის ასაკს; 4. ტყეში ხეების ხარისხობრივი მახასიათებლებზე ღირებულების დამოკიდებულება (ჯიშობრივი შემადგენლობა, ხის დიამეტრი, ხის ასაკი და ხარისხი). ტყის ღირებულება განისაზღვრება ტყის პროდუქციის ფასებით, რომლებიც თავის მხრივ დამოკიდებულია ხის მასალის ხარისხზე; 5. ტყის რესურსებზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობა ან სრულაც ტყის არ არსებობა, სამ ნაწილად იყოფა, ესენია: ხელმისაწვდომი (დამზადების შემოსავლები აჭარბებენ ხაზებს); ზღვრული (როდესაც შემოსავლები ან ემთხვევა ხარჯებს ან უფრო დაბალია); მიუწვდომელი (როდესაც ხარჯები ჭარბობენ შემოსავლებს); 6. ტყის რესურსების მრავალმხრივი დანიშნულება, რომელიც კონკურენტუნარიანობით ხასიათდება; 7. ჯერჯერობით ტყეების გაყიდვა არ ხდება კერძო მესაკუთრეზე, ყოველშემთხვევაში სწრაფი ტემპებით.

ტყეს აქვს თავისებურება ბუნებრივი ზრდის პერიოდში სანამდისაც მიაღწევს ზრდასრულ ასაკს გაზარდოს თავისი მაჩვენებლები ბუნებრივი ზრდის შედეგად. გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ ტყე ინარჩუნებს თავის სასაქონლო თვისებებს, მაგრამ დაბერებასთან ერთად შეიძლება გაუარესდეს მისი მაჩვენებლები, რადგანაც დიდი ასაკის ხეები ხმებიან და სხვა ხეებსაც აფუჭებენ, ამიტომ აუცილებელია ჩატარდეს სანიტარული ჭრები. შესაბამისად ტყის მიწის ფასი განისაზღვრება ტყის დანაზოგებით და ასევე ხე-ტყის ხარისხით. ე.ი. რაც მეტია ხე-ტყის დანაზოგები ტყეში, მით მეტია ამ ხე-ტყის ხარისხი, მით უფრო მეტია ფასი ხე-ტყეზე. ხე-ტყის ხარისხი განისაზღვრება ხის დიამეტრით, ხის ჯიშობრივი შემადგენლობით და სხვა. მაგალითად ხის დიამეტრიდან გამომდინარე ხე იყოფა სამრეწველოდ და შეშად. ტყის ჯიშები იყობა წიწვოვნებად (ფიჭვი, კედარი და სხვ.), ფართო ფოთლებიანები (მუხა,წრფელი, კაკალი და სხვა). სამრეწველო ხეების ფასები ძალიან დიდად განსხვავდება შეშის ხის ფასებისგან. ძალიან დიდია ფასები ფართოფოთლოვან მცენარეებზე სხვა ჯიშის ხეებთან შედარებით. მაშასადამე, რაც უფრო დიდია ფასები პროდუქციაზე, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნას მზარდი ტყისგან, მით მეტია მისი ღირებულება.

შემოსავალი მზარდი ტყეზე შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ მომავალში, ამიტომ ასეთი ტყის ღირებულება დამოკიდებულია არა მარტო წლიურ ხე-ტყის ზრდაზე, არამედ ფულის დროში ღირებულებებზე, არამედ იმაზე თუ რა ასაკში აღწევს (მცენარე) ხე სრულ ზრდას. ე.ი. ტყის ფასი დამოკიდებულია თავდაპირველი თანხის დისკონტირებაზე, რითაც ძველი ღირებულება უთანასწორდება დღევანდელ ღირებულებას და იმ პერიოდის ღირებულებას, როცა ტყე აღწევს სრულ ზრდას.

თავდაპირველი დისკონტირების სიდიდე დამოკიდებულია ეკონომიკურ ფაქტორებზე და ინვესტორების მოლოდინზე.

დისკონტირების სიდიდე დამოკიდებულია ტყის

პროდუქტებზე ინვესტორის ჩადებული ფინანსების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. ტყის კვლავწარმოების პროცესის ხანგრძლივობა, შესაბამისად ინვესტირებაც სატყეო მეურნეობაში ხანგრძლივია, შეფასების პროცესი დისკონტირებასთან მიმართებაში ძალიან მგრძნობიარე ხდება. რაც უფრო იწურება ტყიდან მიღებული შემოსავალი, მით ნაკლებია მისი ღირებულება.

დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით ტყის მიწების გაყიდვა ქვეყანაში დაშვებულია. აქედან გამომდინარე აუცილებელია მოხდეს ტყის მიწის შეფასება. ტყის მიწების შეფასების დროს პირველ რიგში განიხილება უფლებათა ღირებულება, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოგების მიღებას და ტყის მარაგების შეფასებას.

ტყის რესურსების შეფასების ობიექტი შეიძლება იყოს: 1. ტყის მიწები, რომელზედაც იზრდება ნარგავები ან ნარგავების გარეშე მიწები; 2. რამდენი ხე დგას ტყის მიწაზე; 3. ტყის რესურსების სხვა სახეობები, როგორიცაა: სოკოები, კენკროვანები, თხილი, ნიგოზი,წაბლის ნაყოფი, სამონადირეო მეურნეობა, სამკურნალო მცენარეები და სხვა.

სამკურნალო მცენარეებიდან განვიხილოთ მაგალითად ფურისულა. ფურისულა ფურისულასებრთა ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ცნობილია მისი 600-ზე მეტი სახეობა რომლებიც გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. საქართველოში გვხვდება 22 სახეობა. მისი ერთ-ერთი სახეობაა ჩვეულებრივი ფურისულა - Primula vulgaris, რომლის გავრცელების ბუნებრივი არეალია: კარპატები, ყირიმი, ამიერკავკასია, რუსეთის ევროპული ნაწილი, თითქმის მთელი დასავლეთ ევროპა (სამხრეთით პორტუგალიიდან, ესპანეთიდან და იტალიიდან ჩრდილოეთით ნორვეგიამდე), ჩრდილოეთ აფრიკა (ალჟირი), ახლო აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია.

Primula vulgaris-ის ერთ-ერთი ქვესახეობაა ვორონოვის ფურისულა (Primula woronowii) კავკასიის ენდემებს მიეკუთვნება. თუმცა გავრცელებულია ამიერკავკასიაში. იგი შეტანილია სომხეთის (2011), დაღესტნისა (1998) და ჩეჩნეთის რესპუბლიკების (2007) წითელ წიგნებში.

საქართველოში ტყის ფურისულა გვხვდება რაჭის ხეობის ბალახოვან საფარში; კახეთში - ყვარლის რაიონში; ლაგოდეხის წიფლნარ მთასა და ქართული მუხის ტყის (Quercus iberica) ბალახოვან საფარში; სამეგრელოში,გურიაში,გურიაში, აჭარასა და იმერეთში. თბილისის შემოგარენში - წყნეთში, მცხეთის რაიონში და ა.შ.

Primula woronowii საქართველოს ეროვნულ ბოტანიკური ბაღის კოლექციის ბირთვის ერთ-ერთი შემადგენელი მცენარეა, რომელიც ინტროდუცირებულია და ბუნებრივად იზრდება ტყეებში, ტყის პირებსა და ბილიკებზე. იგი მეტ-ნაკლებად გამოირჩევა ბუნებაში მოზარდი თანამოძმეებისგან ჰაბიტუსით, ზრდა-განვითარების რიტმით, თესლების სიუხვითა და სხვა მორფოლოგიური თუ ბიოლოგიური ნიშნებით. ფურისულა ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იყო ცნობილი და ითვლებოდა ოლიმპის სამკურნალო ყვავილად. მას „დოდეკატეონს'' — „12 ღმერთის ყვავილს'' უწოდებდნენ და სჯეროდათ, რომ იგი ყველანაირ დაავადების სამკურნალო წამალი იყო.

ფურისულა, როგორც გაზაფხულის ერთ-ერთი პირველი ყვავილი, ოქროს გასაღებების ასხმას ჰგავს.

ძველი სკანდინავიური თქმულების მიხედვით, ეს ნაყოფიერების ქალღმერთის გასაღებია, რომლითაც ის იწყებს გაზაფხულის გახსნას. შვეიცარიაში სწორედ ფურისულა ითვლება ბედნიერების სიმბოლოდ, სამშობლოსადმი სიყვარულის ემბლემად.

ოფიციალურ მედიცინაში სამკურნალოდ აღიარებულია ფურისულას ორი სახეობა:

1. Primula officinalis ანუ Primula Veris - გაზაფხულის ფურისულა;

2. Primula macrocalyx - დიდჯამა ფურისულა.

ამიერკავკასიაში იზრდება სხვა სამკურნალო სახეობებიც:

primula hererochroma;

primula woronowii - ვორონოვის ფურისულა;

რომლებიც, რუსულენოვანი ლიტერატურის მიხედვით, ოფიციალურად არ ითვლება სამკურნალოდ, მაგრამ ამავე დროს აღნიშნულია, რომ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას სამკურნალოდ პირველ ორი სახეობასთან ერთად, რამდენადაც მათი ფესურები ასევე მდიდარია საპონინებით და მათ წყლიან ნახარშებს ახასიათებს ძლიერი ამოსახველებელი ეფექტი. ინგლისურენოვან ლიტერატურაში კი აღწერილია Primula vulgaris (HUDS.) - ჩვეულებრივი ფურისულას მრავალი სამკურნალო თვისება.

ტყის ფურისულას აქვს სწორი და მოკლე ღერო, ძირი, საიდანაც გამოდის წვრილი ფესვები. ფოთლები ძირიდან წაგრძელებულია, შემდეგ კი კვერცხისებურად იქცევა. ღერო წვეროში იკეთებს ქოლგად შეკრულ ყვავილს. ყვავილობს მარტ-აპრილში. გამოიყენებენ ძირებსა და ყვავილებს.

P. woronowii საქართველოში გავრცელებული ფურისულას სახეობებიდან ყველაზე დაბურულ, მუხნარ-რცხილნარ ტყეში იზრდება. იგი ყველაზე ადრე იწყებს ვეგეტაციას და ყვავილობას. ამდენად, ყვავილობას იწყებს თოვლის დადნობისთანავე და ამთავრებს მანამდე, სანამ ტყე სრულად შეიფოთლება.

საქართველოს განსხვავებულ ჰაბიტატებში გავრცელებული ფურისულას სახეობების შესწავლით დადგენილია, რომ ყველაზე ადრე ყვავილობას იწყებს ფურისულას ის სახეობა (P. woronowii), რომელიც ყველაზე დაბურულ მუხნარ-რცხილნარ ტყეში იზრდება, ზღვის დონიდან 400-1000 მ სიმაღლეზე.

აღსანიშნავია, რომ არცერთი მცენარის ფოთოლი იმდენ ჩ ვიტამინს არ შეიცავს რამდენსაც გაზაფხულის ფურისულას ფოთლები.

მწვანე მცენარეთა სხვადასხვა სახეობის ფოთ-

ლებში 300 მგ%-ზე მეტი c ვიტამინი ძალიან იშვიათად აღინიშნება, ხოლო ფურისულას ფოთლებში კი ვიტამინის შემცველობა 700 მგ%-ს აღწევს და, შესაბამისად, c ვიტამინის ადრე მოპოვების ერთ-ერთ ხელმისაწვდომ საშუალებას წარმოადგენს.

ფურისულა ზოგიერთ ქვეყანაში გაშენებულია, როგორც სასალათე კულტურა და მისი ახალგაზრდა ფოთლები გამოიყენება ბოსტნეულის სალათებში, სუპებსა და წვნიანებში დასამატებლად. ასევე ფურისულას ზეთს დიდი გამოყენება აქვს კულინარიაში სალათებსა და კერძებზე დასამატებლად.

ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ რაიონში, ასევე ინგლისსა და ჰოლანდიაში გაზაფხულის ფურისულას ფოთლებს გამოიყენებენ უმად საჭმელად. ამ დეკორატიულ მცენარეს ასევე იყენებენ ლანდშაფტის დიზაინის მოსაწყობად, უმეტესად ბაღებში და სკვერებში. ფურისულას იყენებენ აგრეთვე ლიქიორ-არყის წარმოებაში. იგი დიდი ხანია შეტანილია კულტურაში, როგორც შესანიშნავი დეკორატიული და თაფლოვანი მცენარე.

მაშასადამე, ტყის, ტყის მიწების შეუფასებლად გაყიდვა ყოვლად დაუშვებელია, რადგანაც დაუფიქრებლად გაყიდვით შეიძლება ქვეყნის ეკონომიკამ დიდი დანაკლისი განიცადოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა.სიჭინავა, პ.კოღუაშვილი, დ. ეგიაშვილი, ა. მესხიშვილი. უძრავი ქონების ეკონომიკა. სახელმძღვანელო. სტუ-ს გამომცემლობა, თბილისი 2013 წ.

2. ა. მესხიშვილი, პ. კოღუაშვილი, ,,საქართველოში მიწების კონსოლიდაციის განხორციელება აუცილებელია», ჟურნალი „ბიზნეს—ინჟინერინგი», 2014 წლის №3.

3. **M. Grieve. A Modern Herbal _ Primrose.** Botanical: Primula vulgaris (HUDS.). 2016.
https://www.botanical.com/botanical/mgmh/p/primro69.html

4. Ilana. Primula officinalis – Первоцвет лекарственный. 09.05.2011.
http://o-gorod-ik.net/primula-officinalis/

SMART-კიბერუნივერსიტეტი – ინდუსტრიული რევოლუცია-4.0-ის შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო მოდელი

გურამ ჯოლია, *პროფესორი*

SMART-CYBERUNIVERSITY –
An Education Model Compatible
with Industrial Revolution 4.0

Guram Jolia, Professor

Summary

Modern civilization has given birth to new reality: achievements of the 4th Industrial Revolution have been established in social and professional aspects of life, and these developments naturally necessitate re-evaluation of numerous issues and events.

New challenges of development concern every possible field including higher education.

In the new reality, it is vital to comprehend the meaning of "knowledge" unequivocally, for it can help to form perspectives for future, and can help to determine the strategy of individuals and their behavior in present more accurately.

The most solid foundation for a person's competitive advantage today is the ability to generate new knowledge and be blessed with intellectual-entrepreneurial skills and competences. To raise the competitiveness of an individual, it is absolutely vital to introduce changes to the field of education, because the new conditions have created a number of paradoxes that make the conventional ways of exchanging information and knowledge somewhat obsolete.

Therefore, the main purpose of education should be to form intellectual-entrepreneurial skills, more generally, - a person's willingness and the ability to create new knowledge and solve problems of new types and intricacies. Acquiring these skills will enable an individual to determine criteria for future success more accurately and bridge the gap between one's current competences and the ones that will be crucial for competitive performance in the future.

KeyWords/Tag Words: Industry, technology, commercialization, intellect, revolution, cyber-physical systems, interface, internet communications, creative, innovation, investment, concept, integration generation, modification, transformation, standardization, differentiation.

რეზიუმე

თანამედროვე ცივილიზაციაში ახალი რეალობა ფორმირდება: ყოფით და პროფესიულ საქმიანობაში მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის მიღწევები აქტიურად მკვიდრდება, რაც რიგი საკითხებისა და მოვლენების გადაფასებას საჭიროებს.

განვითარების ახალი გამოწვევები მეურნეობის ყველა დარგსა და, მათ შორის უმაღლეს განათლებასაც ეხება.

ახალ პირობებში აუცილებელია „ცოდნის" ცნების შინაარსის მკაფიოდ გააზრება, რადგან მისით შესაძლებელია მომავლის ხედვის ფორმირება, ადამიანის ქცევის სტრატეგიის სწორად განსაზღვრა.

პიროვნების კონკურენტული უპირატესობის საფუძველია მის მიერ ახალი ცოდნის გენერაციის შესაძლებლობა, ანუ ინტელექტუალურ-სამეწარმო უნარ-ჩვევების ფლობა. ადამიანის კონკურენტუნარიანობის დონის ასამაღლებლად, აუცილებელია განათლების ამოცანების ცვლილება, რადგან არსებულმა ვითარებამ მრავალი პარადოქსი წარმოშვა, რითაც ცოდნის (უმეტესად, ინფორმაციის) ტრადიციული ტრანსლაცია პრაქტიკულად უსარგებლო გახდა.

ამიტომ განათლების მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ინტელექტუალურ-სამეწარმო უნარების ფორმირება, უფრო ფართო გაგებით, – ადამიანის სურვილი და უნარი ახალი ცოდნის შექმნისა, სირთულის ახალი დონის ამოცანების გადაწყვეტისა. ამ უნარების ათვისება ინდივიდს საშუალებას მისცემს ზუსტად განსაზღვროს მისი მომავალი წარმატების კრიტერიუმები და განთავისუფლდეს იმ სტრატეგიული გარღვევებისგან, რომელიც არსებობს მის ამჟამინდელ კომპეტენციებსა და მომავალში წარმატებული კონკურენციისათვის აუცილებელ კომპეტენციებს შორის.

საკვანძო სიტყვები: ინდუსტრია, ტექნოლოგია, კომერციალიზაცია, ინტელექტი, რევოლუცია, კიბერფიზიკური სისტემა, ინტერფეისი, ინტერნეტ-კომუნიკაცია, კრეატიული, ინოვაცია, ინვესტიცია, კონცეფცია, ინტეგრაცია, გენერაცია, მოდიფიკაცია, ტრანსფორმაცია, სტანდარტიზაცია, დიფერენციაცია.

შესავალი

თანამედროვე ცივილიზებული სამყარო ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. ინდუსტრიის ინტენსიური განვითარება სრულიად ახალ ეტაპზე გადადის. ფეხს მყარად იკიდებს მე-4 ინდუსტრიული რევოლუცია. იგი ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროს ეხება. განვითარების ასეთი სისწრაფე უპრეცედენტოა, მსგავსი ტემპები კაცობრიობას არ ახსოვს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე. ყოველწლიურად ბარსელონაში ტარდება მობილური ტექნოლოგიების მსოფლიო კონგრესი (MWC _ Mobile World Congress)

– ახალი მოდელებისა და გადაწყვეტილებების გაცნობის მსოფლიო მასშტაბის ღონისძიება მონაწილეთა ფართო სპექტრით: IT-ის წარმომადგენლები, ოპერატორები, მობილური კონტენტის მწარმოებლები, მობილური კომპანიების (Samsung Mobile, IBM, Yota და ა.შ.) მფლობელები და სხვები.

მობილური ეკოსისტემა უპრეცედენტოდ იცვლება: იქმნება ახალი ტექნოლოგიები და ბიზნესმოდელები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ადამიანთა ყოფით და პროფესიულ მოღვაწეობაზე. MWC ამ პროცესის ეპიცენტრშია, რადგან შეხვედრის მონაწილეები ინდუსტრიის განვითარების ახალ ეტაპებს განსაზღვრავენ. კონგრესის დღის წესრიგი მეტად ფართოა: გამოფენები, კონფერენციები, პრეზენტაციები, სემინარები.

დროის მოთხოვნების კვალობაზე, უმაღლესი განათლების მსოფლიო სისტემაც შესაბამისად იცვლება. გლობალიზაციის, ინფორმატიზაციის, კომერციალიზაციის, დიგიტალიზაციისა[1] და მიგრაციის შეუქცევადი პროცესები უმაღლესი განათლების სისტემის ტრანსფორმაციას იწვევს. ეროვნულ სახელმწიფოთა გავლენის შემცირების პირობებში, უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფოს დაფინანსება მკვეთრად მცირდება და უნივერსიტეტების წინაშე არა უბრალოდ განვითარების, არამედ გადარჩენის ამოცანა მწვავედ დგება.

განათლების სფერო ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი სფეროა, რომელსაც ეკონომიკური საქმიანობის მაღალი პოტენციალი გააჩნია. განვითარებულ ქვეყნებში საგანმანათლებლო პროდუქტებზე მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობები მაღალი ტემპებით, დაახლოებით, 10-15%-ით იზრდება. ამის გამო, ამ სფეროში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბაზრო ურთიერთობების განვითარება, რაც უშუალოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების პირობებსა და სამომავლო მდგომარეობაზე აისახება. დღევანდელობა აქტიური საბაზრო პოზიციის დაკავებას, დამოუკიდებლობის განვითარებასა და საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას მოითხოვს.

ასეთ პირობებში საყურადღებოა წარმატებული უნივერსიტეტების საქმიანობის მოდელები, მათ შორის, SMART-უნივერსიტეტის,[2] იგივე „გონიერი კიბერუნივერსიტეტის“, „სამეწარმო უნივერსიტეტის“ აპრობირებული მოდელები.

საზოგადოებრივი ცხოვრება თანამედროვე უნივერსიტეტს, ტრადიციულთან შედარებით, განსხვავებულ როლს აკისრებს: „წმინდა მეცნიერული“ მონახაზით აგებული სასწავლო გეგმა (ე. წ. კურიკულუმი) ახალი ვითარების მოთხოვნებთან შეუსაბამოა. დღევანდელ უნივერსიტეტს სოციალური ფუნქციების შესრულებაში სხვა ვალდებულებები ეკისრება და მისთვის ინტელექტუალურ-სამეწარმო საქმიანობა განვითარების აუცილებელ რეალობად ფორმირდება.

თანამედროვე მოწინავე უნივერსიტეტად მიიჩნევა არა უბრალოდ დიდი და ხანდაზმული სასწავლო-სამეცნიერო კერა („ცოდნის ტაძარი“, „სიბრძნის ტაძარი“, „მეცნიერების სამჭედლო“), არამედ საზოგადოების განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტექნიკური და კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი, რომლის ფართო ინტელექტუალურ საგანმანათლებლო-კვლევით არეალში დღევანდელი სოციუმის წარმატებული ტექნიკური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტა კონცენტრირდება.

ძირითადი ნაწილი

1. ინდუსტრიული რევოლუცია-4.0: გამოწვევები, პერსპექტივები

ბოლო წლებში სპეციალურ ჟურნალებსა და საერთაშორისო დისკუსიებში ხშირად გამოყენებული ტერმინები – „ინდუსტრია-4.0“, „ინდუსტრია+“ – მე-4 ინდუსტრიულ რევოლუციას ნიშნავს.

ძირითადად ამ საკითხს მიეძღვნა 2016 წლის დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

მე-4 ინდუსტრიული რევოლუციას ახასიათებს მაღალი ტექნოლოგიების განვითარება, რაც ურთიერთშერწყმის შედეგად შლის საზღვრებს ფიზიკურ, ციფრულ და ბიოლოგიურ სფეროებს შორის, – განაცხადა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის უცვლელმა თავმჯდომარემ და მისმა დამფუძნებელმა, ბატონმა კლაუს შვაბმა.

თუმცა, ფორუმის მონაწილეთა პოლიტიკური და ბიზნესლიდერების ნაწილი მასში გარკვეულ საფრთხეებსაც ხედავს, რადგან ტექნოლოგიური მიღწევების ისეთ ცუნამად მიაჩნიათ, რომელიც ქვეყნების ეკონომიკაზე და დასაქმების ბაზარზე უარყოფითად აისახება.

„ევრონიუსის“ ინფორმაციით, მაღალტექნოლოგიური განვითარება და რობოტების დასაქმება მილიონობით ადამიანს სამსახურის დატოვებით ემუქრება.

როგორც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა დავოსის 2016 წლის მსოფლიო ფორუმზე განაცხადა, „მსოფლიოში ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ფონზე, საშუალო ფენას მხარდაჭერა სჭირდება. მე-4 ინდუსტრიულ რევოლუციას დიდი პოტენციალი აქვს უფრო მეტი დარტყმა მიაყენოს საშუალო კლასს და ჩვენი მოვალეობაა ეს ცვლილებები საზოგადოების სასარგებლოდ წარვმართოთ. ისე უნდა ვქნათ, რომ ციფრულ რევოლუციას ბევრი გამარჯვებული მოჰყვეს, ვიდრე დამარცხებული“. მისივე

1. ციფრულ ფორმაში გადაყვანა. მონაცემების ციფრული ტრანსმისია.

2. SMART არის მნემონიკური (ბერძ. მნემონიკონ – დამახსოვრების ხელოვნება. ბერძნულ მითოლოგიაში მნემოზინა მეხსიერების ქალღმერთი იყო. სწორედ მისი სახელიდან წარმოდგება სიტყვა „მნემონიკა“); აბრევიატურა, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტსა და საპროექტო მართვაში ამოცანების დასახვისა და მიზნების განსაზღვრისათვის. მისი ასოების შინაარსი ასეთია: S – კონკრეტული (Specific); M – გაზომვადი (Measurable); A – მიღწევადი (Attainable, Achievable); R – აქტუალური, მნიშვნელოვანი (Relevant) და T – დროში განსაზღვრული (Time-bound).

თქმით, „როდესაც საშუალო ფენა თავს დაცულად და კარგად გრძნობს, ეს კარგია მდიდრებისთვის, ღარიბებისთვის კი – სიმაღლეზე ასასვლელი ერთგვარი კიბეა“.

მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის საფუძველია ე.წ. „სერვისზე ორიენტირებული პროექტირება“. მისი მიზანია „ინტელექტუალური ფაბრიკის“ შექმნა. იგი ტრადიციულისგან იმით განსხვავდება, რომ აქვს გარდაქმნის მაღალი, რესურსების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობები, ასევე ბიზნესპროცესებსა და ახალი ღირებულების შექმნაში მომხმარებელთა და საქმიან პარტნიორთა მაღალი დონის ინტეგრაცია.



1-ლი ინდუსტრიული რევოლუცია
(XVIII—XIX საუკუნეები)
ორთქლის მანქანები. საფეიქრო დაზგები. მეტალურგია. რკინიგზები

მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის იდეოლოგებმა, გერმანელმა მეცნიერებმა, ბიზნესმენებმა და პოლიტიკოსებმა, შეადგინეს ინდუსტრიული რევოლუციების ასეთი კლასიფიკაცია:

1. ორთქლის ძრავის მანქანები;
2. ჰენრი ფორდის ელექტრული ამწყობი ხაზები;
3. ინფორმაციული ტექნოლოგიები და რობოტოტექნიკა;
4. კიბერფიზიკური სისტემები.

მე-2 ინდუსტრიული რევოლუცია
(1915-1970 წლები)
ელექტროფიკაცია. კონვეიერები. ავტომობილები. ნავთობისა და ქიმიური მრეწველობა

პირველი ინდუსტრიული რევოლუცია XVIII საუკუნიდან დაიწყო და XIX საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. ხელით შრომა მანქანურმა შეცვალა, ანუ მანუფაქტურა – ფაბრიკამ, აგრარული ეკონომიკა – მრეწველობამ. შეიქმნა ორთქლის ძრავა. განვითარდა საფეიქრო და მეტალურგიული მრეწველობა, დაიწყო რკინიგზების მშენებლობა.

მეორე ინდუსტრიული რევოლუცია 1915-1970 წლებში განხორციელდა. მოხდა განვითარებული სამყაროს ინდუსტრიის ელექტროფიკაცია, დაინერგა კონვეიერები, განვითარდა საავტომობილო, ნავთობისა და ქიმიური მრეწველობა. გაიზარდა მეცნიერული მიღწევების როლი.



მე-3 ინდუსტრიული რევოლუცია
(1970-2000 წლები)
ეგმ. წარმოების ავტომატიზაცია. ინფორმაციული ტექნოლოგიები. რობოტოტექნიკა

მესამე ინდუსტრიულმა რევოლუციამ, რომელიც XX საუკუნის 70-ანი წლებიდან დაიწყო და XX საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა, მრეწველობაში დანერგა ელექტროგამომთვლელი მანქანები, წარმოების ავტომატიზაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიები, „მუნჯი“ რობოტები, ყურადღება გაამახვილა განახლებად ენერგიებზე.

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია XXI საუკუნიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. იგი მჭიდროდ უკავშირდება „სამრეწველო ინტერნეტს“

მე-4 ინდუსტრიული რევოლუცია
(XXI საუკუნიდან დღემდე)
ხელოვნური ინტელექტი. რობოტები. კიბერფიზიკური სისტემები. ნივთების ინტერნეტი

(ინდუსტრიალ ინტერნეტ) და „ნივთების ინტერნეტს“ (Internet of Things, IoT). მისი მთავარი შემადგენელია „გონიერი ღრუბელი“, რომელსაც უდიდესი მოცულობის მონაცემების დაგროვება და დამუშავება შეუძლია.

კომპანია Microsoft-ის პროგნოზით, 2020 წლისთვის ერთიან მსოფლიო ქსელში 50 მილიარდი ნივთი იქნება გაერთიანებული.[3]

ყურადღება ინტენსიურად გადადის ხელოვნურ ინტელექტზე, „გონიერ“ რობოტებზე, კიბერფიზიკურ სისტემებსა და ნივთების ინტერნეტზე. საწარმოო ძალები თანდათან ხდება თვითორგანიზებულნი ანუ ოპერატიულად ძალუძთ საბოლოო ნაწარმიდან, კვანძიდან, ჩარხიდან, საყოფაცხოვრებო მოწყობილობიდან უკუკავშირის დამყარებას.

მე-3 ინდუსტრიული რევოლუციისას არ იყო ურთიერთკავშირი წარმოების საშუალებებსა და ამწყობ კომპონენტებს შორის. ახლა სიტუაცია კარდინალურად იცვლება, – ვითარდება კომპიუტერული აზროვნება, ინერგება ე.წ. კიბერფიზიკური სისტემები. ნივთებს, მათივე მონიშვნის დახმარებით, მომავალში შეეძლებათ საკუთარი იდენტიფიკაცია: ნებისმიერ ნივთში/დეტალში ჩაიტვირთება ინფორმაცია მისი წარმოების ადგილის, დანიშნულების, მოცემულ მომენტში მდებარეობისა და სხვათა შესახებ. ფართოდ გავრცელდება ნივთების/დეტალების შტრიხ-კოდების სისტემა. ისინი შეცვლიან „ბრმა“ კომუნიკაციას ნივთებს/დეტალებს შორის, ანუ ამჟამინდელი „მუნჯი“ ნივთი „ამეტყველდება“. ჩვენი სამყარო სულ უფრო გონიერი და თვითკმარი წარმოებისკენ წავა. შეიცვლება კომუნიკაციის არსებული დერეფნები, – ურთიერთობის არხები გართულდება. ინდუსტრია-4.0-ის პილარი „გონიერი ფაბრიკა“ იქნება. მასში თავს მოიყრის „გონიერი“ ლოგისტიკა, როცა შტრიხ-კოდით მონიშნული საჭირო კომპონენტები, რომელთაგანაც, ვთქვათ ტელეფონის აპარატი უნდა დამზადდეს, ერთიან სისტემაში გაერთიანდება და ავტომატურად აიწყობა. წარმოების საშუალებები ადამიანთა დაუხმარებლად ერთმანეთთან ურთიერთზემოქმედების დამოუკიდებელ რეჟიმში გადავა. ასეთ წარმოებას მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და ისიც, მხოლოდ მცირე რაოდენობის დასჭირდება და არა დიდი ოდენობის ფიზიკური სამუშაო ძალა.

ნივთების ინტერნეტის ელემენტები უკვე გამოიყენება იაპონიაში, ამერიკასა და ევროპაში. თუმცა, ძალიან სწრაფად, ყველგან გავრცელდება. ამით კი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია იაფ სამუშაო ძალასთან დაკავშირებულ კონკურენტულ უპირატესობას რეალურად დაკარგავს.

3. **Селянская Г. Н. (2015).** SMART-университет _ ответ на вызовы новой промышленной революции. «Креативная экономика». №9, С. 1153.

მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუციის ფლაგმანია გერმანია, სადაც შეიქმნა კონსორციუმი, რომელიც აერთიანებს ისეთ მსხვილ სამრეწველო კომპანიებს, როგორიცაა ,,Boch''-ი, „BMW" და „Siemens"-ი. ახალი ინდუსტრიული რევოლუციის იდეა საკმაოდ პოპულარულია აშშ-შიც. მათ სურთ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გატანილი წარმოების უკან დაბრუნება, რადგან იქ სამუშაო ძალის ღირებულება თანდათან ძვირდება.

ნივთების ინტერნეტ-ტექნოლოგიებმა და რობოტოტექნიკის სწრაფმა განვითარებამ ადამიანების გარეშე აწყობითი სამუშაოების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა რეალურად გააჩინა. თუმცა, ჯერჯერობით, მისი გამოყენების დონე დაბალია. განვითარებული სამყარო ინდუსტრიული დიდი აფეთქების მოლოდინშია, რომელიც, სავარაუდოდ, სხვადასხვა შეფასებებით, უახლოეს 5-7 წელიწადში მოხდება.

რა განაპირობებს ასეთ პროგნოზს?

რა თქმა უნდა, მაღალი ტექნოლოგიები, უპირველესად, სენსორების გაიაფება და მასობრივად წარმოება. თუმცა, არსებობს სხვა შემაფერხებელი ფაქტორებიც: ინფორმაციულობა, ადამიანთა ფსიქოლოგია, ტექნოლოგიებთან მათი ხელმისაწვდომობა და სპეციალისტების მწვავე ნაკლებობა.

რას გამოიწვევს კიბერფიზიკური სისტემის მასობრივი განვითარება?

– რა თქმა უნდა, უმუშევრობის გაზრდას!

საჭიროა სოციალური სისტემის ტრანსფორმაცია, რადგან დასაქმების სტრუქტურა არსებითად შეიცვლება. სავარაუდოა ჰუმანიტარული, სოციალურ-კრეატიული (შემოქმედებითი) პროფესიების როლის გააქტიურებაც.

ნივთების ინტერნეტიზაციისას საჭიროა ინტერფეისის[4] ტერმინის შინაარსის გააზრება.

პირველი ინტერფეისი – ადამიანის კომუნიკაცია საკუთარ თავთან. ესა რეფლექსიის[5] თავისებური გაძლიერება. აღნიშნულის ტიპური მაგალითია თვით სოციალური ქსელი: გვაქვს უკუკავშირი იმ შეხედულებებთან, რომლებსაც ინტერნეტში თვითონვე ვათავსებთ.

მეორე ინტერფეისი – ადამიანის კომუნიკაცია საკუთარ სხეულთან. მაგ., გადამტანის მეშვეობით ჩვენი ჯანმრთელობისა და ფიზიკური აქტივობის ასახვა. შედეგად, ერთი მხრივ, ჩვენივე სხეულთან დაშვება/შეღწევა უფრო „თვალსაჩინო" ხდება, მეორე მხრივ კი, – საშიში, რადგან უცნობია ვის ექნება მისი კონტროლის საშუალება.

მესამე ინტერფეისი – ადამიანის კომუნიკაცია სხვა ნივთებთან. ამ ხილული სამყაროს მატერიალურ ნიმუშებს ჩვენივე კულტურიდან ვიღებთ. ანუ ვიცით, რომ ეს არის, ვთქვათ, კალმისტარი, რომლითაც ვწერთ. მაგრამ, როცა განსაზღვრული ინფორმაციის მომცველ შტრიხ-კოდიან კალმისტარს გამოვიყენებთ, სმარტფონის დახმარებით ინტერნეტ-კომუნიკაცია ახალი, თანამედროვე ტიპის ნივთთან გვექნება.

მეოთხე ინტერფეისი – ნივთების კომუნიკაცია ნივთებთან და/ან მანქანების – მანქანებთან, რაც ნივთების ინტერნეტით ხორციელდება.

მეხუთე ინტერფეისი – ადამიანის კომუნიკაცია სხვა ადამიანებთან, მათი აზრების გაერთიანება და კონკრეტული მიმართულებით წარმართვა. უკვე არსებობს სპეციალური ტექნოლოგიები, ე.წ. ნეიროინტერფეისები, რომლებიც ონლაინ-რეჟიმში ადამიანთა კოლექტიურ აზროვნებას და, შესაბამისად, ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებასაც აკონტროლებენ.

როგორც ვხედავთ, ინდუსტრია-4.0-ის პირობებში საწარმოო მოწყობილობები, რესურსები და პროდუქცია აქტიური სისტემური კომპონენტები გახდება, რაც საწარმოო და ლოგისტიკური პროცესებით ავტომატურად დარეგულირდება. ისინი კიბერფიზიკურ სივრცეში ჩაირთვება და ვირტუალურ სივრცეში რეალურ ფიზიკურ სამყაროს დაუკავშირდება.

ნივთების სამრეწველო ინტერნეტის განვითარებისა და ინდუსტრია-4.0-ის წყალობით, ნაწარმის სასიცოცხლო ციკლის მხარდაჭერა თანამედროვე მსოფლიო მიმართულება (ტრენდი) გახდება, რომელიც, თავის მხრივ, გამოიწვევს:

- წარმოებაში ბიზნესპროცესების აუცილებელ ტრანსფორმაციას;
- საქონლის/მომსახურების წარმოებისა და მოხმარების პროცესებში, ანუ მათი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, ზედმეტი ღირებულების შემქმნელი კომპლექსური ღონისძიებების დამუშავებას;
- შეთავაზებული საქონლის/მომსახურების სპექტრის გაფართოებას და ამით საწარმოს ახალი კონკურენტული უპირატესობის გამოვლენას.

ფორმირდება სრულიად ახალი ტენდენცია – პროდუქციის ავტომატურ რეჟიმში დამზადება, რაც საწარმოთა საქმიანობის სტრატეგიებს არსებითად შეცვლის, რადგან ადამიანები არა რუტინულ, არამედ, უპირატესად, კრეატიულ/შემოქმედებით სამუშაოებს შეასრულებენ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნივთების სამრეწველო ინტერნეტი უდიდესი პოტენციალის მქონეა, როგორც საწარმოო, ისე მომსახურების სფეროში, მათ შორის, „გონიერი" ქალაქების, სახლების და სხვათა შესაქმნელად და ადამიანის სასიცოცხლო სივრცეში გამოსაყენებლად.

ამიტომ, კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო კომპანიებს სჭირდებათ სრულიად ახალი ტიპის თანამშრომლები – ადამიანები, რომლებსაც

4. „ტვინი-მანქანა"; ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების, ტექნიკური საშუალებების, საოპერაციო პროგრამული რესურსებისა და სისტემების ურთიერთზემოქმედების ფიზიკური ან ლოგიკური ფორმატი, რომელიც განსაზღვრულია საერთო ფუნქციური, ელექტრული, ოპტიკური, კონსტრუქციული და სხვა თავსებადობის მახასიათებლებით, პროტოკოლის მიმართ ერთგვაროვანი მოთხოვნებით.

5. ლათ. reflexio – „უკან მიბრუნება"; ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების (ღირებულებების, ინტერესების, მოტივების, ემოციების, საქციელის) ცოდნისა და მდგომარეობის გაცნობიერება, ფიქრი საკუთარ „მე"-ზე, მდგომარეობაზე, საქციელზე, წარსულ მოვლენებზე, ანუ „საუბარი საკუთარ თავთან".

შეეძლებათ ახლებურად მუშაობა: ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღება, ინვესტორების მოძიება, მათი დარწმუნება და ფინანსების მოზიდვა, გასაღების ვირტუალური ქსელის შექმნა, მთელი საწარმოო-გასაღებითი სისტემის კვალიფიციური ანალიზი და მისი ცალკეული რგოლების მოდერნიზაცია, ანუ მათ შორის მჭიდრო კავშირების დამყარება.

აღნიშნულის გამო, საგანმანათლებლო სისტემისადმი მოთხოვნები არსებითად იცვლება. საჭირო ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების „ინტელექტუალური საწარმოდ“ ანუ „SMART-უნივერსიტეტებად გარდაქმნა.

2. საგანმანათლებლო მოდელის ტრანსფორმაცია

მოცემული საკითხის მოკლე ისტორიული რეტროსპექტივა ასეთია: თავდაპირველად უნივერსიტეტები ჩამოყალიბდნენ, როგორც მოაზროვნეთა, მკვლევართა და სტუდენტთა „თავისუფალი ასოციაციები“. საუნივერსიტეტო კორპორატიულობის ძირითადი ნიშნები ჯერ კიდევ XI საუკუნეში ქ. ბოლონიაში (იტალია) დაარსებულ პირველ ევროპულ უნივერსიტეტში, როგორც „სტუდენტურ კორპორაციაში“ არსებობდა. ორიგინალური ის იყო, რომ კორპორაციაში პროფესორები არ შედიოდნენ.

მოგვიანებით, XII საუკუნეში, „მასწავლებელთა კორპორაციის“ ფორმით დაარსდა პარიზის სორბონის უნივერსიტეტი. შუა საუკუნეების უნივერსიტეტები სახელოსნოებთან, მონასტრებთან და სამეფო ორდენებთან იქმნებოდა. მათ თავიანთი დანიშნულება, საქმიანობის ნორმები და ქცევის წესები (ცერემონიის ჩატარების ტრადიციები, წესდება და სხვ.) ჰქონდათ.

პირველ უნივერსიტეტებს სამეფო კარი მეურვეობდა. ცნობილია, რომ საფრანგეთის მეფე შარლ V ბრძენი (იგივე კარლ V) უნივერსიტეტს „მეფის უფროს ქალიშვილს“ უწოდებდა. მაღალი პრესტიჟის პარიზის უნივერსიტეტი ინტერნაციონალური იყო. მის მაგისტრებს წამყვანი თანამდებობები ეკავათ ევროპაში. მათი დასაქმების არეალი მსოფლიო ქრისტიანული სამყარო იყო. იმავდროულად, ისინი მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდნენ მშობლიურ უნივერსიტეტთან.

პარიზის უნივერსიტეტს ურთიერთობა ჰქონდა რომის პაპთან. ავინიონის ყველა ფრანგი პაპი უნივერსიტეტს დიდად წყალობდა, რადგან იგი „ეკლესიის პირველ სკოლად“ მიაჩნდათ. უნივერსიტეტი ღვთისმსახურების საკითხებში საერთაშორისო არბიტრის როლს ასრულებდა.

მოგვიანებით, უნივერსიტეტების მიმართ პაპების მხარდაჭერა უფრო გაძლიერდა. მაგ., პაპმა ცელესტინ III-მ 1194 წელს პარიზის უნივერსიტეტს პირველი პრივილეგიები მიანიჭა, ხოლო პაპებმა: ინოკენტი III-მ და გრიგორი IX-მ მისი ავტონომია კიდევ უფრო განამტკიცეს. 1215 წელს კარდინალმა რობერტ დე კუსინმა უნივერსიტეტს პირველი წესდება შეუდგინა, ხოლო პაპმა გრიგორი IX-მ სპეციალური ბულით – ახალი სტატუსი არგუნა.[6]

ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა სხვაგანაც. კერძოდ, ოქსფორდში უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას რომის პაპების: ინოკენტი III-ისა და ინოკენტი IV-ის ძლიერი მხარდაჭერა უზრუნველყოფდა. ბოლონიაში პაპმა ჰონორიუს III-მ უნივერსიტეტს სათავეში არქიმანდრიტი ჩაუყენა, ხოლო 1278 წელს, როცა ქალაქმა პაპი თავის სენიორად აირჩია, სანაცვლოდ პაპმა უნივერსიტეტი სამეფო კარის გავლენისგან საბოლოოდ გაათავისუფლა.

რა იყო ძლიერი პონტიფექსების ასეთი მხურვალე მხარდაჭერის მთავარი მიზანი?

რა თქმა უნდა, წმინდა ტახტმა კარგად იცოდა ინტელექტუალთა მნიშვნელობა და ფასი. ამიტომ მისი მზრუნველობა უანგარო არ იყო. სამეფო კარის იურისდიქციიდან უნივერსიტეტების გამოყვანით და ეკლესიაზე დაქვემდებარებით, ინტელექტუალებს თავისი პოლიტიკის გავლენის ქვეშ აქცევდა და კონტროლსაც თვითონვე უწესებდა.[7]

ადრინდელი უნივერსიტეტები, როგორც ინტელექტუალური საქმიანობისა და განათლების ინსტიტუტები, მომხმარებლებზე (სტუდენტებზე), როგორც „მომსახურების მყიდველებზე“, არ იყო ორიენტირებული. სწავლის გადასახადი, თავისი მნიშვნელობით, მომლოცველის მიერ ეკლესიის შემოწირულობის დარად განიხილებოდა. უნივერსიტეტების ფინანსური შემოსავლები ძირითადად სახელმწიფო ასიგნებებითა და მეცენატების მხარდაჭერით, მცირედით კი, სტუდენტების გადასახადით იქმნებოდა. ტრადიციული უნივერსიტეტი არათუ არ იყო „საბაზრო ინსტიტუტი“, არამედ, გარკვეულწილად, სამრეწველო-სავაჭრო საქმიანობას კიდეც ეწინააღმდეგებოდა.

უნივერსიტეტების „აკადემიური ავტონომიის“ ადრინდელ პრინციპს ახალ დროში „საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის“ პრინციპიც დაემატა.

1988 წელს ქ. ბოლონიაში გამოქვეყნდა **„უნივერსიტეტების დიდი ქარტია“**[8], რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის სივრცეში ინტერნაციონალური საგანმანათლებლო მოდელის დამკვიდრებას. მკაფიოდ გამოიკვეთა ევროპულ ერებს შორის შორსგამიზნული თანამშრომლობის იმედი და რწმენა, ასევე მუდმივ-ცვალებად და მზარდ ინტერნაციონალურ საზოგადოებაში უნივერსიტეტების განსაკუთრებული როლი.

ამასთან ერთად, აღინიშნა:

- ათასწლეულის მიჯნაზე კაცობრიობის მომავალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ კულტურულ და სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებაზე, რომელიც უნივერსიტეტების კულტურულ-სასწავლო-კვლევით ცენტრებში მიმდინარეობს;

6. **Гофф Жак Ле. (2003).** Интеллектуалы в Средние века. Пер. с французского. 2-е изд. СПб., С. 61-62.

7. იქვე, გვ. 64.

8. აქაც და შემდეგშიც, მოცემულ საკითხთან მიმართებაში, წყაროდ გამოყენებულია ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები. თბ., 2005.

- უნივერსიტეტების მთავარი დანიშნულება – მიაწოდოს ცოდნა ახალგაზრდებს – დღეს მთელ საზოგადოებაზე უნდა გავრცელდეს;
- უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ მომავალი თაობა ისეთი განათლებით, რომელიც მას ბუნებრივი გარემოსა და სიცოცხლის ჰარმონიის პატივისცემას ასწავლის.

დიდმა ქარტიამ განსაზღვრა უნივერსიტეტების ფუნდამენტური პრინციპები, სახელდობრ:

- **ავტონომიურობა.** უნივერსიტეტი არის სასწავლო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც ქმნის, აფასებს და ავრცელებს კულტურას კვლევისა და სწავლების გზით;
- **სწავლისა და კვლევის განუყოფლობა და თავისუფლება,** რომ სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს;
- **უნივერსიტეტი – ევროპული ჰუმანისტური ტრადიციების მეურვე.** იგი მუდმივად მიისწრაფვის უნივერსალური ცოდნისკენ. მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისას სცილდება გეოგრაფიულ საზღვრებს და სხვადასხვა კულტურათა ურთიერთშეცნობისა და ურთიერთგავლენის სასიცოცხლო აუცილებლობას ადასტურებს.

ჰუმბოლდტისეული საუნივერსიტეტო მოდელის ძირითადი ნიშნები აისახა სორბონის დეკლარაციაში **„ევროპის უმაღლესი განათლების სისტემის არქიტექტურის ჰარმონიზაცია“** (პარიზი, 1998), რომელშიც გამოიკვეთა უნივერსიტეტების ცენტრალური როლი ევროპის კულტურულ განზომილებათა სისტემაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ევროპა უნდა გახდეს **„ცოდნის ევროპა“**, რის გამოც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა მობილობის, დასაქმების გაუმჯობესებისა და კონტინენტის განვითარებისთვის.

როგორია თანამედროვე უნივერსიტეტების ფუნქციონირების დღევანდელობა?

1. სახელმწიფო სუბსიდიები თითქმის ყველგან კლებულობს. მაგ., აშშ-ში უნივერსიტეტების სახელმწიფო დაფინანსება გასული საუკუნის 70-ან წლების 90%-დან, 20-22%-მდე შემცირდა;[9]

2. კლასიკური უნივერსიტეტები კორპორაციებად, ანუ ბაზრის კონკურენტულ მოთამაშეებად ყალიბდებიან. მათი პროდუქტია განსაკუთრებული საქონელი – საკონსულტაციო-საქსპერტო და საგანმანათლებლო მომსახურება, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები და ინოვაციები. ამის გამო, უნივერსიტეტებს საბაზრო კომპეტენციები სჭირდებათ;

3. უნივერსიტეტები ინარჩუნებენ თავიანთ იდენტურობას – მხარს უჭერენ სამეცნიერო კვლევა-ძიების, განვითარებისა და განათლების აღიარებულ ფასეულობებს;

4. მათ წინაშე ორგანიზაციული კულტურის მეტად რთული ამოცანა დგება: საჭირო ხდება „პროფესიონალთა თავისუფალი ასოციაციის“ საუნივერსიტეტო ტრადიციული კულტურისა და „გონების ფაბრიკის“ მაღალმწარმოებლური კულტურის ოპტიმალური შერწყმა.

საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტები იძულებული არიან პროცესების მართვის ადმინისტრაციული მეთოდები განვითარების თანამედროვე მეთოდებით შეცვალონ, რაც მმართველობით საქმიანობაში გაცილებით მეტ ძალისხმევასა და ინიციატივას მოითხოვს.

თითქმის 10 წელია ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენცია „ელექტრონული სწავლება და პროგრამული უზრუნველყოფა განათლებისთვის“, რომლის საკვანძო თემაა „2020 წლამდე ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების განვითარების პროგნოზირება“.

კონფერენციის თემატიკის ჩარჩოებში აქტიურად განიხილება ღია სწავლების, ელექტრონული სწავლებისა და განათლებაში ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების აქტუალური პრობლემები.

ყურადღება მახვილდება SMART-განათლებაზე, რომელსაც ახალი ცნებები შემოაქვს:

- თვით **SMART-განათლება** – მუდმივი სოციალური პროცესი, რომელიც ორიენტირებულია ხარისხობრივად ახალი საგანმანათლებლო-სამეცნიერო (კვლევითი) და სოციალურ-კომერციული შედეგების მიღებასა და ცოდნის ინდივიდუალურ/კოლექტიურ გენერაციაზე მისი გამოყენების მრავალი წყაროს პირობებში;
- **SMART-უნივერსიტეტი**: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ინტერნეტის ერთობლივი გამოყენებით ქმნის SMART-გარემოს და აყალიბებს SMART-საზოგადოების მოთხოვნების შესაბამის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, კომერციულ-სოციალური საქმიანობის პროცესებსა და შედეგებს; მიმზიდველი იმიჯის მქონე ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც განსაზღვრავს შემოქმედებითი ადამიანების მუშაობის სურვილსა და მასში ინტელექტუალური უნარ-შესაძლებლობების ინვესტირებას, ასევე სახელმწიფოს, ბიზნესისა და სტუდენტის ფინანსურ ინვესტირებას მაღალი ხარისხის სამეცნიერო და საგანმანათლებლო სერვისისათვის; დაცლილი სოციუმში არსებული ყოველგვარი კორუფციისაგან (ადამიანის ყველაზე საშინელი „გამოგონება“); განვითარებული თანამედროვე კიბერურთიერთობებით; სტრუქტურული ერთეულების (ფაკულტეტები, ინსტიტუტები და სხვ.) გაძლიერებული უფლებებითა და დელეგირებული პასუხისმგებლობით, საკუთარი სა-

9. Ефимов В.С., Лаптева А. В. (2010). Корпоративная культура – инструмент развития университета. «Федеральные и национальные исследовательские университеты». С. 24.

განმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების განკარგვის უფლებით, მჭიდრო ჰორიზონტალური კავშირებით; აქტუალური სამეცნიერო კვლევების განმხორციელებელი, ასევე ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტებისა და აკადემიური ხარისხის მქონე პედაგოგ-მკვლევრების მომზადებელი; ყოველგვარ საქმიანობაში მორალსა და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული; გადაწყვეტილებებში სუბიექტივიზმის გამომრიცხველი; ელექტრონულ სივრცეში ჩატვირთული მართვისა და მონიტორინგის კიბერსისტემებით (სასესიო გამოცდების ჩატარება კომპიუტერული ტესტირებით, აკადემიური პერსონალის ღია online-კონკურსები და ელექტრონული ხმის მიცემა ციფრული ხელმოწერით; თანამშრომელთა პრემიების, დანამატებისა და დაფინანსების გაცემა ელექტრონული რეიტინგული შეფასების შედეგებით და ა.შ.).

- **SMART-ხელმძღვანელი** – ინოვაციური მეცნიერი და მენეჯერი, ორიენტირებული ორგანიზაციის (სტრუქტურის) პერსპექტიულ განვითარებაზე, მორალურად, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჯანმრთელი, მაღალი ზნეობის ადამიანი მავნე ჩვევების გარეშე, თანამედროვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების მართვას დაუფლებული, ინოვაციების პოზიტიურად აღმქმნელი, უცხოური ენების მცოდნე, შემოქმედებით/კრეატიული აზროვნების ლიდერი და ღირსეული დამფასებელი, მეცნიერებისა და განათლების განვითარების თანამედროვე მიმართულებების მცოდნე, გადაწყვეტილების მიღებაში უნივერსალური და გაბედული, პროგრესულად მოაზროვნე და ოპტიმისტი, მორალური ურთიერთობის საფუძველზე კომფორტული შემოქმედებითი კლიმატის შემქმნელი და მისი შენარჩუნების მყარი გარანტი, სოციუმში უნივერსიტეტის პრესტიჟისა და ავტორიტეტის დამცველ-აპოლოგეტი.
- **SMART-პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ექსკლუზიური ინტელექტუალური რესურსების მფლობელი და უშუალო ინვესტორი, სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის წარმმართველი, რომელიც SMART-საზოგადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აქტიურად იყენებს ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და ინტერნეტს საგანმანათლებლო-კვლევითი პროცესის ხარისხის ასამაღლებლად, სისტემატურად ქმნის ახალს, სრულყოფს და აახლებს არსებულ სასწავლო თეორიულ-პრაქტიკულ მასალას, ნერგავს სწავლებისა და კვლევის თანამედროვე პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებს, განსაზღვრავს და ხელმძღვანელობს ინოვაციურ-კვლევით მიმართულებებს.
- **SMART-სტუდენტი – უნივერსიტეტის მთავარი ფინანსური ინვესტორი და ინოვაციური პროდუქტის მომხმარებელი**,[10] სასწავლო პროცესის უშუალო მონაწილე, რომელიც თავისი საგანმანათლებლო-კვლევითი დაინტერესებით, აქტიურობითა და ინტენსიური ჩართულობით იძენს ახალ საბაზო-აკადემიურ განათლებას/ცოდნას და თანამედროვე ინტელექტუალურ-პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რითაც ხელს უწყობს სოციუმში SMART-უნივერსიტეტის სამეწარმო-ინოვაციურ განვითარებასა და პრესტიჟული იმიჯის საყოველთაო დამკვიდრებას.
- **SMART-თანამშრომელი** – უნივერსიტეტის მომსახურე პერსონალი (სპეციალისტი, მენეჯერი და სხვ.), რომელიც ფლობს თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ეხმარება აკადემიურ პერსონალს სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვაში, პასუხს აგებს მიმდინარე საქმიანობაზე, შემოქმედებითად წყვეტს სტანდარტულ საკითხებს.

კანადური კომპანია „SMART Technologies"-ის მიერ უკვე დამზადებულია 25 მილიონზე მეტი ინტერაქტიური პროდუქტი (სენსორი, ფირფიტა), რომლებიც ჩართულია კომპიუტერებსა და ვიდეოპროექტორებში და გამოიყენება მსოფლიოს საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და კომპანიებში.[11] უახლოეს მომავალში კონკურენტუნარიანი ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იქნება, რომელიც ინდუსტრია-4.0-ის კონცეფციის იდეების რეალიზაციას დროულად და ეფექტურად შესძლებს.

ინდუსტრია-4.0-ის მოთხოვნების პირობებში, აუცილებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილება, მენეჯმენტის ოპტიმიზაცია და პროფესორსა და სტუდენტს შორის ელექტრონულ-ქსელური ურთიერთობის სისტემის შექმნა, მათ შორის, ინტერნეტ-რესურსების აქტიური გამოყენებით.

უნივერსიტეტში SMART-გარემოს შესაქმნელად გამოიყენება:

- თანამედროვე Flash-ტექნოლოგიების ბაზაზე შექმნილი დინამიური ანიმაციები, მობილური დანართები და მედია-სერვისები, თანმხლები აუდიო ინფორმაციითა და ინტერაქტიური ნავიგაციის შესაძლებლობებით;
- საგანმანათლებლო ინჟინერინგი და გლობალური ქსელური ტექნოლოგიები;
- ცოდნის მართვისა (Knowledge Management) და სწავლების მართვის სისტემა (LMS _ Learning Management System);
- გადაწყვეტილებათა მხარდაჭერის ინტელექტუალური სისტემები (IDSS _ Intelligent Decision Support Systems);

10. **Зубеева Е. В. (2014)**. Хомоиноватикус. Концепция инночеловека в системе стратегического менеджмента инно-вационного предприятия. «Креативная Экономика». №7, С. 131.

11. **Селянская Г. Н. (2015).** SMART-университет ответ на вызовы новой промышленной революции. «Креативная экономика». №9, С. 1156.

- ბიზნესინტელექტის სისტემა (BI _ Business Intelligence);
- მომხმარებელზე ორიენტირებული მენეჯმენტი (GRM _ Customer Relationship Management);
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არქიტექტურის მართვა (EAMU _ EEnterprise Architecture management University) და სხვა.

ტრადიციულად, ჩვენი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტრუქტურაშია ფაკულტეტები, დეპარტამენტები/კათედრები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (ლაბორატორიები) და სხვა ქვედანაყოფები, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობას. მართვის ასეთი ვერტიკალურ-ადმინისტრაციული ორგანიზაციული სტრუქტურა ხაზობრივ-ფუნქციურ პრინციპზეა აგებული, რომელიც საშუალებას იძლევა მკაფიოდ გაკონტროლდეს მატერიალურ-ფულადი ნაკადები და ეფექტურად იმართოს მიმდინარე პროცესები.

თუმცა, ვერტიკალური მართვის მექანიზმი კონსერვატიულია და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პრაქტიკაში არსებულ ინოვაციურ სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროცესთან მეტწილად წინაღმდეგობაშია. ამ ბარიერის დასაძლევად საჭიროა მართვის დეცენტრალიზაციის კომპონენტების გაძლიერება, ანუ მართვის ხაზობრივ-ფუნქციური მიდგომიდან, მართვის მოქნილ, შედეგების მიღწევაზე ორიენტირებულ პროცესულ მიდგომაზე გადასვლა.

ხაზობრივ-ფუნქციური მიდგომა მკაფიოდ განსაზღვრავს რა უნდა გაკეთდეს, ხოლო პროცესული – საქმიანობის ურთიერთდაკავშირებულ და განმაპირობებელ საშუალებებს ადგენს. ამ უკანასკნელის უპირატესობა იმაშია, რომ ისპობა ქვედანაყოფებს შორის ფუნქციური ბარიერები და მაღლდება თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა თავისი საქმიანობის შედეგებზე, რადგან მათთვის მნიშვნელოვანი ხდება არა მარტო საკუთარი მუშაობის, არამედ, და უპირველესად, მთელი ბიზნესპროცესის შედეგები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა ბიზნესპროცესი სამ ჯგუფად იყოფა:

1. **ძირითადი ბიზნესპროცესები** – ფასეულობების (დამატებული ღირებულების) შემქმნელი პროცესები. მაგალითად, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. სწორედ ეს პროცესები განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების შემოსავლებს;
2. **დამხმარე ბიზნესპროცესები**, რომლებიც აუცილებელია უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის შესანარჩუნებლად. ასეთებია საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფის პროცესები.
3. **მართვის ბიზნესპროცესები,** რომლებიც გათვალისწინებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართავად, კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და განვითარების უზრუნველსაყოფად.

თითოეულ ბიზნესპროცესს უნდა ჰყავდეს თავისი მმართველი, რომელსაც ექნება მაღალი უფლებამოსილება და დაეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა.

ბოლო ათწლეულში ცივილიზებულ სამყაროს (აშშ, დასავლეთ ევროპა, იაპონია) საგანმანათლებლო პრაქტიკაში მყარად დამკვიდრდა სამეწარმო უნივერსიტეტის მართვის მოდელი, რომლის კონცეფციის დამუშავებას უცხოეთში მრავალი კვლევა მიეძღვნა. თუმცა, ამ ცნების არსი ცალსახად დღემდე არ ჩამოყალიბებულა. უმეტესად მკვლევრები სამეწარმო უნივერსიტეტის განმარტებას მისდამი წაყენებული მოთხოვნებით ცვლიან. მაგ., ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტი **ჯ. როპკე** სამეწარმო უნივერსიტეტს ასეთ მოთხოვნებს უყენებს:[12]

1. უნივერსიტეტმა, როგორც ორგანიზაციამ, სამეწარმო ქცევა უნდა აჩვენოს;
2. უნივერსიტეტის წევრების – პროფესორების, სტუდენტებისა და თანამშრომლების – თუნდაც ნაწილი მოწოდებით მეწარმე უნდა იყოს;
3. უნივერსიტეტსა და გარე გარემოს შორის ურთიერთზემოქმედება უნივერსიტეტისა და რეგიონის „სტრუქტურულ შეუღლებას“ უნდა იწვევდეს.

ტერმინი „მეწარმე“ სამეცნიერო ბრუნვაში ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში შემოიტანა ამერიკელმა მეცნიერმა **იოსებ შუმპეტერმა.**[13] მან წარმოადგინა სამეურნეო განვითარების ისეთი დინამიური მოდელი, რომლის მამოძრავებელია მეწარმეთა ინოვაციური ქცევა, მისგან გამომდინარე ტექნოლოგიური ცვლილებებით. შუმპეტერმა მას „ახალ კომბინაციები“ უწოდა და ხუთი ჯგუფი გამოყო: 1. ახალი სიკეთეების წარმოება; 2. წარმოების ახალი მეთოდების გამოყენება და არსებული სიკეთეების გამოყენების კომერციალიზაცია; 3. გასაღების ახალი ბაზრების ათვისება; 4. ნედლეულის ახალი წყაროების ათვისება; 5. დარგობრივი სტრუქტურის ცვლილება.

გარდა ამისა, შუმპეტერმა მეწარმის ისეთ პირად თვისებებზეც გაამახვილა ყურადღება, რომლებიც სამეწარმო-ინტელექტუალური შესაძლებლობების მდგრად კავშირს განაპირობებს. ესაა სპეციფიკური მოტივაცია, როცა მთავარია არა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ აქტიური საქმიანობა კონკურენტების დასამარცხებლად და შემოქმედებითი სიხარულის განცდა. იგი თავისებური ინტელექტია, რომელიც გამოირჩევა არასტანდარტული გადაწყვეტილებით, დამანგრეველი ძალითა და განვი-

12. **Ropke J. (1998).** The Entrepreneurial University: Innovation, academic knowlende creation and regional development in a globalized economy./J. Ropke//Working Paper, Departament of Economics, Phlipps-Universitat, Marburg, Germany.

13. **Шумпетер Й. (2007).** Теория экономического развития: пер. с англ. М., «Директ-Медиа». 400 с.

არსებობს სხვა მოსაზრებებიც, კერძოდ, ტერმინი „მეწარმე“ 1720 წელს პირველად გაავრცელა ფრანგმა ეკონომისტმა რიჩარდ კანტილიონმა, ასევე ფრანგმა ეკონომისტმა ჟან ბატისტ სეიმ, დაახლოებით, 1800 წელს და ა.შ.

თარებული შინაგანი ინტუიციით.

შუმპეტერის შემდეგ მეწარმის ცნებამ მრავალი ინტერპრეტაცია განიცადა. მაგ., სამეწარმო საქმიანობაზე ორიენტირებული თანამშრომლების გამოსაყოფად, ამერიკელმა მეცნიერმა **გიფორდ პინჩოტმა** „შიდა სამეწარმო“ ტერმინი გაავრცელა და ორგანიზაციულ-პიროვნული მახასიათებლების შერწყმის ოპტიმალურ ვარიანტად მიიჩნია.[14]

ჰარვარდის (აშშ) ბიზნესის სკოლის ერთ-ერთი წამყვანი პროფესორი **ჰოუარდ სტივენსონი** სამეწარმო საქმიანობად თვლის „მოცემულ მომენტში კონტროლირებად რესურსებს მიღმა არსებული შესაძლებლობების ძიებას“.[15]

მოცემული განმარტებით სამეწარმო საქმიანობის ცნების შინაარსი მნიშვნელოვნად ფართოვდება, რადგან მის განმარტებაში ახალი ნიშნები იკვეთება – მიაღწიოს დასახულ მიზნებს და მიიღოს შედეგი იმ პირობებში, როცა საწყის ეტაპზე დასახული ამოცანები აბსოლუტურად უპერსპექტივო ჩანს. ამისთვის მეწარმეს უნდა გააჩნდეს მრავალი თვისება: შეუპოვრობა, ამაღლებული ენერგეტიკა, იმ შესაძლებლობების დანახვის უნარი, რასაც სხვები ვერ ამჩნევენ, რისკიანობა, მოქნილობა და გარემოს ცვლილებებზე სწრაფი რეაქცია, და რაც ყველაზე მთავარია – გამომგონებლობა. იგი თავისებური სინთეზური სუბიექტია მმართველის, შემსრულებლისა და გამომგონებელ-ნოვატორის კომპლექსური თვისებებით.

სამეწარმო უნივერსიტეტი თავის საქმიანობას ორი მიმართულებით წარმართავს: პირველი, ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც მომავალში საკუთარი საქმის (ბიზნესის) შექმნა/გაძღოლა შეეძლებათ, და მეორე, თვით უნივერსიტეტის სამეწარმო საქმიანობა, რაც გულისხმობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეწარმო საქმეში ჩართულობას და ამ მიზნით ინფორმაციულ-საკონსულტაციო და რესურსულ მხარდაჭერას.

ამგვარად, სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეწარმო საქმიანობა გულისხმობს მოქმედ სამართლებრივ სივრცეში მეტწილად შემოსავლის მომტან დამოუკიდებელ, ინიციტივიან და სარისკო მოღვაწეობას მისი საწესდებო ამოცანების გადასაწყვეტად.

მოწინავე უნივერსიტეტები ძირითად აქცენტს სამეწარმო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ფორმირებაზე აკეთებენ. ამისთვის უნივერსიტეტის სტრუქტურაში და/ან სხვა კომპანიებში ქმნიან სამეწარმო პროექტების განვითარების ცენტრებს, ბიზნესინკუბატორებს, სადაც სტუდენტები, პროფესორების კონსულტაციით, ივითარებენ საჭირო უნარ-ჩვევებს, აყალიბებენ სამეწარმო ორგანიზაციულ კულტურას, ეწევიან შემოქმედებითი იდეების კომერციალიზაციას და სხვ. ამგვარი პრაქტიკა ფართოდ დანერგილია უცხოეთის უნივერსიტეტებში. მაგ., ოქსფორდის უნივერსიტეტთან 300-მდე კომპანია მუშაობს 4 მილიარდი დოლარის საერთო წლიური ბრუნვით, აქედან მეოთხედი უნივერსიტეტის წილია. ჰარვარდის უნივერსიტეტის სამეწარმო საქმიანობაში ჩართულია, დაახლოებით, 15 მლრდ-ი დოლარის კაპიტალი და სხვ.[16]

მეწარმეები საქმიანობის არა მარტო ახალ სფეროებს დღენიადაგ ეძებენ, არამედ, წარმოდგენით, ახალი სამეურნეო შესაძლებლობების სპექტრსაც კარგად „ხედავენ“.

როგორც ირკვევა, სტივენსონის ხსენებული აზრი საგანგებოდ მნიშვნელოვანია, რადგან მართალია აშკარა წინააღმდეგობაშია ეკონომიკური თეორიის კლასიკურ პრინციპებთან, მაგრამ ინტელექტუალურ სამეწარმო საქმიანობასთან მიმართებაში მისაღებია და ახალი ეკონომიკის ზრდის ფაქტორებთან აბსოლუტურად შესაბამისობაშია.[17]

სტივენსონის განსაზღვრება განსაკუთრებით კარგია იმიტომაც, რომ იგი ადამიანის საქმიანობის რომელიმე კონკრეტული სფეროთი არ იზღუდება: სამეწარმო საქმიანობა შესაძლებელია თითქმის ყველა სფეროში და, მათ შორის, აკადემიურშიც განხორციელდეს.

ხშირად, ტერმინებს – „სამეწარმო საქმიანობა“ და „ბიზნესი“ – ერთმანეთთან აიგივებენ, რაც არამართებულია. მათ შორის არსებულ განსხვავებაზე ამერიკელი მეცნიერი, მენეჯმენტის „მამად“ წოდებული **პიტერ დრუკერიც** მიუთითებდა და აღნიშნავდა „ყოველი ახალი წვრილი ბიზნესი არაა სამეწარმო და არ წარმოადგენს მეწარმეობითს“.[18]

თანამედროვე რუსი მეცნიერი **ალექსი ასაული** მეწარმეობას განსაკუთრებულ სამეურნეო საქმიანობად განიხილავს და ამტკიცებს, რომ ბიზნესისგან განსხვავებით მას ახასიათებს ნოვატორობა, რაც საბაზრო წონასწორობას არღვევს. ამ გზით ბიზნესმენმა შეიძლება მიიღოს დამატებითი შემოსავალი, მაგრამ, დროთა განმავლობაში, მის სფეროში კაპიტალის გადადინება, ინოვაციების დიფუზია, ბაზრის ყველა მონაწილის პირობებს ათანაბრებს. ამიტომ დამატებითი შემოსავალი იკლებს, რაც ბიზნესმენს წარმოების დივერსიფიკაციისკენ უბიძგებს.[19]

სამეწარმო საქმიანობა იწყება სამეწარმო აზროვნების გააქტიურებით, შინაგანი იმპულსით, შემდეგ გრძელდება ახალი იდეის დაბადებით, მისი ექსპერტიზით, მატერიალიზებითა და რესურსების მოძიებით. ეს პროცესი მაშინ მთავრდება, როცა იდეის რეალიზაციით პირველი მოგება მიიღება. თუ დამუშავებული სქემა კვლავ გამეორდება, ბიზნესიც

14. **Pinchot G. (1998).** Intrapreneuring: Mitarbeiter als Unternehmen./ Wiesbaden: Gabler.

15. **Stevenson H. H. (2000).** Why Entrepreneurship Has Won!//Goleman White Paper, Addressed at USASBE Plenary Confe-rence.

16. **Nabiullin T. R. (2013).** The Features of University Development as a Subiect of Entrepreneurial activity. P. 2.

17. **Орлов В. М. (2014).** Интелектуальное предпринимательство. Челябинск. ФГОУ ВПО «ЮурГУ» (НИУ). С. 5.

18. **Друкер П. Ф. (1992).** Рынок: как выйти в лидеры: Практика и принципы. Пер. с англ. М., «Бук Чембэр Интер-нэшнл», С. 31.

19. **Acaul A.N. (2009).** The organization of business activite: toturial/ A.N. Acaul-SPb.: ANO IPEV, 336 p.; **Асаул А.Н. (2009).** Организация предпринимательской деятельности. СПб. 204 с.

განვითარდება, ანუ აპრობირებული პროდუქტი/მომსახურება იწარმოება და კომერციალიზდება.

სამეწარმო საქმიანობის მიზანია ბიზნესის შექმნა/განვითარება, ბიზნესის კი, – მოგების მიღება.

სამეწარმო საქმიანობის ეკონომიკური არსია საზოგადოებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად წარმოების ახალი ფაქტორების (მაგ., პროდუქციის/ტექნოლოგიის განახლება) ახლებური კომბინაციის მოძიება და რეალიზაცია.[20]

ავსტრიული სკოლის თანამედროვე წარმომადგენელი **იზრაელ კირცნერი**, ცნობილი დიდი მეცნიერ-ეკონომისტის ლუდვიგ ფონ მიზესის მოწაფე, ადამიანის სამეწარმო შესაძლებლობების გამოვლენას მის განსაკუთრებულ უნართან – სიფხიზლესთან აკავშირებს. მას მიაჩნია, რომ სიფხიზლე ეხმარება ინდივიდს შეიცნოს საზოგადოებაში მოსალოდნელი ცვლილებები და ის საშუალებები აირჩიოს, რომლებიც ხელს შეუწყობს დასახული მიზნის ეფექტურად მიღწევაში.[21]

თანამედროვე ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ესპანელი მეცნიერის ხესუს უერტა დე სოტოს აზრით, სამეწარმო საქმიანობაში სიახლის „შემქმნელია მხოლოდ ადამიანის გონება“. ამიტომ იგი ამ სფეროში ცოდნის სამ თავისებურებას გამოყოფს:[22]

1. **პრაქტიკულობა.** სამეწარმო ცოდნა შეიძინება ადამიანის საქმიანობაში ეკონომიკური მეცნიერების საფუძველზე;
2. **ექსკლუზიურობა**. ყოველი ინდივიდი ისეთ უნიკალურ მიზნებს ისახავს, რომელიც სამყაროს მისეულ ხედვას შეესაბამება. თითოეული მეწარმე საზოგადოებაში გავრცელებული ცოდნის მხოლოდ ნაწილს ფლობს. სახელმწიფოს ჩარევით (იგულისხმება ინვესტიცია) სამეწარმო საქმიანობის გააქტიურება მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაშია ეფექტური;
3. **იმპლიციტურობა**. სამეწარმო ცოდნის სხვაზე გადაცემა შეზღუდულია, რადგან ყოველი ინდივიდის უნარები (მაგ., შინაგანი ინტუიცია, ალღო, ვარაუდი და სხვ.) ფარულია (იმპლიციტურია, ლატენტურია,[23] ნაგულისხმევია). ასეთი ცოდნა სახელმძღვანელოებსა და სახელმწიფო პროგრამებში არ ფიქსირდება.[24]

როგორც ვხედავთ, სამეწარმო საქმიანობა ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს ინოვაციურობაზე, გამომგონებლობასა და ინდივიდის ფარულ შესაძლებლობებზე.

რუსი მეცნიერი **ტატიანა ორლოვა** მეწარმის ტიპის შვიდ მახასიათებელს გამოყოფს:[25]

1. **კრეატიულობა,** როგორც სამეურნეო საქმიანობაში შემოქმედება;
2. **ავანტიურიზმი** – ორიენტირებული გარღვევაზე, გონებრივ შეტევაზე, აგრესიასა და ექსპანსიაზე;
3. **ოპტიმიზმი**, ანუ წარმატების რწმენაზე, გაკეთებული არჩევანის სამართლიანობაზე;
4. **გენერაციულობა** – იმპროვიზაციის შესაძლებლობა, აზროვნების ინვარიანტულობა და პლურალისტური შეფასება;
5. **განსაკუთრებული ენერგეტიკა**;
6. **ინოვაციურობა** როგორც მუდმივი განახლება, მოდერნიზაცია და სრულყოფა;
7. **ლიდერობისკენ ორიენტაცია**.

„მეწარმის“ ცნების შინაარსის განვითარებაში საყურადღებოა თანამედროვე ამერიკელი მეცნიერის **რიჩარდ ჩერვიტცის** კონცეფცია – „ინტელექტუალური მეწარმეობა“. მას მიაჩნია, რომ „მატერიალური დოვლათის შექმნა სამეწარმო საქმიანობის ერთ-ერთი მხარეა და იგი მხოლოდ ბიზნესით არ იზღუდება. მეწარმეობა არის მიზანდასახული ქმედება სამყაროს დასაუფლებლად, კულტურული ინოვაციის თანამიმდევრული პროცესი.[26]

მაშასადამე, ინტელექტუალური მეწარმე შეიძლება იყოს არა მარტო ბიზნესმენი, არამედ მეცნიერი, სტუდენტი, ასპირანტი, მუსიკოსი, პროდიუსერი და ა.შ.

საყურადღეობა ის, რომ თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგ-ეკონომისტი **რიჩარდ ფლორიდა** მათ შემოქმედებით ჯგუფში აერთიანებს და „კრეატიულ კლასს“ უწოდებს.[27]

ამგვარად, შეიძლება აიგოს ლოგიკური ჯაჭვი ცნებების:

„მეწარმე“ – „ინტელექტუალური მეწარმე“ – „აკადემიური მეწარმე“.[28]

ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, „ინტელექტუალური სამეწარმო საქმიანობის“ ცნების ამგვარი გაგება საგანმანათლებლო-კვლევით სფეროში, ანუ უნივერსიტეტების საქმიანობის მიმართაც თავისუფლად გავრცელდეს.

ჩერვიტცის ინტელექტუალური სამეწარმო საქმიანობის კონცეფციის საფუძველია ოთხი ფასეული ორიენტირი: **ხედვა და აღმოჩენა** (vision and discovery), **საკუთრება და პასუხისმგებლობა** (ownership and accountability), **ინტეგრალური აზროვნება და მოქმედება** (integrative thinking and action), **თანამშრომლობა და**

20. **Игнатова И. В. (2014).** Предпринимательство и бизнес: Терминологическая дифференциация. Интернет-журнал «НАУКОВЕДЕНИЕ», Выпуск 6 (25).

21. **Kirzner M. Israel. (1997).** Entrepreneurial Discovery and the Competitive Market Process: An Austrian Approach // Journal of Economic Literature. Vol. XXXV. P.60-85.

22. **Уэрта де Сото Х. (2009).** Автрийская экономическая школа: рынок и предпринимательское творчество. Челябинск: Социум, С. 106.

23. ლატენტური (არაცხადი, ფარული) ცოდნის ტერმინის ავტორია ამერიკელი მეცნიერი **მაიკლ პოლანი.**

24. **Пономарев А. В. (2011).** Интелектуальное предпринимательство как процедура открития. Вестник МГИМО-уни-верситета. М., №1 (6). С. 140.

25. **Орлова Т.С. (2007).** Формирование национальной модели хозяиствования. Екатеринбург. Госэконуниверситета. С.48.

26. **Cherwitz R. (2005).** Creating a Culture of Intellectual Entrepreneurship. Academe 91. July/August. Vol. 5.

27. **Флорида Р. (2007).** Креативный класс: люди, которые меняют будущее. Пер. с англ. М., «Классика-XXI», 432 с.

28. **Мкртычян Г. А. (2014).** Предпринимательский университет: концепция и диагностика культуры. «Вестник Минс- кого университета». №4. С. 47.

ურთიერთზემოქმედება (collaboration and teamwork).[29]

სამეწარმო უნივერსიტეტების კონცეფციის ფორმირებაში მეტად მნიშვნელოვანია მისი ფუძემდებლის, გამოჩენილი პედაგოგისა და უმაღლესი განათლების სისტემის თანამედროვე ამერიკელი მკვლევრის, **ბერტონ კლარკის** ფუნდამენტური ნაშრომები[30], რომლებშიც ავტორი ხსნის, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ უნივერსიტეტებმა უკეთ უპასუხონ XXI საუკუნის მსოფლიოში არსებულ სწრაფცვალებად გამოწვევებს.

აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ევროპის, ავსტრალიის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის 14 მოწინავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგალითზე **ბ. კლარკი** გვიჩვენებს, თუ როგორ აღწევენ უნივერსიტეტები ინიცირებასა და თანდათანობით ცვლილებას, ეკონომიკისა და საზოგადოების ახალ მოთხოვნებთან ორგანულ ადაპტირებას.

კლარკმა დეტალურად შეისწავლა მოწინავე უნივერსიტეტების სამეწარმო ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები. მეცნიერის ინტერესი მათდამი დღევანდელი ობიექტური რეალობიდან გაჩნდა. საქმე იმაშია, რომ უნივერსიტეტებისთვის მთელ მსოფლიოში საგანგაშო ეპოქა დადგა. მათ წინაშე ახალ-ახალი სირთულეები ნაწვიმარზე აღმოცენებული სოკოებივით გამრავლდა. უმაღლესმა განათლებამ ადრინდელი სიმყარე და მდგრადობა რეალურად დაკარგა. მის წინაშე მრავალი მოლოდინი წარმოიშვა: სტუდენტების მოთხოვნები გაიზარდა, რადგან სურთ განსხვავებული და თანამედროვე განათლების მიღება განახლებული სასწავლო პროგრამებითა და ახალი სასწავლო კურსებით; მეცნიერებატევადი კომპანიები, რომლებიც პროფესიული დასაქმების ახალ ბაზრებს სწრაფად ქმნიან, ახალგაზრდა კომპეტენტურ კადრებს ელიან; მთავრობები მათგან საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში დახმარებას ითხოვენ და, იმავდროულად, მერყეობენ კიდეც უნივერსიტეტების დაფინანსებაზე, რითაც ნაკლებად საიმედო პარტნიორები ხდებიან; და რაც მთავარია – საუნივერსიტეტო კვლევითი ბაზა დიდი სიჩქარით ქმნის ახალ ცოდნას, თანდათანობით ადიდებს სპეციალობების რაოდენობას და დისციპლინური სფეროების სპექტრს აფართოებს. უნივერსიტეტებს კი ცოდნის ზრდის ტემპების შეჩერება ან თუნდაც შენელება არ შეუძლიათ.[31]

კლარკის აზრით, უნივერსიტეტები სახელმწიფოს, საზოგადოების, დამსაქმებლების, სტუდენტთა მშობლებისა (ძირითადი დამფინანსებლები) და თვით სტუდენტების მიერ ანთებული მოგიზგიზე ცეცხლის ალის გადაკვეთის მოლოდინში აღმოჩნდნენ. თანაც, ეს მოლოდინები განუწყვეტლივ იცვლება და უფრო მძაფრდება. გაჩნდა სკეპტიკური მოსაზრებებიც, კერძოდ, უმაღლესი განათლების, როგორც ასეთის, საჭიროების აუცილებლობის შესახებ.

მეტად საყურადღებო და დამაფიქრებელია **ბ. კლარკის** ერთ-ერთი ციტატა: «Исследование современного академического предпринимательства учит нас тому, что XXI веке университеты все чаще будут получать то, чего они заслуживают. Удача улыбнется тому, кто выработает в себе институциональную прывичку к изменениям».[32]

ინოვაციური უნივერსიტეტების კვლევის შედეგად, **ბ. კლარკი** გვთავაზობს ტრადიციული უნივერსიტეტის სამეწარმო უნივერსიტეტად ცვლილების მინიმუმ ხუთ საბაზო მახასიათებელს:[33]

1. **მმართველი ბირთვის როლის გაძლიერება, რომელიც გარდაქმნის პროგრამულ ამოცანებს და შეცვლის სტრუქტურებს.** მას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ფორმები (ჩვეულებრივ მოიცავდეს მართვის ცენტრალურ ჯგუფებს/განყოფილებებს), მაგრამ, ახალ ფასეულობებს, ტრადიციულ აკადემიურ ღირებულებებთან, ორგანულად უნდა ათანხმებდეს;
2. **პერიფერიული განვითარების გაფართოება.** მასში მოიაზრება ინდუსტრიასთან, საზოგადოებასთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაძლიერება. ამისთვის შეიძლება შეიქმნას ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და ინოვაციური სამეწარმო საქმიანობის მხარდამჭერი ახალი სტრუქტურები (ინოვაციური ინფრასტრუქტურის, ტექნოლოგიების ტრანსფერის, მოწინავე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინკუბაციის ცენტრები, ვენჩურული ფონდები, ბიზნეს-ინკუბატორები და სხვ.), რომელთა ლოზუნგი შესაძლოა იყოს: „პოვნა და შერწყმა“ და/ან „კვლევა და განვითარება“;
3. **დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია.** ბოლო პერიოდში მრავალ განვითარებულ ქვეყნაში სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტების დაფინანსება მცირდება (სახელმწიფო სუბსიდია, დაახლოებით, 1/3-ის ფარგლებშია[34]). ამიტომ საუნივერსიტეტო კვლევები, უმეტესად, უნდა იყოს ბაზარზე მოთხოვნადი, გამოყენებითი, ანუ რეალიზებადი, და არა მარტო აბსტრაქტულ-ფუნდამენტური. საჭიროა სახელმწიფო/კერძო ბიზნესის დაინტერესება, გრანტებისა და კონტრაქტების მრავალფეროვნება, შემოწირულობებ-

29. **Орлов В. М. (2014).** Интелектуальное предпринимательство. Челябинск. ФГОУ ВПО «ЮурГУ» (НИУ). С. 1.

30. **Кларк Б. Р. (2011).** Система высшего образования: академическая организация в кросс-национальной перспективе. Пер. с англ. «Высшая школа экономики». М., 360 с.; **Кларк Б. Р. (2011).** Создание предпринимательских университетов: организационные направления трансформации. Пер. с англ. «Высшая школа экономики». М., 240 с.; **Кларк Б. Р. (2011).** Поддерживание изменений в университетах. Преемственность кейс-стади и концепций. Пер. с англ. «Высшая школа экономики». М., 312 с.

31. **Чекмарев В. В. и др. (2013).** Мировой социально-экономический контекст высшего образования. «Экономика образования». М., №1.

32. **Кларк Б. Р. (2011).** Поддерживание изменений в университетах. Преемственность кейс-стади и концепций. Пер. с англ. «Высшая школа экономики». М., С. 308.

33. **Кларк Б. Р. (2011).** Создание предпринимательских университетов: организационные направления трансформации. Пер. с англ. «Высшая школа экономики». М., С. 21-25.

34. **Захаров А. А. (2015).** Предпринимательские трансформации в Токийском университете: уроки для российских вузов. «Креативная экономика», 9(8). С. 975-994.

ის გაფართოება;

4. **მასტიმულირებელი აკადემიური სტრუქტურების ჩამოყალიბება**, ანუ არსებული ფაკულტეტების შენარჩუნება, ოღონდ გაძლიერებული სამეწარმო სულისკვეთებით, მართვის ტრადიციულ შეხედულებებთან თანამედროვე ფასეულობების შეწყმა/განვითარება ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით;
5. **სამეწარმო ორგანიზაციული კულტურის ფორმირება,** როგორც აუცილებელი პერსპექტივა უნივერსიტეტში სამეწარმო საბაზო ელემენტების განვითარებისთვის. მასში სამეწარმო კულტურის (უნარების) მქონე თანამშრომელთა აზროვნება მოიაზრება.

თანამედროვე უნივერსიტეტებში ცვლილებები სამ დონეზე მიმდინარეობს:

- **შიდა ორგანიზაციის სფეროში.** ტრადიციულ სტრუქტურებს (ფაკულტეტები, კათედრები) ემატება სხვებიც: ტექნოლოგიური ქვედანაყოფები, კვლევითი ინსტიტუტები, კვალიფიკაციის ამაღლების კათედრები და ა.შ. მათი საქმიანობით უნივერსიტეტის ახალი იმიჯი ყალიბდება;
- **აკადემიური საქმიანობის როლისა და ამოცანების განსაზღვრის სფეროში.** როლების ტრადიციულ იერარქიაში, რომელშიც ძირითადი აკადემიური ფუნქცია იყო, „დამხმარე“ პერსონალი აქტიურად ერთვება და მათი შერჩევა უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამასთან, ხშირად, აკადემიური პერსონალი დამატებით „არააკადემიურ“ როლსაც ასრულებს, ანუ როლებს შორის გამიჯვნა თანდათან იშლება;
- **ორგანიზაციულ-კორპორატიული კულტურის სფეროში.** ტრადიციულად, უნივერსიტეტი საბაზრო ორგანიზაციებისგან განსხვავებული საზოგადოებრივი ინსტიტუტია. მისი განსხვავებულობა სასწავლო-საგანმანათლებლო დამოუკიდებლობაში, ხოლო თვით ორგანიზაციაში – წევრებს შორის არსებულ კოლეგიალურობაში გამოიხატება. ტრადიციული აკადემიური ფასეულობებისა და აკადემიურ საქმიანობაში მიმდინარე ცვლილებებმა, უნივერსიტეტებში ეს განსაკუთრებულობა თანდათან წაშალა. ცოდნის საზოგადოების ფორმირების პირობებში აკადემიურ ინსტიტუტებსა და სხვა ტიპის ორგანიზაციებს შორის ზღვარი თანდათან მოისპო.

სამეწარმო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია კორპორატიული კულტურის საკითხი.

ზოგადად, ორგანიზაციული კულტურის ტიპოლოგიის მრავალი მოდელი არსებობს,[35] თუმცა, სამეწარმო უნივერსიტეტის სფეროში იგი ნაკლებშესწავლილია. ჯერჯერობით, ასეთი კულტურის ადეკვატური მეთოდოლოგიური ინსტრუმენტარიუმი მკაფიოდ არ განსაზღვრულა, რის გამოც ბიზნესკომპანიებში დამკვიდრებული პრაქტიკით ხელმძღვანელობენ.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-ანი წლების ბოლოს გამოქვეყნდა ცნობილი ინგლისელი რეალისტი მწერლის ჩარლზ სნოუს მოხსენება: „Two Cultures and the Scientific Revolution“,[36] რომელშიც აღწერილია კულტურის ორ საერთო-საკაცობრიო მიმართულებას – ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო – შორის არსებული „განხეთქილება“. მწერალი ფრთხილად მიგვითითებს მოსალოდნელ საშიშროებაზე, დაკავშირებულს საზოგადოებისა და ცოდნის დეზინტეგრაციაზე. თუმცა, მის შეგონებას სათანადო ყურადღება დღემდე არ მიქცევია.

ბოლო პერიოდში წარმოიშვა კულტურის ახალი მიმართულება, რომელსაც პირობითად შეიძლება „ბიზნესკულტურა“ ეწოდოს. ამით კი, სნოუსეული „განხეთქილება“ უკვე სამ მიმართულებაში – ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო და საქმიანი – გადაიზარდა. საჭირო გახდა ამ კულტურების დივერგენციის პრობლემის გათავისება და უარის თქმა მეცნიერულ შემეცნებაზე, როგორც ერთადერთ შესაძლებელ და საყურადღებო დომინანტზე.[37]

აღნიშნულს ის ვითარება განაპირობებს, რომ ბიზნესში მომუშავე მენეჯერისთვის აუცილებელია სამივე ტიპის კულტურის დამახასიათებელი ძირითადი უნარ-თვისებები:

პირველი, ხატოვანი (სახოვანი) აზროვნება, რომელიც პრინციპულად საჭიროა ახალი ბიზნესიდეის გენერაციისა და კონკურენტული უპირატესობის უზრუნველსაყოფად. ასეთი აზროვნება კი ჰუმანიტარული კულტურის ფარგლებში ვითარდება;

მეორე, ზუსტი ანალიზი და გაანგარიშება, რომელიც ბიზნესიდეის წარმატებული რეალიზაციის საფუძველია, მხოლოდ მათემატიკურ-სტატისტიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით შეიძლება. სიღრმისეული ანალიზი და ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება კი საბუნებისმეტყველო კულტურის პროგრამატივაა;

მესამე, ბიზნესკულტურას ახასიათებს განსხვავებული თავისებურებაც: მოითხოვს მოცემულ სოციუმში (საზოგადოებაში, ორგანიზაციაში) არსებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების (სოციალური პასუხისმგებლობა, ზნეობრიობა, ბიზნესეთიკა და სხვ.) ურთიერთკავშირსა და გარემოებათა გათვალისწინებას. ამიტომ მეწარმის ბიზნესგანათლების ორიენტაცია ხსენებული კულტურების მთავარი ასპექტების ორგანული სინთეზი უნდა იყოს.

სოციუმის ამ სეგმეტში საყურადღებოა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ვინაიდან ცოდნის დიდი მოცულობის ფლობა უკვე აღარ არის მთავარი კონკურენტული უპირატესობა, რადგან იგი სწრაფად ძველდება, ხოლო ინფორმაცია არნახულად ხელმისაწვდომი გახდა, ინდივიდის უპირატესობა ახალი ცოდნა/იდეის წარმოშობის პოტენციურ უნარ-შესა-

35. ცნობილია, მაგ., ჰოფსტედეს, აკოფის, დილ-კენედის, ჰენდისა და სხვათა ტიპოლოგიები.

36. ქართულად: „ორი კულტურა და სამეცნიერო რევოლუცია“. **Сноу Ч. С. (1985).** Две культуры и научная революция. Пер. с англ. В кн.: Сроу Ч.П. Портреты и размышления. М., «Прогресс».

37. **Орлов В. М. (2014).** Интелектуальное предпринимательство. Челябинск. ФГОУ ВПО «ЮурГУ» (НИУ). С. 22.

ძლებლობაში ვლინდება, რაც ინტელექტუალური სამეწარმო საქმიანობის საფუძველთა საფუძველია. ინდივიდის პერსონალური უნარ-შესაძლებლობების დიდი ნაწილი კი ფარულია, არაფორმალიზებული, ექსკლუზიური, უნიკალურია, ანუ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელია, რომლის ადგილზე შეცვლა ან ბაზარზე „ყიდვა“ საკმაოდ ძნელია ან თითქმის შეუძლებელია. წარმოიშობა ისეთი სიტუაცია, როცა ორგანიზაცია/კომპანია კონკრეტული მუშაკით უფრო დაინტერესებულია, ვიდრე თვით ინდივიდი კომპანიით (განსხვავებით ინდუსტრიულ საზოგადოებაში არსებული ვითარებისა, როცა ინდივიდების ურთიერთჩანაცვლება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან ძირითად სამუშაოს ტექნიკა ასრულებს). უფრო მეტიც, ასეთი ინდივიდი თავის შრომას ორგანიზაციაზე უბრალოდ კი არ ყიდის, არამედ ორგანიზაცია მისი უნიკალური ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის გარემო ხდება.

აღნიშულიდან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ორგანიზაციის/კომპანიის მენეჯმენტმა თანამშრომლებისთვის ისეთი ჰარმონიულ-პროგრესული ორგანიზაციული კულტურა უნდა დაამკვიდროს, რომელიც ინოვაციურ მუშაკებს თავიანთი ექსკლუზიური უნარ-შესაძლებლობების სრულად გამოვლენისა და განვითარების საშუალებას მისცემს, ხოლო მათი ერთობლივი კომპოზიციით ორგანიზაცია/კომპანია მაღალ სინერგიულ ეფექტს მიაღწევს.[38]

თანამედროვე პირობებში კორპორატიული კულტურა უნივერსიტეტის განვითარებისა და კონკურენტულ გარემოში საქმიანობის ეფექტურობის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი ხდება. ამიტომ სამეწარმო ინტელექტუალური საწარმოსთვის მეტად მნიშვნელოვანია იმ ფასეულობების გაცნობიერება, რომელსაც იგი ეფუძნება.

ნახ. 1. კამერონ-კუინის ორგანიზაციული კულტურის მოდელი[39]



ამ მიმართებით განვითარებულ სამყაროში საკმაოდ პოპულარულია ამერიკელი მეცნიერების **კამერონისა** და **რობეტ კუინის** კორპორატიული კულტურის თანამედროვე მოდელი. მისი საფუძველია კონკურენტული ფასეულობების ჩარჩო-კონსტრუქცია, რომელშიც ორგანიზაციის საქმიანობის შეფასების 40-მდე ინდიკატორია გამოყენებული. თითოეული მათგანი სტატისტიკურ ანალიზს ექვემდებარება, რაც საშუალებას იძლევა გამოიყოს ორი მთავარი განზომილება: მოქნილობა – სტაბილურობა და შიდა ფიკუსი – გარე ფოკუსი. ორივე განზომილება ოთხ კვადრატს ქმნის, რომელთაგან თითოეული შეესაბამება თავის წარმოდგენას ეფექტურობის, ფასეულობებისა და ხელმძღვანელობის სტილის შესახებ და, მთლიანობაში, ერთიან ორგანიზაციულ კულტურას ორგანულად აყალიბებს.

ამ ნიშნით არსებობს ოთხი ტიპის ორგანიზაციული კულტურა: კლანური, იერარქიული (ბიუროკრატიული), ედჰოკრატიული[40] და საბაზრო (იხილეთ ნახ. 1).[41]

სამეწარმო უნივერსიტეტის საქმიანობის სფეროში უცხოეთში ასევე აპრობირებულია ამერიკელი მეცნიერების **რობ გოფისა** და **გერეტ ჯონსის** ორგანიზაციული კულტურის მოდელი, სახელწოდებით: **„ორმაგი ს-ის კუბი“**, რომლის თანახმად, ორგანიზაციული კულტურის შეფასების ძირითადი ინდიკატორებია თანამშრომელთა შორის არსებული **სოციალურობა** და **სოლიდარობა**. პირველი ასახავს მეგობრული ურთიერთობის დონეს, მეორე კი, – ორგანიზაციის საერთო მიზნებისადმი თანამოაზრეობის, აზრთა თანხმობის ხარისხს.

საყურადღებოა ისიც, რომ თითოეული ეს კულტურა შეიძლება გამოვლინდეს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ნიშნებით (იხილეთ ნახ. 2).

რამდენიმე სამეწარმო უნივერსიტეტში გოფი-ჯონსის მოდელის დიაგნოსტიკის შედეგებით ირკვევა, რომ უმეტესად მათ აქვთ ერთობის (საერთო) კულტურა დამახასიათებელი სოციალურობისა და სოლიდარობის მაღალი ხარისხით, ანუ მეტწილ საკითხებზე და ორგანიზაციის საერთო მიზნებისადმი თანამშრომლებს ახასიათებთ მეგობრულ ატმოსფეროში ურთიერთობა. ნათლად გამოიკვეთა ისიც, რომ საბუნებისმეტყველო პროფილის მუშაკებში სოლიდარობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სოციალურ-ჰუმანიტარული და ეკონომიკური პროფილის თანამშრომლებში. ვფიქრობთ, ამ განსხვავებულობას მათივე სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის თავისებურებები განაპირობებს. საბუნებისმეტყვე-

38. შდრ.: – **პეტრე კაპიცა**: „ხელმძღვანელობა იმას ნიშნავს, რომ კარგ ადამიანებს ხელს არ უშლიდე მუშაობაში“.

39. **Камерон К., Куинн Р. (2001).** Диагностика и изменение организационной культуры. Пер. с англ. СПб, «Питер». 320 с.

40. ტერმინი წარმოდგება ლათინური გამოთქმიდან: „ad hoc“, რომელიც ნიშნავს სპეციალურად ამ შემთხვევისთვის“. ტერმინი შემოთავაზებულია ამერიკელი სოციოლოგისა და ფუტუროლოგის, **ელვინ ტოფლერის** მიერ 1984 წელს გამოცემულ წიგნში: „Future Shock“. თავისი არსით იგი ბიუროკრატიულის საპირისპიროა, არის უმაღლესი ხარისხის ორგანიზაციული კულტურა, ღია, თავისუფალი, მოქნილი და შემოქმედებითი მართვის სტილი. ახასიათებს ჰორიზონტალურ-არაიერარქიული ორგანიზაცია. უმეტესად გამოიყენება საპროექტო გუნდის შექმნისას მოკლევადიანი ამოცანების გადასაწყვეტად.

41. **Пак В. Д., Нужина Н. И. (2014).** Основные типологии организационной культуры. Томск. «Социологические науки». Сентябрь. С. 38.

ლო პროფილის მუშაკებისთვის სოლიდარულობა მნიშვნელოვანია გამოყენებით სფეროებში კვლევებისა და დამუშავებებისთვის, რადგან მათ საქმიანობას გუნდური ხასიათი აქვს.

ნახ. 2. გოფი-ჯონსის ორგანიზაციული კულტურის მოდელი[42]



სხვა სიტუაცია შეინიშნება სოციალურ-ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ პროფილებში. აქ ნიშანდობლივია ინდივიდუალური მოღვაწეობა, რაც განაპირობებს კიდეც მაღალი ხარისხის ავტონომიურობასა და დამოუკიდებლობას კვლევითი პროექტების რეალიზაციაში.[43]

მთლიანობაში გოფი-ჯონსის მოდელი სამეწარმო საუნივერსიტეტო კულტურასთან უფრო შესაბამისია, რადგან სამეცნიერო-საგანმანათლებლო სპეციფიკასთან შედარებით ახლოა.

გარდა ამისა, ამ მოდელით შეიძლება არა მარტო ორგანიზაციული კულტურის რომელიმე ტიპი დაფიქსირდეს, არამედ მისი გამოვლენის დადებითი ან უარყოფითი მხარეებიც შეფასდეს. თუმცა, კულტურის სხვა ტიპებიც გასათვალიწინებელია, რამეთუ მოცემული საკითხი პრინციპულად მნიშვნელოვანია და უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის ვექტორის ცვლილების განმსაზღვრელია.

დიაგნოსტიკის შედეგების ინტერპრეტაციისთვის შესაძლოა გამოვიყენოთ უნივერსიტეტის კულტურის შედარება ბიზნესკულტურასთან (კომპარატივისტიკა).[44]

ცნობილია, რომ ერთობის (საერთო) კულტურას მიმართავენ ისეთი მაღალტექნოლოგიურ-ინოვაციური კომპანიები, როგორიცაა, მაგ., Hewlett-Packard, Electronics Arts, Apple, Johnson and Johnson და სხვ. მათ თანამშრომლებს აქვთ თანხვედრი შეხედულებები და ახასიათებთ მეგობრული ურთიერთობები. ისინი საკუთარ თავს ორგანიზაციასთან აიგივებენ: ტანსაცმელს ატარებენ კომპანიის ლოგოტიპით, ორგანულად ითავისებენ კომპანიის მისიას და სხვ.

ასეთი წანამძღვრები აუცილებელია ინდივიდუალური და გუნდური შემოქმედებისთვის. თუ უნივერსიტეტს სურს მაღალტექნოლოგიურ-ინოვაციურ კომპანიებს მიბაძოს (დაემსგავსოს), უნდა შექმნას ამგვარი ორგანიზაციული კულტურა. ასეთი ლოგიკა მართზომიერია იმ დაშვებისთვის, რომ სამეწარმო უნივერსიტეტები და მაღალტექნოლოგიურ-ინოვაციური ბიზნეს-კომპანიები, მათ მისიებსა და მიზნებში არსებული პრინციპული განსხვავებების მიუხედავად, მაინც ერთგვაროვანი ტიპის ორგანიზაციებია.

საინტერესოა ორგანიზაციული კულტურის ტიპოლოგია ბრიტანელი ფილოსოფოსის **ჩარლზ ჰენდის** მიხედვით:[45]

„ძალაუფლების (როლის) კულტურა“ – სერიული წარმოება: სტუდენტების ნაკადური მომზადება; დადგენილი სტანდარტებითა და რეგლამენტით მუშაობა; მმართველობითი კონტროლი.



„ამოცანის კულტურა“ – უნიკალური პროდუქტების წარმოება: სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, ინოვაციური პროდუქტები, კონსალტინგურ-საექსპერტო მომსახურება.



„პიროვნების კულტურა“ – სამეცნიერო სკოლებისა და სახელოსნოების (შემოქმედებითი ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებულია გამოჩენილი მეცნიერის ან სპეციალისტის გარშემო) მოღვაწეობა.

რა თავისებურებები ახასიათებს ინტელექტუალურ სამეწარმო საქმიანობას?[46]

- **ინტელექტუალური უშიშრობა,** რაც ნებისმიერი სირთულის პრობლემის დაძლევისადმი შეუპოვრობას ნიშნავს. უფრო მეტიც, ასეთი პიროვნება მით უფრო აზარტულია, რაც რთულია თვით გადასაწყვეტი პრობლემა;
- **ინფორმაციული განათლებულობა.** იგი ინფორმაციის დიდ მასივში სასურველი ინფორმაცი-

42. **Gofee R. (2006).** Why should anyone be led BY YOU? What It Takes to Be an Authentic Leader. Harvard Business school Press. Boston, Massachusetts. P. 256; **Гофф Р. (2008).** Почему люди должны следовать за нами?: Книга о том, что значит быть истинным лидером. Пер. с англ. М., «Манн, Иванов и Фербер». 240 с.

43. **Мкртычян Г. А. (2014).** Предпринимательский университет: концепция и диагностика культуры. «Вестник Минс-кого университета». №4. С. 48.

44. **Грудзинский А. О. (2012).** Организационная культура как фактор развития инновационного университета. «Вест-ник Нижегородского университета им. Н. И. Лобачевского». №4 (1). С. 12-17.

45. **Handy Ch. (1996).** Gods of Management: The Changing Work of Organizations. N.Y.: Oxford University Press, 272 p.

46. **Костантинов Г., Филонович С.** Интелектуальное предпринимательство и предпринимательский университет. [http://www.buk.irk.ru/exp_seminar/5/doc1.pdf]

ის პოვნასა და სწრაფად დამუშავების უნარს გულისხმობს;

- **ჭარბი ინფორმაციის შემოტევისადმი გამკლავება.** ამ თვისებაში მნიშვნელოვანია პიროვნების შინაგანი განწყობა, როცა საგნის/მოვლენის შესახებ მაღალი ხარისხის განუსაზღვრელობის, ანუ ინფორმაციის დეფიციტის პირობებშიც კი, მას ოპერატიულად შეუძლია ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება;
- **ახალი ცოდნის შექმნის უნარი.** ხშირად, ახალი ცოდნა იბადება კოგნიტური (შემეცნებითი) დისონანსის[47] შედეგად, როცა ადამიანი მოცემულ საკითხზე ორ ან მეტ სიგნალს იღებს და მათ ადეკვატურად ვერ აფასებს. საჭიროა ამ დისკომფორტის ზღვარის გადალახვა;

ახალი ცოდნის შექმნისადმი გაძლიერებული მოტივაცია. მართალია ეს საკითხი კარგად არ შესწავლილა, მაგრამ, ერთი რამ ცხადია: ამ შემთხვევაში არსებით როლს ასრულებს ინდუქციის ეფექტი, ანუ როცა ადამიანი ცოდნის გენერაციის მოტივირებულ ჯგუფშია ჩართული, მასაც ახალი ცოდნის შექმნის მძაფრი სურვილი უჩნდება.

ამ თავისებურებებიდან ჩანს, რომ ინტელექტუალური სამეწარმო საქმიანობა მიმართულია ცოდნის გენერაციის დაჩქარებისკენ. შედეგად, ბუნებრივად, წარმოიშობა მრავალი კითხვა:

– შეიძლება თუ არა ინტელექტუალური სამეწარმო საქმიანობის სწავლება?

– შეუძლია თუ არა ამ ამოცანის გადაწყვეტა კლასიკურ (ტრადიციულ) უნივერსიტეტს, თუ საჭიროა ახალი ტიპის უნივერსიტეტი?

– შეუძლია კი სამეწარმო საქმიანობის სწავლება იმ უნივერსიტეტს, რომელიც თვითონ არ არის სამეწარმო ორიენტაციის? და სხვ.

ტრადიციული უნივერსიტეტის ჰუმბოლდტისეული[48] მოდელის ძირითადი ფუნქცია ახალი ცოდნის გენერაცია და გავრცელება იყო, რისთვისაც საჭირო ფინანსებს იგი გარედან (უმეტესად, სახელმწიფოსგან) იღებდა.

ტრადიციული ანუ გარედან სუბსიდირების შეზღუდულობა უნივერსიტეტის ძირითადი მიზნების მიღწევის შესაძლებლობას ამცირებს. თუ სტივენსონის განსაზღვრებას გამოვიყენებთ, შეიძლება ითქვას, რომ სამეწარმო უნივერსიტეტი მისი ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობას გამუდმებით თვითონვე ეძებს.

ამ საკითხზე მეტად საყურადღებოა რუსი მეცნიერის გ. კოსტანტინოვის მოსაზრება. იგი თვლის, რომ სამეწარმო უნივერსიტეტი ისეთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც სისტემატურად ცდილობს დასძლიოს ბარიერი სამ ძირითად სფეროში – ცოდნის გენერაციაში, სწავლებასა და კომერციალიზაციაში.[49]

ცოდნის გენერაციის სფეროში: – მუდმივად იმუშაოს კვლევის ახალი მეთოდების დამუშავებაზე და ცოდნის ახალი სფეროების კვლევაზე ან უკვე ცნობილ სფეროებში ახალ პრობლემებზე;

სწავლების სფეროში: – განავითაროს სწავლების ინოვაციური მეთოდები და სწავლების შინაარსის მოდიფიკაცია შეძლოს მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების ასახვით;

ცოდნის კომერციალიზაციის სფეროში: – სხვადასხვა ფორმების დანერგვით გააძლიეროს საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხარისხი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამივე ეს სფერო თანაბრად მნიშვნელოვანია.

ამგვარად, სამეწარმო უნივერსიტეტი არის ისეთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მუდმივად ცდილობს გადალახოს შეზღუდულობა საბაზო სფეროებში – ცოდნის გენერაციაში, სწავლების სრულყოფაში და ცოდნის კომერციულ პროდუქტად გარდაქმნაში – საქმიანობის ახალი სახეობის ინიცირებით, საკუთარი ტრანსფორმაციითა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მოდიფიკაციით.

ამ სფეროებში უნივერსიტეტის თავისუფლება ძირითადი რესურსების (ფინანსური, ინფორმაციული და ადამიანისეული) დეფიციტის პირობებში შეზღუდულია. ხშირად, აღნიშნული რესურსების გარედან მოზიდვა განიხილება, როგორც უტყუარი სამეწარმო ნიშანი (ფხიანობა, მოქნილობა), რაც არამართებულია, რადგან გარედან რესურსების მოძიება მეორეხარისხოვანია ზემოთ მითითებულ სფეროებში არსებულ სირთულეთა დაძლევასთან შედარებით. მართალია, რესურსების (მეტწილად, ფინანსური) მოზიდვის გარეშე უნივერსიტეტის სამეწარმო საქმიანობა დიდად იზღუდება, მაგრამ ეს რესურსები უნივერსიტეტმა თავისი ძალისხმევით თვითონვე უნდა მოიპოვოს, და არა გარედან მზამზარეული მიიღოს. ტრადიციული უნივერსიტეტები, როგორც წესი, რესურსულ პრობლემას განიხილავენ როგორც ისეთ ამოცანას, რომელიც მათ კი არა, იმ გარემომ უნდა გადაწყვიტოს, რომელშიც ფუნქციონირებენ. პარადოქსია, როცა ამ პრობლემას გარემო წყვეტს, უნივერსიტეტის თანამშრომელთა სამეწარმო აქტიურობა და, შესაბამისად, მთელი უნივერსიტეტის სამეწარმო პოტენციალი მნიშვნელოვნად კლებულობს.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ უნივერსიტეტის სტუდენტობა ამავე უნივერსიტეტის ინვესტორია, რომელიც შესაბამის უკუგებას (იგულისხმება განათლების დონე) ელოდება.

არსებითია აღინიშნოს, რომ რესურსების პრობლემა კავშირშია სერიოზულ გარდაქმნებთან როგორც უნივერსიტეტის შიდა გარემოში, ისე გარე გარემოსგან იზოლაციის ტენდენციების გადალახვასთან მიმართებაში.

მთლიანობაში უნივერსიტეტის სამეწარმო საქმი-

47. დისკომფორტის მდგომარეობა, როცა ადამიანს ერთ ობიექტზე ერთდროულად აქვს ორი წინააღმდეგობრივი „ცოდნა“ (შეხედულება, აზრი, წარმოდგენა, განზრახვა).

48. **ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი** (1767–1835) – გერმანელი იდეალისტი, მეცნიერ-ფილოლოგი, სახელმწიფო მოღვაწე, ბერლინის უნივერსიტეტის დამაარსებელი.

49. **Костантинов Г. Н. (2007).** Что такое предпринимательский университет. «Вопросы образования». М., №1. С. 49-62.

ანობის პრობლემა სქემატურად მატრიცის სახით შეიძლება ასე გამოისახოს (იხილეთ ცხრილი 1).

ცხრ. 1. უნივერსიტეტის სამეწარმო საქმიანობის მატრიცა[50]

ჭეშმარიტი სამეწარმო საქმიანობა / **რესურსული შეზღუდვის გადალახვა**	ადამიანისეული რესურსების დეფიციტის გადალახვა	ფინანსური რესურსების დეფიციტის გადალახვა	ინფორმაციული რესურსების დეფიციის გადალახვა
შეზღუდვების გადალახვა ცოდნის გენერაციის სფეროში			
შეზღუდვების გადალახვა სწავლების სფეროში			
შეზღუდვების გადალახვა ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის სფეროში			

მოცემული მოდელით შესაძლებელია იმ სფეროების შერჩევა, რომლებშიც აქტიურობას აპირებს უნივერსიტეტი. სანიმუშოდ განვიხილოთ სამეწარმო ინოვაციური ძალისხმევა სწავლების სფეროში.

მიმდინარე ეპოქაში ადამიანის საქმიანობის ხასიათის ცვლილებამ, რომელიც ნათლად აღწერა ინფორმაციული საზოგადოების ცნობილმა თანამედროვე მკვლევარმა, ურბანული სოციოლოგიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ესპანელმა მანუელ კასტელსმა, განათლების სისტემაში მრავალი პარადოქსი (უცნაური მოვლენა) წარმოშვა.[51] ამიტომ აუცილებელია სხვაგვარად გავიაზროთ თუ რა და როგორ უნდა ვასწავლოთ ახალ პირობებში. ეს პარადოქსებია:

ინფორმაციული სიჭარბის პარადოქსი. ცნობილია, რომ ინტერნეტში განთავსებულია დიდძალი მოცულობის მრავალფეროვანი, როგორც სარწმუნო (ვალიდური), ისე არასარწმუნო საყოველთაო ინფორმაცია, რაც ახალი ცოდნის გენერაციაზე მისი მომხმარებლის მოტივაციას დიდად ამცირებს. ნაცვლად იმისა, რომ სწავლის მსურველმა ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაცია[52] (კომპარატივისტიკული ანალიზი, კორელაციის მიგნება, კანონზომიერებისა და ტენდენციების დადგენა, სიტუაციის/მოვლენის კრიტიკული შეფასება, ხარვეზების გამოვლენა და ა.შ.) გააკეთოს, საკუთარ შეხედულებებთან შეაჯეროს და ცოდნა, როგორც საყოველთაო საზოგადოებრივი სიკეთე, კიდევ უფრო გაამდიდროს, მოძიებული ინფორმაცია კოპირებით მექანიკურად გადმოაქვს და სხვათა მოსაზრებებს საკუთარ შეხედულებად გვთავაზობს (რასაც მეცნიერებაში პლაგიატობა ეწოდება). უფრო მეტიც, ამ დროს ინფორმაცია ცოდნად წარმოგვიდგება, მათ შორის არსებული განსხვავება იშლება და, რაც ყველაზე მთავარია – ინფორმაციის კრიტიკული დამუშავების უნარები ვერ/არ გამომუშავდება.[53]

გაურკვევლობის პარადოქსი. რაიმე საკითხზე ოპერატიული გადაწყვეტილების მიღებისას დიდძალი მოცულობის ინფორმაციის თავისუფალი ხელმისაწვდომობა მათი ალტერნატივების რაოდენობას ადიდებს, რაც მოცემულ სიტუაციაში ინდივიდის დაბნეულობის (გაურკვევლობის, შეშფოთების) დონეს აძლიერებს. ეს განცდა მას უფრო სარწმუნო/ფასეული ინფორმაციის საპოვნელად ახალი ძიებისკენ უბიძგებს, რაც გაურკვევლობის ხარისხს კიდევ უფრო ამაღლებს. ანალოგიური სიტუაცია წარმოიშობა ცოდნის მიმართაც: შეძენილი ცოდნა ადიდებს ცოდნას და, იმავდროულად, აფართოებს არცოდნის ზონასაც.[54]

დღეს გავრცელებულია გამოთქმა „ცოდნის დაძველების პერიოდი“, რაც ნიშნავს დროის იმ ინტერვალს, რომლის განმავლობაშიც ცოდნა კონკრეტულ სფეროში ძველდება და გაუყენებელი ხდება. მაღალი ტექნოლოგიების სფეროში ეს პერიოდი შედარებით ხანმოკლეა – 2-2,5 წელი, სხვა სფეროებში უფრო მეტი – 4-5 წელი. ტრადიციული გაგებით, განათლება ცოდნის გადაცემაზე იყო ორიენტირებული და ერთჯერადად მიღებული, თუნდაც ხარისხიანი და უნიკალური ცოდნა პიროვნების კონკურენტულ უპირატესობას მუდმივად განაპირობებდა. თანამედროვე სწრაფად ცვალებად სამყაროში ასეთი უპირატესობა აღარაა განმსაზღვრელი. ამ ფაქტის გაცნობიერებით კიდევ ერთი საყურადღებო პრობლემა – განათლების პარადოქსი წარმოიშობა. სხვა წაკითხვით, ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ადრე მიღებული ცოდნის ფასი დროთა განმავლობაში იკლებს და ეს დროც სულ უფრო მცირდება.[55]

განათლების პარადოქსთან მჭიდრო კორელაციაშია არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე პრობლემა – სწავლა/დამახსოვრების პარადოქსი. სწავლა, ანუ განათლების მიღება, მოითხოვს საჭირო ინფორმაციის დამახსოვრებას (თუ გვახსოვს, ვიცით, ანუ გვაქვს ცოდნა, თუ არ გვახსოვს, მაშასადამე, არ ვიცით, რადგან დაგვავიწყდა ადრე ათვისებული ცოდნა/ინფორმაცია). ცოდნის სწრაფი დაძველების თანამედროვე პირობებში, მახსოვრობიდან უსარგებლო (ურგები) ინფორმაციის მოცილება (ტვინის „გაწმენდა/გასუფთავება“) ან არაარსებითის თავიდანვე არდამახსოვრება/ყურადღების არგამახვილება (ტვინის წინასწარი „ფილტრაცია“) აუცილებელი ხდება.[56] ამიტომ უნდა ვისწავლოთ ზედმეტი ინფორმაციის დავიწყება/არდამახსოვრება (იგივე ეხება ადამიანის ადრინდელ ცუდ ზრახვებსა და მავნე ჩვევებსაც).

ინფორმაციის ნაკადი ინტენსიურად იზრდება.

50. **Костантинов Г., Филонович С. (2007).** Что такое предпринимательский университет. «Теоретические и приклад-ные исследования». М., С. 56.

51. Кастельс М. (2000). Информационная эпоха: экономика, общество и культура. Пер. с англ. М., ГУ ВШЭ. 437 с.

52. აზრის ახსნა, განმარტება.

53. შდრ.: – დემოკრიტე: „კაცი ღრმა აზროვნებას უნდა ესწრაფოდეს და არა ღრმა ცოდნას“.

54. შდრ.: – სოკრატე: „მე ის ვიცი, რომ ცოტა ვიცი“; ან კიდევ, – ქეი-ქაუსი: „ისეთ სიმაღლეს მისწვდა გონება, რომ ახლა მივხვდი რა უვიცი ვარ“; ან კიდევ, – ჰერაკლიტე: „პოლიმათია – მრავლის ცოდნა, ჭკუას ვერ შეგვძენს“.

55. შდრ.: – არისტოტელე: „დრო პროცესია, რომელიც ყოველივეს ქმნის და სპობს, ანგრევს და აშენებს“.

56. შდრ.: – სენეკა: „უნდა ვისწავლოთ მხოლოდ აუცილებელი და არა ყველაფერი, რაც გზად შეგვხვდება“.

ერთ ადამიანს მისი სრულად ათვისება მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ შეუძლია. აღნიშნული ვითარება მომავალში კიდევ უფრო გართულდება. ამიტომ ნათლად წარმოჩნდა ცოდნის ერთიანი კომპლექსური ნაკრების შექმნის პრობლემა. სხვა წაკითხვით: რა და როგორი დოზით უნდა იცოდეს ყოველმა ინდივიდმა რომ ღირსეულად შეძლოს თანამედროვე პირობებში მუშაობა?

ჩვენი აზრით, სწორედ ამაშია განათლების სფეროში სამეწარმო საქმიანობის საფუძველთა საფუძველი. ლოგიკა გვკარნახობს, რომ უნიფიცირებული (საბაზო) ცოდნის გადაცემის ხანგრძლივობა უნდა შემცირდეს, ხოლო სწავლების შესაბამისი მეთოდები, დროის მოთხოვნების კვალობაზე, პერიოდულად შეიცვალოს.

რაც შეეხება ცოდნის შევსებისა და სრულყოფის პროცესს, იგი ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში უწყვეტი უნდა გახდეს. თანამედროვე განათლების როლი სწორედ რომ ახალი გამოცდილება/ტექნოლოგიის გადაცემასა და, იმავდროულად, ინდივიდის აზროვნების გააქტიურებასა და შესაბამისი უნარების გამომუშავებაშია, რომლის საფუძველზე საბაზო ცოდნის ტრანსფორმაცია პერიოდულად იქნება შესაძლებელი. ცოდნა იმგვარი უნარების ფლობას საჭიროებს, რეალობასთან რომ გვაკავშირებს.[57]

რუსი მეცნიერების, გ. კოსტანტინოვისა და ს. ფილონოვიჩის აზრით, განათლების სრულყოფის საკითხი სტანდარტიზაციისა და დიფერენციაციის ასპექტებშია განსახილველი.[58]

განათლების სტანდარტიზაცია აუცილებელია როგორც სოციალური, ისე პროფესიული ურთიერთობისთვის. სტანდარტები ორიენტირებულია საბაზო ცოდნის (ე.წ. „საერთო ენის გამონახვის“) შესადგენად, ცოდნის ერთიანი ბირთვის ფორმირებისთვის. დიფერენციაცია ორიენტირებულია ინდივიდუალური კონკურენტული უპირატესობების შესაქმნელად, ცოდნის პერსონალური სისტემისთვის. ორივე ამოცანა განათლების გადასაწყვეტია.

შევაფასოთ თანამედროვე უნივერსიტეტის პოზიციონირება ორი კოორდინატით: „სტანდარტიზაცია – დიფერენციაცია“ (იხილეთ ცხრილი 2).

ცოდნის გავრცელებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროექტები (მარცხენა ქვედა სეგმენტი), ჩვეულებრივ, გაუნათლებლობის წინააღმდეგ მებრძოლი მოხალისე ჯგუფებია, ე.წ. „ვოლონტიორებია“ (მაგალითი: ყოფილი საბჭოეთის საზოგადოება „ცოდნა“).

ცხრ. 2. სტანდარტიზაცია და დიფერენციაცია უნივერსიტეტების საქმიანობაში

დიფერენციაციის დონე	მაღალი	შემოქმედებითი სახელოსნოები სპეციალიზებული ტრენინგები	იდეალური უნივერ-სიტეტი
	დაბალი	მოხალისეები, როგორც ცოდნის გავრცელების აგენტები	მასობრივი უნივერ-სიტეტი
		დაბალი	მაღალი
		სტანდარტიზაციის დონე	

ტრადიციულად, დიფერენციაციის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს შემოქმედებით პრინციპზე დაფუძნებული განათლება, რომელიც დომინირებადია კულტურისა და ხელოვნების სფეროში. აქვე მოიაზრება სპეციალიზებული უნარ-ჩვევების კომპოზიციის განმავითარებელი ტრენინგები (მარცხენა ზედა სეგმენტი).

მასობრივი უნივერსიტეტი (მარჯვენა ქვედა სეგმენტი) დაბალ ფასში საშუალო დონის სპეციალისტებს ამზადებს. მათი დიპლომი შესაბამისი სტანდარტის ოფიციალური აღიარების დასტურია.

იდეალური უნივერსიტეტი (მარჯვენა ზედა სეგმენტი) ერთდროულად წყვეტს ორ ამოცანას: სტანდარტიზაციას და დიფერენციაციას. ასეთ განათლებას ახასიათებს სტანდარტებისადმი მოქნილი მიდგომა, აქვს სპეციალიზაციებისა და არჩევითი კურსების მრავალფეროვანი სპექტრი.

თუ მასობრივი უნივერსიტეტი სტანდარტის მეშვეობით ორიენტირებულია ცოდნის დაბალი დონის თამასაზე, იდეალური უნივერსიტეტი სტუდენტის პირადი მიღწევების ამაღლებისკენ მიისწრაფის.

წარმატებული უნივერსიტეტები იდეალური უნივერსიტეტის მოდელს იყენებენ. მათ აქვთ შემოქმედებით/კრეატიული კვლევების სხვადასხვა სტრუქტურები (მაგ., ლაბორატორიები, ინკუბატორები, ინოვაციური განვითარების ფონდები, ინსტიტუტები, ტექნოპარკები), როლებიც მოწინავე გამოცდილების ტრანსლაციას ახდენენ.

კლასიკური (ტრადიციული) უნივერსიტეტი ძირითადად აქცენტს აკეთებს სტანდარტიზაციაზე და არა დიფერენციაციაზე. თანამედროვე განათლების პარადოქსები იმას ადასტურებს, რომ ფორმირებული სტანდარტები შეიძლება საზოგადოების მოთხოვნებს არსებითად ჩამორჩებოდეს. სტანდარტების განახლების მეთოდოლოგია კი არ არსებობს. აღნიშნულის მაგალითია სიტუაცია მენეჯმენტის სფეროში, რომელიც, ჯერჯერობით, სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებს შორის არსებულ სივრცეშია „უპა-

57. გათრი უ. (1983). ბერძენი ფილოსოფოსები. თბ., გვ. 82.

58. **Костантинов Г., Филонович С. (2007)**. Что такое предпринимательский университет. «Теоретические и прик-ладные исследования». М., С. 56

ტრონოდ“ მოქცეული. არ არსებობს სტანდარტების შესაბამისობის გაზომვის დამაკმაყოფილებელი სისტემაც. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის რიცხოვნობა და ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების რაოდენობა შესაძლოა რეალური მდგომარეობის ამსახველი ნაკლებად იყოს. დაბალხარისხიანი სტანდარტის პირობებში სტუდენტი დასაქმებისთვის ვერც აუცილებელ ცოდნას და ვერც საჭირო უნარ-ჩვევებს ვერ იძენს. შედეგად, როგორც პირადად, ისე მთლიანად საზოგადოება ზარალდება.

საყურადღებოა ისიც, რომ განათლება არ არის რაიმე ნივთი, პერიოდულად რომ გამოცვალო, ახალ-ახალი შეიძინო. ყველაფერს, და მათ შორის, განათლების მიღებასაც, თავისი ოპტიმალური პერიოდი აქვს და შესაბამისი რესურსები (დრო, ფინანსები) სჭირდება. თავიდანვე დაბალხარისხიანი განათლების გაუმჯობესება ინდივიდის ასაკის მომატების კვალობაზე უფრო მეტად რთულდება და იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ულმობელი დროის შესაბამისი მოთხოვნების მიმართ, უფრო მაღალი ხარისხით არაკომპეტენტური რჩება. ამიტომ, საჭიროა ახალ-ახალი მიდგომები სწავლების დიფერენციაციის მიმართ, რომლის მთავარ მიზნად განათლების სისტემაში არსებული პარადოქსების ოპტიმალური მართვა გვესახება.

კიდევ ერთი და არანაკლებ მნიშვნელოვანი სადღეისო პრობლემა. თანამედროვე მეცნიერება (თეორია) ერთ ენაზე „საუბრობს“, პრაქტიკა (ბიზნესი) – მეორეზე. მათი წარმომადგენლები იშვიათად უგებენ სრულად და ნათლად ერთმანეთს, რადგან:

- მეცნიერები ინტელექტუალური მეწარმის კონტექსტში ვითარდებიან და იმ საკითხებს იკვლევენ, რომლებიც მათ აინტერესებთ და პრობლემური ჰგონიათ;
- პრაქტიკას (ბიზნესს) კონკრეტული ამოცანის ოპერატიულად და პრაგმატულად გადაწყვეტა სჭირდება.

მხოლოდ სამეწარმო უნივერსიტეტს შეუძლია თეორიისა და პრაქტიკის ჰარმონიული „შეუღლება“, ერთდროულად ორი ამოცანის გადაწყვეტა – ინტელექტუალური მეწარმეების მომზადება და ბიზნესსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. სამეწარმო უნივერსიტეტების მოდელი ცივილიზებული სამყაროს ყურადღებას იპყრობს. მხოლოდ ასეთ უნივერსიტეტს ძალუძს გაუმკლავდეს განათლების თანამედროვე პრობლემებს, რასაც „ცოდნის საზოგადოებაზე“ გადასვლა განაპირობებს.

2. ინფორმაციული საზოგადოების ეპოქაში, ინდუსტრია-4.0-ის განვითარების კონცეფციის ჩარჩოებში, მაღალკონკურენტუნარიანი ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გახდება, რომელიც SMART-უნივერსიტეტად გარდაიქმნება. სწორედ ისინი შექმნიან ქვეყანაში SMART-განათლების, SMART-ეკონომიკისა და SMART-საზოგადოების კონცეფციის პრაქტიკული განხორციელების ფუნდამენტურ ბაზას.

3. SMART-უნივერსიტეტად გარდაქმნელად აუცილებელია:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილება და მართვის ფუნქციურ-ხაზობრივი მოდელიდან დეცენტრალიზებულ მოდელზე და მართვის პროცესულ სისტემაზე გადასვლა;
- საგანმანათლებლო-კვლევით პროცესში ინოვაციური ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების მეტად გამოყენება, რაც საშუალებას მოგვცემს დისტანციური განათლების ტრადიციული სისტემიდან გადავიდეთ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო ტრაექტორიაზე ფორმირებად მოქნილ სისტემაზე, ავითვისოთ და დავნერგოთ ინტერნეტსივრცეში ღიად ხელმისაწვდომი მსოფლიო მოწინავე უნივერსიტეტების საგანმანათლებლო კონტენტი;
- საჭიროა არსებული საგანმანათლებლო სფეროს ტრანსფორმაცია, უნივერსიტეტების მოდერნიზაცია, მათი სამეცნიერო პოტენციალის ეფექტური გამოყენება, როგორც ცოდნის ულევუშრეტი წყაროსი, ნიმუში მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა (პროფესორები) და პოტენციური ინტელექტუალური კაპიტალის (სტუდენტები) უნიკალური, ჯერ არ ნახული ორგანული შერწყმა-გაერთიანებისა.

4.სამეწარმო უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის შესაფასებლად უნდა დამუშავდეს მეთოდური ინსტრუმენტარიული ორი მიმართულებით:

პირველი: ბიზნესკომპანიების პრაქტიკაში გამოყენებული საიმედო მეთოდების შერჩევა და მათი გადამუშავება. ამასთან, ბიზნესკომპანიების საბაზო პარამეტრებს (ფასეულობებს) უნდა დაემატოს უნივერსიტეტის კულტურის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი განზომილებები. გოფი-ჯონსის მეთოდის აპრობაციის შედეგები აჩვენებს, რომ „ორმაგი ს-ის კუბის“ მოდელი შეიძლება საბაზო მეთოდად გამოვიყენოთ, რომელსაც დაემატება აკადემიური თავისუფლების შეფასების განზომილება. საჭიროა იმის გააზრებაც, თუ რამდენად თავსებადია აკადემიური თავისუფლების ფასეულობა და მეწარმეობა? ხომ არ არის წინააღმდეგობა მათ განზომილებათა შორის?

მეორე: უნივერსიტეტის კულტურის შეფასების სპეციალური მეთოდების დამუშავება, ანუ აკადემიური კულტურის საკვანძო პროფესიული ფასეულობების გამოყოფა, რომელშიც აკადემიური სამეწარმო კულტურის ძირითადი ელემენტებიც იქნება გათვალისწინებული.

5.„ცოდნის საზოგადოებაში“ უნივერსიტეტების მისიათა გადასაფასებლად საჭიროა:

საუნივერსიტეტო განათლების მასობრივი ხასიათის ცვლილება, რომელმაც სტუდენტების მომზადებისა და მოტივაციის დონეზე მათი დისპერსიის (დაშლის, დაყოფის, განბნევის) გადიდება გამოიწვია;

თვით ცოდნის ბუნების ისეთი ტრანსფორმაცია, რომელიც თანამედროვე უნივერსიტეტმა უნდა წარმოშვას და გადასცეს: საბუნებისმეტყველო (ტექნიკური) ცოდნასთან ერთად სულ უფრო მოთხოვნადი ხდება სოციალური და სამეწარმო-ინტელექტუალური ცოდნა. ამიტომ აუცილებელია ერთიან სასწავლო პროგრამაში საბუნებისმეტყველო (ტექნიკური) და სოციალურ-ჰუმანიტარული სასწავლო კურსების ჩართულობის გაძლიერება და თანამედროვე ოპტიმალური ვარიანტის შექმნა;

ცოდნის გადაცემისა და შემოწმების, ანუ სწავლებისა და ცოდნის შეფასების მეთოდების ცვლილება, კიბერსისტემების ფართომასშტაბიანი დანერგვა;

ცოდნის კაპიტალის ცნების არეალის (ფინანსური და ინტელექტუალური კაპიტალი) გაფართოება და სოციალური კაპიტალის შემადგენლის დამატება.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. ბოლონიის პროცესის ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტები. თბ., 2005.
2. Асаул А.Н. (2009). Организация предпринимательской деятельности. СПб. 204 с.
3. Гофф Жак Ле. (2003). Интеллектуалы в Средние века. Пер. с французского. 2-е изд. СПб.
4. Гофф Р. (2008). Почему люди должны следовать за нами?: Книга о том, что значит быть истинным лидером. Пер. с англ. М., «Манн, Иванов и Фербер». 240 с.
5. Грудзинский А. О. (2012). Организационная культура как фактор развития инновационного университета. «Вестник Нижегородского университета им. Н. И. Лобачевского». №4 (1).
6. Друкер П. Ф. (1992). Рынок: как выйти в лидеры: Практика и принципы. Пер. с англ. М., «Бук Чембэр Интернэшнл».
7. Ефимов В.С., Лаптева А. В. (2010). Корпоративная культура – инструмент развития университета. «Федеральные и национальные исследовательские университеты».
8. Захаров А. А. (2015). Предпринимательские трансформации в Токийском университете: уроки для российских вузов. «Креативная экономика», 9(8).
9. Зубеева Е. В. (2014). Хомоиноватикус. Концепция инночеловека в системе стратегического менеджмента инновационного предприятия. «Креативная Экономика». №7.
10. Игнатова И. В. (2014). Предпринимательство и бизнес: Терминологическая дифференциация. Интернет-журнал «НАУКОВЕДЕНИЕ», Выпуск 6 (25).
11. Камерон К., Куинн Р. (2001). Диагностика и изменение организационной культуры. Пер. с англ. СПб, «Питер». 320 с.
12. Кастельс М. (2000). Информационная эпоха: экономика, общество и культура. Пер. с англ. М., ГУ ВШЭ. 437 с.
13. Кларк Б. Р. (2011). Система высшего образования: академическая организация в кросс-национальной перспективе. Пер. с англ. «Высшая школа экономики». М., 360 с.
14. Кларк Б. Р. (2011). Создание предпринимательских университетов: организационные направления трансформации. Пер. с англ. «Высшая школа экономики». М., 240 с.
15. Кларк Б. Р. (2011). Поддерживание изменений в университетах. Преемственность кейс-стади и концепций. Пер. с англ. «Высшая школа экономики». М., 312 с.
16. Костантинов Г., Филонович С. Интелектуальное предпринимательство и предпринимательский университет. [http://www.buk.irk.ru/exp_seminar/5/doc1.pdf]
17. Костантинов Г. Н. (2007). Что такое предпринимательский университет. «Вопросы образования».
18. Мкртычян Г. А. (2014). Предпринимательский университет: концепция и диагностика культуры. «Вестник Минского университета». №4. С. 47. М., №1. С. 49-62.
19. Орлов В. М. (2014). Интелектуальное предпринимательство. Челябинск. ФГОУ ВПО «ЮурГУ» (НИУ).
20. Орлова Т.С. (2007). Формирование национальной модели хозяиствования. Екатеринбург. Госэконуниверситета.
21. Пак В. Д., Нужина Н. И. (2014). Основные типологии организационной культуры. Томск. «Социологические науки». Сентябрь.
22. Пономарев А. В. (2011). Интелектуальное предпринимательство как процедура открития. Вестник МГИМО-университета. М., №1 (6).
23. Селянская Г. Н. (2015). SMART-университет _ ответ на вызовы новой промышленной революции. «Креативная экономика». №9.
24. Сноу Ч. С. (1985). Две культуры и научная революция. Пер. с англ. В кн.: Сроу Ч.П. Портреты и размышления. М., «Прогресс».
25. Уэрта де Сото Х. (2009). Автрийская экономическая школа: рынок и предпринимательское творчество. Челябинск: Социум.
26. Флорида Р. (2007). Креативный класс: люди, которые меняют будущее. Пер. с англ. М., «Классика-XXI», 432 с.
27. Чекмарев В. В. и др. (2013). Мировой социально-экономический контекст высшего образования. «Экономика образования». М., №1.
28. Шумпетер Й. (2007). Теория экономического развития: пер. с англ. М., «Директ-Медиа». 400 с.
29. Acaul A.N. (2009). The organization of business activite: toturial/A.N. Acaul-SPb.: ANO IPEV, 336 p.

30. Gofee R. (2006). Why should anyone be led BY YOU? What It Takes to Be an Authentic Leader. Harvard Business school Press. Boston, Massachusetts. P. 256.
31. Kirzner M. Israel. (1997). Entrepreneurial Discovery and the Competitive Market Process: An Austrian Approach // Journal of Economic Literature. Vol. XXXV. P. 60-85.
32. Ropke J. (1998). The Entrepreneurial University: Innovation, academic knowlende creation and regional development in a globalized economy./J. Ropke// Working Paper, Departament of Economics, Phlipps-Universitat, Marburg, Germany.
33. Nabiullin T. R. (2013). The Features of University Development as a Subiect of Entrepreneurial activity.
34. Pinchot G. (1998). Intrapreneuring: Mitarbeiter als Unternehmen./Wiesbaden: Gabler.
35. Stevenson H. H. (2000). Why Entrepreneurship Has Won!//Goleman White Paper, Addressed at USASBE Plenary Conference.
36. Cherwitz R. (2005). Creating a Culture of Intellectual Entrepreneurship. Academe 91. July/August. Vol. 5.
37. Handy Ch. (1996). Gods of Management: The Changing Work of Organizations. N.Y.: Oxford University Press, 272 p.

ჯონ მეინარდ კეინზსა და ფრიდრიხ ავგუსტ ჰაიეკს შორის საუკუნის ბრძოლა და საქართველო

ნინო მაზიაშვილი, პროფესორი

რეზიუმე

ეკონომისტებისათვის საუკუნის ბრძოლა ასოცირდება ორ სახელოვან ეკონომისტს, ჯონ მეინარდ კეინზსა (1883-1946) და ფრიდრიხ ავგუსტ ჰაიეკს (1899-1992) შორის დებატებთან.

რამ გამოიწვია ეს ცხარე დებატები ამ ორ კლასიკოსს შორის და ეხება თუ არა ეს საქართველოსაც? დიახ, ეხება. მოთხოვნის ნაკლებობა … რა არის რეცესიისა და უმუშევრობის მიზეზები?

ჰაიეკიც და კეინზიც ცდილობდნენ შეექმნათ მსოფლიოს საუკეთესო მოდელები, რომლის მიხედვითაც დაძლეული იქნებოდა უმუშევრობა და ეკონომიკური არასტაბილურობა. კეინზი თავის მხრივ უპირატესობას ანიჭებდა, სახელმწიფოს, საჯარო სექტორისა და ცენტრალური ბანკების ეკონომიკაში ჩარევის პოლიტიკას, რათა არსებული ეკონომიკური კრიზისები აღმოფხვრილიყო. ამის საპირისპიროდ კი, ჰაიეკი თვითრეგულირებადი, თავისუფალი ბაზრის დამცველად გვევლინება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევასა და ინვესტიციების სიმრავლეს გაცილებით უფრო ღრმა ეკონომიკურ კრიზისად მიიჩნევს, რომლისგანაც თავის დაღწევა საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

კეინზისთვის პირიქით, აღდგენისათვის საჭიროა მოხმარებისა და დანახარჯების ზრდა მოსალოდნელი მოგების მოლოდინის შენარჩუნების მიზნით. ჰაიეკი მოითხოვდა უფრო მკაცრ ეკონომიკასა და ფისკალურ კონსერვატიზმს, კეინზი კი უფრო მეტად დახარჯვასა და ინვესტირებაზე ორიენტირებულ ეკონომიკას.

ჰაიეკმა, რომელიც 1992 წელს 93 წლის ასაკში გარდაიცვალა, ერთხელ აღნიშნა რომ იმისათვის რომ უკანასკნელი სიტყვა გქონდეს საჭიროა შენს ოპონენტზე მეტხანს იცოცხლო. მისი უდიდესი უპირატესობა სწორედ ის იყო, რომ კეინზზე თითქმის 50 წელზე მეტხანს იცოცხლა და ამგვარად მისი სიკვდილის შემდგომ მოახერხა მეტოქეზე გამარჯვება, რომელიც სანამ ცოცხალი იყო ინტელექტუალურად მას სასტიკად ამარცხებდა და მიუხედავად მთელი თავისი ორიგინალურობისა, როგორც თავისუფლების ფილოსოფოსისა, ჰაიეკი საბოლოოდ დამარცხდა კეინზთან ბრძოლაში.

Summary

The battle of the century associates with debates between two famous economists, John Maynard Keynes (1883-1946) and Friedrich August Hayek (1899-1992).

What caused such a hot debates between these two classics and does it concern Georgia? Yes, it concerns. The lack of demand… What causes recession and unemployment?

Both Hayek and Keynes tried to create the best models in the world, which would overcome unemployment and economic instability. Keynes gave priority to the policy of interference in economy by the state, the public sector and by central banks, in order to resolve the current economic crisis. As opposed to this, Hayek is self-regulated, free market protector, who considers the interference in economy by the state and an abundance of invetstments, a deeper economic crisis, from which escape requires persistent effort.

In contrast, Keynes considered the growth of consumption and costs are necessary for restoration in order to maintain profit expectations. Hayek demanded stricter economy and fiscal conservatism, Keynes demanded more spending and investment-oriented economy.

Hayek, who died in 1992 at the age of 93, once mentioned, that in order to have the last word you must live longer than your opponent. His greatest advantage was that he live almost 50 years longer than Keynes and thus he managed to win his opponent, who, when was alive, severely intellectually beat him and despite all his distinction as a philosopher of freedom, Hayek finally was defeated in the battle with Keynes.

* * * * * *

ჯონ მეინარდ კეინზის მოღვაწეობის სფერო საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა არა მარტო ინგლისის, არამედ მრავალი სხვა სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში. გარკვეული პერიოდის მანძილზე კეინზს ეკავა ინგლისის ბანკის დირექტორის თანამდებობა, მონაწილეობდა ვერსალის საზავო კონფერენციის მუშაობაში, ანტანტის უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოში და ა. შ. კეინზის აქტიური მონაწილეობის შედეგად ჩამოყალიბდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (იგივე მსოფლიო ბანკი)

1906 წლიდან იგი მოღვაწეობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში, სადაც ა.მარშალის შეხედულებები იყო გაბატონებული. მიუხედავად იმისა, რომ კეინზი საკუთარ თავს მარშალის მიმდევრად თვლიდა, "კემბრიჯის სკოლის" კრიზისის შემდეგ მან უკვე დაიწყო მარშალის იდეების გაკრიტიკება. 1936 წელს გამოქვეყნდა მისი მთავარი ნაშრომი "დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია".

საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის კეინზი მიზანშეწონილად თვლიდა სახელმწიფოს აქტიურად ჩარევას, ანუ ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას. იგი მიიჩნევდა, რომ სრული დასაქმების მიღწევა, ასევე უმუშევრობისა და კრიზისების ლიკვიდაცია ამ გზით იყო შესაძლებელი. კეინზი ამბობდა, რომ ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზა არის მოთხოვნის გაზრდა, რომელიც თავისთავად მიწოდების და ეს უკანასკნელი კი ქვეყანაში „ეკონომიკურ ნამცხვარის" გაზრდას გამოიწვევს.

ეკონომისტებისათვის საუკუნის ბრძოლა ასოცირდება ორ სახელოვან ეკონომისტს, ჯონ მეინარდ კეინზსა (1883-1946) და ფრიდრიხ ავგუსტ ჰაიეკს (1899-1992) შორის დებატებთან. რამ გამოიწვია ეს ცხარე დებატები და ეხება თუ არა ეს საქართველოსაც? დიახ, ეხება. მოთხოვნის ნაკლებობა ... რა არის რეცესიისა და უმუშევრობის მიზეზები? კეინზს ამის შესახებ ნათელი წარმოდგენა ჰქონდა. ის ამტკიცებდა, რომ კრიზისის დროს ეკონომიკის შესაძლებლობები არ გამოიყენება სრულად. ქარხნები აწარმოებენ მხოლოდ ნაწილს იმისა, რისი წარმოებაც შეეძლოთ; საბადოები არ მუშაობენ მაქსიმალური სიმძლავრით; ხოლო მომსახურების მომწოდებლები არავის ემსახურებიან.

გამოუყენებელი რესურსების ასათვისებლად და ეკონომიკის მისი შესაძლებლობის ზღვარზე დასაბრუნებლად დამატებითი მოთხოვნაა საჭირო. რადგანაც თავისუფალი ბაზარი დამოუკიდებლად ვერ ახერხებს ამ მოთხოვნის უზრუნველყოფას ეს როლი მთავრობამ უნდა შეასრულოს და რეცესიისას დამატებითი მოთხოვნა ინფრასტრუქტურაში, განათლებაში, სოციალურ თუ სხვა სფეროებში ხარჯების გაზრდით შექმნას.

მას შემდეგ რაც ბრიტანეთში ომთაშორის პერიოდში უმუშევართა რაოდენობამ 20%-ს მიაღწია, კეინზმა ჩამოაყალიბა ზოგადი თეორია, რომელმაც რევოლუციური გავლენა იქონია სამომავლოდ ეკონომოკის განვითარებასა და ეკონომისტების ხედვებზე. კეინზმა ყურადღება გაამახვილა ინვესტიციების მნიშვნელობასა და სახელმწიფოს ჩარევის პოლიტიკაზე. რაც შემდგომში აისახა მოსაზრებაზე, რომ უმუშევრობა დაძლეული შეიძლება იქნეს მხოლოდ სახელმწიფოს დახმარებით. მიუხედავად ამისა, დღესაც კი ეკონომისტებს შორის დიდი დავა არსებობს იმის თაობაზე, რომ კეინზის თეორიები პირიქით უმუშევრობის წარმოშობას უწყობდა ხელს. კეინზი გამოდის კლასიკური ეკონომიკური აზროვნების წინააღმდეგ და ანგრევს თეორიას თვითმართვადი ბაზრის შესახებ, რომელიც შემდგომში ე.წ ახალი ეკონომიკური მეცნიერების, ანუ კეინზიანიზმის საფუძველი გახდა. კეინზის მთავარ თეზისს წარმოადგენდა ის, რომ დიდი დეპრესიის დროს წარმოქმნილი უმუშევრობა ეფექტური მოთხოვნის კლების შედეგი იყო. ამ სიტუაციიდან თავის დაღწევისათვის კი აუცილებელი გახლდათ ეკონომიკური სისტემის გამოცოცხლება საჯარო ინვესტიციების გზით. მაშასადამე, მისი აზრით, დასაქმების დონეს ერთიანი მოთხოვნის საერთო ოდენობა განსაზღვრავს. იმ შემთხვევაში თუ მოხდება ხელფასების შემცირება, გამოდის, რომ ხალხს ნაკლები ფული ექნება დასახარჯად, რაც აისახება საქონლის წარმოების შემცირებაზე ეს კი თავისუფალ ბაზარს დიდ დეპრესიაში აღმოაჩენს, ხოლო თვითრეგულირების პრინციპით ვერ მოახდენს ამ დეპრესიიდან თავის დაღწევას.

აქვე იბადება ლოგიკური კითხვა: რატომ ვერ უზრუნველყოფენ ბაზრები საჭირო მოთხოვნას მთავრობის ჩარევის გარეშე? კეინზს, მე—19 საუკუნის მისი კლასიკური წინამორბედების მსგავსად, სჯეროდა, რომ ეკონომიკა წრიული სისტემაა. მოსახლეობა შემოსავლის ნაწილს მოიხმარს, დანარჩენს კი ზოგავს. დანაზოგები გადაიქცევა ინვესტიციებად, რაც ეკონომიკური აქტივობის მამოძრავებელი ძალაა. ეს უკანასკნელი კი მოსახლეობის შემოსავალის წყაროს წარმოადგენს. თუმცა, კეინზის თანახმად, აღნიშნულ წრიულ ციკლს ახასიათებს ერთი მნიშვნელოვანი დეფექტი: ხალხი მოიხმარს და ზოგავს მხოლოდ შემოსავლის ნაწილს (და არა მთლიან შემოსავალს), რაც, თავის მხრივ, კაპიტალის მოძრაობის სხვა შემთხვევაში ჩაკეტილ წრეს არღვევს და ასე ვთქვათ, „გაჟონვას" იწვევს. მაინც რა არის ამ „გაჟონვის" საფუძველი? კეინზისათვის ამის ახსნა ადვილი არ იყო. მის უდიდეს ნაშრომში, „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია", რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა, კეინზმა დაასახელა რვა ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ შეიძლება ადამიანის შემოსავლის მხოლოდ ორ ნაწილად: მოხმარებად და ინვესტიციად გაყოფა. ერთ-ერთ მაგალითად მან მოიყვანა ე.წ. მოქნილობის მოტივი: თუ შენ ან მოიხმარ ან ზოგავ მთელს შენს ფულს, ე.ი. შენ არ ხარ მზად მომავალ ცვლილებებზე ოპტიმალური რეაგირებისათვის. სხვა სავარაუდო მიზეზთა შორის კეინზმა დაასახელა ადამიანებში ღრმად ფესვგადგმული „მომარაგების" მოტივიც.

კეინზი ამტკიცებდა, რომ ჭკვიანურად სტიმულირებული მოთხოვნით მთავრობას შეუძლია შეეწინააღმდეგოს კრიზისს და ამავე დროს შეინარჩუნოს წარმოება მისი შესაძლებლობების ზღვარზე. თუმცა კეინზიც კი აღიარებს, რომ ამისათვის საჭიროა ინფლაციის სახით საზღაურის გაღება. რეცესიის დროსაც კი, იარსებებს კომპანია, რომელიც უკვე მუშაობს მისი შესაძლებლობების ზღვარზე. თუ მოთხოვნა არის ხელოვნურად შექმნილი, მას აღარ შეეძლება წარმოების გაზრდა და იძულებული იქნება ამ ცვლილებას ფასების გაზრდით უპასუხოს. ეს უკავშირდება ფილიფსის ცნობილ მრუდს, გრაფიკს, რომლის ერთ ღერძზე გადაზომილია ინფლაცია, მეორეზე კი — უმუშევრობა. თუ კეინზის მსჯელობა სწორია, ლოგიკურია, რომ ფილიფსის მრუდი იყოს დაღმავალი (ანუ უმუშევრობის მაღალი დონე შეესაბამებოდეს ინფლაციის დაბალ დონეს და პირიქით). ემპირიულად მსგავსი მიმართება არსებობს მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნისათვის, ისიც დროის განსაზღვრულ შუალედებში. ასე რომ, ემპირიული დამოკ-

იდებულება კეინზის მიმდევართა შეხედულებების უტყუარ დასაბუთებად ვერ გამოდგება.

კეინზის შეხედულების საპირისპიროდ აზროვნებს ჰაიეკი, ცნობილი ავსტრიული ეკონომიკის ფუძემდებელი., რომ საბაზრო სისტემა მუდმივ სტაბილიზირებას არ საჭიროებს მისი აზრით, ეკონომიკაში მთავარ პრობლემას წარმოადგენს ხალხის საქმიანობა და მათი მოქმედებები, ანუ თუ როგორ არიან ისინი კოორდინირებულნი. პოლიტიკურ თეორიაში ჰაიეკმა დააფიქსირა ხედვა სახელმწიფოს როლის შესახებ, რაც ჩამოაყალიბა თავის წიგნში The Constitution of Liberty, სადაც მან ისაუბრა თავისუფლების პრინციპებზე. შემდგომში სწორედ ეს პრინციპები გახდა მისი პოლიტიკური ხედვის საფუძველი. მისი მთავარი წინააღმდეგობა მოდიოდა პროგრესული გადასახადის არსებობის თაობაზე და ამბობდა, რომ მისი დაწესება არღვევს თანასწორობის პრინციპს. ჰაიეკი დიდი პატივისცემით ეკიდება ადამ სმითის ნაშრომებს და აღნიშნავს, რომ მის მიერ მოწოდებული თავისუფალი ბაზრის თეორიამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ეკონომიკის შემდგომ განვითარებას. რა თქმა უნდა, იგი იზიარებს სმითის მიერ წამოყენებულ თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. ამავდროულად, იგი ამტკიცებს, რომ თავისუფალი ბაზარი ხალხს აძლევს მაქსიმალურ ავტონომიას ინფორმაციის გამოყენების სფეროში.

ჰაიეკი ამბობს: „ბაზარი არის სპონტანური წესრიგი", რაშიც იგი მოიაზრებს დაუგეგმავ ბაზარს, რომელიც ხალხის საქმიანობის მიხედვით წარიმართება, სპონტანური სტიმულების მეშვეობით. ამ ყველაფრის ფონზე, წარმოიშვა მნიშვენლოვანი კითხვა, რომელიც გახლავთ შემდეგში: რა იწვევს უმუშევრობის იმ მაღალ პროცენტულ რაოდენობას, რომელიც საზოგადოებაში არსებობს? პირველი, ჰაიეკის აზრით, გახლავთ ცენტრალური ბანკის მიერ ფულადი მარაგის ზრდა, რომელიც იწვევს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, რაც თავისთავად გულისხმობს კრედიტების ხელოვნურად გაიაფების სისტემას. ხელოვნურად შექმნილი დაბალი საპროცენტო განაკვეთი კი იწვევს ხელოვნურად წარმოშობილ ინვესტიციების სიმრავლეს. ინვესტიციების სიმრავლე კი საწყისს ეტაპზე სტიმულს აძლევს ეკონომიკურ ბუმს, რაც უმეტეს შემთხვევაში გადაიზრდება ტოტალურ კრიზისში.

მიუხედავად იმისა, რომ ჰაიეკის აზრით, კრიზისები არის სრულიად ჯანსაღი მოვლენა ეკონომიკისათვის, თვლის, რომ კრიზისების პრევენცია მხოლოდ ეკონომიკური ბუმის არარსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი. ჰაიეკი ყოველივე ზემოთქმულის გარდა კეინზს ეწინააღმდეგება შეზღუდვებისა და ბარიერების დაწესებაზე ვაჭრობასა და კაპიტალის გადაადგილების თაობაზე. ჰაიეკი მოითხოვს შეზღუდვების მოხსნას, რადგან მოხდეს თავისუფალი ბაზრის ხელშეწყობა და ეკონომიკური კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. ჰაიეკს სწამდა, რომ კეინზის ხედვა უმუშევრობის აღმოსაფხვრელად გამოიწვევდა ინფლაციას. იმისათვის, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი იყოს დაბალი ცენტრალურ ბანკს მოუწევს დრო და დრო უფრო გაზარდოს ფულადი მარაგი, რაც უფრო დიდი ინფლაციის გამოწვევის გარანტი გახდება.

კეინზისგან განსხვავებით, ჰაიეკი მიიჩნევდა, რომ რეცესია არამარტო გარდაუვალი, არამედ აუცილებელიც კია ეკონომიკის განახლებისა და გამოცოცხლებისათვის. არგუმენტის უკეთ გასაგებად განვიხილოთ ერთი კომპანიის მაგალითი. მაგალითად, ავიღოთ ავტომანქანების მწარმოებელი ფირმა. ცხადია, რომ კომპანიის ყველა გადაწყვეტილება ოპტიმალური ვერ იქნება. მაგალითად, შეუძლებელია ყველა ინვესტიციის მომგებიანობის უზრუნველყოფა. კომპანიამ შეიძლება დიდი რაოდენობით კაპიტალი დახარჯოს ინოვაციური მოდელის შექმნაზე და ბოლოს აღმოაჩინოს, რომ ეს უკანასკნელი საერთოდ არ შეესაბამება მომხმარებლის გემოვნებას. უარესიც შეიძლება მოხდეს, ტექნიკურმა პრობლემამ შესაძლოა ახალი მოდელის დასრულებასაც შეუშალოს ხელი, რაც ფაქტიურად მთელი ინვესტიციის წყალში გადაყრის ტოლფასია. ასეთი უიღბლო შემთხვევისას კომპანიებს მკაცრი ზომების მიღება უწევთ: პერსონალის დათხოვნის, წარმოების შემცირებისა თუ მთელი დანაყოფის დახურვის სახით.

ჰაიეკის თანახმად, არასწორი გადაწყვეტილებები და ინვესტიციები, რომელიც თავს ინდივიდუალური ფირმების დონეზე იჩენს, ეკონომიკის დონეზე ერთიანდება. კომპანიების ურთიერთდაკავშირებულობის გამო, ერთი კომპანიის გარდაუვალი რესტრუქტურიზაცია და ამის შედეგად შემცირებული დანახარჯები უარყოფითად ზემოქმედებს სხვა ფირმებზე, რაც ცვლილებების საჭიროების ალბათობის ზრდაში გამოიხატება. შესაბამისად, ჰაიეკი რეცესიად განიხილავს სიტუაციას, როდესაც ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ერთდროულად მტკივნეულ ცვლილებებს ახორციელებს.

რეცესიის მიმართ ეს უაღრესად პოზიტიური ხედვა გაიზიარა ავსტრიელმა ეკონომისტმა ჯოზეფ შუმპეტერმაც (1883-1950). 1934 წელს იგი წერდა: „ხელოვნური სტიმულები დეპრესიას თავისი ფუნქციის ბოლომდე შესრულების საშუალებას არ აძლევს." ჰაიეკი აშკარად ეწინააღმდეგებოდა მთავრობის ჩარევას, რადგან თვლიდა, რომ ეს კაპიტალის არასწორ გადანაწილებას კიდევ უფრო გაამძაფრებდა. მისი შეხედულებით, ოპტიმალური ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაცია მილიონობით ადამიანშია გაბნეული და არცერთი ეკონომიკური აგენტი, ცალკე აღებული, არ ფლობს ეკონომიკურ სისტემაზე დადებითი გავლენის მოხდენისათვის საკმარის ცოდნას. ეს მოსაზრება, რომელიც იყო ბირთვი მის მიერ სოციალიზმის უარყოფისა, ჰაიეკმა შეაჯამა 1980 წელს ბრიტანელი ჟურნალისტი ბერნარდ ლევინისათვის მიცემულ ინტერვიუში „ცოდნა ფაქტების შესახებ ხალხშია გაბნეული. თქვენ გინდათ, რომ გამოიყენოთ ცოდნა, რომელსაც ფლობს მილიონობით ადამიანი, მაგრამ დიდი ალბათობით არ შეგიძლიათ ამ ცოდნის შეგ-

როვება."

ერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა ბოლო დროს განაცხადა, რომ ლარის გაუფასურებით გამოწვეული ინფლაცია შეიძლება სასარგებლოც კი აღმოჩნდეს ქართული ეკონომიკისთვის. ესაა ფილიფსის მრუდის ტიპიური არგუმენტი: თუ გვაქვს მაღალი ინფლაცია, გვექნება დაბალი უმუშევრობის დონე. თუმცა, თუ საქმე იმპორტით გამოწვეულ ინფლაციას ეხება, ეს მსჯელობა არასწორია. კეინზის თანახმად, არსებობს მიზეზობრივი კავშირის ერთი დომინანტური მიმართულება: გაზრდილი მოთხოვნა იწვევს ინფლაციას, მაგრამ არა პირიქით. რამდენიმე მიზეზი არსებობს, თუ რატომ შეიძლება აღმოჩნდეს ლარის გაუფასურება სასარგებლო საქართველოს ეკონომიკისთვის, თუმცა მას ინფლაციის ეფექტთან საერთო არაფერი აქვს.

სხვა საკითხი, რომელიც შეიძლება კეინზს დავუკავშიროთ, თვით ლარის გაუფასურებაა. ეს უკანასკნელი კი დიდწილად გამოწვეულია უცხოური კაპიტალის უკან ევროპასა და აშშ-ში გადინებით, რაც ამცირებს ლარზე მოთხოვნას. აი, როგორ ხდება ეს:

2008 წლის ფინანსური კრიზისის საპასუხოდ, მსოფლიოს წამყვანმა ცენტრალურმა ბანკებმა გაზარდეს მიწოდებული ფულის მასა. დღემდე, მხოლოდ აშშ-ის ცენტრალურმა ბანკმა (FED) დაახლოებით 400 მილიარდი დოლარი ჩაუშვა ეკონომიკაში (2008 წლიდან). ეს ძირითადად წარმართული იყო კეინზის თეორიის მიხედვით — კრიზისის შესაჩერებლად გაზრდილი სახელმწიფო დანახარჯები (ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკის დანახარჯები). ასეთი პოლიტიკის გატარების შედეგად საპროცენტო განაკვეთები განვითარებულ ქვეყნებში თითქმის ნულამდე დაეცა, რამაც უცხოელ ინვესტორებს თავიანთი კაპიტალის იქ დაბანდებისკენ უბიძგა, სადაც სარგებელი გაცილებით მაღალი იყო. ამ ქვეყნებს მიეკუთვნებოდა საქართველოც. ახლა კი განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკები ნელ-ნელა ისევ ამკაცრებენ მონეტარულ პოლიტიკას, რაც სარგებლის განაკვეთის ზრდასა და კაპიტალის უკან დაბრუნებას იწვევს. ამის ერთ-ერთი შედეგი კი გახლავთ ის, რომ ლარი უფასურდება.

ჯ.მ კეინზის თეორიის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ საბაზრო მექანიზმი ვეღარ მოქმედებს ავტომატურად, ხელფასები და ფასები არ ხასიათდება ისეთი მოქმედებით, როგორც ამას ნეოკლასიკოსები ასაბუთებენ. არ არის ცალსახა დამოკიდებულება დანაზოგებს, ინვესტიციებსა და პროცენტს შორის, ბუნებაში არ არსებობს სრულყოფილი კონკურენცია, რომ საბაზრო ეკონომიკის გამართული, მდგრადი ფუნქციონირება შეუძლებელია თუ არ მოხდა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში. კეინზმა ფაქტიურად დაასაბუთა, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, მთავრობის ფუნქციების გაფართოება ერთადერთი საშუალებაა ეკონომიკური კრიზისების, დეპრესიის, უმუშევრობის თავიდან ასაცილებლად, რომ განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში ყველა მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა უნდა ვეძებოთ არა რესურსების მიწოდების სფეროში, არამედ მოთხოვნის სფეროში. სწორედ ეფექტიანი მოთხოვნა, მისი კომპონენტები, მოხმარება და დაგროვება არის ეკონომიკური ზრდისა და წონასწორობის მთავარი წყარო.

სწორედ აღნიშნული თეორია გახდა საფუძველი იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახდინა აქტიური ჩარევა ქვეყნის ეკონომიკაში და განახორციელა რადიკალური მარეგულირებელი, და იძულებითი ღონისძიებები. კერძოდ ამ მიზნით სახელმწიფომ დაიწყო საბანკო საფინანსო სისტემის გადარჩენაზე ზრუნვა. ამისთვის აიკრძალა ოქროს ექსპორტი. მოხდა საბანკო სისტემის ოპტიმიზაცია 25000-დან 15000-მდე. მოახდინეს დოლარის იძულებითი დევალვაცია. 1934 წელს ოქროს შემცველობა დოლარში შემცირდა 41%-ით. ამავე დროს სახელმწიფო ახორციელებდა ოქროს ფართომასშტაბიან შესყიდვას. 1933 წლის ბოლომდე შესყიდული იქნა 187 000 000 დოლარის ოქრო. ოქროს მარაგები მთლიანად გადაეცა ცენტრალურ ბანკს. იმდროინდელმა სახელმწიფომ ხელში მთლიანად აიღო ეროვნული ეკონომიკის რეგულირების ბერკეტები. შეიქმნა მარეგულირებელი სამსახურები სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში და ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში. ყოველივე ასეთმა კომპლექსურმა ღონისძიებებმა ქვეყანა გამოიყვანა კატასტროფული მდგომარეობიდან.

1939 წელს ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ რიჩარდ ხიკსმა მოახდინა კეინსური თეორიის ინტერპრეტაცია. მან თავის გამოქვეყნებულ სტატიაში "კეინსი და კლასიკოსები: შემოთავაზებული ინტერპრეტაცია" წამოაყენა პრობლემა კეინსური და ნეოკლასიკური თეორიების, ერთიან თეორიად გაერთიანების შესახებ. მან კეინსური მოდელი შეაფასა, როგორც ეკონომიკის განსაკუთრებული მდგომარეობა, როდესაც ფულის მიწოდების ზრდა აღარ ზემოქმედებს პროცენტის ნორმაზე და ინვესტიციებზე. შემდგომში ნეოკლასიკური სინთეზი გახდა სახელმწიფო რეგულირების კეინსური პოლიტიკის საფუძველი, რომელმაც მოიცვა როგორც ფისკალური, ისე ფულად საკრედიტო პოლიტიკა. რეგულირების ინსტრუმენტად კი აღიარებული იქნა საბიუჯეტო პოლიტიკა.

XX საუკუნის 70-ანი წლების ბოლოსთვის განვითარებულ ქვეყნებში გავრცელება დაიწყო სახელმწიფოს ნეოლიბერალურმა კრიტიკამ, რომლის მიხედვითაც სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს, არსებული ბიუროკრატიული სახლემწიფოს სისტემა წარმოადგენდა. საერთაშორისო სპეციალურ ლიტერატურაში იგი ტეტჩერისა და რეიგანის ეკონომიკურ პროგრამას უკავშირდება. რასაც სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდა, ბიუროკრატიული აპარატის გადიდება, კანონების სიჭარბე და დეტალური რეგულირების ტენდენცია მოჰყვა. ყოველივე ამის შედეგად მოქალაქე და კერძო ბიზნესი ზარალდებოდა. მეწარმის თავისუფლება ზომაზე მეტად იზღუდებოდა

და ის სახელმწიფო ბიუროკრატიაზე დამოკიდებული ხდებოდა. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი გახდა ის გარემოება, რომ სახელმწიფო სულ უფრო და უფრო მეტი ამოცანის შესრულებას იღებდა საკუთარ თავზე.

ჰაიეკის აპოთეოზი 1980-იან წლებში დგება, როდესაც ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა 'გზა მონობისკენ'-ის(1944) ციტირება დაიწყო, ჰაიეკის კლასიკური ნამუშევარი რომელშიც ის ცენტრალურ დაგეგმარებას აკრიტიკებს. თუმცა ეკონომიკაში არასდროს არ არსებობს საბოლოო ვერდიქტები, ჰაიეკმა მოახერხა თავისუფალი ბაზრის სისტემის ადვოკატირება ცენტრალური დაგეგმარებისა და რეგულირების მზარდი არაეფექტურობის წინააღმდეგ და მიიღო მხარდაჭერა, კეინზის იმ შეხედულების საპირისპიროდ, რომ საბაზრო სისტემა მუდმივ სტაბილიზირებას საჭიროებს ფინანსთა სამინისტროებისა და ცენტრალური ბანკების მხრიდან.

კეინზი (და კეინზიანელები დღეს) ფიქრობდა, რომ კრიზისი არის შედეგი საპირისპირო მიზეზებისა: არასაკმარისი ინვესტიციები, უფრო ზუსტად ზედმეტად ნაკლები ხარჯები სრული დასაქმებულობის მხარდასაჭერად და ინვესტირების დონე, რომელმაც არ შეიძლება რომ არ მიგვიყვანოს მოგების მოლოდინის კოლაფსამდე. კეინზისა და ჰაიეკის ახსნა კრიზისის მიზეზებისა, რეალურად ძალიან არ განსხვავდება, მაღალი დავალიანება საკვანძო როლს თამაშობს ორივეს მოსაზრებაში. თუმცა დასკვნები, რომელიც ამ ორ თეორიას გამოაქვს ძალიან განსხვავებულია.

თუკი ჰაიეკი კრიზისიდან გამოსვლისათვის საჭიროდ მიიჩნევს მაღალი ინვესტიციების ლიკვიდირებასა და სამომხმარებლო ხარჯების შემცირებას, კეინზისთვის პირიქით აღდგენისათვის საჭიროა მოხმარებისა და დანახარჯების ზრდა მოსალოდნელი მოგების მოლოდინის შენარჩუნების მიზნით. ჰაიეკი მოითხოვდა უფრო მკაცრ ეკონომიკასა და ფისკალურ კონსერვატიზმს, კეინზი კი უფრო მეტად დახარჯვასა და ინვესტირებაზე ორიენტირებულ ეკონომიკას.

აქ ჩვენ გვაქვს გასაღები იმისა, თუ რატომ წააგო ჰაიეკმა „დიდი ბრძოლა" კეინზთან 1930-იან წლებში. ეს იყო არა მხოლოდ ის რომ ნორმას გადაჭარბებული ლიკვიდაციის პოლიტიკა, იმ პერიოდში პოლიტიკურად კატასტროფული იყო: გერმანიაში ამან ჰიტლერი მოიყვანა ხელისუფლებაში. კეინზმა როგორც აღნიშნა თუკი ყველა საოჯახო მეურნეობები, ფირმები და მთავრობები დაიწყებდნენ ერთდროულად მცდელობებს საკუთარი ხარჯების შემცირების გაზრდისა, არ დარჩებოდა არანაირი საშუალება ეკონომიკის დაცემის შესაჩერებლად, რაც ხალხის უკიდურესად გაღარიბებას გამოიწვევდა. ზუსტად ეს ნაკლოვანება ჰაიეკის მოსაზრებაში გახდა იმის მიზეზი, რომ ეკონომისტების უმრავლესობამ დატოვა ჰაიეკის ბანაკი და კეინზიანური „სტიმულირების" პოლიტიკა გაიზიარა. ჰაიეკის ფანატიკოსი მომხრეების გარდა, ყველასათვის ცხადია, რომ 2009 წლის გლობალურმა კოორდინირებულმა სტიმულირების პოლიტიკამ თავიდან აგვაცილა ახალ დიდ დეპრესიაში შესვლა. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მთავრობის მიერ იმ გაწეული ხარჯების ღირებულებამ, რომლებმაც იხსნეს საკუთარი ბანკები და მხარი დაუჭირეს საკუთარ ეკონომიკას ბიზნესის კრახის პირობებში, დააზიანა ან გაანადგურა მათი კრედიტუნარიანობა. თუმცა სულ უფრო ხშირად აღიარებენ, იმასაც რომ სახელმწიფო სექტორის უმოქმედეობა და ფისკალური კონსერვატიზმი, სუსტი კერძო სექტორის დროს გარანტიაა მინიმუმ მრავალწლიანი სტაგნაციისა, უფრო დიდი კოლაფსის თუ არა.

ჰაიეკმა, რომელიც 1992 წელს 93 წლის ასაკში გარდაიცვალა, ერთხელ აღნიშნა რომ იმისათვის რომ უკანასკნელი სიტყვა გქონდეს საჭიროა შენს ოპონენტზე მეტხანს იცოცხლო. მისი უდიდესი უპირატესობა სწორედ ის იყო, რომ კეინზზე თითქმის 50 წელზე მეტხანს იცოცხლა და ამგვარად მისი სიკვდილის შემდგომ მოახერხა მეტოქეზე გამარჯვება, რომელიც სანამ ცოცხალი იყო ინტელექტუალურად მას სასტიკად ამარცხებდა და მიუხედავად მთელი თავისი ორიგინალურობისა, როგორც თავისუფლების ფილოსოფოსისა, ჰაიეკი საბოლოოდ დამარცხდა კეინზთან ბრძოლაში.

ჰაიეკიც და კეინზიც ცდილობდნენ შეექმნათ მსოფლიოს საუკეთესო მოდელები, რომლის მიხედვითაც დაძლეული იქნებოდა უმუშევრობა და ეკონომიკური არასტაბილურობა. კეინზი თავის მხრივ უპირატესობას ანიჭებდა, სახელმწიფოს, საჯარო სექტორისა და ცენტრალური ბანკების ეკონომიკაში ჩარევის პოლიტიკას, რათა არსებული ეკონომიკური კრიზისები აღმოფხვრილიყო. ამის საპირისპიროდ კი, ჰაიეკი თვითრეგულირებადი, თავისუფალი ბაზრის დამცველად გვევლინება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევასა და ინვესტიციების სიმრავლეს გაცილებით უფრო ღრმა ეკონომიკურ კრიზისად მიიჩნევს, რომლისგანაც თავის დაღწევა საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ენდრიუ ჰეივუდი „პოლიტიკური იდეოლოგიები": შესავალი კურსი (მესამე გამოცემა) გვ. 71-73
2. ლევან აბაშიძე, „european"-2011-09-05
3. Policonomics-Economics Made Simple "John Maynard Keynes" http://www.policonomics.com/keynes/

გლობალიზაცია – სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა

მანანა ბერუაშვილი, დოქტორანტი

რეზიუმე

გლობალიზაციის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. გლობალიზაცია წარმოადგენს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ურთიერთგავლენისა და ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების პროცესს. იგი არღვევს ენობრივ, ტერიტორიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფსიქიკურ ბარიერებს და მიმართულია კულტურული, ცივილიზაციური ერთობისა და რეგულირების შექმნისაკენ. ეკონომიკური გლობალიზაცია შეიძლება ვუწოდოთ მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე იმ პროცესებს, რომლებიც გამუდმებით აძლიერებს ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთგავლენას და ურთიერთდამოკიდებულებას.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური გლობალიზაცია, პერმანენტული პროცესი, გლობალური სისტემა.

Summary

Attitude to globalization is not similar, its perception takes place in different ways. Globalization is a permanent process of strengthening the inter relation between the countries and regions, which breaks the language, territorial, economic,political,psychical barriers and directed to creating a cultural-civilized unity and super national system of regulation.

Economic globalization may be called to the process taking place in the scale of world economy, which continuously strengthens the inter influence and inter relation of the national economies.

Keywords: Economic globalization, Permanent process, Global system.

* * * * * * *

XXI საუკუნე აღიარებულია ინოვაციების, ცოდნის, ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნედ, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძვლებს. დღეს აქცენტი კეთდება ისეთ ფასეულობებზე როგორიცაა: ხარისხი, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა და ა.შ. ზოგიერთ ქვეყანაში ყალიბდება ისეთი ბიზნეს-გარემო, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს, სწრაფად დანერგონ სიახლეები და უფრო განვითარდნენ. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომპანიებმა, ქვეყნებმა წარმატებას მსოფლიო ბაზრებზე ერთმანეთისაგან განსხვავებული სტრატეგიებით მიაღწიეს. ქვეყნები კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების გზით აღწევენ.

გლობალიზაცია თავისი არსით უნივერსალურია. ამიტომ, მისი მასშტაბებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რამდენად მართული იქნება იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში გლობალიზაციას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის. თანამედროვე მსოფლიო განვითარების ერთ-ერთი ამოცანაა გლობალური და ლოკალური პროცესების ურთიერთშეხამება და ინტეგრაცია.

გლობალიზაციის შესწავლის პროცესში სოციალური გარემოს ანალიზი ორ დონეზე ხორციელდება: ინტერპერსონალური ანუ მიკროსოციალური და ჯგუფური, ანუ მაკროსოციალური. მიკროსოციალურ დონეზე ყურადღების ცენტრშია ინდივიდების დამოკიდებულება ერთმანეთთან. სისტემის ამ ნაწილში განიხილება სოციო-ეკონომიკური განვითარება ეროვნულ დონეზე. ამ ანალიზის დროს განიხილება ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან ერთი ქვეყნის საზღვრის ფარგლებში, მათ აქვთ საერთო კულტურა, ენა და თვისებები.

მაკროსოციალურ დონეზე მეცნიერები სწავლობენ ადამიანთა ჯგუფებს შორის დამოკიდებულებას. ჯგუფები შედგება სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენლებისაგან. ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმ ღირებულებებსა და წესებზე, რომლებიც განსაზღვრავს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მცხოვრები პიროვნებების ქცევებს. ამ დროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია განიხილება გლობალურ დონეზე.

გასული წლების განმავლობაში სახელმწიფოებსა და მათ მთავრობებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ეროვნული წესებითა და კანონებით შეეძლოთ საქმეების წარმართვა. გლობალიზაციის პროცესის გავლენის შედეგის გამოჩენამდე ისინი მოქმედებდნენ საკუთარი ინტერესების დასაცავად. იქმნებოდა საკანონმდებლო ბაზები, რომლებიც იცავდა ეროვნულ ინტერესებს. ყველა ქვეყანას ჰქონდა განსხვავებული კანონები, რომელთა საფუძველზეც მოქმედებდნენ. ეს იყო მიზეზი ერებს შორის მუდმივი განხეთქილებისა. საერთაშორისო სისტემა წარსულში მოწყობილი იყო სამხედრო, თავდაცვითი და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით. თითოეული ამ ფაქტორის ელემენტი განსაზღვრავდა თამაშის მონაწილეთა შორის დამოკიდებულებას. ცვლილება, რომელიც გლობალიზაციის პროცესის შემდეგ მოხდა ის არის, რომ გაქრა სამხედრო შეიარაღების უსაფრთხოებისა და პოლიტიკის ფაქტორების დიდი მნიშვნელობა. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სისტემა გლობალიზაციის პროცესში ყურადღებას ამახვილებს სოციალურ-კულტურულ ფაქორებზე. ამ შემთხვევაში, ეკონომიკური და კულ-

ტურული ელემენტები სხვადასხვა ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების განმსაზღვრელია.

გლობალიზაციას ბევრ პოზიტიურთან ერთად, საკმაოდ ნეგატიური შედეგები ახლავს. იგი, გარკვეული თვალსაზრისით, საფრთხეს უქმნის მცირე ქვეყნებს და ერებს. გართულებულია მცირე, განსაკუთრებით სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის მართვის დამოუკიდებელი სტრატეგიის განხორციელება. მცირე ქვეყნების ეროვნული კულტურა სულ უფრო ექცევა წინაღმდეგობაში მსოფლიო პროცესებთან. ამიტომ მცირე, ტრანზიტულ ქვეყნებს გლობალური სისტემის მუნიციპალიტეტებად აღიქვამენ. განვითარებულ ქვეყნებს კი დომინანტური პოზიცია უკავიათ ახალი მსფლიოს წესრიგის განსაზღვრის საკითხში. დღეს მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიო ბაზრების ძალებმა დაჩრდილა. მას აღარ შეუძლია ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე განსაკუთრებული გავლენის მოხდენა.

საქართველო გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის თანამონაწილე გახდა. იგი სატრანზიტო ქვეყანაა და თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით წარმოადგენს ხიდს დასავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე აქტუალურია საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. არის თუ არა ქვეყანა მზად აითვისოს გლობალიზაციის პოზიტიური შედეგები და სწრაფად მოახდინოს ეკონომიკის მოდერნიზაცია, როგორც ეს გააკეთა ბევრმა ქვეყანამ. მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, საქართველო, ჯერ კიდევ რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას. ვერ მოხერხდა ეთიკის ნორმების წარმართვა, ეკონომიკური ინტერესების შეჯერება, წონასწორობის დამყარება საზოგადოებრივ ურთიერთობებში და სოციალური სოლიდარობის მიღწევა, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება და ა.შ.

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდიც კი არ დასრულებულა. კვაზიდემოკრატია აფერხებს ეკონომიკურ განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

სათანადოდ არ არის დაცული კერძო საკუთრება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საბაზრო ურთიერთობების განვითარებას საქართველოში. ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იზოლირებულია საქმიანი აქტიურობისაგან, პრივატიზაციის პროცესებისაგან. პრივატიცაზიის შედეგია ის რომ ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა.

გლობალიზაცია ზოგჯერ ჩამორჩენილ, სუსტად განვითარებულ ქვეყნებს აქცევს უპირატესად მომხმარებლად, დაბალი ხარისხის და ფალსიფიცირებული იმპორტირებული ნაწარმის გამსაღებლად. ეს საფრთხე არც საქართველოს აცდა. საქართველომ ვერ შეძლო ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა გამხდარიყო. ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობა საქართველოში უნდა გახდეს ცხოვრების დონის ამაღლებისა და სამართლიანობის პრინციპებზე აგებული სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი. სამწუხაროდ ეს ასე არ ხდება. საქართველოში ჯერ კიდევ ლაპარაკია არა ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე, არამედ ადამიანის ბიოლოგიურ არსებობასა და ერის გადარჩენაზე. ქვეყნის არასწორმა მართვამ და არსებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ეკონომიკის მოშლა. საქართველო აღმოჩნდა რეპრესიულ რეჟიმში. დღეს საქართველო არ არის მზად გამოიყენოს პოტენციური შესაძლებლობები და წინ აღუდგეს გლობალიცაზიის ნეგატიურ ტენდენციებს, რომელიც ქვეყნის უპერსპექტივობის წინა პირობაა. მიუხედავად მძიმე სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობისა, საქართველოს აქვს პოტენციალი გადაჭრას მის წინაშე არსებული რთული პრობლემები. მთავარია არსებული შესაძლებლობების გონივრულად გამოყენება და ის გრანტები და კრედიტები, რომლებიც შემოედინება საქართველოში მიზანმიმართულად მოხმარდეს ქვეყანას. საქართველოში პრიორიტეტული უნდა გახდეს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ხელშეწყობა, უპირატესობა ტექნოლოგიურ იმპორტსა და ლიზინგის განვითარებას მიენიჭოს.

იმისათვის, რომ საქართველომ დაიცვას თავისი ეროვნული ფასეულობები, გამოიყენოს და განავითაროს ეკონომიკური, ინტელექტუალური პოტენციალი, ჩადგეს ცივილიზებული ქვეყნების რიგებში, უნდა გაითვალისწინოს ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. გლობალური საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინტეგრაციის ზრდის რთულ პროცესებში საქართველომ უნდა შეინარჩუნოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საკუთარი ეკონომიკის, კულტურის, ტრადიციების, ისტორიის განვითარების საფუძველზე და ეროვნულ ნიადაგზე ააშენოს ევროპული ცივილიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ვეშაპიძე შ, ლეკაშვილი ე, გრიშიკაშვილი ა, ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა. გამომცემლობა „ვერჟე" თბილისი 2008

2. ასათიანი რ. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. გამომცემლობა "სიახლე" თბილისი 2010

3.შენგელია თ. მულტიკულტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი. გამომცემლობა „უნივერსალი" თბილისი 2015

ამერიკის სოფლის სკოლა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სივრცე

ნატალია კოპალიანი, *სტუ-ს ეკონომიკის დოქტორი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ამერიკის სოფლის სკოლა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სივრცე, ბოლო წლების განმავლობაში ამერიკის სოფლის სკოლები წინ უსწრებს ქალაქის სკოლებს მიღწევებისა და გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებლების მხრივ. 2004 წელს 10 მილიონზე მეტმა მოსწვალემ დაამთავრა სოფლის სკოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში.სკოლა არის საზოგადოებრივი სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს განათლების მიცემას სოფლის მაცხოვრებლებისთვის. ყველა სოფლის მაცხოვრებელს აქვს კავშირი განათლების სისტემასთან. სკოლა ხელს უწყობს ურთიერთობების განმტკიცებას მოსწავლეს, მასწავლებელსა და თემის წევრებს შორის. ვინაიდან სოფლის სკოლებში მოსწავლეებისა და მასწავლებლების რაოდენობა მცირეა ქალაქთან შედარებით, ეს კიდევ უფრო მეტად განაპირობებს ახლო და მტკიცე ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: სკოლა,თემი სოფელი ქალაქი

American rural school as a social-economic space

Natalia kopaliani, STU_PHD in Economic

Summary

The article deals with the school in the village, as the social-economic area, in recent years in the achievements of the schools ahead of the city schools and the percentage of pupils in the graduating class. In 2004, more than 10 million rural youth to graduate school in the United States. The school is a public service provider organization, which provides education to the rural people. All the villagers have access to the education system. School helps strengthen the pupils, teachers and community members. As the number of pupils and teachers in rural schools are small compared with the city, it would further contribute to a close and enduring relationships.

Keywords: school, community, village City

* * * * * * *

2004 წელს 10 მილიონზე მეტმა მოსწვალემ დაამთავრა სოფლის სკოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ათი მილიონი შეადგენს ქვეყნის მე-12 კლასელების მხოლოდ 21%-ს. სოფლად სკოლების რაოდენობა მცირეა. ეს გასაგებიცაა, მოსახლეობის სიმჭიდროვე სოფლად დაბალია და მოსახლეობა გაფანტულია.

სკოლა წარმოადგენს მნიშვნელოვან ადგილობრივ ინსტიტუტს ყველა თემისთვის, მათი როლი განსაკუთრებით გამორჩეულია. სოფლის სკოლა ხშირად არის თემისთვის ყველაზე მსხვილი ადგილობრივი დამსაქმებელი. გარდა ამისა, ის მიმზიდველობას სძენს სოფელს. სკოლის არსებობას აქვს პირდაპირი გავლენა ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობაზე და გარდა ამისა, ის აქტიურ როლს თამაშობს თემის განვითარების საქმეში.

ადგილობრივი ინსტიტუტებიდან ყველაზე მეტად სკოლა უწყობს ხელს თემის იდენტობის ჩამოყალიბებას, და მისი სოციალური საზღვრების დადგენას. სკოლა არის საზოგადოებრივი სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს განათლების მიცემას სოფლის მაცხოვრებლებისთვის. ყველა სოფლის მაცხოვრებელს აქვს კავშირი განათლების სისტემასთან. სკოლა ხელს უწყობს ურთიერთობების განმტკიცებას მოსწავლეს, მასწავლებელსა და თემის წევრებს შორის. ვინაიდან სოფლის სკოლებში მოსწავლეებისა და მასწავლებლების რაოდენობა მცირეა ქალაქთან შედარებით, ეს კიდევ უფრო მეტად განაპირობებს ახლო და მტკიცე ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

სოფლის მოსწავლეებს აქვთ უფრო უკეთესი აკადემიური მოსწრება ქალაქთან შედარებით, ხოლო ქალაქგარეთ მაცხოვრებელ სტუდენტებს - ყველაზე საუკეთესო. შეერთებული შტატების განათლების სამინისტროს მიერ მომზადებულ. ბოლო წლების განმავლობაში ამერიკის სოფლის სკოლები წინ უსწრებს ქალაქის სკოლებს მიღწევებისა და გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებლების მხრივ. შეერთებული შტატების განათლების სამინისტროს მიერ მომზადებულ ბოლო ანგარიშში მოცემულია მე-4 და მე-8 კლასელების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც საშუალოზე მაღალი ან უფრო მაღალი ქულები აქვთ მატემატიკაში, კითხვაში და გამოცდებზე. ამ ანგარიშის მიხედვით, სოფლის სკოლის მოსწავლეები მნიშვნელოვნად წინ უსწრებენ ქალაქისას, თუმცა ქალაქგარეთ სკოლის მოსწვალეებს აქვთ ყველაზე მაღალი ქულები კითხვასა და მათემატიკაში.

სოფლის საშუალო სკოლის მოსწავლეები ასევე წინ არიან სკოლის მიტოვებისა და გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ. 2004 წელს, სოფლის დასახლებებში 16-24 ასაკოვანი ადამიანების 11%-მა მიატოვა საშუალო სკოლა, როცა ქალაქში ეს მაჩვენებელი შეადგენს 13%-ს და ქალაქგარეთ -9%-ს. მსგავსად ამისა, 2002-2003 წლებში სოფლის პირველკურსელთა წილი იყო 75%, ქალაქის-65% და ქალაქგარეთ კი-79%.

გამოყენებული იქნა ახალგაზრდების მრავალწლიანი ეროვნული კვლევის მონაცემები, რათა შეედარებინათ 25 წლის მოზრდილთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები. ეს მოზრდილები თოთხმეტი წლის ასაკში ცხოვრობდნენ სოფელში ან ქალაქში. მოზრდილების 86%-მა, რომლებიც ცხოვრობდნენ ქალაქში დაამთავრეს საშუალო სკოლა, სოფლად ეს მაჩვენებელი შეადგენდა 85%-ს. ასევე დაადგინდა, რომ ქალაქის სკოლადამთავრებულთა 65% შევიდა კოლეჯში, მაშინ როცა სოფლის სკოლადამთავრებულთა მხოლოდ 56%-მა გადაწყვიტა სწავლა გაეგრძელებინა კოლეჯში. სოფლის სკოლადამთავრებულთა 70% დაბრუნდა სოფელში საცხოვრებლად კოლეჯში სწავლის შემდეგ. მაშინ როცა, სოფელსა და ქალაქში გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა თითქმის თანაბარია, სოფლის მოსწვალეთა უფრო მცირე რაოდენობა წავიდა კოლეჯში სასწავლებლად. ხოლო სოფლის სკოლების მოსწავლეთა მესამედი, რომელთაც გადაწყვიტეს უმაღლესი განათლების მიღება არ დაბრუნდა სოფელში.

საშუალო სკოლის შემდეგ სოფლის ახალგაზრდებს განათლების უფრო დაბალი დონე აქვთ ქალაქთან შედარებით. სოფლის მოზარდების მცირე რაოდენობა არის ჩართული საშუალო სკოლის შემდგომ არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში, სოფლის ახალგაზრდების მხოლოდ 19%-ს აქვს ბაკალავრის ხარისხი, მაშინ როცა ქალაქში ეს მაჩვენებელი 30%-ს აღწევს, ხოლო ქალაქგარეთ-31.5%-ს. ეს გარკვეულწილად უკავშირდება იმას, რომ სოფლად რესურსების მოპოვება და გადამამუშავებელი მრეწველობა კარგად იყო განვითარებული, რომელიც სთავაზობდა მაცხოვრებლებს კარგ ხელფასებს და არ ითხოვდა კოლეჯის განათლებას. სოფლის ეკონომიკამ კი მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ბოლო წლების განმავლობაში და ზემოხსენებული მრეწველობა და შესაბამისად სამუშაო ადგილები შემცირდა.

სოფლის სკოლები სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დგას, ამ გამოწვევებიდან უმეტესი სტრუქტურულ ხასიათს ატარებს. 2002 წელს შეერთებული შტატების კონგრესმა გამოსცა კანონი საწყისი და საშუალო განათლების შესახებ, რომელიც წარმოადგენდა საგანმანათლებო რეფორმის საფუძველს და უზრუნველყოფას, რომ ყველა ბავშვს ამერიკაში მიეღო საწყისი და საშუალო განათლება. ამ კანონის მიხედვით განისაზღვრა განათლების გაუმჯობესების კრიტერიუმი, რაც გულისხმობდა მოსწავლეების რეგულარულ შეფასებას, სკოლების პასუხისმგებლობის გაზრდას მოსწავლეების შედეგების გამო. დადგინდა წლიური პროგრესის კრიტერიუმი, რომელიც მოიცავდა გარკვეულ სტანდარტებს, რომელიც ყველა შტატმა შექმნა ინდივიდუალურად. ეს სტანდარტები აფასებდა მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას სტანდარტიზირებული ტესტების მეშვეობით. თუ სკოლა ვერ შეძლებდა მომდევნო ორი წლის განმავლობაში სტანდარტების დაკმაყოფილებას, მას მოსწავლეებისთვის უნდა დაერთო სხვა უკეთეს სკოლაში გადასვლის ნება და შესაძლებელია ასეთი სკოლა დახურულიყო.

აკადემიური მოსწრება მჭიდროდ არის დაკავშირებული ოჯახურ და საზოგადოებაში არსებულ მდგომარეობასთან და ასევე სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან. სოფლის სკოლები, სადაც მოსწავლეები ძირითადად არიან დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან, შეიძლება აღმოჩნდნენ სპეციფიკური გამოწვევების წინაშე. სკოლის მცირე ზომა უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა შეფასების პროცესზე, ვინაიდან მოსწავლეების ქულების მხრივ ცვლილებები წლიდან წლამდე უფრო მეტად შეიგრძნობა.

გარდა ამისა, სოფლის სკოლებს ტრადიციულად აქვთ უფრო ძლიერი კავშირი თემთან და ისინი უფრო მგრძნობიარეა ადგილობრივი კულტურის მიმართ და უფრო მეტად რეაგირებს ადგილობრივ მოთხოვნებზე, სტანდარტულ ტესტებზე კონცენტრირებამ შეიძლება გამოიწვიოს განათლებისადმი ფართო ხედვის შემცირება, ვინაიდან აქცენტი სკოლის მოსწავლეთა მხრიდან გაკეთდება მხოლოდ ტესტებზე. ვინაიდან ქულებს უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და ის განსაზღვრავს აკადემიური მოსწრების ხარისხს, არსებობს საფრთხე იმისა, რომ სოფლის განათლება მოწყვეტილი იქნება მოსწავლეთა საჭიროებებსა და სურვილებს, თავიანთ ოჯახებსა და თემს.

ზემოაღნიშნული კანონი ასევე გულისხმობდა კვალიფიციური მასწავლებლების დაქირავებას, რაც ასევე სირთულეს წარმოადგენდა, განსაკუთრებით სოფლის სკოლებში. მასწავლებლებს უნდა ჰქონოდათ ბაკალავრის ხარისხი იმ საგანში, რასაც ასწავლიდნენ, ეს დამატებით სირთულეს ქმნიდა სოფლის სკოლებისთვის, როცა ერთი მასწავლებელი რამდენიმე საგანს ასწავლიდა. სოფლის გეოგრაფიული და სოციალური იზოლაცია ართულებდა მასწავლებლების აყვანას და ასევე ის ფაქტორი, რომ მასწავებლის ხელფასი უფრო დაბალია სოფლად.

2003-2004 წლებში სოფლის მასწავლებლების საშუალო ხელფასი შეადგენდა 43,000 ამერიკულ დოლარს, მაშინ როცა ქალაქში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 44,000 დოლარს, ხოლო ქალაქ გარეთ-45,700 დოლარს.

სოფლად მაცხოვრებელ მოზრდილებს აქვთ განათლების უფრო დაბალი დონე, ვიდრე მათ თანატოლებს ქალაქში. ამერიკის შეერთბეული

შტატების მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემების მიხედვით, 25 წლის და ზემოთ ასაკის სოფლის მაცხოვრებელთა 23%-ს არ აქვს დამთავრებული საშუალო სკოლა. ეს არის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება 1990 წელთან შედარებით, როცა ეს მაჩვენებელი 31%-ს შეადგენდა. ქალაქში ეს მაჩვენებელი შეადგენს 19%-ს. 2004 წელს, სოფლის მოზრდილი მოსახლეობის 13%-ს ჰქონდა ბაკალავრის ხარისხი. ზოგადად ქვეყანაში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 17%-ს. ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია, რადგან ის გვიჩვენებს, რომ განათლების ფასი ეკონომიკური სტატუსის მქონე პირებისთვის იზრდება წლების განმავლობაში. 1984-2000 წლებში შეერთებულ შტატებში გაზრდილ სამუშაოთა ორი მესამედის შემთხვევაში საჭირო იყო ბაკალავრის ან უფრო მაღალი ხარისხი, და ეკონომიკური პერსპექტივა შემცირდა იმ პირებისთვის, რომელთაც ჰქონდათ მხოლოდ საშუალო სკოლის დიპლომი ან უფრო დაბალი.

დასკვნა

ამის შედეგად, ადამიანური კაპიტალის დეფიციარის სოფლის დამახასიათებელი თვისება, რაც ამცირებს შესაძლებლობას სოფლის მაცხოვრებლებისთვის მიიღოს მყარი, კარგად ანაზღაურებადი სამუშაო და მოიპოვოს ეკონომიკური უსაფრთხოება. ადამიანური კაპიტალი და განათლების დონე დაბალია სოფლად. კვლევებით დადასტურდა, რომ ეროვნული უმცირესობებსა და ქვეყნის სამხრეთში მაცხოვრებლებს აქვთ განათლების დაბალი დონე. ეს დაბალი დონე კი ნიშნავს სიღარიბეს. ამ შემთხვევაში ყალიბდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. პირები, რომელთა განათლების დონე დაბალია, უმეტესად არიან ღარიბები და ღარიბი ადამიანები ხშირად არ სწავლობენ ან ამთავრებენ სკოლას. განათლების დაბალ დონეს მრავალი მიზეზი განაპირობებს, სტუდენტთა სწრაფ ცვალებადობას განსაკუთრებული უარყოფითი გავლენა აქვს განათლების დონეზე სოფლის ღარიბ მოსახლეობას შორის. სტუდენტთა მონაცვლეობას განაპირობებს ხშირი გადაადგილებები საცხოვრებელი პირობების გამოცვლის მიზნით. ამ გადაადგილების ძირითადი მიზანია უფრო უკეთესი შესაძლებლობის მიღება. საკუთრების დაკარგვა, არასტაბილური ურთიერთობები, ოჯახური ძალადობა, სამსახურის დაკარგვა, და სხვა ოჯახური გარემოებები უმეტესად იწვევს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას და შესაბამისად სხვა სკოლაში გადასვლას. სოციალური და საცხოვრებელი პირობების და ასევე აკადემიურ წარუმატებლობას შედეგად მოაქვს ეკონომიკური არასტაბილურობა და ასევე დაბალი ქულები სხვადასხვა საგნებში. ხშირად საცხოვრებელი პირობების გამოცვლა გულისხმობს სხვა რეგიონში გადასვლას, სადაც სკოლებში სასწავლო პროგრამები შეიძლება იყოს განსხვავებული, რაც გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.David l.Brown, Kai A.Schafft 2011. Rural people & communities in the 21-st century. politi

2.Byrne, D.1999. Social Exclusion. Open Universiti Press, Buckingham.

3.Lichter,D.& Parisi,D.2008. Concentrated Rural Poverty and the Geography of Exclusion. Carsey Policy Brief, Fall.

4.Payne,R.2005. A Framework for Understanding Poverty. Aha! Process, Inc., Highlands,TX

საინვესტიციო პროექტების მართვის საშუალებების ანალიზი

ალეკო ქუთათელაძე, *პროფესორი*
თემური მატუა, *დოქტორანტი*

რეზიუმე

საქართველოში ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით, ინვესტიციების ზუსტი აღრიცხვისა და ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით მიზანშეწონილია შეიქმნას ინვესტიციების (როგორც შიდა, ისე უცხოური) ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანო. მართალია, დღეისათვის შექმნილია საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტო, რომელიც ახდენს პრივატიზებულ ობიექტების რესტრუქტურიზაციას და მენეჯმენტს. ჩვენი აზრით ეს სრულებით არა არის საკმარისი. სასურველია მას დაემატოს შემდეგი ფუნქციები: ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა; ინვესტირების უფლებების დაცვა; ინვესტიციური და მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირება და რეალიზაცია; ინვესტიციური საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნა და მის ფუნქციონირებაზე კონტროლი; ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის პროგნოზირება, ინვესტირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და კონცეფციების შემუშავება; უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რეგულირება და განთავსება ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგებში.

როგორც ცნობილია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გამყარებაში ისეთ ქვეყნებთან, როგორებიც არის ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირის წევრი ქვეყნები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება ხელს უწყობს როგორც მსოფლიო სავაჭრო სისტემაში საქართველოს სრულ ინტეგრაციასა და ქვეყანაში სტაბილურობის განმტკიცებას, ასევე ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი პირობების შექმნას.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, საინვესტიციო პროექტი, კაპიტალი, საინვესტიციო პოლიტიკა, ეკონომიკური კრიზისი, ფინანსური რესურსები, საინვესტიციო ციკლი, საბაზრო ეკონომიკა.

Analyzing instruments to manage the investment projects

Temuri Matua, GTU – Doctoral
Aleko Qutateladze, GTU- Professor

Summary

To increase and improve investment activities in Georgia, in order to use investments in the most effective way and have precise investment accountability, it is crucial to establish (including Foreign and Domestic investment) supervisory entity with co-ordination function. Of course there is National Agency of Investments, constituting in the Ministry Of Economy and Development of Georgia, which is doing restructuring and management of privatized real estates, but it is not enough to manage challenges. It is highly advised to add the following responsibilities: a) Defining the State mission and goals of Investment policy. b) Protecting the rights of Investors. c) Formulation and implementation of the Investment and Intellectual-Technical policy. d) Creating legal base for Investment activities and monitoring the functionality of it. e) Forecasting the country's investment activities and defining main accents and concepts f) Attracting Direct Foreign Investments and investing in priority sectors.

As it is known becoming of Georgia the WTO member helped the country to improve foreign economical relations with USA and EU countries. Being a member of WTO helps Georgia to become player of the world trade map and becoming more stable country increase attractiveness for FDI.

* * * * *

საქართველოში მიმდინარე რეფორმების განვლილი პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა გადაუდებელი ამოცანაა. ეს კი შემდეგი ამოცანების დროულად გადაჭრაზეა დამოკიდებული:

- პირველი, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. იგი აკავებს ინფლაციასა და აფერხებს წარმოების დაცემას. თანაც, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისათვის აუცილებელია ნეგატიური პროცესების აღკვეთის მუდმივი კონტროლი და მათზე დროულად რეაგირება. ბევრი რამ დამოკიდებულია ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე აქტუალური საკითხების გადაჭრის თეორიული წანამძღვარების სწორად შერჩევაზე, ინფლაციის მიზეზების შესწავლასა და მისი შეკავების მეთოდების დანერგვაზე, ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების ღონისძიებებზე,

საბაზრო კონკურენციის განვითარებაზე და ა.შ.

- მეორე, ცივილიზებული სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით;
- მესამე, სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა, რაც უსათუოდ განამტკიცებს უმრავლეს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას და მათ ინვესტიციურ აქტიურობას შეუწყობს ხელს. ამასთან, ეს ღონისძიება დადებითად იმოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე.
- მეოთხე, აუცილებელია შეიქმნას საინვესტიციო პროექტების დაზღვევის სათანადო სისტემა.

საქართველოსა და საზღვარგარეთ მიმდინარე ინვესტიციური პროცესების თეორიული საფუძვლებისა და ინვესტირების პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე, აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული ინვესტიციური კრიზისის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია დავსახოთ ინვესტიციური სფეროს განვითარების გარკვეული პერსპექტივები. სახელდობრ, ინვესტიციური პროცესის გააქტიურებისა და სრულყოფისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი წინადადებების დაყენება:

1. აუცილებელია ისეთი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს შექმნა, რომელიც დღენიადაგ საინვესტიციო პოლიტიკით იქნება დასაქმებული;

2. სახელმწიფო საინვესტიციო რესურსების ობიექტური შეზღუდულობის პირობებში აუცილებელია ინვესტირების მიმართულებების ოპტიმალური შერჩევა. მართლაც, პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება სახელმწიფოს სამრეწველო და საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მხარეა. პრიორიტეტებს მიაკუთვნეს ის მიმართულებები, სადაც ე.წ. „ზრდის წერტილებია". მათ შეუძლიათ მაღალტექნოლოგიური და მსოფლიო კრიტერიუმების მიხედვით კონკურენტუნარიანი სამრეწველო კომპლექსის ინტენსიური განვითარება. პრიორიტეტი იმ დარგებმაც უნდა მიიღონ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ (სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, აგროსამრეწველო კომპლექსი, კავშირგაბმულობა და ა.შ.). და ბოლოს, ეს ის წარმოებებია, რომლებსაც ქვეყნისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ;

3. როგორც ცნობილია, სახელმწიფო ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს დაფინანსების ან დაკრედიტების მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ბიუჯეტიდან არადაბრუნებად დაკრედიტებაზე გადასვლა. ბიუჯეტიდან მიზანშეწონილია ძირითადად სოციალური მნიშვნელობის მქონე ობიექტების დაფინანსება. თანაც, სახელმწიფო დაფინანსების არსებული ფორმებიდან ყველაზე აქტიურად უნდა ვიყენებდეთ სუბვენციებს, რომლებიც სახსრების დაბრუნებას გულისხმობს მათი არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში.

დღევანდელ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში ძნელია საწარმოთა (რომელთა რიცხვი არც ისე დიდია) დაინტერესება საინვესტიციო ანგარიშების გახსნით. საამისოდ აუცილებელია სტიმულირების ქმედითი ეკონომიკური მექანიზმის ამოქმედება. ამგვარ მექანიზმად უნდა იქცეს საწარმოთა ინვესტიციურ დანახარჯებზე შეღავათების გაწევის არსებულისაგან განსხვავებული წესი: საინვესტიციო ანგარიშებზე საწარმოების მიერ ჩარიცხული სახსრები უნდა გათავისუფლდეს მოგების გადასახადისაგან (მოგების იმ მთელი თანხის ჩათვლით, რომელიც ინვესტირებას ხმარდება); შეღავათები გამოყენებული უნდა იქნეს არა ხარჯების გაწევისათვის, არამედ საწარმოს მიერ ინვესტიციური პროექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში დაგეგმილი დანახარჯებისათვის. ინვესტიციებზე შეღავათების გაწევის მხოლოდ ასეთი წესი მოგვცემს საჭირო სახსრების დაგროვების შესაძლებლობას არა ნომინალურად - საწარმოთა საბუღალტრო აღიცხვის ანგარიშებზე, არამედ რეალურად - ბანკებში არსებულ მათ სპეციალურ ანგარიშებზე (დღეს დაგროვების ფონდის ჩამოყალიბებას საწარმოები ახორციელებენ წმინდა მოგების ხარჯზე, ე.ი. გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგების ხარჯზე).

საინვესტიციო პოლიტიკა იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ შეიქმნას ინვესტორთა და მათი ეროვნულ ეკონომიკაში ჩართვის ერთიანი მაკოორდინირებელი ცენტრი. ცენტრის დანიშნულება უნდა იყოს გრძელვადინი ინვესტიციების მიზნობრივად გამოყენება, ერთიანი პრობლემის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება პრიორიტეტული მიმართულებები. ასეთი საინვესტიციო პროგრამა ხელს შეუწყობს ორი დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტას. ერთის მხრივ, ინვესტიციის ეკონომიკური ზრდისა და ამით დასაქმების პრობლემის ნაწილიბრივ გადაჭრას და მეორეს მხრივ, ეროვნული ეკონომიკის ახალი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა განისაზღვროს. ორივე ეს პრობლემა რომ გადაწყდეს, საგარეო დაფინანსებაში კრედიტების ნაცვლად კურსი ინვესტიციებზე უნდა ავიღოთ, კრედიტებმა ჩვენი კრიზისში მყოფი ეკონომიკა დღეს კიდევ უფრო მძიმე მდგომერეობაში ჩააგდო. უცხოური ვალების გადახდამ ჩვენი ბიუჯეტი ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. რაც საბოლოო ჯამში ამუხრუჭებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

ქვეყანაში ფასების სტაბილურობა და ინფლაციის დონის შემცირება აუცილებელი პირობებია, რაც სტიმულს აძლევს ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას, ხელს უწყობს საერთაშორისო ბაზარზე ადგილობრივი პროდუქციის კონკურეტუნარიანობის ამაღლებას და ხელსაყრელ ფონს ქმნის უცხოური ინვესტიციების მოსაზიდავად.

როგორც აღინიშნა, საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სამართლებრივი უზრუნველყოფა. საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების განხოციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და

მათი დაცვის გარანტიებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, რომლის მიხედვითაც უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ. კერძოდ, საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებსა და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი.

ამავე კანონის თანახმად, საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში ახორციელებს ინვესტირებას. აღსანიშნავია, რომ გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ უცხოელ ინვესტორს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრიაციის უფლება გააჩნია, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე.

საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ ითვალისწინებს როგორც აკრძალვებსა და შეზღუდვებს ინვესტიციის განხორციელების სფეროში, ასევე ინვესტიციების დაცვის გარანტიებს, რაც აღნიშნული კანონის ფარგლებში გულისხმობს ინვესტიციის ხელშეუხებლობასა და კომპენსაციას ინვესტიციის ჩამორთმევისას. ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს. ამ კანონის მიზანია, დაადგინოს ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმი.

ინვესტიციების დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. აღნიშნული ნიშნავს, რომ საქართველოში ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული. ინვესტიციის ჩამორთმევა დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

ფრიად სანტერესოა უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებული საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ დაწესებული შეღავათებისა და შეზღუდვების გაცნობა. აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში არ არსებობს სპეციალური კანონები, რომლებიც არეგულირებენ უცხოურ ინვესტიციებს. ასეთებია დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსებურგი. დიდ ბრიტანეთში შეზღუდვაც კი არის დაწესებული უცხოურ კაპიტალდაბანდებებზე ავიაკოსმოსურ მრეწველობაში, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტზე, კინომრეწველობასა და ტელერადიომაუწყებლობაში.

აშშ-ში აკრძალულია უცხოური კაპიტალის მიერ ფლობა და კონტროლი ისეთ კორპორაციებზე, რომლებიც ტელერადიომაუწყებლობას, ტელეგრაფს, თანამგზავრულ კავშირს, ატომურ ელექტროსადგურების მშენებლობას და ექსპლუატაციის სფეროს განეკუთვნება.

იტალიაში უცხოური კაპიტალის დასაბანდებლად ისეთ დარგებში, როგორიცაა ნაოსნობა, დაზღვევა, საბანკო საქმე სათანადო სამინისტროების ნებართვაა აუცილებლად საჭირო. ფინეთში აკრძალულია უცხოური ინვესტირება ეკონომიკის საერთაშორისო სპეციალიზაციის ისეთ სფეროებში, როგორიც არის სამთო მომპოვებელი, ხის დამამუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა, ატომური ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, კავშირგაბმულობა, რკინიგზის ტრანსპორტი.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ესპანეთში უცხოური კაპიტალის დაბანდება ყველა დარგში ნებადართულია მხოლოდ პარიტეტულ საწყისებზე - ესპანეთის და კაპიტალის დამბანდებელი ქვეყნის თანაბარი წილით. ყოველ შემთხვევეში ყველა ქვეყანა ამ პროცესზე ახორციელებს თავის კონტროლს. დიდ ბრიტანეთში ეს ხდება ინდივიდუალური ნებართვით, რასაც იძლევა ინგლისის ბანკი. საფრანგეთში ამისათვის საჭიროა სპეციალური დელკარაციის წარდგენა ეკონომიკისა დაფინანსების და ბიუჯეტის სამინისტროებში, რომლებიც იძლევიან დაბანდებებზე წინაწარ ნებართვას. გერმანიაში, იტალიასა და ნიდერლანდებში ასეთი წინასწარი ნებართვები საჭირო არაა. იაპონიაში, სადაც ხორციელდება უცხოური ინვესტიციების სფეროში ლიბერიზაცია, ინვესტირებაზე შეიტანება შეტყობინება იაპონიის ბანკის მეშვეობით ფინანსთა სამინისტროში და 30 დღეში უკვე იწყება ინვესტირება. ყველაზე ლიბერალური და ხელშემწყობი რეჟიმი ამ სფეროში აქვს გერმანიას, სადაც საჭირო არაა შეტანასა და გატანაზე სპეციალური ნებართვა, იგი თავისუფალია და რაიმე შეზღუდვას არ ექვქმდებარება. ასეთივეა ლუქსემბურგიც, სადაც არც კაპიტალის წილის შეზღუდვა არსებობს, არც გამგეობაში მონაწილეობის და არც მოგების განაწილების. პორტუგალიაში შეღავათებიც კი არის დაწესებული უცხოურ ინვესტიციებზე, განსაკუთრებით პრიორიტეტულ დარგებში - ელექტრონიკაში, იმფორმატიკაში, ბიოტექნოლოგიაში, ტურიზმში, საექსპორტო ბაზის განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში. აღნიშნული ქვეყნების გამოცდილების გადმოტანა არ იქნება ურიგო ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ფრიად პოზიტიურ გარემოს ქმნის ისეთი, მეტწილად ტერიტორიული გავრცელების არეალშეზღუდული დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობა, როგორიცაა ნავთობის მრეწველობა, შავი (ძირითადად მანგანუმის მადნისა და ფეროშენადნობის წარმოება) და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობის ცალკეული

სახეობანი, სამთოქიმიური მრეწველობა (ძირითადად დარიშხანის წარმოება), მტკნარი და მინერალური წყლების ჩამოსხმა, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება, მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, თამბაქოს წარმოება, მათი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ.

საქართველოს ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ გადაიქცეს საერთაშორისო ტურიზმის ქვეყნად 102 კურორტით, 182 საკურორტო ადგილით, 15000 ისტორიული ძეგლით, რომელთაგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო საგანძურთა სიაში, მოქმედი 2 და პერსპექტიული 7 ეროვნული პარკით, 2400 მინერალური წყაროთი, რომელთა სადღეღამისო დებიტი 130 მლნ ლიტრია, სამკურნალო ტალახებით, კასტრული მღვიმეებით, კლიმატის მრავალფეროვნებით, მოსახლეობის მდიდარი გამოცდილებით ტერიტორიული მომსახურების დარგში, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მაღალი დონით, არაორდინარული სტუმართმოყვარეობითა და განთქმული ქართული სამზარეულოთი. სამწუხაროდ, ქვეყნის ეს მრავალფეროვანი პოტენციალი დღეისათვის გამოუყენებელია. მსოფლიოს ენეგრტიკული ბაზრების დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს სრტატეგიული მდებარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ნავთობის მილსადენებით ტრანსპორტირებისათვის მეტად ეფექტიან და უმოკლეს გზას კასპიის, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან და აზერბაიჯანიდან შავ ზღვამდე. საქართველო ესაზღვრება იმ ქვეყნებს, რომლებიც ფლობენ ნავთობისა და გაზის უდიდეს მარაგებს, კერძოდ, რუსეთსა და კასპიის ქვეყნებს; მეორე მხრივ, იგი ესაზღვრება თურქეთს, რომელიც ენერგორესურსების მნიშვნელოვანი მომხმარებელია. აქედან გამომდინარე, საქართველო განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც ნავთობისა და გაზის მომპოვებელი, ისე აღნიშნული პროდუქტის შემსყიდველი ქვეყნების მხრიდან.

აღსანიშნავია სუფსის ტერმინალისა (საქართველოს შავი ზღვის სანაპირო) და აზერბაიჯანის „ადრეული ნავთობის" ნავთობსადენის მშენებლობის პროცესი, რომელმაც საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირა.

მეტად პერსპექტიულად არის მიჩნეული ტრანსკავკასიური გაზის მილსადენის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თურქმენეთიდან საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიების გავლით გაზის ტრანსპორტირებას თურქეთში. აღნიშნული პროექტების წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის სატრანზიტო შემოსავლებს,უზრუნველყოფს სამშენებლო სექტორის სწრაფად განვითარებას და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს პირდაპირიუცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნული უპირატესობისა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების გარკვეული მიღწევებისა და საინვესტიციო კანონმდებლობისა, რომელიც პასუხობს მსოფლიოში აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, საქართველოს საინვესტიციო გარემო უცხოელი ინვესტორებისათვის ნაკლებ მიმზიდველი რჩება.

დასკვნა

სტაბილური და პროგნოზირებადი საკანონმდებლო პროცესი საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელოვანია, შესაბამისად, ყველა რეფორმის შესახებ, რასაც ხელისუფლება დაგეგმავს ინფორმირებული და ჩართული უნდა იყოს ყველა ის მხარე, ვისაც ცვლილებები შეეხება;

სასურველია, ბიზნესგარემოსთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული საკითხების რეფორმირების პროცესი ძალიან ხარგრძლივი არ იყოს, რათა სამიზნე ჯგუფებმა ადვილად დაძლიონ გარდამავალი პერიოდის და დროულად მოახდინონ ახალ რეალობასთან ადაპტაცია;

ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ისეთი კანონების მიღებისგან, რომლებიც ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს გაუმართლებელ შეზღუდვებს უწესებს და მათ განვითარებას აფერხებს;

ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს ისეთი რეგულაციების მიღებისგან, რომლებიც კონკრეტულ ბაზრებზე ზღუდავს კონკურენციას და უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ცალკეულ კომპანიებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ. საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები საქართველოში. თბ. 2009. 191 გვ.
2. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ": საქართველოს პარლამენტი, თბ., 2006.
3. სიჭინავა ა., გოგორიშვილი ი. საერთაშორისო საინვესტიციო საქმე და ტრანსნაციონალური კორპორაციები, CD — 733, 2012. 302 გვ. (ელ. ვერსია).
4. სიჭინავა ა., ქუთათელაძე ა., ქალიაშვილი მ. ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები საქართველოში. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია; „განათლების თანამედროვე გამოწვევები"; გორი, 2013წ. გვ. 290—295.
5. ქუთათელაძე ა., მატუა თ. ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია — IEC 2013; ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: „გუშინ, დღეს, ხვალ; ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს—ინჟინერინგი". 2014წ.,№3. გვ.110—113.
6. www.nbg.ge
7. www.geostat.ge

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია

ქეთევან ქაჯაია, *ასისტენტ-პროფესორი*
ნატო გეგენავა, *ასისტენტ-პროფესორი*

რეზიუმე

ასოცირების ხელშეკრულების დოკუმენტში წარმოდგენილი ბევრი შეზღუდვის მიუხედავად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველოსთვის არის შესაძლებლობა, მოახდინოს წარმოებისა და მომსახურების განვითარება და შესაბამისი სტანდარტებითა თუ ნორმებით, საკანონმდებლო ცვილებებითა და სწორი რეგულაციებით, ეტაპობრივად მოახდინოს ევროპის განვითარებულ და უმსხვილეს ბაზარზე შესვლა, რაც თავისთავად ნიშნავს ქვეყანაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვასა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. საქართველოს 28 ქვეყნისგან შემდგარ, 500-მილიონიან გასაღების ბაზარზე თავის დამკვიდრების და ამ გზით საექსპორტო პოტენციალის განვითარების უნიკალური შესაძლებლობა გაუჩნდა. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის მოცულობის მაჩვენებელზე უკვე აისახა. 2015 წლის იანვარ-აპრილის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, 6%-ით არის გაზრდილი და 206 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან და ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, ქართული ექსპორტის მოცულობა ევროკავშირის ქვეყნებში კიდევ უფრო მაღალი ტემპით გაიზრდება. საქართველო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, იპოვოს ისეთი მიმართულებები, რომლებშიც ჩვენს ქვეყანას შედარებითი უპირატესობა ექნება ევროპულ ბაზარზე, გააუმჯობესოს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ხარისხი და წარუდგინოს იგი ევროპის 500-მილიონიან მომხმარებელს.

საკვანძო სიტყვები: ევროინტეგრაცია, აღმოსავლეთის პარტნიორობა, ევროკავშირი, ასოცირების ხელშეკრულება, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულება, ევროკავშირში „შესვლის ფასი“, ვაჭრობის ლიბერალიზაცია , ევროპის სამეზობლო პოლიტიკა

European and Euro-Atlantic Integration

Ketevan Kajaia , assistant-professor
Nato Gegenava, assistant-professor

Summary

In spite of the restrictions presented in the document of Association Agreement, in-depth and comprehensive free-trade agreement is a chance for Georgia to develop production and services with proper standards and norms, with legislative changes and right regulations, to access European developed and thriving market gradually, which means itself the right economic policy and supporting the development of business in the country. Georgia is afforded a unique opportunity to establish itself in the market with 500 million customers, consisting of 28 countries, and thus developing export potential. The agreement about free-trade has already influenced on the export volume index from Georgia to European Union. According to the data of January-April, 2015, the index comparing with the previous year has increased with 6% and compounds to $206 million. After delivering on its pledge and improving the quality of the product produced in our country, the import of Georgian product into European Union will continue to accelerate. Georgia must try to find such directions, which will be preferable for our country in the European market, improving the quality of the product produced locally and introduce to the 500 million European customers.

Keywords: European integration, Eastern Partnership, European Union, Association Agreement, In-depth and comprehensive free-trade agreement, “The entry cost” into the European Union, Trade liberalization, European Neighbourhood Policy

* * * * *

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია ქართველი ერის არჩევანია და ბუნებრივია, იგი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ქართულ საზოგადოებას მიაჩნია, რომ ეს არის ყველაზე საიმედო გზა ქვეყნის მშვიდობიანი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველსაყოფად.

საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა ემყარება საერთო ღირებულებებს, რაც გულისხმობს დემოკრატიულ მმართველობას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებათა პრინციპების პატივისცემას. ინტეგრაციის პირველ ეტაპზე, მნიშვნელოვანია „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ როლი, რომელიც ევროკავშირთან დაახლოების გზაზე საქართველოს სასიცოცხლო პერსპექტივებს უხსნის. ამ თვალსაზრისით, ჩვენმა ქვეყანამ მნიშ-

ვნელოვან პროგრესს მიაღწია 2013 წლის 28-29 ნოემბერს, ვილნიუსში გამართულ სამიტზე, სადაც მოხდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება. სამიტზე ხელი მოეწერა ჩარჩო შეთანხმებას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს საქართველოს, ჩაერთოს ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში.

„აღმოსავლეთის პარტნიორობა" არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის განზომილება. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებს ორმხრივი თანამშრომლობის ორ ფორმატს, ასოცირების ხელშეკრულებასა (AA) და თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებას (DCFTA) სთავაზობს. ინიციატივის შესახებ პირველად, 2009 წლის 7 მაისს, პრაღაში, ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოს სამიტზე გაცხადდა. პროგრამის მიზანი ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორების (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის გააღრმავებაა. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის თანამშრომლობის ფარგლებში ასოცირების ხელშეკრულებას მხოლოდ საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ მოაწერეს ხელი. ევროკავშირი თავის პარტნიორებს სთავაზობს: ასოცირების შესახებ ახალ შეთანხმებებს, იმ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმებების ხელმოწერის ჩათვლით, რომლებსაც აქვთ სურვილი და შესაძლებლობა, უფრო მეტად დაუახლოვდნენ ევროკავშირს; თანდათანობითი ინტეგრირება ევროკავშირის ეკონომიკაში და გამარტივებული მიმოსვლა სავიზო სისტემის თანდათანობითი ლიბერალიზების გზით, რასაც თან უნდა ახლდეს ზომების მიღება არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ. აღმოსავლეთ პარტნიორობა ხელს უწყობს, ასევე, დემოკრატიის და კარგი მმართველობის დამკვიდრებას.

2013 წლის 29 ნოემბერს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, საქართველომ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება მოახდინა, ხოლო 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. პროცედურის მიხედვით, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება ევროკავშირის 28-ვე სახელმწიფომ მოახდინა. ასოცირების შეთანხმება არის ორი ნაწილისაგან შემდგარი დოკუმენტი. მას აქვს როგორც პოლიტიკური, ისე სავაჭრო-ეკონომიკური ნაწილი. ამ უკანასკნელზე ქვევით უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ.

ევროპასთან მრავალმხრივი ინტეგრაციის ფონზე, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების მთავარ გარანტად მაინც ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) გაწევრიანება რჩება. ურთულესი გეოპოლიტიკური მდებარეობის მიუხედავად, საქართველომ შეძლო შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. ტერიტორიების დროებითი ოკუპაციის მიუხედავად, საქართველომ არ დათმო დასავლური ორიენტაცია და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ნატო-სთან დაახლოების კუთხით. საქართველომ მოიპოვა ყოველწლიური მოქმედების პროგრამა, რომელიც პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ნატო-ს სტანდარტებს უახლოვდება.

ნატო დიდ დახმარებას უწევს საქართველოს როგორც უსაფრთხოების, ასევე პოლიტიკური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. მასთან პარტნიორობა საქართველოსთვის წარმოადგენს არა მარტო პრაქტიკული მიზნების მიღწევის საშუალებას, არამედ სტრატეგიულ პარტნიორობას, რომელიც საქართველოს დასავლეთთან სრულფასოვან ინტეგრაციას ემსახურება.

ნატო-სთან ურთიერთობა არ არის მხოლოდ ცალმხრივად დახმარების მიღების საშუალება. საქართველომ წარმატებით მოახერხა, საკუთარი წვლილი შეეტანა საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობით საქართველო გახდა ნატო-ს საიმედო მოკავშირე და პარტნიორი.

დავუბრუნდეთ ისევ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას. ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირის მთავარი ინსტრუმენტია, რათა აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში ჩართული ქვეყნები უფრო მეტად დაუახლოვდნენ ევროკავშირის სტანდარტებს და ნორმებს. ასოცირების ხელშეკრულება შედგება ოთხი ძირითადი თავისგან, რომლებიც მოიცავს ერთობლივ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, სამართალს და საშინაო საქმეებს, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს.

ზემოთ ჩამოთვლილ კონცეპტუალურ მომენტებთან ერთად, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია. იგი გულისხმობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ჩამოყალიბებას. DCFTA გზას უხსნის საქართველოს საქონელსა და მომსახურებას ევროკავშირის 500-მილიონიან ბაზარზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ქვეყანაში ინვესტიციების მოსაზიდად.

2014 წლის 1 სექტემბრიდან, ძალაში შევიდა ასოცირების შესახებ შეთანხმების დიდი ნაწილი, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ნაწილი. შეთანხმება ძალაში სრულად შევიდა მხოლოდ დეკემბრის შუა რიცხვებში, როცა ბელგიის პარლამენტმაც მოახდინა დოკუმენტის რატიფიცირება. ამით ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების რატიფიცირება სრულად დასრულდა.

ეკონომიკაში არსებობს ოთხი თავისუფლება: კაპიტალი, პროდუქცია, სერვისი, სამუშაო ძალა.

ამ ხელშეკრულებით ჩვენ ოთხი თავისუფლებიდან ვიღებთ სამს, ყველას, სამუშაო ძალის გარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ქართულ პროდუქტებს, სერვისს და კაპიტალს საშუალება ექნება შეუზღუდავად გავიდეს 500-მილიონიან ევროპულ ბაზარზე, რომელიც განვითარებულ მსოფლიოში, ყველაზე დიდი ერთიანი ბაზარია. შესაბამისად, იქ შეღწევა არის ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მიზანი. ეს ხელშეკრულება სწორედ ამგვარი მიზნების მიღწევაში ეხმარება ქართულ საზოგადოებას.რაც შეეხება მეოთხე თავისუფლებას — ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას, ითვალისწინებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი და ესეც ცალკე თემაა. აქვე ვიტყვით, რომ 18 დეკემბერს გამოქვეყნდა ევროკავშირის საბოლოო ანგარიში, სადაც საქართველოსთან მიმართებაში ასახულია პოზიტიური დასკვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველომ სრულად შეასრულა ყველა ის დავალება, რაც გათვალისწინებული იყო ასოცირების ხელშეკრულებით. ამის შემდეგ, მომავალი წლის პირველ ნახევარში, საქართველოს მოაქლაქეები მიიღებენ შესაძლებლობას, უვიზოდ იმოგზაურონ შენგენის ქვეყნებში.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგალითად, სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისთვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, მისი ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ეს საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. საქართველოს ოფიციალური სტრუქტურების ინფორმაციით, მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით.

ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (გამონაკლისია მხოლოდ ნიორი, რომელზეც იმოქმედებს რაოდენობრივი შეზღუდვა-კვოტა) ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებისას გათავისუფლდება საბაჟო ტარიფისგან. ამის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ 28 პროდუქტი, ჯერ კიდევ რჩება ევროკავშირის ბაზარზე შესვლის ფასს დაქვემდებარებული. ეს პროდუქტები ევროკავშირისთვის „მგრძნობიარე“ პროდუქციად ითვლება და ისინი მონიტორინგს დაექვემდებარება. ძირითადად, ეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებია: 8 სახეობის ყურძნის წვენი და ნექტარინი, 4 სახეობის ბოსტნეული (პომიდორი, კიტრი, არტიშოკი და ყაბაყი), 7 სახეობის ციტრუსი (ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი...), 9 სახეობის ხილი (კურკოვანი ხილი და სუფრის ყურძენი). აქვე ჩნდება ტერმინი — „ევროკავშირში შესვლის ფასი“. თუ ევროკავშირში იმპორტირებული ქართული პროდუციის ფასი ევროკავშირის ბაზარზე ანალოგიური პროდუქციის ფასზე ნაკლები იქნება, მაშინ ფასთა სხვაობა შევსებული უნდა იქნას იმპორტიორის მიერ. ქართული პროდუქციის ფასის მეტობის შემთხვევაში, ეს რეჟიმი არ მოქმედებს და პროდუქციაც საბაჟო გადასახადისაგან თავისუფლდება. ევროკავშირში „შესვლის ფასი“-ს გაანგარიშება იმპორტირებული პროდუქციის სეზონურობის მიხედვით იცვლება. აქ შეიძლებოდა ქართულ მხარეს ჰქონოდა დემპინგის მექანიზმის გამოყენების იმედი, მაგრამ დემპინგის თავიდან აცილების ღონისძიებები დეტალურად არის გაწერილი ხელშეკრულებაში.

DCFTA გულისხხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, იგი მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგალითად, სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. შეთანხმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოების შედეგად, საქართველოში იქმნება ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ასევე ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კანონმდებლობის დაახლოება უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მაქსიმალურ გამჭვირვალობას და ამასთან, საქართველოში წარმოებული პროდუქტის და მომსახურების დაშვებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სისტემა დაუახლოვდება ევროპულ სისტემას, შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნის გზით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ინოვაციურ განვითარებას და თანამედროვე ტექნოლოგიების და ცოდნის შემოდინებას. მომსახურებით ვაჭრობის სფეროში კანონმდებლობის დაახ-

ლოება შესაძლებელობას იძლევა, ანხორციელდეს მომსახურების ბაზრების შემდგომი ლიბერალიზაცია, რაც ითვალისწინებს რთული კომპანიებისთვის ევროკავშირის შესაბამის ბაზრებზე დაშვების უკეთესი პირობების მიღებას. მომსახურების სფეროს ქართულ კომპანიებს საშუალება მიეცემათ, დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპელ მომხმარებელს; ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები; გაუშვან თავიანთი გაყიდვების წარმომადგენლები ევროკავშირში, მოლაპარაკებების საწარმოებლად; მიაწოდონ მომსახურება ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან, ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე.

ამ ყველაფრის ფონზე ჩნდება ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, უფრო სწორად, კითხვები. სავარაუდოდ, ყოვლისმომცველი შეთანხმება და მასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება, მოკლევადიან პერსპექტივაში, როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციისთვის,ისე კერძო სექტორისთვის, დამატებით დანახარჯებს გამოიწვევს, რაც ბუნებრივია, პირდაპირ აისახება წარმოებული პროდუქციის ფასებსა და მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. ამიტომ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: „გააძვირებს თუ არა ქართული წარმოების პროდუქციასა და მომსახურებას ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა?“ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით, ქართული პროდუქციისთვის ევროკავშირის ბაზარზე იხსნება სატარიფო ბარიერები, რამაც საქართველოდან ევროპაში ექსპორტი უნდა გაზარდოს. ასეთ შემთხვევაში, თუ წარმოების მოცულობაც არ გაიზარდა, ამას მოჰყვება ფასების ზრდა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ქართული პროდუქციის დაბრუნება რუსეთის ბაზარზე. როგორც ცნობილია, მაშინ გაძვირდა როგორც ყურძენი და ღვინო, ასევე, ის ხილი და ბოსტნეული, რომელიც რუსეთის ბაზარზეა დაშვებული. ადგილობრივი წარმოების ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება ბიზნესისგან დამატებით დანახარჯებს მოითხოვს. როგორც ცნობილია, მაღალი ხარისხი მაღალ ფასსაც გულისხმობს. ხელისუფლებაშიც არ გამორიცხავენ, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა ადგილობრივ ბაზარზე სამომხმარებლო ფასებს გაზრდის.

ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ამოქმედება სამომხმარებლო ფასებზე ორი მიმართულებით მოახდენს ზეგავლენას: 1. კომპანიები, რომლებიც გადააიარაღებენ საწარმოს, მოექცევიან ახალი რეგულაციების ქვეშ, მათთვის წარმოების ხარჯები გაიზრდება, შესაბამისად, ეს აისახება პროდუქციის ფასზე. მაგრამ, იმავდროულად, პროდუქციის ხარისხიც გაიზრდება; 2. იმ კომპანიების შემთხვევაში, რომლებიც უკვე დღეს აწარმოებენ მაღალი სტანდარტების შესაბამის პროდუქტს, გაიზრდება მათ პროდუქციაზე მოთხოვნა ევროპის ბაზარზე. მოკლევადიან პერიოდში, მოთხოვნის ზრდა ფასებზე აისახება, თუმცა, ეს მყისიერად არ მოხდება. ფასების ზრდა დამოკიდებულია მოთხოვნის მაჩვენებელზე. ექსპერტების ვარაუდით, პირველ ეტაპზე, შესაძლოა, ფასების ზრდა უფრო საგრძნობი იყოს, შემდეგ კი პროცესი აუცილებლად დაბალანსდება. მხოლოდ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პირობების გავლენით, საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში, ფასები შესაძლოა, 3-5%-ით გაიზარდოს.

ფასების ზრდის პარალელურად ვითარდება შემხვედრი პროცესები: მოსალოდნელია ქვეყანაში ინვესტიციებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაც, რაც მოსახლეობის შემოსავლების მატებაზეც აისახება. ოღონდ მოვლენების განვითარების კონკრეტულად ასეთ სურათს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ველოდოთ, თუ ქვეყნის ეკონომიკაზე სხვა დადებითი ან უარყოფითი ფაქტორების გავლენას გამორიცხავთ. რუსეთის ბაზრის გახსნამ გაზარდა მოთხოვნა და ფასები ქართულ ხილსა და ბოსტნეულზე, მაგრამ ეს პროდუქტები ევროკავშირში ასე სწრაფად ვერ შევა. ამას სტანდარტების ათვისება და ტექნოლოგიების დახვეწა სჭირდება. შესაბამისად, იმის მსგავსი ეფექტი, როგორიც რუსული ბაზრის გახსნის შედეგად მივიღეთ, ევროპული ბაზრის გახსნის შემდეგ მოკლე პერიოდში არ განმეორდება.

სავარაუდოდ, საქართველოში წარმოებულ პროდუქციას, რომელიც ადგილობრივი ბაზრისთვის არის განკუთვნილი, მნიშვნელოვანი პრობლემა არ შეექმნება - თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ამოქმედება ამ პროდუქციის მიმოქცევის რეჟიმს საგრძნობლად არ შეცვლის. მაგრამ ცვლილებებია მოსალოდნელი იმ იმპორტირებული ნედლეულისთვის, რომელიც საქართველოში ადგილობრივი პროდუქციის წარმოებისთვის შემოდის. არის ქვეყნები, რომლებთანაც საქართველოს უკვე აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, და ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის სახელმწიფოების სახით დაემატება ამ ნუსხას. გამარტივებული დაბეგვრის რეჟიმი გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ნედლეულის იმპორტის პროცედურები არც გართულდება და არც გაძვირდება, შესაბამისად, ქართულ პროდუქციას ამ თვალსაზრისით პრობლემა არ შეექმნება.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულების ამოქმედება საქართველოში წარმოებული პროდუქციისთვის ორ მოცემულობას ქმნის: პირველი, მოკლევადიანია - ეს გახლავთ ტრანსფორმაციის, ანუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდი, როცა დაინერგება ევროპული სტანდარტები და ადგილობრივი პროდუქცია ამ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვა. გრძელვადიან პერსპექტივაში კი არის მოლოდინი, რომ ქართული წარმოება მთლიანად გადაერთვება ევროპული წარმოების რეჟიმზე, რაც დამატებით კაპიტალდაბანდებას, ინვესტირებას საჭიროებს მაღალ ტექნოლოგიებში და მოსალოდნელია, რომ ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე ფასთა ცვლილება მოხდეს. თუმცა,

ქართული პროდუქციის ევროპულ ბაზარზე შეღწევა, წარმოების მოცულობასაც გაზრდის, რაც შესაძლებლობას იძლევა, ფასი, პირიქით, შემცირდეს - ანუ პროდუქციის რაოდენობის ზრდის ხარჯზე უკეთეს შემთხვევაში, ფასი შესაძლოა, შემცირდეს, უარეს შემთხვევაში კი, არ გაიზარდოს.

ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკ-რულება იქნება მძლავრი იმპულსი საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად, როგორც ევროპული, ისე იმ ქვეყნებიდან, რომელთაც არ აქვთ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. მათი ინტერესი იქნება, რომ საქართველოში ჩადონ ინვესტიცია, ააწყონ წარმოება და აქ წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის ხუთასმილიონიან ბაზარზე გაიტანონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), 2014 წელი
2. DCFTA-ს შესაძლებლობები და გამოწვევები ქართული ბიზნესისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განმარტებები.
3. „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებუ-ლების შესახებ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
4. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ამერიკის ეკონომიკის ანატომია

გიორგი ნანუაშვილი, ასოც. პროფესორი

რეზიუმე

აშშ დღეისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ განვითარებულ ქვეყანას ეკონომიკის თვალსაზრისით. როგორ მიაღწია მან ასეთ სიმაღლეებს ეკონომიკაში? ეს რომ გავარკვიოთ საჭიროა გავაანალიზოთ მისი წარსული დაარსებიდან დღემდე.

ამ ქვეყნის ისტორია არ ყოფილა ყოველთვის წარმატებების ეპოქა. იყო როგორც აღმასვლის ასევე წარუმატებლობის პერიოდები, მაგრამ ამერიკელი ხალხის ერთსულოვნებითა და ქვეყნის წინსვლის იმედით შეპყრობილნი და ასევე მთავრობის მოქნილი, გონივრული, ხისტი და ზოგჯერ მკაცრი პოლიტიკით იქნა მიღწეული ყოველივე აღნიშნული.

დღეისათვის აშშ წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე ძლიერ ზესახელმწიფოს, რომლის ეროვნული ვალუტა დოლარი ასრულებს ,,მსოფლიო ფულის,, როლს, რადგანაც ამ ქვეყნის მიერ გამოშვებული ფულის 70%-ზე მეტი ბრუნვაში იმყოფება აშშ-ის ფარგლებს გარეთ მთელ მსოფლიოში.

Anatomy of Economics of America

Giorgi Nanuashvili

Summary

The USA is one of the most economically developed country. How does America achieve economic growth? You need to learn American History.

It has not always been the period of prosperity in the History of America. There were both period of growth and period of decline but all the above has been achieved by unanimity of the American people and progressive, flexible and sometimes tough government policy.

The USA is the most powerful super-state in the world and American national currency – dollar plays the role of "a world currency" as 70% of the American currency is used outside the USA in the world.

* * * * *

ამერიკის ეკონომიკა, თანამედროვე ეტაპზე, ის ფენომენია, რომელზედაც აქცენტს აკეთებს მთელი ცივილიზებული სამყარო. ამერიკის დღევანდელი ეკონომიკა ხომ დინამიური, თავისუფალი, მუდმივ მოძრაობაში მყოფ საბაზრო სისტემას წარმოადგენს. მისი ეკონომიკა ძირითადად შერეული ტიპისაა და, მიუხედავად იმისა, რომ რესურსების უდიდესი ნაწილი კერძო მფლობელობასია, ფედერალური ხელისუფლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბაზრო ეკონომიკაში. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის ეკონომიკა, რომელიც დაახლოებით 260 წლის წინათ წარმოიშვა მეტად წარმატებული და მოქნილი აღმოჩნდა.

რას უნდა უმადლოდეს ამერიკელი ხალხი თავისი ქვეყნის ეკონომიკის ასეთ არნახულ წინსვლას და წარმატებას? ამ კითხვაზე ზოგადი პასუხი რომ გავცეთ საჭიროა მივმართოთ ისტორიას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველი ეკონომიკური სისტემა მოწოდებულია იმისათვის რათა განსაზღვროს და მომავალში დააკმაყოფილოს ადამიანების მოთხოვნილება პროდუქციაზე, საქონელზე და მომსახურებაზე წარმოების, განაწილებისა და გადანაწილების მეშვეობით. ეკონომიკური სისტემა სწორედ ის მექანიზმია, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ბუნებრივ და ადამიანურ რესურსებს, ტექნოლოგიებს და ტექნიკას, საქმის მცოდნე, ნიჭიერ და მენეჯმენტის უნარით დაჯილდოებულ ხალხს.

ეკონომიკური სისტემის პირველი შემადგენელი ნაწილია საქონლის წარმოებისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსები. აშშ მდიდარია მინერალური რესურსებით და ნაყოფიერი სასოფლო სამეურნეო ნიადაგებით, რასაც ხელს უწყობს ზომიერი კლიმატური პირობები. ასე მაგ.: აშშ-ის ტერიტორია შეადგენს - 9372610 კვ.კმ-ს, საიდანაც სახნავი მიწების ფართობი პროცენტულად საერთო ფართობისადმი შეადგენს 19%-ს ანუ 178080 კვ.კმ. რაც შეეხება დასაქმებას იმ დაახლოებით 300 მილიონ მოსახლეობიდან პროცენტულად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მხოლოდ დაახლოებით 2%, მრეწველობაში დაახლოებით 23%, მომსახურების სფეროში76%.

ამერიკა ფლობს 100 სახეობაზე მეტ სასარგებლო წიაღისეულს. იგი საკმაოდ მდიდარია ენერგორესურსებით. იგი უზრუნველყოფილია ენერგოშემცვლელებით-ნავთობით, ნახშირით, ბუნებრივი აირით, ურანით, ჰიდრო და ჰელიო რესურსებით, მაგრამ მათგარკვეულ ნაწილს აკონსერვებს და შემოაქვს სხვა ქვეყნებიდან.

მეორე, თავისუფალი და თავიდან იაფი მუშახელის ოდენობა. იგი იძლევა საშუალებას განისაზღვროს რამდენად ჯანსაღია ეკონომიკა. საერთოდ კი აშშ-ში ყოველთვის იყო არის მუშახელის სიჭარბე, რათა დააკმაყოფილოს მუდმივად მზარდი ეკონომიკის მოთხოვნები.

აშშ-ის ეკონომიკური სისტემა ემყარება კერძო მესაკუთრეობას. ამის მიუხედავად მთავრობა გარკვეული ზომით ყოველთვის მონაწილეობდა ეკონომიკის რეგულაციასა და მართვაში. ამავე დროს ამ ქვეყნის მოქალაქეებს ყოველთვის ქონდათ არჩევანი, თუ ვისთვის ემუშავათ და რა შეექმნათ, სწორედ ამიტომაც უწოდეს ეკონომიკის ამ სისტემას ,,თავისუფალი სამეწარმეო სისტემა,,. მაგრამ მაინც სად იღებს ფესვებს ამერიკის თავისუფალი სამეწარმეო სისტემა?

ამერიკის ეკონომიკის ისტორიული განვითარების ფესვები მოდის 16 - 17 საუკუნეების ევროპული ემიგრანტების სამეურნეო საქმიანობიდან ამ დრომდე ჩრდილოეთ ამერიკა დასახლებული იყოაბორიგენული ტომებით, რომლებიც მათი რწმენით გადმოსახლდნენ 20000 წლის წინ, როდესაც არსებობდა სახმელეთო ე.წ. ხიდი აზიასთან იმ ადგილას სადაც ახლა ბერინგის სრუტეა.

ამერიკის აღმოჩენა პირველად 1000 წლის მოახდინეს ვიკინგებმა, მაგრამ მან, შეიძლება ითქვას, ხმაურის გარეშე ჩაიარა. მაგრამ 1492 წელს იგი ხელმეორედ აღმოაჩინა ქრ. კოლუმბმა და მას ,,უცხო ქვეყანა,, უწოდა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მისი გამოკვლევები ესპანელი, პორტუგალიელი, ჰოლანდიელი და ფრანგი მკვლევარებისა და მოგზაურების მიერ, რომელთა უმეტესობა ეძებდა სიმდიდრეს, პატივს, ფუფუნებას და განვითარების იერარქიულ ადგილებს.

1607 წელს ინგლისელების ერთმა ჯგუფმა შექმნა დასახლება და სწორედ აქედან ჩაისახა მომავალი შეერთებული შტატები. ამ დასახლებას უწოდეს ,, ჯეიმსთაუნი", იგი ამჟამინდელ ვირჯინიის შტატში მდებარეობს. მიზეზები, რომელთა გამოც ადამიანები ეძებდნენ ახალ ,, სამშობლოს", სხვადასხვა იყო. მაგ. პურიტანელები, რომლებმაც რამოდენიმე დასახლება შექმნეს მასაჩუსეტში, იყვნენ ღრმად მორწმუნე და დისციპლინებული ადამიანები. ისინი ინგლისიდან გამოიქცნენ რელიგიურ ნიადაგზე. უფრო მოგვიანებით, მე-17 ს-ში ძალიან ბევრი კოლონია დაარსდა, როგორც სამეწარმეო ერთეული.

ინგლისიდან ამოსულები ყველაზე წარმატებულები აღმოჩნდნენ ევროპელებს შორის იმ მიწების კოლონიზაციის საქმეში, რომელიც მომავალში ჩამოყალიბდა როგორც აშშ. წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა ჩარტერული კომპანიების შექმნამ,რომლებიც იქმნებოდა აქციონერების მიერ. ამას კი ხელი შეუწყო ,,ჯეიმსთაუნის"კოლონიის შექმნამ. აქციონერები ჩვეულებრივად ვაჭრები ან მდიდარი მიწათმფლობელები იყვნენ, რომელთაც ამოძრავებდათპირადი ეკონომიკური ინტერესი და შესაძლებელია ეროვნული მიზნებიც კი.კერძო სექტორი აფინანსებდა ასეთ საქმიანობას, ხოლო სამეფო ტახტი თითოეულ პროექტს ანიჭებდა სიგელს (ჩარტერს), რომლის თანახმად მათ არა მარტო ეკონომიკური, არამედ ასევე პოლიტიკური და სამართლებრივი უფლებებიც ეძლეოდათ.

მე-18-ე საუკუნისათვის ჩამოყალიბდა და სტაბილური გახდა რეგიონალური ეკონომიკური მოდელი: ნიუ-ინგლანდის კოლონიები ძირითადად მისდევდნენ გემთმშენებლობას და მეზღვაურთა მომზადებას; მერილენდის, ვირჯინიის და კაროლინის პლანტაციებში მოყავდათ თამბაქო, ბრინჯი და ინდიგო; ნიუ-იორკის, პენსილვნიის, დელვერის კოლონიებში მრცვლეულს და პურეულს ამზადებდნენ. ცხოვრების დონე სამივე რეგიონში უფრო მაღალი იყო ვიდრე თვით ინგლისში. ამიტომაც 1770 წლისათვის ჩრდილო ამერიკის კოლონიებიეკონომიკურად და პოლიტიკურად მზად იყვნენ, გამხდარიყვნენ ახალი თვითმმართველობის ერთეულები. პოლიტიკაში ეს მიმართულება დომინირებდა მეფე ჯეიმს I (1605 - 1625) დროიდან.

ამერიკულმა რევოლუციამაც გარკვეული გავლენა იქონია ამ ქვეყნის ეკონომიკაზე, რომელიც თავისი შინაარსით იყო, როგორცპოლიტიკური ისე ეკონომიკური. მისი მამოძრავებელი ძალა იყო ახლად აღმოცენებული საშუალო ფენა, რომლის ლოზუნგი იყო ,,სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების ხელშეუხებლობა".ყოველივე აღნიშნულმა და ასევე ბრიტანეთის სამხედრო ნაწილების დაპირისპირებამ კოლონიურ მილიციასთან საზოგადოება მიიყვანა სამშვიდობო ხელშეკრულების დადებამდე, ხოლო შემდეგ 1783 წელს ახალი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების გამოცხადებამდე.

შეერთებული შტატების კონსტიტუცია, რომელიც 1887 იქნა მიღებული, კოლექტიური შრომის გენიალურ ნაშრომს წარმოადგენს. ეკონომიკური თვალსაზრისით მთელი ქვეყანა ამითმოექცა ერთსაერთო სავაჭრო სივრცეში. არ უნდა ეარსება არავითარ სატარიფო ან საგადასახადო შეზღუდვებს შტატებს შორის ვაჭრობაში. კონსტიტუციითვე განისაზღვრა ფედერალური მთავრობების მოვალეობები: სხვ ქვეყნებთან და თვით შტატებს შორის ვაჭრობის რეგულაცია, გაკოტრების ერთიანი კანონმდებლობის შექმნა, ფულადი ნიშნების გამოშვება და მათი ნიშნების განსაზღვრა, საპატენტო და საავტორო უფლებების დაცვის წესების დადგენა და სხვა მრავალი.

ალექსანდრე ჰამილტონი, ჯორჯ ვაშინგტონის მთავრობაში ხაზინის მდივანი, მხარს უჭერდა ფედერალური მთავრობის ჩართვის ეკონომიკის განვითარებაში, რაც ჩვენი აზრიტიყო სწორი და მართებული მოსაზრება. იგი მომხრე იყო ახლადაღმოცენებული ინდუსტრიებისათვის ღია სუბსიდიების გაცემისა და დამცველი ტარიფების შემოღებისა. მან მოითხოვა ასევე ეროვნული ბანკის შექმნა და საზოგადოებრივი ვალის აღიარება, რომლებიც კოლონიებმაააიღეს რევოლუციურ ომში. სწორედ ამის მიზეზიიყო, რომ პირველი ეროვნული ბანკი დაარსდა 1791 წელს, რომელმაც მხოლოდ 1811 წლამდე იარსება. ჰამილტონის აზრით ეკონომიკის ზრდა ხელს შეუწყობდა მრავალფეროვან გემთმშენებლობას, საბანკო საქმეს და სხვა. მისი მოწინააღმდეგე თომას ჯეფერსონი თავის ფილოსოფიას აფუძნებდა ჩვეულებრივი ადამიანების დაცვაზე პოლიტიკური და ეკონომიკურიტირანიისაგან. 1801 წელს თ. ჯეფერსონი გახდა აშშ- პრეზიდენტი და უმალ დაიწყო დეცენტრალიზებული, აგრარული დემოკრატიისაკენ მიმართული ხისტი პოლიტიკის გატარება.

მე-19-ს-ის ოციან წლებში იწყება ლტოლვა ველური დასავლეთისაკენ. ამ დროს შეიქმნა მრავალი ეროვნული გზები, ისეთები, როგორიცაა კამბერლინდის გზაგასაყარი (1818წ) და ერის სანაოსნო არხი (1825წ), რომელმაც შექმნა ერთიანი სანაოსნო სისტემა ჩრდილოეთის დიდ ტბებთან

ერთად. ამან კი ფერმერებს გაუადვილა პროდუქციის ბაზრამდე მიტანა.

1829 წელს სათავეში მოვიდა ენდრიუ ჯექსონი. იგი წინ აღუდგა 1816 წელსდაარსებულ ფედერალურ ბანკს. ის უპირატესობას ანიჭებდა აღმოსავლეთს დასავლეთთან შედარებით, მან არ განაახლა ბანკის წესდება, რომელსაც ვადა გასდიოდა 1836 წელს და 1833 წელს მეორე ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა არსებობა. ჯექსონის საქმიანობამ ხელი შეუწყო მწვავე პანიკის წარმოშობას ბიზნესში, რომელსაც ადგილი ქონდა 1843 და 1837 წ.წ. ამ პერიოდში დაიწყო არნახული სპეკულაცია. ერთი და იგივე მიწები რამოდენიმეჯერ იყიდებოდა. ამ გზით ქვეყნის შემოსავალი 1834 წელს 5 მილიონ დოლარიდან გაიზარდა 1836 წელს 20 მილიონ დოლარამდე. მაგრამ ამ აღნიშნულ ბუმში უკვე იყო ჩადებული მოახლოებული კატასტროფის მარცვალი. ამ პანიკის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ აშშ სწრაფი ეკონომიკური ზრდა მე-19ს.-ში არ შეფერხებულა, რასაც ხელი შეუწყო ახალი აღმოჩენებისა და გამოგონებების ტალღამ. აქედან ყველაზე აღსანიშნავი იყო:

- ნავთობის აღმოჩენა დასავლეთ პენსილვანიაში - 1859წ.
- გ.ლ. შოლის საბეჭდი მანქანის მომზადება წარმოებისათვის - 1868წ.
- დაიწყო გ.ფ. სუიფტის რკინიგზის ვაგონ-მაცივრების გამოყენება - 1875წ.
- ალექსანდრ გ. ბელის მიერ ტელეფონის გამოგონება- 1876 წ.
- პირველად აჟღერდა თ.ედისონის ფონოგრამა - 1877წ.
- ჯორჯ სელდენმა მიიღო პატენტი ,, ბენზინის ეტლის "გამოგონებაზე- 1879 წ.
- ნიუ-იორკში მუშაობა დაიწყო თ.ედისონის ელექტროსადგურმა- 1882წ
- პირველად ცაში აიჭრა ძმები რაიტების თვითმფრინავი - 1903წ.

დიდი ნახტომი გააკეთა მომპოვებელმა მრეწველობამ, კერძოდ ტბა სუპერიორის რეგიონში დაიწყო რკინის მადნის ამოღება, რამაც გამოიწვია დიდი ტბების გასწვრივ რკინისა და ფოლადის მწარმოებელი ქარხნების ქსელის განვითარება. დაიწყო ჯონ დ. როკფელერის მიერ ნავთობის მოპოვება. მოხდა ვერცხლისა და სპილენძის საბადოების აღმოჩენა და დამუშავება. ყოველივე აღნიშნული კი მოითხოვდა დიდი რაოდენობის მუშახელს. ფრედერიკ ტეილორი, მეცნიერული მენეჯმენტის პიონერი, ცდილობდა გულდასმით შეესწავლა მუშათა ფუნქციები და ანალიზის შედეგად მოეძებნა სამუშაოს შესრულების უფრო ეფექტური გზები. ამის დასტური იყო ჰენრი ფორდის მიერ 1913 წელს გაშვებული პირველი ასაწყობი ხაზი, სადაც თითოეული მუშა ვალდებული იყო შეესრულებინა ერთი მარტივი მოქმედება ავტომანქანების აწყობის დროს. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ამერიკაში ბიზნესმენთა იდეალიზაცია, ეს მართებულიც იყო, მათ ხომ შექმნეს უზარმაზარი ფინანსური იმპერია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ამერიკის ეკონომიკის აღორძინებაში. მე-19-ს.-ის მეორე ნახევარში დაიწყო სარკინიგზო ქსელის განვითარება (1850), რამაც გამოიწვია ჩრდილოეთის ინდუსტრიის ზრდა (1860) და საინვესტიციო ბანკების აღმავლობა (1870).

ე.წ. ..დიდი ბობოლები" ერღმანეთის მზარდი კონკურენტები იყვნენ. ასეთ ბობოლათა შორის იყვნენ ჯეი გოულდი, ჯ.პ. მორგანი, ენდრიუ კარნეგი, ჯონ დ. როკფელერი, ჰ. ფორდი, დიუპონი და მრავალი სხვა.

თვითონ ბიზნესი თავისთავად არ აღმოცენებულა ამერიკაში, ის უფრო ევროპული კაპიტალიზმის თუ სხვა სოციალური წყობის ნიადაგზე გაჩნდა. ამის მიუხედავად, უდიდესი ინდუსტრიული საწარმოები როგორიცაა, მაგ; რკინიგზები თავისი მენეჯერული იერარქიით, გაცილებით ძლიერი, გავლენიანი და მძლავრი იყო აშშ-ში, ვიდრე სადმე სხვაგან ევროპის რომელიმე ქვეყანაში.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში აშშ-ის წინაშე წამოიჭრა გარკვეული პრობლემები, ისეთები, როგორიცაა: წარმოებისა და ფინანსური რესურსების ქსელის შექმნა დიდი მასშტაბის ინდუსტრიების, ბანკების, საფონდო ბირჟების, სადაზღვევო კომპანიების და მშრომელთა კარგად ორგანიზებული გაერთიანებების შექმნა.

ყოველივე ამან შექმნა აყვავების პერიოდი. ეკონომიკამ სწრაფად იწყო განვითარება, უფრო სწრაფად განვითარდა საფონდო ბაზარი. აღნიშნული აყვავების ერა დასრულდა სასტიკი კრიზისით, რომელშიც აშშ-მა დაკარგა მშპ-ის თითქმის 1/3-ზე მეტი, რაც თვალნათლივ აისახა ამერიკის მოსახლეობაზეუარყოფითად. კრიზისს მოყვა დეპრესია, საიდანაც გამოსავალს მიაგნო პრეზიდენტმა ფფ.რუზველტმა, რომელმაც შეიმუშავა ამერიკის განვითარების ,,ახალი კურსი" და, რომელიც ითვალისწინებდა ,,სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკურ ცხოვრებაში."

ამას მოყვა მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც დიდი დაღი დაასვა მსოფლიო ეკონომიკას და მათ შორის აშშ. სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნენ მშვიდობიანი წარმოებები და მალე ძალიან დიდი შეკვეთების მიღება დაიწყეს. ავტოქარხნები აწარმოებდნენ ტანკებსა და თვითმფრინავებს, ხოლო ამერიკა აქციეს ე.წ. ,,დემოკრატიის არსენალად". ინფლაციის წარმოშობის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით ახლად შექმნილმა ფასების მართვის ოფისმა დააწესა კონტროლი ზოგიერთი შენობების იჯარაზე და მოახდინა სხვადასხვა სამომხმარებლო საქონლის, დაწყებული შაქრიდან დამთავრებული ბენზინით – რაციონირება.

ომის შემდგომ ბევრი ამერიკელი მოელოდა, რომ უზარმაზარი სამხედრო ხარჯების შემდეგ დაბრუნდებოდა დიდი დეპრესიის დრო. მაგრამ მოხდა პირიქით, ამერიკის ეკონომიკამ განიცადა განსაკუთრებით ძლიერი ზრდა. მის წილად მოდიოდა მსოფლიო მშპ-ის თითქმის 50% მთლიანი ეროვნული შემოსავლის ზრდამ 1940 წლის 200 მილიარდიდან 300 მილიარდამდე 1950 წელს და 500 მილიარდამდე

1960 წელს მიაღწია. ავტოინდუსტრიამ წარმატებით მოახდინა ტანკებისა და სამხედრო დანიშნულების თვითმფრინავების კონვერსია. ძალიან სწრაფად იწყო განვითარება ახალმა ინდუსტრიებმა, ისეთებმა , როგორიცაა ავიაცია და ელექტრონიკა. იქმნებოდა უზარმაზარი დივერსიფიცირებული კონგლომერატები : მაგ; კომპანიამ ,,ინტერნეიშნლ ტელეფონ ენდ ტელეგრაფ" შეისყიდა ,,შერატონ ჰოტელს "-ი, ,,კონტინენტალ შეივინ"-ი, ,,ჰარტფორდ ჰაირ ინშურანს"-ი, ,,ავის რენტ. ე. კარ"-ი. ამავე დროს იცვლებოდა ამერიკის სანუშაო ძალთა განაწილება. 1950-იანი წლების განმავლობაში მომსახურების სფეროში მომუშავეთა რიცხვი ჯერ გაუთანაბრდა და შემდეგ გაუსწრო წარმოებაში დაკავებულთა რიცხვს. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკა მისდევდა კეინსიანურ პრინციპებს, რომელშიც დიდი დამსახურება მიუძღვით პრეზიდენტებს გ.ტრიუმენს და დ. ეიზენჰაუერს.

1960-იანი წლების დამლევს მუდმივმა ინფლაციამ გამოიწვია ამერიკის ეკონომიკის კეთილდღეობის ეროზია. ამას დაერთო 70-იანი წლების არაბეთის ნავთობის ემბარგო, რამაც გამოიწვია ფასების სწრაფი ზრდა და საწვავზე დეფიციტი.

1980 წელს ამერიკელმა ხალხმა პრეზიდენტად აირჩია რ.რეიგანი, რომელმაც შეამცირა მთელი რიგი გადასახადები და წარმოადგინა ასევე სოციალური პროგრამების მნიშვნელოვნად შეკვეცის სახელმწიფო პროგრამა. 1982 წელს ამერიკა ჩავარდა ღრმა ეკონომიკურ რეცესიაში. დაიწყო ბიზნესმენთა გაკოტრების პროცესი, რომელმაც 50%-ით იმატა გასულ წლებთან შედარებით. ყოველივე ამას დაემატა 1986-1988 წლების გვალვა, რამაც დეფიციტი უფრო გაზარდა. 74 მილიარდიდან 1980 წელს მან მიაღწია 221 მილიარდს 1986 წელს. სავაჭრო დეფიციტმა იმავე წელს რეკორდულ ნიშნულს 152 მილიარდს მიაღწია 1990 წლისათვის ამერიკის ეკონომიკამ მთლიანი ეროვნულიპროდუქტის ( )P მაჩვენებლებით 5 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა.

ამის შემდეგ იწყება ბ.კლინტონის ეპოქა, რომელმაც ამერიკელ ხალხს შესთავაზა და, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ განახორციელა თავისი ეკონომიკური პოლიტიკა. მისი პრეზიდენტობის დროს მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის(290,4 მლრდ დოლარის) ლიკვიდაცია, ხოლო 1999წელს მიღწეულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტი 79 მლრდ დოლარის ოდენობით. აშშ-ს აქვს ყველაზე დიდი მშპ მთელს მსოფლიოში, რომელიც 13 ტრილიონ დოლარს უახლოვდება. ერთ სულ მოსახლეზე მოდის 2 ათასი დოლარი. ამიტომაც ამერიკა მიეკუთვნება მსოფლიოში ყველაზე უმდიდრეს ქვეყნებს.

მეტად მოქნილია ამერიკის საგადასახადო სისტემა. იგი მოიცავს: 1. ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადები;2. გადასახადები კორპორაციათა მოგებიდან;3. საგადასახადო ანარიცხები სოციალური უზრუნველყოფის ფონდებში;4. გადასახადები მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე; 5. სააქციზო მოსაკრებელი; 6. საბაჟო გადასახადი; 7. გადასახადი სამომხმარებლო საქონლის საცალო გაყიდვებიდან;8. უძრავ და მოძრავ ქონებაზე გადასახადები(2.358).

საკმაოდ მაღალ დონეზეა დაყენებული საკონტროლო-სარევიზიო სისტემა. მისი კონტროლის ორგანოები ითავსებენ ადმინისტრაციული და ფინანსური კონტროლის ფუნქციებს. ამის მაგალითია პრეზიდენტთან არსებული ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველო. იგი აფასებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციულ და მმართველობით სტრუქტურას, ინფორმაციას აწვდის პრეზიდენტს სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ. ამასთან, ეს სამმართველო ფლობს მძლავრ ინსტიტუციონალურ ბერკეტებს- განსაზღვრავს სამინისტროებისა და უწყებების ასიგნებების მოცულობას, ახორციელებს შიდაუწყებრივი რეორგანიზაციის ღონისძიებებს და ა.შ. (3.89-90)

20-ს-ის დასაწყისსამერიკა შეხვდა სავაჭრო და საგადასახადო ბალანსების უზარმაზარი დეფიციტის პირობებში.

ამჟამად მის ეკონომიკაში იკვეთება შემდეგი სახის ტენდენციები:

ა). დოლარის ურყევი ვარდნა (2014 წლის ბოლოდან კი გამყარებას ყველა ვალუტასთან მიმართებაში);

ბ). სავაჭრო დეფიციტის არნახული ზრდა (2015 წლიდან კი გამოცოცხლება);

გ). ეკონომიკის ტემპების ვარდნა (2015 წლიდან აღმავლობა);

დ). სამომხმარებლო ინდექსისა და ინფლაციის მატება;

ე). კორპორატიული მოგების ზრდა და, იმავდროულად, კერძო, პირადი ქონების კატასტროფული შემცირება;

ვ). ფასიანი ქაღალდების ბაზარზე უცხოელების აქტიურობის ზრდა (2.370)

როგორც ვხედავთ ამერიკის ეკონომიკური განვითარება არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი, ამასვლას მოყოლია დაგმასვლა, მაგრამ მთავრობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების გონივრული და მოქნილი პოლიტიკის შედეგად დღევანდლამდე იგი მოვიდა, როგორც ერთ-ერთი მაღალგანვითარებული, ეკონომიკურად მძლავრი და დემოკრატიული ზესახელმწიფო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა.გ. მოვსესიანი, ს.ბ.ოგნივცევი - მსოფლიო ეკონომიკა,თბ.,2003.
2. შ. ვეშაპიძე, ა. გრიშიკაშვილი, ე.ლეკაშვილი, ნ. ასლამაზიშვილი - მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008.
3. გ. სახოკია, ი. ზაქაიძე, ვ. მუჯირიშვილი - ფინანსური კონტროლის საფუძვლები, თბ., 2006.
4. ნ. ასლამაზიშვილი - საგარეო ვაჭრობა, თბ.,2003.
5. გ. ცაავა, შ. გავაშელი, თ. ცაავა - მონეტარული პოლიტიკა და მსოფლიო სავალუტო სისტემა, თბ., 2009.
6. ი.პ. გუროვა - მსოფლიო ეკონომიკა, თარგმანი შ. ვეშაპიძის რედაქტორობით, თბ., 2014.
7. Мир в цифрах - карманный справочник М. , 2007 .
8. Гурова И. П. - Мировая економика, М. , 2008.

ინტელექტის გადინება საქართველოდან

რუსუდან ქინქლაძე, *ასოც. პროფესორი*
გიორგი ცინცაძე, *დოქტორანტი*

რეზიუმე

მიგრაციის პროცესი საქართველოში საბჭოთა კავშირის რღვევის პერიოდში, 90-იან წლებში მასშტაბურად დაიწყო და სტანდარტული გამომწვევი მიზეზები ჰქონდა: ანაზღაურების სიმცირე, უმუშევრობა, პროფესიული წინსვლის არარსებობა და, ზოგადად, მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო.

საკვანძო სიტყვები: ინტელექტის გადინება, რღვევა, მიგრაცია, ინტელექტი, კვალიფიკაცია.

Brain Drain from Georgia

Rusudan Kinkladze, Professor
Giorgi Tsintsadze, PHD

Summary

Migration process of the disintegration of the Soviet Union in Georgia, in the 90s and began to scale the standard causes: the lack of compensation, unemployment, lack of professional advancement and, in general, difficult social, economic and political environment.

KeyWords: Brain drain, disintegration, migration, intellect, qualification.

* * * * *

კონკრეტულირაოდენობრივიანხარისხობრივიკვლევა იმის შესახებ, თუ რამდენმა მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა დატოვა სამშობლო, ჩვენთან არ ჩატარებულა. თუმცა, ასეთი კვლევა ჩატარდა 2009 წელს სომხეთში, სადაც გაირკვა, რომ ინტელექტუალების 50 პროცენტი ქვეყნიდან წასულია. CRRC[1] - ს მკვლევარი, აარონ ერლიჰი ვარაუდობს, რომ საქართველოში "ინტელექტის გადინების" მაჩვენებელი სომხეთისას გადააჭარბებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სომხეთში საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ შეძლეს კვლევითი ინსტიტუტები და მათი აღჭურვილობა საქართველოზე მეტად შეენარჩუნებიათ.

საბჭოთა კავშირის დაშლის და 90-იანი წლების მოვლენებს კვლევითი ინსტიტუტების კრიზისი მართლაც მოჰყვა. ზოგი ინსტიტუტი დანიშნულების გარეშე დარჩა. აპარატურა კი წყობიდან გამოვიდა.

ფიზიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ეს ის დარგებია, რომლებშიც საქართველომ ყველაზე დიდი "ინტელექტუალური მარაგი" "გაასხვისა". "Brain Drain", იგივე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ემიგრაცია ის პრობლემაა, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, განსაკუთრებულად მწვავედ დგას.

მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერების 50 პროცენტზე მეტი ახლა უკვე ამერიკის, გერმანიის, საფრანგეთის და სხვა წამყვან უნივერსიტეტებში მუშაობს.

ილიას უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი გიგი თევზაძე თავის წიგნში "განჯადოება"[2] წერს, რომ 2005 წლიდან ქართველი მეცნიერების ახალი კვლევები სულ უფრო მეტ საერთაშორისო ინტერესს იწვევს. თუმცა, იქვე შედგენილი ცხრილების მიხედვით, საქართველო რეგიონის დანარჩენ ქვეყნებსა და უფრო მცირე მოსახლეობის სახელმწიფოებს მაინც ჩამორჩება.





თუმცა, გია დვალი, რომელიც 1992 წლიდან ევროპის და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებში მოღვაწეობს, მეცნიერების სხვა ქვეყნებში გადასვლას ასე მტკივნეულად არ აღიქვამს. "ფიზიკოსების სხვადასხვა ქვეყანაში მოძრაობა და მუშაობა ჩვეულებრივი მოვლენაა", - აცხადებს ის, თუმცა არც იმას უარყოფს, რომ ქართველი მეცნიერების ქვეყნიდან გადინებაზე სხვა ფაქტორებმა იმოქმედა. "ფიზიკის ერთ-ერთი ყველაზე კარგი სკოლა გვქონდა საქართველოში", ახლა კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, "სიტუაცია ძალიან, ძალიან მძიმეა, ნებისმიერმა თავმოყვარე ქვეყანამ მეცნიერება

1 http://www.crrc.ge/1015/chvens-shesakheb

2 განჯადოება — ხუთი ესსე თანამედროვე საქართველოს შესახებ, თბ. 2009

უნდა დააფინანსოს", - ამბობს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფიზიკური ექსპერიმენტის თანაავტორი.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ქვეყნის საერთო მოსახლეობის მცირე ნაწილს შეადგენენ, თუმცა მათი წასვლა ქვეყნის განვითარებაზე მწვავედ აისახება.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) 2006 წლის კვლევაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად IT სპეციალისტების და ტექნიკური დარგების სპეციალისტების გადინებას გამოჰყოფენ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით რუსეთში გამოვლინდა. ექიმების მიგრაციით გამოირჩეოდა ესტონეთი, მაკედონიას კი უფრო მასწავლებლები და ახალგაზრდა მკვლევრები ტოვებდნენ.

ერლიჰის ვარაუდით, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში მიგრაციას იკვლევდა, "საქართველოში მეცნიერებთან ერთად, Iთ პერსონალის, ვეტერინარების, ექიმების კრიზისი უნდა იყოს".

მკვლევრები ამბობენ, რომ "დაკარგული ინტელექტის" ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. მიგრაციაზე CRRC-ს 2010 წლის კვლევამ კი აჩვენა, რომ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში გასული ქართველი მიგრანტების უმრავლესობას - მათ 70%-ს უმაღლესი განათლება აქვს.

ზოგადად, ქართველი მიგრანტების რაოდენობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა. გაერო-ს მონაცემებით, 2008 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფარი საქართველოს 545 მოქალაქემ მოითხოვა, 2009 წელს კი - 10 994-მა.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, რომლის ვებგვერდზე ერთ-ერთ ქვეთავად "მიგრაციაა" მითითებული, აცხადებენ, რომ ამ მიმართულებით პროგრამები არ აქვთ. დიასპორის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ცნობით კი, მიგრაციის შესახებ პროგრამები აქვთ, მაგრამ "ინტელექტის გადინების" კუთხით - არც ერთი. თუმცა ბევრი პასუხისმგებელი პირი აღნიშნავს, რომ ყველა ადამიანი, მათ შორის მეცნიერი, არჩევანში თავისუფალია. "მათ საზღვრებს ვერ ჩავუკეტავთ, რომ არ წავიდნენ". თუმცა, ეთანხმებიან იმ აზრს, რომ საჭიროა, თვითონ ქვეყანამ შეუქმნას მეცნიერებს სათანადო გარემო, საკუთარი ქვეყნიდან წასვლა რომ არ გადაწყვიტონ. ამისთვის მათ აუცილებლად მიაჩნია სახელმწიფო უნივერსიტეტების სათანადო ტექნიკური ბაზებით აღჭურვა და დაფინანსები გაზრდა.

კლასიკური გაგებით "ინტელექტის გადინებას" არა, მაგრამ პოტენციურად "ტვინების" დაკარგვის საფრთხეს საქართველოდან ყოველწლიურად წასული უამრავი სტუდენტიც ქმნის. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ საქართველოში დაბრუნებას საზღვარგარეთ დარჩენა და იქ მუშაობა ურჩევნია, მთავარ მოტივად კი მიღებული ცოდნის რეალიზების მეტ შესაძლებლობასა და შრომის ადეკვატურ ანაზღაურებას ასახელებს. დაბრუნებას კი ისინი აპირებენ, ვისაც მიღებული სტიპენდიის სანაცვლოდ ამას ხელშეკრულებით ევალება.

ყოფილი პრეზიდენტის ყოფილი ფონდი საზღვარგარეთ გაგზავნილ მაგისტრანტებს ასეთ ვალდებულებას არ აკისრებდა. მსგავსი შეთანხმება სტუდენტებთან არც მას შემდეგ გაფორმებულა, რაც საპრეზიდენტო ფონდის განკარგვა განათლების სამინისტრომ დაიწყო.

რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, 2014 წელს ყოფილი პრემიერ—მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაარსდა ფონდი „განათლების საერთაშორისო ცენტრი".

„ცენტრის მიზანია სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი იძლევა შესაძლებლობას საქართველოს მოქალაქეებმა მიიღონ საუკეთესო საერთაშორისო განათლება და სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ მოახდინონ მიღებული ცოდნის რეალიზება ქვეყანაში." [3]

მხოლოდ მსგავსი შეზღუდვები საქართველოს დაკარგულ ინტელექტს ვერ დაუბრუნებს. ამისთვის ცალსახა სახელმწიფო პროგრამების ჩამოყალიბებაა საჭირო, რომლის ჩანასახიც 2004 წელს თითქოს გამოჩნდა. მაშინ ყოფილმა პრეზიდენტმა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს ორმაგი მოქალაქეობის მიღების შანსი მისცა და აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ წასული ქართველების სამშობლოში დასაბრუნებლად ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს. ქვეყანაში ვითარება ისე უნდა შეიცვალოს, რომ მათ უკან დაბრუნების სურვილი გაუჩნდეთ.

"2003 წლის რევოლუციის შემდეგ უკან დაბრუნების ტენდენცია მართლაც შესამჩნევი იყო. მაშინ მთავრობაში მაღალ თანამდებობებზე უცხოეთში მომუშავე ქართველები დანიშნეს. ოღონდ ეს "გადენილი ტვინების" ძალიან მცირე ნაწილი იყო. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კი ნებისმიერი სახის მიგრანტების დაბრუნების ტენდენცია კვლავ მკვეთრად შემცირდა", - აცხადებს ერლიჰი.

2008 წლიდან საქართველოსთვის პრიორიტეტული სულ სხვა ხარისხის პრობლემები გახდა. ხელისუფლების წარმომადგენლები დღეს საქართველოში არსებულ პრობლემებს ორ ნაწილად ჰყოფს - უსაფრთხოების პრობლემა და სხვა დანარჩენი პრობლემები. "ინტელექტის გადინება" სწორედ ამ სხვა დანარჩენში შედის.

ინტელექტის ხანგრძლივი გადინება ნებისმიერ ქვეყანას განვითარების შეფერხების საფრთხეს უქმნის. მაგრამ, იდეალურ შემთხვევაში, ექსპერტების აზრით, ''Brain Drain" სასიკეთო შედეგიც შეიძლება ჰქონდეს - კიდევ უფრო განათლებული მიგრანტის უკან დაბრუნება. მკვლევრები და მეცნიერები საქართველოდან წასული მათი კოლეგების უკან

3 http://www.iec.gov.ge

დაბრუნების ზოგიერთ შემთხვევას მართლაც იხსენებენ, ოღონდ - მხოლოდ საპენსიო ასაკში.

ქვეყნის განვითარებაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამოყენება რომ შესაძლებელი გახდეს, ამისთვის "სახელმწიფომ, პირველ რიგში, შრომის სათანადო გარემო უნდა შექმნას, დახვეწოს შრომის კანონმდებლობა და გააუმჯობესოს ეკონომიკური გარემო, - ამბობს აარონ ერლიჰი, - პირველ რიგში კი, მეცნიერების დაფინანსებაზე ზრუნვაა საჭირო".

როცა სინგაპურში შენიშნეს, რომ ადგილობრივი კვალიფიციური იურისტები სამსახურის საძებნელად საზღვარგარეთ მასობრივად მიდიოდნენ, ამ ტენდენციას კრეატიული პროექტებით დაუპირისპირდნენ: ახალ კურსდამთავრებულებს არა მხოლოდ მაღალი ხელფასები დაუნიშნეს, დამატებითი სარგებლობის პაკეტებიც შესთავაზეს, რომლებიც სავარჯიშო დარბაზებს, მასაჟს, სტრესთან გამკლავების საშუალებებს და კიდევ სხვა შეღავათებს მოიცავდა. ყატარში კი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მასშტაბური გადინების შემდეგ მეცნიერების განვითარებისთვის დიდძალი ფინანსები გამოყვეს.

განვითარებულ ქვეყნებს ტერმინი "ინტელექტის გადინება" დღეს მწვავედ აღარ აწუხებთ. ამის მიზეზი შრომის ღია ბაზარია, სადაც მულტინაციონალური გიგანტური კომპანიები იოლად პოულობენ სასურველ მაღალკვალიფიციურ კადრებს. იმ ქვეყნებში, სადაც ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო ბაზა და შრომის ბაზარი განვითარებულია, სევდიანი ტერმინის - "ინტელექტის გადინების" ნაცვლად, უკვე "ინტელექტის გლობალიზაციაზე", "ინტელექტის ბრუნვასა" და "გაცვლაზე" საუბრობენ.

საქართველოსთვის კი "გასხვისებული ინტელექტის" მარაგს ვერც ჩვენს ქვეყანაში სამუშაოდ ჩამოსული უცხოელები შეავსებენ. თავისი სულ სხვა, "ნომერ პირველი" პრობლემით საქართველო ჯერ-ჯერობით კვლავაც იმ ქვეყნების რიგში დგას, საიდანაც "ტვინები" გაედინებიან და უკან თითქმის აღარ ბრუნდებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განჯადოება — ხუთი ესსე თანამედროვე საქართველოს შესახებ, თბ. 2009.
2. http://www.crrc.ge/1015/chvens-shesakheb
3. www.iec.gov.ge/
4. www.cie.ge
5. http://www.geostat.ge/

საქართველო გლობალურ ბიზნესში

მანანა ბერუაშვილი, დოქტორანტი

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ფინანსური გლობალიზაციის მასშტაბების ზრდამ ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა. ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო გახდა მეტი ინოვაციური პროექტების დანერგვა და რეფორმების გატარება. უნდა მოხდეს ქვეყნის ნორმატიული აქტების დახვეწა და შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ კანონმდებლობასთან.

საკვანძო სიტყვები: ანტიკრიზისული პროგრამა, ეკონომიკური სტაბილურობა, გლობალიზაციის პროცესი, ინოვაციური პროექტები.

Summary

Manana Beruashvili, PHD of GTU

The transition to a market economy, of the growth of financial globalization scale the new challenges faced us.

For the country's development it became necessary more innovative projects and reforms..

Should be improved the country's legal acts and its conformity with European legislation.

Keywords: The anti-crisis program,Economic stability, The process of globalization,Innovative projects

* * * * *

დღეისათვის მსოფლიოში მიმდინარე კრიზისის შედეგად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ განვითარებული ქვეყნები, რომლებიც მსოფლიო გლობალიზაციის მასშტაბებს და ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავენ. დეფოლტის ზღვარზე აღმოჩნდა ზოგიერი პატარა ქვეყნები, რომლებიც შედარებით ნაკლებად ინტეგრირებულნი არიან მსოფლიო ეკონომიკაში. სერიოზული პრობლემები შეექმნა საქართველოს, რამაც გამოიწვია თითქმის ყველა სფეროს ეკონომიკური კრიზისი. საჭიროა უახლოეს პერიოდში გატარდეს ანტიკრიზისული ღონისძიებები. ანტიკრიზისული პროგრამის შედგენას წინ უნდა უძღვოდეს მისი რეალიზაციის უზრუნველმყოფელი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების გააზრება. ეს უნდა იყოს გაბედული, აგრესიული და უკომპრომისო, რაც ნიშნავს დადგენილი საბაზრო ნორმებიდან გადახვევას და საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი ეკონომიკური ურთიერთობების დონეზე სახელმწიფოს ჩარევას. ეს შეიძლება შეეხოს როგორც მაკრო, ასევე მიკროეკონომიკურ პოლიტიკას. ყველა დროის ეკონომიკური კრიზისი ყველა ქვეყანაში მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური ჩარევის შედეგად იქნა დაძლეული. ანტიკრიზისულ პროგრამაში სახელმწიფო ადმინისტრირების წინა პლანზე წამოწევა უნდა იყოს მოკლევადიანი და მისი მოქმედების ვადა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ კრიზისის დაძლევამდე. შემდგომ ეტაპზე ეკონომიკა სრულად უნდა დაუბრუნდეს ლიბერალურ საბაზრო ურთიერთბებს. ეკონომიკური კრიზისის დროს საშიშია უცხოური ინვესტიციების მოძალება. კეთილსინდისიერი ინვესტორი მაღალი რისკის პირობებში თავს აარიდებს საკუთარი სახსრების უცხო ქვეყანაში გადაადგილებას. არაკეთილსინდისიერი ინვესტორი კი სარგებლობს რა კრიზისის დროს ინვესტიციური შიმშილით, თავის ხერხებს თავისუფლად მიმართავს არაკეთილსინდისიერი მიზნების სარეალიზაციოდ. აქედან გამომდინარე ანტიკრიზისულმა პროგრამამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ინვესტიციების წარმომავლობას, მის დივერსიფიკაციას და არ უნდა დაუშვას ერთი ქვეყნისგან ან ქვეყანათა ჯგუფისგან ინვესტიციების უპირატესი მოზიდვა.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმები რეალობაა. ამის საფუძველსიძლევა ნაწილობრივი ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა.თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან თვის დასაღწევად. უაროფითი შედეგების დივერსიფიკაციისთვის , არ არსებობს უნივერსალური რეცეფტები და ერთიანი მზა სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გადაგვეწყვიტა ეს საჭირბოროტო პრობლემა. საჭირო არის ეკონომიკური რეფორმების გააზრებული სტრატეგიისა და ტაქტიკის დამუშავება.

საქართველოში დღევანდელ ეტაპზე მოხმარებული პროდუქციის 70-75% იმპორტულია, ანუ საქართველო ცალმხრივად მჭიდროდ არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან. ცალმხრივად იმიტომ, რომ იმპორტი 4-5-ჯერ აღემატება ექსპორტს. ანტიკრიზისულ პროგრამაში პრიორიტეტული ადგილი უნდა განეკუთვნოს ადგილობრივი წარმოების შენარჩუნება-განვითარებას. ჩვენმა ქვეყანამ უნდა შექმნას უფრო მეტად ხელსაყრელი მაკროეკონომიკური და ბიზნეს გარემო იმ პროდუქციის საწარმოებლად, რომელიც დღეისათვის უცხოეთიდან შემოდის და მისი ადგილობრივი წარმოებისთვის არსებობს სათანადო ბუნებრვიი და მატერიალური რესურსები. ხელი უნდა შეუწყოს რეგიონალური განვითარების გათანაბრებას, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას. კრიზისი დაძლევადია და დაიძლევა ადრე თუ გვიან. მთავარია ეს განხორციელდეს მინიმალურ სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგებით და რაც შეიძლება მოკლე დროში.

საქართველო დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს

იყოს წარმატებული დაგანვითარებული ქვეყანა. ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა და კაპიტალის ზრდა კაპიტალდაბანდებებთან არის დაკავშირებული. ძლიერი ეკონომკის შექმნა მსოფლიო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ტენდენციისადმი მხრის აბმით არის შესაძლებელი. ამაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ექსპორტის მაკროეკონომიკური სტიმულირების ღონისძიებების შემუშავებასა და ცხოვრებაში გატარებას.

ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება მაკრო ამოცანების დროულად გადაჭრაზეა დამოკიდებული; მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა აკავებს ინფლაციას და აფერხებს წარმოების დაცემას. მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისთვის აუცილებელია ნეგატიური პროცესების აღკვეთა და მათზე მუდმივი კონტროლი. უნდა მოხდეს ცივილიზებული სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით. უნდამოხდეს სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა, რაც განამტკიცებს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას და მათ ინვესტიციურ აქტიურობას შეუწყობს ხელს. ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციის პროცესმა გაამწვავა კონკურენცია გასაღების ბაზრებზე, საზღვარგარეთულ ინვესტიციებზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე, როგორც განვითარებად ასევე განუვითარებელ ქვეყნებს შორის. ქვეყნების განვითარების პერსპექიტვა არსებული კონკურენტული უპირატესობის საფუძველზე შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ეფექტიანი მონაწილეობით განისაზღვრება. მნიშვნელოვანია არა მარტო გლობალურ-ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ჩართვის მასშტაბები, არამედ ხარისხიც. გლობალურ ეკონომიკაში წარმატების საფუძველი ეროვნული ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, უკვე არსებული კონკურენტული უპირატესობის გაძლიერება და ახლის შექმნაა.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორთა შორის აღსანიშნავია ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამაღლება, არსებული პოტენციალის რაციონალური გამოყენება. მაღალი ინოვაციური პოტენციალი, ქვეყნის მოსახლეობის სასურველი ცხოვრების დონისა და ხარისხის, კეთილდღეობის მიღწევის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ინოვაციური პროექტებიდან აღსანიშნავია ჩვენი ქვეყნის ახალი პროექტი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნის შესახებ. მსოფლიოში 3000 მეტი სხვადასხვა ტიპის თავისუფალი ეკონომიკური ზონა არსებობს. მათგან ყველაზე გავრცელებულია ინდუსტრიული, პროგრამული უზრუნველყოფის, ინდუსტრილი ტექნოლოგიების, ტურისტული, ლოგისტური და საფინანსო სერვისცენტრები.

საჭიროა გავითვალისწინოთ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სპეციფიკა. ჩვენმა ქვეყანამ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიმკვიდროს საერთაშორისო თანამეგობრობაში. იგი უნდა გახდეს მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი. ამისთვის საჭიროა, დაისახოს განსაზღვრული სტრატეგია, რომლის მიზანმიმართული შესრულების შედეგად მიღწეული იქნება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ქვეყნის ინტერესების შესაბამისი ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ; საით მიდის საქართველო? გამომცემლობა „სიახლე" თბილისი 2014 წ.;
2. ბარათაშვილი ე, ჩადუნელი გ, მახარაშვილი ი, კოღუაშვილი პ, გალახვარიძე ნ, კვაბზირიძე თ; საქართველოს ეკონომიკა. შპს თეკა & კომპანია. თბილისი 2016 წ.;
3. სიჭინავა ა. ინვესტიციები;გამომცემლობა... თბილისი 2010 წ.

საინვესტიციო რისკების მართვა

ლუარა გვაჯაია, *ასოც. პროფესორი*
თენგიზ გოგოლაძე, *დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საინვესტიციო რისკების არსი, მისი განსაზღვრისა და შეფასების წესები, ფინანსური დანაკარგების შეფასების მაჩვენებლები, განუსაზღვრელობის პირობებში სარისკო გადაწყვეტილების მიღებისას ინვესტორის მიერ გასათვალისწინებელი ინფორმაციები, რაც აუცილებელია ყველაზე სასურველი ალტერნატივის შესარჩევად.

სტატიაში მოცემულია საინვესტიციო რისკების ანალიზი, რისკების მართვის მეთოდები, რისკ-მენეჯმენტის თეორიისა და მართვის საკითხები; განხილულია რისკ-მენეჯმენტის ეტაპები, რისკების მართვისათვის მენეჯერების მიერ გამოსაყენებელი ინსტრუმენტები, როგორიცაა დაზღვევა, თვითდაზღვევა დივერსიფიკაცია და სხვა.

საკვანძო სიტყვები: რისკი, რისკების ანალიზი, დანაკარგები, რისკების მართვა, იდენტიფიკაცია, ალტერნატივა, გაურკვევლობა, სარისკო გადაწყვეტილება, დაზღვევა, თვითდაზღვევა, რისკ-მენეჯმენტი, ინსტრუმენტები.

Management of Investment Risks

Luara Gvajaia, Professor
Tengiz Gogoladze, Doctoral Student

Summary

The article considers the essence and rules of determination and estimation of investment risks; indicators of estimation of financial losses; information that is necessary to take into account when investor makes risky decisions in the conditions of uncertainty and selects the most advantageous alternative.

The article analyzes investment risks, techniques of risk management, theory of risk management and the general problems of management. It considers stages of risk management and managers' instruments for risk management, such as insurance, self-insurance, diversification, etc.

Keywords: risk, analyze of risks, losses, risk management, identification, alternative, uncertainty, risky decision, insurance, self-insurance, instruments.

* * * * *

სტატიის თემა მიძღვნილია საინვესტიციო რისკების მართვის პროცესის შესწავლა-განხილვისადმი, რაც მიგვაჩნია აქტუალურად, ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად სამეწარმეო და საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების სპექტრი თანდათან იზრდება. განსაკუთრებით ბოლო 10-15 წლის მანძილზე რისკების მართვა მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა, როგორც ფინანსური ბაზრების მონაწილეებისათვის, ასევე კომპანიებისა და სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის. ამის მიზეზია სხვადასხვა კომპანიისა და ბანკის გაკოტრების, სახელმწიფოს ფინანსური კრიზისების მასშტაბები, წარმოშობის სიხშირე და გავრცელების სიჩქარე. რისკების მართვის სრულყოფისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ რისკების სწორი იდენტიფიკაცია, გაზომვა - შეფასება და შემცირების ეფექტიანი მეთოდის შერჩევა. საჭიროა ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა, ორგანიზაციული კულტურის განვითარება და რისკების სწორი ანალიზი, შეფასება და მართვა.

„რისკის" მრავალი განსაზღვრება არსებობს. ეკონომისტები, რისკის თეორეტიკოსები, სტატისტიკოსები თავისებურად განსაზღვრავენ რისკს და გააჩნიათ რისკის საკუთარი კონცეფცია. ჩვეულებრივ, რისკის განსაზღვრისას გამოიყენება გაურკვევლობის ტერმინი. ამ კონცეფციის მიხედვით რისკი განისაზღვრება როგორც გაურკვევლობა დანაკარგების დადგომასთან მიმართებით. რისკი აგრეთვე განისაზღვრება როგორც ცვალებადობა მომავალ შედეგებში, ზედმეტი დანაკარგების წარმოქმნის, სასურველი შედეგიდან უარყოფითი გადახრის შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით რისკი ზოგადად ასოცირდება მოსალოდნელ დანაკარგებთან, არსებული მდგომარეობის გაუარესებასთან, ზარალთან.

საინვესტიციო საქმიანობის გრძელვადიანობიდან და მრავალმხრივობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საინვესტიციო საქმიანობა მუდამ დაკავშირებულია რისკთან. საინვესტიციო რისკი - ეს არის გაუთვალისწინებელი ფინანსური დანაკარგების წარმოშობის ალბათობა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში. უპირველესად უნდა მოხდეს საინვესტიციო რისკის შეფასება, იგი ყოველთვის დაკავშირებულია მოსალოდნელი შემოსავლების შეფასებისა და მათი დანაკარგების ალბათობასთან. ფინანსური დანაკარგების შეფასებისათვის იყენებენ აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებს.

ფინანსური დანაკარგების აბსოლუტური სიდიდე,

დაკავშირებული საინვესტიციო რისკთან - ეს არის ინვესტორისათვის მიყენებული ან პოტენციურად შესაძლო ზარალის ოდენობა არასასურველი გარე-მოებების დადგომასთან დაკავშირებით (რაც დამახასიათებელია ასეთი სახის რისკისათვის); ფინანსური დანაკარგების შეფარდებითი სიდიდე კი იანგარიშება ზარალის სიდიდის შეფარდებით შერჩეულ საბაზო მაჩვენებლებთან (მოსალოდნელი შემოსავლის სიდიდესთან, ინვესტირებადი კაპიტა–ლის სიდიდესთან და ა. შ).

ინვესტორები ხშირად იყენებენ რისკების შეფასების ექსპერტულ მეთოდს, ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს საინფორმაციო და სტატისტიკური მონაცემები, ან როდესაც პროექტს არ გააჩნია ანალოგი. იგი დაფუძნებულია სპეციალისტების გამოკითხვაზე და გამოკითხვის შედეგების სტატისტიკურ დამუშავებაზე.

ვინაიდან ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს არ არის ცნობილი, ეკონომიკის განვითარების მომდევნო პერიოდისათვის რომელი ეტაპი დადგება, ამბობენ, რომ ინვესტორი გადაწყვეტილებას ღებულობს გაურკვევლობის პირობებში. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული ალგორითმი ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებისა გაურ–კვევლობის პირობებში. ხოლო გამოყენებული მეთოდები ატარებს ვიწრო სპეციალიზებულ, არაუნივერსალურ ხასიათს. ამიტომ შეიძლება, განვიხილოთ საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების მხოლოდ ზოგიერთი, მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი პრინციპი.

გაურკვევლობის პირობებში სარისკო გადაწ-ყვეტილების მიღებისას ინვესტორი უნდა ფლობდეს ისეთ ინფორმაციებს, როგორიცაა: საინვესტიციო ალტერნატივების ჩამონათვალი, მათი პირველადი დანახარჯები, ეკონომიკის სამომავლო მდგომარეობის პროგნოზი და სხვა. თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად სამეწარმეო და საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების სპექტრი თანდათან იზრდება. განსაკუთრებით ბოლო 10-15 წლის მანძილზე, რისკების მართვა მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა, როგორც ფინანსური ბაზრების მონაწილეებისათვის, ასევე კომპანიებისა და სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის. მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკა დაუცველი ხდება სხვა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედებისაგან, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორებია ფინანსური ინსტრუმენტების სწრაფი განვითარება, საერთაშორისო კონკურენციისა და საბაზრო დეფოლტების ინტენსიურობის ზრდა და ბოლოს ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება.

რისკების სპექტრის გაფართოება და მათი შემცირების ეფექტიანი გზების ძიება აქტუალურს ხდის რისკ-მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკას. რისკ-მენეჯმენტი რისკების მართვის სისტემა და ამ პროცესში წარმოქმნილი საფინანსო ურთიერთობების რეგულირებაა. რისკ-მენეჯმენტის ორგანიზაცია რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- სარისკო კაპიტალდაბანდებების მიზნების ფორმირება;
- სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მიღება და მისი ანალიზი, რისკის დონის გამოვლენა და შეფასება;
- კაპიტალდაბანდების რისკისა და მოსალოდ-ნელი მოგების ვარიანტების ანალიზი;
- რისკების მართვის სტრატეგიის შერჩევა, რისკიანობის დონის შემცირების მეთოდების არჩევა, სარისკო გადაწყვეტილებების აღქმის ფსიქოლოგიური ასპექტების ჩამოყალიბება;
- რისკების შემცირების მოქმედებათა პროგ-რამის დამუშავება;
- დასახული პროგრამის განხორციელების ორგანიზაცია;
- პროგრამის რეალიზაციაზე მონიტორინგი და კონტროლი;
- მიღებული სარისკო გადაწყვეტილების შედეგების შეფასება და ანალიზი.

რისკების მართვის წარმატება დამოკიდებულია კონკრეტულ ეკონომიკურ, იურიდიულ და ორგანიზა-ციულ გარემოში მენეჯერთა მიერ გამოყენებულ ინსტრუმენტებზე. გარდამავალი ეკონომიკის პირო-ბებში ორგანიზაციები და ინვესტორები, მენეჯერ-თა არსენალი ძირითადად რისკების მართვის ორ მეთოდს იყენებენ: თვითდაზღვევასა და დაზ-ღვევას. ითვლება, რომ ორივე მექანიზმი თანაბრად უზრუნველყოფს მოსალოდნელი ზარალის კომპენსა-ციას, მაგრამ რომლის გამოყენებაა უფრო ეფექტიანი კონკრეტულ შემთხვევაში, დამოკიდებულია კომპანიის თავისუფალი აქტივების ღირებულე-ბაზე (ყველა აქტივისა და ვალდებულების სხვაობა). დაზღვევის დროს ზარალის სიდიდე არ მოქმედებს კომპანიის თავისუფალ აქტივებზე და კომპენსირდება სადაზღვევო კომპანიის მიერ, თუმცა დაზღვევა ზრდის სამეწარმეო საქმიანობის დანახარჯებს, ვინაიდან მოითხოვს სადაზღვევო შენატანების რეგულარულ გადახდას. თვითდაზღვევის შემთხვევაში კომპანია სრულად ინარჩუნებს რისკს და ქმნის სპეციალურ სარეზერვო ,,სარისკო" ფონდს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დაზღვევის გამოყენება მით უფრო ეფექტიანია, რაც მეტია ,,სარისკო" ფონდის სიდიდე, ან რაც უფრო რენტაბელურია კაპიტალდაბანდება წარმოების საშუალებებსა და სხვა დაბალლიკვიდურ აქტივებში. თვითდაზღვევის უპირატესობები კი შეგვიძლია ეკონომიკური და მმართველობითი თვალსაზრისით განვიხილოთ, ეკონომიკური ეფექტიანობა გულისხმობს ეკონომიას სადაზღვევო თანხაზე და შესაბამისად ხარჯების შემცირებას; სარეზერვო ფონდზე შემოსავლის მიღების შესაძლებლობას; წარსულში გაწეულ

დანაკარგებზე დეტალური დაკვირვების შედეგად მიღებულ ეკონომიას, ხოლო მმართველობითი თვალსაზრისით, შეიძლება გამოიყოს რისკების მართვის მოქნილობის ზრდა; ფულად სახსრებზე კონტროლის შენარჩუნება და სხვა.

რისკების მართვის სრულყოფისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ რისკების სწორი იდენტიფიკაცია, გაზომვა - შეფასება და შემცირების ეფექტიანი მეთოდის შერჩევა. საჭიროა ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება, ორგანიზაციული კულტურის განვითარება და რისკების მართვის კონტროლის პროცესის სწორად წარმართვა. განვითარებულ ქვეყნებში თითქმის ყველა მსხვილი და საშუალო ორგანიზაციის მართვის სისტემაში შექმნილია სპეციალური რგოლი ე.წ. ,,რისკების მართვის ცენტრი" (Corporate governance), რომელიც ეხმარება ანგარიშვალდებულ ერთეულებს შეაფასონ რისკები, შეიმუშაონ და განახორციელონ მათზე მანიპულირების ღონისძიებები. ამ მოსაზრებით, რისკ-მენეჯმენტი წარმოადგენს რისკების შეფასების, რისკების მართვისა და ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას, რომელსაც გააჩნია რისკების მართვის სტრატეგია და ტაქტიკა.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში რისკების მართვას ნაკლები ყურადღება ექცევა. ორგანიზაციის მენეჯერები მიიჩნევენ, რომ რისკ-მენეჯმენტი სპეციალიზირებული საქმიანობაა და რისკ-ფაქტორების გათვალისწინება მხოლოდ შესაბამისი თანამშრომლების საქმეა (მაგალითად, საკრედიტო ოფიცრის, ბუღალტერ-ანალიტიკოსის და სხვა). ორგანიზაციებში ყველა განყოფილება (ფუნქციების შესაბამისად) თავად საზღვრავს რისკების მართვის პროცესს, ამასთან ეს პროცესი ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი განყოფილების მენეჯერები და თანამშრომლები საჭიროდ ჩათვლიან. თანამედროვე ეტაპზე კი გაცილებით ეფექტიანია, რომ ორგანიზაციაში რისკების მართვის კოორდინირებას ახორციელებდეს უმაღლესი ხელმძღვანელობა და ყოველი თანამშრომელი რისკ-მენეჯმენტს თავისი სამუშაოს ნაწილად თვლიდეს, სასურველია ყველა რისკის გათვალისწინება და მათი ოპტიმიზაციის გზების ძიება.

რისკების მართვის აპარატის სრულყოფა - ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენება და ამასთან საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება მმართველობითი ამოცანების პრინციპულად ახალი, ხშირად კი მოულოდნელი, გადაწყვეტის საშუალებას იძლევა;

რისკების მართვის სისტემა ადაპტირებადი უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობის პროცესში გარემო ფაქტორების ცვლილებისადმი და უნდა განიცდიდეს მუდმივ მოდიფიცირებას მიღებული ინფორმაციული ნაკადების ადეკვატურად. სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი რთული და დინამიურად ცვალებადი სტრუქტურაა და შესაბამისად მართვის ნებისმიერი მეთოდი დროდადრო ძველდება, ამიტომ რისკების მართვის სისტემა მოქნილი უნდა იყოს.

რისკის შეფასება და მართვა ობიექტურ საფუძვლებზე უნდა ხდებოდეს, ვინაიდან თავად რისკის მიზეზებიც და შედეგებიც ობიექტურ ხასიათს ატარებს. მაგრამ რისკების შეფასება სუბიექტურიცაა - რისკ-მენეჯერი ახდენს რისკების იდენტიფიკაციასა და მათ ანალიზს, შესაბამისად ინფორმაციის საიმედოობისა და სიზუსტის აღქმა დამოკიდებულია კონკრეტულ ადამიანზე, მის ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე, ანალიტიკური და მეცნიერული გათვლების შესაძლებლობებსა და ინტუიციაზე.

რისკების მართვის ბოლო კომპონენტია მონიტორინგი და კონტროლი. მონიტორინგით ახორციელებენ რისკების დიაპაზონის პერიოდულ შემოწმებას, რათა მან არ გადააჭარბოს დასაშვებ ზღვარს, კონტროლი კი მიმართულია აქტიური მოქმედებებისაკენ აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად. სწორად ორგანიზებული კონტროლი უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, თანამშრომლებისთვის აუცილებელი დამოუკიდებლობის მინიჭებას და, მეორე მხრივ, თუნდაც უმნიშვნელო შეცდომების თავიდან აცილებას. რისკების მართვის პროცესის კონტროლის ძირითადი მიზანია არა მხოლოდ რისკების შემცირება, არამედ რისკების მართვაზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობის შეფასება.

ქართული კომპანიები, მათ შორის მსხვილი კომპანიებიც, ნაკლებად უთმობენ ყურადღებას რისკების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, რაც გამოწვეულია, როგორც ქვეყნის განვითარების თავისებურებებით, ასევე იმითაც, რომ სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტი მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის შედარებით ახალი მიმართულებაა. საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იზრდება განუსაზღვრელობა, სამეწარმეო რისკების რაოდენობა და მათი მართვის მექანიზმები. შესაბამისად, საქართველოში იზრდება რისკების მართვის მნიშვნელობა და კომპანიების მხრიდან ამ პროცესების შეუფასებლობამ შეიძლება შეაფერხოს მათი განვითარება.

დასკვნა

სტატიაში განხილული საკითხებიდან გამომდინარე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

1. რისკი განიხილება როგორც დაგეგმილ და ფაქტიურ შედეგებს შორის უარყოფითი გადახრის შესაძლებლობა. იგი ასოცირდება დანაკარგებთან, ზარალთან, წაგებასთან;

2. საინვესტიციო საქმიანობის გრძელვადიანობიდან და მრავალმხრივობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საინვესტიციო საქმიანობა ყოველთვის დაკავშირებულია რისკთან;

3. გაურკვევლობის პირობებში სარისკო

გადაწყვეტილების მიღებისას ინვესტორმა უნდა გააანალიზოს თითოეული საინვესტიციო ალტერნატივა და აირჩიოს ყველაზე სასურველი;

4. რისკების სპექტრის გაფართოებასა და მათი შემცირების ეფექტიანი გზების ძიებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რისკ-მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა. რისკების წარმატებით მართვისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მეთოდები, როგორიცაა: დაზღვევა, რეზერვირება ანუ თვითდაზღვევა, დივერსიფიკაცია, განაწილება, სარისკო ოპერაციიდან თავის არიდება და სხვა;

5. რისკების მართვის სრულყოფისათვის არ არის საკმარისი რისკების სწორი იდენტიფიკაცია, გაზომვა-შეფასება და შემცირების ეფექტიანი მეთოდის შერჩევა. საჭიროა ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება, რისკების მართვის კონტროლის პროცესის სწორად წარმართვა;

6. რისკ-მენეჯმენტი წარმოადგენს რისკების შეფასების, რისკების მართვისა და ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას, რომელსაც გააჩნია რისკების მართვის სტრატეგია და ტაქტიკა. მიზანშეწონილია მსხვილ საწარმოებში არსებობდეს რისკ-მენეჯმენტის სამსახური, ხოლო რისკების მართვის კოორდინირება განახორციელოს თვით უმაღლესმა ხელმძღვანელობამ;

7. რისკების მართვის სისტემა ადაპტირებადი უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობის პროცესში გარემო ფაქტორების ცვლილებისადმი, უნდა განიცდიდეს მუდმივ მოდიფიცირებას მიღებული ინფორმაციული ნაკადების ადეკვატურად;

8. რისკების მართვის ბოლო კომპონენტია მონიტორინგი და კონტროლი. მონიტორინგით ახორციელებენ რისკების დიაპაზონის პერიოდულ შემოწმებას, რათა მან არ გადააჭარბოს დასაშვებ ზღვარს, კონტროლი კი უზრუნველყოფს აქტიურ ქმედებებს გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, რ. ქუთათელაძე, ლ. გვაჯაია, გ. ყურაშვილი. საინვესტიციო მენეჯმენტი. თბილისი 2011;
2. ა. სიჭინავა. ინვესტიციები, თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა. 2010;
3. Rejda, George E. Principles of Risk Management and Insurance. 2013;
4. А. Е. Карлик и др.. Инвестиционный менеджмент. 2008

პატარა სასტუმროს მართვის თავისებურებანი

თეონა ბაქანიძე, *ასისტენტ-პროფესორი*
მანანა ვასაძე, *ასოც. პროფესორი*

რეზიუმე

სტატიაში "პატარა სასტუმროს მართვის თავისებურებანი" განხილულია სასტუმროების საერთო და პირველადი ფუნქცია. ასევე განხილულია სასტუმროები, როგორც განთავსების ობიექტები ხალხის მოზიდვისა და გარკვეული დანიშნულებისათვის. ასევე წარმოდგენილია სასტუმროები და სხვა საცხოვრებელი პირობების პროვაიდერები; სასტუმროების მნიშვნელობა იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი მდებარეობს. გაანალიზებულია მოტივაციის სახეები და მარკეტინგული ინსტრუმენტები, რომელიც მომხმარებლის დასაკმაყოფილებლადაა მიმართული

Summary

In the article "A Small Hotel Management peculiarities" the common and primary functions of the hotels, Hotels as Sites for attraction and destination, hotels and other accommodation providers, importance of hotels to areas in which they are located, Types of motivation and Marketing tools for Customer Satisfaction are presented.

* * * * *

არსებობს სასტუმროს განსხვავებული ტიპები. ისინი ორიენტიტებულნი არიან სხვადასხვა კატეგორიის კლიენტებზე,რომლებსაც ჩვენ სასტუმროს სტუმრებს ვუწოდებთ. სასტუმროებს აქვთ ერთი სართო ფუნქცია — განთავსების ფუნქცია.

განთავსებაში იგულისხმება დასაძინებელი/ ღამის გასათევი, საცხორებელი ადგილი, რომელიც აღჭურვლია ავეჯით (საწოლით), სააბაზანოთი და საპირფარეშოთი.

ზოგიერთ სასტუმროში სტუმრები დიდი ხნით განთავსდებიან.

ასეთ სტუმრებს 'მუდმივ მაცხოვრებლებს'' (Permanent Residents) უწოდებენ. უფრო ხშირად სასტუმროში შედარებით მოკლევადიანი სტუმრები ცხოვრობენ, რომლებსაც "დროებითი მაცხოვრებლებ"ს (Temporary Residents) უწოდებენ. სტუმართა ძირითადი რაოდენობა მოგზაურებზე (Travellers) მოდის. მოგზაურებში ვგულისხმობთ იმ პირებს, რომლებიც შორს არიან თავიანთ სახლებიდან.

კომერციული სტრუქტურების თანამშრომლების გარდა, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში " საქმიან მოძრაობაში არიან''

ვიზიტორების განსხვავებნული მოლოდინისა სასტუმროს პირველადი ფუნქციაა:

- განათავსოს პირი, რომელიც მოშორებულია თავის საცხოვრებელს/ სახლს და
- დააკაყოფილოს მისი ძირითადი (აუცილებელი) მოთხოვნილებები

მიუხედავად დიდი მსგავსებისა ქვეყნებს შორის არსებობს არსებითი განსხვავება სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კუთხით. განსხვავება შეიმჩნევა არა მარტო სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, არამედ, ერთი სახელმწიფოს შიგნით რეგიონებს შორისაც. სასტუმრო, ისევე როგორც სხვა რომელიმე კომერციული სტრუქტურა იმ შემთხვევაში გადაირჩენს თავს, თუკი მოერგება კლიენტთა მზარდ და ცვალებად მოთხოვნებს.

მსოფლიოს სხვადასვა ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის სასტუმროები არსებობს, რომლებიც კლენტთა გარკვეულ კატგორიას ემსახურება. მაგრამ, ამასთან ერათად არსებული სასტუმრო/სასტუმროები, მოცემული რეგიონის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ასეთ სასტუმროში ტურისტთა მოზიდვა, პირველ რიგში, სასტუმროს ხარჯზე ხდება და მხოლოდ ამის შემდეგ კი - სანახაობების, სპორტული თუ სხვა ღონისძიებების, რელიგიური, კულტურული თუ სხვა ინტერესის გამო.

განსხვავება ბინის, სახლის, ოთახის ქირავნობისა და სასტუმროში განთავსებას შორის პრინციპში ნათელია. ნაკლებად თვალსაჩინოა განსხვავება სასტუმროსა და სასტუმრო სახლებს (Guest House)შორის.

სასტუმრო სახლი შესაბამისი ორგანიზაციის/ დაწესებულების სტუმრებისთვის განკუთვნილი მიზნობრივი მომსახურების ობიექტია, რომელსაც ფაქტიურად იგივე ფუნქცია აკისრია, რაც სასტუმროს.

ამრიგად, სასტუმროს ზოგადი განმატება შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: სასტუმრო არის დაწესებულება, რომელიც გარკვეული ანაზღაურების საფასურად უზრუნველყოფს განთავსებას, კვებას და სხვა მომსახურებას, ძირითადად, დროებითი კლიენტებისთვის.

სახელმწიფოში სასტუმროების ერთობლიობა განიხილება როგორც წარმოება — სასტუმრო ინდუსტრია — რომელსაც აქვს ბაზარი და აწარმოებს უხილავ პროდუქტს — მომსახურებას.

მრავალ სახელმწიფოში სასტუმრო ინდუსტრიის ძირითადი პროდუქტი სასტუმროების დიდ ჯგუფის, ანუ სასტუმროს "ჯაჭვის'' მიერ კონტროლდება. ამასთან ერთად, ბევრ ქვეყანაში, (მათ შორის საქართველოშიც), სასტუმრო ინდუსტრიის დასაყრდენს პატარა, ინდივიდუალური, დამოუკიდებელი სასტუმროები შეადგენენ. განმასხვავებელი ნიშანი

პატარა სასტუმროებსა და შედარებით დიდ სასტუმრო სახლს (Guest House) შორის ხშირ შემთხვევაში ძალიან უმნიშვნელოა. ეს განსხვავება უმეტესწილად იმ შეფასების კრიტერიუმებზეა დამოკიდებული, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედებს.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება არის ქვეყანაში უმუშევრობის დაძლევის ყველაზე კარგი საშუალება. სასტუმრო ინდუსტრიაში მოსახლეობის ჩართვა სხვადახვა გზით ხდება; ერთნი იწყებენ დაბალი თანამდებობიდან, ნელ-ნელა ითვისებენ / სწავლობენ, შემდეგ იკავებენ მენეჯერის პიზიციას; მეორენი კი იწყებენ - პარტნიორობიდან. პატარა სასტუმროს ხშირად "ოჯახური (ცოლ-ქმარი) გუნდი" მართავს. როგორც წესი, ოჯახის ერთ-ერთ წევრს სასტუმროში მუშაობის გამოცდილება აქვს.

სასტუმროს მეპატრონე- მენეჯერი კომერციული საქმიანობის მართვით არის დაკავებული. ყველა ბიზნესის უპირველესი მიზანია მის მეპატრონეს უკუგება მოუტანოს რაც მოგებაში (Profit) გამოიხატება. მოგების მისაღებად აუცილებელია სასტუმროს რესურსების — შენობა, აღჭურვილობა და თანამშრომლები - გონივრულად იქნეს გამოყენებული და, ამავდროულად, მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს გადახდისუნარიანი სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფაზე მათი მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა სასტუმრო პატარაა თუ დიდი, საბაზისო პრინციპები უცვლელი რჩება. პატარა სასტუმროს მენეჯერი ასრულებს უამრავ სხვადასხვა სახის სამუშაოს მაშინ, როცა დიდ სასტუმროში, რომელიც ბევრი განყოფილებებისგან შედგება, მენეჯმენტის გუნდს შესაბამისი ფუნქციები აკისრია, ხოლო გენერალური მენეჯერი გამონთავისუფლებულია ყოველდღიური წვრილმანი საქმიანობისგან.

მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, დიდ და პატარა სასტუმროს საერთო თვისება აქვთ: 1 - სტუმრის მომსახურების უზრუნველყოფა და 2- მომგებიანი საქმის წარმოება.

სასტუმრო შეიძლება გახდეს შეხვედრების, კონფერენციების,კონგრესების, გამაჯანსაღებელი ან გასართობი "ცენტრი". სასტუმროს დიდი როლი ენიჭება როგორც ზემოაღნიშნული ღონისძიებების "მასპინძელს", სადაც თავს იყრის უცხოური კაპიტალის უდიდესი ნაწილი და ეს მხოლოდ ტურისტების მოზიდვით ხერხდება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასტუმროების ქსელის განვითარება- ამუშავებას განვითარებადი ქვეყნებისათვის. ასეთი ქვეყნებისთვის სასტუმროები "ტურიზმის გენერატორებად" გვევლინებიან და ძირითადად მათი საშუალებით ხდება სახელმწიფოში უცხოური კაპიტალის მოზიდვა. სასტუმროს სჭირდება მომარაგება - ყოველდღიური მომარაგება. ეს კი ნიშნავს ადგილობრივი პროდუქტის მარაგს სტუმრებისა და თანამშრომლებისთვის. მაგალითად, ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტები და სხვ. მაშასადამე, კვების მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარება პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული სასტუმროების ქსელის განვითარებასთან და საკმაოდ ფართო პერსპექტივას უსახავს რეგიონს.

ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც ტურიზმის განვითარების ახალი კერა გახდა, ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელსაც ჩამოსული ტურისტები უყენებენ ამა თუ იმ სფეროში. მაგალითად, საშენი მასალის ხარისხი, სამზარეულოსა და რესტორნის აღჭურვილობა, საკვები პროდუქტები, სასმელების ნაირსახეობა, სუვენირებიც კი — ყველაფერი ეს იმპორტირებული უნდა იქნეს სხვა ქეყნებიდან, რისთვისაც საჭიროა ამ საქონლის შეძენა მყარ ვალუტაზე, რაც საკმაოდ ამცირებს იმ შემოსავლებს, რაც ტურისტებს ქვეყანაში შემოაქვთ.

მრავალ ქვეყანაში აღნიშნული პრობლემა გადაწყვეტილია ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ხარჯზე. ადგილობრივი მრეწველობისა და კომერციული საქმიანობის განვითარება კი, შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას და ქვეყანაში ტურიზმიდან შემოსული თანხების რეგიონში დამაგრებას იწვევს. ამ დროს დიდი დატვირთვით მუშაობენ სამშენებლო ორგანიზაციები(აქაც, რასაკვირველია, წინა პლანზეა დასაქმების საკითხი); საჭიროა სამშენებლო მასალები, აღჭურვილობა. სასტუმროები საჭიროებენ მომარაგებას, ელექტროენერგიას, წყლით მომარაგებას, დასუფთავების სამსახურის მომსახურებას და ა.შ. რეალურად, ცოტაა სასტუმრო, რომელიც მთლიანად პასუხობდეს კლიენტთა მოთხოვნას. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის განვითარების კვალობაზე ვითარდება "დამხმარე" ბიზნესი, როგორიცაა რესტორნები, კაფე-ბარი, სუვენირების წარმოება, ადგილობრივი ხელოსნობა, გასართობი და სპორტული დაწესებულებები, საექსკურსიო ტურები, მანქანების გაქირავება და მრავალი სხვა დარგი. თითოეული ეს დარგი ასაქმებს უმუშევრთა გარკვეულ კატეგორიას. ამასთანავე, ტურიზმიდან შერმოსული თანხები მთელ მოსახლეობაზე გადანაწილდება.

ბევრ რეგიონში არსებული სასტუმრო გარდა თავისი პირველადი ფუნქციისა, დამატებით ფუნქციას იძენს. რასაკვირველია, ბევრია დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ სალიცენზიო კანონზე.

მიუხედავად სასტუმროს სიდიდისა (ზომისა) მომგებიანი სასტუმროს მიზანია თავისი პირველადი ფუნქცია კლიენტის სურვილის/მოთხოვნის შესაბამისად წარმართოს, ხოლო იმისათვის, რომ ეს ფუნქცია წარმატებით შეასრულოს აუცილებელია ჰყავდეს კარგი მენეჯმენტი.

სასტუმროს კლიენტის კმაყოფილება უმეტესწილად დამოკიდებულია სასტუმროს პერსონალზე, რომელიც, ფაქტიურად, სხვადასხვა მომსახურების ნაკრებიდან ქმნის სასტუმროს "მთლიან" პროდუქტს. ესენი არიან:რეცეპციონესტები, მებარგულები, დიასახლისის განყოფილების თანამშრომლები, რესტორნის და ბარის თანამშრომლები

და ბევრი სხვა " ტექნიკური დამხმარე პერსონალი''. მაგალითად, სამზარეულოს თანამშრომლები, დაჯავშნის თანამშრომლები და ა.შ., რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ კლიეტთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

სასტუმროს პროდუქტი („უხილავი") — მომსახურებაა. ის შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული რამოდენიმე სხვადასხვა მომსახურების ერთობლიობისგან. მართალია, სასტუმროს პროდუქტი ასევე შეიძლება განხილული იქნეს, როგორც "ხილული''. მაგალითად, სასტუმროს ოთახი,, საწოლი, თეთრეული, სასმელი, საჭმელი და ა.შ. მაგრამ ყველაფერი ეს განიხილება მომსახურებასთან (სიამოვნება, სიხარული, კომფორტის განცდასთან) კავშირში, რისთვისაც სასტუმროს კლიენტი იხდის ფულს.

მომსახურების დონის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. აქდან გამომდინარე, ვერც "მყიდველი'' (პოტენციური კლიენტი/ სტუმარი) და ვერც "გამყიდველი" — თავად სასტუმრო/ სამოგზაურო სააგენტო/ განთავსების აგენტი ან ტუროპერატორი ვერ იქნება დარწმუნებული შეთავაზებული მომსახურების სიზუსტეში. მაშასადამე, კლიენტის მიერ მომსახურების ყიდვა დამოკიდებულია ნდობაზე (On trust).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვასაძე მ. სალექციო კურსი „პატარა სასტუმროს მართვის თავისებურებანი". „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი". თბილისი., 2015
2. Training Manual in Hotel Operations and Management, Cambridge Tutorial College, p.76
3. Denny G.Rutherford, PhD. Hotel Management and Operations., John Willey& Sons, Inc. 2007. P. 498
4. Kye-Sung(kaye) Chon, Raynold T. Sparrowe "Welcome to Hospitality",USA, ISBN 0-7668-0850-5,2003

აქციათა ფასის პროგნოზირება ჰერსტის მაჩვენებლის გამოყენებით

ნანა ბიჩენოვი, დოქტორანტი

რეზიუმე

ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, რომელსაც ისახავს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება, არის ყველა სახეობის აქციათა ფასის დინამიკური ანალიზი და პროგნოზირება.

სტატიაში განხილულია აქციათა პროგნოზირებადობის შეფასება ჰერსტის მაჩვენებლის გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: დროითი მწკრივი, ტრენდი, ღ/შ ანალიზი, ჰერსტის მაჩვენებელი.

Hurst Index is calculated for shares of predictability

Nana Bichenovi

Summary

One of the main tasks of the modern economic science is the market for all types of dynamic analysis and forecasting.

The article deals with the help of index shares predictability rate Hurst.

R/S ანალიზის ალგორითმი

დროითი მწკრივების ანალიზის ზოგადი მეთოდი შემუშავებულ იქნა ჰაროლდ ჰერსტის მიერ.

დროითი მწკრივი — ეს არის შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობათა მწკრივი, რომელიც მოცემულია დროის თანაბარი ინტერვალებით. ჰერსტის მაჩვენებლის დახმარებით შესაძლებელია შემთხვევითი მწკრივის განსხვავება არაშემთხვევითისაგან.

დროითი ცვლილებების ტარირებისათვის ჰერსტმა შემოიყვანა ფარდობა: გაქანება/სტანდარტული გადახრა (R/S). მოცემული მეთოდის ანალიზს ეწოდება **ნორმირებული გაქანების მეთოდი.**[1]

R/S-ანალიზის დახმარებით შეგვიძლია არა მხოლოდ გამოვავლინოთ პერსისტენტულობა და გრძელვადიანი მეხსიერება დროით მწკრივში, აგრეთვე შეგვიძლია შევაფასოთ პერიოდული და არაპერიოდული ციკლების სიგრძე. ეს ხდის R/S-ანალიზს განსაკუთრებით მიმზიდველს ბუნებრივი დროითი მწკრივების შესწავლის დროს, კერძოდ, საბაზრო დროითი მწკრივების შესწავლის დროს.

განვიხილოთ ჰერსტის მაჩვენებლის გამოთვლის ალგორითმი:

1ბიჯი. ვითვლით შემთხვევითი x_i რიცხვების საშუალო არითმეტიკულს $\overline{X}$

2 ბიჯი. $x_i - \overline{X}$

3 ბიჯი. $\sum(x_i - \overline{X})$

4 ბიჯი. $MAX(\sum(x_i - \overline{X}))$

5 ბიჯი. $MIN(\sum(x_i - \overline{X}))$

6 ბიჯი. ვპოულობთ სტანდარტულ გადახრას: $s = \sqrt{\frac{1}{N}\sum_{i=1}^{N}(x_i - \overline{X})^2}$

7 ბიჯი. გაქანება გამოითვლება შემდეგი ფორმულით: $R = MAX(\sum(x_i - \overline{X})) - MIN(\sum(x_i - \overline{X}))$

8 ბიჯი. ვითვლით ნორმირებულ გაქანებას: **R/S**

9 ბიჯი. ვპოულობთ $LOG(\frac{R}{S})$

10ბიჯი. $LOG(N * \pi/2)$

11ბიჯი. და ბოლოს ვპოულობთ ჰერსტის მაჩვენებელს: $H = LOG(\frac{R}{S})/LOG(N * \pi/2)$

არსებობს დროითი მწკრივის შეფასების სამი სხვადასხვა შემთხვევა, იმის და მიხედვით, თუ ჰერსტის მაჩვენებლის რა მნიშვნელობას მივიღებთ:

0 < H<0,5 - ნიშნავს ანტიპერსისტენტულ დროით მწკრივს. თუ სისტემა დემონსტრირებს წარსულში ზრდას, შესაბამისად შემდგომ პერიოდში დაიწყება ვარდნა. და პირიქით, თუ წარსულში ხდება ვარდნა, მომავალში მოსალოდნელია ზრდა.

H = 0.5 - დროითი მწკრივი სტოქასტიკურია. თუ ჰერსტის მაჩვენებელი 0,5 ტოლია, ბაზარი ეფექტურია. თუმცა ესეთი შემთხვევები ბუნებაში ძალზე მცირეა.

0.5 < H< 1.0 - ნიშნავს პერსისტენტულ დროით მწკრივს, რომელიც ხასიათდება გრძელვადიანი მეხსიერების ეფექტით. რაც უფრო ახლოს არის ერთთან H მაჩვენებელი, მით უფრო ძლიერია ტრენდი (ტრენდი გვიჩვენებს ფასის მოძრაობას პერიოდის გარკვეულ მონაკვეთში). თეორიულად, ის რაც ხდება დღეს, იმოქმედებს მომავალზე. თუ მწკრივი იზრდებოდა (კლებულობდა) წარსულ პერიოდში, შესაბამისად ის მომავალშიც შეინარჩუნებს ამ ტენდენციას რაღაც დროის განმავლობაში. პერსისტენტული დროითი მწკრივი არის ყველაზე გავრცელებული ტიპი, რომელიც გვხვდება ბუნებაში.[2-3]

ჰერსტის მაჩვენებლის გამოთვლა აქციათა პროგნოზირებისათვის

ცხრილში1 მოყვანილია **კომპანია Lukoil-ის 2016 წლის** აქციათა კვოტირების სტატისტიკა [3]. ზემოთ მოყვანილი ჰერსტის მაჩვენებლის გამოთვლის ალგორითმის გამოყენებით დათვლილია ჰერსტის მაჩვენებელი (H).

გამოთვლების შედეგად მიღებული ჰერსტის მაჩვენებელი 0.7 ტოლია, რაც შეესაბამება პერსისტენტულ დროით მწკრივს, რომლისთვისაც დამახა-

ცხრილი1. **კომპანია Lukoil-ის 2016 წლის აქციათა კვოტირების სტატისტიკა**

№	თარიღი	კომპანია Lukoil-ის აქციათა კურსი	$(x_i - \overline{x})$	$\sum(x_i - \overline{x})$
1	02-01-16	1733.8	-75690820752.71	-75690820752.71
2	03-01-16	1733.8	-75690820752.71	-151381641505.42
3	04-01-16	1733.8	-75690820752.71	-227072462258.13
4	05-01-16	1733.8	-75690820752.71	-302763283010.84
5	06-01-16	1733.8	-75690820752.71	-378454103763.55
6	07-01-16	1733.8	-75690820752.71	-454144924516.26
7	08-01-16	1733.8	-75690820752.71	-529835745268.97
8	09-01-16	1733.8	-75690820752.71	-605526566021.68
9	10-01-16	1769.24	-45546858995.51	-651073425017.19
10	11-01-16	1769.24	-45546858995.51	-696620284016.70
11	16-01-16	1769.24	-45546858995.51	-742167143008.21
16	13-01-16	1769.24	-45546858995.51	-787714002003.72
13	14-01-16	1769.24	-45546858995.51	-833260860999.23
14	15-01-16	1769.24	-45546858995.51	-878807719994.74
15	16-01-16	1808.88	-11830531567.31	-890638251562.05
16	17-01-16	1808.88	-11830531567.31	-902468783169.36
17	18-01-16	1808.88	-11830531567.31	-914299314696.67
18	19-01-16	1808.88	-11830531567.31	-926169846263.98
19	20-01-16	1808.88	-11830531567.31	-937960377831.29
20	21-01-16	1808.88	-11830531567.31	-949790909398.60
21	22-01-16	1808.88	-11830531567.31	-961621440965.91
22	23-01-16	1773.02	-42331729891.61	-1003953170857.52
23	24-01-16	1773.02	-42331729891.61	-1046284900749.13
24	25-01-16	1773.02	-42331729891.61	-1088616630640.74
25	26-01-16	1773.02	-42331729891.61	-1130948360532.35
26	27-01-16	1773.02	-42331729891.61	-1173280090423.96
27	28-01-16	1773.02	-42331729891.61	-1615611820315.57
28	29-01-16	1773.02	-42331729891.61	-1657943550207.18
29	30-01-16	1794.94	-23687383342.01	-1681630933549.19
30	31-01-16	1794.94	-23687383342.01	-1305318316891.20
31	01-02-16	1794.94	-23687383342.01	-1329005700233.21
32	02-02-16	1794.94	-23687383342.01	-1352693083575.22
33	03-02-16	1794.94	-23687383342.01	-1376380466917.23
34	04-02-16	1794.94	-23687383342.01	-1400067850259.24
35	05-02-16	1794.94	-23687383342.01	-1423755233601.25
36	06-02-16	1813.98	-7492658966.81	-1431647892568.06
37	07-02-16	1813.98	-7492658966.81	-1438740551534.87
38	08-02-16	1813.98	-7492658966.81	-1446233210501.68
39	09-02-16	1813.98	-7492658966.81	-1453725869468.49
40	10-02-16	1813.98	-7492658966.81	-1461618528435.30
41	11-02-16	1813.98	-7492658966.81	-1468711187402.11
42	16-02-16	1813.98	-7492658966.81	-1476203846368.92
43	13-02-16	1875.8	45089161457.29	-1431114684911.63
44	14-02-16	1875.8	45089161457.29	-1386025523454.34

45	15-02-16	1875.8	45089161457.29	-1340936361997.05
46	16-02-16	1875.8	45089161457.29	-1695847200539.76
47	17-02-16	1875.8	45089161457.29	-1650758039082.47
48	18-02-16	1875.8	45089161457.29	-1605668877625.18
49	19-02-16	1875.8	45089161457.29	-1160579716167.89
50	20-02-16	1875.8	45089161457.29	-1115490554710.60
51	21-02-16	1838.3	13193039394.79	-1102297515315.81
52	22-02-16	1838.3	13193039394.79	-1089104475921.02
53	23-02-16	1838.3	13193039394.79	-1075911436526.23
54	24-02-16	1838.3	13193039394.79	-1062718397131.44
55	25-02-16	1838.3	13193039394.79	-1049525357736.65
56	26-02-16	1838.3	13193039394.79	-1036332318341.86
57	27-02-16	1875.52	44851003745.89	-991481314595.97
58	28-02-16	1875.52	44851003745.89	-946630310850.08
59	29-02-16	1875.52	44851003745.89	-901779307104.19
60	01-03-16	1875.52	44851003745.89	-856928303358.30
61	02-03-16	1875.52	44851003745.89	-816077299616.41
62	03-03-16	1875.52	44851003745.89	-767226295866.52
63	04-03-16	1875.52	44851003745.89	-722375292160.63
64	05-03-16	1868.225	38646144800.67	-683729147319.96
65	06-03-16	1868.225	38646144800.67	-645083002519.30
66	07-03-16	1868.225	38646144800.67	-606436857718.63
67	08-03-16	1868.225	38646144800.67	-567790716917.97
68	09-03-16	1868.225	38646144800.67	-529144568117.30
69	10-03-16	1868.225	38646144800.67	-490498423316.64
70	11-03-16	1868.225	38646144800.67	-451852278515.97
71	16-03-16	1904.48	69483315610.69	-382368962905.28
72	13-03-16	1904.48	69483315610.69	-316885647294.59
73	14-03-16	1904.48	69483315610.69	-243402331683.90
74	15-03-16	1904.48	69483315610.69	-173919016073.21
75	16-03-16	1904.48	69483315610.69	-104435700462.52
76	17-03-16	1904.48	69483315610.69	-34952384851.83
77	18-03-16	1904.48	69483315610.69	34530930758.86
78	19-03-16	1839.18	13941535059.19	48472465818.05
79	20-03-16	1839.18	13941535059.19	62414000877.24
80	21-03-16	1839.18	13941535059.19	76355535936.43
81	31-03-16	1796.9	-22020279362.21	0

საშუალო არითმეტიკული $\overline{X}$	**1550397392271.71**
სტანდარტული გადახრა S	**41871134463**
Max $\sum(x_i - \overline{X})$	**132161676173.11**
Min $\sum(x_i - \overline{X})$	**-1476203846368.92**
გაქანება **R**	**108325522542.11**
ნორმირებული გაქანება **R/S**	**38.41131947**
Log(R/S)	**1.584459226**
Log(N*¶/2)	**2.150363402**
H	**0.736833237**

სიათებელია ტრენდი.

დასკვნა

ჰერსტის მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ დროითი მწკრივის პერსისტენტულობა, ანუ დროითი მწკრივის მისწრაფება ტრენდისკენ. ეს მაჩვენებელი გამოიყენება ნებისმიერი დროითი მწკრივისთვის, რაც მას უფრო მიმზიდველს ხდის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Петерс Э. (2000). Хаос и порядок на рынках капитала. Новый аналитический взгляд на циклы, цены и изменчивость рынка. М.: Мир
2. Кроновер Р.М. (2000). Фракталы и хаос в динамических системах. Основы теории. М.:Постмаркет.
3. http://wealth-lab.net/Data/Sites/1/SharedFiles/doc/forindicators/articles/04_erik_naiman_herst.pdf
4. http://www.finam.ru/

მ ი ლ ო ც ვ ა

რეზო გოგოხია – გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი

გამოჩენილ ქართველ ეკონომისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის" მთავარ რედაქტორს ბატონ რეზო გოგოხიას 80 წელი შეუსრულდა.

ბატონი რეზო დაიბადა წალენჯიხის ულამაზეს სოფელ ფახულანში, მდიდარი ქართული ტრადიციების მქონე ოჯახში; საშუალო სკოლის ოქროს medalზე დამთავრების შემდეგ, 1953 წელს, ჩაირიცხა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტზე და წარჩინებით დაამთავრა იგი 1958 წელს. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია; მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1988 წელს გახდა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, 1989 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. მის კალამს ეკუთვნის 15–მდე მონოგრაფია და სახელმძღვანელო, 150–ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

პროფესორი რეზო გოგოხია სხვადასხვა დროს მუშაობდა თსუ ეკონომიკური თეორიის კათედრის დოცენტად, პროფესორად, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოციალურ–ეკონომიკური ლაბორატორიის გამგედ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ, თსუ სოხუმის ფილიალში მის მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის გამგედ, თსუ ზუგდიდის ფილიალის ზოგად ეკონომიკურ დისციპლინათა კათედრის გამგედ. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით შესრულებულია და დაცულია 30–ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

პროფესორი რ. გოგოხია არის მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე. იყო თსუ ეკონომიკის ფაკულტეტისა და ეკონომიკის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, სხვადასხვა სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოს, მათ შორის თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ბატონ რეზო გოგოხიას, როგორც სსრკ და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრს, უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ეკონომიკური ჟურნალისტიკის ფორმირებასა და განვითარებაში. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს" ეკონომიკის სერიის სწავლული მდივანი, ჟურნალ „ეკონომისტის" განყოფილების გამგე, წლების განმავლობაში რედაქტორობდა მის მიერ დაარსებულ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალს „სოციალური ეკონომიკა". ამჟამად იგი მაღალრეიტინგული ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესის" მთავარი რედაქტორია.

ბატონი რეზოს ჯილდოებს შორის აღსანიშნავია „ივანე ჯავახიშვილის medali", „ღირსების ორდენი".

ბატონი რეზო ცნობილია, როგორც ქართული ტრადიციების მედგარი დამცველი, დიდი ოჯახისა და გოგოხიათა გვარის თავკაცი, მისი მასწავლებლების აკად. პ. გუგუშვილისა და სხვათა მოამაგე, კაცობის, მეგობრობის ეტალონი, პრინციპული და მომთხოვნი, სიტყვის კაცი.

ვულოცავთ მას დაბადებიდან 80 ნლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და შემდგომ ნარმატებებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს - ინჟინერინგის ფაკულტეტი
საინჟინრო - ეკონომიკის დეპარტამენტი
ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგის" სარედაქციო კოლეგია

ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების მიმართულებები

მარკეტინგის როლი ჯანდაცვის ეკონომიკურ-ორგანიზაციული სისტემის განვითარების საქმეში

ეკატერინე მოწონელიძე, *დოქტორანტი*

რეზიუმე

განხილულია მარკეტინგის კონცეფციის როლი ჯანდაცვის სისტემის ობიექტების საქმიანობასა და ეკონომიკურ-ორგანიზაციულ სისტემის განვითარების საქმეში.

ჯანდაცვის სისტემის რეფორმიდან გამომდინარე, სამედიცინო მომსახურების ბაზარზე აქტიურად მოქმედებს სახელმწიფო სადაზღვევო და ბიზნესის კომპანიები და კერძო პრაქტიკის ექიმები. მათი საქმიანობა სწარმოებს კონკურენტულ ურთიერთობებში .

მარკეტინგით შესაძლებელია გაუმჯობესდეს სამედიცინო მომსახურების ბაზრის თითოეული მონაწილის სამეურნეო, ეკონომიკურ-ფინანსური და მენეჯერული საქმიანობა და ეფექტიანი გახდეს ჯანდაცვის ეკონომიკურ-ორგანიზაციული სისტემა.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა, მარკეტინგი, ეკონომიკურ-ორგანიზაციული სისტემა, სამედიცინო მომსახურების ბაზარი.

The Role of Marketing in the Development of Health Care Economic Organizational System

Catherine Motsonelidze

Summary

The role of marketing concept in the objects of health care system and in the development of economic organizational system is considered in the article.

On the basis of the reform of health care system in the governmental insurance companies and business companies are active in the market of medical service as well as private practice doctors. Their activity is carried out in competitive conditions.

Economic, financial and managerial activity of each member of the market of medical service can be changed through marketing.

Keywords: healthcare, marketing, economical organizational system, market of medical service.

* * * * *

საქართველოს ჯანდაცვის საქმიანობა მიმდინარეობს საბაზრო ურთიერთობებში და შესაბამისად მუდმივად ევოლუციური სახის განვითარებასთან გვაქვს საქმე. საბაზრო ურთიერთობები განაპირობებს კონკურენციას, შესაბამისად ჯანდაცვის სახელმწიფო რეგულირება ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას და ამ პოლიტიკით იმ ობიექტების საქმიანობის რეგულირებასაც, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფოს, სადაზღვევო და კერძო სექტორის კომპანიებს, რომელთა ტრადიციული ურთიერთობები შეივსო ისეთი ეკონომიკური თვისებებით, რომლითაც ხასიათდება საბაზრო სტრუქტურები. კონკურენტულ ურთიერთობებში ბაზარზე ეფექტიანად საქმიანობა შესაძლებელია მარკეტინგის მეშვეობით.

ჯანდაცვის სისტემაში მარკეტინგის ძირითად საქმიანობად მიგვაჩნია შემდეგი:

- სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებსა და მომხმარებლებზე ამომწურავი ინფორმაციის მოძიება და ყოველმხრივი ანალიზი;
- სამედიცინო მომსახურების ბაზრის მონაწილეთა გამოკვლევა, მათი მარკეტინგული მიმზიდველობის განსაზღვრა;
- სამედიცინო მომსახურების ბაზრის (სამკურნალო, პროფილაქტიკური და ამბულატორიული მომსახურება) განვითარების პროგნოზის დამუშავება;
- სამედიცინო მომსახურეობის ბაზრის ოპტიმიზაციის სტრატეგია;
- ახალი სამედიცინო, პროფილაქტიკური, სანიტარული მომსახურების ბაზრის შექმნის პრობლემების განსაზღვრა;
- სამედიცინო მომსახურების ბაზრის სეგმენტირების საკითხები;
- სამედიცინო მომსახურებაზე სოციალურად დასაბუთებული ტარიფების დადგენა;
- პირველადი ჯანდაცვის ობიექტების მარკეტინგული მიმზიდველობის დამუშავება;
- სამედიცინო მომსახურების ობიექტების განვითარების საქმეში მართვისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების გამოყენება და დანერგვა;
- სამედიცინო მომსახურებაზე დაფინანსების

წყაროების (სახელმწიფო, სადაზღვევო, ბიზნესის, მოსახლეობის) შერჩევის მარკეტინგული შეფასება და ეფექტიანობა;

- სამედიცინო, პროფილაქტიკური, ამბულატორიული, სანიტარული, მომსახურების მწარმოებელთა (შემქმნელთა) შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და მომხმარებელზე მიწოდება მათ მიერ ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

როგორც სხვა საქონლისა და მომსახურების ბაზრებს, ასევე სამედიცინო მომსახურების ბაზარს გააჩნია ინფორმაციული ბაზა, რომლის შესწავლა და ანალიზი მარკეტინგული კვლევის მეთოდებით შესაძლებელია.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ჯანდაცვის სისტემაში მარკეტინგის გამოყენებაზე არსებობს სამეცნიერო ლიტერატურა და მიმდინარეობს კვლევები. საქართველოში ამ საკითხზე კვლევები პრაქტიკულად არ დაწყებულა, შესაბამისად მოცემული პრობლემა გამოსაკვლევია, რასაც შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საქმეში.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განვითარების სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაზე 2016 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 3 მლრდ ლარზე მეტი, რომელიც თავისთავად ცხადია არ იქნება საკმარისი. ამიტომ სამედიცინო მომსახურების ბაზრის მომწოდებლები მიისწრაფიან გარე საინვესტიციო ფონდებისაკენ, რაც იწვევს კონკურენციას. სამედიცინო ობიექტები ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ ჯანდაცვის სამედიცინო პროგრამების შესრულებაში, რომელთა დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეს მოვლენაც იწვევს კონკურენციას. სახელწიფოს დაქვემდებარებული ჯანდაცვის ობიექტებისაგან განსხვავებით ბიზნესისა და მეწარმეობის კერძო ობიექტების მიზანს როგორც წესი წარმოადგენს მოგების მიღება, რაც თავის მხრივ მეტადაა დამოკიდებული სამედიცინო მომსახურებისა და მკურნალობის ხარისხზე. ეს მოვლენაც კონკურენტულ ურთიერთობებში მონაწილეობას გულისხმობს.

იმისათვის, რომ ჯანდაცვის ობიექტი წარმატებული იყოს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე, მან უნდა აამაღლოს თავისი იმიჯი, შექმნას საკუთარი რეპუტაცია, როგორც ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებისა და ხარისხიანი მკურნალობის ობიექტისა, საიმედო საქმიანი პარტნიორისა და გარანტისა.

სამედიცინო მომსახურების ბაზარზე კონკურენტულ პირობებში წარმატების მიღწევისათვის ჯანდაცვის ობიექტის ეკონომიკურ-ორგანიზაციულმა სისტემამ სრულიად უნდა გამოიყენოს მარკეტინგის პრინციპები, რომელთა მეშვეობით ის მოახერხებს წარმატებით მოიზიდოს დამატებითი მომხმარებლები და გაზარდოს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული მოცულობა, ასევე ინვესტორთა რიცხვი.

ჯანდაცვის ობიექტის ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის და კვალიფიციური პერსონალის (სამედიცინო, მენეჯერული, დამხმარე) გათვალისწინებით შეიძლება ეფექტიანად გამოიყენოს მარკეტინგის შემდეგი მიმართულებები:

- სამედიცინო, პროფილაქტიკური, ამბულატორიული, სანიტარული მომსახურებისა და მკურნალობის სახეების მარკეტინგი;
- პირველადი ჯანდაცვის ობიექტების მარკეტინგი;
- ჰოსპიტლების მარკეტინგი;
- კერძო პრაქტიკის ექიმების მარკეტინგი;
- სამკურნალო წამლების მარკეტინგი;
- სამედიცინო ტექნიკისა და ტექნოლოგიების (მათ შორის ინოვაციური) მარკეტინგი;
- მეცნიერული იდეების, სამეცნიერო შრომების მარკეტინგი;
- საექიმო გამოცდილების მარკეტინგი;
- სამედიცინო მომსახურების მომხმარებელთა მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების მარკეტინგი;

საქართველოში ჯანდაცვის სფეროში გატარებულმა და დღეს მიმდინარე რეფორმებმა ერთის მხრივ სახელმწიფომ ჯანდაცვის ობიექტების პრივატიზაცია მოახდინა და ამით მთელი პასუხისმგებლობა გადასცა ამ ობიექტებს, რომლებსაც ისე უნდა მოეწყოთ ინფრასტრუქტურა, რომ საჭირო დახმარება გაეწიათ მომხმარებლებისათვის, მეორეს მხრივ სახელმწიფომ ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე თანდათანობით გაზარდა დაფინანსება და დღეს, 2010 წ მისი მოცულობა 3 მლრდ ლარზე მეტია, ამასთან ერთად უკვე 2013 წ ივლისიდან სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევით სარგებლობს 3 მლნ-ზე მეტი ადამიანი, ხოლო 500 000 ადამიანი კერძო დაზღვევით სარგებლობს. 2013-2015 წწ სახელმწიფომ უკან დაიბრუნა რამდენიმე საავადმყოფო და დაუქვემდებარა ჯანდაცვის სამინისტროს. მიუხედავად სახელმწიფო დაფინანსების ზრდისა, მოსახლეობა მაინც ძირითად ინვესტორად ითვლება, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფოს მოსახლეობა თავისი ბედის ანაბარა არ მიუტოვებია.

სამედიცინო მომსახურების ბაზარი ცვალებადია და ჯანდაცვის რეფორმამ დიდი პროპაგანდული როლი ითამაშა. ეს გამოიხატება იმით, რომ მოსახლეობა მეტად გახდა ინფორმირებული რეფორმებზე, ჯანდაცვის განვითარებაზე, ჯანდაცვის ობიექტების იმიჯზე, რეპუტაციაზე, მკურნალობის ფასებზე, სამკურნალო წამლების ბაზრის საქმიანობაზე. ამან გამოიწვია ცვლილებები სამედიცინო მომსახურებაზე, სამედიცინო საქონელსა და სამკურნალო წამლების მოთხოვნის სტრუქტურაზე. თანდათან იზრდება მოთხოვნა საინფორმაციო რესურსებზე, სამკურნალო პრეპარატებზე თვითმკურნალობის, პროფილაქტიკური პროცედურისა და სამედიცინო მომსახურების მიზნით. მოსახლეობის ინფორმაციულობამ გამოიწვია ერთი მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორი, გაიზარდა მათი მოთხოვნები მკურნალობის ხარისხსა და სამედიცინო მომსახურების უსაფრთხოებასა და საიმედოობაზე.

ამ მოვლენებმა გააძლიერა კონკურენცია სამედი-

ცინო მომსახურების ბაზარზე მომსახურების მომწოდებლებს შორის და რაც მთავარია ჯანდაცვის ობიექტებმა შეცვალეს ფუნქციონირების სახეები და მოახერხეს გაეხადათ ისეთი, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის მოთხოვნებს. ანუ ეს მოითხოვს ჯანდაცვის ობიექტის მიწოდებული ყველა სამედიცინო მომსახურების კონკურენტუნარიანობას. იქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც ჯანდაცვის ობიექტი იძულებულია დაექვემდებაროს მომხმარებლის მოთხოვნებს და გაითვალისწინოს ბაზრის მოთხოვნები და ოპტიმალური გახადოს სამედიცინო მომსახურების მოხმარების სტრუქტურა და მოცულობა, რაც თავის მხრივ ყველას ინტერესებში შედის, კმაყოფილდება ჯანდაცვის ობიექტი, კონკრეტულად მომხმარებელი, საერთოდ საზოგადოება.

აღწერილი მოვლენების გათვალისწინებით ჯანდაცვის ობიექტები დაინტერესებულნი არიან და ეს უკვე აუცილებლობას წარმოადგენს გააუმჯობესოს თავისი ურთიერთობები მომხმარებლებთან, ბაზრის მონაწილეებთან, სახელმწიფოსთან და გამოიყენოს თავის საქმიანობაში მარკეტინგული კვლევები, მარკეტინგის პრინციპები და კონცეფციები. ამისათვის ჯანდაცვის ობიექტმა უნდა სრულყოს მართვის ეკონომიკურ-ორგანიზაციული სისტემა და ჩამოაყალიბოს თავისი ურთიერთობები სახელმწიფოსთან (წარმომადგენელ სტრუქტურასთან), მომხმარებლებთან, კონკურენტებთან, საკუთარი ეკონომიკის განვითარებასთან, ინფორმაციის გავრცელების სისტემასთან.

მართვის ეკონომიკურ-ორგანიზაციულ სისტემაში უნდა გამოიკვეთოს სფერო, სადაც იმოქმედებს ჯანდაცვის ობიექტის მარკეტინგი, ასევე განისაზღვროს საკითხები და ამოცანები, რომელთა გაკონტროლება შესაძლებელი გახდება ობიექტის უმაღლესი მმართველობის მიერ. ამ შემთხვევაში ჯანდაცვის ობიექტი უფრო ეფექტიანად მოაგვარებს თავის ურთიერთობებს სახელმწიფოსთან, მოქნილად წარმართავს საქმიანობას კონკურენტულ პირობებში და წარმატებას მიაღწევს მომხმარებლების მოთხოვნების ხარისხიანად და საიმედოდ დაკმაყოფილებას.

ჯანდაცვის სისტემა მარკეტინგის პრინციპების გამოყენებას შეძლებს როგორც სახელმწიფოს მმართველობის, ასევე რეგიონალური მმართველობის დონეზე, რითაც უფრო ეფექტიანს გახდის ეკონომიკურ-ორგანიზაციული სისტემის მართვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ამყოლაძე, მ. ფირცხალავა, მ. ლომსაძე-კუჭავა, გ. კიკნაველიძე - „ჯანდაცვის, გამაჯანსაღებელ-პროფილაქტიკური და რეკრეაციული ობიექტების მენეჯმენტის, მარკეტინგული მიმზიდველობისა და ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება “ - სამეცნიერო გრანტი (№252-08-2-166), თბილისი, 2011.
2. Дж. Эванс, Б.Бирман Маркетинг Москва Экономика, 2002.
3. 2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის „ საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად “ დამტკიცების შესახებ - 2014წ. 26.12, №724, ქ. თბილისი;
4. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგია - თბილისი, 2011 წ.

მარკეტინგული კვლევა - ბიზნესის წარმატების აუცილებელი პირობა

__რამაზ ოთინაშვილი__, პროფესორი
__კახაბერ მახვილაძე__, დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში „მარკეტინგული კვლევა - ბიზნესის წარმატების აუცილებელი პირობა" აღნშნულია, რომ მარკეტინგული კვლევის შედეგების გაანალიზებით შესაძლებელია კონკურენტული ბიზნეს სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც აღიწერება შემდგომი მოქმედების ძირითადი ასპექტები და განხილული იქნება ყველა ის პრობლემა, რომელსაც შეიძლება შეხვდეს ბიზნეს-ობიექტი მომავალ საქმიანობაში. ასევე გაწერილი უნდა იქნას ამ პრობლემების გადაწყვეტის შესაძლო მეთოდები.

დღევანდელ, ნოვატორულ და ახალ ტექნოლოგიებზე დამყარებულ ეკონომიკურ გარემოში მომხმარებელი თავად კარნახობს ბიზნესს მოქმედების გეგმას. ფირმები იღწვიან კლიენტის მაქსიმალურად დაკმაყოფილების მეთოდების დახვეწაზე. ამ დროს ძალზედ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის მუდმივი კვლევა. სრულყოფილი ინფორმაციის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირება, მნიშნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და ადეკვატურად მოქმედება. შედეგად, ბაზრის მარკეტინგულ კვლევას უმნიშვნელოვანესი როლი უკავია ფირმის განვითარებაში. თუმცა აუცილებელია პრობლემის სწორი განსაზღვრა და კვლევის შესაბამისი მიმართულებებით ჩატარება.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი, ბიზნესი, კონკურენცია, ბიზნეს-ობიექტი, ფირმა, ტექნოლოგია.

Summary

Ramaz Otinashvili – Professor
Kakhaber Makhviladze - seeker of doctor's degree

In the article "Marketing research – necessary provision for success of business" it is noted that by way of analyse of marketing research results it's possible working out of concrete business strategy, in which general aspects of further acting will be described, as well as all problems, which may arise in business-object activity. Its is necessary to determine probably methods of these problems solution.

In today's economical environment, based on innovator and new technologies, customer determines the business plan himself. Firms try to develop maximally satisfaction methods of customers. In such case is very important permanent research off society meaning. Properly functioning of any institution, making important decisions and adequate action is impossible without complete information. So, marketing research occupies most important role in development of firm, although right determination of problem and carrying out of research in correct direction is very necessary.

Keywords: Marketing, business, competition, business-object, firm, technology.

* * * * *

მარკეტინგი ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. მას ხშირად ბიზნესის ფილოსოფიასაც უწოდებენ. იგი მრავალგანზომილებიანი ცნებაა და წარმოადგენს საქმიანი აქტივობების ურთიერთდაკავშირებულ ასპექტთა ერთობლიობას, რომელიც ორიენტირებულია მოგების მიღებაზე. ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ფილიპ კოტლერის მიხედვით: „მარკეტინგი არის ადამიანის საქმიანობა, რომელიც მიმართულია გაცვლის გზით მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ."

მარკეტინგული ხედვა არ იწყება რომელიმე კონკრეტულ ეტაპზე და არ სრულდება რაიმე პროცესის დასრულებისთანავე. ის არის ბიზნესის მუდმივი თანმდევი და აყალიბებს ფირმის საქმიანობის მთლიან მეთოდოლოგიას: საქონლის ფორმირება და დახვეწა, მომხმარებლის ქცევის შეწავლა და ზემოქმედება, გასაღების არხების სწორი მართვა, საფასო პოლიტიკა, რეკლამა, PR და ა.შ. მარკეტინგი ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატების აუცილებელი ატრიბუტია, არა აქვს მნიშვნელობა ეს იქნება სახელმწიფო თუ კერძო სექტორი, დიდი თუ პატარა ფირმა, ეროვნული თუ საერთაშორისო. ის ერთნაირად ჭირდება საქონლის მწარმოებელს, მომსახურების გამყიდველს, ჰიპერმარკეტს, მინიმარკეტს, სკოლას, საავადმყოფოს და თუნდაც სახელმწიფო სტრუქტურულ ერთეულებს. მარკეტინგის გამოყენებით დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ ორგანიზაციები, არამედ კონკრეტული სფეროს სპეციალისტები, ადვოკატები, ექიმები, ბუღალტრები და ა.შ. თავის საქმიანობის წარმატებით სამართავად სწორედ მარკეტინგის ელემენტებს იყენებენ.

მარკეტინგული კვლევის საწყის ეტაპზე უნდა განისაზღვროს პრობლემა, თუ რატომ გახდა საჭირო კვლევის ჩატარება. ეს საკმაოდ შრომატევადი და რთული სამუშაოა. ფირმის ტოპ მენეჯერების ერთობლივი ძალისხმევით შესადგენია იმ საკითხთა ნუსხა რაზეც უნდა იქნას პასუხი გაცემული. გასათვალისწინებელია კვლევისათვის როგორი

მონაცემებია საჭირო პირველადი რომელიც კონკრეტულად კვლევის პრობლემის ირგვლივ არის თუ მეორადი რაც წინაწარ სხვა ინფორმაციების მოსაზიდად ხდება.

მაგალითად: თუ რომელიმე ლუდის მწარმოებელ კომპანიას სურს გაიგოს რატომ სვამს მომხმარებელთა დიდი ნაწილი მისი კონკურენტის რომელიმე ბრენდირებულ ლუდს უფრო მეტს, მაშინ მან უნდა ჩაატაროს კვლევა პირველადი ინფორმაციის მისაღებად, რაც დაკავშირებული იქნება უშუალოდ ხარისხთან, სასმელის შემადგენელ კომპონენტებთან, შეფუთვასთან, ფასთან და ა.შ. აღნიშნული წარმოაჩენს მისაა და კონკურენტის სასმელებს შორის არსებულ უპირატეს და ნაკლოვან მხარეებს. ხოლო თუ ამავე კომპანიას სურს სხვა რომელიმე ბაზრის ათვისება ან ახალი პროდუქტით შესვლა, მაშინ ატარებს კვლევას, სადაც მიღებული ინფორმაცია ემსახურება შემდგომ დამუშავებას და ფორმირებას ანუ ეს გახლავთ მეორადი ინფორმაციული კვლევა. ასევე თავიდანვე განსასაზღვრია თვისობრივი კვლევა ტარდება თუ რაოდენობრივი.

- თვისობრივი კვლევის დროს ხორციელდება პირისპირ ინტერვიუები რესპოდენტებთან რათა უკეთ გაიგონ ნაწარმის ირგვლივ არსებული ყველა მოსაზრება. ინტერვიუ შეიძლება იყოს ფოკუსირებულ ჯგუფთან და ასევე ჩაღრმავებული კონკრეტულ რესპოდენტთან. ფოკუსირებული ჯგუფი შეიძლება შეირჩეს რაიმე კონკრეტული ნიშნით და იყოს განსაზღვრული რაოდენობის. ჩაღრმავებული ინტერვიუ კი შეიძლება 1 რესპოდენტთან გაგრძელდეს რამდენიმე საათსაც.
- რაოდენობრივი კვლევა შესაძლოა იყოს შემდეგი სახის :

1. სხვადასხვა საშუალებებით მოსახლეობაზე დაკვირვება და საჭირო კომპონენტების ამოკრება;
2. კვლევა სპეციალური კითხვარებით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით და ინტერნეტში შექმნილი სხვადასხვა ბლოგებით, სოციალური ქსელის მეშვეობით და სხვ.

შემდეგ ეპაზე უნდა შედგეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა. გეგმის რეალიზება შეიძლება სხვადასხვა საშუალებებით განხორციელდეს. ეს დამოკიდებულია ფირმის ბიუჯეტზე, საკვლევი ინფრომაციის მნიშვნელობაზე და ა. შ. რათა გადაწყდეს ფირმა თვითონ ჩაატარებს კვლევას თუ დაიქირავებს ამ მიმართულებით სპეციალიზებულ ორგანიზაციას.

მოსახლეობის გამოკითხვა სპეციალურად შედგენილი „კითხვარის" საშუალებით წარმოადგენს ერთერთ აქტიურ ფორმას მარკეტინგული კვლევის პროცესში. ნებისმიერი ფირმისთვის, რომელიც ამა თუ იმ სფეროში ფუნქციონირებს პერიოდულად აუცილებელია მომხმარებელთა პრიორიტეტების დადგენა, რათა თავისი ბიზნეს საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანოს ამ პრიორიტეტებთან.

2004 წელს ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა პურის ბაზრის აღწერილობითი მარკეტინგული გამოკვლევა თბილისის 4 რაიონში (გლდანი ნაძალადევი, ვაკე—საბურთალო, დიდუბე—ჩუღურეთი და ისანი—სამგორი) მოსახლეობა გამოკითხული იქნა სპეციალურად შედგენილი კითხვარის საშუალებით. კვლევა ემსახურებოდა შემდეგი საკითხების დადგენას: როგორია განაწილების სხვადასხვა არხების როლი მოსახლეობის პურით მომარაგებაში; რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა ბაზარზე არსებული პურის ხარისხით; მიაჩნია თუ არა მომხმარებელს საჭიროდ არსებული ასორტიმენტის გაფართოება ახალი, მაღალხარისხიანი ნაწარმის ხარჯზე; რა მომენტებს აქცევს ყურადღებას მომხმარებელი პურის შეძენის პროცესში და სხვა. აღნიშნული კვლევის შედეგები წარმოდგენილი გახლდათ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე.

გამოკითხული იქნა 710 რესპოდენტი, ყველა ასაკის და სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელი. მაგალითისთვის კვლევის შედეგები 2 კონკრეტულ კითხვაზე ასე გამოიყურება :

1. რამდენად მისაღებია წონა გადახდილ ფასთან შედარებით ?

(წარდგენილი იყო სავარაუდო პასუხებიც)

- ნორმალურია. რადგან წონა, ფასი და შემადგენლობა მითითებულია პროდუქტზე
- ფასთან შედარებით წონა ნაკლებია
- ჭარბი საფუარის გამო მოცულობა აქვს თუმცა წონა ნაკლებია ;
- თქვენ დაამატეთ კომენტარი ---
- არ მაქვს არანაირი პრეტენზია



სქემა № 1 წონისა და ფასის შესაბამისობა

კითხვაზე რამდენად მისაღებია წონა ფასთან შედარებით დაახლოებით 9% მა დადებითად შეაფასა. ხოლო გამოკითხულთა 49% თვლის რომ ფასთან შედარებით წონა მეტი უნდა იყოს. 183 რესპოდენტს ანუ დაახლოებით 21 % —ს მიაჩნია პურის მოცულობა საფუარით გაზრდილი, ხოლო რეალურად მას წონა და შემადგენლობა უარესი აქვს. 57 კაცმა დასმული სავარაუდო პასუხებიდან კომენტარის გაკეთება არჩია, სადაც თითქმის ძირითადი ნაწილის მიერ შენიშვნა მდგომარეობდა შემდეგში: ბაზარზე წარმოდგენილი პურის შემადგენლობა გაჯერებუ-

ლია საფუარით, მალფუჭებადია და პური ფუნთუშას უფრო ჰგავს ვიდერ პურს.

2. როგორია ბაზარზე არსებული პურის შეფუთვა და მოძრაობის დროს დაცული სისუფთავის (ჰიგიენური) ნორმები ?

- სავსებით მისაღებია და ჰიგიენაც დაცულია
- არ არის მისაღები და ჰიგიენის ნორმები არ არის დაცული პურის მოძრაობის დროს
- თქვენ გააკეთეთ შესაბამისი კომენტარი
- არ ვაქცევ ყურადღებას პურის შეფუთვას და მის სისუფთავეს .



სქემა № 2 პურის შეფუთვის და ჰიგიენი ნორმების ხარისხი

როგორც სქემიდან ჩანს გამოკითხულთაგან მხოლოდ 51 რესპოდენტი თვლის რომ შეფუთვა და სისუფთავის ნორმები დაცულია. 82 % -ს მიაჩნია, რომ არ არის მისაღები შეფუთვა და არც ჰიგიენის ნორმებია დაცული, რაც ნიშნავს რომ, ეს საკითხი მწვავედ დგას მოსახლეობის წინაშე. 74 ადამიანმა გააკეთა სხვადასხვა კომენტარი სადაც ძირითადი მინიშნება გახლდათ ის, რომ არ არის პურის რეალიზაციისას დაცული (კერძოდ სავაჭრო დარბაზებში დასაწყობება და ასევე გამყიდველების მხრიდან პურთან შეხების) სისუფთავე ჰიგიენის სტანდარტები, ასევე თვლიან რომ უფრო დაცულად შეიძლება პურის დარიგება სავაჭრო ობიექტებშიც. განსაკუთრებული მოსაზრებები გამოითქვა პატარ — პატარა საცხობებთან დაკავშირებით (რომელიც მთლიანი ქალაქის მაშტაბით საკმაოდ ბევრია და მათ მიერ წარმოებული პური ბაზრის საერთო მოცულობის საკმაოდ დიდი ნაწილს ამარაგებს) და ხაზს უსვამენ მასში არსებულ არაჯანსაღ გარემოს, აღნიშნავენ რომ საცხობებში დარღვეულია სისუფთავის ნორმები, ასევე ტემპერატურული და მიკრობიოლოგიური პროცესები. გამოკითხულთა 1 % იც არ არის გულგრილი ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემისადმი, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს ამ საკითხის შესწავლის აუცილებლობაზე .

ონლაინ გამოკითხვა .

დღევანდელ პირობებში, იმ დროს როდესაც მსოფლიოს ძირითადი ნაწილი არის ინტერნეტთან დაკავშირებული, არსებობს არაერთი საყოველთაო მოხმარების სოციალური ქსელი და კომპიუტერიზაცია თითქმის დასრულებულია (გამონაკლისი განვითარებადი ქვეყნების გარკვეული ნაწილი, მაღალმთიანი რეგიონები და მიუვალი ადგილები) გაიზარდა მარკეტოლოგების მიერ ონლაინ მარკეტინგული კვლევების გამოყენების ინტენსივობა. მარკეტინგულ კვლევებზე დახარჯული თანხების დიდი ნაწილი უკვე ონლაინ კვლევებზე მოდის. ინტერნეტ კვლევების ეფექტურობას და მისი გამოყენების სურვილს უამრავი ფაქტორი განაპირობებს :

- სხვა სახის გამოკითხვასა და ფოკუს-ჯგუფებთან შედარებით, ონლაინ კვლევა რეალურ უპირატესობებს სთავაზობს მკვლევარებს, მაგალითად: სისწრაფე და დაბალი ფასები. ონლაინ ფოკუს-ჯგუფები წინასწარ დაგეგმვას საჭიროებს, მაგრამ მას პრაქტიკულად მომენტალური შედეგები მოაქვს;
- ონლაინ გამოკითხვა მცირე დროში სრულდება (რამდენიმე დღე ან კვირა), როდესაც სხვა ფორმით კვლევებს შესაძლოა თვეები დაჭირდეს;
- ინტერნეტ კვლევები შედარებით დაბალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული;
- ინფორმაციის შეგროვება და ფოკუს ჯგუფებთან კონტაქტი ქვეყნის თუ მსოფლიოს სრული მაშტაბით არის შესაძლებელი;
- ონლაინ კვლევით შეგვიძლია მივწვდეთ ისეთ რესპოდენტებს, რომელთაც სხვა შემთხვევაში ვერ მოვიხელთებთ და რომლებთანაც დაკავშირება საკმაოდ გაძნელდება (მდიდრები, პოპულარული ადამიანები, სპორტსმენები, ექიმები, თანამდებობის პირები და სხვა).

ონლაინ კვლევების მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ იქმნება ცალკეული ორგანიზაციები რომლებიც სპეციალიზირებული არიან უშუალოდ ინტერნეტ კვლევებზე. ასეთია მაგალითად კომპანია Greenfield Online www.greenfield.com

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაზრის კვლევას, სხვადასხვა მიმართულებით უმნიშვნელოვანესი, როლი უკავია ფირმის განვითარებაში, თუმცა აუცილებელია კვლევის პროცესში პრობლემის სწორი განსაზღვრა და კვლევის შესაბამისი მიმართულებებით ჩატარება.

არასწორად განსაზღვრული პრობლემის საფუძველზე ჩატარებული მარკეტინგული კვლევის გამო უამრავი ფირმა აღმოჩენილა არასასურველ ვითარებაში. მაგალითად: კომპანია „Meister Brau"-მ შეიმუშავა დიეტური ლუდის ახალი მარკა „გიტე" რომლის გემო, დეგუსტაციის შედეგებიდან გამომდინარე, მომხმარებლებს მოეწონათ. მაგრამ ბაზარზე მისი გატანა წარუმატებელი აღმოჩნდა. კომპანიამ შემდგომ მცდელობას თავი აარიდა და მარკა კომპანია „Miller"-ს მიყიდა. ამ უკანასკნელმა სცადა პრობლემის გამოვლენა. ჩაატარა უფრო ფართო მარკეტინგული კვლევა, რომლის დროსაც აღმოჩნდა, რომ ლუდის მოყვარულები ცდილობენ მოირგონ „ჭეშმარიტი მამაკაცის" იმიჯი, ხოლო თვითონ იდეა დიეტური ლუდის შესახებ გარკვეულ სისუსტეს ასახავდა. ამიტომ, კომპანიამ

აქცენტი გააკეთა მარკის იმიჯის შეცვლაზე. ამისათვის მან სარეკლამოდ ცნობილი სპორტსმენები მოიწვია. ასეთი მარკეტინგული ღონისძიების შედეგად გაყიდვები მნიშვნელოვნად გაიზარდა[1].

ყველანაირი შრომა, დრო და ფულადი რესურსი უსარგებლოდ იქნება გამოყენებული თუ პრობლემა არასწორად და შეცდომითაა აღქმული. ეს მომენტი საკმაოდ საყურადღებოა ბაზრის კვლევის და მომხმარებელთა ქცევის განსაზღვრის დროს. ამის ნათელი მაგალითია სამედიცინო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიის "Dow corning" -ის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც ემსახურებოდა რეპუტაციის აღსადგენად საჭირო არგუმენტების მოძიებას და მის მიერ წარმოებული საქონლის უვნებლობის შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელებას. თუმცა მან ეს ვერ შეძლო მიუხედავად იმისა, რომ მილიონობით თანხა დახარჯა. მან აწარმოა კვლევები არასწორი მიმართულებით, ეს ყველაფერი კი შემდეგნაირად დაიწყო:

ამერიკული კომპანია Dow corning -ში (მიჩიგანის შტატში) კრიზისი დაიწყო გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც CBS-ის წამყვანმა „კონი ჩანგმა" თავის ტელეგადაცემაში წარმოადგინა ინტერვიუთა სერია, სადაც შეშინებული ქალბატონები საუბრობდნენ Dow corning-ის მიერ წარმოებული სარძევე ჯირკვლის იმპლანტანტების მოხმარებით გამოწვეული აუტოიმუნური დაავადებების, მათ შორის, წითელი, რევმატოიდული ართრიტი და სხვადასხვა ნევროლოგიური დაავადებების შესახებ. ამ ქმედების პასუხად Dow corning-მა შექმნა გარკვეული ვიდეო სარეკლამო მასალა, სადაც იმავე იმპლანტანტების შესახებ პოზიტიური მხარე იქნა გაშუქებული, თუმცა მას უარი უთხრეს რგოლის ტრანსლაციაზე. აღნიშნული ფირმის მიერ წარმოებულ სილიკონის პროდუქციაზე დღითიდღე უარესდებოდა საზოგადოებრივი განწყობა. გადაცემის განმეორებით ჩვენების შემდეგ კრიზისი გაღრმავდა. კონგრესში მოეწყო საჯარო განხილვები, შეიქმნა დაზარალებული ქალბატონებისგან შემდგარი საზოგადოებრივი ჯგუფი. თემა მასმედიაშიც აქტიურად განიხილებოდა. სასამართლომ Dow corning-ს დააკისრა 7 მილიონი დოლარის გადახდა დაზარალებული ქალბატონების სასარგებლოდ, ხოლო 1992 წელს, კვებისა და მედიკამენტების კონტროლის სააგენტომ, (FDA) აკრძალა სარძევე ჯირკვლის იმპლანტანტების წარმოება. მათი გამოყენება დაშვებულ იქნა მხოლოდ მკერდის სიმსივნის მკურნალობის დროს. Dow corning-ი სარჩელებს ვერ აუდიოდა. მთელი ამ ისტორიის განმავლობაში კომპანიამ 30 მილიონზე მეტი დოლარი დახარჯა დამოუკიდებელ, მასშტაბურ და ხანგრძლივ კვლევებზე. იგი ავრცელებდა გარკვეულ მასალას თავისი ნაწარმის შესახებ, ოღონდ წელიწადში ერთხელ, თანაც ძალიან არაეფექტურად. პრესკონფერენციები და საჯარო გამოსვლები კი მის არსენალში მხოლოდ ორი წლის შემდეგ გამოჩნდა. როგორც შემდგომში გაირკვა, კონი ჩანგის საბედისწერო გადაცემაში არ აჩვენეს იმ მომხმარებელთა და ექიმთა ინტერვიუები, რომლებიც პოზიტიურად იყვნენ განწყობილი იმპლანტანტების მიმართ. სწორი მოქმედების შემთხვევაში Dow corning-ს შეეძლო, აეძულებინა ტელეკომპანია, გაეშვა ეთერში აღნიშნული ინტერვიუები. ამით კომპანიის იურისტებს შესაძლებლობა მიეცემოდათ, დაედანაშაულებინათ CBS-ი ფაქტების შეგნებულ დამახინჯებაში. მრავალმილიონიანი დანახარჯების მიუხედავად, კომპანიამ ვერ შეძლო საზოგადოებრიობის დარწმუნება თავის სიმართლეში, თუმცა მედიკოსთა უმრავლესობა კორპორაციის მხარეს იყო და მისი პროდუქციის უსაფრთხოებაში ეჭვი არ ეპარებოდა. მაგრამ ექიმთა მოსაზრებები უყურადღებოდ დარჩა. სილიკონისა და სილიციუმის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია გაკოტრებას ებრძოდა 2004 წლამდე სანამ აშშ-ს სამედიცინო ინსტიტუტის მიერ არ დადასტურდა რომ სილიკონის მკერდის იმპლანტანტებს არ შეუძლია გამოიწვიოს ძუძუს კიბო ან რომელიმე იდენტიფიცირებადი სისტემური დაავადება[2].

დასკვნა

მაშასადამე, ბაზრის მარკეტინგულ კვლევას მნიშვნელოვანი როლი უკავია ამა თუ იმ ფირმის განვითარებაში. ამ დროს აუცილებელია პრობლემის სწორი განსაზღვრა და კვლევის შესაბამისი მიმართულებებით ჩატარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოდუა ნ., ურუტაძე ე., მარკეტინგული კვლევის პრინციპ.-ი, თბ., 2013.-276 გვ.
2. ჯავახიშვილი რ, ოქრუაშვილი ნ, მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2003
3. მახვილაძე კ. - პურის ბაზრის აღწერილობითი მარკეტინგული გამოკვლევა - სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია თბილისი 11-12 მაისი 2004 წ
4. William G. Zikmund, Barry J. Essentials of Marketing Research, 4th Edition. 2010
5. Беленко О. Ф. , Пиханова С. А. Маркетинговые исследования: учебное пособие. –Хабаровск: РИЦ ХГАЭП, 2004. – 160 с
6. http://borbonchia.ge/index.php?newsid=49
7. http://intermedia.ge/
8. http://siaxleebi.info
9. http://www.rogor.ge/article_847_rogor-davgegmot-da-ganvavitarot-axali-produqti.html
10. http://geronia.blogspot.com/2011/01/nike.html
11. http://georgianbrand.ge/
12. http://translate.google.ge/translate?hl=ka&sl=en&u=http://en.wikipedia.org/wiki/Dow_Corning&prev=search

1 თოდუა ნ., ურუტაძე ე., მარკეტინგული კვლევის პრინციპები, თბილისი 2013. გვ77-78

2 http://georgianbrand.ge/ ; http://translate.google.ge/translate?hl=ka&sl=en&u=http://en.wikipedia.org/wiki/Dow_Corning&prev=search

მობილური კომერციის ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში

რატი აბულაძე, ასოც. პროფესორი
ფიქრია წოწკოლაური, ასოც. პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე ციფრულ გარემოში, მობილურმა ტექნოლოგიებმა გამოიწვია მობილური კომერციის ფორმირება, მობილური მთავრობის სისტემის განვითარება, მობილური სისტემების ინტეგრაცია საფინანსო სისტემაში, ბიომეტრული ტექნოლოგიების დანერგვა ბიზნეს და სახელმწიფო სექტორში.

მობილური სექტორი ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს და მნიშვნელოვანი სარგებლით წარმოდგება სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორისათვის.

სტატიაში ნაჩვენებია მობილური კომერციის ეკოსისტემა, გაანალიზებულია მობილური ტექნოლოგიების როლი ბიზნესა და მმართველობაში, შეფასებულია ინტერნეტისა და მობილურის გლობალური ბაზარი.

ნაშრომი აგებულია მობილური ბაზრის კონიუქტურის კვლევასა და ანალიზზე.

კვლევით ნაშრომში წარმოჩენილია ინტერნეტისა და მობილურის კომერციის ბაზრის გამოწვევები და ტენდენციები საქართველოში.

დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია მობილური კომერციის ბაზრის განვითარების საჭირო რეკომენდაციები და წინადადებები.

საკვანძო სიტყვები: მობილური კომერცია, მობილური მთავრობა, მობაილ ბანკი, ინტერნეტ-ბანკი

I. მობილური კომერციის ეკოსისტემა

ელექტრონულ კომერციაში, მობილური მოწყობილობის გამოყენების წილი მნიშვნელოვანად გაიზარდა. 2014 წელს, გლობალური ელექტრონული კომერციის ტრანსაქციების მოცულობაში, მობილური მოწყობილობების წილი 40% იყო, ხოლო განვითარებული ქვეყნების ბაზარზე კი - 50% (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია). ახალი მობილური ანგარიშსწორების სერვისები (მაგალითად Apple Pay), აჩქარებს მობილური ტელეფონების მეშვეობით, ვაჭრობის განხორციელების სამომხმარებლო მზადყოფნას. შესაბამისად იზრდება რეკლამის დამკვეთების ყურადღების ფოკუსირება და მობილური კამპანიის მარკეტინგული ბიუჯეტი[1].

ციფრულ გარემოს ფორმირებამ ხელი შეუწყო ფულის დემატერიალიზაციას (საგადახდო სისტემებში). ბოლო ათი წლის განმავლობაში შემუშავდა 200-ზე მეტი მობილური საგადახდო სისტემა. უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული სისტემები ფაქტობრივად სკრიპტუალური ფულის კომპიუტერიზირებული ფორმაა, რადგან წარმოადგენს ფულის გადარიცხვას ერთი ანგარიშიდან მეორეზე. სწორედ რომ ვთქვათ, კომერციული ბანკებისა და მობილური ოპერატორების მიერ გამოყენებული «ფული», როგორიცაა სადებეტო ბარათები, ელექტრონული საფულეები და ციფრული გადარიცხვები, სინამდვილეში სულაც არ წარმოადგენს ფულს. თავისი ღირებულების შესანარჩუნებლად ნამდვილი ფული არ საჭიროებს გამოსყიდვას: ის თავის ღირებულებას ინარჩუნებს და მიმოქცევაში რჩება, ემიტენტის მიერ მისი გამოსყიდვის აუცილებლობის გარეშე[2].

მობილური ტექნოლოგიების გამოყენება ფართოდაა გავრცელებული ელექტრონულ მართველობით პროცესში, რომლის როლი და ფუნქცია უფრო პროდუქტიული და ეფექტიანია, ვიდრე ინტერნეტ-ტექნოლოგიების.

მობილურ კომერციაში, ახალ ბიზნეს მოდელს წარმოადგენს M2M (Machina-to-Machina) მოწყობილობა-მოწყობილობა. გლობალური კომპანია GSMA-ის ანგარიშით, 2014 წელს იყო 7,1 მლრდ გლობალური SIM-კავშირი და 243 მლნ M2M მოდელის მომხმარებელი.

მობილური ეკოსისტემა არის ციფრული ეკოსისტემის გული. მობილური ეკოსისტემა განიხილება, როგორც ინოვაციისა და ახალი სერვისის განვითარების მამოძრავებელი. მოცემული სფეროებია: ციფრულ კონტენტი, სოციალური ქსელები, ონლაინ კომერცია. მობილური ტექნოლოგიები ქმნის ახალ და რეზონანსულ ეკოსისტემას, მობილური მოწყობილობების, მობილურ ფართზოლოვან კავშირზე დაფუძნებით, სმარტფონებით, პლაშეტებით, და სხვა მოწყობილობითა და ობიექტებით[3].

მობილური ეკოსისტემა გახდა ეკონომიკური პროგრესისა და კეთილდღეობის მამოძრავებელი. მობილური ინდუსტრია გენერირებს მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 3,8%-ს, ხოლო 236 ქვეყნის კონტრიბუცია ეკონომიკურ ფასეულობაში 3 ტრლნ დოლარია. პროგნოზით, 2020 წელს, მობილურის კონტრიბუცია მშპ-ში იქნება 4,2% . შემოსავლები ფორმირდება შემდეგი წყაროს ხარჯზე: მობილური ოპერატორების კონტრიბუცია; მობილური ეკოსისტემის დანარჩენი ნაწილის კონტრიბუცია; ეკონომიკაზე არაპირდაპირი გავლენა; მობილური ტექნოლოგიების გამოყენებით, პროდუქტიულობის ზრდა [3] .

მობილური ტექნოლოგიები ფართოდ გამოიყენება, როგორც ბიზნესში (მობილური კომერციის სახით), ისე სახელმწიფო მმართველობაში (მობილური მთავრობის სახით).

მობილური მთავრობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც მობილური ტექნოლოგიების ათვისება

სამთავრობო საქმიანობის მხარდაჭერისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის. მოცემული ტექნოლოგია სტიმულირება ხელისუფლების მწარმოებლურობის ამაღლებასა და კარგი მმართველობით განამტკიცებს საზოგადოებრივ კეთილდღეობას[4].

მობილური პლატფორმით, აგრეთვე სახელმწიფო მომსახურებისა და დანართების სტრატეგიული გამოყენება, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ მობილური ტელეფონების, პორტატული კომპიუტერების, პერსონალური ციფრული ხელსაწყოსა და ინტერნეტის უსადენო ინფრასტრუქტურის მეშვეობით. მობილურობა წარმოადგენს ტექნოლოგიურ რევოლუციას. მობილური მთავრობა გვევლინება, როგორც ტალღა სახელმწიფო სექტორში ICT-ის გამოყენების პროცესში. მობილური მთავრობა კონცეტრირებულია სახელმწიფო სექტორში სოციალური და ტექნოლოგიური ცვლილებების შესწავლაზე, სოციალური ინფრასტრუქტურას უზრუნველყოფს მობილური დანართებისა და სერვისების მეშვეობით[5].

მობილური მთავრობა წარმოადგენს ელექტრონული მთავრობის ქვესიმრავლეს. თუ ელექტრონული მთავრობა, ICT-ს იყენებს სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციული აქტივობის ამაღლების მიზნით, მობილური მთავრობის შემთხვევაში, ICT-ი შეზღუდულია მობილურ და/ან უმავთულო ტექნოლოგიების, პლანშეტების, PDA (personal digital assistants) ჯიბის პერსონალური კომპიუტერებისაა და უმავთულო ლოკალურ ქსელთან (LAN) წვდომით. მობილურ მთავრობა ინფორმაციასა და სამთავრობო სერვისს თავისუფალს და მისაწვდომს ხდის „ნებისმიერ დროს დროს და ნებისმიერ ადგილას", როგორც მოქალაქეებისათვის, ისე კორპორაციული და სახელმწიფო სექტორისთვის[6].

ელექტრონული მმართველობის ეკოსისტემის შემადგენელი კომპონენტებია: მობილური ტექნოლოგიები, სოციალური ქსელის პლატფორმა, პორტატული მოწყობილობები. აღნიშნული ტექნოლოგიები, ხელს უწყობს: ელექტრონულ მთავრობის ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების რეალიზებას; ელექტრონული კომერციის ზრდას; ინტერნეტ-ბიზნესის სტიმულირებას[5].

ელექტრონულ მმართველობაში, მობილური ტექნოლოგიების გამოყენება შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ქვეყნების მაგალითზე [7]:

სინგაპურში, სახელმწიფო მომსახურეობების ვებ-საიტები მაქსიმალურად ორიენტირებულები არიან მობილური მოწყობილობების ინტეგრაციაზე. სინგაპურში შემუშავებულია მობილური პორტალი mGov@sg, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო სტრუქტურების 40-მდე მობილურ ვებ-საიტს და iPhone Android აპლიკაციებს;

დიდ ბრიტანეთის ეროვნულ ვებ-პორტალს (www.direct.gov.uk) აქვს მობილური აპლიკაციების მხარდაჭერა. ერთ კონკრეტულ მისამართზე თავმოყრილია ინფორმაცია სატრანსპორტო, ჯანმრთელობის, განათლების, დასაქმების, გარემოს დაცვის, ფიზიკური ნაკლოვანებების მქონე პირების, სამართლებრივი, ფინანსური, ახალგაზრდობის და სხვა სოციალური საკითხების შესახებ.

II. ინტერნეტისა და მობილურის გლობალური ბაზარი

გლობალურ სივრცეში, ფინანსურმა სექტორმა მობილური ტელეფონების მომხმარებელთა პოტენციური ფასეულობა გაითავისა, რაც გლობალურ საბანკო და არასაბანკო ტრანსაქციებსა და ინიციატივებში აისახა.

გლობალურ სივრცე წარმოდგება მრავალფეროვანი ონლაინში ფინანსური ოპერაციების მამოძრავებელი ძალებით, რომელთა შორის შეიძლება გამოყოთ შემდეგი: ელექტრონული კომერცია; ინტერნეტ-კომპანიები; ინტერნეტში მიგრირებული ტრადიციული ფინანსური მომსახურება (ინტერნეტ-ბანკინგი; მობაილ ბანკინგი; ელექტრონული ბირჟა; ონლაინ კრედიტები და სესხები; საბროკერო საქმიანობა ინტერნეტით; ინტერნეტ-დაზღვევა და სხვა[8]:

ონლაინ ფინანსურ ბაზარზე, მობილური საბანკო და ანგარიშსწორების ტექნოლოგია განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი ინოვაცია. აღნიშნულ ბაზარზე, მობილური ტექნოლოგია შეიძლება დახასიათდეს გავრცელებისა და განვითარების სწრაფი ზრდით. იგი, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობისათვის დრამატულად ამცირებს მომსახურებით სარგებლობის დანახარჯებს [9].

„მობილური ანგარიშსწორება" შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფინანსური ოპერაციების ნაირსახეობა, ინიცირებული მობილური მოწყობილობის მეშვეობით, რომელიც რეალური დროის რეჟიმში ხორციელდება. აღნიშნული ხელს უწყობს ეკონომიკურ და ფინანსურ აქტივობებს: კომერციასა და გადარიცხვებს/ფულად გადარიცხვებს. აქედან, მობილური გადარიცხვები განვითარებულ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული [10].

ზოგადად, ბიზნეს სექტორისათვის მობილური ანგარიშსწორების ტექნოლოგიები მრავალფეროვანია, მათგან შეიძლება გამოვყოთ: Apple Pay, Flint Mobile, Square , GoPayment, ROAMpay, PayPal Here, Dwolla, Google Wallet, ISIS, PayPass, payWave, LevelUp, mPowa, PayToo, Boku, Payfone, MCX, linked2pay, Innerfence, Breadcrumb, PaySimple, Forte, Spark Pay, PayAnywhere, Paymentech, Phone Swipe, Swipe, Wallet Mobile (Osaifu-Keitai) [11].

მობილურ ბაზარზე, მობილური სერვისი საკვანძო ფაქტორია, რომელმაც ღრმა გავლენა მოახდინა მსოფლიოს ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაზე და წარმოდგა ახალი ტენდენციით. კვლევებით დადასტურდა მობილური სერვისი გავლენა ნაციონალურ, რეგიონულ თუ გლობალურ საბანკო სექტორზე. ასევე, შეიძლება აღინიშნოს შემდეგი ტენდენცია [12] .

ინტერნეტ ბანკინგი ერთ-ერთი პოპულარული სერვისია. საბანკო ოპერაციების 98% ონლაინში ხორციელდება[13]. მსოფლიოში ბანკის მომხმარებლების 50% ინტერნეტ-ბანკინგით სარგებლობს, ხოლო მათი

10% კი მობაილ ბანკინგის აპლიკაციებს მოიხმარს.

დღეს, ანგარიშსწორების ბაზარზე განიხილება 5 ძირითადი მიმართულება: დახურული/წინასწარი გადახდის ბარათები; ვირტუალური ვალუტა; მობილური საფულე; ანგარიშსწორების აგრეგატორები; ფულადი გადარიცხვების/მობილური ქსელური ოპერატორები[14].

განიხილება ფულის ორი ძირითადი ფორმა: დეკრეტული ფული, რომელიც მონეტებისა და ბანკნოტებისგან შედგება, და სკრიპტუალური ფული, რომელიც საბანკო ანგარიშებზეა განთავსებული. დეკრეტულ ფულს არ აქვს ნამდვილი ღირებულება. მისი ღირებულება გამოიხატება მომხმარებელთა ნდობაში ემიტენტის მიმართ (ხელისუფლება ცენტრალური ბანკის მეშვეობით)[2].

ონლაინ ფინანსური ბაზრის განვითარების საწყის ეტაპზე, მობილური ანგარიშსწორების მომსახურების ათვისება მოსალოდნელზე დაბალი იყო. ბოლო წლებში, ტრანსაქციების საერთო მოცულობაში მისი წილი სწრაფად გაიზარდა. შესაბამისად, მობილური ანგარიშწორების ოპერაციების მოცულობამ 171,5 მლრდ დოლარს მიაღწია [15]. პროგნოზით, 2017 წელს, მობილურის ანგარიშსწორების ოპერაციების მოცულობა 617 მლრდ დოლარს მიაღწევს [16]. 2020 წელს, ონლაინ ფინანსური პლატფორმაზე 30 მლრდ ავტონომიურად ჩართული წერტილი იქნება (სამომხმარებლო ელექტრონიკა, ავტომობილები, ელექტრომოწყობილობები, სამედიცინო მოწყობილობები) 8,9 ტრლნ დოლარის ბრუნვით[17].

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, მომხმარებელთა აღქმა და მოლოდინი უფრო მაღალია მობაილ ბანკის მომსახურებისადმი, ვიდრე სხვა ტექნოლოგიებისადმი. რამდენადაც მობაილ ბანკინგის გამოყენება დესკტოპის ბანკინგის ხარჯზე იზრდება, უმრავლესი ბანკების მობაილ ბანკინგის აპლიკაციები, ძირითადად შემდეგი მოწყობილობებისათვის თავსებადია: iPhone, Android, Blackberry[18].

ფაქტია, რომ ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მობილური სექტორი სწრაფად განვითარებადი სფეროა. მობილური ტექნოლოგიები გავლენას ახდენს, როგორც საბანკო საქმეზე ისე საგადასახადო ინდუსტრიაზე. პროგნოზით, 2015 წელს გლობალური მობილური ანგარიშსწორების ბაზარზე, 900 მლნ ადამიანი 1 ტრლნ დოლარის ტრანსაქციას განახორციელებს[19].

მობილური მომსახურების ინდუსტრია რომლის განვითარება 2001 წლიდან დაიწყო, დღეს 84 ქვეყანაში 219 სერვისითაა წარმოდგენილი (2013) [3]. თანამედროვე მსოფლიოში, 590 მლნ მობაილ საბანკო მომსახურების მომხმარებელია, რომელთა რაოდენობა პროგნოზით 2017 წელს 1 მლრდ-ს მიაღწევს[ ]. ბანკების მიერ ტექნოლოგიებსა და მობაილ ბანკინგის განვითარებაზე გაწეული ხარჯები 118 მლრდ-ს აღწევს[8].

გლობალური კომპანია Capgemini-ის ანგარიშით, მობილური ანგარიშსწორების რაოდენობა 29,2 მლრდ ტრანსაქციას შეადგენს. გლობალური კომპანია MasterCard-ის კვლევის ანგარიში ცხადყოფს მობილური ინდუსტრიის მზარდ ტენდენციას მსოფლიოში, სადაც მობილური ანგარიშსწორების მზადყოფნის ინდექსით ლიდერობს სინგაპური (45,6), სამეულში შედის კანადა (42,0) და აშშ (41,5), ხუთეულს აბოლოებს სამხრეთ კორეა (39,7), იაპონიას უკავია მე-6 ადგილი (39,6), ათეულს აბოლოებს დიდი ბრიტანეთი (37,5) და ჩინეთი (36,5) (2012) [21].

ITU-ს Broadband Commission-ის კვლევის ანგარიშით, მობილურის აქტიური ხელმომწერთა რაოდენობით ლიდერობს სინგაპური (135,1), მას ჩამორჩება ფინეთი (123,5), იაპონია (120,5) და ავსტრალია (110,5)[22].

მიმდინარე პერიოდში, აშშ-ის ფინანსური ინსტიტუტების ტოპ 100-ში, 81 ბანკი ეწევა მობაილ ბანკინგს[8]. ბანკებში გავრცელებული მობაილ ბანკინგის მრავალფეროვანი სერვისებიდან შეიძლება გამოვყოთ: გაფრთხილება ანგარიშისწო¬რების, სისტემის უსაფრთხოების შესახებ; შეტყობინება ბალანსის, განახლებისა და ისტორიის შესახებ; მობილურის მეშვეობით კლიენტის მომსახურება; ინფორმირება ფილიალებისა და ბანკომატების ადგილმდებარეობის შესახებ; ონლაინ გადახდების განხორციელება მობაილ კლიენტ აპლიკაციებით; ფულადი სახსრების გადარიცხვა; ტრანსაქციის შემოწმება; მობილური კომერცია, მობაილ გადახდები, უკონტაქტო ანგარიშსწორება NFC-ით; მობილური კუპონი; ლოკაციაზე დაფუძნებული სერვისი; მობაილ აპლიკაციებით საკრედიტო და სადებეტო ბარათების ბლოკირება, დოკუმენტების შენახვა (MMA).

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მთლიან შიდა პროდუქტში მობილური ინდუსტრიის წილი 3%-ია (2013), დასაქმებულთა რაოდენობა 10,5 მლნ კაცი. პროგნოზით 2020 წელს მისი წილი მსოფლიოს მშპ-ში 5,1% იქნება, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 15,4 მლნ-ს მიაღწევს[13].

ჯამში, მობილური ტექნოლოგიები აღიარებულია ეკონომიკური რესურსის სახით. მისი სწრაფი გავრცელების ხელშეწყობას ქვეყნის ეკონომიკაში ისეთივე წვლილი შეაქვს, როგორც 1 %-იან ეკონომიკურ ზრდას (United Nations, 2012).

III. ინტერნეტისა და მობილურის ბაზარი საქართველოში

საქართველოს მოსახლეობაში მობილურ კავშირთან წვდომა უფრო მაღალია, ვიდრე ინტერნეტის. მობილურის აბონენტი 100 %-ზე მეტია, ხოლო ინტერნეტის აბონენტი მხოლოდ 46%-ია. აღნიშნული აიხსნება მობილურის აპარატების მისაწვდომი ფასებით, პორტატულობით, მარტივი გამოყენებითა და ტექნიკური უნარ-ჩვევებით.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის ფონზე (გაიზარდა 2,1 მლნ-მდე), მაღალი ზრდის ტემპი აჩვენა მობილური აბონენტების ბაზარმაც, რომელიც 2010-

2014 წლებში 3,98 მლნ-დან 5,7 მლნ აბონენტამდე გაიზარდა. მობილური აბონენტების პარალელურად გაიზარდა მობილური ინტერნეტ-მომხმარებელთა სეგმენტიც, სადაც დაფიქსირდა 31%იანი ზრდა (2013წ). ასევე, გაიზარდა მობილური ბაზრის საცალო შემოსავლები და შეადგინა 453.4 მლნ ლარი[23].

ITU-ს კვლევის ანგარიშით საქართველოს მობილურ ბაზარზე, მობილურის აქტიური ხელმომწერთა რაოდენობა აჩვენებს, რომ ყოველ 100 კაცზე მოდის 16,4 კაცი. აქტიურობის მხრივ, საქართველოს უსწრებს რუსეთი (60,1), აზერბაიჯანი (43,9) და სომხეთი (31)[18].

არსებითია, რომ საქართველოში ინტერნეტ-ბანკინგისა და მობაილ ბანკინგის ბაზრის კვლევების გამოცდილება მცირეა. არ მოიპოვება ინფორმაცია მობაილ ბანკინგის ბაზრის გამოწვევებსა და განვითარების პერსპექტივებზე, ინფორმაციული დეფიციტია მობაილ ბანკინგის მომხმარებელთა ქცევებზე, შეხედულებებზე, უპირატესობებსა და მოთხოვნებზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პრობლემის აქტუალობას გვიჩვენებს ფრაგმენტული კვლევები. კერძოდ: საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშის თანახმად, ტრანზაქციების საერთო რაოდენობაში ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციის წილად მოდის 24,8%, მას უსწრებს საგადახდო ბარათი - 49,8%-ით, შემდეგ მოდის ქაღალდით საკრედიტო საგადასახადო დავალება - 16,6%-ით, ტელეფონი/ მობილური ბანკინგი 6,1%-ით, სადებეტო დავალება - 1,9%-ით, ხოლო სხვა ელექტრონული საშუალ¬ებების წილი უმნიშვნელოა და შეადგენს 0,8%-ს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფულად გამოსახულებაში, ინტერნეტ-ბანკინგით ინიცირებული უნაღდო ოპერაციების წილი მთლიან მოცულობაში 61%-ია[24].

კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს ინტერნეტ-მომხმარებლის (მათ შორის მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა) სეგმენტი შედგება ყველა სოციალური ფენის, განათლების, სოციალური კლასის პირებისაგან, რომელთა დიდი ნაწილი ახალგაზრდა და საქმიანი აუდიტორიაა.

საბანკო სექტორში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვამ გამოიწვია მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა, ხელი შეუწყო ინოვაციური მომსახურებების დანერგვას, აამაღლა ბანკის სანდოობა და სარგებელი. დისტანციური მომსახურების საშუალებებით მოსარგებლე კლიენტების რაოდენობამ 750 ათას გადააჭარბა (2012). ასევე, ცალკეული კვლევების თანახმად, ინტერნეტ-ბანკინგის მომხმარებელთა ზრდის ტემპი საშუალოდ 36%-ია.

საქართველოში, ელექტრონული ბაზრის მარკეტინგული კვლევის ფარგლებში ელექტრონული საგადასახადო ინსტრუმენტების შესწავლამ ცხადყო, რომ ინტერნეტ-მომხმარებელთა სეგმენტზე 23,5% ამჯობინებს ინტერნეტ-ბანკინგით სარგებლობას, მომხმარებელთა 27,3% უპირატესობას ანიჭებს ნაღდ ანგარიშსწორებას, გამოკითხულთა 11,9% ირჩევს პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორებას, რესპონდენთა 10,1% მიმართავს ტერმინალს, ხოლო 4,8% უპირატესობას ანგარიშსწორების სხვა ფორმებს ანიჭებს.

საქართველოში, სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ოპერირებს 4 მობილური ოპერატორი: მაგთიკომი 1865662 აბონენტით; ჯეოსელი 1.639067 აბონენტით; მობიტელი 1.123.317 აბონენტით და სილქნეტი 29584 აბონენტით. შესაბამისად, მობილური აბონენტების რაოდენობის მიხედვით ბაზარზე ლიდერობს მაგთი 42,8%-ით, მეორე ადგილს იკავებს ჯეოსელი 33,9%-ით, მობიტელს უკავია ბაზრის 22,6%, ხოლო სილქნეტის წილი 0,2%-ია (2013).

მობილური ოპერატორების საცალო შემოსავლების სტრუქტურაში (2013 წელს 453,4 მლნ ლარი შეადგინა), მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილია ხმოვანი მომსახურება (74,0%), მას ჩამორჩება შმშ სერვისი (9,3%), ინტერნეტი (4,0%), ხოლო მომსახურების დანარჩენი სახეების (მობილური ტელევიზია, ვიდეოზარი, MMS, როუმინგული მომსახურება, ქსელში ჩართვის საფასური და სხვა) წილი ჯამში 12,7%-ს შეადგენს[19].

საქართველოს საბანკო სექტორში აქტიურად მიდის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და სრულყოფის სამუშაოები. მომსახურების პროცედურების სიმარტივის, სისწრაფისა და უსაფრთხოებისათვის ფართოდ ინერგება ელექტრონული ხელმოწერის სისტემა, კომერციული ბანკებიდან ანგარიშგების მიღების სისტემა. კლიენტების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ხორციელდა დისტანციური საბანკო მომსახურების პროგრამის დანერგვისათვის საჭირო ტექნიკური პირობების შემუშავება, მათ შორის შეიძლება აღვნიშნოთ მომხმარებელთა საოპერაციო ხარჯების ეფექტურობის ზრდა, საოპერაციო ხარჯების შემცირება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და სხვა[25].

2014 წლის დასაწყისში, საქართველოში, მობილურის ხელმომწერთა რაოდენობის დონემ მიაღწია 120%-ს, ხოლო მობილურის ბაზარმა აჩვენა მაღალი ზრდის ტენდენცია: 40%-ით გაიზარდა 3G-ს აბონენტთა რაოდენობა[26]. დღეს, მობილური კომპანიები მომხმარებელს აწვდიან 2G/2.5G, 3G/ 3.5G მომსახურებას[19]. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისსა და რეგიონს შორის უთანასწორობაა მაღალსიჩქარიანი გადაცემის შესაძლებლობის მქონე მობილური ტექნოლოგიების გავრცელებასა და მისაწვდომობაში.

ამასთან, ბოლო წლებში ოპერატორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ 4G მონაცემთა მაღალსიჩქარიანი გადაცემის შესაძლებლობის მქონე მობილური ტექნოლოგიების (LTE, Mobile WIMAX) განვითარებასა და ფართოდ დანერგვას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დისტანციური საბანკო მომსახურების მოდელები პირდაპირი ფორმით იმპორტირებული არ ყოფილა სხვა ქვეყნიდან, რაც მეტყველებს გლობალური ტენდენციების შესაბამისად საბანკო სისტემის განვითარებაზე,

ქვეყნის ფინანსური ინფრასტრუქტურის ჯანსაღ რეგულირებასა და მომხმარებლების საჭირობებზე ფოკუსირებას.

კვლევები ადასტურებს, რომ ქართველ მომხმარებელს მრავალფეროვანი მოთხოვნების ფონზე (საპროცენტო განაკვეთის შემცირება, კრედიტის ხელმისაწვდომობა, სახელშეკრულებო ურთიერთოებების საკითხი), ქართული ბანკების ინტერნეტ-მომსახურების ხარისხთან და პროცესთან განსაკუთრებული პრეტენზიები არ გააჩნია.

შეჯამება

არსებითია აღინიშნოს, რომ საქართველოში, კორპორაციული სექტორი ფოკუსირებული არ არის მობილური ტექნოლოგიების ინდუს¬ტრიის პოტენციალზე, რომელთა შორისაა: მობილური აპლიკაციების გამოყენება ბიზნესში, მობილური ანგარიშსწორების სერვისისა და მობილური კომერციის პოტენციალის ათვისება.

განვითარებული ქვეყნების მსგავსად, საქართველოში ტექნოლოგიების მომხმარებელთა სქესასაკობრივი სტრუქტურა მრავალფეროვანია. მათი უმრავლესობა დიდ დროს უთმობს მობილური მოწყობილობის მოხმარებას. თუმცა, მობილური კომერციის სუსტი განვითარების, მობილური ინოვაციების, მობილური აპლიკაციებისა და სერვისის სიმცირის გამო მოქალაქეებისათვის იგი მხოლოდ კომუნიკაციისა და გართობის საშუალებას წარმოადგენს.

დაბოლოს, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

მობილური ტექნოლოგიები და სერვისები განხილული უნდა იქნეს, როგორც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანი ნაწილი;

მაღალი გამტარუნარიანობის ქსელი უნდა გახდეს საყოველთაო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;

მომავალში, სულ უფრო მეტ მოქალაქეს მობილური მოწყობილობით ინტერნეტ-წვდომის საშუალება ექნება, ვიდრე კომპიუტერით. ამიტომ, ათვისებული უნდა იქნას "მობილური კომერციის" დანართების პოტენციალი [27];

დისტანციური საბანკო სექტორის განვითარების კვალდაკვალ საჭიროა სამომხმარებლო სექტორის აქტივობის ზრდის ხელშემწყობი პროგრამების გატარება;

ქვეყანაში უნდა განვითარდეს მობილური ბანკინგი, მობილური მთავრობა და მობილური კომერცია;

საბანკო სივრცეში უნდა გამკაცრდეს პირა¬დი ინფორმაციით სარგებლობის წესები, მოხდეს ისეთი საკითხების სამართლებრივი რეგულირება, როგორიცაა: მობილური სმს რეკლამირება, სპამი, პროგრამების ინფიცირება;

საჭიროა შეიქმნას სამომხმარებლო ხელშეკრულებების რევიზიისა და მონიტორინგის ორგანიზაციები, რომელიც მომხმარებლის ინტერესების ლობირებას განახორციელებს.

მსოფლიოში, 2020 წლისათვის შესაძლებელი იქნება მეხუთე თაობის (5G) უსადენო კავშირის განხორციელება, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი ტექნოლოგიები (რონეს, რობოტს, აეროსტატები, თანამგზავრები დაბალ სიმაღლეზე)[ ]. ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, კერძო და სახელმწიფო სექტორი მზად უნდა იყოს მომავალ ტექნოლოგიურ პროცესებზე ორიენტირებისათვის;

მობილური ბაზრისთვის საჭიროა განვითარების სტრატეგია, პოლიტიკა და რეგულაციები, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციებს, კონკურენციასა და ინოვაციას. შესაბამისად, მობილური სექტორი და ციფრული ეკონომიკა გაფართოვდება, გაიზრდება, მოიტანს ეკონომიკურ განვითარებასა და ახალ სამუშაო ადგილებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. CRITEO. eCommerce Industry Outlook 2015. JANUARY 2015. http://www.criteo.com/media/1432/criteo-ecommerce-industry-outlook-2015.pdf
2. The Roberto Giori Company Ltd . ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებული ციფრული ფულის გამოყენება კანონიერი გადახდის საშუალების სახით. Giori Digital Money. file:///C:/Users/USER/Downloads/Towards_legal_digital_money_Georgian.pdf
3. GSMA, The Mobile Economy 2015. http://www.gsmamobileeconomy.com/GSMA_Global_Mobile_Economy_Report_2015.pdf
4. http://www.oecd.org/gov/public-innovation/49300932.pdf
5. აბულაძე რ. ელექტრონული მთავრობა (ხელისუფლება, ბიზნესი, საზოგადოება, ტექნოლოგია). სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2013.
6. http://www.egov4dev.org/mgovernment/
7. ზაუტაშვილი დ. ელექტრონული მთავრობა. გამომცემლობა" აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ქუთაისი, 2015. გვ.202
8. Takeshi J.. Internet Finance Growing Rapidly in China. Nomura Research Institute, Ltd. 10 march, 2014. lakyara vol.189 http://www.nri.com/~/medi¬a/PDF/global/opinion/lakyara/2014/lkr2014189.pdf
9. International Bank for Reconstruction and Development / The World Bank. GLOBAL FINANCIAL DEVELOPMENT REPORT 2014. Financial Inclusion. Washington , 2014. https://openknowledge.worl-dbank.org/bitstream/handle/10986/16238/9780821399859.pdf?sequence=4
10. Flood D., West T ., Wheadon D., Trends in Mobile Payments in Developing and Advanced Economies. Reserve bank of Australia. Bulletin. march, 2013.
11. http://www.businessnewsdaily.com/4457-mobile-

payment-solutions.html
12. KPMG. Mobile Banking 2015 . Global Trends and their Impact on Banks July 2015 . https://www.kpmg.com/UK/en/IssuesAndInsights/ArticlesPublications/Documents/PDF/mobile-banking-report-2015.pdf
13. Internation Telecommunication Union. Measuring the Information Society. Geneva Switzerland, 2013. http://www.itu.int/en/ITU-D/Statistics/Do¬cuments/publications/mis2013/MIS2013_wi¬thout_Annex_4.pdf
14. Capgemini, Financial Services Analysis, 2014. www.capgemini.com
15. http://www.cio.com.au/article/556378/mobile-paymen¬ts-¬grow-60-8-by-2015-capgemini/
16. https://blog.compete.com/2013/06/12/mobile-banking-today-highlights-from-mcs2013/
17. IDC, TOP 10 PREDICTIONS. IDC Predictions 2014: Battles for Dominance- and Survival - on the 3rd Platform. December 2013. IDC #244606. www.idc.com
18. http://thefinancialbrand.com/40109/best-mobile-banking/
19. "Mobile Payments: Three Winning Strategies for Banks," Swift White Paper, 2012.
20. http://www.factbrowser.com/facts/9017/
21. www.mastercard.com
22. ITU, Broadband Commission. The State of Broadband 2014: Broadband for all. A Report by the Broadband Commission . September , 2014.
23. www.Gncc.ge
24. აბულაძე რ. ტრანზაქციების საერთო რაოდენობაში მობილურ ბანკინგზე მხოლოდ 6.1% მოდის. ონლაინ ჟურნალი კომერსანტი. 22.11.2014. http://commersant.ge
25. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2013. www.nbg.gov.ge/uploads/public¬ations/annualreport/2013/annual_2013_11_07_14.pdf
26. http://www.budde.com.au/
27. Deloitte. Global Mobile Consumer Survey 2013. Addicted to Connectivity: the Dutch Mobile Consumer Perspective. Netherlands. November 2013. www.deloitte.nl
28. http://www.computerworld.com/article/2873532/¬big-visions-for-5g-before-the-fcc.html?utm_content=buffer-4e863&utm_medium=social&utm_source=facebook.com&utm_campaign=buffer

ინფორმაციული უსაფრთხოება (მიმოხილვა)

კახაბერ ჟამურაშვილი, *დოქტორანტი*

რეზიუმე

ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობა მის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო აქტუალური გახდა, სწორედ ამიტომ კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს მისი ეფექტური და უსაფრთხო გამოყენება, სტანდატების ჩამოყალიბება მისი მნიშვნელობისა და გავრცელების სფეროს განსაზღვრა, სტატიაში განხილული საკითხები ხელს უწყობს ინფორმაციული უსაფრთხოების სამი ძირითადი კომპონენტის უზრუნველყოფას როგორიც არის ინფორმაციის: მთლიანობა, კონფიდენციალურობა და ხელმისაწვდომობა.

Information security review

Kakhaber Jamurashvili

Summary

Information technology for use in its development with even more urgency, the amitimom critical importance of effective and safe to use, standards in light of its importance and scope define discussed issues contributes to information security are three main components to support such as information: integrity, confidentiality and availability.

* * * * *

ინფორმაციული უსაფრთხოების მიზანია ყველა სახის და წარმომავლობის ინფორმაციის დაცვა. ეს ინფორმაცია შეიძლება ინახებოდეს როგორც ქაღალდზე, ასევე კომპიუტერულ სისტემებში, ან თუნდაც მომხმარებელთა გონებაში. IT უსაფრთხოება დაკავებულია პირველ რიგში ელექტრონულად შენახული ინფორმაციის უსაფრთხოებაზე და მის დამუშავებაზე. ინფორმაციული უსაფრთხოების კლასიკური საბაზო ფასეულობებია კონფიდენციალობა, მთლიანობა და წვდომა. „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილება“ ინფორმაციული უსაფრთხოების სხვა გენერირებული ზოგადი ტერმინებია, მაგალითად, აუთენთიციტეტი, პასუხისმგებლობა, საიმედოობა და უმტყუნობა. ინფორმაციის უსაფრთხოებას ემუქრება არა მხოლოდ განზრახ ქმედებები (მაგალითად, კომპიუტერული ვირუსები, ინფორმაციის წართმევა/მოსმენა, კომპიუტერის ქურდობა). შემდეგი მაგალითები იძლევა ამის ილუსტრაციას: დაუძლეველი ძალის მიერ (როგორიცაა ცეცხლი, წყალი, ქარიშხალი, მიწისძვრა) მედია–მატარებლები და IT-სისტემები დაზარალებულია ან ჩაშლილია ხელმისაწვდომობა მონაცემთა ცენტრში. დოკუმენტები, Iთ-სისტემები ან სამსახურები აღარაა სურვილისამებრ ხელმისაწვდომები; მას შემდეგ, რაც მოხდა წარუმატებელი პროგრამული განახლება, აპლიკაციები აღარ ფუნქციონირებს ან მონაცემები შეუმჩნევლად შეიცვალა; მნიშვნელოვანი ბიზნეს პროცესი ჭიანურდება, რადგან ერთადერთი ადამიანი, ვინც იცნობს პროგრამებს, ავადაა; კონფიდენციალური ინფორმაცია შემთხვევით გადაეცა არასანქცირებული პირს, რადგან დოკუმენტები ან ფაილი არ იყო მონიშნული, როგორც „საიდუმლო”. „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილება“ ელექტრონული დამუშავება გავრცელებულია ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, აღარ აქვს მნიშვნელობა განსხვავებას, ინფორმაცია მუშავდება ინფორმაციული ტექნოლოგით, საკომუნიკაციო ტექნოლოგიით თუ ქაღალდზე. ტერმინი საინფორმაციო უსაფრთხოება, ნაცვლად IT უსაფრთხოებისა, ყოვლისმომცველია და ამიტომ უფრო შესაფერისი. თუმცა, ლიტერატურაში გამოიყენება ძირითადად ტერმინი „IT უსაფრთხოება” (რადგან ეს მოკლეა). წინამდებარე ნაშრომშიც იქნება გამოყენებული ეს ტერმინი, ან შესაბამისი ტერმინი „IT საბაზო დაცვა“ [1].

ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტების მოკლე მიმოხილვა ინფორმაციული უსაფრთხოების სფერში სხვადასხვა სტანდარტები შემუშავდა, რომლებშიც ნაწილობრივ სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფები ან თემატური სფეროები არის წინა პლანზე წამოწეული. უსაფრთხოების სტანდარტების გამოყენება ბიზნესში ან ხელისუფლებაში არა მხოლოდ აუმჯობესებს უსაფრთხოების დონეს, ის ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა დაწესებულებებს შორის კოორდინაციას, რომლებშიც უსაფრთხოების ზომები უნდა განხორციელდეს ნებისმიერი ფორმით. ქვემოთ, შემდეგი მიმოხილვა გვიჩვენებს ყველაზე მნიშვნელოვანი სტანდარტების მიმართულებებს.

ISO–სტანდარტები ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის ISO და IEC საერთაშორისო ნორმების ორგანიზაციებში გადწყდა, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტები გაერთიანებულიყო 2700x სერიაში, რომელიც მუდმივად იზრდება. მნიშვნელოვანი სტანდარტებია: „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საერთაშორისო

გამოცდილება“ ISO 2700x ეს სტანდარტი იძლევა ზოგად მიმოხილვას ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემების (ISMS) და მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ISO 2700 x –ოჯახის სხვადასხვა სტანდარტებს შორის. აქვე გადმოცემულია ISMS–ის ძირითადი პრინციპები, კონცეფციები, ტერმინები და განსაზღვრებანი. ISO 27001 საინფორმაციო ტექნოლოგიების სირთულისა და სერთიფიკატებზე მოთხოვნების გამო მრავალი ინსტრუქცია, სტანდარტი და ინფორმაციული უსაფრთხოების ეროვნული სტანდარტები წარმოიშვა ბოლო წლებში. სტანდარტი ISO 27001 – “ინფორმაციული ტექნოლოგია - უსაფრთხოების ტექნიკა - ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის მოთხოვნების სპეციფიკაცია” არის პირველი საერთაშორისო სტანდარტი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვაში, რომელიც ასევე სერტიფიცირების საშუალებას იძლევა. ISO 27001 იძლევა 10 გვერდიან ზოგად რეკომენდაციებს, მათ შორის შესავლის (დანერგვის), ექსპლუატაციის და დოკუმენტირებული ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემის სრულყოფისთვის, ასევე რისკების გათვალისწინებით. ნორმატიულ დანართში მოხსენიებულია კონტროლი ISO / IEC 27002 –დან. თუმცა, მკითხველი არ იღებს დახმარებას პრაქტიკული განხორციელებისთვის. ISO 27002 ISO 27002–ის (ყოფილი ISO 17799:2005) “ინფორმაციული ტექნოლოგიები - ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტის საპროცესო კოდექსი” მიზანია ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტის ჩარჩოს განსაზღვრა. ფუნქციონირებადი უსაფრთხოების მენეჯმენტის ასაგებად და ორგანიზაციაში მიმაგრებას. აუცილებელი უსაფრთხოების ზომები მოკლედაა აღწერილი ISO-სტანდარტის ISO/IEC 27002–ში, დაახლოებით 100 გვერდზე. რეკომენდაციები, რომელიც განკუთვნილია მართვის დონისთვის და, შესაბამისად, შეიცავს მცირე კონკრეტულ ტექნიკურ შენიშვნებს. უსაფრთხოებისის რეკომენდაციების რეალიზაცია არის ერთ–ერთი გზა მრავალი შესაძლებლობიდან, რომლებიც აკმაყოფილებსის რეკომენდაციების რეალიზაცია არის ერთ–ერთი გზა მრავალი შესაძლებლობიდან, რომლებიც აკმაყოფილებს ISO 27002–ის რეკომენდაციების რეალიზაცია არის ერთ–ერთი გზა მრავალი შესაძლებლობიდან, რომლებიც აკმაყოფილებს ISO სტანდარტის 27001–ის მოთხოვნებს. შენიშვნა: ISO 17799 სტანდარტი 2007 წლის დასაწყისში გადაეცა არსებითი ცვლილებების გარეშე ISO 27002–ს, იმისათვის, რომ ხაზი გაესვათ მის მიკუთვნებაზე ISO 2700x სერიისთვის. ISO 27005 ეს ISO–სტანდარტი „ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მენეჯმენტი“ შეიცავს ძრითად რეკომენდაციებს რისკების მართვის შესახებ ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის. მათ შორის იგი მხარს უჭერს ISO/IEC 27001 სტანდარტის მოთხოვნების რეალიზაციას. ოღონდ აქ არავითარი მეთოდი რისკების მართვისთვის არაა მოცემული. ISO/IEC 27005 ცვლის ISO 13335-2 სტანდარტს. ეს სტანდარტი ISO 13335-2 „უსაფრთხოების ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიები, ნაწ.2: რისკების მენეჯმენტის მეთოდები ინფორმაციულ უსაფრთხოებაში“, იძლეოდა ინსტრუქციებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტისთვის. ISO 27006 ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემებში“, განსაზღვრავს აკრედიტაციის მოთხოვნებს სერტიფიცირების ორგანოებისთვის ISMS–ში და განიხილება ამ სერტიფიცირების პროცესების თავისებურებანი. ISO-2700x- რიგის სხვა სტანდარტები ISO 2700x სტანდარტული სერია სავარაუდოდ გრძელვადიან პერსპექტივაში ISO სტანდარტების 27000-27019 27030-27044 სახით დაკომპლექტდება. ამ სერიის ყველა სტანდარტი მოიცავს უსაფრთხოების მართვის სხვადასხვა ასპექტებს და ეფუძნება ISO 27001–მოთხოვნებს. სხვა სტანდარტების მიზანია გააუმჯობესოს გაგება და პრაქტიკული გამოყენების ISO 27001–ის. ეს შეთანხმებაა, მაგალითად, ISO 27001– ის პრაქტიკული განხორციელებისთვის, ანუ რისკების შეფასება ან რისკების მართვის მეთოდებია [2-3].

ბრიტანეთის სტანდარტიზაციის ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული სტანდარტები ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის: თემა IS მენეჯმენტი 100-1 ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემები (ISMS) ეს სტანდარტი განსაზღვრავს ISMS–ის ზოგად მოთხოვნებს. ეს არის სრულად თავსებადი ISO სტანდარტის 27001 და კვლავაც გაითვალისწინებს რეკომენდაციებს ISO სტანდარტების 27000 და 27002. იგი სთავაზობს მკითხველს ადვილად გასაგებ და სისტემატურ ინსტრუქციებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეთოდის საშუალებით სურთ მათ მოთხოვნების განახორციელება. BSI წარმოადგენს ISO სტანდარტის შინაარსს საკუთარ BSI სტანდარტში, გარკვეული საკითხების უფრო დეტალურად აღსაწერად, და ამით შინაარსის დიდაქტიკური წარმოდგენის საშუალება მიეცეს. გარდა ამისა, სტრუქტურა იყო ისე დამუშავებული, რომ იგი თავსებადია IT-საბაზო დაცვის მეთოდებთან. უნიფიცირებული სათაურების საშუალებით აღნიშნულ დოკუმენტებში მკითხველისთვის ძალიან მარტივია ორიენტაირება. 100-2 IT- საბაზო დაცვა–მეთოდიკა IT–საბაზო–დაცვა–მეთოდიკა აღწერს ეტაპობრივად, ნაბიჯ– ნაბიჯ, თუ როგორ უნდა აიგოს ინფორმაციული უსაფრთხოების „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილება“ მენეჯმენტის სისტემა პრაქტიკულად და როგორ მოხდეს მისი ექსპლუატაცია. ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტის ამოცანები და ორგანიზაციული სტრუქტურის აგება ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი თემებია. IT–საბაზო–დაცვა–მეთოდიკა დეტალურად განიხილავს იმას, თუ როგორ შეიძლება უსაფრთხოების კონცეფ-

ციის (პოლიტიკის) დამუშავება პრაქტიკაში, როგორ აირჩევა შესაბამისი უსაფრთხოების ზომები და რა შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოების კონცეფციის რეალიზაციად. ასევე საკითხი, როგორ ხდება ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდაჭერა და სრულყოფა ექსპლუატაციის პირობებში, არის ამომწურავად პასუხგაცემული. IT–საბაზო-დაცვა BSI-Standard 100-2 სტანდარტთან კავშირში, ახდენს აქამდე დასახელებული 27000, 27001 და 27002 ISO-სტანდარტების ძალზე ზოგადად მიღებული მოთხოვნების ინტერპრეტირებას და ეხმარება მომხმარებლებს პრაქტიკაში რეალიზაციის დროს, მრავალი შენიშვნით, საცნობარო ინფორმაციით და მაგალითით. IT–საბაზო–დაცვის–კატალოგები ხსნიან არა მხოლოდ იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს, არამედ იძლევა ძალიან კონკრეტულ შენიშვნას, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს რეალიზაცია (ასევე ტექნიკურ დონეზე). პროცესი IT–საბაზო–დაცვის მიხედვით არის აპრობირებული და ეფექტური შესაძლებლობა, ზემოჩამოთვლილ ISO-სტანდარტის ყველა მოთხოვნის შესასრულებლად. 100-3 რისკების ანალიზი IT–საბაზო–დაცვის საფუძველზე BSI–მ დაამუშავა რისკების ანალიზის მეთოდიკა IT–საბაზო– დაცვის საფუძველზე. მის გამოყენებას აზრი აქვს მაშინ, როცა კომპანიები ან სახელმწიფო დაწესებულებები მუშაობენ წარმატებით IT–საბაზო–დაცვასთან და უჩნდებათ სურვილი დამატებითი უსაფრთხოების ანალიზის ჩასატარებლად, „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილება“ 100-4 საგანგებო სიტუაციათა მენეჯმენტი BSI Standard 100-4 სტანდარტში ახსნილია სახელმწიფო დაწესებულებათა ან კომპანიების მასშტაბებში საგანგებო სიტუაციათა მენეჯმენტის აგების და ექსპლუატაციის მეთოდიკა. აქ აღწერილი მეთოდიკა ეფუძნება BSI-Standard 100-2 სტანდარტის IT–საბაზო–დაცვის–მეთოდიკას და აფართოვებს მას სასარგებლოდ. ISO 27001 სერტიფიცირება IT–საბაზო–დაცვის საფუძველზე BSI ახდენს საინფორმაციო ქსელების სერტიფიცირებას, ანუ ინფრასტრუქტურული, ორგანიზაციული, პერსონალური და ტექნიკური კომპონენტების ურთიერთმოქმედებას, რომლებიც გამოიყენება ბიზნეს–პროცესების და ტაქნიკური დავალებების სარეალიზაციოდ. BSI სერტიფიცირება მოიცავს როგორც გამოცდას ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემებში, ასევე გამოცდას კონკრეტულ უსაფრთხოებიზ ზომებში IT–საბაზო– დაცვის საფუძველზე. BSI სერტიფიცირება ამასთანავე ყოველთვის მოიცავს ოფიციალურ ISO–სერტიფიცირებას ISO 27001–ის მიხედვით, მაგრამ ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე უბრალოდ ISO–სერტიფიცირება, დამატებითი კვლევით–ტექნიკური ასპექტების გამო. უსაფრთხოების მენეჯმენტის გამოცდის ძირითადი მოთხოვნები აუდიტის ჩარჩოებში (კონტექსტში) აღმოცენდება უსაფრთხოების მენეჯმენტის საბაზო დაცვის ბლოკის (B 1.0) ღონისძიებებიდან. ამ ბლოკის ეს ზომები ისეა დაწერილი, რომ ISMS-ის BSI–სტანდარტის მნიშვნელოვანი მოთხოვნები სწრაფად იყოს იდენტიფიცირებული განსაზღრული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://en.wikipedia.org/wiki/BSI_GrouZertifizierung nach ISO 27001 auf der Basis von IT-Grundschutz - Prüfschema für ISO 27001-Audits, BSI, Version
2. www.bsi.bund.de/gshb/zert
3. COBIT Overview ISACA. http://www.isaca.org/knowledge-center/cobit/Pages/Overview.aspx.
4. surgulaZe g., gulua d., uruSaZe b., kaSibaZe m. organizaciis sainformacio infrastruqturis avtomatizebis Tanamedrove meTodebi.
5. sainformacio sistemebis menejmentis saerTaSoriso gamocdileba (BSI, ITIL, COBIT) gia surgulaZe, beqar uruSaZe

ინოვაციური მენეჯმენტის სრულყოფის მექანიზმები, ინტერნეტ სივრცის გამოყენება, როგორც მცირე და საშუალო საწარმოების წარმატებული განვითარების არეალი

ეკატერინე შილაკაძე, *დოქტორანტი*

რეზიუმე

ეკონომიური გარემოს განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ-გარემოს გაჩენამ ხელი შეუწყო მის ძლიერ ცვლილებას. მცირე ბიზნესის მთელი რიგი სუბიექტებისათვის ინტერნეტი გახდა პოტენციალურ მომხმარებლებთან კომუნიკაციის ერთ-ერთ მთავარი არხი.ინოვაციური მიდგომა პროექტების დამუშავებისა და რეალიზაციისადმი ინტერნეტის ქსელების გამოყენებით, ქმნის კომპანიების რესტრუქტურიზაციისა და ღირებულებების ჯაჭვის დამატების, მდგრადობის გამაგრებისა და კონკურენტუნარიანობის მძლავრ შესაძლებლობებს.

საკვანძო სიტყვები: მაღალ სიჩქარიანი ინტერნეტი , ინოვაციური მენეჯმენტი, მცირე და საშუალო საწარმოები, ინოვაციები, მარკეტინგი, კონკურენტუნერიანობა, ბაზრის კვლევა, პირველადი კვლევა, მეორადი კვლევა, ციფრული ტექნოლოგიების, სეს ესნ კოდი.

Summary

Innovative management development mechanisms, usage of internet as a successful areal of small and medium business promotion

While talking about economic environment we must underline the fact that internet-environment does support its rapid changes. For the whole range of small business providers internet became the main channel for communication with potential customers. Innovative approach on working on and implementation projects by using internet networks creates companies restructuring and value chain longer, sustainability and competitive opportunities.

Keywords: high speed internet, innovative management, small and medium enterprises, innovations, marketing, competition, market research, primary research, secondary research, digital technologies. HTS (Harmonized Tariff Schedule) code.

* * * * *

უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საქართველოს ფართოზოლოვანი იგივე მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარება ყველა მიმართულებით. არსებული აცადმატებას 2016 წლისთვის .

ინტერნეტის გავლენა გლობალურ ზრდაზე სწრაფად მატულობს. მაკკინზის გლობალური ინსიტიტუტი გვთავაზობს პირველ რაოდენობრივ შეფასებას კველევების მიხედვით ინტერნეტის ზრდის და მის გავლენას მთლიან შიდა პროდუქტზე და აღნიშნავს, რომ განვითარებად ქვეყნებში ბოლო 15 წლის მანძილზე, მშპ-ს ზრდა მოხდა 11 %-ით და ამასთან დადგინდა რომ ინტერნეტიზაცია არის აგრეთვე სამსახურების შექმნის კატალიზატორი და გვიწევს რეკომენდაციას „ უნდა გაამჯობესდეს ინტერნეტის მოხმარება, მასთან წვდომა და ინფრასტრუქტურის ხარისხი, რაც დადებით გავლენას მოახდენს მშპ-ზე. (1)

მცირე და საშუალო საწარმოები ყველაზე უფრო ინტენსიურად იყენებენ ინტერნეტს, ვიდრე სხვა ტიპის ორგანიზაციები, ცხადია, მათ სერვისებსა და კონკურენტულ ფასებზე წვდომა შეუძლებელია უზრუნველყოფილი იყოს ფიზიკური პირების ინტერნეტთან წვდომის გარეშე.

ბოლო ორი ათეული წელია ფართოზოლოვანი განვითარების და დაკავშირების საკითხი აქტუალურად დგას მთელს მსოფლიოში. ინტერნეტიზაციის პროექტების სიძვირის და სხვა მთელი რიგი სირთულეების გამო ევროკავშირი ბოლო 15 წელია ეხმარება მის წევრ ქვეყნებს ინტერნეტის განვითარების და მდგრადობის შენარჩუნებისთვის, რადგან

- ის არის თითოეული მოქალაქის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი;
- სწორედ მასზე, როგორც ფუნდამენტზე, უნდა აშენდეს ერთიანი ევროპულ ელექტრონული ბაზარი და ელექტრონული სახელმწიფო და კერძო სერვისების მიწოდების პლატფორმები; - აჩქარებს ინოვაციების დანერგვას, ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას და ვაჭრობას;
- ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას და ადამიანის უფლებების დაცვას.(2)

ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ 2014 წელის ნოემბერში, კონცეფციის "ფართოზოლოვანი ინტერნეტი ყველა მოქალაქეს", მხარდაჭერა.ეს კონცეფცია ითვალისწინებს ერთის მხრივ - ინვესტორებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნის პროცესში ხელსაყრელი პირობების შექმნას მთელ ქვეყანაში და მეორეს მხრივ უზრუნველყოფს ღია დაშვების ინფრასტრუქტურის დანერგვას მთელი საქართველოს მასშტაბით ინტერნეტის ხელმისაწვდომობას შედარებით შეღავათიან ფასად. ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობას ინტერნეტ

რესურსებთან , ასევე მეწარმეობის განვითერებას .

დღეს საქართველო ბიზნესის წამოწყების სიმარტივის კუთხით მსოფლიო ათეულშია, თუმცა ახალი ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის ციკლი ხანგრძლივი და პროდუქტიული არ არის. მოქმედ საწარმოთა ნახევარი გაყიდვების ზრდას დაარსებიდან 5 წლის შემდეგაც კი ვერ ახერხებს" (3) ბიზნეს-საწარმოს დაწყების წინ, ან ახალი პროდუქტის ან მომსახურების დაწყებისათვის საჭიროა განისაზღვროს არსებობს თუ არა თქვენი იდეის ბაზარი. ბაზრის კვლევა წარმოადგენს იმდენი ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, რამდენიც შესაძლებელია თქვენი კლიენტების, მრეწველობის და თქვენი კონკურენტების შესახებ. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რათა განისაზღვროს:

არსებობს თუ არა პოტენციური მოთხოვნა თქვენს პროდუქციაზე, და თუ უნდა გაკეთდეს რაიმე ცვლილებები;

თქვენი გასაღების მიზნობრივი კლიენტები,მათ შორის მათი მახასიათებლები და პრიორიტეტები;

საუკეთესო გზები თქვენს კლიენტებთან შეღწევისათვის - მარკეტინგული და სარეკლამო მოდგომები, რომლებიც უფრო მეტად ეფექტური იქნება;

ის, რომ კონკურენტები უკვე ბაზარზე იმყოფებიან, იმის ჩათვლით თუ როგორ შეაღწევენ თავის კლიენტებთან, და როგორ აფასებენ თავის პროდუქციას;

ძირითდი დარგობრივი ტენდენციები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ თქვენს პროდუქციაზე და მომსახურების მოთხოვნაზე.

ბაზრის კვლევამ შესაძლოა წარმოგიდგინონ მონაცემები, რომლებიც საშუალებას მოგცემენ გააკეთოთ დასაბუთებული გადაწყვეტილება თქვენი ბიზნესის შესახებ და დაეხმაროთ დააყენოთ თქვენი ბიზნესი უკეთეს მდგომარეობაში, რათა მიაღწიოთ წარმატებას.

ბაზრის კვლევა მოიცავს როგორც პირველად, ისე მეორად კვლევებს იმისათვის, რომ შეგროვდეს ღირებული მონაცემები, რომლებიც დაგეხმარებიან გააკეთოთ დასაბუთებული გადაწყვეტილება თქვენი პროდუქციის ადა მომსახურების შესახებ.

პირველადი კვლევა. ინფორმაცია, რომელსაც თქვენთვის აგროვებთ (ან კონსულტანტის დახმარებით), რომელიც ღებულობს უშუალოდ წყაროდან - თქვენი მიმდინარე ან პოტენციალური კლიენტები. მაგალითები შეიცავენ კლიენტების გამოკითხვას, დაკვირვებას, ჯგუფის-ფოკუსი და ვებ-ანალიტიკა.

მეორადი კვლევა. მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას სხვა ორგანიზაციებიდან და წყაროებიდან, როგორიცაა სახელმწიფო, პროფესიონალური გამომცემლობების, სტატიების, კვლევებისა და ლოკალური სავაჭრო პალატების სტატისტიკა. თქვენი კვლევების უმეტესობა იქნება მეორადი წყაროებიდან.

მეორადი ბაზრის კვლევების ჩატარებისას, კვლევები უნდა დაიწყოთ თქვენი ადგილობრივი ბიბლიოთეკიდან ან ინტერნეტში. ბიბლიოთეკებს გააჩნიათ ხელმისაწვდომობა მონაცემების ორივე - სტატისტიურ და სავაჭრო ბაზებთან, და მრავალი მათგანი დაგეხმარებათ ამ ინსტრუმენტებით ორიენტირებაში, ასე, რომ თქვენ შეგიძლიათ იპოვოთ ინტერნეტში ონლაინ წყაროები.

მცირე ბიზნესისი სუბიექტები როგორც წესი არ ფლობენ ფინანსურ რესურსებს, საგარეო ბიზნეს გარემოს ანალიზის ჩასატარებლად, რომელშიც მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ბიზნესის კონკურენტი სუბიექტები. ამიტომ, დღეისათვის მცირე ბიზნესის მართვის გადაწყვეტილებათა რაოდენობის უმრავლესობა მიიღება ინტუიციით და ისეთი წინადადებებიდან გამომდინარე, რომლებიც არ არის გამაგრებული რეალური მონაცემებით.

ეკონომიური გარემოს განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ-გარემოს გაჩენამ ხელი შეუწყო მის ძლიერ ცვლილებას. მცირე ბიზნესის მთელი რიგი სუბიექტებისათვის ინტერნეტი გახდა პოტენციალურ მომხმარებლებთან კომუნიკაციის ერთ-ერთ მთავარი არხი.

მცირე ბიზნესის სუბიექტების ურთიერთქმედება ინტერნეტ-ტექნოლოგიებთან ხორციელდება სხვადასხვა ინტერნეტ-საიტების მეშვეობით: ინფორმაციული პორტალებით, ვებ-სერვერებით, კორპორატიული საიტებით, ინტერნეტ მაღაზიებით და სხვა. ასეთი ურთიერთქმედებები ვარაუდობენ „ინფორმაციული კვალის" არსებობას, რომელიც შეიცავს თავის თავში ინფორმაციას ბიზნეს სუბიექტების კონკურენტებისა და კონკურენტული უპირატესობების შესახებ.

ამგვარად, თანამედროვე პირობებში მცირე ბიზნესის სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საჭიროა კონკურენტების შესახენ ინტერნეტ-გარემოდან მიღებული ინფორმაციის გამოყენება.

ზემოთ ნათქვამის შეჯამებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მცირე ბიზნესის სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლების თემა, ინტერნეტ-გარემოს ანალიზის საფუძველზე, აქტუალურია.

ინტერნეტ-გარემოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე, რიგი ჩამოთვლილი მიზეზები შეიძლება ნიველირებული იყოს მცირე ბიზნესის მართვის პროცესში ელექტრონული კომერციის ტექნოლოგიების ჩანერგვით. ეს მიღწევადია ინტერნეტ-ტექნოლოგიების თავისებურებების საშუალებით.

როგორც ადრე ავღნიშნავდით, ,,ინოვაციური მენეჯმენტი" ეს არის სიახლეების, კვლევებისა და იდეების წარმატებულ ბიზნესად გადაქცევის ორგანიზება და მართვა, ამდენად იგი მოიცავს მარკეტინგს, აუდიტს, ინვესტიციებს, სამართალს და მენეჯმენტს კომპლექსურად.

ინტერნეტ მარკეტინგი არის ელექტრონული კომერციის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სხვადასხვა წყაროებში მოიხსენიება ზოგჯერ, როგორც Online Marketing-ი ან E-Marketing-ი. ინტერნეტმა მარკეტინგს შესძინა გარკვეული უპირატესობები, რომელიც გამოიხატება ინფორმაციის გავრცელების და მსოფლიო აუდიენციაზე მისი შეღწევის ფასის შემცირებაში. ინტერნეტ მარკეტინგი 1996 წლიდან

მოყოლებული მუდმივად სრულყოფის პროცესს განიცდის.

ციფრული ტექნოლოგიების ფასი დაწყებული მე-20 საუკუნის 80იანი წლებიდან რადიკალურად მცირდება, ხოლო ციფრული ტექნოლოგიების ხარისხი მუდმივად უმჯობესდება. გორდონ მურმა, რომელიც ინტელის კორპორაციის ერთერთი დამფუძნებელი იყო 1960 წელს ჩატარებული მათემატიკური ანალიზით დაამტკიცა, რომ ყოველ სამ წელიწადში მეხსიერებით ოთხჯერ უფრო ძლიერი გამოთვლითი მანქანების შექმნაა შესაძლებელი ერთიდა იგივე ფასად. ყველა ბიზნესს აუცილებლად ესაჭიროება საკუთარი პროდუქციის ბაზარზე გატანა. ხოლო ციფრული ტექნოლოგიები ამის განსახორციელებლად ყველაზე ხელმისაწვდომი მეთოდია. მურის კანონი მომავალშიც იარსებებს რადგან ციფრული ტექნოლოგიების სრულყოფა უწყვეტი პროცესია.

ციფრული ტექნოლოგიების გარემოს ზრდა გულისხმობს რომ ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. ამის გათვალისწინებით ყველა სერიოზული ბიზნესი ცდილობს ინტერნეტის მეშვეობით თავისი პროდუქციის ან სერვისის რეალიზაციას.

ციფრული ტექნოლოგიების გაიაფების ფონზე ზოგჯერ ინდივიდუალური ინტერნეტ მარკეტოლოგები მსხვილ კორპორაციებს სჯობნიან კონკურენციაში რადგან მათ გააჩნიათ იგივე ხელმისაწვდომი რესურსი, რომელიც აქვთ ამ კორპორაციებს. ამ ბიზნესში უმსხვილესი კორპორაციები კონკურენციაში შედიან უკვე არამარტო ერთმანეთთან არამედ ინდივიდუალურ ინტერნეტ მარკეტოლოგებთან. მსხვილ კონგლომერატებს ამ ეტაპზე უკვე აღარ აქვთ უპირობო უპირატესობა.

ციფრული რესურსების სიიაფის პირობებში ინტერნეტ მარკეტოლოგებისათვის ფინანსური მიზნების მიღწევა შესაძლებელია ურთიერთშერწყმის პრინციპის გამოყენებით რაც გულისხმობს გამოთვლითი სისტემების სიძლიერის, მედია ინფორმაციისა და ინფორმაციის გადამუშავების მეთოდების ურთიერთშერწყმას. ამისათვის საჭიროა ინდივიდუალური უნარების, ნიჭის, რესურსების და სამუშაო ძალის გამოყენება.

კომერცია ინტერნეტის მეშვეობით (4), მასში გამოყენებულ ყველა ტექნოლოგიურ ინოვაციასთან ერთად, დღეს უშუალოდ და ირიბად (კონკურენტებზე, გასაღების არხებზე, საბოლოო მომხმარებლებზე, მიმწოდებლებზე, ბაზრის დინამიკაზე ზემოქმედებით) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცირე და დიდ კომპანიებზე. უნდა ითქვას, რომ ინტერნეტი მცირე ბიზნესით დაკავებულ საწარმოებს მრავალ უპირატესობას სთავაზობს.

პირველ რიგში (და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია), ინტერნეტმა წარმოშვა უამრავი საბაზრო შესაძლებლობა არსებული და პოტენციური ამჟამად ნებისმიერ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს შეუძლია შექმნას საკუთარი ვებ-გვერდი და დაიწყოს ბიზნესი ინტერნეტის მეშვეობით.

მეორე - ინტერნეტი პატარა კომპანიებისთვის შეუდარებლად იოლი და ოპერატიული საშუალებაა ბაზარზე შესაღწევად, რომელიც გაყიდვების ისეთი ტემპებით გაზრდის საშუალებას იძლევა, რაც უახლოეს წარსულში წარმოუდგენელიც კი იყო.

მესამე - ინტერნეტი უადვილებს მცირე, სპეციალიზებულ კომპანიებს ქსელურ სტრუქტურებში თანამშრომლობას, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს დედამიწის ნებისმიერ წერტილში მიეწოდება იაფი, მაგრამ დიდი ფასეულობის მქონე მომსახურება.

მეოთხე - ინტერნეტი მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს პატარა კომპანიების გაჩენასა და ზრდას, რადგან საშუალებას აძლევს ცალკეულ ადამიანთა ჯგუფებს, დაკავდნენ ბიზნესით ისე, რომ ამისთვის არ გაიღონ მნიშვნელოვანი რესურსები (განსაკუთრებით ფიზიკური აქტივები). საქმე იმაშია, რომ ინტერნეტი აქცენტს აკეთებს არამატერიალურ აქტივებზე: ცოდნაზე, იმიჯზე, რეპუტაციაზე, ურთიერთობებზე და ორგანიზაციულ უნარებზე.

მეხუთე - ინტერნეტი მცირე ბიზნესის შინაგანი უპირატესობების (მოქნილობა და დინამიკურობა) უკეთ რეალიზების საშუალებას იძლევა. იგი იდეალურად ესადაგება ამ ვითარებას, რადგან ბიზნესის მცირე სახეებს საშუალებას აძლევს, მომხმარებლების შესახებ შეაგროვონ მონაცემთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, თვალი ადევნონ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებს და ოპერატიულად მოახდინონ გარემოსთან საკუთარი შეთავაზებების ადაპტირება.

აღსანიშნავია,რომ ინტერნეტის როლი თანამედროვე ბიზნესში, ინტერნეტ—მარკეტინგის სისტემები და გამოყენების თავისებურებები, ინტერნეტ—მარკეტინგის გარემო, მარკეტინგული კვლევის მეთოდები ინტერნეტში, სასაქონლო, ფასების, დისტრიბუციის და კომუნიკაციის პოლიტიკის თავისებურებები ინტერნეტ—მარკეტინგში, ინტერნეტ—მარკეტინგის სამართლებრივი და ეთიკური საკითხები ფართოდაა განხილული საქართველოში როგორც სამეცნიერო ასევე სასწავლო ლიტერატურაში მაგალითად (5).

მცირე მეწარმეობის სუბიექტები, როგორც წესი, არ ან არასაკმარისად ფლობენ ფინანსურ რესურსებს სამეწარმეო გარემოს ანალიზის ჩასატარებლად, რომლის მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენს სამეწარმეო კონკურენტული სუბიექტები. ამიტომ, დღეისათვის მცირე და საშუალო სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის გადაწყვეტილებების უმრავლესობა მიიღება ინტუიციით და იმ წინადადებებიდან გამომდინარე, რომლებიც არ არის ადეკვატური რეალური მონაცემების.

განვიხილავთ რა ეკონომიკურ გარემოს, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ-ტექნოლოგიის გამოჩენამ ხელი შეუწყო მის ძლიერ ცვლილებას. მთელი რიგი სუბიექტებისათვის ინტერნეტი გახდა პოტენციურ მომხმარებლებთან ერთ-ერთი მთავარი საკომუნიკაციო არხი.

მცირე მეწარმეობის სუბიექტების ინტერნეტ-გარემოსთან ურთიერთქმედება ხორციელდება სხვადასხვა ინტერნეტ-საიტების საშუალებებით: საინფორმაციო პორტალები, ვებ-სერვერები, კორპორატიული საიტები, ინტერნეტ-მაღაზიები და სხვა. ასეთი ურთიერთქმედებები ითვალისწინებენ საინფორმაციო ველის არსებობას, რომელიც თავის თავში შეიცავს ინფორმაციას სამეწარმეო სუბიექტების კონკურენტებისა და კონკურენტული უპირატესობების შესახებ.

ამგვარად, თანამედროვე პირობებში მცირე სამეწარმეო სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საჭიროა ინფორმაციის გამოყენება კონკურენტების შესახებ, რომელიც მიღებულია ინტერნეტ-გარემოში.

ინოვაციური მიდგომა პროექტების დამუშავებისა და რეალიზაციისადმი ინტერნეტის ქსელების გამოყენებით, ქმნის კომპანიების რესტრუქტურიზაციისა და ღირებულებების ჯაჭვის დამატების, მდგრადობის გამაგრებისა და კონკურენტუნარიანობის მძლავრ შესაძლებლობებს.

ინოვაციური მიდგომა მიკრო მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართვას ინტერნეტ გარემოში გამოიწვევს მათ ეკონომიურ სიმყარეს და გაზრდის კონკერენტუ ნარიანობას.

მოკლედ წარმოგიდგენთ ინტერნეტ გარემოს, ძირითადი მახასიათებლებს შესაძლებლობებს, რომელიც ეძლევთ მეწარმეებს გამოყენებისათვის:

1. ბაზრის გაფართოება; ყველა მეწარმის ჩართვა გლობალურ კონკურენტუნარიანობაში ყველა მეწარმე, მიუხედავად მათი გეოგრაფიული მდებარეობა.
2. კონკურენციის გაზრდა. ინტერნეტ ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად ამცირებს საოპერაციო ხარჯებს.
3. მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღება, მათ შორის ახალი პოდუქტების შესახებ განვითარებულ ქვეყნებში;
4. ინფორმაციის სწრაფი გავრცელება; და მრავალი სხვ.

დასკვნა

ამგვარად, განხილული გარემოებები იმაზე მეტყველებენ, რომ ინტერნეტი წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს და თავის თავში შეიცავს შემდეგ ელემენტებს: შინაარსი (კონტენტი) და ინტერნეტ-საიტების და სერვისების ტექნიკურ ინფორმაციას, მომხმარებელთა ქცევას ამ საიტებზე და პროცესებს, რომლებიც წარმოიქმნება მათი ურთიერთქმედების პრიცესებში. ამასთან, ინტერნეტ-გარემო, მეწარმეებისათვის წარმოადგენს ახალ შესაძლებლობებს და შეიცავს საფრთხეებს, რომლებიც მოითხოვენ შესწავლას და ახალი მიდგომების, ინსტრუმენტების და სტრატეგიების შემუშავებას სამეწარმეო საქმიანობის მართვისათვის.

ინტერნეტ სივრცის მცირე და საშუალო ბიზნესის და არა მარტო მათი, გამოყენების შესანიშნავი მაგალითია კაბინეტური მარკეტინგული მკვლევარებისათვის ინფორმაციის წყაროდ ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნებული საქსტატის მონაცემები შიგა სასაქონლო პროდუქციის შესახებ.

ნაციონალური ეკონომიკის სტაბილურობის ერთერთ არსებულ ინდიკატორს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები. საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკაში მონაწილეობის მასშტაბები საშუალებას იძლევა შევაფასოთ საგარეო ვაჭრობის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა წლიური სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტი/იმპორტის მოცულობა, საგარეო ვაჭრობის სალდო და სხვა.

იმის შეფასებას თუ .საქართველოში წარმოებული, რომელი რომელი პროდუქციით რა შეუძლია ქართულ წარმოებას ხარისხობრივად და რაოდენობრივად დააკმაყოფილოს საგარეო ბაზრის მოთხოვნები, საშუალებას გვაძლევს იმპორტის სტატისტიკა. უკვე მრავალი წლებია საქართველოს იმპორტზე დამოკიდებულება მთელ რიგ პროდუქციაზე, მაგ. სოფლის მეურნეობის პროდუქცია და მანქანათმშენებლობა, იწვევს არა მხოლოს ეკონომისტების, არამედ რიგითი მოქალაქეების შეშფოთებას. ექსპორტი ახასიათებს სახელმწიფოს სპეციალიზაციას შრომის დაყოფაში გლობალურ დონეზე, ასევე ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებში. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო სტატისტიკა არის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებისა და ეფექტურობის ზუსტი და პატიოსანი ინდიკატორი.

ჩვენი აზრით საბაჟო სტატისტიკა უნდა გახდეს სტრატეგიული ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღების მარკეტინგული ინსტრუმენტარი.

საგარეო სავაჭრო საქმიანობის სტატისტიკის დახმარებით შესაძლებელია შედგეს დეტალური ანგარიში ბაზრის ძალიან მნიშვნელოვანი პოზიციებისათვის. ასე მაგ. საბაჟო ბაზა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) შეიცავს ინფორმაციას საგარეო სავაჭრო საქმიანობის მონაწილეების შესახებ, განსაზღვრული პროდუქციის მიხედვთ და მათ მოცულობაზე ბაზარზე; მოწოდების დინამიკაზე და მოცულობაზე; საქონლის ღირებულებაზე (ზოგადად მწარმოებელი ქვეყნების, მომწოდებლების, რეგიონების კონტექსტში); ექსპორტი/იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის შესახებ ქვეყნების მიხედვით; მოწოდების სტრუქტურაზე საბაჟო საგუშაგოებზე სატრანსპორტის სახეობების შესახებ და სხვ. საბაჟოზე გადაადგილებადი ყველა საქონლის შესახებ არსებული კლასიფიკაცია ფიქსირებულია ერთიანი კლასიფიკატორით საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ).

თუკი „ინფორმაციული საზოგადოების" ერაში ბიზნესმენი არ ფლობს ზუსტ და უტყუარ მარკეტ-

ინგულ ინფორმაციას პროფილური ბაზრის შესახებ, მისი შანსი წარმატებაზე მნიშვნელოვნად მცირდება.

ინოვაციური მიდგომები პროექტების დამუშავებისა და რეალიზაციისადმი ინტერნეტის ქსელის გამოყენებით, ქმნის კოლოსალურ შესაძლებლობებს რესტრუქტურიზაციისათვის და ღირებულებების ჯაჭვის შევსებისათვის, კომპანიის კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის გამყარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Internet matters: The Net's sweeping impact on growth, jobs, and prosperity
http://www.mckinsey.com/insights/high_tech_telecoms_internet/internet_matters

2.IDFI /უ. სეთური/ - პროექტის „მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი ყველას" პრობლემები და რეკომენდაციები.
https://idfi.ge/public/upload/IDFI/Digital/Broadband-Development-Process.pdf

3. გ. კვირიკაშვილი,
http://qartuli.ge/?menuid=98&id=12&lang=1

4. ბ. რამიშვილი , სტრატეგიული მენეჯმენტი, თავი 10,თბილისი 2013
http://old.press.tsu.ge/GEO/internet/internetgak/STRATEGIULI/Mtavati.html

5. ინტერნეტ-მარკეტინგი : ნ. თოდუა, რ. აბულაძე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; [რედ. :Carita jaSi].319 გვ.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და CSR-ი საქართველოში

ქეთევან ქაჯაია, ასისტენტ-პროფესორი

რეზიუმე

უკანასკნელი წლების კვლევები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ საზოგადოების წინაშე მორალური ვალდებულების შესრულება, ის კეთილმყოფელ გავლენას ახდენს კომპანიის უშუალო ბიზნესსაქმიანობაზეც, რადგან ხელს უწყობს კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მისი იმიჯის გაუმჯობესებას, ეხმარება კომპანიას უკეთ მართოს რისკები, მოიზიდოს ინვესტორები, ხანგრძლივად შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა თანამშრომლებთან, მომწოდებლებთან. ორგანიზაციებს, რომლებიც ითვალისწინებენ სოციალურ და მასშტაბურ ეკონომიკურ საკითხებს, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვთ. ამიტომ სულ უფრო მეტი კომპანია ნერგავს საკუთარ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებს. სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება დადებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ კომპანიების საქმიანობაზე, არამედ, ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე. ის განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდის, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მექანიზმი.კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა საქართველოშიც უამრავი დადებითი შედეგის მომტანი იქნება. მთავარია, ხელისუფლებამ სწორად განსაზღვროს ეს პროცესები. სახელმწიფო სექტორის სწორი ნაბიჯები ხელს შეუწყობს კერძო სექტორს, რომ მან საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტები, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, ბიზნესკომპანიები, არასამთავრობო სექტორი.

Social responsibility of business and CSR in Georgia

Ketevan Kajaia, professor

Summary

Recent studies unequivocally testify that corporate social responsibility is not only an execution of moral obligation towards the society, but it also has salutary influence on direct business activity of the company, since it promotes competitive recovery of company, improvement of its image, assists company to manage risks better, to attract investors, to keep for a long time good relations with employees, suppliers. Those organizations, which take into account social and broad-scale economic issues, have better financial indicators. That's why more and more companies introduce standards of social responsibility in their own activity. Development of social responsibility has positive impact not only on the company's activity, but also on national development, in general. It is considered as a mechanism of competitive recovery of national economy, solution of social and economic problems, trade development and attraction of investors, and achievement the development goals. Introduction of corporate social responsibility in Georgia will produce a lot of positive results. The main thing is that government would be able to precisely specify these processes. Correct steps of state sector will promote private sector so that the latter would make important contribution to national development.

Keywords: corporate social responsibility, standards of social responsibility, social responsibility of business, business companies, non-governmental sector.

* * * * * *

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ბიზნესის როლი და მნიშვნელობა განუზომელია. ბუნებრივია, ამგვარი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების დონესაც სწორედ ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს. მართალია, საქართველო ჯერ შორს არის განვითარებული საბაზრო ეკონომიკისგან, მაგრამ ბიზნესი კარგა ხანია გახდა საქართველოს ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ნაწილი. ბიზნესის განვითარების ფორმების მიხედვით, შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ რა პერსპექტივით ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა. თამამად შეიძლება იმის თქმაც, რომ საქართველოში უკვე ბევრი მოქალაქისათვის ბიზნესი გახდა სამუშაოს ძირითადი სახეობა, ან დამატებითი დასაქმების ფორმა.

საბაზრო ეკონომიკა, უპირველესად, თავისუფალი ბიზნესის ეკონომიკაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებობს ბიზნესის ფართოდ გავრცელ-

ების და განვითარების სრული შესაძლებლობები. „ბიზნესი“ (Business) ინგლისურ ი სიტყვაა და ქართულად „საქმეს“ ნიშნავს. ტერმინის შინაარსი კი გულისხმობს ეკონომიკურ საქმიანობასა და საქმიან ურთიერთობას პროცესის მონაწილეებს შორის, რომელთა მიზანია ეკონომიკური სარგებლის მიღება. ამერიკული განმარტებით, ბიზნესი არის საქმის წარმოების სისტემა, ადამიანებისათვის საჭირო პროდუქციის, მომსახურების შექმნა, მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. საბოლოოდ კი ყველაფერი მიდის მთავარ მიზანთან - როგორ ცხოვრობენ ქვეყნის მოქალაქეები. ამიტომაც არის, რომ ამერიკის მოსახლეობის ძირითად ნაწილს საკუთარი ბიზნესი გააჩნია და ბიზნესი გამდიდრების მთავარ წყაროდაც ითვლება.

აქვე განმარტებასავით ვიტყვით, რომ ყოველგვარი საქმიანობა არ შეიძლება ჩაითვალოს ბიზნესად. თავისთავად ეკონომიკური პროდუქტის შექმნა არ ნიშნავს, რომ ეს არის ბიზნესი. საქმიანობა მაშინ ჩაითვლება ბიზნესად, როდესაც ის მიზნად მოგების, შემოსავლის მიღებას ისახავს. წარმოება ხდება ბიზნესი, თუ მწარმოებელი არა უბრალოდ უშვებს პროდუქციას, არამედ, ქმნის საქონელს გასაყიდად, სარეალიზაციოდ, მოგების მისაღებად.

დროსთან ერთად იცვლება მიდგომები და თანამედროვე ცივილიზებულ ბიზნესში გაჩნდა ახალი ვალდებულებები! ბიზნესმენი ვალდებულია, ფიქრობდეს არა მარტო საკუთარ მოგებაზე, არამედ, სხვათა სარგებელზეც. აქ ბუნებრივად ჩნდება ტერმინი - „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“. ამერიკელი მეცნიერის გორდონ ფიტჩის განმარტებით, სოციალური პასუხისმგებლობა - ეს არის ბიზნესის კეთილი ნება, გადაჭრას ის პრობლემები, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ბიზნესის საქმიანობით.

ცნობილი ხდება, რომ ქველმოქმედებით ბიზნესი ეხმარება არ მარტო საზოგადოებას, არამედ, ერთგვარად, საკუთარი მოხმარებისთვისაც იგროვებს ქულებს. ეს არის ემოციური არჩევანის ერთგვარი ინვესტიცია. როგორც ბოლო დროის კვლევები ადასტურებს, რთულ ვითარებაში ბიზნესს სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები უფრო ეხმარება, ვიდრე ბიზნესის სწრაფი ზრდა კარგ პირობებში. როდესაც არჩევანი კეთდება ორი თანაბარი ხარისხის პროდუქტს შორის, მომხმარებლისათვის გადამწყვეტი ფაქტორი შეიძლება გახდეს ემოცია, ანუ განსაკუთრებული დამოკიდებულება რომელიმე ბრენდის მიმართ. ასეთ დროს, ქვეცნობიერად, განმსაზღვრელი შეიძლება აღმოჩნდეს სწორედ კონკრეტული კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ეგიდით გაწეული საქმიანობა. დადასტურებულია, რომ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის ნაწარმი ყველაზე ხშირად ხვდება მომხმარებლის კალათში. ამდენად, ინვესტირება სოციალურ პასუხისმგებლობაში გახდა რისკის მართვის პოლიტიკის ერთგვარი კომპონენტი. იგი გახდა ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივი და გავრცელებული ფორმა. დღეს თანამედროვე მსოფლიოში წარმოუდგენელია წარმატებული კომპანია, რომელიც არ აქტიურობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით.

როგორც წესი, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში ჩართულია სამი მხარე: სახელმწიფო, ბიზნესი და საზოგადოება, რომლებიც ერთმანეთში აქტიურ კომუნიკაციას ახორციელებენ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მედია, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ მხარეებთან ერთად, აქტიური კომუნიკატორის ფუნქციას ასრულებს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მსოფლიოში სოციალურად ორიენტირებული კომპანიების რაოდენობა პერმანენტულად გაიზრდება, რადგან სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან მათზე ძალდატანება, კარგი გაგებით, იზრდება. ეს ფაქტორიც რომ გამოვრიცხოთ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სოციალურად ორიენტირებული განწყობები კომპანიების ინტერესიც არის. კვლევების მიხედვით, მთელ მსოფლიოში, წარმატებულთა რიცხვში ხვდებიან ის კომპანიები, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი ბიზნესით ინტერესდებიან, არამედ, თავიანთ საქმიანობაში ითვალისწინებენ სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების მხარდაჭერას.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების და პრაქტიკის დანერგვის აუცილებლობა საქართველოშიც არ არის უცხო. მსხვილმა ბიზნესკომპანიებმა კარგა ხანია, გააცნობიერეს, რომ ეს მიდგომები აუცილებელია ბიზნესსექტორის წარმატებული განვითარებისთვის და რომ ეს არის საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის, სტაბილურობის და ბიზნესრეპუტაციის გამყარების დამატებითი ინსტრუმენტი.

ვიდრე სოციალური აქტიურობებისადმი საქართველოში მოქმედი ბიზნესკომპანიების დამოკიდებულებას დაწვრილებით განვიხილავთ, კიდევ ერთი ტერმინი უნდა წამოვადგინოთ - კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (Corporate Social Responsibility - CSR).

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ეს არის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს შემდეგს: ბიზნესოპერაციების განხორციელებისას, კომპანია ნებაყოფლობით ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, რაც მოიცავს საკუთარ მომხმარებლებს, მომწოდებლებს, თანამშრომლებს, ბიზნესპარტნიორებს და პოტენციურ ინვესტორებს. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ეს არის ბიზნესის კეთილი ნება, საკუთარ თავზე აიღოს უფრო მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე მას კანონი ავალდებულებს და ნებაყოფლობით იზრუნოს საზოგადოების კეთილდღეობაზე, სოციალური პრობლემების მოგვარებაზე.

თუნდაც ერთი ათეული წლის წინ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ საქველმოქმედო საქმიანობით შემოიფარგლებოდა. დღესაც განვითარებად ქვეყნებში ანალოგიური სიტუაციაა და ხშირად სოციალური პასუხისმგებლობა ისევ ქვ-

ელმოქმედებად მოიაზრება, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ის გაცილებით ფართო კონცეფციას წარმოადგენს.

განვითარებული ქვეყნებისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ არის ბიზნესის დამატებითი საქმიანობა, ერთჯერადი ღონისძიება და კომპანიის პიარკამპანიის ნაწილი. ეს არის ბიზნესის კეთების ახალი მეთოდი, რომელიც გულისხმობს სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების ჩართვას როგორც ბიზნესსტრატეგიაში, ისე მთლიანად კომპანიის საქმიანობაში. ეს ნიშნავს, რომ პასუხისმგებელი კომპანია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საკუთარი საქმიანობის შესაძლო ზეგავლენას გარემოზე, საზოგადოებაზე და ცდილობს, შეამციროს მათზე სავარაუდო უარყოფითი გავლენები. თანამედროვე გაგებით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს უამრავ კომპონენტს, რითიც ხდება ძალიან ფართო და მრავლისმომცველი კონცეფცია.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ჩშღ-ი შეიძლება გახდეს ეკონომიკის გაჯანსაღების მძლავრი იარაღი. ამიტომ საქართველოსთვის CSR-ის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია. ასევე საყურადღებოა CSR-ის როლი საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში. საქართველო რამდენიმე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია და მიერთებულია მრავალ საერთაშორისო შეთანხმებას, რომლებიც საერთაშორისო დონეზე არეგულირებს ჩშღ-ის ამა თუ იმ კომპონენტის განხორციელებას. ამდენად, საქართველოში CSR-ის განვითარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების უფრო ეფექტურ განხორციელებას და სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურაში საქართველოს ინტეგრაციას.

განვითარებადი ქვეყნების მთავრობებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია CSR-ის გამოყენება სიღარიბის შესამცირებლად და მდგრადი განვითარების მისაღწევად. საქართველოშიც სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორიცაა სიღარიბე, უმუშევრობა, შემოსავლების არათანაბარი განაწილება. ცნობილია, რომ ზოგადად, შრომითი საქმიანობის ბევრი საერთაშორისო სტანდარტი უფრო მაღალ მოთხოვნებს აყენებს, ვიდრე ამას სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს. ეს სტანდარტები შეეხება შრომითი საქმიანობის ისეთ ასპექტებს, როგორიცაა სამუშაო პირობები, ღირსეული ანაზღაურება, თანამშრომლებთან ურთიერთობა და მათი პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის უსაფრთხო სამუშაო. ამ სტანდარტების ნებაყოფლობითი დანერგვა სოლიდური ბიზნესკომპანიების საქმიანობის აუცილებელი ნაწილი გახდა, რითაც კომპანიებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მრავალი პარამეტრის გაუმჯობესებაში.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას შეუძლია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაშიც. როგორც ცნობილია, კორპორაციული პასუხისმგებლობის ერთ-ერთ წამყვან თემას სწორედ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა წარმოადგენს, რაც გულისხმობს გარემოზე კომპანიის საქმიანობით მოხდენილი მავნე ზემოქმედების შემცირებას. გარემოს დაცვის თვალსაზრისით, დღეს საქართველოში არცთუ სახარბიელო ვითარებაა. საწარმოების მიერ გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის საკანონმდებლო რეგულირება არასაკმარისია, ან არ არსებობს მისი აღსრულების ქმედითი ბერკეტები. ჩშღ-ის განვითარებას შეუძლია საწარმოების მიერ საერთაშორისო გარემოსდაცვითი სტანდარტების ნებაყოფლობითი დანერგვა და არსებული გარემოსდაცვითი კანონების უფრო ეფექტური აღსრულება, რაც ხელს შეუწყობს გარემოს დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას საქართველოში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ინვესტირების ხელშეწყობაა. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდაა. ამ მიზნის მიღწევაში ჩშღ-ს მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს. დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ინვესტორთა უმრავლესობა საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქვეყანაში პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის სტანდარტების შესრულებას. მსოფლიოში სწრაფად იზრდება ისეთი საინვესტიციო ფონდების რაოდენობა, რომლებიც ფინანსურის გარდა, სოციალურ, ეკოლოგიურ და ეთიკურ მიზნებს ისახავენ. ეს მიდგომა ცნობილია "სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების" სახელით. ეთიკურთან ერთად, მას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ კომპანია, რომელიც ეფექტურად ახორციელებს CSR მიდგომებს, უკეთ იმართება, უფრო ეფექტურად ახერხებს რისკების პრევენციას და, შესაბამისად, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვს. ამიტომ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ თავიანთი შეფასების სისტემებში სოციალური პასუხისმგებლობის კრიტერიუმებს.

როგორც ექსპერტები განმარტავენ, მხოლოდ სახელმწიფო პროგრამები ვერ წვდება სოციალურ საქმიანობას და უამრავი პრობლემა რჩება სახელწმიფოს ყურადღების მიღმა, რომელიც აშკარად საჭიროებს დამატებით მხარდაჭერას. სწორედ ასეთ დროს ჩნდება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა. ბიზნესის ჩართვა ამ პროცესში ნიშნავს იმას, რომ ბიზნესი თავისი ფულითა და რესურსით ცდილობს, მონაწილე გახდეს იმ სოციალური აქტივობებისა, რაც საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

ბოლო წლებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოშიც აქტიურად ვითარდება და ქართული ბიზნესკომპანიებიც ამ მიმა-

რთულებით აშკარად აქტიურობენ, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს აქტიურობა ძირითადად, მხოლოდ მსხვილ ბიზნესსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მოიცავს. ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ საქართველოში მცირე ბიზნესსაც შეუძლია ჩაერთოს სოციალური პასუხისმგებლობის საქმეში, რისთვისაც არ არის აუცილებელი მატერიალური რესურსის გამოყოფა. თუმცა საქართველოში მთავარი პრობლემა მაინც სხვა არის: ჩვენში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, ძირითადად, ისევ ქველმოქმედებასთან არის გაიგივებული და უფრო ერთჯერადი, სპონტანური ხასიათისაა.

ქართული კომპანიების დიდი ნაწილი სოციალური პროგრამების განხორციელებას, ძირითადად, საკუთარი რესურსების ხარჯზე ცდილობენ. ამიტომ ბუნებრივია, რომ მათ მოქმედებას ხშირად ერთჯერადი საქველმოქმედო ღონისძიების სახე უფრო აქვს, ვიდრე სისტემური სოციალური პასუხისმგებლობის პროექტის. ამდენად, საქართველოში კომპანიები მაინც შორს არიან კლასიკური კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისგან. როგორც წესი, დასავლეთში სოციალური პროექტების განხორციელება არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით ხდება. ბიზნესი ირჩევს პრიორიტეტულ მიმართულებებს, ადგენს ბიუჯეტს, აცხადებს საგრანტო კონკურსს და არჩევს ორგანიზაციას. საქართველოში ბიზნესი არასამთავრობო სექტორს ნაკლებად ენდობა და ეს კომუნიკაცია დღეს საკმაოდ დაბალ დონეზეა. ამ ხარვეზების მიუხედავად, საქართველოში მოქმედი ბიზნესი, საკუთარ მასშტაბებსა და შესაძლებლობებთან შედარებით, სოციალურ პროექტებსა და ქველმოქმედებაზე საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავს. თუმცა, როგორც ვთქვით, ბიზნესის სოციალური საქმიანობა, დასავლურ კომპანიებთან შედარებით, მაინც ქაოტური და ნაკლებად სისტემურია. არადა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა რომ იქცეს კლასიკური ფორმის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობად, აუცილებელია, წინასწარ, სისტემურად და ზუსტად იყოს გათვლილი კომპანიის პრიორიტეტები და სტრატეგია.

რამდენი სუსტი პოზიციაც უნდა ჩამოვთვალოთ, ფაქტია, რომ საქართველოში CSR-ის კონცეფცია ძალას იკრებს და ორიგინალური ფორმით მკვიდრდება. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომელიც შარშან მოხდა და რომელიც მიგვანიშნებს, რომ საქართველოშიც კარგად ესმით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა. ქართულმა ბიზნესკომპანიებმა, სამოქალაქო და აკადემიურმა ორგანიზაციებმა და მედიამ, სულ სხვადასხვა პროფილის 50-მდე ორგანიზაციამ, დააფუძნა სოციალური პასუხისმგებლობის კლუბი, რომელიც მზად არის, თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს იმ სოციალური საჭიროებების დაფარვასა და დაკმაყოფილებას, რასაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს.

„სოციალური პასუხისმგებლობის კლუბი“, 2015 წლის მაისში დაფუძნდა და წარმოადგენს არარეგისტრირებულ კავშირს, რომლის მიზანია საზოგადოებაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ ცოდნის ამაღლება და ერთობლივი გრძელვადიანი საქმიანობით კლუბის წევრებთან, პარტნიორებთან, დონორებთან ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. კლუბის, საზოგადოებისა და ხელისუფლების ურთიერთობის კარგი მაგალითი უკვე გვაქვს. ლაპარაკია შეხვედრაზე, რომელიც თბილისის მერიამ „სოციალური პასუხისმგებლობის კლუბის“ წევრებთან გასული წლის ბოლოს გამართა და მათ ერთგვარი ანგარიში წარუდგინა. საუბარი შეეხო 13 ივნისის სტიქიის დროს დაზარალებულებისათვის გაღებულ შემოწირულობებს. მერიის წარმომადგენლებმა კლუბის წევრებს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად სხვადასხვა ორგანიზაციიდან გადარიცხული თანხების განკარგვის შესახებ. საუბარი შეეხო, იმ საჭიროებებსაც, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს დაზარალებულების დახმარების საქმეში. მერიამ წარადგინა წინადადებები, თუ რა მიმართულებით შეიძლება სხვადასხვა კომპანიამ განახორციელოს დამატებითი მხარდაჭერა. როგორც გაირკვა, კლუბის წევრებმა დაზარალებულების დასახმარებლად სოლიდური თანხები გადარიცხეს და შეხვედრაზე იმყოფებოდა თითქმის ყველა იმ კომპანიის წარმომადგენელი, რომლებმაც უდიდესი კონტრიბუცია განახორციელეს 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულთათვის.კლუბის წევრებთან ერთად, შეხვედრას 100-მდე სხვადასხვა ბიზნეს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი დაესწრო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ იმ პრეცედენტების შესახებ, რომელიც არსებობს საქართველოში და რაც მიგვანიშნებს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა სისტემურ ფორმას იძენს ჩვენშიც. საქართველოში უკვე არსებობს სოციალური ანგარიშების წარმოების პრეცედენტები: კომპანიებმა - ბრიტიშ პეტროლეუმ ჯორჯია, ბანკი რესპუბლიკა, ვისოლი, ნატახტარი - უკვე შექმნეს პირველი ქართული სოციალური ანგარიშები.

2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრესიის შემდეგ, საქართველოს ბანკმა შექმნა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდი და თვითონვე გააკეთა პირველი შენატანი ერთი მილიონი ლარის ოდენობით. მოგვიანებით იგი გადაკეთდა „მომავლის ფონდად“. ამჟამად საქართველოს ბანკი განაგრძობს საქველმოქმედო საქმიანობას „მომავლის ფონდის“ მეშვეობით და უამრავი კორპორაციული პასუხისმგებლობის პროექტის განხორციელებას გეგმავს.

როგორც ვხედავთ, ამ ეტაპზე საქართველოში მხოლოდ მსხვილი კომპანიები აქტიურობენ, თუმცა, სხვა ბიზნესკომპანიებსაც მოუწევთ იმის გაცნობიერება, რომ დღეს სოციალური პასუხისმგებლობა მარკეტინგის და ბაზარზე პოზიცირების თავისებური ტექნოლოგიაა. მართალია, სოციალურ პრო-

ექტებში ჩართვით, ბიზნესმენი ამცირებს მიმდინარე შემოსავალს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, ქმნის კეთილსაიმედო სოციალურ გარემოცვას და თავადაც იქმნის სასურველ რეპუტაციასა და იმიჯს. შესაბამისად, ცივილიზებულ სამყაროში სოციალური პასუხისმგებლობა დიდი ხანია, წმინდა ეკონომიკურ კატეგორიას მიეკუთვნება. ქართული ბიზნესიც, თუ უნდა, რომ ცივილიზებული ეკონომიკის ნაწილი გახდეს, აუცილებლად დაამკვიდრებს თავის საქმიანობაში კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი შუბლაძე, მანანა ნანიტაშვილი, „ბიზნესის საფუძვლები“, 2014 წელი.
2. ირაკლი ლექვინაძე, „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში“, 2015 წელი.
3. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და მისი მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისათვის“, 2012 წელი.

მომსახურების მარკეტინგი

თამარ მაღალაშვილი

რეზიუმე

მსოფლიოში მომსახურების ინდუსტრია მზარდი ტენდენციით ხასიათდება. მსოფლიო წარმოების ორი მესამედი მომსახურების წარმოებაზე მოდის (1). აშშ-ის "The Bureau of Labor Statistics" - ის ანგარიშის თანახმად, ეკონომიკისათვის მომსახურების სექტორი, სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით, კვლავ რჩება დომინანტურ პოზიციაზე. ამ მონაცემების მიხედვით, 2018 წლისთვის მოსალოდნელია მომსახურების სფეროში სამუშაო ადგილების 96%-ით ზრდა.

პროდუქტისა და მომსახურების მწარმოებელი კომპანიები ბაზრისათვის მარკეტინგული შეთავაზებების გაკეთებისას იყენებენ სხვადასხვა მიდგომებს, რასაც განაპირობებს პროდუქტისა და მომსახურების განსხვავებული თვისებები. ეს კი, თავის მხრივ, ინდივიდუალურს ხდის მომსახურების მარკეტინგს.

მომსახურების სფეროში მარკეტინგული კვლევების ჩატარება ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო. ამ კვლევებმა მაშინვე აჩვენეს, რომ მომსახურების ეკონომიკური ფასეულობა აჭარბებს სხვა ნებისმიერი ქმედების ფასეულობას (6). მომსახურების სფეროს მნიშვნელობას მას შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, რაც პროდუქტის წარმოებაში არსებულმა კომპანიებმა დაიწყეს საკუთარი თავის მომსახურების სფეროს ნაწილად წარმოდგენა.

საკვანძო სიტყვები: მომსახურების მარკეტინგ, მარკეტინგი, მომსახურება, მომსახურების მახასიათებლები, მომსახურების თვისებები, მომსახურების მარკეტინგული მიქსი.

Services Marketing

Tamar Magalashvili

Summary

Service industry is characterized by increasing tendency. Two third of world production is service (1). According to "The Bureau of Labor Statistics" (USA) service sector still remains on the dominant position by the point of employment. By these data it is forecasted to grow employment rate of employment in 2018.

While making proposals to the market, manufacturers and service providers are using different methods of approach. This is caused from different nature of service from product. All these are reflected in service marketing.

Conduction of marketing researches has been started in early 1970s. These researches have shown that economic value of service exceeds any other activity's value (6). Importance of service sector has grown especially after manufacturers' vision of being part of service sector.

Keywords: Services marketing, marketing, service, service criteria, service properties, service marketing mix.

* * * * *

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა მომსახურებაზეა დაფუძნებული. მაგ. აშშ - ის ეკონომიკა "მომსახურების ეკონომიკად" გადაიქცა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს, ქვეყნის მშპ-ში მომსახურება სამ მეოთხედს შეადგენდა (2). 2013 წლის მონაცემების მიხედვით, გაერთიანებული სამეფოს მშპ-ში მომსახურების სექტორს 78% უკავია, ხოლო დასაქმებულ თანამშრომელთა დაახლოებით 70%-ს პირდაპირი შეხება აქვთ მომხმარებლებთან (3).

მომსახურების სფეროს ასეთმა ზრდა-განვითარებამ საჭირო და აუცილებელი გახადა კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების გამიჯვნა, განსხვავებული ხასიათის აღმოჩენა-შესწავლა და შესაბამისად, განსხვავებული, ეფექტური და მომსახურებაზე ორიენტირებული კონცეფციების შემუშავება.

1979 წელს გერი კნისელიმ ჩაატარა ერთ-ერთი პირველი კვლევა, რომლის მიზანი იყო პროდუქტის მარკეტინგსა და მომსახურების მარკეტინგს შორის განსხვავების არსებობის დადგენა. ამისათვის იგი პრაქტიკოს მარკეტერებს უსვამდა შემდეგ შეკითხვას: "განსხვავდებამომსახურებისმარკეტინგიპროდუქტის მარკეტინგისგან?". ჩატარებულმა ინტერვიუებმა ნათლად აჩვენა, რომ პროდუქტის მწარმოებელი და მომსახურების მწარმოებელი კომპანიების წინაშე მდგარი ამოცანები და სირთულეები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მომსახურების მარკეტინგის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები, გამოკითხვის მიხედვით, მომხმარებლებთან პირისპირ შეხება და საწარმოო პროცესებში ჩართულობის მაღალი დონე იყო (2 გვ. 10).

იგივე მოსაზრებას ასაბუთებს გრონრუ თავის ნაშრომში (4 გვ. 8) და ამბობს, რომ მომსახურების მარკეტინგი გულისხმობს მარკეტერებსა და იმ მენეჯერებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ოპერაციებისა და ადამიანური რესურსების მართვაზე. აქ უკვე კარგად ჩანს მომსახურებისთვის დამახასიათებელი ნიშნები - პროცესების გამართულობა და სათანადო უნარ-ჩვევების მქონე მომსახურე პერსონალის მნიშვნელობა.

მომსახურების, როგორც პროდუქტის აღწერის და განსაზღვრების შემუშავების მცდელობები ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ დაიწიყო. სიტყვა მომსახ-

ურება, თავდაპირველად ასოცირდებოდა მონების მიერ შესრულებულ სამუშაოსთან. დროთა განმავლობაში ამ სიტყვამ სხვა დატვირთვა მიიღო და ლექსიკონებში შემდეგი განმარტება გაჩნდა. მაგ,: "მომსახურების, დახმარების ან სარგებლის მიღების ქმედება". ჯონ რატმელმა მომსახურება შემდეგნაირად განმარტა: "საქმე, ქმედება, შესრულება ან ძალისხმევა" (5). გარდა ამ განმარებებისა არსებობს სხვა მრავალი.

კლასიკური განმარტების თანახმად, მომსახურება არის ეკონომიკური ქმედებებები, რომლებიც მოიცავენ მყიდველსა და გამყიდველს შორის ფასეულობების გაცვლას და ეს ქმედებები ხორციელდება ბაზარზე. დღეს მრავალი ორგანიზაცია მომსახურებას აღიქვამს, როგორც მომხმარებლისათვის "გადაწყვეტილების" შეთავაზებას (5), რაც მომსახურების მიმართ თანამედროვე და მართებული ხედვაა.

კრისტოფერ ლოველოკმა და ევერტ გუმესონმა გამოთქვეს განსხვავებული აზრი და დამოკიდებულება მომსახურების მიმართ (5). ისინი ამტკიცებენ, რომ მომსახურებას აქვს ქირაობის/დაქირავების ფორმა. მომსახურების მომხმარებლები სარგებელს იღებენ ფიზიკური ობიექტის სარგებლობის უფლების ქირაობით, მომსახურე პერსონალის დაქირავებით, მათი ცოდნა-გამოცდილების გაზიარებით ან ობიექტზე წვდომით. მომსახურების ფასეულობა იქმნება მაშინ, როცა მომხმარებლები იღებენ სასურველ გამოცდილებას და გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში, სიტყვა ქირაობა გამოიყენება ზოგადი მნიშვნელობით, როგორც გადახდის საშუალება გარკვეული დროით რაიმეს ფლობისთვის. მომხმარებელს არ შეუძლია საკუთრებაში ჰყავდეს ადამიანები, მაგრამ შესაძლებელია მათი შრომისა და ცოდნის "დაქირავება". მაგ. ექიმის ან იურისტის კონსულტაცია. რაიმე საგნის ან ობიექტზე წვდომის დროებითი გამოყენებისთვის თანხის გადახდა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ისეთი საგნებით ან/და ობიექტებით, რომელთა შეძენის და შენახვა-დასაწყობების უფლებას ვერ მისცემენ თავს. მაგ. სასტუმროს მომსახურება. ავტორები ასევე განსაზღვრავენ მომსახურების ხუთ კატეგორიას:

- ნაქირავები საქონლით მომსახურება;
- ფართი და ადგილი;
- შრომა და ცოდნა-გამოცდილება;
- ფიზიკურ გარემოზე წვდომა;
- სისტემებთან და ქსელებთან წვდომა და გამოყენება.

მე-18 საუკუნის ბოლოს და 19-საუკუნის დასაწყისში მოღვაწე კლასიკოსი ეკონომისტები ფოკუსირებას აკეთებდნენ სიმდიდრის შექმნასა და მის ფლობაზე (5). ადამ სმიტი, 1776 წელს გამოქვეყნებულ წიგნში, "ერების სიმდიდრე", წარმოების შედეგებს განასხვავებდა ერთმანეთისგან, როგორც "პროდუქტიულ" და "არაპროდუქტიულ" შრომას. პროდუქტიულს უწოდებდა საქონელს, რომელთა შენახვა და გაცვლა შესაძლებელია ფულზე ან სხვა პროდუქტზე, ხოლო არაპროდუქტიულს ყველაფერ იმას, რაც წარმოებისთანავე ქრება და არ ქმნის არანაირ სიმდიდრეს (5). ამ განმარტებებზე დაყრდნობით, ფრანგმა ეკონომისტმა ჯან-ბაპტისტ სეიმ მომსახურების წარმოების და მოხმარების განუყოფლობა აღწერა ტერმინით "უსხეულო, არამატერიალური პროდუქტები" (5).

კომპანიების მიერ წარმოებულ პროდუქციაში, მომსახურების კომპონენტი შეიძლება სხვადასხვა დონით იყოს წარმოდგენილი. ამ კრიტერიუმის მიხედვით გამოიყოფა ხუთი კატეგორია:

1. წმინდა ხელშესახები პროდუქტები;
2. ხელშესახები პროდუქტები მომსახურებასთან ერთად;
3. ჰიბრიდი;
4. მომსახურება პროდუქტთან ერთად;
5. წმინდა მომსახურება.

მომხმარებლების მიერ პროდუქტის/მომსახურების შეფასება შეძენამდე შეიძლება მოხდეს პროდუქტის მახასიათებლების, გამოცდილების ან პროდუქტის/მომსახურების მიმართ ნდობის/რწმენის მიხედვით. პროდუქტის მახასიათებლების მიხედვით შეფასებისას მომხმარებლები განიხილავენ იმ ატრიბუტებს, რომელთა შეფასება მომხმარებელს შეუძლია პროდუქტის/მომსახურების ყიდვამდე (მაგ. ფერი, სტილი, ფასი, სუნი, გემო და სხვ.). გამოცდილების მიხედვით შეფასების ატრიბუტების გამოყენება ხდება პროდუქტის ყიდვის შემდეგ ან მისი გამოყენების პროცესში (მაგ. სასტუმროში გატარებული არდადეგები, რესტორნის საკვები და სხვ.). მესამე კატეგორია, პროდუქტების/მომსახურებების შეფასება იმ კრიტერიუმებით, რომლებიც დაფუძნებულია ნდობასა და რწმენაზე, არის მომსახურებები, რომელთა შეფასება შეუძლებელია არათუ ყიდვამდე, არამედ ყიდვის შემდეგაც კი. მაგალითად, სამედიცინო მომსახურება.

მომსახურების და პროდუქტის მარკეტინგის განსხვავების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის პროდუქტისა და მომსახურებისთვის დამახასიათებელი თვისებები. ეს მახასიათებლები განაპირობებენ პროდუქტისა და მომსახურების მწარმოებელი კომპანიების განსხვავებულ მიდგომებს, როდესაც ახდენენ ბაზრისთვის შეთავაზებების გაკეთებას (2). ფილიპ კოტლერისა და კელერის მიხედვით, მომსახურება პროდუქტისგან განსხვავდება ოთხი ნიშნით, რომლებიც გავლენას ახდენენ მარკეტინგული პროგრამების დიზაინზე (7). ეს ნიშნებია:

1. არახელშესახებობა, არამატერიალურობა - ფიზიკური პროდუქტისგან განსხვავებით, მომსახურების დანახვა, გემოს შეგრძნება, შეხება, მოსმენა ან ყნოსვა შეუძლებელია. ვინაიდან მომხმარებლებს არ შეუძლიათ მომსახურების ხარისხის შეფასება შეძენამდე, შთაბეჭდილების შექმნა ხდება იქიდან თუ სად, ვის მიერ, რა საშუალებებით, ფასით და საკომუნიკაციო მასალით ხდება მომსახურების გაწევა;

2. ჰეტეროგენურობა - იქიდან გამომდინარე, რომ მომსახურების ხარისხს განსაზღრავს ის, თუ ვინ, როდის და ვისთვის ხდება მომსახურების გაწევა, მომსახურება არის ძალიან ცვალებადი ხასიათის. ზოგიერთი ორგანიზაცია ამის გამო მომხმარებლებს სთავაზობს ე.წ. მომსახურების გარანტიასაც კი, რაც ამცირებს მომხმარებლების აღქმის რისკს. მომსახურების აღნიშნული თვისებიდან გამომდინარე და მომსახურების ხარისხის კონტროლისათვის კომპანიები ახორციელებან შემდეგს — ისინი ინვესტირებას ახდენენ თანამშრომელთა დაქირავებასა და სწავლება-განვითარებაში, მომსახურების პროცესის სტანდარტიზებასა და მომხმარებელთა კმაყოფილების მონიტორინგში;

3. წარმოებისა და მოხმარების ერთდროულობა - მაშინ, როცა ფიზიკური პროდუქტები ჯერ იწარმოება, ხდება მათი დასაწყობება, დისტრიბუცია და შემდეგ შეძენა-მოხმარება მომხმარებელთა მიერ, მომსახურების წარმოების დროს, მისი მიწოდება და მოხმარება ემთხვევა ერთმანეთს, ანუ მომხმარებელი მომსახურებას იღებს წარმოებითანავე;

4. მალფუჭებადობა - იქიდან გამომდინარე, რომ მომსახურების შენახვა-დასაწყობება შეუძლებელია, ბაზარზე კონკრეტული მომსახურების მიმართ ცვალებადი მოთხოვნის მიწოდებით დაკმაყოფილება რთული ხდება. კომპანიები ასეთ შემთხვევაში იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს, როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების რეგულირებისათვის.

არსებობს განსხვავებული აზრი ზემოთ აღნიშნულ მახასიათებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, კრისტოფერ ლოველოკი ასაბუთებს, რომ არსებობს მრავალი ტიპის მომსახურება, რომელთა წარმოება და მოხმარება შეიძლება ერთმანეთისგან "გავყოთ". მაგ. ავტომობილის რეცხვითი მომსახურება - მრეცხავი ჯერ რეცხავს ავტომობილს (ხორციელდება მომსახურების პროცესი) და შემდეგ ვმგზავრობთ სუფთა ავტომობილით (ვფლობთ სუფთა ავტომობილს). ასევე, იგი ამბობს, რომ ყველანაირი მომსახურება არ არის "მალფუჭებადი". მაგ. კვლევითი კომპანიის მომსახურება - კვლევითი კომპანია ატარებს კვლევას და შემდგომ, დამკვეთ ორგანიზაციას წერილობითი დოკუმენტის სახით აბარებს კვლევის შედეგებს, რომლებსაც კომპანია ინახავს და იყენებს საჭიროებისამებრ სასურველი დროის განმავლობაში (5).

ზემოთ აღწერილი განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, მომსახურების თვისებები განაპირობებენ მომსახურების მარკეტინგულ მიქსის (4P's1) ბუნებრივად გაფართოებას და კიდევ ოთხი "P" კომპონენტის დამატებას (ადამიანები, პროცესები, გარემო, ეფექტიანობა/ხარისხი). ანუ, მომსახურების მარკეტინგული მიქსი შედგება 8P's2-გან. განვიხილოთ თითოეული მათგანი. 1. ადამიანები - მიუხედავად ტექნოლოგიური განვითრებისა, კვლავ რჩება მომსახურების მრავალი სფერო, სადაც მომსახურე პერსონალი პირდაპირ კავშირშია მომხმარებლებთან. ის, თუ როგორ მოახდენს პერსონალი მომხმარებლებამდე მომსახურების მიტანას, მნიშვნელოვნად განაპირობებს, თუ როგორ მოხდება მიმღების მიერ მომსახურების აღქმა. 2. პროცესი - ის, თუ როგორ ახდენს კომპანია მომსახურების მიტანას მომხმარებლამდე, ანუ პროცესი, იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის, თუ რა მომსახურება მიეწოდება ბაზარს. მომსახურების წარმოებას და მიწოდებას სჭირდება ეფექტიანი პროცესის დიზაინი და იმპლემენტაცია. 3. გარემო - ვინაიდან, მომხმარებლები მომსახურების შეფასებას შეძენამდე ვერ ახერხდებენ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, თუ სად ხდება მომსახურების შეთავაზება, ყიდვა-გაყიდვა. მომხმარებლებზე დიდ გავლენას ახდენს სერვის კომპანიის ექსტერიერი, ინტერიერი, პერსონალის ვიზუალური მხარე, მანქანა-დანადგარები და სხვა ფიზიკური მახასიათებლები. 4. ეფექტიანობა/ხარისხი - ეფექტიანობის გაზრდა ხარჯების შემცირების გზაა. თუმცა, მენეჯმენტი ამ შემთხვევაში ფრთხილად უნდა იყოს, ვინაიდან, ამ ქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომსახურების ხარისხის ვარდნა, რაც საბოლოოდ აისახება მომხმარებელთა და მომსახურე პერსონალის უკმაყოფილებზე. ხარისხის გაზრდა, რომელიც მომხმარებელთა თვალთახედვიდან უნდა გამომდინარეობდეს, მნიშვნელოვანია მომსახურების დიფერენცირებისა და მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდისათვის. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია შესათავაზებელი მომსახურების დამატებითი ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა. თუ მომხმარებლები არ არიან მზად/არ სურთ გადაიხადონ დამატებითი თანხები მომსახურების გაზრდილ დონეში ან დამატებით მომსახურებაში, მაშინ კომპანია წააგებას. ამრიგად, მომსახურების გაფართოებული მარკეტინგული მიქსი უზრუნველყოფს კომპანიების მიერ მომსახურების მახასიათებლების გაანალიზებას, ეფექტური შეთავაზებების გაკეთებას და სწორი სტრატეგიის განსაზღვრას.

აღსანიშნავია, რომ დღეს მომსახურება ინტეგრირებულია საქონლის მწარმოებელი საწარმოების შეთავაზებებში და ის აღარ განიხილება მხოლოდ მომსახურების მწარმოებელი კომპანიების მიერ წარმოებულ პროდუქტად. მაგალითად, ელექტორსაყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიები, გარდა ტექნიკისა მომხმარებლებს სთავაზობენ სხვადასხვა დამატებით მომსახურებებს - გარანტიას, პროდუქტის სასურველ ადგილზე მიტანას, დამონტაჟებას, გაყიდვის შემდგომ მომსახურებას, მანქანის მწარმოებელი კომპანიები მაგალითად, დაზღვევას და შეკეთების მომსახურებას (8).

და ბოლოს, მომსახურების ეკონიმიკისა და წარმოებულ პროდუქციაში დამატებითი ფასეულობის <u>მომტანი მომსახურების ელემენტების დამატება</u> - ეფექტიანობა/ხარისხი.

---

1 ინგლისურად: Product - პროდუქტი, Price - ფასი, Plece - ადგილი, Promotion – სტიმულირება.

2 ინგლისურად: People - ადამიანები, Processes - პროცესები, Phisical evidence - გარემო, Performance

ხშირად ზღვარს შლის მომსახურებასა და წარმოებას შორის. როგორც კარგად ცნობილი მარკეტინგის ექსპერტი თეოდორ ლევიტი ამბობდა: "მომსახურების ინდუსტრია, როგორც ასეთი, არ არსებოს. არსებობს ინდუსტრიები, სადაც მომსახურების ელემენტები არის მეტი ან ნაკლები სხვებთან შედარებით. ყველა არის მომსახურებაში".

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Christopher Lovelock, Jochen Wirtz. Services Marketing- People, Technology, Strategy. 6th Edition. s.l. : Prentice Hall, 2005. p. 12. B0041W0OD6.
2. Marc Stickdorn, Jakob Schneider. This is service desigh thinking. 2010. 978-90-6369-256-8.
3. Valerie A. Zeithaml, A. Parasuraman, Leonard L. Berry. Delivering Quality Service. Balancing Customer Perceptions and Expectations. New York : The Free Press, 1990.
4. Lovelock Christopher, Jochen Wirtz. Services Marketing - People, Technology, Strategy. 5th Edition. s.l. : Pearson Prentice Hall, 2004. 0-13-126846-5.
5. Philip Kotler, Kevin Lane Keller. Marketing Management. 14th Edition. New Jersey : Prentice Hall, 2012. 978-0-13-210292-6.
6. Valerie A. Zeitmal, Mary Jo Bitner. Services Marketing:integrating customer focus across the firm. USA : McGraw-Hill Higher Education, 2000. 0-07-23221-1.
7. Breaking Free From Product Marketing. Shostack, G. Lynn. s.l. : Journal of Marketing, April, 1997.
8. Bank, World. World Development Indicators. NY : The World Bank, 2011.
9. http://blog.instituteofcustomerservice.com/.

რისკები ინოვაციურ ეკონომიკაში

4

აკაკი გვარუცაძე, *ასოც. პროფესორი*

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში „რისკები ინოვაციურ ეკონომიკაში“ აღნიშნულია, რომ ონივაციური ეკონომიკა წარმოუდგენელია რისკების გარეშე. რისკი არის საფრთხე, სავარაუდო ზარალი ან ზიანი, რომელიმე არასასურველი მოვლენის დადგომის შესაძლებლობა. რისკის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ალბათობა იმისა, რომ ფირმამ თავისი სამეწარმეო საქმიანობის შედეგად, შესაძლოა დაკარგოს რესურსების ნაწილი, ვერ მიიღოს დაგეგმილი მოგება ან გაუჩნდეს გაუთვალისწინებელი ხარჯები. ცხადია, ზარალი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ახალ პროდუქციასა და მომსახურებას ბაზარი არ მიიღებს, ან თუკი ინოვაციური მმართველობითი მეთოდები არ აღმოჩნდება ეფექტიანი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბიზნესის სხვა სფეროებთან შედარებით, ინოვაციურ ბიზნესში უფრო მეტი რისკია, რადგან სასურველის მიღების გარანტია ამ ტიპის საქმიანობაში პრაქტიკულად გამორიცხულია.

ინოვაციური ბიზნესი და მასთან დაკავშირებული რისკების იმართება და რეგულირდება როგორც სახელმწიფო ისე ფირმის დონეზე. სახელმწიფო დონეზე მას ქვეყნის მთავრობა არეგულირებს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი რეგულირება მჟღავნდება ინოვაციური ბიზნესის დოტაციურ დაფინანსებაში, ხოლო არაპირდაპირ მეთოდს მიეკუთვნება ინოვაციური ფირმების შეღავათიანი დაბეგვრა გადასახადებით.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური, რისკი, ბიზნესი, რეგულირება, პროგრამული, მიზნობრივი, ინოვაციური ბიზნესი.

Risks in innovative Economy

Akaki Gvarutsidze, professor

Summary

,,Risks in innovative Economy'' are marked in Scientific article, that innovative business is inconceivable without risks. Risk is threat, estimated losses or damage, possibility of any adverse event. Under risk we should consider the probability that firm may loss the part of resources as a result of its entrepreneurial activity, it can't get the planned profit or to raise unforessen expenses. It's clear the damage may arise in case when market does nor receive the new products or service, or innovative managing methods will not be effective.

It should be noted, thar there is more risk in innovative business compared ro other areas of business, because the guarantee of desired reslut in this type of activity is practically impossible.

Innovative business and risks realted to it manage and regulate on the level of State and Firm. The government regulates it on the level of state with direct and indirect methods. direct regulate reveals in subsized finansing of innovative business, also in program-targeted financing. Inderect methods consist preferential taxation taxes.

Key words: innovative, risk, adjustment, program-targeted, innovative business.

* * * * * *

ინოვაციური ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას. ინოვაციური ბიზნესის ქვეშ იგულისხმება კომერციული საქმიანობა ამა თუ იმ ფორმით, რომლის მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება ინოვაციების შექმნისა და გავრცელების გზით, ეროვნული მეურნეობის ყველა სფეროში.

ინოვაციურ ბიზნესს ახასიათებს პროგრესის სწრაფი ტემპები, მოდელების სწრაფი ცვლა, მომხმარებელთა მომავალი მოთხოვნების გაცნობა და მომენტალური დაკმაყოფილება, მჭიდრო კონტაქტი მომხმარებლებთან სიახლეების დანერგვის მიზნით და ა.შ, ინოვაციურ ბიზნესს საქმე აქვს ახალი პროდუქციის ან მომსახურეობის შექმნასთან, ათვისებასა და კომერციულ გამოყენებასთან. ეს პროცესი მთელ რიგ ეტაპებს მოიცავს. ესენია: ახალი იდეის დაბადება, იდეის შეფასება, ბიზნეს-გეგმის შედგენა, საჭირო რესურსების მოძიება, საცდელი ნიმუშების დამზადება და გამოცდა, გასაღების ბაზრების მოძიება და შესწავლა, ბაზარზე ახალი საქონლის წინ წაწევა, ბაზარზე „ნიშის“ მოპოვება,

ახალი საქონლის მასიური დამზადება.[1] ჩამოთვლილი ეტაპებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი არის გასაღების ბაზრების შესწავლა, ხოლო ყველაზე შრომატევადი ბიზნეს-გეგმის შედგენა. ბაზარი ინოვაციურ პროდუქციას არ იცნობს, ამიტომ ამ საქმის ინიციატორებს სჭირდებათ დიდი მუშაობა, რომ დარწმუნდნენ მიიღებს თუ არა მათ სიახლეს ბაზარი, „შეიჭრება“ თუ არა იგი ბაზარში და შეძლებს თუ არა უკვე არსებულის კონკურენციას. ამისათვის მათ დასჭირდებათ კონკურენტი პროდუქციის შეფასება, მუშაობაში გათვალისწინება და აგრეთვე დიდი სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობის ჩატარება მომხმარებლის ინფორმირების მიზნით ახალი სახეობის საქონლის გამოშვების შესახებ.

ინოვაციური ბიზნესი არის სიახლეების შექმნის და გამოყენების პროცესი რაც ორგანულად არის დაკავშირებული მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისებასთან, ორგანიზაციისა და მართვის ახალი მეთოდების დანერგვასთან. ყოველივე ეს კი გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. ინოვაციური ბიზნესისათვის ყველა ის რისკია დამახასიათებელი, რაც საერთოდ ეკონომიკისათვის.

რისკი არის საშიშროება, სავარაუდო ზარალი ან ზიანი, რომელიმე არასასურველი მოვლენის დადგომის შესაძლებლობა. რისკის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ალბათობა იმისა, რომ ფირმამ თავისი სამეწარმეო საქმიანობის შედეგად, შესაძლოა დაკარგოს რესრუსების ნაწილი, ვერ მიიღოს დაგეგმილი მოგება ან გაუჩნდეს გაუთვალისწინებელი ხარჯები. ბიზნესის სხვა სფეროებთან შედარებით ინოვაციურ ბიზნესში უფრო მეტი რისკია, რადგან სასურველი შედეგის მიღების გარანტია ამ ტიპის საქმიანობაში პრაქტიკულად გამორიცხულია. ამერიკელი მეცნიერი ბ. ტეისი იმასაც ამტკიცებს, რომ ინოვაციურ ბიზნესში ლისკონტის განაკვეთად ბანკის პროცენტის გამოყენება და ამ დარგისათვის მისი ბაზად მიღება დაუშვებელია, რადგან ეს არის დარგი, სადაც წარმატების ალბათობა 10%-ია, რისკისა და დანაკარგის კი — 90%. ამავე აზრის არიან მედინსკი და სტრეკალოვი. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა და გაბედული შემოქმედებითი არატრივიალური ქმედება, თავის მხრივ კიდევ უფრო აძლიერებს რისკის ალბათობას.

ინოვაციურ ეკონომიკაში რისკებს წარმოქმნის ფუნდამენტური, კონიუნქტურული და შინაგანი ფაქტორები. ფუნდამენტურ ფაქტორებს მიეკუთვნება კონკრეტული ქვეყნის და აგრეთვე, მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კონიუნქტურულ ფაქტორებს – ბაზრის მდგომარეობა, ხოლო შინაგან ფაქტორებს, ვენჩურული ფირმის შინაგანი გარემო.

ინოვაციურ ეკონომიკაში რისკები იმართება და რეგულირდება როგორც სახელმწიფო, ისე ფირმის დონეზე. სახელმწიფო დონეზე მას ქვეყნის მთავრობა არეგულირებს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით.

პირდაპირი რეგულირება მჟღავნდება ინოვაციური ბიზნესის დოტაციურ დაფინანსებაში და აგრეთვე, პროგრამულ-მიზნობრივ დაფინანსებაში. არაპირდაპირ მეთოდებს მიეკუთვნება ინოვაციური ფირმების შეღავათიანი დაბეგვრა გადასახადებით.

ინოვაციურ ბიზნესში შეიძლება წარმოიშვას წმინდა და სპეკულაციური რისკები. პირველი გულისხმობს ბიზნესში ისეთი ფაქტორების მოქმედებას, რომლის შედეგი აუცილებლად არის ზარალი და მათი გავლენის შეცვლა შეუძლებელია. მაგალითად, სტიქიური უბედურება, ხანძარი, პოლიტიკური კატაკლიზმები და სხვა. სპეკულაციური რისკები კი დაკავშირებულია მმართველობით გადაწყვეტილებებთან, რომელთა შედეგი შეიძლება იყოს როგორც ზარალი, ასევე — მოგება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

რისკი, რომელიც მოსალოდნელია ინოვაციური პროექტის არასწორად შერჩევის შემთხვევაში, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ფირმის ეკონომიკური და საბაზრო სტრატეგიის პრიორიტეტების არასწორი განსაზღვრა, სამომხმარებლო ბაზრის არაადეკვატური შეფასება;

ინოვაციური პროექტის არასაკმარისი დაფინანსების რისკი, რომელიც გამოწვეულია დაფინანსების წყაროს არასწორი შერჩევით. აღსანიშნავია, რომ ინოვაციური პროექტის დაფინანსების წყაროს შერჩევისას საწარმოს აქვს სამი შესაძლო არჩევანი: 1) პროექტის თვითდაფინანსება; 2) დაფინანსება გარე წყაროებიდან; 3) პირველი ორი ვარიანტის კომბინაცია;

მარკეტინგული რისკი, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციური პროექტის რეალიზაციისთვის საჭირო რესურსების მიწოდების შეფერხებასთან და ძირითადად განპირობებულია ტექნიკური თავისებურებებით. ხშირ შემთხვევაში, პროექტის განსახორციელებლად საჭიროა უნიკალური მოწყობილობები, მაღალხარისხიანი მაკომპლექტებლები, ან ისეთი მასალები, რომლებიც თავად მოითხოვენ დამუშავებასა და ათვისებას. ამიტომ ზოგჯერ საწარმოს წინაშე დგება პრობლემა, იპოვოს ისეთი მიმწოდებლები, რომლებიც შესძლებენ მის უზრუნველყოფას ამა თუ იმ უნიკალური რესურსით. ხოლო, როცა ასეთი მომწოდებლები არ არსებობენ ადგილობრივ ბაზარზე. ფირმა იძულებულია ეძებოს ისინი საერთაშორისო ბაზარზე, რაც ცხადია, განაპირობებს დამატებით ხარჯებს და წარმოშობს საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ რისკებს;

ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის მარკეტინგული რისკი, რომელიც წარმოიშობა ბაზრის არასაკმარისი სეგმენტაციის გამო, როცა ახალ, მიმზიდველ, მაგრამ მაღალი ფასის მქონე საქონელს ვერ ყიდულობენ მომხმარებლები, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა არასწორად

1 ლაზვიაშვილი ნ., „რისკმენეჯმენტი“ (სახელმძღვანელო), თბ., 2010, გვ. 63.

არის შერჩეული მიზნობრივი ბაზრის სეგმენტი და რისკი წარმოიშობა შემდეგ სიტუაციებში: 1) თუ ინოვაციურ პროდუქტზე მოთხოვნა შერჩეული ბაზრის სეგმენტზე არასტაბილური აღმოჩნდება; 2) თუ არჩეულია ბაზრის ისეთი სეგმენტი, რომელზეც მოთხოვნა ინოვაციურ პროდუქტზე შეფასებულია არასწორად; 3) თუ გაყიდვებისთვის შერჩეულია ბაზრის სეგმენტი, რომელზეც ინოვაციურ პროდუქტზე მოთხოვნა შეზღუდულია;

კონკურენტებთან დაკავშირებული რისკი, რომლის წარმოშობის მიზეზებია: კონკურენტებზე არასრული ან არასაწმუნო ინფორმაციის ფლობა, სიახლეების დანერგვის უფრო ნელი ტემპები კონკურენტებთან შედარებით, კონკურენტების მხრიდან კონკურენციის არასწორი მეთოდებით წარმართვა, რაც ასახვას ჰპოვებს ბაზარზე სხვა მწარმოებლების გამოჩენაში, რომლებმაც შესაძლოა ანალოგიური პროდუქცია შესთავაზონ მომხმარებლებს;

ინოვაციურ პროექტთან დაკავშირებული საკუთრების უფლების უზრუნველყოფის რისკი, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა მიზეზის გამო. მაგალითად, დაპატენტების პოლიტიკის საკითხებში დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება ნულამდე დაიყვანოს ფირმის მიერ სიახლის დანერგვით მიღებული კონკურენტული უპირატესობა. არსებობას რისკი იმისა, რომ გაჭიანურდეს პატენტის დარეგისტრირება, დაგვიანდეს ლიცენზიის მიღება დროულად გადაუხდელობის გამო, საპატენტო ორგანომ უარი თქვას პატენტის დამტკიცებაზე და შეაფერხოს მისი გაცემა. გარდა აღნიშნულისა, მოსალოდნელია აგრეთვე პატენტის გაპროტესტების რისკი, რამაც შეიძლება ხშირ შემთხვევაში გამოიწვიოს საპატენტო უფლების გაუქმება;

საწარმოო-ტექნოლოგიური რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საწარმოო წუნის, ხანძრის, ავარიის და სხვა შემთხვევაში;

რისკი, რომელიც დაკავშირებულია არასრულ და არაზუსტ ინფორმაციასთან ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების პარამეტრების დინამიკის შესახებ;

გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოქმნისა და შესაბამისად, მოგების შემცირების რისკი;

გარდა ზემოაღნიშნული რისკებისა, ინოვაციურ საქმიანობაზე გავლენას ახდენს ის რისკები, რომლებიც დამახასიათებელია ბიზნესის სხვა სფეროებისათვის:

ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკი;

- სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების რისკი;
- საგარეო ეკონომიკური რისკი, რომლებიც დაკავშირებულია საგარეო საქმიანობაში შეზღუდვების დაწესებასთან, საზღვრების დაკეტვასთან და სხვა;
- ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული რისკები და სხვა.

რისკის მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ დინამიურად განვითარებადი სახის პროფესიულ საქმიანობას. იგი მოიცავს შემდეგ სტადიებს: სავარუდოდ რისკის გამოვლენას, რისკის შეფასება, რისკის მართვის მეთოდის შერჩევას და მისი გამოყენებით მიღებული შედეგების შეფასება.

რისკის მართვა, როგორც სისტემა, შედგება ორი ქვეისისტემისაგან: მართვადი ქვესისტემა, რომელიც მოიაზრება მართვის ობიექტად და მმართველი ქვესისტემა, რომელიც წარმოგვიდგება მართვის სუბიექტად. რისკის მართვის სისტემაში მართვის ობიექტს მიეკუთვნება: რისკის დაშვება, კაპიტალის სარისკო ჩადება და რისკის რეალიზაციის პროცესში ეკონომიკური ურთიერთობა ისეთ მეურნე სუბიექტებს შორის, როგორიცაა: მეწარმე და პარტნიორები, კრედიტორი და დებიტორი, დამზღვევი და მზღვეველი, კონკურენტები და ა.შ. რისკის მართვის სისტემაში მართვის სუბიექტად კი მიჩნეულია ადამიანთა სპეციალური ჯგუფი (მეწარმე, ფინანსური მენეჯერი, რისკ-მენეჯერი, დაზღვევს სპეციალისტი და სხვ.), რომელიც სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ახდენს გავლენას მართვის ამა თუ იმ ობიექტზე.

ბევრ ფირმაში შემოღებულია რისკ-მენეჯერის თანამდებობა, რომლის მოვალეობას წარმოადგენს ამა თუ იმ სახის რისკის შემცირება. რისკ-მენეჯმენტის მმართველობითი ფუნქცია დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო საშუალებებით დროული და კომპლექსური მანიპულირება. აღსანიშნავია, რომ ინოვაციურ საქმიანობაში მნიშვნელოვანია არა რისკების თავიდან აცილება, არამედ მათი მინიმიზაცია, რაც შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მეთოდების გამოყენებით:

რისკების განაწილების მეთოდი გულისხმობს თანაინვესტორთა მოძიებას, რათა მიღწეულ იქნას რისკების შემცირება მათი გადანაწილებით პროექტის მონაწილეობაზე. მხარე, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტულ რისკზე, კარგად უნდა ერკვეოდეს მის სპეციფიკაში, რათა გონივრულად შეაფასოს და აკონტროლოს იგი. ამასთან, იგი უნდა იყოს ფინანსურად მდგრადი იმისათვის, რომ გაუძლოს რისკების სავარაუდო უარყოფით გავლენას. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ძლიერია თანაინვესტორთა ჯგუფი, მით ნაკლებია პროექტის შეჩერების ალბათობა ამა თუ იმ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო.

დივერსიფიკაციის მეთოდი საშუალებას იძლევა, ინვესტიციათა მრავალფეროვნების ხარჯზე შემცირებულ იქნას პორტფელური რისკები, რაც გულისხმობს ერთ საინვესტიციო პროექტის გაერთიანებას იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ყველა პროექტის მომგებიანობის ერთდროული ცვლილება ერთი და იმავე მიმართულებით. რისკიანი ფინანსური აქტივებისაგან შემდგარი პორტფელები შეიძლება ისეთნაირად იქნას ფორმირებული, რომ თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო ერთ-ერთი პროექტი აღმოჩნდება წამგებიანი, სხვების მიერ მიღებულმა მოგებამ კომპანია გაკოტრებისგან გადაარჩინოს. დივერსიფიკაცია გულისხმობს ასევე,

პროდუქციის გარკვეულ სახეობაზე მოთხოვნის შემცირებით გამოწვეული რისკის თავიდან აცილების მიზნით ფირმის მიერ სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებას;

დაზღვევა, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, წარმოადგენს რისკის შემცირების ყველაზე გავრცელებულ ფორმას და გულისხმობს რისკის სხვაზე გადაცემას გარკვეული გასამრჯელოს ფასად, რაც ნიშნავს ზარალის განაწილებას სადაზღვევო ურთიერთობების მონაწილეთა შორის. დაზღვევის შემთხვევაში იქმნება სპეციალური სადაზღვევო ფონდი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ზარალისა თუ დანაკარგის ანაზღაურების მიზნით. მაგალითად, სადაზღვევო კომპანიაში ფიზიკური და იურიდიული პირები დებენ თანხებს იმისათვის, რომ რისკით გამოწვეული ზარალის შემთხვევაში დამზღვევმა მიიღოს გარკვეული კომპენსაცია. კერძო სადაზღვევო კომპანია წარმოადგენს კომერციულ საწარმოს. საქონელი, რომლითაც ის ვაჭრობს, საფინანსო დახმარებაა. იმისათვის, რომ შეძლონ ფუნქციონირება, სადაზღვევო კომპანიებმა უნდა დაფარონ საკუთარი დანახარჯები, რომლებიც შედგება სადაზღვევო პოლისების ასანაზღაურებელი თანხების, ადმინისტრაციული დანახარჯები,ს ლიკვიდურობისა და გადასახადებისაგან. სადაზღვევო კომპანიებში დიდ როლს თამაშობენ ის ადამიანები, რომლებიც განსაზღვრავენ სადაზღვევო დანაკარგებისა და პრემიების მოცულობას. მათ აქტუარები ეწოდება. ისინი ადგენენ სადაზღვევო ცხრილებს, სადაც აისახება სხვადასხვა სტიქიური მოვლენის ალბათობა და იყენებენ მათ სადაზღვევო პრემიების დასადგენად. სადაზღვევო აგენტები არიან სადაზღვევო კომპანიების ის თანამშრომლები, რომლებიც წყვეტენ, თუ რომელი რისკები, რა თანხებში უნდა იქნეს დაზღვეული. აღსანიშნავია, რომ დაზღვევა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირთა დიდი რაოდენობა განიცდის ანალოგიურ რისკს.

რისკის დაზღვევასთან ერთად გამოიყენება დაზღვევა, რომელიც გულისხმობს პირდაპირი მზღვეველის მიერ დაზღვეულისაგან სადაზღვევო ხელშეკრულებით აღებული რისკის გარკვეული ნაწილის სხვა მზღვეველისთვის გადაცემას ისე, რომ ამ უკანასკნელს დაზღვეულთან სამართლებრივი ურთიერთობა გააჩნია. გადაზღვევის დროს მაქსიმალურად იზღუდება სადაზღვევო კომპანიის ზარალი და ის გაკოტრებისაგან დაცულია. გადაზღვევის მიზანია რისკების განაწილების გზით დამზღვევის დაბალანსებული პორტფელის შექმნა, სადაზღვევო ოპერაციების ფინანსური მდგომარეობისა და რენტაბელობის უზრუნველყოფა, ზეგავლენა პირდაპირი მზღვეველის გადახდისუნარინობის მაჩვენებელია გაუმჯობესებაზე, ლიკვიდური აქტივების შეთავაზება უშუალოდ მზღვეველისათვის სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას, დანაკარგის სწრაფი რეგულირებისათვის გადაზღვევის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა სადაზღვევო კომპანიების რისკის ასაღებად საკმარისი ფინანსური თანხები არ გააჩნიათ. გადაზღვევა რეგულირდება ხელშეკრულების ფორმით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ერთი სადაზღვევო კომპანია - ,,ცედენტი" გადასცემს დასაზღვევად მიღებული რისკის ნაწილს სხვა კომპანიას - ,,ცესიონერს". გადაზღვევის ხელშეკრულება პირდაპირ მზღვეველსა და გადამზღვეველს შორის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველია, რომელშიც მოცემულია გადაზიდვების წესები და დებულებები.

რეზერვირება, რომლის დროსაც საწარმო ქმნის სპეციალურ ფონდებს (ძირითადად მოგებიდან) საბრუნავი საშუალებების ნაწილის ხარჯზე. იგი წარმოადგენს სარეზერვო ფონდის შექმნის დეცენტრალიზებულ ფორმას სამეურნეო სუბიექტში, ამიტომაც განიხილება, როგორც დანაკარგის დაფარვაზე საშუალებების რეზერვირება და ხშირად თვითდაზღვევას უწოდებენ. რეზერვირების შემთხვევაში აუცილებელია ოპტიმალური მარაგის განსაზღვრა, ხოლო თუ დანაკარგებმა გადააჭარბა დაგროვილ რეზერვს, რაც მოსალოდნელია დაუგეგმავი რისკის პრიობებში, საწარმომ უნდა გამონახოს მათი კომპენსაციისათვის დამატებითი სახსრები.

ჰეჯირება წარმოადგენს ბაზარზე არასასურველი ფასის კონიუნქტურის რისკის შემცირების ეფექტიან საშუალებას. ვადიანი კონტრაქტების დადებით მეწარმე თავს იცავს ბაზარზე ფასების რყევისაგან, რითაც ამცირებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის სავარაუდო შედეგების გაურკვევლობის დონეს.

ლიმიტირება გულისხმობს შეზღუდვის სისტემის გარკვეულ წესებს, რომლებიც გამოიყენება კაპიტალდაბანდებების განსაზღვრის, საქონლის კრედიტში გაყიდვის, სესხის გაცემის და სხვა შემთხვევაში, მისი საშუალებით ხდება ფულადი სახსრების ზღვრული დონის დადგენა.

აღსანიშნავია, რომ რისკის მინიმიზაციის მეთოდების კონკრეტული არჩევანი დამოკიდებულია მეწარმისა და რისკ-მენეჯერის გამოცდილებასა და ინოვაციური ფირმის შესაძლებლობაზე. ხშირად სასურველი შედეგის მისაღებად გამოიყენება არა ერთი, არამედ, რისკების შემცირების მეთოდთა ერთობლიობა ინოვაციური პროექტის განხორციელების ცალკეულ ეტაპზე. რაც, საბოლოო ჯამში, კომპანიის ეფექტიანი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

დასკვნა

ინოვაციური ბიზნესი არის სიახლეების შექმნის და გამოყენების პროცესი, რომელიც დაკავშირებულია დიდ რისკებთან.

რისკი ინოვაციურ ბიზნესში შეიძლება განიმარტოს როგორც ალბათობა ზარალისა, რომელიც მოსალოდნელია ორგანიზაციის მიერ სახსრების დაბალანსებით ახალი პროდუქციისა და მომსახურების წარმოაბასა და ძველის გაუმჯობესებაში, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებაში, ორგანიზაციისა და მართვის ახალი მეთოდების დანერგვაში.

რისკები ინოვაციურ ბიზნესში შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

რისკი, რომელიც მოსალოდნელია ინოვაციური პროექტის არასწორად შერჩევის შემთხვევაში, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ფირმის (საწარმოს) ეკონომიკური და საბაზრო სტრატეგიის პრიორიტეტების არასწორად განსაზღვრა, სამომხმარებლო ბაზრის არაადეკვატური შეფასება.

ინოვაციური პროექტის არასაკმარისი დაფინანსების რისკი, რომელიც გამოწვეულია დაფინანსების წყაროს არასწორი შერჩევით.

მარკეტინგული რისკი, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციური პროექტის რეალიზაციისათვის საჭირო რესურსების მიწოდების შეფერხებასთან და ძირითადად განპირობებულია ტექნიკური თავისებურებებით.

საწარმოო-ტექნოლოგიური რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საწარმოო წუნის, ხანძრის, ავარიის და სხვა შემთხვევაში.

რისკი, რომელიც დაკავშირებულია არასრულ და არაზუსტ ინფორმაციასთან ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების პარამეტრების დინამიკის შესახებ.

გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოქმნისა და, შესაბამისად, მოგების შემცირების რისკი.

ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკი, სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების რისკი, რომელიც დაკავშირებულია საგარეო საქმიანობაში შეზღუდვის დაწესებასთან, საზღვრების დაცვასთან და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაციური ბიზნესისათვის ყველა ის რისკია დამახასიათებელი, რაც საერთოდ ეკონომიკისათვის. ეს არის დარგი, სადაც წარმატების ალბათობა 10%-ია, რისკისა და დანაკარგის კი – 90%. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა და გაბედული შემოქმედებითი არატრივიალური ქმედება, თავის მხრივ, კიდევ უფრო აძლიერებს რისკის ალბათობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა., „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები“, თბ., 2014.
2. ბარათაშვილი ე., დათაშვილი ვ., ნაკაიძე გ., ქუთათელაძე რ. ,,ინოვაციების მენეჯმენტი“, თბ., 2008.
3. გვარუციძე ა., ,,ინოვაციები ბიზნესში” (მონოგრაფია), თბ., 2012.
4. ლაზვიაშვილი ნ., ,,რისკმენეჯმენტი” (სახელმძღვანელო), თბ., 2010.
5. Молчанов Н.Н. Иновационный процесс: организация и маркетинг, Санкт-Петербург, 2012.

სამრეწველო საწარმოთა ლოგისტიკური უზრუნველყოფის საინვესტიციო საქმიანობის მართვის მოდელი

მაია ლომსაძე-კუჭავა, ასოც. პროფესორი
ხათუნა გიორგაძე, დოქტორანტი

რეზიუმე

ჩამოყალიბებულია სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკურ ჯაჭვის სისტემა, განხილულია რამდენად მნიშვნელოვანია სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკა ქართული ეკონომიკისათვის. შედგენილია სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკური უზრუნველყოფის საინვესტიციო საქმიანობის მართვის მოდელი.

საკვანძო სიტყვები: ლოგისტიკა, სამრეწველო საწარმო, მიწოდების ჯაჭვი, მენეჯმენტი.

The management model of investment activity of logistics of industrial enterprise

Maya Lomsadze-Kuchava,
Associate Professor
Khatuna Giorgadze,
Doctoral Student

Summary

Analyzes the system of chain logistics of industrial enterprise, discusses the importance of the logistics of industrial enterprise for Georgian economy. Created the management model of investment activity of logistics of industrial enterprise.

Keywords: logistics, industrial enterprise, supply chain, management.

******

ლოგისტიკა არის საქონელ მოძრაობის ისეთი ახალი მიმართულებების პოვნა, რომლებიც უზრუნველყოფს საქონლის მომხმარებელთან მიტანას მინიმალურ დროში ნაკლები დანახარჯებით. ლოგისტიკაში მთავარია შენარჩუნებული იყოს წარმოებისა და კვლავწარმოების უწყვეტობა. ლოგისტიკის მთავარი პრინციპებია: ეკონომიურობა, მარაგების მოცულობების მინიმალიზაცია, საქონელბრუნვის მოდელირება, მოქნილობა (შესწორებები მასალების შესყიდვის გრაფიკში და მიწოდების დროებში), კომპიუტერიზაცია.

ლოგისტიკის მთავარი მახასიათებელი პარამეტრია ლოგისტიკური ჯაჭვი, რომელიც წარმოადგენს ფიზიკური ან იურიდიული პირების წრფივად მოწესრიგებად სიმრავლეს, ისინი ასახავენ მომარაგების ოპერაციებს ერთი სისტემიდან მეორემდე გარე მატერიალური ნაკადების მისატანად.

ლოგისტიკურ ჯაჭვის პარამეტრებია: რგოლურების კოეფიციენტი - იგი უჩვენებს თუ რამდენჯერ იყო გაყიდული პროდუქცია; სასაწყობო რეგულირების კოეფიციენტი - აჩვენებს თუ რამდენჯერ განიცადა პროდუქციამ გადატვირთვა ერთი და იგივე გზაზე.

სამრეწველო საწარმოთა ლოგისტიკური მართვა გამოისახება იმ ღონისძიებების, მეთოდებისა და სახსრების (მატერიალური და არამატერიალური) ერთობლიობაში, რომელთა დაბანდება ხდება კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

სამრეწველო საწარმოთა საერთო განვითარების დონე განპირობებულია შემდეგი ძირითადი კომპონენტებით: ეკონომიკური განვითარების დონე, კორპორატიული განვითარების დონე, ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების დონე, მენეჯმენტის დონის განვითარება.

განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ხშირად ისმის კითხვები: რა ტენდენციები შეიმჩნევა სამრეწველო საწარმოთა ლოგისტიკის განვითარების კუთხით საქართველოში, როგორია ქვეყანაში ტვირთბრუნვის დინამიკა, სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკის მნიშვნელობა ქართული ეკონომიკისათვის, რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს დარგის განვითარებამ სახელმწიფოს და სხვა.

ამ კითხვებზე პასუხს სცემს ის ქვეყნები, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ პირობებსა და ეფექტურ სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ინფრაქტრუქტურას, ახერხებენ მოიზიდონ კომპანიები, რომლებიც გლობალური ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენენ.

გლობალიზაციის პროცესში აღნიშნული კომპანიები ღებულობენ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას, თუ სად განალაგონ მათი საწარმოები, სად გაასაღონ წარმოებული პროდუქცია და როგორ და რა პირობებში მოახდინონ მათი ტრანსპორტირება მსოფლიო ბაზარზე.

ამ გადაწყვეტილებაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის, ლოგისტიკური სერვისის ხარისხი და მისი დანახარჯი. ამისთვის აუცილებელია მზა პროდუქციის სწრაფი, უსაფრთხო და იაფი ტრანსპორტირება საბოლოო მომხმარებლამდე.

ვუპასუხოთ კითხვას: რამდენად მნიშვნელოვანია ლოგისტიკის, ამ დარგის განვითარება ქართული ეკონომიკისთვის? რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს დარგის განვითარებამ სახელმწიფოს?

სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მისი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 12 პროცენტს შეადგენს. ლოგისტიკის სექტორის განვი-

თარება განაპირობებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში და მის ეფექტურ დაკავშირებას მსოფლიოს წამყვან ბაზრებთან.

სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკა რეგიონებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ გლობალურ ბაზარზე წარმატებულ პოზიციონირებაზე.

განვითარებული სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფ და ეფექტურ მიწოდების ქსელს, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა, როგორც მთლიანად საქართველოსთვის, ასევე ქვეყანაში მოქმედი წარმოებებისთვის.

საქართველოს გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე გააჩნია რეალური შანსი გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც განაპირობებს შემოსავლების ზრდას და გაუმჯობესებულ პირობებს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის.

სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკის განვითარება საქართველოში წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით საქართველოს უჩნდება რეალური შანსი, იქცეს კავკასიისა და ცენტრალური აზიის სავაჭრო-ლოგისტიკურ ცენტრად.

ინტერმოდელური ლოგისტიკური სისტემის ჩამოყალიბება და ლოგისტიკური ნოუ-ჰოუს მოზიდვა წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას, რომლის შესრულება იძლევა საშუალებას გახდეს საქართველო გლობალური ლოგისტიკური ქსელის ნაწილი და მოიზიდოს გლობალური ეკონომიკის უდიდესი ბაზრის მოთამაშეები.

სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკური ინფრაქტრუქტურის განვითარება თავის მხრივ უმნიშვნელოვანესია საქართველოს ყველაზე პერსპექტიული დარგების აღორძინებისთვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, წარმოება, ვაჭრობა და ტურიზმი. მაგალითად, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის დაახლოებით 50 პროცენტი ლპობას განიცდის, რაც განპირობებულია შესაბამისი სასაწყობო ინფრასტრუქტურის არარასებობით და ამ მიმართულებით ტექნოლოგიური ჩამორჩენით. თანამედროვე სოფლის მეურნეობის მიწოდების ჯაჭვის ფასწარმოქმნის 70-80 პროცენტს ლოგისტიკა წარმოადგენს. მისი ეფექტური მართვაა სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქტის ერთ-ერთი უმთავრესი ხარისხის განმსაზღვრელი ნიშანი საერთაშორისო ბაზარზე.

სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის ჩვენს ქვეყანაში. სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკური პროცესების გაუმჯობესება ნებისმიერ დარგში მოღვაწე კომპანიებისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პირობას მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისთვის.

ეკონომიკური განვითარების დონეს განსაზღვრავს შემდეგი მაჩვენებლების ზრდა: მესაკუთრის ფინანსური რეზულტატი, ამონაგები, მოგება, რენტაბელობა, მომუშავეთა შემოსავალი, ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი და ლოგისტიკური ეფექტურობის ინდექსი და მისი მაჩვენებლები ამავე დროს მნიშვნელოვანია ზენორმატიული კრედიტორული დავალიანებისა და ხვედრითი დანახარჯების კლებისას.

რა თქმა უნდა იდეალურ ვარიანტად ითვლება ყველა აღნიშნული მიზნის მიღწევა, ყველა პარამეტრის მაქსიმალიზაცია. ნათელია, რომ ეს იდეალი მიუღწევადია: რისკების მინიმიზაციას, ბაზრის გაფართოებას და ა.შ. მივყვართ დანახარჯების ზრდასთან და შესაბამისად მოგების შემცირებასთან; მიმდინარე მოხმარების ზრდა იწვევს განვითარების ფონდის შემცირებას და ა.შ., ანუ სამრეწველო საწარმოთა ლოგისტიკური მართვის ამოცანა არის მრავალკრიტერიული. ნებისმიერი გადაწყვეტილება კონკრეტულ პერიოდში არის კომპრომისული, ანუ შესაძლებელია მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმის ოპტიმიზაცია, რომლის არსი მინიმაქსის ამოცანას წარმოადგენს.

უმეტეს სამრეწველო საწარმოთა ლოგისტიკური მართვის ფინანსური შედეგების მატება დაკავშირებულია საბრუნავი საშუალებების, ბრუნვის, წარმოების და გაყიდვების ზრდასთან, საბოლოოდ კი, გადაწყვეტილებების (მაგალითად, ბიზნესის ღირებულების, ან მიმდინარე მოგების ამაღლება) მეტი წილი მიიღება მოგების გადანაწილების სხვადასხვა ვარიანტების გამოყენებით.

აქედან გამომდინარე, თუნდაც ერთ-ერთი ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმის გაუმჯობესების აუცილებელი და საკმარისი პირობა, სხვების გაუარესების გარეშე, არის მოგების გაზრდა.

ნებისმიერი პროექტის განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალდაბანდების რომელიმე ლოგისტიკური მართვის მიმართულებასთან (მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, წარმოება, ვაჭრობა ან მენეჯმენტი) გავლენას ახდენს ძირითად ფაქტორებზე — პროდუქციის ეკონომიკურ პარამეტრებზე: ფასზე, თვითღირებულებაზე, გამოშვების მოცულობაზე და საბოლოოდ მოგებაზე (ნახ.1).

მოგება P_T წარმოიქმნება სამრეწველო საწარმოს მოგებიდან (შემოსავლიდან) და დანახარჯებიდან, ხოლო მასზე მოქმედი ფაქტორებია ფასი, თვითღირებულება და პროდუქციის მოცულობა:

$$P_T = \sum_{i=1}^{n} \left(\mathfrak{Ф}_{i,T} - C_{i,T} \right) N_{i,T} - \sum_{i=1}^{L} K_I \to max, \quad (1)$$

სადაც $\mathfrak{Ф}_{i,T}$, $C_{i,T}$ არის პროდუქციის ფასისა და ხვედრითი თვითღირებულების საშუალო მნიშვნელობები თ დროის პერიოდში (i=1,...,n),

n - გამოშვებული პროდუქციის სახეობათა რაოდე-



ნახ.1. სტრუქტურა — ლოგისტიკის - "მიზნები და რესურსები": დონე I — საბოლოო მიზანი; დონე II — ქვემიზნები; დონე III — ამოცანები და პრობლემები; დონე IV — გადაჭრის გზები (მიმართულებები); დონე V — ლოგისტიკის პორტფოლიო.

ნობა, $N_{i,T}$ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა,

K_l - ინვესტიციების დონე კომპანიის l საქმიანობის მიმართულებით (I=1,...,L).

ინვესტირების ძირითადი ამოცანა არის - პროექტების შერჩევა პორტფელში და სახსრების აუცილებელი მოცულობის განსაზღვრა.

მიზნობრივი ფუნქციის შემოტანა და საბაზო მოდელური პარამეტრების განსაზღვრის პროცედურების შემდეგი ამოცანის გადაჭრის საშუალებას იძლევა - მიზნობრივი ფუნქციის მაქსიმალური ზრდის უზრუნველსაყოფად, ინვესტიციების განხორციელება აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების კონკრეტულ ეტაპზე.

ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია საინვესტიციო რესურსების განაწილების ამოცანის ორ ეტაპიანი ტექნოლოგია.

პირველ, საწყის ეტაპზე გამოიყენება ინვესტირების პრიორიტეტული ამორჩევის სტრატეგიული დაგეგმვის პროცედურა. მეორე ეტაპზე, ხდება ფინანსური ნაკადების მართვის მეთოდების გამოყენება, პროექტების შემდგომი დაზუსტებით დინამიკაში, საინვესტიციო ნაკადების გათვლით, დანახარჯებისა და რეზულტატების დაზუსტებით განმეორებითი ინტეგრაციით მთლიანი კომპანიის მასშტაბით. სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება: სტრატეგიული ანალიზი (ფირმის მიზნებისა და კრიტერიუმების ჩამოყალიბება შიდა და გარე საინვესტიციო გარემოს ანალიზის გათვალისწინებით); საქმიანობის ძირითადი მიმართულებების დაზუსტება კაპიტალდაბანდებების პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა; სტრატეგიების რეალიზაციის დაგეგმვა მთლიანად კომპანიისა და მისი ქვედანაყოფების ბიუჯეტების ფორმირება და ინვესტიციების სტრუქტურული განაწილებით.

საინვესტიციო საქმიანობა სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკური უზრუნველყოფისათვის აყალიბებს ფასის ახალ მნიშვნელობას $\mathcal{Ф}_i^0 \to \mathcal{Ф}_i^n$, ასევე ახალ თვითღირებულებასა და აგრეთვე ცვლის ამ პარამეტრების მგრძნობიარობას გამოშვების შეცვლილი პროგრამების პირობებში ინტერვალში. ფასისა და თვითღირებულების მგრძნობიარობის მნიშვნელობები განისაზღვრება როგორც $\Delta\mathcal{Ф}_i$ და ΔC_i პარამეტრების მნიშვნელობების დიაპაზონების ცვლილება, მოცულობის ცვლილების ინტერვალზე:

$$\Delta\mathcal{Ф}_i - \frac{\partial\mathcal{Ф}_i(N_i)}{\partial(N_i)}\,|_{N_i^0} - \frac{\Delta\mathcal{Ф}_i}{N_i - N_i^0}$$

$$\Delta C_i - \frac{\partial C_i(N_i)}{\partial(N_i)}\,|_{N_i^0} - \frac{\Delta C_i}{N_i - N_i^0} \quad (2)$$

ლოგისტიკა წარმოადგენს საქართველოს ეკონო-

მიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს. ლოგისტიკის სექტორის განვითარება განაპირობებს ქვეყნის ინტეგრაციას გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში და მის ეფექტურ დაკავშირებას მსოფლიო ბაზრებთან. განვითარებული ლოგისტიკა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფ და ეფექტურ მიწოდების ჯაჭვს, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა როგორც მთლიანად ქვეყნისთვის ასევე საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის.

სპეციალისტების განმარტებით, დღესდღეობით, საქართველოს ლოგისტიკური ბაზარი შეზღუდული სერვისებითა და მაღალი ხარჯებით ხასიათდება. საქართველოში ტერმინი „ლოგისტიკა“ ტრადიციულად გულისხმობს ტრანსპორტირებასა და ტვირთის დასაწყობების მარტივ ოპერაციებს. არ არის დადგენილი მისი სტანდარტები, შესაბამისად შეუსაბამოა ლოგისტიკური მომსახურების ხარისხის დონეც. თუმცა, ამ ფონზეც კი, ეფექტური ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში საქართველოს აქვს რეალური შესაძლებლობა მოიზიდოს საერთაშორისო ლოგისტიკური კომპანიები და გლობალური მოთამაშეები რეგიონში, რაც ქვეყანას მისცემს საერთაშორისო კონკურენციაში ჩაბმის შესაძლებლობას.

საქართველოს სჭირდება სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკური ნოუ-ჰოუ. დღეს უკვე აშკარა ხდება ის მოთხოვნები, რომლებსაც უცხოელი მომწოდებლები და მწარმოებლები უყენებენ წარმატებულ ქართულ სავაჭრო და საწარმოო კომპანიებს.

მოთხოვნები მოიცავს სამრეწველო საწარმოს ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკური პროცესების მართვის დასავლურ სტანდარტებთან მიახლოების აუცილებლობას. სწორედ ამ მიზნით საქართველოს ლოგისტიკის ასოციაცია გახდა აშშ-ს ორგანიზაცია Supply Chain Council (SCC)-ის წარმომადგენელი საქართველოში და დაიწყო მიწოდების ჯაჭვის საერთაშორისო სტანდარტების - SCOR® (Supply Chain Operations Reference)-ის დანერგვა საქართველოში მოქმედ კომპანიებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ძნელაძე გ. 2003. ფინანსური ნაკადების მოდელირების მექანიზმი საქართველოში. ჟურნალი „ბანკი“, N16.
2. კაკულია რ. ფინანსების ზოგადი თეორია. თბილისი, “ფინანსები”, 2001.
3. გ. ტყეშელაშვილი, ხ. გიორგაძე, რ. თეთვაძე. ლოგისტიკის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები.
4. Brigham & Earnhardt. 2008. Financial Management Theory and Practice. Thompson Learning Inc. (12th Ed.).
5. Щербакова Т.С. Логистика Учеб. Пособие. М.: РУДН, 2010.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები მექსიკაში

მიხეილ კიკნაძე, *დოქტორანტი*

რეზიუმე

მექსიკა ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოა ლათინურ ამერიკაში, რომლის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებასთან.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs). (ქვეყანაში რეგისტრირებული მთლიანი საწარმოების და კომპანიების 99%.-ს შეადგენს, რომლებშიც მუშაობს ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის 78%. და ქმნის ქვეყნის მშპ-ის 35%-ს..

სტატიაში განხილულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა მექსიკაში,მცირე და საშუალო ბიზნესის თავისებურებები ,.ნაჩვენებია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკაში,მოცემულია მექსიკის მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებელები,ამ კატეგორიის საწარმოების კლასიფიკაცია,მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის გამოცდილებამექსიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის მთავარი მხარდამჭერი ორგანოების საქმიანობა,განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ძირითადი პროგრამები. მცირე და საშუალო ბიზნესის უპირატესობები და ნაკლოვანებები, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები.ამასთან ერთად,მნიშვნელოვანია შესწავლილი და გამოყენებული იქნას მსოფლიოს წარმატებული განვითარებული ქვეყნების მოწინავე გამოცდილება,რომელიც მათ დააგროვეს მსს ბიზნესის განვითარების საქმეში.ამ ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოებმა მნიშვნელოვანშედეგებს მიაღწიეს და წარმატებით გავიდნენ საერთაშორისო ბაზრებზე.

საკვანძო სიტყვები: ლათინური ამერიკა, მექსიკა, მცირე და საშუალო საწარმოები, სექტორი, მეწარმეობა, დასაქმება.

Summary

The development problems of Small and Medium Susiness in Mexico

Mexico is one of the largest countries in Latin America, whose economic prosperity is inextricably linked with the development of small and medium enterprise (SME) sector. Worth noting that SME represent over 99% of the formal enterprises in Mexico . In this sense, the article provides an overview of the Mexican small and medium business, investigates the importance of the SME sector size measured by the share of the SME employment in total employment, and the level of human capital in the SME sector. Furthermore, it reviews the experience of state support of small and medium business in Mexico l, advantages and disadvantages are identified, and some suggestions are given for possible improvement of the sector.

Keywords: Latin America; Mexico; small and medium enterprises; sector; employment;

* * * * *

აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში მექსიკაში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმები დაიწყო.

სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის ინსტიტუციონალური პირობების შესაქმნელად.

1983 წელს მექსიკის ფედერალურმა მთავრობამ შექმნა მცირე და საშუალო საწარმოების მთავარი სამმართველო ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების სამინისტროში. 1985 წელს შემუშავებული იქნა მცირე და საშუალო სამრეწველო საწარმოების კომპლექსური განვითარების პროგრამა.

1987 წელს შეიქმნა -ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა ამ სფეროებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობისათვის. აღსანიშნავია, რომ შემდგომ წლებშიც მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის.

მცირე და საშუალო ბიზნესი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს მექსიკის ეკონომიკაში.

ანალიზის საფუძველზე ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ასეთ ვითარებაში, ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას სამართლიანი და დაცული ბიზნესგარემო. მისი ამოცანაა, აგრეთვე, ბიზნესის განვითარების სტიმულირება ინოვაციების და სამეწარმეო უნარების განვითარების და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობით, რაც ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს.

აღსანიშნავია,რომ მექსიკის კანონმდებლობით მცირე ბიზნესს მიეკუთვნებიან საწარმოები, რომელთა თანამშრომელთა რაოდენობა 100 ადამიანს არ აღემატება ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში და 500 ადამიანს მრეწველობაში. ამ

მონაცემთა კრიტერიუმებიდან გამომდინარე მცირე ბიზნესის კატეგორიას მიეკუთვნება ქვეყნის მთლიანი საწარმოების 99%.. მექსიკაში პერსონალის რაოდენობიდან გამომდინარე ანსხვავებენ მიკრო,მცირე და საშუალო საწარმოებს. ამასთან,ნაციონალურ ბაზარზე დომინირებენ მიკროსაწარმოები,ანუ საწარმოები რომელთა პერსონალის რაოდენობა 10 ადამიანამდე ა,მცირე საწარმოებში ვაჭრობის სფეროშიდასაქმებულთა რაოდენობა 11-დან 30 ადამიანამდეა,მომსახურების სფეროში 11-დან 50 ადამიანამდე. საშუალო საწარმოებში ვაჭრობის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 31-დან 100 ადამიანამდეა,მომსახურების სფეროში 51-დან 100 კაცამდე, სამრეწველო საწარმოებში 51-დან 250 კაცამდე, მსხვილ საწარმოებში ვაჭრობის და მომსახურების სფეროში200-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული, მრეწველობაში 250-ზე მეტი დასაქმებულია. მექსიკაში მიკრო საწარმოებს უჭირავს მთლიანი საწარმოების 94%,მცირე და საშუალო საწარმოებს მთლიანი საწარმოების 5% -ზე მეტი უკავიათ, მსხვილ საწარმოებს 1%-ზე ნაკლები.საწარმოები,რომლებსაც 11-დან 50 დასაქმებული ჰყავთ შეადგენს 23.8%-ს, 51-დან 250-მდე ქმნის 9.1% სამუშაო ადგილს,მსხვილი საწარმოები 251 და მეტი-21.5%-ს. რაც შეეხება მცირე და საშუალო საწარმოების წილს ქვეყნის მშპ-ში 2010 წელს 1999 წელთან შედარებით 7.3%-ით დავარდა და შეადგინა 34.7%.

სტატისტიკის, გეოგრაფიის და ინფორმატიკის ნაციონალური ინსტიტუტის მონაცემებით მექსიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების უპირატესი ნაწილი 61% ვაჭრობას ეწევა, 24%-მომსახურებას და 15%-სამრეწველო საქონლის წარმოებით არის დაკავებული.

აღსანიშნავია,რომ მიკრო და მცირე საწარმოების 60%-ს შეადგენს საოჯახო საწარმოები. ამ საწარმოების მმართველების საშუალო ასაკი 40-59 წელს შეადგენს და მათი აბსოლიტური უმრავლესობა ამ კომპანიების დამფუძნებლები არიან.მექსიკაში მცირე და საშუალო ბიზნესი ძირითადად ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული. მცირეა მცირე და საშუალო საწარმოების წილი ქვეყნის საექსპორტო მაჩვენებლებში(დაახლოებით 7%).ასეთი მოკრძალებული მაჩვენებლები იმის შედეგია,რომ მცირე და საშუალო საწარმოების 50% არ იყენებს არანაირ ინოვაციებს და ახალ ტექნოლოგიებს, რის გამოც ვერ აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს და ვერ ანხორციელებს საქონლის ექსპორტს.კომპანიების 24%-ს არ გააჩნიათ შესაბამისი ლიცენზიები და პატენტები და ხშირად არაფორმარულ საქმიანობას ეწევიან.

ანალიზის საფუძველზე მექსიკის ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ პრობლემათა შორის იკვეთება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობა,

არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

მექსიკის ეკონომიკაში მცირე მეწარმეობის უდიდეს როლზე მეტყველებს ასევე შემდეგი მონაცემები: სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტშია თავმოყრილი ქვეყნის მთლიანი სამუშაო ადგილების 78% და მშპ-ის წარმოების 69%.

მექსიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება,ვაჭრობის და მრეწველობის განვითარების,ეკონომიკის ,ფინანსთა სამინისტროების,ფინანსური კორპორაციის Nacional Financiera (NAFIN), საგარეო ვაჭრობის ბანკის,მეცნიერების და ტექნოლოგიების ეროვნული საბჭოს, უმაღლესი სასწავლებლების და საკვლევი ცენტრების მეშვეობით. აღნიშნული პროგრამები ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებას შეღავათიანი კრედიტების მიღებასა და ვალების მომსახურებაში,პროფესიონალური დონის ამაღლებისა და პერსონალის მომზადების,მოდერნიზაციის პროექტების რეალიზაციის, საგარეო ბაზრებზე დაშვების უზრუნველყოფის და სპეციალიზირებული ინფორმაციის მიღების საკითხებში. ამის გარდა,ეს სტრუქტურები ხელს უწყობენ მცირე ბიზნესში კაპიტალური დაბანდებების განხორციელებას,შეიმუშავებენ შესაბამისი გარანტიის სქემებს კრედიტებზე და ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებზე. ანხორციელებენ ტექნიკურ მხარდაჭერას,აფინანსებენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. ასევე ფუნქციონირებენ ელექტრონული საინფორმაციო სისტემები ფართო მონაცემთა ბაზებით, სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებზე.

ამ სისტემების მეშვეობით შესაძლებელია კერძოდ,მეწარმემ მოიძიოს საჭირო ინფორმაცია ბაზრების, კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებების,წესების,პროცედურების და ტექნოლოგიური ნორმების,მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მოქმედი პროგრამების, ეროვნული და საერთაშორისო ბაზრობების, გამოფენების და ტენდერების შესახებ. მიიღოს ეკონომიკური, იურიდიული და გამოყენებითი ხასიათის სხვადასხვა მონაცემები, კონსულტაციები კონკრეტულ საკითხებზე.

მექსიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა ძირითადად ხორციელდება სახელმწიფო დაწესებულებების და მრავალრიცხოვანი მეწარმეების,სავაჭრო პალატების და დარგობრივ ასოციაციებთან მჭიდრო კავშირში.

მექსიკის ეკონომიკის სამინისტროს მეწარმეობის ეროვნული ინსტიტუტი - El Instituto Nacional Del Emprendedor (INADEM) ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, ანხორციელებს მეწარმეების,მიკრო,მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ნაციონალურ პოლიტიკას. ინსტიტუტი არის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის მიზანია კოორდინაცია გაუწიოს მიკრო,მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას ქვეყანაში,ხელი შუწყოს ინოვაციური და კონკურენტუნარიანი საწარმოების შექმნას,დაეხმაროს მათ ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრებაში,რათა კიდე უფრო გაიზარდოს მათი წვლილი ქვეყნის მშპ-ში. ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური კეთილდღეო-

ბის საქმეში. ხელი შეუწყოს ქვეყანაში მეწარმეობის კულტურის ჩამოყალიბებას და მცირე და საშუალო ბიზნესის პროდუქტიულობის ამაღლებას.

ბიზნეს-ინკუბატორების პროგრამა.

ინოვაციური და კონკურენტუნარიანი კომპანიების შექმნის მიზნით მუშაობს ბიზნეს-ინკუბატორების პროგრამა,რომელიც იყოფა 2 ტიპად: პირველი კატეგორიას მიეკუთვნება სავაჭრო, მომსახურების და მსუბუქი მრეწველობის კომპანიები, მეორეს-სტრატეგიული სექტორები,რომლებიც განსაზღვრულია თითოეული შტატისათვის.

გათვალისწინებულია ბიზნეს-ინკუბატორების ყოველწლიური ატესტაცია იმისათვის,რომ მათი მომსახურება მუდმივად დარჩეს უმაღლეს დონეზე და შეინარჩუნოს მაღალი სტანდარტი.

ყველა საწარმოსათვის განსაზღვრულია საინკუბაციო პერიოდი 3 თვის დონეზე, და 6 თვე -კონკურენციის მაღალი დონის სექტორში მომუშავე კომპანიებისათვის. საინკუბაციო პერიოდის ჩარჩოში გათვალისწინებულია საკონსულტაციო მომსახურების დაფინანსება შიდა ბაზრის საწარმოებისათვის 400 ათასი პესოს ფარგლებში და 800 ათასი პესო საერთაშორისო ბაზარზე გასული საწარმოებისთვის.

ფინანსური კონსულტირება. სწავლების პროგრამა მეწარმეებისათვის მიმართულია მათი ფინანსური წიგნიერების ამაღლებისაკენ.

სწავლების მისია მდგომარეობს მეწარმეებისთვის დახმარების გაწევაში მათი საწარმოებისთვის ოპტიმალური დაფინანსების ტიპის განსაზღვრის საკითხში.

მექსიკაში მრავალი წელია ფუნქციონირებს მწარმოებელთა ეროვნული ასოციაცია, ე.წ. Canacintra, რომელიც მუდმივად ახორციელებს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ პროექტებსა და პროგრამებს, მთავრობასთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობით.

მწარმოებელთა ეროვნულ ასოციაციას აქვს საკმაოდ განვითარებული ქსელი მთელი მექსიკის მასშტაბით.

პროექტის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გაეროს განვითარების პროგრამამ და ისეთმა მსხვილმა კერძო კომპანიებმა, როგორებიცაა Bimbo, Comentos Apasco,Firestone, 3M, Corporation International del Color da Cerveceria ,Cuauhtemoc, Moctezuma. პროექტის სახელწოდებაა „მექსიკის მხარდაჭერის ჯაჭვური პროექტი: მომწოდებლების ტრენინგი და ჯაჭვური ურთიერთობის წახალისება“. პროექტი ითვალისწინებდა განვითარების ქსელის შექმნას, რომელშიც ჩართული იყვნენ მომწოდებლების კონსულტანტები, რომლებიც მუშაობდნენ მცირე და საშუალო ბიზნესების წარმომადგენლებთან ერთად ინდივიდუალურად და უწევდნენ მათ საჭიროებებზე დაფუძნებულ კონსულტაციებს.

თავდაპირველად პარტნიორი კერძო კომპანიების პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოხდა სტრატეგიისა და მეთოდოლოგიების შემუშავება, შემდეგ მოხდა ქსელის კონსულტანტებისთვის ტრენინგების ჩატარება და მათი სერტიფიცირება. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო უკვე მეორე ფაზა, როდესაც ამუშავდა ქსელი და დაიწყო აქტიური ინდივიდუალური კონსულტაციები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის.

ფრანშიზას შეძენის დაფინანსება.

ეს პროექტი, რომელიც შეიმუშავა მეწარმეობის ეროვნულმა ინსტიტუტმა (INADEM) - ფინანსურ კორპორაციასთან (Nacional Financiera), ერთად, იმისთვის,რომ მხარი დაუჭირონ იმ მეწარმეებს,რომლებსაც სურვილი აქვთ ინვესტირება განახორციელონ ფრანშიზას შეძენაში. მხარდაჭერა იმაში მდგომარეობს,რომ მიიღონ დაფინანსება შეღავათიანი პირობებით, 2 მილიონ დოლარამდე, იმისთვის,რომ დაფარონ მთლიანი ინვესტიციების ხარჯების 50%. ეს კრედიტები გაიცემა კომერციული ბანკების მიერ.

დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის პროგრამა.

პროგრამა შედგენილია ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების მხარდაჭერის მიზნით. მცირე საწარმოებისათვის, რომლებიც ამ პროგრამაში მონაწილეობენ, დაწყებული მეშვიდე თანამშრომლიდან გათვალისწინებულია ერთჯერადი ფულადი ანაზღაურება 15 ათას დოლარამდე დამატებით მიღებული თითოეული თანამშრომლისათვის. სულ პირველ წელს პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი იქნა ბიუჯეტი 30 მილიონი პესოს ოდენობით.

Nacional Financiera-შეიქმნა,როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი საშუალება.თავიდანვე, ძირითადი მიზანი იყო ფინანსური რესურსების მობილიზებაში ხელშეწყობა უპირატესად სამრეწველო საქმიანობისთვის.

ორგანიზაცია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას ანხორციელებს ფინანსური შუამავლების გარკვეული წრის მეშვეობით,გამოდის რა,ფინანსური სახსრების დაბრუნების გარანტად.

ყოველივე ამის წყალობით,მცირე და საშუალო საწარმოებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ ფინანსური დახმარება სხვადასხვა საჭიროებისათვის,საბრუნავი კაპიტალის შევსებიდან დაწყებული ძირითადი საშუალებების შეძენით დამთავრებული.

კრედიტების მიღების პირობები და საპროცენტო განაკვეთები დამოკიდებულია ფინანსური შუამავლის არჩევანზე.

მექსიკის დამსაქმებელთა კონფედერაცია (Confederación Patronal de la República Mexicana, COPARMEX) — აერთიანებს მეწარმეებს ქვეყნის ეკონომიკის ყველა სექტორიდან. კონფედერაციის შემადგენლობაში შედის 36 ათასზე მეტი კომპანია, რომლებზედაც მოდის მშპ-ის 30% და 4,8 მილიონი ოფიციალური სამუშაო ადგილი.ამის გარდა, ორგანიზაცია დახმარებას უწევს მცირე და საშუალო მეწარმეებს კადრების მომზადებასა და ბიზნეს სწავლებაში,რომელიც ხორ-

ციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით 64 ბიზნეს-ცენტრებში.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მექსიკის მთავრობამ მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რეფორმები განახორციელა,შეზღუდა ბიზნესში სახელმწიფო ორგანოების ჩარევა,ბიუროკრატიზმი და კორუფცია, გაამარტივა მცირე და საშუალო საწარმოების რეგისტრაციის პროცედურები,შეამცირა მათი რაოდენობა, ვადები და რეგისტრაციის ღირებულება.მიუხედავად ამისა, მექსიკა მსოფლიო ბანკის 2016 წლის ბიზნესის კეთების "Doing Business"-ის ყოველწლიურ რეიტინგში მცირე ბიზნესის კეთების სიადვილის მონაცემებით მსოფლიოს 189 ქვეყანას შორის 38 ადგილი უკავია. (შარშანდელი მონაცემებით ქვეყანა იმყოფებოდა 42 ადგილზე). ეს მაჩვენებელი მიუთითებს,რომ მექსიკაში ბიზნესის კეთება ოდნავ გაადვილდა,თუმცა ქვეყანა საგრძნობლად ჩამორჩება არა მარტო მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს,არამედ ბევრ თავის მეზობელ ქვეყნებსაც. ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები: 32 ქვეყანას შორის მექსიკა 21 ადგილზე იმყოფება რეიტინგში.

ბიზნესის რეგისტრაციის სიმარტივის მაჩვენებლებით რეიტინგში მექსიკა 65-ე ადგილს იკავებს,მშენებლობის ნებართვის სიმარტივის. მაჩვენებლით მექსიკა 67 ადგილზეა ,,ელექტროენერგიით მომარაგების მაჩვენებლით - 72-ე ადგილზეა რეიტინგში,კერძო საკუთრების რეგისტრაციის პარამეტრებით მექსიკა 106-ე ადგილზეა, კრედიტების მიღების მაჩვენებლით 5-ე ადგილი უკავია,მინორიტარული ინვესტორთა დაცვის მხრივ მექსიკა 57 პოზიციაზე იმყოფება. გადასახადების გადახდის მხრივ ცუდი სიტუაციაა მექსიკაში (92 ადგილი), ვაჭრობა საზღვრებს შორის-საერთაშორისო ვაჭრობის პარამეტრებით მექსიკა ცუდად გამოიყურება რეიტინგში (59 ადგილი), კონტრაქტის აღსრულების თვალსაზრისით მექსიკა 41-ე პოზიციაზე იმყოფება,გადახდისუუნარობის მაჩვენებლით მექსიკა 28-ე ადგილზეა რეიტინგში.

აღნიშნული მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ სიტუაცია მექსიკაში კვლავ რთულია.

მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის წინამდებარე მიმოხილვა ნათელყოფს იმ ტენდენციებს, რაც ქვეყანაში ბოლო წლებში ვითარდება. მცირე და საშუალო ბიზნესი მძიმე საგადასახადო ადმინისტრირების და წნეხის პირობებშია,რომლის განვითარებას, მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის არასტაბილური საგადასახადო სისტემა.ადმინისტრირების და ბიზნესის დაწყების სირთულე,არასრულყოფილი ბიზნეს გარემო,ადამიანური რესურსების დაბალი კვალიფიკაცია და სხვა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას,რომ მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ტრანსფორმირება, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა საქმიანობის რადიკალურად გამარტივება,საგადასახადო სისტების შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან.გადასახადების შემცირება.მცირე და საშუალო საწარმოების სწრაფი ტემპით განვითარება.აღნიშნულის შედეგად ახლო მომავალში შესაძლებელი გახდება მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება,ეკონომიკური აქტივობის,სიღარიბის შემცირების, უმუშევრობის დაძლევისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Anzola, S. (2002). Administración de pequeñas empresas (segunda ed.). México: Mc Graw Hill.

2.Robles, A. (22 de septiembre de 2010). Micro, 95% de las empresas en México. EL FINANCIERO. Economía,pág. 10.

3.Sánchez Trejo, V. G., & Hernández, N. A. (2 de Marzo de 2011). El UNIVERSAL EN LINEA. Recuperado el 2 de Marzo de 2011, de Factores de competitividad de la pyme en México: http://www.eluniversal.com.mx/articulos/63151.html

ვებ-გვერდები:

1. მექსიკის სტატისტიკის, გეოგრაფიის და ინფორმატიკის ეროვნული ინსტიტუტი;
http://www.inegi.org.mx/inegi/acercade/default.aspx

2. მექსიკის განვითარების ბანკი;
http://www.bancomext.gob.mx

3.მექსიკის ცენტრალური ბანკი;
http://www.banxico.org.mx

4. მექსიკის ეკონომიკის სამინისტროს მეწარმეობის ეროვნული ინსტიტუტი
http://www.contactopyme.gob.mx

5.მექსიკის ეროვნული ფინანსური ინსტიტუტი;
http://www.nafin.gob.mx

6.http://www.prodigypymes.com

7.მექსიკის საგადასახადო ადმინისტრირების სამსახური;
http://www.sat.gob.mx

8.http://www.se.gob.mx

9.http://www.sourceoecd.org

10.http://mexico.smetoolkit.org/mexico/es

11.მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუტი;
http://www.institutopyme.org/

12.Doing Business. Rankings, 2016. http://www.doingbusiness.org/rankings

პროექტების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ანალიზი

***სულხან ხუციშვილი**, პროფესორი*
***დავით გორგიძე**, პროფესორი*
***ნანა ხარაძე**, დოქტორანტი*

რეზიუმე

წარმოდგენილია პროექტების მართვაში გამოყენებადი ორგანიზაციული სტრუქტურების განსხვავებული მოდელები - ფუნქციონალური, პროექტული, მატრიცული. განხილულია ასეთი მოდელების ძირითადი მახასიათებლები და ფუნქციონირების თავისებურებები, მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები, მოცემულია სტრუქტურების შედარებითი ანალიზი. აქცენტი კეთდება გამოყენების სფეროებზე და განვითარების მიმართულებებზე.

საკვანძო სიტყვები: პროექტი, პროექტების მართვა, პროექტის სასიცოცხლო ციკლი, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა.

* * * * * *

პროექტების მართვა (პმ) ანუ project management (PM) - არის პროექტის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ეფექტური შედეგის მისაღწევად ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყენების და კორდინაციის ხელოვნება, პროექტში მოთხოვნილი სამუშაოების და შემადგენლობის, დროის, ღირებულების, ხარისხის შესაბამისად. პროექტის რეალიზება ხდება ორგანიზაციის ფარგლებში, რომლის ორგანიზაციული სტრუქტურაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროექტის წარმატებაზე. [1,2]

ხშირად როდესაც სტრუქტურაზე ლაპარაკობენ მხედველობაში აქვთ კომპანიის ორგანიზაციული სქემა (სტრუქტურული მოდელი): რგოლების - განყოფილებების ერთობლიობა, რომლებიც განლაგებულია გარკვეული იერარქიით და რომლის სათავეშიც დგას ხელმძღვანელი (მმართველი) - მენეჯერი ან რომელიმე ხელმძღვანელი რგოლი. ასეთ სქემებს საკმაოდ ბევრის თქმა შეუძლია კომპანიაზე: რომელი ელემენტისაგან შედგება, საქმიანობის რომელ სფეროს რომელი ხელმძღვანელი ხელძღვანელობს, როგორია მართვის იერარქიაში კონკრეტული მენეჯერის სტატუსი, თუმცა ასეთი სქემები ორგანიზაციაში არსებულ ყველა კითხვაზე წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის.

ჩვენი მიზანია ორგანიზაციაში მიმდინარე პროექტების მართვისთვის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ზოგადი კლასიდან გამოვყოთ მისაღები სტრუქტურები. გამოვიკვლიოთ მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ძირითადი მახასიათებლები და გამოყენების მიმართულებები.

1. ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი მოდელები. ორგანიზაციული სტრუქტურა არის მისი შემადგენელი ელემენტების ნაკრები და მათ შორის ურთიერთქმედებების (ურთიერთკავშირების) ერთობლიობა. [1]

ზოგადად სტრუქტურის მიზანია შევქმნათ სისტემა, მდგრადი კავშირების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიზნების რეალიზებას (მიღწევას) და მის შიდა სტაბილურობას. ორგანიზაციული სტრუქტურის ელემენტებს წარმოადგენს თანამდებობრივი პრინციპები, ხოლო მათ შორის ურთიერთქმედებები განისაზღვრება ორგანიზაციაში მიღებული შრომისა და კოორდინაციული საქმიანობის დაყოფის წესებით.

მივიღოთ მტკიცებულებად რომ ყოველი პროფილის და მასშტაბის ორგანიზაციისთვის, მისი განვითარების ყოველ სტადიაზე არსებობს ეფექტური სტრუქტურა, რომლის დროსაც ორგანიზაციის ფუნქციონირების მიზნები მიიღწევა ოპტიმალური გზით. [1] -ის მიხედვით ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი ნიშნებია:

1. სტრუქტურა შეესაბამება ორგანიზაციის სტრატეგიას;
2. სტრუქტურა შეესაბამება ორგანიზაციის ფუნქციონირების გარემოს;
3. არ არსებობს წინააღმდეგობები ორგანიზაციის ელემენტებს შორის;

მიღებულია რომ ორგანიზაციის შემადგენელი რგოლების, განყოფილებების, დეპარტამენტების ფორმირება შეიძლება მოხდეს ფუნქციების, პროდუქტის, რეგიონის, კლიენტის, პროექტის ბაზაზე. ეს იმაზე დამოკიდებულებია, თუ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნის მიღწევისთვის რომელია უფრო მნიშვნელოვანი:

- თუ სტრუქტურების რგოლების - დეპარტამენტების ფორმირება ხდება ორგანიზაციის ბაზური ფუნქციების მიხედვით, მაშინ მას ეწოდა ფუნქციონალური სტრუქტურა;
- თუ სტრუქტურები რგოლების დაჯგუფების საფუძვლად გამოიყენებენ პროდუქტს, რეგიონს ან კლიენტსმაშინ მას დივიზიონალური სტრუქტურა ჰქვია;
- პროექტის ბაზაზე ფორმირებულ სტრუქტურებს ეწოდებათ პროექტულ სტრუქტურებს;
- თუ სტრუქტურაში ორგანიზაციული რგოლები ერთდროულად ორი ნიშნის მიხედვით იქმნება, მაშინ მას უწოდებენ მატრიცულ სტრუქტურას.

ჩვენი მიზნების შესაბამისად განვიხილოთ ფუნქციონალურ, პროექტულ და მატრი-ცულ ორგანიზაციულ სტრუქტურები. პრაქტიკაში არ არსებობს

პროექტების მართვისთვის იდეალური ორგანიზაციული სტრუქტურა. მიუხედავად ამისა არსებობს რამდენიმე ბაზური ვარიანტი, რომლებიც გამოიყენება მსგავს ან განსხვავებულ პირობებში ფუნქციონირებად ორგანიზაციებში. ძირითად ორგანიზაციულ ფორმებს პროექტების მართვაში მიეკუთვნება შემდეგი სტრუქტურები:

- ფუნციონალური;
- მატრიცული;
- პროექტული;

საჭიროა აღნიშნულ ორგანიზაციულ სტუქტურებში ორიენტაცია, რათა მოხდეს პროექტების მართვაში მათი სწორი გამოყენება და კონკრეტული პროექტის მართვისას უკეთესი სტრუქტურის არჩევა.

2. ფუნქციონალური სტრუქტურა

ფუნქციონალურ სტრუქტურის (სქემა 1) მართვა ხდება ხაზოვანი მენეჯერის და მასზე დაქვემდებარებული განყოფილებების ხელმძღვანელების მიერ, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციაში გარკვეული ფუნქციების რეალიზებაზე. ასეთი სტრუქტურის ფარგლებში, პროექტების მართვის დროს, ინიშნება პროექტის ერთი ან რამოდენიმე კოორდინატორი, რომლებიც უზრუნველყოფენ კავშირს და ურთიერთქმედებებს ფუნქციონალურ განყოფილებებს შორის, ხოლო პროექტებში საქმიანობის კოორდინაციას ახდენენ ხაზოვან მენეჯერებთან ერთად. ასეთი სქემის დროს პროექტის ამოცანების გადაწყვეტაში კოორდინატორის გავლენა შეზღუდულია, რადგანაც ის ხშირად არ ღებულობს პირდაპირ მონაწილეობას პროექტების საქმიანობის მართვაში.

ფუნქციონალური სტრუქტურის სავიზიტო ბარათია: ცენტრალიზაცია, პროფესიონალიზმი, ეკონომიურობა. ამ მახასიათებლების სხვადასხვა სიმბიოზი განსაზღვრავს გადასაწყვეტი ამოცანების ეფექტურობის დონეს. ასეთი სტრუქტურა უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიონალურ სპეციალიზაციას და მათი კვალიფიკაციის ზრდას. აადვილებს საქმიანობის კორდინაციის პროცესს. გამორიცხულია ფუნქციების დუბლირება ორგანიზაციის სხვადასხვა განყოფილებებში და ა.შ. უნდა შევეხოთ ფუნქციონალ;ური სტრუქტურების გარკვეულ ნაკლოვანებებსაც. მაგალითად: ფუნციონალური სტრუქუტრის დროს საწარმოო პროცესი დაყოფილია სტადიებად (ფუნქციებად) და მენეჯერების ფოკუსირება ხდება ცალკეული ფუნქციების ეფექტურ შესრულებაზე. თუმცა გასაღების განყოფილების თვალთახედვით საწარმოო სიმძლავრეების ოპტიმალური დატვირთვა ასეთ სტრუქტურებში ხშირად ვერ ხერხდება.

მოცემული სტრუქტურის დროს დგება ფუნქციათაშორისი კოორდინაციის პრობლემა, რაც იწვევს მთელ რიგ ნეგატიურ შედეგებს ორგანიზაციის საქმიანობაში. ფუნქციათაშორისი კოორდინაციის პრობლემა უნდა გადაწყდეს მართვის მაღალ დონეზე, მხოლოდ ამ დონეს გააჩნია ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების ფართო ხედვა. ეს უზრუნველყოფს მას მაქსიმალურად სრულად აკონტროლოს ორგანიზაციის ფუნქციონირების პროცესი. თუმცა სირთულეები ექმნება ოპერატიული საკითხების პარალელურ შესრულებაში. ამით ხელმძღვანელობას უძნელდება სტრატეგიული მართვის ამოცანების სრულყოფილი გადაწყვეტა.



სქემა 1. პროექტების მარტვის ფუნქციონალური სტრუქტურა

მსხვილი ორგანიზაციები გამოირჩევიან ბრძანებების და დავალებების გრძელი ჯაჭვით, რომელიც შეიძლება კრიტიკული იყოს ბაზარზე სწრაფად ცვალებადი სიტუაციების პირობებში. მნიშვნელოვანია მრავალდონიანი ბიუროკრატიული პროცედურების არსებობა შეთანხმების ამოცანების გადაწყვეტის დროს, რაც ამცირებს ორგანიზაციის რეაქციას, გარემოს იმპულსებზე. ფუნქციონალური სტრუქტურის ნაკლოვანებადაა მიჩნეული ინოვაციებზე და მეწარმეობაზე ძლიერი ორიენტირების არ არსებობა და ა.შ.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან გავრცელდა ორგანიზაციული სტრუქტურების უფრო მოქნილი ტიპები. ასეთ სტრუქტურებს სწრაფად შეუძლიათ გადაწყობა, მოდიფიცირება გარემოს ცვლილებების დროს და თვითონ ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად. ასეთმა სტრუქტურებმა მიიღეს ადაპტური ან ორგანული სტრუქტურების სახელწოდება. ისინი სრულად განსხვავდებიან მკაცრად დადგენილი მექანიკური სტრუქტურებისგან, როგორიცაა ფუნქციონალური და დივიზიონალური სტრუქტურები. ადაპტური, ორგანული სტრუქტურების ძირითადი ტიპებია - პროექტული და მატრიცული სტრუქტურები. [1,3]

3. პროექტების მართვის პროექტული სტრუქტურა

საწყის ეტაპზე ეს ორგანიზაციული ფორმა განიხილება როგორც დროებითი სტრუქტურული წარმონაქმნი და გამოიყენებოდა არსებული (მოქმედი) ფუნქციონალური სტრუქტურის საზღვრებში კონკ-

რეტული ამოცანის (პროექტის) სარეალიზაციოდ. თუმცა დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ორგანიზაციული მექანიზმი, რომელმაც საშუალება მოგვცა გამოგვეყო ორგანიზაციული სტრუქტურის ეს ახალი სახე.



სქემა 2. პროექტების მართვის პროექტული სტრუქტურა

პროექტულ სტრუქტურაში (სქემა 2) გარკვეული ფუნქციები (მაგალითად ბუღალტერია, მარკეტინგი, სტრეტეგიული დაგეგმვა და ა.შ.) გადაეცემა მართვის მაღალ დონეს, ხოლო ყველა სხვა ამოცანა წყდება პროექტების მართვის დონეზე. პროექტის ხელმძღვანელი, პასუხს აგებს პროექტის რეალიზაციაზე მოცემულ ვადებში და არსებული რესურსების საზღვრებში. პროექტის რეალიზაციისათვის ხდება ჯგუფის ფორმირება ორგანიზაციის კადრებით, ანუ ფუნქციონალური სამსახურების საუკეთესო სპეციალისტებისგან. ასეთი სტრუქტურა უფრო ეფექტურია მსხვილი პროექტების შემთხვევაში, რომელთა სასიცოცხლო ციკლიც ცდება 2 წელს.

პროექტული სტრუქტურა (განსაკუთრებით დიდი პროექტების რეალიზაციის დროს) წარმოადგენს ფაქტიურად ფირმის ფილიალს საწარმოს შიგნით, თავისი ფუნქციონალური განყოფილებებით. საპროექტო ჯგუფის წევრები სრულად არიან ორიენტირებული პროექტის შედგენაზე და მის ხელმძღვანელობაზე. პროექტის ხელმძღვანელის სრულ განკარგულებაშია პროექტის ჯგუფის წევრები და მის რეალიზაციაზე გამოყოფილი რესურსები. პროექტის დამთავრების შემდეგ სპეციალისტები იწყებენ ახალი იდეის რეალიზაციას ან უბრუნდებიან მუდმივ სამუშო ადგილს.

პროექტული სტრუქტურის უპირატესობა არის ის რომ, საპროექტო გუნდის წევრები და მისი ხელმძღვანელი კონცენტრაციას ახდენენ ერთადერთი პროექტის რეალიზაციაზე და არ მონაწილეობენ სხვა პრობლემების (ამოცანების) გადაწყვეტაში. ასეთ სტრუქტურაში გადაწყვეტილება მიიღება გუნდის წევრებთან განსჯის შედეგად. ეს მართალია ახან¬გრძლივებს გადაწყვეტილების მიღების დროს, მაგრამ განაპირობებს მოგებას განსაზღვრულ დროში, რადგანაც პერსონალისაგან წინააღმდეგობა ფაქტიურად არ არსებობს (თუმცა უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული ფაქტი ხშირად ეწინააღმდეგება გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც მოდის მართვის მაღალი დონის ხელმძღვანელობიდან. პროექტული სტრუქტურა წარმოადგენს იდეალურ ორგანიზაციულ ბაზას ინოვაციური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტაში, განსაკუთერბით ინოვაციური ხასიათის ძალიან დიდი პროექტებისთვის.

მნიშვნელოვან ნაკლს ასეთ სტრუქტურაში წარმოადგენს ორგანიზაციაში არსებული სამსახურების დუბლირება. თუ თავისი მასშტაბით პროექტები არ არის დიდი, მაშინ დუბლირებაზე დანახარჯები არ არის გამართლებული. ასეთ სიტუაციაში პროექტის ხელმძღვანელი ხდება ფირმის ხელმძღვანლობის კონსულტანტი და პროექტის რეალიზაცია ხორციელდება არსებული ფუნციომალური სტრუქტურის ფარგლებში, ხოლო კორდინაციას ახორციელებს ფირმის მაღალი დონის მენეჯერი (ხელმძღვანელობა).

4. პროექტების მართვის მატრიცული სტრუქტურა

მატრიცულ სტრუქტურაში ხდება ერთი სტრუქტურის დადება მეორე სტრუქტურაზე. მაგალითად პროექტულის ფუნქციონალურზე, თანაც მატრიცული სტრუქტურის პრინციპიალურ მომენტს წარმოადგენს თანამშრომლების დაქვემდებარება მართვის მაღალი დონის ორ ხელმძღვანელზე. მაგალითად მარკეტოლოგი, რომელიც პროექტში დაკავებულია ახალი პროდუქციის შემუშვებით, ანგარიშვალდებულია პროექტის მენეჯერის და მარკეტინგის მენეჯერის წინაშე. (იხ. სქემა 3.)



სქემა 3. პროექტების მართვის ზეცარად ორგანიზებული მატრიცული სტრუქტურა

პროექტის ხელმძღვანელი სვამს ამოცანებს საპროექტო ჯგუფის წევრებისათვის, ადგენს ამოცანების შესრულების გრაფიკს, ახორციელებს დანახარჯების, ვადების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების კონტროლს. ფუნქციონალური სამსახურის ხელმძღვანელები განსაზღვრავენ შესაბამისი სპეციალისტის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტის გზებს და ახდენენ მათი ამოხსნის მსვლელობის კონტროლს.

მატრიცული სტრუქურა გამოიყენება მაშინ, როცა ორი ცვლადი მაინც ხდება კომპანიისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი. მაგალითად ფუნქცია და პროექტი. მოცემული სტრუქტურა განსაზღვრავს ერთდროულად ორ სტრატეგიულ მიმართულებას, თანაც ახორციელებს ორივე მიმრთულების უშუალო ხელმძღვანელობას და მათი რეალიზაციის კორდინაციას.

მატრიცულ სტრუქტურას გააჩნია პროექტული სტრუქტურის ყველა კარგი თვისება და ძირითადად შორს არის მისი მახასიათებებლი ნაკლოვანებებისგან. კერძოდ: ის საშუალებას იძლევა ფუნქციონალური სპეციალისტები გადანაწილდნენ პროექტებს შორის, არ დაუ-შვას ფუნქციონალური სამსახურების დუბლირება. მათში არ არსებობს დასაქმების პრობლემა პროექტის დასრულების შემდეგ. მატრიცული სტრუქტურა როგორც წესი გამოიყენება მცირე და საშუალო ზომის პროექტებში სასიცოცხლო ციკლის ხანგძლივობით 0.5 წლიდან 2 წლამდე.

მატრიცული სტრუქტურის უარყოფით მხარეს წარმოადგენს რთული მართვის სტრუქტურა. განსაკუთრებით რთულია ბალანსის შენარჩუნება ორი მიმართულების ხაზოვან პასუხისმგებლობას შორის. დიდია მართვის აპარატი და საგრძნობლად იზრდება დანახარჯები საქმიანი ოპერაციების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ვადების ზრდის გამო.

უპირატესობები	ნაკლოვანები
1. კომპანიის განვითარების ერთდროულად ორი სტრატეგიული მიმართულების შესაძლებლობა	ერთმართველობის პრინციპის არ არსებობა, ხელისუფლებისკენ სწრაფვა და ანარქიისკენ მიდრეკილება, სტრუქტურის კონფლიქტურობა.
2. მიმართულია ინოვაციური საქმიანობისკენ (არასტანდარტული ამოცანების გადაწყვეტის დისციპლინათაშორისი მიდგომა)	პერსონალის ფსიქოლოგიური პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია გაურკვევლობით და სტრუქტურის ცვალებადობით.
3. სტრუქტურის მოქნილობა. ის საშუალებას იძლევა გადავანაწილოთ ფუნქციონალური სპეციალისტები პროექტებს შორის, გვერდი ავუაროთ ფუნციონალური სამსახურების დუბლირებას.	მმართველი აპარატის ზრდა (ყოველ სპეციალისტს ყავს ორი უფროსი)
4. ფუნციონალური სპეციალისტების საქმიანობის კარგი კორდინაცია პროექტის ხელმძღვანელის პოზიციის შემოტანით.	გადაწყვეტილების მიღების ვადების გაზრდა, მრავალრიცხოვანი შეთანხმებების აუცილებლობის გამო

ცხრილი1. მატრიცული სტრუქტურის დადებითი და უარყოფითი მხარეები

იმის მიხედვით, მატრიცულ სტრუქტურაში ფუნქციონალურ და პროექტის ხელმძღვანელებს შორის როგორ არის უფლებამოსილება გადანაწილებული, განასხვავებენ სუსტ (პროექტის ხელმძღვანელს აქვს უმნიშვნელო როლი), ძლიერ, მკაცრად ორგანიზებულ (პროექტის მენეჯერი უფრო მაღლა დგას ფუნქციონალურ ხელმძღვანელზე) მატრიცებს. იდეალურია მატრიცული სტრუქტურა, რომლის დროსაც პროექტის მენეჯერი პასუხს აგებს პროექტის შედეგებზე, ფუნქციონალური ხელმძღვანელი კი თავისი თანამშრომლების მუშაობის ხარისხზე, რომლებიც „მივლინებული“ არიან პროექტში.

5. პროექტის მართვის სტრუქტურის არჩევის კრიტერიუმები და გამოყენების მიმართულებები.

არჩევის კრიტერიუმი	ფუნქციონალური	მატრიცული	პროექტული
პროექტის რეალზაციის პირობების განუსაზღვრელობის ხარისხი	დაბალი	მაღალი	მაღალი
პროექტის ტექნოლოგია	სტანდარტული	რთული	ახალი
პროექტის სირთულე	დაბალი (მოკლე)	საშუალო	დიდი
პროექტის მასშტაბი	მცირე	საშუალო	მსხვილი
პროექტის მნიშვნელობა	არ არის მნიშვნელოვანი	საშუალო მნიშვნელობის	ძალიან მნიშვნელოვანი
პროექტის ცალკეულ ნაწილებს შორის ურთიერთდამოკიდებულება	დაბალი	საშუალო	მაღალი
დროის ფაქტორის კრიტიკულობა (ვალდებულება სამუშოების დასრულების ვადებზე)	დაბალი	საშუალო	მაღალი
უფრო მაღალი დონის ორგანიზაციაზე პროექტის დამოკიდებულება და კავშირი	მაღალი	საშუალო	დაბალი

ცხრილი 2. სტრუქტურის არჩევის ძირითადი კრიტერიუმები

ორგანიზაციული სტრუქტურის ასარჩევად რომელიც უფრო მეტად პასუხობს პროექტის რეალიზების მიზნებს და პირობებს, საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება: [1,4]

ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი ტიპებ-

ის განსაკუთრებულობების, მათი უპირატესობების და ნაკლოვანებების განსაზღვრასთან ერთად მნიშვნელოვანია პროექტების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გამოყენების მიმართულებების განსაზღვრა. კერძოდ:

ფუნციონალური სტრუქტურა გამოიყენება მაშინ, როცა:

1. იწარმოება ერთი სახის პროდუქცია, ან გამოკვეთილია მისი ძირითადი სახე სხვადასხვა პროდუქციის უმნიშვნელო წილის დროს.

2. განყოფილებები მჭიდროდ ურთიერთობენ და დიდი წვლილი შეაქვთ საბოლოო პროდუქციის შექმნაში.

3. ორგანიზაციაზე მოქმედი გარემო სტაბილურია (კონკურენცია არ არის მაღალი, სტაბილურია მოთხოვნა, ტექნოლოგიები არ იცვლება სწრაფად, მაკროეკონომიკური და პოლიტიკური პირობები ხელსაყრელია).

4. შრომის პროცესი მარტივია ან შესაძლებელია მისი დაყოფა მარტივ ოპერაციებად და მათი სტანდარტიზაციას დაქვემდებარება.

ფუნციონალური სტრუქტურა გამოიყენება მასობრივი წარმოების ფირმებში; მცირე კომპანიებში მარტივი საწარმოო პროცესებით; სადაზღვევო და სატელეფონო კომპანიებში; ბანკებში, სასტუმროებში, მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე მომუშვე ორგანიზაციებში და ა.შ.

მატრიცული სტუქტურა გამოიყენება მაშინ როცა:

1. ორგანიზაცია არ შეუძლია ან არ სურს შემოისაზღვროს დაჯგუფების მხოლოდ ერთი პრინციპით (ფუნქციები, ტერიტორია, დარგი. პროექტი და ა.შ.)

2. შრომითი პროცესი რთულია, არ ექვემდებარება სტანდარტიზაციას. საქმიანობას აქვს ინოვაციური ხასიათი.

3. გარემო დინამიურია და აქვს მოულოდნელობის და განუსაზღვრელობის დიდი ალბათობა.

მატრიცული სტრუქუტრები გამოიყენება კვლევით ფირმებში და ორგანიზაციებში, რომლებიც სპეციალიზდებიან მმართველობით კონსალტინგში. ამ დროს ხდება პროექტული სტრუქტურის გადადება ფუნქციონალურზე. ასეთი სტრუქტურები მომგებიანია ინოვაციებზე ორიენტიერბული ორგანიზაციებისათვის, მულტინაციონალური ფირმებისათვის, ფირმებისათვის რომლებიც სწრაფად ცვლიან საქონლის ნომეკლატურას. შეიძლება ითქვას, რომ განხილული სტრუქტურული მოდელები აპრობირებულია დროში და პრაქტიკულად გამოცდილია.

დასკვნა

კომპანიაში შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა კონკრეტული პროექტის მასშტაბის და სხვს თავისებურებებიდან გამომდინარე. თუმცა ყოველ სტრუქტურას აქვს თავისი უპირატესობები, ნაკლოვანებები და გამოყენების საკუთარი სფერო, სადაც ის მოქმედებს განსაკუთრებით ეფექტურად.

ისტორიულად პირველად ჩამოყალიბდა ფუნქციონლური სტრუქუტრა, რომელიც ბევრ ფირმაში დღესაც ეფექტურად ფუნქციონირებს. ფუნციონალური სტრუქტურა „შვეიცარული საათივით“ მუშაობს სტაბილურ სიტუაციებში, თუმცა ძალიან მოუქნელია დინამიურ გარემო პირობებში, როცა სწარაფად იცვლება მომხმარებლის სურვილები, ტექნოლოგიები, პროდუქციის ნომეკლატურა.

მკაცრად დალაგებულ სტრუქტურებთან ერთად არსებობს უფრო მოქნილი, მოდელის სწრაფი მოდიფიცირების მქონე სტრუქტურები-პროექტული და მატრიცული. მათ უწოდებენ ორგანულ სტრუქტურებსაც. მაგალითად, მატრიცული სტრუქტურა წარმოადგენს კომპრომისს ფუნქციონალურ და პროექტულ სტრუქტურებს შორის. საქართველოში თუ შეგვხვდება მატრიცული სტრუქტურა, ის ისევე როგორც მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, იქნება სუსტი ორგანიზებით, ანუ ტრადიციულად დიდი როლი აკისრია ფუნქციონალურ ხელმძღვანელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Быкова А.А. Организационные структуры управления-М.: «ОЛМА-ПРЕСС Инвест» - 2003-160 с.
2. Ханс-Д.Литкеб И. Кунов. Управление проектами-М.: ОМЕГА-Лб 2006-144 с.
3. ს. ხუციშვილი, ნ. ჯიბლაძე, გ. ჯავახაძე, დ. გორგიძე, ო. ხუციშვილი. ბიზნეს-გეგმის შემუშავების საფუძვლები.-თბილისი: “ტექნიკური უნივერსიტეტი“ -2007. 176 გვ.
4. Анфилатов В.С. и др. Системный анализ в управлении-М.: ФИНАНСЫ И СТАТИСТИКА. 2007-416 с.

მენეჯერული გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციის ანალიტიკური მეთოდები

ტარიელ კიკვაძე, *პროფესორი*
დავით გეგია, *დოქტორანტი*

რეზიუმე

სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი წარმატების საწინდარია ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. გადაწყვეტილების მიღება არის ალტერნატიულ ქმედებათა არჩევის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაცნობიერებული შედეგის მიღწევას.

გადაწყვეტილებას გამოიმუშავებს ადამიანი (ან ადამიანთა ჯგუფი), რომელიც გადაწყვეტილებათა მიღების თეორიაში გადაწყვეტილების მიმღები პირის სახელწოდებით არის ცნობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც წესი, გადაწყვეტილების მიღების პროცესი სუბიექტურ ხასიათს ატარებს და მნიშვნელოვანწილად სწორედ გადაწყვეტილების მიმღები პირის პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული.

არცთუ შორეულ წარსულში გადაწყვეტილების მიღების პროცესში უპირატესად საღ აზრსა და ინტუიციას ეყრდნობოდნენ. ამ ფაქტორებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, მაგრამ მათ რაციონალურ შერწყმას ანალიტიკურ, რაოდენობრივ მეთოდებთან გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ერთის მხრივ, გარკვეული ობიექტური ხასიათი შესძინოს და მეორეც, საგრძნობლად გააუმჯობესოს მიღებული გადაწყვეტილების ხარისხი.

ნაშრომში განხილულია ოპტიმალური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების ანალიტიკური ინსტრუმენტების ფართო სპექტრი. კერძოდ, გადაწყვეტილებათა მიღების ამოცანები განსაზღვრულ გარემოში მათი გადაწყვეტის ძირითადი მეთოდის - მათემატიკური პროგრამირების გამოყენებით, გადაწყვეტილებათა მიღების მრავალკრიტერიუმიანი ამოცანები, გადაწყვეტილების მიღების ამოცანები რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში მატრიცული თამაშების აპარატის გამოყენებით. გარდა ამისა, განხილულია ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების მეთოდი ბუნდოვან გარემოში, რომელსაც საფუძვლად უდევს მიზნებისა და შეზღუდვების სიმეტრიულობის დაშვების პირობა.

საკვანძო სიტყვები: ეფექტურობის კრიტერიუმი, მიზნის ფუნქცია, გადაწყვეტილებათა სიმრავლე, ოპტიმალური გადაწყვეტილება, მატრიცული თამაში, ბუნდოვანი სიმრავლე.

Summary

Making right decisions are prerequisite of success in any kind of human practice. Decision making is always a process of choosing among alternative actions and it aims reaching the desired outcome.

As a rule, decision is made by person (or by group of persons). For that reason, decision making process is subjective in its nature and deeply depends on the personality of a person, who makes decisions. In the theory of decision making there is a special term for such a person - decision maker.

Not so long ago, the process of decision making was based on common sense and intuition. These factors have not lost their relevance to present. But later they were enriched by quantitative and analytical techniques and for that reason the objectivity of decision making process and its quality were significantly improved.

The article deals with the wide range of analytical tools of optimal decision-making. In particular, problems of decision-making in a deterministic environment using linear programming as a main tool for their resolution, multi-criteria decision-making, decision-making under risk and uncertainty that are based on matrix games. Additionally it examines the problems of optimal decision making in a fuzzy environment that are based on an assumption of symmetry between goals and restrictions.

Keywords: efficiency criterion, goal function, space of decisions, optimal decision, matrix game, fuzzy set.

ნებისმიერი ორგანიზაცია, სახელმწიფო იქნება იგი თუ კერძო, მართვას საჭიროებს. სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების გართულებამ, რომელიც დამახასიათებელი იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისათვის, წინა პლანზე წამოწია მმართველობითი ურთიერთობების თეორიისა და პრაქტიკის (მენეჯმენტის) სრულყოფის ამოცანები.

ადამიანთა მცირე თუ დიდი ჯგუფების მართვის პროცესი რთულ ამოცანას წარმოადგენს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სულიერ, იდეოლოგიურ და სხვა მომენტებს. მენეჯმენტის, როგორც სოციალ-ეკონომიკური მართვის ერთერთი ძირითადი სახეობის საფუძველზე უნდა განისაზღვროს თუ ვინ, როდის და რა სამუშაო უნდა შეასრულოს და როგორი რესურსები უნდა იქნეს გამოყენებული, რომლებიც, როგორც წესი, შეზღუდულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ სფეროში მოღვაწე ქვედა, საშუალო თუ ზედა რგოლის მენეჯერის წინაშე ყოველთვის დგას ადეკვატური გადაწყვეტილებების გამომუშავების პრობლემები.

თავის არსით გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერი პრობლემა არის ალტერნატივათა რაიმე სიმრავლიდან გარკვეული აზრით ოპტიმალური გადაწყვეტილების ამორჩევის პრობლემა, რომლის წარმატებით გადაჭრა წარმოუდგენელია ფორმალური მეთოდების გამოყენების გარეშე.

მეორეს მხრივ, აღნიშნულ პროცესში აუცილებელია მენეჯმენტისა და ფსიქოლოგიის ცნებებისა და მეთოდების გამოყენებაც, რაც სუბიექტური ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და გამოყენებას გულისხმობს.

გადაწყვეტილების მიღების ზოგადი მოდელის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს საკუთრივ გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებათა მიღების სიმრავლე, ეფექტურობის კრიტერიუმი და ამომხსნელი წესი.

გადაწყვეტილება არის ქმედების ერთერთი შესაძლო ვარიანტი დასახული მიზნის მისაღწევად. იგი სხვადასხვა ბუნების შეიძლება იყოს (რიცხვი, ფუნქცია, თუ სიტყვიერი ინსტრუქცია). გადაწყვეტილების ნაცვლად ზოგჯერ იყენებენ ტერმინებს - ალტერნატივა, სტრატეგია, გეგმა, დასაშვები ამონახსნი. შეიძლება ვისაუბროთ გადაწყვეტილების მიღებაზე როგორც ერთი, ისე ერთდროულად რამდენიმე მიზნის მიღწევის შესაბამისად.

ყოველ კონკრეტულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობას **გადაწყვეტილებათა მიღების სიმრავლეს** (ანდა მოკლედ - გადაწყვეტილებათა სიმრავლეს) უწოდებენ. იგი შეიძლება იყოს როგორც სასრული, ისე უსასრულოც.

ეფექტურობის კრიტერიუმი (მის ნაცვლად ზოგჯერ მიზნის ფუნქციის ცნებაც გამოიყენება) გვიჩვენებს დასახული მიზნის მიღწევის ხარისხს, ანუ, ფორმალური ენით თუ ვიტყვით - ეს არის გადაწყვეტილებათა სიმრავლეზე განსაზღვრული რიცხვითი ფუნქცია.

შეიძლება დაისვას როგორც ერთადერთი საუკეთესო (ოპტიმალური), ისე რამდენიმე გადაწყვეტილების შერჩევის ამოცანებიც. თუ გადაწყვეტილებათა სიმრავლე სასრულია, მაშინ ამ თვალსაზრისით მისი სრული რანჟირების (დალაგების) ამოცანაც შეიძლება დავსვათ. მეთოდს,

რომლის საფუძველზეც ხორციელდება აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა - **ამომხსნელ წესს** უწოდებენ. ეს შეიძლება იყოს ანალიტიკური გამოსახულება, მრავალეტაპიანი (იტერაციული) ალგორითმი, ანდა, ევრისტიკული მეთოდი, რომელიც გადაწყვეტილების მიმღები პირის პრიორიტეტთა სისტემის გამოვლენასა და გამოყენებას გულისხმობს.

მენეჯერს შეიძლება გადაწყვეტილების მიღება მოუხდეს გარემოში, რომელსაც საერთოდ ვერ აკონტროლებს, ან სუსტად აკონტროლებს. გადაწყვეტილებათა მიღების გარემოს შესახებ მისი ცოდნის დონის შესაბამისად გადაწყეტილებათა მიღების სიტუაციები კლასიფიცირდება როგორც განსაზღვრულობის, რისკისა და განუსაზღვრელობის მდგომარეობები, ანუ, შესაბამისად - სრული ცოდნის, ნაწილობრივი ცოდნის და სრული არცოდნის დონეები.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ განსაზღვრულობის კონცეფციას მხოლოდ თეორიული ინტერესი თუ შეიძლება ჰქონდეს და შორს იყოს პრაქტიკიდან, თუმცა, არსებობს რიგი მოკლევადიანი ბიზნესსიტუაციებისა, როდესაც მენეჯერი სრულ ინფორმაციას ფლობს გადაწყვეტილებათა მიღების გარემოს შესახებ. ანალიტიკური ინსტრუმენტების სპექტრი ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად მსგავს სიტუაციებში საკაოდ მრავალფეროვანია.

ზოგადა, გადაწყვეტილების გამომუშავება განსაზღვრულობის პირობებში მიმართულია სარგრბლის (შემოსავლის, მოგების) მაქსიმიზაციისაკენ, ან დანახარჯების მინიმიზაციისაკენ. ამ პროცესს **ოპტიმიზაციური ანალიზი** ეწოდება, რომლის ძირითად მეთოდს **მათემატიკური პროგრამირება** წარმოადგენს.

მათემატიკური პროგრამირება იკვლევს ექსტრემალურ ამოცანებს და ამუშავებს მათი ამოხსნის მეთოდებს. ამოცანის ზოგადი დასმა შემდეგი სახით შეიძლება ჩაიწეროს:

$$max(min) \rightarrow f(x_1, x_2, \dots, x_n) \qquad (1)$$

პირობებით

$$g_i(x_1, x_2, \dots, x_n) \leq b_{i,} \quad (i = \overline{1, m}), \qquad (2)$$

სადაც f და g_i მოცემული ფუნქციებია, ხოლო b_i - ნამდვილი რიცხვები.

ექსტრემალურ ამოცანას, რომელშიც ცვლადებს ნებისმიერი მნიშვნელობების მიღება შეუძლიათ (ანუ, (2) პირობების გარეშე) უწოდებენ **უპირობო**, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში - **პირობიან** ექსტრემალურ ამოცანას.

მათემატიკური პროგრამირების ამოცანათა კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს f და g_i ფუნქციათა თვისებები, რომელთაც, შესაბამისად, **მიზნისა და შეზღუდვების ფუნქციები** ეწოდებათ.

პირველ რიგში, მათემატიკური პროგრამირების ამოცანები იყოფა წრფივი და არაწრფივი პროგრამირების ამოცანებად.

წრფივი პროგრამირების ამოცანებში როგორც მიზნის, ისე შეზღუდვის ყველა ფუნქცია წრფივია. წინააღმდეგ შემთხვევაში (ანუ, როდესაც მიზნის, ან შეზღუდვის ერთი მაინც ფუნქცია წრფივი არ არის), მათემატიკური პროგრამირების ამოცანა **არაწრფივი პროგრამირების ამოცანას** წარმოადგენს.

წრფივი პროგრამირების ამოცანის ამოხსნის ძირითადი მეთოდი **სიმპლექს-მეთოდის** სახელწოდებითაა ცნობილი, რომელიც ამერიკელმა მათემატიკოსმა **ჯ. დანციგმა** შეიმუშავა 1949 წელს.

ამოცანის საწყის დასმაში შეზღუდვებს შემდეგი სახე ქონდა:

$$\sum_{j=1}^{n} x_j = 1, \ x_j \geq 0, \ (j = \overline{1,n}). \qquad (3)$$

(3) სისტემით განსაზღვრულ არეს n განზომილებიან სივრცეში **სიმპლექსი** ეწოდება, რამაც განაპირობა მეთოდის სახელწოდება.

სიმპლექს-მეთოდი საკმაოდ რთული იტერაციული პროცედურაა, რომელიც დასაშვებ ამონახსნთა მრავალწახნაგას გარკვეული წვეროდან იწყება. როგორც წესი, ოპტიმალური ამონახსნი (მისი არსებობის შემთხვევაში) ერთერთი წვეროს კოორდინატებს წარმოადგენს. ყოველ შემდეგ იტერაციაზე (ნაბიჯზე) ხორციელდება მეზობელ წვეროზე გადასვლა ისე, რომ მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა უმჯობესდება. ძებნის პროცედურა გრძელდება მანამ, სანამ აღნიშნული წვერო არ მიიღწევა. შემუშავებულია ოპტიმალური ამონახსნის ძებნის პროცედურის დასრულების შესაბამისი მათემატიკური კრიტერიუმიც.

არაწრფივი პროგრამირების ამოცანებიდან ყველაზე უკეთ შესწავლილია **ამოზნექილი პროგრამირების ამოცანები**. ამ ამოცანებში უნდა მოიძებნოს ამოზნექილ და ჩაკეტილ სიმრავლეზე განსაზღვრული ამოზნექილი ფუნქციის მინიმუმი, ან ჩაზნექილი ფუნქციის მაქსიმუმი. მაგალითად, **კვადრატული პროგრამირების ამოცანა** მდგომარეობს კვადრატული ფუნქციის მაქსიმუმის, ან მინიმუმის პოვნაში წრფივი შეზღუდვების პირობებში.

მათემატიკური პროგრამირების ამოცანათა ცალკე კლასებს წარმოადგენს მთელრიცხვა, პარამეტრული და წილად-წრფივი პროგრამირების ამოცანები.

მთელრიცხვა პროგრამირების ამოცანებში ცვლადებს მხოლოდ მთელი მნიშვნელობების მიღება შეუძლიათ.

პარამეტრული პროგრამირების ამოცანებში მიზნისა და შეზღუდვების ფუნქციები შეიძლება დამოკიდებული იყოს გარკვეულ პარამეტრებზე.

წილად-წრფივი პროგრამირების ამოცანებში მიზნის ფუნქცია წარმოადგენს ორი წრფივი ფუნქციის შეფარდებას, ხოლო შეზღუდვის ყველა ფუნქცია წრფივია.

სტოქასტური პროგრამირების ამოცანებში მიზნისა და შეზღუდვების ფუნქციების არგუმენტებს შემთხვევითი სიდიდეებიც შეიძლება წარმოადგენდეს.

ექსტრემალური ამოცანები, რომლებშიც ამონახსნის პოვნის პროცესი მრავალ ეტაპს მოიცავს **დინამიკური პროგრამირების ამოცანათა** კლასს მიეკუთვნება.

როგორც წრფივი, ისე არაწრფივი პროგრამირების ამოცანებში სტატიკური, ერთეტაპიანი გადაწყვეტილებები მიიღება. დინამიკური პროგრამირების ამოცანებში კი პროცესები დამოკიდებულია დროის რამდენიმე ეტაპზე. ამიტომ, ოპტიმალური გადაწყვეტილების (რომელსაც დინამიკური პროგრამირების თეორიაში **პირობით ოპტიმალურ მართვას** უწოდებენ) მიღება ხდება ყოველ ეტაპზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის ოპტიმალურ განვითარებას მთლიანობაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეულ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისას ყოველთვის მხედველობაში უდა გვქონდეს საბოლოო მიზანი (ანუ, გათვალისწინებული უნდა იყოს მომავალი).

ზოგადი სახით დინამიკური პროგრამირების ამოცანა შემდეგნაირად შეიძლება იქნას დასმული:

დავუშვათ, რაიმე მართვადი სისტემა S იმყოფება საწყის $S_0 \in \widetilde{S_0}$ მდგომარეობაში. დროთა განმავლობაში მისი მდგომარეობა იცვლება და საბოლოო $S_k \in \widetilde{S_k}$ მდგომარეობაში გადადის. სისტემის მდგომარეობის ცვლილების პროცესი დაკავშირებულია გარკვეულ W რიცხვით კრიტერიუმთან.

შესაძლებელ მართვათა U სიმრავლიდან უნდა შევარჩიოთ ისეთი U^* მართვა, რომელიც S სისტემას საწყისი $S_0 \in \widetilde{S_0}$ მდგომარეობიდან გადაიყვანს საბოლოო $S_k \in \widetilde{S_k}$ მდგომარეობაში ისე, რომ $W(U)$ კრიტერიუმს ოპტიმალურ W^* მნიშვნელობას მიანიჭებს.

დინამიკური პროგრამირების მეთოდი გულისხმობს, რომ მდგომარეობა $\widetilde{S_i}$, რომელშიაც გადავიდა S სისტემა, დამოკიდებულია $\widetilde{S_{i-1}}$ -სა და u_i -ზე და არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მივიდა სისტემა $\widetilde{S_{i-1}}$ მდგომარეობაში (**შემდგომქმედების არარსებობის პირობა**). მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა k ნაბიჯზე შემდეგნაირად განისაზღვრება:

$F = \sum_{i=1}^{k} W_i(\widetilde{S_{k-1}}, u_i)$ (**მიზნის ფუნქციის ადიტიურობის პირობა**).

დინამიკური პროგრამირების მთავარ პირობას კი წარმოადგენს **ბელმანის ოპტიმალობის პრინციპი**, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: როგორიც არ უნდა იყოს სისტემის მდგომარეობა მორიგი ნაბიჯის წინ, ამ ნაბიჯზე ოპტიმალური მართვა ისე უნდა იქნას შერჩეული, რომ მიზნის ფუნქციის შესაბამისი შესაკრებისა და ყველა მომდევნო ნაბიჯზე მიზნის ფუნქციის შესაკრებთა ჯამის ოპტიმალური მნიშვნელობის ჯამი მაქსიმალური იყოს.

ოპტიმალობის პრინციპის მათემატიკურ ფორმულირებას შეიძლება მიეცეს შემდეგი სახე:

$$F_k(\widetilde{S_0}) = max_{u_1,u_2,\dots,u_k}[W_1(\widetilde{S_0},u_1) + W_2(\widetilde{S_1},u_2) + \dots + W_i(\widetilde{S_{k-1}},u_k)],$$

$$F_{k-i}(\widetilde{S_i}) = max_{u_{i+1}}[W_{i+1}(\widetilde{S_i},u_{i+1}) + F_{k-i-1}(\widetilde{S_{i+1}})], \quad i = \overline{k-1,0}. \qquad (4)$$

(4) ცნობილია **ბელმანის ძირითადი ფუნქციონალური განტოლებების (რეკურენტული დამოკიდებულებების)** სახელწოდებით. აქ $F_k(\widetilde{S_0})$ -ით აღნიშნულია მიზნის ფუნქციის მაქსიმალური მნიშვნელობა k ნაბიჯზე სისტემის საწყისი $\widetilde{S_0}$ მდგომარეობიდან საბოლოო $\widetilde{S_k}$

მდგომარეობაში გადასვლისას ოპტიმალური $U^* = (u_1^*, u_2^*, \dots, u_k^*)$ სტრატეგიის გამოყენებით, ხოლო $F_{k-i}(\widetilde{S_i})$-ით - მიზნის ფუნქციის შესაკრებთა ჯამის მაქსიმალური მნიშვნელობა სისტემის $\widetilde{S_i}$-ს ნებისმიერი მდგომარეობიდან საბოლოო $\widetilde{S_k}$ მდგომარეობაში გადასვლისას მართვის ოპტიმალური სტრატეგიის გამოყენებით დარჩენილ $(k-i)$ ნაბიჯზე.

იმისათვის, რომ განისაზღვროს მართვის ოპტიმალური სტრატეგია, ამჯერად საჭიროა ნაბიჯთა მთელი მიმდევრობა დასაწყისიდან ბოლოსკენ გავიაროთ: პირველ ნაბიჯზე ოპტიმალურ u_1^* მართვად უნდა ავიღოთ უკვე განსაზღვრული პირობით ოპტიმალური u_1^0 მართვა. მეორე ნაბიჯზე ვპოულობთ სისტემის S_1^* მდგომარეობას, რომელშიაც სისტემა u_1^* მართვას გადაყავს. ეს მდგომარეობა განსაზღვრავს პირობით ოპტიმალურ u_2^* მართვას, რომელსაც ოპტიმალურ u_2^* მართვად მივიჩნევთ. ვიცით რა u_2^*, ვპოულობთ S_2^* -ს, ე.ი. განვსაზღვრავთ u_3^* -ს და ა.შ.

ბელმანის ოპტიმალობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ **ოპტიმალური ტრაექტორიის ნებისმიერი წაწილი ოპტიმალურია.**

დინამიკური პროგრამირების მეთოდის გამოყენება საგრძნობლად ამარტივებს ოპტიმალური ამონახსნის პოვნის პროცესს, პირველ რიგში, გამოსაკვლევი ვარიანტების მნიშვნელოვანი შემცირების ხარჯზე.

პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად გვხვდება გადაწყვეტილებათა მიღების ისეთი სიტუაციები, როდესაც ერთდროულად ეფექტურობის რამდენიმე კრიტერიუმი უნდა იქნას გათვალისწინებული.

გადაწყვეტილებათა მიღების თეორიაში მსგავსი პრობლემები **მრავალკრიტერიუმიანი (ვექტორული) ოპტიმიზაციის ამოცანების** ახელწოდებით არის ცნობილი. ამ ამოცანების ამოსახსნელად სკალარული (ერთმიზნიანი) ოპტიმიზაციის ამოცანებისაგან განსხვავებით ოპტიმიზაციის მხოლოდ ტრადიციული მეთოდების გამოყენება საკმარისი არ არის (ძირითადად, მათემატიკური პროგრამირების მეთოდებს ვგულისხმობთ). როგორც წესი, მრავალკრიტერიუმიანი ამოცანების ამოხსნის პროცესში აუცილებელი ხდება ექსპერტული შეფასებების გამოყენებაც, რადგანაც შესაძლებელია, რომ ზოგიერთები აღნიშნულ კრიტერიუმთაგან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ ერთმანეთთან , სხვები ერთი მიმართულებით მოქმედებდნენ, დანარჩენების ურთიერთდამოკიდებულებას კი ინდიფერენტული ხასიათი ჰქონდეს.

დავუშვათ, გადაწყვეტილებათა U სიმრავლეზე განსაზღვრულია ეფექტურობის m **კერძო კრიტერიუმი** $F_1(u), F_2(u), \dots, F_m(u)$, რომელთა ერთობლიობა ქმნის **ვექტორულ კრიტერიუმს** - $\boldsymbol{F}(u) = (F_1(u), F_2(u), \dots, F_m(u))$.

ზოგადობის შეუზღუდავად ვიგულისხმოთ, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირი ცდილობს მიღწეული იქნას თითოეული კერძო კრიტერიუმის მაქსიმალური მნიშვნელობა:

$$max_{u \in U} \to F_i(u), \ \ i = \overline{1, m}. \qquad (5)$$

თუ U_i^*-ით $(i=\overline{1,m})$ აღვნიშნავთ (5)-ის შესაბამის სიმრავლეებს, მაშინ ვექტორული კრიტერიუმის შესაბამისად, ცხადია, ოპტიმალურად უნდა იქნას მიჩნეული ნებისმიერი გადაწყვეტილება $u^* \in U^*$, სადაც, $U^* = \cap_{i=1}^{m} U_i^*$.

პრაქტიკულ ამოცანებში, ჩვეულებრივ, U^* სიმრავლე ცარიელია, რაც იმას ნიშნავს, რომ დასმულ მრავალკრიტერიალურ ამოცანას არა აქვს ამონახსნი. მიუხედავად ამისა, მსგავს სიტუაციებში მაინც უნდა იქნას მიღებული გარკვეული გადაწყვეტილებები. ეს კი, ოპტიმალობის კლასიკური გაგების გადახედვის გარეშე ვერ მოხერხდება.

პირველ რიგში უნდა გაირკვეს გადაწყვეტილებათა ნებისმიერი წყვილის შედარების საკითხი ვექტორული $\boldsymbol{F}$ კრიტერიუმის შესაბამისად.

u გადაწყვეტილება v-ზე უკეთესია ვექტორული $\boldsymbol{F}$ კრიტერიუმის მიხედვით $(u \succ^{\boldsymbol{F}} v)$, თუ $F_i(u) \geq F_i(v),\ i=\overline{1,m}$, ამასთან, ერთი მაინც უტოლობა მკაცრად უნდა სრულდებოდეს. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ u გადაწყვეტილება **დომინირებს** v-ზე, ხოლო v **დომინირებადი** გადაწყვეტილებაა.

u და v გადაწყვეტილებებს ეწოდება **ეკვივალენტური** $\boldsymbol{F}$ კრიტერიუმის მიხედვით $(u \sim^{\boldsymbol{F}} v)$, თუ $F_i(u) = F_i(v),\ i=\overline{1,m}$.

სკალარული ოპტიმიზაციის ამოცანებისაგან განსხვავებით, ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანებში გადაწყვეტილებათა ზოგიერთი წყვილის შედარების ობიექტური საფუძველი არ არსებობს.

u და v გადაწყვეტილებებს ეწოდება **შედარებადი**, თუ ადგილი აქვს ერთერთს შემდეგი სამი დამოკიდებულებიდან:

$$u \succ^{\boldsymbol{F}} v, \qquad v \succ^{\boldsymbol{F}} u, \qquad u \sim^{\boldsymbol{F}} v.$$

გადაწყვეტილებათა არაშედარებადი წყვილების არსებობის შესაძლებლობა ვექტორული ოპტიმიზაციის მთავარ სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს, რითაც განპირობებულია ექსპერტთა სუბიექტური შეფასებების გამოყენების აუცილებლობა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს იტალიელმა მეცნიერმა **ვ. პარეტომ** შემოიღო ოპტიმალობის ცნება, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა გადაწყვეტილებათა მიღებისა და ეკონომიკური თეორიების განვითარებაში.

გადაწყვეტილებას ეწოდება **ეფექტური (პარეტო-ოპტიმალური)**, თუ გადაწყვეტილებათა სიმრავლეში არ მოიძებნება მასზე უკეთესი გადაწყვეტილება ვექტორული კრიტერიუმის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში - **არაეფექტური**.

მოყვანილი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ეფექტური გადაწყვეტილება არადომინირებადია.

ყველა ეფექტურ გადაწყვეტილებათა სიმრავლეს **პარეტოს სიმრავლე** ეწოდება და U^P-თი აღინიშნება.

ადვილი მისახვედრია, რომ გადაწყვეტილებათა ნებისმიერი წყვილი U^P-დან შედარებადი არ არის და ნებისმიერი არაეფექტური გადაწყვეტილებისათვის მოიძებნება ერთი მაინც გადაწყვეტილება U^P-დან, რომელიც მასზე დომინირებს.

პარეტო-ოპტიმალობის ცნების შემოტანა მნიშვნელოვნად ამარტივებს მრავალკრიტერიუმიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რადგანაც იგი საშუალებას იძლევა განხილვიდან გამოვრიცხოთ არაეფექტური გადაწყვეტილებები.

პრაქტიკაში გავრცელებულ მრავალკრიტერიუმიანი გადაწყვეტილებების მიღების თითქმის ყველა მეთოდში გამოიყენება ექსპერტული შეფასებები, რომლებიც დაკავშირებულია, პირველ რიგში, გადაწყვეტილებათა მიმღები პირების პრიორიტეტების გამოვლენასთან ეფექტურობის კერძო კრიტერუმებთან მიმართებაში.

განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებათა მისაღებად შემუშავებულია სპეციალური მათემატიკური მეთოდები, რომლებიც თამაშთა თეორიაში განიხილება. იგი სათავეს 1944 წლიდან იღებს, როდესაც გამოქვეყნდა **ფ. ნეიმანისა** და **ო.მორგენშტერნის** ცნობილი მონოგრაფია "თამაშთა თეორია და ეკონომიკური ქცევა". მოგვიანებით თამაშთა თეორია პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე დამოუკიდებელ მათემატიკურ მიმართულებად ჩამოყალიბდა.

თამაშთა თეორია იკვლევს კონფლიქტურ სიტუაციებს, რომელთა მონაწილეების ინტერესები და მიზნის მიღწევის გზები განსხვავებულია ერთმანეთისაგან. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს რაციონალური სამოქმედო რეკომენდაციების შემუშავება კონფლიქტში მონაწილე მხარეებისათვის შესაბამისი მათემატიკური მოდელების გაანალიზების საფუძველზე.

კონფლიქტური სიტუაციის გამარტივებულ მოდელს **თამაშს** უწოდებენ. თამაშების კლასიფიკაციას საფუძვლად სხვადასხვა კრიტერიუმი შეიძლება დაედოს. თამაშებში ერთმანეთს ორი ან მეტი მოწინააღმდეგის ინტერესები შეიძლება დაეჯახოს. პირველ შემთხვევაში თამაშს წყვილურს (ორი მოთამაშის თამაშს), ხოლო მეორეში - მრავლობითს (მრავალი მოთამაშის თამაშს) უწოდებენ.

სტრატეგიას თამაშთა თეორიაში უწოდებენ გადაწყვეტილების მიღების წესს, რომლითაც გაწერილია მოთამაშის ქმედებები აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების ყოველ ეტაპზე. **ოპტიმალური** ეწოდება სტრატეგიას, რომელიც თამაშის მრავალჯერ განმეორების შემთხვევაში უზრუნველყოფს მაქსიმალურად შესაძლებელ საშუალო მოგებას მოცემული მოთამაშისათვის.

თამაშების უმარტივეს სახეობას წარმოადგენს ორი მოთამაშის თამაში ნულოვანი ჯამით (მხარეების მოგებათა ჯამი ნულს უნდა უდრიდეს), ანუ **მატრიცული თამაშები**.

მატრიცულ თამაშებს ყველაზე მეტი გამოყენება აქვს პრაქტიკაში.

აღვნიშნოთ A -თი და B-თი ამ ტიპის თამაშის მოთამაშეები. თამაში ორი სვლისაგან შედგება: თითოეული მოთამაშე ირჩევს, შესაბამისად, ერთერთ შესაძლო A_i $(i = \overline{1,m})$ და B_j $(j = \overline{1,n})$ სტრატეგიებს, ამასთან აღნიშნული არჩევანი ხორციელდება ისე, რომ არცერთმა იცის, თუ რომელი არჩევანი გააკეთა მოწინააღმდეგემ.

საერთოდ, თამაშთა უმრავლესობაში მიიჩნევენ, რომ მონაწილეთა ინტერესები რაოდენობრივ აღწერას ექვემდებარება, ანუ, თამაშის შედეგი (მოგება) გარკვეული რიცხვით განისაზღვრება.

აღვნიშნოთ $\varphi_1(A_i, B_j)$ -ითა და $\varphi_2(A_i, B_j)$-ით მოთამაშეთა მოგებები. ყველა i-სა და j-სათვის ადგილი უნდა ჰქონდეს თანაფარდობას:

$$\varphi_1(A_i, B_j) + \varphi_2(A_i, B_j) \equiv 0,$$

საიდანაც გამომდინარეობს რომ, თუ $\varphi_1(A_i, B_j) = \varphi(A_i, B_j)$, მაშინ $\varphi_2(A_i, B_j) = -\varphi(A_i, B_j)$.

A მოთამაშის მიზანია $\varphi(A_i, B_j)$ ფუნქციის მაქსიმიზაცია, ხოლო B-სი - იგივე ფუნქციის მინიმიზაცია.

შემოვიღოთ აღნიშვნა $\varphi(A_i, B_j) = a_{ij}$ და შევადგინოთ შემდეგი მატრიცა:

$$\boldsymbol{A} = \begin{pmatrix} a_{11} & a_{12} & \dots & a_{1n} \\ a_{21} & a_{22} & \dots & a_{2n} \\ \dots\dots\dots\dots & & & \\ a_{m1} & a_{m2} & \dots & a_{mn} \end{pmatrix}$$

მატრიცის სტრიქონები შეესაბამება A_i, ხოლო სვეტები - B_j სტრატეგიებს. $\boldsymbol{A}$ მატრიცას საგადამხდელო, ან უბრალოდ, **თამაშის მატრიცას** უწოდებენ, ხოლო ამ მატრიცის a_{ij} ელემენტს - A მოთამაშის **მოგებას**, თუ მან აირჩია A_i, ხოლო B-მ - B_j სტრატეგია.

თუ A მოთამაშე აირჩევს A_i სტრატეგიას, მაშინ ყველაზე უარეს შემთხვევაში (ვთქვათ, თუ მისი არჩევანი ცნობილი გახდებოდა B მოთამაშისათვის) იგი $min_j a_{ij}$-ს ტოლ მოგებას მიიღებს. მან უნდა დაუშვას ასეთი შესაძლებლობა, განიხილოს $min_j a_{ij}$ მნიშვნელობათა სიმრავლე სხვადასხვა i-სათვის და უნდა აირჩიოს მისი ის მნიშვნელობა, რომლის დროსაც $min_j a_{ij}$ მაქსიმალური იქნება:

$$\alpha = max_i min_j a_{ij}.$$

α -ს თამაშის **ქვედა ფასი** ეწოდება, ხოლო A_{i_0} სტრატეგიას, რომელიც ამ მოგების მიღებას უზრუნველყოფს - **მაქსიმინური** სტრატეგია.

B მოთამაშემ სტრატეგიის არჩევისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპით: B_j სტრატეგიის არჩევის შემთხვევაში მისი წაგება მატრიცის j-ური სვეტის მაქსიმალურ

ელემენტზე მეტი არ იქნება. აქედან გამომდინარე, მან უნდა განიხილოს $max_i a_{ij}$ მნიშვნელობათა სიმრავლე სხვადასხვა j-სათვის და უნდა აირჩიოს მისი ის მნიშვნელობა, რომლის დროსაც $max_i a_{ij}$ მინიმალური იქნება:

$$\beta = min_j max_i a_{ij}.$$

β მნიშვნელობას თამაშის **ზედა ფასი** ეწოდება, ხოლო შესაბამის B_{j_0} სტრატეგიას - **მინიმაქსური** სტრატეგია .

A მოთამაშის ფაქტიური მოგება შემოსაზღვრულია თამაშის ქვედა და ზედა ფასებით.

თუ $max_i min_j a_{ij} = min_j max_i a_{ij} = v$, მაშინ მატრიცულ თამაშს უწოდებენ **სრულად განსაზღვრულ თამაშს**, v მნიშვნელობას კი - **თამაშის ფასს**. ასეთი თამაშის მატრიცის $a_{i_0 j_0}$ ელემენტს, რომელიც ერთდროულად მინიმალურია i_0 სტრიქონში, ხოლო მაქსიმალური j_0 სვეტში - **უნაგირა წერტილი** ეწოდება, ამიტომ სრულად განსაზღვრულ თამაშს ზოგჯერ უწოდებენ **თამაშს უნაგირა წერტილით**.

უნაგირა წერტილი შეესაბამება მოთამაშეთა ოპტიმალურ სტრატეგიებს. მათი ერთობლიობა წარმოადგენს **თამაშის ამონახსნს**, რომელსაც შემდეგი თვისება გააჩნია: თუ ერთერთი მოთამაშე არჩევანს ოპტიმალურ სტრატეგიაზე აკეთებს, მაშინ მეორისათვის ოპტიმალური სტრატეგიიდან გადახვევა არ შეიძლება ხელსაყრელი აღმოჩნდეს მისთვის.

თამაშებში, სადაც უნაგირა წერტილები არ არსებობს, $\alpha < \beta$. ასეთ შემთხვევებში, ბუნებრივია, თითოეული მოთამაშე შეეცდება გარანტირებულზე უკეთესი შედეგის მიღწევას. კერძოდ, A მოთამაშე შეეცდება α-ზე მეტი მოგების მიღებას, ხოლო B მოთამაშე - β-ზე ნაკლების წაგებას. ასეთი ამონახსნის პოვნის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოთამაშეებმა უნდა გამოიყენონ არა ერთი, არამედ, რამდენიმე სტრატეგია და მათ შერჩევას შემთხვევითი ხასიათი უნდა ჰქონდეს. მოთამაშეთა მიერ სტრატეგიათა შემთხვევით შერჩევას **შერეული სტრატეგია** ეწოდება.

თამაშში $m \times n$ განზომილების მატრიცით A მოთამაშის (შერეული) სტრატეგიები მოიცემა ალბათობათა $\boldsymbol{X} = (x_1, x_2, \dots, x_m)$ ნაკრებით, რომლებითაც მოთამაშე საწყის **წმინდა სტრატეგიებს** იყენებს. ეს ნაკრები წარმოადგენს m განზომილებიან ვექტორს, რომლის კომპონენტები უნდა აკმაყოფილებდეს პირობებს:

$$\sum_{i=1}^{m} x_i = 1, \ x_i \geq 0, \ i = \overline{1,m}.$$

ანალოგიურად, B მოთამაშისათვისაც შეიძლება განვსაზღვროთ $\boldsymbol{Y} = (y_1, y_2, \dots, y_n)$ ვექტორები, რომლებიც მის შერეულ სტრატეგიებს შეესაბამება.

A მოთამაშის მოგება შერეული სტრატეგიის გამოყენებისას განისაზღვრება როგორც მოგების მატემატიკური ლოდინი:

$\sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n} a_{ij}\, x_i y_j$, ან $\boldsymbol{XAY}'$ (ვექტორულ-მატრიცული ფორმით).

თამაშთა თეორიის ძირითადი თეორემის თანახმად ყოველ სასრულ თამაშს აქვს ერთი მაინც ამონახსნი (შესაძლებელია შერეულ სტრატეგიებში).

ოპტიმალური სტრატეგიების გამოყენება თამაშის ფასის ტოლი მოგების მიღების საშუალებას იძლევა:

$$\alpha \le v \le \beta.$$

მოთამაშეთა ოპტიმალური სტრატეგიებისათვის ადგილი აქვს თანაფარდობას:

$$max_{\boldsymbol{X}} min_{\boldsymbol{Y}} \boldsymbol{XAY}' = min_{\boldsymbol{Y}} max_{\boldsymbol{X}} \boldsymbol{XAY}'.$$

A მოთამაშის მიერ ოპტიმალური $\boldsymbol{X}^*$ სტრატეგიის გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს არანაკლებ თამაშის v ფასის ტოლი მოგება იმის მიუხედავად, თუ როგორ სტრატეგიას გამოიყენებს B მოთამაშე:

$$\sum_{i=1}^{m} x_i^* a_{ij} \ge v,\ \ j = \overline{1,n}. \qquad (6)$$

ანალოგიურად, ოპტიმალურმა $\boldsymbol{Y}^*$ სტრატეგიამ B მოთამაშისათვის უნდა უზრუნველყოს წაგება, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს v-ს A მოთამაშის მიერ ნებისმიერი სტრატეგიის გამოყენების შემთხვევაში:

$$\sum_{j=1}^{n} a_{ij}\, y_j^* \le v,\ \ i = \overline{1,m}. \qquad (7)$$

თუ თამაშს უნაგირა წერტილი არა აქვს, თამაშის ამოხსნა მით უფრო რთულია, რაც უფრო დიდია m-ისა და n-ის მნიშვნელობები. ამიტომ თამაშთა თეორიაში შემუშავებულია ხერხები, რომელთა საშუალებით ერთი თამაშის ამოხსნა მეორე, უფრო მარტივი თამაშის ამოხსნაზე დაიყვანება (თამაშის მატრიცის განზომილების შემცირების საფუძველზე). მატრიცის განზომილების შემცირება შესაძლებელია მატრიციდან დუბლირებული და დომინირებული სტრატეგიების შესაბამისი სტრიქონების (სვეტების) გამორიცხვის გზით.

დუბლირებული ეწოდება ისეთ სტრატეგიებს, რომელთაც მატრიცაში ელემენტების ერთიდაიგივე მნიშვნელობები შეესაბამება, ანუ, იგი შეიცავს ერთიდაიგივე სტრიქონებს (სვეტებს). თუ მატრიცის i-ური სტრიქონის ყველა ელემენტი ნაკლებია ან ტოლი რომელიმე სტრიქონის შესაბამის ელემენტებზე, მაშინ A მოთამაშის A_i სტრატეგიას **დომინირებული სტრატეგია** ეწოდება. ხოლო, თუ მატრიცის j-ური სვეტის ელემენტები მეტია ან ტოლი რომელიმე სხვა სვეტის შესაბამის ელემენტებზე, მაშინ B მოთამაშის B_j სტრატეგიასაც დომინირებულ სტრატეგიას უწოდებენ.

მატრიცის განზომილების შემცირება შესაძლებელია აგრეთვე, თუ მას ისეთ ქვემატრიცებად დავყოფთ, რომლებშიც სვეტებისა და სტრიქონების ელემენტების ჯამი ერთმანეთის ტოლია. ამ დროს მატრიცაში წმინდა სტრატეგიების ნაცვლად შეიძლება შერეული სტრატეგიები ჩავრთოთ. მატრიცის ელემენტები, რომლებიც შეესაბამება შერეულ სტრატეგიებს,

მიიღება შესაბამისი ელემენტების ჯამების შერეულ სტრატეგიებში გაერთიანებულ წმინდა სტრატეგიების რიცხვზე გაყოფით. თუ შერეული სტრატეგია ოპტიმალურია, მაშინ ალბათობები, რომლებითაც მასში შემავალი წმინდა სტრატეგიები გამოიყენება, ერთმანეთის ტოლია.

გრძელვადიანი მეწეჯერული გადაწყვეტილებების მიღების ამოცანათა უმრავლესობა ერთჯერადი მატრიცული თამაშის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ, სადაც მეორე, პირობითი "მოთამაშის" წმინდა სტრატეგიების როლში გადაწყვეტილებათა მიღების გარემოს შესაძლო მდგომარეობები გამოდის. მდგომარეობათა ალბათური განაწილება შეიძლება როგორც ცნობილი (ასეთ შემთხვევებში ამბობენ, რომ გადაწყვეტილება მისაღებია **რისკის პირობებში**), ისე უცნობიც იყოს (ამ დროს კი ამბობენ, რომ გადაწყვეტილება **განუსაზღვრელობის პირობებში** უნდა იქნას მიღებული).

რისკის პირობებში პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია გადაწყვეტილების მიღების **სავარაუდო ღირებულების მეთოდი**, რომლის თანახმად შეფასების კრიტერიუმს S_i სტრატეგიის სავარაუდო ღირებულება წარმოადგენს:

$$E(S_i) = \sum_{j=1}^{m} P_j a_{ij}, \ i = \overline{1,m}. \qquad (8)$$

ამ უკანასკნელში P_j, $j = \overline{1,n}$ გადაწყვეტილებათა მიღების გარემოს მდგომარეობათა ალბათობებია.

განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილების მისაღებად ორი მიდგომა არსებობს:

1) გადაწყვეტილების მიმღებ პირს შეუძლია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია, გამოცდილება და ინტუიცია გადაწყვეტილების გარემოს მდგომარეობათა სუბიექტური ალბათობებისა და თითოეული სტრატეგიის შესაბამისი უკუგების შესაფასებლად. ამ შემთხვევაში ოპტიმალური სტრატეგიის შესარჩევად შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენს მიერ ზემოთგანხილული სავარაუდო ღირებულების მეთოდი;
2) თუ განუსაზღვრელობის ხარისხი ძალზე მაღალია, გადაწყვეტილების მიმღებ პირს ურჩევნია არ გამოთქვას ვარაუდები გარემოს მდგომარეობათა ალბათობების შესახებ (ე.ი. საერთოდ არ გაითვალიწინოს ალბათობები), ან ტოლალბათურად მიიჩნიოს ისინი (რაც პრაქტიკულად ერთიდაიგივეა). ასეთი მიდგომის გამოყენების შემთხვევაში არსებობს სტრატეგიათა შერჩევის ოთხი შემდეგი კრიტერიუმი:

ვალდის კრიტერიუმი, რომელსაც ხშირად **მაქსიმინურ კრიტერიუმსაც** უწოდებენ, კონსერვატიზმის გამოვლინებასა და საიმედოობის დონის მაქსიმიზაციის მცდელობას ასახავს. ეს კრიტერიუმი გარემოს შესაძლო მდგომარეობებს წარმოადგენს როგორც "ჭირვეული და არაკეთილმოსურნე მოთამაშის" წმინდა სტრატეგიებს. აქედან გამომდინარე, კრიტერიუმის მიხედვით თითოეული სტრატეგიისათვის განისაზღვრება ყველაზე უარესი შესაძლო შედეგი, რის შემდეგაც იმ სტრატეგიას ენიჭება უპირატესობა, რომელსაც უარეს შედეგებს შორის საუკეთესო შედეგი შეესაბამება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემულ შემთხვევაში

ოპტიმალური სტრატეგია უზრუნველყოფს არანაკლებ თამაშის ქვედა ფასის ტოლი უკუგების მიღებას.

კრიტერიუმის კონსერვატული ბუნების გამო მისი გამოყენება ყველაზე უფრო გამართლებულია წვრილი კომერციული ფირმებისათვის, რადგანაც მათი სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოახერხებენ ისინი შესაძლო ზარალის თავიდან აცილებას.

ყოველი სტრატეგიისათვის **გურვიცის ალფა-კრიტერიუმის** შესაბამისად განისაზღვრება გადაწყვეტილების d ინდექსი, რომელიც წარმოადგენს მის ექსტრემალურ უკუგებათა საშუალოშეწონილ მნიშვნელობას. შემწონი პარამეტრის როლში გამოდის **ოპტიმიზმის α კოეფიციენტი**. სტრატეგიათა ინდექსები შემდეგნაირად იანგარიშება:

$$d_i = \alpha M_i + (1-\alpha)m_i,\ i = \overline{1,m} \qquad (9)$$

სადაც M_i და m_i, შესაბამისად, აღნიშნავს მაქსიმალურ და მინიმალურ უკუგებებს S_i სტრატეგიის არჩევის შემთხვევაში. ოპტიმალურად ის სტრატეგია მიიჩნევა, რომელსაც d-ს მაქსიმალური მნიშვნელობა შეესაბამება.

ოპტიმიზმის კოეფიციენტს 0-დან 1-მდე დიაპაზონში ნებისმიერი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს, რითაც გადაწყვეტილების მიმღებ პირს მისი რისკთან დამოკიდებულების გამოხატვის საშუალება ეძლევა ოპტიმიზმის ამა თუ იმ ხარისხით. თუ გადაწყვეტილების მიმღებ პირი უკიდურესად პესიმისტური ბუნებისაა, მაშინ იგი გადაწყვეტს, რომ $\alpha = 0$. შედეგი იგივე იქნება, რასაც მაქსიმინური კრიტერიუმის გამოყენების შემთხვევაში მივიღებდით, ხოლო თუ იგი "გამოუსწორებელი ოპტიმისტია", ჩათვლის, რომ $\alpha = 1$. ეს კი იგივე შედეგს იძლევა, რასაც მაქსიმაქსური კრიტერიუმის გამოყენება მოგვცემდა.

ალფა-კრიტერიუმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება დამოკიდებულია α-ს მნიშვნელობაზე, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია გადაწყვეტილების მიმღები პირის რისკთან მიმართება. ეს კრიტერიუმი შეიძლება გამოიყენოს კომერციულმა ფირმებმა, მაგრამ საფუძველსმოკლებული ოპტიმიზმის ხარისხის შემთხვევაში მნიშვნელოვან დანაკარგებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა გარკვეული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ამ კრიტერიუმის გამოყენებისას.

სევიჯის კრიტერიუმის შესაბამისად ანალიზდება ის დანაკარგები, რომელიც შეიძლება მოყვეს არასწორი გადაწყვეტილების მიღებას. რომელიმე სტრატეგიის არჩევით გამოწვეული დანაკარგები იზომება როგორც გადაწყვეტილებათა მიღების გარემოს მოცემული მდგომარეობის შესაბამისი მაქსიმალური უკუგებისა და იმავე მდგომარეობის შემთხვევაში აღნიშნული სტრატეგიის შესაბამისი უკუგების სხვაობა. დანაკარგების გაზომვის არსი მარტივია. თუ არჩეული სტრატეგია, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტული მდგომარეობისათვის მაქსიმალურ უკუგებას უზრუნველყოფს, მაშინ დანაკარგს არ ექნება ადგილი. ნებისმიერი სხვა სტრატეგიის

არჩევისას, დანაკარგი წარმოადგენს განსხვავებას ფაქტიურ და იმ შედეგს შორის, რომელსაც ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მივიღებდით.

ყველა შესაძლო დანაკარგს **დანაკარგების მატრიცის** სახით წარმოადგენენ, რომელიც საგადამხდელო მატრიციდან შემდეგნაირად მიიღება: ყოველ სვეტში ვპოულობთ მაქსიმალურ უკუგებას, რომელსაც შემდეგ ვაკლებთ ამავე სვეტის უკუგებათა თითოეულ მნიშვნელობას.

ირჩევს რა ისეთ სტრატეგიას, რომელიც რისკის შედარებით დაბალი ხარისხის პირობებში უკუგების დამაკმაყოფილებელ დონეს უზრუნველყოფს, გადაწყვეტილების მიმღები პირი სევიჯის კრიტერიუმის გამოყენებით აშკარად უარს ამბობს უკუგების მაქსიმიზაციაზე. ამიტომ მისი გამოყენება ყველაზე უფრო გამართლებულია დროის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილ პროექტთა შეფასებისას.

ლაპლასის კრიტერიუმი ეყრდნობა ბაიესის პოსტულატს (რის გამოც მას ზოგჯერ **ბაიესის კრიტერიუმსაც** უწოდებენ), რომლის თანახმად, თუ გადაწყვეტილებათა გარემოს შესაძლო მდგომარეობების ალბათობები ცნობილი არ არის, მაშინ ისინი ტოლალბათურად უნდა მივიჩნიოთ.

აღნიშნული დაშვების პირობებში იანგარიშება თითოეული სტრატეგიის შესაბამისი სავარაუდო ღირებულება. ოპტიმალურად ითვლება ის სტრატეგია, რომლის სავარაუდო ღირებულება მაქსიმალურია (ანუ, ფაქტიურად ლაპლასის კრიტერიუმი სავარაუდო ღირებულების მეთოდის გამოყენებას გულისხმობს).

გადაწყვეტილების გარემოს შესაძლო მდგომარეობათა ტოლალბათობის დაშვება მოკლევადიანი პერიოდებისათვის არარეალურია. აქედან გამომდინარე, ლაპლასის კრიტერიუმის გამოყენებას უფრო მეტი ლოგიკური საფუძველი აქვს გრძელვადიანი პროგნოზირებისას, რომელსაც მსხვილი ფირმები ახორციელებს.

როგორც ვნახეთ, სხვადასხვა კრიტერიუმის გამოყენებისას გადაწყვეტილებათა ერთიდაიმავე მატრიცისათვის სხვადასხვა სტრატეგიამდე მივყევართ. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი განუსაზღვრელობის პირობებში დიდად არის დამოკიდებული კონკრეტული კრიტერიუმის შერჩევაზე, რაც საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს. მაინც რომელ კრიტერიუმს უნდა მიენიჭოს უპირატესობა?

დასმულ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს. არჩევანი დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებსა და პირად შეხედულებებზე (ანუ, გადაწყვეტილების მიმღები პირის ოპტიმისტურ, პესიმისტურ, კონსერვატულ თუ პროგრესულ ბუნებაზე).

პრაქტიკაში ხშირად გადაწყვეტილების მიღება ისეთ პირობებში უხდებათ, როდესაც მიზნები, შეზღუდვები და შედეგები, რომელიც სხვადასხვა შესაძლო ქმედებას შეიძლება მოყვეს, ზუსტად არ არის ცნობილი. ჩვეულებრივ, ინტუიციურად უზუსტობა თითქოსდა შემთხვევითობასთან უნდა იყოს გაიგივებული მისი ბუნებისაგან დამოუკიდებლად.

აღნიშნული შეხედულება გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში სადავოდ მიიჩნია **ლ. ზადემ**. კერძოდ, მის სახელთან დაკავშირებულია ე.წ. **ბუნდოვანი** (არამკაფიო, მქრქალი) **სიმრავლის** (fuzzy set) ცნების შემოტანა, რამაც დასაბამი მისცა **ბუნდოვანი სიმრავლეების თეორიის** განვითარებას.

ლ. ზადეს აზრით, აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან შემთხვევითობა (randomness) და ბუნდოვნობა (fuzziness), რომელიც უზუსტობის ძირითად წყაროს წარმოადგენს გადაწყვეტილებათა მიღების მრავალ პროცესში.

შემთხვევითობა გულისხმობს განუსაზღვრელობას, რომელიც ამა თუ იმ ობიექტის არაბუნდოვანი სიმრავლისადმი მიკუთვნება-არმიკუთვნებასთან არის დაკავშირებული, ხოლო ბუნდოვნობა - ობიექტთა კლასს, რომელთან მიმართებაში შეიძლება ვიმსჯელოთ ობიექტის მოცემული კლასისადმი მიკუთვნების ხარისხის სხვადასხვა შუალედურ გრადაციაზე სრულ მიკუთვნებასა და არმიკუთვნებას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საუბარია ისეთი სახის ობიექტთა კლასებზე, სადაც შეუძლებელია მოვნიშნოთ იმ ელემენტების გამმიჯვნელი მკაფიო

ობიექტთა $X = \{x\}$ ერთობლიობაში **ბუნდოვანი სიმრავლე** ეწოდება წყვილს

$$A = \{x, \mu_A(x)\}, x \in X,$$

სადაც $\mu_A(x)$ წარმოადგენს x-ის A-სადმი **მიკუთვნების ხარისხს**, ხოლო $\mu_A: X \to Y$ - ფუნქციას, რომელიც X-ს **მიკუთვნების** Y **სივრცეში** ასახავს. როდესაც Y მხოლოდ ორი რიცხვითი მნიშვნელობისაგან - 0-ისა და 1-ისაგან შედგება, მაშინ A არაბუნდოვანი სიმრავლეა და მისი მიკუთვნების ფუნქცია ემთხვევა არაბუნდოვანი სიმრავლის მახასიათებელ ფუნქციას.

ბუნდოვან პირობებში გადაწყვეტილებათა ფორმირებისადმი მიდგომას საფუძვლად უდევს ლოგიკური სქემა, რომლის არსი მიზნებისა და შეზღუდვების მიმართ სიმეტრიულობის დაშვებაში მდგომარეობს.

დავუშვათ, $X = \{x\}$ ალტერნატივათა მოცემულ სიმრავლეს წარმოადგენს. **ბუნდოვან მიზანს** (ან უბრალოდ, მიზანს) აიგივებენ ფიქსირებულ F სიმრავლესთან X-ში.

ჩვეულებრივი მიდგომის დროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში პრიორიტეტულობის (მიზნის) ფუნქციის გამოყენებით ხორციელდება ალტერნატივათა სიმრავლის წრფივი დალაგება. ბუნდოვანი მიზნის მიკუთვნების $\mu_F(x)$ ფუნქციის მიღება შესაძლებელია პრიორიტეტულობის ფუნქციისაგან ნორმალიზაციის გზით და იმავე ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება. სწორედ აღნიშნული ნორმალიზაცია ქმნის საფუძველს მიზნებისა და შეზღუდვების სიმეტრიულობის უზრუნველსაყოფად ბუნდოვან პირობებში.

ანალოგიურად, **ბუნდოვანი შეზღუდვა** (ან უბრალოდ, შეზღუდვა) C განიმარტება როგორც გარკვეული ბუნდოვანი სიმრავლე X-ში.

ბუნდოვანი გადაწყვეტილება, ან უბრალოდ, გადაწყვეტილება განიმარტება როგორც ბუნდოვანი სიმრავლე ალტერნატივათა სივრცეში, რომელიც მიიღება მოცემული მიზნებისა და

შეზღუდვების თანაკვეთით. ანუ, თუ გვაქვს ერთი ბუნდოვანი G მიზანი და ბუნდოვანი C შეზღუდვა, ბუნდოვანი D გადაწყვეტილება შემდეგნაირად განიმარტება

$$D = G \cap C.$$

შესაბამისად, $\mu_D = \mu_G \wedge \mu_C$.

ზოგად შემთხვევაში, როდესაც გვაქვს n მიზანი და m შეზღუდვა,მარეზულტირებელი გადაწყვეტილება განისაზღვრება როგორც ყველა მოცემული ბუნდოვანი მიზნისა და შეზღუდვის თანაკვეთა:

$$D = G_1 \cap G_2 \cap \ldots \cap G_n \cap C_1 \cap C_2 \cap \ldots \cap C_m.$$

შესაბამისად

$$\mu_D = \mu_{G_1} \wedge \mu_{G_2} \wedge \ldots \wedge \mu_{G_n} \wedge \mu_{C_1} \wedge \mu_{C_2} \wedge \ldots \wedge \mu_{C_m}.$$

ბუნდოვანი გადაწყვეტილების მოყვანილ განმარტებაში იგულისხმება, რომ ყველა მიზანი და შეზღუდვა თანაბრად მნიშვნელოვანია. იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი მიზანი (შეზღუდვა) მეორეზე უფრო მნიშვნელოვანია, D გადაწყვეტილება შეიძლება განიმარტოს როგორც მიზნებისა და შეზღუდვების წრფივი კომბინაცია, რომელშიც წონითი კოეფიციენტებით ასახული უნდა იყოს მდგენელი ელემენტების პრიორიტეტულობა:

$$\mu_D(x) = \sum_{i=1}^{n} \alpha_i(x)\mu_{G_i}(x) + \sum_{j=1}^{m} \beta_j(x)\mu_{C_j}(x),$$

$$\sum_{i=1}^{n} \alpha_i(x) + \sum_{j=1}^{m} \beta_j \equiv 1.$$

ბუნდოვან პირობებში გადაწყვეტილებათა მიღების თეორიაში კიდევ მრავალი სხვა, საკმაოდ რთული ამოცანა განიხილება, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება მიზნებისა და შეზღუდვების ერთმანეთზე დამოკიდებულების ხარისხის გამოკვლევა, ბუნდოვანი ალგორითმების შემუშავება და რეალიზაცია, გადაყვეტილების მიღების ამოცანა შერეულ პირობებში, როდესაც უზუსტობა როგორც შემთხვევითობის, ისე ბუნდოვნობის შედეგს წარმოადგენს და ა.შ.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებათა გამოსამუშავებლად არარაოდენობრივი მეთოდებიც გამოიყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტ. კიკვაძე. გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები და მეთოდები. "ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, 2013
2. ტ. კიკვაძე. მენეჯერული ეკონომიქსის შესავალი (ნაწილი I). "ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, 2002
3. მ. ახობაძე, ზ. თევდორაძე. არამკაფიო სიმრავლეები და მათი გამოყენების მაგალითები. "ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, 2001
4. Ю. Н. Кузубов, В. И. Кузубов, А. Б. Волощенко. Математическое программирование. Москва, «Высшая школа», 1980
5. Р. Л. Кини, Х. Райфа. Принятия решений при многих критериях: предпочтения и замещения. Москва, «Наука», 1978
6. Jie Lu. Multi-objective group decision making. Imperial College Press, 2007
7. Cengiz Kahraman. Fuzzy multi-criteria decision making: Theory and Applications with Recent Developments. Springer, Istanbul, 2008
8. Katta G. Murty. Optimization for Decision Making: Linear and Quadratic Models. Springer, University of Michigan, 2009

ფირმების საგარეო კონკურენტუნარიანობა და მისი ამაღლების სტრატეგიები

ნატო გეგენავა, *ასისტენტ-პროფესორი*
მაგდა ბაქანიძე, *დოქტორანტი*

რეზიუმე

თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული ბიზნესგარემოს მნიშვნელოვანი ფაქტორია ფირმების განვითარებისათვის. კონკურენციის პოლიტიკის (ამერიკის შეერთებულ შტატებში მას ხშირად ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას უწოდებენ) მეშვეობით ხდება საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა, რადგან თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ფასების რეგულირებას (მათ შორის, შემცირებას), ხელს უწყობს სიახლეების დანერგვას, პროდუქტიულობის ამაღლებას და, შესაბამისად, საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას.

Summary

Free, fair and competitive business environment is an important factor for the development of firms. Growth of the country's competitiveness is possible by the competition policy (it is often referred to as the antimonopoly policy in the United States) in the international market. Free competition determines the improvements of the quality of goods and services, price regulation (including reductions). It also promotes innovation, raises productivity and, therefore, grows the economic prosperity of the community.

* * * * * *

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტული უპირატესობების უზრუნველყოფა წარმოადგენს ფირმის განვითარების საფუძველს. მიღწეული კონკურენტული უპირატესობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფირმის მყარ მდგომარეობას ბაზარზე, მუდმივი არ არის. მათი მოპოვება და შენარჩუნება ხდება მხოლოდ საქმიანობის ყველა სფეროს მუდმივი სრულყოფის პირობებში, რაც თავის მხრივ, შრომატევადი და ძვირადღირებული პროცესია.

ფირმის კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფის განმსაზღვრელი კონკურენტული სტრატეგიების განხილვისას, მ. პორტერი გამოყოფს ორ ძირითად სტრატეგიას:

ა) ფირმის მიერ საქონლის დამუშავების, წარმოების და გაყიდვის შესაძლებლობა კონკურენტზე ნაკლები დანახარჯებით (დაბალი დანახარჯების სტრატეგია);

ბ) კონკურენტთან შედარებით უკეთესი სამომხმარებლო თვისებების საქონლით მყიდველის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, მისაღები ფასების პირობებში (საქონელთა დიფერენციაციის სტრატეგია).

დანახარჯებში ლიდერობის სტრატეგიის ძირითადი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ კონკურენტებთან შედარებით შეინარჩუნოს უპირატესობა დანახარჯების მიხედვით და მეტი მოგება მიიღოს. ეს სტრატეგია გულისხმობს, რომ ფირმას შეუძლია კონკურენტებთან შედარებით ანალოგიური საქონლის უფრო ეფექტიანად დამუშავება, წარმოება და გაყიდვა.

იმავდროულად შესაძლებელია სხვა ვარიანტებიც:

ა) ფირმის პროდუქცია შეიძლება უფრო დაბალ ფასებშიც გაიყიდოს, კონკურენტებისათვის მყიდველების წართმევის მიზნით;

ბ) ფირმის პროდუქცია შეიძლება მიმდინარე საბაზრო ფასებით გაიყიდოს, მაგრამ ფირმას აქვს შესაძლებლობა მეტი ფული დახარჯოს მარკეტინგზე და გასაღებაზე.

დანახარჯებში ლიდერობა აგრესიული სტრატეგიაა, რომელიც მიზნად ისახავს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და მოითხოვს ყველა სახის დანახარჯის მკაცრ კონტროლს. სხვა სიტყვებით, ესაა ,,საშინაო სტრატეგია" ან ,,ოპერაციული ეფექტიანობის სტრატეგია".

მისი რეალიზაციისათვის საჭიროა შემდეგი საბაზრო პირობები:

ა) პროდუქციაზე მოთხოვნა ფასების მიხედვით მაღალელასტიკური და საკმაოდ ერთგვაროვანია;

ბ) უპირატესობა ენიჭება საფასო კონკურენციას;

გ) სასაქონლო მარკებში განსხვავება ნაკლებად მნიშვნელოვანია მყიდველისათვის;

დ) ბაზარზე მსხვილი მყიდველების არსებობა, რომელთაც შეუძლიათ ფასების დაწევის მეშვეობით გარიგების პირობების კარნახი;

ე) საწარმოსათვის ხელმისაწვდომია პროდუქციის თვითღირებულების შემცირების წყაროები (იაფი ნედლეული, სამუშაო ძალა და ა.შ.).

ნებისმიერმა ფირმამ პრაქტიკაში უნდა შეიმუშაოს თავისი სტრატეგია, კონკურენტული უპირატესობების ფორმირების მიმართულებისა და არსებული რესურსების შესაბამისად.

კონკურენტული სტრატეგიები ხშირად ამა თუ იმ ზომით ერთმანეთს ერწყმის. ამიტომ კონკურენტულ სტრატეგიებში აუცილებელია გამოვყოთ კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის განსაკუთრებული მიმართულება: კონკურენტული სტრატეგიების ინტეგრაციის საფუძველზე კონკურენტული უპირატესო-

ბების ფორმირების სტრატეგია. მაგალითად, ფირმის დაბალი ხარჯებისა და დიფერენციაციის სტრატეგიის ზემოთ განხილული ინტეგრაციის შემთხვევაში, შეიძლება უზრუნველვყოთ პროდუქტის გამოშვება სამომხმარებლო თვისებების საუკეთესო ნაკრებით, კონკურენტებთან შედარებით დაბალი ხარჯების პირობებში.

თანამედროვე მსოფლიო ბაზრების განვითარების დინამიკის თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფირმა-ინოვატორის დამოუკიდებელი კონკურენტული სტრატეგიის განსაკუთრებით გამოყოფა. ,,ფირმა-ინოვატორის სტრატეგია" წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობების ფორმირებას, ბაზარზე სხვებზე ადრე შეღწევის შედეგად, ანუ ფირმა პირველი სთავაზობს ბაზარს ორიგინალურ საქონელს (მომსახურებას), რაც უზრუნველყოფს ხანგრძლივ და მყარ კონკურენტულ უპირატესობას, მონოპოლიური ზემოგების მიღებას და ფირმის სწრაფ ზრდას.

ფირმა-ინოვატორებს წარმატების მისაღწევად უნდა ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური რესურსები და ჰყავდეთ მაღალკვალიფიციური პერსონალი, სიახლეების შექმნისა და ბაზარზე გასვლის მიზნით.

ბაზარზე სხვებზე ადრე შესვლის უპირატესობა შეიძლება დაკავშირებული იყოს არა მხოლოდ ახალ ტექნოლოგიასთან ან პროდუქციასთან, არამედ გასაღების, მარკეტინგის მეთოდებთან.

ფირმა-ინოვატორის სტრატეგიის რეალიზაციის წარმატებისათვის აუცილებელია ორი საბაზრო პირობის არსებობა:

1. პროდუქციის ანალოგების არარსებობა;
2. შეთავაზებულ სიახლეებზე პოტენციური მოთხოვნის არსებობა.

ნებისმიერი ბიზნესის სტრატეგიის ცენტრალური კომპონენტია იმის სრულად გაცნობიერება, თუ რატომ უნდა იყიდონ მომხმარებლებმა საქონელი მისგან და არა მისი კონკურენტებისგან.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად კარგად იმართება ესა თუ ის ბიზნესი, შეუძლებელია იმის მიღწევა, რომ იგი ნებისმიერ კონკურენტს ჯობდეს ყველა სამომხმარებლო კრიტერიუმის მიხედვით. ეს რომ ასე იყოს, მსგავსი კომპანიის საბაზრო წილი 100%-ს მიაღწევდა. დროის კონკრეტულ მომენტში ნებისმიერი ბიზნესი უნდა განიხილებოდეს, როგორც შეფარდებითი კონკურენტული უპირატესობის მქონე მხოლოდ ზოგიერთი პარამეტრის მიხედვით, ხოლო დანარჩენი მახასიათებლები მას ან კონკურენტებზე უარესი ექნება, ან მათი მსგავსი. სხვანაირად რომ ითქვას, მოცემული კომპანიის წმინდა კონკურენტული უპირატესობა არის ბალანსი მის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს შორის. ეს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული კომპანიის უმაღლესი დონის მენეჯერებს.

ბიზნესის ყოველი სახე უნდა ცდილობდეს, კონკურენტული უპირატესობის რამდენიმე წყარო გააჩნდეს. მრავალი წლის განმავლობაში ითვლებოდა, რომ ბიზნესებს შორის კონკურენცია მიმდინარეობდა დიფერენცირების რომელიმე ერთადერთი წყაროს საფუძველზე, მაგრამ ეს რეალობის მეტად გამარტივებული წარმოდგენაა, განსაკუთრებით, თანამედროვე ვითარებაში. ნებისმიერი პროდუქტის დიფერენცირება, მათ შორის ისეთისაც, რომელთაც სულ რაღაც რამდენიმე მახასიათებელი გააჩნია (მაგალითად, ფოლადი, რომლის დიფერენცირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ისეთი პარამეტრების გათვალისწინებით, როგორიც არის პარტიის ხარისხის მუდმივობა და მიწოდების ოპერატიულობა), შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე მეთოდით. უფრო მეტიც, დიფერენცირების ყველა ტიპი სრულიადაც არ ზრდის დანახარჯებს. უკვე აღარავინ დავობს, რომ არსებული ფასების ფარგლებში რაც უფრო მეტი მიმართულებით შექმნის უპირატესობას ბიზნეს-ერთეული, მით უფრო მდგრადი იქნება მისი დომინირება ბაზარზე, რადგან ასეთ შემთხვევაში კონკურენტებს მოუწევთ მისი არა ერთი, არამედ რამდენიმე ტოპ-მახასიათებლის კოპირება ან დაძლევა.

კომპანიას ბაზარზე დომინირებული პოზიცია აქვს, როდესაც ის მნიშვნელოვან საბაზრო წილს ფლობს და კონკურენტი კომპანიები მის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე არსებით გავლენას ვერ ახდენენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევგენი ბარათაშვილი, ლარისა თაკალანძე, ნოდარ გრძელიშვილი– ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება, თბილისი, 2011
2. Tirole J., "The Theory of Industrial Organization", 1988, MIT Press, MA
3. N. Gregory Mankiw "Principles of Economics", 2010, Harvard University Press.
4. http://old.press.tsu.ge/GEO/internet/internetgak/STRATEGIULI/Tavi%208.html

ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

ნანი მამფორია, *ასოც. პროფესორი*
ნინო ლეთანძე, *დოქტორანტი*

რეზიუმე

საქართველოს, როგორც ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსებით მდიდარ ქვეყანას, გააჩნია საკმარისი პოტენციალი, რათა ტურიზმი გახდეს ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი, მაგრამ ამჟამად ქვეყანაში თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის შექმნას და ადგილობრივი თუ უცხოური ტურისტების მოზიდვას, თან ახლავს პრობლემები: ეკონომიკური, ორგანიზაციული, სოციალური, სამართლებრივი. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროს შესწავლა ეკონომიკური უსაფრთხოების ასპექტში. ამიტომ ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ჩამოყალიბებისას საწყის ამოცანას წარმოადგენს განისაზღვროს ამ სფეროს მნიშვნელობა ეროვნული ეკონომიკისათვის.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ექსპერტები, ინფრასტრუქტურა, საქართველოს ტურიზმი, ტურისტული ინდუსტრია, საერთაშორისო მოგზაურები, ტენდენცია.

Summary

Georgia, as a natural, cultural and historical resources of the rich countries have the potential to become a tourism a priority sector of the national economy, but the tourist industry in the country and the creation of local and foreign tourists are accompanied by problems: economic, organizational, social, legal. It should be noted that tourism is important for the development of tourism in the economic study of the safety aspect. Therefore, the initial challenge is to define the scope of tourism development strategies for the development of a national economy.

Keywords: International experts, infrastructure, Ministry of Tourism, the tourism industry, International travelers, the trend.

* * * * *

ავსტრიელი ექსპერტები თვლიან, რომ ,,ტურისტული სიმძლავრეების გაფართოება დასაშვებია მხოლოდ იქ, სადაც სავალდებულო ძალა აქვს რეგიონულ (რაიონულ) დაგეგმვას და სადაც ნებისმიერი პროექტი ერთვება ეკონომიკური განვითარების საერთო გეგმაში". ამგვარი მიდგომა ნიშნავს საპროექტო აზროვნების შეცვლას კონცეპტუალური აზროვნებით. ამასთან ერთად, იმისათვის, რომ ტურიზმმა ეკონომიკური მოგება მოუტანოს რაიონს, მისი განვითარება უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს და ამავე დროს თავისი ბუნებით უნდა იყოს მზოგავი. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონის განსახლების სისტემას, დასახლებათა ტრადიციულ არქიტექტურას და ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას.

საქართველოს ნებისმიერი მხარე, აღნიშნული კუთხით, რესურსული პოტენციალის სიმცირეს არ უჩივის. ტურიზმის განვითარების დაგეგმვის დროს პოტენციური შესაძლებლობების შეფასებისას აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვას - რა საჭირო კომპონენტები უნდა არსებობდეს ტურიზმის განვითარებისათვის? საერთაშორისო ექსპერტები ამ კომპონენტის ქვეშ გულისხმობენ:

- ღირშესანიშნაობები და თავისუფალი დროის გატარების ფორმები - სანახავი ადგილები და ის, რითაც ტურისტი შეიძლება გაერთოს ადგილზე ყოფნისას;
- მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურა - დაბინავებისა და კვების ადგილები;
- სატრასპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება - საბაზო ადგილამდე ჩასვლისა და შიდა ტერიტორიებზე გადაადგილების საშუალება;
- ადგილობრივი საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა - წყალმომარაგება, ელექტროგაყვანილობა, კომუნიკაცია, კანალიზაცია და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა;
- მოგზაურობების ორგანიზება - ტუროპერატორები, ტურაგენტები და გიდები;
- ტურისტული პროდუქციის წინ წამოწევა და ტურისტული ინფორმაციის სამსახურის არსებობა - ინფორმაცია ტურისტებისათვის იმაზე, თუ რა შეუძლიათ ნახონ და აკეთონ მათ ადგილზე ყოფნის დროს.

საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას, საჭიროა განვიხილოთ შემდეგი საკითხები:

- არსებობს თუ არა ამ ქალაქში (რეგიონში) ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსები;
- არსებობს თუ არა შესაბამისი ტურისტული ბაზარი, რომელზეც შეიძლება გასვლა.

საქართველოს უდავოდ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია. ტურიზმის სათანადო განვითარების შემთხვევაში მას შეუძლია გარკვეული პრეტენზია განაცხადოს ევროპული (და არა მარტო ევროპული) ტურისტების დანახარჯების გარკვეულ სეგმენტზე. საქართველოში ტურიზმის განვითარებას ხელს შეუწყობს ევრაზიის დერეფნისა და ,,აბრეშუმის გზის" სრულმაშტაბიანი ამოქმედება.

2014 წლის 7 აპრილს თბილისს ოფიციალური ვიზიტით გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური მდივანი ტალებ რიფაი ეწვია. შეხვედრაზე ითქვა, რომ ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი სექტორია და მისი განვითარება ხელისუფლების პრიორიტეტს წარმოადგენს. ,,საქართველო, რომელმაც 5 წლის განმავლობაში ტურიზმის სფეროში ბევრ წარმატებებს მიაღწია, ჩვენი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წევრია. დღევანდელ შეხვედრაზე განვიხილეთ ტურიზმის განვითარების სამომავლო სტრატეგიული გეგმები. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგია, მისი განვითარება სამუშაო ადგილების გაზრდასა და ქვეყნის იფნრასტრუქტურაზე დადებითად იმოქმედებს"- განაცხადა ტალებ რიფაიმ[1].

ტურიზმი ქვეყნის იმიჯია და მისი განვითარება შეუძლებელია ფაქტორების მთელი სისტემის გათვალისწინების და ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური წინსვლის გარეშე. ქვეყანაში ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის საჭიროა განვითარებული ენერგეტიკა, საავტომობილო გზები და მაღალი სტანდარტების სატრანსპორტო საშუალებები, მოწესრიგებული საბანკო და სადაზღვევო საქმიანობა, საზოგადოებრივი წესრიგი და ქვეყნის შიგნით დემოკრატიული, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობისა და მომსახურების სფეროს განვითარება, კულტურის, ხალხური რეწვისა და სასუვენირო რეწვის მაღალი დონე, კვალიფიციური კადრები და მათი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება და უცხოელი სტუმრებისათვის კეთილმოსურნე გარემოს შექმნა[2].

უცხოელი ექსპერტების აზრით, ტურისტული ინდუსტრია წარმოადგენს მსოფლიოს მრავალი, განსაკუთრებით მთიანი ქვეყნების (საქართველო, შვეიცარიელი ექსპერტების მიერ ჩატარებული შეფასებების თანახმად, პირველი კატეგორიის მთიანი ქვეყანაა), მათი ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს. ამდენად მთიანობა, როგორც პარამეტრი, ერთ-ერთი არსებითია საერთოდ და მით უფრო, ჩვენი ქვეყნისათვის.

საქართველოს ტურისტული პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის ათვისებული, არის საკმაოდ იაფი და დიდი ბიოდივერსის მქონე დანიშნულების. მართალია, ტურიზმი ვერ გამოდგება საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ძირითად მამოძრავებელ ძალად, მაგრამ მას საქართველოსნაირი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია. მაგალითად, ამ სექტორს ამჟამად დაბალკვალიფიციურ და დაბალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობის სექტორში მომუშავე ჭარბი მუშახელის უფრო ეფექტურად დასაქმება შეუძლია.

საქართველოს ტურიზმის განვითარების პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სექტორში არსებული ლიბერალიზაციის შენარჩუნებისა და ინვესტიციების მხარდაჭერაზე. მთავრობამ უნდა შეასრულოს წამყვანი როლი ტურიზმის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში, რომელშიც სრულად იქნება გათვალისწინებული ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და ორგანიზაციული ასპექტები.

ტურისტული ინდუსტრიის და განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ინვესტიციებისათვის სასურველი გარემოს შექმნა. საქართველოს სამთავრობო დოკუმენტში - ,,საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისათვის" აღნიშნულია: ,,ქვეყნის საინვესტიციო და ტურისტული მიმზიდველობის ზრდა უცხოური ინვესტიციების ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფენ ქვეყანაში არსებული საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების დემონსტრირებას, ხოლო მეორე მხრივ, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას"[3].

საქართველოში, დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ეკონომიკის გაძლიერების ერთ-ერთ ფაქტორად საქართველოს უნიკალურ სამკურნალო წყლებსა და ეგზოტიკურ ბუნებას მიიჩნევდნენ, რაც შეუქმნიდა საფუძველს ტურიზმის განვითარებას. ამ მოსაზრებას გარკვეულწილად ამყარებდა საბჭოთა კავშირის პერიოდის სტატისტიკა, როცა საქართველო ლიდერობდა საკურორტო და საზღვაო ტურიზმით დანარჩენ რესპუბლიკებს შორის, მაგრამ პოლიტიკურმა არასტაბილურობამ განაპირობა, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყნის სტატუსს ვერ გასცდა: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 2014 წელს - 6500 ლარი, უმუშევრობის დონე - 14,6%, ინფლაცია -3,1%, ნომინალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 2014 წელს - 4,8%, სიღარიბის დონე - 2014 წელს-11,6[4] .

ასეთ პირობებში საქართველომ უნდა აამუშაოს ყველა ის რესურსი, რაც მას გააჩნია. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ტურისტული პოტენციალი. საქართველო ნამდვილად გამორჩეულია ყველა ტიპის სამკურნალო ფაქტორით: ზღვისპირეთის, ზღვის და მთის კლიმატი, 2400-მდე მინერალური წყარო, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო მღვიმეები და სხვ.

2015 წელს საქართველოს სტუმრობდა 5,897,685 ტურისტი, 7 %-ით მეტია 2014 წელთან შედარებით [5].

1. http://www.wttc.org/eng/Tourism_Research/Tourism_Economic_Research/

2. მ. მეტრეველი, "ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა", თბ. 2011

3. http://www.statistics.ge/main/ge/publication/yearbook.htm

4. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo

5. http://www.economy.ge/ge/economic-data



2014 წლის სურათის განხილვა გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია 2014 წელსაც ნარჩუნდება (+2%). ცალკეული ქვეყნები გამოირჩევიან მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებლით, ასევე რამოდენიმე ქვეყნიდან ფიქსირდება კლებაც.

	ქვეყანა	2013: 12	2014: 12	ცვლილება	ცვლილება %
1	თურქეთი	1,597,438	1,435,822	-161,616	-10%
2	სომხეთი	1,291,838	1,321,500	29,662	2%
3	აზერბაიჯანი	1,075,857	1,282,222	206,365	19%
4	რუსეთი	767,396	810,233	42,837	6%
5	უკრაინა	126,797	143,157	16,360	13%
6	პოლონეთი	36,946	46,024	9,078	25%
7	ისრაელი	39,922	42,135	2,213	6%
8	ირანი	85,598	41,747	-43,851	-51%
9	გერმანია	30,815	33,315	2,500	8%
10	ყაზახეთი	21,148	28,324	7,176	34%
11	აშშ	26,713	28,101	1,388	5%
12	ერაყი	41,239	21,757	-19,482	-47%
13	საბერძნეთი	22,024	21,408	-616	-3%
14	ბელარუსი	12,915	19,100	6,185	48%
15	გაერთიანებული სამეფო	16,672	18,492	1,820	11%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2014 წლის მონაცემებით, საქართველოში შემოსული საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით კვლავ მეზობელი ქვეყნები ლიდერობენ. რომელთა წილი საერთაშორისო მოგზაურების მთლიან რაოდენობაში 88%-ს შეადგენს. თურქეთი პირველ ადგილზეა საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების შემოსვლის მიხედვით (1 435 822). შეიძლება ითქვას, რომ თურქეთიდან შემომსვლელების კუთხით საქართველოს ბაზარი მეტნაკლებად გაჯერებულია, სწორედ ამიტომ 2014 წელს თურქეთიდან საერთაშორისო მოგზაურების სისტემატური კლება შეინიშნა. რაც შეეხება დანარჩენ მეზობელ ქვეყნებს, საერთაშორისო მოგზაურების შემოდინების მიმართულებით სომხეთი მეორე ადგილზეა 1 321 500 საერთაშორისო მოგზაურით (ზრდა 2%), მას მოსდევს აზერბაიჯანი 1 282 222 საერთაშორისო მოგზაურით (ზრდა 19%), ხოლო რუსეთი მეოთხეა მეზობელ ქვეყნებს შორის 810 233 (ზრდა 6%) მოგზაურით.

საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების შემოსვლების მიხედვით პირველ 15 ქვეყანას შორის ხვდებიან და ასევე მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით გამოირჩევიან შემდეგი ქვეყნები: უკრაინა 143 157 (ზრდა 13%), პოლონეთი 46 024 (ზრდა 25%), ყაზახეთი 28 324 (ზრდა 34%), ბელორუსი 19 100 (ზრდა 48%) და ისრაელი 42 135 (ზრდა 6%) საერთაშორისო მოგზაურით.

ასევე, ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდან, სადაც საქართველოს შესახებ მოსახლეობა ნაკლებად ინფორმირებულია, საერთაშორისო მოგზაურების შემოდინების კუთხით. 2014 წლის მონაცემებით კვლავ ტრადიციულად გამოირჩნენ: ლიტვა, პოლონეთი, ლატვია და დიდი ბრიტანეთი (შესაბამისად 93%, 25%, 25% და 11%).

მნიშვნელოვანი კლების ტენდენცია გრძელდება ირანიდან (-51%) და ერაყიდან (-47%). ვიზიტორთა რაოდენობის კლების მიზეზი აღნიშნულ ქვეყნებთან სავიზო რეგულაციების ცვლილებაა. საბერძნეთიდან ვიზიტორების კლება (-3%) კი შეიძლება დავუკავშიროთ თვით ამ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებს. ეკონომიკური აქტივობის შენელება ცალსახად უარყოფითად მოქმედებს ამ ქვეყნის დანახარჯებზე საერთაშორისო ტურიზმზე და გამსვლელი ვიზიტორების რაოდენობაზე.

2014 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებით შემოსავალი საერთაშორისო ტურიზმიდან საქართველოში 1.4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეს ინდიკატორი 5%-ით გაიზარდა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატებისათვის, მისი საგარეო ავტორიტეტისათვის, ტურიზმის განვითარება ცალსახად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის მსურველთათვის აუცილებელია მათი დასვენებისათვის საჭირო პირობების დაკმაყოფილება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. XXI საუკუნეში არ შეიძლება შევთავაზოთ ტურისტებს

დასვენების ცალკეული რეგლამენტირებული მოდ-ელები. აუცილებელია მათი მოთხოვნების მაქსი-მალურად დაკმაყოფილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეტრეველი მ. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიის გამოცემებისა და ტრენინგების ცენტრი, თბი-ლისი, 2011.
2. Биржаков М. Б. Введение в туризм. Издательский дом „Герда”, 2000. – 192 стр.
3. http://www.wttc.org/eng/Tourism_Research/Tourism_Economic_Research/
4. http://www.statistics.ge/main/ge/publication/yearbook.htm
5. http://www.geostat.ge/?action=page&pid=187&lang=geo
6. http://www.economy.ge/ge/economic-data

ტურიზმი - სიღარიბის დაძლევის თანამედროვე ტენდენცია

მარინა ბაღათურია, პროფესორი

რეზიუმე

ტურიზმის, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარების მსოფლიო გამოცდილების შესწავლამ, ტურიზმის ახალმა კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურმა მიდგომამ, რაც გამოიხატება ტურიზმის, როგორც სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვანი ფაქტორის აღიარებაში, საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს შემდეგი რეკომენდაციები და დასკვნები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს ტურიზმის დაჩქარებულ განვითარებას ქვეყანაში და შესაბამისად, მისი მეშვეობით სიღარიბის დონის შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის განვითარება, სიღარიბის დაძლევა, ტურისტული პოტენციალი, თანამედროვე ტენდენციები

Tourism- modern trend of poverty reduction

Marina Bagaturia, *Professor*

Summary

the world experience study development of Tourism, as one of the important economic field, New conceptual and methodological approach of Tourism, which is reflected in tourism as an important factor in poverty reduction in the recognition, Recognition, allows the following conclusions and recommendations, to facilitate implementation of the accelerated development of tourism in the country and therefore, through the reduction of poverty.

Keywords: Development of tourism, Poverty Reduction, Tourism potential, Modern Trends

* * * * *

სიღარიბე, როგორც მრავალმხრივი მოვლენა, ყველა ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების პირობებში არსებობდა, ამიტომ მას კაცობრიობის მარადიულ პრობლემათა რიგს მიაკუთვნებენ. განსაკუთრებით გაძლიერდა ყურადღება სიღარიბის პრობლემის მიმართ გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის მიმდინარე პროცესებში.

21-ე საუკუნეში სიღარიბის პრობლემამ მიიღო მწვავე და მასშტაბური ხასიათი, რადგან იგი დაკავშირებულია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გლობალიზაციასთან. სიღარიბის პრობლემა პირდაპირ დაკავშირებულია მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონესთან. სიღარიბის პრობლემის თანამედროვე ტენდენციებისა და თავისებურებების ანალიზიდან შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ სიღარიბის პრობლემამ მიიღო გლობალური ხასიათი. ამოტომ, საჭიროა მასთან სისტემური, მიზანმიმართული და თანმიმდევრული ბრძოლა, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე.

გლობალიზაციის პირობებში, რომელშიც სულ უფრო ფართოდ ებმევა საქართველო, მოსალოდნელია ცვლილებები საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში იმ სახით, როგორც უკანასკნელი წლების მსოფლიოსათვისაა დამახასიათებელი. საქართველო ერთ-ერთი ქვეყანაა იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც სიღარიბის დაძლევის სტრატეგიული დოკუმენტის შექმნის პროცესშია ჩართული.

ქვეყანაში სიღარიბის აღმოფხვრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ტურიზმის განვითარება, მდგრადი ტურიზმის მიზანმიმართულად და გააზრებულად გამოყენება წარმოადგენს. ტურიზმის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში საგრძნობლად იზრდება. ტურიზმს, როგორც უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ინდუსტრიას, შესაბამისი გზების გამონახვით, შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს ღარიბთა რაოდენობის შემცირებაში. სპეციალურად იქნა შემოღებული ტერმინი „პროღარიბული ტურიზმი“. ტურიზმის ეს სახეობა ახდენს შემოსავლების გენერირებას ღარიბთათვის. სიღარიბის დაძლევაში მთავარი პასუხისმგებელი სახელმწიფოა, რომელსაც საბაზრო მექანიზმებთან ერთად შეუძლია გამოიყენოს ადმინისტრაციული, სამართლებრივი, დირექტიული და სხვა მეთოდები. საქართველოში სიღარიბის გავრცელებული ფორმა, ძალიან რთული და დინამიკურად განვითარებადი ცხოვრების ფენომენია. სიღარიბის დაძლევისათვის ბრძოლას მაშინ ექნება აზრი, თუ სწორად განვსაზღვრავთ ბრძოლის პრიორიტეტებს, იმ „წერტილებს“, რომელთა ზემოქმედებითაც შეიძლება მაქსიმალური ეფექტის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ხანგრძლივი სიღარიბე შეიძლება გადაიზარდოს ღრმა სოციალურ პროცესებში, რომლის დაძლევა ტიტანურ ძალისხმევას მოითხოვს ან შეიძლება ამან სულაც შეუქცევადი პროცესის სახე მიიღოს.

მსოფლიოს უდიდესმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ამ პრობლემებისადმი. საქართველოს მთავრობისათვის ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა სიღარიბის დაძლევის საკითხი. ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გაჯანსაღება ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. სავსებით ნათელია, რომ შეუძლებელია ქვეყანაში სიღარიბის

დაძლევა თუ მას არ ექნება მყარი ეკონომიკური საფუძველი, არ გატარდება შესაბამისი ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმები. საქართველოს სიღარიბის დაძლევის რეალური წანამძღვები გააჩნია. ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს ტურიზმის დაჩქარებული განვითარება. ტურიზმი, განვითარებად ქვეყნებში წარმოადგენს ადამიანური რესურსების გამოყენების ინტენსიურ საშუალებას, რომელიც წარმოშობს ახალს შესაძლებლობებს ადგილობრივ წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში და მომსახურებაში, ხელოსნობაში, მშენებლობაში, კვების მრეწველობაში. ამ ქვეყნებში ტურიზმი ხელს უწყობს კერძო ინიციატივის სტიმულირებას, რაც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პირობაა.

ტურიზმს შეუძლია ფეხზე წამოაყენოს ქვეყნის ეკონომიკა. შექმნას ბევრი სამუშო ადგილი, დაასაქმოს ადამიანები, უზრუნველყოს ქვეყანაში ვალუტის შემოდინება, გაამდიდროს ბიუჯეტი, უპირველესად, განავითაროს ქვეყნის ინფრასტრუქტურა, გააფართოოს შიდა ბაზარი და გამოიწვიოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრება.

ტურიზმი თავის თავში გულისხმობს მრავალმხრივ პოტენციალს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის რაც, თავისთავად ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას. ამიტომაც , დღეისათვის ტურიზმი აღიარებულია მსოფლიოში სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ტურისმისაგან მიღებული სიკეთეებიდან პირველ ადგილზეა დასაქმება, მეორეზე - სიღარიბესთან ბრძოლა, მესამეზე - სახელმწიფო შემოსავლების ზრდა და მეოთხეზე - ინფრასტრუქტურის განვითარება.

ტურიზმის განვითარების კონცეპტუალური ხედვა მთლიანად ჯდება სიღარბის დაძლევის კონტექსტში. იგი პირდაპირ პასუხობს სიღარიბის დაძლევისათვის საჭირო გასატარებელ ღონისძიებებს. საქართველოსთვის ტურიზმის განვითარება არის შანსი სიღარიბის დაძლევის გზაზე, რომელიც ქვეყანამ აუცილებლად უნდა გამოიყენოს. ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გაცნობიერებული. აუცილებელია ჩამოყალიბდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრის ახალი ხედვა.

გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოს როგორც საერთაშორისო კონფერენციების, კონგრესებისა და შეხვედრების ჩატარების რეგიონული ცენტრის იმიჯის ჩამოყალიბება, რისთვისაც საჭიროა წახალისდეს და ეკონომიკურად მომგებიანი გახდეს საკონფერენციო ტურიზმის განვითარების მიმართულებით საქმიანობა. ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ტურიზმის დაჩქარებულ განვითარებას, რაც თავის მხრივ მკვეთრად გაზრდის შემოსავლებს, გააუმჯობესებს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს, განავითარებს ინფრასტრუქტურას, ბიძგს მისცემს ეკონომიკის მრავალი დარგების განვითარებას, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევას. ტურიზმის დაჩქარებული განვითარების პროგრამის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად საჭიროა შემუშავდეს მაკროეკონომიკური რეგულირების შესაბამისი მექანიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე“ თბ. 2012
2. დოლიკაშვილი ლ, მაზანიშვილი მ, ჯაშიაშვილი ნ. ტურიზმის საფუძვლები. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2012
3. მეტრეველი მ. ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლები. თბილისი 2011

ინოვაციური პროექტის არსი და შეფასების კრიტერიუმები

ლუარა გვაჯაია, ასოც. პროფესორი
გიორგი ნაჭყებია, მაგისტრანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინოვაციური პროექტების არსი სამ ასპექტში: 1- როგორც მიზნობრივი მართვის ფორმა, რომელიც ემსახურება მეცნიერებისა და ტექნიკის პრიოპიტეტულ მიმართულებებში კონკრეტული მიზნების მიღწევას, 2 - როგორც ინოვაციების განხორციელების პროცესი, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო, ტექნოლოგიური, საწარმოო, ორგანიზაციული ღონისძიებების ერთობლიობას, რასაც მივყევართ ინოვაციებამდე და 3 - როგორც კომპლექტი ორგანიზაციულ-დაგეგმვითი და საანგარიშო-საფინანსო დოკუმენტაციისა, რაც აუცილებელია პროექტის მიზნების რეალიზაციისათვის.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ინოვაციური პროექტის სასიცოცხლო ციკლის, წინასაინვესტიციო და საინვესტიციო ფაზების ძირითადი მიმართულებების განხილვას, როგორიცაა, წინასაინვესტიციო გამოკვლევები და პროექტის დაგეგმვა, დოკუმენტაციის შემუშავება და მომზადება სარეალიზაციოდ, პროექტის რეალიზაცია და დასრულება. გაანალიზებულია ინოვაციური პროექტების შეფასების ძირითადი კრიტერიუმები, როგორიცაა, სოციალ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური მახასიათებლები, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, პროექტი, მიზნები, ამოცანები, „მიზნების ხე", სასიცოცხლო ციკლი, ფაზები, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება,რისკები, დაგეგმვა, რეალიზაცია, ექსპერტიზა, შეფასების კრიტერიუმები, პროექტის დანახარჯები, მოგება , მონიტორინგი.

Summary

The article considers the essence of innovative projects in three aspects: 1) as a form of purposeful management that helps to reach particular goals in priority fields of science and technology; 2) as the process of realization of innovations; it is set of scientific, technological, industrial and organizational activities that bring us to innovations and 3) as the set of organizational and financial-accounting documents that are necessary for reaching the aims of project.

The work considers the basic components of life cycle, pre-investment and investment stages of innovative project, such as pre-investment studies, project planning, documentation development, preparing for realization, project realization and finalization. The basic criterions of estimation of innovative projects are analyzed, such as social-economic and scientific-technical properties, guarantee of national security, etc.

Keywords: innovation, project, aims, tasks, "tree of goals", life cycle, stages, technical-economical justification, risks, planning, realization, expertise, criterions of estimation, project expenses, profit, monitoring

* * * * *

ნებისმიერი სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სახის საქმიანობა ტრადიციულად დაკავშირებულია პროექტის შესრულებასთან. ბოლო პერიოდში პროექტის ცნება ფართოდ გავრცელდა მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებზეც, როგორიცაა, ხელოვნება, ჯანმრთელობის დარგი, განათლების სისტემა და სხვა.

ინოვაციური პროექტის ცნება განიხილება სამ ასპექტში: როგორც ინოვაციური საქმიანობის მიზნობრივი მართვის ფორმა, ინოვაციების განხორციელების პროცესი და მიზნის მისაღწევად შემუშავებული დოკუმენტების კომპლექტი.

როგორც მიზნობრივი მართვის ფორმა, ინოვაციური პროექტი წარმოადგენს რესურსებით, ვადებით, შემსრულებლებით ურთიერთგანპირობებულ და ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა რთულ სისტემას, რომელიც ემსახურება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებში კონკრეტული მიზნების მიღწევას.

ინოვაციების განხორციელება, როგორც პროცესი, არის ერთობლიობა განსაზღვრული თანმიმდევრობით შესასრულებელი სამეცნიერო, ტექნოლოგიური, საწარმოო, ორგანიზაციული, ფინანსური და კომერციული ღონისძიებებისა, რომლებსაც მივყევართ ინოვაციებამდე.

ამასთანავე ინოვაციური პროექტი არის კომპლექტი ტექნიკური, ორგანიზაციულ-დაგეგმვითი და საანგარიშო- საფინანსო დოკუმენტაციისა, რომელიც აუცილებელია პროექტის მიზნების რეალიზაციისათვის.

სამივე ასპექტის გათვალისწინებით ინოვაციური პროექტის განმარტება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ინოვაციური პროექტი - ეს არის მიზნებისა და მათი მიღწევის პროგრამების ურთიერთდაკავშირებული სისტემა, რომლებიც წარმოადგენენ სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო, საწარმოო-ტექნიკურ, ფინანსურ, კომერციულ და სხვა, შესაბამისად ორგანიზებულ ღონისძიებებს (რესურსების, ვადების, შემსრულებლების მიხედვით დაკავშირებულს), რომლებიც გაფორმებულია საპროექტო დოკუმენტაციის კომპლექტად და რამაც უნდა უზ-

რუნველყოს სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტა, ინოვაციის მიღება.

ინოვაციური პროექტის ძირითადი ელემენტებია:

- მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება, რომელმაც უნდა ასახოს პროექტის ძირითადი დანიშნულება;
- ინოვაციური პრობლემების გადაწყვეტისა და დასმული ამოცანების რეალიზაციის საპროექტო ღონისძიებების კომპლექსი;
- საპროექტო ღონისძიებების შესრულების ორგანიზაცია, ანუ მათი დაკავშირება რესურსებთან და შემსრულებლებთან პროექტის მიზნის მისაღწევად განსაზღვრულ პერიოდში;
- პროექტის ძირითადი მაჩვენებლები , რომლებიც ახასიათებენ პროექტის ეფექტიანობას, ინოვაციურობას.

პროექტის მნიშვნელობის დონე განსაზღვრავს ინოვაციური პროცესების მიმდინარეობის სირთულეს, ხანგრძლივობას, შემსრულებელთა შემადგენლობას, მასშტაბს, ხასიათს.

გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბურობის თვალსაზრისით არსებობს ინოვაციური პროექტების შემდეგი სახეები:

- **მონოპროექტები** - როგორც წესი, სრულდება ერთი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მიერ. გამოირჩევა ინოვაციური მიზნის ერთმნიშვნელოვნად დაყენებით (კონკრეტული პროდუქტის, ტექნოლოგიის შექმნა). ხორციელდება დროისა და ფინანსების მკაცრ ჩარჩოებში, პროექტს ჰყავს კოორდინატორი ან ხელმძღვანელი;
- **მულტიპროექტები** - წარმოდგენილია კომპლექსური პროგრამების სახით, რომელიც აერთიანებს ათეულობით მონოპროექტებს, მიმართულს რთული ინოვაციური მიზნის მიღწევისაკენ, როგორიცაა, სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის შექმნა, მსხვილი ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ერთი ან რამდენიმე საწარმოს კონვერსიის განხორციელება. ასეთი პროექტების განხორციელება საჭიროებს საკოორდინაციო ქვედანაყოფებს;
- **მეგაპროექტები** - მრავალმიზნობრივი კომპლექსური პროგრამებია, რომელიც აერთიანებს რამდენიმე მულტიპროექტს და ასობით მონოპროექტებს, ერთმანეთთან დაკავშირებულს ერთი „მიზნობრივი ხით". პროექტი საჭიროებს ცენტრალიზებულ დაფინანსებასთან ერთად საკოორდინაციო ცენტრიდან დაფინანსებას. მეგაპროექტების საფუძველზე შეიძლება მიღწეული იქნეს ისეთი ინოვაციური მიზნები, როგორიცაა, დარგის ტექნიკური გადაიარაღება, სამამულო პროდუქტების და ტექნოლოგიების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა და სხვა. მეგაპროექტების ფორმირება და რეალიზაცია მოითხოვს რიგი დარგების, რეგიონების, მსხვილი კორპორაციების, ქვეყნების ჯგუფების ძალთა გაერთიანებას.

შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობებისა და ხანგრძლივობის მიხედვით პროექტები შეიძლება იყოს მოკლევადიანი (1-2 წელი), საშუალოვადიანი (5წლამდე) და გრძელვადიანი (5 წლის ზევით). პროექტის სტადიებისა და ეტაპების შედგენილობა განისაზღვრება მისი დარგობრივი და ფუნქციონალური კუთვნილების მიხედვით.

ინოვაციური პროექტი ძირითადში შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

- პრობლემის (იდეის) შინაარსი და აქტუალობა;
- „მიზნების ხის" პროექტი, რომელიც აიგება მარკეტინგული კვლევებისა და პრობლემის სტრუქტურირების საფუძველზე;
- „მიზნების ხის" სარეალიზაციო ღონისძიებათა სისტემა;
- პროექტის კომპლექსური დასაბუთება;
- პროექტის რეალიზაციის უზრუნველყოფა;
- პროექტის საექსპერტო დასკვნა;
- პროექტის რეალიზაციის მექანიზმი და მოტივაციის სისტემა.

სამუშაოს სირთულისა და მოცულობისაგან დამოუკიდებლად ნებისმიერი პროექტის სასიცოცხლო ციკლი გაივლის სხვადასხვა მდგომარეობას, რომელსაც უწოდებენ ფაზებს. ეს ფაზებია: წინასაინვესტიციო და საინვესტიციო.

წინასაინვესტიციო ფაზა მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: 1- წინასაინვესტიციო გამოკვლევები და პროექტის დაგეგმვა; მე- 2 - დოკუმენტაციის შემუშავება და მომზადება სარეალიზაციოდ.

პირველი მიმართულება ითვალისწინებს ისეთ სამუშაოებს, როგორიცაა: პროგნოზების შესწავლა, პირველადი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის საჭირო პირობების ანალიზი, პროექტის კონცეფციის შემუშავება, ინვესტიციების წინასაპროექტო დასაბუთება, განთავსების ადგილის შერჩევა და შეთანხმება, ეკოლოგიური დასაბუთება, ექსპერტიზა;

მეორე მიმართულება მოიცავს სამუშაოებს: საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმის შემუშავება, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (ტედ) შედგენა; ტედ-ის შეთანხმება, ექსპერტიზა და დამტკიცება; დავალების გაცემა პროექტირებაზე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ინვესტირებაზე.

პროექტის საინვესტიციო ფაზა ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას სამი მიმართულებით: 1- კონტრაქტების გაფორმება, მე-2 - პროექტის რეალიზაცია და მე-3 - პროექტის დასრულება.

პირველი მიმართულება ითვალისწინებს კონტრაქტების გაფორმებას, დანადგარების მიწოდებაზე და სამშენებლო სამუშაოებზე ხელშეკრულებებს, გეგმების შემუშავებას; **მეორე მიმართულების სამუშაოებში შედის**: პროექტის რეალიზაციის გეგმის შემუშავება, გრაფიკების შედგენა, დაგეგმილი სამუშაოების შესრულება, მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელება, გეგმის პროექტის კორექტირება, შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება. **მესამე მიმართულების სამუშაოები** ითვალისწინებს გამშვებ-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელებას, ობიექტის გაშვებას ექსპლოატაციაში, რესურსების

დემობილიზაციას, შედეგების ანალიზს, ექსპლოატაციას და პროექტის დასრულება-დახურვას.

პროექტის შექმნა და რეალიზაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. საინვესტიციო ჩანაფიქრის (იდეის) ფორმირება;
2. საინვესტიციო შესაძლებლობათა გამოკვლევა;
3. პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება (ტედ);
4. საკონტრაქტო დოკუმენტაციის მომზადება;
5. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
6. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
7. ობიექტის ექსპლოატაცია;
8. ეკონომიკური მაჩვენებლების მონიტორინგი.

პირველი ეტაპის - საინვესტიციო ჩანაფიქრის (იდეის) ფორმირების ქვეშ იგულისხმება მოქმედებათა ჩაფიქრებული გეგმა. აუცილებელია განისაზღვროს ინვესტიციების სუბიექტები და ობიექტები, მათი ფორმები და წყაროები. ინვესტიციის სუბიექტებს წარმოადგენენ კომერციული და სხვა სამეურნეო ორგანიზაციები, ინვესტიციების უშუალოდ გამომყენებლები, ინვესტიციების ობიექტებს კი მიეკუთვნება მშენებარე, რეკონსტრუირებას ან გაფართოებას დაქვემდებარებული საწარმოები, შენობები, აღჭურვილობა (ძირითადი ფონდები), განკუთვნილი ახალი პროდუქტის ან მომსახურების წარმოებისათვის.

საინვესტიციო პროექტში გამოიყენება ინვესტიციების შემდეგი ფორმები:

- ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები (მიზნობრივი შენატანები, საბრუნავი საშუალებები, ფასიანი ქაღალდები - აქციები, ობლიგაციები, კრედიტები, გარანტიები და სხვა);
- მიწა;
- შენობები, ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, საცდელ-გამზომი საშუალებები და სხვა;
- საკუთრების უფლება, რომელიც შეფასებულია ფულადი ექვივალენტით.

მეორე ეტაპი - საინვესტიციო შესაძლებლობათა გამოკვლევა – ითვალისწინებს:

- პროდუქციაზე (მომსახურებაზე) მოთხოვნის წინასწარ შესწავლას ექსპორტ-იმპორტის გათვალისწინებით;
- პროდუქციის (მომსახურების) საბაზო, მიმდინარე და საპროგნოზო ფასების დონის შეფასებას;
- წინადადების მომზადებას პროექტის რეალიზაციის ორგანიზაციის, სამართლებრივი ფორმისა და მონაწილეთა შემადგენლობის შესახებ;
- საჭირო ინვესტიციის მოცულობის და კომერციული ეფექტიანობის წინასწარ შეფასებას;
- საინვესტიციო შესაძლებლობათა დასაბუთების შდეგების დამტკიცებას;
- კონკრეტული დოკუმენტაციის მომზადებას საპროექტო-საკვლევ სამუშაოებზე.

საინვესტიციო შესაძლებლობათა გამოკვლევის მიზანია პოტენციური ინვესტორისათვის საინვესტიციო წინადადებათა მომზადება. თუ კი ინვესტორზე მოთხოვნილება არ არსებობს და ყველა სამუშაო წარმოებს საკუთარი საშუალებებით, მაშინ მიიღება გადაწყვეტილება პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების სამუშაოთა დაფინანსებაზე.

მესამე ეტაპზე - ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება - მიმდინარეობს შემდეგი სამუშაოები:

- სრულმასშტაბიანი მარკეტინგული კვლევები;
- პროდუქციის გამოშვების გეგმის შედგენა;
- დაწყებითი-სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ტექნიკური გადაწყვეტების შემუშავება;
- არქიტექტურულ-დაგეგმვითი და სამშენებლო გადაწყვეტილებების მიღება;
- გარემოს დაცვითი ღონისძიებები;
- საწარმოს მართვის სისტემის, შრომის ორგანიზაციის აღწერილობა;
- საფინანსო დოკუმენტაციის ფორმირება; წარმოების დანახარჯების შეფასება, კაპიტალური დანახარჯების, მოსალოდნელი ხარჯებისა და შემოსავლების გაანგარიშება;
- პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
- პროექტის განხორციელების ვადების დაგეგმვა;
- პროექტის კომერციული ეფექტიანობის შეფასება;
- პროექტის რეალიზაციის შეწყვეტის პირობების ფორმირება.

სამეწარმეო ფირმის ინოვაციური საქმიანობის რისკის შესამცირებლად აუცილებელია პირველ რიგში მოხდეს განსახორციელებელი ინოვაციური პროექტის დაწვრილებითი შეფასება. ინოვაციური პროექტი შესაძლოა ერთი საწარმოსათვის იყოს ეფექტიანი, მეორესათვის კი - არაეფექტიანი სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, როგორიცაა, საწარმოს ტერიტორიული განთავსება, პერსონალის კომპეტენციის დონე ინოვაციური პროოექტის ძირითადი მიმართულებების მიხედვით, ძირითადი ფონდების მდგომარეობა და სხვა. ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს ინოვაციური პროექტის რეზულტატიანობაზე, ამიტომ მათი გათვალისწინება საჭირო ხდება პროექტის შერჩევის სტადიაზე. ვინაიდან თოთოეულ საწარმოში არსებობენ ინოვაციური პროექტების ეფექტიანობაზე მოქმედი განსხვავებული ფაქტორები, არ არსებობს პროექტის შეფასების უნივერსალური სისტემა. მიგვაჩნია, რომ ინოვაციური პროექტების რეალიზაციისას პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული და სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ის პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია საბოლოო სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე.

ინოვაციური პროექტების შეფასების ძირითად კრიტერიუმებს მიეკუთვნება: 1- სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები, როგორიცაა, სოციალური საკითხების გაუმჯობესება: ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტაში წვ-

ლილის შეტანა; ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება; შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება; საბაზრო პარამეტრები - პროდუქციის კონკურენტუნარიანობა შიდა და გარე ბაზრებზე; 2 - ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაში წვლილის შეტანა; 3 - სამეცნიერო-ტექნიკური მახასიათებლები: მსოფლიო დონესთან შესაბამისობა, ქვეყნის მეცნიერებისა და მრეწველობის მაღალი მიღწევების უზრუნველყოფაში, სხვადასხვა სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებების, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარებაში შეტანილი წვლილი და სხვა. 4 - ეკონომიკური მახასიათებლები: პროექტის დანახარჯები, მოსალოდნელი მოგება.

ინოვაციური პროექტის სრული შეფასება მოიცავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმის და პროექტის რეალიზაციის ძირითადი ელემენტების ანალიზს. ექსპერტები ახდენენ ინოვაციური პროექტის სრულ შეფასებას თითოეული პოზიციის მიხედვით და ღებულობენ გადაწყვეტილებას გასაანალიზებელი პროექტის ეფექტიანობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. აბრალავა, ლ.გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. 2015 წ.
2. ე. ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნაკაიძე, რ. ქუთათელაძე. ინოვაციების მენეჯმენტი. 2008 წ.
3. В.Г. Медынский. Инновационный менеджмент. Москва. 2008 г.
4. Основы инновационного менеджмента. Под редакцией П.Н. Завлина. Москва. 2000 г.

სახელმწიფო შესყიდვები და მისი მარეგულირებელ-მაკორდინირებელი სტრუქტურა საქართველოში

ოთარ კიკვაძე, დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში – „სახელმწიფო შესყიდვები და მისი მარეგულრიებელ-მაკორდინერებელი სტრუქტურა საქართველოში“ განხილულია შესყიდვების არსი, წყაროები, პრინციპები, შესყიდვების დანიშნულება. განხილულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს როგორც სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი სტრუქტურის ფუნქციები და უფლებამოსილებები.

სტატიაში აღნიშნულია, რომ უშუალოდ შესყიდვის პროცესში სააგენტო ფაქ-ტიურად უუფლებოა და, ის, რაც მის უფლებებშია ჩამოთვლილი ასეთი სტატუსის მქონე სააგენტოსთვის არასაკმარისია. ავტორის მიერ ეს არაგამართლებულად არის მიჩნეული. ასეთ დროს, სააგენტოს ეძლევა უფლება ფასიანი მომსახურება გაუწიოს შესყიდვებში მონაწილე პირებს. სტატის ავტორი ამასაც არასწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს, რადგან ასეთი პირადული შეხვედრები იწვევს ორივე მხარის წარმომადგენელთა ზედმეტად დაახლოებას, რაც ხდება ტენდერებში კორუფციის საფუძველი.

საკვანძო სიტყვები: შესყიდვები, სააგენტო, ფუნქციები, გარიგება.

PUBLIC PROCUREMENT AND ITS REGULATORY COORDINATION STRUCTURE IN GEORGIA

Otar Kikvadze, Phd student

Summary

The article - “Public Procurement and Its Regulatory Coordination Structure in Georgia” considers an essence, sources, principles, and purpose of the Procurement. The article discusses function and power of the State Procurement Agency as the state procurement regulatory structure.

According to the article the agency is almost powerless in a procurement process. It is unreasonable according to the author. In such cases, the agency has the right to provide with the paid services entities involved in procurement. As believes the author, it is also a wrong decision, because such private meetings closer relations between the both parties and results in corruption of tenders.

* * * * * *

სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საჯარო ფინანსების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს, შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში საჯარო ფინანსების მდგომარეობას, კორუფციის დონეს, კონკურენტულ გარემოს, ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას და სხვ.

უმეტეს ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვებზე დახარჯულ სახსრებს მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი წილი უკავია 15% [1, გვ. 149], რომლის ოდენობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: ქვეყნის მმართველობის ფორმა, სახელმწიფო ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება სახელისუფლებლო ორგანოებსა და კერძო სამართლის სუბიექტებს შორის, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ. [2, გვ. 7].

საქართველოს ბიუჯეტის 30%-ზე მეტი [3, გვ. 1] (მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%) იხარჯება სახელმწიფო შესყიდვებზე. გამომდინარე აქედან, აღნიშნული სფეროს სწორი და ეფექტიანი რეგულირება უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველსაყოფად.

საქართველოში 2010 წლიდან სახელმწიფო შესყიდვების კუთხით მნიშვნელოვანი რეფორმები ხორციელდება, რასაც კოორდინაციას სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო უწევს. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა კანონმდებლობაში, შეიცვალა შესყიდვის საშუალებები, მონეტარული ზღვრები შესყიდვის საშუალებების შესაბამისად, ერთგვაროვნების განმსაზღვრელი კლასიფიკატორი, შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა ძირითადი პროცესისა და დოკუმენტაციის ელექტრონულ სისტემაში – ე. წ. „ონლაინ რეჟიმში“ ასახვა. აღნიშნულმა რეფორმამ უზრუნველყო გამჭვირვალობა. დღესდღეობით სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ელექტრონული ფორმით არის განთავსებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს გაეცნოს სახელმწიფო შესყიდ-ვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას. ამასთან, ამაღლდა კონკურენცია, შემცირდა კორუფციული რისკები, გამარტივდა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის პროცედურები მიმწოდებლებისთვის, რაც თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს სახელმ-

წიფო სახსრების ეკონომიურ, ეფექტიან და რაციონალურ ხარჯვაზე.

რეფორმის წარმატებას ადასტურებს საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი შეფასება თუ დასკვნა, მაგალითად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) საქართველოს შესყიდვების სისტემას უწოდებს „საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიერ რეკომენდირებულ შესყიდვების ეფექტიანობისა და სამართლიანობის დაცვის ინსტრუმენტს“. ამავე ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების რეგიონალური კანონმდებლობის თვითშეფასების შესაბამისად რეგიონალურ 26 ქვეყანას შორის საქართველო პირველ ადგილზე იმყოფება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UNPSA) შეფასებით, საქართველომ დასავლეთ აზიის ქვეყნებს შორის, კატეგორიაში „კორუფციის პრევენცია და დაძლევა სახელმწიფო სექტორში“ [4] მე-2 ადგილი დაიკავა. რეფორმას დადებითად აფასებს ევროპარლამენტიც, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ მიესალმება საქართველოს ახალ შესყიდვების სისტემას და მიიჩნევს, რომ „ამ სფეროში საქართველო, საჭიროა წარმოადგენდეს მაგალითს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის“ [3].

მიუხედავად სახელმწიფო შესყიდვების ძირეული ცვლილებებისა, მიგვაჩნია, რომ სისტემა ჯერ კიდევ შეიცავს რიგ ხარვეზებს და იმისათვის, რომ მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მაქსიმალური სრულყოფა, შესაბამისად საჭიროა, მათი აღმოფხვრა და სწორი მიმართულებით განვითარება.

1. სახელმწიფო შესყიდვები: არსი, პრინციპები, ფუნქციები, წყაროები

სახელმწიფო შესყიდვები შინაარსობრივად სახელმწიფო დაწესებულებების მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შეძენას წარმოადგენს. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ძირითადი პრინციპებია:

- შესყიდვების საჯაროობა და გამჭვირვალობა;
- არადისკრიმინაციული და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- საჯარო ფულადი სახსრების რაციონალური და მიზანშეწონილი ხარჯვა.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვა ეს არის: შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებების გამოყენებით ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა შემდეგი სახსრებით [5]:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახს-რებით;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონო-მიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი საწარმოების (იგულისხმება იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო) მიერ უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა;
- სახელმწიფო გრანტით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა) სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად, გარდა ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;
- იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინადადებათა საფუძველზე.

რაც შეეხება შემსყიდველ ორგანიზაციას, ის წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვ-ლილი სახსრებით სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელ იურიდიულ პირს.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'საქართველოს კანონის თანახმად ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია: რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმის მიხედვით.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ეფექტური სისტემის არსებობა დიდწილად განაპირობებს სახელმწიფოს (სახელმწიფო ორგანიზაციების) მიერ მოქალაქეთათვის მიწოდებული საზოგადოებრივი პროდუქტის ხარისხსა და მომხმარებელთა მიერ მიღებულ სარგებლიანობას. თუ სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში დარღვეულია ზემოთხსენებული ფუნდამენტური პრინციპები, ამ შემთხვევაში სახელმწიფოში ადგილი აქვს საჯარო ფინანსური სახსრების არაყაირათიან ხარჯვას, რაც საჯარო სტრუქტურებში კორუფციის არსებობის და განვითარების პირდაპირი საფუძველია.

2. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ-მაკორდინირებელი სტრუქტურა საქართველოში

სახელმწიფო შესყიდვების პროცესს საქართველოში ეროვნულ დონეზე კოორდინაციას უწევს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემა დეცენტრალიზებულია და შესყიდვების განხორციელებაზე უფლებამოსილია კონკრეტული შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მართლზომიერებაზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 23 პარილის №306 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. სააგენტოს საქმიანობაზე სახელმწიფოს კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

სააგენტოს ფუნქციებია [6]:

1. სახელმწიფოს შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა;
2. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია და მონიტორინგი;
3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამართული ფუნქციონირებისა და მისი განვითარების უზრუნველყოფა;
4. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული მდგომარეობის სისტემატური შესწავლა, ანალიზი და საქართველოს მთავრობის შესაბამისი წინადადებების წარდგენა;
5. სპეციალური სასწავლო პრიგრამის და სასწავლო-მეთოდოლოგიური მასა-ლების და დოკუმენტაციის სტანდარტული ფორმების მომზადება, ტრენინ-გების და სემინარების მოწყობა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, მასმედიის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის;
6. კომპეტენციის ფარგლებში, შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის საექსპერტო და საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა;
7. თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ინტეგრირების ხელშეწყობა;
8. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას წარმოშობილი დავების განხილვის გამჭვირვალე და სამართლიანი მექანიზმის უზრუნველყოფა;
9. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრისა (შავი სია) და კვალიფიციურ მომწოდებელთა რეესტრის (თეთრი სია) წარმოება;
10. განსაკუთრებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირება ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ კლასიფიკატორში ინტეგრირება;
11. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობის შემუშავება.

ზემოთდასახელებულ სააგენტოს თავისი მიზნების და ფუნქციების შესასრუ-ლებლად რა თქმა უნდა, გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილებანიც. ერთ-ერთი ასეთი უფლებამოსილება არის სააგენტოს მიზნების უზრუნველსაყოფად განახორციელოს ფასიანი მომსახურება, რომელიც უშუალოდ არ წარმოადგენს მის ვალდებულებას. სააგენტო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და არა კომერციული ორგანიზაცია. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ეძლევა მას ფასიანი მომსახურების უფლება, ან თუ ეძლევა რა საკითხებში ეძლევა? ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი ე. წ. ფასიანი მომსახურება, ზედმეტად აახლოვებს ჩინოვნიკებს მიმწოდებლების და შემსყიდველების არაკეთილსინდისიერ პირებთან, რაც შემდგომ ტენდერებში კორუფციის წყაროდ იქცევა. შესყიდვებთან დაკავშირებულ ბუნდოვან და არაცალსახად გასაგებ საკითხებზე კონსულტაციებს კერძო საკონსულტაციო ფირმები უნდა იძლეოდნენ და არა შესყიდვების სააგენტო. ის სრულიად იზოლირებული უნდა იყოს ამისგან.

ჩვენი აზრით, და, ეს არა მარტო ჩვენი აზრია, სააგენტო უშუალოდ შესყიდვებში უუფლებოა: „შესყიდვების სააგენტო არ უნდა იყოს მხოლოდ ინფორმაციის მიმღები და სტატისტიკური ორგანოს ფუნქციებით აღჭურვილი... მხოლოდ ის რომ, შესყიდვების სამსახური სტატისტიკურ მონაცემებს აგროვებს, არაფერს ნიშნავს, თუნდაც მაჩვენებელთა ზრდა იყოს. მთავარი ის კი არ არის, რამდენით მეტმა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა ან რამდენით მეტი ან ნაკლები თანხის გარიგება განხორციელდა, მთავარია იმის კვლევა, თუ რამდენად ღიაა ბაზარი და რამდენად შედიან ახალი სუბიექტები ბაზარზე, რამდენად თავისუფალია ბაზარზე შეღწევადობა, ხომ არ ხდება ისე, რომ ერთი და იგივე კომპანიები

იმარჯვებენ ტენდერებში?“ [7, გვ. 20].

დღეს ამის კვლევა სააგენტოს კომპეტენციაში არ შედის, რაც სპეციალისტების შეფასებით დიდი პრობლემაა. შესყიდვების სამსახურს, ჩვენი აზრითაც, უნდა ჰქონდეს კონტროლის მექანიზმი. ამასთან მას უნდა ჰქონდეს იმის შეფასების უფლება, თუ რამდენად გამართლებულია ამა თუ იმ საქონლის თუ მომსახურების შესყიდვა, რომელსაც მას ესა თუ ის შემსყიდველი ახორციელებს.

როცა ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანიზაციას უნდა რამის ყიდვა, ამას შესყიდვების სააგენტო როგორც ცნობას ისე იღებს და შესყიდვას შემსყიდველი ორგანიზაცია ახორციელებს ყოველგვარი შემოწმების გარეშე. მართალია, საქართველოს აუდიტის სახელმწიფო სამსახური (ყოფილი კონტროლის პალატა) აკონტროლებს სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას, მაგრამ კარგი იქნებოდა, ვიდრე საქმე აქამდე მივიდოდეს მას გარკვეულწილად ამოწმებდეს შესყიდვების სააგენტოც. პერსონალის ცოდნის თვალსაზრისით მას ამის კომპეტენციაც მეტი აქვს, ვიდრე სხვა რომელიმე სტრუქტურას.

ასე რომ, შესყიდვების სააგენტოს, ის, რაც მის უნარსა და კომპეტენციაში შედის ნაკლებად ევალება, რაც არ შედის, მაგ. ფასიანი საკონსულტაციო მომსახურება, იმის განხორციელების უფლება აქვს. ჩვენი აზრით, ეს ნონსენსია.

დასკვნა

სტატიაში „სახელმწიფო შესყიდვები საქართველოში და მისი მარეგულირებელ-მაკორდინირებელი სტრუქტურა“, ჩვენ დავახასიათეთ სახელმწიფო შესყიდვების რაობა, წყაროები, ფუნქციები და პრინციპები. აღვნიშნეთ რომ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვის გარეშე სახელმწიფო შესყიდვები ეფექტური ვერ იქნება. ამის გარდა დავახასიათეთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და მისი ფუნქციები.

ჩვენი აზრით, და, ეს არა მარტო ჩვენი აზრია, შესყიდვების სააგენტოს უშუალოდ შესყიდვებში ნაკლები უფლებები აქვს. ამის გარდა, მას არ უნდა ჰქონდეს ფასიანი მომსახურების გაწევის უფლება ტენდერებში მონაწილე ორგანიზაციებისთვის, რადგან ეს ზედმეტად აახლოებს ორივე მხარის წარმომადგენლებს ერთმანეთთან, რაც შემდეგ შეიძლება კორუფციის საფუძველი გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია — სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის მოკლე მიმოხილვა, 2011.
2. ს. აროუსმიტი, ჯ. ლინარელი, დ.ჯ. ვალასი — სახელმწიფო შესყიდვების რეგულირება ეროვნული და საერთაშორისო პერსპექტივები, კლუვერის საერთაშორისო სამართალი, ჰააგა, 2000.
3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეფექტიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და განვითარების თანამედროვე მიდგომები, 2014.
4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საჯარო სამსახურის გამარჯვებულები დააჯილდოვა, 2012. ჰტტპ://უნპან1.უნ.ორგ/ინტრადოც/გროუპს/პუბლიც/დოცუმენტს/უნ-დპადმ/უნპან049297.პდფ
5. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, თბ., 2005.
6. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულება და სტრუქტურა, მუხლი 3.
7. უუფლებო შესყიდვების სააგენტო, ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“, №12, 2012.

ბიზნეს-ინჟინერინგი საბანკო საქმეში

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები, ელემენტები, მათი აღიარება და შეფასება

ელგუჯა კონჯარია, *ასოც. პროფესორი*

რეზიუმე

ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებისათვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს საწარმოს განვითარების ტენდეციების დადგენა. ასევე სხვადასხვა საწარმოთა ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების შედარება. ამის მიღწევა შესაძლებელია შესადარისობის უზრუნველყოფის საფუძველზე. საწარმოთა საქმიანობაში მსგავსი მოვლენებისა და სამეურნეო ოპერაციების მიმართ საჭიროა აღრიცხვისა და შეფასების ერთიანი წესების გამოყენება.

ინფორმაციის შესადარისობის უზრუნველსაყოფად საჭირო შესწორებები, რაც ადრე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით არის გამოწვეული, განიხილება ბაასს-ში "სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებები და შეცდომები".

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები: აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედობა. ელემენტები: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

Summary

Qualitative characteristic items of financial account

It is possible to determine the tendention of financial account the helps of supplied information by users. Also different enterprises' state and financial comparison of results. It is possible to reach with help of comparing results.

It is necessary to use of account and assessment of enterprise activities. It is also necessary the amendments, which is caused by change of pre –accounting policy.

Keywords: finincial accountment of qualitative characteristiv, perception, relerance, relialoloty.

Items: assests, liabilities and private equity

* * * * *

სააღრიცხვო პოლიტიკა განსაკუთრებული პრინციპების, საფუძვლების, შეთანხმებების, წესებისა და პრაქტიკის ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება საწარმოში ფინანასური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესში.

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. იგი წარმოადგენს ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც საწარმოს შიგნით ისე მის გარეთ.

ფინანსური ანგარიშგება მისი მომხმარებლისათვის უნდა იყოს სასარგებლო, დაეხმაროს მის წინაშე დასმულ ამოცანაზე პასუხების გაცემაში და გადაწყვეტილებების მიღებაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის დამოკიდებულებად შემუშავების დროს აუცილებელია ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების უპირობო დაცვა. ჩფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები ის ატრიბუტებია, რომლებიც ფინანასურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას გადააქცევს მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციად. ინფორმაცია კი სასარგებლოა მაშინ, როდესაც მას გააჩნია შემდეგი ხარისხობრივი მახასიათებლები, როგორიცაა: აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედობა და შესადარისობა.

აღქმადობა–ფინანსური ანგარიშგებაში გადმოცემული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მახასიათებელია მისი ადვილად აღქმადობა. ამასთან იგულისხმება, რომ მომხმარებელს აქვს ბიზნესის, ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ცოდნა და ინფორმაციის მიზნობრივად შესწავლის სურვილი.

შესაბამისობა – ინფორმაციას მაშინ გააჩნია შესაბამისობის თვისება, თუ იგი გავლენას ახდენს მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე იმით, რომ ეხმარება მას შეაფასოს საწარმოს წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობა.

ინფორმაციის შესაბამისობაზე გავლენას ახდენს მისი ხასიათი და არსებითობა. ზოგჯერ ინფორმაციის მხოლოდ ხასიათიც კი საკმარისია, რომ განისაზღვროს მისი შესაბამისობა.

საიმედობა – ინფორმაცია საიმედოა, თუ არ შეიცავს არსებით შეცდომას და არ არის ტენდენციური. ამასთან მომხმარებელი შეიძლება ენდოს მას იმდენად, რამდენადაც სრულად და მიუკერძოებლად ასახავს ის საქმის რეალურ ვითარებას. ინფორმაცია შეიძლება იყოს შესაბამისი, მაგრამ ისეთი არასაიმედო, რომ მისმა გათვალისწინებამ მომხმარებელი პოტენციურ შეცდომამდე მიიყვანოს.

ინფორმაცია საიმედო რომ იყოს, იგი უნდა ასახავდეს ყველა სამეურნეო ოპერაციასა და მოვლენას. ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული ინფორმაცია საიმედო იქნება მაშინ, თუ იგი ნეიტრალურია.

შესადარისობა – ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს უნდა შეეძლოს საწარმოს სხვადასხვა წლების საქმიანობის შედარება და შეფასება საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების განსაზღვრის მიზნით. მომხმარებელს აგრეთვე უნდა შეეძლოს სხვადასხვა საწარმოთა შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის, მათი საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შედარება. ამისათვის საწარმოები მსგავსი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენებისათვის უნდა იყენებდნენ აღრიცხვისა და შეფასების ერთიან წესს.

ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ამგვარ ფართო დაჯგუფებებს უწოდებენ ფინანსურ ანგარიშგების ელემენტებს.

ბუღალტრულ ბალანსში ეს ელემენტები წარმოდგენილია აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სახით; მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტებია: შემოსავლები და ხარჯები.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება შემდეგი ელემეტები: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. ისინი შემდეგნაირად განიმარეტება:

ა) აქტივი – საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც საწარმო მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

ბ) ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებულ რესურსების გასვლას საწარმოდან.

გ) საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულებების დაფარვის შედეგად. იმისათვის რომ შევაფასოთ მოცემული ელემენტის შესაბამისობა აქტივების, ვალდებულებების ან საკუთარი კაპიტალის განმარტებასთან, ყურადღება უნდა მივაქციოთ მის ეკონომიკურ შინაარსსა და ბუნებას და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას:

1. აქტივები.

აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი არის აქტივების უნარი, ხელი შეუწყოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების შემოსვლას საწარმოში.

2. ვალდებულებები.

ვალდებულებების უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ საწარმოს გააჩნია მიმდინარე მოვალეობა. ვალდებულება არის საწარმოს მოვალეობა ან პასუხისმგებლობა, რომლის შესრულება გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება. როგოც წესი, ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივი მიღებულია ან თუ საწარმო დადებს შეუქცევად ხელშეკრულებას აქტივების შეძენის შესახებ.

3. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი განიხილება როგორც ვალდებულებების დაფარვის შემდეგ დარჩენილი აქტივების ნაწილი. კაპიტალი ტოლია აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები (კაპიტალი=აქტივებს-ვალდებულებები)

აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა არ შეიძლება. ხოლო ბალანსის ტოლობა (ფორმულა) წარმოადგენს: აქტივები=ვალდებულებები+კაპიტალი.

საწარმოს საქმიანობის შესაფასებლად ხშირად იყენებენ მოგების მაჩვენებელს, აგრეთვე სხვა მაჩვენებლებსაც. მოგება განისაზღვრება ორი ელემენტით: საერთო შემოსავლებით და საერთო ხარჯებით. შემოსავლები და ხარჯები განიმარტება შემდეგნაირად:

1. შემოსავლები

შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც არაა დაკავშირებული საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან.

2. ხარჯები

ხარჯები – საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირებაა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

აღიარება არის საწარმოს ბალანსში ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული ელემენტის განმარტებას და აღიარების შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) შესაძლებელია ამ მუხლით გამოწვეული

მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; და

ბ) მუხლს გააჩნია საიმედოდ შეფასებული რიცხობრივი მნიშნელობა.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ურთიერთდამოკიდებულება ელემენტებს შორის ნიშნავს, რომ მუხლი რომელიც აკმაყოფილებს განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს თითოეული ელემენტისათვის, ავტომატურად მოითხოვს სხვა ელემენტის, მაგალითად შემოსავლის ან ვალდებულებების, აღიარებას.

ალბათობის კონცეფციას იყენებენ ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ელემენტის აღიარებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლის ან საწარმოდან გასვლის განსაზღვრისას.

აღიარების მეორე კრიტერიუმია მოცემული ღირებულების ან თვითღირებულების საიმედო განსაზღვრის შესაძლებლობა. საიმედო შეფასების გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ თუ შეუძლებელი მოცემული ელემენტის საიმედო შეფასება, იგი არ აისახება საწარმოს ბალანსში ან მოგება-ზარილის ანგარიშგებაში.

თუ მუხლს გააჩნია ფინანასური ანგარიშგების ელემენტად აღიარების ძირითადი ნიშნები, მაგრამ არ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმს, იგი აუცილებლად უნდა იქნას ასახული და ახსნილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ეს აუცილებელია მაშინ, როდესაც ამ ინფორმაციის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

აქტივი აღიარებული იქნება ბალანსში, თუ ამ აქტივის მონაწილეობით შესაძლებელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამავე დროს მისი საიმედო თანხობრივი შეფასება.

აქტივი არ იქნება აღიარებული ბალანსში, თუ იგულისხმება, რომ გაწეული დანახარჯების შედეგად საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა არ მოხდება მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. საწარმოში მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის დიდი ალბათობა არ არის საკმარისი დანახარჯების აქტივებთან აღიარებისათვის.

საწარმოს ბალანსში ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში აისახება, თუ მისი დაფარვა მომავალში გამოიწვევეს საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას და თუ შესაძლებელია მისი საიმედო რაოდენობრივი შეფასება განსაზღვრა.

საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლის აღიარება-ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ საწარმოში მომავალი ეკონომიკური სარგებლის ზრდა გამოწვეულია აქტივებსი ზრდით ან ვალდებულებების შემცირებით. ეს კი აღიარებული იქნება აქტივების ზრდა ან ვალდებულებების შემცირება.

საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების აღიარება-ასხვა ხდება მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და თუუ შესაძლებელია მისი საიმედო შეფასებაგაზომვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხარჯების აღიარება — განსაზღვრა ხდება მაშინვე, როგორც კი აღიარებული იქნება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა ან დანახარჯების გაწევისა და შემოსავლების ცალკეული მუხლების მიღების პროცესებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ეს არის ამონაგებისა და დანახარჯების შესაბამისობის პრინციპი. იგი გულისხმობს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით, ან მოვლენით გამოწვეული ხარჯებისა და ამონაგების ერთდროულ აღიარება-ასახვას. ამ პრინციპის თანახმად, არ შეიძლება ისეთი მუხლების აღიარება ბალანსში, რომლებიც არ აკმაყოფილებს აქტივებისა და ვალდებულებების ცნებებს.

შეფასება არის ფულადი თანხების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ფინანსური ანგარიშგების მოცემული ელემენტების აღიარება საწარმოს ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასების გარკვეული მეთოდის შერჩევას.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს იყენებენ შეფასების სხვადასხვა მეთოდს, სხვადასხვა ხარისხით და მრავალი კომბინაციით. ეს მეთოდებია:

ა) პირვანდელი ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში.

ბ) მიმდინარე ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების იმ თანხით, რომელიც უნდა გადახდილიყო საწარმოს მიერ მისი ან ანალოგიური აქტივის შეძენისას.

გ) სარეალიზაციო ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების იმ თანხით, რომლის მიღება არის შესაძლებელი ამ აქტივის გაყიდვის შედეგად მიმდინარე პერიოდში.

დ)დისკონტირებული ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება მისი არსებული დისკონტირებული ღირებულების თანხით, რომლიც საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მომავალში შემოსასვლელი წმინდა ფულადი სახსრების ტოლია. საწარმოს ვალდებულებები აღირიცხება იმ არსებული დისკონტირებული თანხით, რომელიც საჭიროა ამ ვალდებულებების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში და რომელიც საწარმოდან მომავალში ამ მიზნით გასასვლელი ფულადი სახსრების ტოლია.

ფინანასური ანგარიშგების მომზადებისას ყველაზე ხშირად იყენებენ პირვენდელი ღირებულების

მეთოდს. როგორც წესი, უფრო მიღებულია მისი გამოყენება სხვა მეთოდებთან ერთობლივად. ამასთან, ზოგიერთი საწარმო იყენებს მიმდინარე ღირებულების მეთოდს, რადგან პირვენდელი ღირებულების მეთოდი ვერ გვიჩვენებს არაფულადი აქტივების ფასების ცვლილებების შედეგებს.

.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბუღალტრული აღრიცხვა. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი თბ 2002 წ.
2. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები ე. ხარაბაძე. თბ 2002წ.
3. ფინანასური აღრიცხვა (ბასს მიხედვით) რ. ძაძამია. თბ 2000წ
4. ფინანასური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) 2007. ბასს და ინტერპრეტაციების ჩათვლით 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.
5. ფინანასური ანალიზი. მ. ჯიქია თბ. 2011წ
6. ბუღალტრული აღრიცხვა. ი. მესხია, დ. მაღლაკელიძე, ნ. ვაშაკიძე თბ. 2001წ
7. ACCA. წიგნი 1.1. ფინანსური ანგარიშგების მომზადება. 2006წ
8. ACCA. წიგნი 2.5. ფინანასური ანგარიშგება. 2006წ

საკრედიტო რისკის შეფასება ფაზი მიმართებების გამოყენებით

თეიმურაზ ცაბაძე, პროფესორი
ირაკლი ჭელიძე, დოქტორანტი
ნიკოლოზ გეგუჩაძე, დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია საკრედიტო რისკის შეფასების ახლებური მიდგომის შემუშავება კორპორატიული მსესხებლებისთვის. მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებისათვის მსოფლიოში არსებობს მრავალნაირი მოდელი. ეს მოდელები იყოფა ორ ტიპად: სტატისტიკური და თეორიული. თუმცა რიგ შემთხვევებში არც ერთი მათგანის გამოყენება არ არის ადექვატური. იმავე პრობლემას ადგილი აქვს საქართველოშიც.

კორპორატიული მსესხებლების საკრედიტო რისკის შეფასებისას მიუღებელია სტატისტიკური მოდელები რადგადაც არ არსებობს საკმარისად დიდი დეფოლტების ისტორია. ხოლო ზოგ თეორიულ მოდელს ვერ ვიყენებთ ბირჟის განუვითარებლობის გამო. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ მოვლენის შესწავლისათვის არ არსებობს საკმარისი სტატისტიკა, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ყოველთვის ექსპერტულ ხასიათს ატარებს.

ნაშრომში აღწერილია ექსპერტთა ჯგუფური შეფასებების ფაზი აგრეგირებისადმი ახალი მიდგომა. მოყვანილია პრაქტიკული მაგალითი რომელიც ადასტურებს შემოთავაზებული მიდგომის ადექვატურობას. უნდა აღინიშნოს, რომ განხილული მოდელი არ არის ამგვარი პრობლემების გადაწყვეტის ერადერთი გზა, იგი წარმოადგენს მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციას გადაწყვეტილებათა მიღებისათვის.

SUMMARY

The purpose of this paper is to develop a new approach for credit risk assessment to corporate borrowers. There are different models for borrowers' risk assessment. These models are divided into two groups: statistical and theoretical. However, in many cases the application of these models is not adequate. The same problem we face in Georgia.

When assessing credit risk for corporate borrowers, statistical model is unacceptable due to the lack of sufficiently large history of defaults. At the same time we can't use some theoretical model due to the lack of exchange. In those cases, when studying a particular phenomenon statistical base does not exist, the decision-making process is always of expert nature.

The paper describes a new approach to fuzzy aggregation of group decision-making. Given a practical example, which confirms the adequacy of the proposed approach. It should be noted that the proposed model is not the only way to solve such problems; it represents the only evidence-based recommendation for a decision-making.

1. შესავალი

ნაშრომის მიზანია საკრედიტო რისკის შეფასების ახალი მიდგომის შემუშავება კორპორატიული მსესხებლებისათვის და მაგალითის საფუძველზე განვიხილულია თუ რამდენად გადახდისუნარიანია ესა თუ ის მსესხებელი.

საკრედიტო რისკი მოიცავს იმის საშიშროებას, რომ მსესხებელს შეექმნება ფინანსური პრობლემები, რის გამოც იგი ვერ მოახერხებს ნასესხები თანხის დაბრუნებას. ჩვენ შევეცადეთ აქამდე გამოყენებული ლოჯისტიკური რეგრესიისა და წრფივი დისკრიმინანტული ანალიზის სტატისტიკური მოდელების ნაცვლად, შეგვემუშავებინა მოდელი, რომელიც იქნებოდა მენეჯმენტის გამოცდილებაზე დაყრდნობილი.

ლოჯისტიკური რეგრესიისა და წრფივი დისკრიმინანტული ანალიზის მოდელები იძლევა კარგ, დასაბუთებულ შედეგებს მაშინ როდესაც ხელმისაწვდომია მონაცემთა ბაზა ანუ არსებობს მონაცემთა გენერალური ერთობლიობა. პრობლემა წარმოიქმნება მაშინ როდესაც ეს მონაცემები არ გვაქვს ან გვაქვს არასრული ან/და სუბიექტური ან/და არამკაფიო ინფორმაცია. ამ შემთხვევაში უნდა დავეყრდნოთ ექსპერტის გამოცდილებასა და შეხედულებას.

ამ პროცესის პარამეტრიზაციისათვის უპრიანია გამოვიყენოთ ფაზი (არამკაფიო) სიმრავლეეთა თეორია. კლასიკურ მათემატიკაში ობიექტი ან ეკუთვნის გარკვეულ სიმრავლეებს ან არა. თუმცა, ჩვენ ყოველდღიურად ვიყენებთ ისეთ არამკაფიო განმარტებებს როგორებიცაა: „მაღალი", „კარგი", „ძლიერი" და ა.შ.. როგორ გავარკვიოთ პიროვნება ეკუთვნის თუ არა მაღლების ან ძლიერების კატეგორიას? მაგალითად საბანკო სფეროში, კორპორატიული მსესხებლების საკრედიტო რისკის შეფასებისას ვაწყდებით იმავე პრობლემას როდესაც ვიყენებთ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: ძალიან მაღალი, მაღალი, საშუალო და დაბალი გადახდისუნარიანი მსესხებელი. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ბაზარი არ არის დიდი, ჩვენ არ გვეძლევა იმის საშუალება, რომ ვიხელმძღვანელოთ დიდი დეფოლტების ისტორიით. ამის გამო მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასება თითქმის ყოველთვის ექსპერტულია.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულიარისკის შეფასების ყველაზე ფართოდ გამოყენებულ მეთოდების ორ ძირითადი კლასი. გაანალიზებულია, თუ რა ინფორმაციის საფუძველზე ხდება თვითეულის დამუშავება და რა პრობლემების წინაშე შეიძლება დავდგეთ. მეორე ნაწილში ფაზი სიმრავლეთა თეორიის ის განმარტებები და ცნებები, რომლებიც მკითხველს გამოადგება მასალის გასაგებად. მეოთხე ნაწილში აღწერილია მოდელი და მისი აგებისათვის აუცილებელი პირობები, ხოლო მეხუთე, დასკვნით ნაწილში ამ მოდელის გამოყენებით განხილულია კონკრეტული შემთხვევა ორი, „კარგი" და „ცუდი", მსესხებლის მაგალითზე.

2. ამოცანის დასმა

დღესდღეობით დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებას განუზღვრელობის პირობებში. საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს იმის განსაზღვრას, ღირს თუ არა მსესხებლისთვის სესხის მიცემა და რა ალბათობით შეიძლება მსესხებელი გაკოტრდეს, ან ვერ მოემსახუროს სესხს ფინანსური პრობლემების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესის დროს მსესხებელს მოეთხოვება დიდი რაოდენობის ინფორმაციის მიწოდება, ცალსახა გადაწყვეტილების მიღების წესი არ არსებობს. გადაწყვეტილების მიღების დამხმარე ერთ-ერთი მექანიზმი არის ე.წ. ქულათა სისტემა (Scoring). ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება როგორც საერთაშორისო, ასევე ქართული ბანკების მიერ [1].

2008 წლის კრიზისმა მრავალი კომპანია ჩააყენა გაკოტრების რისკის წინაშე, რის შედეგადაც, ანალიტიკოსებისთვის კვლევის საგანი გახდა არა მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, არამედ პროგნოზირების ეფექტიანი მეთოდოლოგიის შემუშავება.

პროგნოზირების მეთოდები შეიძლება დავაჯგუფოთ ორ ძირითად კლასად: სტატისტიკური და თეორიული მოდელები.

სტატისტიკური მოდელებისათვის უნდა შეირჩეს მთელი რიგი ისეთი კოეფიციენტებისა, როგორიცაა მსესხებლის საკრედიტო ისტორია, შემოსავალი, უზრუნველყოფა და ა.შ. შემდეგ უნდა გავმიჯნოთ ისეთი მსესხებლები, რომლებსაც უკვე აქვთ პრობლემურის სტატუსი და ისეთები, რომლებიც კარგად მოემსახურნენ სესხს. თითოეულ კოეფიციენტს ენიჭება გარკვეული წონა და ყოველი მსესხებლისთვის გამოითვლება შეწონილი ქულა. ასეთნაირად შეფასებული დეფოლტის ალბათობა კარგად ასახავს მსესხებლის ფინანსურ სტაბილურობას.

სტატისტიკური მოდელების გამოყენებისას საჭიროა გავაკეთოთ ისეთ დაშვებები როგორებიცაა:

- კოეფიციენტების განაწილება
- კოეფიციენტების დამოუკიდებლობა
- ობიექტის კლასიფიკაცია (მსესხებელი ცალსახად უნდა ეკუთვნოდეს გარკვეულ ჯგუფს, ჰქონდეს დეფოლტის სტატუსი, ან არა)

საქართველოში ამ დროისთვის 500-მდე მსხვილი კომპანიაა რომელიც შეიძლება ჩვენი შესწავლის საგანი იყოს. აქედან გამომდინარე საქართველოს ბაზარზე არსებული დეფოლტების ისტორია არ გვაძლევს რისკის შეფასების კარგ საშუალებას. გარდა ამისა პრობლემა წარმოიშვება კლასიფიკაციის დროსაც. მსესხებელს შეიძლება ჰქონდეს ე.წ. ნაწილობრივი დეფოლტის სტატუსი.

თეორიული მოდელები, განსხვავებით სტატისტიკურისგან, დეფოლტის პროგნოზირებისას კონცენტრირდება ხარისხობრივ ინფორმაციაზე. ეს მოდელები იყენებენ განსხვავებულ მეთოდებს იმისათვის რომ მიიღონ თეორიული არგუმენტის მტკიცებულება. მაგალითად ერთერთი ასეთი მოდელია KMV (Kealhofer, McQuown, Vasicek) , რომელიც ეყრდნობა ბონდებზე დადებული ოფციონების ფასდადების თეორიას. ამ მოდელის თანახმად, კომპანიის კაპიტალი შეგვიძლია დავამოდელიროთ როგორც კოლ ოფციონი, რომლის საბაზისო აქტივი არის აქტივების საბაზრო ღირებულება, ხოლო შეთანხმების ფასი ვალდებულებების მოცულობა აღსრულების დროს. ამის გამოყენებით შესაძლებელი ხდება განისაზღვროს დეფოლტის ალბათობა, როგორც ალბათობა იმისა რომ კომპანიის აქტივების ღირებულება დაეცემა მისი ვალდებულებების ღირებულებაზე დაბლა [2].

პრობლემა რომელსაც შეიძლება წავაწყდეთ ამ მოდელის გამოყენებისას არის ის რომ ქართული კომპანიების უმრავლესობის აქციები არ ივაჭრება ბირჟაზე. ასეთ დროს სირთულეა მათი აქტივების საბაზრო ღირებულების სწრაფი შეფასება.

1965 წელს, კალიფორნიის უნივერსიტეტის (ბერკლი) პროფესორმა ა. ზადემ (Lotfi A. Zadeh) გამოაქვეყნა ნაშრომი „Fuzzy Sets» [5], რომელმაც ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის მოდელირებას ჩაუყარა საფუძველი და ზოგიერთი მათემატიკური თეორიის ახალ ინტერპრეტაციას მისცა ბიძგი.

3. ფაზი მიმართებები

კლასიკურ მათემატიკაში ობიექტი ან ეკუთვნის სიმრავლეს ან არა. ლოტფი ზადემ პირველად შემოგვთავაზა ობიექტის რაიმე სიმრავლისადმი მიკუთვნების ფუნქციის ცვლილება [0;1] ინტერვალში, "ან 0 ან 1" ბინარული მნიშვნელობების მაგივრად [5]. ასეთ სიმრავლეებს მან უწოდა ფაზი (არამკაფიო) სიმრავლეები. ამ მიდგომის თანმიმდევრული განვითარებით ზადემ მოახერხა "ლინგვისტური ცვლადების" მათემატიკური მოდელირება [6], მაგალითად "მაღალი, უფრო მაღალი, ძალიან მაღალი" ტიპის ლინგვისტური ტერმების მათემატიკური ენით გამოსახვა.

R ფაზი მიმართება X უნივერსუმზე ეწოდება დეკარტული ნამრავლის $X \times X = X^2$ ქვესიმრავლეს:

$$R \subset X^2, R : X^2 \to [0,1].$$

$\Im\left(X^2\right) = \left\{R \mid R : X^2 \to [0,1]\right\}$ — არის X^2-ზე განსაზღვრულ ყველა ფაზი მიმართებათა

მიმართებათა მესერი, $\varnothing_X(x,y)=0$ მინიმალური, $U_X(x,y)=1$ მაქსიმალური და $E_X(x,x)=1$ ერთეულოვანი ელემენტებით, $\forall(x,y)\in X^2$. fazi მიმართება აღინიშნება $R(x,y)$ ან xRy სიმბოლოებით. $R(x,y)$ ფაზი მიმართების სიდიდე გამოხატავს ხ და ყ ელემენტებს შორის კავშირის სიძლიერს. R ფაზი მიმართების მიკუთვნების ფუნქცია აღინიშნება μ_R -ით.

ვთქვათ გვაქვს ორი ფაზი მიმართება R და S, მაშინ

$$R=S \Leftrightarrow \mu_R(x,y)=\mu_S(x,y),\ \forall(x,y)\in X^2,\ R,S$$

$$R\subseteq S \Leftrightarrow \mu_R(x,y)\le\mu_S(x,y),\ \forall(x,y)\in X^2,\ R,$$

$$R\subset S \Leftrightarrow \left(\mu_R(x,y)\le\mu_S(x,y)\wedge\exists(x_0,y_0)\,|\,\mu_R(x_0,y_0)<\mu_S(x_0,y_0)\right),\ R,S\in\Im(X^2).$$

ოპერაციები მიმართებებზე [3]:

ორი მიმართების გაერთიანება $R\bigcup S$ განისაზღვრება შემდეგნაირად

$$x(R\bigcup S)y=\max\{\mu_R(x,y),\mu_S(x,y)\},\ \forall(x,y)\in X^2,\ R,S\in\Im(X^2).$$

ორი მიმართების თანაკვეთა $R\bigcap S$ განისაზღვრება შემდეგნაირად

$$x(R\bigcap S)y=\min\{\mu_R(x,y),\mu_S(x,y)\},\ \ (x,y)\in$$

R ფაზი მიმართების დამატება არის ფაზი მიმართება $\overline{R}$, რომლის მიკუთვნების ფუნქცია განისაზღვრება შემდეგნარიად

$$\mu_{x\bar{R}y}=1-\mu_{xRy},\forall(x,y)\in X^2,\ \ R\in\Im(X^2)$$

ორი მიმართების კომპოზიცია განისაზღვრება შემდეგნაირად

$$R\circ S:\exists y\,|\,xRy\wedge ySz,\ \ x,y,z\in X^3,\ \ R,S\in\Im(X^2).$$

არსებობს კომპოზიციის სხვადასხვა სახეობები, თუმცა პრაქტიკაში გამოიყენება ორი ძირითადი სახის კომპოზიცია (მინიმუმის და ნამრავლის):

$$R\circ_M S(x,z)=\sup_{y\in X}\min\{R(x,y),S(y,z)\},\ \ (x,z)\in X^2,\ R,S\in\Im(X^2)$$

$$R\circ_P S(x,z)=\sup_{y\in X}(R(x,y)\times S(y,z)),\ \ (x,z)\in X^2,$$

.

მიმართებების თვისებები:

R ფაზი მიმართებას ეწოდება ტრანზიტული თუ

$$\forall(x,\ y,\ z)\in X^3:\ R(x,\ y)\circ R(y,\ z)\le R(x,\ z)\Leftrightarrow$$

R მიმართებას ეწოდება ტრანზიტული ჩაკეტვა თუ:

$$\overline{R}=R\bigcup R^2\bigcup R^3\bigcup\ldots$$

4. საკრედიტო რისკის შეფასება

ფაზი სიმრავლეების და მიმართებების მიკუთვნების ფუნქციის აგებისათვის არსებობს არაერთი ხერხი. ზოგი მათგანი დაფუძნებულია ინტუიციაზე და გამოცდილებაზე, ზოგჯერ, სპეციფიკურ შემთხვევებში, მიკუთვნების ფუნქციის აგება ეყრდნობა გარკვეულ ალგორითმზე, მაგალითად გენეტიკურზე ან ნეირონულ ქსელებზე. ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ ინტუიციასა და გამოცდილებაზე დაყრდნობილ მიკუთვნების ფუნქციებს. ეს მეთოდი არის ერთერთი ყველაზე მარტივი და ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ამ დარგში. მიკუთვნების ფუნქციის ინტუიტიური აგება მოისაზრებს ამა თუ იმ საკითხის სიღრმისეულად ცოდნას და შეფასება ხდება ექსპერტების მიერ. მაგალითად ცნებები „დაბალი", „საშუალო სიმაღლის", „მაღალი". ამ სიდიდეების შეფასება არის ძალზედ სუბიექტური. ცხადია, რომ ადექვატური სურათის მისაღებად საჭიროა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები. ამიტომ საჭიროა ისეთი ფაზი აგრეგირების აპარატის, შევიმუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გავითვალისწინოთ თითოეული ექსპერტის მოსაზრება და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება.

საკრედიტო რისკების შეფასება ძალზედ ჰგავს მსგავს პროცესს. ბანკებს ჰყავთ გარკვეულ ექსპერტთა ჯგუფი რომლებიც აფასებენ თავიანთი გამოცდილებითა თუ ინტუიციით რამდენად კარგია მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა.

ფაზი ლოგიკა ფართოდ გამოიყენება მრავალ სფეროში დაწყებული ენათმეცნიერებიდან, დასრულებული რობოტექნიკითა და ინჟინერიით. დღესდღეობით ფინანსების მრავალი ასპექტი არის „ფაზისებრი". სულ უფრო და უფრო რთულდება იმის წინასწარმეტყველება თუ რა მოუვა ამათუიმ მსესხებელს. დეფოლტის გამომწვევ მიზეზად შიძლება გამოვლინდეს როგორც შიდა, კომპანიის მახასიათებელი ფაქტორი, ისე გარე, ბაზრისთვის მახასიათებელი. სირთულე მდგომარეობს ორივე მათგანის კონკრეტული სიდიდით გამოხატვაში.

მსესხებლის საკრედიტო რისკის შესაფასებლად გამოვიყენეთ 32 პარამეტრი რომელთა საფუძველზეც საჭიროა შეფასდეს მსესხებლის გადახდისუნარიანობა. აღსანიშნავია რომ მოცემული პარამეტრები შერჩეულია მენეჯერის გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებითაც სრულად უნდა მოხერხდეს მსესხებლის მდგომარეობის შეფასება. ეს პარამეტრები

შედგება როგორც რაოდენობრივი ისე თვისობრივი მაჩვენებლებისაგან. მაგალითად: დასაბეგრი მოგება/საპროცენტო ხარჯი, სესხის თანხა/დასაბეგრი მოგება, მიმდინარე აქტივები/კაპიტალი, საკრედიტო ისტორია, ბაზრის წილი და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსესხებლის საკრედიტო რისკის უნივერსუმი აღიწერება ამ 32 პარამეტრით.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა შევაფასოთ ფაზი მიმართებების მატრიცა. ამისათვის საჭიროა გამოვკითხოთ ექსპერტები და დავალაგოთ პარამეტრები მნიშვნელოვნების მიხედვით. გამომდინარე იქიდან რომ ექსპერტისთვის ძნელია თითოეული კოეფიციენტის თითოეულთან შედარება, საჭიროა რომ მან შეადაროს მხოლოდ მეზობელი ორი კოეფიციენტი და ყოველ მომდევნოს დაუწეროს ის წონა, რაც გააჩნია წინამორბედთან შედარებით. შედეგად მივიღებთ მატრიცას რომლის დიაგონალზე განლაგებულია 100%, ხოლო თითოეული მათგანის გვერდით - გარკვეული ფაზი მიმართება. ფორმალურად მატრიცა ჩაიწერება შემდეგნაირად [4]:

$$M_1 = (b_{ij}) = \begin{cases} 1, \text{ if } \ i = j, \\ R(x_i, x_j), \text{ if } \ i = j-1, \quad i, j = \overline{1,n}, \ R \in \Im(X^2) \\ 0, \text{ otherwise} \end{cases}$$

იმისათვის რომ მივიღოთ მიმართებების მატრიცა რომელიც ასახავს თითოული პარამეტრის თითოეულთან მიმართებას, საჭიროა გამოვთვალოთ M მატრიცის ტრანზიტული ჩაკეტვა R^n R. მაგალითიდან გამომდინარე R^n R -ის შესაფასებლად გამოვიყენოთ ნამრავლის კომპოზიცია:

$$z) = \sup_{y \in X}(R(x,y) \times S(y,z)), \quad (x,z) \in X^2, \quad R, S \in \Im$$

მიღებული მატრიცის უმნიშვნელოვანესი შედეგი მდგომარეობს მის პირველ სტრიქონში. ის ასახავს პარამეტრების მნიშვნელოვნებას პირველ კოეფიციენტთან მიმართებაში. იმისათვის რომ ამ სტრიქონში შემავალ ელემენტებს მიენიჭოს წონების შინაარსი, საჭიროა თითოეული გაიყოს მათსავე ჯამზე. შედეგად მივიღეთ შემდეგი წონების ვექტორი:

მაგალითისთვის ჩვენ განვიხილეთ ორი სიტუაცია. „კარგი» მსესხებელი და „ცუდი» მსესხებელი.

ჩვენ გამოვკითხეთ ოთხი ექსპერტი და ვთხოვეთ თითოეულს შეეფასებინა ყოველი პარამეტრი კოეფიციენტით [0,10] ინტერვალში [6]. (0 ყველაზე ცუდ შემთხვევაში, 10 საუკეთესო შემთხვევაში).

ზემოთ აღნიშნული მეთოდის მიხედვით, მოხდა ექსპერტთა შეფასებების აგრეგირება ერთ მიკუთვნების ფუნქციაში, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:

	"კარგი" მსესხებელი															
	x1	x2	x3	x4	x5	x6	x7	x8	x9	x10	x11	x12	x13	x14	x15	x16
μ(x)	8.29	10	9.3	0.8	4.4	8.2	9	9	8	4.3	4.7	8.8	1.7	1.1	7	6.4

	"კარგი" მსესხებელი															
	x17	x18	x19	x20	x21	x22	x23	x24	x25	x26	x27	x28	x29	x30	x31	x32
μ(x)	3.7	7.2	0.7	8.7	4.8	10.0	7.9	9.0	7.0	5.0	4.4	7.3	4.0	3.7	5.5	6.7

და

	"ცუდი" მსესხებელი															
	x1	x2	x3	x4	x5	x6	x7	x8	x9	x10	x11	x12	x13	x14	x15	x16
μ(x)	1.4	1.6	2	1.6	6.2	1.8	9.2	7	7.4	3.6	1.1	5.2	0.8	1.3	8	2.6

	"ცუდი" მსესხებელი															
	x17	x18	x19	x20	x21	x22	x23	x24	x25	x26	x27	x28	x29	x30	x31	x32
μ(x)	4.1	8.4	4.6	4	9.8	9.8	8.2	6.9	4	4.8	4.6	7.7	8.1	8	4.8	6.6

საბოლოო ქულა გამოითვლება მიღებული მიკუთვნების ფუნქციისა და წონების ვექტორის შესაბამისი წევრების ნამრავლის ჯამით. „კარგი" მსესხებლის ქულა გამოვიდა 6,8 (68%), ხოლო „ცუდის" კი 3,4 (34%)

ამგვარად ჩვენ შევიმუშავეთ ერთგვარი ქულათა შეფასების სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მეტად რისკიანი და ნაკლებად რისკიანი მსესხებლები. ეს სისტემა, ნაცვლად სტატისტიკისა, იყენებს მხოლოდ მენეჯერების გამოცდილებასა და მათ ინტუიციას.

შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენს მენეჯმენტის მხრიდან რამდენიმე შემთხვევის განხილვა და იმ საზღვრებზე ჩამოყალიბება თუ რა ქულაზე მაღლის შემთხვევაში უნდა დაუმტკიცდეს მსესხებელს სესხი ავტომატურად და რა ქულაზე დაბლის შემთხვევაში

წონების ვექტორი:

x1	X2	x3	x4	x5	x6	x7	X8	x9	x10	x11	x12	x13	x14	x15	x16
15%	15%	15%	12%	9%	5%	5%	2%	2%	2%	1%	1%	1%	1%	1%	1%

x17	X18	x19	x20	x21	x22	x23	x24	x25	x26	x27	x28	x29	x30	x31	x32
1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%

უნდა მოხდეს მსესხებლის განაცხადის უარყოფა.

დასკვნა

ნაშრომში აღწერილია საკრედიტო რისკის შეფასების ახალი მიდგომა. შემოთავაზებული მოდელი და კონკრეტული მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ექსპერტთა ჯგუფური შეფასებიდან გამომდინარე უკეთესი წარმოდგენა შეგვექმნას ამა თუ იმ მსესხებლის რისკიანობაზე. შემუშავებულია ერთგვარი ქულათა სისტემა რომელიც უკეთებს კრედიტორებს სორტირებას რისკის მიხედვით. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული მიდგომა არ არის გადაწყვეტილების მიღების ერთადერთი გზა, იგი წარმოადგენს მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციას.

სამომავლო კვლევები შეიძლება გაგრძელდეს ფაზი აგრეგირების სხვა მეთოდების გამოყენებით და აგრეთვე საკრედიტო რისკების შეფასების კომპიუტერული სისტემის შექმნის გზით.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] T. Karol, «Fuzzy Logic in Financial Management,» Fuzzy Logic – Emerging Technologies and Applications, 2012.

[2] A. Saunders and M. M. Cornett, Financial Institutions Management: A Risk Management Approach, 2010..

[3] T. J. Ross, Fuzzy Logic with Engineering Applications, 2010.

[4] T. Tsabadze, The reduction of binary fuzzy relations and its applications, J. Information Sciences v. 178 (2008), 562–572.

[5] L.A. Zadeh, Fuzzy sets, Information and Control v. 8 (1965) 338–353.

[6] L.A. Zadeh, The concept of a linguistic variable and its application to approximate reasoning, Information Sciences v. 8, (1975) 199–249.

აქტივების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი კომერციულ ბანკებში

ალეკო ქუთათელაძე, პროფესორი
ზურაბ ჩხაიძე, დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კომერციულ ბანკებში აქტივების ხარისხის განმსაზღვრელი სხვადასხვა ფაქტორები. აქტივების ხარისხის გაუმჯობესებისა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ყველა საკრედიტო ორგანიზაცია ვალდებულია, შექმნას ოპერაციული რეზერვები სესხებსა და სავალუტო, საპროცენტო და ფინანსურ რისკებზე შესაძლო დანაკარგების ანაზღაურების მიზნით.

ნებისმიერი სახის რეზერვი ქმნის საბანკო საქმიანობის შედარებით სტაბილურ პირობებს და ამცირებს წარმოშობილი დანაკარგების ჩამოწერით გამოწვეულ მოგების რყევას.

აქტივების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების შეფასება პირველ რიგში საჭიროებს სესხების კლასიფიცირებას არა მხოლოდ ვადიანობის მიხედვით, არამედ სხვა ნიშნებითაც:დარგობრივი კუთვნილების მიხედვით; მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით; საკუთარი ვალის მომსახურეობის ხარისხის მიხედვით; კლიენტი-მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის მიხედვით; ვალუტის სახის, გაცემის ტიპისა და სხვ. მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: კომერციული ბანკი, აქტივები, პასივები, აქტივების ხარისხი, რეზერვი, მომსახურეობის ხარისხი, სასესხო აქტივები, სესხების მოცულობა, რისკი.

Analysis of the factors determining the quality of the commercial bank assets

Aleko Kutateladze, GTU Professor
Zurab Chkhaidze, GTU Doctoral Student

Summary

The article considers various factors determining the quality of assets of the commercial banks. Aiming at improving the assets quality and ensuring financial stability, all credit organizations are obliged to create operational reserves to compensate possible losses on loans and currency, interest and financial risks.

Any kind of reserve creates relatively stable conditions of business and reduces any fluctuations of profit caused by writing off the current losses.

The evaluation of the factors determining the quality of assets needs loan classification according to not only their term, but other properties as well, such as belonging to a particular branch, function, quality of serving one's own debt, financial state of a client-debtor; kind and type of the currency issue, etc.

Keywords: commercial bank, assets, liabilities, quality of assets, reserves, service quality, loan assets, size of loans, risk.

* * * * *

სასესხო აქტივები დარგობრივი კუთვნილების მიხედვით შეიძლება დავაჯგუფოდ შემდეგნაირად: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა და მეტყევეობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, მშენებლობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა და სხვ. ეს იძლევა საშუალებას:

- პირველი - საერთო დარგებიდან გამოიყოს ეკონომიკის საბაზისო დარგები, პრიორიტეტული დარგები, რომლებიც გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეროვნული პროექტებით ან პროგრამებით;
- მეორე - ეკონომიკის კონკრეტული დარგების მსესხებლებზე გაცემული სესხების აბსოლუტურული ნაზრდის მაჩვენებლები ნიშანია ბანკში იმ პრიორიტეტების არსებობისა, რომლებითაც განისაზღვრება სახსრების დაბანდების ეფექტური მიმართულებები. ეს მახასიათებლები დგინდება თითოეული დარგის მიხედვით ცალ-ცალკე იმ მიზნით, რომ მოხდეს მათი შედგენა და ზოგადად, ეკონომიკის დაკრედიტების სისტემის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების მიზეზების გამოვლენა

ცხრილი 1.-ში მოცემულია კომერციული ბანკების მიერ საანგარიშო პერიოდში რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების მოცულობა და საპროცენტო განაკვეთები საქმიანობის სახეების მიხედვით, საიდანაც ნათლად ჩანს თითოეული დარგისადმი კომერციული ბანკების ჩართულობა.

ცხრილი 2.-ში მოცემულია 2014 წლის პირველი იანვრიდან 2015 წლის პირველ იანვრამდე კომერციული ბანკების სასესხო და მისაღები პროცენტებით დავალიანების ბრუნვები.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბანკების მიერ ეკონომიკის ცალკეული სექტორების საწარმოების ჭარბად დაფინანსება მნიშვნელოვნად ზრდის რისკს და აუარესებს საკრედიტო პორტფელის ხარისხს საწარმოსთვის არასასურველი მოვლენების შემთხვევაში.

სასესხო აქტივების კლასიფიკაცია მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით იძლევა გაცემული აქტივების მიმართულებების განსაზღვრის საშუალებას, კერძოდ:

- საწარმოო კაპიტალის დაფინანსებისთვის;
- მოსახლეობის სამომხმარებლო მიზნებით;
- დროებითი საჭიროებებისთვის და სხვ.

ცხრილი 1. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები

	დეკემბერი, 2014	
	ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები	უცხოური ვალუტით გაცემული სესხები
	ათასი ლარი	
სულ	532907	650286
მათ შორის:		
სოფლის მეურნ. მეტყევ. თევზჭერა	12088	13000
მრეწველობა	93110	188233
მშენებლობა	48546	37883
ვაჭრობა	219309	262683
სასტუმროები და რესტორნები	3150	23292
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	7080	22429
ფინანსური შუამავლობა	98518	17646
ოპერაციები უძრავი ქონ. კომერც. საქმ.	13395	19739
სახელმწიფო მართვა. თავდაცვა	0	0
განათლება	1754	793
ჯანდაცვა და სოც. მომსახურება	16085	23442
მომსახურების სხვა სახეები	19871	41146
	საპროცენტო განაკვეთი, %	
სულ	10.3	9.9
მათ შორის:		
სოფლის მეურნ. მეტყევ. თევზჭერა	9.3	10.4
მრეწველობა	9.6	9.5
მშენებლობა	12.4	10.5
ვაჭრობა	11.5	9.9
სასტუმროები და რესტორნები	10.5	9.8
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	13.5	10.8
ფინანსური შუამავლობა	6.2	12.7
ოპერაციები უძრავი ქონ. კომერც. საქმ.	11.6	10.1
სახელმწიფო მართვა. თავდაცვა	0.0	0.0
განათლება	11.9	10.3
ჯანდაცვა და სოც. მომსახურება	11.1	9.2
მომსახურების სხვა სახეები	12.4	9.6

წყარო: კომერციული ბანკების სტატისტიკური ანგარიშები.

ცხრილი 2. კომერციული ბანკების სასესხო და მისაღები პროცენტებით დავალიანების ბრუნვები

	ნაშთი 2014 წლის პირველი იანვრისათვის	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 2015 წლის პირველი იანვრისათვის
	ათასი ლარი			
მოკლევადიანი სესხები	**2421563**	**9463283**	**8992156**	**2892689**
ეროვნული ვალუტით	1367543	6397272	6076292	1688522
უცხოური ვალუტით	1054020	3066011	2915864	1204167
ვადაგაც. მოკლევ. სესხები	**140357**	**619782**	**609561**	**150578**
ეროვნული ვალუტით	85630	364427	346209	103847
უცხოური ვალუტით	54727	255355	263351	46731
მისაღები პროცენტები	**30437**	**500732**	**497240**	**33929**
ეროვნული ვალუტით	16385	320749	318890	18243
უცხოური ვალუტით	14052	179983	178349	15686
გრძელვადიანი სესხები	**8070450**	**8038428**	**6287551**	**9821327**
ეროვნული ვალუტით	2464773	3329833	2537572	3257033
უცხოური ვალუტით	5605677	4708595	3749979	6564294
ვადაგაც. გრძელვ. სესხები	**100813**	**461710**	**461447**	**101076**
ეროვნული ვალუტით	21925	161473	155649	27750
უცხოური ვალუტით	78888	300236	305798	73326
მისაღები პროცენტები	**72118**	**1334108**	**1324971**	**81255**
ეროვნული ვალუტით	27248	493171	489076	31343
უცხოური ვალუტით	44870	840937	835894	49912
სხვა ბაკებზე გაცემული სესხები	**94226**	**970739**	**961080**	**103885**
ეროვნული ვალუტით	72204	961511	929841	103875
მათ შორის აუქციონ. გარეშე გაცემული სესხები	72204	961511	929841	103875
უცხოური ვალუტით	22022	9228	31240	10
ვადაგადაცილება სხვა ბანკებზე გაცემულ სესხებზე	0	0	0	0
ეროვნული ვალუტით	0	0	0	0
უცხოური ვალუტით	0	0	0	0
მისაღები პროცენტები	**772**	**10566**	**10610**	**728**
ეროვნული ვალუტით	269	9462	9002	728
უცხოური ვალუტით	504	1104	1608	**0**

წყარო: კომერციული ბანკების სტატისტიკური ანგარიშები.

ზემოთ მითითებული და სხვა ზოგიერთი მიმართულებების შემთხვევაში ყველაზე დიდი რისკები, როგორც წესი, უკავშირდება სესხებს, რომლებიც გაიცემა ძირითადი კაპიტალის შესაძენად ან მისი მოცულობის გასაზრდელად. სესხების გაცემა და მომსახურეობა სამომხმარებლო მიზნებით უკავშირდება მაღალ ხვედრით დანახარჯს მათზე, მაგრამ საკრედიტო ოპერაციის სწორი ორგანიზების შემთხვევაში და იმ შემთხვევაში, თუ მსხვილ ბანკებს დიდი რაოდენობით მოეპოვებათ მითითებული სესხები, იქმნება წარმოების მასშტაბის ეფექტი, რაც იძლევა საშუალებას აღნიშნული სესხები ჩაითვალოს მომგებიანად.

ყველაზე მაღალი რისკითა და ყველაზე დიდი ხვედრითი წილით ხასიათდება კრედიტები, რომლებიც გაიცემა საბრუნავი კაპიტალის შესავსებად.

ფინანსური მდგომარეობისა და მომსახურეობის ხარისხის მიხედვით, სასესხო აქტივები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყოფა: სტანდარტულ, არასტანდარტულ, საეჭვო, პრობლემურ და უიმედო აქტივებად.

ასეთი კლასიფიკაცია იმით არის საინტერესო, რომ ანალიზის პროცესში თითოეული ჯგუფის წილის განსაზღვრის გზით შესაძლებელია გამოვყოთ სესხები (მაგალითად, საეჭვო ან პრობლემური), რომელთა დაბრუნების შანსი ჯერ კიდევ არსებობს. ამას გარდა, თუ ბანკში იმ სესხების ხვედრითი წილი, რომლებიც მიეკუთვნება ხარისხის III-V ჯგუფებს, მაღალია, აღნიშნული მიუთითებს საკუთარი ვალის მომსახურეობის ცუდ (ან, სულაც დაბალ) ხარისხზე.

სასესხო აქტივების ხარისხის შესაფასებლად უნდა მოხდეს კლასიფიკაცია მათი უზრუნველყოფის ხარისხის მიხედვითაც და ამ მიზნით სასესხო დავალიანების საერთო მოცულობიდან ორი ჯგუფი უნდა გამოიყოს - უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხები. ანალიზის პროცესში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს უზრუნველყოფილი სესხები, რამდენადაც მათი მდგომარეობის მიხედვით შესაძლებელია დადგინდეს თავად უზრუნველყოფის პროცედურის ხარისხობრივი მდგომარეობა. თუ უზრუნველყოფის ობიექტებსა და პროცედურას საფუძვლად დავუდებთ ისეთ ხარისხობრივ ნიშნებს, როგორიცაა ლიკვიდობა და განუყოფელობა, საჭირო გახდება ორი ჯგუფის გამოყოფა:

1. პირველი კატეგორიის ხარისხის უზრუნველყოფა და
2. მეორე კატეგორიის ხარისხის უზრუნველყოფა.

პირველი კატეგორიის ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს კოტირებადი ფასიანი ქაღალდების, ცენტრალური ბანკის ობლიგაციების, ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდებისა და თამასუქების თავდებში ჩადებას, იურიდიული პირების ემიტენტების კოტირებადი ფასიანი ქაღალდების, ძვირფასი ლითონების სხმულებისა და სხვათა თავდებობას.

მეორე კატეგორიის ხარისხის უზრუნველყოფას მიეკუთვნება: მესამე იურიდიული პირების მიერ ემიტირებადი ფასიანი ქაღალდებისა და ღია ორგანიზებულ ბაზარზე ბრუნვაში დაშვებული ფასიანი ქაღალდების თავდებობა; მიწის ნაკვეთების, საწარმოების, შენობა-ნაგებობების, ბინებისა და სხვ. თავდებობა. არანაირი სხვა უზრუნველყოფა, რომელიც არ შედის არც ერთ ამ ჯგუფში, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ანგარიშში მხედველობაში არ მიიღება.

თუმცა, რეალური ვითარება, რომელშიც მიმდინარეობს საბანკო საქმიანობა, გაცილებით რთულია და ყოველთვის როდი ჯდება ხარისხის უზრუნველყოფის ზემოაღნიშნული ორი კატეგორიის ფარგლებში. ამიტომ არ არის აკრძალული სესხებზე ზარალის დაფარვის მიზნით უზრუნველყოფის სხვა ფორმების გამოყენებაც, მაგრამ რამდენადაც ისინი შეიძლება არასაკმარისად ლიკვიდური იყოს, ამიტომ უზრუნველყოფის ფუნქციას ისინი სრულად ვერ შეასრულებენ და ბანკის მიერ შექმნილი რეზერვების სიდიდეზეც გავლენას ვერ მოახდენენ.

ყველა ვარიანტში უნდა გავითვალისწინოთ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება - უზრუნველყოფის რეალური ღირებულება (რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას შესაძლო დანაკარგების კომპენსირების მიზნით) დამოკიდებულია დროზე, რომელიც გავიდა თავდების მიხედვით თანხის ამოღების საფუძვლის წარმოშობის მომენტიდან.

ამ ვადის გახანგრძლივების მიხედვით, მაგალითად, 90 დღიდან ნახევარ წლამდე და მეტი დროით, უზრუნველყოფის თანხა მცირდება სხადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით. ამის გათვალისწინებით ეროვნულმა ბანკმა დაადგინა:

- 180-დან 275 კალენდარულ დღემდე ვადის შემთხვევაში ხარისხის I და II კატეგორიების სესხების უზრუნველყოფის თანხა მიღებული იქნას შესაძლო დანაკარგების რეზერვების ანგარიშში მისი პირველდაწყებითი ღირებულების მხოლოდ 75%-ის ზომით;
- 365 დღეზე მეტი ვადის შემთხვევაში უზრუნველყოფა საერთოდ არ გაითვალისწინება მითითებული მიზნებით.

საერთო ჯამში, ყველა შესაძლო ვარიანტში ბანკებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ უზრუნველყოფა არსებობდეს მაქსიმალური რაოდენობის კრედიტებზე და უზრუნველყოფა იყოს ლიკვიდური, ანუ მიეკუთვნებოდეს ხარისხის პირველ ან მეორე კატეგორიას.

ამგვარად, სესხების კლასიფიკაცია წარმოადგენს ბაზას შემდგომი ანალიზისა და სესხებზე დანაკარგების, ე.წ. საანგარიშო რეზერვის შესაბამისი დონის დადგენის მიზნით. ამასთან, გამოიყენება რეზერვების ფორმირების სხვადასხვა საშუალებები ერთგვაროვანი სესხების პორტფელზე და ბანკის მიერ ყველა გაცემულ სესხზე.

ყოველ გაცემულ სესხზე რისკი უნდა შეფასდეს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ ამა თუ იმ სასესხო დავალიანების მიხედვით საკუთარი ვალის მომსახურეობის მდგომარეობის კომ-

პლექსური ანალიზის საფუძველზე.

ამ მიზნით შემოთავაზებულია სქემა, რომლის მაჩვენებლების თანახმად, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა ფასდება, როგორც: კარგი, საშუალო და ცუდი (ნახ. 2.). ეს სარეიტინგო მაჩვენებლები შემდეგ გამოიყენება სასესხო დავალიანების გადასანაწილებლად ხარისხის კატეგორიების მიხედვით და განსაზღვრულ ზღვრებში საანგარიშო რეზერვების დადგენის მიზნით (%-ში):

0 - ხარისხის პირველი კატეგორიის სტანდარტული სესხებისთვის;

1-20 - ხარისხის მეორე კატეგორიის არასტანდარტული და ხარისხის მესამე კატეგორიის საეჭვო სესხებისთვის;

21-50 - ხარისხის მესამე კატეგორიის საეჭვო სესხებისთვის;

51-99 - ხარისხის მეოთხე კატეგორიის პრობლემური სესხებისთვის;

100 - ხარისხის მეხუთე კატეგორიის უიმედო სესხებისთვის.



ნახ.2. მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და საანგარიშო რეზერვები სესხების კატეგორიების მიხედვით

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ.

II-IV კატეგორიებს მიკუთვნებული სესხების მიხედვით რეზერვი იქმნება უზრუნველყოფის ღირებულების გათვალისწინებით. მაშინ მინიმალური რეზერვი (R_{min}) ყოველ გაცემულ თანხაზე განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლების არსებობისას:

- საანგარიშო რეზერვის ზომა - R_r;
- უზრუნველყოფის ხარისხის კატეგორიის კოეფიციენტი - K_0;
- მოცემული ხარისხის კატეგორიის უზრუნველყოფის ღირებულება - S_i;
- ძირითადი სესხის თანხის სიდიდე - C_D.

მინიმალური რეზერვი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$R_{min} = R_r \times (1 - \frac{K_r \times S_i}{C_D})$$

მინიმალური რეზერვი - ეს არის რეზერვის ის მინიმალური ზომა, რომელიც უნდა შექმნას კომერციულმა ბანკმა. თუ შექმნილი რეზერვის მინიმალური ზომა შეზღუდულია მისი მნიშვნელობით, რომელიც მიიღება მითითებული ფორმულით, მაშინ მისი მაქსიმალური სიდიდე დამოკიდებულია თავდების საგნის შეფასებულ მდგომარეობასა და რეალიზაციის პერსპექტივაზე.

ერთგვაროვანი სესხების პორტფელის რეზერვების სიდიდე ბანკმა შეიძლება დაადგინოს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის სხვადასხვა მეთოდებით, კერძოდ:

- რისკისა და ზოგადად პორტფელზე სესხების რეპრეზენტატიული (წარმომადგენლობითი) შერჩევის რეზერვის შესაქმნელად საჭირო სიდიდის შეფასების ექსტრაპოლაციის მეთოდით;
- ერთგვაროვანი სესხების პორტფელში შემავალი უიმედო სესხებისა და სესხებზე საპროცენტო განაკვეთის დაგეგმვისას მიღებული სესხების ხვედრითი წონების (წილების) თანაფარდობით;
- მსესხებლებისა და მათი საქმიანობის არსებული ეკონომიკური პირობების მახასიათებელი სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ის ფაქტი, რომ კრედიტების დაბრუნებადობის უზრუნველყოფის დროს არ არსებობს გამართული სამართლებრივი ბაზა, იწვევს სასესხო დავალიანების გადავადებას, რაც მოწმობს, რომ მიღებულ სესხებზე ვალის დაბრუნების არსებული მეთოდები ნაკლებ ეფექტიანია. ამიტომ მრავალი საკრედიტო ორგანიზაცია ერთგვაროვანი სესხების პორტფელების მიხედვით თავად ამუშავებს საკრედიტო რისკის შეფასების შკალას. შეფასების ასეთი შკალა როგორც წესი, იქმნება ბანკში არსებულ შემდეგი სახის ინფორმაციაზე დაყრდნობით:

- მიმდინარე ან რესტრუქტურიზებული სესხების წილების შესახებ;
- თავის დროზე გამოყენებული გადავადებული სესხების ან ვალების ზომის შესახებ, რომლებიც ბანკის მიერ აღიარებულია, როგორც ამოსაღებად არარეალური.

ერთგვაროვანი სესხების პორტფელის შეფასების შკალა შეიძლება შეიქმნას მთლიან პორტფელზე ფაქტობრივი ზარალის მაჩვენებლების ხვედრითი წილის ანალიზის საფუძველზეც.

ყოველ კონკრეტულ ბანკში სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვების მოცულობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საერთო საგადასახადო პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოთხოვნები.

პრაქტიკაში წამგებიან აქტივებთან დაკავშირებით

არსებობს მოქმედების რამდენიმე მეთოდი. მათგან ყველაზე მისაღებია:

1. წამგებიანი აქტივები ბანკის ბალანსზე რჩება მანამ, სანამ არ ამოიწურება მათი დაბრუნების ყველა საშუალება;

2. წამგებიანი აქტივები სასწრაფოდ ჩამოიწერება ბანკის ბალანსიდან ბანკის მიერ მანამდე შექმნილი რეზერვების ხარჯზე.

პირველ შემთხვევაში საჭიროა საკმაოდ დიდი მოცულობისა და მაღალი ფარდობითი მაჩვენებლის მქონე რეზერვები, ხოლო მეორე შემთხვევაში - წამგებიანი აქტივების ჩამოწერა ხდება მაშინაც კი, თუ ჯერ კიდევ არსებობს მათი ნაწილობრივ დაბრუნების ალბათობა.

წამგებიანი აქტივების სასწრაფო წესით ჩამოწერის შემთხვევაში საკრედიტო პორტფელში რეზერვების მაჩვენებელი მკვეთრად მცირდება. ამიტომ პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება შუალედური ვარიანტი, როდესაც ისეთი სესხების ჩამოწერა, რომელთა დაბრუნებაც არარეალურია, ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დოკუმენტების საფუძველზე განხორციელდა სესხის ამოღების ყველა შესაძლო ზომა, რომლებიც ადასტურებს, რომ მსესხებელს არ გამოუყენებია გარემოებები მის კრედიტორებთან არანაკლებ ერთი წლის მანძილზე, სანამ ბანკი გადაწყვეტდა უიმედო სასესხო დავალიანების ჩამოწერას.

მიუხედავად იმისა, თუ ზემოთ აღნიშნულიდან რომელ ვარიანტს იყენებს ბანკი აქტივების ჩამოწერისას, სესხებზე შესაძლო დანაკარგებზე რეზერვების სიდიდე უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია სესხების მართვის ხარისხთან. ამ შემთხვევაში მოქმედებს ჩვეულებრივი კანონზომიერება - რაც ნაკლებია რეზერვების წილი სასესხო დავალიანებაში, მით მეტია სასესხო აქტივების ხარისხი და პირიქით, რაც მეტია რეზერვების წილი სასესხო დავალიანებაში, მით დაბალია სესხების ხარისხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი ვლ. , ცაავა გ. – კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი - თეორია, მეთოდები და პრაქტიკა. თბილისი გამომცემლობა ,,დანი" .2014, - 500 გვ.
2. ბურდიაშვილი რ. – ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში. – თბილისი, გამომცემლობა ,,პოლიგრაფისტი", 2013.
3. ხანთაძე გ. ცაავა გ. – საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო). თბილისი გამომცემლობა ,,დანი", 2012, 400 გვ.
4. Щегорцев В Л., Таран В.А. Деньги, кредит, банки: учебник для вузов/ под ред. проф. В.А Щегорцева. - М-ЮНИТИ-ДАНЛ,2005 -223с.

კომერციული ბანკების საოპერაციო რისკების თავისებურებები

გური ჭანუყვაძე, დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კომერციული ბანკების საოპერაციო რისკები, ჩამოყალიბებულია ბანკის სისტემაში საოპერაციო რისკების გამომწვევი ფაქტორები და მათი ძირითადი განმაპირობებელი საკითხები.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური კრიზისი, საბანკო შისტემა, საბანკო რისკები, საოპერაციო რისკი.

Summary

Operational risk is the main sort of risk, which implies the probability, that losses will be caused by internal (inadequate internal processes or processes with mistakes, information systems of management, human factors) or external reasons. Definition of operational risk also includes legal risk, the probability that fines imposed by State, Regulatory or Juridical authorities will cause losses.

Commercial bank must study and analyze all factors, which cause risks to its information systems, business processes and operational risks of products.

Keywords: Financial Crisis, Banking System, Banking Risk, Operational Risk.

* * * * *

მსოფლიო ფინანსური კრიზისი განსაკუთრებით შეეხო საბანკო სექტორს. აღნიშნულმა კრიზისმა განსაკუთრებით წარმოაჩინა ის, რომ ქართული საბანკო სექტორი გარემო ფაქტორებისადმი სრულად არ იყო მობილიზებული.

ფინანსური კრიზისის შემდგომი პერიოდიდან საბანკო რისკების მართვა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა.

საოპერაციო რისკი არის რისკის შემთხვევის შედეგად ბანკის მატერიალური და/ან ფინანსური ზარალი, რომელიც ასახულია ფინანსური შედეგის ანგარიშზე (ფაქტობრივი დანაკარგი) და/ან მოსალოდნელია მომავალში (პოტენციური დანაკარგი), ასევე მიუღებელი შემოსავალი რომელთაც ბანკი მიიღებდა თავისი საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში რომ არ დამდგარიყო რისკის ესათუის შემთხვევა.

თავის მხრივ ფინანსური დანაკარგი შეადგენს ბანკის ვალდებულებათა და ხარჯების მოცულობის ზრდას, ასევე საბუღალტრო (საბალანსო/ბალანსგარეშე) აქტივების ღირებულების შემცირების, შემოსავლების შემცირების და/ან კონტრაგენტთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ დანაკარგებს.

უფრო ფართო გაგებით საოპერაციო რისკი არის ზარალის რისკი, რომელიც გამოწვეულია ბანკის საქმიანობის ხასიათისა და მასშტაბების და/ან საბანკო ოპერაციების და სხვა გარიგებების განხორციელების პროცედურებისა და შიდა წესების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობით, ბანკის თანამშრომლების და/ან სხვა პირთა მიერ (არაწინასწარ განზრახული, განზრახული) ქმედებით ან უმოქმედობით, ბანკის მიერ გამოყენებული საინფორმაციო, ტექნოლოგიური და სხვა სისტემების ფუნქციური შესაძლებლობის შეუსაბამობით (არასაკმარისობით) და/ან ფუნქციონალის დარღვევით, აგრეთვე იმ გარე მოვლენების მოქმედების შედეგად, რომელიც არ მიეკუთვნება საკრედიტო და საბაზრო რისკებს.

საოპერაციო რისკების გამომწვევ ძირითად ფაქტორებად შეგვიძლია მოვიაზროთ შემდეგი ფაქტორები:

საოპერაციო რისკის ფაქტორი	საოპერაციო რისკის ფაქტორის აღწერა
პერსონალი	ბანკის პერსონალის ქმედებები, რომლებიც მიმართულია ბანკის ინტერესების წინააღმდეგ.
მესამე პირები	ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებები რომლებიც მიმართულია ბანკის ინტერესების წინაღმდეგ.
სისტემები	ბანკის შიდა სისტემებისა და ტექნიკის გაუმართავი ფუნქციონირება, მათი არასრულყოფილების და შეცდომების გამო.
ბიზნეს პროცესები	• ბანკში არსებული ბიზნეს პროცესების ბანკის საქმიანობის ხასიათსა და მასშტაბებთან და/ან საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეუსაბამობა; • ბანკის ქვედანაყოფებსა და თანამშრომლებს შორის ვალდებულებების გადანაწილების შეუსაბამობა; • ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის, ბანკის ოპერაციების და სხვა გარიგებების წარმოების წესების დოკუმენტალურად აღურიცხაობა; • ბანკის თანამშრომლების მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების დაუცველობა, შიდა კონტროლის არაეფექტურობა.
გარე ფაქტორები	არახელსაყრელი გარე გარემოებები, რომლებიც არ ექვემდებარებიან ბანკის კონტროლს და არ განეკუთვნებია საკრედიტო და საბაზრო რისკებს, მათ შორის სტიქიური შემთხვევები, მაკროეკონომიკური სიტუაციის ცვლილებები.

საოპერაციო რისკის შემთხვევები მათი განმაპირობებელი საოპერაციო რისკის ფაქტორების

მიხედვით იყოფა კატეგორიებად, ეს კატეგორიებია :

საოპერაციო რისკის კატეგორია	საოპერაციო რისკის კატეგორიის აღწერა
შიდა თაღლითობა	კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები, მიმართული ბანკის ქონებრივი ინტერესების წინააღმდეგ, რომელიც ბანკის თანამშრომლების მიერ ან მათი უშუალო მონაწილეობით ხორციელდება.
გარე თაღლითობა	არასამართლებრივი ქმედებები, რომელიც მიმართული ბანკის ქონებრივი ინტერესების წინააღმდეგ და ხორციელდება გარე (მესამე) პირების მიერ.
შრომითი ურთიერთობებიდა სამუშაო ადგილის უსაფრთხოება	ბანკის ან მისი თანამშრომლების მიერ შრომითი კანონმდებლობის, სამუშაო ადგილების უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, დავები შრომითი კანონმდებლობის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე, შრომითი კონფლიქტები.
კანონმდებლობის, კლიენტებთან ურთიერთობებისა და პროფესიული ვალდებულებების დარღვევა	ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული კლიენტების, კონტრაგენტების და/ან მესამე პირთა მიმართ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არასათანადოდ შესრულებისთვის, საერთაშორისო საბანკო და სავაჭრო ბიზნეს პრაქტიკის წესების დარღვევისათვის (მათ შორის კონფიდენციალური ინფორმაციის არასათანადოდ გამოყენება, მომსახურების თავსმოხვევა და სხვა), აგრეთვე ბანკის მიერ კლიენტებისა და კონტრაგენტებისათვის მიყენებული ზიანის დასარეგულირებლად განხორციელებული გადახდები.
მატერიალური აქტივები	ძირითად საშუალებათა ან სხვა მატერიალური აქტივების დაზიანება ან დაკარგვა სტიქიური ან შემთხვევითი მოვლენების შედეგად.
საქმიანობისა და სისტემების ფუნქციონირების დარღვევა	ბანკის მიერ ოპერაციების განხორციელებისა და მათი ნორმალურად ფუნქციონირების შეფერხება, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, შეფერხების გამო (მათ შორის ავტომატიზირებული საბანკო სისტემის, კავშირგაბმულობის სისტემის, აღჭურვილობის დაზიანების გამო).
საქმიანობის ორგანიზების და ოპერაციის შესრულების შეცდომები	ბანკის საქმიანობის არასათანადო ორგანიზება, შეცდომები მართვასა და შესრულებასთან დაკავშირებით (მათ შორის შიდა პროცესებისა და პროცედურების არაადექვატური ორგანიზება, არასრულყოფილი დაცვის სისტემების არსებობა, ბანკის შიდა საინფორმაციო ნაკადის არასწორი ორგანიზება, დოკუმენტების დაკარგვა და ა.შ.)

დასკვნა

საოპერაციო რისკი ის ძირითადი რისკის სახეობაა, რომელიც გულისხმობს იმ ალბათობას, რომ დანაკარგებს გამოიწვევს ან შინაგანი (არაადექვატური ან შეცდომითი შიდა პროცესები, მართვის საინფორმაციო სისტემები, ადამიანური ფაქტორი) ან გარეგანი მიზეზები. საოპერაციო რისკის განსაზღვრება ასევე მოიცავს სამართლებრივ რისკს, ანუ იმის ალბათობას, რომ სახელმწიფოს საზედამხედველო ან სხვა უფლებამოსილი უწყებების მიერ ჯარიმის დაკისრება გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგებს.

კომერციულმა ბანკმა უნდა შეისწავლოს და გაანალიზოს ყველა ფაქტორები, რომელიც იწვევენ მათი საინფორმაციო სისტემების, ბიზნეს პროცესების და პროდუქტების საოპერაციო რისკებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე — თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბილისი 2014 წ.
2. გ.ცაავა, გ.ხანთაძე — "საბანკო საქმე" (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო — თბილისი 2014 წ.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის დებულება "კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ"
4. საქართველოს ეროვნული ბანკის დებულება "კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე"
4. Лобанова А. А., Чугунова А. В. – "Энциклопедия Финансового риск менеджмента" – Москва 2007 г;

საბანკო საქმიანობის ინოვაციური ინსტრუმენტების სრულყოფის საკითხები

ირაკლი ლაშხი, *დოქტორანტი*

რეზიუმე

ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ საბანკო ბიზნესში არსებული ინოვაციური პროცესების მართვის სრულყოფის ყველაზე ეფექტური გზაა საბანკო რისკების შემცირება, ბანკის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას (Busines Unit Managament), მართვა ბიზნეს-ერთეულების მეშვეობით. ყოველი ბანკი მოწოდებულია შექმნას თავისთან კომპლაენს-კონტროლი, რაც დაესმარება დაადგინოს კონტროლის საყრდენი წერტილები, შეიმუშავოს მისი გატარების მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: ახალი ტექნოლოგია, ინოვაციური ინსტრუმენტები, ლოკალური ბალანსი.

Improvement issues of banking innovative instruments

Summary

1. Studies have shown that the most effective way of innovative processes to improve management in banking business is to decrease banking risks through Business Unit Management, to implement a compliance-control and a continuous monitoring of the bank's current and prospective liquidity in order to take emergency measures in case of need as well as the permanent market value of the bank rate.

2. To get more information about the bank's activities it is recommended to use business unit management, which will help bank's leaders to get objective information about the profitability of each unit, client and product in real time and dictate government decisions itself.

3. Each bank is committed to create its compliance-control, which may help it to establish control of the points of support and to develop its methods of implementation. Also the liability for failure to observe rules is of prime importance in this case. To do this it is necessary to develop internal guidelines and maximum cooperation of managers.

Keywords: New technology, Innovative tools, Local balance

* * * * *

ახალი ტექნოლოგიის დანერგვის მიზანია, გააუმჯობესოს საბანკო ბიზნესი და გაზარდოს მისი ღირებულება. საბანკო ბიზნესის ეფექტურობის ამაღლება ხდება საბანკო პროდუქტების დაბალი თვითღირებულების კონკურენტუნარიანი უპირატესობისა და ასევე, განვითარებული კონკურენტუნარიანი პროდუქტთა მთელი რიგის ხარჯზე. კონკურენტუნარიანი უპირატესობა მიიღება ორგანიზაციაში სრული ხარჯთაღრიცხვის დანერგვისა და მოტივაციის ეფექტური სისტემის შექმნის საშუალებით, რომლითაც ერთმანეთს თანხვდება თანამშრომელთა პირადი და ბანკის მესაკუთრის ინტერესები. დეტალურად მიმოვიხილოთ ბიზნეს-ერთეულთა მეშვეობით მართვის ტექნოლოგია. როგორც ცნობილია, საბაზრო განვითარების სტიმულია კონკურენცია. თუ გადავიტანთ კონკურენციას ორგანიზაციის შიგნით, ჩვენ შევძლებთ განყოფილებათა განვითარების სტიმულირებას (როგორც კორპორაციის შიდა ბაზრის სუბიექტებისა). ეს იდეა წარმოადგენს განსახილველი ტექნოლოგიის საფუძველს, რომელიც გულისხმობს ბანკის სისტემაში საბაზრო ურთიერთობების შემოტანასა და მის საფუძველზე კონკურენტული ბიზნეს გარემოს განვითარებას.

შიდა კონკურენცია უბიძგებს ქვეგანყოფილებებს, აამაღლონ საკუთარი რენტაბელობა და სრულყონ ორგანიზაციის პროდუქტები, რასაც, საბოლოო ჯამში, მივყავართ ზოგადად ბანკის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისაკენ. პროექტის რეალიზაციის ფარგლებში ტარდება შემდეგი სამუშაოები:

- საორგანიზაციო სტრუქტურის ბაზაზე ყალიბდება საფინანსო სტრუქტურა, რომელიც ითვალისწინებს ბანკის შიგნით ფინანსური აღრიცხვის ცენტრების (ფაც) შექმნას, რომლის ფარგლებშიც რეალური დროის რეჟიმში ყალიბდება ლოკალური ბალანსები, რომლებიც ითვალისწინებენ ფაც-ის მოგება-წაგებას.
- მუშავდება ნორმატიული ბაზა, რომელიც ნერგავს განყოფილებებს შორის საბაზრო ურთიერთობეს, იგი ითვალისწინებს მომსახურების გაყიდვას ბანკის შიგნით; გვარდება მომსახურებათა შეფასების მექანიზმები;
- ინერგება ფინანსური რესურსების განაწილების სააუქციონო პრინციპი;
- პროფიტ-ცენტრებისთვის შემოდის კონკურენტული სისტემა ფინანსურ რესურსებზე, რაც აუმჯობესებს ბანკის კერძო კაპიტალის გამოყენების რენტაბელობას;
- ტარიფიცირებული ძვირადღირებული ცენტრებისთვის შემოდის კონკურენციის სისტემა

საგარეო ალტერნატიულ წყაროსთან მომსახურებისა, რაც იწვევს ამ ცენტრების მიერ დანახარჯების შემცირების სტიმულირებას, ეს კი თავის მხრივ ამცირებს პროდუქტის თვითღირებულებას.

- იქმნება მოტივაციის ობიექტური სისტემა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ბანკის ყველა ქვეგანყოფილებას, მიიღოს შეუზღუდავი ბონუსი (ნაწილი მიღებული მოგებისა ან დანაზოგისა), რაც ზრდის ბანკის თანამშრომელთა მუშაობის ეფექტიანობას და იზიდავს ახალ კრეატიულ სპეციალისტებს.

Business Unit Management ტექნოლოგიის დანერგვა შესაძლებლობას მისცემს ბანკს:

- შეამციროს საერთო საბანკო ხარჯები 10-40%-ით;
- შემოიტანოს ბანკში სრული ხარჯთაღრიცხვა;
- გადაანაწილოს საერთო საბანკო რისკები ქვეგანყოფილებებზე;
- შექმნას ნორმატიული ბაზა თვითგანვითარებადი ბიზნეს-გარემოს ფორმირებისთვის;
- დანერგოს ფინანსური დიაგნოსტიკისა და პროდუქტთა რენტაბელობის, ასევე ქვეგანყოფილებათა და კლიენტთა ოპერატიული მონიტორინგი;
- ჩამოაყალიბოს შრომის მოტივაციის ეფექტური სისტემა;
- მოაწესრიგოს რეგულარული მექანიზმი ახალი პროდუქტების შექმნისა და უკვე არსებულის სრულყოფისა;
- შექმნას ნიადაგი პერსონალის შემოქმედებითი და რაციონალიზატორული პოტენციალის რეალიზებისათვის;
- მიიზიდოს სხვა ბანკების თანამშრომლები თავიანთი კლიენტთა ბაზებითა და ბიზნესებით;
- გაზარდოს ბანკის კონკურენტუნარიანობა და საინვესტიციო მიმზიდველობა.

Business Unit Management სისტემა შესაძლებლობას აძლევს ბანკის ხელმძღვანელობას, მიიღონ ობიექტური ინფორმაცია ყოველი ქვეგანყოფილების რენტაბელობის, პროდუქტისა და კლიენტის შესახებ რეალური დროის რეჟიმში და უშუალოდ ჰკარნახობს მმართველობით გადაწყვეტილებებს. პროცედურული სტანდარტიზაცია შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად გაიაფდეს და შემცირდეს Business Unit Management ტექნოლოგიის დანერგვის ვადები. საშუალოდ დანერგვა ხდება 3-12 თვის მანძილზე.

აღნიშნული ტექნოლოგიის დანერგვის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი პრაქტიკაში გამოიცადა და კორექტირებულ იქნა რეალური გამოყენების საფუძველზე.ის გამოიწვევს



ცხრილი№1. ხაზობრივ-ფუნქციური და დივიზიონალური მართვის სისტემები.

კონკურენციის ზრდას. ღირსეული კონკურენციის გაწევაში არარეზიდენტულ ბანკებს დაეხმარება მმართველობითი ტექნოლოგიების ათვისებაში, რომლებიც საშუალებას იძლევიან ბანკების მაქსიმალურ ოპტიმიზებას. სწორედ ასეთთა შორისაა Business Unit Management ტექნოლოგია.

Business Unit Management სისტემის ფარგლებში ხდება ბანკის დივიზიონალიზაცია, რაც გულისხმობს ორგანიზაციის დაყოფას დამოუკიდებელ ბიზნეს-ერთეულებად - ფინანსური აღრიცხვის ცენტრებად (ფაც), რომლებსაც ნაწილობრივ ან სრულად გადაეცემა მმართველობითი ფუნქციები ერთ-ერთი განყოფილებისა და რომლის ფარგლებშიც ყალიბდება ლოკალური ბალანსები (იხ. ცხრილი 1). მოცემული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა საერთოსაბანკო რისკების დივერსიფიცირებისა და მათს გადანაწილებას საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში.

Business Unit Management ტექნოლოგიის დანერგვა ეფუძნება ბიუჯეტირების დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმარებას, აღრიცხვას, კონტროლს, შემოსავლებისა და დანახარჯების ანალიზს მმართველობითი ობიექტების ჭრილში მათი რენტაბელობის ზრდის მიზნით. მსგავსი სიახლეების დანერგვისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მიდგომები: პირველი - ფინანსური სტრუქტურიზაცია; მეორე - ბიზნეს-პროცესების ნორმირება; მეორე მიდგომა უფრო რაციონალური ჩანს. იგი ეყრდნობა ბიზნეს-პროცესების მოდელირებას.

საბანკო პროფიტ-ცენტრის ფინანსური შედეგის აღსარიცხად გამოყოფენ დანახარჯების შემდეგ სახეობებს:

- უშუალო შიდა;
- უშუალო საგარეო;
- ირიბი შიდა;
- ირიბი საგარეო;
- ზედნადები (საერთოსაბანკო);

უშუალო შიდა დანახარჯების ინიცირება ხდება პროფიტ-ცენტრის ხელმძღვანელის მიერ, ამტკიცებს ბანკის მმართველობა და ფიქსირდება პროფიტ-ცენტრის ბიუჯეტში. მასში, როგორც წესი, ჩართულია:

- პროფიტ-ცენტრის თანამშრომლის ხელფასი;
- გახარჯვადი ცენტრების თანამშრომელთა ხელფასები, რომლებიც ფინანსდებიან აღნიშნული პროფიტ-ცენტრიდან (მაგალითად, ბუღალტერის ხელფასი, რომელიც აწარმოებს ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას, ეხება საფონდო ბაზარზე მომუშავე პროფიტ-ცენტრს);
- შიდა რესურსების ღირებულება;
- იჯარის თანხა (სხვაობა რეალურ საიჯარო გადასახადსა ან შენობის დაქირავების ხარჯებისა და შიდა საარენდო ფასს შორის შეადგენს ფაც-ის მოგებას „კაპიტალი”);
- სხვა პროფიტ-ცენტრების მომსახურების გადასახადი (ფასზე თანხმდებიან პროფიტ-ცენტრების ხელმძღფვანელები გარე ალტერნატივის არსებობის პირობით);

პირდაპირი გარე ხარჯები გულისხმობს:

- პროფიტ-ცენტრის მიერ შეძენილი მოწყობილობებისა და მასალის ღირებულება;
- გარე მომსახურებათა გადახდა;
- გარე რესურსების ღირებულება;
- აგენტების წახალისება ა. შ.

ირიბი შიდა ხარჯები განისაზღვრება ბანკის მმართველების მიერ. პროფიტ-ცენტრების ხელმძღვანელებს შეაქვთ საკუთარი რეკომენდაციები და გააჩნიათ სათათბირო უფლება. აღნიშნული სახეობა დანახარჯებისა ნაწილდება პროფიტ-ცენტრებს შორის მათი საერთოკვარტალური პირდაპირი ხარჯების პროპორციულად. მუდმივი ხარჯების თანხები ჩართულია პროფიტ-ცენტრის ბიუჯეტში, ერთდროული დანახარჯების თანხებს ითვალისწინებენ კვარტლის ბოლოს ფინანსური შედეგების მიხედვით.

შიდა ირიბ ხარჯებს, როგორ წესი, განეკუთვნება:

- დანახარჯების ცენტრის ბიუჯეტი, რომლებიც არაა მიბმული რომელიმე გარკვეულ პროფიტ-ცენტრზე (იურიდიული განყოფილება, ბუღალტერია და ა.შ.);
- ვენჩურული ცენტრების ბუღალტერია, რომლებსაც ხსნიან ბანკის მმართველობის გადაწყვეტილებით.

საგარეო ირიბი ხარჯები განისაზღვრება და ნაწილდება ისევე, როგორც შიდა ხარჯები და მათ,როგორც წესი, განეკუთვნება:

- ბანკის სარეკლამო კამპანიის გადახდა;
- სამშენებლო კონტრაქტორების ხელფასები;
- სემინარების, პრეზენტაციების, ღონისძიებების დაფინანსება და ა.შ.

ზედნადები დანახარჯები განისაზღვრება ბანკის მმართველობის მიერ პროფიტ-ცენტრების ხელმძღვანელებთან ერთად და ფოკუსირდება დებულებაში პროფიტ-ცენტრის შესახებ როგორც აბსოლუტური თანხა. ირიბი ხარჯებისაგან განსხვავებით, პროფიტ-ცენტრების ხელმძღვანელებისათვის ზედნადები ხარჯები დეტალურად არ განიხილება.კვარტლის ბოლოს დგინდება რეალურად დახარჯული ზედნადები თანხები, რის საფუძველზეც პროფიტ-ცენტრების ზედნადები ხარჯები შეიძლება შეამცირონ რეალურად დაზოგილი თანხის შესაბამისად, რომელსაც ანაწილებენ უშუალო დანახარჯების პროპორციულად. როგორ წესი, ზედნადებ ხარჯებს განეკუთვნება:

- ბანკის უსაფრთხოებისთვის გაწეული ხარჯები;
- ბანკის უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელთა ხელფასი;
- საგარეო კონსულტანტების ხელფასები და ა.შ.

პროფიტ-ცენტრის ფინანსური შედეგების განგარიშების მიზნით, გამოყოფენ შემოსავლების შემდეგ ტიპებს:

- შიდა შემოსავლები;
- საგარეო შემოსავლები;

შიდა შემოსავლებში შედის:

- ბანკის სხვა პროფიტ-ცენტრისთვის გაწეული მომსახურების საფასური (cross-selling); აღნიშნული სამსახურის ღირებულება განისაზღვრება პროფიტ-ცენტრების ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკების გზით გარე კონტრაგენტების არსებობის პირობებში.
- ცენტრალური ხაზინისთვის გაყიდული რესურსების ღირებულება;

საგარეო შემოსავლებში იგულისხმება:

- ბანკის კლიენტებისთვის გაწეული მომსახურების ანაზღაურება საკომისიო საზღაურის სახით;
- ბანკის კლიენტებისთვის გაყიდული რესურსების ღირებულება;

პროფიტ-ცენტრის ფინანსური შედეგი (ნეტო-შემოსავალი) განისაზღვრება ყოველ კვარტალში როგორც სხვაობა ამ კვარტალში შემოსულ შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის.მთელი კვარტლის განმავლობაში შემოსავლები და დანახარჯები, რომელიც მიიღო განყოფილებამ, შედის მის საფინანსო პოზიციაში. პროფიტ-ცენტრის ფულადი პოზიციის დეფიციტი იფარება ფაც-ის ფულადი პოზიცია „კაპიტალის" მიერ საფასურის საფუძველზე. პროფიტ-ცენტრის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ხდება ნეტო-შემოსავლების პროცენტების სახით.

კვარტლის ბოლოს პროფიტ-ცენტრის ფულადი პოზიცია ანულირდება. დადებით სხვაობას რიცხავენ ფულადი პოზიციის „კაპიტალის" სასარგებლოდ ან „კაპიტალიდან" უარყოფითი სხვაობის გადასაფარად.

განსაკუთრებული მნიშვნელობის განყოფილებაა ნებისმიერი ბანკისთვის ხაზინა.მისი ძირითადი ფუნქციებია:

- ბანკის საერთო ლიკვიდურობის მხარდაჭერა;
- რესურსების შიდასაბანკო გადანაწილება;
- შიდა საბანკო (ტრანსფერტული) ღირებულების გადანაწილება.

ხაზინის ბაზაზე ფუნქიონირებს ფულადი რესურსების შიდა აუქციონი. თანხები პირველ რიგში გადაეცემათ განყოფილებებს, რომლებმაც შესთავაზეს მაქსიმალური ფასი. ამ სისტემით ხდება ბუნებრივი გადარჩევის სტიმულირება, რომლის დროსაც გადარჩება უძლიერესი. წამგებიანი ქვეგანყოფილება კარგავს ეკონომიკურ ეფექტურობას და იშლება. ევოლუციური შერჩევის გზით ბანკში მხოლოდ უძლიერესები რჩებიან, რომლებიც აგრძელებენ ბრძოლას გადარჩენისთვის. შიდა კონკურენცია უბიძგებს ქვეგანყოფილებებს, დანერგონ ინოვაციები, ეძებონ ახალი ტექნოლოგიები, რაც, საბოლოო ჯამში, აუმჯობესებს ბანკის ზოგად კონურენტუნარიანობას ბაზარზე. მაგალითად, რომელიმე პროფიტ-ცენტრმა ვერ შეძლო შიდა აუქციონზე კონკურენტუნარიანი ფასის შეთავაზება და რესურსები მას არ ერგო.ვინაიდან ხარჯები ყოველდღიურად ერიცხებათ ქვეგანყოფილებებს, ხოლო მოგება ჯერ კიდევ გამოსამუშავებელი აქვს, ამ დღეს ცენტრის ბალანსი იხურება წაგებით. მსგავსი სიტუაციის განმეორების პერსპექტივა ემუქრება რენტაბელობის დაკარგვით და საანგარიშო პერიოდში გავიდეს წითელი ბალანსით (სალდოთი). ხელმძღვანელი იძულებულია, სასწრაფოდ ეძებოს რენტაბელობის გზები. უარყოფითი ტენდენციის შეცვლა მას შეუძლია:

- დანახარჯების ეკონომიით;
- პროფიტ-ცენტრში ძლიერი კადრების მოზიდვით, რომელთაც ძალუძთ ახალი კლიენტების მოყვანა ან ახალი ბიზნესის დაწყება (ლიცენზიის ფარგლებში).
- ახალი პროდუქტების შექმნითა და მათი ბაზარზე გატანით;

ბაზარზე ახალი პროდუქტის გატანა ერთ-ერთი უძლიერესი სვლაა შიდა კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად, რადგან ახალი პროდუქტის გატანა გულისხმობს ერთდროულად მოხმარების ახალი ბაზრის გაჩენასა და, ამავე დროს, პირველშემომტანის მონოპოლიურ მდგომარეობას. მონოპოლიური მდგომარეობა შესაძლებლობას იძლევა, მაქსიმალურად მაღალი ფასის დაწესებას საკუთარ პროდუქტზე. თავის მხრივ, ბაზარზე პროდუქტის მაღალ ფასად გაყიდვა უფლებას აძლევს უმაღლესი ფასი შესთავაზოს შიდა აუქციონზე, რაც გარანტირებულს ხდის საჭირო რესურსების მოპოვებას. ამგვარად, რესურსების განაწილების სააუქციონო პრინციპი ხელს უწყობს ინოვაციური საქმიანობის განვითარებასა და ბანკის ინტენსიურ განვითარებას. ხაზინა იქმნება ასევე ცალკე სტრუქუტრლ ერთეულად, პროფიტ-ცენტრად.

ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციებში დაფიქსირებული ამგვარი კონტროლის შემდეგი ელემენტები:

- მართვის კონტროლი და კონტროლის კულტურა;
- რისკის გამოვლენა და შეფასება;
- კონტროლის გაწევა და უფლებამოსილებათა გადანაწილება;
- ინფორმაცია და თანამშრომლობა;
- მონიტორინგი და ხარვეზებისგამოსწორება;

ეს მოიცავს საბანკო საქმიანობის ყველა მიმართულებას. მსოფლიო გამოცდილებასა და პრაქტიკაში კონტროლის დამოუკიდებელ მიმართულებას წარმოადგენს კომპლაენს-კონტროლი, რომელსაც იყენებენ ოპერაციებში საფინანსო ბაზარზე.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ საბანკო ბიზნესში არსებული ინოვაციური პროცესების მართვის სრულყოფის ყველაზე ეფექტური გზაა საბანკო რისკების შემცირება მათი საბანკო ბიზნეს-ერთეულებში განაწილების მეშვეობით (Busines Unit Managament), კომპლაენს-კონტროლის დანერგვა, ბანკის მიმდინარე და პერსპექტიული ლიკვიდურობის უწყვეტი მონიტორინგი საგანგებო ზომების მისაღებად საჭიროების შემთხვევაში, ასევე ბანკის საბაზრო ღირებულების პერმანენტული შეფასება.
2. ბანკის საქმიანობის შესახებ დეტალური ინ-

ფორმაციის მისაღებად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას (Busines Unit Managament), მართვა ბიზნეს-ერთეულების მეშვეობით, რომელიც ეხმარება ბანკის ხელმძღვანელობას, მიიღოს ობიექტური ინფორმაცია ყოველი ქვეგანყოფილების რენტაბელობის შესახებ, ინფორმაცია ყოველ კლიენტსა და პროდუქტზე რეალურ დროში და თავისთავად ჰკარნახობს მმართველობით გადაწყვეტილებებს.

3. ყოველი ბანკი მოწოდებულია შექმნას თავისთან კომპლაენს-კონტროლი, რაც დაესმარება დაადგინოს კონტროლის საყრდენი წერტილები, შეიმუშავოს მისი გატარების მეთოდები. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პასუხისმგებლობას დადგენილი წესების დაუცველობის შემთხვევაში. ამისათვის აუცილებელია სწორად შემუშავდეს შიდა ინსტრუქციები და ხელმძღვანელობის მაქსიმალური თანამშრომლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. თბ. 2006წ;
2. კოვზანაძე ი. კომერციული ბანკების ფუნქციონირების სრულყოფის საკითხები. ჟურ. „სოციალური ეკონომიკა" N1, თბ. 2001;
3. ცაავა გ. ხანთაძე გ. - საბანკო საქმე; სახელმძღვანელო - თბილისი, გამომცემლობა „დანი", 2014 — 600გვ.;
4. Инновационный менеджмент: Учебное пособие. под ред. А.В. БарышевойДашков и К • 2012 год • 384 страницы;
5. Инновационная экономика: монография Богатова Е.В. Русайнс • 2014 год • 86 страниц.

კომერციულ ბანკში საკრედიტო პორტფელის სრულყოფილი მართვის გზები თანამედროვე პირობებში

მარიამ დვალიშვილი, დოქტორანტი

რეზიუმე

საკრედიტო რისკი ძირითადი რისკია ნებისმიერი კომერციული ბანკისათვის. პროცენტული მოგების მიღება კრედიტებიდან დღეს წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მოგების წყაროს. საკრედიტო რესურსების მოცულობის გაზრდა და საკრედიტო ხელშეკრულების გაზრდა, რომელიც შეინიშნება ბოლო დროს, ითხოვს მნიშვნელოვან ყურადღებას ხელმძღვანელობის და ბანკის აქციონერების მხრიდან, რომლებიც მუშაობენ საკრედიტო რისკების მართვის სისტემაში. ამასთან, აუცილებელია ერთობლივი წესების, პროცედურების, პროცესების და ორგანიზაციული სტრუქტურის, რომელიც უზრუნველყოფს მოცემულ ფუნქციების შესრულებას.

სტატიაში განხილულია და შემუშავებულია საკრედიტო პორტფელის მართვის გაუმჯობესების საკითხები.

Summary

Mariam Dvalishvili, PHD student

Credit risk is the risk of any commercial bank. The percentage of credits from the profit of one of the main profit source. Credit resources to increase the capacity and increase the credit agreement, which has been observed for the last time, and requires considerable attention to the banks shareholders, who is working in the credit risk management system. In addition, it is necessary to joint rules, procedures, processes and organizational structure, which provides the performance of the functions.

* * * * *

საკრედიტო რისკი, ნებისმიერი კომერციული ბანკისათვის ძირითად რისკს წარმოადგენს. კრედიტებიდან პროცენტული მოგების მიღება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მოგების წყაროს კომერციული ბანკისათვის. ორიენტაცია, ბოლო პერიოდში საკრედიტო რესურსების მოცულობის გაზრდა ითხოვს მნიშვნელოვან ყურადღებას ხელმძღვანებლობის და ბანკის აქციონერების მხრიდან, რომლებიც მუშაობენ საკრედიტო რისკების მართვის სისტემაში. ამასთან, აუცილებელია, ერთობლივი წესების, პროცედურების, პროცესები და ორგანიზაციული სტრუქტურის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ფუნქციის შესრულებას.

განვიხილოთ საკრედიტო პორტფელის გაუმჯობესებული მართვის ძირითადი მიმართულებები.

1. სესხების კლასიფიკაციის სისტემის დანერგვა.

სხვადასხვა სახის სესხის რისკის ფარდობითობა ფორმალურად განისაზღვრება სესხის კლასიფიკაციის შკალის საფუძველზე.

ტიპურად, საწყისი შკალა „კარგ“ სესხებს ყოფს 3-4 ჯგუფად (კლასად), ასევე „ცუდს“ — 3-4 ჯგუფად სუბიექტური დასაბუთების საფუძველზე. „კარგი“ და „ცუდი“ სესხების განსაზღვრა ხდება სუბიექტურად, ამიტომ „კარგი“ სესხები ხვდება ერთ ჯგუში. სესხის კლასიფიკაციას ახორციელებს საკრედიტო განყოფილების თანამშრომელი, რომელიც გამოყოფილია კრედიტების სხვადასხვა მიმართუ¬ლებაზე ჩვეულებრივ წარმოადგენს ფორმალურ პროცედურას და არ მოქმედებს კრედიტის გაცემაზე და პროცენტის დადგენაზე.

2. საპროცენტო განაკვეთის დადგენა რისკის შესაბამისად

სესხის კლასიფიკაციის შკალის გაფართოებით 10-ე დონემდე, რომელთაგან თითოეული ზუსტად შეესაბამება მოსალოდნელ დანაკარგებს, დაფუძნებულია წინანდელი დაუბრუნებელი სესხების სიხშირეზე და ამ ჯგუფის სერიოზულ დანაკარგებზე.

ეს ცვლილებები ასახავს იმას, რომ დაუბრუნებლობის რისკი არის ალბათური, ანუ უნდა ველოდოთ, რომ ყველა „კარგ“ სესხს გააჩნია დაუფარაობის ალბათობა, რომელიც ექვემდებარება რაოდენობრივ განსაზღვრებას და ის, რომ სხვადასხვა ჯგუფის სესხებს გააჩნიათ არსებითი სხვაობები დაუბრუნებლობის ალბათობით.

საკრედიტო რისკის უფრო ზუსტი რაოდენობრივი გამოსახვისათვის იყენებენ შემდეგ მოქმედებებს:

- კლასების განსაზღვრის პასუხისმგებლობის გადატანა საკრედიტო თანამშრომლებიდან ანალიტიკოსებზე (ან კომიტეტზე, რომელიც ფორმირებულია საკრედიტო თანამშრომლების საპირწონედ);
- რაოდენობრივი მოდელის გამოყენება, როგორც კლასიფიკაციის პროცესის ნაწილი სესხის გაცემის მომენტში ან როგორც ინსტრუმენტი რისკის ადრეული ამოცნობისა მონიტორინგის პროცესში;
- სესხების კლასების აუდიტის პროცესის გამკაცრება.

3. კრედიტების რისკის მართვაში პორტფელის თეორიის გამოყენება. საკრედიტო პორტფელის მართვისათვის ინიშნება პორტფელის მენეჯერი, რომლის ვალდებულებაცაა: პორტფელის ხარისხის მონიტორინგი პორტფელში დანაკარგის შეფასება, რისკების ლიმიტების დადგენა ეკონიმიკის ცალკეულ სექტორში და რისკების და მოგების ურთიერთობის შეფასება პორტფელში. პორტფელის მენეჯერის მხარ-

დასაჭერად აუცილებელია რამდენიმე სტატიკოსი, რომლებიც აწარმოებენ რაოდენობრივ გათვლებს.

საპორტფელო მენეჯმენტის ახლადშექმნილი ქვედანაყოფი თავის ორგანი-ზაციულ საქმიანობაში აქცენტირებას უკეთებს შემდეგ ინიციატივებს:

- თავისი ბანკის ფარგლებში რისკების მიდრეკილების სისტემის ფორმირება, რომელიც დაფუძნებულია კრედიტების მონაცემებზე და კრედიტუნარიანობაზე, სხვადასხვა საბუღატრო და ინფორმაციული სისიტემიდან;
- სესხების კლასების სიზუსტის და თავსებადობის გაუმჯობესება რეიტინგული მოდელების გამოყენების გზით.

4. რისკების და მოგების თანაფარდობის ეფექტურობის ზრდა.

პორტფელის მართვის ტექნოლოგია ახლა უკვე შეგვიძლია წარმატებულად გამოვიყენოთ საკრედიტო პორტფელზე. რისკების და მოგების თანაფარდობის ეფექტურობის ზრდა მდგომარეობს შემდეგში:

- რისკების კარგი გამიჯვნა მსესხებლების დონეზე;
- კორექციის გაზომვა, რომელიც ზუსტად გამოთვლის კრედიტის დაუბრუნებლობის კავშირს ეკონომიკის დარგთან, რეგიონთან და მაკროეკონომიკურ ფაქტორებთან;
- მოულოდნელი დანადგარების ზემოქმედების რაოდენობრივი განსაზღვრის ტექნოლოგიის შემუშავება თითოეულ საკრედიტო რისკზე, დაფუძნებული მის ხარისხზე, ზომაზე. რისკის გაზომვის გაუმჯობესება საშუალებას გვაძლევს შევქმნათ საკრედიტო რისკის მართვის ლოგიკურად შეკრული სტრუქტურა. აქედან დგინდება:
- დარგების და ცალკეული ოპერაციების რისკის მიდრეკილების ლიმიტი, რომელიც მოგვცემს გარანტიას, რომ საკრედიტო პორტფელი არის საკმაოდ დივერსიფიცირებული.
- დარგების და ცალკეული მსესხებლების პორტფელის მიზნობრივი სტრუქტურა რომელმაც უნდა გაზარდოს შემოსავლიანობა რისკის მიზნობრივი ლიმიტის ფარგლებში;
- მოსალოდნელი შემოსავლიანობა ცალკეულ აქტივებზე, რომელიც დაფუძვნებული არიან არსებული მოსალოდნელი დანადგარების განსაზღვრაზე.

ასევე საჭიროა გავატაროთ შემდეგი ორგანიზაციული ცვლილებები:

- შიდა ინფორმაციის დამუშავების სისტემის გაუმჯობესება, რაც საშუალებას გვაძლევს დავნერგოთ ყოველდღიური რისკის არასტაბილურობის ცვლილებების ავტომატიზირებული მონიტორინგ;
- საკრედიტო რისკების მონიტორინგის შემოყვანა რეალური დროის რეჟიმში დამოკიდებულია საბაზრო ინფორმაციებზე.

კრედიტების გაცემის და მართვის ფუნქციების დაყოფა.

დივერსიფიკაცია ძალიან მთავარია ეფექტურობის მისაღწევად საკრედიტო პორტფელის რისკის და შემოსავლების შეფარდებაში, მაგრამ ამას მივყავართ სტრატეგიულ კონფლიკტთან სესხების გაცემის ქვედანაყოფთან, რომლის მოგებაც მიიღება დიდი ზომის ხელშეკრულებებზე, მზარდი დარგების კონცენტრაციაზე და გეოგრაფიულ სპეციალიზაციაზე.

- კრედიტების გაცემის ქვედანაყოფი გარდაიქმნება ბიზნესად, რომელიც დაფუძნებულია კომისიის შემოსავალზე, რომლის ეკონომიკური არსი, მსგავსია საინვესტიციო ბაზრის მოქმედებაზე. ამ ქვედანაყოფის უფლებამოსილება საპროცენტიო განაკვეთის დადგენაზე, გამომდინარეობს კრედიტორების მოთხოვნიდან (გარე ბაზარი) ან საკრედიტო პორტფელის მართვის ქვედანაყოფი (შიდა ბაზარი).

საპროცენტო მენეჯმენტის ქვედანაყოფი წარმოადგენს ბიზნეს ერთეულს ინვესტიციების მართვაში, მისი ეკონომიკური არსი დამოკიდებულია ეფექტურობაზე და საკრედიტო რისკების ინფორმაციის დამუშავების კვალიფიკაციაზე, ასევე სარისკო აქტივების ერთობლიობის წვდომაზე. ამას მივყავართ საკრედიტო პორტფელის მართვის ქვედანაყოფი შემდეგ მოქმედებამდე:

- ავტომატური ტექნოლოგიების გამოყენება;
- საკრედიტო პორტფელის ყოველდღიური გადაფასება გამომდინარე საბაზრო კურსიდან;
- სესხის გაცემის ქვედანაყოფზე ზემოქმედება, რათა მათ გასცენ ერთგვაროვანი სესხის პროდუქტი სტანდარტული დოკუმენტაციიდან.

პოტფელის მართვის ქვედანაყოფის მოქმედება ხორციელდება მთლიანად ავტომატიზირებულ სივრცეში, რომელიც აერთიანებს რისკისკენ მიდრეკილ მონაცემებს რეალური დროის რეჟიმში, საბაზრო განაკვეთს და ანალიტიკური ინსტრუმენტის მთლიან კომპლექტს კლასიფიკაციისთვის, კრედიტებზე ფასების დადგენისთვის და რისკის მონიტორინგზე.

საკრედიტო რისკების მართვა ახლა მთლიანად არის საკრედიტო პორტფელის მართვის ქვედანაყოფის ფარგლებში და წარმოადგენს განსაკუთრებულ ცენტრალიზებულ ფუნქციას, რომელიც დაფუძვნებულია ურთულეს ანალიტიკურ მეთოდებზე. ნათელია, რომ ახალი ეფექტური საკრედიტო რისკების მართვის სისტემის შექმნის პროცესში, აუცილებელია ცენტრალური ბანკის ორგანიზაციული როლი. მისი მოქმედების ორი ძირითადი მიმართულებიდან უნდა გამოდიოდეს:

- კომერციული ბანკის მეთოდური მასალით უზრუნველყოფა;
- კრედიტების ისტორიული მონაცემების დაგროვების პროცესის ორგანიზება.

სიახლეების შედეგი უნდა იყოს საკრედიტო რისკების მართვის ხარისხის გაუმჯობესება, რასაც თავის მხრივ მივყავართ შემდეგ დადებით შედეგამდე;

- მთელი საბანკო სისტემის სტაბილურობის გაზრდა. ბანკებს შეეძლებათ გააზრებულად ფორმირება გაუკეთონ თავის საკრედიტო პორტფელს, თავს არიდებენ გაუთვალისწინებელ დანაკარგებს;
- უცხოური ბანკების რესურსებში შეღწევა.

ამისთვის უნდა ფუნქციონირებდეს საერთაშორისო მეორადი კრედიტების ბაზარი, ამასთან გაცემული საბანკო კრედიტები უნდა პასუხობდეს მსოფლიო სტანდარტებს. ბანკი შეასრულებს კრედიტის გაცემის ფუნქციას, ამით მიიზიდავს ინვესტიციებს ეკონომიკაში;

- კრედიტების მოცულობის გაზრდა. ეს მიიღწევა იმით, რომ ბანკმა უნდა გაიაზროს თუ როგორი კრედიტის გაცემა შეუდძლია, ასევე შემცირებული საკრედიტო განაკვეთი, რომელშიც რისკის კომპონენტი იქნება მინიმალური.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Литовских А.М. Финансовый менеджмент: Конспект лекций. Таганрог: Изд-во ТРТУ, 1999. 76 с.

2. Комплексное решение по управлению рисками SAS. [Электронный ресурс] - http://www.sas.com

3. Атажанов Б.А. Финансовый анализ деятельности кредитных организаций // Аудит и финансовый анализ. – 2008. - №3. – с. 54-78.

საქართველოს ფისკალური სისტემა

ოთარ კობახიძე, დოქტორანტი

რეზიუმე

აღნიშნულია, რომ ფისკალური სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ფორმირებაში. მითითებულია, რომ განსახორციელებელია რიგი ღონისძიებების საბიუჯეტო და საგადასახადო სისტემაში სრულყოფის კუთხით.

საკვანძო სიტყვები: ფისკალური პოლიტიკა, პოლიტიკის კოორდინაცია, გადასახადები, სრულყოფის საკითხები,გამარტივების საკითხები.

Georgian fiscal policy
Summary

It's mentioned, that fiscal policy is dependent on current social priorities, as well as state of economics and the government shall coordinate with central bank, to form it's policy, while taking into account the monetary policy course of the central bank. Fine coordination between the ministry of finances and the Georgian centarl bank can lead to better state of economics.

There is suggestion aboutalternated taxation of privately owned banks, to stimulate aggregation of long term assets and ways of improving and simplifying certain taxes for increasing tax base, as well asimproving tax payer experience, thus stimulationg economic growth.

Keywords: Fiscal policy, Policy coordination, taxes, improvments, tax simplification.

* * * * *

ფისკალური პოლიტიკის როლსა და მნიშვნელობას ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემაში განსაზღვრავს ის, რომ იგი გამოიყენება არა მარტო სახელმწიფოს არსებობის ფინანსური უზრუნველყოფის (ფისკალური ფუნქცია) ან კიდევ ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციის თვალსაზრისით (ეკონომიკური ფუნქცია), არამედ რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შემოსავლებისა და რესურსების გასანაწილებლად, ე.ი. ასეთ პოლიტიკას ფისკალურთან და ეკონომიკურთან ერთად გააჩნია წმინდა სოციალური დატვირთვაც, სწორედ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა არის ის უმთავრესი მექანიზმი, რომლითაც ხელისუფლება პრაქტიკულად შედის თითოეული მოქალაქის საქმიანობის არეალში და როგორც გადასახადებით, ისე სახელმწიფო ხარჯებით უშუალოდ მონაწილეობს მოქალაქეთა კანონიერი შემოსავლების ფორმირების პროცესში. აღნიშნული მოწმობს იმას, რომ ფისკალური პოლიტიკის შეფასება მოხდეს როგორც ეკონომიკური სუბიექტის (გადასახადის გადამხდელის), ასევე სახელმწიფოს (გადასახდელების მიმღების) პოზიციებიდან. ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება ფიზიკური და იურიდიული პირების პოზიციიდან სამეცნიერო თვალსაზრისით ყურადღებას არ იმსახურებს, რამდენადაც თვალნათელია არსებული მიდგომა, ვინაიდან, რაც უფრო დაბალია გადასახადები, მით უკეთესია გადამხდელისათვის, მაგრამ ფისკალურ პოლიტიკას თუ სახელმწიფოს მხრიდან შევაფასებთ, იგი ორმხრივად შეიძლებაწარმოდგეს:

პირველი, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება ეკონომიკური სისტემის სამეწარმეო აქტიურობის თვალსაზრისით;

მეორე, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მდგომარეობის თვალსაზრისით.

ეს ორი მიდგომა ურთიერთსაწინააღმდეგოა, ვინაიდან, თუ ფისკალური პოლიტიკა მეორე მოდელის თვალსაზრისით, ეფექტიანად ფუნქციონირებს, შესაძლებელია სრულიად არაეფექტიანი იყოს პირველი მოდელის თვალსაზრისით. როგორც განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების პრაქტიკა მოწმობს ეკონომიკის სტაბილურ ზრდას, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინტენსიური ურთიერთ კოორდინაცია და დაბალანსებული განხორციელება, რადგანაც ყოველივე მიმართულია მაკროეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისკენ. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ როგორი ფისკალური პოლიტიკის ავტომატური თუ დისკრეციული გატარებაა მიზანშეწონილი ეკონომიკის განვითარების ამ თუ იმ ეტაპზე, მაშინ როდესაც ავტომატური ფისკალური პოლიტიკის გატარება ეფუძნება „ჩაშენებული სტაბილიზატორის" (პროგრესული საგადასახადო სისტემა, საპროცენტო განაკვეთების, ფასების დონისა და წარმოების რეალური მოცულობის ცვლილებების ავტომატური მექანიზმები) მოქმედებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის ბუნებრივ შეგუებას საქმიან კონიუქტურის ცვლილებასთან, ხოლო დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს:

- სახელმწიფო ხარჯების ზრდას;
- გადასახადების განაკვეთების შემცირებას;
- ან ორივე ბერკეტის კომბინირებულ გამოყენებას.

ამ შეკითხვაზე პასუხის გასცემა შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში გატარებული ფისკალური პოლიტიკის ანალიზის შემდგომ.

ქვემოთ მოყვანილია ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ურთიერთ კოორდინაციის მაჩვენებელი გრაფა:



როგორც ზევით ავღნიშნე, საფინანსო და ფულად-საკრედიტო მექანიზმების არსებობა ეკონომისტთა წინაშე აყენებს საკითხს, ეკონომიკის სტაბილურობის თვალსაზრისით, რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და როგორი უნდა იყოს მათი გონივრული თანაფარდობა. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა მოწმობს, რომ რაციონალურია რეგულირების ორივე მიმართულების შეხამება. ამასთან, ყოველთვის შეინიშნება მონაცვლეობითი გადახრა ხან ერთ და ხან მეორე მეთოდის გაძლიერების მიმართულებით, ეკონომიკური ვითარების შესაბამისად. საქართველოს ეკონომიკური განვითარების რეგულირებაში ფისკალური პოლიტიკა გადამწყეტ როლს თამაშობდა და თამაშობს. თანაც, ფისკალური პოლიტიკა მხოლოდ ტაქტიკური მიზნების შესასრულებლად გამოიყენებოდა. ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით სტრატეგიული და ე.წ. არაფისკალური მიზნების მიღწევა მხოლოდ 1996 წლიდან დაიწყო, როდესაც ხელისუფლებამ მიზნად დაისახა საგადასახადო ინსტრუმენტების საშუალებით სტრუქტურული ზეგავლენა მოეხდინა კერძო სექტორის საინვესტიციო აქტივობაზე. როგორც ცნობილია, რეფორმების საწყის ეტაპზე ასეთი ხელშეწყობა გამოიხატა ე.წ. „ინდივიდუალური შეღავათების“ დანერგვით, რომლებმაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებით საკმაოდ ნეგატიური პირობები შექმნა არა მარტო კერძო სექტორის ორიენტირებისათვის, არამედ, ბიუჯეტის შესრულებისთვისაც. ამასთან, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთლიანად მაკროეკონომიკური და განსაკუთრებით სამრეწველო პოლიტიკის მიზნებთან, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა ფისკალური პოლიტიკა იქცეს ისეთ ინსტრუმენტალურ პოლიტიკად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება სწრაფად და სრულად მიღწეული იქნას გრძელვადიანი მაკროეკონომიკური მიზნობრივი მაჩვენებლები. ამისათვის საჭიროა დასახული იქნას ისეთი ფისკალური მაჩვენებლები, რომლების მიღწევის შემთხვევაში ერთდროულად დავაკმაყოფილებთ მრეწველობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მოთხოვნებს. ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით გრძელვადიანი მაკროეკონომიკური მიზნობრივი მაჩვენებლების განხორციელება გულისხმობს:

1. “ფარული იმპორტის შემცირების ღონისძიებებს;
2. შახელმწიფო სექტორში მიზნობრივი დაფინანსების მექანიზმის დანერგვას. ბიუჯეტის პორგრამული დაფინანსების, პროგრამების განხილვის, დამტკიცების, აღსრულების კონტროლის მწყობრ სისტეამზე გადასვლას, ამასტანავე, ეს ნიშნავ საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის თანდათან ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას.
3. დაგეგმილი ფისკალური ღონისძიებების კოორდინირებას მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებებთან. უნდა აღინიშნორს, რომ ფისკალური პოლიტიკსი ეფექტიანობა ამაღლდება, თუკი მოხდება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სრული კოორდინაცია.

დღესდღეობით ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებების კოორდინაცია მხოლოდ ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის ხორციელდება. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება კომერციული ბანკების დაბეგვრის სისტემის მოდერნიზაცია იყოს. კერძოდ, შესაძლებელია ბანკებისათვის შემუშავდეს ისეთი დაბეგვრის მექანიზმი, რომელიც მათ იმპულსს მისცემს გააქტიურონ თავიანთი საინვესტიციო საქმიანობა და გაზარდონ გრძელვადიანი აქტივების წილი თავიანთ პორტფელში.

ფისკალური პოლიტიკის საფუძველს საგადასახადო სისტემა წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობას ეფუძნება და რომელთა ლიბერალიზაცია უკვე განხორციელდა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მათი სრულყოფის ღონისძიებების შემდგომი განხორციელების აუცილებლობას. უნდა მოხდეს მოქმედი ფისკალური მექანიზმების ფარგლებში რაციონალური საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრა, რაც მართალია, დღევანდელ პირობებში არ შეცვლის მოქმედ საგადასახადო სისტემას, მაგრამ მიკრო და მაკროეკონომიკური მეთოდების გამოყენების საფუძველზე ფისკალური პრიორიტეტების კორექტირება მოახდენს. ქვეყანაში ფისკალური სფეროს გაჯანსაღებისათვის მრავალი მიმართულება არსებობს, შესაძლოა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის პირობების შექმნა. ამჟამად მცირე საწარმოთა წილი საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა მთლიან რაოდენობაში 75 პროცენტს აჭარბებს, რაც თავისთავად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესები მოითხოვს მხარდაჭერის ღონისძიებათა არეალის გაფართოებას.უნდა განხორციელდეს:

1. საგადასახადო რეჟიმის კიდებ უფრო გამარტივება, საგადახადო ტვირთის შემცირებით.
2. მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დელიცენზირებისა და სერტიფიცირების კუთხით გადასინჯვა, კონტროლისა და სანქციების მოწესრიგების მიზნით.

აუცილებელია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების კლების ტენდენციები დღეისათვის მკვეთრი შემცირების ტენდენციით. პრობლემის გამოსწორება შესაძლებელია დაზოგვის საგადასახადო წახალისებით, ანაბრების დაზღვევის სისტემის შექმნით,

კონფიდენციალურობისა და ბანკებისადმი ნდობის განმამტკიცებელი ღონისძიებების გატარების მეშვეობით, არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის წახალისების უზრუნველმყოფი საკანონმდებლო ბაზის შექმნით, კომერციული ბანკებისათვის ფულის მიწოდებით, საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკის ამოქმედებისა და რაც მთავარია მნიშვნელოვანი საინვესტიციო ბიუჯეტის დაგეგმვის საფუძველზე. გარდა აღნიშნულისა, ინვესტიციების სტიმულირებისათვის შესაძლებლად მიმაჩნია მოგების გადასახადის განაკვეთების დიფერენციაცია და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია რეინვესტირებული მოგების საერთოდ გათავისუფლება გადასახადისაგან! ასეთი საგადასახადო მექნიზმის ამოქმედება განსაკუთერებით მიმზიდველი იქნება მცირე საწარმოებისათვის. ამასთან, მაღალი შემოსავლების მქონე ინვესტიციებზე მოგების გადასახადის დიფერენციაცია უნდა განხორციელდეს რეგრესიული შკალის გამოყენებით; საჭიროა საექსპორტო საქმიანობის მოწესრიგება. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით ექსპორტი არ იბეგრება, რაც სავსებით შეესაბამება თავისუფალ საბაზრო ურთიერთობების პრინციპებს, ვინაიდან მისი შეზღუდვა მრავალ ნეგატიურ მოვლენასთან არის დაკავშირებული. საბაზრო ეკონომიკის კანონები ასევე განსაზღვრავს, რომ ექსპორტი უნდა გახდეს მოთხოვნა — მიწოდების დაბალი წონასწორობიდან თავის დაღწევის უმთავრესი საშუალება, ექსპორტის წახალისებაში საქართველოს არცა აქვს არჩევანი საგარეო ბალანსის დეფიციტისა და საგარეო ვალების დაბრუნების პერსპექტივიდან გამომდინარე. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით ასევე მიზანშეწონილია:

- შენარჩუნდეს ხელშემწყობი საგადასახადო პირობები (მათ შორის დღგ-სგან განთავისუფლება);
- უნდა გატარდეს ღონისძიებები პარტნიორი ქვეყნებისგან უფრო ხელსაყრელი სატარიფო პირობების მიღების მიმართულებით. (ხელისუფლებაში მყოფი მთავრობის ძლიერ სუსტი მხარე);
- ექსპორტიორ მეწარმეთა დატრენინგებისა და ინფორმირების ღონისძიებების გატარება.
- ჩაიზარდოს ექსპორტის ხელშეწყობა დაკრედიტებისა და დაზღვევის მეშვეობით. მოხდეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროდუქციის სუბსიდირება ბიუჯეტიდან.

აუცილებელია დამატებული ღირებულების გადასახადის შემდგომი სრულყოფა, რაც, უნდა განხორციელდეს ორი მიმართულებით: 1. განხორციელდეს დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთების დიფერენცირება (მსოფლიოს ყველა ცივილურ ქვეყნაში ისეთი ძირითადი გადასახადების როგორც დღგ-ია განაკვეთები დიფერენცირებულია. მაგალითად, საფრანგეთში დღგ-ს ოთხდონიანი სისტემა მუშაობს, ევროკავშირის ფარგლებში გამოიყენება დღგ-ს ორი განაკვეთი: ნორმალური-18,6% და შემცირებული-5,5%, გერმანიაში დღგ-ს საშუალო განაკვეთი 15%-ია, ხოლო ზოგიერთ საქონელსა და მომსახურებაზე 7% და ა.შ.); 2. აღნიშნული გადასახადის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მისი დაბრუნების პრინციპის რეალურად ამოქმედება, ვინაიდან ექსპორტის შემთხვევაში დაბრუნება ხშირად არ ხდება, რითაც ხდება თვით ამ გადასახადის დისკრედიტაცია. შედეგად, ექსპორტის დიდ ნაწილი ჩრდილოვან სფეროში ექცევა. ამასთან, ბიუჯეტი კარგავს ყველა სხვა სახის გადასახადსაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას. ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი წარმოება გაცილებით წამგებიან მდგომარეობაშია იმპორტთან შედარებით. კერძოდ, თუ იმპორტი და ადგილობრივი მიწოდება განთავისუფლებულია დღგ-საგან ერთდროულად, მაშინ ეს უკანასკნელი აზრს კარგავს იმპორტირებული ნედლეულის დაბეგვრის გამო, ამიტომ გადასახადისაგან უნდა განთავისუფლდეს ნედლეულის იმპორტიც და მიწოდებაც; უნდა გატარდეს ქმედითი ღონისძიებები ქვეყანაში კონტრაბანდის აღკვეთისა და ექსპორტ-იმპორტის სრული აღრიცხვისათვის. ადმინისტრირების გაუმჯობესებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში საგადასახადო შემოსავლების მნიშვენელოვანი ზრდა, რაც უზრუნველყოფს მთლიან შიდა პროდუქტში საგადასახადო შემოსავლების წილის ამაღლებას. ამ მიზნით საგადასახადო ორგანოების მუშაობის ხარისხის შეფასება ბიუჯეტში შემოსავლების გეგმის შესრულების პარალელურად უნდა შეფასდეს აგრეთვე მშპ-ს მიმართ საგადასახადო შემოსავლების მობილიზების დონის გეგმური მაჩვენებლის წინასწარი განსაზღვრით; მეტად მნიშვნელოვანია საშემოსავლო გადასახადის როლის გადიდება საბიუჯეტო შემოსავლებში, რაც შესაძლებელია დასაბეგრი ბაზის რეზერვების გამოყენების საფუძველზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად ფიზიკური პირი ვალდებულია წარადგინოს საგადასახადო დეკლარაცია, თუ მისი შემოსავლები არ იბეგრება გადახდის წყაროსთან. მიუხედავად აღნიშნულისა დეკლარაცის წარდგენა შეიძლება ითქვას, რომ ძალიან იშვიათად ხორციელდება, ვინაიდან საგადასხადო ორგანოები ვერ აკონტროლებენ ასეთ შემოსავლებს. ხოლო რაც შეეხება ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან შეიძლება ითქვას, რომ დაბეგვრის არეალიდან გამოდის ანუ საშემოსავლო გადასახადი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს საგადასახადო სისტემის სამართლიანობას, ვერ ასრულებს თავის სოციალურ ფუნქციას და საგადასახადო დატვირთვა მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დაქირავებით მომუშავე პირებზე ვრცელდება.

ზემოაღნიშნულიდან შემდეგი დასკვნების გაკეთება შეიძლება:

1. აღნიშნულია, რომ ქვეყანაში გასატარებელი ფისკალური პოლიტიკა დამოკიდებულია არსებულ სიტუაციაზე და სოციალურ პრიორიტეტებზე, ამი-

ტომაც მთავრობამ მჭირდროდ უნდა ითანამშრომლოს ეროვნულ ბანკთან და მოახდინოს ფისკალური პოლიტიკის გეგმის კოორდინირება განსაზღვრულ მონეტარული პოლიტიკის კურსთან;

2. შეთავაზებულია, ბანკების ალტერნატიული დაბეგვრა, ასევე სხავდასხვა გადასახადების გამარტივების და სრულყიფის გზები ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Журавлев А. Эффективность бюджетно-налогового администрирования/ А. Журавлёв. - http://institutiones.com/general/1097-effektivnost-byudzhetno-nalogovogo-administrirovaniya.html. - 28.03.2012.
2. The macroeconomics of fiscal plicy. Richard W.Kopcke .-2005.
3. http://ciesr.org/files/budget_policy_in_georgia_d.narmania.pdf

ფასწარმოქმნა სესხებზე და საპროცენტო განაკვეთების შემცირების პოტენციალი საქართველოში

თამარ აბშილავა, დოქტორანტი

რეზიუმე

საპროცენტო განაკვეთების შემცირება, სასურველია არამარტო ეკონომიკური განვითარებისათვის, არამედ აუცილებელი წინაპირობაა ბანკების შემდგომი ზრდის მისაღებად.

სტატიის მიზანია, განხილულ იქნას, თუ რა კომპონენტებისგან შედგება სესხის საპროცენტო განაკვეთი, რათა უფრო კვალიფიციურად შევაფასოთ სასესხო განაკვეთების დონის განმაპირობებელი ფაქტორები და დავინახოთ მისი შემცირების რეალური გზები. ჩსტატიის პირველ ნაწილში განხილულია ის ხარჯები და რისკები, რაც კომერციულმა ბანკებმა სესხზე ფასის დადებისას უნდა გაითვალისწინონ. ესენია: კაპიტალის ხარჯი, ვალდებულებების ხარჯი, ლიკვიდობის ხარჯი, ფიქსირებული აქტივების ხარჯი, საოპერაციო ხარჯები (ხელფასები, მარკეტინგული ხარჯები და ა.შ), საპროცენტო რისკის ხარჯი და საკრედიტო რისკის ხარჯი. ამ ხარჯების გადასაფარად, ბანკს გააჩნია როგორც საპროცენტო, ისე საკომისიო შემოსავლები. სტატიაში ასევე განხილულია ის რეალური გზები, რაც შეიძლება მივიჩნიოთ საპროცენტო განაკვეთების შემცირებისთვის საჭირო პრიორიტეტულ მიმართულებებად, როგორიცაა: საოპერაციო ეფექტიანობის გაუმჯობესება, ვალდებულებების ხარჯების შემცირება, რისკების მართვის ფუნქციის გაძლიერება;

საკვანძო სიტყვები: საპროცენტო განაკვეთი, საოპერაციო ხარჯები, კაპიტალის ხარჯი, საბანკო ვალდებულებები, საპროცენტო შემოსავლები, საკომისიო შემოსავლები, საკრედიტო რისკი, სესხზე ფასწარმოქმნა

Pricing on credits and potential of decreasing of interest rate in Georgia

Tamar Abshilava, Doctoral Sdudent

Summary

Decreasing of interest rates is desired for not only economical development, but it is mandatory assumption for receiving increase of banks.

The aim of the article is to discuss , what are the components of the loan interest rate, that will allow us more competently evaluatefactors, which determine the level of loan interest rates and to discover the real ways of reducing it. In the first part of the article, there are discussed the expenses which should be taken into account by commercial banks during pricing on creditsand the risks, which are connected with issue of credit. These are: capital expense, obligation expense, liquidity expense, fixed assets expense, operational expenses (such as salaries, marketing costs etc.) , interest risk expense and credit risk expense. Banks have interest and commission incomes for covering of these risks. The most real direction of decreasing interest rates , such as: improving of operational effectiveness, decreasing of obligations expanse, reinforcement of risk management function are also discussed in the article;

Keywords: Interest rate, Operational costs, Capital expenditure, Bank's liabilities, Interest income, Credit risk, Loan pricing

* * * * *

უკანასკნელ ხანს, საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ საბანკო სექტორში, კონკურენციის დაბალი დონის გამო, საქართველოში საპროცენტო განაკვეთები ხელოვნურადაა გაზრდილი.

სასესხო განაკვეთების დონის განმაპირობებელი ფაქტორების შესაფასებლად, მიზანშეწონილია განხილულ იქნას კომპონენტები, რისგანაც შედგება სესხის საპროცენტო განაკვეთი.

ბანკებმა სესხებზე ფასის დადებისას უნდა გაითვალსიწინონ ყველა ხარჯი (მათ შორის კაპიტალის ხარჯი) და რისკი, რომლებიც ამ სესხის გაცემასთან არის დაკავშირებული. ესენია: კაპიტალის ხარჯი, ვალდებულებების ხარჯი, ლიკვიდობის ხარჯი, ფიქსირებული აქტივების ხარჯი, საოპერაციო ხარჯები, საპროცენტო რისკის ხარჯი და საკრედიტო რისკის ხარჯი. ამ ხარჯების გადასაფარად, ბანკს გააჩნია, როგორც საპროცენტო, ისე საკომისიო შემოსავლები.

სესხზე საპროცენტო განაკვეთის ფორმირებაში ყველაზე დიდ როლს საოპერაციო ხარჯები ასრულებენ (რაშიც იგულისხმება ფიქსირებული აქტივების, საკონსულტაციო და მარკეტინგის, სახელფასე და სხვა არასაპროცენტო ხარჯები) შედარებით მცირე, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანია მოზიდული სახსრების ღირებულების ხვედრითი წილი(ვალდებულებების მოზიდვა ბანკებს საშუალოდ 6.72% უჯდებათ, თუმცა რადგან სესხების ნაწილი კაპიტალით ფინანსდება, საბოლოო სესხის განაკვეთს ვალდებულებების ხარჯი მხოლოდ 5.38%-ით აძვირებს).

ბანკებმა სესხები იმ პროცენტში უნდა გასცენ, რაც ბანკის აქციონერებს კაპიტალზე სასურველ უკუგებას მოუტანს. ბანკებმა დაფინანსების სტრუქტურაში უნდა შეარჩიონ ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ისეთი კომბინაცია, რაც საშუ-

ალო შეწონილ კაპიტალის ხარჯს მინიმუმამდე ამცირებს. იმის გამო, რომ ზოგადად ვალდებულებები კაპიტალზე იაფია, ფინანსური ლევერიჯის ზრდა საშუალო შეწონილ კაპიტალის ხარჯს ამცირებს. თუმცა, ფინანსური ლევერიჯის ზრდა ასოცირდება ბანკის რისკიანობის ზრდასთან და გაზრდის ინვესტორის (როგორც აქციონერის, ისე კრედიტორის) მიერ მოთხოვნილ შემოსავალს- ანუ ბანკის ხარჯს. საქართველოს საბანკო სექტორში კაპიტალის ხარჯი და ვალდებულებების ეფექტური ხარჯი (ლიკვიდობის მოთხოვნების გათვალისიწინებით) ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. შესაბამისად, საბანკო საქმიანობის დაფინანსებაში ვალდებულებების წილის ზრდას, საშუალო შეწონილი კაპიტალის ხარჯზე უმნიშვნელო (ან შესაძლოა ნეგატიური) ეფექტი ექნება.

განვიხილოთ სასესხო საპროცენტო განაკვეთის კომპონენტები:

კაპიტალის ხარჯი: საბანკო სისტემისთვის ადეკვატური კაპიტალის ოდენობა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების დაახლოებით 8%-ს შეადგენს. ამ დაშვებით დათვლილი პირველადი კაპიტალის ღირებულება მრავლდება სისტემაში კაპიტალის საშუალო ხარჯზე. ხოლო მეორადი კაპიტალი, რაც რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების დაახლოებით 4%-ს შეადგენს, ბანკებს საშუალოდ 10 პროცენტი უჯდებათ.

ვალდებულებების ხარჯი: საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით ვალდებულებების მოზიდვა ძვირი ჯდება 3 ძირითადი მიზეზის გამო: ბანკებს შორის კონკურენციის მაღალი დონე, დანაზოგების დაბალი დონე და ქვეყნის რისკი. ადგილობრივი რესურსით ბანკების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობაზე მიუთითებს ასევე ბანკების მიერ სახსრების გარე ბაზარზე ძიება, რაც ბოლო წლებში არარეზიდენტების დეპოზიტების მზარდ ტენდენციაში აისახა.

არსებული მდგომარეობით, საბანკო სისტემაში ვალდებულებების ხარჯი არ არის გრძელვადიანი წონასწორობის წერტილში. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ ეროვნულ ვალუტაში მოზიდულ გრძელვადიან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 12%-ია და კაპიტალის 15%-იან ხარჯს მცირედით ჩამორჩება, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ვალუტით სახსრები ძირითადად მოკლევადიანია და კაპიტალი კი გრძელვადიანი, ხოლო შემოსავლიანობის მრუდი საკმაოდ ციცაბო. რაც შეეხება დანაზოგების დონის ზრდას, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად მას ხელს შეუწყობს ქვეყანაში საპენსიო რეფორმის განხორციელებაც. გრძელვადიან პერსპექტივაში, ეკონომიკისა და დანაზოგების ზრდის კვლადაკვალ, მოსალოდნელია ვალდებულებების ხარჯის შემცირება.

ქართული ბანკების საკრედიტო რეიტინგები ქვეყნის რეიტინგის გათვალისწინებით საკმაოდ მაღალია, შესაბამისად ქვეყნის რეიტინგის ზრდასთან ერთად, კიდევ უფრო გაიზრდება ბანკების შეფასებებიც. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოზიდული სახსრების (როგორც ვალდებულებების, ისე კაპიტალის) ღირებულების შემცირებას და შესაბამისად გააიაფებს სესხებს.

ლიკვიდობის ხარჯი — ლიკვიდობის საზედამხედველო მოთხოვნა -30 პროცენტი — საკმარისია ლიკვიდობის რისკების გადასაფარად. ამასთან ერთად შესაძლებელია ლიკვიდური სახსრების შემოსავლიან აქტივებში დაბანდება, რაც ლიკვიდობის ხარჯს შედარებით ამცირებს.

ფიქსირებული აქტივების ხარჯი —აღნიშნულ ხარჯს საქართველოს ეროვნული ბანკი აფასებს, როგორც მოზიდული სახსრების ღირებულებისა და ძირითადი საშუალებების ექსპლოატაციის ხარჯის ჯამს.

ადმინისტრაციული ხარჯები: სესხის პროცენტის ფორმირების დიდი ნაწილი მოდის საოპერაციო ხარჯებზე (ხელფასები, საკონსულტაციო ხარჯები, სარეკლამო ხარჯები და ა.შ) საპროცენტო განაკვეთების სპრედის (სხვაობა სესხების და დეპოზიტების განაკვეთებს შორის) დონე მეტწილად ბანკების მცირე მასშტაბის გამო ადმინისტრაციული ხარჯების სიჭარბით აიხსნება. ხოლო ის ფაქტი, რომ სპრედი იგივე მოცულობის საბანკო სისტემის მქონე ქვეყნებისასაც კი აღემატება, ძირითადად გამოწვეულია ფარული ხარჯების არარსებობით.

საპროცენტო რისკის პრემია: სხვა თანაბარ პირობებში, რაც მეტია ვადიანობის გეპი საპროცენტო განაკვეთების მიმართ მგრძნობიარე აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, მით უფრო მეტია საპროცენტო რისკის პრემია. ძალზე უხეში შეფასებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს საბანკო სისტემისთვის საპროცენტო რისკის პრემია საშუალოდ სესხის 1%-ია.

საკრედიტო რისკის პრემია: საქართველოს საბანკო სისტემაში, ისტორიულად გაცემული სესხების 3.5% ყოველწლიურად უკან არ ბრუნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკებმა სესხები 4.1%-ით უფრო ძვირად უნდა გასცენ, რათა მიიღონ იგივე შემოსავალი, რასაც ამ 3.5% სესხებისა და მათზე დარიცხული პროცენტის ხარჯზე მიიღებდნენ. საკრედიტო რისკი, რისკების მართვის მეთოდების გაუმჯობესებასთან ერთად დროთა განმავლობაში უნდა შემცირდეს, თუმცა საკრედიტო რისკს წლიდან წლამდე ახასიათებს საკმაოდ დიდი მერყეობა და საკრედიტო რისკის დაბალი დონე რამდენიმე წლის განმავლობაში არ უნდა იქნას აღქმული ამ რისკის შემცირებად. საკრედიტო რისკის შემცირებას სჭირდება ბევრად უფრო გრძელვადიანი და ფუნდამენტური ცვლილებები.

საკომისიო შემოსავლები: სესხებიდან მიღებული საკომისიო შემოსავლები დაახლოებით 4.55 პროცენტით ამცირებს სესხის ნომინალურ განაკვეთს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკის დაკრედიტების დონე საკმაოდ დაბალია, სესხის მომსახურების ტვირთი თითოეულ მსესხებელზე საკმაოდ მძიმეა, რასაც მაღალი საპროცენტო გა-

ნაკვეთები და მოკლე ვადიანობები განაპირობებს. ყოველივე ეს კი სესხის ყოველთვიურ შენატანს ზრდის. ვადიანობის ზრდა, მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში აზრს კარგავს, რადგან ვადიანობის მიუხედავად, ყოველთვიურ შენატანში დიდია და არ იცვლება პროცენტის წილი, ხოლო ძირი თანხა უმნიშვნელოდ მცირდება. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთების შემცირება, სასურველია არამარტო ეკონომიკური განვითარებისთვის, არამედ აუცილებელი წინაპირობაა ბანკების შემდგომი ზრდის მისაღებად. ამის მიღწევა შესაძლებელია რამოდენიმე გზით, ყველაზე პრიორიტეტულ და რეალურ მიმართულებებად კი შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი:

საოპერაციო ეფექტიანობის გაუმჯობესება ერთის მხრივ საბანკო სისტემის მასშტაბის ზრდით იქნება მიღწეული , ხოლო მეორეს მხრივ, შიდა სისტემების ოპტიმიზაციით, მათ შორის ახალი სისტემების დანერგვით (ელექტრონული გადახდები, ინტერნეტ და მობაილ-ბანკინგი და ა.შ) ეფექტიანობის გაუმჯობესებას ასევე ხელს უწყობს საბანკო სისტემის კიდევ უფრო მეტი კონსოლიდაცია. თუმცა, ეს არ უნდა ასოცირდებოდეს კონკურენციის შეზღუდვასთან. პირიქით, კონსოლიდაცია გაზრდის ეფექტიანობას, წარმოშობს ბაზრის ახალ ძლიერ მოთამაშეებს, შეამცირებს ბანკების ხარჯებს, რაც საბოლოო ჯამში სასესხო განაკვეთის კლებაში აისახება და მოსახლეობას სესხის მომსახურების ტვირთს შეუმსუბუქებს;

სესხების საპროცენტო განაკვეთზე პირდაპირ გავლენას იქონიებ ვალდებულებების ხარჯის შემცირება. ეს უკანასკნელი ბუნებრივად მოხდება ქვეყანაში დანაზოგების დონის ზრდით, რაშიც დიდ წვლილს შეიტანს საპენსიო რეფორმის განხორციელებაც. ქვეყნის რისკის შემცირება და საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი რესურსის გაიაფებას.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მაღალია საკრედიტო რისკები, რისკების მართვის ფუნქციის გაძლიერება ბანკების მხრიდან რაციონალური და მოსალოდნელი ნაბიჯია. რისკების მართვის ფუნქციის განვითარების წასახალისებლად აქტიურად მუშაობს საქართველოს ეროვნული ბანკიც, რაც საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრონციპების მზარდი გამოყენებით გამოიხატება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი:

სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება ხარჯების არსებული სტრუქტურის პირობებში რთულია, თუმცა არსებობს ხარჯების ნაწილის კლების პოტენციალი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საბანკო სისტემაში კონცენტრაცია დიდია, კონკურენციის დონე საკმაოდ მაღალია. ჯკონკურენცია ზღუდავს მომგებიანობას, რაც ნათლად აისახება კაპიტალზე ამონაგების ისტორიულ დაბალ დონეში. ქვეყანაში მაღალია საკრედიტო რისკები, რომელთა ფასი სესხის საპროცენტო განაკვეთში იდება და ზრდის მას. საკრედიტო რისკის შემცირება შესაძლებელია ბანკებში რისკების მართვის ფუნქციის უფრო მეტად დახვეწით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ინგოროყვა - საბანკო მენეჯმენტის ტრადიციები და მათი ზოგიერთი თავისებურება საქართველოში. "ტექნიკური უნივერსიტეტი" 1997წ.
2. გ. ცაავა — საბანკო საქმე, თბილისი, 2005წ.
3. რ. კაკულია; გ.ხელაია — ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია- თბილისი , 2004წ.
4. ი.კოვზანაძე — საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე — თბილისი , 2001წ.
5. ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე — თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2014წ.
6. Королев О.Г. Анализ процентной прибыли коммерческого банка //Денги и кредит. – 1997 №6
7. www.nbg.gov.ge
8. www.bankofgeorgia.ge

კომერციული ბანკის პროცენტული რისკი და საპროცენტო პოლიტიკა

თამარ აბშილავა, დოქტორანტი

რეზიუმე

პროცენტული რისკის დონის განსაზღვრა და საპროცენტო რისკის მართვა, ძალზედ მნიშვნელოვანია კომერციული ბანკებისათვის, რადგან ასეთი რისკი შეიძლება დამატებითი მოგების მიღების წყაროდ გამოვიდეს. ამასთან ერთად, კომერციული ბანკისათვის, ჭარბი რისკის დონე კონკრეტულ ეკონომიკურ პირობებში, ზოგჯერ აღნიშნული ბანკის ფინანსური მდგომარეობისათვის სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკა კი საბანკო ოპერაციებიდან სუფთა პროცენტული შემოსავლის მაქსიმიზაციაზე, საკრედიტო რისკის დაზღვევაზე და ბანკის ბალანსის ლიკვიდობის მართვაზე არის მომართული და მისი მეშვეობით კომერციული ბანკები მნიშვნელოვან ამოცანებს წყვეტენ.

სტატიის მიზანია პროცენტული რისკის არსისა და კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების მიმოხილვა; შესწავლილია საპროცენტო რისკის წარმოშობის წყაროები და საპროცენტო რისკის მართვის ძირითადი პრინციპები; მოცემულია საპროცენტო რისკის შეფასების მეთოდები;

საკვანძო სიტყვები: საბანკო პროცენტი; საბანკო კრედიტი; საპროცენტო განაკვეთი; პროცენტული რისკი; პროცენტული პოლიტიკა; პროცენტის საბაზისო განაკვეთი;

Interest risk and Interest policy of Commercial Banks

Tamar Abshilava, Doctoral student

Summary

Defining of interest risk level and managing of interest risk is very important for commercial banks, because such risk may become additional source of receiving profit. Herewith, level of excessive risk for commercial banks in specific economical provisions, sometimes faces serious danger for financial state of the mentioned bank.

Interest policy of commercial banks is directed to maximization of net interest income from operations, ensuring of credit risk and managing of bank balance liquidity and commercial banks resolve important tasks through it.

The aim of the article is to review the main point of interest risk and important issues of interest policy of commercial banks. The source of origin of interest risk and its basic managing principles is given in the articles. Methods of evaluation of interest risk are also defined;

Keywords: Bank interest, Bank advance; Interest rate; Interest risk; Interest policies; Base rate;

* * * * *

პროცენტული რისკი - არის საპროცენტო განაკვეთების დონის დროში ცვლილების შედეგად ფინანსური დანაკარგების ალბათობა. კომერციულ ბანკებთან მიმართებაში, პროცენტული რისკი შეიძლება განსაზღვრული იქნას, როგორც საპროცენტო განაკვეთების დონის ცვლილების შედეგად ბანკის სუფთა შემოსავლის შემცირების რისკი, მისი კაპიტალის ღირებულების დაკარგვამდეც.

ამრიგად, პროცენტული რისკი ასახავს საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებისადმი მიდრეკილების დონეს. პროცენტული რისკის მიღება კომერციული ბანკისათვის აბსოლუტურად ნორმალურ მოვლენას წარმოადგენს. ასეთი რისკი შეიძლება დამატებითი მოგების მიღების წყაროდ გამოვიდეს. ამასთან ერთად, მოცემული ბანკისათვის, ჭარბი რისკის დონე კონკრეტულ ეკონომიკურ პირობებში ზოგჯერ აღნიშნული ბანკის ფინანსური მდგომარეობისათვის სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

პროცენტული რისკი წარმოიშობა ფულადი ბაზრის სამომავლო მდგომარეობასთან მიმართებაში ინფორმაციის განუსაზღვრელობის, ასევე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, მაგალითად, ინფლაციის ტემპების, საბიუჯეტო დეფიციტის სიდიდის, შიდა ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპების ცვლილების შედეგად. პროცენტული რისკის ფაქტორებს მიეკუთვნება ასევე კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობა.

ბაზელის კომიტეტის მიერ პროცენტული განაკვეთის მართვის პრინციპებში (1997) პროცენტული რისკის შემდეგი ოთხი წყაროა გამოყოფილი: ფასის ცვლილების რისკი, შემოსავლიანობის მრუდის ცვლილების რისკი, საბაზისო რისკი, ოფციონებთან დაკავშირებული რისკები. ამრიგად, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები შეიძლება არასასურველად აისახოს როგორც ბანკის შემოსავლებზე, ასევე მისი კაპიტალის ღირებულებაზეც.

პროცენტული რისკის შეფასების ძირითადი მეთოდების სახით გამოყოფენ შემდეგს: პროცენტული რისკების ცვალებადობისადმი მიდრეკილების მქონე აქტივებსა და პასივებს შორის წყვეტადობის ანალიზის მეთოდი {GAP (gap) ანალიზის მეთოდი}; დიურაციის მეთოდი; იმიტაციური მოდელირება; ანალიზის სტატისტიკური მეთოდები.

პროცენტული რისკების ცვალებადობისადმი მიდრეკილების მქონე აქტივებსა და პასივებს შორის წყვეტადობის ანალიზის მეთოდი - {GAP (გეპ) ანალიზის მეთოდი}. დაფუძნებულია აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობებს შორის გაზომვებზე, რომელთა ღირებულება დროის დასახული პერიოდის შემდეგ იძულებული იქნება შეიცვალოს. ამასთან

მოთხოვნილებები და ვალდებულებები დაიყოფა ჯგუფებად პროცენტული გადახდების რეგულირების სისწრაფესთან და განაკვეთების ახალ დონეზე გადასვლასთან შესაბამისობაში. როგორც წესი, ამ შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი კლასიფიკაცია:

RSA - არის აქტივები მოძრავი საპროცენტო განაკვეთებით;

RSL - არის პასივები მოძრავი საპროცენტო განაკვეთებით;

აქტივებისა და პასივების მითითებულ კატეგორიებს შორის თანაფარდობა ბანკის პროცენტული რისკისადმი მიდრეკილების მახასიათებელია. აღნიშნულმა ანალიზმა GAP ანალიზის განსაზღვრა მიიღო და იგი პროცენტული რისკის შეფასების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მარტივ ხერხს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში თუ RSA > RSL, GAP ითვლება დადებითად; როდესაც RSA < RSL - უარყოფითად.

თუ საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ბანკისათვის უფრო სასურველია თანაფარდობა, როდესაც GAP დადებითია, ანუ მოძრავი პროცენტულ განაკვეთებიანი აქტივების რაოდენობა მეტია პასივების შესაბამის სიდიდეზე, რაც უფრო იზრდება აქტიურ და პასიურ ოპერაციების განაკვეთებში სხვაობა - იზრდება პროცენტული მარჟა. საპირისპირო შემთხვევაში, პროცენტის საბაზრო დონის დაცემისას სასურველია უკუ ტაქტიკას დაეჭიროს მხარი და ფიქსირებული განაკვეთებიანი აქტივების გამაგრება მცურავი საპროცენტო განაკვეთებიანი პასივებით განხორციელდეს.

მთლიანობაში სუფთა პროცენტული შემოსავლის (პროცენტული მარჟის - მჟ) მოსალოდნელი ცვლილება საპროცენტო განაკვეთების გადახედვის ვადებისა და სიჩქარის მიხედვით აქტივებისა და პასივების დაუბალანსებულობასთან დაკავშირებით გამოიხატება შემდეგი დამოკიდებულებით:

$$M = GAP \times \Delta i,$$

სადაც: Δi - არის საპროცენტო განაკვეთების მოსალოდნელი ცვლილება.

პროცენტული რისკისადმი ბანკის მიდრეკილების ხარისხის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებელი:

$$IR = GAP : A,$$

სადაც A - არის აქტივები-ნეტო.

GAP-ით მართვა საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ციკლის განმავლობაში პროცენტული მარჟის მაქსიმიზაციის ამოცანას ითვალისწინებს, როგორებიცაა: 1) განაკვეთების, ვადების, აქტივების პორტფელის ეკონომიკის სექტორების მიხედვით დივერსიფიცირებულობის, მისი მაღალი ლიკვიდობის, აქტივებისა და პასივების დაფარვის ვადების მიხედვით მაქსიმალურად დაბალანსების უზრუნველყოფისაკენ მისწრაფების მხარდაჭერა. 2) საპროცენტო განაკვეთების ციკლის თითოეული ეტაპისადმი ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის შესაბამისი სტრატეგიის გამოყენება. მაგალითად, დაბალი საპროცენტო განაკვეთების ეტაპზე მათი ზრდის მოლოდინისას მიზანშეწონილია სახსრების სესხად მიღების ვადები გაიზარდოს, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი კრედიტების მოცულობა შემცირდეს, ინვესტიციების ვადები შემცირდეს, მოზიდულ იქნას გრძელვადიანი სესხები, დახურულ იქნას საკრედიტო ხაზები.

დიურაციის მეთოდი: აღნიშნული მეთოდი საპროცენტო განაკვეთების დონის პროგნოზირებადი მოძრაობისას ბანკის კაპიტალის ღირებულების მოსალოდნელი ცვლილების შეფასების შესაძლებლობას იძლევა. მიცემული მეთოდი დაფუძნებულია დიურაციის - პროცენტული აქტივებისა და პროცენტული პასივების ერთობლივ ხანგრძლივობას შორის შეუსაბამობის განსაზღვრაზე. დიურაციის გაანგარიშებისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$DGAP = DA - (DL \times L : A),$$

სადაც: DGAP - არის დიურაცია;

A - არის აქტივები;

L - არის პასივები;

DA - არის აქტივების დიურაცია;

DL - არის პასივების დიურაცია.

დიურაციის განსაზღვრისას გაითვალისწინება მხოლოდ პროცენტის სახით შემოსავლის მომტანი ინსტრუმენტები (პროცენტული ინსტრუმენტები). თუ დიურაციას მათემატიკური განსაზღვრება მიეცემა, მაშინ დიურაცია - არის საშუალოშეწონილი ხანგრძლივობა აქტივების (ვალდებულებების) დაფარვამდე, ამასთან შეწონვის ფაქტორის სახით, შესაბამისი ინსტრუმენტის მიხედვით ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება გამოიყენება.

დიურაცია ბანკის კაპიტალის ღირებულების (EV) მოსალოდნელი ცვლილების გაანგარიშებისათვის საპროცენტო განაკვეთების შესაძლო მოძრაობასთან დაკავშირებით გამოიყენება.

იმიტაციური მოდელირება ბანკის ბალანსის სამომავალო სტრუქტურის სხვადასხვა სცენარებისა და საპროცენტო განაკვეთების შემოსავლიანობის მრუდის ცვლილებას ითვალისწინებს. მთლიანობაში იმიტაციური მოდელირების შედეგები დამოკიდებულია მოდელირების ორ ხერხზე: სტატისტიკურზე და დინამიურზე.

სტატისტიკური მოდელირება ითვალისწინებს, რომ საბალანსო და გარესაბალანსო მოთხოვნებისა და ვალდებულებების სტრუქტურა არ იცვლება, ანუ ბანკი ანალიზირებად პერიოდში რესურსების არც მოზიდვას, არც განთავსებას არ გეგმავს.

დინამიურ მოდელირებას ახორციელებენ ბალანსური და გარებალანსური მუხლების აქტივებისა და პასივების მიმდინარე სტრუქტურიდან გამომდინარე, მაგრამ სახსრების მოზიდვასთან და განთავსებასთან მიმართებაში მომავალში მოსალოდნელი ოპერაციების გათვალისწინებით.

იმიტაციური მოდელირების შედეგს წარმოადგენს საპროცენტო რისკის შეფასება, როგორც მოქმედი საპროცენტო განაკვეთების პირობებში სტატიკური სცენარისათვის განსაზღვრული პროცენტული მარჟის სიდიდესა და თითოეული სხვა მოდელისათვის გაანგარიშებულ პროცენტულ მარჟას შორის სხ-

ვაობა.

ანალიზის სტატისტიკური მეთოდები: რისკის რაოდენობრივი შეფასების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სტატისტიკურ მეთოდს, VAR - ანალიზი (Value at risk) წარმოადგენს. მეთოდოლოგია VAR ფინანსური ინსტრუმენტის ფასის (შემოსავლიანობის) ცვლილებისაგან დამოკიდებულებაში შესაძლო დანაკარგების დასახული ალბათობით რაოდენობრივად შეფასების შესაძლებლობას იძლევა, ფინანსური ბაზრის შედარებით სტაბილური მდგომარეობისას, წარსულში ფასის განმსაზღვრელი ფაქტორების ინტეგრირებულ ზემოქმედებას ასახავს.

VAR - ანალიზი სხვადასხვა მეთოდებით ხორციელდება, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია - დელტა-ნორმალური მეთოდი, რომლის საფუძველშიც საბაზრო ინსტრუმენტების ლოგარითმული შემოსავლიანობების განაწილების ნორმალური კანონის შესახებ მოსაზრებაა ჩადებული. დელტა-ნორმალური მეთოდის ძირითადი უპირატესობებია: რეალიზაციის შედარებითი სიმარტივე, შედარებით მცირე დანახარჯები, შეფასების მისაღები სიზუსტე. როგორც სტანდარტულ ტექნოლოგიებში გამოყენებადი სტატისტიკური შეფასების მეთოდი, VAR - ანალიზი პროცენტული რისკის შეფასებისათვის გამოიყენება.

მაჩვენებელი VAR დასახული ალბათობით ბანკის ბალასის სტრუქტურის გათვალისწინებით დასახულ დროით ჰორიზონტზე დანაკარგების შესაძლო სიდიდის შეფასების შესაძლებლობას იძლევა:

$$VAR = k_{1-a}\, б * V \Delta T,$$

სადაც: б (სიგმა) - არის ინსტრუმენტის შემოსავლიანობის სტანდარტული გადახრა;

k_{1-a} - არის კვანტილი ნორმალური განაწილების დასახული ნდობითი დონისას;

T - არის შეფასების დროითი ჰორიზონტი;

V - არის ღია პოზიცია პროცენტული რისკის ნაწილში.

საპროცენტო რისკის მართვის ძირითადი პრინციპების სახით შეიძლება დასახელებული იქნას შემდეგი: 1) ბანკის მართვის ორგანოების მიერ პროცენტული რისკის მართვის სტრატეგიისა და პოლიტიკის დამტკიცების აუცილებლობა; 2) ბანკში პროცენტული რისკის მართვაზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირები ან კომიტეტები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული; 3) რისკების მართვის საკითხებთან მიმართებაში

ადექვატური პოლიტიკისა და ინსტრუმენტების არსებობა არის აუცილებელი; 4) ბანკებმა ახალი ფინანსური პროდუქტებისა და ოპერაციებისათვის დამახასიათებელი რისკების იდენტიფიცირება უნდა განახორციელონ და მათი ადექვატური მართვა უზრუნველყონ; 5) ბანკებს, პროცენტული რისკის ყველა წყაროებისა და პროცენტული განაკვეთების გაზომვის შედეგის შეფასების სისტემები უნდა გააჩნდეს; 6) ბანკებმა საოპერაციო ლიმიტები და სხვა შეზღუდვები შიდა პოლიტიკისა და შიდა პროცედურების დამტკიცებულ ჩარჩოებში უნდა დაადგინონ; 7) ბანკებს, პროცენტული რისკის დონის შეფასებისათვის, მონიტორინგისათვის, კონტროლისა და ანგარიშგებების წარდგენისათვის ადექვატური საინფორმაციო სისტემები უნდა გააჩნდეთ; 8) ბანკს პროცენტული რისკის მართვის პროცესის შიდა კონტროლის ადექვატური სისტემა უნდა ჰქონდეს.

საპროცენტო რისკის მართვის ძირითადი პრინციპები სპეციალურ საბუთში უნდა იყოს ასახული და მართვის ორგანოს მიერ იქნას დამტკიცებული. როგორც წესი, ასეთი დოკუმენტის სახით „კომერციული ბანკის საპროცენტო პოლიტიკა" გამოიყენება.

საპროცენტო პოლიტიკა ფართე გაგებით - არის პროცენტული განაკვეთების მართვის მეშვეობით, ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებასთან მიმართებაში ერთობლივი ღონისძიებები. კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკა საბანკო ოპერაციებიდან სუფთა პროცენტული შემოსავლის მაქსიმიზაციაზე, საკრედიტო რისკის დაზღვევაზე და ბანკის ბალანსის ლიკვიდობის მართვაზე არის მომართული.

საპროცენტო პოლიტიკის მეშვეობით, ბანკი წყვეტს შემდეგ ამოცანებს: 1) ისახავს მიზნებს, რომლის რეალიზაციაზე საპროცენტო პოლიტიკის განხორციელება არის მიმართული; 2) განსაზღვრავს ბანკის მართვის ორგანოების უფლებამისილებებს; 3) ადგენს საბანკო ოპერაციების მიხედვით მაქსიმალურ და მინიმალურ საპროცენტო განაკვეთებს; 4) განსაზღვრავს ბანკის ქვედანაყოფს, რომელიც საპროცენტო რისკის შეფასებაზეა პასუხისმგებელი; 5) ამტკიცებს მოდელებს, რომლებიც ბანკის მიერ საპროცენტო რისკის შეფასებისათვის გამოიყენება; 6) ადგენს ინსტრუმენტარიებს, რომლებიც საპროცენტო რისკის შეზღუდვისათვის გამოიყენება.

საპროცენტო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების დიფერენციაცია, რომელიც განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა საკრედიტო განაკვეთის რისკის დონით და დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: კრედიტის ხარისხის კატეგორიაზე; უზრუნველყოფის არსებობაზე, საკმარისობასა და ლიკვიდობაზე; დაკრედიტების ვადის, კრედიტის დაფარვის ან პროცენტების გადახდის მიხედვით გადავადების არსებობაზე; მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით აღებული ვალდებულებების დაცვაზე.

მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშკრულების პირობების დაუცველობის შემთხვევაში, ბანკი საჯარიმო პროცენტებს არიცხავს, რომელთა დონე შეუსრულებელი ვალდებულებების ხასიათისაგან არის დამოკიდებული. როგორც წესი , თუ მსესხებელი ვადაგადაცილებულ დავალიანებას უშვებს, მისდამი გამოიყენება სანქცია რეფინანსირების ორმაგი განაკვეთის მიხედვით საჯარიმო პროცენტების დარიცხვის სახით.

დასკვნა:

პროცენტული რისკი შეიძლება განსაზღვრულ იქნას, როგორც საპროცენტო განაკვეთების დონის ცვლილების შედეგად ბანკის სუფთა შემოსავლის შემცირების რისკი. საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები შეიძლება არასასურველად აისახოს როგორც ბანკის შემოსავლებზე, ასევე მისი კაპიტალის ღირებულებაზეც. გამომდინარე აქედან, საპროცენტო რისკის წარმოშობის წყაროების და ამ რისკის მართვის ძირითადი პრინციპების და საპროცენტო რისკის შეფასების მეთოდების შესწავლა, ისევე როგორც სწორი საპროცენტო პოლიტიკის დანერგვა, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებია კომერციული ბანკების სტაბილური ფუნქციონირებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Под ред. О.И. Лаврушина. – Банковское дело: учебник. – Москва: КНОРУС, 2009
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. - თბილისი, გამომცემლობა: შპს „სეზანი», 2014წ.
3. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა: „დანი», 2014წ.
4. ხანთაძე გ., ცაავა გ. - საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო). - თბილისი, გამომცემლობა შპს „წიგნის სახელოსნო», 2012წ.

ბიზნეს-ინჟინერინგი საბუღალტრო აღრიცხვაში

დანახარჯების აღრიცხვა ფორმირების ადგილისა და პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით (პრობლემები, გადაწყვეტის გზები)

გიორგი ნანუაშვილი, *ასოც. პროფესორი*

რეზიუმე

მეურნეობრივი ანგარიშსწორების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპად გვევლინება დანახარჯების განსაზღვრა მიღწეული შედეგების მიხედვით.

ნაკლებად შესწავლილად მიგვაჩნია ფაქტიური დანახარჯრბის განსაზღვრისა და შიდასაქარხნო შედეგების გაანგარიშების პრობლემა მონაკვეთების, ბრიგადების, განყოფილებების, ლაბორატორიების და სხვა ქვემდგომი დანაყოფების დონეზე. ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ ასეთი აღრიცხვის საფუძველი უნდა იყოს დანახარჯებისა და შედეგების დაჯგუფების ფორმირების ადგილი.

ზოგიერთი ავტორები ბუღალტრული აღრიცხვის გადაუჭრელ პრობლემათა რიცხვს მიაკუთვნებენ საფუძვლიან განსხვავებას ცენტრსა, დანახარჯთა ადგილებსა და პასუხისმგებლობის ცენტრებს შორის. ბევრი საიხლე წარმოიშობა აღრიცხვის ნორმატიული მეთოდის შინაარსში, რომელიც ორიენტირებულია გადახრების გამოსავლენად არა პროდუქციის სახეების მიხედვით, არამედ მათი დამზადების ადგილის მიხედვით.

Calkulation of plucal expanses according
to centers of forming and responsibility
(problems, ways to resolve)

Giorgi Nanuashvili

Summary

One of the most considerableprinciple of thrifth economy calculation is detcrmination of plural exspanses, according the achieved results.

We suppose that the problem of defining factual exspanses (on the level of) sections, departaments , laboratories aren't studied well enough. some schdars assume that basis of this calculation is a place of resalts forming and grouping.

For some author unresolved problem of calculation is principle difference between place of exspanses and center of responsibility. Novelities arise in the content of normative method, which is oriented to manifesting the deviatation of product according to its procurement.

* * * * *

მეურნეობრივი ანგარიშსწორების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპად გვევლინება დანახარჯების განსაზღვრა მიღწეული შედეგების მიხედვით. საწარმოს დონეზე იგი მიიღწევა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე აღრიცხული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგების დაპირისპირებით მისი წარმოებისა და გასაღების სრულ ფაქტიურ თვითღირებულებასთან. რთულად არის საქმე, როდესაც იგი ეხება ფაქტიური დანახარჯების განზოგადებულ აღრიცხვასა და შიდასაქარხნო ქვედანაყოფების საქმიანობის შედეგებს. აქ ფაქტობრივად თეორიულადაც და პრაქტიკულადაც გადაწყვეტილია საკითხი დანახარჯთა სისტემური აღრიცხვისა და საბოლოო პროდუქტის გამომშვებ საამქროთა წარმოების მოცულობის შესახებ, აგრეთვე იმ ნახევარფაბრიკატებისა და მომსახურების შესახებ, რომლებზედაც დადგენილია ან შეიძლება დადგენილი იყოს ფასები.

ჩვენი აზრით, ნაკლებად შესწავლილად მიგვაჩნია ფაქტიური დანახარჯების განსაზღვრისა და შიდასაქარხნო შედეგების გაანგარიშების პრობლემა მონაკვეთების, ბრიგადების, განყოფილებების, ლაბორატორიების და სხვა ქვემდგომი დანაყოფების დონეზე. ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ ასეთი აღრიცხვის საფუძველი უნდა იყოს დანახარჯების და შედეგების დაჯგუფების ფორმირების ადგილი.

მცდელობა იმისა, რომ შემუშავებული ყოფილიყო დანახარჯების აღრიცხვის სისტემა ადგილისა და წარმოშობის ცენტრების ჭრილში საამქროების, განყოფილებების და ქარხნის მართვის სამსახურების შიგნით არა ერთხელ განხორციელდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მთავრდებოდა რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის გარეშე. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ მხედველობაში არ იყო ხოლმე მიღებული დანახარჯების ბუღალტრული განზოგადების თავისებურებები, რომელიც ითვალისწინებდა დოკუმენტური რეგისტრაციის აუცილებლობას, ინფორმაციის სისტემურ ასახვას, მის მიერ აღრიცხული მოვლენებისა და ფაქტების მთლიან მოცულობას. ისმებოდა ამოცანა, მაგალითად აღრიცხვა გვეწარმოებინა მხოლოდ სამეურნეო რგოლების დანახარჯების ნაწილში ან მხოლოდ ცალკეული ქვეჯგუფების მონაკვეთების, სამსახურების მიხედვით

სხვა ხარჯებთან რაიმე კავშირის გარეშე. ყალიბდება პირობითი დანახარჯების მუხლები საანგარიშსწორებო პრეტენზიების სახით, რომლებიც არ აღირიცხებოდა ბუღალტრულ აღრიცხვაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულით არ ხდებოდა აღრიცხვის სისტემის ერთიანობის უზრუნველყოფა, დანახარჯთა ერთიანობის (ნაერთის) შესაძლებლობა, მათი ურთიერთ შედარება, შიდასაქარხნო ანგარიშსწორების ფაქტიური შედეგების უტყუარობის კონტროლი. ცხადია, რომ ასეთი აღრიცხვა, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ოპერატიული აღრიცხვის ნაირსახეობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში როგორც ბუღალტრული აღრიცხვა. ოპერატიული აღრიცხვა კი როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში უშვებს გამარტივების, პირობითობის შესაძლებლობას. იგი არ ხასიათდება სისრულით და დოკუმენტური დასაბუთებულობით. ის რაც მისაღებია რაოდენობრივი, ძირითადად მოცულობითი მაჩვენებლების გეგმის შესრულებაზე მიმდინარე (თვის განმავლობაში) დაკვირვებისათვის, არ გამოგვადგება საანგარიშსწორებო საქმიანობის საბოლოო შედეგების კონტროლისათვის, თვითღირებულებისა და მოგებისათვის, ზარალის თანხის განსაზღვრისათვის, რაც საწარმომ განიცადა მოუქნელი მეურნეობრივი საქმიანობიდან.

ადრე საწარმოებში არსებული მექანიზაციის დონე, რომლითაც მუშავდებოდა ეკონომიკური ინფორმაცია, უკეთეს შემთხვევაში, საშუალებას გვაძლევდა დანახარჯებისა და სამეურნეო საქმიანობის შედეგების აღრიცხვის ორგანიზაცია გვეწარმოებინა საამქროების ჭრილში. სხვა საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტა არც კი ხდებოდა, რადგანაც ყველას ესმოდა, რომ დანახარჯებისა და წარმოების მოცულობის აღრიცხვა ადგილისა და ცენტრების მიხედვით დაკავშირებული იყო აღრიცხვის შრომატევადეობისა და მისი ღირებულების ზრდასთან. მაგრამ ძირითადი მიზეზი მაინც არ იყო ეს. მიზეზად ჩვენ სხვა მიგვაჩნია. იმ პერიოდისათვის არსებობდა ერთიანი საერთო სახალხო საკუთრება, რომლის დროსაც წარმოების განვითარების ექსტენსიურობის პირობებში ორიენტაცია გეგმის რაოდენობრივი, მოცულობითი მაჩვენებლებით არ ახდენდნენ დანახარჯთა ეკონომიის სტიმულირებას. წარმოების ხელმძღვანელები, მონაკვეთებისა და საამქროს უფროსები არ ინტერესდებოდნენ დანახარჯთა დონით, რომლებიც დაკავშირებული იყო მათ საქმიანობასთან. ასეთი მიდგომით განსაკუთრებით ,,ზარალდებოდა" მატერიალური დანახარჯები, რომელთა ლიმიტი ხელფასის ლიმიტისაგან განსხვავებით, არ უდგინდებოდათ მონაკვეთებსა და ბრიგადებს. უფრო მეტიც, რაც უფრო მაღალი იყო წარმოების მასალატევადობა, სხვა დანარჩენ თანაბარ პირობებში, გეგმის შესრულების ღირებულებითი მაჩვენებლები უფრო მნიშვნელოვანნი აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

ამჟამად მდგომარეობა ძირეულად იცვლება. წარმოების ფუნქციონირების და გაფართოების ძირითად წყაროდ გვევლინება რესურსების, მათ შორის მატერიალურის, არა დამატებითი მოზიდვა, არამედ მათი ეკონომია, მიზანმიმართული ხარჯვა. აღრიცხვის ამოცანა ხდება არა მარტო რესურსების ხარჯვის საერთო თანხის განსაზღვრა, მისი ეკონომია ან გადახარჯვა, არამედ ამ გადახრებში ცალკეული ბრიგადების, მონაკვეთების, საამქროების წვლილი წარმოების მოცულობის და მისი დანახარჯების აღრიცხვის ორგანიზაცია მათი ადგილებისა და ცენტრების მიხედვით ხდება ობიექტურად აუცილებელი. ამის საშუალებას კი გვაძლევს თანამედროვე კომპიუტერული ქსელი, რომელმაც რა დასამალია და საკმაოდ შეამსუბუქა და გაამარტივა ბუღალტრის მუშაობა.

ზოგიერთი ავტორები ბუღალტრული აღრიცხვის გადაუჭრელ პრობლემათა რიცხვს მიაკუთვნებენ საფუძვლიან განსხვავებას დანახარჯთა ადგილებსა და პასუხისმგებლობის ცენტრებს შორის. ბევრი სიახლე წარმოიშობა აღრიცხვის ნორმატიული მეთოდის შინაარსში, რომელიც ორიენტირებულია გადახრების გამოსავლენად არა პროდუქციის სახეების მიხედვით, არამედ მათი დამზადების ადგილის მიხედვით: სხვა მიდგომით ხორციელდება დანახარჯთა ნორმირება, წარმოიშვება ახალი გადახრები, იცვლება მათი განზოგადებისა და გაერთიანების სისტემა. ამ საკითხების გადაწყვეტის გარეშე, როგორც თეორიულ ასევე მეთოდოლოგიურ ჭრილში, შეუძლებელია შევიმუშავოთ და დავნერგოთ აღრიცხვის სისტემა პრაქტიკაში ხარჯების ადგილების და ცენტრების მიხედვით.

ზოგჯერ, უფრო ხშირად კი პრაქტიკოს ბუღალტრებს ებადებათ კითხვა: საჭირო არის კი დანახარჯების ბუღალტრული აღრიცხვა მათი ადგილებისა ფორმირების ცენტრების მიხედვით ნორმატიული მეთოდის პირობებში, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ გადახრები არა მარტო პროდუქციის სახეების მიხედვით, არამედ ასევე მათი მიზეზების, ადგილისა და დამნაშავეთა გამოვლენის მიხედვით? ვფიქრობთ, რომ ასეთი აღრიცხვა საჭიროა თვით ნორმატიული მეთოდის პირობებშიც კი.ჯერ ერთი, ბრიგადული საქმიანობისას მისი დანერგვა შესაძლებელია მხოლოდ წარმოებაში ფაქტიური დანახარჯების სისტემური აღრიცხვის ორგანიზაციის პირობებში, ანუ რეალური დანახარჯების მთლიანი ან მნიშვნელოვანი ერთობლიობით და არა მხოლოდ ნორმებიდან გადახრებით. მეორე - ნორმატიული მეთოდი არსებული ფორმით მოიცავს მხოლოდ წარმოების დანახარჯების აღრიცხვას. რაც შეეხება მიმდინრე, დოკუმენტურდ დასბუთებულ გადახრებს მმრთველობის, მომარაგების თუ გასაღების დანახარჯებზე, შეიძლება ითქვას,არ გამოავლენს. თუ ჩვენ მმართველობითი საქმიანობის სფეროში დავნერგავთ სამეურნეო ანგარიშსწორების ელემენტებს, დაუპირისპირებთ შენახვისათვის გათვალისწინებულ დანახარჯებს ინდივიდუალური მუშაობის შედეგებითა და საწარმოს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მაშინ გვერდს ვერ აუვლით დანახარჯთა საქარხნო მმართველობითი განყოფილებების

ან უკიდურეს შემთხვევაში მმართველობითი საქმიანობის ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით ინფორმაციას და ბოლოს, დანახარჯების დაჯგუფება მათი წარმოშობის ადგილებისა და ცენტრების მიხედვით აუცილებელია ფაქტიური თვითღირებულების კალკულაციის სიზუსტის ამაღლებისათვის, ანუ პრობლემის გადაწყვეტა, ჩვენი ღრმა რწმენით, აქტუალურია თვით ნორმატიული მეთოდის გამოყენების პირობებშიც.

იმის თქმა, რომ დანახარჯთა აღრიცხვა ფორმირების ადგილებისა და ცენტრების მიხედვით არის რაღაც პრინციპიალურად ახალი, რომელიც ადრე არ მოიხსენიებოდა ბუღალტრული აღრიცხვის თეორიაში და არ გვხვდებოდა პრაქტიკულ საქმიანობაში არ იქნებოდა სწორი. ამის შესახებ მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში საუბრები იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში. ამჟამად დანახარჯთა აღრიცხვა წარმოშობის ადგილების მიხედვით გამოიყენება დანახარჯთა დაჯგუფებისათვის საკალკულაციო მუხლების მიხედვით.

ამავე დროს, ვფიქრობთ, რომ დანახარჯთა აღრიცხვა ფორმირების ადგილებისა და ცენტრების მიხედვით და მათი დანიშნულება უფრო ფართეა, ვიდრე საკალკულაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ის განკუთვნილია უპირველეს ყოვლისა,შიდა საქარხნო ქვეგანყოფილებების სამეურნეო საქმიანობის კონტროლის მართვისათვის, მათ მუშაობაში ეკონომიურობის პრინციპის რეალიზაციის პირობების უზრუნველყოფისათვის. ყოველივე აღნიშნული იძლევა საფუძველს სულ ახლებურად მიუდგეთ ასეთი აღრიცხვის აუცილებლობის განსაზღვრას, მის შინაარსსა და ორგანიზაციას. უპირველეს ყოვლისა, წარმოიშობა მოთხოვნილება დანახარჯების უფრო მეტი დიფერენციაციისა, ვიდრე კალკულაციური მიზნებისათვის. მათი რაოდენობა განისაზღვრება, პირველ რიგში მმართველობითი მოთხოვნილებებითა და მიღებული ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობებით. ისიც უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში დაწვრილებით არის აღწერილი შიდა საქარხნო ქვეგანყოფილების დასაბუთებული კრიტერიუმები დანახრჯთა ადგილებისა და ცენტრების მიხედვით. ასეთ ქვეგანყოფილებებად უნდა იქცნენ ძირითადი და დამხმარე წარმოებათა (საამქროების)ბრიგადები, ოსტატთა მონაკვეთები, სხვა შიდასაქარხნო ქვეგანყოფილებები, რომელთაც გააჩნიათ საწარმოო საქმიანობის მოცულობათა ზუსტი განზომილებები. ესენი შეიძლება იყოს არასაწარმოო სამსახურები: ქარხნის ტიპოგრაფია, სამშენებლო ჯგუფები, კვების ობიექტი და სხვა. ქარხნის სამმართველო განყოფილებები და სამსახურები შეიძლება გაერთიანებული იყოს ერთგვაროვან ჯგუფებად და ისინი განხილულნი იქნენ, როგორც დანახარჯთა ერთიანი სააღრიცხვო ადგილი. მაგალითად, მარკეტინგის განყოფილება, რომელიც თავის თავში მოიცავს არა მარტო მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, ასევე პროდუქციის გასაღებას (მასში ჩაირთვება შესაბამისი სასაწყობო მეურნეობა), საკონსტრუქტორო - ტექნოლოგიური, ეკონომიკური სამსახურები. აუცილებლობის შემთხვევაში მართვის ყოველი განყოფილებიდან თითოეული შეიძლება განხილული იქნეს, როგორც დამოუკიდებელი სააღრიცხვო ქვეგანყოფილება. საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯთა ადგილების და ცენტრების შემადგენლობა უმეტესად განისაზღვრება ამა თუ იმ საწარმოს მასშტაბებით, დარგობრივი თავისებურებებით, მექანიზაციის დონით, ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ხერხებით და სხვა.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ურთიერთკავშირის საკითხი დანახარჯთა ადგილებსა და ცენტრებს შორის. ყოველი სამეურნეო ქვეგანყოფილება შეიძლება გამოყოფილი იყოს აღრიცხვაში ცალკე, სხვა ქვეგანყოფილებებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ასეთი სახის სისტემა გამორიცხავს- დანახარჯთა ურთიერთკონტროლს სხვადასხვა დონის დამოუკიდებელ სამეურნეო ქვეგანყოფილებებს შორის, შესაძლებლობას ასეთი სახის აღრიცხვა გამოყენებულ იქნას საბოლოო პროდუქტის თვითღირებულების გაანგარიშებისათვის. დანახარჯთა შედარებისათვის იგი მოითხოვს შიდა ბრუნვების, განმეორებითი გამოთვლების ელემენტების გამორიცხვას. ყოველივე აღნიშნულის თავიდან აცილება შეიძლება, თუკი ცენტრებისა და ადგილების ჩამონათვალთა შემუშავებისას ნათლად განვსაზღვრავთ მათ შორის ინფორმაციულ კავშირს, დანახარჯების შესახებ მონაცემთა განზოგადების თანმიმდევრობას, თუ ადგილებისა და ცენტრების ნომენკლატურა განსაზღვრულია დანახარჯთა ერთგვაროვანი დაჯგუფების აუცილებლობით კალკულაციის სახეებისა და ობიექტების მიხედვით.

დანახარჯთა ადგილებისა და ცენტრების მიხედვით ფორმირებასთან ერთად შეიძლება ისინი განზოგადებულნი იყვნენ სამეურნეო საქმიანობის შედეგების პასუხისმგებლობის ცენტრებსა და შესაბამის დანახარჯებში, რომლებიც დაჯგუფებულნი იქნებიან ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით. ცხადია, რომ დანახარჯთა ყოველი ადგილი ამავდროულად გვევლინება ასევე პასუხისმგებლობის ცენტრად მათი მიზანშეწონილობისა და სიდიდის გამო, წინააღმდეგ შემთხვევაში არ შესრულდება ბ ა ს ს - ის მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების შინაარსობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ სამეურნეო ცხოვრებაში არსებობს მრავალი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია შინაარსობლივად სხვადასხვა კომპლექსური სამუშაოების შესრულებასთან, მაგრამ ისინი ერთნაირი არიან თავიანთი მიზნობრივ-ფუნქციონალური დანიშნულებით. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება დანახარჯები ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვაზე, მოდერნიზაციასა და რეკონსტრუქციაზე, ახალი პროდუქციის ათვისებაზე, მსხვილი ერთდროული დანახარჯები ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებაზე, კადრების მომზადებაზე. ეს დანახარჯები ფორმირდებიან სხვადასხვა ადგილებში და მათი მიზნობრივი დანიშნულების მიხედ-

ვით სისტემატიზაციისათვის საჭირო ხდება დამატებითი დაჯგუფება. ასეთი დაჯგუფების ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ შედეგის მისაღწევად დასახული მიზანი - ორგანიზაციულ -ტექნიკური ღონისძიებების შესრულება დაგეგმილი ეკონომიკური ეფექტის უზრუნველყოფით. აღნიშნული ეფექტის სიდიდე წარმოადგენს საწარმოო ეფექტს, რომელიც მიიღება ღონისძიებების განხორციელებაზე დამატებითი დანახარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე მიღებული ეკონომიის თანაფარდობით. ორივე მაჩვენებლის ფაქტიური სიდიდის ინფორმაციის ფორმირებისათვის, გეგმის შესრულების კონტროლისა და გადახრების ანალიზისათვის საჭიროა პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯებისა და შედეგების სააღრიცხვო სისტემა (მთავარი კონსტრუქტორის და ტექნოლოგის განყოფილება, ახალი ტექნიკის განყოფილება).

დანახარჯები ადგილისა და პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით შედგებიან ეკონომიკური შინაარსის მიხედვით განსხვავებული ხარჯებისაგან, რომლებიც შედიან თვითღირებულების კალკულაციის სხვადასხვა მუხლებში. მთლიანობაში საწარმოს მიხედვით დანახარჯების მიკუთვნება და ადგილებისა და ცენტრების თვითღირებულებაზე უნდა დგინდებოდეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქვეგანყოფილებას ეკუთვნის იგი – მარკეტინგის სფერო, წარმოება, მმართველობა.

სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავებისათვის კომპიუტერის გამოყენებისას დანახარჯთა ადგილებისა და ცენტრების სისტემატიზაცია შედარებით ადვილი განსახორციელებელია მატრიცული მოდელირების პრინციპების გამოყენებით. აღნიშნული პრობლემების კვლევას, ცდებს და სამეურნეო სახელშეკრულებო თემების დანერგვის ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფის შესახებ მივყავართ ჩვენ დასკვნამდე, რომ მიზანშეწოლია საწარმოს ქვედა (დაბალ) ქვეგანყოფილებებში ავსახოთ დანახარჯები ეკონომიკური ელემენტების მიხედვით. აღნიშნული საკმაოდ აადვილებს დანახარჯთა დაჯგუფებას მთლიანად საწარმოში ხარჯთნუსხის მუხლების მიხედვითა და კალკულაციის მუხლების ჭრილში. საკითხის სხვა დანარჩენი გადაწყვეტა დანახარჯთა ადგილების შემადგენლობის შესახებ დაკავშირებულია ან პროდუქციის თვითღირებულებაში კომპლექსური ხარჯების შემადგენლობის, ან მისი ფორმირების მეთოდების და განაწილების არსებითი ცვლილებების აუცილებლობასთან.

დანახარჯთა ადგილების მიხედვით აღრიცხვის ორგანიზაცია უნდა იყოს აღრიცხვის საერთო სისტემისა და თვითღირებულების კალკულაციის შემადგენელი ნაწილი. ამით მიიღწევა საწარმოო დანახარჯების ადგილების მიხედვით ფორმირების სისტემურობა და უტყუარობა, მათი ურთიერთკავშირი კალკულაციის მუხლობრივ დაჯგუფებასთან, დანახარჯთა ელემენტებთან და გამოსაშვები პროდუქციის სახეებთან. თუ პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯების ინფორმაცია არ ემთხვევა დანახარჯთა ადგილების მიხედვით ინფორმაციას, მიზნშეწონილია ის მიღებულ იქნეს სისტემის გარეშე დაჯგუფებით. მეთოდოლოგიურ მიმართებაში დანახარჯთა დაჯგუფება ადგილების მიხედვით უზრუნველყოფს დანახარჯთა დიდ ერთგვაროვნებას მათი ეკონომიკური შინაარსის და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით, სააღრიცხვო დანახარჯებისა და საექსპლოატაციო ტექნიკის გამოყენების მაჩვენებლების საუკეთესო თანაფარდობას, კონკრეტულ ნაკეთობებსა და სამუშაოთა სახეებზე დანახარჯების უფრო სწორ მიკუთვნებას.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული დაჯგუფება არა მარტო ამაღლებს დანახარჯთა კონტროლის შესაძლებლობებს, არამედ ასევე ქმნის პირობებს პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის სიზუსტის ამაღლებისათვის.

ადგილებისა და ცენტრების მიხედვით დანახარჯთა ინფორმაციის ფორმირებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ნორმატიული მეთოდის სისტემა ან ელემენტები. ამის შედეგად დამატებითი სამუშაოები დანახარჯების აღრიცხვისა ადგილებისა და ცენტრების მიხედვით დადის მინიმუმამდე, ხოლო ნორმატიულ-საცნობარო და საშედეგო ინფორმაცია გამოყენებული იქნება უმაღლესი ხარისხით. აღრიცხვის ასეთი ორგანიზაციით დანახარჯთა ნორმატივები უნდა დადგინდეს დანახარჯთა ადგილებისა და პასუხისმგებლობის ცენტრების ჭრილში, ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს კომპლექსური ხარჯების მოქნილი ნუსხის შემუშავებას. წარმოიშვება ახალი შესაძლებლობები დანახარჯთა ნორმატივებიდან გადახრების უფრო სრულყოფილი მიზეზების და პასუხისმგებელი პირების გამოსავლენად.

ეს შესაძლებლობები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია დანახარჯთა ადგილებისა და პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით კომპლექსური ხარჯების აღრიცხვის დეტალიზაციასთან. ამჟამად ნორმატივიდან კომპლექსური ხარჯების გადახრა შეიძლება განვსაზღვროთ მხოლოდ თვის ბოლოს, სახარჯთაღრიცხვო და ფაქტიური დანახარჯების დაპირისპირებით. თუ კი კომპლექსური არაპირდაპირი (ირიბი) ხარჯები განიხილება, როგორც ადგილებისა და ცენტრების დანახარჯთა ერთობლიობა სადაც ყოველ მათგანს შეიძლება გააჩნდეს სამეურნეო საქმიანობის თავისი საზომი, მაშინ გადახრების სიდიდე უფრო ზუსტი ალბათობით გაიანგარიშება, ხოლო მისი მიზეზები დადგინდება უფრო დასაბუთებულად, ვიდრე უბრალო დაპირისპირების პირობებში. წარმოიქმნება კომპლექსური ხარჯების ხარჯთნუსხისაგან გადახრების ოპერატიული გამოვლენის შესაძლებლობა, იმდენად, რამდენადაც აღარ იქნება საჭიროება დაველოდოთ თვის ბოლოს, რათა ვიცოდით წარმოების ფაქტიური მოცულობა.

ნორმატიული მეთოდი დანახარჯთა ადგილებისა და ცენტრების ჭრილში შესაძლებლობას გვაძლევს აგრეთვე გამოვლენილი იქნეს ნორმატივებიდან მთელი რიგი დამატებითი გადახრები, გამოწვეული

დეტალების, ნახევარფაბრიკატების და მზა პროდუქციის დამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმის, მომუშავეთა კვალიფიციური შემადგენლობის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ცვლილებებით.

საბოლოო ჯამში, დანახარჯთაბ ნორმატიული აღრიცხვის ორგანიზაცია ფორმირების ადგილებისა და ცენტრების ჭრილში შესაძლებლობას გვაძლევს: განვსაზღვროთ იცავენ, თუ არა ქვეგანყოფილებები გეგმით დადგენილ თანაფარდობას ,,დანახარჯები-შედეგი," გავაკონტროლოთ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ეკონომიურობა ფუნქციონალური ქვეგანყოფილების მიხედვით, უფრო სრულად გამოვავლინოთ მატერიალური შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები. ყოველივე აღნიშნული კი საშუალებას გვაძლევს ნორმატიული აღრიცხვა დანახარჯთა ფორმირების ადგილებისა და პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით ჩავთვალოთ მმართველობით აღრიცხვის სისტემის შემდგომი განვითარების საფეხურად. ეს კი საწინდარია შიდასაფირმო მმართველობის მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ზერაკიძე, გ. ნანუაშვილი – ფაქტორების გავლენის გამოთვლის მეთოდიკა შერჩევით ეკონომიკურ ანალიზში, ჟურნალი ,,ბუღალტრული აღრიცხვა,, №7, 2008.

2. გ. ნანუაშვილი, თ. ტატულაშვილი – სამეურნეო საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი, ჟურნალი ,,ბუღალტრული აღრიცხვა,, №7, 2008.

3. АССА – Управленческая информация, 1999.

4. Ричард Томас – Количественные методы анализа хозяиственной деятельности,М., 1999.

5. Лунов В. Л. – Тактика и стратегиа управления фирмой, М., 1999.

6. Э. Гринолл – Финансы и финансовое планирование для руководителей среднего звена, М., 1999.

7. Д. Слинков – Управленческий учет, ростановка и применение, Питер, 2010.

ბიზნეს-ინჟინერინგი სოფლის მეურნეობაში

ურბანიზაცია და აგრარული რევოლუცია

***ქეთევან სალუქვაძე**, პროფესორი*
***თეა ბიძინაშვილი**,ასისტენტ-პროფესორი*
***ნატალია კოპალიანი**, ეკონომიკის დოქტორი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ურბანული მოსახლეობის გადანაწილების გამომწვევი ფაქტორები, რომელიც უკავშირდება დემოგრაფიულ თანაფარდობას და წარმოდგენილია მარტივი განტოლება, რომელიც მიუთითებს თუ როგორ იწვევს ორი კომპონენტის მონაწილოება მოსახლეობის ზრდის სიჩქარის ცვლილებას ურბანულ და სოფლის დასახლებებში ან სხვა სახის გეოგრაფიულ ადგილებში.

ურბანიზაცია დღევანდელ განვითარებად ქვეყნებში მიმდინარეობს მაღალი ბუნებრივი ზრდის ფონზე. მაშინ როცა ბუნებრივი ზრდა წარმოადგენს ქალაქის მოსახლეობის ზრდის მთავარ მიზეზს, სოფლიდან ქალაქში მიგრაცია ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაშინ როცა ბუნებრივმა ზრდამ ხელი შეუწყო როგორც სოფლის ასევე ურბანული მოსახლეობის ზრდას ინდუსტრიალიზაციის დროს, შიდა მიგრაცია აშკარად მიმართული იყო ურბანულისკენ. სოფლიდან ქალაქში მიგრაცია გახდა მთავარი მამოძრავებელი ძალა, რამაც განაპირობა ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპის დაჩქარება სოფელთან შედარებით.ჩვენ განვიხილავთ კონცეპტუალურ მოდელს, რომლის მიზანია განვითარებულ რეგიონებში ურბანული მოსახლეობის თავმოყრის გადამწყვეტი ფაქტორების დადგენა და შევადარებთ მას დღევანდელ სიტუაციას, რომელსაც ადგილი აქვს ნაკლებად განვითარებად რეგიონებში, სადაც ურბანიზაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

საკვანძო სიტყვები: ურბანიზაცია, ქალაქი, სოფელი, დემოგრაფია;

Summary

The article deals with the distribution of the urban population factors that are associated with the demographic ratio and represented by a simple equation, which indicates how the two components causes a change in the speed of growth of the population to participate in urban and rural areas and other geographical areas.

Urbanization is taking place in today›s developing countries with high natural growth. While the natural increase in the population of the city has been the principal cause of migration from villages to cities still plays an important role. While natural growth in rural as well as urban population growth has contributed to the industrialization of the domestic migration was clearly directed towards the urban. From village to city migration has become a major driving force, resulting in the city›s population growth rate to accelerate in the village of comparison .We discuss the conceptual model, with the aim of the developed regions of the urban population concentration of the deciding factors to determine and compare it to the present situation, which takes place in the less developed regions where the urbanization pace being.

Keywords: urbanization, town, village, demography.

* * * * *

ურბანიზაცია მიეკუთვნება სოციალურ და ეკონომიკურ ფენომენს, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის თავმოყრას (კონცენტრაცია), რის შედეგადაც ყალიბდება და ფართოვდება ქალაქი. ურბანიზაციის პროცესი დაიწყო 3000 წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როდესაც სოფლის მეურნეობის განვითარებამ ხელი შეუწყო საკმარისად დიდი ოდენობის საკვები პროდუქტების წარმოებას და ადამიანებს შესაძლებლობა მიეცა გაეგრძელებინა საქმიანობა ფერმისგან მოშორებით. ინდუსტრიულ რევოლუციამდე ურბანიზაცია ნელი ტემპით მიმდინარეობდა ევროპაში. რევოლუციის შემდეგ ურბანიზაციის ტემპი იყო სწრაფი მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, მოსახლეობის ერთი მეოთხედი ცხოვრობდა ქალაქში 1800 წელს. ასი წლის შემდეგ ამ ციფრმა მიაღწია 77%-ს. გაეროს მონაცემებით განვითარებული რეგიონების მოსახლეობის 75% ცხოვრობს ქალაქში, ხოლო ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში -მოსახლეობის 45%. მაგრამ ურბანიზაცია გაცილებით მეტია ვიდრე ადამიანთა კონცენტრაცია. ის გულისხმობს ადამიანის სოციალური ცხოვრების ღრმა ტრანსფორმაციას

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია არის განუყოფელი პროცესი. ეს შეიძლება სიმართლეს შეესაბამებოდა ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და სხვა მაღალი განვითარების რეგიონების ინდუსტრიალიზაციის დროს, მაგრამ შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს დღევანდელი განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში?

ურბანული მოსახლეობის გადანაწილება უკავშირდება დემოგრაფიულ თანაფარდობას, როდესაც ურბანული ადგილი იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე სოფელი. ქვემოთ მოცემულია მარტივი განტოლება, რომელიც მიუთითებს თუ როგორ იწვევს ორი კომპონენტის მონაწილოება მოსახლეობის ზრდის სიჩქარის ცვლილებას ურბანულ და სოფლის დასახლებებში ან სხვა სახის გეოგრაფიულ ადგილებში.

მოსახლეობის ზრდა= f (ბუნებრივი ზრდა + სუფთა მიგრაცია)

ეს დემოგრაფიული ტოლობა გვიჩვენებს რომ ურბანულ და სოფლის დასახლებას შორის განსხვავება ქვეყნის მოსახლეობის ზრდის ტემპის მხრივ სახეზეა მაშინ, როცა ურბანული მოსახლეობა აჭარბებს სოფლისას ბუნებრივი ზრდის (დაბადება-სიკვდილი) მაჩვენებლის მიხედვით და/ან როცა სუფთა მიგრაციის მაჩვენებელი იზრდება (შიდა მიგრაცია-გარე მიგრაცია). როდესაც ურბანულ დასახლებაში ადგილი აქვს მაღალ ბუნებრივ ზრდას და ასევე მაღალ შიდა მიგრაციას, ურბანიზაცია გარდაუვალია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი კომპონენტის ცვლილება არ არის სავალდებულო ფაქტორი იმისთვის, რომ ურბანიზაცია მოხდეს. მნიშვნელოვანი კითხვა მდგომარეობს შემდეგში; რომელი სოციალური და ეკონომიკური პროცესები უწყობს ხელს ბუნებრივ ზრდასა და შიდა მიგრაციას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ურბანული და სოფლის დასახლებებს შორის განსხვავებას? ამისთვის საჭიროა ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ურბანიზაციის შესწავლა ინდუსტრიული რევოლუციის დროს.

ინდუსტრიულ რევოლუციამდე დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობის მაჩვენებელი მერყეობდა, მას ჰქონდა ზრდისა და შემცირების პერიოდები. ამის შედეგად, მოსახლეობის ზომა რჩებოდა შედარებით პატარა და მუდმივი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. იმ დროისთვის სიკვდილიანობის მაჩვენებელი იყო მაღალი და არაკონტროლირებადი და შობადობის მაჩვენებელი იყო მაღალი და ასევე არაკონტროლირებადი. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში დაწყებული იყო დემოგრაფიული სიტუაციის მხრივ გარდამავლი პერიოდი. ეს სიტუაცია გაგრძელდა მე-18 საუკუნის ბოლომდე, როდესაც სოციალურმა ცვლილებებმა და ტექნოლოგიურმა პროგრესმა შეამცირა სიკვდლიანობის კოეფიციენტი, რომელმაც შობადობის მაღალ მაჩვენებელთან ერთად განაპირობა ბუნებრივი ზრდის მაჩვენებლის ზრდა როგორც ქალაქებში, ისე სოფლად. სოფლის დასახლებებში მოსახლეობის ბუნებრივმა ზრდამ შედეგად მოიტანა მოსახლეობასა და მიწის რესურსებს შორის ბალანსის დარღვევა, რამაც განაპირობა ჭარბი მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში. ბუნებრივმა ზრდამ ქალაქებში სუფთა შიდა მიგრაციის მაღალ მაჩვენებელთან ერთად ხელი შეუწყო ურბანული მოსახლეობის სწრაფ ზრდას. საინტერესოა რატომ მოხდა ინდუსტრიული რევოლუციის დროს სიკვდილიანობის შემცირება, რამაც განაპირობა მოსახლეობის ზრდა და საბოლოოდ ურბანიზაციის პროცესი? რა ძირითადი ფაქტორები მოქმედებდა იმ პერიოდსთვის, რომელმაც შედეგად მოიტანა სოფლიდან ქალაქში მიგრაციის გაზრდა?

ინდუსტრიული რევოლუციის დასაწყისში სიკვდილიანობა იყო მაღალი როგორც სოფლად, ასევე ურბანულ დასახლებებში, რასაც ძირითადად განაპირობებდა მოსავლის ნაკლებობა და ეპიდემიები. განსაკუთრებით ქალაქი იყო ჯანმრთლეობის მხრივ არაუსაფრთხო ადგილი, თუმცა სოფლიდან ქალაქში სუფთა მიგრაციამ შედეგად მოიტანა ურბანული მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა. რატომ შემცირდა იმ პერიოდში სიკვდილიანობის მაჩვენებელი? ამის პასუხი შეიძლება იყოს მედიცინის სფეროში მიღწეული პროგრესი. მაგრამ ეს არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან ლევუენჰუკმა აღმოაჩინა მიკროროგანიზმები ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში და ასი წლის შემდეგ პასტერმა და კოჰმა დაამტკიცეს კავშირი მიკრობსა და დაავადების გავრცელებას შორის. შესაბამისად, სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირების მიზეზი სხვაა.

გაუმჯობესებული კვება წარმოადგენს სიკვდილიანობის შემცირების ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზს. ტექნიკურმა და სოციალურ-ორგანიზაციულმა ცვლილებებმა გააფართოვა კვების შესაძლებლობები, საკვები პროდუქტები გახდა უფრო საიმედო და საკვები ინგრედიენტებით მდიდარი, საკვები პროდუქტების გადატანა წარმოების ადგილიდან მოხმარების ადგილამდე გაიოლდა. კარტოფილმა, რომელიც მარცვლოვან კულტურებზე უფრო მდიდარი იყო ჩაანაცვლა ისინი, მოხდა კულტურების მონაცვლეობა, უკეთესი სარწყავი სისტემის შექმნა, შინაური ცხოველების გამრავლება, ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შემოტანა და შენახვის უკეთესი პირობების უზრუნველყოფა, რამაც ერთიანობაში გააუმჯობესა კვება. კვების გაუმჯობესებამ შედეგად მოიტანა დაავადებების მიმართ ადამიანთა მგრძნობელობის შემცირება და გაზარდა ინფექციებთან ბრძოლის უნარი. დედის გაუმჯობესებულმა კვებამ განაპირობა უფრო ჯანმრთელი ახალშობილის დაბადება კარგი წონით, შესაბამისად, შემცირდა ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესდა, განსაკუთრებით ეს შეეხო სასმელ წყალს, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სიკვდილიანობა დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ინდუსტრიალიზაციის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ დაავადების გავრცელების სპეციფიური მექანიზმი ჯერ კიდევ უცნობი იყო, მეცნიერებმა დაიწყეს იმის გაანალიზება, რომ დაავადების წარმოშობასა და საცხოვრებელ პირობებს შორის არის კავშირი. საცხოვრებელ პირობებში იგულისხმებოდა წყლის მიწოდება, ზოგადი სისუფთავე, ნარჩენების განადგურება, ვენტილაცია და გამაღიზიანებელი ქმედებების კონტროლი. მე-19 საუკუნის მეორე

ნახევარში გაუმჯობესებული სანიტარული პირობები აღმოჩნდა ეფექტური საშუალება ქოლერასა და ტუბერკულოზთან საბრძოლველად, გარემომცველი სამყაროს ჰიგიენა გახდა სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნისთვის.

მაშინ როცა ბუნებრივმა ზრდამ ხელი შეუწყო როგორც სოფლის ასევე ურბანული მოსახლეობის ზრდას ინდუსტრიალიზაციის დროს, შიდა მიგრაცია აშკარად მიმართული იყო ურბანულისკენ. სოფლიდან ქალაქში მიგრაცია გახდა მთავარი მამოძრავებელი ძალა, რამაც განაპირობა ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპის დაჩქარება სოფელთან შედარებით.

რამ განაპირობა ხალხის მოძრაობა სოფლიდან ქალაქში? უპირველეს ყოვლისა ამის მიზეზია აგრარული რევოლუცია, რომელმაც ხელი შეუწყო სიკვდილიანობის შემცირებას და ბუნებრივი ზრდის მაჩვენებლის გაზრდას როგორც სოფლად, ისე ქალაქში, ამ ფაქტმა, თავის მხრივ, გამოიწვია სოფელში უმუშევრობის დონის მომატება და სოფლის მოსახლეობის გადაადგილება. სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიამ გაზარდა მწარმოებლურობა და შეამცირა სოფლად მუშა-ხელის საჭიროება. მიწის მფლობელებს სჭირდებოდათ უფრო მეტი მიწა, რომ მოგება მიეღოთ ახალ ტექნოლოგიებში ჩადებული ინვესტიციებისგან. მათ შემოღობეს მიწები და აიძულეს გლეხები და ფერმერ-არენდატორები დაეტოვებინათ ეს მიწები. სოფლის ინდუსტრიის არ არსებობის პირობებში უმუშევარი მუშა- ხელის რაოდენობის ზრდამ აიძულა სოფლის მოსახლეობა წასულიყო ქალაქში.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა სოფლად მუშა-ხელზე მოთხოვნის შემცირება, მაგრამ გაიზარდა მოთხოვნა ქალაქში. საწარმოო ტექნოლოგიების დანერგვამ საფეიქრო მრეწველობაში, მეტალურგიაში და ტანსაცმლის წარმოებაში გააფართოვა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება და გზა გაუხსნა ახალ წარმოებას. ორთქლის ძრავის გამოგონებამ 1800-იანი წლების დასაწყისში დიდი გავლენა მოახდინა ინდუსტრიული წარმოების მასშტაბსა და ადგილმდებარეობაზე. ორთქლის ძრავების წარმოებას ადგილი ჰქონდა ქალაქებში, ვინაიდან ორთქლი კარგავს ენერგიას გადაადგილების შემთხვევაში. შესაბამისად, წარმოების კონცეტრაცია მოხდა უმეტესად ურბანულ ადგილებში. ორთქლის ძრავის გამოგონებამ შედეგად მოიტანა ტრანსპორტის ახალი სახეობის შექმნა, როგორიცაა გემები, რომლებიც ორთქლის ძრავაზე მუშაობდნენ, ასევე სარკინიგზო ტრანსპორტი, რომელმაც შესაძლებელი გახადა ჭარბი სოფლის მეურნეობის პროდუქტის იმპორტი ქალაქში მუშა-ხელის გამოსაკვებად.

მხოლოდ ტექნოლოგია არ წარმოადგენდა ურბანიზაციის აუცილებელი პირობას. ტილის (Tilly -1974) შეფასებით, წარმოების პროცესის მართვისა და ორგანიზების გარეშე მანქანა-დანადგარები ვერ გამოიწვევდა ურბანული მოსახლეობის ზრდას. იგი განიხილავდა ორი სახის ორგანიზაციულ ინოვაციას- კაპიტალიზმსა და სახელმწიფოებრიობას. კაპიტალიზმი გულისხმობდა ბაზრის არსებობას, სადაც წარმოებული პროდუქციის გაცვლა იყო შესაძლებელი, შრომის დანაწილებას, რომელიც ფუნქციურად აერთიანებდა მრავალი სპეციალისტის სამუშაოს და ბიუროკრატიის არსებობას, სადაც დადგენილი წესები ანაცვლებდა არაოფიციალურ ნორმებს, რაც წარმოადგენდა ურთიეთობის რეგულირების საშუალებას მუშებსა და მფლობელებს, მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. სტაბილური ცენტრალიზებული სახელმწიფოები და ანგარიშვალდებული ადგილობრივი თვითმმართველობები ხელს უწყობდნენ ურბანიზაციას სიტუაციის დარეგულირების გზით, როცა კოლექტიურ საქმიანობაზე არსებობს უწყვეტი მოთხოვნა. სახელმწიფო აფართოვებდა ვაჭრობისა და შრომის რეგულაციებს და უფრთხილდებოდა გარე კავშირებს და შესაბამისად, ინვესტიციებს ხდიდა ნაკლებ რისკიანს და უფრო მიმზიდველს. გარდა ამისა, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ცვლილებები საშუალებას აძლევდა ქალაქებს მოეხდინა ბუნებრივი და ადამიანური რესურსების მობილიზაცია ურბანული წარმოებების სასარგებლოდ. როდესაც ქალაქი და მისი პერიფერია ერთად განიცდიდა პროგრესს, ქალაქს ეჭირა წამყვანი ადგილი.

განვითარებადი ქვეყნების ურბანიზაციის შესახებ საუბრისას ისმის კითხვა- თუ რატომ მიდის ხალხი სოფლიდან ქალაქში, როცა იქ უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია. სხვა სიტყვებით რომ განვმარტოთ, რატომ მიდის ადამიანები შეზღუდული დასაქმების მქონე ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, სადაც მსგავსი რისკი არსებობს?

ურბანიზაციადღევანდელგანვითარებადქვეყნებში მიმდინარეობს მაღალი ბუნებრივი ზრდის ფონზე. მაშინ როცა ბუნებრივი ზრდა წარმოადგენს ქალაქის მოსახლეობის ზრდის მთავარ მიზეზს, სოფლიდან ქალაქში მიგრაცია ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გაეროს მონაცემებით, განვითარებად ქვეყნებში ქალაქის მოსახლეობის ზრდის 54% არის ბუნებრივი ზრდის შედეგი, ხოლო 46%- სუფთა შიდა მიგრაციის. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობა სოფლიდან მიდის ქალაქში.

მრავალი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრაცია მომგებიანია დღევანდელი განვითარებადი სამყაროსთვის. უპირველეს ყოვლისა, სოფლად პირობები მძიმეა. შობადობა სოფლად უფრო მაღლია, ვიდრე ქალაქში. შესაბამისად, სოფლად არის მოსახლეობის სიჭარბე და პარალელურად არ არის სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამუშაო. მეორე, უმუშვერობის დონე ნამდვილად მაღალია განვითარებად ქვეყნებში, თუმცა, დასაქმების სტატისტიკა ხშირად მალავს იმ შესაძლებლობებს, რომელიც ხელმისაწვდომია ჩრდილოვან ეკონომიკაში. ეს ნიშნავს, რომ ქალაქში სამუშაოტა რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ეს შეფასებულია სტატისტიკის სააგენტოების მიერ.

მეცნიერები აგრეთვე თვლიან, რომ რაც ჩანს გამაღიზიანებელი ახლო პერსპექტივიდან, შეიძლება აღმოჩნდეს უფრო გონივრული შორეულ

პერსპექტივაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება სოფლიდან ქალაქში გადასული მიგრანტები უმუშევრები არიან და/ან კარგავენ შემოსავალს, რომელიც ჰქონდათ სოფლად, მაგრამ მათი შემოსავლის გაზრდის პერსპექტივა უფრო მაღალი გრძელ-ვადიანი პერიოდში. მრავალი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მიგრაცია არის ოჯახური ხასაითის, შესაძლებელია მიგრანტები ვერ ნახულობენ ეკონომიკურ სარგებელს, მაგრამ მათი შვილებისთვის ხელმისაწვდომი ხდება უკეთესი განათლება და სამედიცინო მომსახურება და ასევე დასაქმების უფრო მაღალი შანსები უჩნდებათ მომავალში. უფრო მეტიც, მიგრაცია ეხმარება ოჯახებს მოახდინოს რისკების დივერსიფიკაცია, ვინაიდან ოჯახის წევრები არიან როგორც სოფლად, ასევე ქალაქში, ამიტომ მათზე ეკონომიკური კრიზისი ნაკლებად აისახება.

დასკვნა

ვინაიდან სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ცვლილება გახდა არაპროგნოზირებადი, როგორი იქნება ურბანიზაციის მომავალი ამერიკის შეერთებულ შტატებში? მოხდება ურბანული სექტორის ზრდა გარკვეული პერიოდის შემდეგ, თუ სოფელს ექნება უპირატესობა? ჩვენი აზრით, გარკვეული პერიოდის მანძილზე სოფლისა და პატარა ქალაქისადმი უპირატესობის მინიჭება შენარჩუნდება, რაც გამოიწვევს ქალაქიდან სოფელში მიგრაციას, და ამ უპირატესობას შედეგად მოყვება კონტრურბანიზაცია, სანამ სოფლად ეკონომიკური პირობები შედარებით მყარია, მაგრამ გრძელ-ვადიან პერსექტივაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქვეყნის ურბანიზაციის დონე გაჩერდება დღევანელ მაჩვენებელზე, რომელიც შეადგენს 80%-ს. სოფელს ექნება განვითარებასა და აყვავების პერიოდები, მაგრამ შემდეგ მოხდება მისი შეცვლა უფრო მძიმე პერიოდით, როცა სოფლის ეკონომიკა დაიწყებს შემცირებას და გახდება შედარებით სუსტი. უფრო მეტიც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქალაქიდან სოფელში მიგრაცია დამოკიდებული გახდება სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორიცაა ტრანსპორტირების ხარჯი ან თანამედროვე ინფრასტრუქტურისადმი და სამედიცინო სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა. საერთაშორისო მიგრაციის ცვალებადი მიმართულება, რომელიც ბოლო პერიოდამდე არის ურბანული ადგილებისკენ მიმართული, ნიშნავს, რომ საჭიროა სიფრთხილის მოვეკიდოთ ქალაქიდან სოფელში მოსახლეობის ხელახალი განაწილების შესახებ პროგნოზირების გაკეთებას შეერთებულ შტატებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Я. Миколаш, Л.Пишерман. Управление охранной окружающей среды. М, Прогресс,.
2. ოთინაშვილი რ., საქართველოს ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ.2010.-507გვ.;
3. დევიდ ლ. ბრაუნი, კაი ა. ჩაფტი, სოფლის მაცხოვრებელი და სოფლის თემი 21-ე საუკუნეში

Аспекты молекулярной идентификации генотипов картофеля

Аникина И. Н., ПГУ им. С. Торайгырова,
Бексеитов Т.К., ПГУ им. С. Торайгырова,
Исаева К.С., ПГУ им. С. Торайгырова,
Кайниденов Н. Н. ПГУ им. С. Торайгырова, г

Summary

The article presents an overview of material about modern analytical methods of research by using protein and DNA-markers, what allows solving problems of potato genotypes identification. Molecular diagnostics is an effective addition to traditional methods of sorts and seed potatoes identification, which were held based on morphological and physiological variety features. RAPD, AFLP , SSR, ISSR and others types of DNA-markers were used for identification of potato genotypes, detection its genetic diversity and passport system of gene pool in worldwide practice, each of these markers can individually determine sorts by using some limited amount of primers. It is noted that SSR-markers have some advantages in potato sorts identification, because of their high polymorphism, rapidity and high reproducibility of assays.

* * * * * *

Во многих странах мира картофель является одной из основных сельскохозяйственных культур. В результате многолетней работы отечественными и зарубежными селекционерами были получены высокопродуктивные сорта картофеля, которые отличаются комплексом признаков устойчивости как к биотическим факторам внешней среды так и к абиотическим факторам. Тем не менее в процессе размножения и длительного возделывания в условиях производства семена этой культуры, размножаемой вегетативно могут накапливать болезни, в том числе болезни вырождения которые затрагивают генетический материал и влияют на репродуктивные качества. Кроме того в процессе взаимодействия с окружающей средой возможны проявления изменчивости сортов и мутации, которые отрицательно сказываются на качестве семенного материала. Ввиду этого в процессе получения высококачественных семян важно своевременное и качественное проведение сортосмены и сортообновления. В последнее время предлагается большое разнообразие молекулярно-генетических маркеров, пригодных в том числе для данной культуры, поэтому селекция картофеля не может ограничиваться использованием только традиционных методов основанным на изменениях фенотипических признаков [1, с. 39-42]. В связи, с чем использование молекулярных методов идентификации исходного семенного материала приобретает особую значимость.

В последние 2-3 десятилетия селекционная работа в Казахстане особенно плодотворна, появилось большое количество новых отечественных сортов картофеля и эти работы продолжаются. Традиционная и общепринятая методика использования сортоотличительных морфологических признаков для идентификации сорта основывается на точном ботаническом описании характерных особенностей этих признаков и оптимальных сроках их оценки [2, с. 103, 3, с. 95, 4, с. 40-58]. Однако, такой способ идентификации имеет ограничения, поскольку морфологические признаки подвержены влиянию условий выращивания и субъективности наблюдений. И, что еще более важно, большинство из этих признаков недоступны для наблюдений одновременно. Для идентификации сортов при традиционной апробации необходимо выращивание материала в строго регламентированных полевых условиях. Для описания ростков клубни на проращивание закладываются в зимнее время. Такой чрезмерно растянутый во времени процесс неприемлем, например, для сортовой идентификации рассады, растений, получаемых на различных биотехнологических модулях, растений, выращенных in vitro, когда сортоотличительные признаки исчерпываются только номером пробирки [5, с. 25].

В связи с этим большой практический интерес представляют как дополнение к традиционным методам идентификации сортов и семенного контроля на основе морфолого-физиологических сортоотличительных признаков в настоящее время успешно разрабатываемые современные аналитические методы исследования с использованием белковых и ДНК-маркеров, которые на принципиально новой основе позволяют решать задачи по идентификации генотипов [6].

Использование в качестве фенотипических маркеров белковых молекул (изоферменты, запасные белки и т.п.) - продуктов индивидуальных генов существенно расширило возможности картирования генов и их мониторинга в селекционном процессе и позволило создать новые методы идентификации и систематизации сортов и семенного контроля. По мнению Созинова А. Я. (1993), Хавкина Э. Е. (1997), биохимические методы не обладают способностью обнаруживать различия у таких близкородственных генотипов, как сомаклоны, клоновые варианты, соматические мутанты [6, 7, с. 3-13]. Кроме того, полигенная природа многих признаков строения и состава растений ограничивает возможности генетического

картирования агрономически важных генов и контроля за переносом этих генов в новые формы растений.

В последнее время для сортовой и видовой идентификации генотипов картофеля широко применяются методы, основанные на анализе геномной ДНК, которые позволяют надежно различать виды, подвиды, сорта, инбредные линии и даже клоны растений, а также дать количественную характеристику их генетического и аллельного разнообразия, которая важна для поддержания и пополнения генетических коллекций, восстановления родословных и выбора форм для интрогрессии. Методы ДНК-генотипирования существенно облегчают подбор родительских пар для скрещивания и ускоряют сам процесс селекции за счет быстрой идентификации интрогрессируемого генетического материала.

Применение молекулярных маркеров в настоящее время является главным методологическим подходом в изучении генетического полиморфизма растений. Эти маркеры позволяют различать не только виды и подвиды растений, а также давать количественную характеристику их генетического и аллельного разнообразия.

С введением молекулярных маркеров в практику биологических исследований появились новые возможности детального изучения структуры и организации генома растений и количественной оценки степени сходства/различия на меж- и внутривидовом уровне. Для селекции растений особое значение имеет использование молекулярных маркеров для различения и идентификации сортов культурных растений, а также контроля за переносом генетического материала от дикорастущих сородичей при отдаленных скрещиваниях.

По мнению Hosaka K. и Ogawa K. (1994) потенциал ДНК-маркеров многократно превышает возможности белковых и изоферментных в том отношении, что их проявление не зависит от условий выращивания, они не тканеспецифичны, стабильны на любой стадии онтогенеза и нейтральны по отношению к фенотипу [1]. Микросателлитные последовательности ДНК являются наиболее доступными, простыми, удобными и относительно недорогими маркерами, пригодными, прежде всего, для идентификации генотипов растений. Их преимущество - кодоминантное наследование - позволяет различать гомо- и гетерозиготные растения. Для идентификации генотипов картофеля, выявления его генетического разнообразия и паспортизации генофонда в мировой практике были использованы такие типы ДНК-маркеров, как RAPD, AFLP , SSR, ISSR и другие, каждый из которых эффективен индивидуально при использовании некоторого ограниченного числа праймеров. Отмечено, что при сортовой идентификации картофеля из всех ДНК-маркеров определённые преимущества имеют SSR-маркеры из-за своего высокого полиморфизма, быстроты и высокой информативности данного метода.

Высокий уровень полиморфизма микросателлитов, относительно равномерное их распределение в эухроматиновой части геномов и широкая представленность сделали их чрезвычайно популярными. Гипервариабельные микросателлиты представляют собой универсальную систему генетических маркеров для анализа наследуемых изменений на уровне ядерной ДНК и широко используются в исследованиях генетического полиморфизма популяций растений. Также использование SSR-маркеров позволяет выявить филогенетические взаимоотношения [10].

Для практических целей, высоко информативные маркеры должны позволять за один единственный шаг установить различия среди многих сортов (идеально, среди всех сортов, с которыми новый сорт должен был бы быть сравнен) (Gorg et al., 1992).

Bailey (1983) перечислил основные критерии оценки молекулярных маркеров для идентификации сортов. Они включают: 1) способность выявлять межсортовые различия; 2) минимальный уровень внутрисортовой вариабельности; 3) стабильность спектров при меняющихся условиях окружающей среды; 4) лабораторную воспроизводимость [8, с. 425].

Надежные генетические маркеры должны быть нейтральными по отношению к признакам, на которые ведется селекция, а чтобы распознавать родительские формы растений, маркеры должны быть кодоминантными и стабильно сохраняться в потомстве [8, с. 425]. Отчетливость существующих сортов должна демонстрироваться прежде, чем селекционеры растений предъявят права на предоставляемый ими новый сорт [9, с. 815-819], поскольку надежная идентификация сорта может играть важную роль в защите прав селекционеров сельскохозяйственных культур, а также для контроля семенного производства и маркетинга.

Исследование полиморфизма запасных белков и изоферментов по мнению многих авторов, а именно Созинова А. Я. (1993), Laemmli U. K (1979), Мусина С. М., Петухова С. Н., Якуповой Р. Х. и др.(2003), является одним из важнейших путей получения информации о генотипе. Согласно их мнения биоспецифичность белков служит основой их применения в качестве генетических маркеров. Ими отмечено, что специфичность разных групп белков неодинакова и различия связаны с характером эволюционной и генетической изменчивости.

Для такого рода исследований наибольший интерес представляют полиморфные белки (прежде всего запасные белки и изозимные системы), которые могут служить маркерами гена и его аллельной структуры. С точки зрения В. Г. Конарева эволюционно консервативные белки могут использоваться как маркеры высших таксонов, а маркерами видов и геномов могут служить эволюционно более молодые белки.

Согласно положениям H. Stegemann (1979), при использовании белковых и изоферментных маркеров основополагающим является следующее:

1) метод разделения и идентификации должен быть недорогим, легким для выполнения и не зависимым от загрязняющих анализируемый образец веществ в различных концентрациях;

2) разделение должно быть одноэтапным процессом и начинаться с сырого экстракта, для того чтобы свести к минимуму возможные нежелательные изменения при подготовке проб;

3) вначале следует испытать один генотип в различных условиях (например, изучить влияние климата, удобрений, пестицидов, регуляторов роста, возраста растений, зрелости клубней и т.д.) для уверенности в том, что спектры белков не зависимы от этих условий, или для того, чтобы получить исчерпывающе точные знания о таких возможных изменениях;

4) спектр белков того или иного образца должен иметь определенное число индивидуальных, только ему присущих, особенностей, легко отличимых от других. Чем больше их число, тем представляются большие возможности для дифференциации. Для надежного сравнения образцов нужен также внутренний стандарт [11, с. 121].

Выбор конкретного вида разделения зависит как от оборудования и реактивов, имеющихся в распоряжении исследователя, так и целей и задач, на решение которых направлен эксперимент. Для сортовой дифференциации нескольких сортов достаточен практически любой тривиальный метод разделения, а для идентификации сотен сортов необходим один стандартный, полностью воспроизводимый в любой лаборатории метод, с единой методикой документации и интерпретации спектров [12].

Отработанная методика работы с белками-маркерами складывается из этапов разделения белковых смесей, идентификации белковых и изозимных компонентов в спектрах и биохимической или генетической интерпретации информации о составе белков анализируемых генотипов. Для анализа белков в денатурирующих условиях (с ДДС-Na) обычно используют диск-электрофорез в буферной системе Леммли [12, с. 680-685]. Известны анодная и катодная буферные системы для вертикального диск-электрофореза. Наилучшим приемом интерпретации информации признано проведение электрофореза в тонких пластинах полиакриламидного геля в вертикальной системе[13] . На одной пластине геля можно анализировать до 20 образцов в равных условиях, что важно для сравнения отдельных компонентов в соседних спектрах.

Преимущество использования тонких пластин геля по мнению Мусина С. М., Петухова С. Н., Якуповой Р. Х. и др.(2003) в том, что для дифференциации образцов применяются только три переменные - количество, относительное положение и интенсивность белковых компонентов в спектрах, что также чрезвычайно важно для обработки информации путем денситометрического сканирования. Для построения дендрограммы в молекулярной диагностике в последнее время наиболее эффективен алгоритм UPGMA и компьютерная программа TREECON [14].

Анализ полиморфизма монолокусных хромосомо-специфичных микросателлитов А. К. Есимсеитова и А. А. Какимжанова (2014) проводили с использованием ПЦР с микросателлитными праймерами. Согласно их исследованиям предпочтителен следующий режим амплификации: 1) предварительная денатурация при 94ºС в течение 5 мин; следующие 30 циклов: 30 с - денатурация при 94ºС; 30 с - отжиг праймера (температура отжига – в зависимости от используемых в анализе SSR - праймеров); 30 с синтез при 72ºС; конечная элонгация при 72ºС в течении 5 мин. Разделение немеченых продуктов амплификации, полученных с праймерами к SSR-последовательностям, они проводили в неденатурирующем 8% и 12%-м полиакриламидном геле и окрашивали в растворе бромистого этидия и визуализировали при УФ-свете с использованием аппарата GelDoc XR (BioRad). Исследователями А. К. Есимсеитовой и А. А. Какимжановой (2014) обнаружен высокий уровень полиморфизма по микросателлитным локусам для сортов и селекционных клонов картофеля. Уровень полиморфизма изученных локусов составил 97,6%. Этим, по их мнению и мнению Ghislain M., Nunez J и др. (2009) и определяется ценность данного метода для оценки генетического разнообразия и достоверной идентификации генотипов картофеля [15].

Разработка надежных, быстрых, эффективных и дешевых молекулярно-генетических методов идентификации сортов картофеля остается крайне актуальной и требует дальнейших исследований.

Список использованной литературы

1. Hosaka K., Ogawa K. Genetic diversity in Japanese and North American potato cultivars evaluated by RAPD analysis. // Sci. Rep. Fac. Agr. Kobe Univ. -1994.-V. 21.-P. 39-42.
2. Зайцева Н.Д. Методические указания по определению районированных сортов картофеля. -М.: Россельхозиздат, 1972. - 103 с.
3. Костина Л.И. Руководство по апробации картофеля. - М.: Агропром-издат, 1985.-95 с
4. Уайтхед Т., Мак-Интош Т., Финдлей У. Определение сортов картофеля по ботве. Определение сортов картофеля по генеративным органам. / Картофель.-М., 1955. - С. 40-58. (перевод с англ.).
5. Мусин С.М., Петухов С.Н., Якупова Р.Х., Симакова А.А., Дементьева З.А., Шмыгля И.В., Бирюкова В.А., Дорохов Д.Б., Игнатов А.Н., Цветков И.Л. Методические указания по использованию белковых маркеров для идентификации генотипов картофеля. - М., 2003. - 25 с.
6. Хавкин Э.Е. Молекулярные маркеры в растениеводстве. // Сельскохозяйственная биология, 1997. - №5. - С. 3-21.
7. Созинов А.А. Генетические маркеры у растений. // Цитология и генетика. - 1993.-т. 27.-№5.-С. 3-14.
8. Bailey D.C. Isozymic variation and plant breeder's right. / Tanksley S.D., Orton T.J. (eds.). Isozymes in plant genetics and breeding, part A. - Elsevier, Amsterdam, 1983.-P. 425-440.
9. Gorg R., Schachtschabel U., Ritter E., Salamini F., Gebhardt C. Discrimination among 136 tetraploid potato varieties by fingerprints using highly polymorphic DNA markers. // Crop Sci. - 1992. -V. 32. - P. 815-819.
10. Yumiko F., Hiroyuki F., Hiroshi Y. Identification of wheat cultivars using EST-SSR markers // Breeding Science. - 2009. - Vol. 59. - P.159-167.
11. Stegemann H., Matern U., Loeschke V. Protein patterns of potato tubers regenerated from protoplasts. / Jahresbericht. Biol. Bundesanst. Braunschweig F.R.G., 1979.-P 121.
12. Laemmli U.K. Cleavage of structural proteins during the assembly of the head of bacteriophage T 4. // Nature. - 1979. - V. 227. - P. 680-685.
13. Milbourne D., Meyer R.C., Collins A.J., Ramsay L.D., Gebhardt C, Waugh R. Isolation, characterization and mapping of simple sequence repeat loci in potato. // Mol. Gen. Genet. - 1998. - V. 259. - P. 233-245.
14. А.К. Есимсеитова, А.А. Какимжанова. Изучение генетического разнообразия образцов картофеля микросателлитными маркерами / Вестник Каз НУ. Серия биологическая. №1/2 (60). 2014 с. 217-221.
15. Ghislain M., Nunez J., Rosario Herrera M., Pignataro J., Guzman F., Bonierbale M., Spooner D.M. Robust and highly informative microsatellite-based genetic identity kit for potato //Molecular Breeding. - 2009. - Vol. 23. - P. 377- 388.

Разработка технологии нового аэрированного кисломолочного напитка

Темербаева М.В., профессор ПГУ им. С. Торайгырова,
Байтемирова З. М., магистрант ПГУ им. С. Торайгырова,

Summary

Creation of new koumiss beverages of functional orientation containing probiotic microflora along with an organization of industrial production of product is of great medical importance, since their application presents broad perspectives to use them as an effective adjuvant for medication of antibiotic resistant forms of tuberculosis.

* * * * * *

На сегодняшний день одной из основных задач молочной промышленности является расширение ассортимента и повышение качества молочной продукции, создание продуктов, отличающихся повышенным спросом у населения, наиболее полно отвечающих требованиям сбалансированного питания. Эффективным способом восстановления и поддержания здоровья людей является повседневное употребление в пищу функциональных продуктов питания, особое место среди которых занимает кумыс, оказывающий на организм регулирующее и нормализующее воздействие. Данный продукт получают не только из кобыльего молока, но и из молока других животных, каким является молоко коровье [1].

При переработке цельного коровьего молока на кумыс, в результате, биохимических процессов кумысного брожения появится качественно новый газированный молочный продукт, не только содержащий все элементы натурального коровьего молока, но и оснащенный новыми весьма полезными целебными веществами: углекислотой, молочной кислотой, спиртом. Производство кумыса как в условиях промышленного производства в больших объемах, так и полученного из коровьего молока представляется экономически более выгодным и ценным [2].

В связи с этим актуальным является разработка технологии кумысного напитка из коровьего молока с применением пребиотика, обогащенного бифидобактериями. Создание нового кумысных напитков функциональной направленности, содержащего пробиотическую микрофлору наряду с организацией промышленного производства продукта имеет важное медицинское значение, поскольку применение открывает широкие перспективы использования их в качестве эффективного вспомогательного средства при лечении антибиотикустойчивых форм туберкулеза [3].

В павлодарском государственном университете на кафедре «Биотехнология» была разработана рецептура и технология нового кумысного напитка.

В ходе проведения НИР проведены экспериментальные исследования по подбору сырья и компонентов, с учетом органолептической сочетаемости, функционально-технологических свойств и биодоступности для разработки рецептурно-компонентного состава и технологического процесса кумысного напитка.

В технологии приготовления кумысного напитка использовалось:

1) Натуральное коровье молоко, содержащее в своем составе все необходимые пищевые вещества белки, жиры, углеводы, минеральные вещества, витамины, биологически активные вещества, которые удачно сбалансированы между собой. В молоке в настоящее время обнаружены сотни различных веществ, в том числе более 30 жирных кислот, 20 аминокислот, 15 витаминов, 40 минеральных веществ, различные ферменты, гормоны, биологически активные вещества, природа которых до конца еще не выяснена. Самыми ценными компонентами молока являются белки.

2) концентрат бактериальный лиофилизированный LAF-4 (ТУ 9220-175-00419785-99), состоящего из штаммов: Laktobacillus asidophilus A-41, Laktobacillus delbrueckii sub. Bulgaricus B-21 и штамма лактосбраживающих дрожжей Saccharomyces lactis S-11,;

3) бактериальный концентрат Бифилакт–Б (БФ), содержащий микроорганизмы: Bifidobacterium bifidum и/или B.longum, и/или B.adolescentis. Генетически модифицированные микроорганизмы отсутствуют.

Бифидобактерии выполняют ряд полезных для организма функций:

- оказывают положительное влияние на структуру слизистой оболочки кишечника и ее адсорбционную способность;
- активно синтезируют витамины группы В, аскорбиновую кислоту, витамин К;
- образуют из неорганических соединений азота некоторые незаменимые аминокислоты (например, аланин, валин, аспарагин);
- создают кислую реакцию среды в кишечнике;
- обладают антагонистической активностью против патогенных микроорганизмов – возбудителей кишечных инфекций;
- способствуют лучшему усвоению солей кальция, витамина Д, железа [4].

4) пребиотик «Лактусан», способствующий восстановлению полезной микрофлоры толстого кишечника, нарушенной вследствие приема

антибиотиков, а также стимулирующая угнетение патогенной микрофлоры. Учитывая позитивное воздействие лактусана на рост бифидобактерий и лактобацилл, его целесообразно использовать при производстве кисломолочных продуктов для функционального питания. Тем более доказано, что внесение лактусана увеличивает жизнеспособность микроорганизмов закваски в течение всего срока годности [5].

Усовершенствованный технологический процесс производства кумысного напитка состоит из операций (рисунок 1):

- Приемка и подготовка сырья, очистка, приготовление нормализованной смеси, дезодорация;
- Гомогенизация, пастеризация, охлаждение смеси.
- Заквашивание и сквашивание смеси.
- Перемешивание, охлаждение.
- Розлив, упаковка, маркировка и охлаждение готового продукта.



Рисунок 1 - Блок-схема технологического процесса производства кумысного напитка

Молоко заквашивают при температуре 28-30 0С. Производственную закваску вносят в таком количестве, чтобы кислотность смеси составила 50-60 0Т. После заквашивания смесь вымешивают в течение 20-30 минут. Затем кумысную смесь оставляют в покое для созревания в течение 3,5-5 часов для нарастания требуемой кислотности (68-72 0Т).

Созревшую до требуемой кислотности смесь подвергают повторному вымешиванию в течение 50-60 мин. За 10-20 минут до конца вымешивания продукт охлаждают до 20 0С.

Розлив, укупорка, маркировку проводят в соответствии с требованиями действующего стандарта на кумыс.

После розлива и укупорки кумысный напиток охлаждают в холодильной камере при температуре не более 4 0С, после чего технологический процесс считается законченным и продукт готов к реализации. При этом происходит самогазирование с дальнейшим созреванием и хранением кумысного напитка в герметически укупоренных бутылках [6].

При выполнении работы использовали общепринятые, стандартные методы исследования комплекса качественных показателей коровьего молока и кисломолочных продуктов: массовая доля жира, белка, сухих веществ, спирта, титруемой и активной кислотности.

Определение кислотности по ГОСТ 3624-92 «Молоко и молочные продукты. Титриметрические методы определения кислотности». Результаты исследования приведены в таблицах 1,2.

Таблица 1 – Контроль титруемой кислотности готового напитка в процессе хранения

День	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
Опытный образец	105	107	108	111	113	116	120	124	126	130	140
Контроль	110	111	115	120	125	137*	142*	150*	155*	158*	161*

* – продукт снят с хранения

Таблица 2 – Контроль активной кислотности готового напитка в процессе хранения

День	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
Опытный образец	4,7	4,5	4,3	4	3,98	3,96	3,92	3,91	3,9	3,85	3,78
Контроль	4,5	4,3	4,2	4	3,9	3,5*	3,4*	3,3*	3*	3,29*	3,28*

* – продукт снят с хранения

Из полученных данных можно сделать вывод, что срок хранения напитка из коровьего молока составляет 10 дней.

Таким образом, в результате проведения научно-исследовательской работы разработан технологический процесс производства кумысного напитка.

На основании вышеизложенного можно сделать вывод, что создание молочных продуктов

модифицированного состава способствует улучшению вкусовых характеристик, расширению ассортимента специализированных молочных продуктов для профилактического питания, с учетом возрастных особенностей населения Республики Казахстан [7].

Литература:

1 Абдуллин Р.А. Эффективность молочного коневодства//Молочная промышленность, №12.2006.-с.32-33.

2 Айлярова, М.К. Биотехнологические аспекты приготовления кумыса из коровьего молока [Текст] / М.К. Айлярова // Известия Горского государственного аграрного университета. – 2011. – Т. 48, № 1. – С. 308-309.

3 Гаврилова, Г.Б. Функциональные молочные продукты нового поколения «для здоровья» [Текст] / Г.Б. Гаврилова // материалы Межд. науч.-практ. конф. – М.: Молочная промышленность, 2006. – С. 111.

4 Крусь Г. Н. Технология молока и молочных продуктов / Г. Н. Крусь, А. Г. Храмцов, З. В. Волокитина, С. В. Карпычев; под ред. А. М. Шалыгиной. - М. : КолосС, 2007. - 455 с.

5 Гурьянов, Ю.Г. Разработка и оценка качества нового функционального продукта пробиотического назначения [Текст] / Ю.Г. Гурьянов, О.А. Васильева, В.М. Позняковский // Новые технологии. – 2011. – № 3. – С. 22-25

6 Гильмутдинова, Л.Т. Уникальный состав кобыльего молока – основа лечебных свойств кумыса [Текст] / Л.Т. Гильмутдинова, Р.Р. Кудаярова, Н.Х. Янтурина // Вестник Башкирского государственного аграрного университета. – 2011. – № 3. – С. 74-79.

7 Кабисов, Р.Г. Биотехнология кисломолочного продукта функционального питания, обогащённого пищевыми волокнами [Текст] / Р.Г. Кабисов, Э.В. Рамонова, С.А. Гревцова // Известия Горского государственного аграрного университета. – 2012. – Т. 49, № 1-2 – С. 400-403.

Подбор полисахаридного комплекса для стабилизации структуры геродиетического продукта на молочной основе

Темербаева М.В., профессор ПГУ им. С. Торайгырова,
Горецкая Ю.О., магистрант ПГУ им. С. Торайгырова,

Summary

The article presents a perspective direction of production of fermented milk product for gerodietetic power. Namely, the selection of the polysaccharide complex to stabilize the structure of the new product. Shows organoleptic and microbiological studies.

* * * * * *

Кисломолочные продукты являются уникальными продуктами, которые обладают многими лечебными и профилактическими свойствами, особенно полезными при заболеваниях желудочно-кишечного тракта, для повышения защитных функций организма, выведения солей тяжелых металлов и радионуклидов [1].

Перспективным направлением в создании кисломолочных продуктов нового поколения является использование пектинов. Пектины представляют собой группу высокомолекулярных полисахаридов, входящих в состав клеточных стенок и межклеточных образований практически всех фруктов и овощей. Сырьем для получения пектина являются кожура цитрусовых, яблочных и виноградные выжимки, свекловичный жом, корзинки подсолнечника, хлопковый шрот, кормовые арбузы и др. Пектин можно применять в качестве загустителя, стабилизатора эмульсий и суспензий, водоудерживающего и желирующего средства [2].

Пектин обладает следующими полезными свойствами:

- стабилизирует обмен веществ;
- снижает холестерин;
- улучшает периферическое кровообращение;
- нормализует перистальтику кишечника: обладая обволакивающими и вяжущими свойствами, он благоприятно действует на состояние слизистой оболочки всего желудочно-кишечного тракта;
- при язвенных заболеваниях проявляет себя как лёгкое обезболивающее и противовоспалительное натуральное средство;
- очищает от вредных веществ (радиоактивных элементов, ионов токсичных [3].

В данной работе, для проведения экспериментальных исследований среди большого разнообразия специальных пищевых добавок были отобраны ГЕНУ® пектин тип LM-106 AS и ГЕНУ® пектин тип YM-115-L, характеристики которых представлены в таблице 1.

Таблица 1 – Характеристика полисахаридных комплексов для производства кисломолочного продукта для геродиетического питания

Полисахаридный комплекс	Основные показатели	Рекомендуемая дозировка
ГЕНУ® пектин тип LM-106 AS-YA	Частично амидированный низкоэтерифицированный пектин, экстрагированный из цитрусовой цедры и стандартизованный сахарозой Е 440, рекомендуется для производства кисломолочных продуктов	0,1 - 0,5 %
ГЕНУ® пектин тип YM-115-L	Пектин с высокой степенью этерификации, экстрагированный из цитрусовых выжимок и стандартизированный сахарозой. Является сыпучим неспекающимся порошком, от кремового до светло-бежевого цвета, без вкуса, без посторонних аромата и запаха, рекомендуется для производства невязких молочных продуктов с низким содержанием СОМО	0,1 – 0,4 %

Исходя из таблицы оба варианта пектина могут подходить для производства кисломолочного продукта для геродиетического питания. В опыте 1 проводятся исследования с кисломолочным продуктом геродиетической направленности с наполнителем арахис. В опыте 2 представлены исследования кисломолочного продукта с наполнтелем тыквенные семечки. Органолептические показатели опытных продуктов с добавлением пектинов приведены в таблице 2 .

Таблица 2– Органолептические показатели опытных продуктов

Продукт	Органолептические показатели				
	консистенция	вкус	запах	цвет	баллы
1	2	3	4	5	6
Серия I – без добавления лактитола					
Контроль	Однородная, жидкообразная	Кисломолочный с привкусом наполнителя	Кисломолочный	Белый, равномерный по всей массе	9,5
ГЕНУ® пектин тип YM-115-L					
Опыт 1	Однородная, жидкообразаная	Кисломолочный, в меру сладкий, с привкусом наполнителя	Кисломолочный	Молочно-кремовый, неоднородный, поверхность глянцевая	11,5
Опыт 2	Однородная, жидкообразня	Кисломолочный, в меру сладкий, с привкусом наполнителя	Кисломолочный	Молочно-кремовый, неоднородный, поверхность глянцевая	13,0
ГЕНУ® пектин тип LM-106 AS-YA					
Опыт 1	Однородная, в меру вязкая	Кисломолочный, в меру сладкий, с привкусом наполнителя	Кисломолочный	Молочно-кремовый, неоднородный	12,5
Опыт 2	Однородная, в меру вязкая	Кисломолочный, в меру сладкий, с привкусом наполнителя	Кисломолочный	Молочно-кремовый, неоднородный	13, 5
Серия II - с добавлением лактитола					
Контроль	Однородная, жидкообразная	Кисломолочный с привкусом наполнителя	Кисломолочный	Белый, с кремовым оттенком	10,0
ГЕНУ® пектин тип YM-115-L					
Опыт 1	Жидкообразная, однородная	Приятный, кисломолочный, в меру сладкий	Чистый, кисломолочный	Белый, с кремовым оттенком	12,0
Опыт 2	Однородная, жикообразная	Приятный, кисломолочный, в меру сладкий	Чистый, кисломолочный	Белый, с кремовым оттенком	14,0
ГЕНУ® пектин тип LM-106 AS-YA					
Опыт 1	Однородная, вязкая	Приятный, кисломолочный, в меру сладкий	Чистый, кисломолочный	Белый, с кремовым оттенком	13 , 5
Опыт 2	Однородная, вязкая	Приятный, кисломолочный, в меру сладкий	Чистый, кисломолочный	Белый, с кремовым оттенком	15,0

Вид и количество стабилизирующих систем оказывает определенное влияние на органолептические показатели опытных продуктов. При этом положительное влияние на консистенцию опытных продуктов в большей степени оказано стабилизирующей системой ГЕНУ® пектин тип LM-106 AS-YA по сравнению со стабилизирующей системой ГЕНУ® пектин тип YM-115-L [4].

Также было изучено влияние стабилизирующих систем на микробиологические показатели опытных продуктов. В опыте 1 проводятся исследования с кисломолочным продуктом геродиетической направленности с наполнителем арахис и с использованием пектина ГЕНУ® пектин тип YM-115-L. В опыте 2 представлены исследования кисломолочного продукта с наполнителем тыквенные семечки и с использованием пектина ГЕНУ® пектин тип YM-115-L. В опыте 3 проводятся исследования с кисломолочным продуктом геродиетической направленности с наполнителем арахис и с использованием пектина ГЕНУ® пектин тип LM-106 AS-YA. В опыте 4 представлены исследования кисломолочного продукта с наполнителем тыквенные семечки и с использованием пектина ГЕНУ® пектин тип LM-106 AS-YA [5]. Результаты исследований приведены в таблице 3.

Таблица 3 – Зависимость общего количества микроорганизмов и бифидобактерий в опытных продуктах от вида и количества стабилизирующих систем

Продукт	Общее количество микроорганизмов, КОЕ/мл		Количество бифидобактерий, КОЕ/мл		Количество пропионово-кислых бактерий, КОЕ/мл	
	через 1 сут	через 15 сут	через 1 сут	через 15 сут	через 1 сут	через 15 сут
Серия I – без добавления лактитола						
Контроль	$4{,}0\cdot10^8$	$1{,}6\cdot10^7$	$3{,}0\cdot10^7$	$5{,}2\cdot10^5$	$3{,}6\cdot10^6$	$3{,}5\cdot10^5$
Опыт 1	$3{,}2\cdot10^8$	$9{,}0\cdot10^7$	$2{,}3\cdot10^7$	$4{,}3\cdot10^5$	$3{,}2\cdot10^6$	$3{,}0\cdot10^5$
Опыт 2	$2{,}1\cdot10^8$	$7{,}2\cdot10^7$	$3{,}2\cdot10^6$	$4{,}6\cdot10^5$	$2{,}0\cdot10^6$	$2{,}7\cdot10^4$
Опыт 3	$1{,}0\cdot10^8$	$5{,}1\cdot10^7$	$1{,}7\cdot10^6$	$4{,}3\cdot10^5$	$1{,}7\cdot10^5$	$2{,}0\cdot10^4$
Опыт 4	$3{,}5\cdot10^8$	$4{,}6\cdot10^7$	$2{,}7\cdot10^7$	$7{,}2\cdot10^6$	$3{,}1\cdot10^6$	$5{,}2\cdot10^4$
Серия II - с добавлением лактитола						
Контроль	$6{,}0\cdot10^8$	$2{,}4\cdot10^7$	$3{,}5\cdot10^7$	$3{,}2\cdot10^6$	$2{,}3\cdot10^6$	$3{,}0\cdot10^5$
Опыт 1	$4{,}6\cdot10^8$	$3{,}2\cdot10^8$	$2{,}8\cdot10^7$	$2{,}5\cdot10^6$	$2{,}1\cdot10^6$	$2{,}8\cdot10^5$
Опыт 2	$4{,}0\cdot10^8$	$2{,}1\cdot10^7$	$2{,}4\cdot10^7$	$2{,}0\cdot10^6$	$1{,}1\cdot10^6$	$1{,}8\cdot10^5$
Опыт 3	$2{,}8\cdot10^8$	$2{,}0\cdot10^7$	$1{,}1\cdot10^7$	$1{,}8\cdot10^5$	$1{,}4\cdot10^5$	$2{,}0\cdot10^4$
Опыт 4	$4{,}8\cdot10^8$	$5{,}2\cdot10^7$	$3{,}8\cdot10^7$	$1{,}9\cdot10^6$	$2{,}9\cdot10^6$	$1{,}2\cdot10^5$

Сравнительная оценка микробиологических показателей опытных продуктов в сравнении с контрольным образцом показала, что они несколько ниже. Это следует объяснить тем, что в опытных продуктах стабилизирующие системы способствовали связыванию свободной влаги, что несколько ухудшало условия жизнедеятельности не только для нежелательной микрофлоры, но и для полезной: молочнокислой и бифидобактерий.

Таким образом для производства нового кисломолочного продукта будет использоваться ГЕНУ пектин LM-106 AS-YA, так как благодаря использованию именно этого вида пектина в кисломолочных продуктах происходит повышение вязкости и улучшение органолептических показателей, а также повышение термостойкости белка, предотвращение крупки и отстоя жидкой части в процессе хранения. Производитель ГЕНУ пектин LM-106 ООО «Балтийская пищевая компания» г. Санкт-Петербург [5].

Литература:

1 ГОСТ Р 51917-2002: Продукты молочные и молокосодержащие. Термины и определения.

2 Храмцов А.Г. Молочная сыворотка. – М.: Агропромиздат, 1990. – 240 с.

3 Храмцов А.Г., Нестеренко П.Г., Храмцов А.А. и др. Молочная сыворотка: переработка и использование // Сыроделие. 1999. № 4. – С. 23-24.

Тихомирова Н.А. Технология продуктов функционального питания / Н.А. Тихомирова. – М.: ООО Франтэра, 2002. – 213 с.

4 Алешков, А.В. Нанотехнологии в пищевой промышленности: возможности и риски [Текст] / А.В. Алешков // Вестник ХГАЭП. – 2011. – № 3 (54). – С. 135-147.

5 Гаврилова, Г.Б. Функциональные молочные продукты нового поколения «для здоровья» [Текст] / Г.Б. Гаврилова // материалы Межд. науч.-практ. конф. – М.: Молочная промышленность, 2006. – С. 111.

ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდის პერსპექტივა ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის პირობებში

ნინო მაზიაშვილი, პროფესორი

რეზიუმე

საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა ემყარება საერთო ზოგად ღირებულებებს, რაც გულისხმობს დემოკრატიულ მმართველობას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებათა პრინციპების პატივისცემას. „აღმოსავლეთის პარტნიორობა" არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის განმზომილება. ეს პროგრამა ევროკავშირის არაწევრ სახელმწფოებს ორმხრივი თანამშრომლობის ორ ფორმატს, ასოცირების ხელშეკრულებას და თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებას სთავაზობს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბება გზას უხსნის საქართველოს საქონელსა და მომსახურებას ევროკავშირის 500-მილიონიან ბაზარზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ქვეყანაში ინვესტიციების მოსაზიდად.

ბევრი ექსპერტი ვარაუდობდა, რომ ხელშეკრულების ამოქმედება საწყის ეტაპზე ხელშესახებ ცვლილებებს ვერ მოიტანდა საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებში, რადგან გარკვეულ წარმატებებს და ევროპის ბაზარზე არსებითად დამკვიდრებას სჭირდება რამდენიმეწლიანი თავდაუზოგავი შრომა, როგორც კერძო კომპანიებისგან, ისე, სახელმწიფო სტრუქტურებისგან. მიუხედავად ამგვარი სკეპტიცისიზმისა, მოლოდინი ბევრად წარმატებული აღმოჩნდა. 2015 წლის იანვარ-აგვისტოს კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ სახეზეა ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის სტაბილური მატება. ამ კვლევებმა ასევე გამოავლინა სუფთა ექსპორტის მკვეთრი, 40,1%-იანი ზრდა.

2015 წლის იანვარ-ნოემბერშიც შენარჩუნებულია ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის ზრდის ტენდენცია და საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 2 მილიარდ 792 მლნ. აშშ დოლარს აღწევს,რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 3 პროცენტით აღემატება. აქედან, ექსპორტი 6 პროცენტით მეტია, ხოლო იმპორტის მაჩვენებელი - 2 პროცენტით მეტი. შესაბამისად, ექსპერტების კიდევ ერთი მოსაზრება, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება იმპორტის ზრდას მეტად წაახალისებდა, ვიდრე ექსპორტისას, არ გამართლდა. აშკარაა, რომ ზრდა ექსპორტის მიმართულებით უფრო მეტია, ვიდრე - იმპორტისა.

Summary

The prospect of increasing exports of Georgian products with European free trade

Cooperation of Georgia-EU Based on common values in general, including democratic governance, rule of law and respect for human rights principles. "Eastern Partnership" is the Eastern dimension of the European Neighbourhood Policy. This program offers the non-EU countries bilateral cooperation between the two formats: the Association Agreement and free trade and comprehensive agreement.

Free Trade Area opens for Georgia 500-million-dollar market of Eu. Countries and its an important prerequisite for the country to attract more investment.

Many experts have speculated that in the Georgia-EU trade relations that at the initial stage of the treaty would not bring tangible changes, Because to reach some success in the European market takes several years . It needs hard work. However, expectations are successful. In January-August 2015, the survey has revealed that there has been a steady increase in the EU's total exports. These studies also showed a sharp increase of 40.1% net exports,.

In January-November 2015, with EU countries are maintained the upward trend of trade and Georgia's foreign trade turnover with EU countries is 2 billion 792 million. Which is 3 percent more than last year's figure. From here exports are more than 6 percent, while the import rate - 2 percent more. Accordingly, the experts suggested that the EU Association Agreement would encourage the growth of imports than exports, have failed. It is obvious that the growth of export is more than - import.

* * * * *

საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა ემყარება საერთო ღირებულებებს, რაც გულისხმობს დემოკრატიულ მმართველობას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებათა პრინციპების პატივისცემას. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამა (ENP) 2004 წელს შემუშავდა. მის მიზანს წარმოადგენდა ევროპასა და ახალ მეზობლებს შორის გამყოფი ხაზების მოხსნა და სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

„აღმოსავლეთის პარტნიორობა" არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის განმზომილება.აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა ევროკავშირის არაწევრ სახელმწფოებს ორმხრივი თანამშრომლობის ორ ფორმატს, ასოცირების

ხელშეკრულებას (AA) და თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებას (DCFTA) სთავაზობს. ინიციატივის შესახებ პირველად, 2009 წლის 7 მაისს, პრაღაში, ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოს სამიტზე გაცხადდა. პროგრამის მიზანი ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორების (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის გააღრმავება იყო. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის თანამშრომლობის ფარგლებში ასოცირების ხელშეკრულებას მხოლოდ საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ მოაწერეს ხელი.ევროკავშირი თავის პარტნიორებს სთავაზობს: ასოცირების შესახებ ახალ შეთანხმებებს, იმ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმებების ხელმოწერის ჩათვლით, რომლებსაც აქვთ სურვილი და შესაძლებლობა, უფრო მეტად დაუახლოვდნენ ევროკავშირს; მოახდინონ თანდათანობითი ინტეგრირება ევროკავშირის ეკონომიკაში და ისარგებლონ გამარტივებული მიმოსვლით, სავიზო სისტემის თანდათანობითი ლიბერალიზების გზით. აღმოსავლეთ პარტნიორობა ხელს უწყობს, ასევე, დემოკრატიის და ცივილური მმართველობის დამკვიდრებას.

ინტეგრაციის პირველ ეტაპზე, მნიშვნელოვანია „აღმოსავლეთ პარტნიორობის" როლი, რომელიც ევროკავშირთან დაახლოების გზაზე საქართველოს სასიცოცხლო პერსპექტივებს უხსნის. ამ თვალსაზრისით, ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია 2013 წლის 28-29 ნოემბერს, ვილნიუსში გამართულ სამიტზე, სადაც მოხდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება. სამიტზე ხელი მოეწერა ჩარჩო შეთანხმებას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს საქართველოს, ჩაერთოს ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში. ხოლო 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. პროცედურის მიხედვით, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება ევროკავშირის 28-ვე სახელმწიფომ მოახდინა.

ასოცირების შეთანხმება არის ორი ნაწილისაგან შემდგარი დოკუმენტი. მას აქვს როგორც პოლიტიკური, ისე სავაჭრო-ეკონომიკური ნაწილი. ამ უკანასკნელზე ქვევით უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ. მანამდე კი ორი სიტყვით შეიძლება შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც ასახავს ევროინტეგრაციის გზაზე ჩვენი ქვეყნის პირველ ნაბიჯებს: საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებში ეს პირველი ნაბიჯი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებით (PCA) გადაიდგა. 1999 წელს ძალაში შევიდა საქართველო-ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება, რაც აუქმებდა კვოტებს ვაჭრობის სფეროში და იცავდა ინტელექტუალური, საწარმოო და კომერციული საკუთრების უფლებას.

2005 წლის დეკემბერში საქართველომ ევროკავშირისაგან პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP+) სარგებლობის უფლება მიიღო, რაც საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებასა და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას გულისხმობდა. აღნიშნული შეღავათები შეეხო საქართველოში წარმოებული 7200 დასახელების პროდუქციას.

მოგვიანებით, 2009 წლის 7 მაისს კი პრაღის სამიტზე ოფიციალურად შევიდა ძალაში „აღმოსავლეთის პარნიორობის" (EAP) ინიციატივა. „აღმოსავლეთის პარტნიორობა" არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის განმზომილება. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა ევროკავშირის არაწევრ სახელმწფოებს ორმხრივი თანამშრომლობის ორ ფორმატს, ასოცირების ხელშეკრულებასა (AA) და თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებას (DCFTA) სთავაზობდა. უფრო კონკრეტულად, ეს ინიციატივა გულისხმობდა ევროკავშირსა და ექვს პარტნიორ ქვეყანას (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) შორის პოლიტიკური ასოცირების და შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობას.

აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყანას შორის ორმხრივი თანამშორმლობა შემდეგი მიმართულებებით უნდა განვითარებულიყო: 1) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) შეთანხმება და მიღება; 2) გადაადგილება და უსაფრთხოება; 3) ენერგეტიკული უსაფრთხოება; 4) ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხარდაჭერა.

ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირის მთავარი ინსტრუმენტია, რათა აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში ჩართული ქვეყნები უფრო მეტად დაუახლოვდნენ ევროკავშირის სტანდარტებს და ნორმებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასოცირების ხელშეკრულება შედგება ოთხი ძირითადი თავისგან, რომლებიც მოიცავს ერთობლივ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, სამართალს და საშინაო საქმეებს, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს.

ზემოთ ჩამოთვლილ კონცეპტუალურ მომენტებთან ერთად, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია. იგი გულისხმობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ჩამოყალიბებას. DCFTA გზას უხსნის საქართველოს საქონელსა და მომსახურებას ევროკავშირის 500-მილიონიან ბაზარზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ქვეყანაში ინვესტიციების მოსაზიდად.

2014 წლის 1 სექტემბრიდან, ძალაში შევიდა ასოცირების შესახებ შეთანხმების დიდი ნაწილი, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA)

ნაწილი. შეთანხმება ძალაში სრულად შევიდა მხ-ოლოდ 2015 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, როცა ბელგიის პარლამენტმაც მოახდინა დოკუმენტის რატიფიცირება. ამით ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების რატიფიცირება მთლიანად დასრულდა.

ეკონომიკაში არსებობს ოთხი თავისუფლება: კაპიტალი, პროდუქცია, სერვისი, სამუშაო ძალა. ამ ხელშეკრულებით, საქართველო ოთხი თავისუფლებიდან იღებს სამს, ყველას, სამუ-შაო ძალის გარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ქართულ პროდუქტებს, სერვისს და კაპიტალს საშუალება ექნება, შეუზღუდავად გავიდეს 500-მილიონიან ევროპულ ბაზარზე, რომელიც განვითარებულ მსოფლიოში, ყველაზე დიდი ერთიანი ბაზარია. შესაბამისად, იქ შეღწევა არის ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მიზანი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან, ევროპის ბაზარი, ყველაფერთან ერთად, არის სტაბილური, საიმედო და პერსპექტიული. ეს ხელშეკრულება სწორედ ამგვარი მიზნების მიღწევაში ეხმარება ქართულ საზოგადოებას. რაც შეეხება მეოთხე თავისუფლებას — ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას, იგი ითვალისწინებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესს და ცალკე თემაა. აქვე ვიტყვით, რომ გასული წლის 18 დეკემბერს გამოქვეყნდა ევროკავშირის საბოლოო ანგარიში, სადაც საქართველოსთან მიმართებაში ასახულია პოზიტიური დასკვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველომ სრულად შეასრულა ყველა ის დავალება, რაც გათვალისწინებული იყო ასოცირების ხელშეკრულებით. ამის შემდეგ, 2016 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს მოქალაქეები მიიღებენ შესაძლებლობას, უვიზოდ იმოგზაურონ შენგენის ქვეყნებში.

ბევრი ექსპერტი ვარაუდობდა, რომ DCFTA-ს ამოქმედება საწყის ეტაპზე ხელშესახებ ცვლილებებს ვერ მოიტანდა საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებში, რადგან გარკვეულ წარმატებებს და ევროპის ბაზარზე არსებითად დამკვიდრებას სჭირდება სულ ცოტა რამდენიმე წელიწადი თავდაუზოგავი შრომა როგორც კერძო კომპანიებისგან, ისე, სახელმწიფო სტრუქტურებისგან. თუმცა ეს მოლოდინი ბევრად წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე ამას ექსპერტები ვარაუდობდნენ. 2015 წლის იანვარ-აგვისტოს კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ სახეზეა ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის სტაბილური მატება. ამ კვლევებმა ასევე გამოავლინა სუფთა ექსპორტის (ექსპორტი რეექსპორტის გამოკლებით) მკვეთრი, 40,1%-იანი ზრდა.

საქსტატის ინფორმაციით, 2015 წლის იანვარ-ოქ-ტომბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნ-ვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 მილიარდ 568 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4 %-ით მეტია. აქედან ექსპორტი 537 მლნ აშშ დოლარი იყო (2 %-ით მეტი), ხოლო იმპორ-ტი - 2031 მლნ აშშ დოლარი (4 %-ით მეტი). საქართ-ველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 32 % შეადგინა, მათ შორის, ექსპორტში 29% და იმპორტში 32 % (2014 წლის იანვარ-ოქტომბერში, შესაბამისად, 26, 22 და 28 პროცენტი).

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის იანვარ-ნოემბერშიც შენარჩუნებულია ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრო-ბის ზრდის ტენდენცია და საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 2 მილიარდ 792 მლნ. აშშ დოლარს აღწევს,რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 3 პროცენტით აღემატება. აქედან, ექსპორტი 6 პროცენტით მეტია, ხოლო იმპორტის მაჩვენებელი - 2 პროცენტით მეტი. შესაბამისად, ექსპერტების კიდევ ერთი მოსაზრება, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება იმპორტის ზრდას მეტად წაახალისებდა, ვიდრე ექსპორტისას, არ გამართლდა. აშკარაა, რომ ზრდა ექსპორტის მიმართულებით უფრო მეტია, ვიდრე - იმპორტის.

საქართველოსთვის, როგორც სასოფლო-სამეურ-ნეო სექტორზე ორიენტირებული ქვეყნისთვის, რომ-ლისთვისაც აგრარული სექტორის განვითარება მთა-ვარი პრიორიტეტია, ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც ევროპასთან ახალ სავაჭრო ურთიერთობებში გამოიკვეთა. ლაპარაკია ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებულ სასოფ-ლო-სამეურნეო პროდუქციაზე. აქ ერთპიროვნული ლიდერია ახალი და ხმელი თხილი. ეს პროდუქტი შეადგენს ევროკავშირში ექსპორტირებული მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 64%-ს და თავად ამ კონკრეტულ კატეგორიაში მთლიანი საექსპორ-ტო მოცულობის 65%-ს. 2013 წელს ექსპორტირე-ბული სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის წამყვან კატეგორიებს შეადგენდა თხილი, ნატურალური ყურძნის წვენი და მინერალური წყლები.ანალოგიური თანმიმდევრობა ფიქსირდება 2014-2015 წლებში იმ განსხვავებით, რომ საერთო მოცულობა მკვეთრად არის გაზრდილი.

სოფლის მეურნეობის მინისტრი, ოთარ დანელია აცხადებს, რომ თხილმა სულ ახალი პერსპექტივა გაუხსნა ქართულ აგროწარმოებას და მას უთუოდ ხელს შეუწყობენ, მათ შორის დღგ-ს მოხსნით, რაც ქართული თხილის ფასს გლობალურ ბაზრებზე კიდევ უფრო კონკურენტულს გახდის; ეს კი მით უფრო მარტივია, რომ გლობალური მოთხოვნის ზრდის ფონზე თხილის ფასი სწრაფად იზრდება, - თუკი გასულ წლებში 1 კგ გაურჩეველი თხილის ტიპური ფასი 4 ლარი იყო, შარშან ფასმა 8-9 ლარს მიაღწია და ეს რა თქმა უნდა, საერთაშორისო ტენდენციის შედეგია. შარშან თურქეთს, რომელიც მსოფლიოში თხილის უმსხვილესი ექსპორტიორია, ყინვების გამო მოსავალი გაუნახევრდა. ამან გლობალური ფასი გაზარდა და ამით ქართველმა მწარმოებლებმა იხეირეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცე-მებით, შარშან თხილის ექსპორტმა პირველად გაუსწრო ღვინოს და უმთავრესი საექსპორტო აგრო-

პროდუქტი გახდა, ხოლო აგროექსპორტი პირველად ქვეყნის მთლიან ექსპორტში 29%-იანი წილით მესამე ადგილზე გავიდა. ერთ წელიწადში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 7%-ით გაიზარდა და შარშან ქვეყანაში 826 მილიონი დოლარი შემოიტანა.

საქსტატის მონაცემებით, ქართული აგროპროდუქციის ევროკავშირში ექსპორტი ბოლო 2 წელიწადში 109 %-ით არის გაზრდილი, დსთ-ს ქვეყნებში კი 48 %-ით, იმპორტი ევროპიდან 2 წელიწადში 23%-ით გაიზარდა, დსთ-ს ქვეყნებიდან კი 5%-ით შემცირდა და შედეგად უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ამ პერიოდში ჯამში 260 მილიონი დოლარით გაუმჯობესდა, ანუ ქვეყნიდან ამდენით ნაკლები ვალუტა გავიდა.

თხილის პირველი პლანტაციები კახეთში მას შემდეგ გაჩნდა, რაც რუსეთმა ქართულ ღვინოზე ემბარგო დააწესა და კახელებსაც ვაზის ალტერნატივის ძებნა მოუხდათ. პირველმა ნარგავებმა მოსავალი 3 წლის შემდეგ მოიტანა. აქაურ ბიზნესმენ მამუკა ბერიაშვილს, ეს ტენდენცია არ გამორჩენია და 2010 წელს მან ყვარელში თხილის პირველი ქარხანა „ნატექსი" გახსნა. ბიზნესმენმა ფერმერებისგან პროდუქციის ჩაბარება დაიწყო. მოგვიანებით მეორე ქარხანაც გამართა, „ნათსი" და მესამეს თხილის ტრადიციულ მხარეში, სამეგრელოში აშენებს, რაზეც 600 ათასი ლარის იაფი აგრო-სესხი მიიღო მთავრობისგან.

„ევროპაში თხილი მე ადრეც გამქონდა, თუმცა ახლა ექსპორტის პროცედურები გამარტივდა, თანაც ადრე ეს დროებითი ნებართვის ფარგლებში ხდებოდა, ახლა კი უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება, ევრო-1 სერტიფიკატით, რომელიც აქვე, საქართველოში გაიცემა. ჩვენი უშუალო და უმსხვილესი კონკურენტი, თურქეთი ევროპაში ექსპორტზე 3%-იან მოსაკრებელს იხდის და შედეგად ჩვენთან საფასო კონკურენციას აგებს, ახლა მთავარია, პროდუქციის მოცულობა გავზარდოთ და მსოფლიო ბაზარზე ლიდერის პოზიცია ჩვენი გახდება," — აცხადებს ასოცირების ხელშეკრულებით კმაყოფილი მამუკა ბერიაშვილი, რომელსაც კახეთში თხილის ყველაზე მსხვილი წარმოება აქვს.

დამატებით, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულება იქნება მძლავრი იმპულსი საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად, როგორც ევროპული, ისე იმ ქვეყნებიდან, რომელთაც არ აქვთ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. მათი ინტერესი იქნება, რომ საქართველოში ჩადონ ინვესტიცია, ააწყონ წარმოება და აქ წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის ხუთასმილიონიან ბაზარზე გაიტანონ.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა ქმნის საფუძველს პროგნოზირებადი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური გარემოს შესაქმნელად, რაც ზრდის საქართველოსადმი, როგორც ეკონომიკური პარტნიორისადმი, ინტერესს. იგი ასევე ხელს უწყობს ბიზნესებს შორის კონტაქტების დამყარებას და როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტიციების წახალისებას. გარკვეული რისკების მიუხედავად, რაც უკავშირდება ქართული კომპანიებისთვის ევროპული რეგულაციების ამოქმედებით გამოწვეულ სირთულეებს, ევროკავშირთან ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციის დაწყება უმნიშვნელოვანესია ექსპორტის დივერსიფიკაციისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის. თუ DCFTA-ს განვიხილავთ გრძელვადიან პერსპექტივაში, ნათელი იქნება, რომ ე.წ. გარდამავალი პროცესის გავლის შემდგომ ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის არსებობა შექმნის ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების საფუძველს. ამ ტენდენციის პირველი შედეგები უკვე გამოჩნდა და ეს ზემოთმოტანილი სტატისტიკური მონაცემებითაც დადასტურდა.

ასოცირების ხელშეკრულების დოკუმენტში წარმოდგენილი ბევრი შეზღუდვის მიუხედავად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველოსთვის არის შესაძლებლობა, მოახდინოს წარმოებისა და მომსახურების განვითარება და შესაბამისი სტანდარტებითა თუ ნორმებით, საკანონმდებლო ცვილებებითა და სწორი რეგულაციებით, ეტაპობრივად მოახდინოს ევროპის განვითარებულ და უმსხვილეს ბაზარზე შესვლა, რაც თავისთავად ნიშნავს ქვეყანაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვასა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. საქართველოს 28 ქვეყნისგან შემდგარ, 500-მილიონიან გასაღების ბაზარზე თავის დამკვიდრების და ამ გზით საექსპორტო პოტენციალის განვითარების უნიკალური შესაძლებლობა გაუჩნდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), 2014 წელი
2. DCFTA-ს შესაძლებლობები და გამოწვევები ქართული ბიზნესისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განმარტებები.
3. „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ" შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესახებ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
4. აღმოსავლეთის პარტნიორობა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი (CIESR), თბილისი, 2011.
5. საქსტატი, წლიური პუბლიკაციები, საქართველოს საგარეო ვაჭრობა, 2014.

აგრობიზნესის განვითარების ორიენტირები აგრარულ სექტორში

***ვაჟა ზეიკიძე**, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
***დალი ბაიდაური**, ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი*
***თენგიზ ლაჭყეპიანი**, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
***ლეილა გეგენავა**, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქვეყნის აგრობიზნესის განვითარების პრიორიტეტების საკითხები. მოცემულია მთლიანად ქვეყნის და მისი ცალკეული რეგიონების სასურსათო ბაზრის ახალი სტრატეგიის დამუშავება, მნიშვნელობა, მთავარი ორიენტირები. ამასთან ერთად, გამოვლენილია ის ნაკლოვანებები, რომლებიც არსებობენ აგრობიზნესის განვითარებაში და მოცემულია წინადადებები მათ აღმოსაფხვრელად.

The ADA guidelines in the agricultural sector

Summary

The article discusses the priorities of the ADA. The country as a whole and its individual regions of the grocery market in the form of a new strategy for development, a main reference. In addition, it revealed flaws that exist in the development of agribusiness and adopted proposals to eliminate them.

* * * * * *

ქვეყნის აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირება უპირველეს ყოვლისა მოითხოვს მისი სტრატეგიის შემუშავებასა და აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი ორიენტირების განსაზღვრას.სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან თითქმის თვითდინებაზეა მიშვებული აგრარული სექტორის განვითარება, სახელმწიფომ მთლიანად მოიხსნა საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ვალდებულებები. სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას და სურსათით ვაჭრობას სტიქიური ხასიათი ჰქონდა.

თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების ქმედითი ინსტრუმენტი უნდა გახდეს აგრობიზნესის გრძელვადიან პერიოდზე (5-7წელი) გათვლილი განვითარების ახალი სტრატეგია. პროგრამის ამოსავალ საწყისს წარმოადგენს ეროვნული თავისებურებების და მსოფლიო მეურნეობის გამოცდილების შეხამება (სინთეზი). ქვეყნის მრავალდარგოვანი აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტი ორიენტირებული უნდა იქნეს ეკოლოგიურად სუფთა, ხელმისაწვდომ და მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქციის წარმოებაზე, რაც სამომავლოდ გახდება აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდის საიმედო მიმართულება.

პროგრამაში უნდა განისაზღვროს ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობათა განვითარების პერსპექტივები, ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური დონის გამოთანაბრების ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორები, საწარმოო და ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ამოცანები. თითეული რეგიონის მიხედვით უნდა შემუშავდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნობრივი პროგრამა, რომელშიც განისაზღვრება შიდარეგიონული პრიორიტეტები;

აგრარული სექტორის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და სერვისის განვითარების მიზნით უნდა დაჩქარდეს ლიზინგის (ფრანჩაიზინგის) გამოყენება, მანქანა-ტექნოლოგიური ცენტრების (სერვის ცენტრების) ფორმირება, გადამამუშავებელი (უპირატესად საშუალო და მცირე სიმძლავრის) საწარმოების ქსელის შექმნა;

უნდა მოხდეს მანქანა-ტრაქტორთა ტექნოლოგიური ცენტრების შექმნა პირველ ეტაპზე სახემწიფოს სახსრებით, რომლებიც დაკვეთით შეასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, უზრუნველყოფენ რეკომენდაციების მიწოდებას და გაუწევენ კონსულტაციებს აგრარულ სექტორში დასაქმებულ მეწარმეებსა და ფერმერებს.

მსოფლიო ბაზარზე გასვლის მიზნით უნდა შემუშავდეს ექსპორტ-იმპორტის სრულყოფის ღონისძიებები. საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების სტიმულირების კუთხით;

შიდა ბაზრის გაფართოების მიზნით უნდა განხორციელდეს რეგიონებს შორის სამეურნეო კა შირების ინტესიფიკაცია და ვაჭრობის გაფართოება;

აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირება ორი ძირითადი ეკონომიკური ბერკეტით განხორციელდება, საბიუჯეტო (ფისკალური) და ფულად-საკრედიტო. ფისკალური და ფულად-საკრედიტო ბერკეტები საბოლოოდ შეჯერებული უნდა იქნეს ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებთან;

აუცილებელია ფასების პარიტეტის აღდგენა (აგრარული სექტორი ფასების დისპროპორციის გამო არათანაბარ მდგომარეობაშია მრეწველობასთან). უნდა შემუშავდეს ღონისძიებები სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციაზე პარიტეტული ფასების აღდგენის და მხარდაჭერის შესახებ. ფასების რეგულირება უნდა განხორციელდეს კვლავწარმოების მთელი პროცესის ყველა ეტაპზე (წარმოება, გადამუშავება, რეალიზაცია.)

მიზანშეწონილია სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმის გამოყენება. სახელმწიფო დაკვეთებში ჩართულნი უნდა იქნენ ის საწარმოები, რომლებიც აგრარული სექტორისათვის აწარმოებენ ახალ ტექნიკასა და მოწყობილობებს, სასუქებს, შხამ-ქიმიკატებს და სხვა საშუალებებს. მათი შესყიდვების დაფინანსება უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან. შესყიდვები შესაძლებელია განახორციელოს სპეციალიზირებულმა სამსახურებმა. იგი შესაძლებელია იყოს კოოპერატივი, სახელმწიფო საწარმო, ან ერთობლივი საწარმო სახელმწიფოსა და კერძო სექტორის წილობრივი მონაწილეობით. მაგალითად, მარცვლეულის შესყიდვის ფუნქცია შესაძლებელია გადაეცეს წისქვილკომბინატებს, რომლებსაც მარცვლეულის შესანახი შესაბამისი სათავსოები გააჩნიათ.

აუცილებელია დაზღვევის ისეთი სახეების ჩამოყალიბება რომელიც უზრუნველყოფს აგრარულ სექტორში დასაქმებულთა შემოსავლების დაცვას. ბუნებრივი (გვალვა, წყალდიდობა, სეტყვა, მიწისძვრები), ბიოლოგიური (დაავადებები, მავნებლები) და ეკონომიკური (ფასების გაუთვალისწინებელი ცვლილებები) ფაქტორებისაგან. დაზღვევის სისტემები უნდა ფუნქციონირებდნენ კომერციულ საწყისებზე, პირველ ეტაპზე სასტარტო კაპიტალის ფორმირება უნდა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

ასეთი პროგრამის სახით, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგვევლინოს საქართველოს და მისი ცალკეული რეგიონების სასურსათო ბაზრის ფორმირების ახლი სტრატეგია. მასში გათვალისწინებული უნდა იქნეს ღონისძიებათა ფართო სისტემა, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის წარმოების განსაზღვრული დონის მიღწევას, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, სურსათის სამამულო მწარმოებელთა მხარდაჭერას, სურსათზე გარანტირებული ფასების დადგენა-შენარჩუნებას, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას და მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს, რომელთა გატარებაც აუცილებელია სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

სადღეისოდ აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების ასეთი პროგრამების არარსებობა დღის წესრიგში აყენებს მუშაობის გააქტიურების აუცილებლობას მისი შემუშავების მიმართულებით.

პროგრამის მთავარი ორიენტირებია: დასახული მიზნის მიღწევა, სასურსათო ბაზრის სტაბილურობა, რყევების თავიდან აცილება, კონკურენტული გარემოს შექმნა და შენარჩუნება, დასაქმების დონის ამაღლება, აგრობიზნესის სისტემაში დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილური ზრდა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში სასურსათო რესურსების ფორმირება უნდა განხორციელდეს უპირატესად კერძო სექტორის ინტენსიური განვითარებით. ხოლო სახელმწიფომ რეგულირებისათვის მიზანშეწონილია გამოიყენოს სახელმწიფო შეკვეთების მექანიზმი, მწარმოებელთაგან პროდუქციის გარანტირებულ ფასებში შესყიდვა და ფიუჩერსული გარიგებები.

ამ მიზნით ათვისებულ უნდა იქნეს განვითარებულ ქვეყნებში მწარ-მოებელთა მხარდაჭერის აპრობირებული ფორმები და მეთოდები (სუბსიდია, დოტაცია, ექსპორტის დაკრედიტება), იმ ზომით და ფარგლებში, რაც დაშვებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დოკუმენტებით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებითა და წესდებით, საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშარისო ვალდებულებებით. ამასთან, რეგულირებისათვის ფართოდ არ უნდა იყოს გამოყენებული არაპირდაპირი სუბსიდირების მექანიზმები. ამ ფორმების გამჭვირვალობა და მიზნობრიობა განპირობებულ უნდა იქნეს შესაბამისი სახელმწიფოებრივი პროგრამებით.

ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, შესაბამისი ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის ფარგლებში, შესაძლებლობათა არსებობის კვალობაზე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის სამამულო მწარმოებელთა მხარდაჭერის, აგროსასურსათო კომპლექსის დარგებში დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილურობის უზრუნველყოფის, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები, რომელთა დაფინანსება განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ძირითად სახეობაზე ფასების გათავისუფლება მოხდა 1992 წლის თებერვალსა და ივლისში განხორციელებული ფასების ლიბერალიზაციის მეორე რაუნდის შედეგად. მთავრობის კონტროლის ქვეშ დარჩა მხოლოდ პურის, რძის და ზოგიერთი საზოგადოებრივი მომსახურების ფასები. 1995 წლის დასაწყისისათვის სასურსათო პროდუქტებიდან მხოლოდ პური და რძე იყიდებოდა ფიქსირებული ფასებით, ე.წ. ,,რეკომენდებული ფასები" გამოიყენებოდა სახელმწიფო მაღაზიებში გაყიდულ ბევრ სასურსათო საქონელზე (ჩამოსასხმელი ღვინო, ლუდი, მინერალური წყალი, ძეხვის სხვადასხვა სახეობები, ხილი და დაკონსერვებული ბოსტნეული). ამასთან, აღნიშნული ფასები საზოგადოდ 30-80%-ით უფრო დაბალი იყო ანალოგიურ პროდუქტებზე კერძო მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ დადგენილ ფასებთან შედარებით.

თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე ფასწარმოქმნის მკვეთრი სახელმწიფოებრივი კონცეფციის შემუშავება და გატარება. რომელიც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე გარან-ტირებულ, ხოლო სურსათზე კი - ზღვრული საბაზრო ფასების დადგენას. ასეთმა ფასმა უნდა დაფაროს მათი წარმოების დანახარჯები და უზრუნველყოს გაფართოებული კვლავწარმოების პირობები.

ქვეყნის აგრობიზნესის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის სათანადო საბიუჯეტო დაფინანსებას. დღეისათვის აგრარული სფეროს დარგთა საბიუჯეტო დაფინანსება ფაქტურად ვერ უზრუნველყოფს

ამ სფეროში წარმოების სტაბილურობას; გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ვერ უზრუნველყოფს აგრარული სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია აგრარული სფეროს დაფინანსების პოლიტიკის გარდაქმნა, საბიუჯეტო სახსრების ძირითადი ნაწილის მიმართვა ცენ-ტრალური და რეგიონული მიზნობრივი კომ-პლექსური პროგრამების დაფინანსებაზე. აგრარული სფეროს ფინანსური მხარდაჭერა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით: საბიუჯეტო ასიგნებანი მიზნობრივ პროგრამებზე; კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე; დოტაციისთვის პროდუქციასა და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე; ასიგნებანი დაზღვევაზე; საბანკო სესხების ნაწილობრივ კომპენსაციისთვის.

აგრარული სექტორის დარგთა მეწარმე სუბიექტების დაკრედიტების დღეისათვის მოქმედი სისტემა საჭიროებს დახვეწას ახალი ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე. ამ მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ“ მნიშვნელოვნად უნდა გააფართოოს ურთიერთობა კომერციულ საბანკო სექტორთან. მეწარმეებისაგან და ფერმერებისაგან ბიზნეს-გეგმების უშუალო მიღებას უნდა ახორციელებდეს სოფლის მეურნეობის შესაბამისი სტრუქტურები, თითონ განიხილავდეს წარმოდგენილ პროექტებს და საბანკო სექტორს გადასცემდეს უკვე მოწონებულ პრიორიტეტულ პროექტებს დასაფინანსებლად. ნაცვლად დღეს არსებული სისტემისა, როდესაც კომერციული ბანკები თითონ ახორციელებენ მეწარმე სუბიექტებისგან ბიზნეს-გეგმების მიღებას და შეფასებას საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით.

თანამედროვე პირობებში ობიექტურად უნდა განისაზღვროს კრედიტების განთავსების წესი; შემუშავდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შესაბამის კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობათა ახალი პრინციპები და თანამშრომლობის მექანიზმები. საჭიროა ფართოდ იქნეს გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გრძელვადიანი დაკრედიტების ისეთი სპეციფიკური ფორმა, როგორიცაა ლიზინგი. ეს უკანასკნელი დიდ როლს შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობების მოძველებისაგან დაცვაში.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის წვრილ (გლეხურ) ინდივიდუალურ მწარმოებელთათვის კრედიტის ხელმისაწვდომობის გაზრდის დამატებით მექანიზმს წარმოადგენს სოფლად ადგილობრივი საკრედიტო კავშირების აღდგენა-განვითარება, საქართველოში დონორი ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით. მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდის დახმარებით 1995 წლიდან დაიწყო სოფლად გლეხთა საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბება. 2007 წლისათვის საქართველოში სულ რეგისტრირებული იყო 171 საკრედიტო კავშირი 1540,5 ათასი ლარის საპაიო კაპიტალით. ჩვენი აზრით, უნდა აღდგეს და ინტენსიურად წარიმართოს აგრარულ სექტორში თვითდაკრედიტების სისტემის ფორმირება, საწყის ეტაპზე სასოფლო საკრედიტო კავშირების სახით, შემდგომ კი ეტაპობრივად რეგიონული ასოციაციების და საკრედიტო კოოპერატივების შექმნით.

ქვეყნის აგრობიზნესის სისტემის განვითარება და ამ სფეროში დასაქმებულთა შემოსავლების ზრდის სტაბილურობა დიდადაა დამოკიდებული სადაზღვევო სისტემის მწყობრ და გამართულ მუშაობაზე. ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოში 1991 წლიდან გაუქმებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სახელმწიფო დაზღვევა და ეს ფუნქცია გადაეცა კერძო სადაზღვევო კომპანიებს. სამწუხაროდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი რისკის დონის გამო კომერციულ სადაზღვევო კომპანიათა უმრავლესობა თავს არიდებს ფერმერული (გლეხური) მეურნეობების რისკების დაზღვევას. ამასთან ერთად, სადაზღვევო კომპანიათა სადაზღვევო შენატანების მეტისმეტად მაღალი საპროცენტო განაკვეთები და არახელსაყრელი სადაზღვევო პირობები მიუღებელია აგრარულ სექტორში დასაქმებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და კორპორაციებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღეისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთიანი სახელმწიფო-კომერციული სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება, სადაზღვევო ფონდების ფორმირებაში ბიუჯეტის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე. ამასთან, აუცილებელია დამკვიდრდეს მეწარმე სუბიექტებისათვის სავალდებულო დაზღვევა, უწინარეს ყოვლისა, მაღალ სარისკო წარმეობაში. ხოლო, სადაზღვევო ბაზარზე შეიქმნას შესაბამისი კერძო კომპანიებისათვის თანაბარი კონკურენტული გარემო. სადაზღვევო საქმის განვითარება უნდა გახდეს გრძელვადიანი ინვესტირებისათვის კომპანიების დანაზოგების სწორი წარმართვის მნიშვნელოვანი საფინანსო არსი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. კოღუაშვილი გ.ზიბზიბაძე - „აგრარული საწარმოს ეკონომიკა“, თბილისი, 2010 წ, 250 გვ.
2. უ. სამადაშვილი -ბიზნესის საფუძვლები, თბ. 2011წ, 450 გვ.
3. О. Ястребова – Введение в агробизнес. М., МГУ, 2004. 380ст

ბიზნეს-ინჟინერინგი ტრანსპორტში

საავტომობილო სპორტისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

კონსტანტინე მჭედლიშვილი,
უჩა სტურუა

თანამედროვე მსოფლიოში არსებული, სპორტის მრავალი სახეობიდან, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და მიმზიდველია საავტომობილო სპორტი, რომელიც პოპულარულია ყველა ქვეყანაში. მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონისა, მონაწილეთა და მაყურებელთა ასაკისა და სქესისა,სოციალური მდგომარეობისა. ავტოსპორტის მიმზიდველობას განაპირობებს, მისთვის დამახასიათებელინიშნები: მძღოლებისა და შტურმანების ფსიქოფიზიკური სრულყოფილება, მაღალი კვალიფიკაცია გამოვლენილი რთული საავტომობილო ტექნიკის ცოდნაში, ავტომობილის მართვადობისა და მდგრადობის შენარჩუნებაში უკიდურესად მაღალი სიჩქარით მოძრაობისას, განსაკუთრებით რთულ საგზაო პირობებში. მიმზიდველობას ასევე ზრდის შემთხვევითი ფაქტორების გავლენა და შესაბამისად აზარტულობის მაღალი დონე, მიუხედავად ადამიანების, ავტომობილებისა და საგზაო პირობების გულდასმით მომზადებისა.

გარდა სპორტული ინტერესებისა, ავტოსპორტი მიმზიდველია იმითაც, რომ ხელს უწყობს ავტომობილების კონსტრუქციის სრულყოფას, მაღალი სიჩქარისა და ძლიერი განცდების მოყვარულთა სპორტული ჟინის დასაკმაყოფილებელი ასპარეზის გადმოტანას საერთო სარგებლობის გზებისა და ქუჩების ქსელიდან გარკვეულ დროში გზის წინასწარ გამოყოფილ მონაკვეთებზე. გარდა ამისა, ავტოსპორტი იწვევს ადგილობრივი და უცხოეთიდან ჩამოსული მაყურებლების დიდ დაინტერესებას. შესაბამისად ვითარდება ტურიზმი და იზრდება მისგან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები, ვითარდება საგზაო და სპორტული ინფრასტრუქტურა, იქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, ადგილობრივი დამპროექტებლების, მშენებლების, მომსახურების სფეროს მუშაკებისთვის.

საავტომობილო სპორტით დაინტერესებას იჩენენ მსოფლიოს წამყვანი ავტომშენებელი ფირმები, ასევე საბურავების, საზეთსაცხები მასალების, საწვავისა და მარაგნაწილების მწარმოებლები, რომელთათვის მათ მიერ შექმნილი და აღჭურვილი ავტომობილის რბოლაში გამარჯვება პროდუქციის სრულყოფის მაჩვენებელი და მისი წარმატებული რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა. მაღალი ეკონომიკური დონის ქვეყნები აშენებენ სპეციალურ ნაგებობებს: ტრეკებსა და ავტოდრომებს, უზრუნველყოფენ ქალაქებსა და საქალაქთაშორისო მარშრუტებზე მრბოლელთა გადაადგილების უსაფრთხოებასა და მოხერხებულობას. ღარიბი ქვეყნები კი, მაღალმთიან თუ უდაბნო ადგილებში გამავალ თავის ასობით კილომეტრ კეთილმოუწყობელ, ხიფათიან გზებს უთმობენ ცნობილი ფირმებისა და მოწინავე ქვეყნების ეკიპაჟებს მათი სპორტული ჟინის დასაკმაყოფილებლად და გადაადგილების მძიმე პირობებში ავტომობილების მიერ გამოვლენილი საექსპლუატაციო თვისებების რეკლამისათვის.

თუ არ ჩავთვლით რბოლის ზოგიერთი მონაწილის ან მაყურებლის დასახიჩრებას ან დაღუპვას (რაც საკმაოდ იშვიათია, თუ უსაფრთხოების უბრალო ღონისძიებებია გატარებული), მოგებულია ავტოსპორტში მონაწილე ყველა სუბიექტი ან ობიექტი: ავტომობილებისა და მისთვის საჭირო ნივთების მწარმოებელი ფირმები, სპორტსმენები, მაყურებლები, მომსახურე ორგანიზაციები და მონაწილე ქვეყნების ბიუჯეტები.

2. ავტოსპორტი და მისი ისტორია

ავტოსპორტმა განვითარება დაიწყო XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გზებზე პირველი ავტომობილების გამოჩენასთან ერთად. ადამიანებმა უმალვე შეაფასეს მექანიკური ძრავით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებათა მგზავრების უზარმაზარი უპირატესობა ცხენშებმულ ეკიპაჟებთან ან ბედაურზე ამხედრებულ ადამიანებთან შედარებით, რომელთა გადაადგილების მაქსიმალური სიჩქარე არ აღემატებოდა 60 კმ-ს საათში და ხანგრძლივობა კი რამდენიმე წუთს.

ტერმინი ავტოსპორტი რამდენიმე განსხვავებულ სახეობას აერთიანებს, რომლებიც შეგვიძლია გავყოთ ორ, პრინცპულად სხვადასხვა ჯგუფად. [1]: რბოლები სიჩქარეთა რეკორდების დამყარებისათვის სხვადასხვა ტიპის და კლასის ავტომობილებისათვის, რომელთაც განასხვავებენ, ძირითადად, ძრავის მოცულობისა და ავტომობილის წონის მიხედვით. შეჯიბრებას ინდივიდუალური ხასიათი აქვსდა გამარჯვებული ვლინდება ფიქსირებული დისტანციის გავლისათვის რეგისტრირებული მინიმალური დროის ან ფიქსირებულ დროში გავლილი მაქსიმალური მანძილის მიხედვით.

რბოლები სპეციალურად აშენებულ ტრეკებზე და ავტოდრომებზე ან წინასწარ შერჩეულ და აღჭურვილ საერთო სარგებლობის გზების ან ქუჩების ხაზოვან ან წრიულ მონაკვეთებზე. რბოლას ჯგუფური ხასიათი აქვს და გამარჯვებული ვლინდება ყველასათვის საერთო დისტანციის შესაძლოდ მინიმალურ დროში გავლის ანუ მაქსიმალური საშუალო სიჩქარის

განვითარების მიხედვით.

მსოფლიოში პირველი, რეგისტრირებული, სპორტული ავტორბოლა ჩატარდა 1894ნწელს საფრანგეთში, პარიზსა და რუანს შორის [2] მან დიდი გამოძახილი ჰპოვა ევროპის ქვეყნებში. უკვე ერთი წლის შემდეგ ჩატარდა რბოლა პარიზსა და ბორდოს შორის, 1178 კმ მანძილზე. რბოლის სუფთა დრომ შეადგინა 48სთ და 48 წთ, საშუალო სიჩქარე იყო 24კმ/სთ. რბოლა ჩატარდა წესებით, რომლებიც დღემდე ძალაშია: მრბოლელთა განცალკევებული სტარტი, საკონტროლო წერტილები ტრასაზე, საგზაო პირობების წინასწარი აღწერა შენიშვნებისა და ლეგენდების სახით, გადაადგილება გზის საფარის მდგომარეობის, ამინდისა და სეზონის მიუხედავად, მაღალი ქანობების, მცირე რადიუსიანი დახურული მოსახვევების, მჭიდროდ დასახლებული სოფლის ვიწრო ქუჩებისა და სხვა რთული ადგილების შესაძლო მაქსიმალური სიჩქარით გადალახვა. უკვე 1900 წელს ბრიტანეთის ავტოკლუბმა მოაწყო 15 დღიანი ავტოგადარბენა "1000 მილი". 1903 წელს ჩატარდა ავტორბოლა პარიზი-მადრიდი. მასზე 550 კმ მანძილი პირენეების სამთო მონაკვეთების ჩათვლით გადაილახა 5სთ და 14 წუთში. საშუალო სიჩქარემ შეადგინა 105 კმ/სთ. 1905 წელს, გერმანიაში, მოეწყო 800 კმ-იანი ავტორბოლა, რომლის მარშრუტი მოიცავდა დიდი ქანობების მქონე აღმართ-დაღმართებს და ჩქაროსნული მოძრაობის მონაკვეთებს. 1907 წლის ზაფხულში ჩატარდა ავტოგადარბენა პეკინი-პარიზი, ხოლო 1908-ში, ნიუ-იორკი-პარიზი, იაპონიისა და ციმბირის გავლით.

1907 წლიდან ავტორბოლებმა ჩამოყალიბებული სახე მიიღეს, განისაზღვრა წესები, საერთო სარგებლობის გზებზე, რბოლას დაერქვა "რალი". ესაა ავტორბოლის სახეობა ღია ან შეჯიბრების დროს დახურულ ტრასაზე, მოდიფიცირებული ან სპეციალურად აგებული ავტომობილებით, მარშრუტზე საკონტროლო წერტილების გავლით, სპეციალურად დახურულ მონაკვეთებზე შესაძლო მაქსიმალური სიჩქარის განვითარებით, სპეცმონაკვეთებს შორის კი გადაადგილებით საგზაო მოძრაობის წესების სრული დაცვით დროის მკაცრად განსაზღვრულ ნორმატივში ჩატევით. 1907 წლის იანვარში ჩატარდა პირველი რალი, მონაკო-მონტეკარლო, რომელიც დღემდე უდიდესი პოპულარულობით სარგებლობს.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის ალპებში ავსტრიამ, იტალიამ, საფრანგეთმა, გერმანიამ და შვეიცარიამ დაიწყეს რალის პირობებით მრავალრიცხოვანი საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარება. ჩამოყალიბდა რალის ორი სახეობა:

I - რბოლა ცნობილ საკურორტო ქალაქებს შორის, სპეცმონაკვეთების გავლით;

II - რბოლა მეტად მძიმე ბუნებრივ პირობებში (ალპების, პირენეების, კორდილიერების და ა.შ. მაღალმთიანეთი), რთული გეომერტიის მქონე ასეულობით კმ სიგრძის სამთო გზებზე.

ამერიკისა და აფრიკის კონტინენტებზე გავრცელდა სუპერ ხანგრძლივი რბოლები, 8-10 ათას კმ-ზე. 1940 წელს ჩატარდა არგენტინასა და პერუს, ხოლო 1948 წელს, არგენტინა-ვენესუელას დედაქალაქებს შორის რბოლა. 1950 წელს მოეწყო ავტორბოლა აშშ-გვატემალას საზღვრებს შორის.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, სკანდინავიის ქვეყნებში (შვეცია და ფინეთი) დაიწყეს შედარებით მცირე მანძილებზე რალის ჩატარება, მოკლე სპეცმონაკვეთებით თიხნარი გრუნტის ან ხრეშოვანი საგზაო საფარის მქონე გზებზე დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით. იმავე პერიოდში დიდ ბრიტანეთში გახშირებული ავარიებისა და მსხვერპლის გამო აიკრძალა ავტორბოლები საერთო სარგებლობის გზებზე. ბრიტანელებმა მხოლოდ 1961 წლიდან განაახლეს შეჯიბრებათა ჩატარება, სატყეო უწყების კუთვნილ, რთული ტრასისა და მოხრეშილი საფარის მქონე ტყესაზიდ უკაცრიელ გზებზე. ამ შეჯიბრებებიდან დაიწყო რალიში მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპების ჩატარება, რომელმაც მალე მოიცვა იუგოსლავიის, ბულგარეთის, საფრანგეთის უკაცრიელი გზები. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შემცირდა რბოლების დისტანცია, ეტაპებისა და ღამის გადარბენების რაოდენობა. 1973 წლიდან საფრანგეთში დაიწყეს ალპების და კორსიკის თასის რბოლები, დიდ ბრიტანეთში კი, ე.წ. "უელსის რალი". ისინი გახდნენ რალიში მსოფლიო ჩემპიონატების პოპულარული ეტაპები.

1960 წლამდე რალი მოყვარულთა შეჯიბრი იყო, 1960 წლიდან კი დაიწყო პროფესიონალი პილოტების ასპარეზობაც. გახშირებული ავარიების გამო, სპორტული ავტორბოლების საერთაშორისო ასოციაციამ 1987 წლიდან დაყო მონაწილენი ორ ჯგუფად:

A - სერიულთან ახლოს მყოფი, თითქმის სტანდარტული ავტომობილები მხოლოდ გაუმჯობესებული მუხრუჭებით, დაკიდებით და საჭის მექანიზმებით;

B - სპორტულად მოდიფიცირებული ავტომობილები, შემსუბუქებული და მტკიცე ძარით, მაღალი კლასის აგრეგატებით, 500 ცხ.ძ. და მეტი სიმძლავრის ძრავებით და ა.შ. ამჟამად, საერთაშორისო შეჯიბრებებში პრაქტიკულად, მხოლოდ ცნობილი ავტობრენდების ასეთი(მერსედესი, ბმვ, ფიატი და ა.შ.) გუნდები მონაწილეობენ.

3. რალის სახეობანი

ხანგრძლივი პერიოდის პრაქტიკის შედეგად, დღევანდელ მსოფლიოში ჩამოყალიბდა და პირობითად მიღებულია რალის სამი სახეობა: პროფესიონალი პილოტებისათვის; მოყვარული პილოტებისათვის; ტურისტული რალი. პროფესიონალთა შეჯიბრი ტარდება მოძრაობისათვის დროებით დაკეტილ გზის მონაკვეთებზე, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს სავალი ნაწილის საფარი ფართო დიაპაზონში: ასფალტ ან ცემენტობეტონი, ღორღი, ხრეში ან დატკეპნილი თიხნარი გრუნტი. ტრასა შეიძლება იყოს სხვადასხვა რელიეფისა და კლიმატის პირობებში: მაღალმთიანი საუღელტეხილო მონაკვეთები, გზები ტყეში, ქვიშიან უდაბნოში ან თოვლიან-ყინულიან ველებში.

რბოლაზე მომქმედი მრავალი, მათ შორის წინასწარ გაუთვალისწინებელი ფაქტორი

შეჯიბრებას საოცარ აზარტს ანიჭებს. სერიული ან მიახლოებული კონსტრუქციის ავტომობილები და სახელგანთქმული პროფესიონალი პილოტების მონაწილეობა განუმეორებელ სანახაობას ქმნის და მსოფლიოს ყველა კონტინენტზე მაყურებელთა დიდ რაოდენობას იზიდავს. გამარჯვებული ვლინდება დროის მინუმუმის და მაქსიმალური სიჩქარით გავლილი სპეცმონაკვეთების მიხედვით. მოყვარულთა შეჯიბრება ჩვეულებრივ, მოძრაობისათვის ღია გზებზე, საკმაოდ რთულ საგზაო პირობებში და დიდ მანძილებზე ტარდება. სიჩქარის მაგიერ აქ გამარჯვებისთვის მთავარია განრიგის მკაცრი დაცვა, ნავიგაციის სრულყოფილად ფლობა და ტექნიკურად გამართული ავტომობილი.

ტურისტული რალი ტარდება ავტოგადარბენის სახით, ტრასა არ შეიცავს სპეციალურ ჩქაროსნულ მონაკვეთებს, არ ტარდება ინდივიდუალური მაჩვენებლების მიხედვით ცალკეულ მონაწილეთა შეჯიბრი. ძირითადი აქცენტი გუნდურ დისციპლინაზე, კოლექტიურ გადაადგილებასა და ურთიერთდახმარებაზეა.

პროფესიონალთა რბოლისათვის ტიპიურია 40-60 კმ-ს სიგრძის ჩქაროსნული მონაკვეთები რომელზედაც განლაგებულია ე.წ. სუპერსპეცმონაკვეთები სიგრძით არაუმეტეს 1,0 კმ სადაც ტარდება მრბოლელების წყვილთა ინდივიდუალური შეჯიბრება. ამ მონაკვეთების გასწვრივ მოწყობილია ტრიბუნები და გამოყოფილია ხიფათიანი ზონები, რომლებიც დაცულია სპეციალური ზღუდარებით და მათ სიახლოვეში აკრძალულია მაყურებელთა ყოფნა . გამარჯვებული ვლინდება ჩქაროსნული მონაკვეთების გავლის მინიმალური დროის მიხედვით.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, რალი ეწყობა ნებისმიერი რელიეფის და კლიმატის პირობებში მიმავალი გზის მონაკვეთებზე, რომელთა ტრასა და სავალი ნაწილის საფარი საინტერესოა სპორტული თვალსაზრისით. ასეთ ტრასებზე ჩვეულებრივია მცირე რადიუსიანი გრძელი მრუდები გეგმაში, ასევე მცირე რადიუსიანი ამოზნექილი მრუდები ე.წ. ტრამპლინები, შეზღუდული მხედველობის მონაკვეთები, არათანაბარი სიგანის სავალი ზოლები და გვერდულები დაფარული ხრეშით, სველი თიხნარი გრუნტით ან ფხვიერი თოვლითა და ქვიშით.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, პილოტი და შტურმანი წინასწარ ეცნობიან ტრასას და პილოტის კარნახით შტურმანი იწერს სარბოლი ტრასის სტენოგრამას, ანუ მარჯვენა და მარცხენა მოხვევების თანმიმდევრობას, აღმართ-დაღმართების მონაცვლეობას და სხვა ინფორმაციას საგზაო პირობების შესახებ, რათა ტრასა იქნეს გავლილი მაქსიმალური სიჩქარით და უსაფრთხოდ. მოულოდნელობის ფაქტორის შემცირება შესაბამისა ზრდის მონაკვეთზე განვითარებულ სიჩქარეს, უნარჩუნებს მონაწილეებს ფსიქიკურ და ფიზიკურ თვისებებს საჭირო დონეზე, ზრდის გადაადგილების უსაფრთხოებას და ამცირებს ავტომობილის დეტალების მტყუნების შესაძლებლობას. ზოგჯერ სტენოგრამას, წინასწარ განსაზღვრული ფორმით, ადგენენ ორგანიზატორები და გადასცემენ მონაწილეებს. ასეთ შემთხვევაში, მონაწილეთა მიერ ტრასის შესწავლა აღარაა დაშვებული.

გარდა რალის ტიპის შეჯიბრებისა მთელს მსოფლიოში ძალზედ პოპულარულია წრიული ჩქაროსნული ავტორბოლები, რომლებიც ეწყობა სპეციალურად აგებულ ავტოდრომებზე ან ქალაქების ქუჩებში სპეციალურად გამოყოფილ მონაკვეთებზე. ავტოსპორტის ამ სახეობას ძვირადღირებული ინფრასტრუქტურა სჭირდება. აუცილებელია წარმოდგენილი იყოს რამდენიმე კმ სიგრძის მაღალხარისხოვანი სავალი ზოლების მქონე ტრასა, ტრიბუნები, კოშკი მართვის ცენტრისთვის, შენობები მონაწილეთა სასტუმროსათვის და ბოქსები მათი ავტომობილების მოსათავსებლად, ტექნიკური მომსახურებისა და სამედიცინო ცენტრებისთვის და ა.შ. ასევე საჭიროა სახიფათო უბნების გამოყოფა და მათი დაცვა სპეციალური ღობურებით.აქედან გამომდინარე ავტოდრომები მხოლოდ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშია. მაგალითად დასავლეთ ევროპაში რბოლისთვის გამოყოფილი წრიული ტრასები (ნახ1) აღჭურვილია შესაბამისი მოწყობილობებით.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებიდან ავტოსპორტის განვითარების პრიორიტეტი ბალტიის ქვეყნებს ეკუთვნის. ესტონეთში 1934 წლიდან ტარდება წრიული ჩქაროსნული ავტორბოლა "ესტონეთის დიდი პარიზი", 1938 წ-ს ავტოდრომი "მეჟაპარკ" გაიხსნა რიგაში. მოსკოვში ავტორბოლები ტარდებოდა 1961 წლიდან ლუჟნიკებში, მაგრამ 1965 წ-ს ავარიაში ხალხის დაღუპვის შემდეგ გააუქმეს. პეტერბურგში იყო ტრასა "ნევსკოე კოლცო", ლატვიაში რიგაში აშენდა I პროფესიული საბჭოთა სპორტული კომპლექსი "ბიკერნიეკი", ნახ.2.მეორე სპეცპროექტი იყო " ჩაიკა" კიევში. ასეთი ბოლო კომპლექსი - ავტოდრომი აშენდა რუსთავში. იგი გაიხსნა 1978 წლის აპრილში და რეგულარულად მასპინძლობდა სსრკ-ს ჩემპიონატის ეტაპებს წრიულ ჩქაროსნულ რბოლებში. 1989 წლის შემდეგ 20 წლის განმავლობაში მხოლოდ მცირე მასშტაბის შეჯიბრებები ეწყობოდა. 2009 წლიდან რუსთავის ავტოდრომი გაიყიდა აუქციონზე. [3]

ავტოდრომების აგება და ჩქაროსნული წრიული ტრასების მოწყობა მეტად ძვირია. მათი ღირებულება ევროპისა და ა.შ.შ.-ს მაგალითზე მილიონობით დოლარსა და ევროს აღწევს. მთელ მსოფლიოში ცნობილია გერმანელი ინჟინერი გერმან ტილკე, მას აქვს საპროექტო ბიურო, რომლის პროექტებით აშენებულია არაერთი ავტოდრომი მათ შორის რუსეთში სოჭის ოლიმპიური ავტოტრასა: სიგრძე 5854მ. სავალი ზოლის სიგანე 13-150, მოსახვევების რაოდენობა 18, სიმაღლის სხვაობა 1,5 მ, დაკავებული ფართი 36 ჰა. შესაძლო მაქსიმალური სიჩქარე 320 კმ/სთ. [4] მისი ბოლო პროექტია ჩქაროსნული ტრასა პრაღაში. იგი იწყება სტაციონარულ 2 კმ სიგრძის ავტოდრომზე და მერე გრძელდება პრაღის ქუჩებში. პროექტის რეალიზაცია შეფასებულია $166 მლნ. ასეთი სიძვირე გამოწვეულია პრაღის უძველეს ცენტრში

ჩქაროსნული გადაადგილების უსაფრთხოების ღონისძიებათა სირთულით, დასავლეთ ევროპელ სპეციალისტთა შრომის მაღალი ანაზღაურებით, საშენი მასალებისა და მექანიზმების სიძვირით. საქართველოს პირობებში ზემოხსენებული პროექტების განხორციელებას გაცილებით ნაკლები ხარჯები სჭირდება, ვინაიდან ქართველი მაღალკვალიფიკაციური საგზაო ინჟინრების შრომის ანაზღაურება, საშენი მასალები და ტერიტორიის ღირებულება შეუდარებლად უფრო დაბალია. ასეთი დაბალი ღირებულება შეხამებული ინჟინერების მაღალ კვალიფიკაციასთან, საშუალებას იძლევა ჩვენი ძალებით, საშუალებებითა და ფინანსური სახსრებით საქართველოში განვავითაროთ საავტომობილო სპორტის ევროპული დონის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ამასთან ერთად მონაწილეობა მივიღოთ საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ საპროექტო და სამშენებლო ტენდერებში, ვიქონიოთ გამარჯვების მაღალი შანსი.

საქართველოში სპორტული შეჯიბრებები ავტორბოლაში დაიწყო პირველი ავტომობილების გამოჩენიდან. 1908-1910 წლებიდან დაიწყეს შეჯიბრებების ჩატარება. ძირითადი ასპარეზი იყო საქართველოს სამხედრო გზა, ვლადიკავკაზიდან თბილისამდე. ეს არჩევანი არამარტო ულამაზესი ხედების და რთული ბუნებრივი პირობების გამო იყო გაკეთებული, ეს იყო მაშინდელ რუსეთის იმპერიაში პრაქტიკულად ერთადერთი მაღალმთიანი ტრასა, რომლის საგზაო საფარი, ხლოვნური ნაგებობები, მოწყობა გაფორმების ელემენტები/ჯებირები, პარაპეტები, ბოწკინტები, დასასვენებელი და სამზერი მოედნები, მაშინდელი მოწინავე ევროპული ქვეყნების სტანდარტების მოთხოვნებს უახლოვდებოდა.

ქართველი კაცის სპორტულმა ხასიათმა და დაბრკოლებების გადალახვის დაუოკებელმა სურვილმა ასახვა ჰპოვა მ. ჯავახიშვილის ცნობილ მოთხრობაში "გივი შადური", სადაც მთავარი გმირი ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე ვლადიკავკაზიდან თბილისამდე სპორტულ გადარბენას აწყობს, ავტომობილის წონისა და საკონტროლო პუნქტებში გავლის დროის ფიქსირებით. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველო რეგულარულად მონაწილეობდა ყოფ. სსრკ-ს ავტოსპორტის ჩემპიონატებში. მაშინ მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, ვილნიუსის, ტალინის საკავშირო მნიშვნელობის წრიულ ჩქაროსნულ ტრასებთან ერთად თბილისში "ვაკე-საბურთალო" ჩქაროსნული წრიული ტრასაც მოიხსენებოდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, ნახ.3. იგი წარმოადგენს ჩაკეტილ წრეს, რომელიც განლაგებულია ჭავჭავაძისა და გურამიშვილის პროსპექტებზე, მას აქვს ორი 520 მ-იანი სწორი მონაკვეთი გამოყოფილი 23მ სიგანის ბულვარით. ტრასის სიგრძეა 3100მ. სავალი ნაწილის სიგანე 18მ, სასტარტო მოედნის სიგანე 18მ, სიგრძე 250მ, აღმართ-დაღმართების რაოდენობა - 4, სიმაღლეთა სხვაობა 34მ, მოსახვევების რაოდენობა - 8, მოძრაობის მიმართულება - ცალმხრივი, საათის ისრის საწინააღმდეგოდ. ტრასის გასწვრივ მაყურებლისთვის 6 აკრძალული ზონა იყო გამოყოფილი, მათი უსაფრთხოეის უზრუნველსაყოფად. 1963 წ-ს, გაზ-21 სტანდარტული ავტომობილებით საკავშირო ჩემპიონატის ეტაპის ჩატარებისას, მართვადაკარგულმა ერთ-ერთმა ავტომობილმა ბულვარის აკრძალულ ზონაში უზრუნველად წამოწოლილი მაყურებლები გადათელა. მას შემდეგ შეჯიბრებები აღარ მოწყობილა. მაშინდელი ტექნიკური ნორმატივების მოთხოვნებით მაყურებელთა უსაფრთხოებისათვის ბულვარის გასწვრივ მთელ სიგრძეზე რკინაბეტონის თვალამრიდი ძელებისაგან ბარიერი უნდა გაკეთებულიყო, როგორც ჩვეულებრივ, საერთო სარგებლობის გზებზე მცირე რადიუსიან მონაკვეთებზე და 3 მ-ზე მაღალ ყრილებზე ეწყობოდა, თანამედროვე მოთხოვნებით უკვე ლითონის დეფორმირებადი ბარიერებია საჭირო, რომელთა დასაყენებლადაც პრაქტიკულად მხოლოდ კეთილი ნებაა საკმარისი.

4. საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურა ავტოსპორტისთვის გამოყენების თვალსაზრისით.

საქართველოს საგზაო ქსელის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები ევროპის ქვეყნებიდანდაახლოებით პორტუგალიისა და უნგრეთის მაჩვენებელთა ტოლფასია. მისი მრავალფეროვანი რელიეფი და ბუნებრივი პირობები მათ შორის ვერტიკალური ზონალობა, მდიდარი ფლორა, მრავალი მდინარე და ნაკადული გადაკვეთილი ხიდით ან ფონით, შებრუნებულ მრუდებზე მოწყობილი მისასვლელებითმეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიან საქართველოში ავტორბოლების განვითარებისთვის.

საქართველოს საგზაო ქსელი 20400 კმ-მდე სიგრძისაა. აქედან მეოთხედი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებია ცემენტბეტონითა და ასფალტბეტონით დაფარული სავალი ნაწილით, თანამედროვე საგზაო ნიშნებით, ლითონის დამცავი ღობურებით, მონიშვნითა და მოწყობა გაფორმების ყველა საჭირო ელემენტით. დარჩენილი სამი მეოთხედი ადგილობრივი გზებია. მათი საერთო სიგრძის 30% ბიტუმიზებული ფენილია, 65% თეთრი გზაა (ღორღის, ხრეშის),5% დატკეპნილი გრუნტის საფარის მქონეა [5]. საქართველოს ტერიტორია მოიცავს ვაკეებს, მთისწინეთს - დასერილს და დაყოფილს საშუალო სიმაღლის ბორცვებითა და ასეთივე სიღრმის ხევებით, მთაგორიან ადგილებს დანაწევრებულს ღრმა ხევებით, მაღალმთიან ადგილებს, დანაწევრებულს მდინარეთა ღრმა ხეობებით.ასეთ ტერიტორიაზე გაყვანილ გზებსტრასის რთული გეგმა და გრძივი პროფილი გააჩნია. ბევრია მცირე რადიუსიანი მოსახვევები დიდი მოხვევის კუთხეებით, განლაგებული დიდ გრძივ ქანობებზე, არასაკმაო მხედველობის მანძილით. ბევრია ახლო განლაგებული შებრუნებული მრუდები, მნიშვნელოვანი ქანობის მქონე აღმართ-დაღმართიანი მონაკვეთები შეუღლებული ამოზნექილი მცირე რადიუსის ვერტიკალური მრუდებით ე.წ. ტრამპლინები.

ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებას კიდევ უფრო აძლიერებს მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა. კოლხიდის ვაკე ჭაობებით, აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის ჭარბტენიანი მთიანეთი, იმერეთის, სამცხისა და ქართლის ცვალებად ტენიანი რაიონები, ქართლ-კახეთი არასაკმაო ტენიანობის მქონე მინდორ-ველებით, აფხაზეთის, სამეგრელოს, ზემო აჭარის, ხევის, ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის მაღალმთიანი უღელტეხილები წლის განმავლობაში 6 თვემდე თოვლითა და ყინულით დაფარული მდებარე 2500-3000მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან ბევრ დაბრკოლებას უქმნის მგზავრებისა და ტვირთების გადაადგილებას, მაგრამ მეტად მიმზიდველია ავტორბოლისათვის. ბოლო წლებში ჩატარებული გზების რეაბილიტაციის ნაუცბათევი სამუშაოები გამოხატულითანამედროვე საგზაო საფარის დაგებით და ტრასის ძველი პარამეტრების შენარჩუნებით სახიფათოა ავტომობილთა ჩვეულებრივ რეჟიმებში გადაადგილებისათვის, მაგრამ ავტომბროლელებს შესანიშნავ პირობებს უქმნის მაღალი სიჩქარეებით სამოძრაოდ. მითუმეტეს, თუ ასეთ მონაკვეთებზე მოწყობა-გაფორმების ელემენტები თანამედროვე სტანდარტებითაა შესრულებული.

მიუხედავად საქართველოს რთული რელიეფისა ყველა ტრასაზე ადვილად შეიძლება გამოინახოს რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძის სწორი მონაკვეთები სუპერ ჩქაროსნული, წყვილთა რბოლის ჩატარებისათვის. ასეთი გზების დიდი ნაწილის განლაგება ფერდობებზე ხელსაყრელ პირობებს ქმნის მაყურებელთა უსაფრთხო და კომფორტული განლაგებისათვის. სტარტისა და ფინიშისათვის მოედნების მოწყობაც შედარებით ადვილად გადალახვადი პრობლემაა.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ ავტოსპორტის სხვა სახეობებთან შედარებით რალის მოწყობის პრიორიტეტულობას, ვინაიდან თუ არ ჩავთვლით სტარტისა და ფინიშის მოედნებს, ტრიბუნების და სხვა სპეცნაგებობათა მოწყობას, რალისთვის გამოსადეგ ტრასათა უმრავლესობაზე სხვა დანარჩენი ინფრასტრუქტურული ელემენტები სრულ მზადყოფნაშია. დიდი ხელისშემწყობი ფაქტორია აგრეთვე საქართველოს მოსახლეობისთვის ჩვეული სიყვარული მაღალი სიჩქარეებით გადაადგილებისთვის და ავტომობილთა ნაკადში პირველობის სურვილი.

რალის სახეობათა მიხედვით ჩვენ მიერ შედგენილია ცხრილები, რომლებიც გვიჩვენებენ რალისთვის რეკომენდებულ გზების მონაკვეთებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აფხაზეთის რეგიონში მეტად პერსპექტიულია რამდენიმე ტრასა. მათ შორის უპირველესია ბზიფი-რიწა-ავადხარა, რომელზედაც შეიძლება როგორც პროფესიონალთა, ასევე მოყვარულთა სპორტული და ტურისტული შეჯიბრებების მოწყობა. პროფესიონალთა და მოყვარულთა სპორტული შეჯიბრებისათვის მიზანშეწონილია ე.წ. სოხუმი ქლუხორის სამხედრო გზის, მერხეული-წებელდა-ამტყელი-ჩხალთა-ომრიშარას მონაკვეთი. მეორე ტრასა კი - ჩხალთის ხეობით მარუხის უღელტეხილიდან გრუნტის გზა ქვემო აჟარა - ომარიშარა-საკენი-კალამრის უღელტეხილი 2241 (VI-X) ენგურის ხეობაში სოფ. ტობრამდე ღორღის საფარით, ჩვენი აზრით მხოლოდ პროფესიონალებისათვისაა მიზანშეწონილი.

პროფესიონალთა რბოლისათვის გამოსადეგია სვანეთი - ლეჩხუმის ტრასა: მესტია-ენგურის ხეობა-ზაგაროს უღელტეხილი 2623 (VI-X) -ლეხედულას ხეობა-ჟახუნდერი-ლენტეხი. ასევე ტრასა ტეხურის ხეობაში: დიდი ჭყონი - კურზუ - ლებარდეს გზა თეთრი საფარით.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე შიდა ქართლში თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მდინარეების ტანას, ძამას და თეძამის ხეობაში გამავალი ადგილობრივი გზების საერთაშორისო დონის სპორტული და სანახაობითი პოტენციალი, განსაკუთრებთ პროფესიონალთა რბოლებისათვის. ამავე მიზნით, აღსაღნიშნავია, აგრეთვე მცხეთა-მთიანეთში თრუსოს ხეობა მდ. თერგის გასწვრივ განლაგებულ სოფლების ალმასიანი, აბანო, რესის დამაკავშირებელი გზით, რომელიც რეაბილიტაციის შემდეგ შესანიშნავი სარბოლი ტრასა იქნება. ჩვენი აზრით, პროფესიონალთათვის მეტად საინტერესო იქნება კახეთში, საგარეჯო-კოდა-ცივის მონაკვეთი, ასევე კახეთიდან თუშეთში გადამავალი გზა, საქართველოში ყველაზე მაღალი უღელტეხილის აბანოს გავლით, რომელიც სოფლებს ფშაველსადა ომალოს აკავშირებს.

რაც შეეხება ე.წ. წრიულ ჩქაროსნულ რბოლებს ავტოდრომებზე და ქალაქის ქუჩებში, ისინი ასევე პოპულარულია საქართველოში. რუსთავის სპორტკომპლექსის აღორძინება დაიწყო 2009 წლიდან ნახ.4, როდესაც კომპანია "სტრომოს"-მა (ხელმძღვანელი ცნობილი ავტომრბოლელი - შოთა აფხაზავა) შეიძინა გაპარტახებული ავტოდრომი და მიმდებარე ტერიტორია. ჩატარებული სამუშაოების შემდეგ იგი გაიხსნა 2012 წელს. იგი ერთადერთია ყოფ. სსრკ-ს ტერიტორიაზე არსებულ ავტოდრომებს შორის, რომელიც აკმაყოფილებს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) მოთხოვნებს. რუსთავის სპოერტკომპლექსი განლაგებულია 78 ჰა-ზე. მას აქვს სარბოლი ტრასა სიგრძით 4140მ, ტრიბუნები 7000 მაყურებელზე, გარაჟები, საქართველოს ავტოსპორტის მუზეუმი, პრესცენტრი და ა.შ. რეგულარულად ტარდება საქართველოს ჩემპიონატები და სათასო რბოლები „Rustavi International Challenge" კლასებში: „Formula alfa, Legends, Touring — 1500" და „GT-Unlimited".

ქართველი სპორტსმენები მრავალი წელია წარმატებით ასპარეზობენ საქართველოს, ევროპისა და რუსეთის ჩემპიონატებში, შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ დავით ქაჯაია 2012 წ-ის ევროპის ჩემპიონი "ლეგენდა"-ს კლასში. შოთა აფხაზავა საქართველოსა და რუსეთის ჩემპიონატების მრავალ გზის გამარჯვებული, ვიქრორ ნოზაძე, რომელიც ჯერ კიდევ 2000 წელს მსოფლიოში ავტოსპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტების რანგში მყოფი ორი მომქ-

მედი პილოტიდან ერთ-ერთი იყო.ეს ძველი ტრადიცია წარმატებით გრძელდება სპორტსმენთა ახალი თაობის მიერ. მათი ძალისხმევა საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის შესაძლებლობათა სრული გამოყენების შემთხვევაში ეროვნული სპორტისა და ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ხელის შემწყობი ფაქტორი გახდება.

თბილისის მერიის მხრიდან კეთილი ნების შემთხვევაში შესანიშნავი ავტორბოლის კომპლექსი შეიძლება მოეწყოს ყოფილი ჰიპოდრომის ტერიტორიაზე, სადაც საკმარისი ადგილია მაყურებელთა თანამედროვე ტრიბუნების და დამხმარე ნაგებობების განლაგებისათვის. ამის შედეგად ვაკე-საბურთალოს შემაერთებელ გზაზე არსებული ე.წ. "თბილისის წრე" ამ კომპლექსის შემადგენელი ნაწილი შეიძლება გახდეს.ავტოდრომი რუსთავისა და თბილისის გარდა აღმოსავლეთ საქართველოში შეიძლება მოეწყოს ხაშურსა და ახალდაბას შორის, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ტაშისკარის ველზე. შესანიშნავი ბუნება, ხაშური-ახალციხე-ვალეს საერთაშორისო ავტომაგისტრალი, სიახლოვე თბილისთან და საქართველოს აღმოსავლეთ, დასავლეთისა და სამხრეთის მსხვილ დასახლებულ პუნქტებთან ხელს შეუწყობს საერთაშორისო მასშტაბის სპორტული ღონისძიებების ჩატარებას. შესანიშნავი პირობებია ლამაზი ბუნების, შესაფერი რელიეფის, ავტომაგისტრალებისა და ბრწყინვალე ისტორიული ძეგლების სიახლოვის თვალსაზრისით თელავის ჩრდილოეთით, კურდღელაურთან, ყოფილი აეროდრომის ტერიტორიაზე.

დასავლეთ საქართველოში უმცირესი დანახარჯებით შეიძლება ავტოდრომის მოწყობა ქუთაისის ცენტრიდან დასავლეთით, ძველი აეროდრომის ტერიტორიაზე სადაც შეიძლება ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და საჭის ბილიკების წარმატებით გამოყენება სარბოლო ზოლის საფარისათვის საფუძველ ფენად, ხოლო არსებული შენობა ნაგებობების მისადაგება ავტოდრომის მიზნებისათვის.

ავტოდრომების აგება შეიძლება დასავლეთ საქართველოში ფოთისა და ბათუმის შემაერთებელი ავტომაგისტრალის გასწვრივ, რომელიც უახლოეს პერსპექტივაში შავიზღვისპირეთის საერთაშორისო წრიული ავტომაგისტრალის ნაწილი უნდა გახდეს.

#	ტრასის დასახელება სტარტისა და ფინიშის მდებარეობა	ს ა კ ო ნ ტ რ ო ლ ო წერტილები	საგზაო საფარი	რ ბ ო ლ ი ს რეკომენდებული სახეობა
		აფხაზეთი		
1	"ბზიფი-რიწა" ბზიფი-ავადხარა	ბზიფი, რიწა, ავადხარა	ასფალტბეტონი	სამივე სახის
2	"სოხუმი-ქლუხორის სამხედრო გზა" მერხეული-ომარიშარა	მერხეული, წებელდა, ამტყელი, ჩხალთა, ომარიშარა	ასფალტბეტონი, თეთრი გზა	პროფესიონალთა და მოყვარულთა
3	"დალის ხეობა-ენგური" ომარიშარა-ტობრა	ომარიშარა, საკენი, კალამრის უღ. 2241 (VI-X), ტობრა	თეთრი გზა, გრუნტი	პროფესიონალთა
4	"ჩხალთა" ქვემო აჭარა -მარუხის გადასახვევი	ქვემო აჭარა, მარგხენა პტიში, მარუხის გადასახვევი	თეთრი გზა, გრუნტი	პროფესიონალთა
		სამეგრელო-ზემო სვანეთი		
1	"ტეხურის ხეობა" დიდი ჭყონი - ლებარდე	დიდი ჭყონი - კურზუ - ლებარდე	თეთრი გზა	პროფესიონალთა და მოყვარულთა
2	"სვანეთი - ლეჩხუმი" მესტია-ლენტეხი	მესტია, ენგურის ხეობა, ზაგაროს უღ. 2623 (VI-X), ლეხედულას ხეობა, ჟახუნდერი, ლენტეხი	თეთრი გზა, გრუნტი	პროფესიონალთა და მოყვარულთა
3	"ჯვარი-მესტია" ჯვარი-მესტია	ჯვარი, ხაიში, ლახამურა, მესტია	ცემენტბეტონი, ასფალტბეტონი, თეთრი გზა	სამივე სახის
4	"აბაშა - ტეხურის წრე" ნოქალაქევი - დიდი ჭყონი	ნოქალაქევი-მარტვილი-ნამიკოლვო-დიდი ჭყონი-ნახურციალო-ლეძამამე-ნოქალაქევი	ასფალტბეტონი	სამივე სახის
		იმერეთი		
1	"ცხენისწყალი" წყალტუბო--ლენტეხი	წყალტუბო, ცხუნკური, ცაგერი, ლენტეხი	ასფალტბეტონი	სამივე სახის
2	"წაბლარა" ბაღდათი-ზეკარი	ბაღდათი-საირმე-ზეკარის უღ. 2182 (VI-X)	ასფალტბეტონი, თეთრი გზა	პროფესიონალთა და მოყვარულთა
3	"ქვაჭრელას წრე" ს. წყალთაშუა	წყალთაშუა-საირმე-ზეკარის უღ. 2182 (VI-X)-ვენახჭალა-წყალთშუა (წაბლარას და ხანსწყლის ხეობებში)	ასფალტბეტონი, თეთრი გზა	პროფესიონალთა
4	"ტყიბული" თერჯოლა-ნაქერალას უღ.	თერჯოლა-ტყიბული-ნაქერალას უღ. 1217 (I-XII)	ასფალტბეტონი	სამივე სახის

		მცხეთა - მთიანეთი		
1	"საგურამოს წრე" ს. გლდანი	ს. გლდანი - მამკოდა - ცხვარიჭამია - საგურამო - წიწამური - ს.გლდანი	ასფალტბეტონი	პროფესიული, მოყვარულთა
2	"ცხვარიჭამია" მამკოდა-თიანეთი	მამკოდა-ცხვარიჭამია-ღულელები-ხევსურთსოფელი-თიანეთი	ასფალტბეტონი	პროფესიული, მოყვარულთა
3	"ფშავის არაგვი" ჟინვალი - ბარისახო	ჟინვალი-გუდრუხი-მაღაროსკარი-ბარისახო	ასფალტბეტონი	პროფესიული, მოყვარულთა
4	"ხევსურეთი" ბარისახო-შატილი	ბარისახო-ხახმატი-უღ. დათვის ჯვარი 2676 (V-XI)-შატილი	თეთრი გზა	პროფესიული
5	"მთიულეთი" ნატახტარი - ქვედა მლეთა	ნატახტარი-ჟინვალი-ანანური-ფასანაური-ქვედა მლეთა	ასფალტბეტონი	სამივე სახის
6	"ჯვრის უღელტეხილი" ქვედა მლეთა - ლარსი	ქვედა მლეთა-გუდაური-უღ. ჯვარი 2370 (V-XI)-კობი-სტეფანწმინდა-ლარსი	ასფალტბეტონი	პროფესიული, მოყვარულთა
7	„თრუსოს ხეობა" ალმასიანი - რესი	ალმასიანი-შევარდენი-აბანო-გიმარა-რესი	ასფალტბეტონი	პროფესიული, მოყვარულთა
8	„მჭადიჯვრის წრე" - ნატახტარი	ნატახტარი-წილკანი-მუხრანი-ოძისი-მჭადიჯვარი-დუშეთი-ნატახტარი	გრუნტი	პროფესიული
		შიდა ქართლი		
1	"არმაზი" მცხეთა - ხიდისთავი	მცხეთა-არმაზი-ძეგვი-კავთისხევი-ახალქალაქი-გრაკალი-ხიდისთავი	ასფალტბეტონი	პროფესიული, მოყვარულთა
2	"ტანას ხეობა" ხიდისთავი-ლევიტანა	ხიდისთავი-ატენი-ტუსები-ლევიტანა	ასფალტბეტონი, თეთრი გზა	პროფესიული, მოყვარულთა
3	"ძამას ხეობა" ქარელი-წინუბანი	ქარელი-კეხიჯვარი-ზღუდერი-გვერძინეთი-ტყემლოვანა-წინუბანი	თეთრი გზა	პროფესიული
4	"თეძამი" ახალქალაქი-მღებრიანი	ახალქალაქი-ერთაწმინდა-რკონი-მღებრიანი	თეთრი გზა, გრუნტი	პროფესიული
5	"წრომის წრე", ქარელი	ქარელი-წრომი-ქვემო ოსიაური-გომი-აგარა-არადეთი-ქარელი	ასფალტბეტონი, თეთრი გზა	პროფესიული, მოყვარულთა
		რაჭა - ლეჩხუმი		
1	"ნაქერალა" ტყიბული-ამბროლაური	ტყიბული-ნაქერალას უღ. 1217 (I-XII)-ნიკორწმინდა-ზოტევი-ამბროლაური	ასფალტბეტონი	სამივე სახის
2	"რიონი" ამბროლაური-ღები	ამბროლაური-ონი-ჭიორა-ღები	ასფალტბეტონი	სამივე სახის
3	"ამბროლაური-მამისონი" ამბროლაური-მამისონი	ამბროლაური-ონი-გლოლა-მამისონი	ასფალტბეტონი, თეთრი გზა	პროფესიონალი, მოყვარულთა
4	"რიონი" ქუთაისი - ცაგერი	ქუთაისი-გუმათი-ნამახვანი-მექვენა-ორბელი-ცაგერი	ასფალტბეტონი	პროფესიონალი, მოყვარულთა
		აჭარა - გურია		
1	"გოდერძი" ხულო, ზარზმა	ხულო-გოდერძის უღ. 2025 (V-XI) ზარზმა	თეთრი გზა	პროფესიონალთა
2	"აჭარისწყალი" ბათუმი, ხულო	ბათუმი-ხელვაჩაური-ქედა-შუახევი-ხულო	ასფალტბეტონი	პროფესიონალთა, მოყვარულთა
3	"გურია" ნატანები, საჯავახო	ქვ. ნატანები - ოზურგეთი - ჩოხატაური - საჯავახო	ასფალტბეტონი	სამივე სახის
4	"გუბაზეული" ჩოხატაური, ბახმარო	ჩოხატაური - ჩაისუბანი - ხიდისთავი - ნაბეღლავი - ბახმარო	ასფალტბეტონი, გრუნტი, თეთრი გზა	პროფესიონალთა, მოყვარულთა

		სამცხე - ჯავახეთი		
1	“ბაკურიანი” ახალდაბა, ახალქალაქი	ახალდაბა-ბორჯომი-წაღვერი-ბაკურიანი-ცხრაწყაროს უღ. (V-XI)-ღადო-კოთელია-ახალქალაქი	ასფალტბეტონი, თეთრი გზა	პროფესიონალტა, მოყვარულთა
2	“მტკვარი” ახალციხე, ვარძია	ახალციხე-რუსთავი-ასპინძა-ტოლოში-ვარძია	ასფალტბეტონი	სამივე სახის
3	“ჯავახეთი” ნინოწმინდა, მანგლისი	ნინოწმინდა-ფოკა-ალგეთი-მანგლისი	ასფალტბეტონი	სამივე სახის
		ქვემო ქართლი		
1	“ქვემო ქართლის წრე” ბოლნისი	ბოლნისი-თეთრიწყარო-ფარცხისი-ალგეთი-წალკა-თრიალეთი-დმანისი-ბოლნისი	ასფალტბეტონი, თეთრი გზა	სამივე სახის
2	“ორბეთი” მანგლისი - ტაბახმელა	მანგლისი-ორბეთი-კოჯორი-ტაბახმელა	ასფალტბეტონი	სამივე სახის
		კახეთი		
1	“კახეთ-თუშეთი” ფშაველი - დიკლო	ფშაველი-ლეჩური-აბანოს უღ. 2923 (VI-X)-ხისო-ომალო-შენაქო-დიკლო	თეთრი გზა, გრუნტი	პროფესიული
2	“ლაგოდეხი - ახმეტა” მაწიმი-საბუე	მაწიმი-ლაგოდეხი-კაბალი-ყვარელი-გრემი-ნაფარელი-ლალისყური-ალვანი-ახმეტა-საბუე.	ასფალტბეტონი	მოყვარულთა, პროფესიული
3	“ქიზიყის წრე” სიღნაღი	სიღნაღი-წნორი-ხირსა-ხორნა-ბუჯი-დედოფლისწყარო-გამარჯვება-ბოდბე-ჭოტორი-ნუკრიანი-სიღნაღი	ასფალტბეტონი	პროფესიული, მოყვარულთა
4	“კახეთის წრე” გომბორის გადასახვევი	გომბორის გადასახვევი-სართიჭალა-ნინოწმინდა-მანავი-ჩალაუბანი-ბაკურციხე-გურჯაანი-ველისციხე-აკურა-თელავი-თეთრიწყლები-გომბორის უღ. (I-XII)-გომბორი-სასადილო-უჯარმა-გომბორის გადასახვევი	ასფალტბეტონი	პროფესიული, მოყვარულთა
5	“კოდა” კოდა-საგარეჯო	საგარეჯო-კოდა-ცივი მთა	ასფალტბეტონი, გრუნტი	პროფესიული
6	“კახეთის მცირე წრე” ჩალაუბანი	ჩალაუბანი-ნუკრიანი-სიღნაღი-ანაგა-ბაკურციხე-ჩალაუბანი	ასფალტბეტონი	პროფესიული, მოყვარულთა
7	“ალავერდის სამკუთხედი” აწყური	აწყური-კოღოთო-ალავერდი-ქვემო ალვანი-ახმეტა-ქისტაური-ჩაბინაანი-აწყური	ასფალტბეტონი	პროფესიული, მოყვარულთა

ფოთში ავტოდრომი შეიძლება მოეწყოს მალთაყვაში, ხსენებულ მაგისტრალსა და ზღვის სანაპიროს შუა ზოლში ან პალიასტომის ტბის უშუალო სიახლოვეში, ბათუმში კი ქალაქის სამხრეთით, ჭოროხის ველზე.

ქვემოთ ცხრილის სახით მოცემულია საქართველოს საერთო სარგებლობის საგზაო ქსელის მონაკვეთები, მოყვანილია მათი მოკლე დახასიათება, ჩამოთვლილია საკონტროლო წერტილები. ჩვენის აზრით ამ მონაკვეთებზე შესაძლებელია წარმატებით ჩატარდეს შეჯიბრებები საავტომობილო სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

დასკვნა

საქართველოს ბუნებრივი პირობები და საგზაო ქსელის მდგომარეობა შესანიშნავ პირობებს ქმნის საერთაშორისო მასშტაბით საავტომობილო სპორტის, მასთან დაკავშირებული ბიზნესისა და საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

საქართველოს ბუნებრივი პირობები, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები მოსახლეობის მენტალობა გამოხატული ჩქაროსნულ და აზარტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის სურვილით და დღევანდელი ეკონომიკური შესაძლებლობანი, სპორტის სახეობებს შორის ყველაზე პრიორიტეტულად ხდის საგზაკეცილო ავტორბოლას ანუ რალის. უახლოეს მომავალში მიზანშეწონილია მას დაემატოს წრიული ჩქაროსნული ავტორბოლები სპეციალურად აგებულ ავტოდრომებზე.

საქართველოს საგზაო ქსელის წინასწარ შერჩეულ, რეაბილიტირებულ და სათანადოდ მოწყობილ მონაკვეთებზე ავტორალის საერთაშორისო შეჯიბრებათა ეტაპების ჩატარება მოიზიდავს ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების დიდ რაოდენობას, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს სპორტული და საგზაო ინფრასტრუქტურის დაპროექტების, აშენების და ექსპლუატაციისათვის, აგრეთვე შეჯიბრებების ჩატარებისათვის, მნიშვნელოვნად გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს.

ზემოხსენებული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელია სარბოლო ტრასების შერჩევა, მათი FIA-ს მოთხოვნების მიხედვით შესაბამისობაში მოყვანა, ტრასების დეტალური აღწერილობის მომზადება, საერთაშორისო მასშტაბით მუდმივად მომქმედი სარეკლამო კამპანიის ორგანიზება.

მიზანშეწონილია უახლოეს ხანში შეირჩეს ადგილები სულ ცოტა სამი ახალი ავტოდრომისთვის, სასურვლია ერთი ქუთაისში და არანაკლებ ორი დასავლეთ საქართველოს საკურორტო ზონაში. საქალაქთაშორისო ტრასებზე და დიდ ქალაქებში შეირჩეს ადგილები სტარტისა და ფინიშის მოედნების, აგრეთვე მაყურებელთა ტრიბუნების განლაგებისთვის.

ვინაიდან საქართველოში საგზაო და სპორტული ინფრასტრუქტურის დაპროექტებისა და მშენებლობისათვის საჭირო ხარჯები შედარებით მცირეა, ხოლო კაპიტალდაბანდებათა მოსალოდნელი უკუგება მაღალი, ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებათა ფინანსური უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილია უპირატესად ადგილობრივი ეკონომიკური რესურსების მობილიზება.

საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საერთაშორისო ტენდერების ჩატარების ამჟამად ქვეყნისათვის მიუღებელი, არადამაკმაყოფილებელი პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები შესრულდეს ადგილობრივი კადრების გამოყენებით რისთვისაც უნდა ჩატარდეს მხოლოდ ქვეყნის შიდა ტენდერი,რაც ხელს შეუწყობს ქართველ სპეციალისტებს მომავალში თვითონ მიიღონ მონაწილეობა საზღვარგარეთ გამოცხადებულ ტენდერებში და მიაღწიონ წარმატებას მაღალი კვალიფიკაციისა და ამავდროულად მომსახურების შედარებით დაბალი ფასების გამო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. С. Глазунов - Автомобильный скоростной спорт [1968 г., DOC/PDF, RUS]
2. Guide pratiquemondiale, Paris 1994 E. Robert Laffont 1999p.
3. https://ka.wikipedia.org/wiki/rali saqarTveloSi
4. https://ru.wikipedia/RALLI
5. კ. მჭედლიშვილი საქართველოს ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურა: განვითარების შედეგები და პერსპექტივები. ჟ. „ბიზნეს ინჟინერინგი” N2 2012 წ. თბილისი გვ. 69-79.

საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ევროკავშირის სტანდარტებთან ადაპტირების შემდგომი პერსპექტივები რეგიონული ინტეგრაციის ჭრილში

ბორის გითოლენდია, *ასისტენტ-პროფესორი*

რეზიუმე

ევროკავშირის ბაზარი სხვადასხვა უპირატესობებიდან გამომდინარე მიმზიდველია საქართველოსათვის, რის გამოც იგი მიისწრაფვის გახდეს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი და დაიმკვიდროს ადგილი დიდ ევროპულ ოჯახში. ამ გზაზე საქართველოს ეკისრება დიდი პასუხისმგებლობა და ვალდებულება მაქსიმალურად დაუახლოვოს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, ტექნიკური და სხვა პარამეტრები საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტებს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად იდგმევა კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც განმტკიცებულია ე.წ „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების“ ხელშეკრულებით, რომლითაც საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობები თვისობრივად ახალ, ისტორიულად უპრეცედენტო დონეზეა გადასული.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული „ასოცირების ხელშეკრულებაში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ტრანსპორტს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს - ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულია რეგულაციები და რეკომენდაციები საქართველოს სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით. აღნიშნული ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს „ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას“, რომელიც ადგენს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს საქართველოსა და ევროკავშირს შორის და შეიცავს იმ ძირითად ეკონომიკურ და სავაჭრო მექანიზმებს, რომელიც სასარგებლოა საქართველოსათვის.

ნაშრომში წარმოდგენილია:

ა) საქართველოს სატრანსპორტო სისტემის პერსპექტივების მიმოხილვა რეგიონალური ინტეგრაციის ჭრილში, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა საკმაოდ მიმზიდველ გარემოს ქმნის საერთაშორისო ძლიერი მოთამაშეებისათვის.

ბ) ჩვენი ხედვები საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ევროკავშირის სტანდარტებთან ადაპტირების შემდგომი პერსპექტივების შესახებ;

გ) ინფორმაცია იმ სავარაუდო პოზიტიურ ეფექტსა და შესაძლებლობებზე, რომელიც გრძელვადიან პერიოდში (შეიძლება) ქვეყანას მოუტანს სატრანპორტო სიტემის სრულყოფა.

საკვანძო სიტყვები: სატრანსპორტო სისტემა, ევროკავშირი, ევროკავშირის სტანდარტები, ასოცირების ხელშეკრულება, რეგიონული ინტეგრაცია, ფისკალური დეცენტრალიზაცია, დივერსიფიკაცია, სატრასნპორტო ინფრასტრუქტურა, იმპლემენტაცია.

Prospects for the further adaptation of the Georgian transport system with the EU standards and its role regarding the whole regional integration

Boris Gitolendia, Doctor

Summary

The EU market with various advantages is attractive for Georgia, that is why Georgia aspires to become a full member of the European Union and istablish its place in the European big family. On this way, Georgia has a great responsibility and commitment maximize approximate the country's political, economical, legal, technical and other parameters of international and EU standards.

For achieving to this goal Georgia is making the specific steps which is enhanced by so-called "Georgia-EU association" agreement, which Georgia-EU relations is transitioned a qualitatively new, historically unprecedented level.

The "Association Agreement" signed between EU and Georgia importantly focuses on transport and its related issues - from the EU is proposed regulations and guidelines for the improvement of the transport system.

The agreement also provides a "deep and comprehensive free trade agreement," which establishes a free trade regime between the EU and Georgia and presents the main economic and trade mechanisms, which is useful for Georgia.

The paper includes:

A) Review of the prospects for the transport system with the context of regional integration, in view of that the geographical location of Georgia is giving a favorable environment for the international strong players.

B) Our visions of the prospects for the further adaptation of the Georgian transport system with the EU standards.

C) Information on the possible positive effect and opportunities, which in the long run (may) will bring to the country perfection of transport system.

Keywords: Transport system, The European Union, The European Union Standards, The Association Agreement, Regional integration, Fiscal decentralization, Diversification, Infrastructure of Transport , Implementation.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, როლს და პოლიტიკურ და კულტურულ პროგრესს ოდითგანვე განაპირობებდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა, კერძოდ, კასპიის, შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზებთან მოსაზღვრეობა და ის უმოკლესი სავაჭრო ხიდი, რომელიც ამ ტერიტორიაზე გადიოდა და აკავშირებდა აზიასა და ევროპას. საბჭოთა იმპერიის პერიოდში კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკა, მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მხოლოდ ქვეყნის განაპირა, ჩიხურ და/ან ქვეყნისშიდა დანიშნულების ობიექტებს მიეკუთვნებოდნენ და პრაქტიკულ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ დანარჩენი მსოფლიოს ეკონომიკური განვითარებისა და გლობალური ინტეგრაციის თვალსაზრისით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა სხვადასხვა მიმართულებით. - ქვეყნებს მეტნაკლებად საშუალება მიეცად ემოქმედად დამოუკიდებლად, საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. გეოპოლიტიკური ცვლილებების შედეგად საქართველომ, ძირეულად შეცვალა საგარეო კურსი. საქართველოს სწრაფვა ევროკავშირში და შემდგომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ თანდათან განმტკიცდა და დღევანდელი მდგომარეობით, ერთი შეხედვით, შეუქცევად ხასიათს ატარებს.

საგარეო ეკონომიკური კავშირების სრულყოფა ყოველი ქვეყნის ეკონომიკური ეფექტურობის ზრდის უდიდესი რეზერვია. დამოუკიდებლობის მოპოვებამ, რა თქმა უნდა, მკვეთრად გაზარდა საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოების შესაძლებლობები. დღის წესრიგში დადგა სავაჭრო ურთიერთობების განვითარება დასავლეთის ქვეყნებთან და ევროკავშირთან. ევროკავშირი, რომლის იურისდიქცია და წარმომადგენლობა 28 სახელმწიფოზე ვრცელდება, წარმოადგენს მრავალდონიან ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტეგრაციის უნიკალურ ერთობას. ევროკავშირს გააჩნია სხვადასხვა უპირატესობები, მათ შორის:

- უნიკალური ინსტიტუციური მოწყობა, საერთო დიდი ბაზარი (ევროკავშირი წარმოადგენს 500 მლნ ბაზარს);
- ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ტექნოლოგიური განვითარების მაღალი დონე;
- ფინანსური დახმარების სისტემა და ფისკალური დეცენტრალიზაცია;
- ბაზარზე კონკურენციის ეფექტიანი რეგულირების მექანიზმები;
- მიუკერძოებელი სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- დემოკრატიის მაღალი სტანდარტები და სხვა;
- კავშირის პოლიტიკა ითვალისწინებს წევრ სახელმწიფოთა დამოუკიდებელი, ადგილობრივი ეკონომიკის საჭიროებებს და ინტერესებს;

თანაბარუფლებიანი და თანაბარრესურსიანი წევრი სახელმწიფოები ქმნიან ძალთა ბალანსს, რის შედეგადაც გადაწყვეტილებები ყოველთვის ურთიერთშეთანხმებით მიიღება და ა.შ.

ამ და სხვა მიზეზთა გამო ევროკავშირი, როგორც გაერთიანება, ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმოადგენს უზარმაზარ პლატფორმას და მიმზიდველია ყველა საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილე ცივილიზებული მოთამაშისათვის.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისათვის, რომელიც ბუნებრივია თავის თავში მოიცავს სხვადასხვა ქვეყნებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის განვითარებას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზისად, თავიდანვე ენერგო უსაფრთხოების კონცეფცია იქცა, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით, კასპიის ზღვის რეგიონის ნავთობისა და გაზის ათვისების ხარჯზე, ძირითადად ენერგორესურსების წყაროების მოწოდების დივერსიფიკაციას ითვალისწინებს და შესაბამისად, ამ რეგიონებიდან ევროკავშირში ენერგორესურსების ექსპორტისთვის სატრანსპორტო ქსელების შექმნასა და განვითარებას გულისხმობს. ევროკავშირი ამ და სხვა, საკუთარი სტრატეგიული მიზნების განხორციელების მოტივით, ცდილობს, სხვადასხვა ეკონომიკური ინსტრუმენტებით სავაჭრო ურთიერთობები განავითაროს მეზობელ რეგიონებთან, აწესებს სავაჭრო შეთანხმებებს და აქტიურად თანამშრომლობს, მათ შორის, არამეზობელ პარტნიორებთან და ცდილობს საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობები უფრო მეტად გაამყაროს მსოფლიო ბაზარზე.

უზარმაზარი უპირატესობებიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ ევროკავშირში ინტეგრაციის წინაპირობას გარკვეული ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების გატარება წამოადგენს, დაწესებულია მთელი რიგი კრიტერიუმები, რისი დაკმაყოფილების გარეშე ევროკავშირის წევრობა და რეგიონალური ინტეგრაცია შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ გაწევრიანების შესაძლებლობა პირველ რიგში დამოკიდებულია მასში გაწევრიანების მსურველი ქვეყნის შესაძლებლობასა და მიზნების მიღწევის უნარეზე, ევროკავშირი, თავის მხრივ, ცდილობს დაეხმაროს გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს მიზნების მიღწევაში.

როგორც ცნობილია, სპეციალური პროგრამების მხარდაჭერით (როგორიცაა მაგალითად, TRASECA და INOGATE და სხვ.), ბოლო ოცწლეულის მანძილზე ევროკავშირმა, ევროპის ცალკეულმა სახელმწიფოებმა და ევროპულმა კომპანიებმა უზრუნველყვეს მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარება საქართველოში ყველა სატრანსპორტო სახეობის და ზოგადად, სატრანსპორტო სისტემის და ენერგეტიკული პროექტების შექმნის, განახლებისა და მოდერნიზებისათვის. ასევე, ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვნად გააღრმავა ურთიერთობა ევროკავშირთან, რომელიც ამ დროისთვის განმტკიცებულია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ისტორიაში არსებული, ყველაზე მძლავრი და ბევრისშემცველი ე.წ „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების“ ხელშეკრულებით, რომლის გაფორმებით საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობები

თვისობრივად ახალ, ისტორიულად უპრეცედენტო დონეზე გადავიდა.

ასოცირების შეთანხმება ასევე მოიცავს „ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას“, რომელიც ადგენს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს საქართველოსა და ევროკავშირს შორის და შეიცავს იმ ძირითად ეკონომიკურ და სავაჭრო მექანიზმებს, რომელიც ჩვენი და არამარტო ჩვენი აზრით, პირველ რიგში, საქართველოსთვის არის სასარგებლო და მომგებიანი. მაგალითად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის მიზანია ხელი შეუწყოს:

- ევროკავშირის ბაზართან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას;
- საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის გაზრდასა და უცხოური ინვესტიციების წახალისებას;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უცხოური ინვესტიციების სტიმულირების შედეგად;
- ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას;
- ქართული ექსპორტის ზრდას;
- ქართული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას;
- ეკონომიკის ზრდის სტიმულირებასა და ზოგადად, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და სხვ.

საქართველომ აიღო ვალდებულებები, რომ დასახული მიზნის მისაღწევად უზრუნველყოფს რეფორმებს ყველა, მათ შორის, ტრანსპორტის სფეროში, ევროკავშირის საერთო ევროპული სატრანსპორტო პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის დადებული „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ VI კარი ეხება ტრანსპორტის კუთხით თანამშრომლობას. ხელშეკრულებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ტრანსპორტი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელშეკრულება, პირველ რიგში, ტრანსპორტის სფეროს მოდერნიზებას და ევროპული სტანდარტების დანერგვას ითვალისწინებს.

დასკვნითი ნაწილი: თუ გავითვალისწინებთ იმ ღონისძიებათა კომპლექსის სიდიდესა და მნიშვნელობას, რომელსაც ტრანსპორტი უზრუნველყოფს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სატრანსპორტო სისტემის სრული მოდერნიზაცია და ევროპულ და საერთაშოროსო სტანდარტებთან ადაპტირება, რეგიონალური ინტეგრაციის ჭრილში შეიძლება გახდეს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ეროვნული გრძელვადიანი მიზნების მიღწევის საკვანძო წერტილი და მძლავრი ინსტრუმენტი.

საქართველოს სატრანსპორტო სისტემა მოიცავს სარკინიგზო და სავტომობილო გზებს, საჰაერო და საზღვაო ცენტრებს, სამგზავრო და სატვირთო ტერმინალებსა და საკმაოდ მძლავრ სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასა და საშუალებებს, მათი ევროკავშირის სტანდარტებთან ადაპტირება, ევროკავშირის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელებში ჩართვა საქართველოს მოქალაქეებსა და ბიზნესს სრულიად ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, კერძოდ:

- როგორც ცნობილია, სატრანსპორტო გადაზიდვების მოცულობების ზრდასა და მის მდგრადობას მეტწილად განსაზღვრავს ინფრასტრუქტურის ხარისხი. ტრანსპორტთან დაკავშირებული ტექნიკური და უსაფრთხოების საერთაშორისო პირობების შესრულებით დაიხვეწება სატრანსპორტო ქსელი და გაუმჯობესდება არსებული სატრასნპორტო ინფრასტრუქტურა;
- გაიზრდება საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა, სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის სიჩქარეები და მათი გადაადგილების უსაფრთხოების ხარისხი, რაც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი, საქართველოზე გამავალ უმოკლეს მარშრუტს და ასევე შიდა და ადგილობრივი მნიშვნელობის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას უფრო მიმზიდველს გახდის საერთაშორისო გადამზიდავი კომპანიებისათვის;
- სხვადასხვა საკანონმდებლო რეგულაციებისა და ნორმატიული აქტების ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით და საქართველოში თანამედროვე და კონკურენტუნარიანი ევროპული სტანდარტების სატრანსპორტო სექტორის ჩამოყალიბებით, მოიხსნება ევროპისა და საქართველოს სატრანსპორტო სისტემებს შორის დღეს არსებული სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ტექნიკური ბარიერები, რაც ხელს შუწყობს მულტიმოდალური საერთაშორისო გადაზიდვების ზრდას, ქართულ კომპანიებს გაუადვილებს მგზავრთა გადაყვანას და საქონლის გადატანას ევროპის ქვეყნებში და პირიქით;
- სატრანსპორტო სფეროში სოციალური და ფინანსური რეგულაციების გაუმჯობესება და ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოება ხელს შეუწყობს ტრანსპორტის სფეროზე პასუხისმგებელი ადგილობრივი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების გაძლიერებას, იქ დასაქმებული ადამიანების უფლებების დაცვას, მუშაკთა სოციალურ ინტერესებს, მათი ცოდნისა და უნარების გაუმჯოებესებას;
- ასევე მოხდება მომხმარებელთა უფლებების უკეთ დაცვა, რაც საბოლოოდ საქართველოში უამრავი ადამიანის ცხოვრების დონეს აამაღლებს და კომფორტული ცხოვრების შესაძლებლობებს გაზრდის;
- საქართველოს მიმზიდველობა ტრანსპორტის სფეროში შექმნის დამატებით პირობებს ინვესტიციებისთვის. ამ დარგში მეტი ინვესტიციების შემოდინება კი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის როგორც მაკროეკონომიკური, ისე მიკროეკონომიკური და სოციალური ეფექტის ზრდის მისაღწევად;
- გეოგრაფიული მდებარეობისა და სრულყო-

ფილი სატრანსპორტო კოორდინაციის გაუმ-ჯობესებით, საბაჟო პროცედურების დახვეწით და სხვა ტრანსპორტის სფეროსთან დაკავშირებული ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებით, საქართ-ველოს გაუჩნდება შესაძლებლობა, რომ მომავალში მოიზიდოს ახალი მეგა-პროექტები და მეტი საერ-თაშორისო ტვირთი;

- ტრანსპორტის სფეროში ნაჩვენები დადებითი შედეგების გათვალისწინებით გაიზრდება თანამშრომლობის პერსპექტივა ევროკავშირის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პოლიტიკასა თუ პროგრამაში, შეიქმნება შესაძლებლობა საქართველოს თანდათანობით ჩართვის ევროპის თანამეგობრობის ზოგიერთ ისეთ პროგრამაში, რომელიც ხელს უწყობს კავშირების დამყარებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგების, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა საზოგადოებრივ სფეროებში;
- სატრანსპორტო სისტემის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, გარემოს-დაცვით კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია და იმ-პლემენტაცია ხელს შეუწყობს მდგრადი, დაბალემი-სიანი მწვანე სატრასნპორტო სისტემის ჩამოყა-ლიბებას, ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმ-ჯობესებაში და წვლილს შეიტანს ქვეყნის წინაშე მდ-გარი გრძელვადიანი ამოცანის შესრულებაში, რასაც მდგრადი განვითარება ჰქვია.

ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება და საქართველოს ინტეგრაცია საერთაშორისო სა-ტრანსპორტო სისტემებში შექმნის მტკიცე საფუძ-ველს საქართველოს ევროკავშირში შემდგომი ეკონო-მიკური, პოლიტიკური და რეგიონალური ინტეგრი-რებისთვის, ამით საქართველო ორი დიდი ბაზრის - ევროპისა და აზიის სატრანსპორტო დერეფნის დამ-აკავშირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახდება, შესაბამისად, საქართველო გეოსტრატეგი-ის საიმედო და აქტიურ სუბიექტად ჩამოყალიბდება, ამ ფუნქციის გაძლიერება და რეალიზაცია კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გრძელვადიანი სტაბილურობისთ-ვის.

მიუხედავად არსებული უამრავი მოსაზრებებისა, დღეს გვაქვს რეალური საფუძველი ვივარაუდოდ, რომ საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პერსპექტივა, ერთი შეხედვით, შეუქცევად ხასიათს ატარებს, საკმაოდ რეალისტურია და მისი განვი-თარებაც ხელშეუხებელია და რაც მთავარია უმნიშ-ვნელოვანესია საქართველოსთვის. მიგვაჩნია, რომ ქართული სატრანსპორტო სისტემის დაახლოება ევროპულ სისტემებთან გააჩენს მეტ პერსპექტივას და შესაძლებლობებს ევროპასთან არსებული თანამ-შრომლობიდან უფრო ღრმა პოლიტიკური, ეკონომი-კური და რეგიონალური ინტეგრაციაზე გადასვლის, რაც ქვეყანას მხოლოდ სარგებელს მოუტანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. დანელია - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი - „ევრაზიული კავშირი თუ ევროკავშირი: ურთიერთგამომრიცხავი თუ ურთი-ერთშემავსებელი ეკონომიკური სისტემები“
2. „მწვანე ალტერნატივა“, 2013 წ. - კვლევა - „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ნაწილის შესრულების ეფექტურობის შეფასება 2007-2012 წ.წ.“;
3. http://www.economy.ge/ge/dcfta
4. http://europa.eu/pol/trans/index_en.htm
5. საქართველოს მთავრობა - 2013 წ. - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვი-თარების სტრატეგია - საქართველო 2020“;
6. http://www.enpi-info.eu/maineast.php?id=272&id_type=10
7. ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part - Official Journal of the European Union - 2014;
8. http://eeas.europa.eu/georgia/pdf/quick_guide_eu_ge_aa_en.pdf

მხურვალმედეგი ბეტონის მიღება ბუნებრივ, ნანოდისპერსულ კაჟმინა ნედლეულზე

თამარ ესაძე, *ასოც. პროფესორი*
ხათუნა ლეჟავა, *უფროსი მასწავლებელი*

რეზიუმე

ნანოტექნოლოგიით მიღებულია ახალი თაობის საშენი მასალა – ნანოსტრუქტურული კაჟმიწოვანი მხურვალმედეგი ბეტონის სახით, რომელშიც შემკვრელად გამოყენებულია ბუნებრივი ამორფული ნანოდისპერსული კაჟმიწა ნედლეულისა და წვრილად დაფქვილი უწყლო ნატრიუმის ერთობლივი სინთეზით მიღებული ნანოდისპერსული ნატრიუმის პოლისილიკატი. რაც საშუალებას იძლევა საიმედოდ მოხდეს იმ ფიზიკურ-ქიმიური პროცესების მართვის რეგულირება, რომლებიც მიმდინარეობს ბეტონში მისი გახურებისას, ასევე ექსპლუატაციის დროს გახურების ზონაში უზრუნველყოფილი იქნას მასალის ერთგვაროვნება, რაც დადებითად იმოქმედებს მ ი ს საექსპლუატაციო თვისებებზე, პირველ რიგში კი ბეტონის თერმულ მდგრადობაზე. ეს დასტურდება მაღალცეცხლგამძლე დანამატის შეყვანით ნანოდისპერსულ ნატრიუმის პოლისილიკატზე დამზადებული კაჟმიწოვანი მხურვალმედეგი ბეტონის თვისებების ძირითადი მაჩვენებლებით, რომელიც ნაშრომში მოცემულია ცხრილის სახით.

საკვანძო სიტყვები: მხურვალმედეგი ბეტონი, ნატრიუმის პოლისილიკატი, კაჟმიწა.

Receiving of the heat-resistant concretes on the base of the nanodisperse silica

Khatuna Lezhava;
Tamar Esadze

Summary

Nanotechnology produced the new generation of construction materials– nanostructured silica heat-resistant concrete in which nanodisperse natrium polysilicate is used as binding material. This polysilicate is made through synthesis of the natural amorphous silica and fine grinded waterless natrium polysilicate. It allows reliable regulation of the physical-chemical processes which occur in concrete during its heating. It also ensures the homogeneity of materials in heating zones during the exploitation. This will have positive effect on the operational characteristics, and above all on the thermal condition of the concrete. The aforementioned is confirmed by the characteristics of the silica heat-resistant concrete based on the nanodisperse natrium polysilicate. The characteristics are provided in the table given in this paper.

Keywords: heat-resistant concrete, natrium polysilicate, silica.

* * * * *

სამშენებლო ინდუსტრიაში დიდი პროგრესის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე სამეცნიერო და მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების ბაზაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის მაღალ ხარისხს, ნედლეულის ეფექტურ გამოყენებას და რესურსების ეკონომიას. დღეისათვის ნანოტექნოლოგიები ითვლება ყველაზე პერსპექტიულ და მაღალგანვითარებულ ტექ-ნოლოგიებად. ნანოტექნოლოგიებისა და ნანომასალების გამოყენება საშუალებას იძლევა მივიღოთ გაუმჯობესებელი მახასიათებლების მქონე სამშენებლო მასალები.

აღსანიშნავია იმ კვლევების პერსპექტიულობა და აქტუალობა, რომლებიც მიმართულია ნანოსტრუქტურული საშენი მასალების ნომენკლატურული გაფართოებისათვის, მათ შორის მაღალმოდულურ სილიკატურ სისტემებზე (პოლისილიკატებზე)

დამზადებული მხურვალმედეგი ბეტონები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი საექსპლუატაციო თვისებებით.

ამ მიმართულებით დიდი სამუშაოებია ჩატარებული კაჟმიწა ქანების გამოყენებით სხვადასხვა სახის ტრადიციული და ახალი ტიპის საშენი მასალების მისაღებად. სტატიაში მოყვანილია მხურვალმედეგი კაჟმიწოვანი ბეტონის მისაღებად ჩატარებული კვლევების შედეგები, რომელშიც შემკვრელად გამოყენებულია ბუნებრივი ამორფული ნანოდისპერსული კაჟმიწა ნედლეულისა და უწყლო ნატრიუმის სილიკატის ერთობლივი სინთეზით მიღებული ნანოდისპერსული ნატრიუმის პოლისილიკატი. ბუნებრივი კაჟმიწა ნედლეულის ქიმიური შემადგენლობა მოყვანილია ცხრილში 1.

კაჟმიწა ნედლეულის ქიმიური შემადგენლობა

ცხრილი 1

განმსაზღვრელი ელემენტები (შემცველობა %—ში 1100ჩ-ზე გამოშრობისას)													
S_iO_2	AL_2O_3	TiO_3	$F_{e2}O_3$	P_2O_5	F_eO	CaO	MgO	MnO	K_2O	$N_{a2}O$	SO_3	ხ.დ	∑
75,7	8,25	0,52	3,32	0,17	0,43	2,39	1,41	0,04	1,71	0,79	<0,10	5,08	99.8
80,2	4,10	0,44	6,3	0,06	<0,25	2,28	0,59	0,07	0,87	2,42	<0,10	4,30	99.7
87,0	5,00	0,35	2,25	0,07	<0,25	0,72	0,50	0,02	1,03	0,58	<0,10	2,26	99.8
75,7	8,80	0,60	4,00	0,09	0,49	1,99	0,87	0,03	2,10	1,24	<0,10	4,10	100.

კვლევების შედეგების განზოგადებით, რომლებიც ჩატარებულია პოლისილიკატების მისაღებად უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად საწყის კომპონენტს წარმოადგენს სილიციუმჟავას ზოლები და წყლიანი, ან უწყლო ტუტე მეტალების სილიკატები. მოცემულ კვლევებში ტუტე მეტალის სილიკატის სახით გამოყენებულია ნატრიუმის სილიკატი, როგორც ყველაზე გავრცელებული და იაფი მასალა. კონცენტრირებული ტუტე კოლოიდური ხსნარების, სილიკატური ზოლის და სხვა სილიკატური სისტემების მისაღებად სხვადასხვა შედგელობების კაჟმიწოვანი მხურვალმედეგი დუღაბისაგან ვიბროდაწნეხით დამზადდა 5×5×5სმ ზომის კუბები, რომელთა თბური დამუშავება ხდებოდა შემდეგი რეჟიმით: 200C-დან 900C-მდე ტემპერატურის აწევა 1,5სთ, დაყოვნება 90±50ჩ ტემპერატურაზე — 0,5სთ, შემდგომი ტემპერატურის აწევა 2000C და დაყოვნება 2სთ. ამ ნიმუშების ფიზიკურ—მექანიკურმა კვლევებმა აჩვენა შედეგები, რომელიც მოცემულია ნახაზზე 1.



ნახ.1. გამომშრალი ნანოდისპერსული კაჟმიწა ნედლეულისაგან დამზადებული კოპოზიციური შემკვრელის ნიმუშების სიმტკიცის დამოკიდებულება ნატრიუმის პოლისილიკატის შემცველობაზე.

ნატრიუმის პოლისილიკატი %.

კომპოზიციაში მრუდის მიხედვით შემკვრელის (ნატრიუმის პოლისილიკატი) ოპტიმალური შემცველობა შეადგენს 20-30%, რომლის დროსაც ნიმუშებს აქვთ მაღალი სიმტკიცე (34მგპა-მდე). კომპოზიტში ნატრიუმის პოლისილიკატის ასეთი რაოდენობა წარმოიქმნის მწებავი კონტაქტების ოპტიმალური რიცხვს, ამიტომ კომპოზიციის ნიმუშების აფუება არ ხდება, ვინაიდან წყლის ორთქლი მასალაში, რომელსაც არ აქვს მთლიანობა გამოდის თავისუფლად. იმ შემთხვევაში თუ ასეთი კონტაქტების რაოდენობა იქნება უფრო მეტი მარცვალთშორისი სიცარიელეები თითქმის მთლიანად შეივსება შემკვრელი ნივთიერებით და სისტემა გარდაიქმნება მოცულობით-მონოლითურ კომპოზიციად.

ტემპერატურის აწევით 180—2000C-მდე ხდება სისტემის თითქმის მთლიანი გაუწყლოება შეუმჩნეველი ჯდენით, რაც განაპირობებს მხურვალმედეგი ბეტონის ნაკეთობების საკმარის სიმტკიცეს. თუმცა, ბუნებრივ კაჟმიწა ნედლეულზე დამზადებული მხურვალმედეგი ბეტონის დაყალიბებისას და მისი შემდგომი გამოშრობისას შეძენილი თვისებები უზრუნველყოფს მხურვალმედეგი მასალის მხოლოდ სამონტაჟო სიმტკიცეს, ხოლო მისი საექსპლუატაციო თვისებები დამოკიდებულია იმ ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებზე, რომლებიც მიმდინარეობს პოლი-სილიკატნატრიუმიან შემკვრელში მაღალ ტემპერატურებზე.

კაჟმიწოვანი მხურვალმედეგი ბეტონის თერმომექანიკურმა კვლევებმა 14000C ტემპერატურაზე აჩვენა, რომ ნანოდისპერსულ ნატრიუმის პოლისილიკატზე დამზადებულ ნიმუშებს, რომელშიც დანამატად შეყვანილია მაღალცეცხლგამძლე წვრილდისპერსული კარბონატი, აქვთ მნიშვნელოვნად მაღალი სიმტკიცის მაჩვენებლები (2-4მგპა) ანალოგიური ბეტონის ნიმუშებთან შედარებით დანამატის გარეშე (0,6-0,8მგპა). ცეცხლგამძლე სილიკატნატრიუმიანი კომპოზიციის შემადგენლობაში კარბონატული კომპონენტის (ცარცი) შეყვანით მნიშვნელოვნად გაიზარდა ნიმუშების სიმტკიცე საშუალო და მაღალ ტემპერატურებზე. ასეთ სისტემაში 8000C ტემპერატურიდან, წარმოიქმნა მაღალცეცხლგამძლე ნაერთი $2CaO{\cdot}SiO_2$. გარდა ამისა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცარცის დისოციაციის შედეგად CO_2 აორთქლების ხარჯზე წარმოქმნილი ფორიანობის გამო შესაძლებელი იქნება კაჟმიწოვანი ბეტონის კომპონენტების გაფართოების კომპენსაცია. ეს დაკავშირებულია მაღალ ტეპერატურებზე ამორფული კაჟმიწის სხადასხვა ფაზურ ფორმებში გადასვლებზე.

ამრიგად, ასეთი მიდგომა ნივთიერებების შერჩევისას მხურვალმედეგი ბეტონის შედგენლობისათვის, საშუალებას იძლევა საიმედოდ მოხდეს იმ ფიზიკურ-ქიმიური პროცესების მართვის რეგულირება, რომ-

ლებიც მიმდინარეობს ბეტონში მისი გახურებისას, ასევე ექსპლუატაციის დროს გახურების ზონაში უზრუნველყოფილი იქნას მასალის ერთგვაროვნება, რაც დადებითად იმოქმედებს მის საექსპლუატაციო თვისებებზე, პირველ რიგში კი ბეტონის თერმულ მდგრადობაზე. ეს დასტურდება ნანოდისპერსულ ნატრიუმის პოლისილიკატზე დამზადებული კაჟმიწოვანი მხურვალმედეგი ბეტონის თვისებების ძირითადი მაჩვენებლებით, რომელიც ნაჩვენებია ცხრილში 2.

ნანოდისპერსული ნატრიუმის პოლისილიკატის შემკვრელზე დამზადებული კაჟმიწოვანი მხურვალმედეგი ბეტონის თვისებების ძირითადი მაჩვენებლები

ცხრილი 2

თვისებების დასახელება	განზომილება	თვისებების მაჩვენებლები
გამოყენების მაქსიმალური ტემპერატურა ცალმხრივი გახურებისას	^{0}C	1650
სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე 200^{0}C გამოშრობის შემდეგ	მგპა	32-34
საშუალო სიმკვრივე 200^{0}C გამოშრობის შემდეგ	გ/სმ^3	2,3-2,5
ფორიანობა 200^{0}C გამოშრობის შემდეგ	%	17-19
ხაზობრივი ჯდენა გამოწვის შემდეგ გამოყენების მაქსიმალურ ტემპერატურამდე,%	%	+0,13
თბოგამტარობა 1200^{0}C -ზე ტემპერატურაზე	კკალ/მ.^{0}C.სთ	0,95
დარბილების საწყისი ტემპერატურა 0,2 მგპა მიტვირთვისას	^{0}C	1480

დასკვნა

ამრიგად, ნანოტექნოლოგიით მიღებულია ახალი თაობის საშენი მასალა – ნანოსტრუქტურული კაჟმიწოვანი მხურვალმედეგი ბეტონის სახით, რომელშიც შემკვრელად გამოყენებულია ბუნებრივი ამორფული ნანოდისპერსული კაჟმიწა ნედლეულისა და წვრილად დაფქვილი უწყლო ნატრიუმის ერთობლივი სინთეზით მიღებული ნანოდისპერსული ნატრიუმის პოლისილიკატი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Айлер Р. – Химия кремнезема /пер. с англ- М. Мир 1982 г.-416 стр/
2. Войтович В. А. – Нанонаука, нанотехнологий, строительные наноматериалы - /Войтович В.А. – Режым доступа к журн. http://interlibrary.narod.ru/Gencat/ Gencat.Saient.Dep/ Gencat.Arch/
3. Корнеев В. И. Данилов В. В. - Растворимое и жидкое стекло – Стройиздат, 1996 г.-25 стр.
4. Тотурбиев А.Б. – Жаростойкое композиционное вяжущее на полисиликатах /Бетон и железобетон 2012 г. N3 -5-8 стр/
5. Тотурбиев Б. Д. – Стройтельные материалы на основе силикат-натриевых Композиций. – Москва Строиздат -1988 г.-208 стр.

თანამედროვე ინტერიერების ხელოვნური მოსაპირკეთებელი მასალები (ბუნებრივი გამწვანების როლი ინტერიერის ჰაერ-ფილტრაციაში)

ქეთევან სალუქვაძე, პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში აღწერილი მასალები ინტენსიურად გამოიყენება თანამედროვე ინტერიერების მოსაპირკეთებლად. მათი თვისებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია იმის გააზრება თუ რამდენად უსაფრთხოა მათი გამოყენება. შესაბამისად, გამოიკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის გზების ძიების აუცილებლობა, როგორიც ინტერიერში ჰაერის ფილტრაციის საკითხია, რაც ამავდროულად ხელსშეუწყობს მიკროგარემოში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლიათ დავასკვნათ, რომ შენობის სწორად შერჩეული ინტერიერის ბუნებრივი გამწვანება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნული შედეგები შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ ნებისმიერ ინტერიერში მწვანე კუთხის არსებობა ცხოვრების და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ისინი ამცირებენ ოპტიკურ დაძაბულობას შედეგად კი ადამიანის თვალზე დატვირთვას.

საკვანძოსიტყვები: ხელოვნური მოსაპირკეთებელი მასალა, ჰაერფილტრაცია,მიკროკლიმატი;

The artificial materials in modern interior design
(the role of greenery in interior air-filtration)

Ketevan Salukvadze, professor

Summary

The above-described materials are extensively used in modern interior decoration. Their feature is important to recognize how much is safe to use. Accordingly, we observed a significant problem, the need for a solution, such as the interior of the air filter question, which is at the same time will facilitate environment make the ecological balance.

Following from the above, we can conclude that the natural vegetation is essential to properly selected interior. These results may be due to the fact that the existence of life and the quality of work in any interior green angle improving. They reduce the tension in the fiber as a result of the human eye on the load.

Keywords: artificial paving material, Prospect, micro climate;

* * * * *

ბუნებრივ გარემოში მიმდინარეანთროპოგენული პროცესებით, გამოწვეული შედეგები მსოფლიო საზოგადოების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. შესაბამისად XXI საუკუნის ძირითად პრობლემათა რიცხვს გარემოს ეკოლოგიური რეგულირების საკითხი მიეკუთვნება, სადაც ერთ-ერთი პრიორიტეტი არქიტექტურული გარემოს ეკოლოგიზაციაა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შენობათა ინტერიერებში მიკროგარემოს ბუნებრივი საშუალებებით ეკოლოგიური ოპტიმატიზაცია.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე, ტექნოლოგიური მასალებით მოპირკეთებულ ინტერიერებში, სადაც გამწვანებას, როგორც მიკროკლიმატის რეგულირების ბუნებრივ რესურსს ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭება.

თანამედროვე ინტერიერები მნიშვნელოვნად განსახვავდება გასაული საუკუნისა და თუნდაც უახლესი წინა ათწლეულის პერიოდის ინტერიერებისგან. XXI - საუკუნის ინტერიერსა და გასული საუკუნის ინტერიერს შორის მთავარი განსხვავება მისი ფუნქციონალურობაა. შეიცვალა, ავეჯი, კედლები, განათება და სივრცის დაგეგმვა, არა აქვს მნიშვნელობა რა სტილს ეკუთვნის ესა თუ ის ინტერიერი, ფაქტია რომ დღეს მას გარკვეული სპეციფიური თავისებურებები გააჩნია.

საზოგადოების შიდა სივრცისადმი მოთხოვნათა ცვლილებებმა ინტერიერის არა მხოლოდ სტილისტური არამედ მასთან დაკავშირებული გეგმარებით სტრუქტურული ცვლილებებიც გამოიწვია, რაც სივრცის აღქმისა და მისი გამოყენების კარგ საშუალებას იძლევა.

თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად ინტერიერების მოსაწყობად სულ უფრო და უფრო მეტი ახალი სინთეტური სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები გამოიყენება. ესაა კედლების, იატაკის, ჭერის, კარ-ფანჯრების, ავეჯისა თუ სხვა მასალები. ეს მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, მათ შორის როგორიცაა მასალების წარმოების უნივერსალური ტექნოლოგიები, მათი ეფექტური ვიზაუალური სახე, მოხმარებისა და მონტაჟის სიმარტივე, ტრანსპორტირების ნაკლები სირთულე, მობილურობა და რაც მთავარია სამომხმარებლო ბაზარზე, ბუნებრივ მასალებთან შედარებით მათი ხელმისაწვდომი ფასები.

მიუხედავად ეკოტენდენციების მომხრე საზოგადოების დიდი წინააღმდეგობისა ინტერიერში ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტი

ხელოვნური მასალები გამოიყენება, ისეთები როგორიცაა მაგალითად: საიზოლაციო სისტემები, მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრები, ფლიზელინისა და ვილინის შპალერები, თაბაშირ-მუყაოსა და პლასტმასის შეკიდული ჭერები, ლამინატისა და სინთეტიკური რბილი იატაკები და სხვა მრავალი.

საყურადღებოა, რომ ამ მასალათა შემადგენლობაში დიდი რაოდენობით შედის მავნე მომწამვლელი და კარცეროგენული ნივთიერებები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას იწვევენ.

მრავალ ქვეყანაში (რუსეთი, ამერიკა, იტალია) იმის დასადგენად თუ რომელია ეს მავნე ნივთიერებები და რამდენად დიდია რისკი, სერიოზული სამეცნიერო კვლევები ჩატარდა. შედეგად გამოვლინდა სინთეტური მასალის შემადგენლობაში შემავალი მავნე ნივთიერებები და მათი თვისებები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ მასალათა გამოყენებისას ინტერიერის მიკროკლიმატი ოთხჯერ უფრო დაბინძურდა და შვიდჯერ უფრო ტოქსიური გახდა. ჯ

სხვადასხვა სახის რბილი იატაკების, საიზოლაციო მასალების, ლაქების, საღებავების, შპალერების შემადგენლობაში შედის ისეთი მავნე ნივთიერებები როგორიცაა: ფორმალდეჰიდი, ბენზოლი, ეთილბენზოლი, ფენოლი, ტრიქლორეთილენი, ფტალატები, ქსილოლი, ტოლუოლი, სტიროლი, ვინილის ქლორიდი, რადონული, პენოპოლისტიროლი, ჰერმეტული ქაფი. ტოქსიურია ამ ნივთიერებების შემცველი მასალები ლაქები და მისი გამხსნელები, საღებავები და გამხსნელები, ფილებისა და ლინოლიუმის წებო, ლინოლეუმი, სინთეტიკური ხალიჩები (რბილი იატაკები), შპალერი, კერამიკული ფილები.

თითოეული მათგანი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მოსაპირკეთებელ მასალებსა თუ ავეჯის დასამზადებლად.

ფორმალდეჰიდი - ნედლეული მასალის წარმოებისათვის გამოიყენება და მას ხის შემცლელი მასალები (დსპ), იატაკის მოსაწყობად განკუთვნილი პოლიმერული მასალები, შიგა კედლების მოსაპირკეთებელი მასალები, დეკორატიული ფანერები და პანელები შეიცავს.

ფორმალდეჰიდი უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის სასუნთქი სისიტემაზე. მაღალ კონცენტრაციით იწვევს სასუნთქი გზების პარეზს (სუნთქვის გაჩერებას), კანის ფარველზე ალერგიულ დერმატიტებს, ეგზემას, წყლულის ჩამოყალიბებას. ნერვული სისტემის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს ენცეფალოპათია. გააჩნია კანცეროგენული მოქმედება. იწვევს თავის ტკივილებს, დაღლილობას და დეპრესიას. ფორმალდეჰიდი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დამაბინძურებელია. ამ ნივთიერებასთან ხანგრძლივი ურთიერთობისას შესაძლებელია ორგანოთა მუტაციის განვითარება. გარდა ამისა, ფორმალდეჰიდი არასრული წვის შედეგად მავნე პროდუქტებს გამოყოფს. ჩასევე იგი ჰაერში გამოყოფს ასამდე არასტაბილურ ტოქსიურ ნივთიერებას რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია.

ბენზოლი და ეთილბენზოლი (არმომატული ნივთიერებები) ისინი მაღალტოქსიურობით ხასიათდებიან. გამოიყენება ლაქის მოსაცილებლად, შედის საღებავების და გამხსნელების შემადგენლობაში, მასტიკებში, ლინელიუმში. ენდოკრინულ, სასუნთქ, ნერვულ და იმუნურ სისტემაზე, უარყოფით ზეგავლენით შეიძლება კიბო და სისხლის სხვადასხვა დაავადებები გამოიწვიოს.

ფენოლი - ორგანული ნაერთია; იყენებენ სადეზინფექციო საშუალებად. იწვევს დაღლილობის თავის ტკივილის, თავბრუხვევის სიმპტომების ჩამოყალიბებას. ასევე იმუნიტეტის დაქვეითებასა და ალერგიული რეაქციების გამწვავებას.

ტრიქლორეთილენი - შედის სამშენებლო მასალების შემადგენლობაში და მასთან ხანგრძლივი კონტაქტისას როგორც ქალბატონებში ასევე მამაკაცებში, აღინიშნება დარღვევები რეპროდუქციულ სისტემის ფუნქციონირებაში ანუ ახასიათებს ე.წ. რეპროდუქციული ტოქსიურობა.

ფტალატები - იატაკის საფარი მასალების წარმოებაში გამოიყენება. ისინი ამ მასალებს სირბილეს და მდგრადობას ანიჭებენ. ხანგრძლივი კონტაქტისას უარყოფით გავლენას ახდენენ რეპროდუქტიულ სისტემაზე.

ქსილოლი და ტოლუოლი - ნავთობ პროდუქტს წარმოადგენს, რომელიც დღეს არსებულ პრაქტიკულად ყველა გამხსნელისა და მეტალოპლასმასების შემადგენლობაში შედის. მასთან ხანგრძლივი ურთიერთობისას შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შეუქცევადი კანის დაზიანებები, მხედველობის ორგანოს გაღიზიანება და ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური დარღვევები, ასევე ლორნოვანი გარსების, ფილტვისა და კანის დაავადებები.

სტიროლი - ის პოლიმერების სინთეზური ნედლეულია. მნიშვნელოვნად აღიზიანებს თვალებს, იწვევს თავის ტკივილს, გულისრევას. თავბრუსხვევას, კრუნჩხვებს, ცნობიერების დაკარგვას.

ვინილის ქლორიდი—არაორგანული ქიმიური ნივთიერებაა. კარცეროგენული გაზია, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. ხასიათდება ალერგიული მახასიათებლებით. მაგალითად, როცა ოთახი გამათბობელით თბება, ჰაერთან ერთად თბება ლინოლიუმი, ამ დროს გამოიყოფა ეს ძლიერი მხუთავი გაზი, რაც ზემოთჩამოთვლილ უარყოფით შედეგებს იწვევს.

რადონული - ეს ინერტული რადიოაქტიური გაზია, ამ პროდუქტს მიწისზედა ქანები შეიცავს. იგი შედის სამშენებლო ქვიშისა და კირის შემცველობაში. ის რადიაციული მასალაა და მისი გადაჭარბებული დოზა ჰაერში რადონული და ალფა ნაწილაკებით კომბინირებულ დაბინძურებას იწვევს. ეს დაბინძურება განსაკუთრებით სოფლის ტიპის ერთსართულიან სახლების პირველს სართულებს ემუქრება. მისგან მავნე ზეგავლენისჯპრევენციას სათავსოების ხშირი განიავება წარმოადგენს რაც, მეტნაკლებად უზრუნველყოფს ჰაერში მისი კონცენტრაციის შემ-

ცირებას.

პენოპოლისტიროლი(პენოპლასტი)- გამოიყენება თბოსაიზოლაციო მასალებში. ეს მასალა მაღალ ტოქსიურია. მისი გამოყენებით დაავადებების გამომწვევი მრავალწლიანი წყარო იქმნება. ამ მასალის ჩანაცვლება ისეთი არატოქსიური ანალოგით ხდება როგორიც მინერალური ბამბაა, ამასთან იგი შესანიშნავი თბიოზოლატორია.

ჰერმეტული ქაფი – თბოიზოლატორად გამოიყენება თუმცა სპეციფიური სუნითა და ტოქსიურობით ხასითდება. მასთან ხანგრძლივი კონტაქტი სერიოზულ ჯანმრთელობის გაუარესებას იწვევს. კერძოდ, ნერვული სისტემის მოშლას კანის ქავილსა და წვას.

ლაქები და მათი გამხსნელები — ეს ნივთიერებები მაღალი ტოქსიურობით ხასიათდებიან. ისინი იატაკიში დიდი ხნის განმავლობაში ჯერდებიან, და მათგან გამოწვეული უარყოფითი ნიშნებიც ხანგრძლივია. ტოქსიურობის მაჩვენებელი ºყველაზე აქტიური დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაშია, თუმცა შემდეგ ის შედარებით ნეიტრალდება, მაგრამ მისი უკუჩვენება მუდმივად რჩება და გარემოში ჰაერის დაბინძურება დასაშვებ ზღვარს 3-4 ჯერ აღემატება.

საღებავები და მათი გამხსნელები - მათ შემადგენლობაში ტოქსიური ნივთიერები ფორმალდეჰიდი და ფენოლი შედის, რომელიც მძიმე მეტალის ნაწილაკეს შეიცავენ. განსაკუთრებით საშიშია იაფი საღებავების ზემოქმედება. მისგან გამოწვეული ალერგიული რეაქციები გამოყენებიდან რამდენიმე წლის განმავლობაშიც გრძელდება.

ფილებისა და ლინოლიუმის წებო - თავიანთი შემადგენლობით ჯანმრთელობისათვის არც ისინი არიან უსაფრთხო. დამახასიათებელი სუნი აქვთ, რაც განსაკუთრებით რემონტის დროს იგრძნობა. მათ ნაცვლად უმჯობესია წყლის დისპერსიული წებოებია გამოყენება

ლინოლიუმი ამ მასალაში თავმოყრილია ისეთი ქიმიური არმოატული ნივთიერებები, როგორცაა ფენოლი, ფორმალდეჰიდი, ვინილის ქლორიდი, არომატული ნახშირწყალბადები. ამ მავნე ნივთიერებების გამოყოფით ხდება გარემოს დაბინძურება. ლინოლიუმი იატაკის დასაფარად საკმაოდ ხშირად გამოიყენება. თუმცა სპეციალისტები გვირჩევენ, რომ არაა რეკომენდირებული მათო გამოყენება საავადმყოფოებში, საძინებელ და ბავშვის ოთახებში. განვითარებული ქვეყნები, ამ მასალის მწარმოებლებს ბაზარზე შესაბამისი ლიცენზირებისა და სერთიფიკატების წარმოდგენას ავალდებულებენ.

სინთეტიკური ხალიჩები, რბილი იატაკები ეს მასალები გაჯერებულია ტოქსინებით, ახასიათებთ მკვეთრი სუნი, რომელიც ალერგიასა და ქავილს იწვევს.

შპალერი. შპალერი აუცილებლად უნდა "სუნთქავდეს". დაბალი ხარისხის შპალერის შემადგენლობაში შხამიანი ბენზოლი შედის, რომელიც კანის წვას და ქავილს იწვევს. შპალერის შერჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს მისი შემადგენლობის ნუსხას და გამოყენების ხანგრძლივობას.

კერამიკული ფილები. - კერამიკული ფილები ბაზარზე საკმოდ პოპილარულია, დღეს ისინი უამრავი ფერითა და ტექსტურითაა წარმოდგენილი. მასალა იმდენად ტოქსიური არაა, რამდენადაც ის წებოები, რომელიც საჭიროა მათი მონტაჟისათვის.

დასკვნა

წამყვან ქვეყნებში როგორიცაა იტალია, ამერიკა, რუსეთი, იმ მიზნით, რომ გამოვლენილიყო მოსაპირკეთებელი მასალით გამოწვეული დაზიანებები მნიშვნელოვანი კვლევებია ჩატარებული. კვლევების შედეგად შემაშფოთებელი შედეგები გამოვლინდა, კერძოდ დადგინდა, რომ სინთეტიკური მოსაპირკეთებელი მასალებით მოპირკეთებული ინტერიერის მიკროკლიმატი ოთხჯერ უფრო დაბინძურებულია და შვიდჯერ უფრო ტოქსიურია, ვიდრე ავტომანქანებისა თუ სხვა სახის გამონაბოლქვებით გაჯერებული ურბანული გარემო შეგვიძლიათ დავასკვნათ, რომ შენობის სწორად შერჩეული ინტერიერის ბუნებრივი გამწვანება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნული შედეგები შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ ნებისმიერ ინტერიერში მწვანე კუთხის არსებობა ცხოვრების და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ისინი ამცირებენ ოპტიკურ დაძაბულობას შედეგად კი ადამიანის თვალზე დატვირთვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Бэкс М. Цветы в интерьере — М: ТОО «Внешсигма»,1997.324 стр.
2. Филин В.А. Что для глаза хорошо, что для глаза. / Филин В.А // Здоровье детей. 2005. № 16 Москва. Строийздат 1987, 186 стр.
3. Психологический словарь. Под редакцией В.В. Давыдова, А.В. Запорожца, Б.Ф. Ломова. Москва. 1998. 123-216 стр.
4. კერესელიძე ა.ს.ადამიანი და მცენარეული ბუნების სილამაზე.1975წ 208 გვ11./21.
5. www.mygarden.ge
6. გოგიჩაიშვლის ბ. დისერტაცია -- პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ბიოლოგიის მეთოდების სფეროში. (1959წელი) 145გვ 17/24.
7. ისაკაძე შ. "დეკორატიული დაბალბალახოვანი ადგილობრივი მცენარეები". გამოცემის ადგილი: თბილისი. 2009 წელი 312 გვ21.45

სამგანზომილებიანი ობიექტების რეკონსტრუქცია ავტომატური სისტემების გამოყენებით

***ივანე მაკასარაშვილი**, დოქტორანტი.*
***მიხეილ დარჯანია**, დოქტორანტი*

რეზიუმე

სამგანზომილებიანი ობიექტების სკანირებისას ხშირია შემთხვევა როცა მონაცემები არასრულია და საჭიროებს შევსებას. ამ საკითხებზე მუშაობს ბევრი მეცნიერი, მათ მიერ დამუშავებულია სხვადასხვა ალგორითმები, მაგალითად, ნახვრეტების შევსების ალგორითმი, რომელიც მრავალ პრიმიტიულ ფიგურის შევსებას ეფუძნება. რეკონსტრუქციის პრიმიტიულ ფიგურებზე დაფუძნებული ალგორითმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია პრიმიტიული ფიგურისთვის ზღვრული წერტილებს გამოყოფა. საწყისი საზღვარი წერტილების მეზობლობების ანალიზის შედეგად გამოიყოფა; ფიგურები (სიბრტყეები, ცილინდრები, სფეროები, კონუსები) წერტილების სიმრავლეში RANSAC (Random sample consensus -შემთხვევითი შერჩევის კონსესუსი) მეთოდით არის აღმოჩენილი.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია სამგანზომილებიანი ობიექტების სკანირებისას არასრული მონაცემების შევსების ალგორითმი. ასევე, შემოსაზღვრული ზედაპირის რეკონსტრუქციის ალგორითმი, რომელიც ერგებაპრიპრიმიტიული ფიგურების აღმოჩენილ სიმრავლეს.

Summary

During the tridimensional scan of the object, often it happens that information is not full and needs to be elaborated. A lot of scientists work on this problem; different algorithms had been developed by them. For example the algorithm of filling the spaces , which depends on filling numerous primitive figures. Another algorithm, which depends on reconstruction of primitive figures, gives us an opportunity to distinguish the limit points. Primary limit points are picked out depending to the analysis of their neighboring positions; Figures (Planes, cylinders, spheres, cones) are discovered by method called RANSAC (Random sample consensus) in multiplicity of points.

In represented article is discussed the algorithm of elaborating dumps after scanning of tridimensional objects. Also, the algorithms of reconstruction of bounded plane, which is suitable to multiplicity of discovered primitive figures.

* * * * *

სამგანზომილებიანი ობიექტების სკანირებისას ხშირია შემთხვევა როცა მონაცემები არასრულია და საჭიროებს შევსებას. მეცნიერი შცნაბელი [1] აღწერს ნახვრეტების შევსების ალგორითმს, რომელიც მრავალ პრიმიტიულ ფიგურას ეფუძნება. პრიმიტიული ფიგურები (სიბრტყეები, ცილინდრები, სფეროები, კონუსები) წერტილების სიმრავლეში RANSAC (Random sample consensus -შემთხვევითი შერჩევის კონსესუსი) მეთოდით არის აღმოჩენილი [2]. ჩვენი მიზანია შემოსაზღვრული ზედაპირის რეკონსტრუქცია, რომელიც ერგება პრიმიტიული ფიგურების აღმოჩენილ სიმრავლეს. ზედაპირის დადგენა ხდება ვოლუმეტრული, გრაფიკული კვეთებისა და ღირებულების ფუნქციის მინიმიზაციის მეშვეობით. აღნიშნულ ფუნქციას მინიმუმამდე დაყავს ზედაპირის ფართობი და გამოყოფს არეალებს, რომლებიც არ ემთხვევა პრიმიტიულ ფიგურებს. ამგვარი ოპტიმიზაციის მეშვეობით წერტილების სიმრავლის ნახვრეტები მიმდებარე პრიმიტიული ფიგურების განვრცობის შედეგად ივსება.

რეკონსტრუქციის პრიმიტიულ ფიგურებზე დაფუძნებული ალგორითმის საშუალებით შესაძლებელია თითოეული აღმოჩენილი პრიმიტიული ფიგურისთვის ზღვრული წერტილებს გამოყოფა. საწყისი საზღვარი წერტილების მეზობლობების ანალიზის შედეგად გამოიყოფა; აქ საუბარია პრიმიტიული ფიგურისთვის მიკუთვნებულ წერტილებზე. ამის შემდეგ ხდება ზღვრული წერტილების ოპტიმიზაცია, რათა ისინი მიუახლოვდნენ შესაბამის ფიგურას და სხვა ახლომდებარე ფიგურებს. ამგვარი ოპტიმიზაცია გვაძლევს მიმდებარე ფიგურების კვეთების მახლობლად განლაგებულ საზღვრებს. თუ სხვა ფიგურა ახლოს არ მდებარეობს, მიიღება თანაბარი საზღვრები.

პრიმიტიულ ფიგურებთან დაკავშირებული კიდევ ერთი მეთოდი [3] ზედაპირების რეკონსტრუქციის მიზნით ადგილობრივი, თანაბარი რეგიონების ორგანიზებას ახდენს შეკავშირების გრაფიკზე. რეგიონების ინიციალიზაცია წერტილების სიმრავლეებიდან ნიმუშების აღების მეშვეობით ხდება, ხოლო მათი კავშირები დაფუძნებულია სივრცით მანძილებზე. რეგიონი წარმოდგენილია საბაზისო ფუნქციების მეშვეობით და შემდეგ ნაწილებად იყოფა, რისთვისაც ხდება პრიმიტიული ფიგურების გამოვლენა, როდესაც ხმაურის ადგილობრივი დონე მაღალია. მიმდებარე პრიმიტიული ფიგურები ერთმანეთს უკავშირდება, ვინაიდან მათ სავარაუდოდ ყოფს ტეხილი. რეგიონების ზედაპირების ოპტიმიზა-

ცია ღირებულების შემდეგი ფუნქციების მეშვეობით ხდება: მანძილი რეკონსტრუირებულ ზედაპირსა და წერტილების სიმრავლეს შორის; პატარა რეგიონების სიმრუდეები ზედმეტი მორგების თავიდან აცილების მიზნით; მიმდებარე რეგიონების უთანაბრობები.

წერტილების სიმრავლეების რეკონსტრუირების მიზნით იყენებენ პრიმიტიულ ფიგურებს, როგორიც არის სიბრტყეები, ცილინდები, კონუსები და სფეროები. ამ ფიგურების აღმოჩენა მოდიფიცირებული RANSAC პროცედურის მეშვეობით ხდება. ვინაიდან აღმოჩენის რეჟიმი იერარქიულია, ფიგურები განლაგდება ორობითი სივრცითი დანაწევრების (BSP) ხეზე. BSP ხე სამგანზომილებიან სივრცეს უჯრედებად ყოფს, ხოლო უჯრედები თავის მხრივ შიდა და გარე ნაირსახეობებად იყოფა. (BSP) უჯრედები ქსელის გრაფიკზე ერთმანეთს უკავშირდება, ხოლო კიდეები პრიმიტიული ფიგურების ტრიანგულაციების მეშვეობით მიიღება. ზედაპირები, რომელთა აპროქსიმაცია პრიმიტიული ფიგურების მეშვეობით შეუძლებელია, ქსელის გრაფიკზე წერტილების დელონის ტრიანგულაციის გზით ხვდება. გრაფიკის კვანძები გრაფიკული კვეთების მეშვეობით შიდა და გარე ნაირსახეობებად იყოფა. თითოეული შემავალი წერტილის ხილვადობის შეზღუდვებზე დაყრდნობით გამოითვლება ენერგიის ფუნქცია. ინფორმაცია ხილვადობის შესახებ აუცილებელია თან ახლდეს წერტილების სიმრავლეს, ვინაიდან თითოეული წერტილი ერთ ან რამდენიმე ხედს მიეკუთვნება.

მეცნიერი შოვე და სხვები [4] წერტილების ხმაურიანი სიმრავლეებიდან პოლიგონალურ წარმოდგენებს ქმნიან, რისთვისაც არქიტექტურული სცენებიდან აღებულ წინასწარ ინფორმაციას იყენებენ, როგორიც არის ვერტიკალური სტრუქტურები და ორთოგონალური კვეთები. წერტილების სიმრავლეებში ვლინდება პლანარული სეგმენტები და ისინი სამგანზომილებიანი სივრცის ადაპტაციური დეკომპოზიციის მიზნით გამოიყენება. მიმდებარე სიბრტყეები იკვეთება და სამგანზომილებიანი სივრცე უჯრედების კომპლექსად იყოფა. არქიტექტურული სცენების რეკონსტრუქცია სიბრტყეების სიმრავლისთვის განმეორებადი პრიმიტივების დამატებით უმჯობესდება. განმეორებადი პრიმიტივები ჰორიზონტალური ან ვერტიკალური მიმართულებისაა და გამოვლენილი სიბრტყეების ზღვრულ წრფეებთან იქმნება.

ზოგიერთ შემთხვევაში [5] ურბანული სტრუქტურების რეკონსტრუქციას მანჰეტენის უნივერსალური დაშვების მეშვეობით ახდენენ. შემავალი წერტილები კლასიფიცირდება ზედაპირის სამიდან ერთ-ერთი დომინანტური მიმართულების და ადგილობრივი ფიგურის ოთხიდან ერთ-ერთი ნაირსახეობის მიხედვით, კერძოდ ეს არის კედელი, კიდე, კუთხე და კუთხის კიდე. ფიგურის ნაირსახეობა და მისი მიმართულება თითოეული წერტილის ადგილობრივი სამეზობლოს გაანალიზების მეშვეობით განისაზღვრება. „განმტკიცების“ ეტაპზე კლასიფიკაცია უმჯობესდება, მაგალითად, მოწმდება, ერტყმის თუ არა გარს კიდეს შესაბამისი კედლები. წერტილების კლასიფიკაცია ერთმანეთთან დაკავშირებული კოპლანარული კლასტერების ამოსარჩევად გამოიყენება, ხოლო ვოლუმეტრული მეთოდით მიიღება შემოსაზღვრული მოდელები.

არის შემთხვევები როცა LiDAR შემავალ მონაცემებს და სცენის ფოტოსურათებს აერთიანებენ. ისინი ეყრდნობიან იმ ფაქტს, რომ გამოსახულებებს მაღალი რეზოლუცია აქვს და როგორც წესი, შენობის ფასადების უფრო დიდ არეალს ფარავს, ვიდრე ლაზერული გამოსახულებები. ამის შემდეგ ხდება ფოტოსურათების გასწორება და წერტილების სიმრავლესთან რეგისტრაცია. მართკუთხა პლანარული რეგიონები სამგანზომილებიანი წერტილების კლასტერიზაციის მეშვეობით სეგმენტებად იყოფა და გასწორებულ გამოსახულებაში წრფეების გამოვლენა ხდება. ყველა რეგიონს ენიჭება სიღრმის მნიშვნელობა.

ვუ და სხვები [6] აღწერენ გენერალიზებული ცილინდრების ზედაპირული რეკონსტრუქციის სქემას. ცილინდრები იქმნება ვერტიკალური პროფილური მრუდების გადატარებით ჰორიზონტალური სატრანსპორტო მრუდების გასწვრივ (იხ. სურ. 1). სატრანსპორტო მრუდები დაახლოებით ემთხვევა სცენის იატაკის გეგმებს, ვინაიდან ისინი პარალელურად გასდევს მიწის სიბრტყეს. ამ სიბრტყის ნორმალური და სატრანსპორტო ნორმალები (თითოეული წერტილისთვის) შემავალი წერტილების ძირითადი მიმართულების საფუძველზე აირჩევა. ჰორიზონტალური სატრანსპორტო მრუდები იმ სიბრტყეებთან იქმნება, სადაც შემავალ წერტილებს მინიმალური სიმრუდე აქვს. თითოეული სატრანსპორტო მრუდისთვის წერტილების სიმრავლიდან აირჩევა მრავალი პროფილური კვეთი და ვიღებთ პროფილურ მრუდს კანონიკურ პოზიციაზე. მრუდების შემდგომი ოპტიმიზაცია გვაძლევს თანაბარ ზედაპირებს, ხოლო გადაადგილების რუკა გამოითვლება ნაკლებად მასშტაბური გეომეტრიული დეტალების გათვალისწინების მიზნით.

საჰაერო LiDAR მონაცემების საფუძველზე ქალაქის მოდელების რეკონსტრუქციის პრობლემის დაძლევას მრავალი ალგორითმი ემსახურება. მათი უმრავლესობა შენობების ანაბეჭდს იღებს და ორნახევარგანზომილებიან მოდელებს ქმნის. გარდა ამისა, არსებობს ჰიბრიდული მეთოდები, როდესაც სახმელეთო მონაცემების საფუძველზე ფასადების დეტალური რეკონსტრუქციები იქმნება. მკვლევარები ლეფარჟი და მალე [7] საჰაერო LiDAR მონაცემების საფუძველზე ახდენენ ქალაქის მოდელების რეკონსტრუქციას. ისინი სახურავების სტანდარტულ მონაკვეთებს სიბრტყეებით, ცილინდრებით, სფეროებით, კონუსებით და სხვა გეომეტრიული პრიმიტივებით აგებენ, ხოლო სახურავების შედარებით უსწორმასწორო კომპონენტებს წარმოადგენენ სამკუთხა ბადეების მეშვეობით. წერტილების სიმრავლე თავდაპირველად სემანტიკურად შინაარსიან რეგიონებად იყოფა, რათა შენობები მიმდებარე არეალისგან გაიმიჯნოს. მოგვიანებით შენობები გეომე-

ტრიულ პრიმიტივებად იყოფა და რეგიონების მზარდი მეთოდის მეშვეობით. ბოლოს შენობებისა და სხვა ურბანული კომპონენტების ფიგურების პრიმიტივები მჭიდრო, ორგანზომილებიან ბადეში ექცევა, რისთვისაც ლეიბლები ბადეში მოქცეულ ცარიელ უჯრედებზე ვრცელდება.

რობოტექნიკის დარგში მნიშვნელოვანია რეკონსტრუირებული სამგანზომილებიანი ობიექტების ფუნქციონალური რუკის შექმნა, ვინაიდან სხვანაირად რობოტული ამოცანები ვერ შესრულდება. რუსუ და სხვები [8] წარმოადგენენ სამზარეულოების რეკონსტუირების სისტემას, სადაც სახელურებისა და კნოპების იდენტიფიცირებას რობოტები ახდენენ. წერტილების სიმრავლეები თავდაპირველად პლანარულ რეგიონებად იყოფა, რისთვისაც ნორმალებსა და სიმრუდეებზე დაფუძნებული, რეგიონების ზრდის ალგორითმი გამოიყენება. ღერძებისადმი გასწორებული ორგანზომილებიანი ოთხკუთხედები და კუბოიდები პლანარულ რეგიონებს ერგება და მაგიდებად, კარადებად ან უჯრებად კლასიფიცირდება. სახელურები და კნოპები წერტილების სიმრავლეებიდან იკვეთება, რომლებიც არ თავსდება პლანარულ რეგიონში, მაგრამ მისი მომიჯნავეა.ინტერიერის ბევრი სცენა მაგიდებს, სკამებს და სხვა მსგავს ობიექტებს მოიცავს. თანამედროვე მეთოდებით შესაძლებელია მოდელების მონაცემთა ბაზებიდან სამგანზომილებიანი ობიექტების ამორჩევა და განთავსება წერტილების სიმრავლეებთან მიახლოების მიზნით (იხ. სურ. 2). შედეგად მიღებულ მოდელებს ორიგინალური სცენის ზუსტი გეომეტრია არ გააჩნია, თუმცა ისინი შეიცავენ სცენის რედაქტირებისა და სხვა მაღალი დონის დამუშავებისთვის აუცილებელ სემანტიკურ ინფორმაციას.

თავდაპირველად ინტერიერის სეგმენტირების ავტომატურ ალგორითმს იყენებენ მრავალი RGBD გამოსახულებისთვის. ამ გამოსახულებების რედაქტირება შესაძლებელია სამომხმარებლო ინტერფეისის მეშვეობით. სეგმენტირების შედეგად თითოეულ რეგიონს ენიჭება 10-დან ერთ-ერთი სემანტიკური იარლიყი, მაგალითად, სავარძელი ან მაგიდა. თითოეული სეგმენტირებული რეგიონისთვის სამგანზომილებიანი მოდელების მონაცემთა ბაზიდან აირჩევა მსგავსი სამგანზომილებიანი მოდელი შესაბამისი სიღრმისეული ინფორმაციის საფუძველზე. შემთხვევითი რეგრესიის ტყე გამოიყენება მოდელის ობიექტის ამოცნობის პრობლემის დაძლევის მიზნით, რა დროსაც გამოიყენება 496-განზომილებიანი ვექტორები (გეომეტრიული იმპულსების, მბრუნავი

გამოსახულებების და სხვა გეომეტრიული მახასიათებლების ჩათვლით). თითოეული სამგანზომილებიანი მოდელისთვის მრავალი გამოსახულების რენდერინგის შედეგად მიიღება საცდელი მონაცემები.



სურ. 1. ზედაპირის სქემატური რეკონსტრუქცია (მარცხნიდან მარჯვნივ): შემავალი წერტილების სიმრავლე, სატრანსპორტო და პროფილური მრუდები, წაშლილი ზედაპირები და ზედაპირები გადაადგილების რუკებით [9]



სურ. 2. გამოსახულებაში იძებნება სამგანზომილებიანი მოდელები და ისინი რეკონსტრუქციის მიზნით გამოიყენება.

თითოეულ მოდელს ფიგურების პრიმიტივების იერარქიული, გრაფიკული სტრუქტურის სახით წარმოადგენენ, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ სხვადასხვა კონფიგურაციები, როგორიც არის ღია და დახურული უჯრები. სწავლის ეტაპზე ინდივიდუალური ობიექტების გამოსახულება სხვადასხვა ხედით და სხვადასხვა კონფიგურაციით მიიღება, ხოლო შემდეგ ხდება ფიგურების პრიმიტივების ავტომატური აღმოჩენა. ამოცნობის ეტაპზე ერთი გამოსახულებიდან მიიღება დომინანტური სიბრტყეები და ხდება მათი კლასიფიცირება იატაკად, კედლებად ან მაგიდებად. დარჩენილი წერტილები ერთმანეთთან შეკავშირებულ კომპონენტებად იყოფა და სამგანზომილებიან მოდელებს მიესადაგება. მისადაგების პროცესი მოდელების სხვადასხვა ფრაგმენტებისთვის ტარდება და ეფუძნება კონტურების განაწილებას, ძირითად კომპონენტებსა და ობიექტების ზომებს.

ძიებისა და კლასიფიცირების მეთოდების გამოყენებისას ამოცნობისა და შაბლონის დეფორმაციის ეტაპები გაერთიანებულია. ისინი ეყრდნობიან იმ დაკვირვებას, რომ ადამიანის მიერ შექმნილ ფიგურებს ხშირად ახასიათებთ ბუნებრივი სეგმენტაცია აღმავალი მიმართულებით, მაგალითად, მაგიდა შეიძლება დაიყოს ფეხებად და სადგამად. ობიექტები სამ ჰორიზონტალურ ფრაგმენტად იყოფა წერტილების განაწილების ანალიზის მეშვეობით. ჰორიზონტალური ფრაგმენტების ზომების თანაფარდობა და აბსოლუტური ზომა კონტურების ვექტორს გვაძლევს. „ტყის“ შემთხვევითი კლასიფიკატორი მიიღება მომხმარებლის მიერ დასათაურებული გამოსახულებების საფუძველზე. ამოცნობის ეტაპზე გამოსახულება კვლავ სეგმენტირდება და შაბლონების გამოვლენის მიზნით გამოიყენება რეგიონის ზრდის ალგორითმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ruwen Schnabel, Patrick Degener, and Reinhard Klein. Completion and Reconstruction with Primitive Shapes. Computer Graphics Forum, 28(2):503–512, April 2009.
2. Ruwen Schnabel, Roland Wahl, and Reinhard Klein. Efficient RANSAC for Point-Cloud Shape Detection. Computer Graphics Forum, 26(2):214–226, June 2007.
3. Philipp Jenke, Michael Wand, and Wolfgang StraЯ er. Patch-Graph Reconstruction for Piecewise Smooth Surfaces. In Vision, Modeling, and Visualization (VMV), pages 3–12,2008.
4. Anne-Laure Chauve, Patrick Labatut, and Jean-Philippe Pons. Robust piecewise-planar 3D reconstruction and completion from large-scale unstructured point data. In IEEE Conference on Computer Vision and Pattern Recognition (CVPR), pages 1261–1268, 2010.
5. Carlos A Vanegas, Daniel G Aliaga, and Bedrich Benes. Automatic Extraction of Manhattan-World Building Masses from 3D Laser Range Scans. IEEE Transactions on Visualization and Computer Graphics, 18(10):1627–1637, 2012.
6. Changchang Wu, Sameer Agarwal, Brian Curless, and Steven M Seitz. Schematic surface reconstruction. In IEEE Conference on Computer Vision and Pattern Recognition (CVPR), pages 1498–1505, 2012.
7. Florent Lafarge and Clement Mallet. Creating Large-Scale City Models from 3D-Point Clouds: A Robust Approach with Hybrid Representation. International Journal of Computer Vision, 99(1):69–85, 2012.
8. Radu Bogdan Rusu, Zoltan Csaba Marton, Nico Blodow, Mihai Dolha, and Michael Beetz. Towards 3D Point cloud based object maps for household environments. Robotics and Autonomous Systems, 56(11):927–941, November 2008.
9. Changchang Wu, Sameer Agarwal, Brian Curless, and Steven M Seitz. Schematic surface reconstruction. In IEEE Conference on Computer Vision and Pattern Recognition (CVPR), pages 1498–1505, 2012.

ბიზნეს-ინჟინერინგი მასობრივ კომუნიკაციებში

მასობრივი კომუნიკაციის სუბიექტები, ობიექტები და მათი ადგილი და მნიშვნელობა ინფორმაციულ საზოგადოებაში

ეთერ შამანაძე, პროფესორი

რეზიუმე

ინფორმაცია (ინფორმატიო) გლობალური ცნებაა, რომელიც განსაკუთრებულ ცოდნის ფორმას წარმოადგენს.ზოგადი გაგებით ეს არის მატერიის და ენერგიის განსაზღვრება დროსა და სივრცეში,ცვლილებების ზომა, რომელიც ახასიათებს მსოფლიოში მიმდინარე ნებისმიერ პროცესს. გამოკვლევებში,რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციია გაგებასთან მრავალი გადაუჭრელი კითხვაა. დღემდე გრძელდება დისკუსია არის თუ არა ინფორმაცია ნებისმიერი მატერიალურის თვისება,თუ მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმების,ან მოაზროვნე, გააზრებულად მოქმედი არსებებისათვისაა დამახასიათებელი.

როგორც მართვის ობიექტს, ინფორმაციული სივრცე მოეკუთვნება რთულ დინამიურ ობიექტს, ბოლომდე არაპროგნოზირებად რეაქციას მართვის ზემოქმედებაზე. ინფორმაციული სივრცისათვის დამახასიეთებელია სუბიექტის დაფარულიმართვა ობიექტის მიერ და კავშირები.

ინფორმაციული პოლიტიკა - სუბიექტთა მოქმედებაა თავიანთი ინტერესების რეალიზაციისათვის.

სახელმწიფო ინფორმაციული პოლიტიკა (სიპ),როგორც ფედერალური ორგანოების საქმიანობა სახელმწიფო ძალაუფლებაში ნაციონალური ინტერესების მისაღწევად, ახორციელებს თავის ფუნქვიებს სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთობების განსახორციელებლად. პოლიტიკური საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება მანიპულაციური პოლიტიკური ტექნოლოგიები.ყველა მანიპულაციური პოლიტიკური ტექნოლოგია ზემოქნედებს ადამიანის საქციელიდან გამომდინარე ფუნქციონალურ და დროით დიაპაზონში.

მართვის ტექნოლოგიის მთლიანი სახე რეალიზდება კავშირის და ურთიერთობების საშუალებებში. (PR)

PR - თავისი არსით ინფორმაციული ტექნოლოგიაა ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში ინფორმაციული საზოგადოება უკვე აქტიური ჩამოყალიბების პროცესშია.აქ იგულისხმება მთლიანი საზოგადოება, რომელიც ინფორმაციულ ერაში შევიდა, რაც კარდინალურად ცვლის თავად საზოგადოების არსს.

Summary

The modern understanding of informational space was created by the evolution of conceptual scheme of geopolitical space. Geopolitical space makes new dimension and includes informational area also. Informational area also called infospace determines very specific area. It noticeably changes such procedures, as competition and influence on other action. In powerful relations changes armed fight. It crosses this, but does not always coincide.

In informational space especially changes geopolitical competition. Fighting for more informational space is fight to get more informational resources, that lets him to control opponent's resources.

"Informational space" in modern situation means informational area itself. Nowdays there is many scientific point of informational space.

Informational space – Structure of information, subjects, making information, system of spreading , using and also regulation in informational structure.

Informational space - Subject ' s actions in public life ' s specific area. Colecting information, keeping and spreading and sending information.

The idea of informational society despite of globalization idea does not resistance to anything. Informational society in general one of the variety of service technologies. Going on one such society step by step, by Rozovi, is modern historical stage's originality. This is society where most of all is developed combined production and means, also difficult and various service and plays special role scientific and informational guaranteeing.

As area of regulation informational space means subjects right to informational actions.

Infospare itself in global informational area may be connected to the informational space itself and other informational areas too

Informational space is discussed as informational-psychological composition in informational progress.

* * * * * *

პოლიტიკური და მასობრივი კომუნიკაციის სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი განსაკუთებით პოპულარული 1940-60-იანი წლების ამერიკულ სოციოლოგიაში იყო. სწორედ ამ ტრადიციის ჩარჩოებში ატარებდნენ თავიანთ გამოკვლევებს ისეთი ცნობილი ამერიკელი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ რ. მერტონი, პ. ლაზარსფელდი, ჰ. ლასუელი და სხვ.

ტერმინის — "კომუნიკაცია" რამდენიმე განმარტება არსებობს. ზოგი მასში გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას, ინფორმაციის გადაცემას; ზოგი თვლის, რომ ეს არის შეტყობინება, კავშირი; ზოგისთვის კი — ინფორმაცია არის ადამიანთა შორის ურთიერთქმედების ტიპი, რაშიც ივარაუდება ინფორმაციის გაცვლა [2, გვ. 26]

მასობრივი კომუნიკაცია ხასიათდება: აუდიტორიის ყურადღების გაფანტვით, ფართო მასშტაბიანი კომუნიკაციური პროცესების რაოდე-ნობით, რომელიც ხორციელდება ტექნიკური საშუალებებით, ინფორმაციის გადაცემით ერთდროულად სხვადასხვა არხების მეშვეობით, ნებისმიერი მსურველისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობით.

მასობრივი კომუნიკაცია გამოიყენება ადამიანთა გონებაზე მანი-პულირებისათვის. მასობრივი კომუნიკაციის ბევრი მკვლევარი თვლიდა, რომ მისი ხასიათი და მიზანი, როგროც იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, მართვა, პროპაგანდა, კულტურის გავრცელება, რეკლამა განისაზღვრება საზოგადოების სოციალურ ბუნებით (ხასიათით).

ინტერაქტიულ მასობრვი კომუნიკაციაში ინტერაქტიულობის პრინცი-პი ნიშნავს უარს კომუნიკაციის იმ გაგებაზე, რაც გულისხმობს ურთი-ერთობას სუბიექტ-სუბიექტს შორის. ინტერაქტიულ კომუნიკაციაში ინიციატორი შეტყობინებისა არის კომუნიკაციის ისეთივე სრულუფლებიანი მონაწილე, როგორც შეტყობინების მიმღები. თუმცა რეალურად მანიპულირების მიღება შეიძლება არანაკლებად იყოს განხილული, როგორც მანიპულირების ობიექტი, თუმცა ამავე დროს მას ექმნება ან უნარჩუნდება ,,თანასწორობის" ილუზია.

მასობრივ კომუნიკაციაში ინტერაქტიული ტიპი წინასწარ განსაზღვრავს ინფორმაციისადმი მიზანმიმართულ აქტიურ ურთიერთობას, სხვადასხვა სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლის ორგანიზებას. ინტერაქტიულობის პრინციპზე დაყრდნობილი ინფორმაცია გამოდის, როგორც ფორმა, რომელიც პროვოცირებას ახდენს სხვადასხვა შინაარსობრივ შემადგენლობაზე.

მასობრივი კომუნიკაციის სუბიექტი — სუბიექტი, რომელიც მონაწილეობს მასობრივ ინფორმაციულ გაცვლაში და იყენებს ელექტროკავშირების თანამედროვე ხელსაწყოებს.

კომუნიკაციის სუბიექტები	საზოგადოება	
	ინდუსტრიული	ინფორმაციული
სახელმწიფო (მთლიანობაში)	+	+
სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც აწარმოებენ დამოუკიდებელ ინფორმაციულ პოლიტიკას (სახელ-მწიფო წყობილების ქვეყნებში და იმ კანონების სის-ტემაში, რომელიც ამის საშუალებას იძლევა)	+	+
ეკონომიკური სუბიექტები, ტერიტორიის მასშტაბთან დაკავშირებული თავის მოღვაწეობასთან, რომელიც ფლობს მმართველ რესურსებს დამოუკიდებელი ინ-ფორმაციული პოლიტიკის გასატარებლად ან საკუ-თარი ინტერესებისთვის სასრუველი ზემოქმედების მოსახდენად.	+	+
სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტები. (პოლი-ტიკური და საზოგადოებრივი პარტიები, მოძრაობები და ა.შ.)	+	+
მასობრივი ინფორმაციის, როგორც იურიდიული პი-რის საშუალება, რომელიც გამოიყენება ინფორმა-ციულ პოლიტიკაში.	+	+
პროფესიული მედია-ჯგუფები - საზოგადოებები, გაერთიანებული პროფესიული საქმიანობით/ინტე-რესებით, რომლებიც ინფორმაციულ სივრცეში ახორ-ციელებენ დამოუკიდებელ ინფორმაციულ მოღვა-წეობას.	-	+
მედია-პერსონები - პირები, რომლებიც იყენებენ ინფორმაციული სივრცეს მასში საკუთარი პირადი ინ-ტერესების განსახორციელებლად მასობრივი კომუნი-კაციის დონეზე	-	+

მართვის სუბიექტები არიან ადამიანთა სტრუქტურულ-მნიშ-ვნელოვანი გაერთიანებები და ხელმძღვანელები პერსონალურ დონეზე, რომლებიც ახორციელებენ მართვის ფუნქციებს. მართვის სუბიექტად გამოდის კომუნიკატორი და ასევე ის ადამიანები ან მათი გაერთიანებები, რომელთა ინტერესებსაც ისინი ახორციელებენ.

კომუნიკაციური მართვის ობიექტი არის ცალკეული ადამიანი ან სოციალური ჯგუფი, რომლებისკენაც მიმართულია მართვის სუბიექტის მოქმედებები. ინფორმაციულ სივრცეში მართვის ობიექტი არის საქმე, კომუნიკატორის მანიპულირების ობიექტი.

მანიპულირების მართვის პროცესში მონაწილეები განსხვავდებიან ჩვეულებრივი მართვის პროცესის მონაწილეებისგან, რომელიც ხასიათდება, უპირვე-

ლეს ყოვლისა, მართვის სუბიექტის ინტერესების დაკმაყოფილება და როგორც წესი ობიექტის ინტერესები იგნორირებულია.

არსებობს მჭიდრო კავშირი ტერმინებს "მართვასა" და "ინფორმაციას" შორის. შეიქმნა მართვის ახალი სახე — ინფორმაციული მართვა.

ინფორმაციული მართვა — მართვის გადაწყვეტილებების გამომუშავება და რეალიზაცია, როცა მართვის ზემოქმედებას აქვს არა აშკარა ხასიათი და მართვის ობიექტს აწვდის სუბიექტისთვის ხელსაყრელ ინფორმაციას და თითქოს ობიექტი თავისით იღებს გადაწყვეტილებას — ასე ჩანს.

ინფორმაციული მართვის ეფექტურობა გამოწვეულია იმით, რომ ცალკეულ ადამიანს არ აქვს შესაძლებლობა ჩაატაროს სიტუაციის სრული ანალიზი, რათა მოახდინოს დიდი რაოდენობით ინფორმაციის გადამუშავება და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება დროის სიმცირის პირობებში.

მოტივაციური მართვა — ეს არის მართვის ერთიანი პროცესის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს გააზრებას და შიდა და გარე სფეროს გარდაქმნის საშუალებებს. იგი გამოიყენება ინფორმაციული პროცესის მართვისთვის.

მოტივაციური მართვა თავისი არსით არის ინფორმაციული მართვის ნაირსახეობა, გამოიყენება სოციალური სისტემის მართვისათვის. აქედან იქმნება ინტერესის და ღირებულებების სისტემა. მოტივაციურ მართვაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს "სტიმული" — ის უნდა იყოს იდეალურად ადექვატური და მოთხოვნილებათა შესაბამისი, აქედან საპასუხო რეაქცია გამოდის სტიმულზე და ქცევის მოტივეს საფუძველზე.

მოტივაციური მართვა წინ უძღვის სოციალური წრის ჩამოყალიბებას ეკონომიკაში — ეკონომიკური ქცევის მოტივების ჩამოყალიბება და პოლიტიკაში — პოლიტიკური მოქმედების მოტივი.

ფსიქოლოგიური ზემოქმედება — ეს არის ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენის საშუალება (ცალკეულ ინდივიდზე ან ჯგუფებზე), რომლის მიზანია იდეოლოგიური ან ფსიქოლოგიური სტრუქტურის შეცვლა, ემოციური მდგომარეობის ტრანსფორმაცია, გარკვეული ტიპის მოქმედების სტიმულირება, რისთვისაც გამოიყენება აშკარა ან ფარული ფსიქოლოგიური იძულება. ფსიქოლოგიური ზემოქმედება ხშირად გამოიყენება პიროვნებაზე და/ან ინდივიდზე ფარული ზემოქმედების ტექნოლოგიის ფორმით.

პოლიტიკურ პროცესში აქტიურად გამოიყენება მანიპულაციური პოლიტიკური ტექნოლოგიები. ყველა მანიპულაციური პოლიტიკური ტექნოლოგია მოქმედებს ადამიანის საქციელიდან გამომდინარე ფუნქციონალურ და დროით დიაპაზონში.

ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის წმინდა ინტუიციურიც კი გაუაზრებლად ყოველთვის ხვდება, როცა მისით მანიპულირებენ, მაგრამ აძლევენ მათ ამის უფლებას, რათა სწორედ ეს მანიპულაცია აძლევს მათ საშუალებას განახორციელოს ის, რაც დიდი ხანია სურს, მაგრამ რატომღაც არ აძლევდა თავს ამის უფლებას. ამ სფეროში სხვადასხვა თანმიმდევრობით გამოიყენება მანიპულირების მსგავსი სქემები.

მასობრივი კომუნიკაცია შეიძლება იყოს მართვის ობიექტი. პოლიტიკურ ბრძოლასა და ეკონომიკურ კონკურენციაში გამოიყენება სხვადასხვა ტექნოლოგიები მასობრივი კომუნიკაციის მართვისა — ე.წ. პიარტექნოლოგიები.

PR — მმართველის მოღვაწეობა, მიმართული ურთიერთსასარგებლო ჰარმონიული ურთიერთობების მისაღწევად ორგანიზაციებში და საზოგადოებებში, რომელზეც დამოკიდებულია ამ ორგანიზაციის ეფექტური არსებობა.

PR — თავისი არსით ინფორმაციული ტექნოლოგიაა, ინფორმაციული მართვის ტექნოლოგია ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. PR გულისხმობს ორგანიზაციის მოღვაწეობის დამოუკიდებელ სახეს.

თეორიული გამოკვლევების მეთოდი გახდა PR-ის სტრატეგიის და მეთოდის საბაზისო საფუძველი. PR-ტექნოლოგიის აშენების ძირითადი სქემა არის კომუნიკაციური ფორმულა, შემოთავაზებული ლასველის მიერ 1942 წელს. ლასველის სოციალური მოდელის აზრი მდგომარეობს შეკითხვებზე საპასუხო რეაქციაში: ვინ გვატყობინებს; რას გვატყობინებს; ვის ატყობინებს; რა არხის მეშვეობით; რა ეფექტისთვის.

PR-პროგრამის შექმნისთვის საჭიროა კომუნიკატორის გაანალიზება და შეფასება, შეტყობინების შეფასება, კომუნიკაციის საშუალება, აუდიტორიის მახასიათებელი და შეტყობინების ზემოქმედება.

PR - ტექნოლოგიის განვითარება დამოკიდებულია მენეჯმენტის რეკლამირებით შემუშავებულ კონცეფციასა და მოდელზე. ასეთი ფართო გამოყენება ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მიიღო რეკლამის ზემოქმე-დებით, რომელიც შეიმუშავა 1898 წელს ლევისომმა. ამ კონცეფციის ფარგლებში ჩამოყალიბდა აიდა-კანონი (Aida) ყურადღება — ინტერესი — სურვილი — მოქმედება, რომელიც ქმნის რეკლამის ზემოქმედების ძირითად საკითხებს და ეტაპებს.

ორგანიზაციის თანამშრომლებთან მიმართებაში PR-ს სხვანაირად კიდევ ადამიანურ ურთიერთობებს ან ორგანიზაციის ურთიერთობებს უწოდებენ. ზოგჯერ მას კორპორაციულ PR-საც უწოდებენ. კორპორაციული PR-ის მთავარი ამოცანაა დადებითი კლიმატის შექმნა ორგანიზაციაში. შიდა PR-ს ახორციელებს PR-ის განყოფილება ან PR-სპეციალისტები, თუ არ შეუძლია სპეციალური განყოფილების ცალკე შექმნა.

როცა PR-ის მიზნები დაფიქსირებულია, შემდეგ ხდება პროგრამის შემუშავება. მიზნები შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი და ყოველი შემთხვევისთვის იქმნება შესაბამისი პროგრამა. მიიჩნევენ, რომ PR რაღაცით გავს ჭადრაკს: 10% - ინტუიციას, 25% - გამოცდილებას, 65% - შემოქმედებითი შრომას.

ფრენკ ჯეფკინსი გვთავაზობს PR — პროგრამის მისეულ მოდელს, რაც მოიცავს ექვს შემადგენელს:

სიტუაციის შეფასება; მიზნის განსაზღვრა; აუდიტორიის განსაზღვრა; მასობრივი კომუნიკაციის და ტექნოლოგიური ზემოქმედების არხების შერჩევა; ბიუჯეტის დაგეგმვა; რეზულტატების შეფასება.

სპინი – სიტყვაა, რომელიც ინგლისურენოვანმა სამყარომ დიდი ხანია კარგად იცის, მსოფლიოს ბევრ ენაზე არ ითარგმნება. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ძნელია ერთი სიტყვა მიუსადაგო გავრცელებულ პრაქტიკას, რომელიც უკვე მედიისა და პოლიტიკის, პრაქტიკოსებისა და საზოგადოების, მედიისა და საზოგადოების ქვაკუთხედი გახდა [15, გვ 5-10].

სპინი არსებობს იმიტომ, რომ ფაქტებს, ციფრებს და მოვლენებს, ისევე როგორც სიტყვებს, სხვადასხვა ადამიანისათვის განსხვავებული დატვირ-თვა აქვთ, მთავარია ვინ და როგორ ცდილობს მათ ინტერპრეტირებას.

ინგლისური სიტყვა სპინი ,,დართვას'' და ,,დარტიალებას'' ნიშნავს. ტერმინს ძირითადად კრიკეტში, ბილიარდსა და ბეისბოლში იყენებენ, სადაც მოთამაშე ბურთზე დარტყმით მისთვის მიმართულების შეცვლას და სასურველ კუთხეში გაგზავნას ცდილობს. სწორედ ამ მოთამაშის მსგავსად, ადამიანი ამბის მოყოლისას სპინის, ანუ სიტყვების, მათი წყობის, სახის გამომეტყველების, ინტონაციისა და მიმიკის მეშვეობით გამორიცხავს თავის საკუთარ მიმართულებას ნათქვამს დამოუკიდებულებას აძლევს.

ოპონენტის მიერ წარმოთქმული ფრაზის განსხვავებული ინტერ-პრეტირება და მთქმელის წინააღმდეგ შეტრიალება პოლიტიკური დება-ტების განუყოფელი ნაწილია. დებატების დროს მნიშვნელოვანია არა მარტო ბრალდებების მოგერიება და საკამათო საკითხზე კონტრარგუმენტების მოყვანა, არამედ ოპონენტის ნათქვამის ისე გაშიფვრა, რომ ის ხალხისათვის მიუღებელი გახდეს. თუმცა, არ არის აუცილებელის რომ სპინი სიცრუე იყოს, უფო მეტად ეს არის კარგად შენიღბული და სახეშეცვლილი სიმართლე [16].

ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ პოლიტიკური კომუნიკაციები და პიარი სპინის შემადგენელი ნაწილია და არა პირიქით. მათი მტკიცებით, სპინი, რომელიც ადრე მხოლოდ წინასაარჩევნო დებატების დროს გამოყენე-ბულ ტექნიკას ეწოდებოდა, დღეს კომუნიკაციის ყველა სფეროს მოიცავს.

სპინის მკვლევარი ბელი ამბობს, რომ ინფორმაცია მრავალი სახის ზემოქმედებას განიცდის, სანამ მომხარებლამდე მიაღწევს ,,ახალი ამბების 40-50% და ბიზნესგამოცემებში მოწოდებული ინფორმაციის 80% საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების უშუალო ჩარევით იქმნება.

არსებობს სპინის 5 ძირითადი მიმართულება: 1. წინასწარი სპინი — მზადება მოვლენებისათვის; 2. შემდგომი სპინი — აქტიური ფაზა; 3. ტორნადი სპინი — მოსახლეობის ყურადღების გადატანა სხვა მიმართულე-ბით; 4. სპინკონტროლი — კრიზისული სიტუაცია, როდესაც მოვლენების მსვლელობა არ ექვემდებარება კონტროლს, მაგრამ მუშაობა გრძელდება; 5. სპინდაუნი — მზადება შემდგომი დარტყმისათვის, აქცენტი მომავალზე, როცა მომხდარ მოვლენასთან დაკავშირებით რამის შეცვლა უკვე შეუძლებელია, მაგრამ მიმდინარეობს მუშაობა მსგავსი შემთხვევის განმეორების ან მისი გაგრძელების თავიდან ასაცილებლად.

არსებობს სპინის გამოყენების რამდენიმე ძირითადი ტექნიკა: 1. ფაქტების არჩევითი გამოყენება; 2. ციტატის პერიფრაზი; 3. ფრაზის მორგება საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებაზე; 4. ფრთიანი ფრაზა — ადვილად დასამახსოვებელი შეფასება ან ჟარგონი; 5. ევფეიზმი — სიტყვების შერჩევით მანიპულირება; 6. უარყოფა უარყოფის გარეშე (ფაქტის უარყოფა შეუძლებელია — ინფორმაცია არ დასტურდება ან კომენტარით ბათილდება); 7. ტყუილი მართალზე — ცალ-ცალკე ყველა სიტყვა სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ მთლიანობაში ისინი ტყუილს ქმნიან; 8. ხშირი გამეორება.

სპინდოქტორი არის დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალი, მედია-გუნდის წევრი. ის შეიძლება მუშაობდეს პრესსამსახურში ან საარჩევნო იმიჯმეიკერული ჯგუფის შემადგენლობაში [15].

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედება შედგება ორი ძირითადი სახისგან - დარწმუნება და იძულება.

ობიექტის დარწმუნება არის ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედება რაიმე მოქმედების შესასრულებლად, ზემოქმედების ობიექტზე ისეთი ღია ზემოქმედება, რომელიც იქვევს მისი მოტივაციის ფორმირებას, სრულიად სხვა მოქმედებების განხორციელებისას.

მოტივაციის ფორმირების ძირითადი საშუალებებია: დარწმუნება, ახსნა, ინფორმირება, განხილვა, თანხმობა, შედარება, აღზრდა, დახმარება, განწყობის შეცვლა ფსიქოლოგიური ფონის ცვლილება და სხვ.

დარწმუნება ხორციელდება, როგორც სუბიექტ-სუბიექტურ პროცესში, ისე ობიექტ-სუბიექტური ურთიერთობის შედეგად და კომუნიკაციის პროცესში ძირითადი მამოძრავებელი ძალაა [35].

იძულება, როგორც ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფორმა — ობიექტის აზროვნებაზე ზემოქმედების ფორმა, რომლის შედეგად ობიექტის აზროვნებაში ხდება მოტივაციის რეფორმირება (გადახარისხება)

ობიექტის აზროვნებასთან დაკავშირებით ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედება — იძულება შეიძლება იყოს ღია ან დახურული (ფარული). იძულების ღია ფორმას მიეკუთვნება ისეთი იძულების ფორმები, როგორიცაა სახელმწიფო იძულება და საზოგადოების იძულება – მორალი და ზნეობა, ასევე იურიდიულად გაფორმებული ურთიერთობები სოციალურ სუბიექტებს შორის. იურიდიულად გაფორმებული ურთიერთობები სოციალურ სუბიექტებს შორის. ფარული იძულების ფორმას მიეკუთვნება: ფსიქოლოგიური მანიპულირება, დეზინფორმირება, აგრესიული პროპაგანდა, ლობირება, შანტაჟი, ანტიკრიზისული პოლიტიკის ტექნოლოგია და ა.შ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მანიპულაცია ეს არის ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალება, რომლის მიზანია აქტიურობის მიმართულების ცვლილება მათდაუნებუ-რად. მანიპულაცია შეიძლება განიხილოს, როგორც ძალაუფლების გამოყენების ფორმა, რომლის დროსაც მისი მფლობელი ზემოქმედებს სხვებზე, არ ხსნის ამავდროულად მოქმედების ხასიათს, რომელსაც სხვებისგან ელოდება. აზროვნებით მანიპულირება - ესაა მართვა, ადამიანებს მოახვიო თავზე იდეები, მოტივები, სტერეოტიპები, რომელიც სასურველია სუბიექტისთვის.

გამოყოფენ მანიპულირების სამ ფორმას:

I ხარისხი — სასურველი იდების გაძლიერება (ღირებულებების, ნორმების გაძლიერება);

II ხარისხი — პატარა, წვრილმანი ცვლილებები შეხედულებებზე რაიმე მოვლენასთან ან ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც ცვლის ემოციონალურ ან პრაქტიკულ შეხედულებებს;

III ხარისხი — კარდინალური ცვლილებები ახალი, სენსაციური, უჩვეულო, მათთვის მნიშვნელოვანი მოვლენების მეშვეობით.

მანიპულირების მეშვეობით შესაძლებელია მიაღწიო ცვლილებებს პირველი ორი ხარისხის მეშვეობით. კარდინალური ცვლილებები საჭიროებს კომპლექსურ ზემოქმედებას ადამიანის აზროვნებაზე ყველა შესაძლო მეთოდით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

მანიპულირების ძირითადი მექანიზმი შედგება შემდეგით: პრაქტიკული მართვა, რაც უფრო მეტი იციან ხალხმა, მით უფრო რთულია მათი მართვა, ამიტომ ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის საჭიროა შეამცირო ინფორმაციის მიწოდება. თავიდან ადამიანება იღებენ ისეთ სტერეოტიპებს, რომლებიც იწვევენ სასურველ რეაქციებს, მოქმედებებს და საქციელს. ამავე დროს ორიენტირება ხდება თავისი ნების საწინააღმდეგოდ ისეთ მოვლენებზე, რომ სჯერა რაღაც შტამპების, ჭორების ან განაგონის. შემდეგ გამოიყენება მთელი რიგი მოქმედებები, რაც ამაღლებს მოღვაწეობის ეფექტურობას.

,,სასურველის" მიცემა მოცემულ მომენტში უხეშად შეგროვებული ინფორმაცია. წინასწარ დამალვა ჭეშმარიტი, პროგნოზირებადი, რეალური შედეგებისა. ინფორმაციული გადატვირთვის უზრუნველყოფა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ობიექტი გაერკვეს საქმის რეალურ მდგომარეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. ძნელაძე ნ. კომუნიკაციის თეორიის განვითარების ძიტითადი ეტაპები. http://socium.ge/index.php?option=com_content&view=article&id=195:2011-03-28-21-5705&catid=914:2011-03-28-21-53-14&Itemid=124

2. ჯიჯეშვილი ქ. პოლიტიკური ტექნოლოგიები (დამხმარე სახელმძღვანელო_.თბ.,2009.

3. Райли – Младший Д.Райли М. Массовая Коммуникация и социальная система,М,1985, ст.619.

4. Эйзентштадт Ш. Н. Парадокс демократических режимов: хрупкость и изменяемость (I-II).//ПОЛИС/ №2-3.2002ю

5. Юрьев А.И., Введение в политическую психиологиюю Спб.1992.С.46.

6. Lindblom Ch. The Policy Making Process. Englewood cliffs, 2002;

7. McLuhan M., Fiore Q. War and Peace in the Global Village.--- N.Y.: Bantam, 1968.

ქსელური საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირების პრინციპები

მიხეილ დვალიშვილი, დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ქსელებში ინფორმაციის დაცვის სისტემების მოწყობის პრინციპები და პრობლემები, ქსელის მრავალდონიანი დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. ჩამოთვლილია ინფორმაციის დაცვის სისტემის ნაკლოვანებები. მოცემულია IDS (Intrusion Detection Systems) და IPS (Intrusion Prevention Systems) სისტემების შედარება და მათი ფუნქციონირების ანალიზი. აგრეთვე აღწერილია ქსელური IDS (NIDS), რომელიც არა მარტო იძიებს ქსელში არანორმალურ და არასტანდარტულ პროტოკოლის გამოყენებას, არამედ ბლოკირებას უკეთებს მათ.

საკვანძო სიტყვები: არასანქცირებული შეღწევა, ქსელური .

The principles of operation of the network information security systems

M. Dvalishvili , Phd student

Summary

The main principles and problems of the information security system structure in the information and telecommunication networks, as well as provision of multi-level safety network mechanisms are discussed.

There are listed the drawbacks of information network security systems. The comparison of IDS systems (Intrusion Detection Systems) and IPS (Intrusion Prevention Systems) are given, along with the analysis of their functionality. In addition are offered the description of Network IDS System (NIDS), which is capable of detecting the use of non-standard and abnormal protocols in the network, as well as block these protocols.

Keywords: IDS (Intrusion Detection Systems), IPS(Intrusion Prevention Systems),

* * * * *

დაცვის სისტემის მოწყობისას, ტიპიურ შეცდომად ითვლება დავიცვად ყველაფერი ყველაფრისგან უცბად. პირველი ნაბიჯი ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის მოწყობაშია. საშიშროების სათავის განსაზღვრა, როგორც წესი, რამდენიმეა. გამოვყოთ საშიშროების სათავე - ნიშნავს შევაფასოთ მისი მიზნები (თუ სათავე წინასწარ განსაზღვრულია), ან შესაძლო ზემოქმედება (წინასწარ არ არის განსაზღრული), ალბათობა (ან ინტენსივობა) მისი გამოჩენის. თუ ლაპარაკია პირების ბოროტგანზრახულ მოქმედებაზე, მაშინ საჭიროა შეფასდეს მისი ორგანიზაციული და ტექნიკური შესაძლებლობები ინფორმაციასთან დასაშვებად. მუქარის წყაროს განსაზღვრის შემდეგ შეიძლება ინფორმაციის უსაფრთხოების ფორმირება, ანუ რა შეიძლება მოუვიდეს ინფორმაციას. როგორც წესი შეიძლება განვასხვაოთ მუქარის შემდეგი ჯგუფები:

- ინფორმაციაში არასანქცირებული შეღწევა, კითხვა, კოპირება, ინფორმაციის შეცვლა
- კომპიუტერების და გამოყენებადი პროგრამების მუშაობის შეზღუდვა
- ინფორმაციის განადგურება

სამივე ჯგუფიდან შეიძლება გამოვყოთ ათობით კონკრეტული მუქარები. მუქარები შეიძლება იყოს წინასწარგანსაზღრული ან შემთხვევითი, ხოლო შემთხვევითები, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ბუნებრივი (სტიქიური უბედურება) და ხელოვნური (პერსონალის შეცდომით მოქმედება). შემთხვევითი მუქარები, რომელშიც არ არის ბოროტი ზრახვები, აღწერილია როგორც ინფორმაციის დაკარგვა და სისტემის მუშაობის უნარიანობის დარღვევა, ამისგან შეიძლება ადვილად დავიცვათ თავი. წინასწარგანსაზღრული მუქარები უფრო სერიოზულია ბიზნესის დაკარგვასთან დაკავშირებით, ანუ აქ გვიწევს ბრძოლა არა ბრმა შემთხვევასთან, არამედ მოაზროვნე მოწინააღმდეგესთან.

დაცვის სისტემის მოწყობა, შეიძლება გავატაროთ დაცვის პრინციპებით, რომლებიც საკმარისად უნივერსალურია ყველაზე განსხვავებული არეებისთვის.

ადეკვატურობა. დაცვის ერთობლიობის ღირებულება (დრო, ადამიანები და ფულადი რესურსები) უნდა იყოს დასაცავი რესურსების ღირებულებაზე დაბალი. თუ კომპანიის ბრუნვა არის ათიათასი დოლარი თვეში, საეჭვოა სისტემის გაფართოება 1 მილიონ დოლარამდე.

სისტემურობა. ამ სისტემის სერიოზულობა განსაკუთრებით გამოისახება მსხვილი დაცვების აგებისას. დაცვის სისტემა უნდა შედგებოდეს არა აბსტრაქტულ, არამედ რეალური მუქარის ანალიზზე, ამ მუქარების დაცვის საშუალებაზე, ამ საშუალებების ოპტიმალური ნაკრების მოძებნაზე და სისტემის მოწყობაზე.

გამჭირვალობა ლეგალური მომხმარებლებისთვის. უსაფრთხოების მექანიზმების შეყვანას აუცილებლად მივყავართ მისი მოქმედების გართულებასთან. ამის მიუხედავად არცერთმა მექანიზზმა არ უნდა მოითხოვოს შეუსრულებელი მოქმედებები (მაგალითად, ყოველკვირეულად მოვიგონოთ 10 ციფრიანი პაროლი და არსად ჩავიწეროთ ის) ან გააჭიანუროს ინფორმაციასთან დაშვების პროცედურა.

თანაბარმდგრადი რგოლები. რგოლები - ეს არის დაცვის ელემენტები, მათი ნებისმიერის გადალახვა ნიშნავს მთელი დაცვის გადალახვას. გასაგებია, რომ არ შეიძლება ერთი რგოლის კონპესირებით გავაძლიეროთ მეორე. ყველა შემთხვევაში, დაცვის სიმყარე განისაზღვრება ყველაზე სუსტი რგოლის სიმყარით. თუ არალოიალური თანამშრომელი მზად არის თანხის საფასურად „ჩააგდოს დისკზე" მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაშინ არ მგონია ბოროტმზრახველმა გამოამზეუროს რთული ჰაკერული შეტევა, რათა მიაღწიოს იგივე მიზანს.

უწყვეტობა. იგივე თანაბარმდგრადობაა დროის არეში. თუ ჩვენ გადავწყვიტავთ რამეს დაცვას, მაშინ საჭიროა დავიცვათ ისე, როგორც დროის ნებისმიერ მომენტში. არ შეიძლება, მაგალითად გადავწყვიტოთ პარასკევობით გავაკეთოთ სარეზერვო ინფორმაციის კოპირება, ხოლო თვის ბოლო პარასკევს მივაწყოთ „სანიტარული დღე".

მრავალდონიანობა. მრავალდონიანი დაცვა გვხვდება ყველგან. რატომ იწყება დაცვა რამდენიმე დონით, რომელიც უნდა გადალახოს როგორც ბოროტმზრახველმა ასევე ლეგალურმა მომხმარებელმა? სამწუხაროდ, ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ რომელიმე დონე შეიძლება იყოს გადალახული ან გაუთვალისწინებელი შემთხვევის ძალით ან არანულოვანი ალბათობით. უბრალო მათემატიკა გვკარნახობს: თუ ერთი დონე გვაძლევს დაცვის 90% გარანტიას, მაშინ სამი დონე (არავითარ შემთხვევაში არ იმეორებენ ერთმანეთს) მოგვცემს 99,9%.

ამ პრინციპების გათვალისწინებით, შეიძლება თავიდან ავიცილოთ ზედმეტი ხარჯები დაცვის სისტემის აგების და ამავე დროს მივაღწიოთ ბიზნესის ინფორმაციის უსაფრთხოების მაღალ დონეს. აშკარაა, რომ კორპორაციულ სისტემებზე თავდასხმა გახდა უფრო რეალური. ასეთი საშიშროების დროს დაცვა მოითხოვს „წინმსწრებ ტექნოლოგიებს", რომელიც გამოიცნობს ვირუსების პროგრამას მათი „ანომალიური" მოქცევით. დღესდღეობით კომპიუტერული უსაფრთხოების სფეროში არსებობს ორი პრინციპიალურად განსხვავებული მიდგომა კორპორატიულ ქსელში შეღწევის დაცვაზე. პირველი და შედარებით მოძველებულია IDS (Intrusion Detection Systems). IDS-ეს არის სისტემა, რომელიც მოწოდებულია აღმოაჩინოს კერძო ქსელში შეღწევა და გააფრთხილოს სისტემის ადმინისტრატორი შეხწევის ფაქტზე. ინფორმაციის დაცვის ეს ტექნოლოგია გამოიყენებოდა უფრო ადრე და დამკვეთებს შორის მოიპოვა დიდი პოპულარობა. ბევრი ანალიტიკოსი თვლის, რომ დღეს არსებობს უფრო ეფექტური და მოსახერხებელი საშვალებები ჰაკერებთან საბრძოლველად. ეს არის სისტემა IPS. (Intrusion Prevention Systems). IPS-ის აბრევიატურა ინფორმაციულობის დაცულობის სფეროში მიმაგრებულია სისტემებზე და გადაწყვერტილებებზე, რომელიც ემსახურება თავდასხმის აცილებას. მის ქვეშ იგულისხმება ტექნოლოგიების ნაკრები, რომლებიც გამოჩნდნენ ეკრანებს შორის შეერთების ადგილზე და IDS-ზე თავდასხმის აღმოჩენის სისტემაზე. ქსელებს შორისი ეკრანებიდან IDS-ში აღებულია ქსელების შორის ურთიერთქმედებაში აქტიური ჩარევის პრინციპი, ხოლო IDS-დან მომხდარი მოვლენების ინტელექტუალური მეთოდი. ასე, რომ IPS არა მარტო აღმოაჩენს თავდასხმას, არამედ ცდილობს შეაფასოს ის. დღევენდელ ბაზარზე არის სპეციალიზირებული პროდუქტებიც, ისეთები, როგორიცაა IPS აპარატების ოჯახი. (კომპანია Net Screen). IPS პროდუქტებს შორის ანალიტიკოსები გამოყოფენ ხუთი ტიპის კომპონენტებს, რომელთაგან თვითეული ასრულებს თავის ფუნქციას და შეუძლია კომბინირება სხვებთან. მოწყობილობა, რომელიც ანალიზს უკეთებს მასში გამავალ IP პაკეტს, რომელიც ცდილობს იპოვოს მასში შეტევის ნიშნები, არის ქსელური IDS (NIDS). ტრადიციული IDS-დან ასეთი პროდუქტები განსხვავდებიან იმით, რომ ისინი არა მარტო იძიებენ ქსელურ არანორმალურ და არასტანდარტულ პროტოკოლის გამოყენებას, არამედ ცდილობენ ბლოკირება გაუკეთონ ყველა შეუსაბამობას.

NIDS იყენებს ცნობილი შეტევის სიგნალების ბაზას, მას ასევე შეუძლია თავიდან აიცილოს მისთვის უცნობი შეტევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის აგებულია პროტოკოლების ანომალურ გამოყენებაზე. ქსელურ მოწყობილობას, რომელიც განსაზღვრავს IP პაკეტების მარშრუტს, რომელიც დამოკიდებულია დანართის ტიპზე, ეწოდება მეშვიდე დონის კომუტატორი. მისი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა მიზნებისთვის: კლასტერების შექმნა, დატვირთვის ბალანსირება, მონაცემების ტიპების ცალ-ცალკე შენახვა, ასევე დაცვისთვის. მექანიზმს, რომელიც კონტროლს უწევს ქსელური პროგრამების სისტემურ გამოძახებებს, ეწოდება დანართის ეკრანი (Application Firewall / IDS). ის ყურადღებას აქცევს არა ქსელურ ურთიერთმოქმედებას, არამედ პროგრამის მოქცევას და ბიბლიოთეკას, რომელიც მუშაობს ქსელთან. ასეთ ეკრანს შეუძლია იმუშაოს წესების ფიქსირებულ ნაკრებთანაც. IPS კატეგორიას ასევე მიეკუთვნება დანართი - ხაფანგები, რომლებიც ცდილობენ ჩაერიონ შეტევების პროცესში. ასეთი პროდუქტები პროვოცირებას უკეთებენ შემტევს, ხოლო შემდეგ აკონტროლებენ მას. ყველაზე კარგია ხაფანგების კონბინირება კომუტატორებთან - ჰიბრიდებით ან მეშვიდე დონით, რათა რეაგირება მოხდეს არა ძირითადი ინფორმაციის ნაკადზე, არამედ მხოლოდ საეჭვო შეერთებაზე. ხაფანგებს იყენებენ უფრო შესაშინებლად და კონტრშეტევისთვის. აღსანიშნავია, რომ IPS-ს განსხვავებული ტიპები კარგად ინტეგრირდებიან საკმარისად ინტელექტუალურ დაცვის სისტემასთან. ამასთან ისინი კონკურენციას არ უწევენ უკვე არსე-

ბულ ინფორმაციული უსაფრთხოების საშუალებებს: ქსელებსშორისი ეკრანები, IDS, ანტივირუსები და სხვა.

შეძლებენ თუ არა სისტემები თავიდან აიცილონ არასანქცირებული შეღწევები კორპორაციულ ქსელებში. ამ საკითხით არიან შეწუხებული არა მარტო IPS-ის შემკვეთები, უკვე არსებული და პოტენციალური, ასევე შეღწევის აღმოჩენის სისტემის მწარმოებლები, რომლებიც ცდილობენ გაიგონ, როგორ გაუმკლავდნენ ტექნოლოგიას, რომლებიც საფრთხეს უქმნის მათ ბიზნესს. IPS-ის უპირატესობა IDS -თან შედარებით ნათლად გამოისახება კლიენტების ზრდის ფონზე. მაგრამ, რადგან ტექნოლოგიები უფრო რთულდება, კორპორაციული კლიენტები ხშირად განიცდიან სირთულეებს „ჭეშმარიტ“ IPS და მათი გამარტივებული ვერსიების გამოვლინების დროს, ასევე IPS-ს ინტეგრაციის დროს ქსელის ინფრასტრუქტურის განსხვავებულ ელემენტებთან.

შეღწევადობის აცილების სისტემის მუშაობის გადაფასება ძნელია, ბევრი IT სპეციალისტი აგრძელებს მუშაობას შეტევის სისტემის პროფილაქტიკაზე, რომლებსაც შეუძლიათ კომპანიებს მიაყენოს ძალიან დიდი ზარალი. ექსპერტები უშიშროების სფეროში ვარაუდობენ, რომ IPS ტექნოლოგიების დახვეწისას IPS შეერწყმება IDS სისტემას და ქსელთაშორის ეკრანებს, IPS მექანიზმების რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. IDS-ის კონცეფციამ თავის თავი ამოწურა. ის დღეს პრაქტიკულად არ წარმოადგენს არავითარ ფასეულობას კორპორაციულ მომხმარებლისთვის. არსებობისთვის საჭიროა იმოქმედო სწრაფად, თითქმის იმ სიჩქარით, როგორც ინფორმაცია გადის კაბელში და აუცილებელია მცდარი ამოქმედების საკითხების გადაჭრა. მცდარი ამოქმედება - IDS -ს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნაკლია. IPS-ის ტექნოლოგია საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ფალსიფიცირებული პოზიტიური შედეგების მიღება განსხვავებული მექანიზმების წყალობით. მათ შორის ნაწილობრივ არის სიგნალის ანალიზი, რომელიც იცვლება სესიის შემოწმების დროს. ვირუსების ხშირი გავრცელება ძალიან მოქმედებს ბევრ კლიენტზე. ერთ-ერთ უნივერსიტეტში დააყენეს ქსელის კონსული Unit One -200 Tiping Point Technologis-ის ფირმის, რომელიც საშუალებას იძლევა განვახორციელოთ საშიშროების წყაროს ძიება. შედეგები აღმოჩნდა იმედის მომცემი. Microsoft Sol Server-დან სერვერების სიმრავლის მიუხედავად ქსელში, ჭია Slammer-მა ვერ შეძლო შეღწევა უნივერსიტეტის ვერც ერთ სისტემაში.

დღესდღეობით IPS-ის აბრევიატურა შეიძლება ვნახოთ ბევრ პოპულარულ გამოცემების სათაურებში, ნაწილობრივ Internet Security Systems (ISS) კომპანიის წარმომადგენლებს ეჭვი ეპარებათ პროგნოზებში, რის გამოც IDS უახლოეს პერიოდში უსარგებლო გახდება, ხოლო კლიენტებს დასჭირდებათ უფრო ეფექტური დაცვის საშვალება. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ მოცემულ მომენტში ეს დარგი არ გვთავაზობს ინტეგრირებულ კორპორაციულ გადაწყვეტილებებს. არის ცალკეული წარმატებული მოდულები, რომლებიც განკუთვნილია კერძო დავალებების შესასრულებლად. ყველა ისინი ღირს ფული. რათქმაუნდა ეს სვავს კითხვებს. ჩვენ არ შეგვიძლია გავიაროთ გრძელი გზა არასრულფასოვანი პროდუქტებით.

საჭიროა ალგორითმების, სიგნალების, პროტოკოლების ანალიზის მყარი საშუალებების გულდასმით შერჩევის შეხამება მეთოდოლოგიებთან, და ყველა ამ მექანიზმების კორელაციით სხვა ტექნოლოგიებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ქსელის მართვას. ვთქვათ, კომპანიების სინათლეზე გამოდიან IPS-ით, მაგრამ იქნება ეს ქსელებში რისი ეკრანის შემცვლელი? ქსელებსშორისი ეკრანი პროექტირდება, იქმნება და ეწყობა იმისთვის, რომ ვუზრუნველყოთ ფილტრაცია, ეკრანირება და დაშვების კონტროლი. IPS-ის მომავალი დევს არა იზოლირებულ, არამედ ინტეგრირებულ გადაწყვეტილებაში.

დასკვნა

საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ქსელები წარმოადგენს მსხვილმაშტაბიან ქსელებს, რომლებშიც მუდმივად იზრდება აბონენტების რიცხვი. საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ქსელების მომხმარებელთა სწრაფი ზრდა წარმოშობს ინფორმაციის დაცვის და უსაფრთხოების პრობლემებს. ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემების ანალიზმა გამოავლინა, რომ იმ პრობლემების გარდა, რომელიც დაკავშირებულია გლობალური ქსელის გამოყენებასთან, ინტერნეტში, როგორც ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციურ სისტემაში, რომელიც საკმარისად ნაცნობია და ამოხსნადი, არსებობს აკრძალული კონტენტის ნაკლებად შესწავლილი პრობლემა. აკრძალული ინფორმაციის გავრცელების მოდელების და ალგორითმების შექმნა - ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მიდგომა მოცემული ამოცანის გადასაჭრელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Larry L. Peterson, Bruce S. Davie “Computer Networks_a system approach”, 5th edition, 2011. http://booksite.mkp.com/9780123850591/
2. Richardson R. 2009 CSI Computer Crime and Security Survey *II* Computer Security Institute, 2009.
3. Яциковская У.О., Карпинский Н.П. Моделирование сетевого трафика компьютерной сети при реализации атак. http://www.nbuv.gov.ua/portal/natural/Ibez/2011_1/25.pdf
4. http://www.secure.com.ru

სამართალი და პოლიტიკა

ნავთობისა და გაზის ტრანზიტის საერთაშორისო სამართლებრივი და სახელშეკრულებო რეგულირება

ლევან კოკაია *— საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მოწვეული ლექტორი*

რეზიუმე

ნაშრომი იმ საერთაშორისოსამართლებრივ და სახელშეკრულებო დებულებებს მიმოიხილავს, რომლებიც ნავთობისა და გაზის ტრანზიტის სამართლებრივ განსაზღვრას უდევს საფუძვლად. კერძოდ, დახასიათებულია ენერგო ქარტიის ცალკეული დებულებები, რომლებიც მრავალმხრივ განასახიერებენ ნავთობისა და გაზის ტრანზიტის ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. გარდა ამისა, ავტორის მიერ წარმოდგენილია ენერგო ქარტიის სამდივნოს მიერ შემუშავებული მთავრობათაშორისი და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებულ მოდელურ ხელშეკრულებათა ცალკეული დებულებები, რომლებიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიღწევებს ეფუძნებიან. არსებული ხელშეკრულებებიდან გაშუქებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის მთავრობათაშორისი და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებულ ხელშეკრულებათა ის მუხლები, რომლებიც ფართო ფორმატით თავისუფალი ტრანზიტის პრინციპს განსაზღვრავენ. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მოდელურ და "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" პროექტის ხელშეკრულებათა შინაარსობრივი თავსებადობის საკითხზე, რის შედეგადაც ავტორი ასკვნის, რომ გარკვეულ ეპიზოდებში, აღნიშნულ ხელშეკრულებათა დებულებები ერთმანეთის იდენტურია, თუმცა ტრანზიტთან დაკავშირებულ საკითხთა რეგულირების მოდელურ ხელშეკრულებათა მიდგომა უფრო მრავლისმომცველია.

საკვანძო სიტყვები: ნავთობი და გაზი, ტრანზიტი, ენერგო ქარტია, საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირება, სახელშეკრულებო რეგულირება.

International legal and contractual regulation of oil and gas transit

Levan Kokaia, Professor

Summary

The work describes international legal and contractual clauses, which are the legal basics of the oil and gas transit. Namely, there are defined different clauses of the Energy Charter Treaty (ECT), which multilaterally embodies main legal principles of oil and gas transit. Besides author presents different clauses of the model intergovernmental and host government agreements for cross-border pipelines worked out by energy charter secretariat, which are build on the best international practice. From the existing agreements there are depicted articles of Baku-Tbilisi-Ceyhan main export pipeline intergovernmental and host government project agreements, which in the broad view determines free transit principles. The work pays attention on the accordance of the content of model and "Baku-Tbilisi-Ceyhan" project agreements, due to this, an author concludes, that in some episodes clauses of the mentioned agreements are identical, but regarding to the transit regulation issues an approach of the model agreements is more multilateral.

KeyWords: Oil and gas, transit, Energy Charter Treaty, international legal regulation, contractual regulation.

* * * * *

ნავთობის და გაზის ტრანზიტი განიხილება, როგორც სახელმწიფოთა შორის არსებული ჯანსაღი პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგეტიკული და სავაჭრო ურთიერთობების დამყარების ან/და არსებული ურთიერთობის განმტკიცების საშუალება. მილსადენით ნავთობისა და გაზის შესაბამისი მოცულობის ტრანსპორტირება სხვადასხვა რეგიონში არსებულ საბაზრო მოთხოვნებზეა დამოკიდებული, რომელიც სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონეა და რამაც მილსადენთა უსაფრთხოების ხარისხი მნიშვნელოვანწილად გაზარდა. არსებულ სატრანზიტო პროექტებს სისტემური ხასიათი გააჩნიათ, რომელიც

სხვადასხვა სახელმწიფოს ან/და რეგიონის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით, კომერციულ და სამართლებრივ ინტერესებს აერთიანებს.

სატრანზიტო პროექტის წარმატებული განხორციელებისათვის, მასში ჩართულ მხარეთა (სხვადასხვა სახელმწიფო და ინვესტორები) დაბალანსებული ინტერესების არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია. აღნიშნულმა წარმოქმნა იმის საჭიროება, რომ შემუშავებულიყო ერთიანი უნიფიცირებული სტანდარტი, რომელიც ტრანზიტის დაგეგმვის და განხორციელების სამართლებრივი რეგულირების თითოეული ნიუანსის მაქსიმალური სიზუსტით გათვალისწინებას უზრუნველყოფდა. ამ მიმართულებით, ენერგო ქარტია პირველად საერთაშორისოსამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც ენერგეტიკის დარგში არსებული სხვადასხვა საკითხის რეგულირებასთან ერთად ასევე ნავთობისა და გაზის ტრანზიტთან დაკავშირებულ დებულებებს მოიცავს.[1]

ენერგო ქარტიის სამდივნოს და ქარტიის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ შემუშავდა ენერგო ქარტიის ტრანზიტის პროტოკოლის პროექტი, რომელიც ენერგო მატარებელთა ტრანზიტისათვის სპეციფიკური სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრაზეა ფოკუსირებული.[2] იმის გათვალისწინებით, რომ პროტოკოლი პროექტის სახით არსებობს, მას ნავთობისა და გაზის ტრანზიტის საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირების ფორმატით ვერ განვიხილავთ.

საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გარდა, ნავთობისა და გაზის ტრანზიტის სამართლებრივი რეგულირება ასევე ორმხრივ ან მრავალმხრივ ხელშეკრულებათა არსებობას ემყარება, რომელიც განსახილველ ინდუსტრიაში ძირითადად ორი სახით არის წარმოდგენილი: - მთავრობათაშორისი ხელშეკრულებით (Intergovernmental Agreement "IGA") და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულებით (Host Government Agreement "HGA"). აღსანიშნავია, რომ ენერგო ქარტიის სამდივნოს მიერ შემუშავებულია მოდელური მთავრობათაშორისი და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულებები,[3] რომლებიც ფართო სპექტრით განასახიერებენ ნავთობის და გაზის ტრანზიტის სახელშეკრულებო რეგულირების ელემენტებს.

წარმოდგენილ ნაშრომში გაშუქებულია ნავთობისა და გაზის ტრანზიტის საერთაშორისოსამართლებრივი და სახელშეკრულებო რეგულირების საკითხები, რომელიც ეფუძნება ენერგო ქარტიის, მოდელურ და აგრეთვე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ არსებული პროექტის ხელშეკრულებათა ცალკეულ დებულებებს.

1. ნავთობისა და გაზის ტრანზიტის სამართლებრივი რეგულირება ენერგო ქარტიის მიხედვით

როგორც აღინიშნა, ენერგეტიკის დარგში არსებულ სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ნავთობისა და გაზის ტრანზიტის უნიფიცირებული საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირება ენერგო ქარტიის მიხედვით განისაზღვრება, რომლის მე-7 მუხლი უშუალოდ ენერგო მატარებელთა ტრანზიტის სამართლებრივ რეგულირებას ეხება.[4] აღნიშნული მუხლი მისი სრული შინაარსობრივი გათვალისწინებით ადგენს გარკვეულ ბალანსს ნავთობისა და გაზის ტრანზიტის პროექტში ჩართულ ინვესტორთა და შესაბამის სახელმწიფოთა ინტერესებს შორის, რაც პროექტში ჩართული თითოეული მხარისთვის მომგებიანია.

წინამდებარე თავში განხილული იქნება ენერგო ქარტიის მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც ტრანზიტის სრული პროცესის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავენ.

"ტრანზიტის" სამართლებრივი დეფინიცია, ენერგო ქარტიის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტშია წარმოდგენილი, რომლის (ი) ქვეპუნქტის მიხედვით: "ტრანზიტი გულისხმობს ენერგო მატარებელთა წარმომშობი სახელმწიფოდან ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიის გავლით ან შესაბამის პორტში/პორტიდან ენერგო პროდუქციის გადაზიდვას, ჩატვირთვას ან გადატვირთვას, რომელიც საბოლოოდ მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე განთავსდება და რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ან არ წარმოადგენდეს ქარტიის მონაწილე სახელმწიფოს."[5]

ენერგო ქარტიის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი პრინციპული მნიშვნელობის მქონეა, რადგანაც მისი შინაარსი ქარტიის თითოეულ მონაწილეს ავალდებულებს, რომ მათ გაატარონ ყველა აუცილებელი ზომა, ენერგო მასალისა და პროდუქციის თავისუფალი ტრანზიტის მაქსიმალურად მოსახერხებელი პირობების შესაქმნელად, რომელიც თავისუფალი ტრანზიტის პრინციპს ეფუძნება. ამასთან, ქარტიის მონაწილეთა ვალდებულებაა, რომ უზრუნველყონ თავისუფალი სატრანზიტო რეჟიმის ჩამოყალიბება, რომელიც ნეიტრალური იქნება ენერგო მატარებელთა მწარმოებელი ქვეყნისგან და მათი განთავსების ადგილისგან, აგრეთვე ქარტიის მონაწილეებმა ენერგო პროდუქციაზე ფასი არადისკრიმინაციულ ფარგლებში უნდა განსაზღვრონ და ყველა აუცილებელი ზომა უნდა გაატარონ იმისათვის, რომ არ მოხდეს ტრანზიტის დაუსაბუთებელი შეფერხება ან/და აკრძალვა.[6]

1 უფრო ვრცლად იხ.: http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ECTC-en.pdf.

2 უფრო ვრცლად იხ.: http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/TTG_87_ENG.pdf.

3 უფრო ვრცლად იხ.: Model Intergovernmental and Host Government Agreements for Cross-Border Pipelines. (Second Edition). Energy Charter Secretariat. http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ma2-en.pdf.

4 იხ.: http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ECTC-en.pdf; გვ.: 48-51.

5 იხ. იქვე, გვ. 51.

6 იხ.: იქვე, გვ. 48.

მონაწილე სახელმწიფოებისათვის ტრანზიტის თავისუფლების პრინციპი ხსნის ყველა იმ ბარიერს, რომელსაც გარკვეული მიზეზების გამო (მაგ.: ნავთობის/გაზის მწარმოებელი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა) შეეძლო სატრანზიტო პროექტის შეფერხება გამოეწვია, რადგანაც ციტირებული ნორმა ქარტიის მონაწილეებს იმპერატიულად ავალდებულებს, რომ მათ ყველა შესაძლო ღონეს უნდა მიმართონ, რომ არ შეფერხდეს სატრანზიტო პროექტის განხორციელება.

აგრეთვე საგულისხმოა ქარტიის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილი, რომელიც მონაწილე მხარეებს არ უზღუდავს იმ უფლება-მოვალეობათა განხორციელებას, რაც მათ საერთაშორისო სამართლით (მათ შორის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით) აქვთ განსაზღვრული (ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ჩათვლით) და რაც წყალქვეშა კაბელით და მილსადენით ენერგო მატარებელთა ტრანსპორტირებას მოიცავს.[7]

ციტირებული ნორმა ხაზს უსვავს ენერგო მატარებელთა ტრანზიტის მრავალმხრივ საერთაშორისო სამართლებრივ კონტექსტზე, რაც ერთი სატრანზიტო პროექტის ფარგლებში არ განსაზღვრავს ნაკისრ უფლება-მოვალეობათა ენერგო ქარტიის პირობათა ცალსახა გათვალისწინებას. მსგავსი მიდგომა ტრანზიტის ფართო მნიშვნელობას ადასტურებს, რომელიც ტექნიკურად წყალქვეშა სატრანსპორტო სისტემათა საშუალებით შეიძლება განხორციელდეს და რასაც თავის მხრივ შესაძლოა სხვა ორმხრივი ან/და მრავალმხრივი საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულებები განსაზღვრავდნენ. აღნიშნული მიდგომა პოზიტიურად აისახება ამა თუ იმ სატრანზიტო პროექტის მონაწილე სახელმწიფოთა და ინვესტორთა ინტერესებზე.

2. ნავთობისა და გაზის ტრანზიტის სახელშეკრულებო რეგულირება

ნავთობისა და გაზის ტრანზიტის სახელშეკრულებო რეგულირების გავრცელებული პრაქტიკა მთავრობათაშორის და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებულ ხელშეკრულებებს აერთიანებს.

მთავრობათაშორისი ხელშეკრულება ტრანზიტის ზოგად მიმართულებებს განსაზღვრავს, რაც ისეთ არსებით საკითხებს არეგულირებს, როგორიც არის მაგალითად: სახელმწიფოთა ერთობლივი განცხადებების და გარანტიების დეკლარირება პროექტის უსაფრთხო და შეუფერხებელი განხორციელებისათვის, გადასახადებთან და დავათა მოგვარებასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების განსაზღვრა, პროექტის ჯეროვნად განხორციელების მონიტორინგის ფუნქციათა შემსრულებელი შესაბამისი უმაღლესი ორგანოს ფორმირება და მისი უფლებამოსილების ფარგლების გაწერა, სახელმწიფოთა ვალდებულებანი მთავრობათაშორისი ~~ხელშეკრულების~~ სარატიფიკაციო პროცედურების სწრაფად და უპირობოდ შესრულებისათვის და სხვა ის საკითხები, რომლებიც კონკრეტული პროექტის ფარგლებში იმ ძირითადი სამართლებრივი მიმართულების განმსაზღვრელ დებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც არამხოლოდ სახელმწიფოთა, არამედ პროექტში ჩართულ სხვადასხვა ინვესტორთა შემდგომი ოპერირების ძირითად წყაროს შეადგენენ.

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულებები პროექტის განხორციელებისათვის იმ ძირითადი საკითხების ფართო ფორმატით დეტალიზაციას ახდენენ, რომელიც პროექტის მონაწილე სახელმწიფოთა შორის მთავრობათაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე იყო განსაზღვრული. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ტიპის ხელშეკრულებათა აუცილებელ მხარეებად ყოველთვის წარმოდგენილნი არიან პროექტის ინვესტორები და ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიიდან, ტერიტორიის გავლით ან რომლის ტერიტორიაზეც უნდა გაიაროს ნავთობის ან გაზის მილსადენმა. ხელშეკრულებაში სხვადასხვა ინვესტორთა მონაწილეობა მთელი რიგი საკითხების დაწვრილებით სახელშეკრულებო გაწერას განაპირობებს, რომელიც მოემსახურება როგორც ინვესტიციათა უსაფრთხოების გარკვეული სახელშეკრულებო გარანტიების ჩამოყალიბებას, აგრეთვე ხელშეკრულების მონაწილე შესაბამისი სახელმწიფოს ინტერესსაც. ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულება მოიცავს მთავრობათაშორისი ხელშეკრულებით დეკლარირებულ დებულებათა განვრცობას და ასევე, იმ ახალ დებულებათა განსაზღვრას, რომლებიც კომერციული საერთაშორისო ხელშეკრულებებისთვის აუცილებელ პირობებს შეადგენენ. მაგალითად: სამართლის არჩევა, საარბიტრაჟო შეთანხმება, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ინვესტორებისათვის სამართლებრივი გარანტიების განსაზღვრა, პროექტში ჩართულ მხარეთა დაბეგვრის თავისებურებები და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები. გასათვალისწინებელია, რომ ხშირ შემთხვევაში განსახილველი ტიპის ხელშეკრულებებს სხვადასხვა დანართი ახლავს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სახელშეკრულებო ტერმინთა განმარტებას, მიწასთან დაკავშირებულ უფლებათა და მილსადენის სამშენებლო დერეფნის ტექნიკურ განსაზღვრას და სხვა მსგავს საკითხებს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ მთავრობათაშორისი ხელშეკრულების პრეამბულის მეოთხე წინადადება განსაზღვრავს, რომ პროექტის მონაწილე თითოეული სახელმწიფოს სურვილია ნავთობის თავისუფალი ტრანზიტის პრინციპის უზრუნველყოფა.[8] ამ ნიშნით განსახილველი

7 იხ.: იქვე, გვ. 51.

8 Agreement Among Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Relating to the Transportation of Petroleum Via the Territories of the Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Through the Baku-Tbilisi-Ceyhan Main Export Pipeline.

ხელშეკრულება სრულად იზიარებს ენერგო ქარტიის მიდგომას თავისუფალი ტრანზიტის შესახებ. ციტირებული ნორმა ხელშეკრულებაში დეკლარირებული სხვა ნორმების საფუძველს წარმოადგენს. კერძოდ, ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის (iii) — ე ქვეპუნქტის დასაწყისი განსაზღვრავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულება სხვა პირობას არ ითვალისწინებს, თითოეული სახელმწიფო ვალდებულია არ შეწყვიტოს ან არ შეაფერხოს ნავთობის თავისუფალი ტრანზიტი.[9] ასევე საგულისხმოა ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული პროექტის მონაწილე სახელმწიფოთა აღიარება, რომლითაც მათ ყველა კანონიერი და გონივრული ზომის მიღება ევალებათ, იმისათვის, რომ აღმოიფხვრას საფრთხე ან დაბრკოლება, რომელიც შეიძლება მილსადენით ნავთობის თავისუფალ ტრანზიტს შეექმას, ასევე, პროექტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, რომ ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ დროის მცირე მონაკვეთში მაქსიმალურად აღმოიფხვრას რაიმე საფრთხე ან დაბრკოლება.[10]

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" პროექტის მთავრობათაშორისი ხელშეკრულების პარალელურად საინტერესოა ენერგო ქარტიის სამდივნოს მიერ შემუშავებული მთავრობათაშორისი მოდელური ხელშეკრულების მიდგომა ნავთობისა და გაზის ტრანზიტის შესახებ.

მოდელური მთავრობათაშორისი ხელშეკრულების მე-7 მუხლი პროექტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ მათ გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება და ხელი შეუწყონ ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას, თავისუფალი ტრანზიტის და ანტიდისკრიმინაციული პრინციპების საფუძველზე, რომელიც შესაძლოა მწარმოებელი ან მიმღები ქვეყნის მისამართით წარმოქმნილიყო. თითოეული სახელმწიფო თანახმაა, რომ შესაბამისმა მილსადენმა თავისუფლად გაიაროს მის ტერიტორიაზე.[11]

მოდელური მთავრობათაშორისი ხელშეკრულება სრულად იზიარებს ენერგო ქარტიის მიდგომას თავისუფალი ტრანზიტის პრინციპის შესახებ.

აგრეთვე საგულისხმოა ნავთობისა და გაზის თავისუფალი ტრანზიტის პრინციპის დამატებითი სახელშეკრულებო გარანტიის ხაზგასმა, რომელიც განსახილველი მოდელური ხელშეკრულების მე-9 მუხლით განისაზღვრება. კერძოდ, იმ შემთხვევის გარდა, თუ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულებით ან დავის განმხილველი შესაბამისი ორგანოს მიერ სხვაგვარად არ არის გადაწყვეტილი, ან თუ შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მილსადენმა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის, კერძო საკუთრებისა და გარემოსათვის შექმნა ან შესაძლოა შექმნას საფრთხე, არცერთ სახელმწიფოს არ ენიჭება უფლებამოსილება, რომ მის ტერიტორიაზე შეზღუდოს, შეაფერხოს ან სხვაგვარად შეუშალოს ხელი პროექტის განხორციელებას. ამასთან, მსგავსი საშიშროების წარმოქმნის შემთხვევაში, შესაბამისი სახელმწიფო ვალდებულია, რომ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ყველა აუცილებელი ზომა გაატაროს და აღნიშნულის თაობაზე აცნობოს პროექტში ჩართულ ყველა სახელმწიფოს და ინვესტორს.[12]

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობასა და ინვესტორთა ჯგუფს შორის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის I ქვეპუნქტი[13] და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული მოდელური ხელშეკრულების მე-5 მუხლი[14] ასევე განსაზღვრავს ნავთობისა და გაზის თავისუფალი ტრანზიტის პრინციპს.

როგორც ჩანს, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" პროექტის ხელშეკრულებისა და მოდელური მთავრობათაშორისი ხელშეკრულების ციტირებული დებულებები თანაბრად იზიარებენ ნავთობის თავისუფალი ტრანზიტის პრინციპს, იმ გამონაკლისით, რომ მოდელური ხელშეკრულება უფრო ვრცლად განსაზღვრავს ნავთობის და გაზის შეუფერხებელი ტრანზიტის განხორციელებისათვის პროექტის მონაწილე სახელმწიფოს მიერ სავალდებულოდ გასატარებელ ღონისძიებებს. ასევე, განსახილველი ხეშეკრულებისგან განსხვავებით, მოდელური მთავრობათაშორისი ხელშეკრულება შესაძლებლად მიიჩნევს, რომ სხვადასხვა ობიექტურმა მიზეზმა შესაძლოა იმის საჭიროება წარმოქმნას, რომ ტრანზიტის განხორციელება დროებით შეფერხდეს.

http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt4_agmt4.pdf; გვ.: 1.

9 იქვე, გვ.: 6.

10 იქვე, გვ.: 11.

11 იხ.: Model Intergovernmental and Host Government Agreements for Cross-Border Pipelines. (Second Edition). Energy Charter Secretariat. http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ma2-en.pdf; გვ.: 20.

12 იხ. იქვე, გვ.: 21.

13 იხ.: Host Government Agreement Between and Among the Government of Georgia and [THE MEP PARTICIPANTS]. http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt2_agmt2.pdf; გვ.: 8.

14 იხ.: Model Host Government Agreement Between/Among Government of State […] and the Project Investors Concerning the […] Pipeline System. http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ma2-en.pdf; გვ.: 49.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ არსებული რეალობის გათვალისწინებით, ნავთობისა და გაზის უსაფრთხო ტრანზიტი მყარ საერთაშორისოსამართლებრივ გარანტიებს ეფუძნება, რომელსაც ენერგო ქარტიის ცალკეული დებულებები განსაზღვრავენ. რაც შეეხება მოდელურ ხელშეკრულებებს, მათ შინაარსში ასახულია ნავთობისა და გაზის ტრანზიტის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, რაც მეტნაკლები სიზუსტით გაზიარებულია "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" პროექტის ხელშეკრულებათა შინაარსში, განსაკუთრებით თავისუფალი ტრანზიტის პრინციპის სახით. სხვა მრავალ სახელშეკრულებო საკითხთან ერთად, მოდელური ხელშეკრულებები უფრო ვრცელი ფორმულირებით არეგულირებენ ტრანზიტთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია ნავთობისა და გაზის ტრანზიტის ფართო სპექტრის სამართლებრივი რეგულირების განსაზღვრა, რომელსაც პოტენციურად სხვადასხვა სახელმწიფო და ინვესტორი გამოიყენებს. ასევე, მოდელურ ხელშეკრულებათა მიერ საკითხთა ვრცელი ფორმატით რეგულირება გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მქონე მხარეებს საშუალებას მისცემს, რომ მისი დებულებები მათ შორის მოქმედ ხელშეკრულებებში შესაბამისი ცვლილებებით ან/და დამატებებით ასახონ, რაც ნავთობისა და გაზის ტრანზიტის ინდუსტრიაში არსებული თანამედროვე ტენდენციების განსაზღვრას გულისხმობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The energy charter treaty and related documents. http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ECTC-en.pdf.
2. Energy charter transit protocol. http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/TTG_87_ENG.pdf.
3. Barbara v. Gayling-Westphal, Intergovernmental Agreements and Host Government Agreements on Oil and Gas Pipelines – A Comparison; Energy Charter Secretariat 2015.
4. Model Intergovernmental and Host Government Agreements for Cross-Border Pipelines. (Second Edition). Energy Charter Secretariat. http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ma2-en.pdf.
5. Agreement Among Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Relating to the Transportation of Petroleum Via the Territories of the Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Through the Baku-Tbilisi-Ceyhan Main Export Pipeline.
http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt4_agmt4.pdf.
6. Host Government Agreement Between and Among the Government of Georgia and [THE MEP PARTICIPANTS].
http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt2_agmt2.pdf.

რამ განაპირობა ტაივანზე ქალი პრეზიდენტის არჩევა

ანა კლდიაშვილი, დოქტორანტი

რეზიუმე

ტაივანი გახლავთ "აზიურ ვეფხვად" წოდებული ერთ-ერთი აზიური სახელმწიფო. ის არის ეკონომიკური სასწაულებისა და გენდერული თანასწორობის ქვეყანა. ცაი ინ-ვენის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება არის გამოძახილი ზუსტად იმ წინგადადგმული ნაბიჯებისა და მცდელობებისა რაც ტაივანში მიმდინარეობდა დემოკრატიული განვითარების კუთხით. ცაი ინ-ვენი არამარტო პირველი ქალია, რომელმაც პრეზიდენტობას მიაღწია, არამედ ის გახლავთ პირველი ქალი, რომელიც ჩინურად მოსაუბრე სამყაროში ამ პოლიტიკურ მწვერვალამდე მივიდა და ეს შეძლო დამოუკიდებლად, არავითარი კლანური და ოჯახური დახმარების გარეშე, როგორც ეს მიღებულია აზიურ სამყაროში.

Summary

Taiwan- one of the Four Asian Tigers, land of economic miracles and gander equality. This country has stride towards the gender issues and the victory of Tsai Ing-wen on the presidential elections is the outcome of all affords this country has made for the democratic development. Tsai Ing-wen was not only the first woman to become president in its history but the first to rise so high in the Chinese-speaking world and unlike most of her precursors in Asia, she achieved this without the benefit of dynastic support.

* * * * *

ტაივანი - (ჩინეთის რესპუბლიკა) - დე-ფაქტო სუვერენული ქვეყანაა, კუნძული წყნარ ოკეანეში, რომელიც 150 კილომეტრითაა დაშორებული მატერიკული ჩინეთისგან. 1949 წელს აქ დასახლდა ჩინეთის ნაციონალისტური მთავრობა ჩან კაი შის ხელმძღვანელობით, რომელიც სამოქალაქო ომში დამარცხდა კომუნისტ მაო ძე-დუნთან. ოფიციალური პეკინი ტაივანს ცალსახად განიხილავს ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციად. მსოფლიოს სახელმწიფოების უმეტესობაც ტაივანს ჩინეთის ტერიტორიად მიიჩნევს. დღემდე ამ კუნძულზე არ ვრცელდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იურისდიქცია. სოციალისტური ჩინეთი და კაპიტალისტური ტაივანი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვითარდნენ. სამოცი წლის განმავლობაში ჩინეთი და ტაივანი აძლიერებდნენ თავიანთ სამხედრო პოტენციალს. გასული საუკუნის მეორე ნახევარში იყო შემთხვევები, როცა ჩინეთსა და ტაივანს შორის სამხედრო კონფლიქტი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მორიგ სამხედრო დაპირისპირებამდე საქმე არ მისულა. ეს დამოკიდებული იყო არა მარტო პეკინისა და ტაიპეის პოლიტიკურ ნაბიჯებზე, არამედ ამ პროცესებში ვაშინგტონიც აქტიურად იყო ჩართული.

ტაივანი „4 აზიური ვეფხვის" სახელწოდებით ცნობილი სახელმწიფოებიდან, ერთ-ერთია. მისი ეკონომიკა, მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე, გასაოცარი სისწრაფითა და დინამიურობით ხასიათდება.

ბუნებრივია, რომ კომუნისტური ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, პეკინისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა კუნძულ ტაივანზე გახიზნული ჩან კაეშის (რომელიც 1975 წლამდე მართავდა კუნძულს) ხელისუფლების საბოლოოდ დამხობა, რომ არ ყოფილიყო გარეშე ძალების ფაქტორი. 1954 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ტაივანმა ხელი მოაწერეს ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მატერიკული ჩინეთიდან თავდასხმის შემთხვევაში ამერიკა იტოვებდა (და იტოვებს) უფლებას ჩარეულიყო კონფლიქტში გომინდანის ხელისუფლების დასაცავად. ვაშინტონისთვის ტაივანი განსაკუთრებული ინტერესების სფეროა. ტაივანი, როგორც ერთ—ერთი დასაყრდენი და ვაშინგტონის ინტერესების გამტარებელი წყნარი ოკეანის რეგიონში.

ბოლო წლებში საგრძნობლად დაუახლოვდა ჩინეთი ტაივანს, პეკინი მაქსიმალურად ცდილობს ეკონომიკურად მასზე დამოკიდებული გახადოს ტაიპეი. დღეისათვის ჩინეთის კონტინენტურ ნაწილსა და ტაივანს საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური კავშირები გააჩნიათ. პეკინი ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული ბიზნეს გარემო შეუქმნას და წაახალისოს ტაივანური ინვესტიციები. თავად ჩინეთიც დიდ ინვესტიციებს დებს ტაივანის ეკონომიკაში. ამასთან, მატერიკული ჩინეთის ეკონომიკური სიძლიერის ფონზე ტაივანელებისთვის მიმზიდველი გახდა წარმატებით აპრობირებული ჰონგ—კონგისა და მაკაოს პოლიტიკა — "ერთი სახელმწიფო ორი სისტემა", რომლის მიხედვით ტაივანს მიეცემა დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება, საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის სფეროების გარდა. ეკონომიკური დაინტერესება, სრული ეთნიკური იდენტურობა, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა და რეინტეგრაციული შიდაპოლიტიკური პრიორიტეტები სწორედ ის ნიადაგია, რაც უახლოეს მომავალში ხელს შეუწყობს ჩინეთისა და ტაივანის გაერთიანებას. წარსულს ბარდება ის დრო, როდესაც ძალისმიერი მეთოდებით ხდებოდა პრობლემების გადაჭრა. დღეს უმთავრესი იარაღი არის ეკონომიკური მდგრადობა და სტაბილურობა. სწორედ ამ იარაღის გამოყენებას

ცდილობს ჩინეთი ტაივანთან მიმართებაში ქვეყნის საბოლოოდ გაერთიანების მიზნით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მშვიდობიანი გზებით და ეკონომიკური ბერკეტებით ქვეყნის საბოლოო გაერთიანებისკენ სამაგალითო უნდა იყოს იმ სახელმწიფოებისათვის, ვისაც სეპარატიზმის პრობლემა გააჩნიათ. [1]

ტაივანის ამომრჩეველმა, 2016 წლის 2016 წლის იანვარში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ქვეყნის ისტორიაში პირველად, ქალი პრეზიდენტი აირჩია. 59 წლის ცაი ინ-ვენი ხელმძღვანელობს დემოკრატიულ-პროგრესულ პარტიას, რომელსაც ჩინეთისგან დამოუკიდებლობა სურს. ამ რანგში პირველი გამოსვლისას ინ-ვენიმ პირობა დადო, რომ შეინარჩუნებს ჩინეთთან ურთიერთობაში არსებულ სტატუსკვოს და დაამატა, რომ პეკინმაც პატივი უნდა სცეს ტაივანის დემოკრატიას.

ცაი ინ-ვენი დაიბადა 1956 წელს. 1978 წელს, დაასრულა ტაივანის ეროვნული უნივერსიტეტის იურიდიული კოლეჯი. 1980 წელს კორნელის უნივერსიტეტში დაიცვა მაგისტრის ხარისხი, ხოლო 1984 წელს ლონდონის ეკონომიკის სკოლაში მიიღო დოქტორის ხარისხი. ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ ტაიბეის უნივერსიტეტში დაიწყო სამართლის სწავლება.

1990-იან წლებში მონაწილეობდა მოლაპარაკებებში, რომელიც ითვალისწინებდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ტაივანის გაწევრიანებას. 2000-2004 წლებში იყო მატერიკულ ჩინეთთან კავშირის სამთავრობო მინისტრი. 2004-2006 წლებში საკანონმდებლო იუანის წევრია. 2006-2007 წლებში ტაივანის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერია. 2012 წელს დამარცხდა საპრეზიდენტო არჩევნებში და გადადგა პარტიის ლიდერის თანამდებობიდან. ეს გახლავთ ის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, რაც ცნობილია ტაივანის ახალი ლიდერის შესახებ, თუმცა ტაივანზე ქალი ლიდერის ხელისუფლების სათავეში მოსვლას მთელი რიგი პროცესები უძღვოდა წინ.

ტაივანის ეკონომიკურმა განვითარებამ ხელი შეუწყო ქალების სოციალურ ეკონომიკური და პოლიტიკური სტატუსის ზრდას. კუნძულის ინდუსტრიალიზაციამ ქალებს მისცა შესაძლებლობა დაკავებულიყვნენ ოჯახის გარეთ, რამაც შეასუსტა პატრიარქალური ნორმები და გააძლიერა ქალების ინტერესი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობისადმი. ტაივანის ეკონომიკის დინამიურობამ ქალებს სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში დიდი შესაძლებლობები გაუჩინა.

გომინდანის ძალაუფლების ქვეშ ტაივანის წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაციის შედეგად მოხდა ქალების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და კულტურულ-განმანათლებლური დონის ამაღლება, რამაც შექმნა გარკვეული პირობები საზოგადოებრივი გააქტიურებისა და ქალთა მოძრაობის შესაქმნელად.

ტაივანის ქალთა მოძრაობას აქვს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. 1970-1980 წლებში ტაივანის სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ და 1980 წლიდან პოლიტიკურმა ლიბერალიზაციამ განაპირობა ტაივანის სოციალური და პოლიტიკური განვითარების დაჩქარება. ქალთა მოძრაობის ორგანიზატორებმა მაქსიმალურად გამოიყენეს ამ პერიოდის პოლიტიკური ვითარება ქალთა უფლებების დასაცავად და მათი ორგანიზებისათვის, რაც შეუძლებელი იყო წინა წლებში. ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ღონისძიებები ამ მჭიდროდ დასახლებულ კუნძულზე ხდება მის ადმინისტრაციულ ცენტრში ტაიბეიში. მოქმედების კონცენტრაცია დედაქალაქში ქალთა მოძრაობის ორგანიზატორებს უადვილებდა ურთიერთობას სახელმწიფო აპარატთან, კანონმდებლებთან და მედია საშუალებებთან ასევე სხვა მოძრაობების წევრებთან. საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი ინტერესმა, მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობამ - სტიმული მისცა ქალებს პოლიტიკურ ცხოვრებაში ებრძოლათ წამყვანი პოზიციებისათვის და თავიანთი ინტერესების დასაცავად მათ დაიწყეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი შემზღუდავი ტრადიციული სოციალურ-ეკონომიკური ნორმების გადალახვა.[2]

ტაივანის დემოკრატიზაციის პროცესს თანდათანობით, მაგრამ განუხრელად, თან სდევდა ქალთა პოლიტიკური აქტივობის დონის ამაღლება. ისტორიული პროცესების განვითარების შედეგად მოხდა ის რომ ოპოზიციის და რეჟიმის კონფრონტაციამ გამოიწვია ღრმა პოლიტიკური ლიბერალიზაციის პროცესი და ამ გადამწყვეტ მომენტში ოპოზიციური ძალების წინა ხაზზე აღმოჩნდნენ ქალები. 1970-1980 წლებში ავტორიტარული პოლიტიკური კონტროლის შესუსტების შედეგად ქალებს მიეცათ საშუალება დაეკავებინათ წამყვანი პოზიციები ბევრ საზოგადოებრი- პოლიტიკურ მოძრაობებში. ეს ორი მოვლენა დაეხმარა ქალების საკმაოდ დიდ რაოდენობას მომზადებულიყვნენ ტაივანის ოპოზიციაში წამყვანი თანამდებობებისათვის და დემოკრატიულ პროგრესულ პარტიაში მოღვაწეობისათვის, რომელმაც 2000-2008 წწ. შეცვალა ხელისუფლებაში მყოფი გომინდანის პარტია. თავისთავად ის ფაქტი, რომ ტაივანის ყველა ძირითადი პარტია ატარებს სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკას არის უდიდესი პოლიტიკური მიღწევა.

ტაივანის ორივე ძირითადი პარტია აქტიურად მუშაობენ თავის მხარეს ქალთა ელექტორატის მოსაზიდად. 2008 წელს ისევ ოპოზიციაში გადასულმა დემოკრატიულმა პროგრესულმა პარტიამ საკანონმდებლო იუანში 25%-ზე მეტი ქალი-კანდიდატი წამოაყენა, ხოლო 2012 წლის- ტაივანზე ჩინეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში, პრეზიდენტის თანამდებობაზე ქალი- კანდიდატი ცაი ინვენი წარადგინა. ეს უნდა ყოფილიყო ქალთა ელექტორატის გააქტიურების კიდევ ერთი ფაქტორი, რადგან ქალები მასთან აკავშირებდნენ მომავალში სოციალურ სამართლიანობას, არაფერი რომ არ

ვთქვათ იმაზე, რომ ამ პარტიას უკავშირდება ტაივანის ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი მოძრაობის სახელი. კუნძულის ქალთა მოსახლეობის დიდი პროცენტის არჩევნებში მონაწილეობის მიუხედავად, 2012 წელს ცაი ინვენმა არჩევნები წააგო, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ამომრჩევლები პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებენ თუ რომელი პარტიის კანდიდატია წამოყენებული, ასევე მნიშვნელობა აქვს პარტიის ლიდერის პოპულარობას და რომ ქალთა ელექტორატი ყოველთვის არ არის ქალი კანდიდატის მხარდამჭერი.

ტაივანზე დამოუკიდებლად მისი გენდერული კუთვნილებისა ელექტორატის აქტივობის მთავარ ინდიკატორად ასევე გვევლინება ასაკი და მიღებული განათლება. ტაივანზე ქალთა ელექტორატის მზადყოფნა აქტიური მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესებში ცხადყოფს, რომ ისინი არ არიან პასიურები, აქტიურად მონაწილეობენ ტავანზე დემოკრატიის განვითარებაში. [3]

იმის გათვალისწინებით თუ რა ზეგავლენას ახდენს რეპროდუქტიული ასაკი ქალთა ელექრორატზე, და კუნძულის მოსახლეობის დაბერების დღევანდელი ტემპი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტაივანის მოსახლეობა პერსპექტივაში საკმაოდ შემცირდება, მაგრამ სანამ ტაივანის ელექტორატის ნახევარზე მეტს ქალები წარმოადგენენ, სწორედ მათზე ბევრად იქნება დამოკიდებული ტაივანის მომავალი განვითარების ვექტორი.

იმის გამო, რომ მოხდა ერთის მხრივ ქალების მიერ ოპზიციურ მოძრაობაში წამყვანი პოზიციების და მეორეს მხრივ ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში საკმაოდ დიდი რაოდენობის ადგილების დაკავება, ქალებს მიეცათ საშუალება აქტიურად იმუშაონ როგორც „ქვედა" ასევე „ზედა" საფეხურებზე, რის შედეგადაც მიაღწიეს ქალებისა და მამაკაცების პრაქტიკულად თანაბარ უფლებებს. შეიძლება ითქვას, რომ ტაივანზე დამკვიდრდა გენდერული ურთიერთობების თანამედროვე მოდელი. [4]

ქალების აქტიურმა ჩართულობამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში ხელი შეუწყო სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებას ქალთა უფლებების დაცვაში, ოჯახში, სამსახურში, განათლებისა და ქონებრივი ურთიერთობების სფეროში. ეს პოლიტიკა გამოიხატა მთელ რიგ კანონებში, ნორმატიულ აქტებში, სპეციალური სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების შექმნაში.

2009 წელს ტაივანმა მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის შეწყვეტის შესახებ (CEDAW).

გენდერული პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთ სერიოზულ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქალებისა და მამაკაცების რაოდენობის პროცენტული შესაბამისობა (3/1.)

2013 წლის მონაცემებით ხელისუფლების ორგანოებში 13%, ხოლო პარლამენტში კი 33% -ს ქალები წარმოადგენდნენ, საინტერესოა ის ფაქტიც რომ, ტაივანელი ქალები ბევრად უფრო აქტიურები არიან ვიდრე მეზობელი მაღალგანვითარებული ქვეყნების ქალები, ისეთი როგორიცაა იაპონია და სამხრეთ კორეა. მიუხედავად ტაივანზე განხორციელებული გენდერული პოლიტიკისა კუნძულზე კიდევ რჩება რიგი პრობლემებისა რომელთა გადაწყვეტა მოუწევთ პერსპექტივაში. ეს არის არსებული კონფუცისეული ტრადიციების დაძლევა, აუცილებლობა „სოციალური ლიფტის" შექმისა იმ ქალების მიმართ, რომლებმაც მიიღეს უმაღლესი განათლება და აქვთ პრეტენზია მაღალანაზღაურებად სამსახურებზე და კარიერულ ზრდაზე.

განხილვას საჭიროებს პარტიულ-სახელმწიფოებრივ იერარქიაში ქალთა წარმომადგენლობის დარეგულირების საკითხი, იგულისხმება „ზედა ზღვარის ეფექტი" (კვოტა).

ხელისუფლებას ესმის პოლიტიკური კულტურის მოდერნიზაციის, პოლიტიკურ სისტემაში ქალთა სასარგებლოდ შემდგომი რეფორმების გატარების, საარჩევნო მექანიზმების სრულყოფის აუცილებლობა. ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები ხელს უწყობს ტრადიციული დამოკიდებულების შეცვლას „გადაწყვეტილების მიმღებ" თანამდებობებზე ქალთა დანიშვნის საკითხის მიმართ. პარტიულ-სახელმწიფოებრივ იერარქიაში ქალთა წარმომადგენლობისათვის „ქვედა ზღვარის" დაწესება,

ქალთა უფლებების დაცვისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესში უმთავრეს როლს თამაშობს ოფიციალური გენდერული პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს ქალთა თანასწორუფლებიანობის იდეას და მმართველი პარტიის (იგულისხმება მატერიკული ჩინეთი) მხარდაჭერას.

ბოლო ათწლეულის პერიოდში ჩამოყალიბებული დემოკრატიული სისტემის პირობების გათვალისწინებით ტაივანს მოუწევს განაახლოს პოლიტიკური და ეკონიმიკური მდგომარეობა, მატერიკულ ჩინეთთან სულ უფრო გაღრმავებული ეკონომიკური ინტეგრაციის გამო ძალზედ დაძაბული შიდაპოლიტიკური ბრძოლის ფონზე. ტაივანის ორივე პოლიტიკური პარტია - გომინდანი და დემოკრატიულ პროგრესული პარტია გამალებით ეჯიბრებიან თუ ვინ მიაღწევს საზოგადოებასთან კონსენსუსს და მოახერხებს საზოგადოების შიდა ძალების გაერთიანებას.[5]

2008 წელს ტაივანის მოსახლეობამ მოინდომა, რომ დემოკრატიულ პროგრესულ პარტიას ადგილი დაეთმო გომინდანისათვის. დემოკრატიულ პროგრესულ პარტიას ამით მიეცა საშუალება კრიტიკულად შეეხედა თავისი მოღვაწეობისათვის, ჩაეტარებინა პარტიის რეფორმირება, გამოემუშავებინა უფრო მოქნილი სტრატეგია, მომზადებულიყო ახალი სტარტისათვის. სწორედ ამ მოვლენების გამოძახილი იყო 2016 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები,

სადაც დემოკრატიულმა ღირებულებებმა გაიმარჯვა და ამასთანავე აქამდე ჩინეთისა და ტაივანის პოლიტიკური ისტორიისათვის უპრეცედენტო ფაქტი მოხდა-ქვეყნის სათავეში მოვიდა ქალი ლიდერი. ეს არის პირველი ქალი ლიდერი ჩინურად მოლაპარაკე სამყაროში და საერთოდ აზიურ სამყაროში, რომელიც დინასტიური მაჩვენებლის მატარებელი არ არის. როგორც მოგახსენებათ, უმეტესი აზიელი ქალი ლიდერებისა არიან თავიანთი მეუღლეების, მამების ან ძმების პოლიტიკური მემკვიდრეები. მაგალითად: სირიმავო ბანდარნაიკე, ცეილონის პრემიერ მინისტრი, მეუღლის პოლიტიკური მემკვიდრე და ჩანდრიკა კუმარატუნგას, შრი-ლანკის პრეზიდენტის დედა. ინდოეთის პირველი ქალი პრემიერ მინისტრი-ინდირა განდი მამის, ინდოეთის პირველი პრემიერ მინისტრის ქალიშვილი იყო. ბენაზირ ბღუტო (პაკისტანის პირველი ქალი პრემიერ მინისტრი) და მეგავათი სუკარნოპურტი (ბანგლადეში) მამების პოლიტიკური მემკვიდრეები იყვნენ. ასევე აღსანიშნავია ბირმელი პოლიტიკოსი და ნობელიანტი აუნ სან სუ ჩი, რომელიც ასევე გახლდათ ბირმელი გმირის, „დიდი გენერლის" ქალიშვილი. სამხრეთ კორეის ახლანდელი პრეზიდენტიც არის სამხრეთ კორეის ეკონომიკური სასწაულის არქიტექტორისა და ყოფილი პრემიერ მინისტრის ქალიშვილი. სწორედ ასეთ ფონზე ტაივანის პრეზიდენტის გამარჯვება ნამდვილად პრეცედენტულ ხასიათს ატარებს.[6]

ტაივანის დემოკრატიული პროგრესული პარტიის პოლიტიკა სავარაუდოდ იქნება დაფუძნებული ყველა ფრაქციასთან თანამშრომლობაზე, ბიზნე-სისა და საზოგადოების სფეროებიდან ნიჭიერი ხალხის მოზიდვაზე. მაგრამ ძირითადი რეფორმები სავარაუდოდ იქნება უმთავრესი პოლიტიკური საკითხების- მატერიკულ ჩინეთთან ურთიერთობების დარეგულირებისაკენ მიმართული. აქ დემოკრატიულ პროგრესულ პარტიას შესაძლოა მჭიდრო თანამშრომ-ლობა მოუწიოს გომინდანთანაც, რათა პოლიტიკური პრობლემები გადაწყვიტოს ტაივანის ხალხის ინტერესების დაცვით და არა ერთეული პოლიტიკური ლიდერების პრიორიტეტების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩილ კალანდია "ჩინეთის ტრანსფორმაცია XXI საუკუნეში"/ გვ. 32-36.
2. "The participation of women in the social - political evolution of the society in Taiwan"//International Convention of Asia Scholars 6 "Think Asia!" August 6-9, 2009, Daejeon Convention Center, Korea. P.186.
3. Ищите китайскую женщину. Демократическая прогрессивная партия Тайваня: особенности борьбы за электорат// Мир и политика. Известия. Февраль 2013. No2 (77). С.128 –141. – 1,6 п.л.
4. Положение женщин и гендерный вопрос в современном Тайване // Проблемы Дальнего Востока .2009. No 6. С.86 – 100 –1 п.л.
5. Участие женщин в социально-политической жизни Тайваня // Современной Тайвань. Справочно-аналитические материалы. Выпуск 11 (19). – М.: ИДВ РАН, 2010. С.76 – 89. – 1 п.л.
6. www.asia,nikkel.com/Asian Review/ "Tsai achieves historic first on her own merits"/ 16, 01, 2016 9:00 pm

სახელმწიფოს მეცნიერულ – ტექნიკური პოლიტიკა

ელენე მენაბდე-ჯობაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილი და იგი გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას მეცნიერებისა და ტექნიკურ-ტექნოლოგიური საქმიანობისადმი, განსაზღვრავს მათ მიზნებს, მიმართულებებსა და განვითარების ფორმებს. მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესი ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

საბაზრო მექანიზმი მეცნიერების განვითარებას და მისი მიღწევების გამოყენებას ვერ უზრუნველყოფს. მის განსახორციელებლად სახელმწიფოს ყოველმხრივი მხარდაჭერაა აუცილებელი, რადგან კერძო საწარმოების უაღრესად პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე ცალკეული გამოკვლევები ვიწრო დარგობრივ ხასიათს ატარებს და საზოგადოებრივ ინტერესებს იშვიათად შეესაბამება.

სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა პრინციპებისა და მეთოდების ერთობლიობაა. იგი მიმართულია საზოგადოების სტრატეგიული მიზნების მისაღწევაზე, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის წარმოქმნასა და განვითარებაზე.

სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის მიზნებს წარმოადგენს: ეროვნული მეცნიერების სახელმწიფო მხარდაჭერა, სამეცნიერო მიღწევების წარმოების სფეროში დანერგვა და ეფექტური გამოყენება, ქვეყნის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკა, საბაზრო ეკონომიკა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდა, კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური უსაფრთხოება, მაკროეკონომიკა.

State's scientific -technical policy

Elene Menabde-Jobadze -
Doctor of Economics

Summary

Scientific and technical policy is part of the country's socio-economic policy. It expresses the government's attitude to science and technological activities. IT defines the objectives, directions and development forms. The most important factor of economic growth is the scientific and technical progress.

The market mechanism can not provide the scientific development. For its inplement is necessary State support. Separate studies branch is narrow and it is rarely consistent with the public interest.

Scientific and technical policy is the combination of the principles and methods. It is aimed at the strategic goals, to emergence and development scientific and technical potential, to Solve social problems ensuring economic security.

The objectives of scientific and technical policy is: State support of the National Science, The introduction of scientific achievements in the field of production and its effective use, the country's competitiveness on the world market.

Keywords: economic policy, market economy, scientific and technical progress, scientific - technical policy, economic growth, competitiveness, economic security, Macroeconomics.

* * * * *

ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესი. თუმცა საბაზრო მექანიზმი მეცნიერების განვითარებას და მისი მიღწევების გამოყენებას ვერ უზრუნველყოფს. მის განსახორციელებლად სახელმწიფოს ყოველმხრივი მხარდაჭერაა აუცილებელი, რადგან კერძო საწარმოების უაღრესად პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე ცალკეული გამოკვლევები ვიწრო დარგობრივ ხასიათს ატარებს და საზოგადოებრივ ინტერესებს იშვიათად შეესაბამება. ამასთანავე კერძო ფირმებს და საწარმოებს მეცნიერულ-ტექნიკური გამოკვლევების ჩასატარებელი კაპიტალი ყოველთვის არა აქვთ.

სახელმწიფოს ზომები სამეცნიერო — კვლევითი და საცდელ — საკონსტრუქტორო სამუშაოების (სკსსს) სფეროში, გამოდის როგორც სამეცნიერო -ტექნიკური პოლიტიკა. იგი წარმოადგენს პრინციპებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც საზოგადოების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მიმართულია სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის წარმოქმნასა და განვითარებაზე.

სამეცნიერო - ტექნიკური პოლიტიკის მიზნებს წარმოადგენს ეროვნული მეცნიერების სახელმწიფო მხარდაჭერა, სამეცნიერო მიღწევების წარმოების სფეროში დანერგვისა და ეფექტური გამოყენებისათვის.

სამეცნიერო - ტექნიკური პოლიტიკის საბოლოო მიზანს ეკონომიკური ზრდა, ქვეყნის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

მეცნიერების განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევის, მისი გამოყენების ხარისხი და ფორმები ბევრ

ფაქტორზეა დამოკიდებული: ეკონომიკური განვითარების სტადიებზე; სოციალურ-ეკონომიკურ; საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის პირობებზე, რომელსაც მთლიანად სახელმწიფო ატარებს.

სამეცნიერო - ტექნიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების ცალკეული გამოვლინებები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეინიშნებოდა, როდესაც განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო კანონებით იცავდა თავის მეცნიერებას, ეხმარებოდა უნივერსიტეტებს სამეცნიერო კვლევების ჩატარებაში, ზრუნავდა სამეცნიერო კადრების ზრდაზე. თანამედროვე პირობებში, როდესაც ღრმავდება შრომის საერთაშორისო დანაწილება, ხდება სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია და ამავე დროს — ქვეყნებს შორის კონკურენტული ბრძოლის ზრდა, სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების პრობლემა პირველ ადგილზე გამოდის და სახელმწიფო მხარდაჭერა სკსსს-ის სფეროში განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად იქცა. ამერიკელ ექსპერტთა აზრით, სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო სფეროს შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე XXI საუკუნეში ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება შეიძლება სერიოზულ პრობლემებს წააწყდეს ისეთ სფეროებში სადაც: გამოთვლითი ტექნიკა, ბიოტექნოლოგია და გენური ინჟინერია, ნაგებობების ახალი სახეები - განსაკუთრებით დიდი სიმძლავრისაა.

ინტეგრაციული კავშირების ჩარჩოებში დამუშავებას იწყებს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა. იგი დამახასიათებელია ფუნდამენტური გამოკვლევების, გამოყენებითი სამუშაოების, ნაწილობრივ ტექნიკური სტანდარტიზაციის, ტექნოლოგიის, ინფორმაციის და ა.შ. სფეროებისათვის.

სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა შეიძლება მოქმედებდეს როგორც:

– აქტიური, საშუალო ან პასიური;

– ზომიერი, რომელიც საბაზრო პროცესებს სივრცეს აძლევს;

– ეროვნულ სამეცნიერო კომპლექსთან მიმართებაში პროტექციონისტული ან უცხოური მეცნიერებისა და ტექნიკისათვის გახსნილი;

– საკუთარ სამეცნიერო პოტენციალზე დაყრდნობით, ან უცხო იდეებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

– მაღალსელექტიური ან ფრონტალური, ყოვლისმომცველი.

– ფუნდამენტალური და სტრატეგიული გამოყენებითი კვლევების გამოხატული პრიორიტეტით, ან გამოყენებითი სკსსს-ის და დასანერგი სამუშაოების პრიორიტეტით. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა კანონმდებლობითაა დაცული. აშშ-ში იგი "მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში ნაციონალური პოლიტიკის, ორგანიზაციისა და პრიორიტეტის შესახებ კანონის საფუძველზე" ხორციელდება, რომელიც 1976 წელს იქნა მიღებული. კანონში მოცემულია პრიორიტეტული მიზნების სანიმუშო ჩამონათვალი, რომელთა რეალიზაციამაც ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების დროს ფედერალურმა სახელმწიფომ უნდა შეინარჩუნოს ცენტრალიზებული დაგეგმვის ელემენტები, სამეცნიერო კვლევების მიღწევათა მხარდასაჭერად, ტექნოლოგიების პატარა და დიდ საწარმოებზე გადასაცემად.

სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის რეალიზაცია ხორციელდება (სკსსს) დაფინანსების საშუალებით, საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსებით, რიგი ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური ზომების განხორციელებით.

განვითარებულ ქვეყნებში ფუნდამენტური მეცნიერების როლის ზრდა, ხანგრძლივი გამოკვლევების დაფინანსების აუცილებლობა, სამეცნიერო-ტექნიკურ კვლევებზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდას იწვევს. სკსსს-ზე ხარჯებისათვის თანამედროვე პირობებში ეეპ 2-დან 4%-მდეა გამოყოფილი. რუსეთში 1995 წელს ეს ციფრი ეეპ — ის 0,4% -ს შეადგენდა.

სახელმწიფო გასავალთა სტრუქტურა სკსსს-ზე სხვადასხვაა. გამოიყოფა სამოქალაქო, სამხედრო სკსსს-ის დაფინანსება, სამხედრო-კოსმოსური პროგრამების სახელმწიფო დაფინანსება უპირატესია აშშ-ში და ინგლისში (შესაბამისად 49 და 59% დაფინანსების საერთო თანხიდან). იაპონიაში და გერმანიაში დაფინანსების ძირითადი წილი სამოქალაქო სკსსს-ზე 3 დან 10%-მდე) მოდის.

დღეისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტიდან გამომდინარე, დასავლეთის წამყვანი ქვეყნების სახელმწიფოები ღონისძიებებს ატარებენ, უშუალოდ ფირმების მიერ სამეცნიერო კვლევების სტიმულირებისათვის. აშშ-ს კომპანიებს მიცემული აქვთ ფასდაკლება სკსსს-ზე დანახარჯების ზრდისათვის. იგი მოგების გადასახადიდან გამოიქვითება და საანგარიშო წლის სკსსს-ზე დამატებითი დანახარჯების 20%-ს შეადგენს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების პატარა საწარმოებში ჩატარებას. საკანონმდებლო საფუძველზე ხორციელდება სამინისტროების და დაწესებულებების ბიუჯეტებიდან პატარა საწარმოებისათვის თანხების გადარიცხვა. აშშ-ში იგი 1%-ს შეადგენს. მთლიანად ინოვაციური ქმედებებისათვის გაწეული ფედერალური სახსრების 5% პატარა საწარმოებზე მოდის. ამით იფარება პატარა საწარმოების სკსსს-ზე დანახარჯთა 1/3. ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე არსებობს მცირე ბიზნესის მხარდასაჭერი ცენტრები. ამას გარდა პატარა საწარმოები ითვლებიან მენარდეებად სკსსს-ის გატარების საკონტრაქტო სისტემის დროს.

სახელმწიფო მხარდაჭერით სარგებლობენ ტექნოლოგიური სტრუქტურები (ტექნოპოლისები, ტექნოპარკები, ტექნოლოგიური და ინოვაციური ცენტრები), რომლებიც რეგიონალურ დონეზე მცირე ბიზნესის ერთგვარ ინკუბატორებად გვევლინებიან.

მაღალკვალიფიციური კადრების გარეშე შეუძ-

ლებელია სამეცნიერო სფეროს განვითარება. ამიტომ განვითარებულ ქვეყანათა უმრავლესობაში, საბიუჯეტოდაფინანსებისსაშუალებითხორციელდება მეცნიერების ინტელექტუალური დონის აწევა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

80-იან წლებში მოსახლეობის ერთ სულზე განათლების სფეროში დანახარჯების მიხედვით პირველი ადგილი შვეიცარიას ეკავა - სახელმწიფო ბიუჯეტის 13,5%-ი ან ეეპ-ს 8%-ი. მორე ადგილი - ნორვეგიას სახელმწიფო ბიუჯეტის 8%-ზე ოდნავ მეტი.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი სახელმწიფოა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსირდება.

აშშ-ს ფედერალურ ბიუჯეტის "განათლება, პროფტექმომზადება, დასაქმება, სოციალური მომსახურეობები" სტატიის მიხედვით დანახარჯთა 1/3-ი უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე მოდის.

ბოლო დროს განვითარებულ ქვეყნებში სკს-ის მხარდასაჭერად, სახელმწიფო მსხვილ კორპორაციებთან მიმართებაში, რომელთა საქმიანობა განისაზღვრება პრინციპით "კოოპერაცია – წარმოებაში სკსსს-ის, იდეებისა და სიახლეების დანერგვის სტადიაზე, კონკურენცია - გასაღებისა და პროდუქციის მყიდველთა გარანტირებული მომსახურების სტადიზე", გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს.

ეს ფაქტიურად უმსხვილესი კორპორაციულო გაერთიანებების ანტიმონოპოლიური კანონებიდან გამოყვანას ნიშნავს. მაგალითად აშშ-ში 1994 წელს მიიღეს კანონი — ნაციონალურ სამეცნიერო გამოკვლევებში თანამშრომლობის შესახებ. მისი მიზანია ანტიტრესტული კანონმდებლობის მიერ გამოწვეული წინააღმდეგობების აცილება, რომელიც ერთობლივი გამოკვლევების ჩატარებას ხელს უშლის, რაც აუცილებელია ამერიკული წარმოების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ამით იხსნება ბარიერები დროებითი მონოპოლიური (ვენჩურული) სტრუქტურების ჩამოსაყალიბებლად.

დასკვნა

მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია საჭიროებს აღნიშნული ეტაპისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებას. მასში უნდა აისახოს ეკონომიკური ზრდის, საბიუჯეტო პოლიტიკის, ინოვაციური და ინვესტიციური სფეროებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მახასაიათებლები. აუცილებელია აგრეთვე სახელმწიფოს მიერ ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა, რომლითაც უნდა იქნეს მიღწეული ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, ინვესტიციური და სხვა სამეურნეო პროცესების ეფექტიანი რეგულირების უზრუნველყოფა. საქართველოს კანონით ,,მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" განსაზღვრულია ქვეყნის მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკა. სახელმწიფო აღიარებს, რომ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების განვითარების, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების, მათი სულიერი აღმავლობის ერთ-ერთი ფაქტორია და ხელშემწყობ პირობებს უქმნის ქვეყნის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი - მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ. http://mes.gov.ge/old/upload/editor/file/Brdzanebebi/2010/Tebervali/mecnierebis%20teqnologi
2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=C – (უკანასკნელად გადამოწმებული 12.03.2016.)
3. World Economic outlook: October 2013. Washington D.C. International Monetary Fund, 2013, 254 p.
4. Грейсон Дж.К., О'Делл К. Американский менеджмент XXI века. М, Экономика, 2009,319 с.
5. И.В. Прангишвили - Системный подход и общесистемные закономерности. Москва, 2000 стр. 22.

ტერორიზმის გაშუქება მედიაში

***მაია თაბაგარი**, დოქტორანტი*

რეზიუმე

ბრიუსელის აეროპორტსა და მეტროში რამდენიმე დღის წინ მომხდარ ტერაქტს 31 ადამიანი შეეწირა. ტელეარხ „ფოქს ნიუზის“ ვიდეომასალაში, რომელიც ბრიუსელშია გადაღებული, ჩანს, როგორ „დგამს“ ფოტოჟურნალისტი სასურველ ფოტოკადრს - იგი სთხოვს პატარა გოგონას, ფოტოკამერისათვის იპოზიოროს ტერაქტში დაღუპულთა ხსოვნისათვის დანთებულ სანთლებთან. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გახადა აქტუალური თემა - როგორც ტერორიზმის გაშუქების, ასევე ჟურნალისტური ეთიკის პრობლემებზე მედიაში.

Summary

The terrorist attack in Brussels, Belgium caused 31 deaths. In a TV report of Fox News from Brussels, we can clearly see how a journalist tries to set a scene for his images; He asks a girl to pose right in front of the candles, honoring the victims of Brussels terrorist attack. This fact raised an issue of the problems regarding the coverage of terrorism and journalistic ethics.

* * * * *

ჯერ კიდევ ათი წლის წინ 2006 წელს, გაერომ მოუწოდა ჟურნალისტებს, ნებაყოფლობით მიეღოთ ეთიკის ახალი კოდექსი, რომელიც შეზღუდავდა იმ თემების გაშუქებას, რაც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებული იქნებოდა ტერორიზმთან. ამ ახალი იდეის თანახმად, უწინარესად, იკრძალებოდა ინტერვიუ ტერორისტებთან, ასევე იმგვარი მასალის გავრცელება, რომელსაც, შესაძლოა, თანაგრძნობა გამოეწვია ტერორისტების მიმართ.

გაეროს ინიცირებულ ჟურნალისტური ეთიკის ახალი კოდექსში ხაზგასმული იყო, რომ ყველა რეკომენდაცია, “ემყარებოდა როგორც ტერორიზმის ყველანაირი ფორმისა და გამოვლინების, ასევე, ტერორისტული იდეოლოგიის გავრცელების ფუნდამენტურ დაგმობას”.[1] საგულისხმოა, რომ გაეროს გენერალური მდივნის წინადადებებმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია არა მხოლოდ ჟურნალისტებში, არამედ გენერალური ასამბლეის დელეგატებშიც. ჟურნალისტთა დამოუკიდებელმა ფედერაციამ, ბრიუსელიდან წერილი გაუგზავნა კოფი ანანს, სადაც გამოთქმული იყო შეშფოთება, რომ მსგავსი შინაარსის რეკომენდაციები შეიძლება იქცეს მსოფლიო პრესის შეზღუდვის წინაპირობად. იმჟამინდელი ცნობებით, კანადის დელეგაციამ ასამბლეაზე პირდაპირ განაცხადა, რომ დაუშვებელია ტერორიზმის წაქეზების აკრძალვა გახდეს პრესის თავისუფლების შეზღუდვის მიზეზი.

მედია დღესაც რთული, ამასთანავე გარდაუვალი არჩევანის წინაშეა: რა ფორმით, რა შინაარსით მიაწოდოს მაყურებელს ინფორმაცია ძალადობის, ტერორისტული აქტის შესახებ. ყველა მედიასაშუალების ახალი ამბების რედაქცია მოწოდებულია, იპოვოს ოქროს შუალედი მაშინ, როცა სასწორის ერთ მხარეს პრესის მოვალეობა, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, და მეორეს მხრივ - ამგვარი აქტების გადაცემით არ წააქეზოს და ხელი არ შეუწყოს მორიგი ძალადობის წარმოშობას.

სიენენის რედაქტორი, დენ რაზერი ტერორისტებისა და მედიის ქმედების ბალანსის შესახებ წერილში წერს, თუ როგორ შეიძლება ახალი ამბების მედიამ ხელი შეუწყოს ტერორიზმს, მათი ქმედებების მრავალჯერადი გადმოცემით.[2] “კოლუმბიაში რეპორტაჟებზე მუშაობისას, პრეზიდენტ ხუან მანუელ სანტოსის სიტყვა მახსოვს, როდესაც მან ჟურნალისტები ტერორიზმის მანიპულაციის მსხვერპლად მოიხსენია: “მე ნამდვილად არ ვამბობ, რომ ტერორიზმი მედიის ბრალია, მაგრამ ტერორიზმი სწორედ საკუთარი გზავნილის გავრცელებით ხეირობს.”, - თქვა მაშინ სანტოსმა, რომელმაც თავის ემოციურ გამოსვლაში, მედიას თავგასული აჯანყებულების მეგაფონი უწოდა. ვფიქრობ, რომ სანტოსმა მოუწოდა ადგილობრივ პრესას, პასხისმგებლობით და გარემოებების გათვალისწინებით გააშუქონ ძალადობრივი აქტები. მოძალადეთა არმია მანიპულირებს მედიით, და სამწუხაროა რომ ჟურნალისტები ამას ასე მარტივად ნებდებიან.”

დენ რაზერი აღნიშნავს, რომ ყველა მედიასაშუალებაში, კონტექსტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რომ ჟურნალისტის პროფესიაში საუკეთესოა - არა მხოლოდ მოვიპოვოთ და გადავცეთ ინფორმაცია, არამედ დავსვათ კრიტიკული შეკითხვები, აღვწეროთ გარემოებები, მივმართოთ ანალიტიკას, რათა შევქმნათ ინფორმაციულად მდიდარი რეპორტაჟი. სამწუხაროდ, ყველა მედიასაშუალება ამას ვერ ან არ ახერხებს. “ცოტა ხნის წინ, როდესაც მექსიკაში ვიმოგზაურე, შევამჩნიე ჯიხური, სადაც გაზეთებში სისასტიკით ჩადენილი დანაშაულების აღმბეჭდავი ფოტომასალა პირველ გვერდზე გამოეტანათ. ვინც კი ჩაუვლიდა ამ ჯიხურს, ყველა საშინელ ტერორს იგრძნობდა, სწორედ ასე გადმოიცა კარტელის გზავნილი, - თუკი ვინმე გაბედავს მათთან ბრძოლას ასეთი სასტიკი სიკვდილი ელის. პრესის ნაკლია, რომ ამგვარ მასალას

იყენებენ საკუთარი გამოცემების გასაყიდად".

2001 წლის 11 სექტემბერს, თითქმის ყველა რეპორტაჟში ვხედავდით, თუ როგორ ხტებოდნენ ადამიანები ცათამბჯენებიდან, მოქალაქეებს სასტიკი დამწვრობებით, უთვალავ გვამს მორგთან. წლების შემდეგ კი, წარუშლელი შთაბეჭდილება, რაც სიენენის რედაქტორს 9//11-ს აგონებს, მრავლისმთქმელი სურათებია, თუ როგორ აღმართავენ დროშას გმირი მეხანძრეები, მტვერსა და კვამლში გახვეული მამა მაიკლ ჯაჯი, რომელიც გამოჰყავთ ცათამბჯენიდან.

"ეს სურათები აღწერს ამ დღის ჰუმანურ მხარეს და არ თესავს შიშს, რაც მოძალადეებს სურდათ".

1974 წელს ამერიკელმა მკვლევარმა ბრაიან ჯენკინსმა დაასკვნა, რომ "ტერორიზმი თეატრია".[3] აბსოლუტურად ყველა ტერორისტი, რომლებსაც მძევლად მშვიდობიანი მოქალაქეები აჰყავდათ, მოითხოვდნენ ან ჟურნალისტებთან შეხვედრას ან ტელევიზიისა თუ რადიოს პირდაპირი ეთერით სარგებლობის საშუალებას. ტერორისტული აქტების განხორციელების შემდეგ მოძალადეთა 95% რეკავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რედაქციაში და იღებს პასუხისმგებლობას ჩადენილ დანაშაულზე. ტერორისტები მოქალაქეთა მძევლად აყვანის შემდეგ ხშირად მოითხოვენ გაზეთს, რადიოს, ტელევიზორს. მათ აინტერესებთ საზოგადოების რეაქცია მათსავე ქმედებასა თუ მოთხოვნაზე. ტერორისტმა ტიმოტი მაკვეიმ, რომელმაც ამერიკის ქალაქ ოკლაჰომა-სიტიში შენობა ააფეთქა, მოგვიანებით სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ეს ნაგებობა მისი ადგილმდებარეობის გამო შეარჩია. ანუ, შენობა, რომელიც ქალაქის ცენტრში, ფართო მოედანზე იდგა, იძლეოდა საშუალებას, ხარისხიანი ფოტოები მოხვედრილიყო ბეჭდური პრესის გარეკანზე და მრავალრაკურსიან ვიდეოკადრებს დაეპყრო ტელეეთერები. იტალიური ტერორისტული დაჯგუ–ფება "წითელი ბრიგადები" ძალადობის აქტებს, ძირითადად, შაბათობით ახორციელებდნენ, რათა მასალა საკვირაო ჟურნალებში გამხსნელ თემად მოხვედრილიყო.

სწორედ ამ და სხვა ფაქტების გამო, ტერორიზმის მკვლევარები მიუთითებენ მედიის, როგორც ტერორიზმის პროპაგანდისტულ მანქანად ქცევის საფრთხეზე. მეტიც, ტერორიზმის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელებმა, ბრაიან ჰიუტონმა და ნილ პოლანდმა, მედიასა და ტერორისტებს თავიანთ ნაშრომში ერთგვარი სიმბიოზიც კი უწოდეს, რომლებსაც ერთმანეთი სჭირდებათ. დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერი ამბობდა: "ტერორისტები იყენებენ თავისუფალ მედიას, რათა გაანადგურონ თავისუფლება". თუმცა ამ თვალსაზრისს თავისი მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ანალიტიკოსი ლარი სლოანი მიიჩნევს, რომ მედიის მისამართით ამგვარ ბრალდებებს პროვოკაციული ხასიათი აქვს, მედიის დანიშნულებაა საზოგადოების ინფორმირება. პრესა ყველგან და ყოველთვის ხელმძღვანელობს პრინციპით: "დაძველებული ამბავი, ეს ახალი ამბავი არ არის." ამის გარდა, მასმედია ხშირად ცდილობს სიტუაციის დრამატიზებას, რათა მიიპყროს აუდიტორიის ყურადღება, - თუმცა ეს არის სწორედ საზოგადოების მოთხოვნილება, და არა - ბრალი იმ მედიის, რომელიც, უბრალოდ, ათწლეულობის განმავლობაში დამკვიდრებული არაფორმალური წესებით თამაშობს.

ამასთანავე, ტერორისტები ჟურნალისტებს აღიქ-ვამენ არა როგორც ბრძოლაშ თანამოაზრეებს, არამედ როგორც მტრებს. ფუნდამენტური ნაშრომის "ტერორიზმი დემოკრატიის წინააღმდეგ" ავტორი პოლ ვილკინსონი მიიჩნევს, რომ ტერორისტები ყოველთვის მოქმედებენ პრინციპით - ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ისინი ცინიკურებად და გაყიდულებად აღიქვამენ. ჟურნალისტებთან თანამშრომლობა მათთვის მხოლოდ საკუთარი მიზნის მიღწევის საშუალებაა - მაგალითად, შექმნან თავიანთი ორგანიზაციის პოზიტიური იმიჯი ან დათესონ შიში საზოგადოებაში. თუმცა, ჟურნალისტები, მათ შორის, ისინიც, ვისი მეშვეობითაც ტერორისტებს თავიანთი განზრახვები სისრულეშ მოუყვანიათ, თავად ხდებიან მსხვერპლი. ტერორისტებისათვის მიუღებელი მედიასაშუალებები მუქარისა და თავდასხმების ობიექტებიც გამხდარან.

ჟურნალისტები გახდნენ მსხვერპლნი საფრან-გეთში მომხდარი თავდასხმისა, რომლის მიზეზი ჟუ-რნალ "შარლი ებდოში'' გამოქვეყნებული მუჰამედის კარიკატურები გახდა.

2015 წლის 7 იანვარს, 11.30 საათზე, პარიზში, ნიკოლა აპპერის ქუჩა ნომერ ათში "შარლი ებდოს" რედაქციაზე თავდასხმა განხორციელდა. თორმეტი გარდაცვლილი, თერთმეტი დაჭრილი, - ასეთი იყო ევროპის შუაგულში, მედიასაშუალებაზე განხორციელებული ტერაქტის შედეგი. "მე ვარ შარლი", - ტრაგედიიდან რამდენი წუთში მსოფლიო სოლიდარობის კამპანიამ მოიცვა. "პარიზი შარლია" - წარწერა ტრიუმფალურ თაღზეც გაჩნდა. მოგვიანებით ახალი კამპანია წამოიწყეს - მე აჰმედი ვარ. აჰმედ მერაბე ისლამური აღმსარებლობის პოლიციელია, რომელიც ჟურნალის უსაფრთხოებას იცავდა და ამ დროს მოკლეს.

გამოცემა, რომელსაც 45 წლის ისტორია ჰქონდა, საკმაოდ მოკრძალებული ტირაჟით გამოდიოდა. მხოლოდ ორჯერ გაიყიდა მისი 150 ათასი ნომერი. ოთხშაბათს, 11 იანვარს, "შარლი ებდო", ანუ ქართულად - ყოველკვირეული შარლი ერთი მილიონი ეგზემპლარით გამოვიდა. ამ დღეს პარიზის ქუჩებში 40 სახელმწიფოს ლიდერი და მილიონობით მშვიდობიანი მოქალაქე სოლიდარობის მარშში ჩაება.

"არაკეთილგონიერი მამაცების გამოცემა"- ასე უწოდა ზოგიერთმა კოლეგამ "შარლი ებდოს". რამდენიმე მედიასაშუალების რედაქციამ კი ხაზგასმით დაწერა, რომ არ იზიარებდნენ სტილს და პოლიტიკას გამოცემის,რომლისთვისაც არ იყო დახურული თემები. ზოგიერთმა ჟურნალისტმა კი

თქვა, რომ არ ჰყოფნით სითამამე იყვნენ "შარლი". "არ მყოფნის გამბედაობა, ვიყო შარლი", - დაიწერა "ფაინენშელ თაიმსში".

"სიტყვის თავისუფლების ხიბლი ის არის, რომ კონფლიქტები არსებობდეს და ის დისკუსიით და სიტყვით წყდებოდეს" , - ეს "ვაშინგტონ პოსტის" კარიკატურისტის ტომ ტოლსის სიტყვებია. კეროლ კირსტენმა და გავინ ევანსმა, ლონდონის ჟურნალისტიკის სკოლის პროფესორებმა, "ამერიკის ხმას" უთხრეს, რომ სატირული მედია საბაბია ტერორისტებისთვის,რომლებმაც რელიგიური შარჟი საკუთარი ქმედების გასამართლებლად გამოიყენეს. "შარლი ებდომ" წარმოშვა კითხვა: გამოხატვის თავისუფლებას უნდა ჰქონდეს თუ არა საზღვრები?

რა უნდა გააკეთოს ჟურნალისტმა იმისათვის, რომ ერთი მხრივ, ინფორმაცია გაავრცელოს, მეორე მხრივ კი - მოუფრთხილდეს საზოგადოებას და ინფორმაციის მიწოდება დამატებითი საფრთხეების გაჩენის გარეშე მოახერხოს. ეს საკითხი საქართველოში აქტუალური მორიგად მას შემდეგ გახდა, რაც მედიასაშუალებებმა ქართველი ხალხის მიმართ ტერორისტული დაჯგუფება "ისლამური სახელმწიფოს" სახელით თითქოსდა მებრძოლების ვიდეომიმართვა გაავრცელეს. ვიდეოში ქართულ ენაზე მოსაუბრე პირები ქართველ ხალხსა და საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს მიმართავდნენ. ისინი მუსლიმებს "ისლამური ხალიფატის" მხარდაჭერისკენ მოუწოდებდნენ, საქართველოს კი "ხალიფატის" შემოსვლით ემუქრებოდნენ.

აღნიშნული ვიდეო ბევრმა სააგენტომ სრული სახით გაავრცელა. ამის შემდეგ, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ მედიასაშუალებებს მისცა რეკომენდაცია, თუ როგორ შეიძლებოდა ამ მასალის გაშვება, რის შემდეგაც რამდენიმე სააგენტომ ვიდეო წაშალა, ზოგმა კი - შეამოკლა.[4]

მედიაექსპერტებმა, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ კოლეგებს ეთიკური ნორმების დაცვისკენ მოუწოდა და გარკვეული სტანდარტებიც კი გამოაქვეყნა შემდგომი შემთხვევებისაგან დაზღვევის მიზნით. უმთავრესი მოწოდება იყო, - უაპელაციოდ არ გაშუქდეს ვიდეომიმართვები, რომლებსაც ტერორისტები ავრცელებენ.

ბრიტანული "ბიბისი" გამოსცემს ერთგვარ გზამკვლევს ჟურნალისტებისათვის , სახელწოდებით "ომი, ტერორი და საფრთხეები - მედიაგაშუქება".[5] ე.წ. გაიდლაინში ხაზგასმულია რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

ომის, ძალადობის, ნაციონალური ან საერთაშორისო საფრთხეების (ტერორისტულ აქტებს, უბედურ შემთხვევებს) შესახებ თემების მომზადებისას, ძალზედ მნიშვნელოვანია, რეპორტიორებმა მიიღონ ინფორმაცია მესამე წყაროსგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს განსხვავებული მონაცემები. პირველი მონაცემი სავარაუდო მსხვერპლის ან ზარალის რაოდენობის შესახებ ხშირად მცდარია. თუ წყაროები სხვადასხვა ინფორმაციას აწვდიან პრესას, მაშინ ჟურნალისტმა უნდა მიუთითოს ან მიახლოებითი რაოდენობა ან ყველაზე ავტორიტეტულ წყაროს დაეყრდნოს მისივე დასახელებით.

ტერორიზმის გაშუქების ენის თაობაზე "ბიბისის" გზამკვლევში ვკითხულობთ: ტერორიზმი რთული და ემოციური თემაა, განსაკუთრებული პოლიტიკური განცხადებებით და საჭიროებს ფრთხილ მიდგომას. "ჩვენ ვცდილობთ, თავიდან ავირიდოთ სიტყვა "ტერორისტი". ამგვარი მიდგომა აუცილებელია, რათა დავიცვათ ჩვენი რეპუტაცია, როგორც ობიექტური და სანდო საინფორმაციო საშუალების. სიტყვა "ტერორისტი" შეიძლება გახდეს ბარიერი ინფორმაციის აღქმისას. თუმცა, არ უნდა შეიცვალოს სიტყვა „ტერორისტი" სხვა სიტყვით, როცა ის ნახსენებია რესპონდენტის ციტატაში, უნდა ჩანდეს, რომ ამ ტერმინს წყარო იყენებს. მაყურებელმა უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოხდა. განსაკუთრებით პირველ წუთებში, სასურველია, მედიამ გამოიყენოს სიტყვები, როგორებიცაა "თავდამსხმელი", "გამტაცებელი",„აფეთქება", „დაბომბვა", „სროლა", „ცეცხლის გახსნა", „შეიარაღებული პირი" და ასე შემდეგ. ჩვენი პასუხისმგებლობაა, შევინარჩუნოთ ობიექტურობა და, ვიდრე ფაქტები არ დადასტურდება, მივცეთ აუდიენციას საშუალება თავად გამოიტანოს დასკვნები.მნიშვნელოვანია ისეთი ჟურნალისტური ენის გამოეყენება, რომელიც თავისუფალია შეფასებებისგან. უმჯობესია, ფაქტები აღიწეროს მშრალად".

მაშინ, როდესაც საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია ტერორიზმთან და მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით, მედიას კი აკისრია პასუხისმგებლობა, უნებურად არ გახდეს ხელშემწყობი ტერორისტული შინაარსის მიმართვების თუ მოწოდებების ტირაჟირების, გამძაფრებული ტერორისტული საფრთხეების ფონზე, ავტორიტეტული და პასუხისმგებლობის მქონდე მედიაორგანიზაციები ჟურნალისტებს სთავაზობენ მსგავს სიტუაციებში მუშაობის სტანდარტების ძირითად კრებულს, სადაც დეტალურად გაწერილია ქცევის წესები და ნორმები.

ამ სტანდარტების თანახმად, ტერორისტული აქტები თუ მასთან დაკავშირებული სხვა ამბები უნდა გაშუქდეს ზუსტად, სრულად, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით და დიდი პასუხისმგებლობით. ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას საჭიროა ბალანსის დაცვა რათა, ერთი მხრივ, არ მიენიჭოს გადაჭარბებული მნიშვნელობა მომხდარ ამბავს და არ გამოიწვიოს პანიკა საზოგადოებაში და მეორე მხრივ, მოქალაქეებმა მიიღონ სრული ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ. ტერორისტული დაჯგუფების წევრები არ უნდა იყვნენ წარმოჩენილნი გმირებად, არ უნდა მიაწეროთ ისეთი თვისებები, რაც მათ „მამაც მებრძოლებად" წარმოაჩენს.

ჟურნალისტიკის უპირველესი მოვალეობა საზოგადოების ინფორმირებაა, ტერორისტის ქმედება კი თავისთავად არაფერია, მას ხომ თავისი პოლიტიკური

მიზნებისათვის უკიდურესად სჭირდება საჯაროობა, შესაბამისად - მედია. მაშინ, როდესაც ტერორისტი მედიაში მოკავშირეს ეძებს, რეალურად ის - მისი და, შესაბამისად, საზოგადოების მოსისხლე მტერია. ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას პასუხისმგებლიანმა მედიასაშუალებამ უნდა შეძლოს ბალანსის დაცვა გამოხატვის თავისუფლებასა და ტერორიზმისთვის პლატფორმის დათმობას შორის. მასობრივი ინფორმაციის საშუალება არ უნდა იქცეს მასობრივი განადგურების იარაღად. მედიამ მოძალადეს არ უნდა მისცეს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების საშუალება, საზოგადოება კი - დაიცვას ნეგატიური ფსიქოლოგიური გავლენისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაერო მოუწოდებს ჟურნალისტებს, მიიღონ ეთიკის კოდექსი, რომლითაც ტერორიზმის გაშუქება შეიზღუდება
http://www.media.ge/ge/portal/news/21666/
2. Media's Balancing Act with Terrorism
http://edition.cnn.com/2012/09/11/opinion/rather-media-and-terrorism/
3. Пресса как оружие массового поражения
http://www.isra.com/lit-29124.html
4. რა შეცდომები დაუშვა ქართულმა მედიამ ტერორისტული ვიდეომიმართვის გავრცელებისას და როგორ უნდა გაშუქებულიყო ვიდეო?!
http://www.ambebi.ge/sazogadoeba/148090-ra-shecdomebi-daushva-qarthulma-mediam-teroristuli-videomimarthvis-gavrcelebisas-da-rogor-unda-gashuqebuliyo-video.html
5. Editorial Guidelines BBC
http://www.bbc.co.uk/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies/accuracy-and-impartiality

გაეროს სამშვიდობო ოპერაციები
(სამართლებრივი ბაზა, იურიდიული და სტრატეგიული მხარე)

გოგი ცხოვრებაძე, *ისტორიის დოქტორი,*

რეზიუმე

სტატიაში მოკლედაა განხილული გაეროს სამშვიდობო ოპერაციების სამართლებრივი და სტრატეგიული მხარე სამხედრო - სამოქალაქო ურთიერთობათა კონტექსტში. გაეროს წესდების VI, VII და VIII თავების, ასევე 29 - ე და 42 მუხლების შესაბამისად განხილული გვაქვს, ვინ არის პსუხიმგებელი დავების მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე - „მშვიდობის შენარჩუნების" ან „მშვიდობის იძულების" ოპერაციების საშუალებით.

Peacekeeping operations of United Nations

Summary

The article briefli discusses legal and strategic sides of peacekeeping operations of united nations in the conteqst of militari – civilian relationships.

We discuss who is responsible for solving conflicts in a peaceful way either by peacekeeping or peacemaking operations according to the VI, VII and VIII titles of The 29 th and 42 th chapters of the Regilations of united Nations.

* * * * *

გაეროს მიერ გამოყენებული ტერმინები "მშვიდობის შენარჩუნება" და "მშვიდობის დამცველი" განსხვავდება იმ ტერმიენებისგან, რომლებიც გამოიყენება აშშ-ისა და ნატოს დოქტრინების მიერ. გაერო გამოიყენებს ტერმინს "სამშვიდობო ოპერაცია", ხოლო ნატო კი "მშვიდობის უზრუნველყოფის ოპერაციას".

გაეროს უპირველესი პასუხისმგებლობა არის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება. გაეროს წესდება იძლევა მრავალ მითითებებს ამ პასუხისმგებლობის შესრულებისათვის. 29-ე მუხლი გაეროს აძლევს უფლებას ჩაატაროს მშვიდობის შენარჩუნების ოპერაცია. 42-ე მუხლი კი იძლევა საშუალებას ჩაატაროს მშვიდობის იძულების ოპერაცია.

გაეროს მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები განვითარდა, როგორც გაეროს პრაქტიკული მექანიზმი, რომელსაც უნდა შეეჩერებინა შეიარაღებული კონფლიქტები და მოეწესრიგებინა ისინი მშვიდობიანი გზით. ეს მეთოდები დაწვრილებით არის აღწერილი გაეროს წესდების - VI, VII და VIII თავებში.

ცივი ომის დროს გაეროს ოპერაციები ფართოდ იყო ცნობილი, როგორც მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები, რომელიც ძირითადად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. მას მხარს უჭერდა სამხედრო ოპერაცია და დამოკიდებული იყო კონფლიქტში მონაწილე მხარეთა თანხმობასა და თანამშრომლობაზე. არსით ის დადიოდა შეუიარაღებელი ან მსუბუქად შეიარაღებული გაეროს სამხედრო მეთვალყურეების განთავსებაზე დაპირისპირებულ მხარეთა შორის, როდესაც შემდეგი პირობები იყო შესრულებული:

ა) არსებობს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ;

ბ) კონფლიქტში მონაწილე მხარეები სრულად ეთანხმებიან გაეროს ძალების გაშლას.

ტრადიციულად "გაეროს მშვიდობის შენარჩუნების" ოპერაცია ძირითადად შემოიფარგლებოდა პოლიტიკური შეთანხმების შემდეგ არსებულ მდგომარეობაზე მუდმივი მოხსენებებით.

დღეისათვის გაეროს მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციას, რომელსაც გაეროში უწოდებენ "ინტეგრირებულ მისიას" და ატარებენ გაეროს წესდების VIდა VII თავების მიხედვით,რომელიც მრავალგანზომილებიანია და სამხედრო მონაწილეობა მხოლოდ ფართო პოლიტიკური, დიპლომატიური, ჰუმანიტარული და ეკონომიკური პროცესის ნაწილია. სამხედროების ამოცანაა სამთავრობათაშორისო და სამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციების უზრუნველყოფა ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად, არჩევნების ორგანიზება და მართვა, განიარაღებისა და დემობილიზაციის ზედამხედველობა, ზოგადად მთავრობის მოქმედების მეთვალყურეობა, ლტოლვილების დაბრუნება და დემობილიზაცია, უსაფრთხო ადგილების დაცვა, ეროვნული მთავრობისა და ინსტიტუტების აღდგენა და სხვა ამოცანები.

ინტეგრირებული მისიის შესრულება გაცილებით რთულია, ვიდრე ტრადიციული გაეროს მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები და ახასიათებს არასტაბილური სახელმწიფოს შიგნით არსებული კონფლიქტები, თითქმის ომის მდგომარეობა და არა ღრმა დეპრესია.

გაეროს მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციების პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით პასუხისმგებელია გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწე (usycs), რომელიც დაკავებულია ოპერაციების ყოველდღიური მართვის საკითხებში. ამავე დროს იგი არის გენერალური მდივნის სამხედრო მრჩეველი და ამავე დროს პასუხისმგებელი მართვაზე, ლოჯისტიკასა და პირად შემადგენლობაზე.

მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციების დეპარტამენტი (unppko) უზრუნველყოფს რამდენიმე ოპერაციის მართვის ზედამხედველობასა და თავად შედის პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის შემადგენლობაში. იგი ასევე შეიმუშავებს მართვის მექანიზმე-

ბს, ოპერაციის დაგეგმვას, მომზადებასა და ჩატარებას.

ასევე არსებობს გაეროს დაქვემდებარებული ორგანიზაციები, რომლებიც დაკავებული არიან მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებით, ესენია:

ა) გაეროს ლტოლვილთა ოფისის უმაღლესი კომისარი (unhcr) . მას მთავარი ადგილი უკავია ლტოლვილთა, დაბრუნებულთა და იძულებით ადგილმონაცვლე პირებისათვის დახმარების კოორდინაციის საქმეში, კერძოდ ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენაში;

ბ) გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის სამსახური (ocha). მისი უმთავრესი ამოცანაა ქმედითი ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაცია ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

გ) უბედურ მოვლენათა გაეროს მართვის ჯგუფი (up-pmt). რომელიც კოორდინაციას უკეთებს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს იმ ადამიანებზე, რომელთაც უბედურების გამომოუწიათ სახლ-კარის დატოვება;

დ) გაეროს განვითარების პროგრამა (undp) უბედური შემთხვევებით გამოწვეული პირობების შემამსუბუქებელი გეგმების, ტექნიკური დახმარებისა და დაფინანსების განვითარება;

ე) მსოფლიო სასურსათო პროგრამა (wep), რომელიც წარმოადგენს ოპერატიული დახმარების მომტან ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს სურსათის მიზნობრივ განაწილებას და აღდგენით სამუშაოებს;

ვ) გაერთიანებული ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (unicef), რომელიც ყურადღებას უთმობს ბავშვებისა და ქალების კეთილდღეობას;

ზ) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (who), რომელიც პასუხისმგებელია პრევენტიული და მკურნალობით მედიცინის სფეროში;

თ) სურსათისა და მიწათმოქმედების ორგანიზაცია (fao) რჩევების გაცემა რისკის შესამცირებლად.

მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები და მშვიდობისთვის იძულების ოპერაციების განსხვავების წყალგამყოფი გადის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თანხმობა, მიუკერძოებლობა, ძალის გამოყენება და ეროვნული ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება.

აშშ-ს შეუძლია განახორციელოს სამშვიდობო ოპერაცია დამოუკიდებლად. მაგრამ, როგორც წესი ოპერაციის ჩასატარებლად, მშვიდობის შენარჩუნების ოპერაცია იქნება თუ მშვიდობის უზრუნველყოფის, აუცილებლობა საჭიროა გაეროს, ან რომელიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის უზრუნველყოფა.

გაეროს წესდება საერთაშორისო საზოგადოებას უზრუნველყოფს იმ საშუალებით, რომელიც გამოიყენება მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ ტერმიები "მშვიდობის შენარჩუნების ოპერაცია" და "მშვიდობისათვის იძულების ოპერაცია" არ არის მოხსენებული გაეროს წესდებაში, ტერმინები აღწერენ იმ მოქმედებებს, რომლებიც სისრულეში მოყავთ გაეროს წესდების VI თავის თანახმად, "დავების მშვიდობიანი გზით მოგვარება", თავი VII "ქმედებანი მშვიდობისადმი მუქარის, მშვიდობის დარღვევის და აგრესიის აქტების მიმართ", და შესაბამისად თავი VII "რეგიონალური შეთანხმებები".

გაეროს წესდების VI თავი განიხილავს მშვიდობიანი ზომების ერთობლიობას, კერძოდ დავის მოგვარებას მოლაპარაკების, გამოკვლევის, შუამავლობის, შერიგების, არბიტრაჟის, სასამართლო განხილვის, რეგიონალური ორგანოებისადმი ან შეთანხმებისადმი მიმართვის, ან ნებისმიერი სხვა მშვიდობიანი დიპლომატიური გზით, მაშინ როდესაც VII თავი გაეროს უსაფრთხოების საბჭოს უზრუნველყოფს იძულების ფართო სპექტრით - დიპლომატიური და ეკონომიკურიდან მოყოლებული შეიარაღებული ძალების ფართო გამოყენებით დამთავრებული.

VIII თავის თანახმად, ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორებიცაა ნატო, ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია (oas), აფრიკული სახელწიფოების ერთობა (oau); დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიური ერთობა და ევროკავშირი (eu) უფლებამოსილნი არიან იმოქმედონ რათა თავიდან აიცილონ, შეაჩერონ ან შეაკავონ კონფლიქტი საკუთარი პასუხისმგებლობის რაიონებში.

მსგავსად, ზოგიერთ ერებს მოლაპარაკებული აქვთ მრავალმხრივი შეთანხმებები მშვიდობის დაცვის ოპერაციების ჩატარების მიზნით, უკვე არსებული მუდმივმოქმედი ფორუმებისაგან დამოუკიდებლად. მიუხედავად ამისა ასეთი ოპერაციების ჩატარება ხდება რეგიონალური ორგანიზაციების ან გაეროს არაპირდაპირი თანხმობით.

უშიშროების საბჭოს მიერ ნებადართული მშვიდობის შენარჩუნების პირველი ოპერაცია დაიწყო 1948 წლის ივნისში, იგი დღესაც გრძელდება (UNTSO-UNITED NATIONS TRUCE SUPERVISION ORGANIZATION), ტარდება ახლო აღმოსავლეთში, შტაბით იერუსალიმში.

1988 წლის შემდეგ 48 მისია იქნა ნებადართული

- 1988 - 2 1993 - 6 1998 - 3 2003 - 1
- 1989 - 3 1994 - 2 1999 - 4 2004 - 3
- 1990 - 0 1995 - 4 2000 - 1 2005 - 1
- 1991 - 5 1996 - 3 2001 - 0 2006 - 1
- 1992 - 4 1997 - 4 2002 - 2 2007 - 2

2012 წლის მონაცემებით მიმდინარეობს გაეროს მშვიდობის შენარჩუნების 17 ოპერაცია დაახლოებით 83,000 სამხედრო, პოლიციელისა და 18,000 სამოქალაქოს მონაწილეობით.

როდესაც გაერო ჩამოყალიბდა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ძალის გამოყენების მუქარა ან მისი გამოყენება საკმარისი იქნებოდა, რომ ერთ ერს უარი ეთქვა მეორეზე თავდასხმისაგან და მშვიდობა შენარჩუნებული იქნებოდა.

„უშიშროების საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს, თავის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რა ზომები უნდა იქნას მიღებული, რომელიც არ მოიცავს შეუიარაღებელი ძალების გამოყენებას და

მას შეუძლია მოსთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს ამ ზომების გამოყენება. ეს ზომები შეიძლება მოიცავდნენ ეკონომიკურ ურთიერთობებს, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო მიმოსვლის, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო ან კავშირგაბმულობის სხვა საშუალებათა სრულ ან ნაწილობრივ შეწყვეტას და დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტას" (მუხლი 42; თავი VII);

"წინამდებარე წესდებაში არაფერი არ ეწინააღმდეგება რეგიონული შეთანხმების ან ორგანოების არსებობას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების სფეროს ისეთი საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც შეეფერებიან რეგიონალურ ქმედებებს, იმ პირობით, რომ ასეთი შეთანხმებები ან ორგანოები და მათი საქმიანობა შესაბამისობაშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან და პრინციპებთან (მუხლი 52. თავი VIII).

IFOR და SFOR ნატოს ოპერაციებია და არა გაეროს. მაგრამ ისინი ტარდება გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მანდატის ქვეშ. იგივე ითქმის EUFOR. იდეა ამის უკან მარტივია, რეგიონალური ორგანიზაციები ხშირად უფრო ეფექტურია ვიდრე გაერო, მაგრამ ასეთი ორგანიზაციებს ჯერ კიდევ სჭირდებათ უშიშროების საბჭოს ნებართვა, რათა თავიდან იქნას აცილებული თვითნებური მიდგომები.

VIII თავის თანახმად ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს როგორებიცაა ნატო, ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია (OAS), აფრიკული სახელმწიფოების ერთობა (OAU); დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიური ერთობა და ევროკავშირი (EU) უფლებამოსილნი არიან იმოქმედონ რათა თავიდან აიცილონ, შეაჩერონ ან შეაკავონ კონფლიქტი საკუთარი პასუხისმგებლობის რაიონებში.

წარუმატებელი:

- სომალი - სამი ფაზა: საჰაერო გადაყვანა, ინტერვენცია, იძულება. გაშლილი ძალა საკმაოდ ძლიერი არ არის, რომ შეასრულოს მშვიდობისათვის იძულების ამოცანის მოთხოვნები; პოლიტიკური ნების ნაკლებობამ მიგვიყვანა გაწვევამდე.
- ბოსნია-ჰერცეგოვინა (სერბრენიცა) - UNPROFOR ვერ შეძლო სერბების მიერ "უსაფრთხოების ზონებში" შემოღწევის თავიდან აცილება, რომლის შედეგადაც 15.000 ბოსნიელი მუსლიმი იქნა გაჟლეტილი. გაეროს ძალებმა კი დაბლოკეს ხიდები, რომ თავიდან აეცილებინათ ნატოს საჰაერო დარტყმები.
- რუანდა - შეთანხმება მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული; ჩარევა მოხდა ძალიან გვიან (1994წ. ივნისი) და არასაკმარისი ძალებით (2500 ნაცვლად დაგეგმილი 5000), რომ თავიდან აეცილებინათ გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინაშე (სხვადასხვა მონაცემებით დაახლოებით 800.000 ადამიანი იქნა ამოწყვეტილი, მოსახლეობის 20%);
- სიერრა ლეონე - პოლიტიკური ნების ნაკლებობამ და არასაკმაოდ მომზადებულმა, სუსტმა სამხედრო პასუხმა შედეგად გამოიწვია ასეულობით გაეროს ჯარისკაცის მძევლად აყვანა ერთ-ერთი მონაწილე მხარის მიერ; გაერომ ვერ შეძლო სამხედრო ძალების გამოყენება.

საბოლოოდ, მონესრიგება და არა გამარჯვება არის მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციის წარმატების საზომი. წარმატება მიიღწევა ეროვნული და საერთაშორისო ძალისხმევისა და მექანიზმების კომბინირებული გამოყენებით. მოწესრიგება, რომელიც მიიღწევა მშვიდობიანი მოლაპარაკებით უფრო მისაღებია, ვიდრე იგივე მიღწეული საკითხის ძალისმიერი გადაწყვეტით. მნიშვნელოვანია, რომ სამშვიდობო ძალამ შექმნას ყველა პირობა და შეინარჩუნოს იგი, რათა მოგვარდეს საკითხის მშვიდობიანი და დიპლომატიური, პოლიტიკური გადაწყვეტა. ასევე, მნიშვნელოვანია იმის ამოცნობა, რომ მშვიდობიანი მოწესრიგება და სასურველი საბოლოო შედეგის მიღწევა შეუძლებელია. ეს შესაძლებელია ნათელი გახდეს მონაწილე მხარეთა პოლიტიკური ნების ან საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის ნაკლებობით.

გაერო ხშირად მიუთითებს "მშვიდობის მიღწევას," როგორც მანდატის ამოცანას. მიიღწევა ეს..

- შეიარაღებული კონფლიქტის ამოწურვით;
- მისაღები სამოქალაქო წესრიგით;
- მისაღები ჰუმანიტარული პირობებით;
- ცეცხლის შეწყვეტის ხანგრძლივვადიანი შეთანხმებით;
- შემცირებული ეთნიკური დაძაბულობით;

ამავე დროს, ამოცანის წარმატებით შესრულების განსაზღვრა და შეფასება ძნელია.

აქვე შეიძლება დაისვას კითხვა, **როგორ** ზეგავლენას ახდენს ასეთი ოპერაციები სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებულ ძალებზე?

შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ გაეროს ზურგის გამაგრების საშუალებას და ხშირად მოქმედებენ, როგორც ერთგვარი სასწრაფო დახმარების მაშველთა რაზმი, როდესაც გაეროს ოპერაციას საფრთხე ემუქრება. თუმცა ეს ყოველთვის არ არის გამოსავალი. აღსანიშნავია, რომ ასეთი ქვეყნები გაეროს შესაბამისი რეზოლუციების შემდეგ თავადაც ატარებენ ჰუმანიტარულ მისიებს 1990 წლებიდან მოყოლებული. მაგალითად აშშ-ს ასეთი ძალისხმევის გამოჩენა უჯდება 3 მილიარდი წელიწადში, რაც აშშ თავდაცვით დანახარჯების 1%-ია. ოპერაციებში მონაწილეობა ასევე სერიოზული დატვირთვაა აშშ სამხედროებისათვის, პოლიტიკოსებისათვის და ამერიკელების სამხედრო აღჭურვილობაზე.

საქართველომ 2006 წლიდან ვიდრე 2010 წლის ივნისამდე სულ 70, 641 მილიონი ლარი დახარჯა კოსოვოს, ავღანეთისა და ერაყის ოპერაციებში.

აღსანიშნავია, რომ აშშ-მა 10 მილიარდი დახარჯა ბოსნიაში, 8 მილიარდი ერაყში, 5 მილიარდი კოსოვოში, 2 მილიარდი სომალში, 1 მილიარდი ცენტრალურ აფრიკაში და 1 მილიარდი ჰაიტში პენტაგონის მონაცემების თანახმად. ასევე ადგილი ჰქონდა გაუთვალისწინებელ დანახარჯებს ძალათა მოულოდნელი გაშლის გამო კორეაში, ტაივანზე და ა.შ. ამ დანახარჯების მესამედი, განსაკუთრებით კი ერაყსა და კორეაში, ან ჰაიტზე სულაც არ იყო ჰუ-

მანიტარული ოპერაციები, როგორც ეს ოფიციალურად არის ცნობილი გაცემული მანდატის მიუხედავად, არამედ წარმოადგენდა სრულფასოვან სამხედრო ამოცანას, რომლის მიზანი იყო სადამ ჰუსეინის შეკავება. ასეთი ამოცანების შესრულებას შესაძლოა ჰქონდა გარკვეული ჰუმანიტარული (ფრენების აკრძალული ზონების გამოცხადებამ შეამცირა სადამის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლების ჩახშობის მცდელობა) განზომილება, მაგრამ ასეთი ოპერაციები პრინციპულად არ იყო ჰუმანიტარული ან მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

- მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციების კონცეფცია მორგებული უნდა იყოს გრძელვადიან განვითარებად გარემოცვაზე;
- მნიშვნელოვანია მშვიდობის უზრუნველყოფის ოპერაციების ძირითადი კონცეფციის გაგება;
- აუცილებელია ოპერაციის ლეგიტიმურობა;
- ხშირად წარმატება დამოკიდებულია მოცემულ ვითარებაში გაბატონებული მდგომარეობის მიღწევის შესაძლებლობაზე;

ოპერაციის დროს, ასევე მეთაურებმა უნდა გაანიხილონ ბევრი ახალი პოლიტიკური, საინფორმაციო, ეკონომიკური და სამხედრო განზომილებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ.ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ. 2010.

2. სამშვიდობო ოპერციები, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი საშუალება, ალმანახი 1999 N 9, საერთაშორისო სამართალი (II), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბ. 2008.

3. Ungeorgia. Ge/upl.oads/UNC harter.pdf - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და საერთაშორისო სამართლის სტატუსი. (სრული ტექსტი)

აფხაზეთი - საქართველო ძიებანი შერიგებისათვის

***სოფო მიდელაშვილი**, პროფესორი*

Summary

The center of legal, political and economic research of conflict resolution works at Georgian Technical Univeristy. On the base of the centre carried out the first part of a project named ,, Abkhazia of Georgia and Hong Kong of China (Searching for the conflict resolution)" and the monography ,, Hong Kong, China - 1997 " was prepared .

Above mentioned Centre continues to work the second part of the project - ,, Precedents of conflict resolution and modeling of a special national status of Abkhazia" - under the guidance of Professor Jemal Gakhokidze.

The main purpose of the project is to work out a model of a special national status of Abkhazia, to prepare Abkhazia's draft constitution on the conceptual level and in this connection the draft amendments to the Constitution of Georgia.

* * * * *

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში 2014 წლის თებერვლიდან ფუნქციონირებს „კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრი", რომლის ბაზაზე განხორციელდა პროექტის ,,საქართველოს აფხაზეთი და ჩინეთის ჰონკონგი (ძიებანი კონფლიქტის დარეგულირებისათვის)" პირველი ნაწილი და მომზადებულ იქნა ნაშრომი ,,ჰონკონგი, ჩინეთი - 1997". აღნიშნულმა ნაშრომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში. ქართული საზოგადოებისათვის საინტერესო აღმოჩნდა ჩინეთის და ჰონკონგის გამოცდილება კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, სათანადო შეფასება მიეცა და განსაკუთრებული ხაზგასმა გაკეთდა იმაზე, რომ ბევრი რამ ჩინელების, ჰონკონგელების და ბრიტანელების მიერ უკვე გავლილი პერიპეტიებიდან გასათვალისწინებელი, გამოსაყენებელი და ყურადსაღებია, თუმცა, არა ერთი-ერთზე. უფრო მეტიც, ჰონკონგელების თითქმის სრული დამოუკიდებლობა ეკონომიკურ საქმიანობაში ძალიან მიმზიდველი იქნება, დღეს თუ არა ხვალ, აფხაზებისა და ოსებისათვის.

აღნიშნული ცენტრი პროფესორ ჯემალ გახოკიძის ხელმძღვანელობით აგრძელებს მუშაობას პროექტის მეორე ნაწილზე: ,,კონფლიქტების დარეგულირების პრეცედენტები და აფხაზეთის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი სტატუსის მოდელირება".

2008 წლიდან დღემდე კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხი კიდევ უფრო ჩიხში შევიდა და დამაიმედებელი პერსპექტივაც არ ჩანს. არ გვაქვს პასუხი შეიძლებოდა თუ არა კონფლიქტების თავიდან არიდება და არც მოდელია შემუშავებული თუ როგორ შეიძლება მოხდეს კონფლიქტის დარეგულირება. ასეთ ვითარებაში საჭიროა ახალი გზების ძიება, რომელიც რეალპოლიტიკას დაემყარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენთვის საინტერესოა შევისწავლოთ საერთაშორისო გამოცდილება კონფლიქტების თავიდან აცილების თვალსაზრისით, მისი საქართველოს შიდა კონფლიქტების დარეგულირების პროცესში გამოყენების კუთხით. სწორედ ამ მიზნით, ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა იტალიისა და დიდი ბრიტანეთის პრეცედენტები კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით და გადავწყვიტეთ მათი მეცნიერული კვლევა პოლიტიკურ-სამართლებრივ და ეკონომიკურ ასპექტში.

საყურადღებოა ჩრდილოეთ იტალიაში მდებარე სამხრეთ ტიროლის ავტონომიური პროვინციის საკითხი. პირველად კვლევებმა გვიჩვენეს, რომ აღნიშნულ პროვინციაში 64 პროცენტი მოსახლეობის ავსტრიული წარმოშობისაა და გერმანულად ლაპარაკობს. ეთნიკურ და ენობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტი ხშირად იწვევდა მოთხოვნას სეცესიაზე. დავა ფართო ავტონომიის შესახებ იტალიასა და ავსტრიას შორის დასრულდა 1992 წელს. იტალიის სახელმწიფოს მიერ სამხრეთ ტიროლს მიენიჭა მაღალი დონის თვითმმართველობა, რომელიც გამოიხატება ექსკლუზიურ, პრაქტიკულად დამოუკიდებელ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში და სახაზინო რეჟიმში, რომელიც საშუალებას აძლევს პროვინციას თავის ბიუჯეტში დაიტოვოს დიდი ნაწილი გადასახადების. ასევე, გადაწყვეტილ იქნა ადგილობრივი ენობრივი უმცირესობების დაცვის საკითხი, გერმანული და იტალიური ორივე ოფიციალურ ენადაა აღიარებული სამხრეთ ტიროლში. მცხოვრებთა უმრავლესობა სამხრეთ ტიროლში საუბრობს მშობლიურ ავსტრო-ბავარიული დიალექტის გერმანულ ენაზე. სტანდარტული გერმანული თამაშობს დომინანტურ როლს განათლებასა და მედიაში. სასამართლოში ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება გამოიყენოს მშობლიური ენა. სკოლებში ჯგუფები დაყოფილია ენების მიხედვით.

სამხრეთ ტიროლის ავტონომია ეფუძნება სამ ფაქტორს:

პირველ რიგში, იტალიის სახელმწიფოს მიერ შეიცვალა დამოკიდებულება უმცირესობების მიმართ: ადგილობრივი ენობრივი უმცირესობების დაცვა ითვლება ეროვნულ ინტერესად. უფრო მეტიც, იტალიის კონსტიტუციამ ოფიციალურად აღიარა სახელის ,,სამხრეთ ტიროლის" ლეგიტიმურობა რეგიონისთვის.

მეორე, პირველადი საკანონმდებლო ძალაუფლე-

ბა გადაეცა სამხრეთ ტიროლს ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და სატყეო, ტურიზმი, საზღვრის დაცვა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, კომუნიკაციები და ტრანსპორტი, სამთო, საბავშვო ბაღები, სკოლები, საზოგადოებრივი საქმიანობა, დასაქმება და პროფესიულ მომზადება.

და ბოლოს, საშუალო საკანონმდებლო ძალაუფლება გადაეცა სამხრეთ ტიროლს ისეთ სფეროებში, როგორიცაა სწავლება დაწყებით და საშუალო სკოლებში, ვაჭრობა და კომერცია, ინდუსტრიის ხელშეწყობა, ჰიგიენა და ჯანმრთელობა, სპორტი და დასვენება. ყველაფერი ეს მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით მიუთითებს იმაზე, რომ იტალიის ხელისუფლებამ თავიდან აიცილა მომწიფებული კონფლიქტი სამხრეთ ტიროლთან მიმართებაში.

კონფლიქტის დარეგულირების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის მიდგომა შოტლანდიასთან (საკითხის შესახებ არსებობს მწირი ინფორმაცია, იგი მოითხოვს მეცნიერულ დონეზე სერიოზულ პოლიტიკურ-სამართლებრივ და ეკონომიკურ ანალიზს). 2015 წელს შოტლანდიამ ჩაატარა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხზე, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობამ აირჩია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში დარჩენა. დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან თანხმობის გაცხადება და ასეთ რისკზე წასვლა, თუმცა დიდ ბრიტანეთს ტესტი ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტთან დაკავშირებით უნდა ჩაებარებინა — ყველაფერი უნდა დასრულებულიყო ცივილიზებულად, ყველანაირი ძალადობის გამოყენების გარეშე. თუ შოტლანდიელები დამოუკიდებლობას არჩევდნენ, მას დიდი ბრინატეთი ,,გაუშვებდა" კიდეც, ოღონდ, რა თქმა უნდა, მათ არაერთ საკითხზე უნდა ეკისრათ დიდი რისკებით დატვირთული პასუხისმგებლობა. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საკითხებში შოტლანდიის მოსახლეობამ თვალნათლივ დაინახა, რომ მხოლოდ ემოციებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება არ იქნებოდა უკეთესი ცხოვრების გარანტია. ამასთან, ძალაში დარჩა შოტლანდიის თვითმმართველობისათვის რეალური დამოუკიდებლობის და მისი შემდგომი გაფართოების პროექტი, შოტლანდიელები საკუთარი საქმეების გადაწყვეტისას მეტ დამოუკიდებლობას მიიღებენ. გარდა ამისა, ჩვენი პირველადი კვლევები მიუთითებს იმაზე, რომ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ რეფერენდუმის წინ მისცა გარანტიები შოტლანდიელებს მათი უფლებების კიდევ უფრო გაფართოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში და ცენტრალურ ბიუჯეტში გადასახადების მაქსიმალურად შემცირების მიმართულებით, რაც ამ უკანასკნელთა მიერ აღქმულ იქნა როგორც საფუძელი და გარანტია ცხოვრების დონის რეალურად ასამაღლებლად. ფაქტია, რომ ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების საკითხი ძალიან დიდი ხნით გადაწყდა და უახლოეს ათწლეულებში მას აღარავინ დაუბრუნდება. ბრიტანეთმა აიცილა კარს მომდგარი კრახი და გაერთიანებული სამეფოს რღვევის დასაწყისი.

აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევა ხასიათდება თავისებურებებით, ცხადია, მოდგომებიც განსხვავებულია პრობლემების გადასაჭრელად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამხრეთ ტიროლისა და შოტლანდიის საკითხების ბაზისური შესწავლა და კომპლექსური კვლევის ჩატარების აუცილებლობა. ფაქტია, კონფლიქტების დარეგულირების საერთაშორისო გამოცდილება არ არის სათანადოდ შესწავლილი, გამოკვლეული და გაანალიზებული და სწორედ ამაში მდგომარეობს ამის მიზანშეწონილობაცა და აუცილებლობაც.

რა თქმა უნდა, კვლევისას სრულად იქნება გამოყენებული ჩვენი პროექტის პირველი ნაწილის შედეგები ჰონკონგ-ჩინეთის მიმართულებით.

რაც შეეხება პროექტის მეორე ნაწილს, იგი ითვალისწინებს ძიებას აფხაზეთის განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ სტატუსთან დაკავშირებით, რომელიც, უდავოდ, ზეაქტუალური და უმნიშვნელოვანესი საკითხია. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ სახელმწიფოს, განსაზღვრა მისი პოლიტიკური წყობილების ფორმა, აღიარა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, დაადგინა ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებები, სტრუქტურა და საქმიანობის წესი, აგრეთვე საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა ურთიერთობის ფორმა და პროცედურები. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის, შეიარაღებული კონფლიქტებისა და მთელ ქვეყანაში გამეფებული ქაოსის მიუხედავად, ქვეყნისათვის ურთულეს გარდამავალ პერიოდში საქართველომ შეძლო ახალი კონსტიტუციის მიღება, რომელმაც ახალგაზრდა, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებულ სახელმწიფოს სტაბილურობა შემატა. მაგრამ კონსტიტუციის მიღების დროს არ მოხერხდა საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი წყობილების განსაზღვრა. ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ სახელმწიფოს უზენაესი კანონი მხოლოდ ზოგადი ფრაზით შემოიფარგლა და მისი მოწესრიგება მომავლისათვის გადაიდო.

ნებისმიერი სახელმწიფოსათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ამ საკითხის ზემოხსენებული სახით "მოწესრიგების" უმთავრესი მიზეზი იმ პერიოდში ქვეყანაში არსებული ზემოთ აღნიშნული ვითარება (მოუგვარებელი კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, მწვავე კრიმინალური მდგომარეობა) და კონსტიტუციის მიღების უკიდურესი აუცილებლობა იყო. გარდა ამისა, პარლამენტში წარმოდგენილი რამდენიმე პოლიტიკური პარტია მიზანშეუწონლად მიიჩნევდა აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების

მიღებას. დღეს ექსპერტთა უმრავლესობა თვლის, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ოპტიმალური გამოსავალი იყო შექმნილი სიტუაციიდან, რადგან ამით, ერთი მხრივ, შენარჩუნდა სტატუს-ქვო, ხოლო მეორე მხრივ შეიქმნა ახალი ქართული სახელმწიფო და დაიწყო კონსტიტუციით განსაზღვრული სახელმწიფო-სამართლებრივი რეფორმების პროცესი. მიუხედავად ამისა, დღეს ასევე ყველა ხედავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით სამომავლოდ გადადებული ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის გადაწყვეტა ძალიან გაიწელა დროში, შეიძლება დაგვიანდა კიდეც, რამაც ბოლო ხანს მთელი რიგი სირთულეები წარმოშვა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყოველ შემთხვევაში ის რაც დღეს საქართველოს კონსტიტუციაშია დაფიქსირებული განდგომილ რეგიონებთან დაკავშირებით სასწრაფოდ მოითხოვს კორექტირებას და სრულყოფას. სწორედ ამიტომ, აუცილებელია აღნიშნული პროცესის დაწყება, აფხაზეთთან მიმართებაში და საერთოდ, ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დასაბუთებული კონცეფციისა და წინადადებების შემუშავება. ამ პრობლემის მიმართ სახელმწიფოს გაურკვეველი დამოკიდებულება დიდ შეშფოთებას იწვევს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობასა და ორგანიზაციებშიც, რომლებიც წლების განმავლობაში ჩართული არიან კონფლიქტის მოგვარების პროცესში. დღეს უკვე ყველა მხრიდან ისმის კითხვები: კონკრეტულად როგორ გამოიყურება საქართველოს ხელისუფლების თუ სამეცნიერო და საზოგადოებრივი წრეების მიერ ყოველი მოლაპარაკებისა და შეხვედრის დროს გაცხადებული "აფხაზეთის ფართო ავტონომია"? რაში მდგომარეობს აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის განსაკუთრებულობა? შესაძლებელია თუ არა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში? დაირღვევა თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსი? თუნდაც, მხოლოდ ამის გამო აუცილებელია საქართველოს ხელისუფლებამ განსაზღვროს თავისი პოზიცია როგორც აფხაზეთის პრობლემის, ისე ქვეყნის მომავალი ტერიტორიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საკითხში.

უდავოა პროექტის აქტუალობა და მიზანდასახულობა, რამეთუ ქვეყანაში არსებული კონფლიქტების გადაწყვეტისთვის ახალი მიდგომების შემუშავება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

ამასთან, ჩვენს მიერ გაანალიზებული და სათანადოდ გამოყენებული იქნება დღემდე ჩატარებული ასეთი კვლევები როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სამწუხაროდ, დღემდე ისევ გაისმის რიტორიკული კითხვები: არის კი ახლა ხელსაყრელი გარემო კონფლიქტების დარეგულირებისათვის? ჩვენ კი არ უნდა ველოდოთ, როდის შეიქმნება ხელსაყრელი პოლიტიკური გარემო კონფლიქტების დარეგულირებისათვის, ასეთი გარემო ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ. ერთი სიტყვით კი არ უნდა ველოდოთ როდის დააკაკუნებს ჩვენს კარებზე პოლიტიკური იღბალი, არამედ ეს ჩვენ უნდა დავიმსახუროთ.

პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს, საქართველო-აფხაზეთის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთი მხრივ აფხაზეთის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი სტატუსის სამუშაო მოდელის შემუშავება და მეორე მხრივ აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის მომზადება კონცეპტუალურ დონეზე. ასევე, საქართველოს კონსტიტუციაში ამასთან დაკავშირებით შესატანი ცვლილებების პროექტი.

როგორც მოგეხსენებათ პროექტს ხელმძღვანელობს პროფესორი ჯემალ გახოკიძე. პროექტში მოწვეულნი არიან სახელმწიფო და კონსტიტუციური სამართლის ცნობილი მეცნიერები, პროფესორები ავთანდილ დემეტრაშვილი და ქეთევან ჯინჭარაძე. საჭიროების შემთხვევაში მოწვეულნი იქნებიან ამ დარგის სხვა გამოჩენილი სპეციალისტებიც. ყველაფერი ეს კი ჩვენს ჯგუფს განაწყობს ოპტიმიზმით და საინტერესო შედეგებს ველოდებით.

სასურსათო უსაფრთხოება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საქართველოში

(ლექცია დოქტორანტებისათვის)

ზურაბ გარაყანიძე, *პროფესორი*
ნოდარ მოდებაძე, *რფ. ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

The Georgia's food security during the transition
(Lecture for Ph.D. candidates)

Zurab Garakanidze, Ph.D. (Economics);
Nodar Modebadze Ph.D. (Economics);

Summary

It is statistically confirmed that throughout last few weeks, suicide rates have significantly increased in Georgia. Especially alarming is the number of suicide among teens. Modern psychological studies have revealed that food security - food sufficiency, accessibility, as well as over-dependence on import and food safety are among the main reasons for growing suicide rates.

Suicide is not just a Georgian problem. According to data from international organizations, there is one suicide every 40 seconds around the World, i.e. about 800 thousand people die per year. The latest scientific findings show that two-thirds of suicides occur in the countries with a low level of average income; it is also known that risks of suicide increase when there is a limited access to healthcare services.

Kommersant's article 'Youth Suicide Becomes Epidemic' indicates that, at the moment, suicide growth has so far been avoided by three countries - Sweden, Finland and Austria. Psychologists explain this success by the introduction of effective government social programs. However, in case of socially stable Japan, reasons for high rates of suicide are related to the historical tradition – 'Kharakiry' instead of poor social conditions.

Mental disorders, financial problems, alcohol/drug abuse and chronic diseases are considered to be the common causes of suicides around the World. Modern psychologists believe that economic problems, including food accessibility and sufficiency, are among the main causes of suicide. It should be noted that the terms 'food security' and 'food safety' are often misused in Georgian economic literature. 'Food security' means sufficiency and accessibility of food, as well as dependency on imports, protection of domestic production, while 'Food safety' refers to the ecological purity of the product. These issues are more precisely discussed in this blog.

For ensuering of food security of the country developed states established a legal framework for food security. Many countries set up the local food procurement systems, product price regulation mechanisms, local farmers protective schemes, etc. Sometimes the non-tariff barriers have also been widely used: import quotas, licenses, subsidies, subventions, the invasion of foreign markets, social and agricultural programs, etc.

* * * * *

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა, გარემოს დაცვის, ენერგიის ახალი წყაროების გამოყენებისა და სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად მიეკუთვნება მსოფლიოს გლობალურ პრობლემათა რიცხვს, რომელთა გადაჭრაზე ბევრადაა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი (Римская декларация, 2012).[1]

სულ უფრო მეტი მეცნიერი, პრაქტიკული მუშაკი და პოლიტიკური მოღვაწე თვლის, რომ მალე სასურსათო პრობლემა საერთაშორისო კრიზისამდე მიგვიყვანს და ექსპერტების აზრით სურსათზე მოთხოვნის ზრდა განპირობებული იქნება ორი გარემოებით: დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდითა და ყველა ქვეყნის მისწრაფებით, რათა გაზარდოს თავისი მოსახლეობის კვების კალორიულობა და ხარისხი. გაანგარიშების თანახმად, დედამიწის მოსახლეობა 2030 წლისათვის მიაღწევს 8,9 მლრდს. სხვადასხვა ქვეყნებს შორის კვების ხარისხისა და კალორიულობას შორის განსხვავების ლიკვიდაცია ასევე იქნება სურათზე მოთხოვნის ზრდის მძლავრი ფაქტორი. ექსპერტების ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, თუ ამოსავალ პუნქტად მხოლოდ პლანეტის მოსახლეობის აღნიშნულ ზრდასა და კვების თანამედროვე ნორმებს მივიჩნევთ, მაშინ მარცვლეულის დეფიციტი 2030 წლისათვის იქნება 526 მლნ. ტონა, ხორცის - 40 მლნ. ტონა, ზღვის პროდუქტების - 68 მლნ. ტონა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80—იან წლებში მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის, ფაო-ს ხელმძღვანელი ჟაკ დიუფი თვლიდა, რომ თუკი არ მოხდება სურსათის წარმოებასა და ნიადაგის ნაყოფიერებაში ტექნოლოგიური გარღვევა, XXI საუკუნის პირველივე ნახევარში უკვე შეიძლება დაიწყოს უმძლავრესი სასურსათო კრიზისი.

აღნიშნულ სფეროში სიტუაციის მოსალოდნელ გართულებასთან დაკავშირებით შესაძლებელია ცალკეულ ქვეყნებში მოხდეს ეროვნული სტრატეგიის გადასინჯვა. განვითარებული ქვეყნების ერთი ნაწილი უკვე მუშაობს ამ მიმართულებით, მათ გადახედეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზ-

ნით ადრინდელი შეხედულებები ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდის შესახებ.

ტერმინი „სასურსათო უსაფრთხოება“ საერთაშორისო პრაქტიკაში შემოღებულია XX ს. 70-იანი წლებიდან, მარცვლეულის ღრმა კრიზისის შემდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის - ფაო-ს ეგიდით შექმნილია საერთაშორისო სასურსათო უსფრთოხების მუდმივმოქმედი კომიტეტი.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს დიდი ყურადღება ექცევა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. აღნიშნული საკითხები მთავრობების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საგანია და ამ საკითხებიდან გამომდინარე ისინი აყალიბებენ იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრას (კრისტოფ კორდონიე, 2010; ვინსენტ ვოლკჰარტის, 2008)[2].

ამჟამად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას აქვს სასურსათო უსაფრთხოების საკუთარი საკანონმდებლო ბაზა. ასე მაგალითად, აშშ-ში კანონს „სასურსათო უსაფრთხოების შესახებ“ აქვს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია. გერმანიაში, ჯერ კიდევ 1955 წელს მიიღეს კანონი „გერმანიის სოფლის მეურნეობის შესახებ“ რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ვალდებულია სასურსათო მომარაგების პრობლემა განიხილოს როგორც სტრატეგიული ამოცანა, აუცილებლობის შემთხვევაში მოახდინოს სასურსათო ფონდების ფორმირება, გამოიყენოს ეკონომიკური სტიმულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებების მთელი კომპლექსი და არ დატოვოს სასურსათო პრობლემა მესამე ქვეყნებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში.

სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის რეალიზაცია განვითარებულ ქვეყნებში ხორციელდება სახელმწიფოს მხრივ ეკონომიკურ განვითარებაში აქტიური ჩარევის, საკუთარი სასოფლო-სამეურნეო საქონლის მწარმოებლების მიმართ თანადგომის გზით. სახელმწიფოს მხრივ მხარდაჭერას აქვს მრავალასპექტიანი ხასიათი. ესაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, ფასების რეგულირება, აგრარული წარმოებისთვის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაზე კვოტის დაწესება, საქონელმწარმოებელთა დაცვა საზღვარგარეთიდან უფრო იაფი სურსათით ინტერვენციისგან, სოციალური პროგრამების დაფინანსება და ა.შ. დასავლეთის ბევრი მთავრობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზრის რეგულირებას ახდენს სათესი ფართობების დაგეგმვის, სახელმწიფოს მიერ საქონლის ნამატის შენახვისა და შემდგომი რეალიზაციის გზით, ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საგარეო ბაზრების გაფართოებას, უზრუნველყოფს მისი ხარისხის კონტროლს, ატარებს ბუნების დაცვის ღონისძიებებს და ა.შ.

სასურსათო უსაფრთხოების არსი

საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისტორიაში სასურსათო უსაფრთხოების საკითხი გასული საუკუნის 70—იან წლებამდე არ წამოწეულა. ბუნებრივია, ამ პრობლემის ირგვლივ სამეცნიერო კვლევაც ამ დრომდე არ მიმდინარეობდა. თანამედროვე პირობებშიც საქართველოში პრაქტიკულად მხოლოდ ბოლო წლებში მიმდინარეობს მუშაობა სასურსათო უსაფრთხოების საკითხების შესწავლაზე, იშვიათია თუმცა მაინც გვხვდება მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის შესახებ ფუნდამენტური გამოკვლევები (ნ. მოდებაძე, ზ. გარაყანიძე, 1998; პ. კოღუაშვილი 1999, 2004)[3]. ძალზე სუსტი და ნაკლებ ეფექტიანია ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა.

როდესაც ლაპარაკია უსაფრთხოებაზე, აშკარაა, რომ იგულისხმება გარკვეული საფრთხეები, რომელთა ნეიტრალიზებაც აუცილებელია, უკიდურეს შემთხვევაში უნდა შემცირდეს მათი ნეგატიური ზემოქმედება. სასურსათო უსაფრთხოება უწინარეს ყოვლისა გულისხმობს სურსათის ნაკლებობის (უკმარისობის) თავიდან აცილებას. ამასთან, სურსათის დეფიციტი განიხილება როგორც ადამიანების ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხე. კაცობრიობის სურსათის ნაკლებობისაგან (უკმარისობისაგან) დაცვა ნიშნავს ადამიანების ფიზიოლოგიურ გადარჩენას. თუმცა, ადამიანები უბრალოდ ფიზიკურად კი არ უნდა არსებობდნენ, არამედ უნდა ქმნიდნენ, სრულყოფდნენ გარემოსაც და საკუთარ თავსაც.

სურსათის დეფიციტი - ნიშნავს სურსათის მოხმარების დეფიციტს, ამიტომ სურსათის ნაკლებობის (უკმარისობის) საფრთხის ლიკვიდაცია განიმარტება უფრო ფართოდ, ვიდრე უბრალოდ ფიზიოლოგიური გადარჩენა. სურსათის მოხმარება უნდა იყოს ისეთ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრების (სიცოცხლისუნარიანობის) აქტიურ და ჯანსაღ შესაძლებლობას. ამრიგად, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი. აუცილებელი მოთხოვნაა (პირობაა) - სურსათის მოხმარების ისეთი საკმარისობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა აქტიურ და ჯანსაღ ცხოვრებას.

სურსათის საკმარისობა არის ის ძირითადი დებულება, რომელიც გვხვდება საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების არსებულ განმარტებებში. თუმცა, საკმარისობა განიმარტება ზოგადად და იგი ფოკუსირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ერთ სახეობაზე - მარცვლეულზე, რომლის არსებობა (საკმარისობა) სპეციალისტების აზრით უზრუნველყოფს მსოფლიოში სასურსათო მდგომარეობის სიმყარეს და ქმნის გარანტიებს საგანგებო მდგომარეობების შემთხვევაში. ამასთან, უსაფრთხოდ ითვლება გარდამავალი მარაგების ის რაოდენობა, რომელიც შეესაბამება მსოფლიოს მარცვლეულის მოხმარების 60 დღეს, ანუ მთელი მოხმარების 17%-ს.

ცალკეული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ხასიათდება სიმწვავის სხვადასხვა ხარისხით, რომელიც განპირობებულია ამა თუ იმ ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების სხვადასხ-

ვა დონით, წარმოებითი ურთიერთობებით, კლიმატურ-ნიადაგური პირობებითა და ა.შ. აშკარაა, რომ ყოველი ქვეყნის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს წინაშე, დგას სურსათის ნაკლებობის (უკმარისობის) საფრთხის ნეიტრალიზაციის ამოცანა. ამ მხრივ, ცალკეული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება უკავშირდება საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ძირითად პირობებს. აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელ მოთხოვნას როგორც საერთაშორისო, ისე სახელმწიფო დონეზე, წარმოადგენს სურსათის საჭირო რაოდენობით სტაბილური უზრუნველყოფა. ესაა ფიზიოლოგიური სასურსათო უსაფრთხოება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სურსათით დიდი რაოდენობით უზრუნველყოფა ჯერ კიდევ არასაკმარისია. ადამიანს სიცოცხლის დაცვის (პროდუქტიული საკვებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით), მისი სრულფასოვანი ფიზიოლოგიური არსებობის პრობლემა გადაიჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მიღწეული იქნება ამ დაცვის ბოლო სტადია - მოხმარება. აღნიშნული გარემოება თავის მხრივ მოითხოვს ისეთი ეკონომიური პირობების შექმნას, მოსახლეობის შემოსავლების ისეთი დონის მიღწევას, სურსათზე ისეთი ფასების არსებობას და ა.შ., როცა შესაძლებელი გახდება მოსახლეობის სურსათზე ხელმისაწვდომობა.

ამრიგად, ადამიანის ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხისგან დაცვა, ამ საფრთხეთა შემცირება და ნეიტრალიზება შესაძლებელი გახდება სურსათით საკმარის დონეზე უზრუნველყოფის გზით, აგრეთვე მასზე ხელმისაწვდომობის პირობების შექმნით. სწორედ ეს ორი მთავარი დებულება - საკმარისობა და ხელმისაწვდომობაა დაფიქსირებული საერთაშორისო დოკუმენტების უმრავლესობაში სასურსათო უსაფრთხოების განმარტებისას. სასურსათო უსაფრთხოება ხასიათდება, როგორც ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ქვეყნის ყველა მაცხოვრებელს გარანტირებულად ხელეწიფება ნებისმიერ დროს მიიღოს სურსათი იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისათვის.

ჩვენის აზრით, სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოება უნდა განიმარტოს უფრო ფართოდ. ეს დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა იმასთან, რომ სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა სახელმწიფო წარმონაქმნების ფარგლებში „მუშაობს“ აგრეთვე სახელმწიფოს, როგორც ასეთის ამოცანების გადაწყვეტაზე და ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ხაზი გაესვას შემდეგს:

1. ისტორიული განვითარების გამოცდილება ამტკიცებს, რომ ე.წ. „მშიერ ამბოხს“ შეუძლია შეარყიოს სახელმწიფო ხელისუფლების ერთი შეხედვით მყარი საფუძვლები.

2. კაცობრიობის ისტორია, სხვათაშორის, ესაა სახელმწიფოებისა და ხალხების უწყვეტი ბრძოლა თავიანთი ეროვნული ინტერესების დაცვისა და მათი რეალიზაციისათვის. თანამედროვე პირობებში ამ ბრძოლის სიმძიმის ცენტრში წარსულში მსოფლიო ომებიდან და ლოკალური კონფლიქტებიდან გადაინაცვლებს ეკონომიკური ურთიერთ დაპირისპირებისაკენ, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გადაიზარდოს აშკარა დაპირისპირებაში.

სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა ბევრად განსაზღვრავენ საზოგადოებაში სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, რაც თავის მხრივ ქმნის სახელმწიფოს თანმიმდევრული ეკონომიკური განვითარების, მისი სიძლიერის და ავტორიტეტის განმტკიცების პირობებს და საბოლოო ჯამში ამყარებს სახელმწიფოს პოზიციებს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკურ დაპირისპირებაში. სხვა სიტყვებით - ხდება სახელმწიფოს პოზიციების განმტკიცება მთლიანად მისი ეკონომიკური და ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით. ალბათ, სწორედ ამაში მდგომარეობს სასურსათო უსაფრთხოების, როგორც ქვეყნის ეროვნული უშიშროების შემადგენელი ნაწილის როლი.

ბუნებრივია, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების აღნიშნული პოზიცია შეიძლება გახდეს ეკონომიკურ მოწინააღმდეგეთა ზემოქმედების ობიექტი. ამას გარდა, სასურსათო პრობლემის საერთაშორისო ხასიათის გამო, სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა არის ისეთი საერთაშორისო ზეგავლენის ქვეშ, როგორებიცაა ფასები მსოფლიო სასურსათო ბაზარზე, რყევები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონეში, ლოკალური კონფლიქტები და ა.შ. სრულიად რეალურია ისეთი სიტუაცია, როდესაც აღნიშნული ფაქტორების მოქმედებამ შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს სურსათის საკმარისობასა და ხელმისაწვდომობაზე, და აქედან გამომდინარე, გამოიწვიოს საზოგადოების დესტაბილიზაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანი იქნება იმის მტკიცება, რომ სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა, მართალია გარკვეულწილად არის სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორები, მაგრამ მხოლოდ მათი ზემოქმედებით არ შეიძლება განვსაზღვროთ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის არსი და შინაარსი. სასურსათო უსაფრთხოების შინაარსის არსებით შემავსებელს წარმოადგენს დებულება თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის არსებობისა, და ამის ხარჯზე, სურსათის უზრუნველყოფის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების შესახებ.

თეზისი თვითუზრუნველყოფის მიღწევის აუცილებლობის შესახებ დეკლარირებულია მთელი რიგი ავტორების მიერ. ასე მაგალითად, მეცნიერები რუსეთიდან ს. ძარასოვი და ს. ფილიევი თვლიან, რომ ქვეყანა უნდა უზრუნველყოფდეს კვების პროდუქტებით მიმდინარე და საგანგებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას საკუთარი რესურსების ხარჯზე. ამ დარგის სლოვაკი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სასურსათო უსაფრთხოების ზღვარია სურსათის წარმოების ისეთი დონე, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი რესურსებით რეალური მოთხოვნილებებ-

ის მინიმუმ 90%-ის დაკმაყოფილებას. ამავე დროს, დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისათვის არ არსებობს თვითუზრუველყოფის დონის ერთიანი კრიტერიუმები. ჩვენის აზრით, აღნიშნული მოთხოვნის კორექტული ფორმულირება უნდა ითვალისწინებდეს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, მისი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნებრივ-კლიმატურ და სხვა პირობებს, აგრეთვე ჩამოყალიბებულ ტრადიციებს როგორც წარმოების, ისე მოსახლეობის კვების სტრუქტურაში.

გარდა სურსათის დეფიციტის საფრთხისა, ადამიანის სისცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს კვების პროდუქტების დაბინძურება. ასე, მაგალითად, გამწვავდა სურსათის მიკროტოქსინებით, განსაკუთრებით ფუზარიტოქსინებით დაბინძურების პრობლემა, რომელიც ხასიათდება მაღალტოქსიკურობით, იმუნოდეპრესიული მოქმედებით და აქვთ ავთვისებიანი წარმონაქმნების გაჩენის უნარი. უკანასკნელ წლებში სამჯერ და მეტად გაიზარდა პროდუქციის ნიტრატებითა და მისი დაშლის პროდუქტებით დაბინძურების დონე.

თუ განვაზოგადებთ ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს, მართებულად მიგვაჩნია ჩამოვაყალიბოთ სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების შემდეგი ფორმულირება: სასურსათო უსაფრთხოება - ესაა სახელმწიფოს ეკონომიკისა და მისი შესაბამისი ეკონომიკური ინსტიტუტების უნარი უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად სუფთა სურსათის სტაბილური საკმარისობა და ხელმისაწვდომობა იმპორტისაგან დამოუკიდებლობისა და თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის პირობებში.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემას აქვს აგრეთვე შიგა სახელმწიფოებრივი, რეგიონალური ასპექტიც, ანუ მართებულია განხილული იქნას გარკვეული ავტონომიური ან ტერიტორიულ-ადმინისტრაციული წარმონაქმნის სასურსათო უსაფრთხოება, რომლის რეგიონალური ასპექტის კვლევა, პირველ რიგში მოითხოვს მოცემული პრობლემის ირგვლივ გადასაჭრელი ამოცანების მკვეთრ გამიჯვნას ცენტრსა და რეგიონებს შორის. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ საკუთარი სასურსათო ბაზის განვითარების, აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირების, სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების დაცვის ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და დაცვის საერთო-სახელმწიფო პროგრამების საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. საქმიანობის მოცემული სფერო კი არის ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა.

რეგიონალურ დონეზე გადასაჭრელი ამოცანები დამოკიდებულია ამა თუ იმ რეგიონის არსებულ და პოტენციურ შესაძლებლობებზე, რომელიც მოიცავს სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების უნარს, აგრეთვე საკუთარი სახსრების აკუმულირებისა და გადანაწილების ხარჯზე საწირო რაოდენობის სურსათის შესყიდვის საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნების რეალიზაციის შესაძლებლობებს და ა.შ. ფაქტიურად, საუბარია საერთო სახელმწიფო მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის წარმოების საქმეში შრომის რეგინალურ დანაწილებაზე. ჩვენი აზრით, როგორც რეგიონის ეკონომიკის გარკვეული მდგომარეობა, მიღწეული სასურსათო უსაფრთხოება უზრუნველყოფს საკვები პროდუქტების საკმარის (სამედიცინო ნორმებით) უზრუნველყოფას საკუთარი წარმოების ან საკუთარი სახსრების ხარჯზე. ეს გულისხმობს პროდუქტების ყიდვას, საკუთარი პროდუქტების გაცვლას სხვა ქვეყნის ან რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე (Климова Н.В. 2012).[4] ის მსოფლიო ვაჭრობაში გართულებების არსებობის შემთხვევაშიც კი უზრუნველყოფს სურსათის ხელმისაწვდომობის შესაბამის დონეს და სასურსათო მომარაგების შეფერხებების მაქსიმალურად აღმოფხვრას.

სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასების მეთოდური საკითხები

სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასება განაპირობებს მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტების - სურსათის საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის, მისი ეკოლოგიური სისუფთავის, აგრეთვე თვითუზრუნველყოფის დონის დახასიათების აუცილებლობას. ამასთან, ზემოაღნიშნული მახასიათებლების დონის უბრალო გათვლა სასურსათო უსაფრთხოების შეფასებაში აშკარად არასაკმარისია. ცხადია, რომ აუცილებელია არსებობდეს შედარების გარკვეული ბაზა, რომელთან თანაფარდობაშიც შესაძლებელი იქნება გაკეთდეს გარკვეული დასკვნები სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული (არსებული) დონის მიუღებლობის ან საკმარისობის შესახებ. საქმე ეხება ადამიანს ცხოველქმედების ე.წ. „ზღვრულ“ მაჩვენებლებს. მათ შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- კვების კალორიულობა (ენერგეტიკული ფასეულობა);
- მოხმარებული ძირითადი საკვები ნივთიერებების რაოდენობა (ცილები, ცხიმები, ნახშიწყლები, მინერალური ნივთიერებები და ვიტამინები);
- პროდუქტების დაბინძურების ხარისხი;
- სურსათის იმპორტზე დამოკიდებულება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამამულო მწარმოებლის დაცვა.

კვების კალორიულობა (ენერგეტიკული ფასეულობა)

ენერგიის მოხმარების დონის მხრივ გამოყოფენ სიცოცხლისუნარიანობის სამ დონეს:

-ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობა 2500-3500 კკალ დღეში მოხმარების პირობებში;

-არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობა 1500-2500 კკალ დღეში მოხმარების პირობებში (ამასთან თვლიან, რომ ამ მაჩვენებლის ქვედა ზღვარი შეესაბამება ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობის ნახევარს);

-კრიტიკული სიცოცხლისუნარიანობა 1000-1500 კკალ დღეში მოხმარების პირობებში.

ზოგიერთი რუსი მეცნიერის მოსაზრებით შეიძლება გამოიყოს ორი ზღვრული სიდიდე;

- საშუალოსტატისტიკური ადამიანის ნორმალური სიცოცხლისუნარიანობის მიღწევის უზრუნველსაყოფად კვების კალორიულობა უნდა იყოს 2500-3500 კკალ დღეში;

- კვების კალორიულობა ნაკლები ვიდრე 1000-1500 კკალ დღეში არის სიცოცხლისუნარიანობის კრიტიკული დონე, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას (Ефимов А.Б., Новоселова Н.Н. 2012).[4]

ფაო-ს კლასიფიკაციით ის პირები, რომლებიც იღებენ 1520 კკალ-ს დღეში, მიეკუთვნებიან მოშიმშილეთა კატეგორიას, ხოლო ისინი, რომლებიც იღებენ 2150 კკალ-ს დღეში იმ ადამიანების კატეგორიაში არიან, რომლებიც შიმშილობის ზღვარზე იმყოფებიან.

რუსი მეცნიერების მიერ მოყვანილი კვების კალორიულობის ზღვრული მაჩვენებლები, ჩვენი აზრით, ხასიათდება დიდი ამპლიტუდით კალორიულობის ქვედა ზღვარსა და საშუალო ადამიანის კრიტიკულ სიცოცხლისუნარიანობის ზედა ზღვარს შორის - თითქმის 1000 კკალ დღეში, რაც ართულებს კვების ენერგეტიკული ფასეულობის განსაზღვრას. მაგალითად, როგორ შევაფასოთ ენერგეტიკული ფასეულობა - 1500-2000 კკალ დღეში დიაპაზონში? ამ თვალსაზრისით უფრო მისაღებია ფაო-ს კლასიფიკაცია, რომელიც განსაზღვრავს კალორიულობის კრიტიკულ დონეს (ზღვრული სიდიდე) 2150 კკალ დღეში რაოდენობით.

ნივთიერებათა ცვლის, ორგანიზმის ზრდისა და განვითარებისათვის ადამაინს ესაჭიროება ძირითადი საკვები ნივთიერებები, რომლებიც სხვადასხვა პროდუქტებშია თავმოყრილი. სპეციალისტების აზრით, ყველაზე აუცილებელი და შეუცვლელია რძის, ხორცის, პურისა და კარტოფილის, ცხიმების, შაქრის პროდუქტები. პროდუქტების ეს ჯგუფები უზრუნველყოფენ კვების 90%-მდე კალორიულობას. აქ შეიძლება გამოვყოთ საკვები ნივთიერებების უზრუნველყოფის ორი ძირითადი სფერო: საკმარისი - 100% და კრიტიკული - 50%-ზე ნაკლები.

დაბინძურებული პროდუქტების მოხმარება

კვების პროდუქტებში შეიძლება აკუმულირებული იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთირება მათი მოყვანის (ნედლეულის მიღების) სტადიაზე, აგრეთვე, გადამუშავების, შენახვის, რეალიზაციის პროცესში. კვების პროდუქტების „დაბინძურების“ წყარო შეიძლება იყოს: ნიადაგი, განსაკუთრებით ისეთი, რომლებიც სამრეწველო ცენტრებთან ან ავტომაგისტრალებთან ახლოს მდებარეობს და ა.შ.; მინერალური სასუქები, ძირითადად ფოსფატები, რომლებიც შეიცავენ ისეთ ტოქსიკურ ნივთიერებას, როგორიცაა სტრონციუმი; ნაკელი, რომელშიც შეიძლება იყოს მძიმე ლითონები და ორგანული ტოქსონები; წყალი და ავტოსფერული ჰაერი.

სურსათის იმპორტზე დამოკიდებულება

მოცემული ფაქტორის ზღვრული სიდიდის ზუსტი ფორმულირება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაკავშირებულია:

— სოფლის მეურნეობის განვითარების პირობების შეფასებასთან;

— იმ პროდუქტების ჩამონათვალის განსაზღვრასთან, რომლებზეც თვითუზრუნველყოფა პირველ რიგში უნდა იყოს ორიენტირებული;

— სოფლის მეურნეობისა და სურსათის სფეროში საერთაშორისო-სავაჭრო კავშირების შეფასებასთან. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე გაძნელებულია ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ზოგიერთ პროდუქტებზე საკუთარი წარმოების ხარჯზე. თუმცა, ერთის მხრივ, საჭიროა განისაზღვროს პროდუქტების ცალკეული სახეები (ძირითადები), რომელთა წარმოებისთვის არსებობს მეტნაკლებად მისაღები პირობები და მთელი ძალები წარიმართოს ამ პროდუქტების თვითუზრუნველყოფის მისაღწევად. მეორეს მხრივ, ისეთი სპეციალიზებული დარგების არსებობა, როგორებიცაა ღვინის და ჩაის წარმოება (მათი განვითარებისათვის სახელმიწფოს მხრიდან ძლიერი მხარდაჭერის პირობებში) იძლევა იმის საშუალებას, რომ მათი ექსპორტის ზრდის კვალობაზე ამონაგები თანხები გამოყენებული იქნება სხვა აუცილებელი სურსათის შესაძენად.

სურსათის წარმოების სექტორში სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ხასიათის შეფასება უნდა მოიცავდეს იმ ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზს, საიდანაც ხდება სურსათის უმეტესი ნაწილის იმპორტი. აუცილებელია გაირკვეს:

— რამდენადაა ეს ურთიერთობები სტაბილური, ურთიერთხელსაყრელი და როგორია მათი განვითარების პერსპექტივები;

— როგორია სახელმწიფოს პოზიციები (ეკონომიკური და პოლიტიკური) სურსათის ექსპორტიორ ქვეყნებში;

— როგორია იმპორტის სტრუქტურა - ანუ შემოიტანება უფრო მეტად ნედლეული თუ მზა პროდუქცია;

— როგორია სავაჭრო ბალანსი ამ ქვეყნებთან და ა.შ.

ამ პარამეტრების დადგენისთვის დიდ მნიშვნელობა აქვს გლობალურ ბაზრებზე ფასების ანალიზს. ჩვენი ინფორმაციით, 2014—2015 წლების პერიოდში მსოფლიოს სურსათის ბირჟებზე ფასწარმოქმნა

კლების ტენდენციით ხასიათდება. FAO—ს მონაცემებით, სასურსათო ფასების ინდექსი 2015 წლის აპრილში, მარტთან შედარებით 1.2 პროცენტით შემცირდა, ხოლო 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან — 19.2 პროცენტით. მაგრამ 2012—2013 წლებში მწარმოებელ ქვეყნებში ხორბლისა და სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრი შემცირება გლობალური სასურსათო კრიზისის საფრთხეს სამომავლოდ არ გამორიცხავს. ეს საქართველომ, როგორც სურსათის იმპორტიორმა ქვეყანამ, უნდა გაითვალისწინოს. მით უფრო, რომ რეგიონის მეზობელი ქვეყნები ამ მიმართულებით ქმედით ღონისძიებებს უკვე ატარებენ. ეს განსაკუთრებით ხორბალს ეხება.

ჯერ კიდევ 2013 წლის მაისში, FAO—ს ექსპერტები ხორბლის მოსავლიანობის მხრივ ყურადღებას შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში მოთხოვნისა და მიწოდების არასახარბიელო თანაფარდობაზე ამახვილებდნენ. ეს თანაფარდობა დღესაც არ არის დაბალანსებული. კერძოდ, 2012—2013 წლებში, მარცვლეულის მოსავალი შემცირდა რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში. იმ წლებში რუსეთში გვალვისგან განადგურდა მილიონნახევარი ჰექტარი ნათესი. ამასთან, რუსეთის და უკრაინის მთავრობების მიერ, 2010—2011 წლებისგან განსხვავებით, ექსპორტის შეზღუდვაზე 2013—2014 წლებში უარის თქმამ დადებითი როლი ითამაშა მსოფლიოს მარცვლეულის კონიუქტურაზე. ამან, მარცვლეულის მიწოდების შეფერხებების მიუხედავად, შეამცირა სპეკულაცია ამ ბაზრებზე.

სამწუხაროდ, საქართველოს სოფლის მეურნეობაში განხორციელებული სახელმწიფო სუბსიდიების მიუხედავად, 2015 წლის განმავლობაში წარმოებული სასოფლო—სამეურნეო პროდუქციის რაოდენობით, საქართველო რეგიონში ერთ—ერთი აუტსაიდერია. ამ მაჩვენებლებით საქართველოს ისეთი მცირემინიანი ქვეყანაც კი უსწრებს, როგორიც სომხეთია. სულ 29 ათ. კვ. კმ განფელილი სომხეთი თითქმის ყველა კომპონენტში სჯობნის მასზე თითქმის ორჯერ დიდ საქართველოს. მაგალითად, სომხეთმა 2014 წელს 691 ათ. ტონა კარტოფილი აწარმოა, მაშინ როცა საქართველომ — მხოლოდ 196 ათ. ტონა და ა.შ. ანალოგიური ვითარებაა სხვა კულტურებთან მიმართებაშიც (იხ. ცხრილი 1).

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველო ყოველწლიურად 750-800 ათ. ტონა ხორბალს მოიხმარს. სამამულო წარმოება კი ამ მოცულობის მხოლოდ 10-15%-ს აკმაყოფილებს. ჩვენთან 2008-2009 წლებში ხორბლის იმპორტის 75-80% ძირითადად რუსეთიდან შემოდიოდა, მაგრამ 2011-2012 წლებში ამ პროდუქციის უმსხვილესი მომწოდებელი უკრაინა გახდა. ამ პერიოდში უკრაინიდან ხორბლის იმპორტი გაიზარდა როგორც მოცულობით, ისე ღირებულებით.

თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, 2013 წლის ივლისის დასაწყისიდან გაფორმდა შეთანხმებები რუსეთიდან საქართველოში ხორბლის შემოტანაზე. სავარაუდოდ, რუსულ ხორბალზე ამ კონტრაქტის გაფორმება გამოწვეული იყო იმით, რომ 2013 წლის 1 ივნისიდან რფ-მ მოხსნა 2011 წელს შემოღებული ემბარგო ხორბლის ექსპორტზე და ამჟამად, უკრაინასთან შედარებით, მისი ხორბალი იაფია. ფასი ტონაზე 385 დოლარიდან 300-320 დოლარამდე დაეცა. თუმცა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს, რომ 2015 წლის 16 აპრილს რუსეთში გამართულ „მარცვლეულის მრგვალ მაგიდაზე“ რუსმა ანალიტიკოსებმა განაცხადეს, რომ 2015 წელს მარცვლეულის წარმოება დაიკლებს 4.6%—ით გასულ წელთან შედარებით და 100.4 მლნ ტონა იქნება. ამიტომ, ზემოაღნიშნული გაიაფება, თუ გავითვალისწინებთ FAO-ს ნეგატიურ პროგნოზს, შეიძლება დროებითი აღმოჩნდეს.

აღნიშნულის გამო, ხორბლის იმპორტის დივერსიფიცირებისათვის, ზოგმა ქვეყანამ უკვე შესაბამისი სატარიფო რეგულაციების გამოყენება დაიწყო. ასე მაგალითად, აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტმა 2012 წლის 24 სექტემბრიდან იმპორტირებული ხორბალი და ფქვილი დღგ-სგან გაანთავისუფლა. ანალოგიური ნაბიჯი გადადგა მაროკომაც, სადაც 2013 წლის 1 ოქტომბრიდან რბილი ხორბლის იმპორტზე გადასახადები გაუქმდა. ზემოაღნიშნული საფრთხეების გათვალისწინებით, სასურველია ამ მიმართულებით, საქართველოშიც იფიქრონ.

სურსათის თვითუზრუნველყოფას განსაზღვრავენ მისი ზოგადი და კერძო კოეფიციენტებით. ზოგადი (Ks) გაიანგარიშება ფორმულით:

$$Ks = O/A,$$

სადაც:

Ks - სურსათის თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტი;

O – საკუთარი წარმოების მოხმარებული პროდუქტების ღირებულება მოცემულ წელს;

A – სულ მოხმარებული პროდუქტის წლიური ღირებულება.

თვითუზრუნველყოფის კერძო კოეფიციენტი იანგარიშება ცალკეული პროდუქტის მიხედვით, ღირებულებით გამოხატულებაში. მისი ზღვრული სიდიდე კვების ცალკეული პროდუქტებისათვისაც ზემოაღნიშნული ფორმულით გაითვლება. ამა–თუ იმ რეგიონისთვის შეიძლება შემოღებული იქნას დამატებითი მაჩვენებელი – სასურსათო დამოუკიდებლობის კოეფიციენტი (Kr):

$$Kr = Or/Ar,$$

სადაც:

Kr – რეგიონის სასურსათო დამოუკიდებლობის კოეფიციენტია;

Or – სურსათის ღირებულება, რომელიც თვითმმართველობისა და ადგილობრივი ბიზნესსტრუქტურების მიერ შეისყიდება მოცემულ წელს;

Ar – რეგიონში მოხმარებული პროდუქტების წლიური ღირებულება.

სასურსათო დამოკიდებულების შეფასება ჩვენს მიერ განხორციელებულია კვების 8 ძირითადი პროდუქტის (პოზიციის) მიხედვით (ცხრილი 5) იმპორტის სიდიდის შეფარდებით მოცემული პროდუქტის საერთო მოთხოვნილებასთან. თუ მივიღებთ კრიტიკულ დონედ იმპორტზე დამოკიდებულების 50%-იან ზღვარს, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ კარტოფილის და ხორცის გამოკლებით საქართველო დიდ ნაწილადაა დამოკიდებული საზღვრებს გარედან სურსათის შემოტანაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ისეთი პოზიციები, როგორებიცაა მარცვლეული, მცენარეული ზეთი, შაქარი, რძე და რძის პროდუქტები.

სამამულო სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლის დაცვა

სასურსათო დამოკიდებულების დონის შემცირება დიდადაა დამოკიდებული საკუთარი აგრარული სექტორის აღდგენასა და განვითარებაზე. მსოფლიო ყველა ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მოსახლეობის უზრუნველყოფას სურსათით, სამამულო სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლის დაცვას. ჩვენთან ყველა ეს პროცესი ბაზრის სტიქიურ ძალებზეა მინდობილ-მინებებული. ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება მიგვიყვანოს უფრო მეტ სასურსათო დამოკიდებულებამდე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბევრი დარგის სრულ დაცემამდე. სასურსათო საქონელზე მსოფლიო ფასების ზრდის ზოგადმა ტენდენციამ და სურსათზე მოთხოვნის ზრდის პროგნოზმა შეიძლება ქვეყნის მოსახლეობა ჩააყენოს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში.

დაცვის ზღვრული სიდიდეები უნდა ითვალისწინებდეს რენტაბელობის გარკვეულ დონეს ადგილობრივ საქონელმწარმოებლებისათვის, — ვთქვათ, 15-20%-ის დონეზე. სახელმწიფო ადგილობრივ მწარმოებელს იაფი იმპორტული პროდუქციისაგან არა პროტექციონისტული სატარიფო და არასატარიფო ბარიერებით/ღონისძიებებით უნდა იცავდეს, არამედ ეკონომიკური სტიმულირებით.

ერთ-ერთი ასეთი ეკონომიკური მეთოდია სურსათის სახელმწიფო შესყიდვები, რომელიც ამყარებს ლარის კურსს, ხელს უწყობს რეგიონების განვითარებას, სოფლად დასაქმების ზრდას და ქვეყნის სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას. ამიტომ საჭიროა ამ პროცესის საკანონმდებლო და პოლიტიკური მხარდაჭერა. საქართველოს სახელმწიფო უწყებებისა და სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სამხარეო მმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული სურსათის სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მომტანია.

სურსათის სახელმწიფო შესყიდვების შედეგად საბიუჯეტო სახსრები იხარჯება ადგილობრივ ბაზარზე რაც, ექსპერტული გათვლებით, ზრდის ფულის ბრუნვას დაახლოებით 6 – 15–ჯერ და ამით „ფართო ფულის“ (M2), ანუ მიმოქცევაში ნაღდი ფულადი მასის შემცირებას იწვევს.

საქართველოს მთავრობამ, გასული წლის შემოდგომაზე, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ პრეზენტაციისას, ხაზი გაუსვა ადგილობრივი სურსათის წარმოების და შესყიდვის მნიშვნელობას. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 46 მილიონი ლარით, საიდანაც 30 მილიონი მოხმარდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაგადამუშავებას (იხ. პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო პროგრამის - აწარმოე საქართველოში პრეზენტაციას დაესწრო http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=380&info_id=4235).

საკვები პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა - ეს არ ნიშნავს მხოლოდ ხელსაყრელი ფასის მიხედვით პროდუქტის საზოგადოებრივი საჭიროებისთვის შეძენას. აუცილებელია, ყურადღება მიექცეს ხარისხს, შენახვის ვადას, მის რეალურ საზოგადოებრივ საჭიროებას და სარგებლობას. დღეს ჯანსაღი საკვები პროდუქტების შესყიდვა ემსგავსება ბრძოლას გადარჩენისთვის. მომხმარებელი აწყდება მთელ რიგ საფრთხეებს: საკვები დანამატები (კონსერვანტები, არომატიზატორები, საღებავები, პესტიციდები, გამაფხვიერებლები და სხვა), გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენება, სასუქების სიჭარბე, სხვადასხვა დაავადებები და დეფექტები, ვადის გასვლა, არასწორი ტრანსპორტირების და შენახვის პირობის დარღვევით გამოწვეული დაზიანებები, და ბოლოს, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა დისტრიბუტორის, მწარმოებლის ან გამყიდველის მხრიდან. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივად წარმოებულ პროდუქტებს, იმპორტირებული პროდუქცია ვერ იქნება ახალი და თუკი ისინი ასეთად გამოიყურებიან, ეს საკვები დანამატების ჭარბ რაოდენობაზე უნდა მიანიშნებდეს.

სახელმწიფო შესყიდვების ხვედრითი წილი, ბოლო წლებში, საქართველოს მშპ-ში 10%-ს ფარგლებშია. თუ 2012 წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 2.771 მლრდ ლარი შეადგინა; 2013 წელს იგივე მაჩვენებელი 2.791 მლრდ ლარი, ხოლო 2014 წელს - 2.876 მლრდ ლარი იყო. ამასთან, 2014 წ. ივლისში - 2015 წლის აპრილში საქართველოში განხორციელდა მხოლოდ 55.7 მლნ ლარის სურსათის (მთელი შესყიდვების 1.92%) სახელმწიფო შესყიდვა.

ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მიერ სურსათის ზოგიერთი სახეობა მთლიანად ადგილობრივ წარმოებაზე მოდის. კერძოდ, ნატურალური თაფლი (32030 კგ), კვერცხი (4614822 ცალი), ფარში (2732.6 კგ), ცხვრის ხორცი (45.5 კგ), კურდღლის ხორცი

(262.5 კგ), მურაბები და ჯემები (25069 კგ), რძე (472850.7 ლიტრი), ხორბლის და სიმინდის ფქვილი (578820 კგ), ხორცის მზა ნაწარმი (277332 კგ), ღორის ხორცი (227000.5 კგ), ციტრუსები (113672 კგ), ყველი (129636.03 კგ) და ა.შ.

ამასთან, შესყიდული სურსათის ნაწილი წარმოებულია უცხოეთში. კერძოდ, საქონლისა და ხბოს ხორცის ნაწილი ბრაზილიაში 13.87%; მარცვლეულის 15.88% უკრაინაში; რძის ნაწარმის რუსეთში, უკრაინაში - შესაბამისად 8.96%, 13.43%; მცენარეული ზეთების აზერბაიჯანში, რუსეთსა და უკრაინაში - შესაბამისად 9.72%, 7.89%, 15.36%; ქათმის ხორცის აშშ-ში, ბრაზილიაში - შესაბამისად 33.77% და 7%; კარაქი და მარგარინი უკრაინაში 51.88%; მანანის ბურღულის ნაწილი უკრაინაში 60.88%; ტომატ-პასტა რუსეთში, თურქეთში - შესაბამისად 48.38%, 23.08%; დაკონსერვებული სოკო ჩინეთში და რუსეთში - შესაბამისად 61.78%, 18.53%; შვრიის ფანტელი უკრაინაში, გერმანიასა და რუსეთში - შესაბამისად 57.00%, 21.94%, 6.97%; რძის ფხვნილი უკრაინასა და ლიტვაში - შესაბამისად 53.43%, 30.76%; თევზი და თევზის პროდუქტები აშშ-ში, კანადაში, ესპანეთსა და ნორვეგიაში - შესაბამისად 26.46%, 7.11%, 5.32%, 10.7%; ბრინჯი ინდოეთში, პაკისტანში, ტაილანდსა და ჩინეთში - შესაბამისად 32.50%, 27.50%, 9.02%, 5.73%.

გაანალიზებული ციფრებიდან ირკვევა, რომ ადგილობრივი სურსათის შესყიდვებში არსებობს მნიშვნელოვანი რეზერვები. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საქართველოში დღეს მოქმედი შესყიდვების პრაქტიკით სახელმწიფო შემსყიდველს გაცილებით მეტი უფლებები აქვს, ვიდრე მიმწოდებელს. ამ კუთხით დღემდე მიღებულია სულ რამდენიმე პრაქტიკული გადაწყვეტილება მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ ლარის კურსის რყევის გამო, სახელმწიფო კომპენსირებას გაუკეთებს სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებულ იმ კომპანიებს, რომლებსაც ვალუტის დევალვაციის გამო პრობლემები შეექმნათ.

ამავდროულად, თანამედროვე ინდუსტრიულ სახელმწიფოებში არსებობს ადგილობრივი სურსათის მიმწოდებლებისათვის სახელმწიფო შესყიდვებში დამხმარე რეგულაციების ორგვარი „ჯგუფი“, რომლებიც სურსათის მცირე და საშუალო მიმწოდებელთა ბიზნეს—აქტივობებს ასტიმულირებს:

– ერთი „ჯგუფი“ (მაგალითად, აშშ–ს ჩრდილო აღმოსავლეთის რეგიონის, ნიუ–ინგლანდის 6 შტატში) აწესებს სხვა შტატებიდან შემოტანილთან, ან იმპორტულთან შედარებით, ადგილობრივი სურსათის შესყიდვის უპირატესობას. ე. ი. სურსათის მიმწოდებლებისგან აშშ–ს ფედერალური, შტატის და მუნიციპალური (საგრაფოს) ორგანიზაცია–დაწესებულებების მიერ შესყიდვების უპირატესობა დგინდება შესაბამისი ნორმატიული აქტით. კერძოდ, კანონმდებლობა სახელმწიფო უწყებებს, ორგანიზაცია–დაწესებულებებს, ავალდებულებს შეისყიდონ ადგილობრივ (მოცემული შტატის) მიმწოდებელთა კვების პროდუქტები, თუ მათი ღირებულება 10%–ზე მეტად არ აღემატება შტატის ფარგლებს გარეთ შესაძენი სურსათის ფასს (Massachusetts' local procurement law sets a preference that requires state agencies to purchase in-state food products if they are not more than 10% more expensive than out-of-state food products. http://www.chlpi.org/wp-content/uploads/2013/12/Local-Procurement-Handout_FINAL_WEBRIENDLY.pdf).

– სურსათის შესყიდვების შესახებ მეორე „ჯგუფის“ რეგულაციები ადგენს „სამიზნე“ სურსათის პარტიებს, რომლებიც შეძენილი იქნება მხოლოდ ადგილობრივი მიმწოდებლებისგან. მაგალითად, სახელმწიფოს შეუძლია, რამდენიმე წლის განმავლობაში, სახელმწიფო უწყებებს დაავალდებულოს, რომ 2020 წლისთვის შესყიდული სურსათის რომელიმე კონკრეტული სახეობის, ვთქვათ 20%, მხოლოდ ადგილობრივ ფერმებში და მეურნეობებში იქნას შეძენილი (Illinois' local procurement law sets a target that, by 2020, 20% of all food and food products purchased by state agencies and universities shall be local farm or food products http://www.chlpi.org/wp-content/uploads/2013/12/Local-Procurement-Handout_FINAL_WEB-FRIENDLY.pdf).

სხვათა შორის, ანტირუსული სანქციების საპასუხოდ, 2014 წლის შემოდგომაზე, რფ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით შემოღებული იქნა ქვეყანაში სურსათის იმპორტის შეზღუდვა დასავლეთის ქვეყნებიდან და პრეფერენციები საბაჟო კავშირის (CU) ტერიტორიაზე წარმოებული სურსათის შესყიდვაზე (Минсельхоз предложил запретить госзакупки импортных продуктов. 23 октября 2014. http://lenta.ru/news/2014/10/23/embargo/).

აღსანიშნავია, რომ საერთო პრეფერენციები ზოგიერთი სახეობის სურსათის შესყიდვებზე მთელი ნიუ—ინგლანდის რეგიონის — ანუ ექვსივე შტატის მიმწოდებლებისთვისაც არის დაწესებული. ფაქტიურად, შესყიდვების იერარქიაში რეგიონის რომელიმე მუნიციპალიტეტის (საგრაფოს) სურსათის მიმწოდებელს მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე შტატისას; შტატის მიმწოდებელს მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე რეგიონისას; ხოლო რეგიონის მიმწოდებელს მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე ქვეყნის რომელიმე სხვა კუთხის მიმწოდებელს ან იმპორტიორს.

დღეს აშშ—ს ოცდაჩვიდმეტ შტატს უკვე აქვს გარკვეული ფორმის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოითხოვს, ან ხელს უწყობს ადგილობრივი სურსათის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას. ეს კანონები განსხვავებულია შტატების მიხედვით; ზოგი ვრცელდება კონკრეტულად სურსათზე, სხვები ვრცელდება ზოგადად ადგილობრივ პროდუქციაზე და მომსახურებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია დაიწყოს მუშაობა საკანონმდებლო და პოლიტიკურ ინიციატივებზე, რათა:

— შეიქმნას ნორმატიული ბაზა, რომლითაც დადგინდება ადგილობრივი და „სამიზნე“ სურსათის შესყიდვების უპირატესობა;

— ნორმატიული აქტით დადგინდეს „სამიზნე“ სურსათის პარტიები (სახეობები), რომელიც 2020 წლისთვის, შეძენილი იქნება მხოლოდ ადგილობრივი მიმწოდებლებისგან;

— მთავრობამ დაიწყოს მუშაობა ვებ—დირექტორიის შესაქმნელად, სადაც ფერმერებს და დისტრიბუტორებს მიეწოდებათ საკონტაქტო ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებში არსებული სურსათის შემსყიდველების შესახებ;

— ადგილობრივი სურსათის მიმწოდებლებს უნდა გაეხსნათ მიზნობრივი საკრედიტო ანგარიშები, რაც დააჩქარებს მიმწოდებელი წვრილი და საშუალო ფერმერების დროულ დაკრედიტებას;

— მოხდეს სურსათის აგრეგატორების — „ჰაბების“ შექმნა. მათში გაერთიანდეს წვრილი და საშუალო მიმწოდებელი ფერმერები. აგრეგატორები გამოვლენ დისტრიბუტორების როლში, რომლებიც აგროვებენ ადგილობრივ სურსათს სახელმწიფოს შემსყიდველებისთვის.

სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელთა სისტემა ასახავს მისი გლობალური ასპექტებით დახასიათებას, აგრეთვე ცალკეული სახელმწიფოსა და რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების დონის განსაზღვრას. დღეს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების შეფასებისათვის იყენებენ მაჩვენებლებს, რომლებიც დაამუშავეს fao-ს ექსპერტებმა:

– მარცვლეულის შემდეგი წლის მოსავლის მიღებამდე გარდამავალი მსოფლიო მარაგების მოცულობა;

— მოსახლეობის ერთ სულზე მარცვლეულის წარმოების დონე.

მარცვეულის გარდამავალი მარაგების ოდენობა გაიანგარიშება მსოფლიო მოხმარების მიხედვით დღეებში, ან მოხმარებისადმი პროცენტებში. ამასთან, მიჩნეულია, რომ გარდამავალი მარაგების დონე არ უნდა იყოს მსოფლიო მარცვლეულის მოხმარების 60 დღეზე ნაკლები მოცულობის.

აღნიშნული მაჩვენებლები იძლევა წარმოდგენას მხოლოდ სურსათის საკმარისობის შესახებ და წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოების უკიდურესად ზოგად დახასიათებას, რამდენადაც მათი დახმარებით შეუძლებელია განისაზღვროს, თუ როგორ დონეზე ხდება სასურსათო უსაფრთხოების ისეთი ძირითადი ფუნქციის რეალიზება, როგორიცაა ადამიანის ფიზიოლოგიური გადარჩენის, მისი სრულფასოვანი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. არ შიძლება მისაღებად ჩაითვალოს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ისეთი დონე, როდესაც მარცვლეულის სამოცდღიანი მსოფლიო მარაგის არსებობის პირობებშიც კი, 800 მლნ. ადამიანი მთელ მსოფლიოში არ იღებს თავისი ძირითადი სასურსათო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო კვების პროდუქტებს. FAO—ს არაერთ დეკლარაციაში გამოთქმულია ღრმა შეშფოთება შიმშილის არსებობის გამო, რომელიც ასეთი მასშტაბურობით წარმოადგენს საფრთხეს როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე მსოფლიო თანამეგობრობის სტაბილურობისათვის.

სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასებისათვის, როგორც აღნიშნული იყო, ზღვრული სიდიდეებია სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლები. ზემოთ განხილულ შემთხვევაში ასეთად გვევლინება მარცვლეულის სამოცდღიანი მსოფლიო მარაგი. მსოფლიო მარცვლეულის მარაგის მის ზღვრული სიდიდისაგან გადახრის დონე ახასიათებს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების დონეს (მდგომარეობას).

მოსახლეობის ერთ სულზე მარცვლეულის წარმოების მაჩვენებელი შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების დახასიათებისთვისაც. ამ მაჩვენებელთან ერთად, უნდა გამოვიყენოთ მაჩვენებელთა ისეთი სისტემა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგიონის სასურსათო უსაფრთოხების შეფასებისთვისაც. სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლების ფორმალიზაციის საფუძვლად გამოყენებულია მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტების მოთხოვნები. ერთ-ერთი ასეთი ძირითადი მოთხვნაა სურსათის მოხმარების საკმარისობა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტების საშუალებით. საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი შეიძლება გავიანგარიშოთ ღირებულებით (K საკმ. 1) და ნატურალურ (K საკმ. 2) სახით:

$$K_{\text{საკმ. 1}} = \frac{\text{კვების ფაქტიური დღე-ღამური რაციონის ღირებულება}}{\text{დღე-ღამური კვების რაციონის ღირებულება-სამედიცინო ნორმების მიხედვით}} \quad (1)$$

$$K_{\text{საკმ. 2}} = \frac{\text{ფაქტიური კკალ რაოდენობა კვების დღე-ღამურ რაციონში}}{\text{კკალ რაოდენობა კვების დღე-ღამურ რაციონში სამედიცინო ნორმების მიხედვით}} \quad (2)$$

საკმარისობის კერძო კოეფიციენტები იანგარიშება იმ ძირითადი საკვები პროდუქტების მიხედვით, რომლებსაც გააჩნიათ ყველაზე მეტი ენერგეტიკული ფასეულობა. ამ კოეფიციენტების გაანგარიშება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ არა მარტო ძირითადი პროდუქტების საკმარისობა, არამედ განვსაზღვროთ მოსახლეობის კვების ხარისხიც, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის. საკმარისობის ზოგადი და კერძო კოეფიციენტების გაანგარიშებისა და ანალიზის დროს, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას სოფლის მოსახლეობის მიერ საკუთარ მეურნეობებ-

ში მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხმარება, ნატურით შრომის ანაზღაურება და ა.შ. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება საჭიროა იმის გასარკვევად, თუ რამდენად იღებს სასაქონლო სახეს საკუთარ მეურნეობებში წარმოებული პროდუქცია. ამიტომ მართებული იქნება განვსაზღვროთ საკმარისობის კოეფიციენტები ცალ-ცალკე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის. აუცილებელია აგრეთვე მხედველობაში იქნას მიღებული ქალაქელების მიერ საკუთარ სააგარაკე ნაკვეთებში მოწეული პროდუქცია.

სურსათის ხელმისაწვდომობა შეიძლება შეფასდეს ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის (ზოგადისა და კერძოს) საშუალებით. ხელმისაწვდომობის ზოგადი კოეფიციენტი K ხელ. იანგარიშება ფორმულით:

$$\text{Kსაკმ. } W = \frac{\text{შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე}}{\text{სასურსათო კალათის (გასაშუალოებული მაჩვენებელი) ღირებულება}} \quad (3)$$

ამ ფორმულაში W დიფერენციაციის კერძო კოეფიციენტია. კერძოდ, ის გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების შემოსავლების ჩამოყალიბებული დიფერენციაციის გამო, აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება შეივსოს ხელმისაწვდომობის მთელი რიგი კერძო კოეფიციენტებით, რომლებიც გაიანგარიშება განსხვავებულ შემოსავლიანი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით.

სასურსათო უსაფრთხოების სრული სურათის შესაქმნელად შემოვიტანოთ ზემოაღნიშნული მაჩვენებლების ზღვრული სიდიდეები. ამასთან, გამოვყოფთ ამ ზღვარის ზედა და ქვედა (კრიზისულ) საზღვრებს. პირველ შემთხვევაში (ზედა), ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის გაანგარიშებაში ზღვრულ სიდიდეებს წარმოადგენს კვების რაციონის სამედიცინო ნორმები და მისი შესაბამისი კკალ-ების რაოდენობა, ხოლო ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის გაანგარიშებისას - სასურსათო კალათის ღირებულება, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის აქტიურსა და ჯანსაღ ცხოვრებას, ანუ ესაა K საკმ. 1—სა და K ხელ. სხვაობა: (1) — (3). ქვედა საზღვარი - ესაა შიმშილობის საზღვარი. ჩვენს მიერ კრიზიულად მიჩნეულია (fao-ს კლასიფიკაციის თანახმად) დღე-ღამური რაციონი 2150 კკალ - სურსათით უზრუნველყოფის საკმარისობის მაჩვენებლის ზღვრული სიდიდე.

რაც შეეხება სურსათის ხელმისაწვდომობას, ამ მაჩვენებლის ზღვრული (კრიზისული) სიდიდე განისაზღვრება დღე-ღამური რაციონის კვების პროდუქტების ღირებულებითი შეფასებით, გამომდინარე 2150 კკალ. დღეში ენერგეტიკული ფასეულობიდან.

საკმარისობის (K საკმ. 2) და ხელმისაწვდომობის კოეფიციენტების (K ხელმ.) ფორმულები, შესაბამისი მაჩვენებლების კრიზისული (ზღვრული) სიდიდეების შემოღების გათვალისწინებით, მიიღებენ შემდეგ სახეს:

$$\text{Kსაკმ. } 2 = \frac{\text{ფაქტიური დღე-ღამური რაციონის კკალ რაოდენობა}}{\text{დღე-ღამური კრიზისული (ზღვრული) რაციონის კკალ რაოდენობა - 2150 კკალ დღეში.}} \quad (4)$$

$$\text{Kხელმძ.} = \frac{\text{შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე (თვეში)}}{\text{ყოველთვიური რაციონის კვების პროდუქტების ღირებულება, გამომდინარე 2150 კკალ დღე მოხმარებიდან}} \quad (5)$$

სურსათით თვითუზრუნველყოფის დონე განისაზღვრება თვითუზრუნველყოფის ზოგადი და კერძო კოეფიციენტებით. თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტი (KK თვით.) გაიანგარიშება ფორმულით:

$$\text{Kთვით.} = \frac{\text{საკუთარი წარმოების მოხმარებული კვების პროდუქტების ღირებულება}}{\text{ყველა მოხმარებული კვების პროდუქტის ღირებულება}} \quad (6)$$

თვითუზრუნველყოფის კერძო კოეფიციენტები იანგარიშება ცალკეული პროდუქტის მიხედვით ნატურალურ და ღირებულებით გამოხატულებაში. აღნიშნული მაჩვენებლების ზღვრული სიდიდე განისაზღვრება კონკრეტულად ცალკეული ძირითადი კვების პროდუქტის სახეობისათვის. რეგიონებისათვის შეიძლება შემოღებული იქნას დამატებითი მაჩვენებელი - სასურსათო უზრუნველყოფის დამოუკიდებლობის კოეფიციენტი:

$$K_{\text{დამოუკ. სურსთ.}} = \frac{\text{სურსათის ღირებულება, რომელიც რეგიონის სახსრებით შეიძინება (რეგიონალური ბიუჯეტი, კომერციული სტრუქტურების სახსრები)}}{\text{მთელი შეძენილი სურსათის ღირებულება}} \quad (7)$$

სამამულო სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლის დაცულობის ხარისხის განსაზღვრისათვის შემოგვაქვს დამღუპველი კონკურენციის მაჩვენებელი:

$$K_{\text{დამოუკ. სურსთ.}} = \frac{\text{I-ური იმპორტული პროდუქციის საბაზრო ღირებულება (ადგილობრივი ბაზარი)}}{\text{I-ური პროდუქტის წარმოების დანახარჯები, რომლებიც ადგილობრივ სანარმოებში და მეურნეობებში იწარმოება}} \quad (8)$$

აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელი ხარჯების სახითაა წარმოდგენილი, რადგანაც ადგილობრივ საწარმოებში წარმოებული პროდუქტების საბაზრო ღირებულება ყოველთვის არ ასახავს მათ ჭეშმარიტ კონკურენტუნარიანობას. დამღუპველი კონკურენციის კოეფიციენტის ზღვრული სიდიდე უნდა ითვალისწინებდეს რენტაბელობის გარკვეულ დონეს შესაბამისი პროდუქციის სახეების დოტაციის გათვალისწინებით. თუკი რენტაბელობის დონედ მივიჩნევთ 15-20%-ს, მაშინ დამღუპველი კონკურენციის კოეფიციენტის ზღვრული სიდიდე შეადგენს არაუმეტეს 0,75-ს.

ლიტერატურაში ასევე ცნობილია ნომინალური დაცულობის კოეფიციენტი, რომელიც ტოლია სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების გათვალისწინებით გაანგარიშებული შინაგანი ფასების შეფარდებისა მსოფლიო ფასებთან. თუმცა, დაცულობის საერთო სურათის წარმოდგენისას აღნიშნული მაჩვენებელი არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას კონკრეტული პოზიციების (პროდუქტების სახეობების) დაცულობის შესახებ, რაც ბუნებრივია ართულებს სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი მრეწველობის შესაბამისი დარგების დაცვის სტრატეგიის შემუშავებას. ამ თვალსაზრისით, შემოთავაზებული დამღუპველი კონკურენციის მაჩვენებელი უფრო მისაღებია.

ქვეყნისა და ცალკეული რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების შეფასება უნდა ხორციელდებოდეს ზემოთ განხილული მაჩვენებლების მთელი სისტემის გამოყენებით, რომლებიც საშუალებას იძლევა არა მარტო უშუალოდ განიასზღვროს სასურსათო უსაფრთხოების დონის შემცირება ან გადიდება, არამედ გაირკვეს სურსათით უზრუნველყოფის, და აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის დამუშავებისა და რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება თანამედროვე ეტაპზე

ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების შეფასების დონე დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან, რომლებიც უპირველეს ყოვლისა, გამოყენებული ინფორმაციის ჭეშმარიტების ეხება. ამ მხრივ ჩვენში ყველაზე დიდ ეჭვს იწვევს კვების პროდუქტების მოსახლეობის მიერ ფაქტიური მოხმარების მონაცემები. კერძოდ, 2015 წლის მონაცემებით ყველის მოხმარებამ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგინა 26,4 კგ, რაც ერთი თვის რაციონზე გადაანგარიშებით შეადგენს 2,2 კგ-ს, ეს კი ნიშნავს, რომ საშუალოდ ქვეყნის თითოეული მცხოვრები მხოლოდ აღნიშნულ პროდუქტზე უნდა ხარჯავდეს დაახლოებით 20 ლარს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილული გარემოება განაპირობებს ჩვენს მიერ ჩატარებული გაანგარიშებების გარკვეული დონის სიზუსტეს, მათი შედეგები შეიძლება მიღებული იქნას როგორც საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასების სრულიად მისაღებ ორიენტირად.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდიკის თანახმად სასურსათო უსაფრთხოების დონის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია სურსათის საკმარისობის კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება როგორც ღირებულებით გამოხატულებაში (K საკმ. 1), ისე როგორც კვების პროდუქტების დღე-ღამური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა (Kსაკმ. 2):

$$K_{\text{საკმ. 2}} = \frac{\text{კვების ფაქტიური დღე-ღამური რაციონის კკალ რაოდენობა}}{\text{კვების დღე-ღამური კკალ რაოდენობა სამედ. ნორმების მიხედვით}} \quad (9)$$

საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მონაცემებით დღე-ღამური კვების რაციონის ენერეგტიკული ფასეულობა, მოხმარების რაციონალური ნორმების მიხედვით, შეადგენს 2513 კკალ-ს (ცხრილი 2).

კვების დღე-ღამური რაციონის ეს დადგენილი ენერგეტიკული ფასეულობა შეესაბამება რუსი მეცნიერების მიერ გაანგარიშებული (2500-3500 კკალ დღეში) დიაპაზონის ქვედა ზღვარს, რომელიც უზრუნველყოფს საშუალო ადამიანის ნორმალურ სიცოცხლისუნარიანობას და რამდენადმე მაღალია იმ კრიტიკულ ზღვარზე, რომელიც დაადგინეს ფაო-ს ექსპერტებმა (2150 კკალ. დღე).

კვების დღე-ღამური რაციონის ფაქტიური ენერგეტიკული ფასეულობის დასადგენად ჩვენს მიერ ჩატარებულია გარკვეული გაანგარიშებები ამ საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის მიერ კვების პროდუქტების ფაქტიური მოხმარების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე (ცხრილი 2). გაანგარიშების თანახმად, ფაქტიური კვების დღე-ღამური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა შეადგენდა 2980,7 კკალ დღეს. ამრიგად, საკმარისობის კოეფიციენტის სიდიდე K საკმ. 2 ტოლია 1,18-ის: K საკმ.2 = 2980,7/2513

მიღებული შედეგები, ერთი შეხედვით, პარადოქსალურია: ყველასათვის კარგად ცნობილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში კვების ფაქტიური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა მეტია იმაზე, რომელიც განსაზღვრულია მოხმარების რაციონალური ნორმებით?!

ამ სიტუაციაში გასარკვევად ჩვენს მიერ ჩატარდა კვების რაციონის ანალიზი მისი ქიმიური შემადგენლობის (ცხრილი 4), აგრეთვე ენერგეტიკული ფასეულობის თვალსაზრისით კვების რაციონის სტრუქტურის მიხედვით (ცხრილი 3). ანალიზმა გვიჩვენა, რომ კკალ-ების ენერგეტიკული ფასეულობის დაახლოებით 60% კვების ფაქტიურ რაციონში მოდის პროდუქტების ოთხ სახეობაზე: ხორბლის პურზე, ხორბლის ფქვილზე, მცენარეულ ზეთსა და შაქარზე, პროდუქტების ამავე სახეობებზე მოხმარების რაციონალური ნორმები გამოყოფენ მხოლოდ 47%-ს. ორგანიზმის ზრდა-განვითარებისათვის, ნივთიერებათა ცვლისათვის ადამიანს ესაჭიროება ძირითადი

საკვები ნივთიერებები, რომლებიც კვების სხვადასხვა პროდუქტებშია თავმოყრილი. სპეციალისტების აზრით, ყველაზე უფრო მთავარი და შეუცვლელი ამ პროდუქტებიდან არის რძის, ხორცის, პურის პროდუქტები და კარტოფილი, ცხიმები და შაქარი.

ეს პროდუქტები უზრუნველყოფენ არა მარტო საკმარის კალორიულობას, არამედ ადამიანისთვის ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების საჭირო რაოდენობას. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია აღინიშნოს ის, რომ რძისა და ხორცის პროდუქტების ხვედრითი წონა მოხმარების რაციონალური ნორმების მიხედვით შეადგენს 27,5%-ს, ხოლო ფაქტიური რაციონის მიხედვით - 21%-ს, აქედან 8,0% მოდის ყველზე. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, კვების ფაქტიურ რაციონს აკლია ისეთი არსებითი კომპონენტი, როგორიცაა ცილები: კვების თვიურ (ფაქტიურ) რაციონში ცილები 572 გრამით ნაკლებია, ვიდრე ეს ნორმებითაა გათვალისწინებული (ცხრილი 3).

კვების ფაქტიური რაციონის სტრუქტურა დიდადაა განპირობებული მოსახლეობის საერთო შემოსავლების დაბალი დონით და მისი მატერიალური მდგომარეობით. მიუხედავად მეტი კალორიულობისა, ფაქტიური თვიური რაციონის (48 ლარი) ღირებულება თითქმის ორჯერ იაფია იმაზე, რასაც მოხმარების რაციონალური ნორმები გულისხმობენ (95,3 ლარი). სურსათის საკმარისობის კოეფიციენტი მის ღირებულებით გამოხატულებაში K საკმ. 1 ტოლია 0,50 (48 შეფარდებული 95,3)-ისა. K საკმ. 1-ის აღნიშნული სიდიდე მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობა ვერ ახერხებს საჭირო რაოდენობით მიიღოს ყველა აუცილებელი (მოხმარების რაციონალური ნორმების თანახმად) კვების პროდუქტი და მათში შემავალი ორგანიზმისათვის საჭირო ნივთიერება რადგანაც ეს პროდუქტები, როგორც წესი, მაღალფასიანთა კატეგორიას განეკუთვნებიან.

სურსათის საკმარისობის შეფასებისას აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში მოხმარებული კვების პროდუქტების რაოდენობა აღწევს 960 კვ-ს მაშინ, როცა საქართველოში ფაქტიური მოხმარება არ აღემატება 640 კგ-ს. თუ პროდუქტების ნუსხიდან ამოვიღებთ კარტოფილსა და პურს, მაშინ საქართველოში კვების პროდუქტების მოხმარების დონე შეადგენს 456 კგ-ს მაშინ, როცა მოწინავე ქვეყნებში ეს სიდიდე 741 კგ-ია. 1989 წელთან შედარებით ხდება მოხმარებული კვების პროდუქტების მოცულობის შემცირება. ამასთან, ყველაზე მეტად მოხმარების შემცირება ეხება ცილებისა და ვიტამინების შემცველ პროდუქტებს. კვების ამგვარი დონის და სტრუქტურის პირობებში იწყება მოსახლეობის დეგრადაცია გენოფონდის გაუარესების, დაავადებების დონის ამაღლების გამო. მოხმარებული პროდუქტების რაოდენობის შემცირება განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება მოზარდ თაობაზე. ბავშვებში ტუბერკულოზით დაავადების კატასტროფული ზრდა არის ზემოაღნიშნული მდგომარეობის სამწუხარო დამამტკიცებელი.

ყველაზე საგანგაშოა, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში თვითმკვლელობების ფაქტები გახშირდა. ამაზე ბოლო თვეების სტატისტიკაც მეტყველებს. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ ხშირად სიცოცხლეს თვითმკვლელობით მოზარდები ამთავრებენ.

გლობალური მასშტაბით, თვითმკვლელობების ანუ სუიციდის, გახშირების მთავარ მიზეზებად სხვადასხვა ფაქტორი სახელდება: ფსიქიკური აშლილობა, ფინანსური პრობლემები, ალკოჰოლის/ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება და ქრონიკული დაავადებები. საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, მსოფლიოში ყოველ 40 წამში ერთი ადამიანი, ანუ წელიწადში 800 ათასი ადამიანი, იკლავს თავს. უახლესი სამეცნიერო დასკვნებით, თვითმკვლელობების ორი მესამედი იმ ქვეყნებზე მოდის, სადაც მოსახლეობის შემოსავლები საშუალო ან დაბალ დონეზეა. მეცნიერთა დასკვნით, თვითმკვლელობის შესაძლებლობას ზრდის სამედიცინო მომსახურებაზე დაბალი წვდომა.

ქართული გამოცემა „კომერსანტი“ 2015 წელს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „მოზარდთა თვითმკვლელობების ფაქტები ეპიდემიის სახეს იღებს“ მიუთითებს, რომ თვითმკვლელობების ზრდის შეჩერება მოახერხა ევროკავშირის სამმა ქვეყანამ - შვედეთმა, ფინეთმა და ავსტრიამ, რასაც ფსიქოლოგები ამ სახელმწიფოების მთავრობების მიერ, დროულად გატარებული სოციალური პროგრამებით ხსნიან. თუმცა, ამ ფონზე საინტერესოა, რომ ჩვენი მოძიებული ინფორმაციით, სუიციდის პრობლემა სოციალურად სტაბილურ იაპონიაშიცაა გახშირებული, რომლის მთავრობაც სხვადასხვა მეთოდით ცდილობს მასთან ბრძოლას. მაგრამ, ფსიქოლოგები იაპონიაში თვითმკვლელობების მაღალ მაჩვენებელს არა სოციალური პირობებით, არამედ ისტორიული ტრადიციით — „ხარაკირით“ განმარტავენ.

სუიციდის სიტუაციურ ფაქტორებს შორის სულ უფრო ხშირად ასახელებენ ეკონომიკურ პრობლემებს, მათ შორის, საკვების საკმარისობასა და ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, თანამედროვე ფსიქოლოგიურ გამოკვლევებში თვითმკვლელობების პრობლემას ხშირად სასურსათო უსაფრთხოებით — სურსათის საკმარისობის, ხელმისაწვდომობის, იმპორტზე ზედმეტად დამოკიდებულებისა და ეკოლოგიურად სუფთა სურსათის არასაკმარისი ხვედრითი წილის მაჩვენებლებით ხსნიან. ამავე დროს უნდა აღინიშნის, რომ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად აღრეულია ცნებები. კერძოდ, სასურსათო უსაფრთხოებას (Food Security), ანუ სურსათის საკმარისობას, ხელმისაწვდომობას, იმპორტზე დამოკიდებულებას — სამამულო მწარმოებლის დაცვას, აიგივებენ სურსათის უვნებლობასთან (Food Safety), ანუ პროდუქტის ეკოლოგიურ სისუფთავესთან.

სასურსათო უსაფრთხოების დონის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია სურსათის ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი:

$$K_{\text{ხელმძ.}} = \frac{\text{შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე}}{\text{სასურსათო კალათის ღირებულება (სასიცოცხლო მინიმუმი)}} \quad (10)$$

გაანგარიშების თანახმად ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის სიდიდე ტოლია 0,5—ის (47,52 შეფარდებული 95,3—თან). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსახლეობას არ შეუძლია მთელი თავისი შემოსავალები დახარჯოს სურსათის შესაძენად (ექსპერტების გაანგარიშებით სურსათზე იხარჯება შემოსავლების 60-70%), მაშინ ამ მაჩვენებლის სიდიდე მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება და არ აღემატება 0,35—ს (33,2 შეფარდებული 95,3—თან), ანუ იქნება კრიტიკულად დასაშვები ზღვარის დაბლა. ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა ორიენტირებულია სასიცოცხლო მინიმუმზე, რომლის საფუძვლად გვევლინება მოხმარების რაციონალური ნორმები. მაგრამ როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, კვების ფაქტიური რაციონი თავისი სტრუქტურით მნიშვნელოვნად განსხვავდება საჭირო რაციონისაგან და თითქმის ორჯერ უფრო იაფია. თუკი საფუძვლად ავიღებთ კვების „იაფ“ ფაქტიურ რაციონს, მაშინ პროდუქტების ასეთი ნაკრების ხელმისაწვდომობის დონე რამდენადმე მაღალი იქნება და მიაღწევს 0,69 (33,2 შეფარდებული 48,0—თან). მიღებული შედეგი გვიჩვენებს, რომ ასეთი შედარებით იაფი რაციონიც კი მიუწვდომელია ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. თუკი გამოვალთ იმ მოსაზრებიდან, რომ კვების ფაქტიური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა შეადგენს 2980,7 კკალ. დღეში, ხოლო ხელმისაწვდომობის დონეა - 0,69, მაშინ სრულიად დასაბუთებულად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სურსათის საკმარისობა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის არის 2056,7 კკალ. დღეში დონეზე (2980,7ხ0,69), ანუ იგი ფაო-ს ექსპერტების მიერ დადგენილ შიმშილის ზღვარზე იმყოფება.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩვენი გაანგარიშებები გასაშუალებულია და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლები ნაკლებია ქვეყნის საშუალო სულადობრივ მაჩვენებელზე.

ამრიგად, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება ბევრი მახასიათებლის მიხედვით იმყოფება კრიტიკულ ზღვარს მიღმა. მიუხედავად კვების ფაქტიური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობების შედარებით საკმარისი დონისა, მისი სტრუქტურა საკვები ნივთიერების შემადგენლობის თვალსაზრისით არადამაკმაყოფილებელია. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ აქვს საშუალება იმისა, რომ უზრუნველყოს თავისი თავი შედარებით „იაფი“ პროდუქტების ნაკრებით და მისი კვების ენერგეტიკული ფასეულობა შიმშილობის ზღვარზეც კი დაბალია (ფაო-ს კლასიფიკაციის მიხედვით). იმის გამო, რომ არ არსებობს აგრარული სფეროსა და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის დარგების განვითარებისა და დაცვის მკვეთრი პოლიტიკური ნება, სასურსათო დამოკიდებულების დონე კიდევ უფრო უარესდება.

ცხრილი 1

საქართველო–სომხეთის შედარება სურსათის წარმოებაში 2014 წელს (ათ.ტ)

სურსათის სახე	საქართველო	სომხეთი	სხვაობა
კარტოფილი	196	691	-495
ხორბალი	52	340	-312
მარცვლეული მთლიანად	412	591	-179
ბოსტნეული	187	245	-58
ხილი და ციტრუსები	329	336	-7
ყურძენი	226	258	-32
ხორცი	49	165	-116
რძე	633	718	-85
კვერცხი (ათ.ც)	522	640	-118

წყარო: http://bpi.ge/index.php/saqartvelo-somkhetze-nakleb-sasoflo-sameurneo-roduqcias-warmoebs/.

შრომისუნარიანი მამაკაცის ძირითადი საკვებნივთიერებების წლიური მოთხოვნილება

ცხრილი 2

	სამომხმარებლო ფასეულობის დასახელება	წლიური მოხმარების ნორმა (კგ)	პროდუქციის ერთეულის კალორიულობა (კკალ)	მთლიანი პროდუქციის (კკალ)	ქიმიური შემადგენლობა		
					ცილები (გრ)	ცხიმები (გრ)	ნახშირწყლები(გრ)
	1	2	3	4	5	6	
1	ხორბლის პური	120	2336	280320	82	13	469
2	ჭვავის პური	10	2084	20840	56	11	432
3	ხორბლის ფქვ.	9	3251	29260	105	12	680
4	სიმინდის ფქვ.	15	3100	46500	83	12	750
5	მაკარონის ნაწ.	6	3319	19910	108	16	688
6	ბრინჯი	4	3194	12780	70	10	707,5
7	რძე: მოუხდელი	120	585	70200	28	33	46
8	კარაქი	4	6911	27644	7	760	11
9	ხაჭო	5	1718	8590	156	97	46
10	არაგანი	3	2138	6414	27	209	32
11	ყველი	9	3291	29619	230	255	0
	ხორცი და ხორცპროდუქტები						
12	საქონლის	22	1590	34980	140	114,8	0
13	ღორის	12	3290	39480	120	312,2	0
14	ცხვრის	5	1429	7145	120	105,3	0
15	ფრინველის	12	1449	17388	102	115	0
16	მეხვეული	4	2946	11784	130	266,8	5,1
	თევზი და თევზპროდუქტები						
17	ახალი გაყინული	7	705	4935	89	32,3	0
18	დამარილებული	3	1066	3198	134	193	0
	ბოსტნეული						
19	კომბოსტო	20	214	4280	15	0,7	35,4
20	პამიდორი	30	181	5430	9,3	1,5	27,6
21	კიტრი	15	181	2715	9,3	1,5	27,6
22	ლობიო	12	309	3708	223	17	545
23	სტაფილო	7	279	1953	8,9	59,4	9,4
24	ჭარხალი	6	279	1674	8,8	0,3	59,3
25	ხახვი	12	275	3300	8,9	0,3	58,5
26	ნიორი	1	1360	1360,6	5	-----	212
27	მწვანილი	27	-----	-----	-----	-----	-----
28	კარტოფილი	50	576	28800	14,4	2,9	117
	ხილი						
29	ყურძენი	10	579	5790	5	2	130
30	ციტრუსები	5	450	2250	5	4	94
31	კურკოვანი	10	400	4000	8	3,5	83,2
32	თესლოვანი	36	400	14400	4,8	3,5	83,1
33	კვერცხი (ცალ)	150	137	20550	110	10	0,61
34	შაქარი	15	3790	56850	0	0	998
35	მც.ზეთი (ლ)	6	8990	53940	0	999	0
36	მარგარინი	2	7430	14860	3	920	10
37	მარილი	5	-----	-----	-----	-----	1,2
38	ჩაი	1	1090	5450	1000	-----	345
39	ღვინო	12	710	8520	2	-----	2

ცხრილი 3

კვების პროდუქტების მოხმარება ერთ ხელზე და დღე-ღამეში კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა

№	კვების პროდუქტები	პროდ უქტის ერთეულ ის კალორ იულობა (კკალ)	წლიური მოხმ არების ნორმ ა (კგ)	ფაქტიური წლიური მოხმარება (კგ) 1996წ.	დღე-ღამის კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა (რაციონალური ნორმების გათვალისწინებით)	სტრუქტურა %	დღე-ღამის კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა ფაქტიური მოხმარების გათვალისწინებით (კკალ)	სტრუქტურა%
	1	2	3	4	5	6	7	8
1	ხორბლის პური	2336	120	119,2	800,5	31,8	762,88	25,6
2	ჭვავის პური	2084	10	-----	57,0	2,3	-----	-----
3	ხორბლის ფქვილი	3251	9	29,3	80,16	3,2	200,97	8,7
4	სიმინდის ფქვილი	3100	15	14,8	127,38	5,1	125,69	4,2
5	მაკარონის ნაწარმი	3319	6	1,8	54,56	2,2	16,37	0,5
6	ბრინჯი	3194	4	13,1	35,0	1,4	114,63	3,8
7	რძე მოუხდელი	585	120	60,8	123,3	7,6	97,44	3,2
8	კარაქი	6911	4	4,8	75,74	3,0	90,88	3,0
9	ხაჭო	1718	5	11,5	23,53	0,95	4,12	1,8
10	არაგანი	2138	3	0,03	17,57	0,7	0,17	0,005
11	ყველი	3291	9	26,4	81,15	3,2	238,0	8,0
12	საქონლის ხორცი	1590	22	7,8	95,83	3,8	33,97	1,1
13	ღორის ხორცი	3290	12	7,1	108,16	4,3	64,0	2,1
14	ცხვრის ხორცი	1429	5	1,2	19,57	0,8	4,7	0,1
15	ფრინველის ხორცი	1449	12	8,7	47,64	1,6	34,54	1,1
16	მეხვეული	2946	4	2,34	32,78	1,3	18,89	0,6
17	ახალი და გაყინული თევზი	705	7	1,2	13,52	0,5	2,32	0,07
18	დამარილებული და მეწოლილი თევზი	1066	3	1,1	8,76	0,3	3,21	0,1
19	კომბოსტო	214	20	15,7	11,73	0,4	9,2	0,3
20	ციტრუსი	181	30	24,8	14,8	0,6	17,29	0,4
21	კიტრი	181	15	26,1	7,43	0,3	12,94	0,4
22	ლიმონი	309	12	12	10,16	0,4	10,16	0,9
23	სტაფილო	279	7	7,9	5,35	0,2	6,0	0,2
24	ჭარხალი	279	12	12	9,17	0,4	9,17	0,3
25	ხახვი	275	12	12	9,04	0,3	9,04	0,3
26	ნიორი	1060	1	0,96	2,9	0,1	2,9	0,09
27	მწვანილი	-----	27	20	-----	-----	-----	-----
28	კარტოფილი	567	50	40	78,9	3,1	63,12	2,1
29	ყურძენი	579	10	10,1	15,86	0,6	16,02	0,5
30	ციტრუსები (ლიმონი)	450	5	6,96	6,16	0,2	8,58	0,3
31	კურკოვანი ხილი (ქლიავი)	400	10	21,96	10,9	0,4	24,0	0,8
32	თესლოვანი ხილი (ვაშლი)	400	36	45	39,4	1,5	49,3	1,6
33	კვერცხი (ცალი)	137	150	83	56,3	2,2	31,15	1,0
34	სუფ. შაქარი, საკონდიტრო ნაწარმსა და ხილის კონსერვზე დახარჯულის ჩათვლით	3790	15	38,8	155,75	6,2	402,8	13,5
35	მცენარეული ზეთი(ლ)	8990	6	14,6	147,78	5,9	369,6	12,0
36	მარგარინი	7430	2	0,16	40,71	1,6	3,26	0,1
37	მარილი	-----	5	-----	-----	-----	-----	-----
38	ჩაი	1090	1	1,98	2,98	0,1	5,9	0,2
39	ღვინო	710	12	12	23,3	0,9	23,3	0,8
	ხელ:		**655ვ**	**2513,9ვკალ**	**643,2**		**2980,7 ვკალ**	

ცხრილი 4

ერდი ფეხის კვების რაციონის ქიმიური შემადგენლობა მონმარების რაციონალური ნორმებით და ფაქტიური მონმარებით

	კვების პროდუქტები	ერთი თვის კვების რაციონი		რაციონის ქიმიური შემადგენლობა ნორმების თანახმად			კვების რაციონის ქიმიური შემადგენლობა ფაქტიური მონმარებით		
		ნორმებით	ფაქტიური	ცილა	ცხიმი	ნახშირწყლები	ცილა	ცხიმი	ნახშირწყლები
1	ხორბლის პური	0,10	9,93	820	130	4690	814,2	129,1	4657,2
2	ხორბლის ფქვილი	0,75	2,44	78,7	9	510	256,2	29,3	1659,2
3	სიმინდის ფქვილი	1,25	1,23	103,7	15	936,5	102,9	14,76	922,5
4	მაკარონის ნაწარმი	0,5	0,15	54	8	344	16,2	2,4	103,2
5	ბრინჯი	0,33	1,09	23,1	3,3	233,5	76,3	10,9	771,2
6	რძე მოუხდელი	10	5,07	280	330	460	141,9	167,3	233,2
7	კარაქი	0,33	0,4	2,3	25068	3,63	2,8	304	4,2
8	ხაჭო	0,42	0,96	65,52	40,7	19,3	150	93,1	44,2
9	არაქანი	0,25	0,002	6,7	52,2	8	0,05	0,4	0,06
10	ყველი	0,75	2,2	172,5	191,2	0	506	561	0
11	საქონლის ხორცი	1,83	0,65	256,2	210,1	0	91	74,6	0
12	ღორის ხორცი	1,03	0,59	120	312,2	0	70,8	184,2	0
13	ცხვრის ხორცი	1,42	0,1	59,4	44,2	0	12,0	10,5	0
14	ფრინველის ხორცი	1,0	0,72	102	115	0	73,4	82,8	0
15	მეხვეული	0,33	0,19	42,9	88,0	1,7	24,7	50,7	1,0
16	ახალი და გაყინული თევზი	0,58	0,1	51,6	18,7	0	8,9	3,2	0
17	დამარილებული და მებოლიალი თევზი	0,25	0,09	33,5	48,2	0	12,1	17,4	0
18	კომბოსტო	1,67	1,31	25	1,2	59,1	19,6	0,9	46,4
19	კიტრი	1,25	2,17	11,6	1,9	34,5	20,2	3,2	60
20	ლობიო	1,0	1,0	223	17	545	223	17	545
21	სტაფილო	0,58	0,66	5,2	0,2	34,4	5,9	0,3	39,2
22	ჭარხალი	0,5	1,0	4,4	0,15	29,5	8,8	0,3	59,3
23	ხახვი	1,0	0,5	8,9	0,3	58,5	4,9	0,15	29,2
24	ნიორი	0,08	0,08	5,2	----	16,9	5,2	----	16,9
25	კარტოფილი	4,27	3,33	60	12,1	488	48	9,6	389
26	ყურძენი	0,83	0,84	4,1	1,6	108	4,1	1,7	108
27	ციტრუსები	0,42	0,58	2,1	1,6	39,5	2,9	2,3	54,5
28	კურკოვანი ხილი	0,83	1,83	6,6	2,9	69,0	14,6	6,4	152,3
29	კვერცხი	3,0	4,17	14,4	10,5	249,3	20	14,6	346,5
30	შაქარი	1,25	3,23	1375,6	125	7,6	761,5	69,2	4,2
31	შაქარი	0,5	1,22	0	0	1247,5	0	0	3,223
32	მცენარეული ზეთი	0,5	1,22	0	499,5	0	0	1218,8	0
33	მარგარინი	0,17	0,01	0,5	156,4	1,7	0,03	9,2	0,1
	ხელ			**4070**	**2697**	**10196**	**3498**	**3090**	**13378**

ცხრილი 5

ძირითადი კვების პროდუქტების წარმოების და მოხმარების ბალანსი

	საქართველოს მოთხოვნილება	წარმოების მოცულობა	აქედან		
			ადგილობრივი მოხმარება	ექსპორტი	იმპორტი
1 მარცვლეულიათასი ტ.	1400	150	750	----	1250
2 კარტოფილი ათასი ტ	310	950	290	60	20
3 კვერცხი მლნ.ცალ	660	400	----	----	260
4 რძე, რძის პროდ.რძეზე გადაყვანილი ათ. ტ	1100	532	532	----	568
5 ყველი ათასი ტ	18	0,4	0,4	----	17,6
6 შაქრის ფხვნილი ათტ	155	1,4	2	----	153,6
7 მცენარეული ზეთი	35	4	4	----	31
8 ხორცი I კატეგორიის ათ. ტ.სუბპროდუქტების ჩათვლით	160	108	108	----	52

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Римская декларация по всемирной продовольственной безопасности. Архивировано из первоисточника 24 марта 2012.

2. იხ. მაგალითად: კრისტოფ კორდონიე, ევროკავშირის საექსპორტო ბაზრების მდგომარეობა ქართული აგრო პროდუქციის კომკურენტული უპირატესობის რეალიზაციისათვის, სამუშაო მასალები, 2010 წ; ვინსენტ ვოლკჰარტი,"ვაჭრობის პოლიტიკა და ქართული ექსპორტი", ქართული ეკონომიკის ტრენდი 2008 წ;

3. ნ. მოდებაძე, ზ. გარაყანიძე. სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საწქართველოში. თბ. 1998წ; პ. კოღუაშვილი — საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობადა პროგნოზები. თბილისი. „კოლორი" 2004 წ; სასურსათო პრობლემიდან-სასურსათო უსაფრთხოებამდე / პ. კოღუაშვილი, ჰ. გიორგაძე, ბ. რამიშვილი; [რედ. : გიორგი ზიბზიბაძე, პაატა კოღუაშვილი]; საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში. თეთრუაშვილი ზაურ თეთრუაშვილი-ქარდავა მაია თბ. 2006 და ა.შ.

4. Климова Н.В. ПРОДОВОЛЬСТВЕННАЯ БЕЗОПАСНОСТЬ – ОСНОВА ОБЕСПЕЧЕНИЯ ЭКОНОМИЧЕСКОЙ БЕЗОПАСНОСТИ РЕГИОНА // Фундаментальные исследования. – 2012. – № 9-1. – С. 214-219URL: http://www.fundamental-research.ru/ru/article/view?id=30206 (дата обращения: 05.04.2016).

5. Ефимов А.Б. Организационно-экономическе аспекты достижения продовольственной безопасности в России. Автореферат диссертации на соискание звания кандидата экономических наук (doc) (2009). Архивировано из первоисточника 24 марта 2012. Новоселова Н.Н. Управление функциональным развитием регионального зарнопродуктового комплекса. Автореферат диссертации на соискание звания кандидата экономических наук (doc) (2009). Архивировано из первоисточника 24 марта 2012.

ბიზნეს-ინჟინერინგი სოციალურ მეცნიერებებში

ჰუმანიტარული ინტერვენციის ტიპოლოგია და მოდელები

გოგი ცხოვრებაძე, *ისტორიის დოქტორი*

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ცივი ომის შემდგომი თანამედროვე ჰუმანიტარული ინტერვენციის მოდელები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მკაცრად გაწერილი ნორმები კი არ არის, არამედ განსაზღვრულია პოლიტიკური, დიპლომატიური, სამხედრო და მორალურ-სამართლებრივი ასპექტებით. ახსნილია თითოეული მოდელის მიზეზ-შედეგობრივი მხარეები. სამხედროების როლი და ადგილი ასეთი ქმედებისას. ასევე, იმ აუცილებელი პირობების, ნორმებისა და კრიტერიუმების დაცვა, რათა ინტერვენცია არ გასცდეს ომის უნივერსალური თეორიის - „ომზე უფლება, უფლება ომში" სამართლებრივ, მორალურ და ჰუმანიტარულ პრინციპებს.

Typology and Models of Humanitarian intervention

Summary

The work concerns the models of humanitarian intervention in the post-Cold War period which are not spricty prescribed norms but are definid by the political, diplomatic, military faqtors and moral and legal aspeqts. The conditions, norms and criteria are also desccribed required in order not to violate the universal theory of war: "jus ad bellum jus in bello" with its legal, moral and humanitarian principles.

* * * * *

საუკუნეების მანძილზე კაცობრიობა სხვადასხვა ტიპის ომების მომსწრე შეიქმნა, რომელთაც თავისი ზრახვები და ხასიათი ჰქონდა. ასეთები იყო:

- ბარბაროსული ომები (მოკალი და გაძარცვე);
- რაინდთა ომები (თავი ისახელე);
- სავაჭრო ომები (კომერციული ინტერესები);
- კოლონიური ომები (სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიისა და რესურსების მიტაცება);
- ჯვაროსნული ომები (ან ზოგადად) რელიგიური ომები;
- სამოქალაქო ომები (საკუთარ ქვეყანაში ძალით ცვლილებების განხორციელება);
- თავისუფლებისა და დამოუკიდებლად გამოყოფისათვის წარმოებული ომები;
- რევოლუციური ომები (რევოლუციის ექსპორტი სხვა ქვეყნებში);
- ომები სამართლიანობის აღდგენისათვის (უსამართლოდ წართმეულის დაბრუნება);
- შურისძიებისათვის ბრძოლა (სამაგიეროს გადახდა უწინდელი უსამართლობისათვის);
- თავდაცვითი ომები (ქვეყნის დაცვა სხვათა აგრესიისაგან);
- პრევენციული ომები (შესაძლო აგრესიის აღკვეთა მომავალში);
- ჰუმანიტარული ინტერვენცია (დახმარება გადარჩენისათვის ან იძულებითი ფორმით მშვიდობის დამყარება).

ჩვენი განხილვის საგანია უკანასკნელი მათგანი-ჰუმანიტარული ინტერვენცია, ანუ დახმარება გადარჩენისათვის ან იძულებითი ფორმით მშვიდობის დამყარება.

საერთოდ კი XIX ს. დასაწყისიდან ვიდრე XX ს. 80-იან წლებამდე რამდენიმე ინტერვენცია განხორციელდა ჰუმანიტარული მიზნით, რომელთაც საომარი მოქმედებები მოჰყვა და რომლებიც პრინციპში განსხვავდება თანამედროვე ჰუმანიტარული ინტერვენციის არსისაგან, თუმცა მათ ბევრი საერთო მსგავსება გააჩნიათ და ამიტომაც თანამედროვენი განიხილავენ როგორც ჰუმანიტარულს. ესენია: საფრანგეთისა და რუსეთის (1821-27 წწ.) საბერძნეთში, ფრანგების (1860-1861წწ.) ლიბიაში, აშშ-ის ომი ესპანეთთან (1898წ.), ხოლო ცივი ომის პერიოდში ინდოეთის ომი პაკისტანთან ბანგლადეშის თაობაზე 1971წ. ვიეტნამის 1979წ. კამბოჯაში და იმავე 1979წ. ტანზანიისა უგანდაში.

ცივი ომის დამთავრების (XX ს. 90–იანი წლები) შემდეგ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა სხვათა დაცვისათვის ომებს, ასევე თავისუფლებისა და გამოყოფისათვის წარმოებულ ქმედებებს ჰუმანიტარული ინტერვენციის საფარქვეშ, ვიდრე გლობლურ კონფლიქტებს. სწორედ ჰუმანიტარული ინტერვენციის ამ ტიპებზე (მოდელებზე) გავამახვილებთ ყურადღებას.

თუმცა, ზოგადად უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ჰუმანიტარული ინტერვენცია განიხილება მსოფლიო წესრიგის ერთგვარ ფორმად და მთავარ სადისკუსიო თემად საერთაშორისო ურთიერთობებში. ამავე დროს იგი გახდა ერთგვარი ინსტრუმენტი მთელი რიგი პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად, იქნება ეს ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევა, ჰუმანიტარული კატასტროფა თუ სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე ეროვნული, რელიგიური ან სხვა ფაქტორებით გამოწვეული გადაუჭრელი პრობლემური საკითხები, გამომდინარე ეთიკური თუ მორალურ-სამართლებრივი პრინციპებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს. რომ ყველა ქვეყანა მას თავისებურად უდგება და ამიტომაც მათ შორის არ არის შეთანხმებული ქმედება საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე

პირველად ჰუმანიტარული ინტერვენციის პრობლემას შეეხო ჰუგო გროცი თავის წიგნში "ომისა და მშვიდობის სამართალი". ეხება რა ხელისუფლებისა და მოქალაქეების ურთიერთობას იგი თვლიდა, რომ- "თუ ხელისუფალი მასიურად არღვევს თავისი ხელქვეითების უფლებებს, მაშინ საზოგადოება იტოვებს უფლებას , იარაღის ძალით შეაჩეროს ჩაგვრა." (იხ. ჰუგო გროცი „ომისა და მშვიდობის სამართალი", წიგნი-2, გვ.562-563. რუს. ენაზე, მ. 1956.) იგივე მიდგომით ხასიათდებიან სამართლიანი ომის სხვა თეორეტიკოსები- ვიქტორია, სუარესი და ხხ საუკუნის ცნობილი სამართალმცოდნე ლაუტერპახტი. (იხ. „ომის ზნეობრივი შეზღუდვები"- პრინციპები და მაგალითები, (ინგლისურიდან რუსული თარგმანი) მ. 2002.)

თანამედროვე გაგებით ჰუმანიტარული ინტერვენცია არის იძულებითი ქმედების ფორმა ერთი მხარის მიერ მეორის ზემოქმედებაზე, რომელიც გამოიყენება ორი ტიპის სიტუაციაში:

პირველი, - როცა მასსობრივად ირღვევა ადამიანის უფლებები რომელიმე მხარეს, ხოლო ხელისუფლებას არ შეუძლია აკონტროლოს ან აღკვეთოს ის, ან თვითონ არღვევს მას.

მეორე- ხელისუფლებას არ შესწევს უნარი და პასუხისმგებლობა, ან არ სურს გადაწყიტოს ელემენტარული საჭიროება, ან მისივე დაუდევრობით ხდება ყოველივე.

ჰუმანიტარული ინტერვენციის მიზანია აღკვეთოს დარღვევები და ხელი შეუწყოს მოსახლეობის ელემენტარული, სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ინტერვენცია შეიძლება განხორციელდეს ცალკეული ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (გაერო, ნატო) ძალის გამოყენებით, მინიმალური კომპეტენციის ფარგლებში წესრიგის დამყარებით, ასევე დიპლომატიური გზით, ან ჰუმანიტარული ორგანიზაციების (წითელი ჯვარი, წითელი ნახევარმთვარე, ექიმები საზღვრების გარეშე) ხელშეწყობით, რათა ჩარევა არ გასცდეს მორალურ-სამართლებრივ ჩარჩოებს და არ მიიღოს მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური შეფერილობა ან სხვა ინტერესი, რომელიც შეიძლება გლობალურ უთანხმოებაში გადაიზარდოს (მაგ. რუსეთ-საქართველოს 2008წ. ომი).

ყოველი ქმედება, იქნება ეს სახელმწიფოს თუ უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული, მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანი ომის პრინციპებს — მართალი საქმე, კეთილი ზრახვები, ასევე უმთავრეს უფლებრივ მოთხოვნას — ომზე უფლება და უფლება ომში.

როგორც ზემოთ ვთქვით, ცივი ომის დამთავრების შემდეგ ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგიტიმაცია გახდა დისკუსიის ცენტრალური თემა საერთაშორისო ურთიერთობაში. აამ დისკუსიების ბოლომდე გასააზრებლად საჭიროა სწორად გავერკვეთ ჰუმანიტარული ინტერვენციის არსში, რომელიც სიტყვასიტყვით შეიძლება იყოს — "ერთი სახელმწიფოს ჩარევა მეორე სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჰუმანიტარული ინტერვენციის მიზნით." სხვები კი ფიქრობენ, რომ ასეთი ჩარევა არ უნდა განხორციელდეს სამხედრო ძალის გამოყენებით, არამედ ის უნდა მოხდეს სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე, ან კიდევ, მიღწეული შედეგის შემდეგ შეიარაღებულმა ფორმირებებმა დატოვონ იქაურობა. თუმცა ჰუმანიტარული ინტერვენციის მთავარ საგნად შეთანხმებიდან გამომდინარე უნდა გახდეს მართალი საქმე, რათა არ დაირღვეს ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, რადგან, ვინც მას იცავს ის მართალია, ის ყველაზე მაღლა დგას, თვით ანტიინტერვენციონისტებზეც კი. რადგან თუ დაირღვევა სუვერენული ქვეყნის მთლიანობა, ამით ჩვენ შევარყევთ საერთაშორისო წესრიგის საფუძვლებს, რომლის დაცვა უმთავრესია.

ჯერ კიდევ 1648 წელს ვესტფალის მშვიდობამ განსაზღვრა სუვერენიტეტისა და ინტერვენციის მორალის უნივერსალური საფუძვლები, რომელიც ასევე მკაცრადაა გაწერილი გაეროს წესდებაში. თუმცა ცივი ომის შემდგ სუვერენიტეტი აღარ განიხილება წმინდათაწმინდა საქმედ. ითვლება, რომ მსოფლიო წესრიგის ჰუმანიტარული ასპექტები უნდა დაკონკრეტდეს საერთაშორისო სამართალში.

კიდევ ერთი პრობლემა. როგორიცაა მართალი საქმე, (ინტერვენციის სამართლიანობა) ეხება ინტერვენციის მასშტაბების განსაზღვრას და აქაც ის შეეხება წმინდა ჰუმანიტარულ დახმარებას, ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას. აამავე დროს, ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის თავშეკავება უზრუნველყოფილი (გარანტირებული) უნდა იყოს და სუვერენიტეტი ეფუძნებოდეს თვითგამორკვევის პრინციპებს. თანაც ჩარევა უნდა განხორციელდეს

მხოლოდ გადაუდებელი საჭიროებისათვის (შიმშილის აღკვეთა, სამედიცინო დახმარება და სხვა). ყოველივე ამის მაგალითია ბოსნიის კონფლიქტის (1992-1995წწ.) საერთაშორისო ჩარევა.

კერძოდ, ბოსნიის ომის დაწყებისას 1992წ. ის უკვე იყო სუვერენული სახელმწიფო. მუსლიმებისაგან შემდგარი ოფიციალური ხელისუფლება ცდილობდა შეენარჩუნებინა სახელმწიფოს ერთიანობა და სუვერენიტეტი, მაშინ როცა სერბეთი და ხორვატია ცდილობდნენ თავიანთი ტერიტორიის გაფართოებას მის ხარჯზე. ეს კი ნიშნავდა ბოსნიის სახელმწიფოს წაშლას.

მიუხედავად იმისა, რომ გაერო ცდილობდა ჰუმანიტარული ჩარევის გზით შეენარჩუნებინა ეს პროცესი (სამშვიდობოების გამოყენებით სამხედრო ესკალაციის შეჩერება), მიუხედავად ამისა ეთნიკურ და რელიგიურ კონფლიქტში ჩართული მოსახლეობის მსხვერპლი იზრდებოდა. იმავე გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის მონაცემებით ლტოლვილთა რაოდენობამ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში 2 მლნ-ს გადააჭარბა, რის შედეგადაც გაეროს სანქციის საფუძველზე გადაწყდა ჰუმანიტარული პერსონალის დაცვა სამხედრო ძალით. აამავე დროს, შექმნილი იქნა უსაფრთხოების ექვსი დამოუკიდებელი ზონა (სარაევო, სრებრენიცა, ჟეპა, გორაჟდა, ბიხაჩი, ტუზლა). გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის 16 აპრილისა და 6 მაისის რეზოლუციების საფუძველზე (819, 824) ეს ზონები თავისუფალი უნდა ყოფილიყო სამხედრო მოქმედებებისაგან, სადაც გაეროს სამხედრო ძალებს უნდა შეესრულებინათ მხოლოდ შემკავებლის ფუნქცია (გაეროს პერსონალის, ჰუმანიტარული ტვირთის, ან თავდაცვის შემთხვევაში), მაგრამ 1995 წლის ივლისში სრებრენიცაში დატრიალებულმა ტრაგედიამ (როცა ბოსნიელმა სერბებმა რამდენიმე ათასი მუსლიმი მამაკაცი მოკლეს გაეროს ჰოლანდიური კონტინგენტის თვალწინ) გაეროს თავდაცვის ზონების პოლიტიკის კრახი გამოიწვია. ერთი სიტყვით, გაერო ერთის მხრივ აპურებდა მოსახლეობას, მეორეს მხრივ მისი ეგიდით მყოფი სამშიდობო ძალები ხელს არ უშლიდნენ მოწინააღმდეგე მხარეებს ერთმანეთი დაეხოცათ. (შევადაროთ იგივე სცენარი რუსეთის სამშვიდობო ძალების ქმედებას,როცა მათ ზურგს უკან მდგომი ოსი არაფორმალური შეიარაღებული ძალები როგორ უშენდნენ ცეცხლს ქართული სოფლების მშვიდობიან მოსახლეობას)

ამავე დროს, ინტერვენციის სამართლიანობა ანუ მართალი საქმე უნდა შეესაბამებოდეს — "Jus ad bellum" (უფლებას ომზე) და იცავდეს ომის თავსებადობისა და შესაძლო წარმატების პრინციპებს.

განვლილი ორი ათეული წლის მანძილზე იყო არანაკლებ რვა შემთხვევა, როცა ჰუმანიტარული კატასტროფის მასშტაბებმა გადააჭარბა 1 მლნ იძულებით ლტოლვილს და არანაკლებ 100 000 დაღუპულს. თუმცა არც აშშ-ს და არც გაერო-ს არ გამოუყენებია სამხედრო ძალა, რათა შეეჩერებინათ სტიქიური უბედურება.

ყველაზე ცნობილი და შემაშფოთებელი კატასტროფები იყო რუანდაში 1994წ. ასევე სუდანში, კონგოში, ბურუნდიში, ანგოლაში, ავღანეთში, ჩეჩნეთსა და კოლუმბიაში.

აღნიშნულ ქვეყნებში საერთაშორისო თანამეგობრობამ თავშეკავება გამოიჩინა და იგი ჰუმანიტარული კატასტროფის მიმდინარეობისას ე.წ. თავშეკავების ტიპად (სახედ) ანუ ერთგვარ მოდელად იქცა.

მეორე, რელფის მოდელი, ანუ უბედურების ზონა პოლიტიკური გადაწყვეტილებების გარეშე, როგორიც იყო სომალიში ბუშის პირველი ადმინისტრაციის დროს 1992წ. დეკემბერში და გაეროს გადაწყვეტილება 1993-95წწ. ბოსნიაში, როცა ფაქტიურად აღიკვეთა შიმშილი და განხორციელდა წმინდა ჰუმანიტარული ჩარევა. ამ შემთხვევაში ჰუმანიტარული ინტერვენციის მიზანი იყო არა კორექცია, დასჯა, ან უსამართლობის აღკვეთა, არამედ შედეგების შემსუბუქება, ხოლო უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება გამოეყენებინა სამხედრო ძალა, მხოლოდ აღნიშნულ მიზანს ემსახურებოდა. თუმცა ბოსნიის ამბებმა შემდეგში აჩვენა, რომ რიგი ქვეყნების პოლიტიკური ინტერესი აფერხებდა წმინდა ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელებას.

მესამე, რელფს პლუსი მოდელის განხორციელება აუცილებელი გახდა იმ შემთხვევაში, როცა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება გარდაუვალი შეიქმნა და ის განხორციელდა მეგობარი ქვეყნების ძალისხმევით. მაგ. რაც აშშ-მა გააკეთა ჰაიტიში 1994წ. ასეთივე სცენარები განხორციელდა კარიბის ბასეინსა და ცენტრალურ ამერიკაში (დომინიკის რესპუბლიკა, გრენადა, პანამა), რომელიც "ამერიკის ჩარევის სახედ" ჩამოყალიბდა და შედეგის მიღწევის შემდეგ გაყვანილი იქნა შეიარაღებული ძალები, როცა პოლიტიკური წესრიგი აღდგენილი იქნა სწრაფად და იაფად. მას ყველა უყურებს როგორც ჰუმანიტარულს, მაგრამ ლიბერალები მასში უფრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს ხედავენ.

მეოთხე, რეკონსტრუქციის მოდელი უფრო ამბიციურია და მიზნად ისახავს მთელი პოლიტიკური სისტემის მოდელირებას. ამის კლასიკური მაგალითებია ამერიკის ჩარევა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიის, იაპონიის, ავსტრიის, იტალიასთან მიმართებაში (მარშალის გეგმა), თუმცა ის რაც თავდაპირველად განხორციელდა ბოსნიაში, კოსოვოსა და მაკედონიაში არ იყო მარტო რეკონსტრუქცია, ის უფრო იყო ახალი ქვეყნის მშენებლობა ჰუმანიტარული ინტერვენციის მორალურ-ზნეობრივი ფაქტორებიდან გამომდინარე, სადაც არასოდეს ყოფილა არათუ ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობა, არამედ თვით სახელმწიფოებრიობის არსებობის ფაქტიც კი.

თუმცა პრევენციული ქმედება და პრევენციული დიპლომატია გამყარებული სამხედრო ძალით ყველაზე კარგი მეთოდია ჰუმანიტარული კრიზისის გადასაწყვეტად ანუ ჰუმანიტარული ინტერვენციის რეჟიმში წარმართული მოდელი-საქმე ლაპარაკის

ნაცვლად.

ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელებისას მთავარი მარტო კეთილი ზრახვები ან საერთაშორისო სამართლის მკაცრად გაწერილი ნორმები კი არ არის, არამედ მას განსაზღვრავს მთელი რიგი ასპექტები, რომელიც ჰუმანიტარული ინტერვენციის ჭრილში განიხილება ჩარევის მეთოდებიდან გამომდინარე. ეს ასპექტებია:

1. საშინაო-პოლიტიკური
2. დიპლომატიური
3. სამხედრო
4. მორალურ-სამართლებრივი

აშშ-ის რეალისტ კონსერვატორთა აზრით, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სასიცოცხლო მატერიალური ინტერესების დაცვაზე, ხოლო ნეოკონსერვატორები თვლიან, რომ იდეალების (დემოკრატია, ადამიანის უფლები და სხვა) დაცვა ასევე აუცილებელია, ამიტომაც საშინაო და საგარეო მხარდაჭერის გარეშე მიზანშეუწონელია ჩარევის განხორციელება და რომ ჰუმანიტარული ჩარევის გაფურჩქნის დრომ აშშ-ი ჩაიარა. თუ ასეთი ჩარევა მაინც მოხდება, ის უნდა იყოს მინიმალური და ემყარებოდეს როგორც ქვეყნის, ისე ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვას. თუმცა თვით შტატების მოსახლეობის სამი მეოთხედი ჩარევის მომხრეა. ისინი თვლიან, რომ არმიის 25% სპეციალურად უნდა მომზადდეს ასეთი ჩარევისათვის. აამავე დროს დანაკარგები არ უნდა არსებობდეს ან მაქსიმალურად მინიმუმზე უნდა იქნას დაყვანილი. მაგ. 1993 წლის ოქტომბერში სომალიში 18 სამხედრო მოსამსახურის დაღუპვამ ამერიკელთა 40% ნეგატიურად განაწყო და ჯარების გამოყვანა მოითხოვეს. რაც შეეხება ბალკანეთის ოპერაციებს, მოსახლეობის 60% აზრით ისინი განიცდიან დანაკარგების გაზრდილ რაოდენობას, თუმცა საზოგადოებრივი მხარდაჭერა მიმდინარე ოპერაციებზე მკვეთრად არ შემცირებულა, რაც შეეხება თვით სამხედროებს, ისინი თავს ასეთი ოპერაციების მიმდინარეობისას არაკომფორტულად არ გრძნობენ. როგორც მოსახლეობის ისე სამხედროების განწყობაზე კარგად მოქმედებს მეტი ინფორმაციულობა, ასევე პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომელიც ამ საკითხში უმთავრეს როლს თამაშობს.

დიპლომატიურობა

სტრატეგიის გარეშე აშშ-ის პოლიტიკა ვერ იქნება მომგებიანი თუ ის დაეფუძნება მხოლოდ სი-ენ-ენის ინფორმაციას ან პრეზიდენტის რელიგიურ განწყობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა დღის წესრიგში დგება კრიზისში ჩარევის დრო. ამ დროს უპირველესია მეგობარი სახელმწიფოების კეთილგანწყობა, რომლის გარეშე ქმედება კონტრპროდუქტიული ვერ იქნებოდა. გარდა ამისა საჭიროა გაეროს გარკვეული სანქცია, მაშინაც კი, როცა ყველასათვის ნათელია, რომ იქ გადაწყვეტილებების მიღება, განსაკუთრებით უშიშროების საბჭოს დონეზე პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ სტრატეგიულ დაგეგვმაში პრევენციულ დიპლომატიას გადამწყვეტი როლი ენიჭება,რომელიც უფრო ფრთხილი და მოზომილია, შესწევს უნარი განსაზღვროს რა მოჰყვება ჩარევას და ხელმძღვანელობს მორალური ასპექტებიდან გამომდინარე. აამავე დროს მას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ისეთი ქვეყნების ჩარევისაგან, როგორიც რუსეთი და ჩინეთია, რომელთაც უამრავი პრობლემები გააჩნიათ და ნაკლებად აქცევენ ყურადღებას იდიალებს (ადამიანის უფლებებს და ზოგადად დემოკრატიას).

სამხედრო ასპექტი

ბევრი ანალიტიკოსი, ასევე პოლიტიკოსები, როგორც აშშ-ი, ისე სხვაგან თვლიან, რომ არმიის ჩარევა კრიზისებში ეწინააღმდეგება არმიის დოქტრინას და ორგანიზაციულ სისტემას. ამავე დროს ასუსტებს სამხედრო მომზადებას, ზრდის პოლიტიკის როლს არმიის საქმეში. და თუ მაინც მოხდება არმიის ჩარევა, გათვალისწინებული უნდა იქნას მრავალი ფაქტორი. მაგ. პროფესორ სარქისიანის (www. Fpri. Org/articles/2001/06/ question humanitarion intervention conferense. Report Micael P. Noonan, Rapporteur) აზრით:

ა) უნდა შეიქმნას სპეციალური ქვედანაყოფი ჰუმანიტარული მისიის შესასრულებლად;

ბ) უნდა მოხდეს ამერიკის მხარდაჭერა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი (მაგ. გაეროს) სამხდრო ტექნიკური, ადმინისტრაციული ან დაზვერვითი კუთხით;

გ) მოხდეს დაყრდნობა რეგიონალური ორგანიზაციებისადმი (მაგ. აფრიკული ინიციატივა);

დ) გამოყენებული იქნას კერძო ორგანიზაციები (მაგ. ისეთი, რომელიც წვრთნიდა ხორვატის არმიას);

ე) მოხდეს დაზვერვითი საშუალებების ან ფარული ოპერაციების განხორციელება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი დამოკიდებულება გააჩნიათ სამხედროებს. მაგ. გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ბერნარდ ტრაინორი (აშშ) თვლის, რომ საზღვაო ფეხოსნებს სხვებთან შეარებით უფრო მაღალი კულტურული წანამძღვრები გააჩნიათ და უფრო მომზადებული არიან (როგორც მატერიალურ-ტექნიკურად, ისე ორგანიზაციულად) ასეთი ოპერაციებისას, თუმცა ჩაერიონ თუ არა ისინი ამ საქმეში მათი გადასაწყვეტი არაა. „თუ პრეზიდენტი თვლის, რომ უნდა თქვენ უნდა ჩაერთოთ, ჩვენ ვერ ვიკამათებთ მასთან. ჩვენ ეს უნდა შევასრულოთ". *Published by permission of FPRI. Philadelphia 2001.

ასეთივე პოზიციას იზიარებს აშშ-ის არმიის ბევრი სხვა გადამდგარი ოფიცერი..

მორალურ-სამართლებრივი ასპექტი

ჰუმანიტარული ინტერვენცია წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის საკამათო თემას, ძირითადად

იმიტომ, რომ იქ დევს სამხედრო ძალის გამოყენების საშიშროება და ის არ უნდა გასცდეს ნაციონალური იურისდიქციის ფარგლებს არცერთი მხრიდან, რათა დაცული იქნას ამა თუ იმ სახელმწიფოს ნაციონალური ინტერესები თუ ადამიანის უფლებები. ასევე მთავარია თუ ვინ ახორციელებს მას.

ცალკეული სახელმწიფოს შემთხვევაში, მაგ. აშშ-ის კონსტიტუციაში ამ მხრივ გარკვეულ შეზღუდვებს ვაწყდებით, თუმცა პრეზიდენტი, როგორც მთავარსარდალი ფლობს გარკვეულ უფლებამოსილებას, მაგრამ აქაც გაწერილია მისი უფლებები და ცალკეული შემთხვევები ითვალისწინებს ამ წესებს. მაგ. ყველაზე მისაღები ჩარევის ფორმა მუშაობს მაშინ, როცა საქმე გვაქვს კატასტროფის მძიმე შედეგებთან (მაგ. შიმშილობის აღმოფხვრა). აამ შემთხვევაში არც იურიდიული და არც მორალური ვალდებულება არავის აკისრია. ის დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ გადაწყვეტილებაზე (მაგ. თუ ვინმე იხრჩობა აუზში, შენი მორალური მხარეა რა ფორმით შეიძლება დაეხმარო ან არ დაეხმარო მას).

სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ამოსავალ წერტილად კვლავ რჩება ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ვესტფალის შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტებში ჩარევას. თუმცა ამ სისტემას ბზარი გაუჩნდა მას შემდეგ, რაც ორი მსოფლიო ომის შედეგად დაინგრა ევროპული იმპერიები. აამიტომ, დღეს ასეთი ჩარევის საუკეთესო საშუალებად ითვლება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დელეგიტიმიზაცია. ამავე დროს შედეგი მიუღწეველი დარჩება თუ არ იქნა გადაწყვეტილი მორალურ-ეთიკური საკითხები, განსაკუთრებით სამხედროებთან მიმართებაში.

როგორც ვთქვით, 90-იანი წლებიდან დღემდე ძირითადად ჰუმანიტარული ჩარევის ოთხი მოდელი განხორციელდა, რომლებიც მეტ-ნაკლებად აკმაყოფილოებდა მორალურ-სამართლებრივ მხარეს. ესენია:

1. თავშეკავების მოდელი (როგორც რუანდაში);
2. რელფის მოდელი, ანუ უბედურების ზონა პოლიტიკური გადაწყვეტილების გარეშე (ბუშის პირველი ადმინისტრაციის დროს სომალიში 1992წ. და გაეროსი 93--95 წწ. ბოსნიაში);
3. რელფს პლუსი-ჰუმანიტარული ჩარევა პოლიტიკური წესრიგის დამყარების მიზნით (აშშ-ის ჰაიტიში 1994წ);
4. რეკონსტუქციის მოდელი - მთელი პოლიტიკური სისტემის რეკონსტრუქცია (აშშ-ის, ნატოს და გაეროს ეგიდით სომალიში, ბოსნიასა და კოსოვოში).

ამათგან, ყველაზე ამბიციურია უკანასკნელი, რომელიც დიდ რისკთან და გადაწყვეტილებების ფართო სპექტრთანაა დაკავშირებული. თუმცა რუსეთის მიერ საქართველოსთან (2008წ) მიმართული ჩარევა იყო წმინდა წყლის ავანტიურა და მიზნად ისახავდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ხელისუფლების დამხობის ფორმას, რომლის კრახით დამთავრების შემდეგ მას მოჰყვა ქვეყნის ცალკეული ნაწილების ოკუპაცია, რომელიც შეიძლება ე.წ. ოკუპაციის მოდელად მივიჩნიოთ. ასეთმა ჩარევამ კიდევ უფრო გააღრმავა კონფლიქტი და მას სერიოზული საერთაშორისო პოლიტიკური და დიპლომატიური გართულებები მოჰყვა, რომელიც შეიძლება გრძელვადიანი პრევენციული დიპლომატიით, უფრო სწორად, ზეწოლით გადაიჭრას.

რაც შეეხება ჩარევის ყოველმხრივ გამართლებას, ყოველივე ამის საუკეთესო საშუალებად გამოყენებული უნდა იქნას ადამიანის უფლებათა დარღვევის მასიური გამოვლენის ფაქტები, ისეთი როგორც მოხდა და ხდება დღეს რუსეთის და მის მიერ დანიშნული მარიონიტული მთავრების მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე-საქართველოს აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“.

თუმცა, როგორც არ უნდა იყოს ჩარევა, იქნება ეს სამართლებრივი თუ მორალურ-ეთიკური მხარეებით გამართლებული, ჩამრევმა ქვეყანამ გარკვევით უნდა განმარტოს თავისი მიზანი და მოგვარების პერსპექტივები. გასაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დროულობას, სანამ კატასტროფამდე არ მივსულვართ და საჭირო არ გამხდარა სამხედრო ქმედებათა აუცილებლობა. ამავე დროს, მთავარი მიზნის მისაღწევად სჯობს თავშეკავება, თუ მოუმზადებლობით, ან არაეფექტური ქმედებით საქმეს არ გავართულებთ და ერთიც, არ შეიძლება სოციალური და პოლიტიკური საკითხებით მანიპულირება. მიზანმიმართული და მიღწევადი ქმედების გამართლება ძირითადში მაინც კეთილ ზრახვებს უკავშირდება და სამართლიანობასთან ერთად ასეთი ქმედება გამართლებული იქნება.

სამწუხაროდ, სამშვიდობო ჰუმანიტარული ოპერაციების უმრავლესობა იგეგმება ან ტარდება სახელმწიფოს ნაციონალური ინტერესების მიზეზით, ხოლო ახლადგამოჩეკილი დოქტრინა - „ჰუმანიტარული ჩარევის უფლება-მოვალეობა“ ჯერ კიდევ სადისკუსიო თემაა და მას მტკიცე სამართლებრივი საფუძვლები არ გააჩნია.

ამიტომ, როცა გარდაუვალ ჩარევაზე ვსაუბრობთ, ან აუცილებელი ნაბიჯების გადადგმას დააპირებს ვინმე, საჭიროა მკაცრი თვითშეზღუდვა, როგორც მორალურ-სამართლებრივი, ისე პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ ჰუმანიტარული ინტერვენცია დიდი სახელმწიფოების მხრიდან გამოყენებული იქნას თავიანთი ბუნებრივი, ჰეგემონური ინტერესებიდან გამომდინარე.

მეორე, ჰუმანიტარული ინტერვენცია იმიტომ უნდა შეიზღუდოს, რომ ის არ იქნას აღქმული, როგორც ჩვეულებრივი პრაქტიკა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში, არამედ გამონაკლისი ჩაურევლობის პრინციპიდან გამომდინარე. იგი გამოყენებული შეიძლება იქნას უკიდურეს შემთხვევაში, შეესაბამებოდეს გაეროს წესდებას და მკაცრად დაიცვას გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის დეკლარაცია, რომ „არცერთი სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფს არ აქვს უფლება, რა ფორმითაც არ უნდა იყოს, პირდაპირ

ან არაპირდაპირ შეიჭრას, ან ჩაერიოს სუვერენული ქვეყნის საშინაო საქმეებში." განსაკუთრებით მაშინ, თუ ირღვევა მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებები.

მესამე, ნამდვილი ჰუმანიტარული ინტერვენცია მიმართულია გადაუდებელ დახმარებაზე, განსაკუთრებით თუ ეს ეხება ადამიანის უფლებებს და სამართლიანობის პრინციპს და რაც მთავარია სახელმწიფოს სუვერენიტეტს, რადგან არ არსებობს მათ შორის ვაკუუმი და ისინი კავშირშია ერთმანეთთან.

მეოთხე, როცა საქმე ეხება ჰუმანიტარული ინტერვენციის შეზღუდვებს აქ აუცილებელია მოქმედებდეს თვითშეზღუდვის პრინციპი, რომელიც უპირველესად ეხება სამართლიანობასა და წესრიგის პრობლემას, რომელიც უპირველესად უნდა უკავშირდებოდეს საერთაშორისო ეთიკის ნორმებს და არა ისეთს, რაც რუსეთ- საქართველოს ომის დროს გამოჩნდა, კერძოდ, მას შემდეგ, რაც ქართულმა არმიამ დაცალა ქ. გორი რუსული არმიის მიერ იქ განხორციელდა საცხოვრებელი სახლების დაბომბვა, კასეტური ჭურვების ჩამოყრა ცენტრალურ მოედანზე, რომელსაც მოჰყვა მსხვერპლი. სრულიად უწყინარ სიტუაციაში პირდაპირ ეთერში მყოფი ჟურნალისტის მიმართ გასროლა რუსი ოფიცრის მიერ, ეთნიკური ნიშნით ძალადობის ფაქტები, საცხოვრებელი სახლების მიზანმიმართული გადაწვა, ბინებისა და ბანკების ძარცვა, რკინიგზის ლიანდაგის აფეთქება და მრავალი სხვა.

ამავე დროს დაცული უნდა იქნას რიგი აუცილებელი პირობებისა.

ა) დაცული იქნას სამართლიანობის პრინციპი. ანუ ჰუმანიტარული ინტერვენცია ლეგიტიმურია იმ შემთხვევაში თუ იქ მასიურად ირღვევა ადამიანის უფლებები და თვით მოქმედი სახელმწიფო უკეთებს პროვოცირებას და ის რამდენჯერმე მეორდება. მაგ: გაეროს ჰუმანიტარული ჩარევა სამხრეთ და ჩრდილოეთ ერაყში, სომალიში, ბოსნიასა და ჰერცოგინიაში განხორციელდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭომ აღიარა, რომ ამ რეგიონებში შეიქმნა კრიზისული სიტუაცია და აუცილებელი გახდა ჩარევა. ასევე შეიძლება გავამართლოთ (თუმცა დღესაც საკამათო თემად რჩება) ნატოს ჩარევა იუგოსლავიის საქმეებში 1999 წელს.

ბ) მხოლოდ გაეროსა და სხვა საერთაშორისო რეგიონალურ ორგანიზაციებს ენიჭებათ პირდაპირი ჩარევა იმ შემთხვევაში, თუ ისინი მკაცრად იცავენ გაეროს წესდებათა მიერ აღიარებულ ნორმებს, უპირველესად გაეროს წესდების VII თავის კოლექტიურ მოქმედებათა განმარტებებს.

გ) ჰუმანიტარულ ინტერვენციას უნდა ჰქონდეს მკვეთრად გამოხატული მიზანი - თუ რას ეხება ის - ჰუმანიტარულ კატასტროფას თუ ჰუმანიტარულ დახმარებას, ხოლო ჩარევის სხვა შემთხვევაში სრულად უნდა აკმაყოფილებდეს მართალი საქმის პრინციპებს.

დ) ძალა გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ანუ მხოლოდ მაშინ, როცა არანაირი სამართლიანობის დაცვას აზრი აღარ აქვს და თან სანქცირებული უნდა იყოს გაეროს წესდების საფუძველზე.

ანუ, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ჰუმანიტარული ინტერვენცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მაგ: სამხედრო შეჭრით, არასამხედრო ფორმით, ან ჯარების შეყვანით, მაგრამ არა ძალის გამოყენებით, განსაკუთრებით მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ე) საერთოდ კი, დანაკარგები არ უნდა აღემატებოდეს მოსალოდნელ სიკეთეს და იგი უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს მიერ ნახსენებ ჯუს ანდ ბელლუმ-ის (კეთილი ზრახვების) ანუ ომში უფლების პრინციპს. ძალის გამოყენება, მაშინაც კი როცა დარღვეულია რაიმე ვალდებულება (გნებავთ საერთაშორისო) უფრო მეტი ზიანის მომტანია და უფრო მეტად არღვევს ჩამრევი მხარის მხრიდან საერთაშორისო ვალდებულებას. მაგ. რუსეთის ქმედებები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემთხვევაში. მან არა მარტო დაარღვია საერთაშორისო ვალდებულებები, არამედ მისი ქმედება გასცდა ომის მორალურ და ზნეობრივ ფარგლებს. ბოროტად გამოიყენა მის ხელთ არსებული არა მარტო მაქსიმალური ძალა სამხედრო თვალსაზრისით, არამედ კერძო ინტერესებიდან გამომდინარე – ძალის პოლიტიკის ყველა საშუალება და შემდგომში აღიარა მის მიერვე ოკუპირებული დე-ფაქტო მხარეები. ამით ის ავტომატურად ჩამოშორდა მესამე ნეიტრალური მხარის (ე.წ. მშვიდობისმყოფელის) ფუნქციას და ცალსახად განიხილება ომის მხარედ, როგორც ოკუპანტი ქვეყანა, აქ შეიძლება ერთი არაპირდაპირი შედარება მოვიყვანოთ, რომელიც ეხება ცალმხრივ ოპერაციებს.

მაგ. აშშ-ის ცალმხრივი ოპერაციებიდან კოალიციის ან გაეროს ოპერაციებისკენ, როცა ზოგიერთი ოპერაცია შესაძლოა დაიწყოს როგორც ერთპიროვნული გადაწყვეტილება, გამომდინარე შექმნილი ვითარებიდან და შესაძლოა საბოლოოდ გარდაიქმნას გაეროს ოპერაციად. ასეთი იყო „აფჰოლდ დემოქრასი" (UPHOLD DEMOCRASY) 1994-წლის 19 სექტემბერი – 1995-წლის 31 მარტი) რომლის მიზანი იყო ჰაიტის სამხედრო რეჟიმის შეცვლა. ოპერაციის საფუძველი გახდა გაეროს 1994-წლის 31-ივლისის გადაწყვეტილება. ოპერაცია დაიწყო აშშ-ის ძალების მიერ ჰაიტზე ძალისხმიერი შესვლით და ოფიციალურად დასრულდა 1995-წლის 31-მარტს, როდესაც აშშ-ის ძალები შეცვლილი იქნა გაეროს მისიის მიერ, ოპერაცია დასრულდა 2000-წელს.

საერთოდ, ჰუმანიტარული ინტერვენცია ეფუძნება საერთაშორისო სამართლისა და ეთიკის ნორმებს და გამორიცხავს ამ კრიტერიუმების ბოროტად გამოყენებას. იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგიტიმურობა და კანონიერება, მკაცრად უნდა დავიცვათ ინტერვენციის მინიმუმ ექვსი ძირითადი პირობა:

1. კეთილი ზრახვები, რომელიც უნდა განხორციელდეს გაეროს სანქციით;

2. მხოლოდ გაერო და სხვა საერთაშორისო რე-

გიონალური ორგანიზაციები (ევროკავშირი, ეუთო, ნატო გაეროს წესდებისა და ჟენევის კონვენციის საფუძველზე) არიან უფლებამოსილნი ასეთი აქციისა;

3. ინტერვენციას უნდა ჰქონდეს მკვეთრად გამოხატული მიზანი;

4. ძალა გამოყენებული უნდა იქნას უკიდურეს შემთხვევაში;

5. მორალურ და მატერიალურ დანაკარგებს უნდა მოჰყვეს გაცილებით დიდი სიკეთე და შედეგი;

6. დაცული უნდა იქნას შედეგების თანაფარდობის პრინციპი.

ერთი სიტყვით, ჰუნმანიტარული ინტრერვენცია უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანი ომის, ომის უნივერსალური თეორიის - „ომზე უფლება, უფლება ომში“ სამართლებრივ, მორალურ და ჰუმანიტარულ პრინციპებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰუგო გროცი, „ომისა და მშვიდობის სამართალი,“ წიგნი-2 (რუსულ ენაზე), მ. 1956.

2. ლ.ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ. 2010.

3. ომის ზნეობრივი შეზღუდვები, პრინციპები და მაგალითები. ავტორთა ჯგუფი - ბრუნო კოპიტერსი, ნიკ ფაუშენი, რუბენ აპრესიანი და სხვა. (რუსულ ენაზე), მ. 2002.

4. www. Fpri. Org/articles/2001/06/ question humanitarion intervention conferense. Report Micael P. Noonan, Rapporteur.

თბილისის ქაშვეთის (ქვაშვეთის) ტაძრის ისტორიისათვის

ლიანა გიორგობიანი, *დოქტორანტი*

რეზიუმე

ქაშვეთის წმინდა გიორგის ტაძარი, თავისი მდებარეობით, მჭიდროდაა დაკავშირებული თბილისის ისტორიასთან. ეკლესია ძველი ქალაქის შემოგარენში მდებარეობდა და „გარეთუბნის“ სახელით აღნიშნული ტერიტორიის უკიდურეს საზღვარს წარმოადგენდა. ის ოდითგანვე ყოფილა სახელგანთქმული. ამის საფუძველი, ვფიქრობთ, ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის საწყისში უნდა ვეძიოთ. ქაშვეთის შესახებ უძველესი ცნობა VI საუკუნის სასულიერო მოღვაწის, ერთ-ერთი ასურელი მამის, დავით გარეჯელის სახელთანაა დაკავშირებული და ქართლის სამეფოში იმ დროს შექმნილ რელიგიური ხასიათის კონფლიქტს ასახავს. ტაძარმა, თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, რამდენჯერმე იცვალა სახე. დღეს ის თავმომწონედ დგას რუსთაველის გამზირზე და შეიძლება ითქვას, მის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს,

საკვანძო სიტყვები: ქაშვეთი, ლეგენდა, გარეთუბანი, ხუროთმოძღვრული ტიპი.

For the Histori of the Kashveti (Kvashveti) Church in Tbilisi

Liana Giorgobiani

Summary

With its location, the Kashveti Church of St. George is closely connected with the history of Tbilisi. The church was located in the environs of old city and marked the end of the territory called "Garetubani." It has always been very famous. The reason for this should perhaps be searched in the beginning of the church's centuries-old history. The oldest information about Kashveti is connected with one of the Assyrian Fathers, Davit Garejeli (David of Gareja) from the 6th century and it represents a religious conflict of this period in the Kingdom of Kartli. Throughout its long history of existence, the church has changed its appearance several times. Today it is proudly standing on Rustaveli Avenue, while perhaps, also representing it.

Keywords: Kashveti, legend, Garetubani, Architectural type.

* * * * *

ქაშვეთის წმინდა გიორგის ტაძარმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XX საუკუნის დასაწყისში ქართული ხუროთმოძღვრული ფორმების აღდგენის საქმეში. პირველად XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთიდან გადმონერგილი არქიტექტურული სტილების ჭრელ ფონზე, თბილისში შეიქმნა ეროვნული ფორმის საკულტო ნაგებობა რამაც საფუძველი ჩაუყარა ქართული ტრადიციული არქიტექტურის „გაცოცხლების“ ტენდენციას საქართველოს დედაქალაქში.

ტაძარი თავისი მდებარეობით, ოდითგანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისის ისტორიასთან. ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წელს შედგენილი თბილისის გეგმის მიხედვით ქაშვეთის ეკლესია, თავადი ციციშვილის სახლთან ერთად, ძველი ქალაქის შემოგარენში მდებარეობდა და „გარეთუბნის“ სახელით აღნიშნული ტერიტორიის უკიდურეს საზღვარს წარმოადგენდა.

ქაშვეთის სახელწოდების ტაძრის არსებობის დამადასტურებელი უძველესი ცნობები ძალზე მწირია. პირველი წერილობითი ცნობა XIV საუკუნეს განეკუთვნება — მამათმთავარ ელიოზს თემურ ლენგის ერთ-ერთი შემოსევის დროს სხვა სიწმინდეებთან ერთად ქაშვეთის წმინდა გიორგის სასწაულთმოქმედი ხატი გადაურჩენია. შემდგომი დათარიღებული ცნობები XV საუკუნის სიგელ-გუჯარებია, რომლებიც ეკლესიისთვის მიწების შეწირვაზე მოგვითხრობენ; 1713 წელს ინდო გაბაშვილმა და მისმა მეუღლემ ტაძარს ძვირფასი ხატი მიართვეს; 1723 წელს ქართლ-კახეთს შორის მიმდინარე ომის ამსახველი საისტორიო წყაროებიდან ვიცით, რომ თბილისიდან დევნილმა ვახტანგ მეფემ სამხედრო თათბირი ქაშვეთში გამართა და თბილისის მოქალაქეებიც აქ მიიღო.

ტაძრის შესახებ ცნობები გვხვდება XVIII

საუკუნის ისტორიკოსთა — პაპუნა ორბელიანის, სეხნია ჩხეიძისა და სხვათა შრომებში, სადაც XVII-XVIII საუკუნეების ცნობილი მხედართმთავრისა და სახელმწიფო მოღვაწის გივი ამილახვრის დამსახურებებზეა საუბარი. სპარსეთიდან დაბრუნებულ გივი ამილახვარს, ფილიპე დეკანოზის დიდი მეცადინეობით 1753 წელს ხელმეორედ აუშენებია ტაძარი. სწორედ მისი ნაღვაწი მოჩანს XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის თბილისის რუკებზე. ამილახვრისეული ქაშვეთის შესახებ მნიშვნელოვანი წყაროებია: არქივებში დაცული სქემატური ჩანახაზები; XIX საუკუნის 70-90-იანი წლებით და XX ს-ის დასაწყისით დათარიღებული ფოტოსურათები; 1904 წელს ეკლესიის დაშლის დროს გადაღებული ინტერიერის რამდენიმე ფოტო. მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის აღწერილობა კი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი წყაროა, რომელიც საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ტაძრის არქიტექტურულ იერსა და მის თავგადასავალზე.

გივი ამილახვრის დროინდელი ქაშვეთი 1904 წლამდე იდგა გარს შემოჯარულ ნაგებობათა შორის. დღევანდელი, რუსთაველის გამზირზე თავმომწონედ წამომართული ორსართულიანი ტაძარი 1904-1910 წლებში ააგო იმ დროს საქართველოში კარგად ცნობილმა, წარმოშობით გერმანელმა არქიტექტორმა ლეოპოლდ ბილფელდმა, რომელიც თბილისში კიდევ რამდენიმე თვალსაჩინო შენობის ავტორია. ტაძრის ძვირფასი ორნამენტული სამკაული, ასევე უცხოელი ხელოვანის ედუარდო ანდრეოლეტის მიერ ძველი ქართული ტაძრებიდან გადმოხატული, ქვაში გამოკვეთეს იმ დროის განთქმულმა ქვის ოსტატებმა ძმებმა აგლაძეებმა.

ქაშვეთის წმინდა გიორგის ტაძარი ოდითგანვე ყოფილა სახელგანთქმული. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქაშვეთის სახელობის ეკლესიები ქვეყნის მრავალ კუთხეშია აგებული. მისი უწმინდესობის კალისტრატე ცინცაძის ცნობით, თბილისის ქაშვეთის მნიშვნელობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ქართველების გარდა (მომლოცველები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ) აქ მოდიოდნენ როგორც მართლმადიდებელი, ასევე სხვა სარწმუნოების აღმსარებლებიც: რუსები, სომხები, აისორები, მაჰმადიანები და ზოგჯერ ებრაელებიც.

დაზუსტებით არ არის ვიცით, რა იყო ქაშვეთის ასეთი საყოველთაო პოპულარობის მიზეზი. ამის საფუძველი, ვფიქრობთ, ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის საწყისში უნდა ვეძიოთ. თუ ტაძრის შესახებ პირველი დადასტურებული წერილობითი დოკუმენტი XIV საუკუნეს ეკუთვნის, მის შესახებ პირველ ცნობებს უძველესი თქმულება გვაწვდის.

ქაშვეთის ტაძრის შესახებ არსებობს მტკიცედ დაცული გადმოცემა, რომელიც ერთ-ერთი ასურელი სასულიერო მოღვაწის, წმინდა მამა დავით გარეჯელის სახელს უკავშირდება და სარწმუნოებრივი ხასიათის სასწაულზე მოგვითხრობს.

თქმულების მიხედვით, როდესაც წმინდა იოანე ზედაზნელმა თავისი მოწაფეები სამოღვაწეოდ ქართლის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა, მამა დავითი გარეჯში გაემგზავრა. გზად, ერთხანს, თბილისთან შეჩერდა და ქალაქის ახლოს, მთის (დღევანდელი მამადავითი) ქვაბულში დაიდო ბინა. ხალხში ქრისტიანული სარწმუნოება რომ განემტკიცებინა წმინდა მამა დროდადრო მიდიოდა იმ ადგილას, სადაც ამჟამად ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დგას, მაშინ კი დედათა მონასტერი იყო და აქ მოსახლე თემს ქრისტეს სჯულს ასწავლიდა. მალე მისმა ქადაგებამ ნაყოფიც გამოიღო. ქრისტიანული სარწმუნოების მოწინააღმდეგე ძალებმა, ცეცხლთაყვანისმცემლებმა დავითის მოღვაწეობით შექმნილი საფრთხე რეალურად შეაფასეს და მისი თავიდან მოცილება განიზრახეს. ხელსაყრელი შემთხვევა მალევე მიეცათ, მონასტერში ერთ-ერთი მონაზონი დაფეხმძიმდა. მოგვებმა მოისყიდეს ქალი და მანაც შემცდენლად დავითი დაასახელა. წმინდა მამის უბრალოების დამადასტურებელი სასწაულის შემდეგ განრისხებულმა ხალხმა ცოდვილი ქალი ჩაქოლა და გვამი იქვე, ქვათაშუა დატოვა. აქედან წარმომდგარა სახელი „ქვათაშუეთი“ ანუ „ქვაშვეთი“. ცნობილია სხვა ვერსიაც, სადაც ხალხმა შეისმინა დავითის თხოვნა და ცილისმწამებელი მონაზონი სიკვდილით აღარ დასაჯა. ქალმა ბავშვის ნაცვლად ქვა შვა და აქედან მოდის „ქვაშვეთიო“ - ამბობს ლეგენდა.

მამა დავითის შემდგომი მოღვაწეობა უკვე ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი. იგი გარეჯის უდაბნოში დამკვიდრდა და სიცოცხლის ბოლომდე მის მიერ დაარსებულ მონასტერში იღვწოდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სამონასტრო სარბიელზე მოღვაწე ცამეტ ასურელ მამათაგან ცხოვრების წიგნი მხოლოდ ზოგიერთს მოეპოვება. დავით გარეჯელის ცხოვრების წიგნი ორი რედაქციითაა გამოვლენილი - მოკლით და მეტაფრასულით, მაგრამ მათში არაფერია ნათქვამი ქაშვეთის სასწაულის შესახებ. მიუხედავად ამისა, ქაშვეთზე არსებული, ერთი შეხედვით „ზღაპრული“ თქმულება, ვფიქრობთ, უბრალოდ შენათხზი კი არა, არამედ VI საუკუნის დასაწყისის ქართლის სამეფოში რეალურად მიმდინარე პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ბრძოლის გამოძახილი უნდა იყოს. თუ ლეგენდას ღვთიურ სასწაულს ჩამოვაცილებთ, დავინახავთ, რომ ის ზუსტად ასახავს იმ მძიმე რელიგიურ მდგომარეობას რომელიც სუფევდა ქართლში VI საუკუნის დასაწყისში.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართლში ირანელთა პოლიტიკურ-კულტურულ გაძლიერებას თან მოსახლეობაზე სარწმუნოებრივი ძალადობაც ერთვოდა. ბუნებრივია, თბილისში ირანელთა ძალაუფლება და შესაბამისად ქართველ ხალხზე ცეცხლთაყვანისმცემელთა ზეწოლაც ძლიერი იქნებოდა. ასეთ რთულ ვითარებაში მამა დავითის თბილისის შემოგარენში გამოჩენა, ვფიქრობთ,

შეთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. ასურელ მამათა მისიიდან გამომდინარე, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ დავითის თავდაპირველი მიზანი, შესაძლოა, თბილისი და მის შემოგარენში მცხოვრები ქრისტიანები იყვნენ.

იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნებში მოთხრობილია იოანეს მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მონაფეთა სამოღვაწეოდ წარგზავნის შესახებ ქრისტიანობის განსამტკიცებლად. იოანე ეუნება მათ - რატომ ხართ უმოქმედოდ, „ვითარ ხედავთ ... ახალნერგ არს ქუეყანა ესე და მოქენე არს მორწყუასა სწავლათა მიერ და განპოხებასა სარწმუნოებისა ძირთასა ქადაგებისა მიერ და მოძღურებისა... ამისთვისცა ჯერ-არს, რათა წარვიდეს თვითოეული თქუე[ნთაგა]ნი და განამტკიცნეს სარწმუნოებითა მართლითა, ... იესო ქრისტესა“-ო (ი. აბულაძე, „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“). მონაფეთა ვრცელი დამოძღვრების შემდეგ იოანემ წარავლინა „რომელნიმე მათგანნი კახეთად და რომელნიმე კუხეთად კერძო, და რომელნიმე ზენა კერძო სოფლით, და ერთი ვინმე გარეშეთაც...“. ეს ადგილი მოკლე რედაქციაში ასეა შეცვლილი: „წარავლინნა მათგანნი რომელნიმე კახეთით და რომელნიმე კუხეთით, და სხვანი ზენა სოფლით, ხოლო ნეტარი იგი დავით გარესჯისა უდაბნოსა“ (ი. აბულაძე, „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“). როგორც ვხედავთ, იოანეს ცხოვრების სხვადასხვა რედაქციებში მხოლოდ ის ადგილია განსხვავებული, სადაც მონაფეთა გაგზავნაზეა საუბარი. ერთში იოანეს არცერთი მონაფე არ არის დასახელებული, მხოლოდ მხარებია სადაც მოძღვარი გზავნის, ხოლო მეორეში კი „გარეშეთა“ გარეჯითაა შეცვლილი და დავითია მოხსენებული. ივ. ჯავახიშვილის აზრით „გარეშეთ“ თუ „გარეშეთა“ გარეჯს უნდა აღნიშნავდეს და შესაძლოა იმიტომაც ერქვა, რომ ქართლ-კახეთისთვის ის ზენა სოფლის მსგავსად „გარეშე-ს“, „გარეშენ-ს“ წარმოადგენდაო. გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ამ შემთხვევაში „გარეშეთ“, მოგვიანებით გაჩენილი ტერმინი „გარეთუბნის“ მსგავსად, თბილისის შემოგარენში არსებული დასახლების აღმნიშვნელი შეიძლება იყოს, გარეთუბანი ხომ ქალაქის გარეთ ნაშენს ანუ „გარეშენ-ს“ ნიშნავდა. ვფიქრობთ, იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნებში გარეშეთას გარეჯით შეცვლა მოგვიანებით უნდა მომხდარიყო. მიუხედავად წერილობითი წყაროების არარსებობისა, დასაშვებად გვეჩვენება, რომ წმინდა დავითის დროს ქალაქთან ახლოს, მის „გარეშეთ“ ცხოვრობდა ქრისტიანული თემი (გარეთუბნის სახელით ცნობილ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მოსახლეობის არსებობა არქეოლოგიური მასალით დასტურდება), სადაც შესაძლოა განვითარებულიყო ლეგენდაში აღწერილი რელიგიური ხასიათის კონფლიქტი.

თუ წერილობითი და ზეპირი წყაროებით ქაშვეთის ტაძრის არსებობა ეჭვს არ იწვევს, XVIII საუკუნეზე უწინარესი ტაძრის არქიტექტურულ ტიპზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. სამწუხაროდ, ლეგენდაში არ ჩანს როგორი საეკლესი ნაგებობა დახვდა მამა დავითს თბილისის გარეთუბანში, ან იყო თუ არა რაიმე ამის მსგავსი. შეუძლებელია იმის გარკვევაც თუ რა სახელს ატარებდა ის, მაგრამ უდავოა, მონასტრის არსებობის შემთხვევაში აქ ეკლესია-სამლოცველო იქნებოდა და ის, ვფიქრობთ, მარტივი დარბაზული ტიპის უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდის საფუძველს დღემდე შემორჩენილი უძველესი საკულტო ნაგებობები იძლევა.

საქართველოში არსებულ ტაძარ-სალოცავთა ხუროთმოძღვრულ ტიპებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ პოპულარული ბაზილიკური და მრავალნაირი გუმბათოვანი თემების გვერდით დარბაზულიც ფართოდ იყო გავრცელებული. ამ ტიპის ეკლესიები ყველაზე მრავალრიცხოვანია მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, V-VI საუკუნებიდან XIX საუკუნის ჩათვლით. ხოლო ზოგი მათგანი მხატვრული თვალსაზრისით გამორჩეულიცაა.

მისი უწმინდესობის კალისტრატე ცინცაძის წიგნიდან „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“ ცნობილია, რომ XIX საუკუნის შუა წლებამდე ქაშვეთის ეზოში, ტაძრის სამხრეთი ფასადიდან 5-6 მეტრის დაშორებით, აღმოსავლეთით იდგა დარბაზული ტიპის პატარა ეკლესია მთლიანი ქვის ძველი ტრაპეზით. თვითმხილველთა გადმოცემით ეკლესიის კვალი საერთოდ წაშალეს 1864 წელს ქაშვეთის ტერიტორიის მოწესრიგების დროს. ძველი ტაძრიდან გადარჩენილი ქვის ტრაპეზი კი 1882 წლამდე ტაძრის კარიბჭის კედელზე იყო მიყუდებული, მერე კი სადღაც წაუღიათ.

დღეს რთულია იმის მტკიცება, იყო თუ არა XIX საუკუნეში ქაშვეთის ეზოში შემორჩენილი დარბაზული ნაგებობა ლეგენდის დროინდელი ეკლესია. დანამდვილებით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ეს იყო პატარა ზომის, დაახლოებით 10X7 მ. სიგრძის სწორკუთხედი ფორმის შენობა რომელსაც სამხრეთიდან და დასავლეთიდან გათლილი ქვით მოპირკეთებული შესასვლელები ჰქონდა. ეკლესია მთლიანად რიყის ქვით ყოფილა ნაშენი. ქვის იყო იატაკიც. კედლები შუა ნაწილიდან ზემოთ დანგრეული ყოფილა. ეკლესიას არც კანკელი ჰქონია და არც კედლის მხატვრობის კვალი ემჩნეოდა სადმე. როგორც მისი უწმინდესობა წერს, ეს იყო არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი „სოფლის“ ეკლესია.

აკად. ვახტანგ ბერიძე უძველესი დარბაზული ეკლესიების შესახებ აღნიშნავს, რომ V-VI საუკუნეებში ყველა მათგანი გამოირჩეოდა ძალზე მცირე ზომით. შიგა სივრცის სიგრძე-სიგანის შეფარდება, აფსიდის ჩათვლით, შეადგენდა 2:1. იშვიათი გამონაკლისის გარდა, საკურთხევლის აფსიდი გარედან მოქცეული იყო სწორკუთხედში. შიგა სივრცე არ იყო დაყოფილი პილასტრებით და განმბჯენი თაღებით. თუ ყოველივე ამას ქაშვეთის ეზოში მდგარ დარბაზულ ეკლესიას შევადარებთ, დავინახავთ, რომ ზოგიერთი ნიშნით ის მართლაც ამ პერიოდის ძეგლთა მსგავსია: მაგალითად, ქაშვეთის დარბაზულ შენობას არ ჰქონდა შვერილი

აფსიდი. შიგა სივრცეც, როგორც აღწერიდან ჩანს, ერთიანი დარბაზი იყო პილასტრებისა და შესაძლოა განმბჯენი თაღების გარეშე. ზომითაც ის თითქოს პასუხობდა უძველეს ტაძრებს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღესდღეობით ამ ვარაუდების დამადასტურებელი რაიმე ხელშესახები საბუთი არ არსებობს და სამწუხაროდ ვერასდროს გავიგებთ რამდენად სწორია ეს მოსაზრება.

ცხადია, დავითის სასწაულს ქრისტიანული ეკლესია უყურადღებოდ არ დატოვებდა. ამგვარი „სოფლის“ პატარა ეკლესიაც, როგორც ამას მისი უწმინდესობა მიიჩნევს, ვერ იქნებოდა ასეთი მოვლენის შესაფერისი ტაძარი და სავარაუდოდ მალევე, წმინდა მამის გარეჯში წასვლის შემდეგ, დღევანდელი ქაშვეთის ადგილზე მოზრდილი, მხატვრულად და კონსტრუქციულად უფრო მიმზიდველი ტეტრაკონქის ტიპის ტაძარი ააგეს. ვფიქრობთ, სწორედ ეს ტაძარი უნდა იყოს ქაშვეთის სახელით ცნობილი პირველი ნაგებობა. აკად. გ. ჩუბინაშვილი, გეგმის ანალიზის საფუძველზე, მას VI საუკუნის შუა წლებით ათარიღებს, ამ აზრს იზიარებენ აკად. შ. ამირანაშვილი და აკად. ვ. ბერიძეც. მართალია, ჩვენამდე ვერც ამ ტაძარმა მოაღწია, მაგრამ მასზე მსჯელობა შესაძლებელია ამავე პერიოდში აგებული კახეთის ძველი გავაზის ტეტრაკონქის მიხედვით.

თბილისის ქაშვეთის ტაძრის შემდგომი ხუროთმოძღვრული სახე ამილახვართა გვარს უკავშირდება. XVIII საუკუნის დასაწყისში, გივი ამილახვრის სამშობლოში დაბრუნების დროისათვის, ნაგებობა, ვფიქრობთ, იმდენად იყო დაზიანებული, რომ ტაძრის დიდების გამო მხოლოდ გეგმის შენარჩუნება შეძლეს. ტეტრაკონქის თემა საერთოდ აღარ გვხვდება XVIII ს-ში და რომ არა ძველი ქაშვეთის განსაკუთრებული პოპულარობა, გაუგებარი იქნებოდა ამ ტიპის ხუროთმოძღვრული ნაგებობის გამოჩენა გვიან შუა საუკუნეებში. ამ ტაძარმა XX საუკუნის დასაწყისამდე იარსება.

1904-1910 წლებში არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდის პროექტით აშენებული ახალი ქაშვეთის იერსახეც სახელოვანი სარდლის შთამომავლებს უკავშირდება, რომელთაც ტაძრის სამრევლო კომიტეტის საბჭოს თავმჯდომარის საპატიო თანამდებობა ეკავათ. მათ პატივსაცემად ახალი ტაძრის ძირითად სქემად ამილახვართა საგვარეულო საძვალის, XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლის, სამთავისის ტაძარი იქნა აღებული.

ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია და მისი მიმდებარე ტერიტორია ჩვენს დროსაც განაგრძობს გარკვეულ სახეცვლილებას და თბილისის ურბანულ გარემოსთან ორგანულ შეთავსებას. რამდენიმე წლის წინ დასავლეთიდან ტაძარს ქართული იერის მქონე კარიბჭე მიუშენდა, აშენდა სამრეკლო, კეთილმოეწყო ეზო. რუსთაველის პროსპექტის მხრიდან, დასავლეთით, გალავნის კედელში ფართო კიბეების გაჭრით ეკლესიას უფრო მოსახერხებელი მისასვლელი გაუკეთდა. ამან სრულიად ახალი ხიბლი შესძინა ქაშვეთის ხუროთმოძღვრულ ანსამბლს, მჭიდროდ დაუკავშირა ქალაქის მთავარ პროსპექტს.

ამრიგად, ერთ დროს „გარეთუბნის“ საზღვარზე აგებული ქაშვეთის წმინდა გიორგის ტაძარი დღეს თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე მდებარეობს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე დედაქალაქის როგორც სულიერ, ასევე კულტურულ ცხოვრებაში. ის თბილისის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაგებობას, შეიძლება იქვას, მის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორიიდან. თბილისი, 1926;
2. В. Цинцадзе. Тбилиси, 1958;
3. ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი, 1974;
4. Ш.Амиранашвили. История грузинского искусства. Москва, 1963;
5. Т.Квирквелия. Архитектура Тбилиси. Тб., 1982;
6. მ. კარბელაშვილი, ს. კინწურაშვილი, ნ. ჯანბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. თბილისი, 1958;
7. კ. ცინცაძე. ქართული ეკლესიის ისტორია. ქვაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესია ტფილისში. თბილისი, 1994;
8. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი X. თბილისი, 1986;
9. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. 1. თბილისი. 1979;
10. ი. აბულაძე . ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები თბილისი 1955;
11. თბილისის ისტორია . თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. ტომი 1. „მეცნიერება“ 1990;
12. კ. გიგოლია. რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“. თბილისი 1971;
13. ავ. ბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები. თბილისი 1960 . I —II ტომი.

ოძრხე

(ეტიმოლოგიური და ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)

მურმან თავდიშვილი, პროფესორი

რეზიუმე

საქართველოს ისტორიული პროვინციის სამცხის დედაქალაქი მუდამ იყო ოძრხე. ტოპონიმი ჩამოყალიბდა ამგვარად. ოძრე მდინარეს დაერთო მდინარის უძველესი სახელწოდება „ხევი“: ოძრის-ხევი; კომპოზიტის მომდევნო ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად დაიკარგა „ს“ და მეორე კომპონენტის „ვი“. ასე მივიღეთ ოძრიხე. ეგ ფორმა დაფიქსირებულია ისტორიულ წყაროში; მომდევნო ეტაპზე დაიკარგა შუათანა „ი“ და ხელთ შეგვრჩა ტოპონიმის დღევანდელი სახელი ოძრხე. ისტორიულ წყაროებში ოძრხე ხშირად არის მოხსენებული; იგი ფონეტიკურად ორი ასპექტით ტრანსფორმირდა: ა) ოძრხე→ოძხე→ოცხე („ძხ“ ქართულში არაჰარმონიული, ხოლო „ცხ“ ჰარმონიული კომპლექსია; ამიტომაც დაუჭირა მას ენამ მხარი); თავის მხრივ, ოცხე კომპლექსს დაერთო დანიშნულებისა და გეოგრაფიული ადგილის მაწარმოებელი აფიქსები სა--ე და ასე მივიღეთ პროვინციის სახელდება სამცხე. ფონეტიკური პროცესი: სა-ოცხ-ე →სა-ვცხ-ე→სა-მცხ-ე.

ბ) მეორე ასპექტით ფონეტიკურმა პროცესმა ასეთი სახე მიიღო: ოძრხე→ოძურხე (მიჯრით წარმოსათქმელმა ძნელმა თანხმოვნებმა შიგნით გაიჩინეს „უ“ ხმოვანი; ამით გამოთქმა გაადვილდა); „ძ“ არის აფრიკატი. იგი შედგება ორი ბგერისაგან – დ – ზ. უკან მიდევნებული „უ“ ხმოვნის გამოისობით „ძ“ დაიშალა, დაიკარგა კომპონენტი „დ“ და დაგვრჩა ფორმა ოზურხე. ტოპონიმის სახელად ეგ ფორმა დაფიქსირებულია არჩილ ბაგრატიონის (მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარი) პოემაში; ისტორიულ წყაროებში კი ამ „ოზურხეს“ მაგიერ ყველგან წერია ქალაქი ოძრხე. აქედანაც მტკიცდება, რომ ბგერათკომპლექსი ოძრხე „უ“ ხმოვნის ჩართვის შემდეგ გახდა ოზურხე; თავის მხრივ, ოზურხე იძლევა ფორმას ოზურგეთი. ოზურგეთი დღევანდელი გურიის დედაქალაქია. „გ“ და „ხ“ ბგერების ურთიერთშენაცვლება მსოფლიო ფონეტიკური პროცესია და საამისო მაგალითი უამრავია. ამრიგად, ოძრხე ფონეტიკური განვითარების მეორე გზის გავლის შედეგად იძლევა კომპლექსს ოზურგეთი.

ისტორიული თვალსაზრისის დასაბუთება: ზოგი მეცნიერი გურულებს მესხეთიდან გადმოსულებად მიიჩნევს. ჩვენ მიერ დადგენილი ფონეტიკური პროცესი ამას ადასტურებს. წამოვიდნენ რა სამცხიდან, გურიაში დამკვიდრებულმა ემიგრანტებმა ახალ ტერიტორიაზე გააშენეს ძველი დედაქალაქის (ოძრხე) მოსახელე ქალაქი ოზურხე-ოზურგეთი. მსგავსი მაგალითები ისტორიამ იცის: ათონი და ახალი ათონი; ისრაელის ბეთლემი და საქართველოს (დუშეთის) ბეთლემი...

საკვანძო სიტყვები: ოძრე, ოძრის-ხევი, ოძრიხე, ოძრხე; ოცხე, სამცხე; ოზურხე, ოზურგეთი.

Odzrkhe

Murman Tavdishvili, Professor

Summary

The capital of Georgian historical province Samtskhe was always Odzrkhe.Toponym was formed the following way: Old world “Khevi” (Canyon) was added to the river name “Odzre”: “Odzris-Khevi”; As a result of phonetical transformation of composite “s” and “vi” were lost. That is how we got “Odzrikhe”. This form is mentioned in historical sources. On the following stage ‘I’ was also lost and the current toponym had been formed. Odzrkhe is often mentioned in historical sources. Phonetically it is transformed by two aspects:

1)Odzrkhe→Odzkhe→Otskhe(“Dzkh” is Georgian dissonant and “tskh” harmonical complex.) So, prescription and geographical means of producing “sa” and “e” where added to “Otskhe” complex and the province name “Samtskhe” was formed. Phonetically process is: “Sa-otskh-e” → “Sa-vtskh-e” → “Sa-mtskh-e”.

2) Second aspect of phonetical aspect: “Odzrkhe→Odzurkhe”(Because of hard readied consonants there was added vowel “u” in the middle and the pronunciation was eased.”Dz” consists of two sounds “d” and “z”. The vowel “u” made “d” disappear and it became “Ozurkhe”. This form is being notices in Archil Bagrationi’s novel (17th Century) but in historical sources, “Ozurkhe” is always mentioning as “Odzrkhe”. This points that adding the “u” vowel made “Odzrkhe” sound like “Ozurkhe”.From the other hand “Ozrkhe” makes another form “Ozugheti”. Ozurgheti is current capital of Guria. The replacement of “kh” with “gh” is worldwide phonetical process and there are many examples of it.So,after phonetical development “Odzrkhe” became “Ozurgheti”.

* * * * * *

სამხრეთ საქართველოს რეგიონებიდან ისტორიულად ყოველთვის გამოირჩეოდა სამცხე-საათაბაგო. მესხეთის ამ კუთხეს საათაბაგოს იმად უწოდებდნენ, რომ აქ იჯდა ერისთავი [1], რომელსაც ჰქონდა პატივი, აღეზარდა უფლისწული, ქვეყნის მომავალი პატრონი [2]. უცხო სიტყვა „ათა“ მამას, აღმზრდელსა ნიშნავს; „ბეგი“ – უფროსს, ბატონს.

სამცხის დედაქალაქი გახლდათ ო ძ რ ხ ე. როგორც ისტორიკოსები მიუთითებენ, ოძრხის მიმდებარე ტერიტორიები მცხეთოსის შვილსა რგებია წილად, ხოლო ფარნავაზს აქ დაუსვამს პირველი ერისთავი [3].

ისტორიულ დოკუმენტებში არა ჩანს, ოღონდ ტოპონიმის დადგინების ისტორიული პროცესის წარმოდგენა ძნელი არ უნდა იყოს. აღნიშნულ ქალაქთან ახლოს ჩამოდის პატარა მდინარე, რომელსაც უხსოვარ დროში უნდა რქმეოდა ო ძ რ ე. ჰიდრონიმში გამოიყოფა აფიქსები და ძირი: ო-ძრ-ე. აქ მეგრულ-კოლხური „ო“ იგივეა, რაიც ქართული „სა“, ხოლო ბოლოსართი „ე“ კი ორივე ქართველურ ენაში ერთნაირია. მაშასადამე, სა-ე დანიშნულების მაწარმოებლებია: ძირად გვრჩება „ძრ“. ეს ცნობილი შინაარსმატარებელი კომპლექსია. ის აღნიშნავდა და ახლაც აღნიშნავს მოძრაობას, ძვრას, გადაადგილებას, სვლას, სრბოლას, მდინარებას; გვხვდება სიტყვებში: ძრ-ვა, მო-ძრ-აობა, და-ძრ-ვა და ა. შ. ძირი გახმოვანებული სახით ასე წარმოგვიდგება: ძარ. მაგალითად, და-ვი-ძარ. მაშასადამე, ძარ→ძრ.

უნდა ვივარაუდოთ: უძველეს დროში კოლხური ენების ზეგავლენა მთელ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოზე ვრცელდებოდა და ჰიდრონიმი სტრუქტურულად მეგრულს უნდა დაუკავშირდეს. ამ ტიპის წარმოება ამ ენაში ჩვეულებრივია: ო-ხორ-ე; ო-ჩორჩხ-ე და სხვ. საგულისხმოა, რომ გურიაში, რომელიც კოლხეთის „გური“, ანუ გული, გახლავთ, დღესაც ხმარობენ სიტყვებს: ო-ჭვათ-ო, ო-ჩორჩხ-ე და სხვ. მეგრული „ჭვათ“ იგივეა, რაც ქართული „წვეთი“; ოჭვათო ჰქვია მხოლოდ იმ წვეთებს, რომლებიც სახურავიდან, კრამიტის ღარიდან, ჩამოდის; სოფელ ძიმითში ერთ ღელეს ჰქვია ო-ჩორჩხ-ა. ესეც, ეჭვია არაა, მომდინარეობს ფორმიდან ო-ჩორჩხ-ე, ე. ი. სათევზე მდინარე.

სწორედ ამ კონსტრუქციისა სამცხურ-მესხური ჰიდრონიმი ო-ძრ-ე, ანუ მოძრავი, სამოძრაო, დაუდეგარი მდინარე.

უძველეს დროში ჰიდრონიმებს ქართველნი გამოხატავდნენ ორი სიტყვით. პირველი კონკრეტულ სახელს წარმოადგენდა, მეორე - ზოგადად მდინარეს, ოღონდ მდინარის სახელი გახლდათ ხევი. ასე მივიღეთ შემდეგი ჰიდრონიმები: კისის-ხევი, ქვათა-ხევი, ცხენის-ხევი, ბახვის-ხევი და სხვ. მაშასადამე, ხევი ნიშნავდა წყალს, მდინარეს; შუა საუკუნეებში ხევი თანდათან განიდევნა და იგი შეცვალა სიტყვამ წყალი. ასე შეიქმნა ცნობილი ჰიდრონიმები: ცხენის-წყალი, ბახვის-წყალი, ბჟუჟის-წყალი... ეს ვითარება კარგად არის დაფიქსირებული „ვეფხისტყაოსანში“. აქ ძალიან ბევრჯერ წყალი სწორედ მდინარეს გულისხმობს: „ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა“[4]. კიდევ რამდენიმე მაგალითი: „მინდორსა იქით წყალი დის“ (78,2); „მის მთისა ძირსა წყალის დის“ (184,3); „გავლო წყალი და ტყენია“ (193,1); „რა წყალი ნახის, გარდახდის“ (840,2) და ა. შ. [5]

ამრიგად, ცხენის-წყალი, ბახვის-წყალი, ბჟუჟის-წყალი მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ: ცხენის-მდინარე, ბახვის-მდინარე, ბჟუჟის-მდინარე.

დაბოლოს, დღეს უკვე კონკრეტულ სახელებს წინ ან უკან (უფრორე წინ) ერთვის არა ხევი ან წყალი, არამედ თანამედროვე სიტყვა - მდინარე. მაგალითად, მდინარე იორი, მდინარე ალაზანი და ა. შ.

მაშ, ასე:

ისტორიული პროცესი ამგვარად გვესახება: ხევი, წყალი, მდინარე.

ახლა კი ისა ვნახოთ, თუ რა დაემართა სამცხის პატარა მდინარეს, რომელსაც ეწოდება ოძრე. ძველი ქართული წესისამებრ, მას დაემატა ტერმინი ხევი. ასე მივიღეთ ცნობილი სტრუქტურა: ოძრის-ხევი. შეადარეთ: კისის-ხევი, ქვათა-ხევი...

სხვათა შორის, სამსჯელო რეგიონში ამგვარი წარმოება ფრიად და ფრიად გავრცელებული ყოფილა. ეს მდინარეებია: ქუაბის-ხევი; ბობნავის-ხევი; სლესის-ხევი; ღოგად-ხევი; თიხრევის-ხევი; ყინცვისის-ხევი; ზიკილიის-ხევი; ბორჯომის-ხევი; ლიკანის-ხევი და სხვ. [6]

აქვე შევნიშნავთ: საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართულში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი „ს“ სიტყვის გაკომპოზიტივების ვითარებაში იკარგვის. ეს მოვლენა განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული კახურ მეტყველებაში, მაგრამ არც სხვა დიალექტებისათვის არის უცხო. ამ მხრივ საყურადღებოა ქართული გვარები: ცქიტიშვილი მიღებულია ფორმისგან ცქიტის-შვილი; მჭედლიშვილი - მჭედლის-შვილისაგან და ა. შ.

მსგავსმა ფონეტიკურმა მოვლენამ შეაპირობა, რომ კონსტრუქცია ოძრის-ხევი მალევე გადაიქცა ბგერათკომპლექსად ოძრი-ხევი; მომდევნო ეტაპზე შეიკვეცა რთული სიტყვის მეორე კომპონენტიც და მივიღეთ ფორმა ოძრი-ხე. საყურადღებოა, რომ ეგ შუალა კონსტრუქცია დაფიქსირებულია ისტორიულ წყაროებში [7].

ცნობილი ამბავია: ტოპონიმი, ჩვეულებრივ, იკუმშება, კარგავს ცალკეულ ბგერებს და მარტივდება. მაგალითად, იყო მარტო-მყოფი და გახდა მარტყოფი; იყო ზედა ზადენი და გახდა ზედაზენი.

აღნიშნული ფონეტიკური ინერცია შეეხო ფორმასაც ოძრიხე და მოგვცა მოსალოდნელი კომპლექსი – ოძრხე.

ესაა საყრდენი ფორმა, რომელიც სიტყვის წარსულსაც გვიშუქებს და მომავალსაც.

ამრიგად, მთელი რიგი ფონეტიკური პროცესების გამოისობით ხელთა შეგვრჩა სამცხის დედაქალაქის ცნობილი სახელწოდება ოძრხე, ოღონდ აქ საქმე გაგვირთულდა!

ცნობილი ამბავია: ქართულ ენას არ უყვარს რამდენიმე თანხმოვნის ერთად დაჯრა. მაგალითად, თუ სომხისათვის ჩვეულებრივია გვარი მკრტჩიანი, სადაც ზედიზედ 5 თანხმოვანია წარმოსათქმელი, ქართველი ცდილობს მის გახმოვანებას და ამბობს ასე - მიკირტიჩიანი. ესე იგი, სიტყვას ახმოვანებს „ი“ ფონემით. სამცხის დედაქალაქის სახელწოდებაშიც თავი მოიყარა სამმა ურთულესმა თანხმოვანმა:

ძრხ. ქართული მეტყველების ეს დიდი პრობლემა ენას ფონეტიკური გარდაქმნების გზით უნდა დაეძლია და დაძლია კიდევაც. აღნიშნულის გამოისობით ფორმა ოძრხე ორი მიმართულებით განვითარდა. ეს გახლავთ „ა“ და „ბ“ მიმართულება.

ა) უწინარეს ყოვლისა, დაიკარგა „რ“ ბგერა და ვითარება ოდნავ შემსუბუქდა - ოძხე, ოღონდ ენამ საკმარისად ვერც ეს შედეგი მიიჩნია და უფრო შორს წავიდა — „ძ“ აფრიკატი უფრო მსუბუქი რთული თანხმოვნით შეცვალა. ასე მივიღეთ ოცხე. აქ თავისი როლი შეასრულა სხვა გარემოებამაც. ცნობილია, რომ ქართული ჰარმონიული კომპლექსები არ იცნობს კონსტრუქციას „ძხ“, ხოლო „ცხ“ სწორედ ასეთად არის ცნობილი. მაშასადამე, ენის ბუნებრივი მისწრაფებაა „ძხ“ შეცვალოს ბგერათკომპლექსით „ცხ“.

მაშასადამე, მიუღებელი კომპლექსი „ძხ“ ენამ შეცვალა მისთვის ბუნებრივი და მისაღები ჰარმონიული კომპლექსით „ცხ“.

ფორმა ოცხე (შევიხსენოთ გვარი ოცხელი!) მოგვიანებით საფუძვლად დაედო მთელი რეგიონის, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რაიონის, სახელდებას. ფორმას ოცხე დაერთო დანიშნულების მაწარმოებლები სა-ე და ასე მივიღეთ ახალი ტერმინი: სა-ოცხ-ე→სა-ვცხ-ე→სა-მცხ-ე→სამცხე.

„ვ“ ბგერის „მ“ ბგერად გადაქცევა ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა. შევიხსენოთ: რა-ოდენი-მე→რა-ვდენი-მე→რამდენიმე.

ამრიგად, ოძრხე ფორმის ერთი - (ა) მიმართულებით განვითარებამ მიგვიყვანა ორი ახალი ტერმინის გაჩენამდე. ესენია: ოცხე და სამცხე. საგულისხმოა: ძველი ოძრის ხევი მოგვიანებით, მაშინ, როდესაც ოძრხე იქცა ოცხე ფორმად, გახდა ოცხის წყალი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო [8].

მაშ, ასე:

ერთის მხრივ, ოძრხე-ოცხე-სამცხე, ხოლო, მეორეს მხრივ, ოძრის ხევი→ოძრხე→ოცხე→ოცხის წყალი.

ბ) არანაკლებ საინტერესო გამოდგა საძიებელი ფორმის განვითარების მეორე მიმართულება. ოძრხე აქ სულ სხვა ცნება-ტერმინს უდებს სათავეს.

ცნობილი ფაქტია:

ბუნებაში არსებობს არაერთი ქიმიური ელემენტი, რომლებიც მარადიულად იარსებებს და არ დაიშლება, თუ წყალი არ დაესხურა. წყალთან რეაქციის შედეგად კი მყისვე იშლება შემადგენელ ნაწილებად (მაგალითად, მარგანეცის კალიუმი).

სწორედ ასეთსავე ბუნებას ავლენს ქართულში აფრიკატი „ძ“. თუ მას წყლის მსგავსად „დაესხურა“ რომელიმე ხმოვანი, მაშინ ის იშლება შემადგენელ ელემენტებად; თუ ხმოვნის მეზობლად არ აღმოჩნდა, იარსებებს ხელშეუხებლად; მაგრამ იმის გამო, რომ ქართულ ენას უჭირს „ძრხ“ (ო-ძრხ-ე) თანხმოვნების მიჯრით წარმოთქმა, იძულებული შეიქმნა, გამოეყენებინა რთული ძირის „ძრხ“ წარმოთქმის გამაადვილებელი „წყალი“, ანუ ხმოვანი. ერთ შემთხვევაში ეს ხმოვანი გამოდგა „უ“. ასე მივიღეთ ფორმა ოზურხე. როგორც ითქვა, „უ“ ხმოვანი აქ ასრულებს იმ წყლის როლს, რომელსაც ქიმიური ელემენტის დაშლა ძალუძს. ასე რომ, „უ“ ხმოვანმა გამოიწვია „ძ“ აფრიკატის შემადგენელ ელემენტებად დაშლა: ოძურხე-ოდზურხე. ასე მივიღეთ შუალედური ფორმა ოდზურხე. შემდეგ „დ“ ბგერა დაიკარგა და ხელთ შეგვრჩა ძალიან საინტერესო ფორმა ოზურხე. ეს გამაოგნებლად საკვირველი შუალედური კომპლექსი ოზურხე კიდევაც არის დაფიქსირებული ჩვენს კლასიკურ ლიტერატურაში ტოპონიმის, ქალაქის, აღმნიშვნელად. თავის ცნობილ პოემაში „გაბაასება თეიმურაზ მეფისა და რუსთველისა“ არჩილ ბაგრატიონი აღწერს ისტორიულ ფაქტს, როცა თამარ მეფის წინააღმდეგ ამბოხებულმა დასავლეთ საქართველოს ერისთავებმა გადაწვეს ათაბაგთა რეზიდენცია ოძრხე, რაკიღა ათაბაგი თამარს ვერ უღალატებდა. ეს ფაქტი ისტორიკოსებსაც დაუფიქსირებიათ. მათ გადამწვარ ქალაქად წარმოგვიჩინეს სწორედ ოძრხე; მაგრამ გამაოგნებლად საყურადღებო ისაა, რომ არჩილ მეფე ამ ტოპონიმს ასე მოიხსენიებს - ოზურხე. აი, მისი ტაეპი:

დასწვეს ქალაქი ოზურხე,
გიჟისა სთქვეს: „დააბი ეს!“

ამრიგად, ისტორიკოსები რომ ოძრხე ქალაქს ასახელებენ, არჩილი მიუთითებს დასახლებაზე ოზურხე.

გასაგებია: არჩილი ამ ფორმას თვითონ არ მოიგონებდა. მაშასადამე, მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ამგვარი დასახელების ტოპონიმი არსებულა, ანუ სამცხის დედაქალაქს ძველ სახელთან ერთად ამ სახელის მომდევნო, განვითარებული, სახელიც ჰქონია. ეს ფორმა ასრულებს ალექსანდრიის შუქურის როლს: გვიჩვენებს, რომ აქედან მომდინარეობს სხვა ტოპონიმის ფორმაც. ეს გახლავთ ოზურგეთი.

ახლა ისა ვნახოთ, თუ როგორ განვითარდა „ოზურხე“ და მოგვცა „ოზურგეთი“.

ფორმის ფონეტიკური განვითარების პირველ ეტაპზე მივიღეთ ოზურხეთი:

ოზურხე-ეთ-ი→ოზურხეთი; მეორე ეტაპზე „ხ“ ბგერა შეიცვალა ქართული ენისათვის უფრო ჩვეული ბგერით „გ“ ამგვარად: ოზურხეთი→ოზურგეთი.

ცნობილია: ქართულ ბგერათა სისტემას მოეპოვება წარმოქმნის ადგილისდა მიხედვით შედგენილი ტრიადები, სამეულები: ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, გ-ქ-კ... ამასთანავე, აღსანიშნავია: ქართული გ-ქ-კ სამეულის წევრები ხშირად ცვლიან უცხოური წარმოშობის სიტყვებში არსებულ „ხ“ ფონემას. მაგალითად, ესპანურად მამაკაცსა ჰქვია ხორხე. აქ ორი ცენტრალური ბგერაა ორი „ხ“. ქართულში ორივეს ენაცვლება „გ“ – გიორგი; უცხოური (თურქულენოვანი) სიტყვაა ხალიკი. აქ ცენტრალური ბგერაა „კ“. აზერბაიჯანულსა და ქართულში ენაცვლება „ხ“ და შესაბამისად გვაქვს „ხალხ“ და „ხალხი“; თურქული „იოკ“ აზერბაიჯანულად ასე ისმის: „იოხ“; სპარსელ მამაკაცსა ჰქვია „ვამიკ“, ხოლო აზერბაიჯანულად და ქართულად – „ვამეხ“; ერთ ადგილს რუსეთში ჰქვია „იაკუტია“

. ცენტრალური ბგერაა „კ“. ქართულად ვიტყვით: „იაგუნდი“. აქ „კ“ ბგერას შეენაცვლა „გ“ ერთეული; რუსები ამ ძვირფას ქვას ასე უწოდებენ – „იახონტ“, სადაც „გ“ ქართულ ბგერას ენაცვლება „ხ“.

მსგავსი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება.

ასე რომ, ოზურხეთი იოლად გახდებოდა ქართულისათვის უფრო ბუნებრივი კომპლექსი ოზურგეთი.

ბევრი მეცნიერი ფიქრობდა, რომ გურულები მესხეთიდან არიან გადმოსულნი, რომ დადიანმა მათ კოლხეთის გული (მეგრულად „გური“) დაუთმო და იქ დაასახლაო.

ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, ეს მართლაც ასე ჩანს.

ირკვევა, რომ სამცხიდან გადმოსახლებულმა მესხებმა გურიის ტერიტორია აითვისეს, ხოლო, როგორც ხშირად მომხდარა ისტორიაში, არც წინაპართა სამშობლო და მისი დედაქალაქი დაივიწყეს და ახალ ადგილას დააარსეს ახალი დედაქალაქი ოძრხე-ოზურხე-ოზურხეთ-ოზურგეთი. ამ დროს, როგორცა ჩანს, ისტორიული ფონეტიკური პროცესის შედეგად ფორმა ოზურხეთი-ოზურგეთი ჩამოყალიბებული ყოფილა. ამიტომაც დაერქვა გურულთა დედაქალაქს ოზურგეთი.

ამრიგად, ირკვევა სრულიად განსაცვიფრებელი ამბავი: ოძრხე ფორმამ, ერთის მხრივ, მოგვცა სამცხე, ხოლო, მეორე მხრივ, - ოზურგეთი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973, გვ. 110;
2. იქვე, გვ. 658-59;
3. იქვე, გვ. 57; აგრეთვე 664, 651;
4. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966, გვ. 26;
5. ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შეადგინა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1956, გვ. 39;
6. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 662-663;
7. არჩილ ბაგრატიონი, თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასება, ქართული მწერლობა, 6, ნაკადული, თბილისი, 1989, გვ. 521;
8. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 664;
9. არჩილ ბაგრატიონი, გაბაასება, ქართული მწერლობა, გვ. 6,489.

ეგზისტენციალური განწყობის ფენომენი

ირაკლი მიქავა

The phenomenon of existential attitude

Irakli Mikava

Summary

A man in a spiritual crisis unconditionally obey the instincts and weakens the internal control function. He rejected of the spirit as the only solid basis of existential integrity. Existential setting radically changes the picture of the world. From this perspective, the world and man converted in a single continuous flow of life.

* * * * *

თანამედროვე ადამიანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას სულიერი კრიზისი წარმოადგენს. ამ პრობლემის შესახებ, ავსტრიელი ფსიქოლოგი და ფსიქოთერაპევტი, ლოგოთერაპიის დამაარსებელი, ვიქტორ ფრანკლი წერს:

„XX საუკუნეში ეგზისტენციალური ვაკუუმი ფართოდ გავრცელებულ მოვლენად იქცა. ეს სავსებით გასაგებია და შეიძლება აიხსნას იმ ორმაგი დანაკარგით, რომელიც ადამიანმა ადამიანად ქცევის პროცესში განიცადა. განვიტარების საწყის ეტაპზე მან დაკარგა ის ძირითადი ცხოველური ინსტინქტები, რომლებიც განსაზღვრავენ და უზრუნველყოფენ მის ქცევას. ეს სამოთხისებრი უზრუნველყოფილება სამუდამოდ დასრულდა ადამიანისათვის. ამის შედეგად ადამიანს მუდმივად უწევს არჩევანის გაკეთება იმის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა მოიქცეს. ამასთან ერთად, არც ისე დიდი ხნის წინ, ადამიანმა კიდევ ერთი დანაკარგი განიცადა: თრადიციები, რომლებიც მისი ქცევის საყრდენს წარმოადგენდნენ დაუადვილებდნენ არჩევანს, თანდათან კარგავენ ძალმოსილებას. არჩერთი ინსტინქტი და არცერთი ტრადიცია უკვე აღარ კარნახობს მას, თუ როგორ უნდა მოიქცეს. ადამიანი, სულ უფრო ხშირად, ხელმძღვანელობს იმით, რასაც სხვები მოითხოვენ მისგან და იქცევა ანგარებიანი სწრაფვების მსხვერპლად.”

სულიერი კრიზისი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ცალსახად უარყოფით მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ. კრიზისისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბების შემთხვევაში იგი პიროვნული განვითარების წინაპირობად გარდაისახება. სულიერ კრიზისში აღმოჩენილი ადამიანი აქტიურად ეძებს და აუცილებლად პოულობს გამოსავალს, რაც აძლიერებს მის პიროვნულ თვისებებს და დადებითად აისახება ინდივიდუაციის პროცესის წარმატებულ მსვლელობაზე. მაშასადამე, კრიზისი, სიმწვავის ხარისხის მიუხედავად, განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის შესაძლებლებლობაა, თუ მას ღრმა სულიერ პროცესად მივიჩნევთ, რომელსაც ადამიანი შინაგანი მთლიეანობისკენ მიჰყავს.

ადამიანის არსების ჰოლისტური ხედვის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს ქართველი ფსიქოლოგის, დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია იმსახურებს. თუმცა, ქართველი ფსიქოლოგის კვლევის მიზანს სულიერი კრიზისით გამოწვეული პრობლემის დაძლევა არ წარმოადგენდა, განწყობის თეორიის საზღვრების გაფართოვება და გაღრმავება აღნიშნული მიმართულებითაც შესაძლებელია. ამ პოტენციალის ჯეროვანი გამოყენება თანამედროვეობის ერთ—ერთი უმძაფრესი პრობლემის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს ფრიად საინტერესო კუთხით წარმოაჩენს.

უზნაძის თეორიის თანახმად, განწყობის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილებისათვის ხელსაყრელი სიტუაცია წარმოადგენს. ჩამოყალიბებული განწყობა შეიცავს ქცევის მოდელს, რომელიც მყისიერად ხორციელდება. ადამიანი, ხშირად, ეძებს ან თავად ქმნის სიტუაციას, რომელიც კონკრეტული მოთხოვნილების შესაბამისი განწყობის ჩამოყალიბებისთვის არის აუცილებელი. განწყობის ჩამოყალიბება, ადამიანის შემთხვევაში, არა მხოლოდ მოთხოვნილებისა და სიტუაციის თანხვედრის შედეგია. იგი შეიძლება შეიქმნას აგრეთვე ემოციურად დამუხტული წარმოდგენების ზეგავლენითაც, რომლებიც ქცევაში ხორციელდებიან.

ობიექტივაციის პროცესი, რომელიც წარმოდგენების განხორციელებას გულისხმობს, გახლავთ განწყობის უშუალო განხორციელების შემაკავებელი ფსიქოლოგიური ფუნქცია. იგი განწყობის წარმოდგენებში გამოხატვასა და მისი მოქმედებაში გადატანის შესაძლებლობის წინასწარ გააზრებას გულისხმობს. ფანტაზია, როგორც შეუზღუდავი, კრეატიული აზროვნების წყარო და განსჯითი აზროვნება ის სულიერი უნარებია, რომლებსაც განწყობის უშუალო, ინსტინქტური განხორციელების შეჩერება ძალუძთ.

როგორც უკვე აღინიშნა, განწყობის ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობად დიმიტრი უზნაძე შესაბამისი მოთხოვნილებების არსებობას მიიჩნევდა. სიტუაციისა და მოთხოვნილების თანხვედრა წარმოქმნის განწყობას, როგორც ინდივიდის მოქმედებისათვის მზაობის მთლიანობით მდგომარეობას. უზნაძის მიერ ჩატარებულმა ცდებმა ცხადყო ამ ფსიქოლოგიური ფენომენის ირადიაციული ხასიათი. იგი ადამიანს, როგორც სიქო—ფიზიკურ არსებას, ერთიან მოდუსში აქცევს, რათა ადექვატური მოქმედების განხორციელება უზრუნველყოს. ამ რთუ-

ლი პროცესის აღძვრა მთლიანად დამოკიდებულია მოთხოვნილებაზე. მოთხოვნილების არარსებობის შემთხვევაში ვერც განწყობა და, შესაბამისად, ვერც ქცევა ჩამოყალიბდება. აქედან გამომდინარე, დგება მოთხოვნილებათა კლასიფიკაციისა და წარმომავლობის საკითხიც.

ამერიკელი ფსიქოლოგის, აბრაჰამ მასლოუს აზრით, მოთხონილებები ორ ჯგუფად იყოფა: დეფიციტური და მეტამოთხოვნილებები. პირველ ჯგუფში შემავალი მოთხოვნილებები პიროვნებას სოციალური ადაფტაციის და თვითდამკვიდრებისკენ უბიძგებს. მეორე ჯგუფს სულიერი მოთხოვნილებები შეადგენენ, რომლებიც ადამიანს თვითრეალიზაციისაკენ უბიძგებენ.

ჩვენი აზრით, **მოთხოვნილებები** სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. **ბიოლოგიური მოთხოვნილებები**, რომელთა დაკმაყოფილებაც ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების, ზრდასა და განვითარებას ემსახურება;
2. **ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები** განაპირობებენ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას და მის სოციალურ ადაფტაციას;
3. **სულიერი მოთხოვნილებები** აქცევენ ადამიანს საზრისისა და მშვენიერების მაძიებელ არსებად.

მოთხოვნილებათა სამივე კატეგორია სამი ეგზისტენციალური განზომილების გამოხატულებას წარმოადგენს. მათი ერთობლივი მოქმედებით ყალიბდება ადამიანი, როგორც განსაკუთრებული კოსმიური ფენომენი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ეგზისტენციალური განწყობის ჩამოყალიბება განაპირობებს აღქმის გაფართოვებას სამგამზომილებიანი ეგზისტენციალური რეალობის შემეცნებამდე. სულიერ განზომილებასთან სიახლოვე ამდიდრებს ადამიანს ობიექტური სამყაროსადმი თანაგრძნობისა და ობიექტივაციის უნარით, რაც განწყობის უპირობო ზეგავლენის შეჩერების შესაძლებლობას ქმნის. გააქტიურებულ სულიერ საწყისს ძალუძს როგორც ფსიქიკური, ასევე ბიოლოგიური მოთხოვნილებების ჰუმანურობის კალაპოტში მოქცევა.

ამის საპირისპიროდ, სულიერ კრიზისში აღმოჩენილი ადამიანი, წყვეტს რა კავშირს სულიერ განზომილებასთან, უპირობოდ ემორჩილება განწობების ზეგავლენას და ასუსტებს ობიექტივაციის ფუნქციას. ვინაიდან განწყობა ინსტინქტურ, გაუაზრებელ მოქმედებას გულისხმობს, იკარგება საზრისის განცდაც. კრიზისული ადამიანი ქაოსურ ქმედებათა ჩაკეტილ წრეში ექცევა და წყდება სულს, როგორც ეგზისტენციალური მთლიანობის ერთადერთ მყარ საფუძველს. სწორედ სულიერი განზომილების მნიშვნელობის დაკნინება და სამყაროს ჰომოგენური ხატის რღვევა გახლავთ ინსტინქტური განწყობების გაძლიერებისა და სულიერი კრიზისის გაღვივების მიზეზი.

მაშასადამე, **ეგზისტენციალური სამყარო** სამი განზომილების — ფიზიკურის, ფსიქიკურისა და სულიერის გადაკვეთას წარმოადგენს. ადამიანს ხელეწიფება მათში განხორციელდეს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეისწავლოს ისინი, გაიგივდეს თითოეულ მათგანთან ან შეიქმნას რეალობის ერთიანი სურათი, რაც სამივე განზომილების სიცოცხლის ერთიან ფენომენად გააზრებას გულისხმობს. სამყაროს, როგორც მხოლოდ ფიზიკური, ფსიქიკური ან სულიერი ფენომენის წარმოდგენა ამახინჯებს ეგზისტენციალური რეალობის სურათს.

სურათი რადიკალურად შეიცვლება, თუ ადამიანს ეგზისტენციალურ განზომილებათა გადაკვეთად წარმოვიდგენთ. ამ პერსპექტივიდან დანახული სამყარო სიცოცხლის უწყვეტ ნაკადს წარმოადგენს, რომელშიც სამივე განზომილება განსმსჭვალავს ერთმანეთს, ხოლო ადამიანი კი ტოტალური სიცოცხლის, როგორც უწყვეტი პროცესის, განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ეგზისტენციალური განწყობა აღძრავს ეგზისტენციალური ჰომოგენიზაციის შინაგან ტრანსფორმაციულ პროცესს, რომელიც ადამიანისა და სამყაროს გამთლიანების საწყისი ეტაპია. ჰომოგენური ეგზისტენციალური რეალობის კონტექსტში არა მხოლოდ სამყარო არსებობს ადამიანისთვის, არამედ, ამავე დროს, ადამიანი — სამყაროსთვის.

შინაგანი განვითარების შემდგომ ეტაპს აქტიური ეგზისტენციალური ცნობიერების ჩამოყალიბება წარმოადგენს, რაც ეგზისტენციალურ განზომილებათა შორის მერყეობისა და წონასწორობის მდგომარეობათა მონაცვლეობას გულისხმობს. ტრანსფორმაციული ფსიქოსულიერი პროცესების საბოლოო მიზანს ინდივიდუალური ცნობიერების ეგზისტენციალურ რეალობაში სრული ინტეგრაცია, ანუ ღრმა ეგზისტენციალური თვითცნობიერების ჩამოყალიბება წარმოადგენს, რაც უზრუნველყოფს სულიერი კრიზისის გაცნობიერებისა და დაძლევის პროცესების პარალელურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე. ჩგანწყობის ფსიქოლოგია. ჩგამომცემლობა „საქართველოს მაცნე.” თბ. 2009
2. Виктор Франкл. Психотерапиа и экзистенциализм. Прогресс. санкт-петербург.1993
3. К. Юнг. Избранное. Минск. ООО “Попури”.
4. Р. Ассаджиоли. Нервние Заболевания при духовном росте. Издательство золотой фонд психотерапии. Москва. 2009.
5. C. G. Jung. Über die Entwicklung der Persönlichkeit. Walter-Verlag. 2002. Düsseldorf und Zürich. 2001ю

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა კოსოვოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

თემურ არბოლიშვილი, *დოქტორანტი*

რეზიუმე

ცხინვალისა და სოხუმის სეპარატისტული ადმინისტრაციების მხრიდან ხშირია საუბრები იმის შესახებ, რომ რადგან კოსოვო გახდა დამოუკიდებელი, მათაც აქვთ ამის უფლება. თუმცა იმაზე არაფერს ამბობენ, როგორ ვითარდება დამოუკიდებელი კოსოვო და როგორ ვითარდებიან ისინი. შესაბამისად, ძალზედ საინტერესო იქნებოდა გაგვეკეთებინა სოციალური სისტემების შედარებითი ანალიზი კოსოვოსა და ამ ორ ქართულ რეგიონს შორის ე.წ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ეს სერიოზული გზავნილი იქნებოდა ამ რეგიონების მოსახლეობისათვის. ისინი კარგად დაინახავენ, რა მიიღეს მათ რუსეთთან ინტეგრაციით და რა მიიღო კოსოვომ ევროპასთან ინტეგრაციით. საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა კი ევროპულ სივრცეში ცხოვრებას ნიშნავს. ჩვენ ამჯერად შევეხებით სოციალურ დაცვის სისტემას კოსოვოში მისი დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში. მომავალში კი გავაანალიზებთ სოციალური დაცვის მექანიზმებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში და გავაკეთებთ მათ შედარებით ანალიზს. ნაშრომიდან კარგად დავინახავთ, რომ კოსოვოს მიერ არჩეული გზა ორიენტირებულია საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობაზე. კოსოვოს კანონმდებლობა ჰარმონიაში მოდის ევროპის შესაბამის კანონმდებლობასთან, რაც ხელს უწყობს კოსოვოს არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრირებას ევროპაში, რაც საბოლოოდ მიზნად ისახავს რეგიონის სრულ ევროპეიზაციას და მის სრულყოფილ დამოუკიდებლობას.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, კოსოვო, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, სოციალური პოლიტიკა

Social Security System in Kosovo since Independence

Temur Arbolishvili, PHD Student

Summary

Tskhinvali and Sokhumi separatist authorities often claim that since Kosovo has gained recognized independence, they also have the right for the same. Meanwhile, they do not speak about how independent Kosovo is developing and how they are developing. Therefore, it would be very interesting to make comparative analysis of social security systems in Kosovo and the aforementioned two Georgian regions since gaining the so called independence. It can become a serious message to the population of those regions. They will clearly see what they have gained as result of integration with Russia and what Kosovo has gained thanks to European integration; considering, that being part of Georgia means living in European space. At this point we will analyze the development of social security system in Kosovo since independence. Next, we will analyze social security mechanisms in Abkhazia and so called South Ossetia and will make the comparative analysis of the systems. The research will clearly show that the direction chosen by Kosovo is aimed at wellbeing of its citizens. Kosovo legislation is being harmonized with the coinciding legislation of Europe, which promotes Kosovo's not only political, but also social and economic integration with Europe, the final goal of which is the full Europeanization of the region and its full-scale independence.

Keywords: conflict, Kosovo, Abkhazia, South Ossetia, social policy

* * * * *

თანამედროვე მსოფლიოში სოციალური პრობლემატიკა მზარდი აქტუალობით გამოირჩევა. სოციალური პოლიტიკა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ეს განსაკუთრებით ითქმის სოციალური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, სადაც სოციალური განზომილება ყველაზე მაღალ რეგისტრშია აყვანილი. საუბარია ევროკავშირის ქვეყნებზე, რომელთათვისაც სოციალური სფერო ალბათ ყველაზე პრიორიტეტულია მსოფლიოში. ამ ქვეყნების მთავრობები ყველაზე დიდ თანხებს ხარჯავენ ბიუჯეტიდან სოციალური სფეროს დასაფინანსებლად.

სიღარიბესთან ბრძოლა ნებისმიერი ქვეყნისთვის მუდმივად თანმხლები პროცესია. მართალია, დაბალ- და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სიღარიბე ერთნაირად არ გამოიხატება და არც ერთნაირი მასშტაბები აქვს, მაგრამ მისი სრული აღმოფხვრა თვით ყველაზე მაღალი სოციალური თანასწორობის მქონე ქვეყნებშიც კი ვერ მოხერხდა.

ამგვარი საერთაშორისო ტენდენციების ფონზე საქართველოს სოციალური მდგომარეობა საკმაოდ საგანგაშოდ მოჩანს. ბოლო ორ ათწლეულში შექმნილი სოციალური ფონი განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა მოსახლეობისათვის. გასული საუკუნის 90-იან წლებში და მიმდინარე საუკუნის პირველ ათწლეულში გადატანილი ომებისა და ეკონომიკის სრული კრახის შედეგად, ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. სახელმწიფოს კი არანაირი მექანიზმები არ გააჩნდა ამ სენ-

თან საბრძოლველად. ძველი სისტემა უკვე მთლიანად მოშლილი იყო, ახლის შექმნაზე კი არავინ ზრუნავდა. სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც ავად თუ კარგად ფუნქციონირებდა სოციალისტურ რეალობაში, საბჭოთა კავშირის რღვევასთან ერთად დაინგრა. რამდენიმე წლის განმავლობაში ეს სისტემა ინერციით, და აქედან გამომდინარე, სრულიად უკონტროლოდ განაგრძობდა არსებობას. თუმცა საბოლოოდ სოციალური დაცვის ყველა მექანიზმი მოიშალა. შემორჩა მხოლოდ საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა და ისიც დეგრადირებული სახით, რამდენადაც პენსია უფრო შემწეობას დაემსგავსა, რომელიც ხშირად არც გაიცემოდა. მოკლედ, სოციალური დაცვის სისტემის ადგილას გაჩნდა სიცარიელე, რომლის ამოვსებაც სახელმწიფომ 1993-95 წლებში გატარებული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმებით სცადა, თუმცა რეალურად ეს ყველაფერი მხოლოდ ფორმულირების დონეზე გაკეთდა. საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამ რეფორმებს საძირკველს გაუმაგრებდა, არ შექმნილა; და თუ რაიმე ხდებოდა ამ სფეროში, მხოლოდ სპონტანურად და დაუგეგმავად.

ჩვენთვის, როგორც ევროკავშირის სამომავლო წევრობაზე ორიენტირებული ქვეყნისათვის, ადრე თუ გვიან აუცილებელი გახდება ევროპულ სისტემებთან მაქსიმალური დაახლოება. ეს შეეხება ქვეყნის განვითარების ყველა მნიშვნელოვან სფეროს: პოლიტიკას, ეკონომიკას, განათლებას, ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას, გარემოს დაცვას, კვლევით და ინოვაციურ საქმიანობას, სავაჭრო ურთიერთობებს და ა.შ. ძალზედ მნიშვნელოვანია სოციალური სამართლიანობის მიღწევა ქვეყანაში და ეს უნდა იყოს ხელისუფლების მთავარი გამოწვევა ნებისმიერ დროსა და გარემოში.

ამ მხრივ საქართველოს სახელმწიფო, მეტ-ნაკლებად მისაღებ ან მიუღებელ ნაბიჯებს დგავს, თუმცა გასაგებია, რომ ყველაფერი მაინც ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერესა და მმართველი პოლიტიკური ძალის სოციალურ-ეკონომიკურ ხედვებს ემყარება.

საქართველოს სოციალური სისტემის განვითარების ასპექტებზე ამჯერად არ ვისაუბრებთ. ჩვენ საქართველოსთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან კომპონენტს შევეხებით. ესაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა.

შესაძლოა დაიბადოს კითხვა: რა კავშირია სოციალურ უზრუნველყოფასა და ტერიტორიულ მთლიანობას შორის? კავშირი პირდაპირია. დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ფაქტობრივად მოქმედებს რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა, ან ადგილობრივი კანონები, რომლებიც გადმოწერილია რუსეთის შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან. საქართველო სთავაზობს ამ ორ რეგიონს საქართველოსთან ინტეგრაციას სხვადასხვა პირობებით (ძირითადად პოლიტიკური კონტექსტით). თუმცა ჯერ-ჯერობით საუბარი არსად არაა სოციალურ და ეკონომიკურ შეთავაზებებზე, რომელმაც უნდა დააინტერესოს ამ ორი რეგიონის მოსახლეობა ქართულ სახელმწიფოში ინტეგრაციაში. ყველასათვის ნათელია, რომ საქართველოს მომავალი მჭიდროდაა დაკავშირებული ევროსივრცესთან, გაფორმდა ევროპასთან ასოცირების ყოვლისმომცველი ხელშეკრულება. ეს დოკუმენტი საქართველოს სოციალური სისტემის ევროსტანდარტების შექმნისკენ უბიძგებს; უახლოეს ხანში ამოქმედდება საქართველოსა და შენგენის ზონას შორის უვიზო მიმოსცვლის შესახებ შეთანხმება. ამ რეგიონებში კი სულ სხვა (რუსული) სტანდარტები მოქმედებენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, აფხაზებმა და ოსებმა ნათლად დაინახონ, თუ როგორი შეიძლება იყოს მათი სოციალური უსაფრთხოება საქართველოსთან ინტეგრაციის შემთხვევაში.

ევროპული სოციალური სისტემების ძირითად ელემენტებს მოწყვლადი ჯგუფებისა და ეკონიმიკურად შეჭირვებული ინდივიდებისათვის სოციალური მხარდაჭერა და სოციალური მომსახურებები წარმოადგენს [1. გვ 117]. აღნიშნული სისტემები სოციალურად დაუცველი ინდივიდების, ოჯახებისა და სხვა უმწეო ჯგუფების სოციალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მათი დახმარებისას ხელმძღვანელობს ფუნდამენტური უფლებებისა და ღირებულებების დაცვის პრინციპით, რასაც ზოგადად ეფუძნება ევროპული სოციალური სისტემები. ქვეყნები, რომელთაც აქვთ სიღარიბის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ხარჯავენ მთლიანი შიდა პროდუქტის (ჩDᲗ) ყველაზე მაღალ პროცენტულ წილს სოციალურ შეღავათებზე, გარდა პენსიებისა [2. გვ 12].

სოციალურმა დაცვამ შესაძლოა, მიიღოს განსხვავებული ფორმები, როგორიცაა მაგალითად პირდაპირი ფულადი სარგებლის რეგულარული მიწოდება, საკვებითა და სხვა ყოველდღიური აუცილებლობებით, ჯანდაცვით, თავშესაფრით უზრუნველყოფა და ასე შემდეგ. ასევე, სოციალური შეღავათებით მოსარგებლე ბენეფიციარები შესაძლოა, იყვნენ სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები: უმუშევრები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, ომის ვეტერანები... ეფექტიანია სოციალური დახმარების ის სისტემა, რომელიც იმ მარგინალიზებულ ჯგუფებსა და შშმ პირებს იცავს, რომელთაც დამოუკიდებლად არ ძალუძთ ცხოვრების ადეკვატური პირობების შექმნა. ეს მიდგომა გულისხმობს ორგანიზაციულ, ინსტიტუციონალურ და ფინანსურ მხარდაჭერას, რათა თავიდან იქნას აცილებული და მინიმუმამდე დაყვანილი სოციალური რისკები და უთანასწორობები. სოციალური წონასწორობა, რომლისკენაც მიემართება თანამედროვე სისტემა, მიზნად ისახავს მასში მონაწილე ინდივიდებისათვის თანასწორობის უზრუნველყოფას და უთანასწორობის აღმოფხვრას.

ცხინვალისა და სოხუმის ადმინისტრაციების მხრიდან ხშირია საუბრები იმის შესახებ, რომ რადგან კოსოვო გახდა დამოუკიდებელი, მათაც აქვთ ამის უფლება. თუმცა იმაზე არაფერს ამბობენ, როგორ ვითარდება დამოუკიდებელი კოსოვო და როგორ ვითარდებიან ისინი. შესაბამისად, ძალზედ

საინტერესო იქნებოდა გაგვეკეთებინა სოციალური სისტემების შედარებითი ანალიზი კოსოვოსა და ამ ორ ქართულ რეგიონს შორის ე.წ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ეს სერიოზული გზავნილი იქნებოდა ამ რეგიონების მოსახლეობისათვის. ისინი კარგად დაინახავენ, რა მიიღეს მათ რუსეთთან ინტეგრაციით და რა მიიღო კოსოვომ ევროპასთან ინტეგრაციით. საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა უახლოეს პერსპექტივაში ევროპულ სივრცეში ცხოვრებას ნიშნავს.

ჩვენ ამჯერად შევეხებით სოციალურ დაცვის სისტემას კოსოვოში მისი დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში. მომავალში კი გავაანალიზებთ სოციალური დაცვის მექანიზმებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში და გავაკეთებთ მათ შედარებით ანალიზს.

ბუნებრივი ზრდის მაღალი მაჩვენებელი და ძალიან ახალგაზრდა მოსახლეობა, შეიარაღებული კონფლიქტი, დასაქმების დაბალი დონე და მრეწველობა ის ძირითადი ფაქტორებია, რაც ზრდის სოციალური დახმარების საჭიროებას კოსოვოში. მსოფლიო ბანკის 2011 წლის მონაცემების თანახმად, მოსახლეობის ნახევარი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, მაშინ როდესაც უკიდურესი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა პროცენტული მაჩვენებელი 12 %-ს შეადგენს. 2007 წლის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 45% (ყოველი ხუთი მოქალაქიდან ორი) იმყოფებოდა სიღარიბის ზღვარს მიღმა, ხოლო 17% ირიცხებოდა უკიდურესად ღარიბად (ყოველი 5 მოქალაქიდან ერთი ვერ იკმაყოფილებს საბაზისო მოთხოვნილებებს) საკმარისი ფინანსების უქონლობის გამო, მოსახლეობის უმრავლესობას სოციალურ დაცვაზე უფლების მოსაპოვებელი ქულები არ აძლევს ამ უფლებით სარგებლობის საშუალებას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, 2010 წელს, მოსახლეობის მხოლოდ 6.9 % იღებდა კოსოვოში სოციალური დახმარებას.

უმუშევრობის მაღალი დონე სერიოზული პრობლემაა კოსოვოში. მოსახლეობის 47% უმუშევარია; მხოლოდ 30 ათასი ახალგაზრდა ახერხებს ყოველწლიურად შრომით ბაზარზე დამკვიდრებას. კოსოვოში მთელი ევროპის მასშტაბით უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. შრომისა და სოციალური კეთილდღეობის სამინისტროს 2013 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც განსხვავდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული მონაცემებისაგან, 266 599 ადამიანს არ აქვს სამსახური, რაც სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობის 30%-ს წარმოადგენს [3. გვ.44-48].

კოსოვო გარეშე წყაროებიდან იღებს მნიშვნელოვან დაფინანსებას. 2008 წელს, მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 16.6 %-ს ემიგრანტთა ფულადი გზავნილებით შემოსული თანხები შეადგენდა, მაშინ როდესაც საერთაშორისო საზოგადოების ფინანსურმა დახმარებამ 15% შეადგინა. თუმცა მთლიანი შემოსავალი 6, 455 მილიარდი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 7, 600 $ რჩება უმთავრეს გამოწვევად მოწყვლადი ინდივიდებისა და ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური ჩართულობის უზრუნველყოფის კუთხით. 2008 წელს კოსოვოს მთლიანი შიდა პროდუქტი 5 %-მდე გაიზარდა, ხოლო მსოფლიო ბანკის გათვლებით 2012 წლისათვის ზრდას 2.7 % უნდა შეედგინა. მთლიანი შემოსავლების ზრდამ არ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და სიღარიბის შემცირებაზე [4. გვ. 92].

არაფორმალური ეკონიმიკის არსებობა განსაკუთრებით კომპლექსური პრობლემაა კოსოვოსათვის. უკანასკნელი მაკრო-ეკონომიკური მონაცემები კოსოვოში არაფორმალური ეკონომიკის შესახებ 2007 წლით თარიღდება. ევროკავშირის მონაცემების თანახმად, არაფორმალური ეკონომიკის სავარაუდო წილი კოსოვოს ეკონომიკაში 2004-2006 წლებში კოსოვოს მთლიანი შიდა პროდუქტის 26.67-34.75%-ით განისაზღვრებოდა [5. გვ. 3].

მოსახლეობის ნახევარზე მეტს ვალები აქვს. კოსოვოს ცენტრალური ბანკის თანახმად, კომერციული ვალების უდიდეს ნაწილს კომერციული სესხები შეადგენს (647 მილიონი ევრო), რასაც მოსდევს ინდივიდუალური სესხები (517 მილიონი ევრო).

რაც შეეხება კოსოვოში არსებულ დემოგრაფიული სურათს [6. გვ. 42-43]. 1980-1990-იან წლებში კოსოვოს მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი ჰქონდა აღებული, რაც განპირობებული იყო შობადობის მაღალი და სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლებით. აღნიშნული ტენდენცია ნელნელა იცვლება, ზრდის ტემპები კი ვარდება. შობადობის საერთო მაჩვენებელი არის დაახლოებით 3 ბავშვი ერთ ქალზე, ხოლო სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 69 წელს აღწევს. ბოლო წლებში დემოგრაფიული ზრდის ტემპები 34 000-დან 35 000-მდე შუალედებში მერყეობს ყოველწლიურად. 2011 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის თანახმად, კოსოვოს მოსახლეობის მთლიანი რიცხვი 1739825 მოსახლეს შეადგენს. კოსოვოს ჰყავს ახალგაზრდა მოსახლეობა, მისი საშუალო ასაკი 23 წელია. მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი 15 წლამდე ასაკისაა, მაშინ როდესაც მხოლოდ 6% არის 65 წლის ასაკს მიღწეული. სამუშაო ასაკის მოსახლეობა, 15-65 ასაკობრივ კატეგორიაში, მთლიანი მოსახლეობის 61% შეადგენს.

შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ საერთაშორისო მისიის დაფუძნებამ კოსოვოში სოციალური დაცვის მთელი სისტემა განსხვავებულ ფინანსურ ჩარჩოში მოაქცია. კოსოვოს ინსტიტუტებმა გადმოიღეს სისტემური მოწყობის საერთაშორისო ორგანიზაციების მოდელები. 1999 წლის კონფლიქტის დასრულების შემდეგ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითმა ადმინისტრაციულმა მისიამ (UNMIK) განაახლა სოციალური მომსახურების ცენტრების ფუნქციონირება. 2000 წლიდან აღნიშნული ცენტრები სოციალური დაცვის მომსახურებას სთავაზობენ საზოგადოებას. კოსოვოს თვითმმართველობის შესახებ კონსტიტუციური ჩარჩო დოკუმენტის მიღებას მოჰყვა შრომისა და სოციალური

კეთილდღეობის სამინისტროს შექმნა. 2001 წლის სექტემბერში, აღნიშნულ სამინისტროში ჩამოყალიბდა სოციალური კეთილდღეობის დეპარტამენტი. სოციალური სამუშაოს ცენტრები შეიქმნა მუნიციპალიტეტებშიც, რომლებიც პასუხს აგებენ აღნიშნული ცენტრების საქმიანობაზე და უზრუნველყოფენ მათ ფინანსური თვალსაზრისით. კოსოვოს ჯერაც არ გააჩნია სოციალური უზრუნველყოფის სრულყოფილი (ევროპული) სისტემა. აქცენტი კეთდება დახმარების მაძიებლის სამუშაო სტატუსზე და არა მის რეალურ საჭიროებებზე. მაგალითად, არ არსებობს უმუშევართა დაზღვევის არავითარი სქემა, დეკრეტული ან საოჯახო თუ ბავშვთა დაზღვევის სქემები. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გარეთ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა კოსოვოში მოიცავს სოციალურ დახმარებებსა და სოციალურ და საოჯახო მომსახურებებს. სოციალური დახმარების სქემა დროებით ფინანსურ დახმარებას სთავაზობს ღარიბ ოჯახებს, რომელთაც უმწეოთა სტატუსი მინიჭებული აქვთ კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისდ. სოციალურ დახმარებაზე წვდომისათვის ოჯახის თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს ადგილობრივი დოკუმენტაცია და უნდა ხვდებოდეს კანონით განსაზღვრულ ერთ-ერთ კატეგორიაში. სოციალური დახმარების ოდენობა მცირდება, თუკი ოჯახის რომელიმე წევრი სარგებლობს დამატებითი შემოსავლით, მაგალითად, უცხოეთიდან ეგზავნება ფული, ან სხვა ქვეყნიდან იღებს პენსიას. სოციალური დახმარება იხსნება იმ შემთხვევაშიც, თუკი ბენეფიციარი ოჯახის შემოსავალი აჭარბებს დადგენილ საარსებო მინიმუმს. გამონაკლის შემთხვევებში, სოციალური დახმარების მიმღებნი შეიძლება იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ კოსოვოში ცხოვრების უფლება, არიან თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები ან სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ მყოფი პირები. საშუალო ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი კოსოვოში დაახლოებით 60 ევროს შეადგენს. კოსოვო მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 3.7%-ს გამოყოფს საზოგადოების სოციალურ საჭიროებებზე, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მთელს რეგიონში.

1990 წლამდე კოსოვოს უმუშევარი მოსახლეობა დაზღვეული იყო ყოფილი იუგოსლავიის საპენსიო სისტემის ფარგლებში. პენსიის ოდენობა განისაზღვრებოდა სამსახურში გატარებული წლებისა და მიღებული გასამრჯელოს მიხედვით (ე.წ. სტაჟისა და დამსახურების მიხედვით). 1992 წლის შემდგომ, სისტემა გადაეწყო საყოველთაო საპენსიო და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სადაზღვევო მოდელზე სერბეთის რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე, რაც პრინციპში ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე გავრცელებული მოდელის იდენტურია. იმ დროიდან, რაც კოსოვოში წარმოდგენილია საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება, გაერთიანებული ერების დროებითი ადმინისტრაციული მისია ამუშავებს აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი კანონების მთელს სერიას. აღნიშნულმა კანონებმა არსობრივად გარდაქმნეს ძველი სისტემა. ახალი სისტემის მთავარი თვისება გახლავთ ის, რომ მან შემოიღო უნივერსალური საპენსიო ხაზი 65 წელს გადაცილებული ყველა ბენეფიციარისათვის, იმის მიუხედავად, იყო თუ არა ეს ადამიანი ოდესმე დასაქმებული ან განუხორციელებია თუ არა მას ინვესტირება საპენსიო ფონდში. უნივერსალური საბაზისო პენსიების შემოღებამ მნიშვნელოვნად გაზარდა პენსიონერთა რიცხვი ქვეყანაში. 1998 წელს ეს რიცხვი 28 203 სულ მოსახლეს აღწევდა, რაც 2008 წელს კოსოვოს მოსახლეობის 52 %-ს შეადგენდა. კოსოვოში საპენსიო სისტემა სამ ძირითად საყრდენს დაეფუძნა: საყოველთაოდ დადგენილი საბაზისო პენსია, სავალდებულო საპენსიო შენატანების სქემა და ნებაყოფლობითი შენატანების სქემა კომპანიებისათვის. არსებობს ორი სხვადასხვა ტიპის სავალდებულო პენსია: საბაზისო პენსია და პირადი საპენსიო დანაზოგები. დამსაქმებლებს შეუძლიათ, საპენსიო დანამატებით უზრუნველყონ დასაქმებულები. მოქალაქეებსაც აქვთ შესაძლებლობა, დამატებითი ინვესტირება განახორციელონ კერძო და სახელმწიფო საპენსიო ფონდებში. ამასთან ერთად, სქემას ავსებს სხვა სპეციფიკური ნორმები, გამიზნული მაღაროს მუშების, კოსოვოს დაცვის სამხედრო კორპუსისა და კოსოვოს უსაფრთხოების ძალებისათვის, აგრეთვე ომის შედეგად დასახიჩრებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. პენსიის ყოველთვიური ოდენობა 2002 წელს 28 ევროთი, ხოლო 2003 წელს 35 ევროთი განისაზღვრებოდა. 2004 წლიდან 2008 წლამდე ის 40 ევროს შეადგენდა, ხოლო 2014 წლის აპრილიდან 75 ევროს. 2013 წლის დეკემბრის მონაცემების თანახმად 117 042 პიროვნება სარგებლობდა საბაზისო პენსიით. 2008 წლიდან, დაინერგა საპენსიო სისტემა, იმ პენსიონერთათვის დამატებითი პენსიების უზრუნველყოფის მიზნით, რომელთაც საპენსიო შენატანები შეჰქონდათ კონფლიქტამდელი სერბეთის რესპუბლიკის საპენსიო სისტემაში. საპენსიო დანაზოგების სისტემა მოიცავს დასაქმებულებს, ან ეკონომიკურად აქტიურ სხვა პირებს 18 წლის ზემოთ. შენატანები სავალდებულოა 1946 წლის შემდგომ დაბადებული ყველა დასაქმებულისათვის, მაშინ როდესაც 1946 წლამდე დაბადებულთათვის შენატანების გაკეთება ნებაყოფლობითია. ყველა დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულის საპენსიო დანაზოგში შენატანების სახით მიიღოს მონაწილეობა. დასაქმებულები კი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ თავიანთი წილი შენატანებისა საპენსიო დანაზოგში. დამსაქმებლისა და დასაქმებულის ვალდებულებები საპენსიო შენატანთან დაკავშირებით იწყება დასაქმების პირველი დღიდან და გრძელდება მანამ, სანამ დასაქმებული საპენსიო ასაკს არ მიაღწევს.

საპენსიო დანაზოგების ძირითად წყაროს სავალდებულო შენატანები წარმოადგენს. მათი მოცულობა განისაზღვრება შემოსავლების 10%ით და იყოფა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. ნებაყოფლობითი შენატანების მოცულობა განისაზღვრე-

ბა 15 %-ით. დასაქმებულს ან დამსაქმებლს აქვთ არჩევანი დამატებით 5%-იანი შენატანი გააკეთონ გარდა სავალდებულო 10%-ისა. პენსიის მოცულობა განისაზღვრება შენატანების მოცულობითა და შენატანების თანმხლები საინვესტიციო შემოსავლის მიხედვით. როდესაც დასაქმებული მიაღწევს საპენსიო ასაკს - 65 წელს, თუკი მის საპენსიო ანგარიშზე 2000 ევროზე მეტი ირიცხება, ის პენსიას მიიღებს ყოველთვიურად. თუკი საპენსიო ბალანსი 2000 ევროზე ნაკლებია, მაშინ დანაზოგი ერთიანად და სრულად უნაზღაურდება. ნებაყოფლობითი საპენსიო სისტემაში მონაწილობა, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობითია. მისი ორგანიზება ხდება კომპანიების დონეზე და წარმოადგენს დამსაქმებლის დამატებით საპენსიო ფონდს ან ინდივიდუალურად განსაზღვრულ დამატებით პენსიას. ის ავსებს საბაზისო საპენსიო სისტემას, რომელიც დღეს ყველაზე გავრცელებული მოდელია კოსოვოში. კოსოვოს ცენტრალური ბანკი არეგულირებს და ზედამხედველობას უწევს კერძო კომპანიებს, რომლებიც კლიენტებს ნებაყოფილობით საპენსიო დაზღვევას სთავაზობენ.

რაც შეეხება კოსოვოს ჯანდაცვის სისტემას [7. გვ. 77-80]. კოსოვოში არ არსებობს კანონი, რომელიც დაარეგულირებდა სამედიცინო დაზღვევის გადახდის პირობებს. 2007 წელს დამტკიცდა აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი კანონი, რომელიც ითვალისწინებდა სამედიცინო დაზღვევის შემოსავალზე დაწესებული გადასახადებით დაფინანსებას. აღნიშნული კანონი არასოდეს შესულა ძალაში ამ მოდელის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი გაუმართაობებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვისათვის საჭირო ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო. 2015 წლის იანვრიდან კოსოვოს ყველა მოქალაქე იქნა დაზღვეული. კანონის მიხედვით, მაგალითად, თუ დასაქმებულს წელიწადში 5 000 ევროზე მაღალი შემოსავალი ექნება, ვალდებული იქნება, გადარიცხონ თავიანთი შემოსავლების 3.5% სადაზღვეო ფონდში. ხოლო აღნიშნულ სახელფასო ზღვარს მიღმა მყოფ პირებს დაეკისრებათ ოჯახის წევრზე 2 ევროს გადახდა (ყოველთვიურად, სეზონურად ან ყოველწლიურად).

კანონის თანახმად ჯანდაცვის სისტემის ორგანიზება ხდება პირველადი, მეორადი და მესამეული მზრუნველობის სისტემის შესაბამისად. ადგილობრივი მთავრობა უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო დახმარებას და მონიტორინგს უწევს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ჯანდაცვის ძირითადი პროვაიდერები არიან: საოჯახო სამედიცინო ცენტრები, სასწრაფო დახმარების სერვისები, გადაუდებელი დახმარების ცენტრები, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, აგრეთვე რეაბილიტაციის ცენტრები. მეორად ჯანდაცვას უზრუნველყოფენ საავადმყოფოები, დიაგნოსტიკისა და სამკურნალო ცენტრები, სტომატოლოგიური კაბინეტები, ფსიქიური ჯანმრთელობის ინსტიტუტები და სპეციალური სარეაბილიტაციო ორგანიზაციები. აღნიშნულ სფეროში გამოიყენება ფინანსირების შემდეგი მეთოდები: დაფინანსება კოსოვოს ბიუჯეტიდან და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან, აგრეთვე სხვადასხვა შემოწირულობები, საერთაშორისო მხარდაჭერით მიღებული ფინანსები და ადგილობრივი/უცხოური საქველმოქმედო ფონდები [8. გვ. 13-14].

კანონით განსაზღვული სტატუსის მქონე ჯგუფებისათვის უფასო ჯანდაცვის მიწოდებას უზრუნველყოფს სახელმწიფო. აღნიშნული მომსახურება შეუზღუდავად მიეწოდება იმ პირებსაც, რომელთაც გააჩინიათ სოციალური მინიმუმით დადგენილ ზღვარზე დაბალი შემოსავალი. ტრეფიკინგის მსხვერპლი, არაფორმალურ დასახლებებში მცხოვრები პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, რეადმისიის შეთანხმებების ფარგლებში დაბრუნებული პირები, პატიმრები, სისხლის დონორები, უფლებამოსილნი არიან, ისარგებლონ დროში შეზღუდული უფასო ჯანდაცვით. სხვა ჯგუფები იხდიან მომსახურების გადასახადს წინასწარ განსაზღვრული ტარიფით.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ კოსოვოს მიერ არჩეული გზა ორიენტირებულია საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობაზე. კოსოვოს კანონმდებლობა ჰარმონიაში მოდის ევროპის შესაბამის კანონმდებლობასთან, რაც ხელს უწყობს კოსოვოს არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრირებას ევროპაში, რაც საბოლოოდ მიზნად ისახავს რეგიონის სრულ ევროპეიზაციას და მის სრულყოფილ დამოუკიდებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ჭითანავა, ლ. თაკალანძე - სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება (ნაწილი 1). თბ. 2008.
2. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2010. სტატისტიკური კრებული. თბ. 2012.
3. Bolderson, H & Simpson K. (2004) "Mental Health Services in Kosovo" Medical Foundation for the Care of Victims of Torture, 2004.
4. EC (2012) "Commission staff working document: Kosovo under UNSCR 1244, 2007 progress report", Commission of the European Communities, Brussels, 2012.
5. Gaumer, G. (2011) " Kosovo: Report on Management Accountability in the Health Sector", World Bank, unpublished report, Kosovo 2011.
6. United Nations Kosovo Team (UNKT) (2014) "Initial Observations on Gaps in Health Care Services in Kosovo" United Nations Kosovo Team, Prishtina, January 2014.
7. World Bank (2013), "Kosovo Health Financing Reform Study" World Bank, May 20013, Prishtina.
8. United Nations Kosovo Team (UNKT) (2014) "Initial Observations on Gaps in Health Care Services in Kosovo" United Nations Kosovo Team, Prishtina, January 2014.

ДЕЕСПОСОБНОСТЬ ФИЗИЧЕСКОГО ЛИЦА И ЕЕ ОГРАНИЧЕНИЕ ДРЕВНЕЙ И В СРЕДНИВЕКОВОЙ БЕЛАРУСИИ

Велиев Руслан Ариф оглы- *магистр права, аспирант Белорусского Государственного Экономического Университета,*

ქმედუნარიანობა და მისი შეზღუდვა ძველ და შუა საუკუნეების ბელარუსში

ველიევი რუსლან არიფ ოგლი *– სამართლის მაგისტრი, ბელორუსიის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის ასპირანტი*

რეზიუმე

სტატიაში აღწერილია ბუნებრივი და სოციალური პირობების გავლენა ფიზიკური პირის ქმედუნარიანობაზე და მისი შეზღუდვა ძველ და შუა საუკუნეების ბელარუსის სათავადო ტერიტორიაზე. შესწავლილია საკითხები ბუნებრივი და სოციალური პირობების გავლენისა ფიზიკური პირის ქმედუნარიანობაზე. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დამტკიცებულია, რომ თანამედროვე ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იყო შეზღუდვა ქმედუნარიანობის ბუნებრივი და სოციალური პირობების გამო, კერძოდ ბუნებრივი პირობებიდან სქესის, ასაკის და ჯანმრთელობის მდგომარეობის. სოციალური პირობებიდან კი ადამიანის სოციალური მდგომარეობა გავლენას ახდენდა ფიზიკური პირის ქმედუნარიანობაზე, ხდებოდა მისი შეზღუდვის მიზეზი.

Summary

VELIYEV R.A.

The article describes the impact of natural and social conditions in the capacity of a natural person, and its restriction to the territory of the ancient Belarusian principalities, to explore the influence of the natural and social conditions in the capacity of a natural person. On the basis of the study was approved in the territory of modern Belarus was legal incapacity of the natural and social conditions. In particular, the natural conditions of the sex, age and state of health, social conditions of the social status of the person affected the capacity of a natural person, became the cause of its limitations.

Keywords: individual, disability, Belarus, principality, lords, peasants, property, government, social conditions, natural conditions.

* * * * *

В статье описано влияние естественных и социальных условий на дееспособность физического лица и ее ограничение на территории древних белорусских княжеств, изучены вопросы влияния естественных и социальных условий на дееспособность физического лица. На основе проведенного исследования было утверждено, на территории современной Республики Беларусь было ограничение дееспособности по естественным и социальным условиям. В частности из естественных условий пол, возраст и состояние здоровья, из социальных условий же социальное положение человека влияли на дееспособность физического лица, становились причиной ее ограничения.

ЗАВИСИМОСТЬ ДЕЕСПОСОБНОСТИ ФИЗИЧЕСКОГО ЛИЦА ОТ ЕСТЕСТВЕННЫХ УСЛОВИЙ

Историю развития государственности и правовой сферы Беларуси можно разделить на 3 основные этапы: период существования древних белорусских княжеств, период Великого Княжества Литовского – государства, политико-экономическим центром которого являлись белорусские земли, период Речи Посполитой, период нахождения Беларуси в составе Российской империи, а затем – нахождения в составе РСФСР, период восстановления белорусской государственности (образование БНР и БССР, а затем образование Литовско-Белорусской ССР и повторное провозглашение БССР), период нахождения БССР в составе СССР, а также новейший период, который начался с провозглашения суверенной Республики Беларусь [1, с.7]. В разные эти этапы истории на дееспособность физического лица и на ее ограничение влияли естественные и социальные условия.

Дееспособность физического лица подвергалась ограничению по ряду естественных условий, как например, по половому признаку, по состоянию здоровья, а также по возрасту.

Ограничение дееспособности по половому признаку. В Великом княжестве Литовском женщина была ограниченна дееспособна. Муж, как глава семьи, имел огромную власть в семье и признавался законным представителем ее интересов. За долг мужа в залог можно было получить его детей или жену [2, с.62], жена отвечала за долги мужа [3, с.104]. Дочери не обладали наследственным правом не недвижимость отца при наличии братьев, но могли получать одну четвертую

часть другого имущества и обладали одинаковыми правами с братьями на имущество матери. Жена после смерти мужа могла получать только одну третью часть, остальную часть получал либо сын, либо брат мужа [2, с.62].

Согласно статье 10 главы 4 Статута Великого княжества Литовского 1529 года, девушек выдавали замуж родители. Если девушка выходила замуж без согласия родителей, то теряла право на приданое и право на наследство. Статья 15 главы 4 того же Статута запрещала выдавать замуж силой и без их согласия девушек из княжеских семей [4]. Выходя замуж, девушка получала приданое от родителей [2, с.62] и часть имущества будущего мужа, которое называлось «вено». В приданое входило как движимое, так и недвижимое имущество [3, с.103-104].

Согласно статье 2 главы 4 того же Статута, если при жизни муж выделял жене «вену», то после его смерти она не получала наследство, а получала только «вено». Если она не получала «вено», то имела долю в наследстве. Согласно статье 16 главы 5 Статута Великого княжества Литовского от 1529 года, женщины не могли быть свидетелями при составлении завещания [4].

Влияние возраста на дееспособность физического лица. В Великом княжестве Литовском дети были недееспособны, над ними назначалась опека. Опеку назначал отец при смерти или по завещанию, из числа родственником или посторонних.

Согласно статье 6 главы 4 Статута Великого княжества Литовского 1529 года, если опекун не назначался, и жена выходила замуж, то дети попадали под опеку родственников. Согласно статье 8 главы 3 того же Статута, государство назначало опекуна над имуществом погибшего, если его наследники по каким-то причинам не могли получить имущество. «Если опекун утратил что-либо из принадлежащего детям, то дети, достигнув совершеннолетия, могли обратиться в суд на опекуна» говорилось в статье 1 главы 5 Статута Великого княжества Литовского 1529 года. По статье 2 главы 5 того же Статута, опекун имел право обращаться от имени детей в суд, но не мог быть ответчиком по делам детей. Ответчиком становились сами дети по достижению ими совершеннолетия. Суд должен был отложить рассмотрение этого дела до совершеннолетия детей. Согласно статье 5 главы 5 Статута 1529 года, в исключительных случаях несовершеннолетние дети могли сами отвечать в суде.

Согласно статье 18 главы 1 того же Статута совершеннолетие наступал для юношей в восемнадцать лет, а для девушек в пятнадцать лет [4]. Такой брачный возраст был закреплен также в Статуте 1566 года, но впоследствии Статут понизил брачный возраст женщины до 13 лет [3, с.103]. Ответственность за совершенные преступления наступала с семилетнего возраста [3, с.96].

Влияние состояния здоровья на дееспособность физического лица. Согласно статьям 14-16 главы 5 Статута Великого княжества Литовского 1529 года, душевнобольные (теряющие рассудок) были ограничены в дееспособности в момент приступов, но в остальное время были дееспособны. Больные были дееспособны, если были в сознании. Буйно помешанные тоже были ограничены в дееспособности [4]. В том же Статуте по отношению к сумасшедшим было сказано, что: «они вольны, но ограничены в составлении завещания» [5, с.46].

ЗАВИСИМОСТЬ ДЕЕСПОСОБНОСТИ ФИЗИЧЕСКОГО ЛИЦА ОТ СОЦИАЛЬНЫХ УСЛОВИЙ

Положение лица в обществе, его семейное состояние, гражданство и место проживания, род деятельности, вероисповедание, а также материальное положение человека влияли на объем его дееспособности.

Правоспособность и дееспособность в основном зависела от гражданства, сословной, национальной и религиозной принадлежности человека [6, с.37].

Ограничение дееспособности по социальному положению лица в обществе. Рабы работали в землях у князей и были недееспособны. Рабов доставляла война, рынок, преступность, а также естественный приплод [7, с.57]. Виновный в преступлении (кроме воровства) попадал в рабство за прощение его лицом, против которого он совершил преступление, а с брака невольным человеком рождался раб [7, с.96].

Согласно статье 13 Статута 1529 года: «невольниками люди считаются в четырех случаях:

1. те, кто издавна находится в неволе или родились от несвободных родителей;

2. те, кто приведен в качестве пленных из неприятельской земли;

3. если бы кто-нибудь был приговорен к смерти за какое-нибудь преступление, кроме воровства, и просил бы того, кому выдан, чтобы его не губил, и отдался бы в неволю и тот согласился бы на это, то преступник должен стать невольником; невольниками становятся и его дети, которые потом родятся;

4. если бы сами себя отдали в рабство, а именно: если бы кто-нибудь, будучи свободным, женился на женщине, зная, что она невольница, то становится невольником сам и их дети независимо от того, мужского они или женского пола; точно так же, если бы и женщина вышла замуж за невольника, зная, что он невольник, то становится невольницей сама и их дети [4].

В период древних белорусских княжеств, 9-13 века, общественный строй характеризовался разделением всего населения на две группы: добрые (лучшие, богатые), куда входили землевладельцы, торговцы и т.д. и бедные (меньшие, подлые), состоящую из городской бедноты, крестьян и т.д. Важной особенностью правового положения населения княжеств являлась

личная свобода подавляющего большинства населения, в том числе и бедных земледельцев-крестьян. Кроме того, существовали еще и рабы, холопы или челядь, хотя рабство на территории древней Беларуси не было распространено [8].

В первом государственным образованием на белорусской земле, в Полоцком княжестве, крестьяне и горожане не находились в зависимости от феодалов, но холопы, челяди были невольными [6, с.16-18].

В период Великого княжества Литовского, конец 13 середина 16 веков, сохранялись все те же два основных слоя людей: лучшие и подлые. Но каждая из этих групп делилась на значительное число более мелких. Положение служилых феодалов в этот период истории существенно не изменилось. Изменения произошли в положении крестьян, поскольку активно шел процесс их закрепощения феодалами. Из известных ранее четырех источников рабства сохранялся только один – пленные.

В период Речи Посполитой двух народов 1569-1795 годы, практически все крестьяне были закрепощены. Их положение еще ухудшилось, поскольку количество налогов, барщины возрастало, а законодательство защищало исключительно интересы шляхты, особенно крупных землевладельцев.

В период «Северо-западного края» Российской империи, 1795- 1918 годы, в сфере труда господствовало крепостное право, причем оно охватывало не только значительную часть крестьянства, но и рабочих [8].

Социальный состав населения Великого княжества Литовского характеризовался тем что, класс феодалов занимал господствующее положению в экономической, политической и идеологической жизни общества. Различали феодалы высшей категории (князья, паны радные, паны хоруговные) и низщей категории - земляне-шляхта. Феодалы обладали полной правоспособностью и дееспособностью. Вслед за феодалами по положению в обществе шли бояре. Бояре находились на государственной службе и на службе у феодалов. Бояре были свободными, обладали право- и дееспособностью. Обычно владели землей на праве пользования. Основную массу населения составляли крестьяне. Крестьяне делились на людей господарских (государственных) и людей панских. Господарские люди подразделялись на тяглых, осадных, огородников. Тяглые крестьяне выполняли барщинные работы, убирали господское сено, несли сторожевую, строили и содержали мосты и дороги, и вносили оброк и подати. Осадные крестьяне пользовались большей самостоятельностью и менее зависели от феодальной администрации. В тяжелом положении были крестьяне огородники. Они получали надел земли и должны были его обрабатывать и несли большие повинности. Панские крестьяне тоже несли большие повинности как и господарские крестьяне. Дееспособность определялось в зависимости от классовой и сословной принадлежности лица. Полной правоспособностью обладали только крупные феодалы и верхушка духовенства. Бедная, безземельная, служилая шляхта была ограничена в дееспособности. Феодально-зависимые крестьяне не имели права приобретать земли на праве собственности, не могли свободно распоряжаться своим недвижимым имуществом. Холопы были неправоспособны и недееспособны. Они ничего не могли получать даже по завещанию [2, с.58-61]. Домашние рабы-холопы и челяди не признавались субъектами права [6, с.21].

Ограничение дееспособности по месту проживания лица. В Великом княжестве Литовском иностранцы были ограничены в дееспособности. По Привилею Казимира от 1447 года запрещалось правительству раздавать государственные земли и должности иностранцам [3, с.92]. Иностранцам также запрещалось даже временно владеть землями, замками и имениями [7, с.77]. Такие ограничения для чужеземцев были закреплены также в статье 3 раздела 3, статута Великого княжества Литовского 1529 года [4]. Мещане городов, не имели права на самоуправление, могли передавать по завещанию только одну треть имущества, две трети переходили к детям, а при отсутствии детей — в собственность владельца города [3, с.103].

Согласно привилею Казимира от 1447 года, иностранцам разрешалось занимать вакантные духовные должности при отсутствии уроженцев Великого княжества [7, с.77].

Грамота Витовта давал особый статус евреям, приехавшим из Польши. Им были даны личные и имущественные обеспечения и преимущества перед другими туземцами. Предусматривалось наказание за убийство еврея, нанесение ему ран и побоев, за принуждение евреев к уплате долга, за нарушение еврейского богослужения. Евреи обладали полной дееспособностью до 1495 г. когда великий князь Александр издал указ о начале гонений на евреев и полной конфискации их имущества. Евреи спасались принятием христианства. Но 1503 году князь снова принял указ, по которому евреям снова были даны большие полномочия и возвращены отобранное имущество [7, с.118].

Ограничение дееспособности по вероисповеданию лица. По привилею от 22 февраля 1387 года изданного Великим князем Ягайло, в Великом княжестве Литовском, запрещались браки с православными, а имения, переданные католическому духовенству, освобождались от всякого рода служб и повинностей в пользу государства [3, с.90]. Статьи 6 главы 11 и 16 главы 5 Статута 1529 года, запрещали монахам, будучи в монашеском ордене, принявшие монашество и еретикам завещать и быть свидетелями при составлении завещания. Согласно статьям 6 главы 11 и 5 главы 8 того же Статута татары и евреи не должны были держать в неволе христиан. Свидетелями по делу о земле и о доказательстве права на владение землей могли быть только христиане латинского и греческого

вероисповедания, которые пользовались доброй славой в округе. Евреи и татары, а также христиане латинского или греческого вероисповедания которые не ходили на исповедь, не могли быть свидетелями. По статье 15 главы 5 Статута, духовные лица могли получать имущество по завещанию, разрешалось завещать имущество церкви или костелу [4].

По привилею 1387 года всем литовским боярам принявшим католическую веру предоставлялись большие права, они также освобождались от всяких барщинных работ по дворцовому хозяйству [7, с.61].

Лица, состоящие на монастырской службе не могли занимать ответственные государственные посты. Для этого нужно было «скинуть с себя на время монашескую рясу» [7, с.15].

По Городельскому привилею от 1413 года, православные не допускались к высшим должностям в государстве. Русские князя и бояре не получали никаких имущественных или личных гарантий и льгот [7, с.65].

В законе Речи Посполитой от 1668 г. за отход от католической веры виновные наказывались конфискацией имущества, изгнанием из государства; законом от 1733 г. православные и протестанты лишались права быть депутатами Сойма и судьями Главного Трибунала [6, с.43].

Ограничение дееспособности по роду деятельности лица. В Великом княжестве Литовском ограничение дееспособности по роду деятельности не было, хотя отношение к ним было по разному. Например, наказание за одно и то же преступление по отношению к шляхтичу, простому крестьянину или мещанину было разным. Согласно статьи 14 Статута Великого княжества Литовского 1529 года, шляхтич наказывался менее сурово, чем остальные [4]. Холопы, как и все, несли ответственность за преступления [3, с.96]. По Статуту 1588 года владельцами земли могли быть только «свободные люди шляхетского стана». Статуты предусматривали неприкосновенность права собственности. Шляхетская собственность, в частности, не могла быть конфискована без судебного решения [3, с.102]. Феодалы обладали неограниченными правами и по привилею Казимира от 1447 года сами могли совершать суд над зависимым населением [3, с.91].

На княжеских землях работали княжеские тяглые люди: конюхи, конокормцы, кобыльники, стадники, кухари, садовники, рыболовы, бортники, осочники, ловцы, сокольники, бибровники, псарцы и т.д. Они были свободными, но из-за повинностей были ограничены в свободе передвижения. С 14 века существовали «извечные», «селянитые», «заседелые» крестьяне, которые не имели права свободного ухода со своих земель. Они были на таком же положении, что и несвободные, такие как «челядь» и «паробки» [7, с.57]. Несмотря на то, что крестьяне были лишены определенных прав, юридически они не были ограничены в дееспособности, распоряжались имуществом, пользовались гражданскими правами. Челядь были недееспособные [7, с.101].

Согласно грамоте Казимира от 1447 года, крестьяне были освобождены от платежа натуральных податей и от барщинных повинностей на господаря, а также от денежной подати [7, с.77].

Ограничение дееспособности по материальному положению. Бедные крестьяне были зависимы от своих хозяев, на которых они работали. По привилею 1447 года крестьяне, прочно осевшие в имениях хозяев не могли покидать своих земель, бросать свою службу [7, с.108]. Слуги, нанятые на службе в великокняжеской администрации по своему экономическому положению близко стояли к тяглому крестьянству, но не были ограничены в дееспособности [7, с.114]. Материальное положение лица в Великом княжестве Литовском не являлось причиной для ограничения его дееспособности, если это лицо было свободным.

ЛИТЕРАТУРА И ИСТОЧНИКИ

1. Довнар, Т.И. Белорусская государственность и историко-правовая наука / Т.И.Довнар // «Беларусь-Китай» : сб. науч. тр. Государство и право. – 2009. Вып. 5.

2. История отечественного государства и права. В 2 ч. Ч. 1. Под. ред. О.И.Чистякова О.И.- 3-е изд., перераб. и доп. - М.: МГУ имени М. В. Ломоносова, 2005. - 451 с.

3. Музыченко, П.П. Долматова, Н.И. История государства и права Украины в вопросах и ответах. Ч. 1. — Х.: «Одиссей», 1999. — 288 с.

4. Статут Великого Княжества Литовского 1529 года. [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://nicolaev.livejournal.com/1269730.html. Дата доступа: 05.11.2015 г.

5. Гражданская дееспособность по русскому праву до конца XVII века / Дебольский Н.Н. – С.-Пб.: Тип. М.М. Стасюлевича, 1903. – 456 с. [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://www.bibliard.ru/vcd-675-1-)82/goodsinfo.html. Дата доступа: 30.10.2015 г.

6. История государства и права Беларуси : учеб.-метод. комплекс для студентов спец. 1-24 01 02 01 «Организация и деятельность государственных органов» / сост. и общ. ред. И. Ф. Буракова. – 3-е изд. – Новополоцк : ПГУ, 2009. – 128 с.

7. Очеркъ исторіи Литовско-Русскаго Государства: до Люблинской уніи включительно. Проф. М.К.Любавскій. Изданіе 2-ое. «Московская Художественная Печатня». М., 1915. – 405 с.

8. Трудовое право и право социального обеспечения: Уч.- метод. пособие / А.А.Войтик, О.С.Курылева, Х.Т.Мелешко и др.; Под общ. ред. К.Л.Томашевского. – Мн., 2007. – 162 с.

ევროპის მიგრაციული კრიზისი და თურქეთის ევროინტეგრაციული პერსპექტივები თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების რეტროსპექტივა

ემზარ ფაჟავა

EUROPE'S MIGRATION CRISIS AND TURKEY'S EU MEMBERSHIP PERSPECTIVE

EMZAR PAZHAVA

SUMMARY

In 1959 Turkey made its first application to join. The ensuing negotiations resulted in the signature of the Agreement Creating An Association Between The Republic of Turkey and the European Economic Community (the "Ankara Agreement") in 1963.

At the last Association Council of 1997, the EU reconfirmed Turkey's eligibility for membership and asked the Commission to prepare recommendations to deepen Turkey-EU relations, while claiming that the development of this relationship depended on a number of factors relating to Greece, Cyprus and human rights.

The refugee crisis, which has intensified along the EU's borders and shores since the summer of 2015 has brought to the fore the EU's vital security and stability needs. As a country which has received more than 2 million refugees, Turkey remains in a pivotal geographical position in the EU's periphery. That is why Brussels was quick to intensify bilateral meetings with the Turkish government last fall and draft an Action Plan with Turkey.

Angela Merkel met with Erdoğan and Prime Minister Ahmet Davutoğlu in Istanbul on 18 October and agreed to the 3 billion-euros-aid-package that Turkey had consistently requested (instead of insisting on the EU's previous offer of 1 billion euros) to host the Syrian refugees and effectively implement the EU-Turkey readmission agreement. She additionally expressed support for the opening of further negotiation chapters with Turkey and described the EU-Turkey talks as "very promising."

Despite all this, at the present juncture, EU-Turkey relations seem to be evolving towards a strategic partnership rather than Turkey's full integration into the Union.

* * * * *

ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ასოცირებულ წევრად მიღების თაობაზე თურქეთის მთავრობამ პირველი განაცხადი ჯერ კიდევ 1959 წელს გააკეთა,[1] თუმცა, 1960 წლის 27 მაისის სამხედრო გადატრიალების შემდეგ ეს პროცესი შეჩერდა.

მეორედ ამ გაერთიანებას მიღების მოთხოვნით თურქეთმა 1961-1962 წლებში მიმართა. მოლაპარაკების პროცესში მხარეებმა განიხილეს ასოციაცირების ხელშეკრულების პირობები და ხელი მოაწერეს მას 1963 წელს ანკარაში. "ანკარის ხელშეკრულება" გახდა თურქეთ-ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის საბაზისო დოკუმენტი. [2]

ევროგაერთიანებაში სრულუფლებიან წევრობაზე ახალი განაცხადი თურქეთმა 1987 წელს გააკეთა,[3] მაგრამ ევროკომისიამ უარი უთხრა ანკარას გაერთიანებაში მიღებაზე. საერთო ევროპულ პროცესში თურქეთის მონაწილეობის შესაძლებლობა გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, რაც მიანიშნებდა იმას, რომ ევროკავშირის დღის წესრიგში მთავარ ადგილს დაიკავებდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბედის გადაწყვეტა. აღმოსავლეთ ევროპის როლის ზრდამ ევროკავშირის თვალში ძალზედ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააგდო თურქეთი ევროინტეგრაციის პროცესის თვალსაზრისით. არ მიღების მიზეზების დასახელებისას კი ოფიციალურად მიუთითებდნენ ეკონომიკური განვითარების ნელ ტემპებზე, პოლიტიკური და სოციალური თავისუფლების ნაკლებობაზე, ეროვნული უმცირესობათა უფლებების შეზღუდვაზე, კვიპროსთან, ქურთებთან და სომხებთან ურთიერთობების მოუგვარებლობაზე.

მიუხედავად ამ სირთულეებისა, 1990-იან წლებში მოხერხდა გარკვეული პროგრესის მიღწევა. ჯერ კიდევ 1970 წელს გათვალისწინებული სამეტაპიანი გარდაქმნის პროცესი 1995 წელს წარმატებით დასრულდა. თურქეთმა ყველა პირობა შეასრულა და შედეგად გაფორმდა "საბაჟო კავშირი". [4]

1996 წელს ევროკავშირსა და თურქეთის ურთიერთობებში კვლავ პრობლემები შეიქმნა. რადიკალურმა ისლამურმა "კეთილდღეობის პარტიამ" ნ. ერბაქანის მეთაურობით რადიკალურად შეცვალა ქვეყნის განვითარების კურსი და ორიენტაცია აღმოსავლეთისაკენ აიღო. "დიდი შვიდეულის" საპირისპიროდ თურქეთმა დაიწყო ისლამური "დიდი რვიანის" შექმნაზე ზრუნვა.

1997 წელს ხელისუფლებაში მოვიდა კოალიციური "დედასამშობლოს პარტია" მ. ილმაზის მეთაურობით. ამ წელს ევროკავშირმა კიდევ ერთხელ უარყო თურქეთის თხოვნა წევრობაზე. მიზეზად დასახელდა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები, ეროვნული უმცირესობების ძალადობრივი ასიმილაცია და აგრესიული საგარეო-პოლიტიკური ვექტორი (ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის შექმნა).

1999 წელს თურქეთი კვლავ აღადგინეს კანდიდატთა სიაში ჰელსინკის სამიტზე. ბევრი პოლი-

ტიკოსი ამ ნაბიჯს ისტორიულს უწოდებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში. [5]

მიუხედავად მძიმე სოციალ-ეკონომიკური პირობებისა, რომელიც ქვეყანაში 2000 წელს მომხდარმა სავალუტო-ფინანსურმა კრიზისმა მოიტანა, თურქეთმა მაინც შეძლო სამართლებრივი საფუძვლის ჩაყრა ევროკავშირის კრიტერიუმებთან დასაახლოებლად. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 2002 წელს წინასწარი არჩევნების შედეგად მოსული რეჯეპ ტაიპ ერდოგანის მთავრობის საქმიანობას. კონსერვატიულ-რელიგიური სამართლიანობის და განვითარების პარტიამ მთავარ ამოცანად გამოაცხადა თურქეთის ევროკავშირში შესვლა.

ახალმა მთავრობამ მოამზადა კანონების 2 პაკეტი, რაც ერთგვარი სამზადისი იყო კოპენჰაგენის 2002 წლის 12-13 დეკემბრის ევროპის საბჭოს შეხვედრისათვის, რომელზეც პასუხი გაეცემოდა თურქეთის მთავრობის ბევრ შეკითხვას. [6]

მიუხედავად ამისა, ევროკავშირის რამდენიმე წევრი, მათ შორის საფრანგეთი და გერმანია, გაერთიანებაში თურქეთის მიღების წინააღმდეგ აქტიურად გამოვიდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ნ. სარკოზის მკვეთრი ანტითურქული განცხადებები ("თურქეთი არ შეიძლება ევროკავშირის წევრი გახდეს, რადგან ტერიტორიულად ევროპას არ ეკუთვნის"). [7]

ევროკავშირისთვის გაწევრიანება არა მხოლოდ ეკონომიკური მხარეა, არამედ „ცივილიზაციური" განზომილებაცაა. თურქები ფიქრობენ, რომ თურქეთს მიენიჭოს ევროკავშირის პრივილეგირებული პარტნიორის სტატუსი - დამცირებად და უსამართლობად მიაჩნიათ. ევროკავშირში 70-მილიონზე მეტი მოსახლეობის მქონე თურქეთის (ევროპაში მხოლოდ გერმანიაშია მეტი მოსახლეობა) მიღება გაერთიანებაში, ზოგიერთი ევროპული ქვეყნის აზრით, დაარღვევდა არსებულ ბალანსს, გაზრდიდა უმუშევრობას, გაართულებდა ზოგიერთი წევრი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს.

ერთი სიტყვით, თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობა ორივე მხარისთვის დიდი პრობლემაა. თურქეთს, უამრავ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიღწევასთან ერთად, საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, მათ შორის-ქურთების და გაყოფილი კვიპროსის პრობლემები. ქურთების პრობლემა თურქეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამიტომაც თურქეთი არ იყო კმაყოფილი თავის დროზე ერაყში ამერიკელთა შესვლით, რამაც ქვეყნის დეზინტეგრაციის ტენდენცია გააძლიერა. (თუმცა ამ დღეებში ერდოღანმა განაცხადა, რომ იგი ამაზე ნანობს) ამან, თავის მხრივ, ქურთული ავტონომიისა და სეპარატიზმის საფრთხე შექმნა. ეს თურქეთის სამეზობლოში ხდება და ამ ქვეყნისთვის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემად შეიძლება იქცეს.

თანამედროვე თურქეთი სეკულარული სახელმწიფოა, მაგრამ მისი კულტურა სუნიტურ ისლამს ეფუძნება. დღევანდელ მმართველ პარტიას ხშირად ადანაშაულებენ ქვეყნის ისლამიზაციის მომხრეობაში, რასაც პარტია უარყოფს. [8]

თავის მხრივ, თურქეთში, ევროპის სკეპტიკური დამოკიდებულების გამო, სულ უფრო იზრდებოდა ნიჰილიზმი და რთულდებოდა მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ ევროპასთან ინტეგრაცია თურქეთისათვის მომგებიანია.

თურქი ექსპერტის ჩენგიზ აკტარის განცხადება, რომ "დასავლეთს უნდა ეშინოდეს თურქეთის არა აღმოსავლეთისაკენ, არამედ რუსეთისაკენ შემობრუნების, რადგან ბოლო პერიოდში ეს უკანასკნელი ცდილობს თურქეთი თავისი ენერგორესურსების გამანაწილებელ კვანძად აქციოს". [9]

მიუხედავად ზემოთთქმულისა, რეგიონში აშშ-სა და ევროპის ინტერესების ძირითადი გამტარებელი მაინც თურქეთია, თუმცა მის ქმედებებში ბოლოხანებში უფრო მეტად შეინიშნებოდა პროდასავლური კურსიდან გადახვევა, რაც ევროკავშირში მისი მიღების გაჭიანურებით იყო გამოწვეული. თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათთან დაახლოებული ანალიტიკოსების მტკიცებით კი, ქვეყნის გააქტიურებული "აღმოსავლური პოლიტიკა" არ არის მიმართული დასავლელი მოკავშირეების ინტერესების საზიანოდ.

დასავლელ ექსპერტთა უმრავლესობა რეკომენდაციას აძლევს ევროკავშირს სასწრაფოდ მიიღონ თურქეთი თავის რიგებში, ვინაიდან, მას გააჩნია უკიდურესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა რეგიონში - წარმოადგენს რა ენერგორესურსების უმნიშვნელოვანეს (ფაქტიურად შეუცვლელ) სატრანზიტო ქვეყანას, რომელსაც დიდი გავლენა გააჩნია ახლო აღმოსავლეთში, ავღანეთსა და კავკასიაში. ამ შემთხვევაში ევროპა შეძლებს შუა აზიისა და კასპიის ზღვის უმდიდრეს ენერგოსაბადოებთან (გაზი, ნავთობი) რუსეთის გვერდის ავლით დაკავშირებას, რითაც ფაქტიურად გადაიჭრება მისი ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხი. ამავე აზრისაა ზბიგნევ ბჟეზინსკიც: ,,ხელი რომ შევუწყოთ სტაბილურობას სამხრეთ კავკასიაში, აგრეთვე ცენტრალურ აზიაში ამერიკამ არ უნდა დაუშვას თურქეთის გაუცხოება ევროპის მიმართ... თურქეთი, რომელიც იქნება გარიყული ევროპისაგან მეტწილად მოგვევლინება, როგორც ისლამისტური თურქეთი."[10]

ევროპის მიერ თურქეთისთვის ევროგაერთიანებაში უარის თქმამ გამოიწვია ის, რომ ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე დადგა და ისლამური ფუნდამენტალიზმისკენ აიღო გეზი, რაც კიდევ ერთი თავსატეხია ცივილიზებული სამყაროსთვის.

მართალია, დღეისათვის დასავლეთს გააჩნია მნიშვნელოვანი არგუმენტები ევროკავშირში თურქეთის არმიღებისთვის, მიუხედავა ამისა, თურქეთისა და ევროკავშირის პოზიციები სამხრეთკავკასიურ პოლიტიკაში მეტნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს. თითოეულის ძირითადი მიზანია შემდეგი სტრატეგიული ამოცანის გადაჭრა:

ა) პოზიციების გაძლიერება ამ რეგიონში;

ბ) სტაბილურობის შენარჩუნება რეგიონში;

გ) რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება:
ე) ენერგეტიკული უსაფრთხობა

ანალიტიკოსთა აზრით, ყველა იმ პრობლემის, გამოწვევის და სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, რომლებიც დღევანდელი თურქეთისთვის არის დამახასიათებელი, ამ ქვეყნის განვითარება სამი შესაძლო სცენარით შეიძლებოდა განვითარებულიყო. პირველი - თურქეთი პროდასავლურ ქვეყნად ყალიბდება და ევროკავშირში ინტეგრირდება. მეორე - თურქეთში ძლიერდება მუსლიმური იდენტობა და წინა პლანზე თანდათანობით უფრო რადიკალური ისლამიზმი წამოიწევს. მესამე - თურქეთი ნაციონალიზმის გზით ვითარდება.

ასევე არაა გამორიცხული აგრეთვე მეოთხე სცენარიც - სამხედროთა ჩარევა. რაც უკვე რამდენჯერმე მოხდა თურქეთის ისტორიაში, მაგრამ ამჯერად სამხედროთა ინტერვენცია ნაკლებად შესაძლებელია, რადგან მმართველმა პარტიამ სამხედროები ძლიერ შეასუსტა.[11] ჩამოთვლილი სცენარებით ქვეყნის განვითარება ნიშნავს ევროკავშირთან და აშშ-სთან ურთიერთობების გაუარესებას და ნაციონალისტური პარტიების პოზიციათა განმტკიცებას.

მიგრაციული კრიზისი ევროპაში

დღეს კი ვითარება კარდინალურად შეცვლილია, ემგრანტების მრავალმილიონიანმი ტალღა, რომელიც მიაწყდა ევროპას თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების შანსი ერთიორად გაიზარდა.

2015 წელს 1,2 მილიონმა დევნილმა მიმართა ევროკავშირს თავშესაფრის მისაღებად. ევროსტატის მონაცემებით ყოველი მესამე დევნილი წარმოშობით სირიელია.[12]

საერთო ევროპული საემიგრაციო პლიტიკის შემუშავება ევროკავშირში არა მხოლდ ეკონმიკური, არამედ პლიტიკური უთანხმოების საკითხი გახდა, რადგანაც თითოეულს განსხვავებული მიდგომა აქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ევროპის ლიდერები თვლიან, რომ უკრაინასა და ბალკანეთში მიმდინარე მოვლენები არ იძლევა მიგრანტთა ამ რაოდენბის საკითხის დადებთად გადაჭრის შესაძლებლობას. [13]

ამიტომაც, შექმნილი კრიზისის ფონზე ევროკომისია და გერმანია უფრო მეტ იმედებს ამყარებენ თურქეთზე, ვიდრე დევნილთა მიმღებ მსხვილ სარეგისტრაციო ცენტრებზე ე.წ. Hot Spots—ზე. ვინაიდან თურქეთის საზღვაო და სახმელეთო საზღვრის გავლით საბერძნეთიდან მოდის დევნილთა ძირითადი ნაკადი ევროპაში.

„დევნილთა კოლოსალური ნაკადი ევროპაში წარმოადგენს ევროკავშირისთვის „ისტორიულ გამოცდას" აღნიშნა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა. მან ასევე აღნიშნა, რომ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მხოლდ ერთობლივი ქმედებებით. ხოლო ერთერთი საკვანძო მიმართულება ამ კრიზისის გადასაჭრელად კი არის თურქეთთან თანამშრომლობა. [14]

აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკომისიამ და თურქეთმა შეიმუშავეს იმ დევნილთა ნაკადის შეჩერების გეგმა, რომლებიც ცდილობენ ევრპაში მოხვედრას. გეგმის მიხედვით თურქეთმა უნდა გააძლიეროს თავისი საზღვრები საბერძნეთთან და იგეგმება ერთობლივი თურქულ — ბერძნული პატრულირება ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. აღნიშნული ღონისძიების მიზანია ემიგრანტების დაკავება და მათი თურქეთში დაბრუნება.

გეგმა ასევე ითვალისწინებს თურქეთში სირიელი ემიგრანტებისთვის ექვსი ახალი ცენტრის შექმნას და საერთო საცხოვრებლების მშენებლობას, რომელიც ორი მილიონი კაცისთვისაა განკუთვნილი. დაფინანსების ნაწილს იღებს ევროკავშირი, ამასთან ევროკავშირის წევრი—ქვეყნები ვალდებულებს იღებენ 500 ათასი დევნილი მიიღონ ევროპაში და ამით თავიდან აიცილონ მათი მოხვედრა არალეგალური გზით.

აღნიშნული გეგმა ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟან კლოდ იუნკერმა შეათანხმა ანგელა მერკელთან და ფრანსუა ოლანდთან. გეგმა ასევე უნდა განიხილულიყო თურქეთის პრეზიდენტთან. [15]

ანგელა მერკელის ვიზიტი თურქეთში

არსებული მძიმე რეტროსპექტივის ფონზე მერკელს ევროპული დილემის საკითხის განხილვამდე დაკარგული ნდობა უნდა აღედგინა. რადგან მიგრაციული კრიზისის დაძლევა ანკარის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იყო.

აღნიშნულმა მიზნებმა გადაწონა წარსულის ყველა უთანხმოება, მათ შორის ღირებულაბათა კონფლიქტიც რადგან „საგარეო პოლიტიკა —ეს არის ღირებულებათა კონფლიქტი"

გერმანიის კანცლერი თურქეთს 2015 წლის 18 ოქტომბერს ეწვია. ვიზიტის ძირითადი მიზანს მიგრაციული კრიზისის დაძლევაში თურქეთის მხარდაჭერის მოპოვება წარმოადგენდა. შეხვედრა შედგა თურქეთის პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან. შეხვედრის ძირითადი თემა ემიგრანტების საკითხი და თურქეთის ევროინტეგრაციული მომავალი იყო. თურქეთს, როგორც არასდროს გაუჩნდა შანსი ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

თანაც დუბლინის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს დევნილთა იმ ქვეყანაში დარჩენას, სადაც პირველადი რეგისტრაციას გაივლიან, მოძველდა და იგი ვერ ან არ ხორციელდება რეალურად. რადგან ევროკავშორის იმ ქვეყნებს, სადაც პირველად შედიან მიგრანტები არა აქვთ არც სურვილი და არც შესაძლებლობა დაიტოვონ ეს დევნილები. ამდენად, ყველაზე დიდი ტვირთი დააწვა გერმანიას და მომავალში მასვე მუწევს ამ პრობლემასთან გამკლავება. თანაც სავიზო რეჟიმის გამკაცრება არ წარმოადგენს რეალურად პრობლემის გადაწყვეტის რეალურ გზას, გარდა ამისა, გერმანიის პოლიტიკური ძალებიც მოუწოდებენ მერკელს, რომ არ დაუშვან დევნილთა ასეთი რაოდენობა ქვეყანაში. მთლიანობაში ყველაფერმა ამან უბიძგა მერკელს გა-

მოსავალი ქვეყნის გარეთ ეძებნა. და ეს გამოსავალი არის თურქეთი.

გარდა ამისა, დევნილთა ამ რაოდენობის შესვლა გერმანიაში და არა მარტო გერმანიაში წლების შემდეგ მთლიანად შეცვლის ევრპის დემოგრაფიულ ლანდშაფტს. მართალია მერკელი ამბობს, რომ ხუთას მილიონიან ევროპას აქვს რესურსი უმტკივნეულოდ შეიფაროს დევნილები, მაგრამ მოსახლეობა დღითიდღე უფრო წინააღმდეგია დევნილების მიღებისა, ამას ემატება დევნილების მიერ მასიური ძალადობები მოსახლეობაში, ამაზე მეტყველებს მიუნხენში მომხდარი ძალადობის ფაქტი, ეს უბრალოდ მაშტაბური ძალადობა იყო, თორემ მსაგავსი მცირე მასშტაბის ძალადობები ყოველდღიურ მოვლენად იქცა.

შექმნილი ვითარების ფონზე ერდოღანმა მიაღწია იმას, რომ ევროკომისიას თურქეთის შესახებ დასკვნა არჩევნების შემდეგ გამოექვეყნებინა. დამატებით იგი ითხოვდა თურქული პასპორტის მფლობელებს მიეღოთ ევროკავშირში უვიზოდ შესვლის უფლება. გარდა ამისა დევნილთა ცენტრების ორგანიზებისთვის ნაცვლად მილიარდი ევროსი მოითხოვა სამ მილიარდ ევრო.

2016 წლის პირველი დღეები ევროპაში სერიოზული პრობლემებით დაიწყო. ევროკავშირმა ვერ შეძლო ევროპული საერთო სასაზღვრის დაცვა, რის გამოც წევრი ქვეყნები იძულებულნი ხდებიან, თავად შემოიღონ საკუთარი საზღვრების დაცვის მექანიზმები. ასეთივე პოზიცია აქვთ უნგრეთში, პოლონეთში, სლოვაკეთის პრემიერ—მინისტრმა კი განაცხადა, რომ არ დაუშვებს მუსულმან ლტოლვილთა საემიგრაციო ნაკადს სლოვაკეთის ტერიტორიაზე, რადგან მათი ინტეგრირება ადგილობრივ მოსახლეობასთან შეუძლებელია. ევროკოისიის პრეზიდენტი ჟან კლოდ იუნკერმა კი განაცხადა, რომ წევრი ქვეყნების მიერ სასაზღვრო კონტროლის დაწესება შენგენის მთავარი პრინციპის, თავისუფალი მოძრაობის, დარღვევაა და რომ ეს პრინციპი გადახედვას არ ექვემდებარება.

ანუ სახეზეა ევროპულ საემიგრაციო კრიზისი, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებიან წევრი ქვეყნების მთავრობები ერთი მხრივ, და თვით ევრო—ინსტიტუციები მეორეს მხრივ, ევროპის საბჭო და ევროკომისია. საქმეს ართულებს ევროკავშირის კომპლექსური და ბიუროკრატიული აპარატი, რომლისთვისაც პრინციპები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალური გამოწვევები და რომელიც ვერ ახერხებს შექმნილ კრიზისულ ვითარებაზე ადექვატურ რეაგირებას, რაც შენგენის ზონას, ისევე როგორც მთლიანად ევროკავშირს, კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის. სწორედ ამიტომ, ევროპული საბჭოს ყოფილმა პრეზიდენტმა, ჰერმან ვან რომპეიმ, გასულ ორშაბათს განაცხადა, რომ ევროზონა არ აღმოჩნდა მზად, მნიშვნელოვანი ფინანსური თუ საიმიგრაციო კრიზისების დასაძლევად. [16]

დასკვნა

არსებული მძიმე ვითარების ფონზე აუცილებელია სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება. თუ მერკელი და ევროკავშირი არ შეასრულებენ თავიანთ წინადადებებს, შესაბამისად არც თურქები შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას და ეს ის შემთხვევაა, როდესაც პოლიტიკური მანევრები უძლურია და ევროპა მიგრაციული კოლაფსის წინაშე აღმოჩნდება და ახლა თურქებს ხელში უჭირავთ პოლიტიკური სადავეები თავიანთი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. ამჯერად თურქეთი მაქსიმუმს ეცდება. რისკენაც თურქეთს შექმნილი მძიმე ვითარებაც უბიძგებს, რადგან სამმილიონამდე მიგრანტების გამკლავება არც თუ ისე ადვილია.

ამდენად, თურქეთის, როგორც ბუფერული ქვეყნის როლი მიგრაციული ტალღის შესაჩერებლად უალტერნატივოა ევროპელი ლიდერებისთვის.

იმავდროულად, დადგა ჟამი თურქეთის ევროპული ინტეგრაცია განხილულ იქნას არა ცივილაზაციური, არამედ გეოკულტურული იდენტობის ჭრილში, რაც ცალკე განხილვის საგანია.

მიუხედავად იმისა, რომ შექმნილი ვითარება, ერთი შეხედვით, თურქეთს ევროინტეგრაციულ პერსპექტივას უსახავს, მიგვაჩნია, რომ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას დიდი გამოცდა ელის და იგი უახლოეს მომავალში ასე ნაუცბადევად ვერ გადაწყდება, რის წინაპირობასაც თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების, როგორც მძიმე რეტროსპექტივა, ისე თანამედროვე რეალობა გვაძლევს. არადა თურქეთის ევროკავშირში მიღება საქართველოსთვისაც უდავო წინაპირობა იქნებოდა ამ სტრუქტურაში გასაწევრიანებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Türkiye-AB İlişkileri Kronolojisi. http://www.ab.gov.tr/index.php?p=111
2. Türkiye ile Avrupa Ekonomik Topluluğu Arasında bir Ortaklık Yaratan Anlaşma (Ankara Anlaşması)-12 Eylül 1963. http://www.mfa.gov.tr/turkiye-ile-avrupa-ekonomik-toplulugu-arasinda-bir-ortaklik-yaratan-anlasma-_ankara-anlasmasi_-12-eylul-1963-.tr.mfa
3. Türkiye-AB İlişkileri Kronolojisi. http://www.ab.gov.tr/index.php?p=111
4. Mehmet Somer Ünsal. TÜRKİYE AB İLİŞKİLERİ VE GÜMRÜK BİRLİĞİ ANTLAŞMASI. http://www.izinsizgosteri.net/asalsayi103/somer.unsal_103.html
5. Турецкая Республика (справочник). М.,1990. Ст. 63
6. А.А. Гурьев. Переговоры начались. Что дальше? Институт Ближнего Востока, http.www.iimes.ru
7. თურქეთმა ევროკავშირის ალტერნატივა იპოვა? http://kavkasia.ge/?action=more&id=56&lang=geo
8. Turkey and the South Caucasus Global dialogue Volume 7. Number 3–4 Summer/Autumn 2005—The Volatile Caucasus.
9. Aktar Cengiz: Tarihi, Siyasi, Dini ve Hukuki Açıdan Ekümenik Patrikhane. http://ipc.sabanciuniv.edu/en/event/the-ecumenical-patriarchate-a-histographic-political-legal-and-religious-analysis/#sthash.Z7pVGiLh.dpuf
10. Brzezinski Z. - The Grand Chessboard, New York: Basic Books, 1997.
11. რონდელი ალექსანდრე "მეზობელო კარისაო სინათლე ხარ თვალისაო" http://www.tabula.ge/article-1538.html
12. http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:First_time_asylum_applicants_in_the_EU-28_by_citizenship,_Q4_2014_%E2%80%93_Q4_2015.png
13. http://gazeta.zn.ua/international/evropu-zahlestyvaet-val-nelegalnoy-migracii-_.html
14. http://www.dw.com/en/top-stories/s-9097
15. http://www.dw.com/en/top-stories/s-9097
16. Еврокомиссия и Турция разработали план по беженцам. http://www.dw.com/ru/faz
17. შენგენის ზონა საფრთხეშია?! http://www.euronews.ge/archives/70

სოციალური კონტროლი და სოციალური გადახრები

კოკა კუტუბიძე, პროფესორი

რეზიუმე

სოციალური კონტროლის შესწავლა გულისხმობს იმ საშუალებათა ერთობლიობის გაცნობას, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება ან სოციალური ჯგუფი გარანტირებულად უზრუნველყოფს თავისი წევრების კომფორმულ ქცევებს სხვადასხვა როლურ მოთხოვნებთან და მოლოდინებთან მიმართებით, რომლის ფარგლებშიც ადამიანები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან. სოციალური კონტროლის ერთ-ერთი განსაკუთრებული ფორმაა – თვითკონტროლი, რომელსაც განსაზღვრავენ, როგორც შინაგან კონტროლს. ამ შემთხვევაში ინდივიდი დამოუკიდებლად არეგულირებს თავის ქცევებს, ათანხმებს მას საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან. სოციალური კონტროლის 70% ხორციელდება სწორედ თვითკონტროლის მეშვეობით.

არ არსებობს ისეთი საზოგადოება, სადაც მისი ყველა წევრი იქცევა ზოგადი ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად. ტერმინი ,,სოციალური გადახრა'' (დევიაცია) ნიშნავს ინდივიდის ან ჯგუფის ქცევებს საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შეუსაბამოდ, რის შედეგადაც ისინი ამ ნორმებს არღვევენ. დევიანტური ქცევის ახსნას შეეცადა - ბიოლოგიური, ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორიები, რომელთა მიხედვით, ზოგადად ადამიანის ქცევებს ბიოლოგიური ინსტიქტები განსაზღვრავენ, აგრეთვე ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ფუნქციონალისტური თეორიები და სხვა. დღეს ამ პრობლემის კვლევით გენეტიკაა დაკავებული, თუმცა რაიმე მნიშვნელოვანი ჯერჯერობით მიღწეული არ არის.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოება. სოციალური კონტროლი. დევიაცია. დელიკვანტობა.

Social control and social deviations

Koka kutubidze, professor

Summary

Study of the social control involves the introduction of the combination of the means by which a society or social group is guaranteed to provide its members with the conformal behavior with regard to the various requirements and expectations, where the people interact with each other. One of a special kind of social control is “self-control”, which is defined as an internal control. In this case, the individual regulates his (her) behavior independently, assents to the the universally recognized norms. 70% of self-control is carried out by the social control.

There is no such society in which all its members act according to the the general normative requirements. The term “social deviation’’ means that the behavior of an individual or a group is not adequate to the universally recognized norms, accordingly they violate the norms. Freud’s psychoanalytic theories, biological, tried to explain deviant behavior, according to these theories the behavior is determined by the biological instincts, as well as psychological, sociological, and other functionalist theories. Today, genetics conducts research about this problem, but there is no anything significant.

* * * * *

სოციალური კონტროლის შესწავლა გულისხმობს იმ საშულებათა ერთობლიობის გაცნობას, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება ან სოციალური ჯგუფი გარანტირებულად უზრუნველყოფს თავისი წევრების კონფორმულ ქცევას სხვადასხვა როლურ მოთხოვნებთან და მოლოდინებთან მიმართებით, რომლის ფარგლებშიც ადამიანები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან.

ბუნებრივია, არ არსებობს საზოგადოება, რომელსაც შეუძლია ფუნქციონირება შემუშავებული წესებისა და ნორმების გარეშე, სადაც გაწერილი იქნება ყოველი ინდივიდის მიერ საზოგადოებისათვის საჭირო მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულება.

მაგალითად, თუ ქალაქში ვცხოვრობთ, ჩვენ ვიცით, რომ საგზაო მოძრაობის წესებს დაიცავენ პოლიციელის გარეშეც. იგი მხოლოდ არეგულირებს მათ შესრულებას; ადამიანები წავლენ სამუშაოზე გრაფიკის შესაბამისად მაკონტროლებლის მუდმივი ზედამხედველობის გარეშეც. ეს უკანასკნელი მათ მხოლოდ ახსენებს გრაფიკის დაცვის აუცილებლობას. თუ მსგავს წესებს არ იცავენ თავად საზოგადოების წევრები, მაშინ ამ საზოგადოებაში არ არის წესრიგი. საზოგადოების მოწესრიგებულობა ეფუძნება ურთიერთდაკავშირებულ როლებს, რომელთა შესაბამისა-

დაც ყოველი პიროვნება თავის თავზე იღებს განსაზღვრულ ვალდებულებებს სხვა ადამიანებთან მიმართებით და, იმავდროულად, მოითხოვს სხვებისგან მათი პიროვნული უფლებების მაკორესპონდირებელი ვალდებულებების შესრულებას.

როგორ შეიძლება ორმხრივი უფლება-მოვალეობების სისტემა მოქმედებდეს მთელი ძალისხმევით? ამის ასახსნელად სოციოლოგები იყენებენ ტერმინს ,,სოციალური კონტროლი''. სოციალური კონტროლის არსის განსაზღვრისათვის სასარგებლო იქნება ჯგუფში ან საზოგადოებაში მისი რეალიზაციის საშუალებების განხილვა.

ე. ფრომი აღნიშნავდა, რომ საზოგადოება მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს ეფექტურად, როცა მისი ნევრები აღწევენ ქცევის ისეთ ტიპს, რომელიც შეესაბამება მათ სურვილს – იმოქმედონ ისე, როგორც უნდა მოქმედებდნენ მოცემული საზოგადოების წევრები. ისინი უნდა აკეთებდნენ იმას, რაც ობიექტურად აუცილებელია საზოგადოებისათვის.

როგორ უნდა აიძულო ადამიანი ნებაყოფლობით დაემორჩილოს იმ კანონებსა და ზნეობრივ ნორმებს, რომლებიც ზღუდავენ მის თავისუფლებას და ხშირად ძალზე მძიმეა მათთვის? – მათში იმ გრძნობების, სურვილებისა და მისწრაფებების კულტივირებით, რომლებიც გაუჩენს სურვილს მოაწესრიგოს თავისი ცხოვრება და დაემორჩილოს საზოგადოებრივ კანონებს. ამ კანონების დარღვევამ კი გაუჩინოს გაღიზიანების გრძნობა. სოციალური როლების უმეტესობას ადამიანები წარუმატებლად ასრულებენ არა იმიტომ, რომ მათ არ შეუძლიათ განსაზღვრული როლური მოთხოვნების შესრულება, არამედ იმიტომ, რომ ისინი ან არ იღებენ როლების შინაარსს, ან არ სურთ მათი შესრულება.

სოციალიზაცია, როგორც წესი, აყალიბებს ჩვენს ჩვევებს, სურვილებს და ჩვეულებებს და წარმოადგენს სოციალური კონტროლისა და საზოგადოებაში წესრიგის დამყარების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. იგი აიოლებს გადაწყვეტილებების მიღებას, გვკარნახობს თუ როგორ უნდა ჩავიცვათ, როგორ მოვიქცეთ, როგორ ვიმოქმედოთ ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სიტუაციაში. ამასთან, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება იმ თემებს, რომელთა მიღება და ათვისება ხდება სოციალიზაციის მსვლელობისას, უადგილო, უცნობი და საფრთხის შემცველი გვეჩვენება. სწორედ ამ გზით ხორციელდება თავის ქცევაზე პიროვნების შინაგანი კონტროლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

თუმცა, ადამიანს არ შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა მხოლოდ შინაგანი კონტროლის საფუძველზე. მის ქცევაზე კვალს ტოვებს ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ინდივიდი მრავალი პირველადი ჯგუფის წევრია (ოჯახი, საწარმოო ბრიგადა, კლასი, სტუდენტური ჯგუფი და ა.შ.). ყოველ მათგანს გააჩნია როგორც მოცემული, ასევე მთლიანად საზოგადოებისათვის სპეციფიკური ზნეჩვეულებებისა და ინსტიტუციონალური ნორ–მების დამკვიდრებული სისტემა.

ზოგადად, ჯგუფური სოციალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა განპირობებულია პირველად სოციალურ ჯგუფში ყოველი ინდივიდის ჩართულობით. ასეთი ჩართულობის აუცილებელი პირობაა ის გარემოება, რომ ინდივიდს შეუძლია გაიზიაროს მოცემული ჯგუფის მიერ აღიარებული იმ კულტურული ნორმების განსაზღვრული მინიმუმი, რომლებიც შეადგენენ ფორმალური ან არაფორმალური ქცევის კოდექსს.

ამგვარი წესისგან ყოველი გადახრა უცილობლად იწვევს ასეთი ქცევის გაკიცხვას გარკვეული სოციალური ჯგუფის მხრიდან. დარღვეული ნორმის მნიშვნელობის შესაბამისად, შესაძლებელია ჯგუფის მხრიდან გაკიცხვისა და სანქციების ფართო დიაპაზონი – უბრალო შენიშვნიდან მოცემული სოციალური ჯგუფიდან გაძევებით დამთავრებული.

სოციალური კონტროლის გამოყენების ეფექტიანობა და დროულობა ყოველთვის როდია ერთნაირი ყველა პირველად კოლექტივში. ნორმის დამრღვევ ინდივიდზე ჯგუფური ზეწოლა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, პირველ რიგში კი მოცემული ინდივიდის სტატუსზე. ჯგუფში მაღალი და დაბალი სტატუსის მქონე პირების მიმართ ჯგუფური ზეწოლის სხვადასხვა ხერხები გამოიყენება. პირველად ჯგუფში მაღალი სტატუსის მქონე პიროვნების ან ჯგუფის ლიდერების ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა ძველი კულტურული ნიმუშების შეცვლა და ახალი ნიმუშების, ურთიერთქმედების ახალი საშუალებების შექმნა. თუმცა, ჯგუფური ნორმებიდან გადახედვისას ყოველ ლიდერს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ის აუცილებელი ზღვარი, რომელსაც არ უნდა გადააბიჯოს. ამ საზღვრის იქით იგი მოექცევა ჯგუფის დანარჩენი წევრების მხრიდან ჯგუფური სოციალური კონტროლის ზემოქმედების ქვეშ და დასრულდება მისი, როგორც ლიდერის, გავლენა.

მრავალი პრიმიტიული ან ტრადიციული საზოგადოება წარმატებით აკონტროლებს ინდივიდთა ქცევას ზნეობრივი ნორმების და, აქედან გამომდინარე, პირველადი ჯგუფის არაფორმალური ჯგუფური კონტროლის მეშვეობით. ფორმალური კანონები ან სასჯელი ასეთ საზოგადოებებში სავალდებულო არ არის. მაგრამ ადამიანების დიდ, რთულ პოპულაციებში, სადაც გადაჯაჭვულია მრავალი კულტურული კომპლექსი, ფორმალური კონტროლი, კანონები და სხვადასხვა ტიპის დასჯის სისტემა. იგი მუდმივად ვითარდება და სავალდებულო ხდება. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდი სავსებით იკარგება ბრბოში, არაფორმალური კონტროლი არაეფექტური ხდება და იქმნება ფორმალური კონტროლის აუცილებლობა.

მაგალითად, ტომობრივ კლანში, რომლის რიცხოვნობა ორიდან სამ ათეულ ნათესავამდეა, წარმატებით შეიძლება მოქმედებდეს არაფორმალური კონტროლის სისტემა საკვების განაწილებაზე. კლანის ყოველი წევრი იღებს იმდენ საკვებს, რამდენიც მას სჭირდება და შეაქვს საერთო ფონდში იმდენი საკვე-

ბი, რამდენის შეტანაც შეუძლია. თუმცა, რამდენიმე ასეული მაცხოვრებლით დასახლებულ სოფელში ასეთი განაწილება უკვე შეუძლებელია, რადგან ძალზე ძნელია არაფორმალურად შემოსულობებისა და ხარჯების გაანგარიშება მხოლოდ დაკვირვების საფუძველზე. ცალკეული ინდივიდის სიზარმაცე და სიხარბე განაწილების ამგვარ სისტემას შეუძლებელს ხდის.

ამრიგად, მოსახლეობის მაღალი რიცხოვნობისა და უფრო გართულებული კულტურული ურთიერთობების პირობებში გამოიყენება ე.წ. მეორეული (მეორადი) ჯგუფური კონტროლი – კანონები, სხვადასხვა ძალისმიერი რეგულატორები, ფორმალიზებული პროცედურები. როცა ცალკეულ ინდივიდებს არ სურთ ამ რეგულატორების დაცვა, ჯგუფი (ან საზოგადოება) აიძულებს მათ მოიქცნენ ისე, როგორც სხვები იქცევიან. თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს მკაცრად გაწერილი წესები ან იძულების გზით კონტროლის სისტემა. იგი წარმოადგენს ნორმიდან გადახრის სხვადასხვა ტიპების შესაბამისად გამოყენებული მოქმედი სანქციების ნაკრებს (სოციალური კონტროლი იძულებით).

არსებობს განსხვავებული კონტროლის ფორმაც – თვითკონტროლი. თვითკონტროლს განსაზღვრავენ შინაგან კონტროლს: ინდივიდი დამოუკიდებლად არეგულირებს თავის ქცევას, ათანხმებს მას საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან. სოციალიზაციის პროცესში ნორმები იმდენად შეუვალია, რომ, ხშირ შემთხვევაში, ადამიანები მათი დარღვევისას განიცდიან უხერხულობისა და დანაშაულის განცდას. მათ უჩნდებათ დანაშაულის გრძნობა და საუბრობენ სინდისის ქეჯნაზე. სინდისი – შინაგანი კონტროლის გამოვლინებაა.

საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, როგორც რაციონალური განაწესები, რჩება ცნობიერების სფეროში, რომლის ქვეშაც განთავსებულია ქვეცნობიერის, ანუ არაცნობიერის სფერო, რომელიც შედგება სტიქიური იმპულსებისგან. თვითკონტროლი ნიშნავს ბუნებრივი (ბუნებითი) სტიქიის შეკავებას. იგი ეფუძნება ნებისყოფას. ცნობიერება – სოციალური კონტროლის ყველაზე ეფექტური ფორმაა. მაგრამ იგი იქმნება ყველაზე ძვირი და ხშირად ძალზე არაეფექტური პროცესის – სოციალიზაციის შედეგად, რომლის დროსაც ინდივიდს უწევს ბრძოლა საკუთარ ქვეცნობიერთან, ანუ ყველაზე უმართავ ძალასთან.

ჭიანჭველების, ფუტკრებისა და, თუნდაც მაიმუნებისაგან განსხვავებით, ადამიანებს შეუძლიათ კოლექტიური ურთიერთქმედების გაგრძელება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველი ინდივიდი მიმართავს თვითკონტროლს. მოზრდილ ადამიანზე, რომელსაც არ შეუძლია თავისი თავის გაკონტროლება, ამბობენ, რომ იგი ,,ჩარჩა ბავშვობაში''. იმპულსური ქცევა, საკუთარი სურვილებისა და ახირების მართვის შეუძლებლობა სწორედ ბავშვებისთვის არის დამახასიათებელი. იმპულსურ ქცევას ამიტომაც უწოდებენ ინფანტილიზმს. და, პირიქით, რაციონალური ნორმების ვალდებულებების, მტკიცე ნებისყოფის შესატყვისი მოქმედებები ზრდასრულობის ნიშანს წარმოადგენს.

კვლევის შედეგად დადგენილია, რომ სოციალური კონტროლის 70% ხორციელდება სწორედ თვითკონტროლის მეშვეობით. რაც უფრო მეტად აქვთ განვითარებული საზოგადოების წევრებს თვითკონტროლი, მით ნაკლებად უწევს საზოგადოებას გარეგანი კონტროლის მექანიზმების გამოყენება და, პირიქით, ნაკლებად აქვთ განვითარებული თვითკონტროლის პირობებში უფრო ხშირად ამოქმედდება-ხოლმე სოციალური კონტროლის ინსტიტუტები, კერძოდ, არმია, სასამართლო, სახელმწიფო და სხვ.

ამრიგად, რაც უფრო სუსტია თვითკონტროლი, შესაბამისად, მით უფრო მკაცრია გარეგანი კონტროლი. თუმცა მკაცრი გარეგანი კონტროლი, მოქალაქეებზე წვრილმანი მზრუნველობა, აფერხებს თვითშეგნებისა და ნების გამოვლენის განვითარებას, ახშობს შინაგან ნებისყოფას. ასე იქმნება ჩაკეტილი წრე, რომელშიც მსოფლიო ისტორიის განმავლობაში არაერთხელ აღმოჩენილა არაერთი საზოგადოება. ამ წრის სახელწოდებაა დიქტატურა. ხშირად დიქტატურას ამყარებენ დროებით, მოქალაქეების საკეთილდღეოდ და წესრიგის დამყარების მიზნით. მაგრამ იგი დიდხანს რჩება, ხალხის საზიანოდ და უფრო მეტ თვითნებობას ბადებს. იძულებით კონტროლს მიჩვეული მოქალაქეები ძალიან ხშირად აღარ ავითარებენ შიდა კონტროლს. თანდათანობით განიცდიან დეგრადაციას, როგორც სოციალური არსებები, რომელთაც აქვთ უნდარი თავის თავზე აიღონ პასუხისმგებლობა და გარეგანი იძულების (დიქტატურის) გარეშე თავი გაართვან პრობლემებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიქტატურის დროს მათ არავინ ასწავლის რაციონალური ნორმების შესაბამისად ქცევას.

არ არსებობს ისეთი საზოგადოება, სადაც მისი ყველა წევრი იქცევა ზოგადი ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად. სწორედ ტერმინი ,,სოციალური გადახრა'' ნიშნავს ინდივიდის ან ჯგუფის ქცევას საყოველთოდ აღიარებული ნორმების შეუსაბამოდ, რის შედეგადაც ისინი ამ ნორმებს არღვევენ. სოციალურმა გადახრებმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვაგვარი ფორმა. ახალგაზრდა დამნაშავეები, ასკეტები, გამოუსწორებელი ცოდვილები, გენიოსები, ნოვატორი მხატვრები, მკვლელები – ყველა ის ადამიანია, რომელთაც აქვთ გადახრა საყოველთაოდ აღიარებული ნორმებიდან ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი დევიანტებს წარმოადგენენ.

მცირერიცხოვან მარტივ საზოგადოებაში, რომელსაც ნორმათა მარტივი სტრუქტურა აქვს, ნორმიდან გადახრილი ქცევა ადვილად დგინდება და კონტროლდება. სოციალური ნორმების რთული სტრუქტურის მქონე საზოგადოებებში კი საყოველთაოდ აღიარებული ქცევიდან გადახრა მნიშვნელოვნად იზრდება და უჩვეულო მასშტაბებს აღწევს.

ერთ ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს გადახრები სოციალურ ქცევაში, მეორეს – პიროვნულ ორგანიზაცი-

აში, მესამეს – სოციალურ სფეროშიც და პიროვნულ ორგანიზაციაშიც. სოციოლოგებს უპირველესად აინტერესებთ კულტურული, ზნეობრივი გადახრები, ფსიქოლოგებს კი აინტერესებთ ფსიქიკური გადახრები პიროვნული ორგანიზაციის ნორმებიდან: ფსიქოზები, ნევროზები, პარანოიდული მდგომარეობები და ა.შ. თუ გადახრათა ეს ორი ტიპი თანხვედრილია, მაშინ კულტურის ნორმებიდან გადახრას ახორციელებს ფსიქიკურად არანორმალური ადამიანი.

სექსუალური გადახრები, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილება და სოციალური ქცევისგან მრავალ სხვა გადახრას ასევე უკავშირებენ პიროვნულ დეზორგანიზაციას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფსიქიკურ გადახრას.

ბუნებრივია, პიროვნული დეზორგანიზაცია ნორმიდან გადახრილი ქცევის ერთადერთი მიზეზი არ არის. ჩვეულებრივ, ფსიქიკურად არანორმალური ადამიანები ხშირ შემთხვევაში ასრულებენ საზოგადოებაში მიღებულ ყველა წესსა და ნორმას და, პირიქით, ფსიქიკურად სრულიად ნორმალური ადამიანებისთვის ხშირად დამახასიათებელია ძალზე სერიოზული გადახრები. თუ რატომ ხდება ასე, – აინტერესებთ როგორც სოციოლოგებს, ასევე ფსიქოლოგებს.

ზოგადად, განასხვავებენ ნორმიდან გადახრის ორ იდეალურ ტიპს:

ინდივიდუალური, როცა ცალკეული ინდივიდები არღვევენ თავიანთი სუბკულტურის ნორმებს;

ჯგუფური – განიხილება, როგორც დევიანტური ჯგუფის კონფორმისტული ქცევა მისი სუბკულტურის მიმართ.

რეალურ ცხოვრებაში დევიანტური პიროვნებები არ ექვემდებარებიან მკაცრ დაყოფას ზემოთ აღნიშნულ ორ ტიპად. ძალზე ხშირად გადახრის ეს ორი ტიპი ურთიერთგადამკვეთია.

ამერიკელი სოციოლოგი ედვინ ლებერტი მიანიშნებდა პირველად და მეორად გადახრებზე. კონცეფცია კი ასეთი ტიპის დევიანტობაზე პირველად დეტალურად ჩამოაყალიბა ჰ. ბეკერმა. იგი გვეხმარება დავინახოთ დევინტური ქცევით გამორჩეული ზრდასრული პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი.

პირველ გადახრაში იგულისხმება პიროვნების ნორმიდან გადახრილი ქცევა, რომელიც არსებითად შეესაბამება საზოგადოებაში მიღებულ კულტურულ ნორმებს და რომელიც საზოგადოების მხრიდან სუსტი რეაქციებით გამოირჩევა. მოცემულ შემთხვევაში ინდივიდის მიერ განხორციელებული გადახრები იმდენად უმნიშვნელო და მოსათმენია, რომ იგი სოციალურად არ კვალიფიცირდება დევიანტად და არც მიიჩნევს თავს ასეთად. მისთვის და გარშემომყოფთათვის გადახრა ერთგვარ სიანცედ, ექსცენტრიულობად ან, უარეს შემთხვევაში, შეცდომად გამოიყურება. საზოგადოების ყოველი წევრი ცხოვრების მანძილზე მრავალ წვრილ დარღვევას ახორციელებს, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, გარშემომყოფები ასეთ ადამიანებს არ მიიჩნევენ დევიანტებად. დევიანტები პირველადად რჩებიან მანამ, სანამ მათი ქმედებები რჩება სოციალურად მიღებული როლის ფარგლებში.

მეორად გადახრას უწოდებენ ჯგუფში არსებული ნორმიდან გადახრას, რაც სოციალურად აღიქმება დევიაციად. პიროვნებაც ამ შემთხვევაში იდენტიფიცირდება დევიანტად. ხანდახან, ნორმიდან გადახრილი მოქმედების (გაუპატიურება, ჰომოსექსუალიზმი, ნარკოტიკების გამოყენება და ა.შ.) განხორციელების, ან ინდივიდის შეცდომის ან ცრუ ბრალდების შედეგად მას მიეკერება დევიანტის იარლიყი. იარლიყის მიკერების ეს პროცესი ინდივიდის ცხოვრების გადამწყვეტი მომენტი შეიძლება გახდეს. მართლაც, საყოველთაოდ მიღებული ნორმებიდან პირველადი გადახრის განხორციელების შემდეგ ინდივიდი აგრძელებს ცხოვრებას ძველებურად, იკავებს იმავე ადგილს სტატუსებისა და როლების სისტემაში, ძველებურად ურთიერთქმედებს ჯგუფის წევრებთან. მაგრამ როგორც კი მიეკერება დევიანტის იარლიყი, მაშინვე თავს იჩენს ჯგუფთან მრავალი სოციალური კავშირის გადაწყვეტის, მისგან იზოლაციის ტენდენციაც კი. ასეთი პირი შეიძლება ჩამოაშორონ საყვარელ სამუშაოს, პროფესიას, განუდგნენ წესიერი ადამიანები, დაიმსახუროს ,,კრიმინალური'' პიროვნების სახელი.

ამრიგად, მეორადი გადახრა ძირეულად ცვლის ადამიანის ცხოვრებას. იქმნება ხელსაყრელი პირობები ნორმიდან გადახრილი ქცევის აქტის გასამეორებლად. გადაცდომის განმეორების შემდეგ უფრო ძლიერდება იზოლაცია, იყენებენ სოციალური კონტროლის უფრო მკაცრ ზომებს, ხოლო პირი შეიძლება გადავიდეს მდგომარეობაში, რომელიც ხასიათდება მუდმივად გადახრილი ქცევით.

აღსანიშნავია, რომ ნორმიდან გადახრილი ქცევა ყოველთვის ფასდება მოცემულ საზოგადოებაში მიღებული კულტურის თვალსაზრისით. ეს შეფასება იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთ გადახრას განსჯიან, ზოგიერთს კი ახალისებენ. მაგალითად, მოხეტიალე ბერი ზოგიერთ საზოგადოებაში მიიჩნევა წმინდანად, ზოგიერთში კი უსაქმურად. ჩვენს საზოგადოებაში გენიოსად, გმირად, ლიდერად, ხალხის რჩეულად მიჩნეული ადამიანები კულტურულად მოწონებული გადახრების მაგალითებია. ასეთი გადახრები დაკავშირებულია განდიდების ანუ სხვებზე აღმატების ცნებასთან, რაც ქმნის გადახრის საფუძველს. ყოველ ჩვენგანს აქვს თავისი წარმოდგენა განდიდების ცნებაზე. იგივე შეიძლება ითქვას ჯგუფურ წარმოდგენებზე. გარდა ამისა, უდიდესი ადამიანების რანგირება დროთა განმავლობაში იცვლება. მაგალითად, როცა ჩნდება საზოგადოების დაცვის მოთხოვნილება, მნიშვნელობით პირველ ადგილს იკავებენ გამოჩენილი მხედართმთავრები, სხვა დროს უდიდეს ადამიანებად შეიძლება აღიარონ პოლიტიკური, კულტურის მოღვაწეები, მეცნიერები. შევეცდებით, გამოვყოთ ის თვისებები და ქცევის საშუალებები, რომლებიც შეიძლება მოწონებული გადახრის საფუძველი გახდეს.

ზეინტელექტუალურობა. ამაღლებული ინტელექტუალობა შეიძლება განვიხილოთ ისეთ ქცევის საშუალებად, რომელიც უშუალოდ იწვევს სოციალ-

ურად მოწონებულ გადახრას. ინტელექტუალური ,,საშუალოსნობა'' შეუძლებელია მსხვილი მეცნიერის ან კულტურული მოღვაწის როლის შესრულებისას, მაშინ, როცა ზეინტელექტუალურობა ნაკლებად აუცილებელია მსახიობის, სპორტსმენის ან პოლიტიკური ლიდერისათვის. ამ როლებისათვის უფრო მნიშვნელოვანია სპეციფიკური ტალანტი, ფიზიკური ძალა, ძლიერი ხასიათი. ზეინტელექტუალურობა შეიძლება ნაკლიც კი იყოს ზოგიერთი როლის შესრულებისას, რადგან პიროვნებას ჯგუფის დანარჩენი წევრებისგან იზოლაციაში აქცევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განდიდება ინტელექტუალობის საფუძველზე შესაძლებელია ადამიანთა საქმიანობის მხოლოდ ცალკეულ, მკაცრად განსაზღვრულ სფეროებში. ზეინტელექტუალობის ფაქტორი არც ისე პოპულარულია ხალხში, რომელიც უფრო აფასებს მტკიცე ხასიათს და ქარიზმატულ, ნებისყოფიან პიროვნებას.

განსაკუთრებული მიდრეკილებები გვაძლევს საშუალებას გამოვავლინოთ უნიკალური თვისებები – საქმიანობის ძალზე ვიწრო, სპეციფიკურ უბნებზე. სპორტსმენის, მსახიობის, ბალერინის, მხატვრის განდიდება უფრო დამოკიდებულია ადამიანის განსაკუთრებულ მიდრეკილებაზე, ვიდრე მის ზოგად ინტელექტუალობაზე. ცალკეული ინტელექტუალური უნარები ხშირად აუცილებელია განსაკუთრებულ მიდრეკილებათა რეალიზაციისათვის, მაგრამ, ჩვეულებრივ, ცნობადი სახეები თავიანთი საქმიანობის მიღმა არაფრით გამოირჩევიან დანარჩენი ადამიანებისგან.

პიროვნული თვისებები, რა თქმა უნდა, წარმატებების მიღწევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ხშირად – ყველაზე მნიშვნელოვანიც. შემთხვევითი როდია, რომ მრავალ უდიდეს ადამიანს გააჩნია რაიმე განსაკუთრებული პიროვნული თვისება. ბედნიერი შემთხვევა გენიოსად ვერ აქცევს ადამიანებს, მაგრამ შეიძლება ხელი შეუწყოს მათი უნარის გამოვლენას საქმიანობის განსაზღვრულ სფეროებში. იქნებოდა კი ნაპოლეონი იმპერატორი, რომ არ ყოფილიყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია? ვინ იქნებოდა არაერთი პოლიტიკური მოღვაწე, რომ არ ყოფილიყო სოციალური რყევები, ბედის მოულოდნელი შემობრუნება, რამაც ისინი საზოგადოებაზე მაღლა დააყენა? დიდი მიღწევები მხოლოდ მკაფიოდ გამოხატული ტალანტი და სურვილი არ არის, იგი იმავდროულად მათი გამოვლინებაა განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრულ ადგილას. რა თქმა უნდა, ამ მოვლენას ვერ მივუდგებით როგორც მეცნიერულ ფაქტორს, თუმცა არც მათი გაუთვალისწინებლობა იქნება სწორი.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ექსტრაორდინალური პიროვნული მიღწევების ფაქტორების უმრავლესობის გამოყოფა და გაზომვა რთულია, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ მათი ძირითადი ნაწილის არსებითი გავლენა საზოგადოებაზე, რაც ხელს უწყობს სოციალურად მოწონებულ გადახრებს.

მიჩნეულია, რომ საზოგადოებათა უმეტესობა მხარს უჭერს და ახალისებს საყოველთაოდ აღიარებული კულტურის ფასეულობების განვითარებისაკენ მიმართული ექსტრაორდინალური მიღწევებისა და აქტივობის ფორმით გამოვლენილ სოციალურ გადახრებს. რაც შეეხება ზნეობრივი ნორმების და კანონების დარღვევებს, იგი საზოგადოების განსჯის საგანი ყოველთვის იყო და შესაბამისადაც ისჯებოდა.

საინტერესოა, რა უდევს საფუძვლად, რა განაპირობებს ადამიანის ნორმიდან გადახრას, რაც თავისთავად დევიანტური ქცევის შესახებ მრავალი, ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი თვისების წარმოშობის საფუძველი გახდა. საკითხი მეტად რთული, მრავალფეროვანი და პრობლემურია. მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, იგი არ შეიძლება ბოლომდე გაცნობიერებულად და გადაწყვეტილად ჩაითვალოს.

ერთ-ერთი თეორია, რომელიც დევიანტური ქცევის ახსნას შეეცადა – ბიოლოგიური თეორიაა, მის მიხედვით, ზოგადად ადამიანის ქცევებს ბიოლოგიური ინსტინქტები განსაზღვრავენ, ამიტომ განმსაზღვრელ ფაქტორად დევიანტური მოვლენების კვლევისას ბიოლოგიური საფუძვლები მიიჩნეოდა.

1. ბიოლოგიური – ლომბროზო, შელდონი დევიაციის მიზეზს წარმოადგენს ფიზიკური თავისებურებები;
2. ფსიქოლოგიური, ფსიქოანლიტიკური თეორია, ფროიდი – დევაცია, კერძოდ თვითმკვლელობა, ხდება გამოკვეთილი სოციალური ნორმის დარღვევის ან არარსებობის შედეგად;
3. სოციალური დეზორგანიზაცია – მრავალი სახის დევაცია წარმოიქმნება იმ შემთხვევებში, როცა კულტურული ფასეულობები, ნორმები და სოციალური კავშირები ირღვევა, სუსტდება ან წინააღმდეგობრივი ხდება;
4. ანომია – მერტონი – დევაცია იზრდება, როცა შეინიშნება განხეთქილება მოცემულ კულტურაში მოწონებულ მიზნებსა და მათი მიღწევის სოციალურ საშუალებებს შორის;
5. კულტუროლოგიური თეორიები – სელინი, მილგრი, კლაუორდი – დევიაციის მიზეზია კონფლიქტები სუბკულტურის ნორმებსა და გაბატონებული კულტურის ნორმებს შორის;
6. სტიგმატიზაციის თეორია, იარლიყის მიკერება – ბეკერი – დევაცია ერთგვარი დაღია, რომელსაც ძალაუფლებით აღჭურვილი ჯგუფები ახვევენ ნაკლებად დაცული ჯგუფის ქცევებს;
7. რადიკალური კრიმინოლოგია – ო. თურკი, რ. კვინი – დევიაცია წარმოადგენს კაპიტალისტური საზოგადოების ნორმებთან დაპირისპირების შედეგს.

ფიზიკური ტიპების ყველა თეორიის ძირითადი წანამძღვარი მდგომარეობს იდეაში, რომ პიროვნების განსაზღვრული ფიზიკური ნიშნები წინასწარ განსაზღვრავენ მათ მიერ ნორმებიდან სხვადასხვა გადახრის შესაძლებლობებს. საზოგადოებაში დიდი ხანია დამ-

კვიდრდა გამოთქმა: ,,მკვლელის ხიფათი'', ,,უწმინდურის სახის ნაკვთები'' და ა.შ. ფიზიკური ტიპების თეორიის მიმდევრებს შორის შეიძლება დავასახელოთ ჩ. ლომბროზო, ე. კრეტშმერი, ვ. შელდონი. ამ ავტორების ნაშრომებში ფიგურირებს ერთი ძირითადი იდეა: განსაზღვრული ფიზიკური კონსტიტუციის მქონე ადამიანები მიდრეკილი არიან საზოგადოების მიერ განსჯადი სოციალური გადახრებისაკენ.

თანამედროვე თეორიებიდან ყველაზე სრულყოფილად შეიძლება ჩაითვალოს უილიამ შელდონის თეორია. მან გამოყო ადამიანის თვისებების სამი ძირითადი ტიპი, რომლებიც, მისი მოსაზრებით, გავლენას ახდენენ ნორმიდან გადახრილ ქცევად წოდებული მოქმედებების განხორციელებაზე, კერძოდ: ენდომორფული ტიპი (მრგვალი ფორმები, ჭარბი წონა), მეზომორფული ტიპი (დაკუნთული, ათლეტური ტიპი), ექტომორფული ტიპი (სიგამხდრე). ვ. შელდონმა აღწერა ქცევის განმსაზღვრელი სახეები, რომლებიც დამახასიათებელია თითოეული ტიპისათვის: მაგალითად, დამნაშავეები და ალკოჰოლიკები ძირითადად მიეკუთვნებიან მეზომორფულ ტიპებს. დღეს პრაქტიკამ დაადასტურა ფიზიკური ტიპების თეორიების არასრულყოფილება, თუმცა ამ პრობლემის კვლევისას, ბიოლოგიური ფაქტორის სრულიად უგულებელყოფა არ იქნებოდა მართებული.

ნორმიდან გადახრილი ქცევების ფსიქოანალიტიკურ თეორიებს საფუძვლად უდევს პიროვნების ცნობიერებაში მიმდინარე კონფლიქტების შესწავლა. ზ. ფროიდის თეორიის თანახმად, ყოველ პიროვნებას აქტიური ცნობიერების საფარველქვეშ აქვს ქვეცნობიერის სფერო. ქვეცნობიერი – ეს არის ჩვენი ფსიქიკური ენერგია, რომელშიც თავმოყრილია ყველაფერი ბუნებრივი, პირველყოფილი, უსაზღვრო, დაუნდობელი. ქვეცნობიერი – ეს არის ადამიანის ბიოლოგიური არსი, რომელსაც არ განუცდია კულტურის გავლენა. ადამიანს შეუძლია თავი დაიცვას საკუთარი ბუნებრივი ,,უკანონო'' მდგომარეობისგან საკუთარი ,,მე''-ს, ასევე ,,ზე-მე''-ს ჩამოყალიბების გზით, რასაც განსაზღვრავს მხოლოდ საზოგადოების კულტურა. ადამიანური ,,მე'' და ,,ზე-მე'' მუდმივად აკავებენ ქვეცნობიერ ძალებს, ზღუდავენ ჩვენს ინსტინქტებს და ე.წ. მიწიერ ვნებებს. თუმცა, შეიძლება შეიქმნას მდგომარეობა, როცა შინაგანი კონფლიქტები ,,მე''-სა და ქვეცნობიერს შორის, ასევე ,,ზე-მე''-სა და ქვეცნობიერს შორის შეუძლებელს ხდის დაცვას და გარეთ გამოდის ჩვენი შინაგანი, კულტურისგან შორს მყოფი შინაარსი. ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს გადახრა ინდივიდის გარემომცველი სოციალური გარემოცვის მიერ შემუშავებული კულტურული ნორმებიდან.

ფროიდის თვალსაზრისით, ადამიანის მოქმედებას, ქცევებს სამი ურთიერთმოქმედი ინსტანცია განსაზღვრავს – ,,იგი'', ,,მე'' და ,,ზე-მე''. ,,იგი'' ბიოლოგიურ მოთხოვნილებთა და ლტოლვათა სფეროს განსაზღვრავს, ,,მე'' – ცნობიერების სფეროა, ხოლო ,,ზე-მე'' საზოგადოებიდან მომდინარე და ინდივიდის ცნობიერებაში დალექილი ძირითადად ზნეობრივი ხასიათის შეხედულებები, მოთხოვნები და ნორმების სფერო.

ცხადია, რომ ამ თვალსაზრისში არის ჭეშმარიტების მარცვალი, თუმცა ადამიანური ,,მე''-ს სტრუქტურაში შესაძლო დარღვევების, ასევე შესაძლო სოციალური გადახრების განსაზღვრა და დიაგნოსტიკა უკიდურესად გაძნელებულია შესწავლის ობიექტის შენიღბულობის გამო. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი პიროვნებისთვის დამახასიათებელია კონფლიქტი ბიოლოგიურ მოთხოვნილებებსა და კულტურულ აკრძალვებს შორის, ყველა როდი ხდება დევიანტი.

და მაინც, რატომ ჩნდებიან დევიანტები?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობენ სოციალური გადახრების სოციოლოგიური ანუ კულტურული თეორიები. ამ თეორიების შესაბამისად, ინდივიდები დევიანტები ხდებიან მაშინ, როცა მათი საზოგადოებაში ჩართულობა, სოციალიზაციის პროცესი წარუმატებელია ზოგიერთ სრულად განსაზღვრულ ნორმებთან მიმართებაში და ეს წარუმატებლობა, შესაბამისად, აისახება პიროვნების შინაგან სტრუქტურაზე. თუ სოციალიზაციის პროცესები წარმატებულია, ინდივიდი თავდაპირველად განიცდის ადაპტაციას მისი გარემომცველი ნორმების მიმართ, შემდეგ კი აღიქვამს მას იმგვარად, რომ საზოგადოების მოწონებული ნორმები და ფასეულობები ხდება მისი ემოციონალური მოთხოვნილება, ხოლო კოლტურული აკრძალვები – მისი ცნობიერების ნაწილი. ამ შემთხვევაში ინდივიდის შეცდომები იშვიათია და ყველამ იცის, რომ იგი არ წარმოდგენს მის ჩვეულებრივ ქცევას.

მორალური ფასეულობებისა და ქცევითი ნორმების სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ოჯახი. როცა ბავშვის სოციალიზაცია სრულყოფილია, მტკიცე და ჯანსაღი ოჯახის პირობებში, იგი ყალიბდება და ვითარდება საკუთარ თავსა და გარემოცვაში დარწმუნებულ, კარგად აღზრდილ პიროვნებად, რომელიც მოქმედ კულტურულ ნორმებს აღიქვამს როგორც სამართლიანსა და უალტერნატივოს. იგი გარკვეულწილად ორიენტირებულია თავის მომავალზე. თუ ოჯახური ცხოვრება რაიმე კუთხით არადამაკმაყოფილებელია, ბავშვებს ხშირად აქვთ პრობლემები აღზრდაში, ნორმების ათვისებაში და ავლენენ ნორმისგან გადახრილ ქცევას.

ახალგაზრდებში დანაშავეობის პრობლემის მრავალრიცხოვანმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ ნორმიდან გადახრილი ქცევის ჩამდენი ახალგაზრდების დაახლოებით 85% იზრდება არახელსაყრელ ოჯახურ გარემოში. სოციალური ფსიქოლოგიის ამერიკელმა მკვლევარებმა გამოიკვლიეს 5 ძირითადი ფაქტორი, რომელიც ავლენს ოჯახური გარემოს არახელსაყრელობას: ზემკაცრი მამის დისციპლინა (უხეშობა, არაადეკვა¬ტურობა, გაგების დეფიციტი); დედის არასაკმარისი ზედამხედველობა (გულგრილობა, უზრუნველყოფა); მამასთან არასაკმარისი კონტაქტი; დედასთან არასაკმარისი კონტაქტი (სიცივე, მტრუ-

ლი დამოკიდებულება); ოჯახური ერთიანობის არარსებობა (სკანდალები, მტრული დამოკიდებულება, ერთმანეთის სიძულვილი). ყველა ეს ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახში ბავშვის სოციალიზაციის პროცესზე და, აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში განაპირობებს ნორმიდან გადახრილ ქცევას.

თუმცა, ძალზე ხშირია შემთხვევები, როცა ნორმიდან გადახრილ ქცევას ავლენენ სავსებით კეთილგანწყობილ ოჯახურ გარემოში აღზრდილი ადამიანები. საქმე ის გახლავთ, რომ ოჯახი საზოგადოების ერთადერთი (თუმცა უმნიშვნელოვანესი) ინსტიტუტი არ არის, რომელიც მონაწილეობს პიროვნების სოციალიზაციაში. ბავშვობიდან შეთვისებული ნორმები დროთა განმავლობაში შეიძლება გადაიხედოს ან უარყონ არსებულ სინამდვილესთან, კერძოდ კი სოციალურ გარემოცვასთან ურთიერთქმედებისას.

რთულ, მუდმივად ცვალებად საზოგადოებაში, სადაც არ არის ერთიანი და უცვლელი ნორმათა სისტემა, სხვადასხვა სუბკულტურების ნორმები და კულტურული ფასეულობები ხშირად წინააღმდეგობრივია და შესაძლოა უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ხშირად მშობლები აღმოჩნდებიან ისეთ სიტუაციაში, როცა ბავშვის აღზრდა ოჯახში ეწინააღმდეგება სხვა სოციალური ჯგუფებისა თუ ინსტიტუტების გავლენას. ასე, მაგალითად, მშობლები იძულებული არიან ებრძოლონ თავიანთი შვილების გადაჭარბებულ იდეოლოგიზაციას, კომერციული სულისკვეთების, ჯგუფური დაჯგუფებების, მასობრივი კულტურის, პოლიტიკური ვითარების წინააღმდეგობრიობის გავლენას და ა.შ. ასეთ შემთხვევაში გარდაუვალია ნორმებისა და ფასეულობების კონფლიქტი. ის, რასაც ბავშვებს სახლში ეუბნებიან, მათ სიცრუედ ეჩვენებათ, მწვავდება კონფლიქტი მამებისა და შვილების სუბკულტურებს შორის. ჩვენს რთულ საზოგადოებაში არსებობს უამრავი კონფლიქტური ნორმატიული ნიმუში, რომლებიც ხელს უწყობენ ნორმიდან გადახდილი ქცევის ფენომენის წარმოქმნას. მაგალითად, ,,გარდაქმნილ'' საზოგადოებაში ნორმებისა და ფასეულობების შეჯახება ქცევის მარეგულირებელ იმ ნორმებსა და ფასეულობებთან, რომელთა მიხედვითაც ჩვენ ვცხოვრობთ წლების მანძილზე. სწორედ ეს და სხვა მიზეზები, ძალიან ხშირად გვევლინებიან გადახრილი ქცევის მასტიმულირებელ ფაქტორებად.

ყოველდღიურ პრაქტიკაში დიდი ოდენობით კონფლიქტური ნორმების არსებობამ, ქცევის ხაზის შესაძლო არჩევანის გაურკვევლობამ შეიძლება მიგვიყვანოს მოვლენამდე, რომელსაც ე. დიურკჰეიმმა ანომია (ნორმების არარსებობის მდგომარეობა) უწოდა. ამასთან, ე. დიურკჰეიმი სრულიადაც არ მიიჩნევდა, რომ თანამედროვე საზოგადოებას არ გააჩნია ნორმები, პირიქით, საზოგადოებას აქვს ნორმათა უამრავი სისტემა, რომელშიც ცალკეულ ინდივიდებს უჭირთ ორიენტირება. ანომია, დიურკჰეიმის მიხედვით, – ეს არის მდგომარეობა, რომლის დროსაც პიროვნებას, ნორმატიული ქცევის ხაზის არჩევისას, არ გააჩნია კუთვნილების, საიმედოობისა და სტაბილურობის მტკიცე გრძნობა. თ. პარსონსის თანახმად კი, ანომია არის ,,მდგომარეობა, რომლის დროსაც ინდივიდთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება ვითარებაში, რომელიც ხასიათდება სტაბილურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის სერიოზული ნაკლებობით, რაც არსებითია მათი საკუთარი პირადი სტაბილურობისა და სოციალური სისტემების წარმატებული ფუნქციონირებისათვის. ამგვარი მიდგომის თანახმადმ ანომია იზრდება საზოგადოებაში ზნეობრივი ნორმების უწესრიგობასა და კონფლიქტებთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებაში ადამიანები შემოიფარგლებიან ცალკეული ჯგუფების ნორმებით და, შესაბამისად, არა აქვთ სტაბილური პერსპექტივა, რომლის შესაბამისადაც მათთვის აუცილებელია ყოველდღიურ ცხოვრებაში გადაწყვეტილებების მიღება.

რ. მერტონი აღნიშნავს, რომ ანომია ჩნდება არა არჩევანის თავისუფლებისგან, არამედ მრავალი ინდივიდის უუნარობისგან – დაიცვან ნორმები, რომელთაც ისინი სრულად იღებენ. მთავარ სირთულეს იგი ხედავს კულტურულ მიზნებსა და მათ განსახორციელებლად საჭირო ლეგალურ (ინსტიტუციონალურ) საშუალებებს შორის დისჰარმონიაში. მაგალითად, მაშინ, როცა საზოგადოება მხარს უჭერს თავისი წევრების ძალისხმევას კეთილდღეობის ამაღლებისა და მაღალი სოციალური მდგომარეობისკენ სწრაფვაში, საზოგადოების წევრების ლეგალური საშუალებები ამგვარი მდგომარეობის მისაღწევად ძალზე შეზღუდულია. საზოგადოებაში არსებული უთანასწორობა არის ის ბიძგი, რომელიც აიძულებს მის წევრს ეძებოს არალეგალური საშუალებები და მიზნები, ანუ გადაუხვიოს საყოველთაოდ მიღებულ კულტურულ ნიმუშებს. მართლაც, როცა ადამიანს არ შეუძლია მიღწიოს კეთილდღეობას ტალანტისა და უნარების (ლეგალური საშუალებების) წყალობით, მან შეიძლება მიმართოს მოტყუებას, ფალსიფიკაციას, ან ქურდობას, რასაც, რასაკვირველია, ვერ მოიწონებს საზოგადოება (რობერტ მერტონის – ,,დაძაბულობის თეორია'' როგორც დევიაციის ერთერთი საფუძველი). ამრიგად, გადახრები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კულტურულ მიზნებსა და ინსტიტუციონალურ საშუალებებზე, რომელთაც აღიარებს და იყენებს ესა თუ ის პიროვნება. რ. მერტონმა შეიმუშავა პიროვნების ქცევის ტიპოლოგია მათ მიზნებსა და საშუალებებთან მიმართებით.

1. კონფორმისტი იღებს როგორც კულტურულ მიზნებს, ასევე საზოგადოების მიერ მოწონებულ ინსტიტუციონალურ საშუალებებს და არის საზოგადოების ლოიალური წევრი;
2. ნოვატორი ცდილობს მიაღწიოს კულტურულ მიზნებს (მის მიერ მიღებულ) არაინსტიტუციონალური საშუალებებით (უკანონო და კრიმინალური საშუალებების ჩათვლით);
3. რიტუალისტი იღებს ინსტიტუციონალურ საშუალებებს და მათ აბსოლუტიზაციასაც ახდენს, მაგრამ უგულებელყოფს ან ივიწყებს მიზნებს, რისკენაც იგი ისწრაფვის ამ საშუალებების

გამოყენებით. რიტუალები, ცერემონიები და წესები მისთვის ქცევის საფუძველია, ამავდროულად, ორიგინალურ, ტრადიციულ საშუალებებს იგი, როგორც წესი, უარყოფს (ასეთ ადამიანთა ტიპს განეკუთვნება ბიოროკრატი, რომელიც ორიენტირებულია საქმიანი ცხოვრების მხოლოდ ფორმალურ მხარეებზე და არ ფიქრობს მიზნებზე, რისთვისაც ეს საქმიანობა ხორციელდება);

4. იზოლირებული ტიპი ემიჯნება როგორც კულტურულ, ტრადიციულ მიზნებს, ასევე ინსტიტუციონალურ საშუალებებს, რომლებიც საჭიროა მათ მისაღწევად (მათ უნდა მივაკუთვნოთ, მაგალითად, ალკოჰოლიკები, ნარკომანები);

5. ამბოხებული გაურკვევლობაშია როგორც საშუალებებთან, ასევე კულტურულ მიზნებთან მიმართებით; იგი ემიჯნება არსებულ მიზნებსა და საშუალებებს, ცდილობს ნორმათა და ფასეულობათა ახალი სისტემისა და მათი მიღწევის საშუალებების შექმნას.

მოცემული ტიპოლოგიის გამოყენებისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ადამიანებს ყოველთვის როდი შეუძლიათ იყონ კონფორმული ნორმატიულ კულტურასთან მიმართებით ან სრული ნოვატორები. ყოველ პიროვნებას ამა თუ იმ ხარისხით გააჩნია ზემოთ ჩამოთვლილი ტიპებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. თუმცა, რომელიმე მათგანი, ჩვეულებრივ, უფრო მეტად ვლინდება და ამით ახასიათებს მოცემულ პიროვნებას.

როცა ზნეობრივი ნორმები კრძალავენ გარკვეული მოქმედებების განხორციელებას, რაც ძალიან სურს ზოგიერთს, იქმნება ნორმიდან გადახრილი ქცევის სხვა ფენომენი – გამართლების ნორმები. ეს არის კულტურული ნიმუშები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ამართლებენ რაიმე სახის აკრძალული სურვილებისა და მოქმედებების განხორციელებას არსებულ მორალურ ნორმებთან ღიად დაპირისპირების გარეშე. ძალზე ხშირად გამართლების ნორმები იქმნება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ხდება ნორმათა ხშირი დარღვევა შემდგომი სანქციების გარეშე. ფსიქოლოგებმა ჯ. რუბეკმა და ლ. სპრეიმ დაადგინეს, რომ ბოჰემური სუბკულტურის (თავისუფლება, შეუბოჭველობა, თავისუფალი გრძნობები) ნორმები ამართლებს სასიყვარულო კავშირებს დაქორწინებულ მამაკაცებსა და ახალგაზრდა ქალბატონებს შორის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გამართლების ნორმები წარმოადგენს ნორმიდან გადახრილი ქცევის ნახევრად ინსტიტუციონალიზებულ ფორმას.

სოციალური ნორმების ათვისება – სოციალიზაციის საფუძველია. ამ ნორმების დაცვა კი განსაზღვრავს საზოგადოების კულტურის დონეს. საყოველთაოდ აღიარებული ნორმებიდან გადახრას სოციოლოგიაში უწოდებენ დევიანტურ ქცევას. ფართო გაგებით ,,დევიაცია'' გულისხმობს ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც არ შეესაბამება: ა) დაუწერელ ნორმებს; ბ) დაწერილ ნორმებს. ვიწრო გაგებით ,,დევიაცია'' ეხება მხოლოდ პირველი ტიპის შეუსაბამოს, მეორე ტიპს კი ეწოდება დელიკვანტური ქცევა.

სოციალური ნორმები ორი ტიპისაა:

1) დაწერილი – კონსტიტუციაში, სისხლის სამართალსა და სხვა იურიდიულ კანონებში ფორმალურად დაფიქსირებული ნორმები, რომელთა დაცვა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.

2) დაუწერელი – არაფორმალური ნორმები და ქცევის წესები, რომელთა დაცვაც არ არის გარანტირებული სახელმწიფოს სამართლებრივი ასპექტებით. ისინი დამკვიდრებულია ტრადიციებში, ჩვეულებებში, ეტიკეტში, მანერებში, ე.ი. კონვენციებით ან უსიტყვო შეთანხმებით ადამიანებს შორის იმის შესახებ, თუ რა ჩაითვალოს საჭირო, სწორ, მოსაწონ ქცევად.

ფორმალური ნორმების დარღვევას ეწოდება დელიკვანტური (დანაშაულებრივი) ქცევა, ხოლო არაფორმალური ნორმების დარღვევას – დევიანტური (ნორმებიდან გადახრილი) ქცევა. რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან? დევიანტური და დელინკვენტური ქცევა შეიძლება შემდეგნაირად განვასხვავოთ. პირველი შეფარდებითია, მეორე კი – აბსოლუტური. დევიანტური ქცევა შეფარდებითია, რადგან ეხება მხოლოდ მოცემული ჯგუფის კულტურულ ნორმებს. მაგრამ დელიკვანტური ქცევა აბსოლუტურია ქვეყნის კანონებთან მიმართებით.

დელიკვანტურობა. ქურდობა, მექრთამეობა, ძარცვა ან მკვლელობა არღვევს სახელმწიფოს ძირითად კანონებს, რომლებითაც გარანტირებულია პიროვნების უფლებები და სისხლისამართლებრივად დასჯადია. დამნაშავეებს ასამართლებენ, მათ უსჯიან სასჯელის ზომას სხვადასხვა ვადით (სისხლისსამართლებრივი ქმედების სიმძიმის შესაბამისად), აგზავნიან გამოსასწორებელ ან კატორღულ სამუშაოებზე, სვამენ ციხეში ან განუსაზღვრავენ პირობით სასჯელს (უფლებათა ნაწილობრივი შეზღუდვა).

დანაშაულებრივ ქმედებებს განეკუთვნება თაღლითობა, დატაცება, ყალბი დოკუმენტების დამზადება, ქრთამი, სამრეწველო შპიონაჟი, ვანდალიზმი, ქურდობა, შეჭრა, ავტოქურდობა, ცეცხლის წაკიდება, პროსტიტუცია, აზარტული თამაშები და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები.

დევიანტურობა. ისეთი ქცევები, როგორიცაა ნუდიზმი (ლათინურად ნუდუს – სიშიშვლე), სექსით დაკავება საჯარო ადგილებში, ბილწსიტყვაობა, ხმამაღალი ან აღგზნებული საუბარი, პირიქით, არ არღვევს სისხლის სამართლის ნორმებს, მაგრამ ეწინააღმდეგება ქცევის ნორმებს. დასჯის ერთადერთი საშუალებაა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება, ჯარიმის გადახდევინება, გარემოცვის მხრიდან გაკიცხვა, გამვლელთა ალმაცერი გამოხედვა. დევიანტური ქცევის ფორმებს განეკუთვნება ალკოჰოლიზმი, პროსტუტიცია, ჰომოსექსუალიზმი, აზარტული თამაშები, ფსიქიკური აშლილობა, თვითმკვლელობა ა.შ.

ზოგადად, დევიაციასთან დაკავშირებით სოციო–ლოგებმა დაადგინეს შემდეგი კანოზომიერებები:

1. თუ ნორმებთან შეუსაბამობას მოაქვს პირადი

ზიანი, საზოგადოების მიერ ნაკლებად ისჯება ან საერთოდ არ ისჯება, ვიდრე კოლექტიური ზიანის მომტანი დრღვევა. (ასანთთან დაუდევარმა მოპყრობამ შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი საზოგადოებრივ შენობაში და შეიწიროს მრავალი ადამიანის სიცოცხლე. იგი უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე იგივე დარღვევა კერძო სახლში).

2. თუ ნორმიდან გადახრა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, იგი უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე ქონების ან საზოგადოებრივი წესრიგისათვის ზიანის მიყენება. (სატრანსპორტო შემთხვევები და საგზაო ავარიები).
3. მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის გამომწვევი დევიანტური ქცევა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ღირსებას, ან საფრთხის ქვეშ აყენებს სახელმწიფო უსაფრთხოებას, გადადის ქცევის სხვა კატეგორიაში და კვალიფიცირდება დანაშაულად. (სამშობლოს მოღალატეების სასამართლო პროცესი).
4. მინიმალურ გაკიცხვად გადახრებს საზოგადოება უფრო მშვიდად ხვდება, რადგან შემთხვევით მოვლენად მიიჩნევა, რომელიც შეიძლება ნებისმიერს მოუვიდეს.
5. საზოგადოების მოთმენის ზღვარი გადახრების მიმართ განსხვავებულია სხვადასხვა კულტურებში თუ ერთსა და იმავე კულტურაში, სხვადასხვა სიტუაციებში.

მაგალითად, ადამიანის მკვლელობა თანამედროვე საზოგადოებაში დანაშაულად ფასდება, პირველყოფილ საზოგადოებაში კი – მსხვერპლშეწირვად ღმერთებისათვის. ადამიანზე თავდასხმა და მისი მკვლელობა თანამედროვე საზოგადოებაში დანაშაულია, მაგრამ დამნაშავისგან თავდაცვა, რომელმაც შეიწირა თავდამსხმელის სიცოცხლე, – გმირობად შეფასდეს. თანამემამულის მკვლელობა მშვიდობიან დროს მკაცრად ისჯება, ხოლო უცხოტომელის მკვლელობა, რომელიც მტრად ან დამპყრობად მიიჩნევა, პატივისცემას იწვევს და დიდება მოაქვს.

საბოლოოდ, დევიაციის ყველა ფორმა შეიძლება განვალაგოთ გარკვეულ კონტინუუმში მის ერთ პოლუსზე განვათავსებთ პირთა ჯგუფს, რომლებიც ავლენენ მაქსიმალურად გაკიცხვად ქცევას: რევოლუციონერები, ტერორისტები, არაპატრიოტები, გამცემები, ათეისტები, დამნაშავეები, ვანდალები, ცინიკოსები. მეორე პოლუსზე განვათავსოთ ჯგუფი მაქსიმალურად მოსაწონი გადახრებით: ეროვნული გმირები, გამოჩენილი არტისტები, სპორტსმენები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და პოლიტიკური ლიდერები, მისიონერები, შრომის მოწინავენი, ძალზე ჯანსაღი და ლამაზი ადამიანები.

თუ ჩვენ სტატისტიკურად შევაჯამებთ ყოველივეს, აღმოჩნდება, რომ ნორმალურ განვითარებულ ქვეყნებში და ჩვეულებრივ პირობებში ყოველ ამ ჯგუფზე მოდის მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 10-15% და, პირიქით, მოსახლეობის 70%-ს შეადგენს ,,მყარი საშუალოსნები'' – უმნიშვნელო გადახრების მქონე ადამიანები. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა უმეტესობა დროის დიდ მონაკვეთს კანონთან თანხმობაში ატარებს, მათ ვერ ვუწოდებთ აბსოლუტურად კანონმორჩილებს, ანუ სოციალურ კონფორმისტებს.

ნიუ-იორკის მოსახლეთა გამოკითხვისას 99%-მა აღიარა, რომ მათ ჩაუდენიათ ერთი ან მეტი უკანონო ქმედება, მაგალითად, ფარულად იქურდეს მაღაზიაში, მოატყუეს საგადასახადო ინსპექტორი ან ,,მენტი'', არაფერს ვამბობთ უფრო უცოდველ მოქმედებებზე – სამსახურში დაგვიანება, ქუჩის გადაჭრა ან მოწევა აკრძალულ ადგილებში.

სოციალურ გადახრებს საზოგადოებში ორმხრივი წინააღმდეგობრივი როლი გააჩნია. ისინი, ერთი მხრივ, საფრთხეს უქმნიან საზოგადოების სტაბილურობას, მეორე მხრივ – ინარჩუნებენ ამ სტაბილურობას. სოციალური სტრუქტურების წარმატებული ფუნქციონირება შეიძლება ჩავთვალოთ ეფექტურად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი იქნება წესრიგი და საზოგადოების წევრთა პროგნოზირებადი ქცევა. საზოგადოების ყოველმა წევრმა უნდა იცოდეს (რა თქმა უნდა, გონივრულ ფარგლებში) რა ქცევას უნდა მოელოდეს მისი გარემოცვისგან, რა ქცევას მოელიან მისგან საზოგადოების სხვა წევრები. საზოგადოებასა თუ სოციალურ ჯგუფში სოციალური გადახრების მრავალრიცხოვანი შემთხვევების არსებობისას ადამიანები კარგავენ მოსალოდნელი ქცევის გრძნობას, ხდება კულტურის დეზორგანიზაცია და ირღვევა სოციალური წესრიგი. ზნეობრივი ნორმები ვეღარ აკონტროლებენ ჯგუფის ან საზოგადოების წევრთა ქცევას, ამ უკანასკნელებმა შეიძლება უარყონ ფუძემდებლური ფასეულობები, ინდივიდებს კი ეკარგებათ უსაფრთხოებისა და თავიანთ მოქმედებებში რწმენის გრძნობა. ამიტომაც, საზოგადოება ეფექტურად მხოლოდ მაშინ იფუნქციონირებს, როცა მისი წევრების უმეტესობა მიიღებს დამკვიდრებულ ნორმებს და იმოქმედებს ძირითადად სხვა ინდივიდების მოლოდინების შესაბამისად.

არ არსებობს ისეთი თანამედროვე საზოგადოება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სტატიკური დარჩენილა. მსოფლიო ცივილიზაციებიდან სრულიად იზოლირებულ თანამეგობრობებშიც კი დროდადრო იცვლებოდა ქცევის ნიმუშები გარემოს ცვლილების გამო. შობადობის მკვეთრი ზრდა, ტექნოლოგიური სიახლეები, ფიზიკური გარემოცვის ცვლილებები – ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს ახალი ნორმების მიღება და საზოგადოების წევრების ადაპტირება მათთან.

ახალი სოციალური ნორმები კი, როგორც წესი იქმნება და ვითარდება ინდივიდის ყოველდღიური ქცევის შედეგად. ინდივიდთა მცირე რიცხვის, ჩვეულებრივი ნორმებიდან გადახრილი ქცევა შეიძლება გახდეს ახალი ნორმატიული ნიმუშების შექმნის საწყისი. თანდათანობით, დრომოჭმული ტრადიციების დაძლევით, ნორმიდან გადახრილი ქცევა, რომელიც შეიცავს ახალ სიცოცხლისუნარიან ნორმებს, სულ უფრო მეტად აღწევს ადამიანთა ცნობიერებაში. სო-

ციალური ჯგუფების წევრთა მიერ ახალი ნორმების შემცველი ქცევის ათვისების კვალდაკვალ იგი კარგავს გადახრილი ქცევის სტატუსს.

ამრიგად, გადახრილი ქცევა ხშირად საყოველთაოდ აღიარებული კულტურული ნორმების საფუძველია. მის გარეშე რთული იქნებოდა კულტურის ადაპტირება საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ცვლილებებთან. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ სოციალურ გადახრათა აბსოლუტური უმრავლესობა დესტრუქციულ როლს ასრულებს საზოგადოების განვითარებაში. მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელო რაოდენობის გადახრა შეიძლება გარკვეულწილად მივიჩნიოთ სასარგებლოდ. სწორედ სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი მოცანაა სასარგებლო კულტურული ნიმუშების ამოცნობა და, შესაბამისად, მათი გაკონტროლება ინდივიდებისა და ჯგუფების გადახრილ ქცევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბატურინი ვ., სოციოლოგია. სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის. 2012 (რუს. ენაზე).
2. ივანოვი დ., სოციოლოგიის პარადიგმები. ომსკი, 2005 (რუს. ენაზე).
3. მასიონისი ჯ., სოციოლოგია. მ., 2004 (რუს. ენაზე).
4. სმელზერი ნ., სოციოლოგია. მ., 1994 (რუს. ენაზე)
5. ფერეოლო ჟ., სოციოლოგია, ტერმინოლოგიური ლექსიკონი (რუს. ენაზე).
6. კალჰუნი ქ., ლაითი დ., კელერი ს., სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2007. ნაწილი II, პიროვნება და საზოგადოება.
7. გიდენსი ე., სოციოლოგია. მ., 2005 (რუს. ენაზე).

ბიზნეს-ინჟინერინგი ენერგეტიკაში

ახალი სიმძლავრეები ენერგეტიკის ეფექტიანობისა და განვითარების საფუძველი

დავით ბაქანიძე, *დოქტორანტი*

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ენერგეტიკაში ახალი სიმძლავრეების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში. ყოველი ასეთი სიმძლავრის ამოქმედება ხელს უწყობს საწარმოო, ბიზნესისა და მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას ელექტროენერგიაზე.

ნაშრომში მოცემულია ახალი სიმძლავრეების მშენებლობის, ექსპლუატაციაში შეყვანისა და ამოქმედების გეგმა—გრაფიკი რეგიონულ ჭრილში. განსაზღვრულია ეფექტიანობის მიმართულებები.

New facilities as a basis of efficiency and development of power engineering

Summary

In this work is considered the role of new energy facilities in the development of Georgian economy. Putting into operation of each of these facilities promotes satisfaction of industrial, business and population demands for electric energy.

In the work is given plan-schedule of construction, putting into operation and start-up of new energy facilities on regional scale. Directions of efficiency improvement are determined.

* * * * * *

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში საქართველოს ენერგეტიკა განიცდის აღმავლობას, განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. დარგი გახდა მძლავრი, რასაც იძლევა ახლად მწყობრში ჩამდგარი 10 ჰიდროელექტროსადგური. გარდა ამისა, დამატებით ექსპლუატაციაში შევიდა კომბინირებული ციკლის გარდაბნის თბოელექტროსადგური 239 მგვტ სიმძლავრით. საერთოდ ზრდა შეადგენს 400 მგვტ სიმძლავრეს[1].

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების საფუძველს წარმოადგენს ახალი სიმძლავრეები. ენერგეტიკული პოლიტიკა კი მიმართულია საწარმოო, საყოფაცხოვრებო—კომუნალური და ბიზნესის ენერგომატარებლებზე მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებაზე, არსებული ენერგორესურსების გამოყენების საფუძველზე ელექტროენერგიის ექსპორტის დივერსიფიკაციაზე, ეკონომიკური და ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

მეცნიერულ და საექსპერტო მაჩვენებლებზე დაყრდნობით „საქართველოს ჰიდრორესურსებიდან გამომდინარე შეუძლია აწარმოოს 2 32 ტერავატ-საათი ელექტრული ენერგია, რაც 4—ჯერ აღემატება მიმდინარე გამომუშავებას, 2020 წლისთვის კი შესაძლებელი იქნება 6,3 ტერავარსაათის ექსპორტზე გატანა“.

ყურადღება ექცევა ალტერნატიული ენერგიის გამოყენებას, ქართლში დაწყებულია ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა და მიმდინარეობს რამდენიმე პროექტის განხილვა მზის ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე.

ყურადსაღებია აგრეთვე ინვესტიციების ჩადება ძველი ჰიდროელექტრო—სადგურების აღდგენისა და გასარემონტებლად. ახალი დაპროექტებით ხდება ძველ სადგურებზე ახალი სიმძლავრეების გაზრდა. სხვადასხვა რეგიონებში შერემონტდა და ახალი სიმძლავრეებით შევიდა ექსპლუატაციაში: რიცეული ჰესი, ალაზანი ჰესი 1, ტირიფონი ჰესი, იგოეთი ჰესი, რუსთავი ჰესი და სხვა. შესრულდა ქვესადგურების რემონტი და სამონტაჟო—გაწყობითი სამუშაოები. შეიცვალა საკომუტაციო მოწყობილობები და ახალი ტექნოლოგიებით შევიდა ექსპლუატაციაში დარგის დიდი ქვესადგურები: დიდუბე 220, კოხრა, ლისი 220, ქსანი 500 და სხვა. განვითარდა სისტემის უსაფრთხოების (სარელეო დაცვის) მოწყობილობების ახლით შეცვლის სტრატეგია. სსე—მ მისი ყველა

1 http://pia.ge/show_news_php?id(16.09.2015წ.)

2 http://gedf.com.ge (შემოწმებულია 12.03.2016წ.)

ქვესადგური აღჭურვა ციფრული მოწყობილობებით, რომელმაც ჩაანაცვლა მექანიკური მოწყობილობები. „ენერგო პრო ჯორჯია" ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს არსებული ძველი კომუტაციის შეცვლას ახლით, რაც ნამდვილად მისასალმებელია. თელასის მფლობელობაში არსებული 40 ქვესადგურის 98%-ში უახლესი აპარატურაა დამონტაჟებული და მისი ექსპლუატაცია ხდება კომპიუტერული ტექნოლოგიებით. .

რაც შეეხება ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობას, დღევანდელი დღის გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ჰიდრორესურსების პოტენციალის გამოყენების ბუმია. მიმდინარეობს უამრავი ჰესის პროექტირება, შენდება ჰესები და რამდენიმე მათგანი უკვე შესულია ექსპლუატაციაში. მაგ: ფარავანი ჰესი 87 მგვტ, ალაზანი ჰესი 2 - 6 მგვტ, რაჭა ჰესი-7 მგვტ, ხადორი ჰესი 2-8,5მგვტ, ლარსი ჰესი-19 მგვტ, ფშაველა ჰესი-0.5 მგვტ, ლოპოტა ჰესი-2 მგვტ, ოკამი ჰესი -1,6 მგვტ, ახმეტა ჰესი-9,5 მგვტ, მარნეული ჰესი-2 მგვტ და სხვა.

მიმდინარეობს საინვესტიციო პროექტების განხორციელება შემდეგ ჰესებზე: კირნათი ჰესი-51,25 მგვტ, ხელვაჩაური ჰესი 1-47,48 მგვტ, შუახევი ჰესი-187 მგვტ, კინტრიშა ჰესი - 5 მგვტ, შაქშაქეთი ჰესი -1.5 მგვტ, ქარის ელ სადგური-20,7 მგვტ, მტკვარი ჰესი-53 მგვტ და სხვა. სულ ქვეყანას 2020 წლისათვის შეემატება 1878 მგვტ სიმძლავრე და 6 247 გვტ.სთ ელ. ენერგიის გამომუშავება.

რაც შეეხება გადაცემის შესაძლებლობებს, მწყობრში შევიდა ახალი სატრანზიტო ქვესადგური ახალციხე, რომელიც დაკავშირებულია თურქეთიდან, კერძოდ, ბორჩხას ქვესადგურიდან 400 კვ მომავალი ელექტროგადამცემი ხაზით, და ახალციხის ქვესადგური, რომელიც ,,შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის" პროექტის ფარგლებში აშენდა. ქვესადგურში მუდმივი დენის ჩანართი (Back to Back) დამონტაჟდა, განხორციელდა ახალციხის, ზესტაფონისა და გარდაბნის ქვესადგურების ურთიერთდამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზების "ვარძია 500" და "ზეკარი 500" მშენებლობა/რეაბილიტაცია. პროექტმა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" და მისმა შვილობილმა კომპანიამ "ენერგოტრანსმა" განახორციელა: ახალციხის ქვესადგურის სამშენებლო სამუშაოები "SIEMENS-Austria"-მ შეასრულა, მუდმივი დენის ჩანართის მონტაჟი - ,,SIEMENS-Germany"-მ, ხოლო ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა/რეაბილიტაცია კი - ინდურმა კომპანია KEC International-მა.

ახალი გადამცემი ხაზისა და ქვესადგურის ოპერირებას ,,ენერგოტრანსი" განახორციელებს.

,,შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის" პროექტის საინვესტიციო ღირებულება 300 მლნ ევროს შეადგენს. აქედან, ახალციხის 500/400/220 კვ ქვესადგურის მშენებლობასა და მუდმივი დენის ჩანართის მონტაჟზე 158,8 მლნ ევრო დაიხარჯა. პროექტი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა და საქართველოს მთავრობამ დააფინანსეს: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) - 80 მლნ ევრო; ევროპის საინვესტიციო ბანკი - 80 მლნ ევრო; გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW) - 100 მლნ ევრო; საქართველოს მთავრობა -53 მლნ ევრო და NIF-ის (ევროკავშირი) გრანტი - 8 მლნ ევრო.

პროექტის განხორციელების სამუშაოები 2010 წლის 1 სექტემბერს დაიწყო, ხოლო 2013 წლის აპრილში დასრულდა. მუდმივი დენის ჩანართის (HVDC) ტესტირება მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს დამთავრდა. საქართველო პირველი ქვეყანაა კავკასიის რეგიონში, სადაც მუდმივი დენის ჩანართი დამონტაჟდა. მსოფლიოში რამდენიმე ქვეყნის ენერგოსისტემებში გამოყენებულია ანალოგიური ტიპის ჩანართი (HVDC). მუდმივი ძაბვის თითოეულ ჩანართში შედის გამმართველი და ინვერტორული სადგურები, რომლებზეც 500 კვ ცვლადი დენი გარდაიქმნება მუდმივ დენად ხოლო შემდეგ კვლავ ცვლად, მაგრამ უკვე 400 კვ ძაბვის დენად, რომელიც მიეწოდება თურქეთს.

ახალი გადამცემი ხაზი თურქეთთან ერთიან ენერგეტიკულ სისტემას შექმნის, ამასთან თურქეთსა და ევროპის ქვეყნებში ელექტროენერგიის საექსპორტო შესაძლებლობებს გაზრდის, ასევე უზრუნველყოფს საქართველოს ენერგო—ინფრასტრუქტურის განვითარებას, ქვეყნის ენერგოსისტემის მუშაობის მდგრადობას; სამხრეთ საქართველოს რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგების საიმედოობის გაუმჯობესებას; ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის განხორციელებას; ელექტროენერგიის კარგვების მნიშვნელოვან შემცირებას.

ამ ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალამემ, თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა თანერ ილდიზმა, აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრმა ნატიკ ალიევმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას ახალი ინტერკონექციის გახსნის შესახებ (500/400/220 კილოვოლტიანი ახალციხის ქვესადგური და 400 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი ,,ახალციხე-ბორჩხა".

გარდა ამისა, TEIAS-ის ხელმძღვანელმა ქემალ ილდირმა და ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" რეაბილიტაციის მმართველმა სულხან ზუმბურიძემ ხელი მოაწერეს შეხვედრის ოქმს - თურქეთისა და საქართველოს ენერგოსისტემებს შორის შემდგომი ურთიერთკავშირების დაგეგმვის შესახებ.

ქვესადგურ ახალციხესთან მიერთებულ იქნა ახალი ჰიდროელექტრო სადგური ფარავანი ჰესი - 87 მგვტ სიმძლავრით. მისი წლიური გამომუშავება შეადგენს 420 მლნ კვტ.სთ. ჰესის სათავე ნაგებობა განთავსებულია მდინარე ფარავანზე და 14 კმ-იანი 5 გვირაბით და 418 მ დაწნევით წყლის მიწოდება ხდება ფრენსისის ტიპის 2 ცალ ტურბინაზე. გენერატორები ბლოკურად არის ტრანსფორმატორებთან

მიერთებული, რომელთა სიმძლავრეა 52 მვა. ელ. ენერგიის გადაცემა ხდება გადამცემი ხაზი ფარავანი 220—ით ახალციხის ქვესადგურში. ფარავანი ჰესი ელ. ენერგიის გადაცემას ახდენს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ. გაფორმებული ხელშეკრულებებით ხდება დაბალანსება ექსპორტირებულ და ქვეყნის შიგნით გადაცემულ ელ. ენერგიაზე. გარკვეული თანამშრომლობის შედეგად სსე და ფარავან ჰესის მფლობელი კომპანია ,,საქართველო ურბან ენერჯი" კონტრაქტით გათვალისწინებულ თვეებში, ახდენენ უწყვეტ ექსპორტს თურქეთის რესპუბლიკაში, რაც ორივე მხარისთვის მისაღებია.

სისტემასთან კავშირში ახალციხის ქვესადგურით შევა აგრეთვე „მტკვარი ჰესი" — 53 მგვტ. სიმძლავრე. „მტკვარი ჰესის" პროექტი სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვარზე ხორციელდება. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა $113 მლნ ამერიკულ დოლარს უტოლდება. ჯამური დადგმული სიმძლავრე 53 მგვტ-ია, ხოლო ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება 255 მლნ კვტ.სთ. ,,მტკვარი ჰესის" ექსპლუატაციაში შესვლა 3 წელიწადში იგეგმება. პროექტში ინვესტიციას საქართველოს თანაინვესტირების ფონდი ახორციელებს.

,,მტკვარი ჰესის" პროექტი გაჩერებული იყო ფინანსური პრობლემების გამო, სახელმწიფოს მხრიდან და საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერით მოხდა მისი განახლება და დაგეგმილია მისი ექსპლუატაცია 2019 წელს.

სამცხე-ჯავახეთის მხარეში დაგეგმილია აგრეთვე 3 ჰესის მშენებლობა: აბული ჰესი, არაკალი ჰესი და ახალქალაქი ჰესი.

აბული ჰესი - 22.2 მგვტ სიმძლავრით მდინარე ფარავანზე, ახალქალაქის რაიონში, 116,2 მლნ წლიური გამომუშავებით. დაგეგმილი პროექტიდან გამომდინარე ჰესის დაწნევა იქნება 184 მ. დამონტაჟდება 2 ცალი სამფაზა სინქრონული გენერატორი 12 მგვტ სიმძლავრით თითოეული. 34,5 კვ-იანი გადამცემი ხაზის სიგრძე იქნება 2 კმ. წყლის ხარჯი 17 მ3/წმ. ინვესტიცია შეადგენს 50 მლნ-მდე დოლარს. მისი ტარიფი გათვალისწინებულია 7,5 ცენტი კვტ. სთ—ზე.

არაკალი ჰესი -17,5 მგვტ სიმძლავრით მდინარე ფარავანზე, ახალქალაქის რაიონში წლიური 96,22 მლნ კვტ.სთ გამომუშავებით. დაგეგმილი პროექტიდან გამომდინარე ჰესის დაწნევა იქნება 89 მ. დამონტაჟდება 2 ცალი სამფაზა სინქრონული გენერატორი 8,5 მგვტ სიმძლავრით თითოეული. 34,5 კვ-იანი გადამცემი ხაზის სიგრძე იქნება 5 კმ. წყლის ხარჯი 24 მ3/წმ. ინვესტიცია შეადგენს 39 მლნ-მდე დოლარს. მისი ტარიფი გათვალისწინებულია 7,5 ცენტი კვტ. სთ—ზე

ახალქალაქი ჰესი - 15 მგვტ სიმძლავრით მდინარე ფარავანზე და კორხის წყალზე, ახალქალაქის რაიონში. 85 მლნ კვტ.სთ წლიური გამომუშავებით. დაგეგმილი პროექტიდან გამომდინარე ჰესის დაწნევა იქნება 70 მ. დამონტაჟდება 2 ცალი სამფაზა სინქრონული გენერატორი 7,3 მგვტ სიმძლავრით თითოეული. 34,5 კვ-იანი გადამცემი ხაზის სიგრძე იქნება 4,5 კმ. წყლის ხარჯი 25 მ3/წმ. ინვესტიცია შეადგენს 25,5 მლნ-მდე დოლარს. მისი საექსპორტო ტარიფი გათვალისწინებულია 8,0 ცენტი კვტ.სთ—ზე.

მიმდინარე წელს ექსპლუატაციაში 3 ჰესის გაშვებაა დაგეგმილი: კინტრიშა ჰესის, ქართლის ქარის ელექტროსადგურისა და სკურდიდის ჰესის.

რაჩხა ჰესი და ლუხუნი ჰესი 2 რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება. მომდევნო წელს ექსპლუატაციაში გაეშვება მდინარე ჭოროხზე მდებარე ჰესები: კორნათი ჰესი და ხელვაჩაური ჰესი ლ. მიმდინარე წლის ბოლოს იგეგმება დარიალი ჰესის მშენებლობის დასრულებაც, რომელიც მდინარე თერგზე მდებარეობს, ჰესის საინვესტიციო ღირებულება 105 მილიონ დოლარს შეადგენს, სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 108 მგვტ. იქნება. ჰესი ექსპლუატაციაში მომდევნო წლის დასაწყისში შევა. კახეთში, მდინარე ჩელთიზე მდებარე, შილდა ჰესი 1-ის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში შესვლა 2017 წელს იგეგმება. მომავალ წელს დასრულდება საგურამო ჰესის და კასლეთი ჰესი 2-ის მშენებლობაც, რომელიც სამეგრელო ზემოსვანეთის რეგიონში მდებარეობს.

ამჟამად ლიცენზირების ეტაპზე იმყოფება ხუდონი ჰესიც[3], რომლის მშენებელი კომპანიაა "ტრანს ელექტრიკა ჯორჯია". ჰესი მდინარე ენგურზე უნდა აშენდეს, მისი დადგმული სიმძლავრე 702 მეგავატი იქნება, წლიური გამომუშავება კი 1,5 მლრდ კვტ.სთ. ელ. ენერგია.

უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება ქვესადგურის ,,ხორგა" მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პროექტი. ეს იქნება მდგრადი, ტექნიკურად დახვეწილი და ენერგეტიკული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტი, რომელიც სამომავლოდ ფოთის ინდუსტრიული ზონის ელექტროენერგიით მომარაგებას განახორციელებს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ელექტროენერგიის დივერსიფიცირებაში. პროექტის განხორციელების შედეგად, შესაძლებელი გახდება პოტენციურ საექსპორტო ბაზართან დაკავშირება, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას განახორციელოს ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში და თურქეთიდან ევროპის ქვეყნებში.

ამ ეტაპზე, ხორგის ქვესადგურში დასასრულს უახლოვდება პირველადი მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოები. თებერვლის თვეში, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ექსპლუატაციის და ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციის ჯგუფების მიერ, დასრულდა ,,პალიატომი-2"-ის ხორგას ქვესადგურში შეჭრის სამუშაოები.

პარალელურ რეჟიმში განხორციელდა ელექტროგადამცემი ხაზების: ,,ხორგა-1,2" და ,,ფოთი-1,2"

3 http://neftegaz.ru (შემოწმებულია 12.03.2016წ.)

შესვლა ქვესადგურში ,,ხორგა“. ელექტროგადამცემ ხაზზე შეიცვალა ოპტიკის ნაწილიც. სამუშაოები დასრულდა თებერვლის ბოლოს. ქვესადგურის მშენებლობას კონტრაქტორი კომპანია “Siemens Austria” ახორციელებს. პროექტი სრულად 2016 წლის პირველ ნახევარში დასრულდება.

აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაფინანსებით მიმდინარე ,,რეგიონული ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში, ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მარნეულის რეგიონში, ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი 500 კვ-იანი ქვესადგურის მშენებლობას იწყებს.

ახალი ქვესადგური არსებულ, 220/110 კვ ქვესადგურს ,,მარნეული“ 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით დაუკავშირდება, რომელსაც სსე საკუთარი ძალებით აშენებს. 500 კვ ქვესადგურის სამშენებლო სამუშაოებს თურქული კომპანია “ბესტი” განახორციელებს. ქვესადგურის დადგმული სიმძლავრე 660 მეგავოლტ-ამპერი იქნება. პროექტის ღირებულება 20 მილიონ აშშ. დოლარს შეადგენს. პროექტი 2016 წლის მეორე ნახევარში დასრულდება.

ამჟამად საქართველოში ლიცენზირებისა და მშენებლობის ეტაპზე 27 ჰიდროელექტროსადგურია. მათი სავარაუდო ჯამური საინვესტიციო ღირებულება 3,231 მილიარდი დოლარია, სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 1,878 მგვტ-ი, სავარაუდო წლიური გამომუშავება კი 6,247 გვტ.სთ.

ქვეყნის მასშტაბით 2020 წლამდე მწყობრში შევა ახალი სიმძლავრეები და ამჟამად ქვეყანაში მიმდინარეობს ენერგორესურსების გამოყენება და შესაბამისად ელ. ენერგიის გამომუშავების მაჩვენებელი წლიდან წლამდე მატულობს. ექსპლუატაციაში შედის ახალი სადგურები და ქვეყნის ენერგოსისტემის სტრუქტურა უფრო და უფრო მდგრადი ხდება. ხორციელდება ექსპორტი სხვადასხვა მეზობელ ქვეყნებში და მომხმარებლების დაკმაყოფილება ელ. ენერგიით ძირითადად აღარ არის დამოკიდებული იმპორტზე. 2015 წლის მონაცემებით საქართველოს მოხმარება იყო 10871,8 მლნ კვტ.სთ, ხოლო მიწოდება 10365,1 მლნ. კვტ.სთ. თურქეთთან ექსპორტმა 419,5 მლნ. კვტ.სთ, სომხეთთან იმპორტმა 15,7 მლნ. კვტ.სთ, რუსეთთან იმპორტმა 341,4 მლნ. კვტსთ და აზერბაიჯანთან იმპორტმა 101,7 მლნ. კვტ.სთ. შეადგინია. ეს ყველა მონაცემი შეიცვლება 2025 წლისთვის და იმპორტზე დამოკიდებულების პროცენტული მაჩვენებელი ნულს გაუტოლდება. საქართველოს ენერგეტიკა გამოვა ენერგოიმპორტიორის სტატუსიდან და გავხდებით ექსპორტიორი ქვეყანა, რომელსაც ექნება საშუალება ექსპორტი აწარმოოს არა მარტო მეზობელ სახელმწიფოებში, არამედ გავიდეს ევროპა-აზიის ბაზარზე და მოახდინოს ქართული ელ. ენერგიის ექსპორტირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://pia.ge/show_news_php?id(16.09.2015წ.)
2. http://gedf.com.ge (შემოწმებულია 12.03.2016წ.)
3. http://neftegaz.ru (შემოწმებულია 12.03.2016წ.)
4. გ. ამყოლაძე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. კიკნაველიძე, მ. ქობალია “ენერგოკომპანიების საქმიანობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი”, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2009.
5. დ. ბაქანიძე, გ. ამყოლაძე, გ. კიკნაველიძე “სამხრეთ საქართველოს ენერგომომარაგების განვითარების მართვა”, შრომათა კრებული, მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, თბილისი, №3, 2015.

სადგურებს შორის დატვირთვის ოპტიმალური გადანაწილება

უჩა ხაჩიური, დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია უმარტივესი ელექტროგადაცემის სისტემა, მოყვანილია კონკრეტული მაგალითები სადგურების დატვირთვების გადანაწილებისა და მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფის ურთიერთდამოკიდებულებაზე, კერძოდ:

დაბალი ტარიფის მქონე სადგურის ოპტიმალური დატვირთულობა მით მაღალია:

რაც დაბალია მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი და მაღალია ალტერნატიული წყაროს (სიტემაში მომუშავე სხვა სადურის) მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი;

რაც მაღალია ელექტროგადაცემის ნომინალური ძაბვა და დაბალია ელექტროგადაცემის წინაღობა ანუ ეს სადგური ელექტრულად რაც უფრო ახლოსაა მომხმარებლის კვანძთან.

ელექტროსადგურებისა და მომხმარებელთა ნებისმიერი ურთიერთ განლაგებისას და ამ სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სხვადასხვა ტარიფებისას, თუ ამ სადგურებს შორის დატვირთვა ოპტიმალურადაა განაწილებული, მაშინ ელექტროსისტემაში ელექტროენერგიის გენერაცია-გადაცემის დანახარჯები და მომხმარებელთან მიწოდებული ელექტროენერგიის ტარიფი მინიმალურია. სადგურებს შორის დატვირთვის სხვა ნებისმიერი არაოპტიმალური გადანაწილება იწვევს აღნიშნული დანახარჯებისა და სამომხმარებლო ტარიფის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: ტარიფი, ოპტიმალური დატვირთვა;

Summary

Ucha Khachiuri, PHD student

There is considered the simplest electricity transmission system, are given the cases of station loads distribution and interrelation of the tariffs of the electric energy generated by them, particularly:

The optimum loading of the low tariff station is as high,

- as the tariff of electric energy, generated by it, is lower, and the tariff of electric energy, generated by the alternative source (station working in the system) is higher;
- as the nominal stress of the electricity transmission is higher, and the resistance to electricity transmission is lower, i.e. this station is nearer to the consumer junction.

At the any inter-location of the electric stations and consumers, and various tariffs of electric energy generated by these stations, the costs of generation-transmission of the electric energy in the system and its delivery to the user is minimal, when the load distribution between these stations - optimal. Any other non-optimal distribution of the loads between the stations causes the increase of the mentioned costs and of the consumer tariff.

Keywords: tariff, optimum loading.

* * * * * *

ელექტროსისტემის მუშაობის მაღალეფექტურობა დამოკიდებულია მომხმარებლებთან მიწოდებული ელექტროენერგიის თვითღირებულებაზე, რომელიც ენერგიის გენერაციისა საშუალოშეწონილი ტარიფისა და ამ ენერგიის გადაცემა-განაწილებაზე გაწეული ხარჯების პროპორციულია.

გენერაციის საშუალოშეწონილი ტარიფი მით მაღალია, რაც უფრო მეტია ენერგობალანსში მონაწილე იმ ელექტროსადგურის ხვედრითი წილი, რომლის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი მაღალია. გადაცემა-განაწილების ხარჯები მით მაღალია, რაც მეტია ელექტროენერგიის დანაკარგები გადაცემა-განაწილების ქსელში ანუ რაც უფრო ელექტრულად გრძელი გზით ხორციელდება მომხმარებელთა ელექტრომომარაგება.

განვიხილოთ უმარტივესი ელექტროგადაცემის სისტემა (ნახ.1). ამ სისტემაში ‧მომხმ დატვირთვის მომხმარებელი პირდაპირ მიერთებულია "1" სადგურის სალტეებზე.



ნახ.1.

დავუშვათ, რომ "0" მაბალანსირებელი (უმცირესი ტარიფის მქონე) სადგურიდან მომხმარებელს გადავცემთ P სიმძლავრეს და, შესაბამისად, დანარჩენი $P_{მომხმ}$–P სიმძლავრე მიეწოდება "1" სადგურიდან. ამ შემთხვევაში ენერგიის გენერაცია-გადაცემის ჯამური ხარჯები

$$N=(P+\Delta P)(C_0+C_{გად})+C_1(P_{მომხმ}-P)=(P+\frac{P^2}{U_ნ^2}R_0)(C_0+C_{გად})+C_1(P_{მომხმ}-P)=min$$

$\frac{\partial N}{\partial P_i}=0$ მოთხოვნის შესაბამისად, გვაქვს

$$(1+\frac{2PR_0}{U_ნ^2})(C_0+C_{გად})-C_1=0$$

საიდანაც სიმძლავრის ის ოპტიმალური სიდიდე, რომელიც მომხმარებელს უნდა მიეწოდოს მაბალანსირებელი სადგურიდან გამოითვლება შემდეგნაირად

$$P=\frac{U_б^2}{2R_0}\cdot\frac{C_1-C_0-C_{გად}}{C_0+C_{გად}}=\frac{U_б^2}{2R_0}\cdot\frac{\Delta C\ -C_{გად}}{C_0+C_{გად}},$$

სადაც $\Delta C=C_1 - C_0$ წარმოადგენს “1” სადგურის მიერ გამომუშავებული ენერგიის ტარიფის ზედმეტობას მაბალანსირებელი (ანუ უფრო მცირე ტარიფის მქონე) სადგურის მიერ გამომუშავებული ენერგიის ტარიფთან შედარებით.

რორგორც ამ ბოლო გამოსახულებიდან ჩანს, რომ დაბალი ტარიფის მქონე სადგურის ოპტიმალური დატვირთულობა მით მაღალია:

- რაც დაბალია მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი და მაღალია ალტერნატიული წყაროს (სიტემაში მომუშავე სხვა სადურის) მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი;
- რაც მაღალია ელექტროგადაცემის ნომინალური ძაბვა და დაბალია ელექტროგადაცემის წინაღობა ანუ ეს სადგური ელექტრულად რაც უფრო ახლოსაა მომხმარებლის კვანძთან;

უნდა აღინიშნოს, რომ თუ $C_+<C_0+C_{გად.}$, მაშინ $P<0$, რაც იმას ნიშნავს, რომ დაბალი ტარიფის მქონე სადგურის დატვირთვა არაეკონომიკურია.

ნახ.2-ზე ნაჩვენებია ელექტროენერგიის გენერაცია-გადაცემის დანახარჯების დამოკიდებულება P და C_1 პარამეტრებზე (მრუდი 1), როცა: C_0=15 ლარი/მგვტსთ; $C_{გად}$=5 ლარი/მგვტსთ; R_0=10 ომი; $P_{მომხმ}$=200 მგვტ; $U_б$=110 კვ. აქვეა ნაჩვენები ეს-1 სადგურის დატვირთვა (მრუდი 2) და დანაკარგები ქსელში (მრუდი 3).



ნახ.2. 1 — ელექტროენერგიის გენერაცია-გადაცემის ხარჯები სხვადასხვა C_1-ის დროს;

2 – ეს-1 სადგურის დატვირთვა ეს-0 სადგურის დატვირთვასთან დამოკიდებულებაში;

3 — დანაკარგები ქსელში.

ამ ნახაზიდან ჩანს, რომ ეს-0 სადგურის ოპტიმალური P დატვირთვა იზდება C^1 ტარიფის ზრდასთან ერთად. კერძოდ, როცა C^1=20 ლარი/მგვტსთ, მაშინ P=0, ხოლო როცა C^1=22 ლარი/მგვტსთ, მაშინ P=60,5 და როცა C^1=24 ლარი/მგვტსთ, მაშინ P=121 მგვტ-ს. გამოთვლებმა აჩვენა, რომ როცა C^1=26,6 ლარი/მგვტსთ, მაშინ P=200 მგვტ-ს.

(ნახ.3)-ზე წარმოდგენილ სამსადგურიანი ელექტროსისტემაში განვიხილოთ ელექტროენერგიის გადაცემის რეჟიმის სხვადასხვა სცენარი. ელექტროგადა-ცემის ქსელი აგებულია $U_б$=110 კვ ნომინალურ ძაბვაზე.



ნახ.3. ნახაზზე ნაჩვენებ ელექტროსისტემაში ელექტროენერგიის გენერაცია-გადაცემის დანახარჯები

$$N=C_0P_0+C_1P_1+C_2P_2+C_{გად.}(P_{მომხმ.}+\Delta P)$$

სადაც: C^0, C^1 და C^2 – შესაბამისად, ეს-0, ეს-1 და ეს-2 სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფები;

P_0, P_+ და P_2 – ამ სადგურების დატვირთვა;

$P_{გად}$ – ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი;

$P_{მომხმ}$=200 მგვტ. – მომხმარებლის დატვირთვა;

ΔP – სიმძლავრის დანაკარგები გადაცემის ქსელში

$$\Delta P=\frac{1}{U_б^2}\left(P_0^2\cdot 0\ +P_1^2\cdot R_1+P_2^2\cdot R_2\right).$$

მოცემული ელექტროგადაცემის ქსელის კვანძების საკუთარი და ურთიერთ წინაღობები ნაჩვენებია ცხრ.1-ში.

ცხრ.1.

კვანძი №	1	2	3
1	$10+R_1$	10	10
2	10	$10+R_2$	10
3	10	10	10

სადგურებს შორის დატვირთვის ოპტიმალური განაწილების განტოლებათა სისტემას აქვს შემდეგი ზოგადი სახე

$$\sum_{j=1}^{n+m}P_jR_j=\frac{U_б^2}{2}\cdot\frac{C_0-C_i}{C_0+C_{გად.}},\quad i\in J$$

$$\sum_{i=0}^{n}P_i=P_{მომხმ}+\Delta P$$

აქ: $i=1\div n$ – გენერაციის წყაროების კვანძების ნომერი,

$j=n+1\div n+m$ – მომხმარებელთა კვანძების ნომერი.

ჩვენს შემთხვევაში, სადგურებს შორის დატვირთვის ოპტიმალური განაწილების განტოლებათა სისტემას აქვს შემდეგი სახე

$$P_1(10+R_1)+P_2\cdot 10=\frac{12100}{2}\cdot\frac{C_0-C_1}{C_0+C_{\text{გად}}}+(P_{\text{მომხმ}}+\Delta P)\cdot 10$$

$$P_1\cdot 10+P_2(10+R_1)=\frac{12100}{2}\cdot\frac{C_0-C_2}{C_0+C_{\text{გად}}}+(P_{\text{მომხმ}}+\Delta P)\cdot 10$$

$$P_0+P_1+P_2=P_{\text{მომხმ}}+\Delta P.$$

ვცვალოთ ეს-1 სადგურის დატვირთვა $P_1=1\div 180$ მგვტ ფარგლებში და განვსაზღვროთ ელექტროენერგიის გენერაცია-გადაცემის დანახარჯები C_1-ის სხვადასხვა მნიშვნელობებისას.

სცენარი 1. $C_0=C_1=C_2=15$ ლარი/მგვტსთ, $C_{\text{გად}}=5$ ლარი/მგვტსთ, $R_1=R_2=10$ ომი. პირველ მიახლოებაში მივიღოთ, რომ გადაცემის ქსელში სიმძლავრის დანაკარგები $\Delta P=10$ მგვტ.

სადგურებს შორის დატვირთვის ოპტიმალური განაწილების განტოლებათა სისტემა მიიღებს შემდეგ სახეს

$$20\,P_1+10\,P_2=0+2100$$
$$10\,P_1+20\,P_2=0+2100$$
$$P_0+P_1+P_2=210,$$

აქედან $P_0=P_1=P_2=70{,}0$ მგვტ

დავაზუსტოთ სიმძლავრის დანაკარგები ქსელში

$$\Delta P=\frac{1}{U_{\text{ნ}}^2}\left(P_0^2\cdot 10+P_1^2\cdot R_1+P_2^2\cdot R_2\right)=\frac{1}{12100}(70^2\cdot 10+70^2\cdot 10+70^2\cdot 10)=12{,}15 \text{ მგვტ.}$$

ამრიგად, გვაქვს

$$20\,P_1+10\,P_2=0+2121{,}5$$
$$10\,P_1+20\,P_2=0+2121{,}5$$
$$P_0+P_1+P_2=212{,}15$$

საიდანაც $P_0=P_1=P_2=70{,}72$ მგვტ.

გამომდინარე იქედან, რომ დატვირთვის კვანძიდან სადგურების ელექტრული დაშორება ერთნაირია და ასევე ერთნაირია ამ სადგურების მიერ გამომუშავე-ბული ელექტრული ენერგიის ტარიფები, სადგურების ოპტიმალური დატვირ-თვები ერთმანეთის ტოლია.

ამ შემთხვევაში ელექტროენერგიის გენერაცია-გადაცემის დანახარჯები

$N=15\cdot 70{,}72+15\cdot 70{,}72+15\cdot 70{,}72+5\cdot 212{,}15=4243$ ლარი/სთ

და მომხმარებელთან მიწოდებული ელექტროენერგიის ტარიფი

$C_{\text{მომხმ}}=21{,}22$ ლარი/მგვტსთ.

ეს-1 სადგურის დატვირთვის $P_1=1\div 140$ მგვტ ფარგლებში ცვლილებისას გაანგარიშების შედეგები ნაჩვენებია ცხრ.2-ში.

სცენარი 2. $C_0=C_2=15$ ლარი/მგვტსთ, $C_1=18$ ლარი/მგვტსთ, $C_{\text{გად}}=5$ ლარი/მგვტსთ, $R_1=R_2=10$ ომი. პირველ მიახლოებაში ჩავთვალოთ, რომ გადაცემის ქსელში სიმძლავრის დანაკარგები $\Delta P=20$ მგვტ.

ამ შემთხვევაში სადგურებს შორის დატვირთვის ოპტიმალური განაწილების განტოლებათა სისტემა მიიღებს შემდეგ სახეს

$$20\,P_1+10\,P_2=1292{,}5$$
$$10\,P_1+20\,P_2=2200$$
$$P_0+P_1+P_2=220,$$

აქედან $P_0=P_2=103{,}58$ მგვტ. $P_1=12{,}83$ მგვტ და შემდგომი იტერაციული გამოთვ-ლებით მივიღეთ $\Delta P=17{,}58$ მგვტ, $P_0=P_2=102{,}79$ მგვტ. $P_1=12{,}0$ მგვტ

ამ შემთხვევაში ელექტროენერგიის გენერაცია-გადაცემის დანახარჯები

$N=15\cdot 102{,}79+18\cdot 12{,}0+15\cdot 102{,}79+5\cdot 217{,}58=4388{,}6$ ლარი/სთ

და მომხმარებელთან მიწოდებული ელექტროენერგიის ტარიფი

$C_{\text{მომხმ}}=21{,}94$ ლარი/მგვტსთ.

ეს-1 სადგურის დატვირთვის $P_1=1\div 140$ მგვტ ფარგლებში ცვლილებისას გაანგარიშების შედეგები ნაჩვენებია ცხრ.2-ში.

სცენარი 3. $C_0=C_2=15$ ლარი/მგვტსთ, $C_1=20$ ლარი/მგვტსთ, $C_{\text{გად}}=5$ ლარი/მგვტსთ, $R_1=R_2=10$ ომი. პირველ მიახლოებაში ჩავთვალოთ, რომ გადაცემის ქსელში სიმძლავრის დანაკარგები $\Delta P=20$ მგვტ.

ამ შემთხვევაში სადგურებს შორის დატვირთვის ოპტიმალური განაწილების განტოლებათა სისტემა მიიღებს შემდეგ სახეს

$$20\,P_1+10\,P_2=687{,}5$$
$$10\,P_1+20\,P_2=2200$$
$$P_0+P_1+P_2=220,$$

აქედან $P_0=P_2=110$ მგვტ. $P_1=0$ მგვტ და შემდგომი იტერაციული გამოთვლებით მივიღეთ, რომ სადგურების დატვირთვა არ შეიცვალა $P_0=P_2=110$ მგვტ, $P_1=0$ მგვტ.

ამ შემთხვევაში ელექტროენერგიის გენერაცია-გადაცემის დანახარჯები

$N=15\cdot 110+0+15\cdot 110+5\cdot 220=4400$ ლარი/სთ

და მომხმარებელთან მიწოდებული ელექტროენერგიის ტარიფი

$C_{\text{მომხმ}}=22{,}0$ ლარი/მგვტსთ.

ეს-1 სადგურის დატვირთვის $P_1=1\div 140$ მგვტ ფარგლებში ცვლილებისას გამოთვლების შედეგები მოცემულია ცხრ.2-ში.

სამივე სცენარის $N=f(P_1)$ დამოკიდებულება

ნაჩვენებია ნახ.4-ზე.



ნახ.4.

გაანგარიშების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ როცა მომხმარებლის კვანძამდე კვების ცენტრების ელექტრული დაშორება ერთნაირია და ერთერთი კვების ცენტრის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი მაღალია, მაშინ მისი ოპტიმალური დატვირთვა დანარჩენი კვების ცენტრების დატვირთვაზე უფრო დაბალია.

დავუშვათ, რომ ეს-1 სადგური, რომლის C_1=18 ლარი/მგვტსთ, მომხმარებლის კვანძიდან დაშორებულია R_1=8 ომი ელექტრული სიდიდით, ხოლო დანარჩენი სადგურების ელექტრული დაშორებს და მათი ტარიფები დავტოვოთ უცვლელად. ამ შემთხვევაში ელექტროგადაცემის ქსელის კვანძების საკუთარი და ურთიერთ წინაღობები მნიშვნელობები იქნება (ცხრ.3).

ცხრ.3.

კვანძი №	1	2	3
1	18	10	10
2	10	20	10
3	10	10	10

პირველ მიახლოებაში მივიღოთ, რომ გადაცემის ქსელში სიმძლავრის დანაკარგები ΔP=13 მგვტ, მაშინ სადგურებს შორის დატვირთვის ოპტიმალური განაწილების განტოლებათა სისტემას კი ექნება შემდეგი სახე

$$18\,P_1+10\,P_2=-907{,}5+2130$$
$$10\,P_1+20\,P_2=0+2130$$

ცხრ.2.

C_1,ლარი/მგვტსთ	P_1, მგვტ	0	20	40	60	80	100	120	140
15	P_0, მგვტ	110	98,12	86,9	76,3	66,27	56,8	47,85	39,38
	P_2, მგვტ	110	98,12	86,9	76,3	66,27	56,8	47,85	39,38
	ΔP, მგვტ	20,0	16,25	13,80	12,53	11,24	13,6	15,68	18,76
	Nლარი/სთ	4400	4325	4276	4252	4251	4272	4314	4375
	$C_{მოგზ.}$, ლარი/მგვტსთ	22,0	21,63	21,38	21,26	21,26	21,36	21,52	21,88
18	P_0, მგვტ	110	98,12	86,9	76,3	66,27	56,8	47,85	39,38
	P_2, მგვტ	110	98,12	86,9	76,3	66,27	56,8	47,85	39,38
	ΔP, მგვტ	20,0	16,25	13,80	12,53	11,24	13,6	15,68	18,76
	Nლარი/სთ	4400	4389	4396	4432	4484	4572	4674	4795
	$C_{მოგზ.}$, ლარი/მგვტსთ	22,0	21,95	21,98	22,16	22,42	22,86	23,37	23,98
20	P_0, მგვტ	110	98,12	86,9	76,3	66,27	56,8	47,85	39,38
	P_2, მგვტ	110	98,12	86,9	76,3	66,27	56,8	47,85	39,38
	ΔP, მგვტ	20,0	16,25	13,80	12,53	11,24	13,6	15,68	18,76
	Nლარი/სთ	4400	4425	4476	4552	4644	4772	4914	5075
	$C_{მოგზ.}$, ლარი/მგვტსთ	22,0	22,13	22,38	22,76	23,22	23,86	24,57	25,38

$$P_0+P_1+P_2=213$$

განტოლებათა ამ სისტემის ამოხსნით ვღებულობთ $P_0=P_2=100.4$, $P_1=12.117$ მგვტ. შემდგომი იტერაციული გამოთვლებით მივიღეთ: $P_0=P2=101.74$, $P_1=13,75$, $\Delta P=17.23$ მგვტ, N=4386 ლარი/სთ და $C_{მომხმ}=21.93$ ლარი/მგვტსთ.

დავუშვათ, რომ ეს-1 სადგური, რომლის $C_1=18$ ლარი/მგვტსთ, მომხმარებლის კვანძიდან დაშორებულია $R_1=8$ ომი ელექტრული სიდიდით, ხოლო ეს-2 სადგური, რომლის $C_2=15$ ლარი/მგვტსთ, მომხმარებლის კვანძიდან დაშორებულია $R_2=12$ ომი ელექტრული სიდიდით.

ამ შემთხვევაში ელექტროგადაცემის ქსელის კვანძების საკუთარი და ურთიერთ წინაღობები მნიშვნელობები შეიცვლება (ცხრ.4).

ცხრ.4.

კვანძი №	1	2	3
1	18	10	10
2	10	22	10
3	10	10	10

პირველ მიახლოებაში მივიღოთ, რომ გადაცემის ქსელში სიმძლავრის დანაკარგები $\Delta P=13$ მგვტ. მაშინ სადგურებს შორის დატვირთვის ოპტიმალური განაწილების განტოლებათა სისტემას კი ექნება შემდეგი სახე

$$18\,P_1+10\,P_2=-907,5+2130$$
$$10\,P_1+22\,P_2=0+2130$$
$$P_0+P_1+P_2=213$$

განტოლებათა ამ სისტემის ამოხსნით ვღებულობთ $P_0=105.874$, $P_1=18.897$ და $P_2=88.229$ მგვტ. შემდგომი იტერაციული გამოთვლებით მივიღეთ: $P_0=107.4$, $P_1=20.81$, $P_2=89.5$, $\Delta P=17.71$ მგვტ, N=4413 ლარი/სთ და $C_{მომხმ}=22,06$ ლარი/მგვტსთ.

დასკვნა

ამრიგად, ელექტროსადგურებისა და მომხმარებელთა ნებისმიერი ურთიერთ განლაგებისას და ამ სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სხვადასხვა ტარიფებისას, თუ ამ სადგურებს შორის დატვირთვა ოპტიმალურადაა განაწილებული, მაშინ ელექტროსისტემაში ელექტროენერგიის გენერაცია-გადაცემის დანახარჯები და მომხმარებელთან მიწოდებული ელექტროენერგიის ტარიფი მინიმალურია. სადგურებს შორის დატვირთვის სხვა ნებისმიერი არაოპტიმალური გადანაწილება იწვევს აღნიშნული დანახარჯებისა და სამომხმარებლო ტარიფის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. მახარაძე, ენერგოსისტემების რეჟიმების მართვა და ოპტიმიზაცია, "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2005, გვ. 288.
2. გ. მახარაძე, უ. ხაჩიური, პირველი სტატია ჟურნალი "ენერგია" - ელექტრული ქსელის კვანძების საკუთარი და ურთიერთ წინაღობების განსაზღვრის მეთოდი პერსპექტიული განვითარების გათვალისწინებით.
3. Хольский В.Г. Расчет и оптимизация режимов электрических сетей. М., Высшая школа, 1975.
4. Веников В. А. и др. Оптимизация режимов электростанций и энергосистем. М.; Энергоатомиздат, 1981
5. თ. ჯიქია, ჰიდროსადგურთა კასკადის მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაცია, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2011.

საქართველო-თურქეთის თანამშრომლობა აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის ფარგლებში

პროექტის აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის მნიშვნელობა

ემზარ ფაჟავა

COOPERATION BETWEEN GEORGIA AND TURKEY WITHIN THE EAST-WEST ENERGETIC CORRIDOR FRAMEVORK

EMZAR PAZHAVA

Summary

The East-West energetic Corridor was always going to be more than a regional project – that is to say, Western-oriented and with Western encouragement.

Turkish - Georgian energetic cooperation is highly important as in a country, so for security in the region. On the other hands, significant priorities of Ge¬orgia's energetic security policy are supporting increment of energetic potential of the country, broadening and strengthening foreign energetic contacts, Active participation in inter¬na¬tional energetic projects.

Turkish-Georgian geopolitical and security policies are based on cooperation and have special importance for their geographical location that, because Georgia and Turkey are the main connecting bridge between the Caspian Basin countries, besides, Georgia runs such major transport - communication projects as pipelines: the Baku - Tbilisi – Ceyhan (BTC) and Baku - Tbilisi - Erzurum; railway - the Baku - Tbilisi – Kars

* * * * * *

პროექტის „აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნი" მშენებლობის სრულმასშტაბიან პროცესს დასაბამი მიეცა 1992 წელს საქართველოს „დიდი აბრეშუმის გზის" აღდგენის კონცეფციით, რომლის შედეგად ნათლად ჩამოყალიბდა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის სტრატეგიული ფუნქცია და პერსპექტივები. [1]

თუმცა, უნდა ითქვას, რომ „აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის" ჩამოყალიბება „ბაქო-სუფსის ადრეული ნავთობსადენის" პროექტის წარმატებული რეალიზაციით დაიწყო. სწორედ „ბაქო-სუფსის ადრეული ნავთობსადენის" პროექტის განხორციელება გახდა საფუძველი დასავლეთის ნავთობკომპანიებისა და საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან საქართველოსადმი იმ აუცილებელი ნდობის ჩამოყალიბებისა, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა" და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის" პროექტების რეალიზაცია საქართველოში.

2001 წლის 29 სექტემბერს საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ ხელშეკრულებას" (შემდგომში — „სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება"), რომელიც 2001 წლის 19 დეკემბერს ერთხმად იქნა რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ. ამით დაიწყო „აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის" სრულმასშტაბიანი რეალიზაციის პროცესი.[2]

მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალიების გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ანტიტერორისტული ალიანსის ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს; აშშ-ისა და ევროპის ქვეყნები ცდილობენ დაამკვიდრონ ენერგომატარებლების ტრანსპორტირების ახალი, უსაფრთხო და დამოუკიდებელი მარშრუტები. შესაბამისად, სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის (ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი) პროექტის მხარდაჭერა და მისი დაჩქარებული განვითარება ამ ქვეყნების წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.[3] ნათქვამია ხელშეკრულებაში.

„აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის" პროექტების განხორციელება, რომელთა საშუალებითაც მოხდება კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებში მოპოვებული ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მოცულობის საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთის, ევროპისა და მსოფლიოს ბაზრებზე ტრანსპორტირება, ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს:

- საქართველოსადმი, ისევე, როგორც შავი და კასპიის ზღვების აუზის ქვეყნებისადმი, მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოების ინტერესის ზრდას და განაპირობებს რეგიონის ქვეყნებისადმი მათ მზარდ მხარდაჭერას;
- რეგიონის ქვეყნების უსაფრთხო, მშვიდობიან და დემოკრატიულ განვითარებას;
- მათ ინტეგრირებას სახელმწიფოთა მსოფლიო გაერთიანებაში;
- რეგიონის ქვეყნებში უცხოური საინვესტიციო სახსრების დაბანდებისათვის მიმზიდველი გარემოს ჩამოყალიბებას;

- აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო დერეფნების სწრაფ განვითარებას;

რაც შექმნის იმის წინაპირობებს, რომ ჩამოყალიბდეს რეგიონალური თანამშრომლობის მდგრადი სისტემები და გადაწყდეს რეგიონში არსებული კონფლიქტები.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული პროექტები საქართველოსა და თურქეთს სძენენ სატრანზიტო ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ფუნქციას, მათი განხორციელება უზრუნველყოფს ორივე ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, დაჩქარებს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ანტიმონოპოლიური, ღია და გამჭვირვალე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას.[4]

ამ ურთიერთობებზე საუბრობს ყოფილი თურქეთის ელჩი საქართველოში ლევენთ მურად ბურჰანი მისი აზრით "საქართველო-თურქეთის ენერგეტიკულ თანამშრომლო- ბას სტრატეგილი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნისთვის"[5]

ამავე აზრს იზარებენ სხვა თურქი ექსპერტებიც, როგორც ისინი აღნიშნავენ: საქართველო თურქეთის ძალიან მნიშვნელოვანი ენერგო პარტნიორია. ორივე სატრანზიტო ქვეყანა კასპიის ენერგო რესურსების მთავარი გამტარია დასავლეთ ევროპის მიმართულებით და აღნიშნულ თანამშრომლობას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნების მომავლისთვის.[6]

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი არის პრველი მილსადენი კასპიისა და ხმელთაშუა ზღვას შორის. მილსადენი კომპანია შეიქმნა 2002 წელს,[7] ხოლო სრულ ექსპლუატაციაში 2006 წელს იქნა გაშვებული. იგი 1768 კმ. სიგრძისაა. მილსადენის 443 კილომეტრი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის, 249 კილომეტრი საქართველოს ტერიტორიაზე და 1076 კილომეტრი თურქეთში ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალამდე. მას დღეში ერთი მილიონი ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია. მისი მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა.

მილსადენის მშენებლობა განახორციელა პროექტის გაერთიანებულმა ჯგუფმა, რომლის ხელმძღვანელობით ნავთობსადენის პარალელურად სამხრეთ კავკასიური მილსადენიც აშენდა. BTC-თან დაკავშირებულ სესხებს, საექსპორტო კრედიტებს და რისკის დაზღვევას უზრუნველყოფს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და მსოფლიო ბანკის კერძო ქვეგანაყოფი საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), შვიდი ქვეყნის საექსპორტო საკრედიტო ორგანიზაციები და 15 კომერციული ბანკის სინდიკატი. ჯეიჰანის მილსადენის კომპანია დაფუძნებულია საერთაშორისო ენერგოკომპანიების კონსორციუმის მიერ, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს მილსადენის ოპერატორი "British Petroleum" და მასში ფლობს 30,1%-იან წილს. ამ კონსორციუმში, შემდგომ ყველაზე მაღალი წილი 25% აქვს აზერბიჯანის ნავთობის კომპანიას AzBTC-ს. დანარჩენი მეწილეები არიან: Chevron (8.90%); Statoil (8.71%); TPAO (6.53%); ENI (5.00%); თოტალ (5.00%), Itochu (3.40%); INPEX (2.50%), ConocoPhillips (2.50%) და Hess (2.36%).[8]

2010 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის ტრანსპორტირების ტარიფის სახით საქართველოს ბიუჯეტში 6,5 მილიონი დოლარი გადაირიცხა. უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური სტატისტიკით, 2010 წელს ბპ-ის მილსადენების ოპერაციებმა მომსახურეობის ქსპორტის საერთო ღირებულების დაახლოებით 16,6% შეადგინა.[9]

2010 წლის ივლისში ხელმოწერილი ახალი ხელშეკრულების შედეგად მილსადენით ხდება ასევე თურქმენული ნავთობის ტრანსპორტირება. არსებობს შეთანხმება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ყაზახური ნავთობის გატარების შესახებ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სიმძლავრე შეადგენს 1.2 მლნ ბარელს დღე-ღამეში. საიდანაც 4-5% სწორედ თურქმენულ ნავთობზე მოდის და, შესაძლოა, მისი წილი გაიზარდოს კიდეც. ნავთობნაკადის ამ მატებამ ოდნავ მაინც უნდა შეავსოს ის დანაკლისი, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენიდან ყაზახური ნავთობის გამორიცხვამ გამოიწვია.[10] (2010 წლიდან ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირება შეჩერებულია), თუმცა როგორც აზერბაიჯანული მხარე აცხადებს, ტრანსპორტირება ყაზაზეთის სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ დროს განახლდება. კომპანია "თენგიშევროილმა", რომელიც ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირებას ახორციელებს, 2010 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ყაზახური ნავთობით ტრანსპორტირებაზე უარი განაცხადა. ნავთობის რკინიგზის საშუალებით ტრანსპორტირება "თენგიშევროილისთვის" ეკონომიკურად უფრო მიზანშეწონილი აღმოჩნდა. გადაწყვეტილების მიზეზი ნავთობის გადაქაჩვის ის მაღალი ტარიფი გახდა, რომელიც მილსადენის ოპერატორმა იმ კომპანიებისთვის დააწესა, რომლებიც მისი აქციონერები არ არიან. შედეგად, ტარიფის მოცულობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კონსორციუმის აქციონერებისათვის და მესამე მხარისთვის განსხვავებულია, განსხვავება კი ნავთობსადენში არსებულ თავისუფალ სიმძლავრეზეა დამოკიდებული. [11]

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში ნავთობის მიწოდების დაწყების დროიდან (2006 წლის 2 ივნისი) 2012 წლის 12 იანვრამდე ჯეიჰანიდან მიწოდებულ იქნა 1751 ნავთობით დატვირთული ტანკერი.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი იმ ობიექტების ნუსხაშია, რომელსაც აშშ თავისი ეროვნული უსაფრთხოებისთვის "საციცოცხლო" მნიშვნელობის მქონედ განიხილავს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი გადის სამ ქვეყანაზე კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე.[12]

"ბაქო-თბილისი-ერზრუმის" სამხრეთ კავკასიური გაზსადენი

"ბაქო-თბილისი-ერზრუმის" გაზსადენმა ფუნქციონირება დაიწყო 2007 წლის 3 ივლისს.[13] მისი სიგრძე აზერბაიჯანსა და საქართველოს მონაკვეთზე 691 კმ-ს შეადგენს. (საქართველოს მონაკვეთზე მისი სიგრძე 249 კმ-ა). ბაქო-თბილისი-ერზერუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პარალელურად არის გაყვანილი."ბაქო-თბილისი-ერზრუმის" სამხრეთ-კავკასიური გაზსადენით (პროექტის ღირებულება 1 მილიარდი აშშ დოლარი) საქართველოს, თურქეთისა და შემდგომში ევროპის ბაზრებზე ტრანსპორტირებული იქნება აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სექტორში მდებარე "შაჰ-დენიზისა" და კასპიის ზღვის აუზის სხვა საბადოებიდან მოპოვებული ბუნებრივი გაზი.

შაჰ-დენიზი აზერბაიჯანის უდიდეს გაზის საბადოდ ითვლება.

გაზსადენის პროექტის ხელშეკრულებებში დაფიქსირებულია, რომ საქართველო არის არა მარტო სატრანზიტო, არამედ ბუნებრივი გაზის მომხმარებელი ქვეყანა.[14]

როგორც ტრანზიტული სახელმწიფო საქართველო ტრანსპორტირებული გაზის 5%-ს იტოვებს ტარიფის სახით და ასევე შეუძლია 0,5 მილიარდი კუბური მეტრი შეიძინოს ყოველწლიურად ფასდაკლებით. გრძელვადიან პერსპექტივაში სამხრეთ კავკასიის გაზსადენი გაზს ევროპასაც მიაწოდებს მასთან თურქეთი-საბერძნეთი და საბერძნეთი-იტალიის სადენების შეერთებით. პროექტის ფუნქციონირების დაწყებიდან 20 წლის განმავლობაში საქართველო პროექტის ინვესტორებისაგან ბუნებრივი გაზის დამატებით მოცულობებს (წელიწადში ნახევარი მილიარდი კუბურიმეტრი) სპეციალურ ხელშეკრულების თანახმად, პროექტის ინვესტორები არიან ირანული ფირმა NICO — 10%, თურქული TPAO — 9%, ბრიტანული BP-25 - 5 %, რუსულ-იტალიური LUKAgip - 10 %, ფრანგული TFE - 10 %, აზერბაიჯანული SOKAR - 10 %, და ნორვეგიული STATOIL-25 --5%. ხელმოწერის ცერემონია გაიმართა ნავთობის, გაზისა და ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.[15]

ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო ენერგო სატრანზიტო მარშრუტები საქართველოს ეკონომიკას უზრუნველყოფენ როგორც ფულადი შემოსავლებით ისე ენერგო რესურსე- ბით, ამასთან ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიასაც წარმოადგენენ. ბუნებრივ გაზზე შიდა მოთხოვნის დაახლოებით 60% უზრუნველყოფილია სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზით.[16]

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი არის ახალი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც აერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიზო ხაზებს. ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი წარმოადგენს უფრო გრანდიოზული პროექტის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის რკინიგზების შეერთებას ევროპასთან თურქეთის რკინიგზის გავლით. თურქეთის რკინიგზის განვითარების პროექტით, სტამბულში, ბოსფორის სრუტის ქვეშ, მიმდინარეობს სარკინიგზო გვირაბის ,,მარმარაის" მშენებლობა, რაც უზრუნველყოფს პირდაპირ კავშირს ევროპის რკინიგზების საერთო ქსელთან. ამ პროექტის შესრულებით, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა გახდება ევროპა-კავკასია-აზიის უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო დერეფანი. რომელიც უზრუნველყოფს შეუფერხებელ ტვირთბრუნვას არამარტო საქართველოსა და თურქეთს შორის, არამედ კასპიის ზღვის პირას მდებარე სახელმწიფოების — აზერბეიჯანისა და შუა აზიის ქვეყნების ტვირთების, პირველ რიგში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვას თურქეთის ხმელთაშუა ზღვის, ჯეიჰანის პორტამდე. ჯეიჰანიდან ეს ტვირთები მოხვდება მსოფლიო ბაზარზე და ბოსფორის სრუტის გავლით ევროპაში. ამასთანავე, ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები საქართველოსა და აზერბეიჯანის გავლით რკინიგზით დაუკავშირდებიან ჩრდილოეთის, შუა და შორეული აზიის ქვეყნებს.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მარაბდა — ახალქალაქის, 178-კილომეტრიანი სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას, ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას სადგურ ახალქალაქიდან სადგურ ყარსამდე საერთო სიგრძით 98 კმ. საიდანაც საქართველოს მხარეს არის 30-კილომეტრიანი სარკინიგზო მაგისტრალი ახალქალაქი — კარწახის (თურქეთის საზღვარი) მიმართულებით, ხოლო თურქეთის მხარესაა კარწახიდან ყარსამდე 68 კმ სიგრძის მონაკვეთი.

პროექტი თავისთავად ითვალისწინებს სამგზავრო მატარებლების მოძრაობას და სამგზავრო გადაყვანებს, რაც ასევე მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, ისე თურქეთისთვის, როგორც ტურისტული ქვეყნის მნიშვნელობის გაზრდისთვის.[17]

ამდენად, ამ პროექტს, გარდა რეგიონული დატვირთვისა, უფრო მაშტაბური მნიშვნელობაც აქვს. ერთის მხრივ, ბოსფორის სრუტის გავლით მიმდინარე სარკინიგზო გვირაბის მშენებლობა, ნიშნავს იმას, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზი ევროპასაც დაუკავშირდება, ხოლო მეორეს მხრივ, ამ პროექტში ჩართვის სურვილი, აზერბაიჯანული წყაროების ცნობით, ჩინეთმა და ყაზახეთმაც გამოთქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩინეთი და სხვა აღმოსავლეთ თუ ცენტრალური აზიის ქვეყნები აღნიშნული რკინიგზით ევროპას დაუკავშირდება.

ხოლო, მსგავსი მაშტაბის პროექტის განხორციელება კონკურენციას გაუწევს რუსეთზე გამავალ ტრანციმბირულ მაგისტრალს. თავის მხრივ, ევროპისა და ჩინეთის მზარდი ეკონომიკური ინტერესების ფონზე კი, ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონების და კონკრეტულად, ამ რეგიონებში არსებული ენერგო რესურსების მიმართ აღნიშნული მაგისტრალის მნიშვნელობა იმატებს. სწორედ ამიტომ, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი უკვე მოიხსენიება, როგორც აბრეშუმის გზის აღდგენის მცდელობად. [18]

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის მიმოხილვისას ეკონომიკის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ სამი ქვეყნის ურთიერთობები ძალიან დინამიურად ვითარდება და პრინციპში ეს სამი ქვეყანა სამომავლოდ ახალი ენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი ხდება. ამასთან, პრაქტიკულად ეს არის ერთადერთი დერეფანი, რომლითაც რუსეთთან დაკავშირებული რისკები შეიძლება იქნას აცილებული.

ამრიგად, პროექტში მონაწილე ქვეყნების გეოპოლიტიკური ალიანსი ორიენტირებულია დასავლეთზე და ეს ღერძი ხდება უსაფრთხოების ერთიანი ევროპული სისტემის განუყოფელი ნაწილი. ეს პროცესი ყოველდღიურად სულ უფრო აქტიური ხდება. შედეგად, საქართველოზე გაივლის კავკასიის რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვანი სატრანზიტო ხაზები, რომლებიც აზიასა და ევროპას დააკავშირებენ. ამ არხის არსებობისას ბევრ ქვეყანას ეცოდინება, რომ მისი გამოყენებით შეძლებს თავისი ბიზნეს-ინტერესების დაკმაყოფილებას. პირველ რიგში ცენტრალური აზიის ენერგორესურსებს გაუჩნდებათ დასავლეთისკენ ტრანზიტის ალტერნატიული გზა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა არ გამორიცხა, რომ მაგისტრალის მშენებლობას სხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაც შეიძლება მოჰყვეს. სამი ქვეყნის თანამშრომლობა მაგალითი უნდა გახდეს სხვა ქვეყნებისათვის მშვიდობისა და სოლიდარობის საკითხში. ერდოღანმა ასევე აღნიშნა, რომ სამივე ქვეყანა გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან ადგილზე იმყოფება და თითოეულ მათგანს გეოპოლიტიკური პასუხისმგებლობა აკისრია. დეკლარაცია, რომელსაც ხელი მოაწერეს თურქეთმა, საქართველომ და აზერბაიჯანმა რეგიონული პოლიტიკის ხედვასთან დაკავშირებით, განმარტავს, რომ უმნიშვნელოვანესი რეგიონული პროექტების, მათ შორის ნავთობსადენის, გაზსადენის და რკინიგზის პროექტების განხორციელებისას სამი ქვეყანა იწყებს "ხანგრძლივ და პროგნოზირებად" თანამშრომლობას. ამ თანამშრომლობამ უკვე გაუძლო მრავალ გამოცდას და ექსპერტები ვერც მომავალში ხედავენ რაიმე ფაქტორს, რაც დაარღვევს ამ ქვეყნების ინტერესთა თანხვედრას და თანამშრომლობის შესაძლებლობას.[19]

ამდენად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ორივე ქვეყანას ეძლევა შანსი აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. ამიტომაც სატრანსპორტო დერეფნის სრულფასოვანი ფუნქციონირების გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი პირობაა ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის, თავისუფალი სავაჭრო კავშირის პირობებში სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისება, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ ეკონომიკური სარგებელის საწინდარია.

ამასთან, დიდია მისი პოლიტიკური მნიშვნელობაც. ამ სატრანსპორტო დერეფნის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყო შუა აზიისა და ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ტერიტორიაზე ე.წ. სამხრეთის დემოკრატიული სახელმწიფოების სარტყელის ფორმირების იდეის შემდგომ სრულყოფასა და მსოფლიო ბაზარზე ალტერნატიული დერეფნის ჩამოყალიბებას. [20]

აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის სატრანზიტო როლის გაზრდა გულისხმობს როგორც ტრადიციული სახეობების სატრანსპორტო გადაზიდვებს, ასევე ენერგეტიკული რესურსების გადატანასაც. მსგავსი საერთაშორისო ფუნქცია გაძლიერებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოების ინტერესს საქართველოს, როგორც სატრანსპორტო ღერძზე მდებარე ქვეყნის-დემოკრატიული და სტაბილური განვითარების მიმართ, რაც გულისხმობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობას. ამის გარდა, სატრანზიტო ფუნქციის შესრულება საჭიროებს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას მეზობელ სახელმწიფოებთან და, ზოგადად, რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებას. [21]

ამრიგად, ეს პროექტები დიდწილად განსაზღვრავს:

1. თურქულ-ქართული ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას;
2. თურქეთისა და საქართველოს როლის გაზრდას საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებს შორის;
3. რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას;
4. თურქეთისა და საქართველოს აქტიურ მონაწილეობას ახალი ეკონომიკური და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში;
5. პერსპექტიული ინიციატივების წარმოჩენას, როგორც ქართულ-თურქულ ურთიერთობებში, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა" და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის" პროექტების კოორდინაციისა და მათი განხორციელების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ." საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №492. 2002 წლის 7 დეკემბერი. საკანონმდებლო მაცნე.
2. „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ ხელშეკრულება". საკანონმდებლო მაცნე.
3. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა" და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის" პროექტების კოორდინაციისა და მათი განხორციელების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება. №492. 2002 წლის 7 დეკემბერი.საკანონმდებლო მაცნე.
4. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 2012 წ.
5. Gürcistan'a hangi Türk şirketi enerji yatırımı yaptı? http://www.microsofttranslator.com
6. H. Yildirim. Türkiye-Gürcistan İlişkileri: İşbirliği Alanları, Sorunlar ve Çözüm Önerileri (2) 18/01/2013 • http://akademikperspektif.com/2013/
7. M. Dikkaya – D. Özyakışır. Developing Regional Cooperation Among Turkey, Georgia and Azerbaijan: Importance of Regional Projects.p. 102. Perceptions. Spring-Summer 2008.
8. BP saqarTveloSi. http://www.piersystem.com/go/doc/1335/145153/-BTC-
9. companiis "Botas International Limited" ანგარიში
10. რ. საყევარიშვილი. რადიო თავისუფლება. 13.08.2010 წ.
11. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი 01.12. 2012 წ.
12. ს. პავლიაშვილი "სატრანსპორტო დერეფნის განვითარების თავისებურებანი საქართველოში" (ნაწილი მეორე). http://www.presage.tv/?m=blogs&BAID=16&BID=108
13. http://www.mfa.gov.tr/turkiye_nin-enerji-stratejisi.tr.mfa
14. საქართველოს გაზისა ნავთობის კორპორაცია. http://www.gogc.ge/index.php?m=255
15. http://www.tavisupleba.org/archive/geonews/20020314/1001/1001.html?id=1519469
16. მ.მარგველაშვილი, გ.მუხიგულიშვილი "ენერგეტიკული უსაფრთხოება-ხედვა საქართველოდან"
17. საქართველოს რკინიგზა. http://www.railway.ge/?web=0&action=page&p_id=289&lang=geo
18. გ. ჭიღვარია. "თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან". სადოქტორო ნაშრომი. გვ. 232.
19. მ. მაცაბერიძე. "ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა რეალობა ხდება" ჟურნალი ბიზნესი და მენეჯმენტი. №1(13), თბ. 2007 წ.
21. ბ. გითოლენდია, საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის განვითარების ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის მიმართულებები დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი თბ. 2011წ.

სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოება და მისი როლი ევროპის სამხრეთ დერეფანში

იური ლომიძე, პროფესორი
თამარ შოშიაშვილი, დოქტორანტი

რეზიუმე

სტატია ეხება სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოების პროექტს, რომლის განხორციელებაც საქართველოსა და აზერბაიჯანში უკვე მიმიდნარეობს. სამხრეთ კავკასიური მილსადენი ევროპის ენერგეტიკული სტრატეგიის განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანეს პროექტს წარმოადგენს, რადგან მასზეა დაფუძნებული ევროპის გაზის სამხრეთ დერეფნის კონცეფცია. კონცეფცია, თავის მხრივ, ითვალისიწნებს რუსეთის გვერდის ავლით კასპიის რესურსების ევროპისთვის მიწოდებას. საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას აქვს შესაძლებლობა მიიღოს დამატებითი გაზის მოცულობები, მოახდინოს კომერციალიზაცია და მიიღოს შემოსავალი.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასიური მილსადენი, ევროპის გაზის სამხრეთ დერეფანი, ენერგოუსაფრთხოება.

SOUTH CAUCASIAN PIPELINE EXTENSION PROJECT AND ITS ROLE FOR EUROPE'S SOUTHERN GAS CORRIDOR

I.Lomidze
T.Shoshiashvili

The paper addresses the most important issue for European energy security. The Europe's Southern Gas Corridor concept is presented in the Thesis, in particular, the main projects of Europe's Southern Gas Corridor, their technical and economic parameters are reviewed, including the South Caucasian Pipeline Extension, Trans-Anatolian Pipeline and Trans Adriatic Pipeline projects which should ensure transit of Caspian (at this stage, Azerbaijani) gas to Europe, including review of the construction works planned on the territory of Georgia and expected results

* * * * * *

სამხრეთ კავკასიური მისლადენის (სკმ) აზერბაიჯანს საქართველოს გავლით აკავშირებს თურქეთთან. მისი მეშვეობით ხორციელდება კასპიის ზღვის ოფშორულ შაჰ-დენიზის საბადოზე მოპოვებული გაზის ექსპორტი თურქეთში. როგორც ტერიტორიის მფლობელი ქვეყანა, მილსადენიდან გაზს იღებს საქართველოც.

გაზსადენი ექსლუატაციაში შევიდა 2006 წელს. მისი საპროექტო გამტარუნარიანობა 24 მლრდ.მ3-ია წელიწადში. მილსადენს მართავს კონსორციუმი, რომელმაც სამივე ქვეყანაში (აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი) 25 მლრდ დოლარის ინვესტიცია უკვე განახორციელა.

სკმ-ით შაჰ-დენიზის ბუნებრივი გაზის ტრანზიტის პირობები განსაზღვრულია სამთავრობათაშორისო და მასპინძელ ქვეყანასთან შეთანხმებებით (აზერბაიჯანთან და მმართველ კონსორციუმთან) და ოფიციური და დამატებითი გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით, რომლებიც არეგულირებს გაზის მოწოდების პირობებს ადგილობრივ ბაზარზე.

სატრანზიტო გადასახადის სახით საქართველოს აქვს ოფცია აზერბაიჯანიდან თურქეთში ტრანსპორტირებული გაზის 5% მიიღოს შეღავათიან ფასად. გარდა ამისა, პირველი 20 წლის განმავლობაში საქართველოს შეუძლია შეღავათიან ფასში შეისყიდოს წელიწადში ნახევარ მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზის დამატებითი მოცულობა.

დაწყებულია სისტემის გაფართოების სამუშაოები აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებზე პარალელური მილსადენებისა და დამატებითი საკომპრესორო სადგურების მშენებლობის სახით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება წლიური გამტარუნარიანობის დაახლოებით 24 მლრდ მ3-მდე გაზრდა. 2018 წელს, შაჰ-დენიზის საბადოს მეორე ფაზის ათვისების დასრულების მომენტისათვის, სკმ მზად იქნება გაზრდილი გაზის ნაკადის შეუფერხებელი ტრანსპორტირებისთვის. გაფართოების გეგმით საქართველოში გათვალისწინებულია 63,8 (56+5,3+2,5) კმ სიგრძის 1220 მმ-იანი პარალელური მილსადენის, 2 მძლავრი საკომპრესორო სადგურისა და ახალი გამზომი კვანძის მშენებლობა.

შაჰ-დენიზის პროექტი მოიცავს რამდენიმე სფეროს: ოფშორში 26 წყალქვეშა ახალი ჭაბურღილის გაბურღვას და ორი დამაკავშირებელი პლატფორმის მშენებლობას. აგრეთვე, ონშორში, კერძოდ, სანგაჩალში ახალი საკომპრესორო სადგურის მშენებლობას.

შაჰ-დენიზის საბადოს დამუშავების მეორე ფაზის და სკმ-ის გაფართოების სამუშაოების ღირებულება დაახლოებით 28 მლრდ აშშ დოლარია.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემა სკმ-ს 12-კმ-იანი შემაერთებელი გაზსადენით უერთდება. სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოების დროს, საქართველოში ჩასატარებელი სამუშაოების კაპიტალური დანახარჯები 2 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს, რომლის 20%, დაახლოებით 400 მლნ აშშ დოლარი, ადგილობრივ მიმწოდებლებზე დაიხარჯება. მშენებლობის დროს შეიქმნება დამატებით 2000 სამუშაო ადგილი. საქართველოს პორტებითა და რკინიგზით მოხდება დაახლოებით 350 000 ტონა ტვირთის ტრანზიტი.

სკმ-ის გაფართოება ევროპას შესაძლობას მისცემს პირდაპირი წვდომა ჰქონდეს კასპიის გაზის რესურსებზე, რადგან ევროპის გაზის სამხრეთ დერეფნის კონცეფციის განხორციელება ითვალისწინებს სკმ-ის გაფართოებას ტრანსანატოლიის გაზსადენის მშენებლობას თურქეთის ტერიტორიაზე და ტრანსადრიატიკის გაზსადენის მშენებლობას საბერძნეთის, ალბანეთის და იტალიის ტერიტორიაზე. ეს პროექტები და საბერძნეთ-ბულგარეთის ინტერკონექტორის მშენებლობა ერთად, შექმნის ევროპის გაზის სამხრეთ დერეფანს.

რაც შეეხება კასპიის რესურსებით ევროპის გაზმომარაგების პერსპექტივებს. თურქმენეთს გაზის დიდი საექსპორტო პოტენციალი აქვს, მაგრამ ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტის გაურკვევლობის პირობებში ნალებად სავარაუდოა, რომ მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში, ევროპამ თურქმენული გაზის მიღება შეძლოს. ამის რეალური შესაძლებლობა კასპიის რეგიონში მხოლოდ აზერბაიჯანს გააჩნია, რომელიც შაჰ-დენიზის საბადოს მეორე ფაზის ამოქმედებით ჯამში ექსპორტს 22 მლრდ მ3/წ-მდე გაზრდის. საგულისხმოა, რომ ამ მოცულობიდან ევროპაში მხოლოდ 10 მლრდ მ3/წ გაზი გაიყიდება, რაც იმ დროს ევროპაში გაზზე პროგნოზირებული მოთხოვნის მხოლოდ 2% იქნება. რა თქმა უნდა, კასპიის რესურსებს ევროპის გაზის ბაზრის დივერსიფიცირების საქმეში საკუთარი როლი გააჩნია, მაგრამ ევროპის გაზის სამხრეთ დერეფანში ახლო აღმოსავლეთის გაზის ჩართვის გარეშე, ევროპა რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირებას, სავარაუდოდ, ვერ მოახერხებს, მიუხედავად იმისა, რომ ზრდის განახლებადი ენერგიის წილს ენერგობალანში, აშენებს ინტერკონექტორებს ქვეყნებს შორის და ზრუნავს გათხევადებული გაზის ტერმინალების ინფრასტრუქტურის შექმნაზე.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს (ახლო აღმოსავლეთის გაზს ევროპის ბაზარზე, განახლებადი ენერგიის წილის ზრდას ევროპის ენერგობალანსში, გათხევადებული გაზის ტერმინალების დაგეგმილ პროექტებს) მოსალოდნელია, რომ აზერბაიჯანმა შაჰ-დენიზის მესამე ფაზის და სხვა საბადოებში დამარაგებული გაზი ევროპაში, დაბალი მოთხოვნის პირობებში, ვერ გაყიდოს ან დაბალ ფასად მოუწიოს მისი დაკონტრაქტება. ამ დროს საქართველოს მიეცემა შესაძლებლობა სამხრეთ კავკასიური მილსადენიდან გაზის დამატებითი მოცულობები ხელსაყრელ ფასად შეისყიდოს და იმ დროისათვის ქვეყანაში გაზზე არსებული დეფიციტი შეავსოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ.გოჩიტაშვილი. ენერგეტიკის ზოგადი მიმოხილვა ქვესექტორებისა და ენერგორესურსების მიხედვით. სუფთა ენერგიის პროგრამა (EC-LEDS)/ III კომპონენტი. თბილისი. 2015
2. BP's Energy Infrastructure Projects in Georgia. Neil Dunn. Tbilisi. March.GIOGIE. 2013
3. Michael Hoffman, Director External Affairs. TAP. "Opening the Southern Gas Corridor" EU- Balkan Summit Sofia, October. 2013. Pres.

ბიზნეს-ინჟინერინგი ჯანდაცვაში

ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის მართვა ჯანდაცვაში

***რუსუდან ქუთათელაძე**, პროფესორი*
***ეკატერინე მოწონელიძე**, დოქტორანტი*

რეზიუმე

ნაშრომში განსაზღვრულია ჯანდაცვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის მოქმედების თავისებურებები, სამედიცინო მომსახურების ბაზრის მოდელი და სამედიცინო დაწესებულებების სახეები.

განხილულია სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო საკუთრებაზე აგებული ჯანდაცვის დაწესებულებების მესაკუთრენი. მოცემულია და ახსნილია თუ როგორ გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე, ეფექტიანობასა და ხელმისაწვდომობაზე ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკა, რეგულირება და მართვა.

შეთავაზებულია სამედიცინო მომსახურების ბაზრის ავტორისეული მოდელი.

Management of Organizational Economic System

R. Kutateladze
E. Motsonelidze

Summary

Organizational economic system features, types of medical facilities and the model of market of medical service are considered in this work.

The types of ownership of health care facilities based on governmental, municipal and private property are observed in this work. The impact of governmental politics, regulations and management on medical service quality, effectiveness and accessibility is shown in this work.

The model of market of medical service is proposed by the author.

* * * * *

ჯანდაცვაში ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების მწარმოებელთა და მომხმარებელთა კავშირისა და ურთიერთობების მართვის ორგანიზებას. ამ სისტემის ელემენტებს შორის ურთიერთ დამოკიდებულება ვლინდება ნებისმიერ დროს, როდესაც ჯანდაცვის ობიექტის პროდუქტი (საქონელი, მომსახურება, შრომა) ხდება სხვათა კავშირში მყოფთა გამოსაყენებელი რესურსი გაიღება ხარჯი-დაფინანსება.

ჯანდაცვის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ სისტემაში ძირითადს წარმოადგენს სამედიცინო მომსახურება, რომელსაც ქმნის და გასწევს სხვადასხვა სახის ჯანდაცვის ობიექტი, რითაც იგი მონაწილეობს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე.

სამედიცინო მომსახურების შემქმნელებსა და გამწევებს მიეკუთვნება: ამბულატორიები, საავადმყოფოები, სტაციონარები, ხანგრძლივი მოვლის, შინ მოვლის, ჰოსპისის, სასწრაფო გადაუდებელი რეფერალის, დამხმარე სერვისების დაწესებულებები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიები. სამედიცინო მომსახურების სახეები მრავალსახა და მრავალფეროვანია. სამედიცინო მომსახურების მომხმარებლის მოთხოვნების სრულყოფილად დასაკმაყოფილებლად ჯანდაცვის ობიექტი უნდა ფლობდეს თანამედროვე სამედიცინო აპარატურასა და მოწყობილობებს, კომპიუტერულ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, მკურნალობისათვის აუცილებელი სადიაგნოსტიკო და ლაბორატორიულ ტექნოლოგიასა და საშუალებებს და განსაკუთრებით მკურნალობის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და თანამედროვე მეთოდებს.

ჯანდაცვის ობიექტები, როგორც ჯანდაცვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის ელემენტები ახდენენ საკუთარ სამედიცინო მომსახურების სახეების განაწილებას და მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც თავის მხრივ ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის საბოლოო მიზანია. განაწილება და მოხმარება თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების მესაკუთრე ჯანდაცვის მომსახურების ობიექტზე და ეკონომიკაზე.

ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს:

მოგების, კაპიტალისა და რესურსების საკუთრების ფორმაზე დამოკიდებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები;

ჯანდაცვის ობიექტის ორგანიზაციის მართვის ორგანიზაციული სახეები და სქემები;

სამედიცინო მომსახურების ბაზრის მონაწილეებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების ფორმები.

საქართველოს ეკონომიკა ვითარდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური რესურსების ბატონობასთან, სადაც ძირითადი გადაწყვეტილებები საქმიანობის განვითარებაზე, მოგებაზე, კაპიტალის გამოყენებასა და

ეკონომიკის მართვაზე მიიღება თვით ობიექტის მიერ დამოუკიდებლად, მაგრამ აუცილებლად გაითვალისწინება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები, მომსახურების მესაკუთრეთა და მოქალაქეთა კონკურენცია.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მოქმედებენ სახელმწიფო მუნიციპალური და კერძო საკუთრების ობიექტები. ყველა შემთხვევაში ნებისმიერი სახის მესაკუთრეს აქვს განსაზღვრული სახის უფლება, რომელშიც შედის უფლებათა მთელი კომპლექსი, მათ შორის მნიშვნელოვანია საკუთრების ფლობა , გამოყენება და განკარგვა. საერთოდ, საკუთრებაზე უფლება ვლინდება მასში, თუ ვინ განკარგავს საკუთრებას, ანუ ვის ააქვს უფლება გაყიდოს, გააჩუქოს, გაცვალოს, გასცეს იჯარით, გააქირაოს, ჩადოს გირაოში, გადასცეს მემკვიდრეობით.

ჯანდაცვის სისტემაში საბაზრო ურთიერთობებმა და მიმდინარე რეფორმებმა გამოკვეთა მესაკუთრეთა შემდეგი სახეები:

კერძო საკუთრება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის საფუძველია და კერძო საკუთრების მესაკუთრენი დამოუკიდებლად ღებულობენ ყველა გადაწყვეტილებას და გააჩნიათ სრული თავისუფლება საკუთრების გამოყენების საქმეში კერძო საკუთრების ობიექტებია, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირები და ობიექტად შეიძლება იყოს მოგება, კაპიტალი, რესურსი და საერთოდ ნებისმიერი ქონება. აქედან გამოირჩევა: ინდივიდუალური მეწარმე, რომელსაც უფლება გააჩნია და ფლობს ქონებას პირადად. ინდივიდუალური მესაკუთრე შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირი;

კოლექტიური საკუთრება, რომელიც მიეკუთვნება კოოპერატიული, პარტნიორული და სააქციონერო. კოოპერატიულ საკუთრებაზე უფლება გააჩნია პირებს, რომლებმაც თავისი სახსრები და შრომა გააერთიანეს, რათა ერთობლივად წარმართონ ეკონომიკური საქმიანობა;

პარტნიორულია საკუთრება, რომელზეც უფლება გააჩნია ორ ან მეტ პირს, იგი იქნება ერთობლივი გადაწყვეტილებით. სააქციონერო საკუთრება ეს არის კოლექტიური საკუთრება, რომლიც იქმნება აქციების გამოშვებისა და რეალიზაციის შედეგად. აქციის მფლობელი არის სააქციონერო საკუთრების სუბიექტი.

სახელმწიფო საკუთრება, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს. საქართველოში განარჩევენ მის ორ ფორმას: სახელმწიფო და მუნიციპალური. ქონება მიემაგრება საწარმოებებსა და დაწესებულებებს, რომლებიც ფლობენ და იყენებენ მას (განკარგვის უფლების გარეშე). მუნიციპალური ქონება მიეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მათ მიერ ხდება მუნიციპალურ საწარმოებებსა და დაწესებულებებზე მიმაგრება გამოყენების მიზნით.

შერეული საკუთრება, რომელიც დაფუძნებულია საკუთრების სხვადასხვა ფორმის შეხამებაზე;

ინტელექტუალური საკუთრება, რომლის ობიექტს წარმოადგენს ინტელექტუალური შრომის შედეგები: გამოგონება, აღმოჩენა, პროგრამები, მოდელები, ტექნოლოგია და ა.შ.

საკუთრების მიმართ ურთიერთობა, საკუთრების ფორმის და სახეების არჩევა ყოველთვის დაკავშირებულია ეკონომიკურ ინტერესების სახეებთან, პირადი, კოლექტიური და საზოგადოების. ჩვენის აზრით, ის რაც სასარგებლოა საზოგადოებისათვის სასარგებლო იქნება ორგანიზაციებისა და თავის თავად ცხადია, იქ მომუშავეებისა და საზოგადოების სხვა წევრებისათვის.

საქართველოში სამედიცინო მომსახურების ბაზარზე სხვადასხვა სახის საავადმყოფოები 2013 წლის მონაცემებით.1 საავადმყოფოთა 42% ეკუთვნის სადაზღვევო კომპანიას, 29% ინდივიდუალური საკუთრებისაა, 18% სხვადასხვა ტიპისაა და 10% სახელმწიფოსი.

დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოში სამედიცინო მომსახურება მიმდინარეობს საბაზრო ეკონომიკის პირობებში და ჩვენის აზრით ჩამოყალიბდა შესატყვისი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემა (ნახ. 1), რომლის განვითარების საფუძველს წარმოადგენს ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკა, რეგულირება და მართვა (ნახ. 1ა). ჯანდაცვის განვითარებასა და საქმიანობაზე დაფინანსების მოდელი (ნახ 1ბ), ჯანდაცვის დაზღვევის მოდელი (ნახ.1გ) და სამედიცინო მომსახურების ბაზრის მოდელი (ნახ.2)

ა) ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკა, რეგულირება და მართვა



ბ) ჯანდაცვის განვითარებასა და საქმიანობაზე დაფინანსების მოდელი



ბ) ჯანდაცვის განვითარებასა და საქმიანობაზე დაფინანსების მოდელი

გ) ჯანმრთელობის დაზღვევის მართვის მოდელი

დაზღვევის სახელმწიფო საყოველთაო პროგრამა

კერძო სადაზღვევო კომპანიები

დ) სამედიცინო მომსახურების ბაზრის მოდელი



ნახ. 1 ჯანდაცვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემა. დამუშავებულია ე. მოწონელიძის მიერ.

ნახ. 2 სამედიცინო მომსახურებისათვის სამედიცინო ქსელის დონეებად მოწყობის სქემა[2].



2 სამედიცინო მომსახურების მოდელი, სამუშაო ვერსია, შჯსდ სამინისტრო, თბილისი 2006.

დროულად მიგვაჩნია თუ საქართველოს მთავრობა დააკანონებს უკვე მოქმედ ჯანდაცვის სახელმწიფო, მუნიციპალურ და კერძო ჯანდაცვის სისტემების ურთიერთსარგებლიან ურთიერთობას შესაბამისი ნორმატიული აქტის მეშვეობით, რითაც ფორმალურ სახეს მიიღებს არსებული მდგომარეობა. ასეთი აქტით დარეგულირდება ჯანდაცვის პოლიტიკის განვითარების პერსპექტივები, და რაც მთავარია უკვე არსებული სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა.

ჯანდაცვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის განსაკუთრებულ ელემენტად მიგვაჩნია სამედიცინო მომსახურების ბაზრის ახალი მოდელი (ნახ.1დ)[1], რომელშიც ფიქსირდება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა და კერძო პრაქტიკის ექიმები, როგორც ბაზრის გამოკვეთილი დამოუკიდებელი მოთამაშენი.

სამედიცინო მომსახურების ბაზარზე კერძო ჯანდაცვის დაწესებულებები და სახელმწიფო და მუნიციპალური ჯანდაცვის დაწესებულებები განცალკევებულია ერთმანეთისაგან და ამ შემთხვევაში, მათი საერთო ინტერესებიდან გამოვყოფდი ბაზარზე წინ წაწევისა და ადგილის გაფართოების ინტერესს, რასაც მათი საქმიანობის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მოქმედ კერძო ჯანდაცვის დაწესებულებების შინა და გარე ფაქტორები მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულების შინა და გარე ფაქტორებისაგან, თანაც მათ შორის არსებობს რეალური კონკურენცია. სამედიცინო მომსახურების მოთხოვნები აიძულებს მათ აამაღლონ მომსახურების ხარისხი და ეფექტიანობა, გააუმჯობესონ ინფორმაციის მიწოდება, რაციონალური გახადონ

1 საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, თბილისი 2012, გვ. 10

მკურნალობა. სამედიცინო მომსახურების მომხმარებლის ინფორმირებულობის დონეზე დამოკიდებულია მოთხოვნის სიდიდე და მოცულობა. მომხმარებელთა უმრავლესობას არ გააჩნია ის ცოდნა და განათლება, რითაც შეძლებდა ის დაედგინა მომსახურების მოცულობა და ფასი, ასევე მას უჭირს შეარჩიოს ექიმი ან სამედიცინო დაწესებულება, რომელმაც უნდა გასწიოს მომსახურება. ამიტომაც არის საჭირო მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება.

შჯსდ სამინისტროს მიერ 2006 წელს დამუშავებულ იქნა სამედიცინო მომსახურების მოდელი (სამუშაო ვერსია), რომელიც ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურების მართვის გაუმჯობესებას (ნახ.2)[2].

სამედიცინო მომსახურების მოდელი. (სამუშაო ვერსია) შჯსდ სამინისტრო თბილისი, 2006.

სამედიცინო მომსახურეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული მოდელი გამოხატავს კერძო და სახელმწიფო და მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემების თანასწორუფლიანობის პრინციპს და ყველა ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირება ხდება ერთ მარეგულირებელ სივრცეში, რომელიც თავისმხრივ ითვალისწინებს ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკას, რეგულირებას და მართვას, რაც სახელმწიფოს პრეროგატივაა და ძირითადი მოვალეობაა. სამედიცინო მომსახურების ბაზარზე სამედიცნო მომსახურების მომწოდებელი ჯანდაცვის დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზება და მართვა (სახელმწიფო ჯანდაცვის ობიექტზე) ხდებოდა სახელმწიფოს მიერ შჯსდ სამინისტროს წარდგინებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დანიშნული აღმასრულებელი მენეჯერის მეშვეობით. ნახაზ 2-ზე მითითებული სამედიცო მომსახურების მიწოდების უწყვეტობის პრინციპს და მომსახურება მიეწოდება ქვეყანაში ორგანიზებულ სამ დონედ.

სამედიცნო მომსახურების მომწოდებელი ჯანდაცვის დაწესებულებების კლასიფიკაცია განსაზღვრულია შჯსდ სამინისტროს მიერ და თითოეული მათგანი შეიძლება წარმოადგენდეს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ რომელიმე სამართლებრივ ორგანიზაციულ ფორმაზე. თავისთავად ცხადია, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ მნიშვნელოვანს წარმოადგენს ისეთი რაციონალური ფორმის შერჩევა, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება ჯანდაცვის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ სისტემას, ამგვარად ჯანდაცვის ობიექტები, რომლებიც წარმოადგენს სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაზე შექმნილ სამედიცინო დაწესებულებებს განსხვავდებიან კერძო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებისაგან, გარდა საკუთრებაზე მიკუთნებისა ასევე შიდა ადმინისტრაციული დაქვემდებარების მიხედვით, იმით რომ ისინი პირდაპირ არ ექვემდებარება არანაირ სახელმწიფო სტრუქტურას. სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო სამედიცნო დაწესებულებებისათვის საერთოს წარმოადგენს ყველა იმ სახელმწიფო რეგულირების ნორმების შესრულება, რაც დადგენილია საკანონმდებლო აქტებით, კერძოდ მოქალაქეთა (მომხმარებელთა) კანონიერი უფლებების დაცვა სამედიცინო მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სტატისტიკური აღრიცხვის წესების დაცვა და სხვა. ორგანიზაციული ეკონომიკური სისტემის განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭება სამედიცინო დაწესებულებების შიდა და გარე ფაქტორებს. ცნობილია, რომ სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის წარმატების მიზნით საჭიროა კარგად ვიცოდეთ შიდა ფაქტორების მართვა. ჩავწვდეთ ფაქტორების გარემოს მოქმედებას, ფლობდეთ, ვიცოდეთ დაწესებულებაზე ფაქტორების გავლენა და წინასწარ განვჭვრიტოდ ისინი. ფაქტორები თავისი ხასიათით ცვალებადია და ისინი მოქმედებენ როგორც დაწესებულების შიდა და ასევე მის გარეთ. გარე ფაქტორები ეს არის სიტუაციური ფაქტორები და ისინი მმართველთა ყურადღების ცენტრშია.

გარე ცვალებადი ფაქტორები ხელს უწყობენ (ან არა) დაწესებულების ფუნქციონირებასა და საქმიანობის ეფექტიანობას. ცვლად შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება მიზნები, სტრუქტურა, ამოცანები, ტექნოლოგიები და ადამიანები.

შჯდ სამინისტრომ 2015 წელს განსაზღვრა სამედიცინო დაწესებულების კლასიფიკაცია, რომელსაც მიეკუთვნება შემდეგი:

-ამბულატორიული დაწესებულებები;

-სტაციონარული დაწესებულებები;

-შინმოვლის დაწესებულებები (ბინაზე) სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი სუბიექტები;

-ჰოსპისი (რესპირატორული მხარდაჭერის უზრუნველყოფის შესაძლებლობებით ან მის გარეშე);

-სასწრაფო გადაუდებელი დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების (რეფერალის) სამსახური;

-დამხმარე სერვისების მომწოდებელი დაწესებულებები;

-საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიები.

თითოეული სამედიცინო დაწესებულებას გააჩნია თავისი მიზანი, რომლიც გამომდინარეობს თავისი დანიშნულებისაგან დაწესებულების სიდიდის მიხედვით გამოიკვეთება მიზნების სახესხვაობა და მრავალფეროვნება. მიზნების კორექტირება ხდება უმაღლესი მმართველობისა და მენეჯერების მეშვეობით. საკუთრების მიკუთვნების მიხედვით სამედიცინო დაწესებულებების მიზნებს შორის შეიძლება ძირითად მიზანს წარმოადგენდეს მოგების მიღება, რადგანაც მოგება არის დაწესებულების განვითარების საფუძველი, ასეთი დაწესებულებები სიცოცხლისუნარიანი ხდებიან მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის პირობებში. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება პერსპექტივის მიზანს, მომავლის განვითარების მიზანს. ჯანდაცვის ორგანიზაციული

2 სამედიცინო მომსახურების მოდელი. (სამუშაო ვერსია) შჯსდ სამინისტრო თბილისი, 2006.

ეკონომიკური სისტემა ყოველთვის ითვალისწინებს სამედიცინო დაწესებულებების მიზნებს სხვადასხვა საქმიანობის წარმართვის მიზნით, როდესაც ისინი აყალიბებენ და ქმნიან სამედიცინო მომსახურების სხვადასხვა სახეებს, ამუშავებენ მკურნალობის ან მომსახურების ახალ ტექნოლოგიებსა და მეთოდებს, მომსახურების ხარისხს. დაწესებულებათა ქვედანაყოფებში ასევე ხდება მიზნების დამუშავება და მიღწევა, რათა შესრულებულ იქნას დაწესებულებების საერთო მიზნები. სამედიცინო დაწესებულებების მეორე ფაქტორს წარმოადგენს სტრუქტურა. მართვის სტრუქტურების ჩამოყალიბება დამოკიდებულია მესაკუთრეზე. რეალურად დღეს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მოქმედებს სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო სექტორის საკუთრებაზე შექმნილი სამედიცინო დაწესებულებები. ამის შესაბამისად ყალიბდება მართვის დონეები და საქმიანობის ორგანიზების სტრუქტურები, რაც ცვალებადი და სხვადასხვა შინაარსობრივი ხასიათისაა. ჯანდაცვის დაწესებულებების საქმიანობის სხვადასხვა მიზნებიდან გამომდინარე ნებისმიერი სამედიცინო მომსახურება იყოფა მრავალრიცხოვან მცირე ოპერაციებად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს შრომის კონკრეტულ სპეციალიზაციას. აქედან გამოვყოფდით მმართველურ შრომას, რომელიც ასევე სპეციალიზებულია.

სამედიცინო დაწესებულებების შიდა ცვლადს წარმოადგენს ამოცანები, რომელიც იყოფა სამ მიმართულებად: მუშაობა ადამიანებთან, მუშაობა შრომის საგნებთან და საშუალებებთან (ტექნიკა, რესურსები, და ა. შ.) მუშაობა ინფორმაციასთან. მმართველური საქმიანობა თავისი ამოცანებით ხასიათდება თავისი მრავალსახეობით და მიმართულია სამედიცინო მომსახურების საბოლოო მიზნისაკენ მომხმარებლის დროულად და ხარისხიანად დაკმაყოფილება.

ცვლად ფაქტორს წარმოადგენს ტექნოლოგია. სამედიცინო მომსახურება სრულდება განსაზღვრული კონკრეტული ტექნოლოგიების მიხედვით. ტექნოლოგიების სრულყოფა და განვითარება მიმდინარეობს საზოგადოების განვითარების შესაბამისად და შეიძლება დიამეტრალურად შეცვალოს ამოცანების მოცულობა და ხასიათი, ასევე, მათზე მართვის მეთოდები და შესაბამისად ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემა.

ცვლადი ფაქტორებიდან განსაკუთრებული ფაქტორია ადამიანები და ორგანიზაციული ეკონომიკური სისტემის მენეჯმენტში უჭირავს განსაკუთრებული ადგილი. სამედიცინო დაწესებულების საქმიანობასა და მიზნებიდან გამომდინარე პერსონალის (სამედიცინო, მენეჯერული, დამხმარე) მოძიება, სწავლება, განაწილება და გამოყენება დაკავშირებულია პიროვნების სტრუქტურაზე, რომელშიც შედის: მოტივი, ხასიათი, ტემპერამენტი, მოთხოვნილებები, უნარები. ამ თვისებებიდან გამომდინარე რთულ ამოცანას წარმოადგენს ადამიანური რესურსების გამოყენება, როგორც განსაკუთრებულ ფაქტორისა.

ჯანდაცვის ორგანიზაციული ეკონომიკის სისტემაში ცვლადი შიდა ფაქტორების ერთობლიობა ქმნის მუშა გარემოს, რომელიც საქმიანობის მართვის პროცესების მეშვეობით მისადაგებულია სამედიცინო დაწესებულებების მოთხოვნებთან და ურთიერთკავშირი და გარემოს მრავალფაქტორიანობა გამოხატავს მისი სირთულის ხასიათს. ორგანიზაციულ ეკონომიკურ სისტემაში მიზნები, ადამიანები, ამოცანები, ტექნოლოგიები, სტრუქტურა ურთიერთკავშირშია და კავშირის ეფექტიანად წარმართვა გამოიყენება და განვითარება უფრო მეტად ზრდის ჯანდაცვის ორგანიზაციული ეკონომიკის სისტემის ეფექტიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გ. ამყოლაძე, მ. ფირცხალავა, მ. ლომსაძე-კუჭავა, გ. კიკნაველიძე „ჯანდაცვის გამაჯანსაღებელ-პროფილაქტიკური და რეკრეაციული ობიექტების მენეჯმენტის მარკეტინგული მიმზიდველობისა და ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება“, სამეცნიერო-საგრანტე პროექტი N252-0802-166, თბილისი 2011.
- რ. ურუშაძე „თანამედროვე საავადმყოფოს ორგანიზაცია და მენეჯმენტი“, საქ. უნივერსიტეტი, თბილისი 2010.
- ო. გერზმავა „ საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“ თბილისი 2013.
- საქართველოს ჯანდაცვის 2011-2015 წწ. სახელმწიფო სტრატეგია, შჯსდ სამინისტრო თბილისი 2011.
- 2014-2020 წლების საქართველოს ჯანდაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია. საქართველოს მთავრობის 2014 წ. 26 დეკემბრის N724 დადგენი;ლება.
- ა. ცერცვაძე, გ. ხანთაძე, დ. ვეკუა „სადაზღვევო საქმე“, თბილისი 2016.
- თ. ვერულავა „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის როლი ჯანდაცვაში ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის სრულყოფის საქმეში, თბილისი, ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი N4, 2015.

მმართველობითი ინოვაციის შედეგები პირველადი ჯანდაცვის პედიატრიულ დაწესებულებებში

ციალა ლომაია, პროფესორი
თამარ ჩახუნაშვილი, დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ეტაპობრივად განხორციელებული სტრუქტურული და მმართველობითი ტრანსფორმაციები. გასატარებელი რეფორმების მთავარ ამოცანად დაისახა ჯანდაცვის სფეროში მოქალაქეების კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფა. ჯანდაცვის სისტემის მმართველობითი ტრანსფორმაციების მთავარი მიზანი -- მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობის შემცირება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდაა. ამ თვალსაზრისით ჯანდაცვა მონაწილეობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განმტკიცების მისიის რეალიზაციაში, რაც მართებულად ითვლება. ნაშრომში ასევე გადმოცემულია ბავშვთა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში მიმდინარე ტრანსფორმაციების შედეგები; გამოკვლეულია თბილისის პოლიკლინიკებში გატარებული რეფორმების შედეგები; ჩატარებულია კვლევა პაციენტთა კმაყოფილების დონის განსაზღვრის მიზნით და გამოტანილია შესაბამისი რეკომენდაცია.

საკვანძო სიტყვები: მმართველობითი ტრანფორმაციები; პირველდი ჯანდაცვის ბავშვთა დაწესებულებები; პაციენტთა კმაყოფილების დონე; ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი.

Results of Managerial Innovation At the Primary Health –Care Pediatric Institutions

Tsiala Lomaia, Professor.
Tamar Chakhunashvi, PHD student

Summary

At the work it is described structural and managerial transformations gradually made through the Georgian Healthcare system in recent years.

The main purpose of the reforms which should be provided was to ensure the Contitutional guarantees of Citizens at the Health-Care area. The main scope of Managarial transformations in Health-Care system is to maintain and reinforce of the health of population, the decrease in morbidity, to increase the average duration of life. From this Point of view the Health-Care is participating in realization of mission of public health reinforcement that is deemed as proper. At the work it is also stated the results of transformations implemented in Children's Primary Health-Care institution; an inspection was conducted in view to determine the level of satisfaction of patients and the appropriate recommendations were made.

keywords: Management transformation;The primary health care institutions for children; Patient satisfaction;Children's Health Center.

* * * * *

მენეჯმენტის თავისებურებებს და ორგანიზაციულ-მმართველობითპრობლემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველადი ჯანდაცვის ბავშვთა დაწესებულებებში. XXI საუკუნემ ჯანდაცვა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, მმართველობითი ინოვაციები და რეფორმები, მათი გამოყენება პრაქტიკაში დარგის სტაბილურობის გარანტია. ბევრი უცხოელი და ადგილობრივი მეცნიერი მუშაობს ჯანდაცვის სხვადასხვა საკითხებზე, მაგრამ ბავშვთა პირველადი ჯანდაცვა საქართველოში და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდების გზების ძიება ფრიად აქტუალური პრობლემაა.

მოცემულ პრობლემას მეტი აქტუალობა შესძინა ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებმა და ჯანმრთელობის სფეროში მიმდინარე რეფორმებმა.

პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე, ქვეყანაში მიმდინარე პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებაზე მიმართული ღონისძიებების დახვეწის საკითხები. მიუხედავად მრავალი მცდელობისა და საკმარისად დიდი ფინანსური მხარდაჭერისა, რეფორმა არა მარტო ვერ ხორციელდება საკმარისი ტემპებით, არამედ ზოგჯერ ქმნის ძნელად გადასაჭრელ პრობლემებს. ამას ადასტურებს მოსახლეობის და სამედიცინო პერსონალის ნეგატიური დამოკიდებულების ზრდა პირველადი ჯანდაცვის სისტემის მიმართ. არსებული მონაცემებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედებს 1400-მდე პირველადი ჯანდაცვის რგოლის დაწესებულება. 90–იანი წლების დასაწყისში დაწყებული სტრუქტურულ ორგანიზაციული ცვლილებების რეფორმის ერთ-ერთ მიზნად პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების საოჯახო მედიცინის ცენტრებად გადაკეთება

გახდა, თუმცა სასურველ ეფექტი მაინც ვერ იქნა მიღწეული. რისთვისაც აუცილებელია მომსახურების ხარისხის გაზრდა და ამ მიზნით მმართველობითი ინოვაციების დანერგვა პირველადი ჯანდაცვის მთელ სისტემაში.

კვლევის მიზანი: ნაშრომი მიზნად ისახავს მმართველობითი ინოვაციების შესწავლას პირველად ჯანდაცვაში და მათ დანერგვას პირველადი ჯანდაცვის ბავშვთა დაწესებულებებში, ორგანიზაციული სტრუქტურის თანმიმდევრულ სრულყოფას. კვლევის მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

1. სამედიცინო მომსახურების მართვის ეფექტიანობისა და მმართველობით ინოვაციებში მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მხრივ, როგორც უცხოეთში დაგროვილი გამოცდილების მიმოხილვა, ასევე საქართველოში მომზადებული ნორმატიული აქტების აღწერა.

2. საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლა და შეფასება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში. სამედიცინო მომსახურებით პაციენტთა კმაყოფილების დონის შეფასება და შედარებითი ანალიზის ჩატარება ბავშვთა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების საერთაშორისო მონაცემებთან.

3. ორგანიზაციული და მმართველობითი ინოვაციების შესწავლა და დანერგვა ქ. თბილისის ბავშვთა პოლიკლინიკებში, დაწესებულების მენეჯმენტის დადებითი და უარყოფითი როლის გამოყოფა და შეფასება.

4. პირველადი ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების ძირითადი ეტაპების ანალიზი, ამ პროცესის ზეგავლენა მთლიანად საზოგადოებაზე.

5. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში, დოკუმენტაციურ ინფორმაციაზე და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, სამედიცინო მომსახურების და მმართველობითი რეფორმების ევოლუციის კომპლექსური ანალიზი.

6. პაციენტთა კმაყოფილების შეფასების კვლევა და საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებით სამედიცინო სერვისების ხარისხის შესწავლა ბავშვთა პოლიკლინიკებში, პაციენტთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა და საერთაშორისო კვლევის მონაცემებთან შედარება.

7. ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით ინოვაციური, მმართველობითორგანიზაციული ღონისძიებების და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავება. რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა ვფიქრობთ შესაძლებელია საინტერესო აღმოჩნდეს სამედიცინო მომსახურების ხარისხის ეროვნული სტრატეგიის შესამუშავებლად, ასევე, მისი სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად.

8. ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქოლოგიური პრობლემის მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრის ფორმირება და ამუშავება.

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი თბილისში არსებული ბავშვთა პოლიკლინიკებში მართვის ორგანოების მიერ ფუნქციების შესრულებაზე დაკვირვება, სოციოლოგიური კვლევები პაციენტთა და თანამშრომლების მონაწილეობით.

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის სისტემის სრულყოფილი მუშაობის უზრუნველყოფა, მითუმეტეს ბავშვებში, მართვის მეთოდების მოქნილი გამოყენება და პაციენტთა მომსახურების გაუმჯობესების გზების მოძიება ინოვაციურ-მმართველობითი საქმიანობის სფეროში სრულიად ახალია. სამედიცინო მომსახურების ხარისხი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხის სტანდარტებს ქვეყანაში არსებული რესურსების მოცულობის გათვალისწინებით. სამედიცინო მომსახურების ხარისხი ნიშნავს პაციენტისთვის სამედიცინო დახმარების გაწევას თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დონის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასურველ შედეგს. პაციენტის აზრი სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც აფასებს მომსახურების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს, გამოსავალს.

ორგანიზაციულ-მმართველობითი ინოვაციების შესწავლა უდაოდ დადებით როლს შეასრულებს სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტთა უფლებების დასაცავად. ვინაიდან სამედიცინო მომსახურების სერვისი თავისი გაგებით, მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მედიცინის მიღწევებს და საუკეთესო კლინიკური პრაქტიკის გამოყენებით პაციენტთა სამედიცინო მომსახურებას გულისხმობს, რომელმაც უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ გარდაქმნებთან და ჯანმრთელობის სფეროში რეფორმების გატარების კვალდაკვალ. დღის წესრიგში დადგა არსებული მენტალური დოგმების რღვევა სამედიცინო პრაქტიკაში და საზოგადოების ინფორმირება ჯანდაცვის სისტემაში აუცილებელი რეფორმის საჭიროების შესახებ. აუცილებელია ჯანდაცვის ისეთი რეფორმის გატარება, რომელიც მაქსიმალურად უპასუხებს თითოეული ინდივიდის საჭიროებებს ჯანდაცვის სფეროში და ამასთან უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ბავშვთა სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ქვეყნის ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესები განაპირობებს პირველადი ჯანდაცვის რგოლის დაწესებულებების მენეჯმენტის დაინტერესებას, რათა მმართველობით საქმიანობაში გამოიყენოს ისეთი მექანიზმები, რაც სამედიცინო პერსონალს უკეთ მუშაობის მოტივაციას შეუქმნის, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას მოსახლეობის მეტად სენსიტიურ ნაწილში.

ამ საკითხების შესწავლას განვითარებულ ქვეყნებში უკვე ხანგრძლივი ისტორია გააჩნია A.Donabedian, 1966; D.Locker and D.Dunt, 1978; J.Ware, 1978; R. Maxwell, 1984. ცუდი არ იქნება ხარისხის გაუმჯობესების

და პაციენტთა უსაფრთხოების საკითხები აქტუალურად განვიხილოთ, როგორც პირველადი ჯანდაცვის რგოლში, ასევე უფრო მაღალ დონეებზეც. ამ საკითხების შესწავლა ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოს ჯანდაცვის სისტემისთვის შედარებით ახალია და ლიტერატურაც მცირე რაოდენობითაა, თუმცა არის ამ თემაზე ნ.გეგეშიძის; პ.ალადაშვილის; ი. სასანიას; თ. ვერულაშვილის, ნ.ფიცხელაურის და სხვათა პუბლიკაციები. მიუხედავად ამისა, სამედიცინო მომსახურების სერვისების მოხმარებისა და სამედიცინო პროდუქტიულობის მაჩვენებელი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც გავლენას ახდენს გაწეული სამედიცინო მომსახურების ეფექტურობაზე, კლინიკურ შედეგებსა და ხარისხზე.

„ჯანმრთელობის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტებით სარგებლობა“ წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვის რგოლის შესახებ 1978 წლის ალმა-ატის დეკლარაციის და 1998 წელს მსოფლიო ექიმთა ასოციაციის მიერ მიღებული ოტავას დეკლარაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას. ამ დეკლარაციების მიზანია სოციალური, ეკონომიკური და ჯანდაცვის სფეროების ერთობლივი ძალისხმევა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში არაერთი რეფორმა ჩატარდა ჯანდაცვის პირველად რგოლში მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, მიუხედავად ამისა, პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი და სამედიცინო პერსონალის პროდუქტიულობის მაჩვენებელი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და მომსახურების ხარისხი მოქალაქეთა ძირითადი უფლებებია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, რომელიც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალურ ხელშეკრულებებში, შეთანხმებებში, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია UDHR, 1948; საერთაშორისო ფაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ ICCPR, 1966; ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისებურებების შესახებ ECHR, 1950; კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ CHRB, 1997 და სხვ. ისეთი ორგანიზაციების დოკუმენტებში როგორებიცაა: გაერო (UN), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO),იუნესკო (UNESCO), ევროსაბჭო (COE), ევროკავშირი (EU) ექიმთა მსოფლიო ასოციაცია (WMA), ექიმ-სპეციალისტთა ევროპული კავშირი (UEMS) და სხვ. ასევე ეროვნულ დოკუმენტებში: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ”, საქართველოს კანონი „პაციენტთა უფლებების შესახებ“ და სხვ.

მომსახურების სფეროს სწრაფად ზრდა XX საუკუნის მეორე ნახევარში, განაპირობა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის სწრაფმა ტემპებმა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მატებამ. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ წარმოების გაფართოება და ბაზრის გაჯერება საქონლით, პირველ რიგში, ზრდის მომსახურებაზე მოთხოვნას. მომსახურების სფეროს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის დინამიკაზე და მთლიანად ეკონომიკურ ზრდაზე. მომსახურების სფერო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს შორის ოპტიმალური პროპორციების ფორმირებაში, ოჯახის ბიუჯეტის შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის რაციონალური პროპორციის ფორმირებაში, ასევე, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ქალთა შრომის გამოყენებისათვის და ამით გარკვეულ როლს თამაშობს დასაქმების სქესობრივი სტრუქტურის პროპორციულობის დაცვაში.

სამედიცინო მომსახურებას აქვს საზოგადოებრივ-სოციალური ეფექტი და პირველადი ჯანდაცვის სექტორის როლი ამ საქმეში არსებითია. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პირველადი ჯანდაცვის სექტორში მართვის ორგანიზაციას, ფორმებს და მეთოდებს. მართვის პროცესის განმსაზღვრელი არსებითი ინდიკატორები დაკავშირებულია სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის თავისებურებებთან.

ჯანდაცვაში, სამედიცინო საქმიანობის მართვა ორიენტირებულია სამედიცინო საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, განაწილებასა და მოხმარებაზე, ამ პროცესის მონაწილეებზე და გარკვეულწილად პაციენტებზე, როგორც სამედიცინო სერვისების მომხმარებლებზე.

მენეჯმენტის განვითარება ძირითადად მიმდინარეობს ევოლუციური პროცესებით, ხასიათდება უწყვეტობით და ორიენტაციით მიზანზე, სტრატეგიაზე და ორგანიზაციის ამოცანებზე. მართვის ყველა წინამორბედი მეთოდებისაგან განსხვავებით, თანამედროვე მენეჯმენტი თავის თავში მოიცავს მუდმივ განახლებას, შესაბამისად პროცესის მიმდინარეობისას მიზანი და სტრატეგია, კონკრეტული ამოცანები, მართვის ორგანიზაცია და მეთოდები განიცდიან ცვლილებებს.

მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებაში.

ტრადიციულად სამედიცინო მომსახურება ფასდება შემდეგი 3 მიმართულებით: სტრუქტურა, პროცესი და გამოსავალი.

ა. სტრუქტურა მოიცავს სამედიცინო მომსახურების გაწევისათვის აუცილებელ საშუალებებს, მათ შორის მატერიალურ რესურსებს და ორგანიზაციულ მახასიათებლებს. სტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, რომელიც თანამედროვე მედიცინის გამოწვევებს პასუხობს.

ბ. პროცესში იგულისხმება სამედიცინო მომსახურების ინტერაქცია, სამედიცინო მომსახურების გამწევსა და პაციენტს შორის, მომსახურების უწყ-

ვეტობა.

გ. შედეგი ასახავს გაწეული სამედიცინო მომსახურებით გამოწვეულ ცვლილებებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომრეობაში. (ქცევის შეცვლა, სამედიცინო მომსახურებით პაციენტის კმაყოფილება.).

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ეტაპობრივად დაიწყო სტრუქტურული და მმართველობითი ტრანსფორმაციები. გასატარებელი რეფორმების მთავარი ამოცანაა ჯანდაცვის სფეროში მოქალაქეების კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფა. ჯანდაცვის სისტემის მმართველობითი ტრანსფორმაციების მთავარი მიზანი არის მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობის შემცირება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა. ამ თვალსაზრისით ჯანდაცვა მონაწილეობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განმტკიცების მისიის რეალიზაციაში, რაცმართებულად ითვლება სახელმწიფოსა და საზოგადოების მთავარ მიზნად. ჯანდაცვის მართვის მეთოლოგიის შემუშავებისა და ამ სფეროს საქმიანობის სპეციფიკისათვის ყველაზე ადექვატური და მეცნიერულად დასაბუთებული მმართველობითი ტრანსფორმაციების დანერგვისათვის.

პაციენტთა კმაყოფილების კვლევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც კარგად ასახავს სამედიცინო მომსახურებით პაციენტთა კმაყოფილების დონეს. მსოფლიოში პაციენტთა უფლებების მოძრაობის გაძლიერებამ, ხელი შეუწყო პაციენტთა კმაყოფილების შესწავლის დონის გაზრდას. ასევე მნიშვნელოვნად იმოქმედა საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ და პაციენტის გადანაცვლებამ მომხმარებლის რანგში. პაციენტთა აზრის შესასწავლად, შემუშავებულია მრავალი ელემენტი. არსებული ლიტერატურის შესწავლამ დაადასტურა, რომ თანამედროვე ეტაპზე ფართოდ გამოიყენება როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევები.

პაციენტთა აზრი სამედიცინო მომსახურების შეფასების ერთ-ერთი მგრძნობიარე მაჩვენებელია, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესაბამისად სათანადო შედეგის მიღებას, რომელიც დაეხმარება ორგანიზაციას მმართველობითი ნოვაციების გატარებაში.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევებში ნათლად ჩანს პაციენტთა კმაყოფილების დონის ზრდა და მათი დამოკიდებულება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მედ. პერსონალთან.

1. კითხვა: როგორ შეაფასებთ ზოგადად პირველადი ჯანდაცვის რგოლს საქართველოში?

ცხრილი 1

	სულ გამოკ-ითხული პაციენ-ტები.	პასუხი	%
ა. კარგი;	1900	1292	68
ბ. საშუალო;	1900	380	20
გ. ცუდი;	1900	95	5
დ. თავს შეიკავებ პასუხისგან.	1900	133	7

პირველი კვლევიდან ჩანს, რომ ზოგადად პირველადი ჯანდაცვის რგოლის მომსახურებას პაციენტთა საშუალოდ 68% დადებითად აფასებს.

სქემა 1



ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე შეგვიძლია შევაფასოთ აღნიშნული კლინიკების მენეჯმენტის დადებითი პოზიციები, თუმცა სრულყოფილებამდე და საერთაშორსო სტანდარტებთან შესაბამისობაშიმოსაყვანად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

პაციენტთა კმაყოფილების დონის კიდევ უფრო ასამაღლებლად ერთ-ერთ კლინიკაში "იმედი22"-ში გაიხსნა „ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი", სადაც ხდება ბავშვთა ჯანმრთელობის დონის გაუმჯობესება, არსებული პრობლემების დიაგნოსტირება და მართვა, ჯანმრთელობის პროფილაქტიკა.

შეთავაზებული სერვისები:

1. ბავშვის გლობალური განვითარების შეფასება პედიატრის მიერ;
2. ლოგოპედის კონსულტაცია;
3. ფსიქოლოგის კონსულტაცია;
4. სპეციალური პედაგოგის კონსულტაცია ;
5. ექიმი—რეაბილიტოლოგების, მასაჟის სპეციალისტების კონსულტაცია;
6. ექიმი —ფიზიოთერაპევტის კონსულტაცია;

7. სამკურნალო ცურვა,ჰიდრომასაჟი;
8. ქვიშის სანაპირო, ფიზიკური მასაჟის განსხვავებული მეთოდი ქვიშაში;
9. ჩვილების ცურვა+ვარჯიში (baby spa);
10. ფიტნესი, სპორტული ცეკვა.

ლოგოპედი და მეტყველების სპეციალისტი ეხმარებათ მეტყველების პრობლემის მოგვარებაში, ფსიქოლოგი - ფსიქოლოგიური პრობლემების დიაგნოსტირებაში. წინა საკოლო ასაკის განათლება და განვითარება საკმაოდ პრობლემატური საკითხია. სამ კომპონენტიანი გაკვეთილის დროს (პედაგოგიური, ლოგოპედიური, ფსიქოლოგიური) ხდება არსებულ სირთულეებზე მუშაობა. ექიმი რეაბილიტოლოგი დაეხმარება პატარას მოტორული პრობლემების დროულად დაძლევაში. მოტორული განვითარების ხელშეწყობა ფიზიკური ვარჯიშით არის შესაძლებელი და პირველად საქართველოში აუზი ყველა ასაკის პატარასათვის: ჯანმრთელობის პროფილაქტიკის და არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ბავშვთა ასაკში იდეალურია ცურვა. კომფორტული აუზი ბავშვების, უსაფრთხო და ჰიგიენური გარემო, ინდივიდუალური პროგრამა. აუზში არსებული 5 ტონა წყალი იფილტრება საათში 2—ჯერ. ფიზიკური ფილტრი—კვარცის, ოქროს ქვიშა, ულტრაიისფერი სხივების ფილტრი — ბაქტერიებისგან სრული დაცვა თანამედროვე მედიცინის უახლესი მიდგომებით, ჩვილების ცურვა ყველაზე ბუნებრივი გზაა ბავშვის იდეალური განვითარებისათვის. ახალშობილისათვის წყალი ძალიან მშობლიური გარემოა და 2 კვირის ასაკიდან ცურვა საუკეთესო გზაა იდეალური ჯანმრთელობისათვის.

კომფორტული აუზი ბავშვების, უსაფრთხო და ჰიგიენური გარემო, ინდივიდუალური პროგრამა. ცურვის შემდეგ მსუბუქი ვარჯიში, ანუ ნამდვილი BABY SPA წყალი პატარების ყველაზე საყვარელი გარემოა, იდეალური მათი მოტორული განვითარების ხელშეწყობისათვის.

ორგანიზაციულ-მმართველობით ინოვაციებზე მუშაობის დასაწისში კვლევის მიზნად დავისახეთ „ჯანმრთელობის ცენტრი“-ს გახსნა „იმედი22“-ში, შევადინეთ ბიზნეს გეგმა და განვახორციელეთ 9 თვის წინ მისი პრაქტიკული ამუშავება. რასაც მატერიალურ რესურსებთან ერთად კლინიკის მენეჯმენტის დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

- ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამედიცინო დაწესებულებები განიცდიან ევოლუციას. მმართველობითი ინოვაციების დანერგვამ (ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი) პირველად ჯანდაცვაში განაპირობა ორგანიზაციული სტრუქტურის თანმიმდევრული სრულყოფა.
- ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით ინოვაციური, მმართველობით-ორგანიზაციული ღონისძიებების და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის რეკომენდაციების გამოყენებით მიღწეულ იქნა დადებითი შედეგები, რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა ვფიქრობთ შესაძლებელია საინტერესო აღმოჩნდეს სამედიცინო მომსახურების ხარისხის ეროვნული სტრატეგიის შესამუშავებლად, ასევე, მისი სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად.
- ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქოლოგიური პრობლემის მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრის ფორმირება და ამუშავება ნამდვილად პოზიტიური მოვლენაა პირველადი ჯანდაცვის ქართულ რეალობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. 1995.
2. საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ. 2001.
3. საქართველოს კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ. 2000.
4. ჯანდაცვის სექტორის რეფორმის კონცეფცია. თბილისი 2006 .
5. გერზმავა ო. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და მენეჯმენტი. თბილისი, 1998.
6. გურეშიძე თ. მომსახურების სფეროს მაკროეკონომიკური ეფექტიანობა (საქართველოს მომსახურების სფეროს მაგალითზე). დისერტაცია. თბილისი. 1997.
7. ღვედაშვილი ნ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები ჯანდაცვაში. სამეცნიერო შრომების კრებული «მარკეტინგის 219 აქტუალური საკითხები», გამოშვება V. თსუ გამომცემლობა, თბილისი. 2003.
8. Боханов С.Ю Вапнярская О.Н Предпосылки использования маркетинга в здравоохранении. : Маркетинг в России и за рубежом, 2002.
9. https://matsne.gov.ge/
10. http://www.worldbank.org
11. http://www.labour.org.uk/health/
12.http://wwwrnc.org/GOPInfo Platform/2000platform5.
13.http://www.who.int

ბიზნეს-ინჟინერინგი ფილოლოგიაში

პრესკრიფციული ნორმა და ინოვაციები ენაში

ეკა რუსიეშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი

რეზიუმე

მსოფლიო ინტერნეტ-ქსელი არის ახალი არხი, რომელიც წარმოიქმნა XX საუკუნის დასასრულს. ეს არხი გამოირჩევა სპეციფიკურობით, რომელიც განასხვავებს მას როგორც ზეპირი არხის, ასევე წერილობითი არხისაგან.

ინტერნეტში კომუნიკაციის ფორმების მრავალფეროვნების (ელექტრონული ფოსტა, ფორუმი, ჩატი) მიუხედავად, სწორედ ჩატები წარმოადგენს ყველაზე პერსპექტიულ კვლევის ობიექტს იმასთან დაკავშირებით, რომ მასში, სხვა ფორმებთან შედარებით, ყველაზე მეტად ვლინდება არხის სპეციფიკა.

არხის კატეგორიალურ თვისებებს შორის, როლებიც განსაზღვრავენ მეტყველების წარმოქმნას ჩატში, შეიძლება გამოიყოს: 1) არხის მაფორმატებელი თვისებები; 2) წარმოქმნის გამოყენებული სუბსტანცია.

არხის მაფორმატებელ თვისებებს განეკუთვნება: 1) მეტყველების წარმოქმნის წინსვლითი, შეუქცევადი პროცესი; 2) აზრის წარმოებისა და მისი ვერბალური აღნიშვნის სინქრონულობა 3) წინსვლითი ხასიათის მქონე პროცესუალობის უშუალო-რეფლექსიური ტიპი.

საკვანძო სიტყვები: პრესკრიფციული ნორმა, ინოვაცია, კოდიფიცირება, აბრევიატურა, ვარიანტულობა, უზუსი.

Prescription Norm and Language Innovation

Eka Rusieshvili, Doctor

Summary

The Internet is a new channel for the network, which was created at the end of XX century. This channel is distinguished by its specificity, which distinguishes it as an oral channel, the channel is also written.

The forms of internet communication diversity (e-mail, forum, chat), however, the most promising research of the rooms in regard it, compared to other forms, mostly revealed the specifics of the channel.

The categorical qualities, which are determined by the formation of speech in the chat, can be distinguished: 1) channel formatted properties; 2) used to generate the substance.

Formatted channel features include: 1) speech-generating success, irreversible process; 2) production of thought and its verbal indications of synchronism; 3) having the character of advancement procession direct-reflective type.

Keywords: prescription norm, innovation, codified, abbreviation, variants, uzus.

* * * * *

ინტერნეტი, როგორც მეტყველების წარმოქმნის არხი, უმთავრესად გამოიყენება მოსახლეობის ყველაზე დინამიური ნაწილის მიერ. ეს ფაქტი გვაძლევს საშუალებას ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ელექტრონული დისკურსის ის თავისებურებები, რომლებიც დღეს შეინიშნება, მომავალში შეიძლება აისახოს ენობრივ ნორმაზე.

გრაფიკის, ორთოგრაფიის, ლექსიკის, სინტაქსის დონეებზე ერთი და იგივე მოვლენების ხშირი განმეორებადობა გვაძლევს საფუძველს ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ ინტერნეტ-ქსელში იქმნება (თუ უკვე არ არის შექმნილი) საკუთარი ენობრივი ნორმა. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რას წარმოადგენს ელექტრონულ დისკურსში მიმდინარე მოვლენები ნორმის, როგორც ლინგვისტური ცნების თვალსაზრისით, საჭიროა მკაფიოდ განვსაზღვროთ, როგორ გვესმის თავად ნორმა. განვიხილოთ, როგორ განმარტავენ მას ენათმეცნიერები.

ერთის მხრივ, ენობრივ ნორმაში ლინგვისტები ტრადიციულად გულისხმობენ იმ მოვლენებს, რომლებიც ძალზე ხშირად გამოიყენება ამა თუ იმ ენობრივ თანამეგობრობაში მოხერხებულობისა და მოთხოვნილი მნიშვნელობის ოპტიმალურად გამოხატვის ფუნქციონალური უნარის გამო. მოცემულ შემთხვევაში ლინგვისტურ ლიტერატურაში საუბრობენ უზუსზე ან ენის ნორმაზე. მეორე მხრივ, - კომუნიკაციის პროცესში გადარჩეული გამოხატვის ეს ყველაზე მისაღები საშუალებები განმტკიცდება ლექსიკონებსა და ცნობარებში ან კოდიფიცირდება და ამით პრესკრიფციულ ან კოდიფიცირებულ ნორმად იქცევა.

ნორმის ეს ორი ასპექტი ურთიერთდაკავშირებულია. ყველაზე მოსახერხებელი ენის გამოყენების ვარიანტები გამოიყენება დიდი ოდენობით ენობრივი სუბიექტების მეტყველებაში და რომელიღაც "კრიტიკულ" რაოდენობრივ ნიშნულამდე მისვლის შემდეგ ხდება ჯერ ენის ნორმად იქცევა, შემდეგ კი კოდიფიცირდება. კოდიფიკაციის შემდეგ ეს მოდელები ხდება "მიბაძვის ნიმუშები", რომელიც ზოგადად სავალდებულოა ლიტერატურული ენის ყველა მატარებლისთვის.

ამასთან დაკავშირებით, გვერდს ვერ ავუვლით საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ მკვიდრდება ზოგი-

ერთი გამოხატვის საშუალება ენაში, ზოგი კი - არა. ყოველი ადამიანის სამეტყველო შემოქმედება ინდივიდუალურია და თუ ინოვაცია კომუნიკაციურად წარმატებულია, მაშინ მას იოლად იღებს ენობრივი თანამეგობრობა.

ეს მოვლენა შეინიშნება ელექტრონულ დისკურსში. გამოხატვის ყველაზე მოსახერხებელ საშუალებებს ადვილად ითვისებს მომხმარებელთა უმრავლესობა და, ამრიგად, ყველაზე ხშირად გამოყენებადი ხდება. ეს გამოიხატება ინტერნეტისათვის ტრადიციულად ქცეულ ორთოგრაფიული ნორმებისგან გადახვევაში, ლექსიკური შეთანხმებებისა და სიტყვათა რიგის თავისებურებებში, ქსელის ყველაზე აქტიურ მომხმარებლებს შორის შექმნილ განსაკუთრებულ სამეტყველო ეტიკეტში. საჭიროა გავიხსენოთ ელექტრონულ დისკურსში დაფიქსირებული ასეთი დიდი ოდენობის ინოვაციების შესაძლო ფსიქოლოგიური წანამძღვრები. ადამიანები, რომლებიც აღიქვამენ ინტერნეტს, როგორც რაღაც ახალს, მზად არიან სხვადასხვა ინოვაციებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველდღიურ სამეტყველო პრაქტიკასთან შედარებით ნაკლებად კრიტიკულად არიან განწყობილი ყოველგვარი სიახლისადმი. თუმცა, ინტერნეტში, ზოგად ტენდენციებთან ერთად შეინიშნება ინდივიდუალურიც, რომლებიც არა მხოლოდ ვრცელდება, არამედ ხშირად შეუმჩნეველიც კი რჩება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ასეთი ინოვაციები კომუნიკაციურად წარმატებული სულაც არაა.

ამრიგად, სახეზეა ორი ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს ენობრივ შემოქმედებაზე. ერთის მხრივ, ეს არის ენობრივი სისტემა, რომლის ფარგლებში დარჩენისას ენის სუბიექტი იმყოფება მისი გავლენის ქვეშ და შეზღუდულია მის მიერ. მეორე მხრივ, ამ სისტემას გააჩნია მუდმივად განახლებადი სტრუქტურა. მიუხედავად სიმკაცრისა, იგი უშვებს ცვლილებებს. ამ ორი ფაქტორის ურთიერთქმედება ქმნის სწორედ ინოვაციებს, რომლებიც შეინიშნება ენაში საერთოდ და, კერძოდ კი, ელექტრონულ დისკურსში.

პირველ ფაქტორს შეიძლება ვუწოდოთ შიდაენობრივი, მეორეს კი -სოციოკულტურული. პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ენის ნორმასთან, მეორეში კი - მეტყველების ნორმასთან. სოციოკულტურული ფაქტორები უშუალოდ გავლენას ახდენს ენის ნორმაზე და აიძულებს ამა თუ იმ ენობრივი თანამეგობრობის წარმომადგენლებს ან აირჩიონ ენაში უკვე არსებული შესაძლებლობები ან შექმნან ახალი, ხოლო შიდაენობრივი ფაქტორი, ერთის მხრივ, შესაძლებლეს ხდის, ხოლო მეორე მხრივ - ზღუდავს გამოყენებული ამა თუ იმ სამეტყველო ფორმის კოდიფიკაციას. გარდა ამისა, ენის განვითარების ყოველი ეტაპისათვის უნიკალურმა ამ ფაქტორების თანაფარდობის კომბინაციამ და თანმიმდევრულმა მონაცვლეობამ მიიყვანა კაცობრიობა იმ ენობრივ მრავალფეროვნებამდე, რაც ამჟამად არსებობს მსოფლიოში და ყოველი ხალხი - იმ ენამდე, რომელზედაც იგი საუბრობს.

ერთ-ერთი ნაშრომი, რომელიც უშუალოდ მიეძღვნა ენობრივი ნორმის შეცვლას, არის ე. კოსერიუს კვლევა. ავტორს ენობრივი ცვლილებები შემდეგნაირად ესმის: "ენა სწორედ იმიტომ იცვლება, რომ იგი მზა ფორმით კი არ არსებობს, არამედ უწყვეტად იქმნება ენობრივი საქმიანობის პროცესში. მოსაუბრე ქმნის ან აყალიბებს თავის გამონათქვამებს, იყენებს არსებულ ტექნიკასა და მასალას, რომლებსაც მას აძლევს მისი ენობრივი ჩვევები". თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკაში ეს პროცესები აღწერილია, როგორც ათვისებული "პრესკრიპციული წესების" გაუცნობიერებელი დაცვა. იმას, რაც არ შეესაბამება ამ წესებს, ე. კოსერიუ უწოდებს ინოვაციას. ინოვაციად იგი მიიჩნევს:

- ტრადიციული მოდელების დამახინჯებას;
- ენაში არსებული ვარიანტებიდან ერთ-ერთის არჩევას;
- სისტემურ განათლებას (ფორმების გამოგონება სისტემის შესაძლებლობების შესაბამისად);
- სხვა ენიდან ნასესხებ ლექსიკას;
- ფუნქციონალურ ეკონომიას (მეტყველებაში ჭარბად არსებული განსხვავებების უგულებელყოფა).

ასეთი კლასიფიკაცია რადგანაც იძლევა ელექტრონულ დისკურსში დაფიქსირებული ინოვაციების სისტემატიზების საშუალებას. იმასთან დაკავშირებით, რომ ინტერნეტში ენით სარგებლობის თავისებურებები ჩამოყალიბების სტადიაზეა, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა დავაკვირდეთ რომელ ინოვაციებს იღებენ ქსელში და რომელს - არა. კვლევის კორპუსის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინოვაციათა ყველა სახე, გარდა სისტემური განათლებისა, კარგად "მუშაობს" ელექტრონულ დისკურსში.

ტრადიციული მოდელების დამახინჯება - ელექტრონულ დისკურსში ყველაზე გავრცელებული ხერხია. თუ ასეთ მოდელად ჩავთვლით ტრადიციულ ორთოგრაფიას, იგი იცვლება საკვლევ ენაში. ამასთან, ორთოგრაფიული ნორმებიდან გადახვევით შექმნილ დაწერილობათა უმეტესობას წარმატებით აღიქვამენ ადრესატები.

ტრადიციული მოდელების დამახინჯება მჭიდროდაა დაკავშირებული ინოვაციათა მეორე სახესთან - ენაში არსებული ვარიანტებიდან ერთ-ერთის არჩევასთან. ენის სისტემა წარმოადგენს შესაძლებლობების ერთობლიობას ამა თუ იმ მნიშვნელობების გამოსახატად, ამასთან სამეტყველო საქმიანობაში რომელიღაც ამ შესაძლებლობათაგანი გამოიყენება, ზოგიერთი კი - არა. ყველაზე ხშირად გამოყენებული შესაძლებლობები შედის ლექსიკურ ბრუნვაში და ხშირად გამოიყენება.

სხვა ენიდან ნასესხები ლექსიკა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ელექტრონულ დისკურსში. შეიძლება საუბარი სიტყვების განსაზღვრულ რაოდენობაზე, რომელიც მსოფლიო ქსელის მომხმარებლებისთვის საერთაშორისოდ იქცა. ასეთი სიტყვები ბევრი არაა, თუმცა ისინი შეადგენს ნებისმიერი ინტერნეტ მომხმარებლის ლექსიკური მარაგის საფუძველს,

ამიტომაც ისინი ექვემდებარება ყველანაირ რეგიონულ ვარიაციებს.

ფუნქციონალური ეკონომია (მეტყველებაში ჭარბად არსებული განსხვავებების უგულებელყოფა) - გახლავთ ელექტრონული დისკურსის, შეიძლება ითქვას, მთავარი თავისებურება. სწორედ ენობრივი საშუალებების ეკონომია აიძულებს ჩატების ვიზიტორებს გამოტოვონ ასოები სიტყვებში, გამოიყენონ სხვადასხვა სახის აბრევიატურები და სხვა შემოკლებები. თუმცა, ენის მატარებლების ალღო კარნახობს, რა დონემდე შეიძლება შეიცვალოს გამონათქვამი - რა ნიშნულის შემდეგ დაკარგავს იგი ცნობადობას და, აქედან გამომდინარე, კომუნიკაციურ წარმატებულობას.

ეკონომიაზე საუბრისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ ა. მარტინეს გამონათქვამი: "...ენის ევოლუცია ზოგადად განისაზღვრება მუდმივი წინააღმდეგობით ადამიანისთვის დამახასიათებელ ურთიერთობისა და გამოხატვის მოთხოვნილებასა და მის სწრაფვას შორის - მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი გონებრივი და ფიზიკური საქმიანობა". ავტორმა ფონოლოგიური ცვლილებების შესწავლისას შენიშნა, რომ ყოველი ენობრივი თანამეგობრობა კომუნიკაციის პროცესში გამოიმუშავებს ერთგვარ წონასწორობის მდგომარეობას ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართულ მისწრაფებებს შორის.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ასევე გავიხსენოთ ენის ლოგიკის სფეროში მომუშავე ინგლისელი მკვლევარის გ.პ. გრაისის სტატია, რომელიც ეძღვნება ლოგიკისა და სამეტყველო ურთიერთობის კავშირს. მას მოჰყავს ცხრა პოსტულატი, რომლებიც, მისი შეხედულებით, უზრუნველყოფს ვერბალური კომუნიკაციის მაქსიმალურ ეფექტიანობას. გრაისმა ისინი დაყო ოთხ კატეგორიად - რაოდენობა, ხარისხი, ურთიერთობები და საშუალებები. ხარისხის კატეგორიას იგი მიაკუთვნებს ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა ილაპარაკო: 1) არც მეტი; და 2) არც ნაკლები, ვიდრე საჭიროა. ჩვენი კვლევის ემპირიული მასალა გვიჩვენებს, რომ ეს მოთხოვნა მნიშვნელოვანია ელექტრონული დისკურსისათვის და რომ მისი მონაწილეების კრეატიული საქმიანობა მიდის იგივე მიმართულებით - საერთო ტენდენციას წარმოადგენს გამოხატვის ისეთი საშუალებების ძიება, რომლებიც ძალისხმევის მინიმუმით გადმოსცემს ინფორმაციის მაქსიმუმს, გაგების გაძნელების გარეშე.

ეს თეზისი ეხმიანება ე. კოსერიუს მოსაზრებას, რომელიც ენობრივი ინოვაციების გაანალიზების საფუძველზე სვამს კითხვას, თუ როგორ იგებს მსმენელი ან მკითხველი იმას, რაც მას ადრე არ მოუსმენია ან არ წაუკითხავს. ამ კითხვაზე საპასუხოდ იგი აღნიშნავს, რომ ენის სისტემა წარმოადგენს პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციის სისტემას არა მხოლოდ მოსაუბრის (დამწერის), არამედ ასევე მსმენელისათვის (მკითხველისათვის). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენის სისტემა არის შესაძლებლობათა სისტემა. ენის ყოველი მატარებელი წარმოადგენს ამ სისტემის "მატარებელს" და შეუძლია მისი რეალიზება როგორც წარმოქმნისას, ასევე აღქმისას. ამრიგად, გასაგები ხდება, თუ როგორ ხდება გასაგები და აღქმული ელექტრონულ დისკურსში გამოყენებული მრავალრიცხოვანი ენობრივი ინოვაციები. ვარიანტულობა გამონათქვამის აგების დონეზე გულისხმობს ვარიანტულობას მისი აღქმის დონეზე.

სისტემური განათლება (ფორმის გამოგონება სისტემის შესაძლებლობების შესაბამისად) ფართოდ არ არის გავრცელებული ინტერნეტში. სავარაუდოდ, ამისთვის საჭიროა უფრო სერიოზული წანამძღვრები. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ მტკიცება, რომ ნორმა არ შეიძლება იყოს სისტემაზე ფართო, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ შეიძლება მოიცავდეს სისტემის საწინააღმდეგო მოვლენებს. ასეთი მოვლენები შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ სისტემის შესაბამისი გარდაქმნის შემდეგ, ეს კი საკმაოდ რთული და მრავალგანზომილებიანი მოვლენაა, რომელიც მოითხოვს დროის დიდ მონაკვეთს. ამიტომაც მოცემულ მომენტში ელექტრონულ დისკურსში რაიმე სისტემურ გარდაქმნებზე საუბარი ნაადრევია.

ამრიგად, თეორიულად გამართლებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ელექტრონული დისკურსის, როგორც კომუნიკაციის ახალი საშუალებისათვის, დამახასიათებელია საკუთარი ენობრივი ნორმა, რომელიც ეხება ენის სხვადასხვა დონეებს. ფაქტორები, რომლებიც განასხვავებენ ამ ენობრივ ნორმას იმ ნორმისაგან, რომელიც დამახასიათებელია მეტყველების ზეპირი წარმოქმნის ან წერითი წარმოქმნისათვის, განპირობებულია მეტყველების წარმოქმნის არხის კატეგორიალური ნიშნებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. O'Conner P.T., Kellerman S. You Send Me: Getting It Right When You Write Online / Ed. Harcourt, 2002, 256 p.
2. Crystal , D. The Language Revolution. Cambridge. Polity Press, 2004.
3. Бубнова Г. И. Канал порождения речи как компонент когнитивной стратегии. В сб.: Экспериментальные исследования устной речи и овладения языком. М., 2000, стр. 3 – 32
4. Гак В.Г. Структура языка и лингвистическая теория // Современные проблемы романистики: прагматика, семантика, синтаксис: Тезисы докладов VI всесоюзной конференции по романскому языкознанию. Том I. - Москва - Воронеж, 1991. С. 41-42

ეთიკის როლი ორგანიზაციის ეფექტიანობაში

რუსუდან ციცქიშვილი, პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე ორგანიზაციას კონკურენტული უპირატესობისათვის სჭირდება კვალიფიცირებული და მოტივირებული მუშაკი. მუშაკის მოტივაციის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის მისი ეთიკური ფასეულობები. ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ზრუნვა საკუთარი მუშაკების ეთიკური ფასეულობების შესახებ. ხელმძღვანელობამ უნდა მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ორგანიზაციული ეფექტიანობისათვის საჭირო ეთიკური ფასეულობები და დაამკვიდროს ისინი მთლიანად ორგანიზაციასა და თითოეულ მუშაკში ცალ-ცალკე. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს. სწორედ ის უზრუნველყოფს ორგანიზაციის ეთიკური ფასეულობების განმტკიცებას მუშაკების მოზიდვის, შერჩევის, ორიენტაციის, ტრენინგისა და სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ეთიკური ფასეულობების დასამკვიდრებლად ორგანიზაციის ხელმძღვანელობას უნდა ქონდეს რეალისტური წარმოდგენები მუშაკის პიროვნული ეთიკური ორიენტაციების შესახებ. ჩემს მიერ ჩატარებულ კვლევაში მუშაკებს მიეწოდებოდა სხვადასხვა ტიპის ეთიკური ფასეულობები, რომელთაც ისინი აფასებდნენ მნიშვნელოვნების მიხედვით. ყველაზე მნიშვნელოვნად დასახელებული იყო სამართლიანობის ეთიკური ფასეულობები, განსაკუთრებით უმცროს ასაკობრივ ჯგუფში. ეს ცალსახად უმახვილებს ყურადღებას ორგანიზაციების ხელმძღვანელობას სამართლიანობაზე, როგორც ორგანიზაციული ეფექტიანობის ერთ-ერთ ფაქტორზე.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული ეფექტიანობა, მუშაკი, მოტივაცია, ეთიკური ფასეულობები, ადამიანური რესურსების მართვა, სამართლიანობა.

The Role of Ethics in Organizational Effectiveness

Rusudan Tsitskishvili,

Summary

Nowadays organizations requare high qualified and motivated employees for compatative adventage. Employees' ethical values are among motivational determinants. Top management has to take care about employees' ethics, because it is vital for organizational effectiveness. It is necessary to formulate adequate ethical values and implement them. The human resource manager is involved in this process. He/she assists top managers in implementation of ethical values through selection, performance appraisal, rewards, training and different kinds of decision making process.

Managers need to know about employees' personal ethical values. My research investigated ethical values of different kinds of employees. They were evaluating presented values. As results show, the most important ethical values are faireness values, especially for young employees. That is one of the most important determinant of organizational effectiveness is faireness ethical values.

Keywords: organizational effectiveness, employee, motivation, ethical values, human resource management, faireness.

* * * * * *

ბიზნეს სამყარო უფრო და უფრო რთული და დინამიური ხდება. გლობალიზაცია, ტექნოლოგიური პროგრესი, პროფესიული ცოდნის სიმდიდრე და ხელმისაწვდომობა თანამედროვე ორგანიზაციას მაღალ მოთხოვნებს უყენებს. კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად ორგანიზაციას სჭირდება მაღალი კომპეტენციებისა და ძლიერი მოტივაციის მქონე მუშაკები, რომელთაც გაშინაგნებული ექნებათ ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნები და ფასეულობები. ამ ფასეულობების დიდი წილი ეკუთვნის ეთიკურ ფასეულობებს: მუშაკის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და რა — არასწორი. თანამშრომლის ქცევის განმსაზღვრელია აგრეთვე ორგანიზაციის ეთიკური ფასეულობები და ის ეთიკური პრინციპები, რომელთაც ავლენს ხელმძღვანელობა მის მიმართ.

გასული საუკუნის დასაწყისში კლასიკური ორგანიზაციული თეორიის ავტორებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ პოზიცია, რომელზეც მუშაობს მუშაკი, უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული კონკრეტული ამოცანებითა და მოვალეობებით.

დღეს უკვე აღარავის შეაქვს ეჭვი ამაში და სრულიად ნათელია, რომ ორგანიზაციაში თითოეულ ამოცანაზე უნდა იყოს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი. ამდენად, მუშაკის ქცევა განისაზღვრება მის მიერ დაკავებული პოზიციის აღწერილობაში წარმოდგენილი კონკრეტული რეგულაციებით. მაგრამ რაოდენ ზუსტი და ზედმიწევნითიც არ უნდა იყოს ეს რეგულაციები, ისინი ვერ მოიცავენ სრულად თანამედროვე მუშაკის ყველა აქტივობას — ტეილორის ეპოქა დიდი ხანია დასრულდა და დღეს მუშაკის ქცევის ზედმიწევნითი, ამომწურავი გაწერა პოზიციების უმეტესობისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია. თანამედროვე სამუშაო უფრო და უფრო მეტად მოითხოვს მუშაკისაგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას — ფაქტორების მრავალფეროვნება, ბიზნეს პროცესების დაჩქარებული და ნაკლებ პროგნოზირებადი ხასიათი მუშაკს აქცევს უფრო ავტონომიურ ერთეულად. შესაბამისად, ორგანიზაციები აძლევენ მეტ უფლებამოსილებას თავის მუშაკებს და მათი წარმატების გარანტად განიხილავენ პროფესიონალიზმსა და მოტივაციას. მუშაკის მოტივაციას ტრადიციულად უკავშირებენ ორგანიზაციაში არსებული ჯილდოების სისტემას, იქნება ეს ფინანსური კომპენაცია, კარიერული ზრდის შესაძლებლობა თუ სხვა. ამ ჯილდოების სისტემის უდავო მნიშვნელოვნების გვერდზე მოტივაციურ ფაქტორად უფრო და უფრო იკვეთება ორგანიზაციისა და მუშაკის ეთიკური ორიენტაციები. ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც გააკეთო ის, რაც ეწინააღმდეგება შენს მრწამსს მართებულისა და არამართებულის შეასახებ. ამავდროულად თავისთავად ხდება იმ ეთიკური პრინციპების გათვალისწინება, რომელიც აქვს ხელმძღვანელობას თავის მუშაკებთან ურთიერთობისას. ამდენად, წარმოადგენს რა ეთიკა თანამედროვე მუშაკის ქცევის ერთ-ერთ ძირითად დეტერმინანტს, ის არსებითი ფაქტორია ორგანიზაციული ეფექტიანობისათვის და ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უნდა ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს მას. მუშაკის და ორგანიზაციის ერთიანი ეთიკური ხედვა ორგანიზაციის ეფექტიანობის წინაპირობაა.

ორგანიზაციების ეთიკის უპირველესი განმსაზღვრელნი არიან ხელმძღვანელები, იქნება ეს საჯარო თუ კერძო სექტორი. თუმცა კერძო სექტორის შემთხვევაში ხელმძღვანელების როლი ცალსახად უფრო დიდია. მათი ხედვა, ფასეულობები, სტანდარტები და წარმოდგენები განსაზღვრავენ შერჩეული პერსონალის არა მხოლოდ პროფესიონალურ კვალიფიკაციას, არამედ პიროვნულ მახასიათებლებსაც, მათ შორის ინდივიდუალურ ეთიკურ ფასეულობებს. ამავდროულად თითოეულ მუშაკს მოაქვს თავისი ხედვა ორგანიზაციაში და შეაქვს თავისი ფერები ორგანიზაციული ეთიკის საერთო სურათში. მუშაკი არა მხოლოდ ითვისებს ორგანიზაციაში არსებულ ეთიკურ სტანდარტებს, არამედ აგრეთვე გარკვეულწილად შეაქვს საკუთარი წვლილი მასში. ადამიანის ეთიკური ფასეულობები ვითარდება მთელი ცხოვრების განმავლობაში და ამაზე გავლენას ახდენს ოჯახი, სკოლა, ახლობლები, მეგობრები, მასობრივი კომუნიკაცია, ავტორიტეტული ადამიანები, სოციუმის ფართო კონტექსტი. სპეციფიური ფაქტორი არის ე.წ. პროფესიული ეთიკა, რომელსაც ანვითარებენ და იზიარებენ გარკვეული პროფესიის ადამიანების ჯგუფები.

ორგანიზაციის ახალმისულ მუშაკს ორიენტაციის პროცესში რიგ საკითხებთან ერთად აცნობენ ეთიკის წესებსაც. დღესდღეობით მრავალ ორგანიზაციას აქვს ჩამოყალიბებული ეთიკის კოდი, რომელიც წარმოადგენს ფორმალურ წესებსა და სტანდარტებს, დაფუძნებულს ეთიკურ ფასეულობებზე. ეთიკის კოდი უნდა იყოს მარტივი და გასაგები და უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ბაზისური აკრძალვები და მიუღებელი ქცევები, შეზღუდვები, მუშაკის შრომის შედეგებისა და სათანადო ჯილდოების ურთიერთკავშირი, ხელმძღვანელობის და მუშაკის ვალდებულებები და უფლებები, დადგენილი რეგულაციების დარღვევისათვის ადმინისტრაციული ზემოქმედების ფორმები. ეთიკის კოდის საფუძვლად მდებარე ფასეულობების ძირითად კატეგორიებს შეადგენენ უტილიტარული, მორალური უფლებებისა და სამართლიანობის ფასეულობები. პირველი კატეგორიის ფასეულობები უზრუნველყოფენ მაქსიმალურ სიკეთეს ადამიანთა მაქსიმალური რაოდენობისათვის. აქ გადაწყვეტილებისა და ქცევის კრიტერიუმი არის ის, თუ რა იქნება კარგი უმეტესობისათვის. მორალური უფლებების ფასეულობები უზრუნველყოფენ ისეთი ბაზისური უფლებების დაცვას, როგორიცაა პრივატულობა, თავისუფლება, უსაფრთხოება. სამართლიანობის ფასეულობები უზრუნველყოფენ მიუკერძოებელ, სამართლიან პროცედურებსა და ჯილდოების განაწილებას. ეთიკური ფასეულობების ეს სამი ბაზისური ფორმა უნდა იყოს ჩამოყალიბებული, გაცნობიერებული და დამკვიდრებული მენეჯმენტის მიერ. ორგანიზაციის ეთიკა უნდა ორგანულად ერწყმოდეს მის სტრატეგიასა და პოლიტიკას და უშუალოდ უკავშირდებოდეს სტრატეგიულ მიზნებს. ამ პროცესში ხელმძღვანელობასთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერმა. დასავლურ ორგანიზაციებში არსებობს ეთიკის ოფიცერის პოზიცია, რომელზე მყოფი თანამშრომლის უშუალო და ძირითადი საზრუნავი არის ორგანიზაციაში არაეთიკური საქციელის გამოვლენა და სათანადო რეაგირება. ორგანიზაციებში არსებობს ე.წ. ეთიკის კომიტეტებიც, რომელთა საქმიანობაც გულისხმობს ეთიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის პრობლემური საკითხების განხილვასა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღებას.

ეთიკის დამკვიდრებას ორგანიზაციისა თუ ქვედანაყოფის მენეჯერი უზრუნველყოფს უპირველეს ყოვლისა პირადი მაგალითითა და ცხადი კომუნიკაციით. ხელმძღვანელი ვერ მოთხოვს

მუშაკისაგან იმ ეთიკური სტანდარტების დაცვას, რომელთაც თავად არ ითვალისწინებს ან არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მუშაკი ინფორმირებულია ორგანიზაციაში არსებული სათანადო რეგულაციების შესახებ. ცალკეული მუშაკის ეთიკაზე ზრუნვა იწყება კანდიდატის ორგანიზაციასთან შეხების პირველივე ეტაპზე. რეკრუტირების მასალებში უკვე ხაზგასმული უნდა იყოს ეთიკა. წინასწარი გაფილტვრისას კი დაესვას შეკითხვები კანდიდატს ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით. ამ საკითხთან დაკავშირებით გულწრფელობის ტესტები და დოკუმენტაციის გადამოწმება ასევე მნიშვნელოვანია. მეორეს მხრივ კანდიდატი სელექციის ეტაპზევე უნდა ხედავდეს ორგანიზაციის მხრიდან ეთიკურ მოპყრობას. დასავლურ ორგანიზაციებში ეს როგორც წესი კარგად აქვთ გაცნობიერებული და ზრუნავენ თავის კორპორატიულ იმიჯზე - კანდიდატი შეიძლება არ გახდეს ორგანიზაციის თანამშრომელი, მაგრამ მას გააქვს ინფორმაცია ამ ორგანიზაციის შესახებ. გარდა ამისა, თუ მომავალი მუშაკი აღიქვამს, რომ დაქირავების პროცესი შეიცავს უსამართლობის ელემენტებს, მას ექნება ტენდენცია დაასკვნას, რომ ეთიკური ქცევა არ არის მნიშვნელოვანი. ამიტომ სელექციის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ, რომ კანდიდატები ტესტირებისა თუ ინტერვიუს ფორმალურ პროცედურას განიხილავენ სამართლიანად იმდენად, რამდენადაც ის იყენებს სამუშაოსთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს და იძლევა შესაძლებლობას გამოვლენილ იქნეს სამუშაოსათვის რეალურად საჭირო კომპეტენციები. ამასთან, აპლიკანტი უნდა გრძნობდეს ჯეროვან პატივისცემას მისი, როგორც პიროვნებისა და როგორც პროფესიონალის მიმართ, უნდა შედგეს რეალური ორმხრივი კომუნიკაცია და აპლიკანტმა უნდა მიიღოს ამომწურავი უკუკავშირი რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით. ორგანიზაციაში ეთიკისათვის ხელშეწყობა არსებითად აგრეთვე ხდება მუშაკის შეფასებისა და დაჯილდოების პროცესში. ეთიკა მუშაკის შეფასებისას გულისხმობს ცალსახად ნათელ შეფასების სტანდარტებს, ობიექტურ კრიტერიუმებს, შესასრულებელ ამოცანასთან რელევანტურობას, შეფასების პროცესის გამჭვირვალე და სამართლიან ხასიათს. დაჯილდოება კი უნდა შეესაბამებოდეს მუშაკის წვლილს ორგანიზაციული მიზნების მიღწევაში. დაჯილდოების საშუალებით ეთიკის ხელშეწყობა აგრეთვე გულისხმობს ეთიკური ქცევის დაჯილდოებასა და არაეთიკური ქცევის დასჯას. ეთიკის განმტკიცებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ პროცედურებს მიეკუთვნება აგრეთვე ორგანიზაციის ადამიანური რესურსების ტრენინგი. ეთიკის ტრენინგში იგულისხმება დისკუსიები ეთიკური ფასეულობების შესახებ, ეთიკური დილემების გაცნობიერება, ეთიკის კოდისა და პრინციპების გამოყენება არსებული პრობლემების გადასაჭრელად, სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელება ეთიკურად. ამ დროს მუშაკებს ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ პასუხი საქმიანი ურთიერთობების ეთიკასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე, გავარჯიშდნენ პრობლემური სიტუაციების დაძლევაზე. ეთიკის ტრენინგის უზრუნველყოფა ადამიანური ურთიერთობების მართვის მენეჯერის საქმიანობის აუცილებელი შემადგენელი უნდა იყოს, რამდენედაც ის ორგანიზაციაში ეთიკის დამკვიდრების მძლავრი საშუალებაა.

ეთიკის დამკვიდრებაზე ზრუნვისას საჭიროა პირველ რიგში მხედველობაში მივიღოთ ის ეთიკური ფასეულობები და პრინციპები, რომლებიც მუშაკებს აქვთ დროის მოცემულ მომენტში, რამდენადაც ეფექტიანი ზეგავლენის განსახორციელებლად უნდა გათვალისწინებული იქნეს სამიზნის არსებილი მახასიათებლები. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება არათუ არ მივიღოთ სასურველი შედეგი, არამედ საპირისპირო შედეგიც კი მივიღოთ. ჩემს მიერ ჩატარებულ კვლევაში მუშაკები ხუთბალიანი შკალით აფასებდნენ სხვადასხვა ეთიკური ფასეულობების მნიშვნელოვნებას. თითქმის ყველა რესპონდენტი აძლევდა უაღრესად მაღალ შეფასებას სამართლიანობასთან დაკავშირებულ ეთიკურ ფასეულობებს. ცალსახად დიდი აქცენტი სამართლიანობაზე განსაკუთრებით გამოიკვეთა უმცროს ასაკობრივ ჯგუფში. ეს კიდევ ერთხელ შეახსენებს ორგანიზაციის ხელმძღვანელობას სამართლიანობის მიმართ თანამშრომელთა სენზიტიურობის შესახებ.

დასკვნა

თანამედროვე ორგანიზაციისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ეთიკის, განსაკუთრებით კი სამართლიანობასთან დაკავშირებული ეთიკის დამკვიდრებას. ეს უშუალო გავლენას ახდენს მუშაკების შრომით საქმიანობასა და შესაბამისად, ორგანიზაციის ეფექტიანობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიხანაშვილი ნ. (რედ.), თანამედროვე ორგანიზაციების მართვა, სინერჯი ჯგუფი, 2009.
2. Argyle M., The Social Psychology of Work, Penguin Books, 1989.
3. Dessler G., Human Resource Management, Pearson, 2013.
4. Mondy R.W. Mondy J.B., Human Resource Management, Pearson, 2013.
5. Stanwick P.A., Stanwick S.D., Understanding Business Ethics, Pearson, 2009.
6. Вучкович-Стадник А., Оценка персонала, М., Эксмо, 2008.
7. Ландсберг М., Лидерство, М., Эксмо, 2004.

პედაგოგის როლი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განვითარებაში

რომან სამხარაძე, *პროფესორი*
მედეა თევდორაძე, *პროფესორი*
იანინა გიგიბერია, *დოქტორანტი*
მაია ქევხიშვილი, *დოქტორი ინფორმატიკაში*

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია საკმაოდ სერიოზული საკითხი - აუტისტური სპექტრის აშლილობის მოსწავლეთა სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება. მასწავლებლებისთვის შემუშავებულია საერთაშორისო კვლევებზე დაფუძნებული რჩევები. იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს აუტისტური სპექტრის აშლილობის მოსწავლეებთან სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელება ისე, რომ სასწავლო პროცესი კლასის დანარჩენი მოსწავლეებისათვის მორგებული იყოს წლის ბოლოს მისაღწევი შედეგების მიღებაზე, საჭიროა მასწავლებელთა სერიოზული გადამზადება და მათი ჩვეული პრაქტიკის ჩანაცვლება დიფერენცირებული სასწავლო გარემოს შექმნით. უნდა მოხდეს მასწავლებელთა დაოსტატება იმ კუთხით, რომ გაკვეთილები დაიგეგმოს თითოეული მოსწავლის საჭიროებისა და მისი შესაძლებლობის გათვალისწინებით. პროცესი მნიშვნელოვნად ეფექტური იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვით. არსებული პრობლემის მოგვარებას უფრო მეტად შეეწყობა ხელი მასწავლი პროგრამების შექმნითა და მიზანმიმართული გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, ბავშვები აუტიზმის სპექტრის აშლილობით, კინესთეტიკური ინტელექტი, აუდიალურ-ვერბალური ინტელექტი, მუსიკალური ინტელექტი, დიფერენცირებული სწავლება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მასწავლი პროგრამები.

The role of teachers in the progress of children with special educational needs

Ianina Gigiberia, Doctoral
Roman Samkharadze, Professor
Medea Tevdoradze, Professor
Maia Kevkhishvili, Doctor

Summary

In this statement quite serious issue - as planning, organization and assessment of learning process for children with autism spectrum disorders is discussed. There are presented international research-based recommendations for teachers. Serious retraining of teachers and replacement of their practice by organizing differentiated learning environment is needed for successful conduction of the learning process for children with autism spectrum disorder, adequate also for the rest of pupils to reach the results planned by the end of the year. Teachers should have relevant qualification to plan the lessons taking into account needs and ability of each pupil in the class. The process could become more effective by implementing informational technologies in the learning process. The current problem could be solved by creating specific learning programs and their purposeful use.

* * * * *

აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების რიცხვი ბოლო წლებში საკმაოდ გაიზარდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ყოველი 88 ახალშობილიდან 1 იბადება ასეთი აშლილობით. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, უახლოეს მომავალში, ამ ტიპის გადახრა ექნება ყოველ მე-7 ბავშვს. ასეთი მოსწავლეების განვითარებისათვის აუცილებელია სოციუმში მათი ჩართვა და სხვა მოსწავლეებთან ერთად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლა. ამან პედაგოგები სირთულეების წინაშე დააყენა. პედაგოგებს სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება და იმის დეტალური ანალიზი, როგორ მოახდინოს მოსწავლეთა შესაძლებლობის მაქსიმალური რეალიზება. ქვემოთ გთავაზობთ გარკვეულ რჩევებს, რომელიც დაგროვდა საერთაშორისო კვლევების საფუძველზე.

ჩვენ შევჩერდებით და ყურადღებას გავამახვილებთ ჩვენ შევჩერდებით და ყურადღებას გავამახვილებთ:

- აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთა ნაკლოვანებებზე და დამატებით საჭიროებებზე;
- როგორ უნდა წარიმართოს ასეთ მოსწავლეებთან სასწავლო პროცესი.
- საერთაშორისო კვლევების საფუძველზე დადგინდა:

• აუტისტი ბავშვები კარგად სწავლობენ, თუ მათ აქვთ შესაბამისად მოწყობილი გარემო, სადაც ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს. თითოეული ბავშვისათვის კომფორტული გარემოს შექმნა გულისხმობს, რომ მასწავლებელი და მშობელი მორგებულია მის საჭიროებას - სწავლების პროცესში გათვალისწინებულია მისი სწავლის სტილი. მაგალითად, თუ ბავშვს უადვილდება კითხვა/აზროვნება/ანგარიში სიარულის პროცესში, არ უნდა შეიზღუდოს და უნდა მიეცეს მას გადაადგილების საშუალება. ზოგი ბავშვი კარგად სწავლობს ხელით შეხებით (კინესთეტიკური ინტელექტი), ამიტომ მას უნდა მიეცეს დასწავლის პროცესში ყველაფერზე - ასოებზე, ციფრებზე, სიტყვებზე - ხელით შეხების საშუალება. ზოგ ბავშვს უადვილდება მუსიკის თანხლებით სწავლა (მუსიკალური ინტელექტი), ზოგს მოსმენით (აუდიალურ-ვერბალური ინტელექტი), ზოგი მხოლოდ თავისი თვალით წაკითხულს იმახსოვრებს (სივრცით ვიზუალური ინტელექტი) და ა. შ. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული ბავშვის თავისებურება და დასწავლის სტილი.

• ბავშვებს აუტიზმის სპექტრის აშლილობით უადვილდებათ სწავლა, თუ შემუშავებულია მათთვის სავარაუდო გრაფიკი: რას სწავლობენ, როდის სწავლობენ და რას ელიან თითოეული აქტივობის (ან დღის) შემდეგ (ყოველი აქტივობის განხორციელებისას მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომელ აქტივობას ახორციელებს და რას ელის).

• ხშირად აუტისტ ბავშვებს კითხვის პრობლემები აქვთ. მათ ტექსტის წაკითხვის პარალელურად უნდა მიეცეს საშუალება მოისმინონ ტექსტის აუდიო ჩანაწერი. ეს ბავშვს გაუადვილებს კითხვის პროცესს და ხელს შეუწყობს გამართული კითხვის უნარის გამომუშავებას.

• ასეთი ბავშვების უმრავლესობა კარგად აღიქვამს წაკითხულის შინაარსს, თუ პედაგოგები (მშობლები) ნებისმიერი ტექსტის (მხატვრული ტექსტი, ან ამოცანის პირობა) გასააზრებლად გამოიყენებენ თვალსაჩინოებებს - კონკრეტულ საგნებს, ილუსტრაციებს, სქემებს, ცხრილებს.

• ბავშვები აუტისტური სპექტრის აშლილობით კარგად აღიქვამენ სიტყვებს, თუ შესაბამისი ილუსტრაციების ან საგნების ჩვენებით მოხდება მათი დასწავლა. ზმნების აღსაქმელად კარგად მუშაობს შესაბამისი მოქმედების ჩვენება - ანიმაცია. კარგია ისეთი პროგრამების გამოყენება, სადაც კონკრეტული საგანი ან მოქმედება შერწყმულია შესაბამის სიტყვასთან. ზოგჯერ მოსწავლე უკეთ აღიქვამს მთლიან სიტყვებს, ვიდრე მარცვლებად დანაწევრებულს. ასეთი დასწავლის მეთოდები სასარგებლოა არა მარტო აუტისტი ბავშვისათვის, არამედ ჩვეულებრივი მოსწავლისათვის.

• ბავშვებს ამ ტიპის აშლილობით ძალიან ხშირად უჭირთ ლამაზად წერა. ასეთი ბავშვებისათვის ნატიფი მოტორიკის გასავითარებლად მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომპიუტერზე ბეჭდვა. კლავიატურაზე ასოების ძებნისას და ტექსტის აკრეფისას ბავშვი ახდენს ყურადღების მობილიზებას, შესაბამისად უვითარდება კონცენტრაციის უნარი. კარგ შედეგს მივაღწევთ, თუ მოსწავლეს მივცემთ კომპიუტერზე ასოებისა და სიტყვების აკრეფის საშუალებას. შედეგად ის ეჩვევა წინადადებების გამართულად ჩამოყალიბებას და შესაძლოა პატარა მოთხრობებიც კი შექმნას.

• აუტისტი ბავშვების უმრავლესობას აქვთ საყვარელი საგანი, რომლის ჩართვაც სასურველია სასწავლო პროცესში - მაგ. ბავშვს თუ უყვარს მანქანა, შესაძლებელია მისი საშუალებით (რუკაზე „მოგზაურობით“) რუკაზე ქვეყნების მდებარეობის დამახსოვრება.

• ასეთ ბავშვებს უჭირთ ინსტრუქციის ან ბრძანების გრძელი წინადადებების სახით აღქმა. ამიტომ, მათთვის აუცილებელია ინსტრუქციის მოკლე ნაბიჯებად მიწოდება (თუ კითხვა იცის, შესაძლებელია ინსტრუქციის ჩაწერა).

• ბავშვები აუტისტური სპექტრის აშლილობით ძალიან მგრძნობიარენი არიან და ხმამაღალ საუბარს აღიქვამენ, როგორც ყვირილს. ეს აფერხებს საუბრის შინაარსის გააზრების პროცესს. ამიტომ სწავლებისას განსაკუთრებული სიმშვიდის შენარჩუნებაა საჭირო.

• ასეთ ბავშვებს უჭირთ ემოციების მართვა, რისთვისაც საჭიროა სათანადო ისტორიების ხშირად მოყოლა და მართებულ ქცევაზე ყურადღების გამახვილება. ეს უფრო ადვილად განხორციელდება აუდიო ჩანაწერის თანხლებით, შედეგად გაიზრდება მათი მოტივაცია და ბავშვი დაისწავლის მართებულ ქცევას [1].

საერთაშორისო კვლევის ანალიზიდან ჩანს, რომ მასწავლებლის როლი და მისი სათანადო კომპეტენცია არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინკლუზიური განათლებისათვის. სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული კვლევები მოწმობს, რომ სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების წარმატებას განაპირობებს ბევრი ფაქტორი. მათ შორის: გაკვეთილზე განსხვავებული აქტივობების ხშირი მონაცვლეობა, ინდივიდუალური ინსტრუქციები, სწავლების განსხვავებული სტრატეგიები, მრავალფეროვანი სახალისო თვალსაჩინოება, განვლილი მასალის ხშირად განმეორება და ა. შ.

მასწავლებელმა უნდა შეძლოს სწავლების პროცესის სწორად დაგეგმვა, სასწავლო გარემოს ადექვატურად მოწყობა, სასწავლო პროცესის ყველა მოსწავლის საჭიროებაზე მორგებულად განხორციელება - მასალის ადაპტაციის ჩათვლით. ყველა მოსწავლისათვის დროული უკუკავშირის მიცემა,

რასაც საკმაოდ დიდი ძალისხმევა სჭირდება და ფაქტიურად განუხორციელებელი რჩება [2].

ამ ეტაპზე მასწავლებლები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ყურადღების შენარჩუნებას მთელი გაკვეთილის მანძილზე ვერ ახერხებენ. ამის გამო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ვერ აღწევს საგაკვეთილო პროცესში სრულ ჩართულობას, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ნაწილობრივ ჩართულნი არიან სპეციალური პედაგოგის დახმარებით.

მასწავლებელი შემოქმედებითად უნდა მიუდგეს სწავლების პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას, მოიფიქროს მიზნისაკენ მიმავალი გასართობი აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს დასწავლას. ასეთი ტიპის მიდგომებზე უკეთ რეაგირებენ აუტისტი ბავშვები და ამაღლებული მოტივაციით ახერხებენ სასწავლო პროცესში ჩართვას.

აუტიზმის სპექტრის აშლილობის შემთხვევაში, ხშირად ასახელებენ კომუნიკაციის უნარის ნაკლებობას. ეს ხელს უშლის პედაგოგს, მოსწავლე ჩართოს რიგ საკლასო აქტივობებში და შესაბამისად, ხელს უშლის მოსწავლეს სწავლაში. თუმცა არ არის აუცილებელი ასეთი ტიპის ბავშვისათვის კომუნიკაციის უნარის ნაკლებობა - შესაძლებელია ბავშვი კონტაქტს ამყარებს, როგორც თანაკლასელებთან, ასევე, პედაგოგებთან, მაგრამ არსებობდეს სწავლისთვის ხელისშემშლელი სხვა ფაქტორები.

პედაგოგმა ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას და პერიოდულად მოახდინოს მისი კორექცია მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად.

ცხადია პედაგოგებს სჭირდებათ თავიანთი ჩვეული პრაქტიკის შეცვლა და სერიოზული მუშაობა, რათა მიაღწიონ მიზანს და განხორციელდეს სრულფასოვანი ინკლუზიური განათლება.

აუტისტი ბავშვის წარმატებები სასწავლო პროცესში დამოკიდებულია მასწავლებელსა და მას შორის დამყარებულ ურთიერთგაგებაზე. ასეთ მოსწავლეს, ჩვეულებრივი მოსწავლისგან განსხვავებით, სჭირდება არა მარტო ცოდნისა და უნარის შეძენა, არამედ, დამატებით აქცენტი უნდა გაკეთდეს სოციალური უნარების განვითარებაზე. პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის საჭიროება, შესაძლებლობა, ემოციური მდგომარეობა და სხვა ფაქტორები და უნდა მოახდინოს აუტისტი მოსწავლის კლასთან ინტეგრაცია ისე, რომ მას არ გაუჩნდეს არასრულფასოვნების შეგრძნება [3].

მასწავლებელს სჭირდება თავდაუზოგავი შრომა, სიახლეების შესწავლა, სხვისი გამოცდილების გაზიარება, კვლევების ანალიზი, თავისი სწავლების პროცესის რეფლექსია. მას სჭირდება შემოქმედებითი აზროვნების გააქტიურება და თითოეულ პრობლემურ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მიზნისაკენ მიმავალი აქტივობების ინდივიდუალურად შერჩევა, აქტივობის ბოლოს მისაღწევი შედეგის შეფასება და შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კორექტირება. ეს მაშინ, როდესაც პედაგოგი კლასის უმეტეს ნაწილთან (ჩვეულებრივ მოსწავლეებთან) გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, წლის ბოლოს მისაღწევი შედეგების შესაბამისად [4].

საკმაოდ გაუადვილდება მასწავლებელს პედაგოგიკური საქმიანობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართვა სხვა მოსწავლეებთან ერთად და ყველა მოსწავლეზე მორგებული სასწავლო აქტივობის განხორციელება, მათი შეფასება და უკუკავშირი, თუ შეიქმნება მასწავლი პროგრამები და მათი საშუალებით დიფერენცირებულად განახორციელებს სწავლების პროცესს. მასწავლი პროგრამების წყალობით მოსწავლეს ექნება საშუალება შესასრულებელი დავალების ინსტრუქცია მოისმინოს ან წაიკითხოს ხშირად, შეასრულოს შესაბამისი დავალება და მიიღოს სათანადო უკუკავშირი, ისე, რომ სხვა მოსწავლეებს ხელი არ შეეშალოთ. ხოლო შემდეგ კი მოახდინოს კლასთან ერთად საკითხის განხილვა - კომუნიკაციის უნარის განსამტკიცებლად.

დასკვნითი ნაწილი

აუტისტური სპექტრის აშლილობის მოსწავლეების წარმატებები დამოკიდებულია მასწავლებლის მიერ სასწავლო გარემოს სწორად მოწყობაზე, სასწავლო მასალის ადაპტირებაზე, მრავალფეროვანი თვალსაჩინოებების სწორად შერჩევაზე და გამოყენებაზე. ასევე, მიზანზე მიმართული მოკლე და მრავალფეროვანი აქტივობების შერჩევაზე და მათ ხშირ მონაცვლეობაზე, მოსწავლის საჭიროებისა და შესაძლებლობის შესაბამისად დეტალური ინსტრუქციების განმეორებაზე და ხშირ უკუკავშირზე. მასწავლებელი შეძლებს ყოველივე ამის განხორციელებას, თუ ის გადამზადდება და აითვისებს ასეთი ტიპის მოსწავლეებთან მუშაობის სპეციფიკას, დაოსტატდება საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მასწავლი პროგრამების გამოყენებით დიფერენცირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Аутизм и школа. Ирина Дерач. (2013 г).
2. Thomas, G., Glenny, G. Thinking about Inclusion: Whose reason? What evidence? International Journal of Inclusive Education. 2002.
3. ინკლუზიური განათლება - გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. ესგ და შეფასების ცენტრი. 2011.
4. Михальченко К. А. Инклюзивное образование – проблемы и пути решения / К. А. Михальченко // Теория и практика образования в современном мире (г. Санкт – Петербург, февраль 2012 г.)

ინკლუზიური განათლება - პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

იანინა გიგიბერია, *დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვის ძლიერი მხარეები და სირთულეები, რაც თან ახლავს ამ პროცესის განხორციელებას. მოყვანილია საერთაშორისო გამოცდილების კონკრეტული მაგალითები და მითითებები, როგორ უნდა იმუშაოს მასწავლებელმა სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან. განხილულია, სწავლის რომელი მეთოდის გამოყენება არის უპირატესი ასეთი ტიპის მოსწავლეებთან მუშაობისას. მოყვანილია ეტაპების აღწერა, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა მოხდეს უნარის სრული განვითარება (ახალი უნარის სწავლა, დაოსტატება, შენარჩუნება, გენერალიზაცია, ადაპტაცია). აქვე განხილულია ის სირთულეები, რომელიც თან ახლავს შეთავაზებული მითითებების გათვალისწინებას და გამოთქმულია ვარაუდი, რა გზით არის შესაძლებელი ამა თუ იმ ტიპის პრობლემის გადაწყვეტა. ერთ-ერთ შეთავაზებულ მეთოდს წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მასწავლი პროგრამების ჩართვა სასწავლო პროცესში, შესაძლებელია მისი მიზანმიმართული გამოყენებით განხორციელდეს დიფერენცირებული სწავლება ისე, რომ მოსწავლემ თითოეული ეტაპის სრულფასოვან განმტკიცებას მიაღწიოს, შემდეგ ეტაპზე გადასვლამდე კი საჭიროა განიხილოს საკითხი თანაკლასელებთან ერთად, კომუნიკაციის უნარის განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ინტერაქციულ-კონსტრუქტივისტული მეთოდი, დიფერენცირებული სწავლება, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, მასწავლი პროგრამების გამოყენება.

Inclusive Education - Problems and Solutions

Ianina Gigiberia- Doctoral of the Faculty of Informatics and Control Systems

Summary

In this statement the strengths and weakness of implementing the inclusive education is reviewed. Particular examples from the international experience and indications regarding the teachers work with the pupils with learning ability disorder are presented. There are also discussed different learning approaches and methods, better for these types of pupils. The stage descriptions, about the steps of developing the ability (acquiring new skills, acquiring new skills, mastering, maintaining, generalizing and adapting) are presented. Here are also discussed some difficulties, occurring while taking into account these indications and suppositions regarding how to solve these problems are stated. One of the methods represents implementation of the informational technologies and learning programs into the learning process. And by their purposeful use, it is quite possible to conduct differentiated learning process, for each pupil to brace the knowledge at each stage and discuss the issues with classmates before passing the stage, thus developing the communication skills.

* * * * * *

ინკლუზიური განათლების სისტემის შემოღებამ სკოლა და მასწავლებელი ახალი, ურთულესი გამოწვევების წინაშე დააყენა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს სიძნელეები აქვთ სწავლაში, რაც მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარების, ქცევისა და ემოციური განვითარების დარღვევებს უკავშირდება და შესაბამისად, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას საჭიროებს. ინკლუზიური განათლების პროცესის სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭიროა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების შესწავლა, მოდიფიცირება, საქართველოს რეალობაზე მორგება, პედაგოგების მხრიდან კი სისტემატური კვალიფიციური მუშაობა განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების საჭიროებებისა და სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ახალ მიდგომას წარმოადგენს. ის გამყარებულია 2006 წლის გაეროსა და 1994 წლის სალამანკას ხელშეკრულებით („განათლება ყველასათვის“). ამ დოკუმენტის მიხედვით აღიარებულია ინკლუზიური განათლება და შესაბამისად, დაცულია თითოეული ბავშვის განათლების უფლება.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ფართოდ გავრცელებული იყო სამედიცინო მოდელი, რომელიც ეფუძნებოდა მოსაზრებას: საჭიროა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დისკრიმინაცია, რაც გამოწვეულია მათი “დეფექტებით” (შეზღუდული შესაძლებლობები განიხილებოდა, როგორც პიროვნული ნაკლოვანება). სამედიცინო მოდელის მიხედვით, საზოგადოება თავისუფლდებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ პასუხისმგებლობისაგან, მათ მხოლოდ მკურნალობის შემდეგ შეეძლოთ საკუთარი უფლებებით სარგებლობა [1].

მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს

დაიწყო სოციალური მოდელის განვითარება. მას საფუძველი ჩაეყარა დიდ ბრიტანეთში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ძალისხმევისა და ინიციატივის შედეგად (Social Disability Movement). სოციალური მოდელის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ყველა პრობლემა საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ არასწორი დამოკიდებულების, მათი შეზღუდვის შედეგია.

ამჟამად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ერთ—ერთ მთავარ პრიორიტეტსა და გამოწვევას წარმოადგენს. საქართველომ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციას 2008 წელს მოაწერა ხელი. ინკლუზიური განათლების სისტემის შემოღება ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს. ამიტომაც, საქართველოში ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული საკითხები ასახულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

ინკლუზიური განათლება ეს არის განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეების თავის თანატოლებთან ერთად ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლების პროცესი. ინკლუზიური განათლება ინტეგრაციის უფრო ფართო პროცესია, რომელიც გულისხმობს ყველა ბავშვისათვის ერთნაირი განათლების ხელმისაწვდომობას, თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას და სწორად წარმართვას. ინკლუზიური განათლების განხორციელებას სჭირდება სკოლისა და სასწავლო გარემოს რეფორმა, ისეთი ცვლილებების გატარება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება უკლებლივ ყველა მოსწავლის საჭიროება. სასწავლო პროცესი უნდა მოერგოს მოსწავლის განვითარების მოთხოვნილებებს.

სასწავლო დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროცესის ხელშესაწყობად საჭიროა შესაბამისიმ პირობებისა და მოქნილი ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნა ყველა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საჭიროების გათვალისწინება. შედეგად, მოსწავლე კომფორტულად იგრძნობს თავს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია შესაძლებლობის მაქსიმალური რეალიზებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში სრულფასოვანი ინკლუზიური განათლება ჯერჯერობით ვერ მიიღწევა, თუმცა ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იდგმება. სამწუხაროდ, არსებობს ძალიან ბევრი მიზეზი, რომ ინკლუზიური განათლება რჩება მხოლოდ თეორიად და პრაქტიკაში მისი განხორციელება შეუძლებელი ხდება. უფრო ხშირად, სასკოლო გარემოში საქმე გვაქვს ინტეგრირებულ სწავლებასთან და არა ინკლუზიურ განათლებასთან. საერთაშორისო პრაქტიკაში ინტეგრირებული განათლება უკვე დიდი ხანია ჩაანაცვლებულია ინკლუზიური განათლებით [2].

ინკლუზიური განათლების პროცესის მართებულად და სრულფასოვნად განხორციელებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ პედაგოგებს. აქცენტი უნა გაკეთდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ადაპტირებული სასწავლო გარემოს მოწყობაზე, ფსიქოლოგთან ერთად სასწავლო მიზნების შერჩევაზე და სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე.

თანამედროვე მიდგომებით, ახალი ცოდნის მიღებისა და ახალი უნარის ათვისებისათვის მნიშვნელოვანია ძველი ტრადიციული სწავლების მეთოდის ნაცვლად (როდესაც მასწავლებლის მხრიდან ხდებოდა მზა ცოდნის პირდაპირი გადაცემა) ახალი, ინტერაქციულ-კონსტრუქტივისტული სწავლების მეთოდის გამოყენება (როდესაც ცოდნის აგება ხდება მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების საფუძველზე). ეს მეთოდი ემყარება ჯონ დიუის, ჯან პიაჟესა და ლევ ვიგოტსკის თეორიებს. დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე შესაძლებელი გახდა კონსტრუქტივიზმის თანმიმდევრული განხორციელება კონკრეტულ სასწავლო პროგრამებში.

სწავლების მთავარი ხაზია მოსწავლის გამოცდილების მიზანმიმართული გამდიდრება და ყოველი ახალი ცოდნის გამდიდრებულ გამოცდილებაზე დაშენება. მნიშვნელოვანია, რომ ამ დაშენებას თავად მოსწავლე აკეთებს, იგი აქტიურად არის ჩართული პროცესში და თვითონ აგებს ახალ ცოდნას. კეთებით სწავლება - კონსტრუქტივიზმის პრაქტიკული განხორციელებაა. კონსტრუქტივიზმისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ხშირი უკუკავშირი, რათა აზრიანად მიმდინარეობდეს კეთების პროცესი.

განხილული მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის. ახალი უნარის (კითხვის, წერის, ანგარიშის თუ სხვა) სწავლა უნდა განხორციელდეს უშუალო პრაქტიკითა და გამოცდილებით. სასურველია მოსწავლისათვის დეტალური ინსტრუქციების მიწოდება და სათანადო გარემოს შექმნა. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია დეტალური კონსტრუქციული უკუკავშირის უზრუნველყოფა, რათა მოსწავლემ შეძლოს ახალი უნარის წარმატებით გამოყენება [3].

უნარში დაოსტატებისათვის მნიშვნელოვანია ინტენსიური პრაქტიკა (ეს კონკრეტული მოსწავლის საჭიროებისა და შესაძლებლობის მიხედვით სხვადასხვა ხანგრძლივობისა და სიხშირის შეიძლება იყოს).

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროცესის ისეთ წარმართვას, რომ უკვე ათვისებული უნარი არ დაიკარგოს და ინტენსიური მუშაობითა და მიზანმიმართული განმტკიცებით მოხდეს მისი შენარჩუნება.

ძალიან ხშირად, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებს უჭირთ ერთ სიტუაციაში ან გარემოში ნასწავლი უნარის ახალ სიტუაციაში ან

გარემოში გადატანა და გამოყენება - გენერალიზაცია. თუ მოსწავლე მარტივ არითმეტიკულ მაგალითებს კლასში წარმატებით ახორციელებს, მან უნდა შეძლოს იგივე მათემატიკური ოპერაციის განხორციელება როლური თამაშისას - „მაღაზიაში ნივთის ყიდვის შემთხვევაში“. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები ერთ სიტუაციაში ნასწავლ და საკმაოდ განმტკიცებულ უნარს ვერ იყენებენ ახალ სიტუაციაში (სჭირდებათ კარნახი). მათ სჭირდებათ ახალი უნარის მიზანმიმართული გავარჯიშება და წახალისება, რათა ერთ გარემოში ნასწავლი სხვა გარემოში გადაიტანონ [4].

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეს მასწავლებელმა უნდა გააცნოს, როგორ არის შესაძლებელი შეძენილი ცოდნისა და უნარის ახალ სიტუაციაში გამოყენება. შემდეგ მან ხშირად და სწორად უნდა გაავარჯიშოს მოსწავლე განმტკიცებული უნარის სრულიად სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებაში.

ყველაზე მაღალი საფეხურია ადაპტაცია. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ წინა საფეხურები წარმატებით დაასრულა, თავად ერგება ახალ სიტუაციას და ახერხებს ათვისებული უნარის (კარნახის გარეშე) ახალ სიტუაციაში გამოყენებას. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებს უჭირთ ადაპტაცია. მაგალითად, თუ მოსწავლე კარგად ართმევს თავს როლური თამაშის დროს „მაღაზიაში ნივთის ყიდვას“, შესაძლებელია მარტივ პროექტზე მუშაობის პროცესში ვერ განახორციელოს საჭირო გამოთვლები და არ მოხდეს შეძენილი ცოდნისა და უნარის ტრანსფერი. ამ საფეხურზე პედაგოგის მხრიდან კარნახი და წახალისება ხშირად ძალზე სასარგებლოა. თუმცა, მიუხედავად მასწავლებლის ძალისხმევისა, სწავლის უნარის დარღვევის მქონე ყველა მოსწავლე ვერ ახერხებს უმაღლეს საფეხურზე გადასვლას.

ყველაზე მნიშვნელოვანია სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების პროცესში მასწავლებლის მხრიდან დახმარების სწორად განსაზღვრა და დავალებების სწორად შერჩევა. მოსწავლეს არ უნდა განუმტკიცდეს იმის განცდა, რომ დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე დავალების დაძლევა შეუძლებელია და აუცილებლად დაუშვებს შეცდომას. ამის დასაძლევად მასწავლებელმა დახმარების დონე, ინტენსივობა და ხანგრძლივობა სწორად უნდა შეარჩიოს და ინდივიდუალურად მოარგოს თითოეულ მოსწავლეს, დროულად წაახალისოს მოსწავლის აქტიური და დამოუკიდებელი ჩართულობა და ნელ-ნელა შეამციროს დახმარება [5].

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის დახვეწის მიზნით უნდა მოხდეს პედაგოგთა კომპეტენციების გაზრდა, გამოცდილების მუდმივი ურთიერთგაზიარება, სოციალური ინტეგრაციის მხარდაჭერის ფორმების განსაზღვრა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა თავისებურებების გათვალისწინებით სწავლების სტრატეგიების შერჩევა, ინკლუზიური სწავლებისათვის სასწავლო აქტივობების ისეთი სახით ორგანიზება, რომ სასწავლო პროცესი არ შეფერხდეს.

მასწავლებელს სჭირდება თავდაუზოგავი შრომა, სიახლეების შესწავლა, სხვისი გამოცდილების გაზიარება, კვლევების ანალიზი, სწავლების პროცესის რეფლექსია. მას სჭირდება მოსწავლეთა საჭიროებებისა და შესაძლებლობების კვლევა, მოსწავლეების შემოქმედებითი აზროვნების გააქტიურება და თითოეულ პრობლემურ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა. მიზნისაკენ მიმავალი აქტივობების ინდივიდუალურად შერჩევა, აქტივობის ბოლოს მიღწეული შედეგის შეფასება და შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კორექტირება. ეს მაშინ, როდესაც პედაგოგი კლასის უმეტეს ნაწილთან (ჩვეულებრივ მოსწავლეებთან) გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, წლის ბოლოს მისაღწევი შედეგების შესაბამისად.

იგივე პრობლემას აწყდებიან ნორვეგიაშიც, სადაც პედაგოგების უმრავლესობას ჯერ კიდევ უჭირს განსაკუთრებული სასწავლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და ჩვეულებრივი მოსწავლეების ერთ სივრცესა და ერთ დროში სწავლება - მათ სჭირდებათ განსხვავებული აქტივობები, განსხვავებული თვალსაჩინოებები და მეტი დრო, რაც ქმნის პრობლემებს.

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ისრაელსა და ამერიკაში, წარმატებით მიმდინარეობს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა. წარმატების მიზეზი ის არის, რომ ამ პრობლემაზე ზრუნავს სახელმწიფო - პედაგოგებს მუდმივად ეხმარება როგორც მეთოდურად, ასევე ფსიქოლოგიურად და მატერიალურად (სასწავლო რესურსების ჩათვლით).

იმისათვის, რომ პედაგოგებს გაუადვილდეს ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვა - ჩვეულებრივ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ერთ სივრცესა და დროში წარმატებით მუშაობა, უნდა დავეხმაროთ მათ დიფერენცირებული სასწავლო გარემოს შექმნაში. შესაძლებელია შეიქმნას კონკრეტულ მიზანზე მიმართული სასწავლო აქტივობების ბანკი, ზემოთ ჩამოთვლილი საფეხურების (ახალი უნარის სწავლა, დაოსტატება, შენარჩუნება, გენერალიზაცია, ადაპტაცია) შესაბამისად.

მასწავლებელი შეისწავლის რა მოსწავლის შესაძლებლობებს, საჭიროებებს და მიღწევებს, მათი გათვალისწინებით შეარჩევს აქტივობებს. მუდმივი უკუკავშირითა და ყველა კონკრეტული აქტივობის სწორად გამოყენებით შეძლებს მიღწეული შედეგის შეფასებას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კორექტირებას (ყოველი საფეხურის ხანგრძლივობას განსაზღვრავს მოსწავლის საჭიროების მიხედვით).

დიფერენცირებული სასწავლო პროცესის განხორციელების ხელშესაწყობად სასურველია სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური ჩართვა, მასწავლი პროგრამების შექმნა და მისი სწორად გამოყენება. მასწავლი პროგრამების შექმნას კვლევის პროცესის განხორციელება და სერიოზული ძალისხმევა სჭირდება. ამასთან, მასწავლი პროგრამების სწორად გამოყენებისათვის უნდა მოხდეს მასწავლებელთა სერიოზული გადამზადება და წახალისება.

ამ ეტაპზე ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად მასწავლი პროგრამების გამოყენების გამოცდილება არ არსებობს. საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებობს დიფერენცირებული სასწავლო პროცესის განხორციელების გამოცდილება, რასაც ხელს უწყობენ თანამედროვე ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვით.

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, რომ, მომავალში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში აქტიურად ჩასართავად და ინკლუზიური განათლების სისტემის წარმატებით დასანერგად მასწავლი პროგრამების გამოყენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტური საშუალება იქნება.

დასკვნითი ნაწილი

ამრიგად, ინკლუზიური განათლების დანერგვისათვის, ამ სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებისთვის, მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმუმის მიღწევისთვის საჭიროა მასწავლებელთა სერიოზული გადამზადება და წახალისება, ადექვატური სასწავლო გარემოს შექმნა, დიფერენცირებული სწავლების დანერგვა, მასწავლი პროგრამების შექმნა და მათი თანმიმდევრული გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინკლუზიური განათლება - გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. ესგ და შეფასების ცენტრი. 2011.
2. Михальченко К. А. Инклюзивное образование – проблемы и пути решения / К. А. Михальченко // Теория и практика образования в современном мире (г. Санкт – Петербург, февраль 2012 г.)
3. Thomas, G., Glenny, G. 2002. Thinking about Inclusion: Whose reason? What evidence? International Journal of Inclusive Education.
4. USED. G-PRIED. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი. დაწყებითი კლასის მათემატიკის მასწავლებელთა ტრენინგის მასალები.
5. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება ესგ და შეფასების ცენტრი. 2010.

პროფესიული განათლების პედაგოგიური კადრების მომზადება ტექნოლოგიების საშუალებით

რომან სამხარაძე, *პროფესორი*
მედეა თევდორაძე, *პროფესორი*
ლიანა ჩარკვიანი, *დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სწავლების ინტერნეტ -ტექნოლოგიების, კერძოდ დისტანციური ტექნოლოგიების გამოყენების ახალი შესაძლებლობები და მასწავლებლის როლი ამ პროცესში. საუბარია იმაზეც, რომ განათლებაში ინტერნეტ -ტექნოლოგიების გამოყენებას არსებითი ცვლილებები შეაქვს არა მარტო მოსწავლეთა საქმიანობის ხასიათში, არამედ, მათი გამოყენებით განპირობებულია ხარისხობრივად სხვა მოთხოვნები მასწავლებლის მომზადებისადმი, რადგან დისტანციური სწავლების სისტემის პედაგოგიური საქმიანობა ძლიერ განსხვავდება ტრადიციულისგან. დასახელებულია წინააღმდეგობები, რომლებიც არსებობს საქართველოს განათლების სისტემის პროფესიული მასწავლებლების დღევანდელ კვალიფიკაციასა და მათ მიმართ არსებულ მოთხოვნებებს შორის. დასმულია კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში ინტერნეტ-ტექნოლოგიების სფეროში მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციის ფორმირების პრობლემების გადაწყვეტის საჭიროების საკითხი და ჩამოთვლილია ის ამოცანები, რომელთა შესრულების საფუძველზე შესაძლებელი იქნება მასწავლებელთა უწყვეტი დისტანციური სწავლების პროცესში ინტერნეტ-ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული სისტემა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, დისტანციური სწავლება, ინტერნეტ-ტექნოლოგიები

Vocational Education teaching staff training through the distance technologies

Roman Samkharadze, Professor
Medea Tevdoradze, Professor
Liana Charkviani, Doctoral of the Faculty of Informatics and Control Systems

Summary

This article presents new opportunities of using Internet training technologies particularly distant sensing technologies and teacher's role in the process. Existing contradictions between present professional skills of teachers in Georgian educational system and requirements to them are named. As a matter of fact, that the use of Internet technologies in education is making significant changes not only in the nature of the students, but also causes other quality requirements for teacher training as well as pedagogical activities of the system of distance technologies is quite different from the traditional. Raised a subject of necessity to solve a problem of teachers professional competence and their further training in the field of Internet technologies and listed questions through addressing of which will be possible to develop recommendations for effective use of Internet technologies in continuous remote training of teachers.

* * * * *

საქართველოს ეკონომიკურ და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. შესაბამისად, განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისათვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტურობაზე.

თანამედროვე საზოგადოებაში, ინფორმაციის მკვეთრი ზრდის ფონზე, სპეციალისტს სწავლა პრაქტიკულად მთელი ცხოვრების განმავლობაში ესაჭიროება, რადგან სწრაფად ცვალებად პირობებში მუდმივად უნდა იყო მზად ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განახლებისა და დახვეწისათვის.

დღეს სწავლების ტრადიციული მეთოდები

და ფორმები უკვე სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას სწავლებაში და ამიტომ სწავლების ინტერნეტ-ტექნოლოგიების, კერძოდ დისტანციური ტექნოლოგიების, გამოყენება სრულიად ახალ შესაძლებლობებს აძლევს სპეციალისტებს, როგორც უწყვეტი განათლების მისაღებად, ასევე სპეციალისტების გადასამზადებლად, მეორადი განათლების მისაღებად და რაც მთავარია, ხელმისაწვდომს ხდის სწავლის პროცესს. [1]

დისტანციური სწავლება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ასახავს სწავლების თვით პროცესის შეცვლას: მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომიდან (teacher-oriented approach), მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებულამდე (student-oriented approach), ანუ, სხვა სიტყვებით, პროგრამებიდან, სადაც მოსწავლეს პასიური როლი აქვს, პროგრამებამდე, რომლებიც შემოქმედებითობის სრულ თავისუფლებას იძლევა. იდეების სინთეზის პროცესები ქმნის პირობებს ახალი ორიგინალური მიდგომებისათვის კომპიუტერული სწავლების მეთოდიკაში. გარდა ამისა, სასწავლო პროცესი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უწყვეტი დისტანციური პროფესიული სწავლების სისტემაში ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რომლებიც არ გააჩნია სწავლების სხვა ფორმებს. ეს სხვაობა გამოიხატება სწავლების მიზნებში, მოსწავლეთა კონტიგენტში და ტრადიციულ მეთოდთან შედარებით გაცილებით დიდი რაოდენობის მოსწავლეთა სწავლების ეფექტური პროცესის წარმართვაში, წარმოდგენილი მასალის შინაარსსა და წარდგენის საშუალებებში, მოტივაციაში, ურთიერთობებში, სწავლების სტრუქტურასა და ვადებში. ამან განაპირობა მოცემული ტექნოლოგიის გამოყოფა, როგორც პერსპექტიულის, რომელსაც განსაზღვრული ადგილი უკავია პროფესიულ განათლებაში. [2]

განათლების სისტემაში დისტანციური სწავლების ფორმების გამოყენების უპირატესობებზე ბევრს საუბრობენ და ბევრი დაიწერა. საუბარია იმაზეც, რომ განათლებაში ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებას არსებითი ცვლილებები შეაქვს არა მარტო მოსწავლეთა საქმიანობის ხასიათში, არამედ, მათი გამოყენებით განპირობებულია ხარისხობრივად სხვა მოთხოვნები მასწავლებლის მომზადებისადმი, რადგან დისტანციური სწავლების სისტემის პედაგოგიური საქმიანობა ძლიერ განსხვავდება ტრადიციულისგან. ახალი სასწავლო გარემოს განვითარებასთან ერთად იცვლება მასწავლებლის როლი, მისი კომპეტენცია და ფართოვდება მისი შესაძლებლობები. ლინგვისტიკურ და კომუნიკაციურ კომპეტენციასთან ერთად იზრდება ინფორმაციულ-ტექნოლოგიური კომპეტენციის როლიც. მასწავლებლებისაგან მოითხოვება სპეციფიური ცოდნა და უნარ-ჩვევები. მან უნდა გაიუმჯობესოს თავისი კომპეტენცია ახალი ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკასა და დისტანციური სწავლების სფეროში; მეორეც, მას უნდა გააჩნდეს საკმარისი ცოდნა მულტიმედიური ინსტრუმენტების გამოყენებაში. გარდა ამისა, მას კიდევ უნდა შეეძლოს მოსწავლის საქმიანობის გულდასმით და დეტალური დაგეგმვა, შესაბამისი სასწავლო მასალის შექმნა და დამუშავება ახალი კომპიუტერული საშუალებებისა და პროგრამების დახმარებით და მოსწავლეთათვის მათი მიწოდების ორგანიზება. ამრიგად, მასწავლებლის ინფორმაციულ კომპეტენტურობაზე პირდაპირაა მიბმული დისტანციური განათლების წარმატება და ხარისხი. [3]

სამწუხაროდ, პროფესიული ვალდებულებები, მოთხოვნები მასწავლებლის პიროვნებისადმი ხშირად უგულველყოფილია და ფორმალურ ხასიათს ატარებს. ეს კი მრავალ წინააღმდეგობას წარმოშობს. ეს წინააღმდეგობებია:

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო - ი ნ ო ვ ა ც ი უ რ ი ტექნოლოგიების განვითარების სიჩქარესა და სასწავლოაღმზრდელობით პროცესში სამეცნიერო მიღწევების შემოქმედებითი გამოყენების დონეს შორის;

მასწავლებლების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მომზადების, მათი ზოგადი და პროფესიული კულტურის მიმართ საზოგადოების მაღალ მოთხოვნასა და პროფესიული კომპეტენციის არასაკმარის დონეს შორის;

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების განხორციელების მუდმივი საჭიროების, განათლების განვითარების ცვალებადი პირობებისადმი მათი ადაპტაციისა და ამ ამოცანის სწავლების ტრადიციული ფორმების პირობებში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის მიერ გადაწყვეტის მზაობის არქონას შორის;

დაწესებულებების ტექნიკური დონისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში დისტანციური სწავლების მექანიზმების არასაკმარის შემუშავებას შორის. [4]

დასახელებული წინააღმდეგობები ნეგატიურად ზემოქმედებს მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის შედეგებზე.

მეცნიერთა თეორიული შრომების ანალიზი, პედაგოგიური პრაქტიკის დღევანდელი მდგომარეობა, განათლების მოდერნიზაციის პირობებში მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციისადმი ახალი მოთხოვნები და მათი რეალიზების შემაფერხებელი ზემოთ დასახელებული წინააღმდეგობების არსებობა ამტკიცებს კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში ინტერნეტ-ტექნოლოგიების სფეროში მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციის ფორმირების პრობლემების დამუშავების საჭიროებას.

პედაგოგიური კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის მოდერნიზაციის საჭიროება კარგად აისახა საქართველოში შემუშავებული პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზა–დებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის პროექტში, რომლის მიზანი იყო პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების, საქმი-

ანობის დაწყებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების და მოთხოვნების განსაზღვრა. შემდგომში ამ მოთხოვნებმა და საჭიროებებმა ასახვა ჰპოვა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში (2013-20120 წლები). სხვა საკითხებთან ერთად სტრატეგიაში მოცემულია ინტერნეტის გამოყენების პროგრამების დანერგვის აუცილებლობა საგანმანათლებლო სივრცეში. ამ პროგრამების ფარგლებში პედაგოგის სწავლებასა და გადამზადებას ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს. [5]

დასკვნითი ნაწილი

აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სასურველია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

მასწავლებელთა უწყვეტი დისტანციური სწავლების პროცესში გამოყენებადი შედარებით ეფექტური ინტერნეტ-ტექნოლოგიების თავისებურებების და შინაარსის დაზუსტება;

მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების მდგომარეობისა და მათ ხარისხობრივ დონეზე ინტერნეტ-ტექნოლოგიების გავლენის შესწავლა;

მასწავლებელთა უწყვეტი დისტანციური სწავლების ორგანიზების თავისებურებების განსაზღვრა;

მასწავლებელთა უწყვეტი დისტანციური სწავლების პირობებში ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდიკის შემუშავება;

ამ მეთოდიკის ეფექტურობის შედარებითი ანალიზის გაკეთება.

აღნიშნულის შესრულების საფუძველზე შესაძლებელი იქნება ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც დაგვეხმარება მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობისათვის პროფესიული მზაობის დონის ამაღლებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩაჩანიძე გ. სწავლების ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში. სტუ-ს საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები საბუნებისმეტყველო და საინჟინრო დარგების განვითარების საკითხებზე. თბილისი, 15-18 ივნისი, 2000.
2. ჩაჩანიძე გ., სანთარია ვ. ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები. თბილისი, 2004.
3. გელაძე დ., კომპიუტერული ტექნოლოგიების როლი უნარ-ჩვევების დაუფლებაში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (პედაგოგიური ფაკულტეტი), ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს განათლების აკადემიის ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები. ქუთაისი, 2013,გვ. 118-121.
4. Полат Е.С., «Дистанционное обучение», Москва. «Владос» 1998.
5. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები). gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf

სასწავლო დაწესებულების ეფექტურად მართვაზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელოვნების დადგენა

ნინო გიორგობიანი, დოქტორანტი

რეზიუმე

ორგანიზაციული სისტემები წარმოადგენენ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებს. სასწავლო პროცესი მიეკუთვნება რთულ ორგანიზაციულ სისტემას. მაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი. ასეთი ფაქტორების რიცხვი 100-ზე მეტია. მართვის პროცესში ყველა ფაქტორის გათვალისწინება ძალიან რთულია. ამიტომ მნიშვნელოვანია გამოვყოთ ამ ფაქტორებიდან უფრო მნიშვნელოვნები ანუ ის დავადინოთ ის ფაქტორები, რომლებიც მეტად ახდენენ გავლენას საწავლო პროცესზე.

სტატიაში განხილულია სასწავლო პროცესის, როგორც ორგანიზაციული სისტემის, ეფექტურად მართვაზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელოვნების დაგენის ალგორითმი და გამოთვლილია მიზნის წონები.

* * * * *

სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვა ერთ-ერთი რთული და არასაკმარისად დამუშავებული ამოცანაა. დღეისათვის ამ თემას საერთაშორისო ლიტერატურაში უამრავი პუბლიკაცია ეძღვნება.

სასწავლო პროცესი მიეკუთვნება რთულ ორგანიზაციულ სისტემას. მასზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი. ასეთი ფაქტორების რიცხვი 100-ზე მეტია. მართვის პროცესში ყველა ფაქტორის გათვალისწინება ძალიან რთულია. სასწავლო პროცესის მართვაზე მოქმედი ფაქტორების ფრაგმენტი მოყვანილია ცხრილ 1-ში (ნახ.1).

ამ ფაქტორების (მიზნების) ურთიერთქმედების შეფასებისთვის (ხეზე წვეროების წონების შემოსაღებად) იმის დასადგენად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მიზანი ექსპერტთან შეთანხმებით შემოვიღოთ შეფასების ქულები. U_i და U_j მიზნების ურთიერთქმედების ძალა შევაფასოთ სიტყვიერი (ლინგვისტური) ფორმულირებით და გამოვხატოთ რაოდენობრივად [1-10] ინტერვალში (ცხრილი 1).

U_0	ეფექტური სასწავლო პროცესი
U_1	პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორი
U_2	სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა
U_3	განათლების სფეროში ისტორიული გამოცდილება და ნაციონალური თავისებურებები
U_4	მსოფლიო განვითარების მიმართულებები
U_5	პედაგოგიური ფაქტორი
U_{11}	შრომის ბაზრის მოთხოვნა
U_{12}	განათლების მართვის მეთოდები
U_{13}	ეკონომიკური ფაქტორი
U_{121}	უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური დამოუკიდებლობა
U_{122}	განათლების სისტემის სტრუქტურა (არასახელმწიფო, სახელმწიფო)
U_{123}	პროფესიული განათლება
U_{124}	საჯარო სკოლები
U_{125}	სხვა სახის სასწავლო დაწესებულებები

ნახ.1. სასწავლო დაწესებულების განვითარებაზე მოქმედის ფაქტორები (ფრაგმენტი)

ცხრილი 1. მიზნების ურთიერთქმედების შეფასება

ლინგვისტური მნიშვნელობები	რიცხვითი (ქულები) მნიშ-ვნელობები
U_i და U_j მიზნების ერთ-ნაირი მნიშვნელობისას	1
როდესაც U_i სუსტად არის დამოკიდებული U_j მნიშვნელობაზე	3
როდესაც U_i ძლიერად არის დამოკიდებული U_j მნიშვნელობაზე	5
როდესაც U_i ძალიან ძლიერად არის დამოკიდე-ბული U_j მნიშვნელობაზე	7

აბსოლუტური დამოკიდებულება U_i -ი U_j -ის მნიშვნელობაზე	9
შეფასება მდებარეობს ორ ლინგვისტურ შეფასებას შორის	2,4,6,8

მიზნის ხის ყოველი ფრაგმენტისთვის დაწყებული ნულიდან შევადგინოთ კვადრატული მატრიცა $R=||r_{ij}||$ (ცხრილი 2).

მატრიცის სვეტები შეესაბამება ხის წვეროებს. მარცხენა სვეტში სულ ზედა უჯრაში მოცემულია ძირეული წვეროს წონა (U_0 გლობალური მიზნისთვის წონა W_0 =1). U_i სტრიქონის და U_j სვეტის გადაკვეთაზე ეთითება r_{ij}-ის მნიშვნელობა, ეს მნიშვნელობა ტოლია 1-ის თუ U_i =U_j. თუ U_i უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე U_j მაშინ ეთითება b_{ij}, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ U_i ნაკლებად მნიშვნელოვანია ვიდრე U_j და ეთითება $1/b_{ij}$.

დავუშვათ მატრიცის სტრიქონები (სვეტები) შეესაბამებიან მიზანს U1, ..., Up, შეფასებულია წონებით W_1, ...,Wp. ძირეულ წვეროს აქვს წონა W_0, . მაშინ ჭეშმარიტია პირობა:

$$W_q = \sum_{i=1}^{p} W_i \qquad (1)$$

W_1 წონები წარმოადგენენ შემდეგი განტოლებათა სისტემების ამონახსნს:

$$w_I = \frac{1}{P_I}\sum_{J=1}^{p} r_{Ij}\, W_j \qquad (2)$$

$$w_{p-1} = \frac{1}{p}\sum_{J=1}^{p} r_{p-1,j}\, W_j$$

$$w_{p-1} = \frac{1}{p}\sum_{J=1}^{p} r_{p-1,j}\, W_j$$

სასწავლო პროცესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ხეზე ნულოვანი რანგის შესაბამისი ხეა (U_0,U_1,U_2,U_3,U_4) (ნახ. 2)



ნახ.2 0-ვანი ფრაგმენტის შესაბამისი ხე

ცხრილი 2. მიზნების ურთიერთქმედების ხარისხის
და წონების ცხრილი

W_0 =1	U_1	U_2	U_3	U_4	U_5	U_{13}	U_{13}	U_{14}	U_{15}	U_{21}	U_{22}	U_{23}	U_{31}	U_{32}	U_{33}	U_{34}	U_{35}	U_{41}	U_{42}	U_{43}	U_{44}	U_{45}	U_{46}	მიზნის წონა
U_1	1	3	3	3	5		5	5	3	3	3	3	3	3	3	3	3	β	3	3	3	3	3	0.125000
U_2	1/3	1	3	3	3	3	3	3	3	7	7	7	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	0.012778
U_3	1/3	3	1	3	3	3	3	3	3	3	3	3	7	7	7	7	7	3	3	3	3	3	3	0.11543
U_4	1/3	1/3	1/3	1	1/3	1/3	1/3	1/3	1/3	3	3	3	3	3	3	3	3	7	7	7	7	7	7	0.0679
U_{11}	1/5	1/5	1/5	1/5	1	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	0.02143
U_{12}	5	3	3	1/3	1/3	1	1	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	0.01327
U_{13}	1/5	1/3	1/3	1/3	1/3	1/3	1	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	0.0821
U_{14}	1/5	1/3	1/3	1/3	1/5	1/3	1/3	1	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	0.0508
U_{15}	1/3	1/5	1/3	1/3	1/3	1/3	1/3	1/3	1	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	0.00201
U_{21}	1/3	1/7	1/3	1/3	1/3	1/3	1/3	1/3	1/3	1	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	0,01667
U_{22}	3	1/7	3	3	3	3	3	3	3	3	1	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	0.0778
U_{23}	3	1/7	3	3	3	3	3	3	3	3	3	1	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	0.0333
U_{31}	3	3	3	3	3	3	1/7	1/7	1/7	3	3		1	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	0.00661
U_{32}	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	1/3	1/3	1	3	3	3	3	3	3	3	3	3	0.00409

პირველი რანგის (U_1,U_{12},U_{13},U_{14},U_{15}), , (U_2,U_{21},U_{22},U_{23}), (U_3,U_{31},U_{32},U_{33},U_{34}, U_{35}) (U_4,U_{41}, U_{42} U_{43},U_{44},U_{45}, U_{46}, U_{47}, U_{48}, U_{49}) შესაბამისი ხეებია (ნახ. 3).



ნახ. 3 პირველი რანგის შესაბამისი ხე (ფრაგმენტი)

წონების გამოსათვლელი ფორმულებიდან 0-ვანი ფრაგმენტის შესაბამის განტოლებათა სისტემებს აქვს სახე (3):

$$w_1 = \frac{1}{4}(w_1 + 3w_2 + 3w_3 + 3w_4)$$

$$w_2 = \frac{1}{4}\left(\frac{1}{3}w_1 + w_2 + 3w_3 + 3w_4\right)$$

$$+w_3 = \frac{1}{4}\left(3w_1 + \frac{1}{3}w_2 + 3w_3 + 3w_4\right)$$

$$w_3 = \frac{1}{4}\left(3w_1 + \frac{1}{3}w_2 + 3w_3 + 3w_4\right) \qquad (3)$$

$$w_4 = 1 - (w_1 + w_2 + w_3 + w_4)$$

$$w_5 = \frac{1}{5}\left(5w_1 + \frac{1}{4}w_2 + 3w_3 + w_4\right)$$

ამ განტოლებათა სისტემის ამოხსნი შედეგად მიიღება U_1,U_2,U_3,U_4 მიზნებისათვის მიზნის წონები.

ასეთი განტოლებათა სისტემები დგება ყველა ფრაგმენტებისთვის,მათი ამოხსნის შედეგად მიიღება სასწავლო პროცესის განვითარებაზე მოქმედი მიზნებისათვის მიზნის წონები. მიღებული წონის მნიშვნელობები განსაზღვრავენ სასწავლო პროცესზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელოვნებას, რაც უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს წონას, ნიშნავს რომ ის მეტად მოქმედებს სასწავლო პროცესის განვითარებაზე, რაც უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს ეონას კი -პირიქით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Юдицкий С.А. Владиславлев П.Н Основы предпроектного анализа организационных систем. М. “Финанси и статистика”. 2005
2. Владиславлев П.Н. Выбор оптимального сценария поведения организационных систем // “Управление большими проектами”. Сборник трудов. Под ред. Д.А. Новикова ИПУ РАН, М.: 2005,
3. Губко М.В.Новмков Д.А. Теория игр в управлкнии организациионы системами. М. СИНТЕТ. 2002
4. Ларичев О.И. Теория и методы принятия решений, а также хроника событий в Волшебных Странах. М.: Логос, 2000

ბიზნეს-ინჟინერინგი კვების ტექნოლოგიებში

კვების ფიზიოლოგიის საფუძვლები

მზია წულუკიძე, *პროფესორი*
დავით გამეზარდაშვილი, *პროფესორი*

„ჩვენ ვცხოვრობთ არა იმიტომ რომ ვიკვებოთ,
არამედ ვიკვებებით იმიტომ რომ ვიცოცხლოთ".
სოკრატე

რეზიუმე

სტატიაში განხილულია: კვების, როგორც ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების მნიშვნელობა; საკვების როლი ადამიანის ორგანიზმის თითოეული უჯრედის შენებასა და განახლებაში; ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის განმაპირობებელი ფაქტორები; ცნობები კვების სპეციალური მეცნიერების - ნუტრიციოლოგიის შესახებ; სწორად კვების მნიშვნელობა ჯანმრთელობის დარღვევის ან სასურსათო პროდუქციის ქსენობიოტიკებით შესაძლო დაბინძურების საფრთხის თავიდან ასაცილებლად; საჭმლის მონელების ურთულესი სისტემის მუშაობის პროცესი; საკვების ქიმიური შემადგენლობის კავშირი საჭმლის მონელების დარღვევასა და ზოგიერთი დაავადების წარმოქმნასთან.

Basics of Diet physiology

Mzia Tsulukidze, Professor
David Gamezardashvili, Professor

Summary

The article presents: The importance of nutrition as physiological requirement; role of nutrition for building and renovation of each boy cell; factors determining the state of health; information concerning nutritionology as a special as field of science; importance of proper nutrition in case of health problems and prevention of possible contamination of food with csenobiotics; complex procedure of food digestion; relation of food chemical composition with digestion disorders causing certain deceases.

* * * * *

კვება ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა. საკვები ადამიანის ორგანიზმის შენებისა და თითოეული უჯრედის განახლების საწყისი მასალაა. შესაბამისად, პირველ რიგში სწორედ ის განაპირობებს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტები თვლიან, რომ ადამიანის ჯანმრთელობას განაპირობენ ინდივიდუალური ცხოვრების წესი - 50% - ით, შთამომავლობა - 20% - ით, გარემო პირობები - 20% - ით და მედიკოსების მუშაობა - მხოლოდ 10% - ით. ცხოვრების ინდივიდუალურ წესში უმთავრესი როლი კვებას ენიჭება. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების გაჯანსაღებისათვს, არამედ ზოგიერთი ხალხების ბედზეც ახდენს ზეგავლენას.

იმის შესახებ, რომ სწორი კვება უკიდურესად მნიშვნელოვანია ორგანიზმისათვის, კარგად იცოდნენ წარსულის ცნობილმა ექიმებმა - ჰიპოკრატემ, ავიცენამ და სხვა. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ ქ. სალერნოს (სამხრეთ იტალია) სამედიცინო სკოლაში, რომელიც ჰიპოკრატეს მიმდევრებს აერთიანებდა და 1000 წელი არსებობდა შემუშავებული იყო „სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი". ეს დოკუმენტი შეიცავს 400 - მდე ლექსების სტრიქონს. იგი 300 - ჯერ გამოიცა და დღესაც ძალიან აქტუალურია: მაგალითად: „სალერნოს სკოლამ ასე მიმართა მეფეს:

თუ გინდა დაიბრუნო ჯანმრთელობა
და ავად არ გახდე,
განდევნე ზრუნვის სიმძიმე და გაბრაზება უღირსად ჩათვალე.
მოკრძალებით ისადილე, ღვინო დაივიწყე,
უსარგებლოდ ნუ ჩათვლი კვების შემდეგ მხნეობას,
შუა დღის ძილი უგულებელყავი.
თუ ამას თვალს მიადევნებ - ამ ქვეყნად დიდხანს იცოცხლებ.
თუ ექიმი არ გყოფნის, დაე შენი ექიმები იყვნენ
სამნი: ხასიათი, სიმშვიდე და ზომიერი კვება.
გადაჭარბებული ვახშამი ჩვენი კუჭისათვის მავნებელია.
წყნარად რომ იძინო, ჭამის წინ არ დანაყრდე."

უკანასკნელ ათწლეულში აქტიურად დაიწყო განვითარება სპეციალურმა მეცნიერებამ კვების შესახებ - ნუტრიციოლოგიამ, ანუ ადამიანის ორგანიზმში საკვების ენერგიად და ადამიანის სხეულის სტრუქტურად გარდაქმნის მეცნიერებამ. როგორც ადამიანის ცოდნა იწყება ანბანიდან, ისე კვების შეცნობა იწყება საჭმლის მომნელებელი ორგანოების მუშაობის, ორგანიზმში კვების როლზე უმარტივესი წარმოდგენის, საკვები ნივთიერებების სიჭარბისა და ნაკლებობის, ტოქსიკური და უცხო ნივთერებების

საფრთხის შესახებ ცნობების შესწავლის შედეგად.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ ვიკვებოთ სწორად, განსაკუთრებით ჯანმრთელობის დარღვევის ან სასურსათო პროდუქციის ქსენობიოტიკებით შესაძლო დაბინძურების საფრთხის შემთხვევაში, აუცილებელია მკაფიოდ წარმოვიდგინოთ სასურსათო პროდუქტების მთელი გზა პირის ღრუდან ორგანიზმის თითოეულ უჯრედამდე.

საჭმლის მონელების სისტემა იწყება პირის ღრუდან. აქ საკვები ექვემდებარება მექანიკურ და გარკვეულწილად ქიმიურ გადამუშავებას. ფერმენტი ამილაზა, რომელიც შედის ნერწყვის შემადგენლობაში, შლის სახამებელს, იგი გარდაიქმნება ჯერ დექსტრინად და შემდეგ მალტოზად. პირის ღრუში ხდება საკვების მომზადება საყლაპავ მილში და შემდეგ კუჭში მისი გადაადგილების შემსუბუქებისათვის. არც თუ უსაფუძვლოდ ამბობდნენ ძველად: „დიდხანს ღეჭვა სიცოცხლის გახანგრძლივებაა". კარგად დაქუცმაცებული საკვები უფრო მისაწვდომია კუჭის წვენისა და წვრილი ნაწლავის ფერმენტებისათვის, რაც აუმჯობესებს შეთვისებადობას. ფიზიოლოგები თვლიან, რომ საკვების ლუკმა პირის ღრუში 15 — 18 წამი უნდა იმყოფებოდეს.

ღეჭვის შემდეგ საკვები საყლაპავი მილით ხვდება კუჭში, სადაც ხდება მისი მექანიკური და ბიოლოგიური დამუშავება. საკვების მექანიკური დამუშავება - მისი არევა, დასრესვა და გადაადგილება ხორციელდება კუჭის ქმედით- უნარიანობის შედეგად. საკვების ბიოქიმიური დამუშავება უზრუნველყოფილია კუჭის წვენის ფერმენტების ხარჯზე. კუჭის წვენის მარილმჟავა განაპირობებს მჟავა არეს (კუჭი წვენის Ph აღწევს 1,5 — 1,9), რომელიც საკვების მიკროორგანიზმებზე ახდენს ანტიბაქტერიულ ზემოქმედებას. მარილმჟავა ააქტიურებს პროტეაზებს - ფერმენტებს, რომლებიც ხლეჩენ ცილებს და ხელს უწყობენ როგორც მცენარეული, ისე ცხოველური ცილების მონელებას.

კუჭის წვენი შეიცავს რიგ პროტეოლიტურ ფერმენტებს - პეპსინს, გასტრიქსინს და ჟელატინაზას. მათი ზემოქმედებით საკვების ცილები და ძირითადად ისეთი ცხიმები, რომლებიც მოწოდებულია ემულსიის სახით (რძე, კვერცხის გული) იშლება პეპტიდებამდე.

ცხიმები იშლება ფერმენტ ლიპაზას ზემოქმედებით. თუ კუჭში ცხიმები მცირე რაოდენობით მიეწოდება, მაშინ მათ გახლეჩას უმკლავდება ლიპაზა, ხოლო დიდი რაოდენობით ცხიმების მიღებისას ერთვება ლიპაზა, რომელიც კუჭუკანა ჯირყვლით გამომუშავდება.

გადამუშავებისა და კუჭში ნაწილობრივი მონელების შემდეგ საკვები ხვდება თორმეტგოჯა ნაწლავში, სადაც საჭმლის მონელების პროცესში მონაწილეობენ კუჭუკანა ჯირყვლის და ღვიძლის ფერმენტები, აგრეთვე ნაღველი. თორმეტგოჯა ნაწლავიდან საკვები ფაფის სახით ხვდება წვრილ ნაწლავში. წვრილი ნაწლავიდან ხდება საკვები ნივთიერებების დაშლა გადამუშავების საბოლოო პროდუქტამდე და მათი შეწოვა. საკვები ნივთიერებები ექვემდებარებიან ჰიდროლიზს და წვრილი ნაწლავის კედლებიდან ხვდებიან სისხლსა და ლიმფაში.

საკვების ნარჩენი საჭმლის მონელების წვენის ნარევთან ერთად (ქიმუსი) გადაადგილდება წვრილი ნაწლავიდან მსხვილ ნაწლავში.

საჭმლის გადამუშავების პროცესის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს მსხვილ ნაწლავში ბაქტერია საპროფიტების სიმრავლე, რომლებიც საკვები ნარჩენებით იკვებებიან, მათ შორის 90% ანაერობული მიკრობები, 10% რძემჟავა და სპოროვანი ბაქტერიები, ნაწლავის ჩხირი, სტრეპტოკოკები და სხვა., ლპობის მიკროორგანიზმები, რომლებიც ცხოველქმედების პროცესში გამოყოფენ შხამიან ნივთიერებებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ: ხელს უწყობენ საკვების გადაუმუშავებული ნარჩენების და საჭმლის მონელების წვენის კომპონენტების გახრწნას. ბაქტერიების ფერმენტები შლიან უჯრედისს. მათი ზემოქმედებით ცელულოზის 40% იშლება. მსხვილი ნაწლავის მიკროორგანიზმები მონაწილეობენ B ჯგუფის ვიტამინებისა და K ვიტამინის სინთეზში, ქმნიან მყარ იმონოლოგიურ ბარიერს, გამოყოფენ ჰორმონალური მოქმედების ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. ადამიანის ორგანიზმი და კუჭ - ნაწლავების ბაქტერიები მუშაობენ როგორც ერთიანი სისტემა. მსხვილი ნაწლავის მიკროორგანიზმების შემადგენლობის დარღვევა სხვადასხვა დაავადებების წინაპირობაა. მსხვილ ნაწლავში ხდება ფეკალური მასების ფორმირება, რომელიც სწორი ნაწლავისა და ანალური ხვრელის გავლით გარეთ გამოედინება.

ამრიგად, საჭმლის მონელების პროცესი - მუშაობის ურთულესი სისტემაა, რაც მოიცავს რიგი ორგანოების, საჭმლის გადამამუშავებელი ჯირყვლების, ფერმენტების, ჰორმონების, მიკროორგანიზმების და ნერვული სისტემის მკაფიოდ კოორდინირებულ მოქმედებას.

საკვების ქიმიური შემადგენლობის შეცვლა იწვევს საჭმლის მონელების დარღვევას და მთელი რიგი დაავადებების წარმოქმნას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Донченко Л. В., Надыка В. Д. Безопасность пищевой продукции. Изд.М.: Делипринт, 2007. 538с.

2. Кушнерова О. Ф. Физиология питания. Изд.во НГТУ Новосибирск, 2013. 236с.

3. Позняковский В. М., Влощинский П. Е., Дроздова Т. М. Физиология питания. Сибирское Университетское издательство. 2007, 352 с.

ხალხთა კულტურული ტრადიციები და კვების ტიპები

მზია წულუკიძე, პროფესორი
ლილი ბოლქვაძე, პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სხვადასხვა ცივილიზაციების ადამიანთა კვების საგემოვნო თვისებების კავშირი თითოეული ხალხის კულტურულ ტრადიციებთან, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული კვების ხასიათის დამოკიდებულება ბინადრობის ზონებთან და დღეისათვის მიღებული ბინადრობის ზონების კლასიფიკაცია; ბინადრობის ზონებისა და კვების ხასიათის გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მეურნეობის ტიპები; საკვების ენერგეტიკული ღირებულებით განპირობებული კვების ხასიათი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში; კვების ტიპების კლასიფიკაცია.

Cultural Traditions of peoples and types of diets

Mzia Tsulukidze, Professor
Lili Bolkvadze, Professor

Summary

The article highlights: the relation between the taste characteristics of different of various ethnic groups; Dependence of historically formed nutrition traditions on the household location and present qualification of the above zones; Type of forming defined by the variety of diet and household location; Classification of diets; Types of Calory - based nutrition in different countries of the world.

* * * * *

კაცობრიობის ისტორიაში კვება ყოველთვის იყო მეტად ძლიერი და მდგრადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავდა საზოგადოების განვითარების დონეს.

სხვადასხვა ცივილიზაციების ადამიანების გემოვნება გამომუშავებული იყო ცალკეული ხალხების კულტურულ ტრადიციებთან მჭიდრო კავშირში. გემოვნების წინააღმდეგობრიობა იმდენად საგრძნობი იყო, რომ ზოგიერთი ხალხების საკვები იწვევდა სხვათა გაკვირვებას და უსიამოვნო შეგრძნებას.

საკვების ისტორიულად დამკვიდრებულ ტრადიციულ ხასიათზე ზეგავლენას ახდენდა გეოგრაფიული მდებარეობა და ეკონომიკური განვითარება, კულტურული შეზღუდვების სისტემა, ჩვეულებები, ცხოვრების განსაზღვრული წესი. ამ ურთიერთკავშირის უკეთესად აღქმისათვის განვიხილოთ დღეისათვის დადგენილი ადამიანთა ბინადრობის ზონების კლასიფიკაცია.

1. ეკვატორიალური ტროპიკული ტყეები.
2. ტროპიკული და ბუჩქოვანი ტყეები.
3. ტროპიკული ველები (სავანები).
4. უდაბნოები და გვალვიანი მხარეები.
5. ზომიერი სარტყელის ტყეები.
6. ხმელთაშუა ზღვისპირეთის ტიპის ტყეები და ბუჩქნარები.
7. ზომიერი სარტყელის ველები.
8. ტაიგა.
9. ტუნდრა.
10. მთიანი რაიონები,.

დღეისათვის ყველაზე მრავალმოსახლიანია ტროპიკული და ბუჩქოვანი ტყეები, ზომიერი სარტყელის ტყეები, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ტიპის ტყეები და ბუჩქნარები, მთიანი რაიონები.

კვების ტრადიციები განისაზღვრება ბინადრობის ზონით. ადამიანის ბინადრობის ზონისა და კვების ხასიათის გათვალისწინებით გამოყოფენ მეურნეობის სამ ძირითად ტიპს.

პირველი ტიპის მოსახლეობა ძირითადად ცილოვანი საკვებით იკვებება, მეორე ტიპის ძირითადად ნახშირწყლებით. ცილოვანი საკვების წყაროა ცხოველები (შინაური და გარეული) და თევზი. ნახშირწყლოვანი საკვების წყაროებია მარცვლოვანი კულტურები - ბრინჯი, ხორბალი, სიმინდი და სხვა. მესამე ტიპის - შერეული, რომელიც წარმოიშვა ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში - 4000 წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ცენტრლურ ევროპაში, დუნაის რაიონში. „დუნაის კულტურის" მოსახლეობა ფლობდა შინაურ ცხოველებს, მოჰყავდა ხორბლისა და ხილის კულტურები, მისდევდა თევზჭერას.

კვების ხასიათს განსაზღვრავს საკვების ენერგეტიკული ღირებულება. თუ შავიზღვისპირეთის მოსახლეობისათვის საკვებში ცხიმების წილი 21%, ხოლო დასავლეთ ევროპისა და აშშ ქვეყნებში მცხოვრებთათვის 31%, მაშინ ესკიმოსებისათვის იგი შეადგენს 47% - ს. ცილების რაოდენობა სხვადასხვა ზონის ბინადართა საკვებში მერყეობს ნაკლებ ფარგლებში - 9- დან - 12%.

ბინადრობის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე მოთხოვნილება საკვებ პროდუქტებზე იცვლება, რაც შეინიშნება გარკვეულ რეგიონში მცხოვრებ მთელს მოსახლეობაში. მაგ. პოლარულ ზონაში მაცხოვრებლების მოთხოვნილება ცხიმებსა და ცილებზე, როგორც ენერგიის წყაროზე გაცილებით მეტია, ვიდრე ტროპიკების მაცხოვრებლებისა. ამ მიზეზით, ერთი ხალხების მეორეზე საკვების თავისებურების მექანიკურად გადატანა შეუძლებელია. კვების შეცვლილი სტრუქტურის ადაპტაციისათვის ადამიანს ათწლეულები სჭირდება.

ადამიანი ასწლეულობით ილტვოდა, რომ სხვადასხვა გზით მიეღწია საკუთარი კვების ოპტიმიზაციისათვის, რათა საკვებთან ერთად სრული

მოცულობით შეეთვისებინა ორგანიზმისათვის აუცილებელი ნივთიერებანი. თავდაპირველად იგი მოქმედებდა ინტუიციით, თავის ცხოვრებისეულ და წინამორბედი თაობების გამოცდილებას ეყრდნობოდა. სწორედ კვების პრინციპები, მიდგომები და რჩევები ჰპოვებდა გამოხატულებას ანდაზებში და ნაციონალური სამზარეულოს ტრადიციებში. ასე მაგალითად: „კეთილი მზარეული შვიდ ექიმს უდრის", „საკუთარი ავადმყოფობა ეძებე თეფშის ფსკერზე", „კარგ მზარეულთან ერთად ცხოვრება უშფოთველია" და ა. შ. კვებაზე ტრადიციების გავლენის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს აზიისა და ევროპის მეცხოველეების აზრთა სხვადასხვაობა რძის პროდუქტებზე. მაშინ, როდესაც ცენტრალური და სამხრეთაზიის და სხვა ინდოევროპული ჯგუფის ხალხები ყოველთვის მოიხმარდნენ რძეს, როგორც ძირითად საკვებ პროდუქტს, ჩინელები, იაპონელები და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ხალხები რძესა და რძის პროდუქტებს ზიზღით ეპყრობოდნენ.

ძველი სლავური ხალხების კვების თავისებურებაა მარცვლეულის ბურღულების, ხორცის, თევზის, კენკრის და კაკლოვანი ხილის მოხმარება. საკვების მომზადების ხელოვნება, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა გამოირჩეოდა ბურღულებისა და სხვა პროდუქტების მაგ. რძის, თევზის, კვერცხის, ხაჭოს შერწყმით. ნაციონალური სლავური სამზარეულოები ერთმანეთისაგან თითქმის არ განიჩევიან.

აფრიკული სამზარეულოს კერძები ძირითადად ნახშირწყლებით მდიდარი პროდუქტებისაგან მზადდება - ბრინჯი, ფეტვი, სორგო, ხილი. ცილის ძირითად წყაროს წარმოადგენს თევზი.

აფრიკული მოსახლეობის კვებაში ხორცსა და ხორცპროდუქტებს ძალიან მცირე ხვედრითი წილი აქვთ.

ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული ცხოველური და მცენარეული საკვები განსხვავდება ევროპული ხალხების საკვებისაგან. მცენარეული საკვები იქ ძირითადად შედგება ნესვის, სალათის, არტიშოკის, კიტრისა და ბოლოკისაგან. კერძების შეზავება ხდება ხახვით, ნიორით, წიწაკით. ახლო აღმოსავლეთის ტრადიციულ სამზარეულოში პოპულარულია ფინიკი, ლეღვი, კაკალი და ბროწეული. ძირითადი ცხელი სასმელია ჩაი, ცივი სასმელი - სხვადასხვაგვარი წვენები ან უბრალოდ ცივი წყალი.

არაბეთის ნახევარკუნძულის მომთაბარე ხალხების სამზარეულო რამდენადმე განსხვავდება სხვა არაბული სამზარეულოებისაგან. აქ დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რძის პროდუქტებს, განსაკუთრებით რძეს და ყველს, აგრეთვე ფინიკს, სიმინდის ან ხორბლის კვერებს. ხორცი ითვლება სადღესასწაულო კერძად, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში ამზადებენ.

ბინადარი არაბების საკვები ძირითადად ქერის, უფრო იშვიათად ხორბლის პურის - კვერების სახით, ფეტვის ფაფების, მოხარშული ცერცვის, ბოსტნეულის, ბურღულისა გოგრის ფინიკისა და ხილისაგან შედგება.

არაბეთის ნახევარკუნძულის არაბების ყველაზე საყვარელი სასმელია ყავა.

სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიის ხალხების სამზარეულოსათვის განუყოფელია ბრინჯი - როგორც ძირითადი საკვები პროდუქტი. ბრინჯთან მნიშვნელოვანი დანამატია ზღვის თევზი - სკუმბრია, ქაშაყი, თინუსი. დელიკატესად ითვლება ზვიგენის ფარფლები, ლანგუსტი, ომარები, რვაფეხა. განსაკუთრებით პოპულარულია საკვებთან სხვადასხვა სანელებლები და საკაზმები.

ვრცელი ჩინეთის ცალკეული რაიონების კლიმატურმა და ეთნოგრაფიულმა თავისებურებამ ჩინური სამზარეულო მრავალფეროვანი გახადა. ჩინურ სამზარეულოს მსოფლიოში კულინარული საოცრებების ექსკურსიას უწოდებენ განსხვავებული სურნელებისა და ტრადიციული ჩვევების თვალსაზრისით. „ცხოვრობ მთასთან -იკვებე იმით რაც მთაზეა.ცხოვრობ წყალთან - იკვებე იმით რაც წყალშია", მოგვითხრობს ძველი ჩინური ანდაზა. ჩინური საოჯახო კულინარია დაფუძნებულია მთელს მსოფლიოში გავრცელებული პროდუქტების გამოყენებაზე - ბრინჯი, ფქვილი, ღორის ხორცი, ბოსტნეული, სოკო, მცენარეული ზეთები. თავისებურება კი მიღწეულია სათანადო მომზადების ტექნოლოგიის შედეგად, რომელშიაც გამოიყოფა სამი თანამიმდევრული ოპერაცია: ნედლეულის მექანიკური დასუფთავება, პროდუქტების დაჭრა, კერძის გაფორმება თითოეული რეცეპტი მკაცრად მიუთითებს კერძის დამუშავების ტემპერატურას. ჩინურ სამზარეულოში თერმული დამუშავების 30 მეთოდზე მეტს ითვლიან.

ჩინური სამზარეულოსათვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი საკვები პროდუქტების არსენალი. ჩინური სამზარეულო გვეუბნება: „საკვებად ვარგისია ყველაფერი გარდა მთვარისა და წყალში მისი გამოსახულებისა". ყოველივეს ახსნა კი შესაძლებელია მოსახლეობის სიმჭიდროვითა და რაოდენობით, რამაც საკვები პროდუქტების დეფიციტი განაპირობა.

იაპონური ნაციონალური სამზარეულო ჩინურ სამზარეულოსთან შედარებით ნაკლებად მრავალფეროვანია. იაპონელები მოიხმარენ ძალიან ცოტა ცხიმს, ნაკლებად საწებლებს. ვინაიდან იაპონია განლაგებულია კუნძულებზე, ისინი საკვებად იყენებენ თითქმის ყველაფერს რასაც ზღვა იძლევა - თევზს, ზღვის წყალმცენარეებს და ზღვის სხვადასხვა პროდუქტებს.

ინდოელები - მკაცრი ვეგეტარიანელები, ზოგიერთი არ მოიხმარს კვერცხსა და თევზს, უპირატესობას ანიჭებს ხილსა და ბოსტნეულს. ინდოელების საკვების ძირითადი პროდუქტებია - ბრინჯი, მარცვლეულის ფაფები, მუხუდო, იოგურტი, რძე, კვერცხი, ხილი და ბოსტნეული, მრავალფეროვანი სანელებლები და საკაზმები.

ამგვარად, კვების ტიპები და ტრადიციები არის გარკვეული სახის საკვებისადმი ორგანიზმის ხანგრძლივი ისტორიული დამოკიდებულების შედეგი.

უნდა აღნიშნოს, რომ დედამიწის სხვადასხვა რეგიონების მოსახლეობის ყოველი ნაციონალური კვებ-

ის ტიპი განსაზღვრავს შემდეგ კრიტერიუმებს: ძირითადი მარცვლოვანი კულტურა, ენერგიის ძირითადი წყარო, ცილების ძირითადი წყარო, ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების ძირითადი წყაროები. მაგალითად, აღმოსავლეთ და ჩრდილო ევროპაში, აშშ - ში, კანადაში, ავსტრალიაში ძირითადი მარცვლოვანი კულტურებია - ჭვავი, ხორბალი, შვრია; ენერგიის ძირითადი წყაროებია - ღორის, საქონლის ხორცი, თევზი, რძე, ყველი. ჩრდილო - აღმოსავლეთ ინდოეთში ძირითადი მარცვლეული კულტურაა - ბრინჯი, ცილების წყარო - ცერცვი და მუხუდო.

საკვების გარკვეულ სახეებთან ადამიანის მრავალსაუკუნოვანი შეთავსებადობის შედეგად დღეისათვის გამოყოფენ კვების 20 ტიპს.

კვების ტიპის კლასიფიკაცია:

კვების ტიპი	კონტინენტი, ქვეყანა, ადგილმდებარეობა	ძირითადი მარცვლოვანი კულტურები	ენერგიის ძირითადი წყაროები	ცილების ძირითადი წყაროები
1	2	3	4	5
1	აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ევროპა, აშშ, კანადა, ჩილი, ურუგვაი, არგენტინა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ - აფრიკული რესპუბლიკა	ჭვავი, ხორბალი, შვრია	ცხოველური წამროშობის ცხიმები	ღორისა და საქონლის ხორცი, რძე, ყველი და სხვა
2	ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნები, ჩრდილო ამერიკა, არაბეთის ნახევარკუნძული, შუა აზია	ხორბალი, სიმინდი, ქერი	ცხიმები, კარაქი, ფინიკი, ლეღვი.	ხორცი შედარებით მცირე რაოდენობით ვიდრე პირველ ტიპშია
3	ჩრდილო ინდოეთი, პაკისტანი	ხორბალი, ნაკლებად ფეტვი, სორგო, ბრინჯი	სახამებელი, მარცვლოვანი მცენარეები	ცერცვოვანები, თევზი
4	ეკვადორი, პერუ, მაღალმთიანი ბოლივია	ხორბალი, სიმინდი.	მარცვლოვანები, სახამებელი და კარტოფილი.	ცერცვოვანები.
5	ბრაზილია (ამაზონის აუზის გარდა)	ხორბალი, სიმინდი, ბრინჯი	შაქრის შემცველი საკვები პროდუქტები	ცერცვოვანები.
6	პარაგვაი და ბოლივიის დაბლობი	ხორბალი, სიმინდი	კასავა, შაქარი ნაკლები რაოდენობით, ვიდრე მეხუთე ტიპში.	ცერცვოვანები.
7	ჩრდილო - აღმოსავლეთ ინდოეთი	ბრინჯი	ბრინჯი	ცერცვოვანები.
8	სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიის სანაპირო ზოლი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაივანი	ბრინჯი, ნაკლები რაოდენობით ხორბალი.	ბრინჯი	თევზი, სოიო, ცერცვი ხორცი (ტაივანი).
9	აღმოსავლეთ ჩინეთი.	ბრინჯი, ნაკლები დოზით სიმინდი.	ბატატი (ტკბილი კარტოფილი)	თევზი, სოიო, ცერცვი, მცირე რაოდენობით არაქისი და ღორის ხორცი.
10	სამხრეთ ჩინეთი, სამხრეთ - აღმოსავლეთ აზია, მალაიზია, ფილიპინები.	ბრინჯი, სიმინდი.	ბრინჯი, ბატატი, სიმინდი, ქოქოსის კაკალი, კაკალი, კასავა.	თევზი, სოიოს მარცვლები, არაქისი, ცერცვოვანები., ხორცი (სინგაპური), თევზი (ტაილანდი).
11	ცენტრალური ამერიკის დაბლობები, ეკვადორი, პერუ, ამაზონის აუზი, კარიბის ზღვის კუნძულები	ბრინჯი, სიმინდი, ფეტვი (კ.ჰაიტი)	მარცვლოვანი მცენარეები (კუბა, პანამა) კასავა, ბანანი	ცერცვოვანები, ხორცი
12	კოლუმბისა და ვენესუელის მაღალმთიანეთი	სიმინდი	სიმინდი, ხორბალი, კარტოფილი	ხორცი უფრო ჭარბად ვიდრე მეთერთმეტე ტიპში
13	მექსიკა და ცენტრალური ამერიკის მაღალმთიანეთი	სიმინდი	სიმინდი	ცერცვოვანები, ხორცი
14	აღმოსავლეთ და სამხრეთ-ამერიკის მაღალმთიანეთი	ფეტვი, სორგო, სიმინდი, ბრინჯი	ფეტვი, სორგო, სიმინდი, ბრინჯი	ცერცვოვანები, ხორცს მოიხმარებენ მეტს ვიდრე მე - 13 ტიპში.
15	აფრიკა სახარიდან სამხრეთით	მარცვლოვანი მცენარეები ნაკლები დოზით, ვიდრე მე - 14 ტიპებში	ბატატი, კასავა, ბანანი	ცერცვოვანები
16	სამხრეთ ინდოეთი, ცეილონი	ბრინჯი, ფეტვი, სორგო	კასავა, ქოქოსი (ინდის კაკალი)	ცერცვოვანები, არაქისი, თევზი.
17	ცენტრალური აზიის მაღალმთიანეთი	ქერი (მცირე რაოდენობით) ხორბალი, ფეტვი	ყველი, კარაქი	ყველი, ცხვრის, თხის ხორცი, ზოგიერთ ადგილას იაკის ხორცი
18	ჩრდილო და ჩრდილო აღმოსავლეთ ჩინეთი	ფეტვი, სორგო, ხორბალი,	ფეტვი, სორგო, ხორბალი.	სოიოს მარცვლები და არაქისი, ღორისა და ცხვრის ხორცი.
19	წყნარი ოკეანის ტროპიკული კუნძულები	ტარო	კასავა, ბატატი, ბანანი, ქოქოსი, ხილი	თევზი და ღორის ხორცი
20	არქტიკის შორე-ული რაიონები	ხორბალი	გარეული ცხოველებისა და თევზის ქონი	გარეული ცხოველების ხორცი და თევზი.

თუმცა კვების ტიპები არ ითვლებიან მკაცრად და შეუცვლადად. კვების დამკვიდრებულ ტიპებზე გარემო პირობების ზემოქმედების პროცესი გრძელდება. შეინიშნება კვების თვისობრივი და რაოდენობრივი ევოლუცია. შეცვლილი ქიმიური შემადგენლობის საკვები პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოების შედეგად მიმდინარეობს კვების თვისობრივი ევოლუცია. კვების რაოდენობრივი ევოლუცია გულისხმობს მოხმარებული პროდუქტების რაოდენობრივ ცვალებადობას.

სასურსათო პროდუქციის სტრუქტურის ცვალებადობის და მისი მოხმარების მდგრადი ტენდენციების დროული გამოვლინება განაპირობებს კონკრეტული რეგიონის მოსახლეობის კვების სტატუსის ფორმირების აუცილებლობას გეოგრაფიული, კლიმატური და სოციალური პირობების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Щеникова Надежда. Традиции и культура питания народов мира. Изд. Форум, Инфра-М.: 2015. 296с.

2. Поздняковский В. М. Гигиенические основы питания, безопасность и экспертиза продовольственных товаров. Новосибирск: Изд-во. Новосиб. Ун-та, 2002-556с.

3. Донченко Л. В., Надыка В. Д.. Безопасность пищевой продукции. Изд. М.: Дели принт, 2007, 538 с.

4. Касьянов Г. И. Запорожский А. А., Юдина С. В. Технология продуктов питания людей пожилого и преклонного возраста – Ростов – на Дону: Изд. центр „Март", 2001– 192 с

5. Yasmine Motarjemi, Huub Levieveld. Food Safety Management. 2014, p. 1-20. Copyright Elsevier Inc. ISBN978-0-12-381504-0.

6. Edward Elgar. Environmental Regulation and food Safety. International Development Research Center, Ottawa, 2005, 317p.

ახალი წიგნები

რეცენზია

გიორგი ნანუაშვილის წიგნზე ,,აუდიტი"

***ალექსანდრე სიჭინავა**, პროფესორი*
***შოთა ვეშაპიძე**, პროფესორი*

უკანასკნელ პერიოდში საქართველომ მეთად რთული და საზოგადოებისათვის მეტისმეტად მტკივნეული და, შეიძლება ითქვას, შოკირებული პერიოდი გამოიარა, რაც დღესაც გრძელდება. ყოველივე აღნიშნული პერიოდი გამოიარა, რაც დღესაც გრძელდება. ყოველივე აღნიშნული შეეხო ქვეყნისარამარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ მხარესაც. თავიდანვე თავიდანვე ქვეყანაში არ იყო მკვეთრად გამოკვეთილი და, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ არაა მისი განვითარების კონკრეტული ვექტორი და პერსპექტივა. საბაზრო ეკონომიკის მიმართულების კურსის აღება თავისთავად არ ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონკრეტული გზის მითითებას. აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ქვეყნის თავისებურებებისა და ამ ქვეყნის საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების შესაბამისი მოდელის თუ სისტემის ჩამოყალიბება და მისკენ ორიენტაციის აღება. საქართველოსთვის საარსებო მნიშვნელობა გააჩნია ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის, განვითარების სწორი მიმართულების, მისი რეალიზაციის პირობების შესახებ საფუძვლიან მეცნიერულ ცოდნას, რაც ასე სჭირდებატ, მოქალაქეებს, პრაქტიკოს მუშაკებს, უპირველეს ყოვლისა კი მათ ვისაც უნდა ჩავაბაროთ საქართველოს მომავალი მართვა და გაძღოლა, ესენი არიან უნივერსიტეტების სტუდენტები.

როგორც ცნობილია საქართველო დაადგა მისთვის ახალ საბაზრო ურთიერთობების პრინციპებს, რომელმაც გამოავლინა ახალი ეკონომიკური ინსტიტუტების, სამეურნეო და სამართლებრივი ურთიერთობების დამკვიდრების აუცილებლობა. მათ მომავალში უნდა მოახდინონ სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ურთიერთობების რეგულირება. მათ შორის მნიშვნელოვან და საპატიო ადგილს იკავებს აუდიტის ინსტიტუტი. სწორედ ამიტომაც მივიჩნევთ პროფესორ გიორგი ნანუაშვილის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო ,,აუდიტი,, საჭირო, დროულ და მნიშვნელოვან წიგნად. ის ხომ მართლაც ჰაერივით ჭირდებოდათ არამარტო სტუდენტებს, არამედ პრაქტიკოს მუშაკებსაც, მათ შორის, ხელმძღვანელ მუშაკებსაც.

სახელმძღვანელო საკმაო მოცულობისაა და 272 გვერდს მოიცავს. იგი ხუთი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი დათმობილი აქვს აუდიტის საფუძვლებს, სადაც განხილულია თავებისა და ქვეთავების მიხედვით ყველა ის აქტუალური და საჭირო საკითხები, რაც დაკავშირებულია აუდიტის საფუძვლებთან. კერძოდ, აუდიტის არსი, განვითარების ეტაპები, სახეები და კლასიფიკაცია, თანამდე მომსახურების სახეები, ეთიკის ნორმები, ლიცენზირების საკითხები და სხვა მრავალი.

მეორე ნაწილი დათმობილი აქვს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს და აუდიტორული საქმიანობის ორგანიზაციას. აღნიშნულ ნაწილში ავტორს თავების მიხედვით გაშუქებული აქვს აუდიტორული საქმიანობის სტანდარტები, შემოწმების მომზადებისა და ჩატარების პროცედურები, აუდიტის დაგეგმვის საფეხურები, აუდიტორული შემოწმების მეთოდები. განსაკუთრებულად აქვს ქვეთავის სახით გამოყოფილი თაღლითობისა და შეცდომების მომენტები.

მესამე ნაწილში პროფ. გიორგი ნანუაშვილი ეხება საერთო დოკუმენტებისა და დამფუძნებლებთან ანგარიშსწორების აუდიტს, რაც მნიშვნელოვან მომენტად და სახელმძღვანელოს ღირსებადაც მიგვაჩნია. ამ ნაწილში კი განსაკუთრებულად გამოვყოფდით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების მეთოდიკას.

მეოთხე ნაწილი ეხება საერთო აუდიტის საკითხებს. აქ ავტორი ეხება, როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი აქტივების, ცვეთის დარიცხვის, გაყიდვის თუ სხვათა შესაბამისად, რაც არც ერთ სახელმძღვანელოში, რომლებიც კი აქამდე იყო გამოცემული არ შეგვინიშნავს.

მეხუთე ნაწილში ავტორმა გვერდი ვერ აუარა ისეთ საკითხებს, როგორიცაა აუდიტის ჩატარების მეთოდიკა და მიდგომები მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებში, რაც ვფიქრობთ სახელმძღვანელოს უფრო მიმზიდველსა და უფრო მეტად გამოსაყენებელს ხდის საზოგადოების ფარტე წრეებისთვის.

ბოლოს გვინდა სახელმძღვანელოს ავტორს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გიორგი ნანუაშვილს ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები შემოქმედებით მეცნიერულ საქმიანობაში და მადლობა გადავუხადოთ ასეთი კარგი და საფუძვლიანი სახელმძღვანელოს გამოცემისთვის.

რეცენზია ნაშრომზე „ესთეტიკა და ხელოვნება XX საუკუნის კულტურაში“

ლია მეტრეველი, პროფესორი

დიანა ფოცხვერაშვილის ნაშრომი – **„ესთეტიკა და ხელოვნება XX საუკუნის კულტურაში“** – ეხება XXI საუკუნის ზღურბლზე ესთეტიკური აზრის განვითარებისა და ესთეტიკისა და ხელოვნების პრობლემებს. ნაშრომში თანამედროვე ფილოსოფიისა და ესთეტიკის ლიტერატურის შუქზე განხილულია XX საუკუნის ხელოვნების ანალიზის ესთეტიკური მიდგომების დიფერენციაციის პრინციპები, კერძოდ, ა. ბერგსონის მოსაზრებები იმის თაობაზე თუ რა როლს თამაშობს მითო-პოეტური შემოქმედება ადამიანის რეფლექსიის გადამეტებული განვითარების ნეიტრალიზაციისათვის, ა. მალროს ესთეტიკაში „ჩვენი ყოფის საფუძვლად“ წარმოდგენილი ხელოვნება, ჟ. პ. სარტრისა და ა. კამიუს ეგზისტენციალური ესთეტიკის კულტუროლოგიური არსი: ზოგადი და განსაკუთრებული.

ნაშრომში სტრუქტურალიზმის მეთოდოლოგია, ავტორის აზრით, არის „უანგარო მეცნიერულობის“ განხორციელება, მხატვრული ტექსტის მაკრო და მიკროსტრუქტურებში ინვარიანტების გამოვლენის ხერხები: აქცენტირებულია სტრუქტურალიზმისათვის დამახასიათებელი ესთეტიკის მეტაფორულობა, როგორც ხელოვნების ნაწარმოების „ნარჩენი აზრების“ აღმოჩენის მეთოდი.

ცნობილია, რომ ამ მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენელი, ჟაკ დერიდა, ცდილობდა სტრუქტურალიზმის მეთოდოლოგიის გერმანევტიკასა და ფსიქოლოგიასთან გაერთიანებას. ნაშრომის ავტორის თანახმად, ჟაკ დერიდა მძაფრად აკრიტიკებდა თვით სტრუქტურის იდეას, რომელსაც, როგორც წესი, თან სდევდა სტატიკურობა და ანტიისტორიზმი. ამასთან, დერიდა ფიქრობს, რომ მხატვრული ტექსტის შინაგანი წინააღმდეგობები არა თუ არ გადაილახება, არამედ, გადაუჭრელი „თავისი ლოგიკური ჩიხებით“, ფასდება, როგორც ტექსტის ამოსავალი მახასიათებელი.

ნაშრომის ავტორი, ხელოვნების სხვადასხვა სახის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცდილობს ნათელი მოჰფინოს, როგორც სამყაროს რაციონალური მოწყობის რწმენის კრიზისის გავლენას ახალი მხატვრული ენისა და ახალი მხატვრული ოპტიკის ფორმირებაზე, ისე მოდერნიზმის ხელოვნების შემოქმედებით კრედოს, მის მიმართებას მომავლისაკენ. ამასთან, ანალიზირებულია თვითუარყოფას, ციტატურობას, ირონიასა და ანტიუტიპიზმზე ორიენტირებული პოსტმოდერნიზმის მხატვრული შემოქმედების კულტურული წინაპირობები.

ნაშრომი შედგემა ორი თავისგან. პირველ თავში – „მხატვრული შემოქმედების ბუნების შესახებ“ – ავტორი, ძირითადად, განიხილავს XX საუკუნის ხელოვნებაში არსებულ პრინციპულად ახალ სიტუაციას, რომელსაც განსაზღვრავს, როგორც გახნილ, ღია სამყაროს არაკლასიკურ აღქმას, რადგან თუ წარსულში სტილური მიმდინარეობები, სტილური ფორმები ემყარებოდნენ გარკვეულ პრინციპებს, მხატვრული ფორმებით „გადატვირთული“ XX საუკუნის კულტურა „ისტორიული ერთდროულობის“ შთაბეჭდილებას ტოვებს. ტრადიციებისაგან განთავისუფლებული XX საუკუნის ესთეტიკური კონცეფციებისათვის დამახასიათებელია ღია, სწრაფი ცვალებადობა, როტაცია და წინააღმდეგობრივი მიდგომების პარალელური თანაარსებობა. ამ დროს რომელიმე ესთეტიკური მიმდინარეობა 20-25 წელზე მეტს იშვიათად ინარჩუნებდა ავტორიტეტულობას. ხელოვნებაში „არაკლასიკური ფორმების“ შემოჭრა, ავტორის აზრით, პირველ ხანებში გაიაზრებოდა, როგორც ხელოვნების კვდომის, რაღაც უმნიშვნელოვანესის რღვევის მომასწავებელი, მაგრამ, ალბათ, ავტორის თანახმად, უნდა გაცხადებულიყო ხელოვნების კვდომის თეზისი, რათა განვითარების ახალ ფაზაში სრულიად შეცვლილიყო ხელოვნების შესაძლებლობებისა და დანიშნულების ყველა ადრეული წარმოდგენები. ხელოვნებაში წინ წამოიწევს მხატვრული ხერხების იმგვარი რიგი, რომელიც ადამიანის მთელ მრავალფეროვნებას და მის ძნელად გამოსახატავ შინაგან სამყაროს არ დაიყვანდა უკვე აპრობირებულ ხერხებზე.

ხელოვნების დანიშნულებასა და მისი როლის შესახებ მრავალფეროვნებით და პარადოქსულობით ხასიათდებიან XX საუკუნესი წარმოდგენილი ახალი ესთეტიკური თეორიებიც.

XX საუკუნის ესთეტიკური კონცეფციების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშნად ნაშრომის ავტორი მიიჩნევს მათ შემობრუნებას გნოსეოლოგიური პრობლემების ანალიზიდან ონტოლოგიურისაკენ. მსგავსი ევოლუცია, ავტორის თანახმად, ნიშნავს ინტუიტივიზმისა და ეგზისტენციალიზმის ანტროპოლოგიურ ორიენტაციას, რადგან, არსებითად, ადამიანისმცოდნეობის ესთეტიკას წარმოადგენენ.

ავტორი თვლის, რომ ერთი შეხედვით საწინააღმდეგო, სტრუქტურულ-სემიოტიკური ანალიზის პრაქტიკასაც ახასიათებს (თუმცა, სხვა რაკურსით რეალიზებული), ონტოლოგიური პათოსი, როდესაც მყარი მხატვრული სტრუქტურული წარმოდგენებიდან შესაძლებელი ხდება ყოფიერების კანონზომიერებასა და მის არსებით პრინციპებში წვდომა.

ნაშრომში, XX საუკუნის ესთეტიკურ კონცეფციათა მთელი პანორამის დიფერენციაციის შედეგად, შესაძლებელი გახდა მათი დაყოფა ორი მიმართულებით. ამასთან, თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი კონ-

ცეფციათა შეფარდებითი პოლარიზაცია, როდესაც დომინირებს რაციონალური ან ინტუიტიური ორიენტაცია, ტენდენცია კონსტანტატაციის ან ინტერპრეტაციისაკენ, მიდრეკილება ზუსტი, „სციენტისტური“ ან შემფასებლური მეთოდებისაკენ. ამგვარად, XX საუკუნის ესთეტიკაში ერთი ხაზი ვითარდება ესთეტიკურისა და ფილოსოფიურ-მხატვრულის ზღვარზე და გამოირჩევა ბელეტრიზირებული ფორმით ან ხელოვნების ბუნების ადამიანის ცნობიერებით მოაზრების მცდელობით. ყოველგვარი მეტაფიზიკისა და სუბიექტურობისაგან თავისუფალი, ესთეტიკური ძიებების მეორე ფრთა იყენებს ზუსტი ანალიზის მეთოდებს, ამკვიდრებს კვლევის სპეციალურ ობიექტს (მხატვრულ ტექსტს), ადამიანისაგან დამოიკიდებლად იკვლევს მის მყარად დადგენილ ერთეულებს.

ნაშრომის მეორე თავში ავტორი ეხება პრინციპულ სხვაობას მოდერნიზმის შემოქმედებით ბუნებასა და პოსტმოდერნიზმის მკვდარი ფორმებით თამაშს შორის. ავტორის თანახმად, მოდერნიზმი, მართალია, არ ეზიარა კლასიკური ხელოვნების ფორმებს, მაგრამ იგი ილტვოდა ეპოქის ადეკვატური მხატვრული სახის ინტერპრეტაციისაკენ. ეს კი იყო მომავლისკენ გადადგმული ნაბიჯი. თუ მოდერნიზმი გაუკვალავი გზებით ეძიებდა და პოულობდა დასრულებულ და მთლიან მხატვრულ ფორმებს, საპირისპირო, პოსტმოდერნიზმი თამაშის, უარყოფის, პადადოქსულობის, თანამედროვე ნევროზულობის მუდმივი კირკიტის, ავადმყოფური არსებობის, დანაწევრებულ „ნაგლეჯ“ ფორმებში წარმოჩინებაა.

აქედან გამომდინარე, ავტორი, მოდერმიზნის ხელოვნებაში ხედავს წინა პერიოდების ხელოვნების ტრადიციების უარყოფის და მხატვრული განპირობებულობის ფორმების მზარდობას; XX საუკუნის სურათის ზეგავლენას, მხატვრული ხედვის ახალი ტიპის ჩამოყალიბებაზე; მხატვრულობის კრიტერიუმების ცვალებადობას და მხატვრული კონტაქტის პრობლემას; ესთეტიკურ თეორიებში ხელოვნების ნაწარმოების მხატვრულ ბუნებასა და მხატვრული შემოქმედების კათარზისული ბუნების თაობაზე იმ დროს არსებულ დისკუსიებს.

ჯამში, ავტორი ნაშრომში არგუმენტირებულად პასუხობს XX საუკუნის ესთეტიკურ თეორიებში წამოჭრილ, გადაჭრილ ან გადაუჭრელ საკითხებს: 1. XX ს-ის თეორიებში რა ადგილი უჭირავს ხელოვნების ანალიზის ინტუიტიურ-შემფასებლურ და რაციონალურ მეთოდებს; 2. თანამედროვეთა კულტურულ-ფილოსოფიურ მოსაზრებებში რა როლს თამაშობენ ეგზისტენციალიზმის ესთეტიკური თეორიები; 3. რა მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ეყრდნობა სტრუქტურალიზმი და რა თავისებურებით ხასიათდება პოსტსტრუქტურალიზმი; 4. რა გავლენა იქონია სამყაროს რაციონალური მოწყობის რწმენის კრიზისმა ახალი მხატვრული ოპტიკისა და ახალი ენის ჩამოყალიბებაზე; 5. ხელოვნების სხვადასხვა სახეში რა სახით იჩინა თავი მოდერნიზმის ხელოვნების მომავლისაკენ მიმართულმა შემოქმედებითმა ლტოლვამ და რა კულტურულ წინაპირობებს ეყრდნობა პოსტმოდერნიზმის მხატვრული შემოქმედება.

ნაშრომი პროფესიულ დონეზეა შესრულებული, იკითხება თავისუფლად, იგი გამოქვეყნებულია და განკუთვნილია ესთეტიკისა და ხელოვნების საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

სარედაქციო მოთხოვნები:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის ახალ შედეგებს ბიზნესსა და ინჟინერიის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

- ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები;
- ბიზნეს-პროცესების მართვის ტექნოლოგიები;
- საინჟინრო-საკონსულტაციო საქმიანობის ეკონომიკური შეფასებები;
- ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები;
- ბიზნეს-ინჟინერინგი: ენერგეტიკაში, ინფორმატიკაში, ქიმიასა და მეტალურგიაში, ფარმაციაში, მშენებლობაში, ტრანსპორტში, არქიტექტურასა და დიზაინში, სამთო გეოლოგიაში, ნანოტექნოლოგიებსა და ჰიდროტექნიკაში;
- ინოვაციები და ინვესტიციები;
- საინჟინრო საქმიანობის სამართლებრივ-საექსპერტო და სოციალური ასპექტები;
- სამართალი და პოლიტიკა;
- ევროპული და ევროატალნტიკური ინტეგრაცია.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.
ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

- სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 15 გვერდისა და სტატიას თან უნდა დაერთოს:
- რეზიუმე ქართულ და უცხოურ ენაზე — ტექსტის დასაწყისში (რეზიუმე უნდა შეიცავდეს არანაკლებ 100-150 სიტყვას), გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა — ტექსტის ბოლოს.
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი AcadNusx,
- ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman.
- შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.
- სტატიის თავში მოათავსეთ შემდეგი ინფორმაცია: ავტორის (თანაავტორის) სახელი, გვარი, აკადემიური წოდება, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი.
- ნახაზები, გრაფიკები, სქემები და ა.შ. – ფორმატში TIFF 300 dpi; 600 dpi,
- ფორმულები უნდა აიკრიფოს Microsoftequation 2.0 (2.1.).